საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები

ტომი XXV

ნინო ბურჯანაძე

საჯარო გამოსვლები, მიმართვები, ინტერვიუები

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები

ტომი XXV

ნინო ბურჯანაძე

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე
(2001 წლის ნოემბერი – 2008 წლის ივნისი)

საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი
(2003 წლის ნოემბერი – 2004 წლის იანვარი;
2007 წლის ნოემბერი – 2008 წლის იანვარი)

საჯარო გამოსვლები, მიმართვები, ინტერვიუები

თბილისი 2024

Udc(უაკ)342.511(479.22)+342.511.7
ს-341

სერიის „საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელები“

იდეის ავტორები:	ემზარ ჯგერენაია დორის ფოგლი
რედაქტორ-შემდგენლები:	ლილი საყვარელიძე
მასალის მოძიება და კორექტურა:	ნელი კაციტაძე ნელი ნადირაძე ეთერ შუბითიძე
საძიებლები დაურთო:	ეთერ შუბითიძემ
დაკაბადონება:	შალვა პაპალაშვილი

ISSN 1987-5576
ISBN 978-9941-9929-9-5

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

3

სარჩევი

არმენ ხაჩატრიანი – ნინო ბურჯანაძეს.....13

მილოცვა. მის აღმატებულებას, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს.....14

პარლამენტის თავმჯდომარე.....15

„რაც აფხაზეთში მოხდა, ამაში რუსეთია დამნაშავე“. „იზვესტიას“ ესაუბრება საქართველოს პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძე.....18

„აფხაზეთში მხოლოდ აფხაზებმა არ უნდა იცხოვრონ“.....21

ნინო ბურჯანაძე: „აფხაზეთი ძირითადი პრობლემური საკითხია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში“.....23

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე: მაქსიმალურად შევეცდები ხალხის იმედების გამართლებას...31

ახლა მაღაზიაში შესვლასაც ვერ ვახერხებ, რომ შამპუნი მაინც მივიტანო შინ... 43

ნინო ბურჯანაძე გაზაფხულზე მინისტრთა კაბინეტის შემოღებას იმედოვნებს.....51

„კობა ბუჩუკური ნამდვილად არ შედის ქართველ კორუმპირებულთა ოცეულში“. რა უთხრა პარლამენტის თავმჯდომარემ პრეზიდენტს გულახდილად?.....58

„საიდან აქვს აფხაზურ არმიას ვერტმფრენები, უკანასკნელი პერიოდის ტანკები და მძიმე ტექნიკა?“.....65

ვფიქრობ, არავის არანაირი შტურმი არ დასჭირდება ჩემი თანამდებობის დასაკავებლად... საქართველოზე გადის „წითელი ხაზი“.....71

რატომ ეშინია ბურჯანაძეს კულუარული ინტრიგების? 83

ნინო ბურჯანაძე: „გამართლება არანაირი მოტივით არ შეიძლება!“.....86

„მრცხვენია, რომ ასეთი უსუსურები ვართ...“.....89

რამდენი სკლეროზიანია პარლამენტში 93

ამ სიდუხჭირემ პირველი თოვლის სიხარული ჩამიკლა 98

ბურჯანაძის და შევარდნაძის საუბრის ექსკლუზიური დეტალები 107

ბურჯანაძე მოსკოვში ვიზიტის უარყოფით დეტალებს არ ახმაურებს. ზოგიერთ რუს პოლიტიკოსთან საუბარი შეუძლებელია 113

რუსეთის კულისებში პოსტშევარდნაძისტულ არჩევნებზე უკვე საუბრობენ 117

ყმის პოზიცია ქართველებისთვის მიუღებელია 119

ჩვენ უსუსურები აღმოვჩნდით 125

კიდევ ერთ სამოქალაქო დაპირისპირებას ვეღარ გავუძლებთ 129

ბურჯანაძე პრეზიდენტის წინააღმდეგ. რატომ გამართა პარლამენტის თავმჯდომარემ დილის 7 საათზე ბრიფინგი 137

„არ ვარ საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრე...“
„ვაფრთხილებდი პრეზიდენტს, რომ მაინც ვეტოს გამოყენება დასჭირდებოდა“ 144

ნინო ბურჯანაძე აღარ გადადგება! რამ გადააფიქრებინა პარლამენტის სპიკერს? 150

ხელისუფლებას არჩევნების ჩაშლა სურს 155

„პრინციპული ვიქნები ყველას, მათ შორის, ოჯახის წევრების მიმართაც“. ნინო ბურჯანაძის აზრით, ოპოზიციის გაერთიანებას ლიდერების ამბიციები უშლის ხელს 157

არჩევნებამდე თვენახევრით ადრე მინისტრთა კაბინეტისა და ორპალატიანი სისტემის შემოღება, უბრალოდ არასერიოზულია 164

ქნესეტში შეიქმნა საქართველო-ისრაელის მეგობართა ჯგუფი 170

ცსკ-ს თუ არ შევცვლით, მძიმე შედეგებს მივიღებთ 174

რას მალავს ნინო ბურჯანაძე? 178

„ჩვენს მთავრობას ხალხი და მისი პრობლემები არ აინტერესებს“. პარლამენტის თავმჯდომარის აზრით, საქართველოში საქმე საგანგაშოდაა 185

რა პრეტენზიებს უყენებს ბურჯანაძე რუსეთს 195

კომპრომატები ბურჯანაძის წინააღმდეგ 198

ნინო ბურჯანაძემ საკუთარი კაბინეტი დაცალა 204

ნინო ბურჯანაძე: „შევარდნაძემ თავის დროზე ძალზე ბევრი გააკეთა საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებისათვის“ 207

„თქვენ გაქვთ საფუძველი ამაყად ატაროთ ჯარისკაცის მუნდირი!“ 211

„თუ მე და ჩემი ახლობლები ვართ დამნაშავე, დაგვსაჯეთ“.

„ვინც რა იცით, თქვით – ვისზე რა მასალებიც გაქვთ, მოიტანეთ!..“ 214

„ჩემთვის მთავარია არჩევნების ნორმალურად ჩატარება“ 224

რა დახვდა ნინო ბურჯანაძეს შევარდნაძის კაბინეტში და როგორ აფასებს თავის პრეზიდენტობას 229

რუსეთიდან გამოგზავნილმა ფულმა იხსნა საქართველო 236

არ გაპატიებენ, თუ დაინახეს, თავისი გაინაღდა და ჩვენ აღარაფრად გვაგდებსო... „პრეზიდენტი ისეთ კაბინეტში დაჯდება, როგორც მის ღირსებას ეკადრება“. „არ ვაპირებ მის დაჩაგვრას იმის გამო, რომ ჩემი ქმარია.“ „ბადრი ბიწაძის „დანაშაული“ მხოლოდ ის არის, რომ ნინო ბურჯანაძე მოიყვანა ცოლად“ 242

„იყო კარგი მთავრობა დღევანდელ საქართველოში – ეს ფანტასტიკის სფეროა“ 251

იდეალურები არ ვართ მაგრამ ძირითადი ხაზი სწორია 265

როგორ დახვდა ასლან აბაშიძე ნინო ბურჯანაძეს 277

„არ მინდა ჩემი როლი გავაზვიადო“. „ძველი ხელისუფლება ისე ჩქმალავდა ამ პრობლემას, როგორც შუბს ხალთაში“ 283

დათვური სამსახურია დუმილი, როცა რაღაცა სწორად არ კეთდება. „დღეს უფრო მომზადებული ვარ პარლამენტის თავმჯდომარეობისთვის“ 289

ნინო ბურჯანაძე აჭარის ამბებში რუსეთის ჩარევას გამორიცხავს და იმედოვნებს, რომ აბაშიძე „იმ ნაბიჯებს გადმოდგამს, რაც გადმოსადგმელია“ 296

კონფლიქტის მოგვარებაში მონაწილეობის გამო რუსეთს სამაგიერო არ მოუთხოვია. ვეცდებით, რომ აჭარაში განხორციელებული ინვესტიციები დაცული იყოს. ის, ვინც საკუთარი ამბიციის წინ წამოწევას შეეცდება, უთუოდ დაკარგავს მხარდაჭერას... 299

რუსეთმა ობიექტური პოზიციის დაკავება გადაწყვიტა 308

„ხელისუფლებაში მყოფებმა უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენსკენ ნასროლი ქვა ჩვენს შვილსაც მოხვდება“. „ბიწაძეებს, ბურჯანაძეებს და მორჩაძეებს ვერ გადავასახლებ საქართველოდან...“.....312

„როგორ შეიძლება ადამიანს მიაფურთხო?“ „ოჯახის წევრებთან ერთად სადმე კუნძულზე დასვენებას ვინატრებდი...“.....319

თუ კოკოითი ბურჯანაძის ფქვილს დააკავებს, პარლამენტის თავმჯდომარე მზადაა პოლიტიკიდან წავიდეს.....326

„ვარდების რევოლუციის“ წლისთავს ღირსეულად აღვნიშნავთ“. ვინც აფხაზეთში დაისვენებს, ის 300 ათასი ლტოლვილის უბედურებაზე ხელს ითბობს 342

ჟირინოვსკი და როგოზინი გადამფრენი „იხვებივით“ არიან ...350

„ყველა ერთად უნდა ვებრძოლოთ იმ ბოროტებას, რასაც ტერორიზმი ჰქვია“. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადება რუსეთის ტერიტორიაზე მომხდარი ტერორისტული ფაქტების გამო 355

ნინო ბურჯანაძე: „სტრასბურგის დებატები ქართულმა მხარემ ასით ნოლზე მოიგო“.....357

„მე საერთოდ არ მომცეს ბესლანში ჩასვლის საშუალება“.....367

„არ იყო საჭირო საბაბად გარდაცვლილი პრეზიდენტის გამოყენება“ 377

რუსეთს და საქართველოს ერთად რომ დაესაჯათ ბასაევი, თავიდან ავიცილებდით ბესლანის ტრაგედიას....383

ნინო ბურჯანაძე რევოლუციის მონაპოვარს აფასებს 388

„ვერ ვიტყვი, რომ რაც ქვეყანაში ხდება, ყველაფერი ვიცი“ 398

ნინო ბურჯანაძე ძველი რეჟიმით მუშაობას არ აპირებს....404

პარლამენტი კრიტიკული და მკაცრი უნდა იყოს....409

პარლამენტის თავმჯდომარე პრემიერ-მინისტრს უპირისპირდება....418

ნინო ბურჯანაძე: ჩვენ, ქართველები, საოცარი ხალხი ვართ ...429

„არასოდეს მიკვირდა საზღვარგარეთ სიარული“....434

ნინო ბურჯანაძე: სასურველია, რომ 2008 წლის არჩევნებამდე საქართველოში აღარ იყვნენ რუსი სამხედროები....446

ბესო ჯუღელისგან შენიშვნას არ ვიმსახურებ!....450

„გელაშვილის საქმეში მართლაც არის საეჭვო დეტალები“. „ამას ქართული კურორტების ანტირეკლამად ნუ ჩამომართმევთ“ 454

„არ მინდა, რუსეთთან ურთიერთობა ამორალურ პრინციპებზე იყოს დაფუძნებული“....461

ბურჯანაძე მოსამართლეებზე ზეწოლის ფაქტებს ითხოვს. „ჩვენ ნუ წარმოვიდგენთ ისე, რომ ხელისუფლებაში ყველანი ანგელოზები არიან და არავის არაფერი ეშლება“ 467

ნინო ბურჯანაძე: „მე არ მსურს, რომ ჩვენს ყველაზე დიდ წარმატებად დარჩეს „ვარდების რევოლუცია“....472

ბურჯანაძე 20-30 წელს მოცდას არ აპირებს. პარლამენტის თავმჯდომარისათვის რუსეთის პოზიცია გაუგებარია 481

ბურჯანაძე შავ სიას ადგენს. რუსეთმა საქართველოს პრეტენზიების მოსმენა არ ისურვა....487

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის მიმართვა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სხდომის მონაწილეებს..491

„ბიზნესმენი ქვეყანაში უფრო მეტად დაცულად უნდა გრძნობდეს თავს“. „ვეცადეთ, ყველაფერი მედიის სასარგებლოდ ყოფილიყო“.....495

დარწმუნებული ვარ, არც ისეთი ჩანაწერი დაიმალებოდა, თუ ქვეყნის საზიანოდ ვილაპარაკებდი.....501

რას სთავაზობს პარლამენტის თავმჯდომარე ოპოზიციას?.....507

„თურმე ყველა მე მკარნახობს რა ვილაპარაკო და... სიტყვებსაც მიწერენ“. „ეს გამონათქვამი არ იყო კორექტული და აღარ ვაპირებ ამ ამ თემაზე მსჯელობას“. „დსთ-ის საკითხს ისე გადავწყვეტთ, როგორც ეს იმ მომენტისთვის იქნება საჭირო“.....514

ნინო ბურჯანაძე: ოპოზიცია სრული დისკრეტიზაციისკენ მიდის. „ოპოზიციის და რუსეთის განცხადებები აბსოლუტურად ერთნაირად ხმოვანდება“.....521

„განსხვავებული აზრი და კამათი გუნდის შიგნით დასაშვებია, მაგრამ საჯარო განცხადებების გაკეთება არ შეიძლება“. „ეუთო რუსეთის შანტაჟზე წამოეგო“.....524

„არც ღვინო გვინდა და არც გაზი სამაჩაბლოსა და აფხაზეთის გარეშე“. „დსთ-დან გამოსვლა გამომწვევი და არაფრის მომცემი გადაწყვეტილება იქნება“.....532

კანადას თავი გავაცანით. ნინო ბურჯანაძე სიდიდით მსოფლიოს მეორე ქვეყანაში ვიზიტს წარმატებულად მიიჩნევს.....538

ძალიან მნიშვნელოვანი ასამბლეა.....543

ბურჯანაძე „ბისეკის“ საიუბილეო სამიტსა და გაზაფხულის პოლიტიკურ გარღვევაზე. „ის, რომ ჩვენ გვთხოვენ უფრო მაღალ სტანდარტებს, ვიდრე თუნდაც ჩვენსავე მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებს, ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანია“.....549

„საკუთარ თავზე არ ვიღებ კონტროლს, პალატის ძველ სისუსტეებს“. „თურქმენეთის პრეზიდენტს ხომ არ ვეტყოდი, ბილეთის ფული არ მაქვს და თვითმფრინავი გამომიგზავნეთ-მეთქი“ 555

„თუ რუსეთი შეასრულებს პოზიტიურ ან თუნდაც ნეიტრალურ როლს, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დარეგულირება შესაძლებელი იქნება სულ რამდენიმე თვეში ისე, რომ მოგებული ყველა მხარე დარჩება“.....561

ბურჯანაძე: „კონსტიტუციურმა მონარქიამ შესაძლოა უფრო მეტი პრობლემები შექმნას“. პარლამენტის სპიკერი ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობის მომხრეა 566

„სასულიერო სამყაროში დიდი მხარდაჭერა გვაქვს“ 576

ნინო ბურჯანაძე: სამართლიანობა არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც მოსახლეობა ჩვენგან ითხოვს. „ყველაფერი დროულად რომ გამოაშკარავებულიყო, ქვეყანა დღეს არსებულ პრობლემას თავიდან აიცილებდა!“....581

„თუ არჩევნებს გაგიყალბებთ, მაშინ გააკეთეთ ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ“. „შეიძლება მოითხოვონ „წადი“, მაგრამ არა „დავამხოთ“! 588

„პოლიტიკოსებს ჩვენი ხარვეზებიც გვეყოფა, მაგრამ ბევრი რამ თქვენზეც, ჟურნალისტებზეც არის დამოკიდებული“ 595

ტელეკომპანია „იმედის“ ქონებას ყადაღა ოთხშაბათს მოეხსნება.....605

„თქვენ უნდა მიხვდეთ, რომ აფხაზეთი სააკაშვილის, ბურჯანაძის, ნებისმიერი ქართველისთვის ათასჯერმეტია, ვიდრე თქვენთვის – ჩეჩნეთი“. პარლამენტის კარი მომიტინგეებს ნინო ბურჯანაძის ბრძანებით გაუხსნეს 608

„ნინო ბურჯანაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს შეხვდა“.....612

„არჩევანი უნივერსიტეტის ავტონომიურობის სასარგებლოდ უნდა გაკეთდეს“ 620

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის გამოსვლა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიაზე 624

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მილოცვა.
ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტს 90 წლის იუბილეს ვულოცავ...629

„მათ ან ყველაფერი აქვთ, ან არაფერი“.
„მზად ვარ, გავაგრძელო დიალოგი, მეტი რა ვქნა?!“.....631

ნინო ბურჯანაძე საქართველოდან წასვლას აპირებს.....638

სტენოგრაფიული ჩანაწერები.....655

საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 19 დეკემბრის
პლენარული სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი.....657

საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 30 იანვრის
პლენარული სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი.....660

საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 25 მარტის
პლენარული სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი.....669

საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 6 ივნისის
პლენარული სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი.....677

საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 22 აპრილის
პლენარული სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი.....689

საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 13 სექტემბრის
პლენარული სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი.....700

საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 14 ივლისის
რიგგარეშე სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი.....720

პირთა საძიებელი.....737

ადგილთა საძიებელი.....743

საგნობრივი საძიებელი.....748

არმენ ხაჩატრიანი – ნინო ბურჯანაძეს

სომხეთის ეროვნული კრების თავმჯდომარემ არმენ ხაჩატრიანმა მისალოცი წერილი გამოუგზავნა ნინო ბურჯანაძეს საქართველოს პარლამენტის სპიკერის პოსტზე არჩევასთან დაკავშირებით.

არმენ ხაჩატრიანმა იმედი გამოთქვა, რომ ნინო ბურჯანაძის ხელმძღვანელობით საქართველოს პარლამენტი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს სტაბილურობის განმტკიცებაში არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელს რეგიონში. სომხეთის ეროვნული კრების თავმჯდომარე დარწმუნებულია, რომ ნინო ბურჯანაძის მოღვაწეობა „მიმართული იქნება ტრადიციული სომხურ-ქართული მეგობრობის განმტკიცებისა და ორი ქვეყნის პარლამენტებს შორის თანამშრომლობის განვითარებისაკენ“.

საქართველოს რესპუბლიკა. 2001 – 14 ნოემბ. – № 279. – გვ.1.

მილოცვა

მის აღმატებულებას, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს

ქალბატონო ნინო,

გულითადად გილოცავთ პარლამენტის თავმჯდომარის მაღალ და ფრიად საპასუხისმგებლო თანამდებობაზე არჩევას. ეს ბოლო დროს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში მომხდარი ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ფაქტია. საქართველოს ისტორიაში ქალი ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდა, მაგრამ მაღალ პოლიტიკურ ასპარეზზე ისინი შედარებით იშვიათად მოღვაწეობდნენ და ვინც მოღვაწეობდა, მოგეხსენებათ, მათი სახელის დიდებას საუკუნეები ვერ ჩრდილავენ.

უფლისაგან თქვენ მოგეცათ შესაძლებლობა, ჩვენს ურთულეს დროს კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინოთ ზოგად სიტუაციაზე, მოხსნათ დაძაბულობა დაპირისპირებულ მხარეთა შორის და შექმნათ პირობები პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისის მოკლე დროში დაძლევისათვის. მძიმეა თქვენი ტვირთი, მაგრამ მჯერა, ღვთის წყალობით შეძლებთ პრობლემების მოგვარებას. მთავარია, გავხდეთ ღირსნი უფლის წყალობისა და ვიაროთ მისი ერთადერთი, ჭეშმარიტი და გადამრჩენელი გზით.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ.

ღმერთმა დალოცოს სრულიად საქართველო.

ღრმა პატივისცემით,

ილია მეორე

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი.

საქართველოს რესპუბლიკა. 2001 .– 15 ნოემბ. – № 280. – გვ. 2.

პარლამენტის თავმჯდომარე

პარლამენტის ახალმა თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ გუშინ პირველი ბრიფინგი გამართა. მან აღნიშნა, რომ პრესას მის მიმართ არაობიექტურობა არასოდეს გამოუჩენია და იმედი გამოთქვა, რომ ასეთი დამოკიდებულება მომავალშიც გაგრძელდება. სპიკერი უმნიშვნელოვანეს ამოცანად მიიჩნევს საკანონმდებლო ორგანოს სტაბილურობასა და ქმედუნარიანობას, ევროპულ სტრუქტურებსა და რუსეთთან პოზიტიური და კონსტრუქციული ურთიერთობის დამყარებას. პარლამენტის თავმჯდომარის აზრით, უმრავლესობის არარსებობა პარლამენტის და პარლამენტის თავმჯდომარის მუშაობას სერიოზულ სპეციფიკას შესძენს. აღნიშნა, რომ შეეცდება ყველა ფრაქციას შეუქმნას ერთნაირი პირობები. როგორც ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, ფრაქციებთან პარლამენტის შემდგომი საქმიანობის გაუმჯობესების საკითხებზე იგი მოგვიანებით იმსჯელებს. მისი თქმით, ჯერჯერობით, სანამ სამინისტროებს დაამტკიცებენ, ამაზე დიალოგი ნაადრევია.

გთავაზობთ ნინო ბურჯანაძის პრესკონფერენციას.

ვალდებული ვიქნებით, მოსახლეობის სამართლიანი პრეტენზიები გავითვალისწინოთ – რატომ ბრუნდება ამდენი „ძველი“ მინისტრი? წარმოდგენილ კანდიდატებს შორის სულ რამდენიმე „ახალი სახეა“, პარლამენტი კი „დიდ განახლებას“ მოითხოვდა. თქვენი აზრით, პარლამენტი რა პროცენტით დააამტკიცებს მათ?

– მეც ველოდი, რომ შემადგენლობა ბევრად უფრო განახლებული იქნებოდა. ვფიქრობ, ეს იმით არის გამოწვეული, რომ ბოლო დროს თითქმის ყველა დროებითი მთავრობის შექმნაზე საუბრობს. ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია, რომ პრეზიდენტი

დაგვეთანხმა და წინასწარ წარმოგვიდგინა კანდიდატურები. პრეზიდენტს დეპუტატების განწყობა გადავეცი. მე მას სრულიად ობიექტური სურათი ვაჩვენე. ვნახოთ, წარმოდგენილი კანდიდატები როგორი პროგრამებით წარსდგებიან პარლამენტის წინაშე, როგორ გაამართლებენ თავიანთ წარუმატებლობას. ვალდებული ვიქნებით, მოსახლეობის სამართლიანი პრეტენზიები გავითვალისწინოთ. არანაირი გარანტია, თუ რამდენად სწრაფად შეიქმნება მინისტრთა კაბინეტი, ჩვენ არა გვაქვს. შესაძლოა ეს გაგრძელდეს რამდენიმე თვე, ამიტომ სერიოზულად ჩამოყალიბებული მთავრობა გვჭირდება.

– დეპუტატები უკმაყოფილებას გამოთქვამენ სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებითაც. როგორია თქვენი პოზიცია?

– სამინისტროების შემცირება ეფექტიანი მუშაობისათვის აუცილებელიცაა და ძალიან მნიშვნელოვანიც, მაგრამ ეს საკითხი ჯერ კიდევ სერიოზული მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. ვფიქრობ, ამაზე კონსულტაციები გაგრძელდება. პრეზიდენტი მზად არის მიიღოს ის პოზიცია, რასაც პარლამენტი გადაწყვეტს.

– რუსეთის ფედერაციის გენერალურმა პროკურატურამ საქართველოს გენპროკურატურას ჩეჩენი საველე მეთაურის რუსლან გელაევის დაკავება და რუსეთში ეტაპირება მოსთხოვა...

– მე ვერც ვადასტურებ და ვერც უარვყოფ ინფორმაციას რუსლან გელაევის საქართველოში ყოფნის შესახებ. საქმის კურსში არა ვარ. მაგრამ თუ გელაევი ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზეა, საქართველო ისე უნდა მოიქცეს, როგორც ცივილიზებულ ქვეყანას შეფერის და გელაევი რუსეთს უნდა გადასცეს.

– პრეზიდენტი აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი მოწესრიგების მომხრეა. აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე თამაზ ნადარეიშვილი ტერიტორიის ბრძოლით დაბრუნებას ითხოვს. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ პრობლემისადმი?

– მშვიდობიანი გზის მომხრე ვარ. მაგრამ ქვეყნის შიგნით თუ გარეთ ყველამ კარგად უნდა იცოდეს: ქართველი ერი აფხაზეთის დაკარგვას არ შეეგუება.

– პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნებისას ბიულეტენების დანომვრამ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. დღეისათვის რამე თუ გაირკვა?

– ამ ფაქტმა ყველა შეგვაძრწუნა. მართალია, ბიულეტენების დანომვრა არჩევნების შედეგს ვერ ცვლიდა, მაგრამ ირღვეოდა ფარულობა. თითოეული ჩვენგანის და ჩემი პრესტიჟის საქმეცაა საქმე ბოლომდე იქნეს გამოძიებული, მიჩუმათება გამორიცხულია.

მზია გელენავა

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. – 2001, 17 ნოემბერი, №282, გვ. 2

„რაც აფხაზეთში მოხდა, ამაში რუსეთია დამნაშავე“

„იზვესტიას“ ესაუბრება საქართველოს პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძე

საქართველოს პარლამენტი ახლად ფორმირებადი მთავრობის კანდიდატთა განხილვას შეუდგა. ედუარდ შევარდნაძის მიერ შემოტანილ კანდიდატურებს დეპუტატები უკვე ახალი სპიკერის ნინო ბურჯანაძის თავმჯდომარეობით განიხილავენ. ახალი კაბინეტის დამტკიცებით საქართველოში შიდაპოლიტიკური კრიზისი, ალბათ, გაგრძელდება. საქართველოს პარლამენტის ახალი თავმჯდომარე „იზვესტიის“ კითხვებს პასუხობს.

– ქალბატონო ბურჯანაძე, რუსეთსა და საქართველოს ურთიერთობებში უთანხმოებანი ემოციურ ხასიათს ატარებს?

– ჩვენ საერთო ინტერესები უფრო მეტი გვაქვს, ვიდრე უთანხმოებანი. დარწმუნებული ვარ, საქართველოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია დემოკრატიული რუსეთის სახით ძლიერი მეზობელი ჰყავდეს. მიმაჩნია, რომ რუსეთისთვის სასარგებლო უნდა იყოს საქართველოს სახით ტერიტორიულად გაერთიანებული, დემოკრატიულო მეზობლის ყოლა, რომელიც მასზე განაწყენებული არ არის. ვიცი, რომ რუსები კარგად ეკიდებიან საქართველოს და შემიძლია ვთქვა, რომ რუს ხალხს და მის კულტურას საქართველოშიც ასეთივე სიმპათიით ეპყრობიან. შემიძლია დაგარწმუნოთ, საქართველოში არ არის რუსოფობია.

– თქვენ მიიჩნევთ, რომ ამჟამინდელ დაძაბულობაში რუსეთია დამნაშავე?

– რა თქმა უნდა, არა. მაგრამ გაიგეთ, რომ რუსეთი საქართველოზე ბევრად უფრო დიდია. ამიტომ რუსეთის მხრიდან ნებისმიერი არაკეთილსინდისიერი ნაბიჯი ათასჯერ უფრო

მტკივნეულად აღიქმება. ჩვენს ურთიერთობებში განხეთქილების ვაშლი აფხაზეთის საკითხია. ის, რომ მაშინ რუსეთი აფხაზ სეპარატისტებს ცალსახად უჭერდა მხარს, ქართულ-რუსულ ურთიერთობებს გადაულახავ დაბრკოლებად ექცა.

– გადაულახავ?

– პრაქტიკულად გადაულახავია. ხაზს ვუსვამ ამ სიტყვას, რადგანაც ამჟამად საქართველოს მოსახლეობის 90% ასე მიიჩნევს: რაც აფხაზეთში მოხდა, ამაში რუსეთია დამნაშავე. ეს 90-ივე პროცენტი დარწმუნებულია: რუსეთს ყველა შესაძლებლობა გააჩნია კონფლიქტის გადაწყვეტაზე დადებითი ზემოქმედება იქონიოს.

– რა შესაძლებლობებია ეს?

– ჩვენ, რა თქმა უნდა, არ ვაპირებთ რუსეთს სამხედრო დახმარება ვთხოვოთ. მხოლოდ მშვიდობიანი გზით.

– მაშინ რა? განცხადება, რომ აფხაზეთი საქართველოს საშინაო საქმეა? ასეთი განცხადება იყო. იგი პუტინმა გააკეთა.

– ეს იყო რუსეთის უმაღლეს დონეზე გაკეთებული პირველი განცხადება, როდესაც ითქვა, რომ აფხაზეთი საქართველოს საშინაო საქმეა, ყოველგვარი „თუმცას“ დამატების გარეშე. ჩვენ ბატონ პუტინის ეს სიტყვები ძალზე დადებითად აღვიქვით.

– იმას რა კომენტარს გაუკეთებდით, რომ სულ მალე გელაევის მხარდამჭერი შევარდნაძის განცხადება მოჰყვა?

– ვფიქრობ, რომ ერთი განცხადება მეორეს არაფრით უკავშირდება. ძალზე მიჭირს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა. არ ვიცი, რითი ხელმძღვანელობდა ამ დროს შევარდნაძე. შემიძლია მხოლოდ ერთი რამ ვთქვა: თუ ეს ადამიანი რუსეთის შესაბამისი ორგანოების მიერ იძებნება და არის მტკიცებულებანი, რომ მას საერთაშორისო დანაშაული აქვს ჩადენილი, იგი მართლმსაჯულების წინაშე უნდა წარსდგეს. დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტი ამ კონტექსტში საუბრობდა. შესაძლოა, მან გელაევის დადებითი თვისებები აღნიშნა, ვთქვათ, განათლება, მაგრამ არ ვფიქრობ, რომ იგი საზოგადოების თვალში მის გამართლებას

ცდილობდა. ტერორისტი ტერორისტად რჩება და მან კანონის წინაშე პასუხი უნდა აგოს. მიმაჩნია, რომ აქ აქცენტთან დაკავშირებული რაღაც გაუგებრობაა. თუმცა, უკეთესი იქნებოდა, მას ეს არ ეთქვა.

– თქვენი აზრით, საქართველოსთან ურთიერთობათა ნორმალიზაციისათვის რუსეთმა რა უნდა გააკეთოს?

– ჯერ ერთი, აუცილებელია, რუსეთის ყველა დონის ხელისუფლებამ აფხაზ სეპარატისტებს აგრძნობინოს, რომ მათ მხარდაჭერა არ ექნებათ. მეორეც, მსურდა, რომ რუსეთს აფხაზეთის საკითხში გაეროში და უშიშროების საბჭოში მკვეთრი პოზიცია დაეკავებინა. რა თქმა უნდა, სამშვიდობო ძალებთან დაკავშირებითაც.

– საქართველომ რა უნდა გააკეთოს?

– მიმაჩნია, რუსეთის მიმართულებით საქართველომ თავის დროზე ნაბიჯები უკვე გადადგა, მაგრამ იგი ვერ შეამჩნიეს. მაგალითად, საქართველომ 1995 წელს მოახდინა ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ ჩარჩო-ხელშეკრულების რატიფიკაცია. საკმაოდ ძნელი იყო ამ რატიფიკაციის აუცილებლობაში ოპოზიციის დარწმუნება, მაგრამ ეს ჩვენ გავაკეთეთ. რუსეთის დუმას დოკუმენტის რატიფიცირება არ გაუკეთებია.

– სამი კვირის წინათ წინა თავმჯდომარის, ზურაბ ჟვანიას მეთაურობით საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია მოსკოვში იმყოფებოდა. იქ ეგ საკითხი იხილებოდა?

– დიახ. გენადი სელეზნიოვი დაგვპირდა, რომ ხელშეკრულებას განიხილავდნენ. საერთოდ, ჩვენ, პრაქტიკულად, ყველა საკითხი განვიხილეთ. მათ შორის აფხაზეთის და ჩეჩნეთის.

– ბოლო შეკითხვა: რამდენია ალბათობა იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტის უახლოეს არჩევნებში კენჭს იყრით?

– არანაირი ალბათობა, არავითარი სურვილი და ამის არანაირი საფუძველი, გარწმუნებთ, არ არის.

ალია 2001. – 22-23 ნოემბერი. – №155. – გვ. 10

„აფხაზეთში მხოლოდ აფხაზებმა არ უნდა იცხოვრონ“

აფხაზები აცხადებენ, რომ აუცილებელია ყველა იმ ლტოლვილის დაბრუნება, რომელთაც მათ წინააღმდეგ არ უომიათ.

ვფიქრობ, რომ უნდა დაისაჯოს ყველა, ქართველიც, აფხაზიც, და სხვა, ვინც სამხედრო დანაშაული ჩაიდინა, მაგრამ აფხაზები ბოროტმოქმედს უწოდებენ ყველას, ვინ იარაღით ხელში საკუთარ კერას, ქალაქს და შვილებს იცავდა. გამოდის, რომ შინ ვერავინ დაბრუნებულა...

– სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი და ირანი სულმოუთქმელად ელოდებიან საავტომობილო ტრასის და რკინიგზის გახსნას აფხაზეთის გავლით რუსეთზე. როგორია პერსპექტივა?

– საქართველო აფხაზეთის აყვავების მოსურნეა. ჩვენ გვინდა იქ ხალხი ბედნიერი და მდიდარი იყოს, მაგრამ საქართველო წინააღმდეგია, აფხაზეთში მხოლოდ აფხაზები ცხოვრობდნენ. იმ 300 ათას ლტოლვილს, რომელიც ძალითაა გამოდევნილი აფხაზეთიდან, სხვა სამშობლო არ გააჩნია ისევე, როგორც აფხაზებს. აქედან გამომდინარე, სატრანსპორტო კომუნიკაციების ამოქმედება დამოკიდებულია დევნილთა დაბრუნებაზე მშობლიურ სახლებში, ე. ი. ლტოლვილთა დაბრუნება და გზების გახსნა ერთი იქნება.

– ჯავახეთის სომხები კატეგორიული წინააღმდეგი არიან თურქი მესხების დაბრუნების და ახალქალაქიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანისა. როგორ აპირებთ ამ პრობლემის მოგვარებას?

– არა მგონია, რომ ასეთ კატეგორიულ განცხადებებს აკეთებდნენ. ამ რეგიონში მცხოვრებნი საქართველოს მოქალაქეები არიან და პატივს სცემენ მის კანონებს. თურქი მესხების თაობაზე კი ჩვენ ევროპის კავშირთან გვაქვს ვალდებულებები

აღებული. ეს ძალიან რთული და მტკივნეული პრობლემაა. დაბრუნება ეტაპობრივად მოხდება ისე, რომ იქ მცხოვრებთა ინტერესები არ შეილახოს და კონფლიქტის ახალი კერები არ შეიქმნას... რუსეთის ბაზების გასვლის შემდეგ კი უმუშევარი და ულუკმაპურო არ უნდა დარჩეს იქ მომუშავე ადგილობრივი მოსახლეობა.

– ქ-ნო ნინო, თუ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე ხალხმა თქვენი კანდიდატურის წარდგენა მოინდომა, რას იზამთ?

– ხალხი ბრძენია და არ მოითხოვს ამას. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეობაზე იმიტომ დავთანხმდი, რომ პარლამენტში კონფრონტაციის პირობებში, ჩემი კანდიდატურა პოლიტიკურ კრიზისს შეარბილებდა. რაც შეეხება უფრო პასუხსაგებ პოსტს, მე კატეგორიულად ვაცხადებ „არა!“

კვირის პალიტრა 2001. – 10-16 დეკ. №– 50. – გვ.14

ნინო ბურჯანაძე: „აფხაზეთი ძირითადი პრობლემური საკითხია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში“

საქართველოს და რუსეთს უნდა ეყოთ სიმამაცე და გონიერება, რათა დაამყარონ თანასწორუფლებიანი, პარტნიორული და კეთილმეზობლური ურთიერთობები.

– ქალბატონო ნინო, რუსეთის პარლამენტის ზედა პალატის სპიკერმა ეგორ სტრუევმა გამოთქვა იმედი, რომ საქართველოს პარლამენტის სათავეში თქვენი მოსვლით დაიწყება – „რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობების დათბობა და ნორმალური, კარგი, ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული ურთიერთობები, რომლებიც ყოველთვის არსებობდა“.

– რასაკვირველია, მე ვეცდები შევიტანო ჩემი წვლილი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების განვითარებაში. მე მიმაჩნია, რომ საქართველოსა და რუსეთს უნდა ეყოთ გონიერება, რათა დაამყარონ თანასწორუფლებიანი, პარტნიორული და კეთილმეზობლური ურთიერთობები. მე ვიმედოვნებ, რომ ჩვენი სახელმწიფოების პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ დაიწყება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების ახალი ერა. დღეს ჩვენს შორის არსებული ურთიერთობები სრულებით არადამაკმაყოფილებელია. მე ვთვლი, რომ ეს არც ერთი და არც მეორე სახელმწიფოს ინტერესებში არ შედის. ბოლო პერიოდში ჩვენ გვექმნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს საქართველოს წინააღმდეგ იდეოლოგიური ომი მიმდინარეობდა. ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებებს რუსული მასმედია აშუქებდა ცალმხრივად და ძალიან მუქ ფერებში. ლაპარაკი იყო პანკისის ხეობაში მყოფ ჩეჩენ ბოევიკებზე, მაგრამ საიდან მოვიდნენ ისინი, ამაზე არაფერს ამბობდნენ. ქართველ მესაზღვრეებს

ბრალს სდებდნენ უმოქმედობაში, ამასთან ავიწყდებოდათ იმის აღნიშვნა, რომ საზღვრის მეორე მხარეს რუსი მესაზღვრეები აკონტროლებენ. მე ვაცხადებ, რომ საქართველო არ თანაუგრძნობს ჩეჩენ სეპარატისტებს და არ ეხმარება ბოევიკებს, თუმცა ცალკეული შემთხვევებისგან არავინაა დაზღვეული.

– იმყოფება თუ არა რუსლან გელაევი საქართველოში?

– მე ამის არც დადასტურება შემიძლია და არც უარყოფა. მაგრამ მე მაქვს მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია იმ პირების მიმართ, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან მძიმე დანაშაულის ჩადენაში: თუ ისინი იმყოფებიან საქართველოს ტერიტორიაზე და საქართველოს ხელისუფლებას ხელთ აქვს ასეთი შემთხვევისათვის აუცილებელი დოკუმენტები, უნდა მოხდეს მათი გადაცემა.

– თქვენი პირველი გამოსვლისას დსთ-ს საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სხდომაზე საკმაოდ არასახარბიელო შეფასება მიეცით ამ ორგანიზაციის საქმიანობას.

– მე მიმაჩნია, რომ დაუშვებელია არსებულ პრობლემებზე თვალის დახუჭვა, წინააღმდეგ შემთხვევაში ამ პრობლემებს ვერ მოვაგვარებთ. საქართველო ვერ ჩათვლის დამაკმაყოფილებლად დსთ და საპარლამენტთაშორისო ასამბლეის მუშაობას, გაწეულს ბოლო 8 წლის განმავლობაში. როცა საქართველო გაწევრიანდა დსთ-ში, მას იმედი ჰქონდა, რომ თანამეგობრობა განსაკუთრებულ როლს შეასრულებდა აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოგვარებაში, ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებაში და გადაადგილების თავისუფლების ხელშეწყობაში. სამწუხაროდ, ჩვენი იმედები არ გამართლდა. დსთ-მ, საპარლამენტთაშორისო ასამბლეამ უნდა გააკეთონ ყველაფერი, რათა უფრო ეფექტიანად იმუშაოს არსებულმა მექანიზმებმა და საჭიროების შემთხვევაში შეიქმნას ახალი მექანიზმები. ჩემი აზრით, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს დსთ-ს ქვეყნების მეთაურთა საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას.

– რა არის დღეს ქართულ-რუსული ურთიერთობების ძირითადი პრობლემა?

– რასაკვირველია, ესაა აფხაზეთის თემა, იმიტომ რომ საქართველოს მოსახლეობის 90% აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებში ადანაშაულებს რუსეთის გარკვეულ ძალებს, რომლებიც თავის დროზე ღიად უჭერდნენ მხარს სეპარატისტებს. ეს პრეზიდენტმა ბორის ელცინმაც კი აღიარა. საქართველოში დარწმუნებულები არიან, რომ რუსეთს თუ ამის სურვილი ექნებოდა, შეეძლო კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარებისათვის შეეწყო ხელი. თუ რუსეთის მხარე გადადგამს გარკვეულ პოზიტიურ ნაბიჯებს, მაგალითად, გაეროს უშიშროების საბჭოში, მაშინ რასაკვირველია, ურთიერთობები საქართველოსა და რუსეთს შორის უკეთესობისაკენ შეიცვლებოდა.

– როგორც თქვენ თქვით, „რუსეთის გარკვეული ძალები“ დღესაც არ მალავენ, თუ რატომ არა მარტო არ დგამენ ნაბიჯებს აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად, არამედ ყველანაირად აბრკოლებენ ამას და ამით აფერხებენ საქართველოს ნატოში გაწევრიანებას.

– ნატოსთან ურთიერთობების საკითხში რუსეთი საქართველოზე წინ არის. საკმარისია გავიხსენოთ ტონი ბლერის ამასწინდელი წინადადება – „19+1“ ფორმატის ნაცვლად ახალი ოცეულის შექმნის თაობაზე. მაგრამ როდესაც ცდილობენ საქართველოს მიმართ გამოიყენონ პრინციპი – რაც ნებადართულია იუპიტერისათვის, აკრძალულია ხარისთვის, – ეს სხვა არაფერია, თუ არა ორმაგი სტანდარტის კლასიკური ნიმუში. გამოდის, რომ რუსეთს შეუძლია იმეგობროს ნატოსთან, საქართველოს კი არა. თუ რუსეთს ექნება საქართველოსთან ნორმალური პარტნიორული ურთიერთობა, როგორც მეგობარ ქვეყანასთან, მე ვფიქრობ, რომ ეს საკითხი აქტუალური აღარ იქნება. ვლადიმერ პუტინის ბოლო განცხადებამ, რომელიც შეეხება ნატოსთან რუსეთის ურთიერთობას, უნდა მოხსნას საქართველოსადმი წაყენებული პრეტენზიები.

– საქართველო აღიზიანებს იმავე „რუსეთის გარკვეულ ძალებს“, როდესაც რუსეთის ყოფილი სამხედრო ბაზით ვაზიანში ინტერესდებიან თურქეთის სამხედრო წარმომადგენლები, ხოლო ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ქვეყნები ამიერკავკასიის რესპუბლიკას საჩუქრად გადასცემენ ვერტმფრენებს, კატარღას და სხვა ტექნიკასა და ფორმის ტანსაცმელს.

– საქართველო ერთადერთი სახელმწიფო აღმოჩნდა მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში, რომელსაც ყოფილი საბჭოთა კავშირის სამხედრო ქონებიდან არაფერი არ მიუღია. საქართველომ სთხოვა რუსეთს, დაეტოვებინა ორი, ასე ვთქვათ, თუნდაც ჟანგმოდებული კატარღა, რომ შეგვძლებოდა სანაპირო წყლების პატრულირება კონტრაბანდის (იარაღი, ნარკოტიკები) და უკანონო მიგრაციის აღსაკვეთად. ჩვენ ვერაფერი ვერ მივიღეთ. მართლაც ამერიკელები, გერმანელები, თურქები თუ ბერძნები გვეხმარებიან არმიის შექმნაში. მე არ მესმის, რატომ უნდა ვთქვათ ამაზე უარი.

– გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველო აპირებს ცალმხრივად გააუქმოს სავიზო რეჟიმი რუსეთის მოქალაქეებისათვის.

– არა მგონია, რომ ეს მოხდეს. საქართველო ერთადერთი ქვეყანაა დსთ სივრცეში, რომელთანაც შემოღებულია სავიზო რეჟიმი და დსთ-ს არც ერთი ქვეყანა არ გამოხმაურებია ამ უსამართლო გადაწყვეტილებას. სწორედ მაშინ დასვა ზოგიერთმა დეპუტატმა საქართველოს დსთ-ში ყოფნის მიზანშეწონილობის საკითხი. ის არგუმენტი, რომ სავიზო რეჟიმი შემოღებულია მხოლოდ იმიტომ, რომ გზა მოეჭრათ ტერორისტებისა და ბოევიკებისათვის, სრულებით აბსურდულია, რადგან ორი კონფლიქტური რეგიონისთვის – აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთისთვის შემოღებულია შეღავათიანი რეჟიმი. სწორედ იმ ტერიტორიებზე, სადაც არ ვრცელდება საქართველოს ცენტრალური ხელისუფლება, შეღავათებით სარგებლობენ დამნაშავენი. რუსეთის მიერ სავიზო რეჟიმის შემოღება ჩვენ შევაფასეთ, როგორც საქართველოს მიმართ განხორციელებული დამსჯელი

ღონისძიება დამოუკიდებელი საერთაშორისო პოლიტიკის წარმოებისათვის, ნატოსთან ურთიერთობების ან სიმპათიისა და რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის მცდელობისათვის.

– მათ შორის სამშვიდობო ძალების გაყვანის მცდელობისათვის...

– საქართველოს აღელვებს ბედი იმ 86 მშვიდობისმყოფელის ოჯახისა, რომლებიც თავისი მისიის შესრულებისას დაიღუპნენ. მაგრამ ჩვენც გაგვიგეთ: ამავე პერიოდში დაიღუპა 1600-ზე მეტი მშვიდობიანი მოსახლე, სწორედ მშვიდობიანი მოქალაქე და არა პარტიზანი, გადაწვეს 6000-ზე მეტი სახლი, ორჯერ შეიქმნა ომის განახლების საფრთხე. 1998 წელს წამოვიდა ლტოლვილთა მეორე ნაკადი – 40000 ადამიანი გალის რაიონიდან, ე. ი. მშვიდობისმყოფელებმა ვერ შეძლეს თავისი მანდატის გამართლება, მათ ამოწურეს საკუთარი შესაძლებლობები. სწორედ ამან აიძულა საქართველოს პარლამენტი, მიეღო ცნობილი გადაწყვეტილება და ჩვენ არ ვაპირებთ მის გადახედვას. ხოლო თუ შესაძლებელი იქნება მანდატის შეცვლა, მშვიდობისმყოფელების საგუშაგოების გადატანა მდინარე ენგურიდან ღალიძგამდე, მშვიდობისმყოფელებისათვის იმავე დსთ ძალების დამატება, შესაძლებელი გახდება საკითხის განხილვა. საბოლოო სიტყვა პრეზიდენტს ეკუთვნის.

– დღეს აფხაზები აცხადებენ, რომ არა მხოლოდ შესაძლებლად, არამედ საჭიროდაც მიაჩნიათ იმ დევნილების დაბრუნება, რომლებსაც არ ჩაუდენიათ დანაშაული და არ უბრძოლიათ მათ წინააღმდეგ. საქართველოს ხელისუფლება კი არ აძლევს დევნილებს დაბრუნების შესაძლებლობას...

– მე მიმაჩნია, რომ ის, ვინც სამხედრო დანაშაული ჩაიდინა, უნდა დაისაჯოს, იქნება ის ქართველი, აფხაზი, რუსი თუ ჩეჩენი. მაგრამ საქმე ისაა, რომ აფხაზები დამნაშავეებს უწოდებენ უკლებრივ ყველას, ვინც იარაღით ხელში იცავდა თავის სახლს, ცოლ-შვილს, ოჯახებს. ამ შემთხვევაში გამოდის, რომ არც ერთი დევნილი არ უნდა დაბრუნდეს.

– სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი, ირანი მოუთმენლად ელიან აფხაზეთის გავლით საავტომობილო და რკინიგზის გახსნას. რა პერსპექტივაა ამ საკითხთან დაკავშირებით?

– საქართველო მომხრეა, რომ აფხაზეთი აყვავებული მხარე იყოს; რომ ხალხი ცხოვრობდეს მშვიდობიანად, ბედნიერად და შეძლებულად. მაგრამ საქართველო წინააღმდეგია, რომ აფხაზეთში მხოლოდ აფხაზები ცხოვრობდნენ. იმ 300.000 იძულებით დევნილს სხვა სამშობლო არ გააჩნია, ისევე როგორც აფხაზებს. ჩვენ ერთად უნდა ვიცხოვროთ. სატრანსპორტო კომუნიკაციების ამოქმედება კი ერთმნიშვნელოვნად უნდა იყოს დაკავშირებული დევნილთა მშობლიურ კერაზე დაბრუნებასთან.

– ე. ი. თქვენ შესაძლებლად მიგაჩნიათ საავტომობილო და სარკინიგზო გზის გახსნა აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრამდეც?

– სრული სიმართლეა. დევნილები დაბრუნდებიან და გზებიც გაიხსნება.

– აფხაზური მხარე და კონფლიქტის მოგვარების შუამავლები აცხადებენ, რომ კოდორის ხეობაში ჯარების შეყვანა აფერხებს მოლაპარაკების პროცესს.

– ჩვენ ყველა მოხარული ვიქნებით, თუ კოდორის ხეობაში და მთლიანად აფხაზეთში სიმშვიდე იქნება. ჯარები შეყვანილია ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, რათა იგი თვითმფრინავებმა არ დაბომბონ. საქართველოს საჯარისო ნაწილების გადაადგილება საქართველოს საშინაო საქმეა. ჯარები არ აპირებენ სამხედრო მოქმედებების დაწყებას და მით უმეტეს არ ემუქრებიან რუსეთს.

– ჯავახეთში მცხოვრები სომხები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან თურქი – მესხების დაბრუნებას და ახალქალაქიდან სამხედრო ბაზის გაყვანას. როგორ აპირებს საქართველოს ხელისუფლება ამ პრობლემის მოგვარებას?

– მე არ ვფიქრობ, რომ ასეთი კატეგორიული განცხადებები კეთდებოდეს. ამ რეგიონის მცხოვრებნი საქართველოს მოქალაქეები არიან და პატივს სცემენ თავისი ქვეყნის კანონებს. ხოლო რაც შეეხება ე. წ. თურქ-მესხებს, ჩვენ გვაქვს ნა-

კისრი ვალდებულება ევროსაბჭოს წინაშე. ეს ძალიან რთული და მტკივნეული პრობლემაა და ახლა საქართველოში არ არსებობს ამ საკითხის ერთბაშად გადაჭრის შესაძლებლობა. დაბრუნება განხორციელდება ეტაპობრივად ისე, რომ არ მოხდეს იქ მცხოვრებთა ინტერესების შელახვა და არ შეიქმნას კონფლიქტის დამატებითი კერა. რაც შეეხება სამხედრო კონტინგენტს, ახალქალაქის მოსახლეობის უმრავლესობა მუშაობს რუსეთის სამხედრო ბაზაზე. ამიტომ ბაზის დახურვისას არ უნდა დარჩეს გადაუჭრელი ამ ხალხის დასაქმების პრობლემა, რომ ისინი არ დარჩნენ უმუშევრები, ულუკმაპუროდ.

– ახლა საქართველოს კონსტიტუციაში მოსალოდნელი ცვლილებების შესახებ, კერძოდ, მინისტრთა კაბინეტის შემოღებასთან დაკავშირებით: თვლით თუ არა, რომ ასლან აბაშიძემ შეიძლება პრემიერ-მინისტრის თანამდებობა დაიკავოს?

– მე მიჭირს ბატონ აბაშიძის მაგივრად საუბარი. მაგრამ არა მგონია, რომ იგი დათანხმდეს, უხელმძღვანელოს მთავრობას.

– ქალბატონო ნინო, როგორ მოიქცევით, თუ ხალხი გთხოვთ წარადგინოთ თქვენი კანდიდატურა უახლოეს საპრეზიდენტო არჩევნებზე?

– ხალხი არ მთხოვს, ხალხი ბრძენია. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პოსტის დაკავებაზე მე იმიტომ დავთანხმდი, რომ ჩემმა კოლეგებმა დამარწმუნეს, რომ პარლამენტში არსებული კონფრონტაციის პირობებში ჩემს კანდიდატურას შეეძლო გარკვეულწილად შეემსუბუქებინა პოლიტიკური კრიზისი. რაც შეეხება უფრო საპასუხისმგებლო თანამდებობას, მე კატეგორიულ უარს ვაცხადებ.

– თქვენ წარმოშობით ქუთაისიდან, იმერეთიდან ხართ, ხოლო იმერული სამზარეულო ცნობილია საქართველოს ფარგლებს გარეთაც. შეგიძლიათ ჩვეულებრივად დადგეთ ღუმელთან და გააოცოთ თქვენს მიერ მომზადებული კერძებით, მაგალითად, თქვენი კოლეგები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან? რომელია თქვენი საყვარელი კერძები?

– მე ექვსი წელი ვცხოვრობდი მოსკოვში და ძალიან შემიყვარდა რუსული სამზარეულო, განსაკუთრებით საუზმეული. ეს ხომ ნამდვილად საოცრებაა. რაც შეეხება ქართულ სამზარეულოს, ჯერჯერობით ვერ ვახერხებ ოსტატობაში დედას ვაჯობო. მიყვარს ტკბილეულის მომზადება, მაგრამ ახლა მომიწევს დროებით გადავდო ეს საქმიანობა.

ესაუბრა ბესიკ ფიფია.
„ნეზავისიმაია გაზეტა“ 2001 წ. 4 დეკემბერი.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. – 2001, 19 დეკემბერი, №308, გვ. 1-5

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე: მაქსიმალურად შევეცდები ხალხის იმედების გამართლებას

ნომრის სტუმარია საქართველოს
პარლამენტის თავმჯდომარე

– თავის დროზე, როცა თქვენ პარლამენტის თავმჯდომარედ აგირჩიეს, ექსსპიკერმა ზურაბ ჟვანიამ განაცხადა, ნინო ბურჯანაძის გამარჯვება ჩემი გამარჯვებააო. ეს „პოსტულატი“ დღესაც ძალაშია?

– გააჩნია, რა შეიძლება ადამიანმა ამაში იგულისხმოს. დარწმუნებული ვარ და ეს ასეც აღვიქვი: ბატონმა ზურაბმა ჩათვალა, რომ ჩემი პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევა გამარჯვება იყო იმ თვალსაზრისით, რომ პარლამენტში აღარ იქნებოდა კონფრონტაციული სიტუაცია და გაგრძელდებოდა დასავლური ტიპის პარლამენტის შექმნა, ევროპულ ფასეულობებზე ორიენტირება, საკანონმდებლო ბაზის მაქსიმალურად მისადაგება ევროპულ საკანონმდებლო ბაზასთან და ასე შემდეგ, ანუ პრინციპში იმ ძირითადი პოლიტიკური ხაზის გაგრძელება, რომლის გატარებასაც მოქალაქეთა კავშირი თავის დროზე პრეზიდენტთან ერთად ცდილობდა – თუმცა იყო ძალიან ბევრი შეცდომაც, რომლებმაც განაპირობა ის ცვლილება, გარკვეული პოლიტიკური კრიზისი, რომელიც მოხდა. ამ შეცდომების გამეორება არავისთვის არ იქნება კარგი, მით უფრო, არა მგონია გაუხარდეს ბატონ ზურაბს. – ერთი რამ შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა: ბევრ რამეში ჩემი და ბატონ ზურაბის მოსაზრებები ერთმანეთს ემთხვევა, მაგრამ არა ყველა საკითხში. რა თქმა უნდა, ჩვენ საკმაოდ სერიოზული აზრთა სხვადასხვაობა გვქონდა, ახლაც გვაქვს და ალბათ, მომავალშიც გვექნება. ავტომატური რეჟიმით არასოდეს გვიმუშა-

ვია, მაშინაც კი, როცა ბატონი ზურაბი პარლამენტის თავმჯდომარე იყო, მე კი – გამოუცდელი, ახალდამწყები პოლიტიკური მოღვაწე. ალბათ, ბატონ ზურაბის ნათქვამი, რომ ჩემი გამარჯვება მისი გამარჯვებაა, გარკვეულწილად განპირობებული იყო იმით, რომ თუ პარლამენტში გაიმარჯვებდა სრულიად განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებისა და ორიენტირების ადამიანი, ბუნებრივია, ეს იქნებოდა არა მარტო ბატონ ზურაბის დამარცხება, არამედ მთელი იმ პოლიტიკური კურსის დამარცხებაც, რომელსაც ბოლო პერიოდში პარლამენტი და ზოგადად ქვეყანა ადგა. ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს იყო არა მხოლოდ ჩემი და ვთქვათ, ზურაბ ჟვანიას, არამედ ძალიან ბევრი ადამიანის გამარჯვება როგორც პარლამენტის შიგნით, ისე მის გარეთ. რამდენად შევძლებ იმედების გამართლებას, სხვა საკითხია, თუმცა, რა თქმა უნდა, მაქსიმალურად შევეცდები ამას.

– პარლამენტის თავმჯდომარე, ასე ვთქვათ, ზეპარტიული და ზეფრაქციული უნდა იყოს. თქვენ ასეთი ხართ? ხომ არავისკენ იხრება თქვენი სიმპათიები?

– მაქსიმალურად ვცდილობ ასეთი ვიყო. ბუნებრივია, ძალიან ბევრ საკითხში მაქვს დაახლოებით იმ ადამიანების მსგავსი ხედვა, რომლებმაც წარმადგინეს ამ თანამდებობაზე. მხედველობაში მაქვს ე. წ. კოალიციური საბჭო და ფრაქციები, რომლებიც აქტიურად მიჭერდნენ მხარს; თუმცა არის საკითხები, რომლებზეც შეიძლება სხვა ფრაქციების წარმომადგენლების აზრს უფრო ვიზიარებდე. ძალიან ვცდილობ ვიყო ზეპარტიული და მაქსიმალურად ობიექტური. ყოველ შემთხვევაში, დღემდე არც ერთი გადაწყვეტილება არ მიმიღია იქიდან გამომდინარე, რომ ეს აზრი მოდის, ვთქვათ, მოქალაქეთა კავშირიდან, ტრადიციონალისტებისგან ან სხვა რომელიმე ფრაქციიდან. გულწრფელად შემიძლია ვთქვა: მთელი ჩემი სპიკერობის ამ მცირე პერიოდში არც ერთი ფრაქციისათვის არ მითქვამს არასწორი რამ, არ მითქვამს, რისიც არ მჯერა. ვცდილობ, მათთან ურთიერთობაში ვიყო ძალიან ღია, გახსნილი. არავითარ პო-

ლიტიკურ ინტრიგებში არ მინდა ჩარევა და თუ ამაში კოლეგები ხელს შემიწყობენ, ბევრად გამიადვილდება ჩემი მისიის შესრულება, რასაც მთელი პარლამენტის წარმომადგენლობა ჰქვია. მესმის, რომ შეიძლება ცალკეული ფრაქციები, ჯერჯერობით, გარკვეული ეჭვით უყურებენ, რა პოზიციას დავიკავებ ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგრამ ჩემს ობიექტურობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არავისთვის მიმიცია. ყველასთან აქტიურად ვატარებ კონსულტაციებს, ვთანამშრომლობ პრაქტიკულად ყველა საჭირბოროტო საკითხზე, რომლებსაც პარლამენტი წყვეტს.

– როგორი დამოკიდებულება გაქვთ მოქალაქეთა კავშირთან, განსაკუთრებით ეს-ესაა ჩატარებული ყრილობის შემდეგ, სადაც თითქოს ერთგვარი „დათმობა“ მოხდა პრეზიდენტსა და ზურაბ ჟვანიას შორის?

– მოქალაქეთა კავშირის მიმართ საკმაოდ სერიოზული პრეტენზიები მქონდა თავის დროზე. 1998 წელს განვაცხადე, რომ მოქალაქეთა კავშირის პოლიტიკური მდივნის თანამდებობიდან წასვლა მინდოდა. მაშინ ძალზე ანგარიშგასაწევმა პიროვნებებმა მთხოვეს, ეს არ გამეკეთებინა და მეც არ გადავდგი ეს ნაბიჯი, უფრო სწორედ, არ გავაკეთე დეკლარირება, თორემ არაოფიციალურად პარტიის ყველა წევრმა და სტრუქტურამ იცოდა, რომ 1998 წლიდან აღარ ვიყავი პოლიტიკური მდივანი.

– რატომ გააკეთეთ ეს ჩუმად?

– იმიტომ, რომ ეს იყო წლები, როდესაც მოქალაქეთა კავშირს უკვე პრობლემები შეექმნა და ვინმეს არ შექმნოდა შთაბეჭდილება, – რაკი პარტიას ახლა უჭირს, ცდილობს თავი აარიდოს მას, გაექცეს პასუხისმგებლობასო. მე მოქკავშირის სიით მოვედი პარლამენტში და ზოგიერთი ჩემი კოლეგისგან განსხვავებით, თავს უფლებას ვერ მივცემ ყველა პრობლემა, რაც ამ პარტიაში არსებობდა, მის მიმართ გამოთქმული ყველა პრეტენზია სხვას გადავაბრალო, მთლიანად ავირიდო პასუხისმგებლობა. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ სერიოზული

დავა და კამათი მქონდა მოქალაქეთა კავშირის ზოგიერთ ლიდერთან, მიმაჩნია, გარკვეულწილად მეც ვარ პასუხისმგებელი დაშვებულ შეცდომებზე. თუმცა, რამდენად დიდია ჩემი პასუხისმგებლობა, ეს უკვე მეორე საკითხია; ამას, ასე ვთქვათ, ისტორია განსჯის. ბუნებრივია, არ დავეთანხმები იმას, რომ მოქალაქეთა კავშირმა დაანგრია და დააქცია ეს ქვეყანა და ყველაფერი, რაც ცუდია, მისი ბრალია. იყო ძალიან სერიოზული შეცდომები, მაგრამ სიტუაციას ობიექტურად შევხედოთ და ისიც აღვნიშნოთ, რომ ამ პარტიამ და პარლამენტში ამ პარტიის სიით მოსულმა ადამიანებმა ბევრი რამის გაკეთება შეძლეს. რაც შეეხება პარტიის ასეთ დამცრობას, გულწრფელად გეტყვით: ჩემთვის ძალიან მოულოდნელი იყო და დღესაც არ ვიზიარებ იმ ნაბიჯს, რომელიც პრეზიდენტმა გადადგა, როცა პარტიის თავმჯდომარის პოსტი დატოვა. ამ ნაბიჯს შემდეგ მოჰყვა ის პროცესები, რომლებიც პარლამენტში განვითარდა. შეიძლება ბოლომდე არ ვარ გარკვეული იმ არგუმენტებში, რომლებიც პრეზიდენტს ჰქონდა, მაგრამ მაინც ვფიქრობ, რომ სჯობდა ბატონი ედუარდი ისევ აქტიურად ყოფილიყო მოქალაქეთა კავშირში და ერთად გვეფიქრა და გვემუშავა იმ რადიკალურ ცვლილებებზე, რომელთა განხორციელებაც იყო საჭირო მოქალაქეთა კავშირში. ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ პარტიასაც და ქვეყანასაც სჭირდებოდა ერთობ რადიკალური და მტკივნეული რეფორმები. რაც შეეხება ყრილობას, არ მინდა პროგნოზები გავაკეთო, თუ რას მოგვიტანს იგი უახლოეს ხანებში. პროგნოზი საიმედო არ არის ხოლმე. ისე, ძირეული ცვლილებები რომ უნდა მოხდეს პარტიაში, რათა კვლავ მოიპოვოს ხალხის ნდობა, ორი აზრი არ არსებობს.

– ჩვენი პარლამენტი ძირითადად ერთმანეთთან მწვავედ დაპირისპირებულ, „გაბრაზებულ“ მამაკაცთა საკრებულოა. თქვენ, როგორც ქალს, არ გიჭირთ მათი ხელმძღვანელობა და „არბიტრობა“?

– ხელმძღვანელობა და „არბიტრობა“ არ მინდა ვუწოდო, მე ვიტყოდი – თანამშრომლობა. დიახ, ცოტა მიჭირს, თუმცა არ

შემიძლია არ ვთქვა, რომ მამაკაცები ცდილობენ, რამდენადაც შეუძლიათ, ანგარიში გაუწიონ იმას, რომ ქალი ვარ. მახსოვს, ადრე ბევრად უფრო მწვავე რეაქციები იყო ხოლმე ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით, ვიდრე დღეს, თუმცა ხანდახან ემოციების მოთოკვა ქართველს უჭირს. ყველას აქვს თავისი პოლიტიკური შეხედულება, პოლიტიკური ამბიცია და ბუნებრივია, სირთულე არის.

– ეთანხმებით თუ არა აზრს, რომ პარლამენტს მოსახლეობაში, ფაქტობრივად, დაკარგული აქვს ნდობის მანდატი. როგორ ფიქრობთ ამ ნდობის აღდგენას?

– გარკვეულწილად, ალბათ ეს ასეც არის და მე მესმის ჩვენი მოსახლეობის. იგი ხედავს, რომ ქვეყნისათვის უმძიმეს და ურთულეს პირობებში პარლამენტი ორი-სამი დღის განმავლობაში ვერ ახერხებს მუშაობის დაწყებას იმის გამო, რომ კვორუმი არ არის, ანუ დეპუტატი დილის 11 საათზე ვერ იღვიძებს, არ მოდის პარლამენტში. ბუნებრივია, აქ ნდობის მანდატზე ლაპარაკი, ჩვენი მხრიდან იმის მოთხოვნა, მოსახლეობა გვენდოსო, ცოტა უხერხულიც არის. გარდა ამისა, გამუდმებით ხედავენ ცალკეული პარლამენტარების პოპულიზმს, პოლიტიკურ ამბიციებს, რომლებიც ნამდვილად არ ემთხვევა ხოლმე ქვეყნის ინტერესებს. მაგრამ ამასთან ისიც უნდა ვთქვათ, რომ როდესაც ქვეყანას გაუჭირდა, პარლამენტი ყოველთვის ერთ მუშტად შეკრული დადგა ქვეყნის ინტერესების სადარაჯოზე. არის პარლამენტში ამის „რესურსი“ და შევეცდებით მაქსიმალურად ავამოქმედოთ იგი, მოსახლეობას დავანახოთ, რომ პარლამენტი უკვე რეალურად ფიქრობს კონკრეტულ საჭირბოროტო პრობლემებზე, ცდილობს ხალხის ჭირ-ვარამის შემსუბუქებას. თუ ეს უახლოეს 2-3 თვეში მოვახერხეთ, მოსახლეობა ამას ძალიან იოლად დაინახავს, შეაფასებს და რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნების საკითხს აღარც დააყენებს. მაგრამ თუ ქვეყანა ვერ დავარწმუნეთ, რომ პარლამენტი ქმედუნარიანია, შეუძლია სასარგებლო გადაწყვეტილებების მიღება, ბუნებრივია, არანაირი მორალური

უფლება არ გვექნება, პრეტენზია განვუცხადოთ, რატომ არ გვენდობითო.

– ასე „ატომებად“ დაშლილ, ანუ ასე წვრილ-წვრილ ფრაქციებად დანაწილებულ პარლამენტს ძალუძს კი მიიღოს ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელი მნიშვნელობის გადაწყვეტილებები?

– წეღანაც ვთქვი: ბოლომდე არ ვიზიარებ იმ ნაბიჯს, რომელიც პრეზიდენტმა გადადგა; ვთქვი ისიც, რომ ალბათ მას ჰქონდა ბევრად უფრო მეტი არგუმენტი ამისათვის, ვიდრე ჩვენ გვითხრა. რა თქმა უნდა, პარლამენტი ბევრად უფრო იოლად სამართავი იყო მაშინ, როცა არსებობდა ერთიანი უმრავლესობა, თუმცა ამ უმრავლესობაში გარკვეული სერიოზული ბზარი იყო და ალბათ, ესეც დაინახა პრეზიდენტმა. დღეს რთულია მართვა, მაგრამ მოდით გავიხსენოთ იგივე პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნები, როცა მართლა ძალიან უჭირდა ქვეყანას, როცა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება პრაქტიკულად უმმართველოდ იყო დარჩენილი, ერთადერთი კონსტიტუციური ფიგურა მხოლოდ პრეზიდენტი იყო. ამ დროს სერიოზული ბრძოლისა და წინააღმდეგობის მიუხედავად, პარლამენტმა შეძლო შეკვრა და გადაწყვეტილების მიღება, რომელიც ვფიქრობ, იმ ეტაპზე ნამდვილად სწორი იყო.

– როგორ ფიქრობთ, პარლამენტის თავმჯდომარედ თქვენი არჩევა თქვენმა პიროვნულმა ღირსებებმა განაპირობა, თუ ეს პოლიტიკურ ძალთა გარიგების შედეგი იყო?

– პარლამენტში ნებისმიერი გადაწყვეტილება პოლიტიკურ ძალთა შეთანხმების შედეგია, მაგრამ მე მაინც მინდა ვიფიქრო, რომ ჩემი არჩევა გარკვეულმა პიროვნულმა ღირსებებმა განაპირობა. ეს ალბათ იმიტომ, რომ შინაგანად არა ვარ კონფრონტაციული, ყოველთვის ვცდილობ მაქსიმალურად არადაპირისპირებული, გაწონასწორებული ურთიერთობა იყოს ადამიანებს, პოლიტიკურ ძალთა შორის.

– რამდენადაც ცნობილია, თქვენ არ იყავით პრეზიდენტის კანდიდატურა სპიკერის პოსტზე. ხომ არ გიშლით ეს ხელს

მასთან ურთიერთობაში? მრავალი წლის განმავლობაში თქვენი მშობლების ოჯახს ძალიან ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბატონ პრეზიდენტთან. ახლაც ასეა, თუ ამ ბოლო დროს, ვთქვათ, სპიკერის არჩევნების შემდეგ, რაიმე ბზარი გაჩნდა?

– მე მართლაც არ ვიყავი პრეზიდენტის კანდიდატურა. ბატონმა ედუარდმა თავად თქვა, რომ ჩემს გამარჯვებაში მისი წვლილი არ არის. და ალბათ, სწორიც იყო, რადგან პრეზიდენტი არ უნდა ჩარეულიყო პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნებში და არც ჩაერია. გვაქვს აბსოლუტურად ნორმალური, კონსტრუქციული ურთიერთობა. მე და ბატონი პრეზიდენტი საკმაოდ ხშირად ვდგავართ განსხვავებულ მოსაზრებებზე ამა თუ იმ საკითხებთან დაკავშირებით. მაგრამ ვინ და ვინ და საქართველოს პრეზიდენტმა კარგად იცის სხვისი განსხვავებული აზრის მოსმენა, შეუძლია პატივი სცეს, გაგებით მოეკიდოს ამ განსხვავებულ აზრს. მე არასოდეს მივცემ ჩემს თავს უფლებას, რომ საქართველოს პრეზიდენტს ვუთხრა ტყუილი, თუნდაც ისეთი, რომელიც მისთვის სასიამოვნო მოსასმენი იქნება. თავს ვალდებულად ვთვლი ვუთხრა მხოლოდ სიმართლე, რაგინდ მწარეც იყოს ის. ჩვენს ოჯახს ყოველთვის კარგი ურთიერთობა ჰქონდა ბატონ პრეზიდენტთან. მამა უდიდეს პატივს სცემდა და სცემს მას. ვიცი, რომ ხანდახან კამათი ჰქონდა ხოლმე მასთან ძველ პერიოდშიც კი. ძალიან ცდება ვინმე, თუ ჰგონია, რომ მაშინ ყველაფერი აზრთა სხვადასხვაობის და კამათის გარეშე წყდებოდა. არჩევნების შემდეგ არანაირი ბზარი არ გაჩენილა, ან რატომ უნდა გაჩენილიყო? ის არც პოზიციურად ჩარეულა არჩევნებში და არც ჩემი კანდიდატურის წინააღმდეგი წასულა.

– ამბობენ, პოლიტიკაში მეგობრები არ არსებობენო. ეთანხმებით ამ აზრს, გყავთ პარლამენტში მეგობრები ან უფრო სწორედ, შემოგრჩნენ ძველი მეგობრები დღეს?

– საერთოდ, ძალიან ცოტა მეგობარი მყავს. მეგობრობას ფაქიზად და დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდები. შეუძლებელია 100 და 50 მეგობარი გყავდეს. უბრალოდ, ვერ დახარჯავ იმდენ ენერგიას, დროსა და ყურადღებას ადამიანებზე, რამდენსაც მე-

გობრობა ითხოვს. მყავს ცოტა მეგობარი და ამ მეგობართა წრე წლიდან წლამდე არ იცვლება. ისინი არანაირად არ არიან დამოკიდებული ჩემს პოლიტიკურ კარიერაზე და თანამდებობაზე და მე ამით ბედნიერი ვარ. პარლამენტში, რა თქმა უნდა, არიან ადამიანები, რომლებთანაც ძალზე თბილი და კეთილი ურთიერთობები მაქვს. რა თქმა უნდა, რაღაც პერიოდულობით შეიძლება იცვლებოდეს ეს დამოკიდებულებები, მაგრამ რადიკალურად – თითქმის არა. თუმცა სხვაობა არის ხოლმე.

– თქვენ ახლა ძალზე გადატვირთული ბრძანდებით, გვიანობამდე სამსახურში ხართ, ხშირად გიწევთ მივლინებაში ყოფნა. როგორ ეგუებიან ამას ოჯახის წევრები – შვილები, მეუღლე?

– გადატვირთული ნამდვილად ვარ. ბავშვები, განსაკუთრებით უმცროსი, ძალიან ვერ ეგუებიან იმას, რომ სახლში ძალიან გვიან მოვდივარ, პრაქტიკულად მთელი დღეების განმავლობაში სახლში არ ვარ. მეუღლე მაქსიმალურად ცდილობს ხელი შემიწყოს, ყოველნაირად ამომიდგეს გვერდში. ასეთი მდგომარეობა უკვე რამდენიმე წელია გრძელდება. ასე რომ, მისი მხრიდან პრობლემები ნამდვილად არა მაქვს. რა თქმა უნდა, ოჯახს ეტყობა, როცა დილის 10 საათზე გამოვდივარ და ღამე 11-12 საათზე შევდივარ. ეს მე თვითონაც მაწუხებს, რადგან, პრინციპში, ძალიან მიყვარს სახლი.

– ქალბატონო ნინო, თქვენ ალბათ ელოდით, რომ ერთხელაც, როცა იქნებოდა, პარლამენტში „დაგარტყამდნენ“. მაგრამ გიფიქრიათ, რომ ასე ჩქარა მოხდებოდა ეს? თქვენი აზრით, რატომ მოხდა, რაც მოხდა? მართლაც მხოლოდ „სამართლიანობის უზენაესობის“ გამო?

– ნამდვილად არ ველოდი, რომ დარტყმა ასეთი ძლიერი და თან ასეთი სწრაფი იქნებოდა. წეღან მკითხეთ პოლიტიკურ მეგობრებზე, მეგობრებზე პარლამენტში. მე არ ვაპირებდი ამაზე პასუხის გაცემას, მაგრამ ძალაუნებურად მაინც მომიწევს. ძალიან ახლო, კარგი, თბილი ურთიერთობები მქონდა „ახალ მემარჯვენეებთან“, განსაკუთრებით ბატონებთან დავით გამყრელიძესა და ლევან გაჩეჩილაძესთან და ბუნებრივია, არ ვე-

ლოდი, რომ სწორედ ისინი შემომიტევდნენ ასე მასირებულად, თანაც ასეთი არადელიკატური ფორმებით. ნორმალური იქნებოდა, სანამ პრესკონფერენციას მოიწვევდნენ და ასეთ ხმაურს ატეხდნენ, ჩემთვის ეთქვათ თავიანთი მოსაზრება, ერთად ჩამოვყალიბებულიყავით ამ საკითხთან დაკავშირებით. ასე ბევრად უფრო კორექტული იქნებოდა. არ მიყვარს ადამიანისათვის დამადლება და გახსენება, მაგრამ როცა „ახლები“ „მოქალაქეთა კავშირის“ ფრაქციიდან გავიდნენ, მე მათ ძალიან აქტიურად დავუჭირე მხარი... „სამართლიანობის უზენაესობა“ არაფერ შუაშია, როცა ბატონმა დავით გამყრელიძემ საჭიროდ არ ჩათვალა წინასწარ დამლაპარაკებოდა, პრესკონფერენცია მოიწვია და მაშინვე ხმაური ატეხა. ვფიქრობ, ეს იყო სერიოზული, აბსოლუტურად ერთმნიშვნელოვანი პოლიტიკური გათვლა, თანაც გააკეთა ჩემი და ჩემი ოჯახის შეურაცხმყოფელი განცხადებები. მე, რომელიც ლევან გაჩეჩილაძისა და დავით გამყრელიძისათვის ჯერ კიდევ ერთი წლის წინათ პარლამენტის თავმჯდომარედაც კი მისაღები ვიყავი (პირველად მათგან მოვისმინე ეს წინადადება), უცებ გავხდი ოლიგარქიული კლანის წარმომადგენელი, მხოლოდ საკუთარ ინტერესებზე რომ ფიქრობს. ეს პირდაპირი დარტყმები, რომლებიც საქმის მოწესრიგებას და მართლა გადაწყვეტას კი არ ისახავდა მიზნად, არამედ თავიდანვე სკანდალისა და აჟიოტაჟისკენ იყო მიმართული, მაფიქრებინებს: აქ მთავარია პოლიტიკური ბრძოლა და პოლიტიკური ქულების აქტიურად დაწერა მოსახლეობის თვალში.

– როგორც პარლამენტის თავმჯდომარეს, რამდენად მართებულად მიგაჩნიათ თქვენი მეუღლის გენერალური პროკურორის პირველ მოადგილედ დანიშვნა? რაიმე კუთხით ურევიხართ ამ დანიშვნაში? როცა მისი გადასვლის წინადადება შეიტყვეთ, არ შეეცადეთ გადაგეთქმევინებინათ?

– არანაირი კუთხით არ ვურევივარ ამ დანიშვნაში, არანაირი გარიგება არ ყოფილა. ამას, ალბათ, ხალხი მერე კიდევ უფრო ნათლად დაინახავს და დარწმუნდება. საერთოდ არ გვიფიქრია გენერალური პროკურორის პირველ მოადგილედ ბადრის გა-

დასვლა. როცა ბატონმა ნუგზარ გაბრიჩიძემ მას პირველად შესთავაზა ეს, ბადრიმ კატეგორიული უარი უთხრა, ამას შეიძლება ხმაური მოჰყვესო. რეალურად ეს გადაწყვეტილება მესამე თუ მეოთხე შეთავაზების შემდეგ მიიღო. ძალზე სასაცილოა, როცა მეუბნებიან, საკუთარი ოჯახის ინტერესები წამოსწიეთ წინო! ოჯახის ინტერესებს ბადრი უფრო მშვენივრად განახორციელებდა, შედარებით ჩრდილში რომ დარჩენილიყო. თუმცა ან კი რატომ იყო ჩრდილში! ბადრი ბიწყაძე გახლდათ გენერალური პროკურორის მოადგილე, მთავარი სამხედრო პროკურორი, გენერალი, ადამიანი, რომელიც ემორჩილებოდა პირდაპირ გენერალურ პროკურორს (და არა გენერალური პროკურორის პირველ მოადგილეს). პრაქტიკულად მხოლოდ თანამდებობრივი სფერო გაუფართოვდა, თორემ „იერარქიული“ ნახტომი არ გაუკეთებია. ამიტომ ვერ წარმოვიდგინე, რომ ამას შეიძლებოდა ასეთი აჟიოტაჟი მოჰყოლოდა. მით უმეტეს, ეს გადაწყვეტილება, ნამდვილად ვიცი, მიიღო მხოლოდ და მხოლოდ საქმის ინტერესებიდან და არა რაიმე პოლიტიკური ან ოჯახური ინტერესებიდან გამომდინარე. თუ მას მუშაობის საშუალება მიეცემა, დაამტკიცებს, რომ მართლაც საქმის საკეთებლად არის იქ მისული. მე არ ვცდილობ ბადრისთვის გადამეთქმევინებინა მიღებული გადაწყვეტილება. დღეს ყველა ისე წარმოაჩენს, თითქოს ბადრიმ უხერხულ მდგომარეობაში ჩამაყენა – არ მკითხა. მე კი ვფიქრობ, რომ მე ჩავაყენე ის უხერხულ მდგომარეობაში. ბატონ ნუგზარ გაბრიჩიძის არგუმენტების მოსმენის შემდეგ (რომ მას სჭირდება ადამიანი, რომელსაც წლების განმავლობაში იცნობს, ვინც მას მხარში ამოუდგება, მოეხმარება პროკურატურაში რეფორმის გატარებაში და კორუფციის წინააღმდეგ სერიოზული ბრძოლის დაწყებაში) ჩავთვალე, რომ ეს გადასვლა არ იქნებოდა ცუდი, რადგან დარწმუნებული ვიყავი, ჩემი ქმარი აქტიურად შეეცდებოდა თავი გამოეჩინა ამ სამსახურში თუნდაც იმიტომ, რომ ჩემი მეუღლეა.

– რამდენად სერიოზულად გეჩვენებათ თქვენთვის იმპიჩმენტის გამოცხადების შესაძლებლობა? ყველაფერი, უბრალოდ,

თქვენს დასაშინებლად ხომ არ კეთდება, თუ ამას კიდევ სხვა მიზანი აქვს?

– იმპიჩმენტზე ლაპარაკი უბრალოდ სასაცილოდ ჩანს, იმიტომ რომ ჩვენ კანონი არ დაგვირღვევია. ეს გადაჭრით. სხვათა შორის, კანონს არღვევენ ისინი, ვინც იმ განცხადებებს აკეთებს, რომლებსაც წესით არ უნდა აკეთებდნენ. დაკონკრეტებისაგან ამჯერად თავს შევიკავებ. ვიმეორებ, კანონის სრული დაცვით არის გადადგმული ის ნაბიჯი, რომელიც გადაიდგა და ეს დაადასტურეს როგორც ანტიკორუფციულმა საბჭომ, ისე პარლამენტის საპროცედურო კომიტეტმა. ამდენად, იმპიჩმენტის საფუძველი არ არსებობს. ბატონი დავითი ცოტა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა, როცა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე გამობრძანდა და თითქმის ნახევარი გვერდი წაიკითხა სისხლის სამართლის კოდექსიდან, თუ რომელი მუხლი უნდა მიეყენებინათ ჩემთვის (ერთი, მგონი, სულაც 5-დან 10 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს). არ გამოვრიცხავ, რომ დასაშინებლადაც კეთდება ეს ყველაფერი. ჩემი ერთი უკან გადადგმული ნაბიჯი, უმნიშვნელო კომპრომისიც კი ამ შემთხვევაში არ მიმაჩნია სწორად. ის მეორე, მესამე და შემდგომი კომპრომისების მოთხოვნის საფუძველი გახდება. იმედი მაქვს, რომ „ახლები“ ნამდვილად შეცვლიან გადაწყვეტილებას, მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან სადეპუტატო მოვალეობას. უბრალოდ, გული მწყდება, რომ არაფრის გამო ასეთი ქარიშხალი ატეხეს ჭიქა წყალში: ბატონმა დავითმა ძალიან კარგად იცის, რომ არანაირი რეალური დაწინაურება ბადრი ბიწაძისა არ მომხდარა. სხვათა შორის, ადრე ბატონი დავითი იყო ინიციატორი იმ იდეისა, რომ ბადრი ბიწაძე არათუ პირველი მოადგილე, არამედ გენერალური პროკურორი გამხდარიყო.

– ახლა სასამართლოში ჩივილს აპირებს სადაზღვევო კომპანია „ალდაგი“, – ნინო ბურჯანაძემ, ბადრი ბიწაძემ და სამხედრო პროკურორმა გია ჯიქიამ მორალური ზარალი მოგვაყენეს, საქმიანი რეპუტაცია შეგვილახესო. რა კომენტარს გაუკეთებდით ამ განცხადებას?

– რა კომენტარი უნდა გავუკეთო! „ალდაგი“ ჩივის, პატივი და ღირსება შეგვილახესო. ძალიან საინტერესოა, ჩემი და ჩემი მეუღლის იმიჯი და საქმიანი რეპუტაცია არ შელახეს, როცა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე ლაპარაკობდნენ, რომ ოლიგარქები ვართ, ვაპირებთ კლანის შექმნას და ქვეყნის ხელში ჩაგდებას და ა. შ. იჩივლონ! სასამართლოს ობიექტურობის იმედი მაქვს. თუ სასამართლო ჩათვლის, რომ ჩვენ არასწორად მოვიქეცით, დავემორჩილებით სასამართლოს გადაწყვეტილებას. მისი გადაწყვეტილება უზენაესია. ერთი რამ ფაქტია: აშკარად ვხედავ, რომ ყოველივე ამის უკან დგას რაღაც ჩემთვის გაურკვეველი მოსაზრებები, რომლებმაც გამოიწვია ის ქარიშხალი, რომელიც ნამდვილად არ უნდა გამოეწვია.

ესაუბრა ალეკო ასლანიშვილი

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“. – 2001, 30 დეკემბერი, №318, გვ. 1-2

ახლა მაღაზიაში შესვლასაც ვერ ვახერხებ, რომ შამპუნი მაინც მივიტანო შინ...

მიიწურა მღელვარე და ბობოქარი წელიწადი. როგორი იყო შარშანდელი წელი და რას ველით ახლისგან? – ამ კითხვებზე საკუთარ შეხედულებებს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გვიზიარებს საახალწლო ინტერვიუში

– ქ-ნო ნინო, როგორ შეაფასებდით ნოემბრის დასაწყისის მოვლენებს, რასაც ფაქტობრივად, თქვენი გასპიკერება მოჰყვა?

– ჯერჯერობით ძნელია რაიმეს თქმა, ალბათ, ისტორია ყველაფერს დააყენებს თავის ადგილზე და უპასუხებს მრავალ კითხვას. ის გამოსვლები და პროტესტი სავსებით გასაგები და ბუნებრივი იყო ჩემთვის. ის, რაც ამ არეულობის მიზეზი გახდა, მართლაც აღმაშფოთებელი იყო. ფაქტია, დღეს ბევრი პრობლემა აქვს საქართველოს, მაგრამ ხალხი ყველაფერს ითმენს, რათა ჰქონდეს სიტყვის თავისუფლება, დემოკრატიული, თავისუფალი სახელმწიფოს აშენების გარანტია. ჯერ ვერ ვამბობთ, დაგეგმილი იყო თუ არა ნოემბრის პროცესები, მაგრამ თუ მართლაც ყველაფერი რაღაც სქემით მიდიოდა, სად იყვნენ ის სამინისტროები, რომლებიც ამ პროცესებში მონაწილეობდნენ? შესაძლოა, მათ იფიქრეს კიდეც, რომ ასეთ ქმედებებს გარკვეული პროტესტი მოჰყვებოდა, მაგრამ ეტყობა, ამ პროტესტის ჩახშობას ვარაუდობდნენ, რაკი გვაშინებდნენ, ყველას ძალიან მალე გასწავლით ჭკუასო, მაგრამ მასშტაბები ვერ გაიანგარიშეს... მადლობა ღმერთს, ამ კრიზისმა ჩაიარა. მოვლენები პარლამენტის თავმჯდომარისა და მთავრობის გადაყენებამ გაანეიტრალა, თუმც იმავე მთავრობის დამტკიცებით ჩვენს ქვეყანაში

სერიოზული ცვლილებების განხორციელების შანსი დავკარგეთ და ახალ მთავრობას მივეცით ახალი რეჟიმით მუშაობის შესაძლებლობა. იმედს მაინც არ ვკარგავ, რომ ეს მთავრობა მართლაც დროებითი იქნება და ჩვენ შევძლებთ მინისტრთა კაბინეტის იდეის განხორციელებას. მაგრამ დღევანდელ პარლამენტარებს ისეთ პოლიტიკურ ამბიციებს ვატყობ, გაჭირდება 157 ხმის მოგროვება საკონსტიტუციო ცვლილებებისთვის.

– ძველი მთავრობა ხომ იმ პარლამენტმა დაამტკიცა, რომლის თავმჯდომარეც თქვენ ბრძანდებით...

– საქმე ის არის, რომ მე არ ვარ სპიკერი, რომელსაც პარლამენტში თავისი უმრავლესობა ჰყავს და მიიღებს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც სწორად მიაჩნია. უმრავლესობა ფიზიკურად არ არსებობს.

– ალბათ ამიტომ ამბობენ, დღევანდელ პარლამენტს შევარდნაძე მართავსო.

– ვერ ვიტყოდი, რომ დღეს ვინმე პარლამენტს მართავს და მხოლოდ ვინმეს ინტერესები გადის. რა თქმა უნდა, პრეზიდენტს სერიოზული გავლენა აქვს პარლამენტში, მაგრამ პარლამენტარების ნაწილი ითვალიწინებს ჩემს აზრსაც. არ შეიძლება თქმა, რომ ნებისმიერი წინადადება, რომელიც შევარდნაძეს შემოაქვს, გადის – პარლამენტში ასე მარტივად ნამდვილად არ არის საქმე.

– სანამ პარლამენტის თავმჯდომარეობას შემოგთავაზებდნენ, „მოქალაქეთა კავშირის“ ფრაქციას დაუბრუნდით. ამის გამო გავრცელდა ხმა, რომ თქვენი გასპიკერება წინასწარ იყო დაგეგმილი.

– მოქალაქთა კავშირში დაბრუნება ნამდვილად არ უკავშირდება ჩემს შესაძლო გასპიკერებას. გარკვეული ხნის მანძილზე მართლაც განზე გავუდექი მოქალაქეთა კავშირს. ჩემთვის მიუღებელი იყო პროცესები, რაც ხდებოდა ფრაქციაში და ამიტომ გავემიჯნე მას. მაგრამ შემდეგ მოქალაქეთა კავშირმა მართებული პოზიცია დაიკავა – აღდგა თავისუფალი სიტყვის დასაცავად, ხელი შეუშალა ქუჩის მღელვარების სერიოზულ

დესტაბილიზაციაში გადაზრდას. შესაძლოა ჟვანია და მოქალაქეთა კავშირი ხელისუფლებაში რომ დარჩენილიყო, ისევ განზე დავრჩენილიყავი, მაგრამ არ მჩვევია გასაჭირში ვინმეს მიტოვება. როცა დაისვა კითხვები – დარჩება თუ არა მოქკავშირი ხელისუფლებაში, განადგურდა თუ არა ეს პარტია საბოლოოდო, ჩავთვალე, რომ არ მქონდა უფლება, შორიდან მეყურებინა პროცესებისთვის და ნიშნიც მომეგო – ხომ გეუბნებოდით, სწორად არ იქცევით და სცდებით-მეთქი. ამის შემდგომ მართლაც გავაკეთე განაცხადი ფრაქციაში დაბრუნებაზე, მაგრამ იმ აჟიოტაჟის დროს ფრაქციას ეს საკითხი არ განუხილავს. ვფიქრობ, ეს კარგიც არის. დღეს არც ერთი ფრაქციის წევრი არ ვარ და ეს მაძლევს საშუალებას, ერთის კი არა, უფრო მეტი პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი ვიყო. ვცდილობ, ყველა პოლიტიკურ ძალასთან მქონდეს ნორმალური ურთიერთობა. ვერ ვიტყვი, რომ ამ მხრივ ყველაფერი იდეალურადაა, მაგრამ იმედი მაქვს, შევძლებ მათთან თანამშრომლობას. ცალმხრივი სურვილით ამის გაკეთება შეუძლებელია. ითქვა, თითქოს პირადი წყენის გამო დავტოვე ფრაქცია. არადა, ამ ნაბიჯის გადადგმა ჩემთვის ძნელი და უსიამოვნო იყო. მართლაც ბევრი რამ მეწყინა – გაააუქმეს ის სახელმწიფო სამსახური, სადაც მამაჩემი მუშაობდა, ჩემი ფრაქციის წევრები დაუპირისპირდნენ ჩემს მეუღლეს, 2000 წლის არჩევნებში კი მამამ არჩევნები წააგო თერჯოლაში, მაშინ როდესაც მინიმალური მხარდაჭერა სჭირდებოდა მოქკავშირიდან, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩემი სუბიექტური შეხედულებები გადამწყვეტი არ ყოფილა. ჩემთვის ასევე მიუღებელი იყო პოლიტიკური გარიგებები, რომლებიც ფრაქციაში ხდებოდა... და კიდევ, ფრაქციიდან გასვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახდა ის, რომ „ახლებმა“ დატოვეს მოქალაქეთა კავშირი. მათ გვერდით დავუდექი, დღეს კი ეს რატომღაც არ ახსენდებათ...

– ბ-ნმა ზურაბ ჟვანიამ გადადგომისას განაცხადა, – ბევრს ტყუილად ჰგონია, რომ სპიკერის სავარძელი კომფორტულიაო... თქვენ რას იტყოდით?

– ვეთანხმები ბ-ნ ზურაბს, ძალიან არაკომფორტული სავარძელია. ძალიან კარგად ვგრძნობდი თავს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის თანამდებობაზე, იქ ვაკეთებდი იმ საქმეს, რომელიც კარგად ვიცოდი... ამავდროულად, ეს იყო თანამდებობა, რომელიც ქვეყნის საშინაო პოლიტიკიდან შორს იდგა და აქედან გამომდინარე, შიდაპოლიტიკური ინტრიგებიდან მოცილებული იყო. დღეს ნამდვილად არაკომფორტულ მდგომარეობაში ვართ მეც და ჩემი ახლობლებიც. ოჯახს ყურადღება მოაკლდა, მათ უწევთ ბევრი ისეთი რამის მოსმენა და წაკითხვა, რაც ძალიან შორს არის სინამდვილიდან და ის სიმართლე, რაც იწერება, ისეთი ბოღმით და იმდენად არადელიკატურად კეთდება, შეიძლება ადამიანს გული გაუსკდეს. ვიღაცის თვალთახედვით, იქნებ მე და რომელიმე ჩემი ოჯახის წევრი ვიმსახურებთ კიდეც ასეთ ცინიზმს, მაგრამ მიკვირს, თავად ის ადამიანები როგორ აძლევენ თავს ამის უფლებას. როგორ შეიძლება კაცს უთხრა – ვინ იქნებოდი დღეს, რომ არა შენი ცოლიო? რატომ იმას არ კითხულობენ, – ვინ ვიქნებოდი მე, რომ ჩემი ქმარი ბადრი ბიწაძე არ ყოფილიყო? ვიქნებოდი პარლამენტის თავმჯდომარე, ჩემი ქმარი რომ არ მიწყობდეს ხელს? ბადრი არ მიქმნიდა პრობლემას იმის გამო, რომ მისი პერანგი გაუთოებული არ იყო; რომ თავის დროზე არ მქონდა გამზადებული სადილი. ხომ შეეძლო ეთქვა, – შინ დაჯექი, იმის ფასს არაფერს აკეთებ, რომ შვილებს ენატრებოდეო.

– როგორ გამოგდით ორასამდე მამაკაც პარლამენტართან ურთიერთობა?

– სასაყვედურო არაფერი მაქვს, მიუხედავად იმისა, რომ არის პრობლემები და კრიტიკაც მესმის ხოლმე. ეს, ალბათ, ბუნებრივია. ანგარიშს მიწევენ. ვგრძნობ, რომ შესაძლოა ზოგი საკითხი უფრო აგრესიულად დასმულიყო, ქალი რომ არ ვყოფილიყავი. ჩვენი მამაკაცები იდეალურ ჩარჩოებს არ ერგებიან, მაგრამ ნამდვილად ცდილობენ, კორექტულები იყვნენ. მეც არ ვარ დიქტატორული ბუნების და არასოდეს ვიყენებ ისეთ მექა-

ნიზმებს (თუნდაც არგუმენტაციისას), რაც მათ თავმოყვარეობას შეულახავს.

– პოლიტიკოსი ქალისთვის რა თვისებებია აუცილებელი?

– მადლობა ღმერთს, ჩვენს ქვეყანაში იციან მანდილოსნის პატივისცემა და არც ნორმალური ქალები გვაკლია. ვერ ვიტყვი, თავად რამდენად მაქვს ის თვისებები, რაც პოლიტიკოსი ქალისთვის აუცილებლად მიმაჩნია, მაგრამ ვცდილობ... პოლიტიკოსი ქალი, ვფიქრობ, ყველაფერში გაწონასწორებული და ზომიერი უნდა იყოს, დაწყებული ჩაცმულობის სტილით. არც კონფლიქტურობა წაადგება, მაგრამ ადვილად არც კომპრომისზე მართებს წასვლა (ვგულისხმობ კომპრომისს საკუთარ სინდისთან).

– ხშირად პოლიტიკოსი ქალბატონები სამკაულს განწყობის შესაბამისად ატარებენ. თქვენ თუ გაქვთ ასეთი ჩვევა?

– არანაირ დატვირთვას არ ვაძლევ სამკაულს. სადღაც წავიკითხე, თითქოს გასაგიჟებელი ბროშების კოლექცია მქონდეს... არ არის ასე. რამდენიმე ბროში მართლაც მაქვს, რომელსაც ჩაცმულობის და სტილის შესაბამისად ვიკეთებ. გუნება-განწყობილებას ეს ნამდვილად არ უკავშირდება. ძალიან ცდება ის, ვინც ფიქრობს, თითქოს ბევრი დრო მრჩებოდეს ჩაცმულობასა და სამკაულებზე საზრუნავად.

– ჩვენს საკანონმდებლო ორგანოზე რას იტყოდით – როგორი პარლამენტი გვყავს?

– ეს არ არის იდეალური ორგანო, რადგან შეუძლებელია დღევანდელ საქართველოში იდეალური პარლამენტი გვქონდეს. თუმც დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი მოსახლეობა უკეთეს პარლამენტს იმსახურებს. მაქვს კონკრეტული გეგმები, რომელიც დღევანდელ პარლამენტს უკეთესს გახდის და ამას მოსახლეობაც მალე დაინახავს.

– პრეზიდენტთან თანამშრომლობაზე რას იტყოდით, ახერხებთ ერთად მუშაობას?

– ვფიქრობ, რომ ნორმალურად ვთანამშრომლობთ, კონსტრუქციულად ვმსჯელობთ. ბუნებრივია, ამა თუ იმ საკითხზე

განსხვავებული აზრიც გვაქვს. პრეზიდენტს ყოველთვის ვეუბნები სიმართლეს, თუნდაც ძალზე უსიამოვნო მოსასმენი იყოს. ვფიქრობ, პრეზიდენტი აფასებს იმას, რომ არ ვცდილობ სურათის შელამაზებას და ვეუბნები იმას, რაც სწორად მიმაჩნია. როცა პრეზიდენტს აქვს დამაჯერებელი არგუმენტები, ჩემი გადარწმუნება ძნელი არ არის.

– გენერალური პროკურორის მოადგილედ თქვენი მეუღლის დანიშვნის შემდეგ პარლამენტარები პოლიტიკურ ზნეობაზე ალაპარაკდნენ. თქვენ როგორ ფიქრობთ?

– რომ გვეფიქრა, რამე ამორალურს ვაკეთებდით, მე და ჩემი ქმარი ამ ნაბიჯს არ გადავდგამდით. ვიცოდით, რომ ეს ფაქტი აზრთა სხვადასხვაობას გამოიწვევდა, მაგრამ ასეთ რეაქციას ნამდვილად არ ველოდით. არასწორად მიმაჩნია აჟიოტაჟი, რაც ამისთვის ატყდა და წარმოუდგენელია, ამის გამო პარლამენტი დავტოვო. ყველაფერი დალაგდება და „ახლების“ ფრაქციაც დარწმუნდება, რომ ბადრი ბიწაძე გენპროკურატურაში ანგარიშსწორებისთვის არ მისულა. ბ-ნმა ლევან გაჩეჩილაძემ თქვა, – ისიც ვერ მოიფიქრეს, ამ თანამდებობაზე ვინმე „პადსტავნოი“ დაენიშნათო. ჩვენ არ გვიკადრია ამ თანამდებობაზე ისეთი ვინმე დაგვენიშნა, ვისაც მართვას დავუწყებდით. ბადრი ბიწაძე მთავარი სამხედრო პროკურორი იყო, ის ქუჩიდან არ მოუყვანიათ პროკურატურაში. რეალურად მისი ჰორიზონტალურად გადანაცვლება მოხდა და არა ვერტიკალზე ასვლა.

– რაკი თქვენს მეუღლეზე ვლაპარაკობთ, იქნებ გაიხსენოთ როგორ გაიცანით...

– 11 დეკემბერს 17 წელი გახდა, რაც მეუღლეები ვართ. პირველ კურსზე ვიყავი, როცა ბადრი გავიცანი. ძალიან ყურადღებიანი და დელიკატური იყო. იმ დროს კალათბურთს ვგულშემატკივრობდი. არასდროს დამავიწყდება, ბადრიმ სპორტის სასახლეში დამპატიჟა თბილისის „დინამოსა“ და კაუნასის „ჟალგირისის“ მატჩზე. 4 ბილეთი მოიტანა, 2 ჩვენთვის, დანარჩენი კი მათთვის, ვისაც საჭიროდ ჩავთვლიდი —უხერხულ მდგომა-

რეობაში არ ჩამაყენა. ასეთ დელიკატურობას ყოველთვის ამჟღავნებდა და ჩემთვის ეს ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რადგანაც ტრადიციულ ოჯახში ვიყავი გაზრდილი და თავს ზედმეტ თავისუფლებას არ ვაძლევდი.

– როგორი სტილის ტანსაცმელს ანიჭებთ უპირატესობას?

– კლასიკური სტილი მომწონს, არასოდეს ჩავიცვამ რამე ექსტრავაგანტურს. მეტ-ნაკლებად მშვიდი და ზომიერი ტანსაცმელი მიყვარს, სიგრძე-სიგანითაც და ფერებითაც.

– ვარცხნილობას სად იკეთებთ?

– ბოლო ხანებში შინ. ძალიან ცოტა დრო მრჩება საკუთარი თავისთვის.

– თქვენი გასპიკერების შემდეგ რა შეიცვალა თქვენს ოჯახში?

– ძალიან ბევრი რამ. ხან ხელსაწმენდი თავდება, ხან ნათურა იწვება უდროოდ... მანამდე ასეთ საკითხებს მე ვაგვარებდი, ახლა მაღაზიაში შესვლასაც ვერ ვახერხებ, რომ შამპუნი მაინც მივიტანო შინ. ოჯახში 2-3 კვირის მანძილზე ისმოდა განცვიფრებული შეძახილები – რა ყველაფერი ახლა ფუჭდება და რა ყველაფერი ახლა თავდებაო! რაზეც აღშფოთება გამოვთქვი, – ადრე თქვენ ვერ გრძნობდით, რომ ყველაფერ ამას მე ვაგვარებდი-მეთქი. ახლა ჩემი ძველი ფუნქციები უკვე ოჯახის სხვა წევრებზე გადანაწილდა.

– საახალწლო სუფრაზე თქვენი ნახელავი რა გექნებათ?

– ნამცხვარი. იმედია, მექნება იმის საშუალება, რომ „იდეალი“ და „კალათები“ გამოვაცხო. მაცივარში საგანგებოდ ვინახავ გარგარს, რადგან ძალიან მიყვარს გარგრის ღვეზელი. შეიძლება სადილიც მოვამზადო. აი, საცივის გამზადებას კი დედაჩემი არავის ანებებს.

– ოჯახის წევრები ასაჩუქრებთ ერთმანეთს?

– ბუნებრივია, თოვლის ბაბუას მოაქვს საჩუქრები, რომელთაც ნაძვის ხესთან აწყობს. შესაძლოა უფროსებმა ერთმანეთს კაშნე, კოსმეტიკური ნაკრები ან ჰალსტუხი ვაჩუქოთ.

– რა სურვილს ჩაიფიქრებთ ღამის 12 საათზე?

– ყველაზე მეტად ვისურვებდი სიმშვიდეს ქვეყანაშიც და ჩემს ოჯახშიც. ძალიან აფორიაქებულები ვართ და მინდა ეს განცდა ნაკლებად გვქონდეს. მთელ მოსახლეობას ვუსურვებ ბედნიერებას, წარმატებებს, ეცხოვროთ ისეთ საქართველოში, როგორსაც იმსახურებენ. ქართველი კაცი არც ზარმაცია და არც უნიჭო... ჩვენს პოლიტიკოსებს ვუსურვებ, ხალხისთვის საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციის საშუალება მიეცათ.

ესაუბრა იზო რიკაძე

კვირის პალიტრა 2001.-31 დეკემბერი-6 იანვარი.– №53. – გვ. 7

ნინო ბურჯანაძე გაზაფხულზე მინისტრთა კაბინეტის შემოღებას იმედოვნებს

„ან არ უნდა გადაგვეყენებინა მთავრობა,
ან ის რადიკალურად უნდა შეგვეცვალა“

„მძიმე ტვირთია, იყო პარლამენტის თავმჯდომარე და ეს ალბათ ყველა ქვეყანაში ასეა. მით უმეტეს ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. პოლიტიკურ ინტრიგებში მე ვარ სუსტი. ეს არ არის ჩემი სფერო და ის მე არც მიზიდავს. მიყვარს ღია, გახსნილი საუბარი და თამაშის ღია წესები. ალბათ ეს მიშლის ხელს პრობლემის მოგვარებაში, თუმცა მეორე მხრივ, შეიძლება ეს პლუსიც იყოს“, – აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე.

იგი იდეალად პოლიტიკაში დიდი ბრიტანეთის ყოფილ პრემიერ-მინისტრს, მარგარეტ ტეტჩერს მიიჩნევს: „მიუხედავად იმისა, რომ ჩემი იდეალი ნამდვილად არის მარგარეტ ტეტჩერი, ჩემს თავს ნამდვილად ვერ მივცემ იმის უფლებას, რომ რამენაირად მისი პოლიტიკური ფიგურის წონას ჩემი თავი შევადარო. თუმცა ერთია, რომ ასეთი წარმატებული ფიგურების საქმიანობის შესწავლიდან აუცილებლად უნდა გამოვიტანოთ დასკვნები. შევეცადოთ, რომ გადაწყვეტილებების მიღების დროს გაიზიაროთ ის გამოცდილება, რაც ამ წარჩინებულ ადამიანებს ჰქონდათ. დღევანდელ საქართველოში აუცილებელია მკაცრი ხელი და პოლიტიკური გამბედაობა გადაწყვეტილების მიღების დროს. მიჭირს იმის თქმა, რა როლი მექნება უახლოეს ქართულ პოლიტიკაში და რამდენად წარმატებული პოლიტიკოსი ვიქნები, მაგრამ ერთი რამ ცხადია: შევეცდები, ჩემი ყოფნით პოზიტივი შევიტანო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში“.

„რეზონანსი“: რამდენადაა გამოკვეთილი საქართველოში საგარეო და საშინაო პოლიტიკის ორიენტირები?

ნ. ბ.: საქართველოს საკმაოდ მკაფიოდ ჩამოყალიბებული საგარეო პოლიტიკური ორიენტირები გააჩნია. ჩვენ არასოდეს არ ვიტყვით იმაზე უარს, რასაც ევროპული ფასეულობები ჰქვია. ამასთანავე, აუცილებლად უნდა შევინარჩუნოთ კეთილმეზობლური ურთიერთობები ჩვენს მეზობელ სახელმწიფოებთან, მათ შორის რუსეთთან. ესეც ერთ-ერთი პრიორიტეტია. ჯერ ერთი, ნებისმიერ მეზობელთან, ძლიერი იქნება ის თუ სუსტი, უნდა შეეცადოს ნორმალური ქვეყანა, რომ ჰქონდეს კარგი ურთიერთობა. მით უფრო, როდესაც საქმე ეხება ისეთ სუპერსახელმწიფოს, როგორიც რუსეთია. მართალია, კლასიკური გაგებით რუსეთი სუპერსახელმწიფო არ არის, თუმცა საქართველოსთან შედარებით ის საკმაოდ ძლიერია და ჩვენი ურთიერთობების დაურეგულირებლობის შემთხვევაში მნიშვნელოვანი პრობლემების მოტანა შეუძლია. რა თქმა უნდა, ეს ვერ მოხდება საქართველოს ინტერესების ხარჯზე, მაგრამ ვფიქრობ, რომ უნდა გვეყოს ქართველ და რუს პოლიტიკოსებს იმის გამბედაობა, შევხედოთ რეალობას და მოვახერხოთ იმ ინტერესების გამონახვა, რაც ორ ქვეყანას საერთო აქვს. ამავე დროს, პატივი ვცეთ განსხვავებულ პოზიციებს, რომლებიც საქართველოსა და რუსეთს გააჩნიათ. ჩვენ გვაქვს ჩვენი ვიწრო ინტერესები. რუსეთისგან განსხვავებით, არა გვაქვს დიდი პოლიტიკური ამბიციები. ის ეტევა ჩვენს გეოგრაფიულ საზღვრებში და ამიტომ, ბუნებრივია, რუსეთმა პატივი უნდა სცეს იმას, რასაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა ჰქვია. რუსეთმა უნდა შეძლოს და ისწავლოს საქართველოსთან, როგორც თანასწორ პარტნიორთან საუბარი და ჩვენც ასევე პატივისცემით უნდა მოვეკიდოთ რუსეთის კანონიერ ინტერესებს. რაც შეეხება შიდა პოლიტიკურ პრიორიტეტებს, ჩვენი ნომერი პირველი ამოცანა ქვეყანაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაა. თუ ჩვენ არ დავანახეთ მოსახლეობას რეალური ბრძოლა კორუფციის წინააღმდეგ, კრიზისს თავს ვერ დავაღწევთ. ასევე არავის არ უნდა მივცეთ იმისი საშუალება, რომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა საკუთარი

ინტერესებისათვის გამოიყენოს. ამასთან, დარწმუნებული ვარ, რომ საჭიროა ძალიან სერიოზული გარდატეხა, მართლაც, რკინის ხელით მისაღები გადაწყვეტილებები. პარლამენტის მიერ მიღებული კანონების 50%-ზე მეტი არ მუშაობს, რაც ვერ ქმნის სახელმწიფოში სამართლებრივ გარემოს ნორმალური საქმიანობისთვის. მე არა ვარ ადამიანი, რომელიც ვიღაცის დასჯას აღფრთოვანებით და კმაყოფილებით შეხვდება. თუმცა, როდესაც ლაპარაკია ქვეყნის უზენაეს ინტერესებზე, ყველა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ თუ ეს ეხება სახელმწიფო ინტერესებს, ის დაუსჯელი ვერ დარჩება.

„რ.“: როდესაც აღნიშნეთ რუსეთის კანონიერი ინტერესი, რა გქონდათ მხედველობაში?

ნ. ბ.: რუსეთი დარწმუნებული უნდა იყოს, რომ საქართველოს მხრიდან მას საფრთხე არ ემუქრება. დარწმუნებული ვარ, რომ საქართველო არასოდეს არ გადადგამს ისეთ ნაბიჯს, რომელიც საფრთხეს შეუქმნის მის უახლოეს მეზობლებს, იქნება ეს რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი. თუმცა, ამავდროულად, რუსეთმაც უნდა დაგვანახოს ის გარანტიები, რაც ჩვენ დაგვარწმუნებს იმაში, რომ რუსეთის მხრიდანაც ჩვენს კანონიერ ინტერესებს საფრთხე არ დაემუქრება. თავის დროზე, როდესაც რუსეთი მხარს უჭერდა აფხაზ სეპარატისტებს, ეს პირდაპირ აღიქმებოდა საქართველოში, როგორც საქართველოსადმი მტრული დამოკიდებულება. თუ რუსეთი შეცვლის თავის პოზიციას აფხაზეთთან მიმართებაში და საქმითაც დაგვანახებს, რომ პატივს სცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, ჩვენი დამოკიდებულებაც განსხვავებული იქნება.

„რ.“: თქვენი პირველი ვიზიტი რუსეთში შედგა, მეორე – ერევანში. არის თუ არა ეს დამთხვევა?

ნ. ბ.: ჯერ კიდევ ზურაბ ჟვანიამ მოსკოვის ვიზიტისას დაადასტურა, რომ საქართველო მიიღებდა მონაწილეობას ესენგეს საპარლამენტო ასამბლეის მუშაობაში. ამდენად, ეს ვალდებულება გადმოვიდა უკვე ჩემზე. პრინციპში, სწორად მიმაჩნია, რომ

ჩვენ მივიღეთ ამ ღონისძიებაში მონაწილეობა. ჩვენი დელეგაცია ერთადერთი იყო ამ ფორუმზე, რომელმაც დააფიქსირა განსხვავებული აზრი ესენგეს საქმიანობასთან დაკავშირებით. რაც შეეხება სომხეთის ვიზიტს, მოხარული ვარ, რომ ეს ვიზიტი შედგა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ადრე სომხეთში არ ვიყავი ნამყოფი და ნამდვილად ჩემთვის დიდ ინტერესს წარმოადგენდა ამ ქვეყნის პოლიტიკური და არა მხოლოდ პოლიტიკური ელიტის გაცნობა. თუმცა ეს შეიძლება ჩაითვალოს ტრადიციის ერთგვარ გაგრძელებადაც. პარლამენტის თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ ზურაბ ჟვანიას პირველი ვიზიტი სომხეთში განხორციელდა. იმავე პერიოდში ვაპირებდი აზერბაიჯანში წასვლას, თუმცა მოველაპარაკეთ აზერბაიჯანელ კოლეგას, რომ შეხვედრა იანვარში გადაგვეტანა. ასევე ვაპირებ თებერვლის ბოლოს თურქეთის მონახულებას. ვიზიტის თარიღები შეთანხმებულია; შემდეგ გადავალ ევროპისა და ამერიკის კონტინენტის სახელმწიფოებზე. ვფიქრობ, რომ რუსეთშიც აუცილებლად უნდა შედგეს სპეციალური ვიზიტი. თუმცა ჯერ არ არის გამორიცხული, რომ უფრო ადრე თბილისში გენადი სელეზნიოვი ჩამოვიდეს. საქართველოს არაჩვეულებრივი ურთიერთობა აქვს როგორც აზერბაიჯანთან, ისე სომხეთთან, თუმცა, სამწუხაროდ, სამკუთხედი ვერ იკვრება. ჩვენ, ალბათ, უფრო აქტიურად უნდა გამოვიყენოთ ის ფაქტორი, რომ საქართველოს აქვს კარგი ურთიერთობა აზერბაიჯანთან და თურქეთთან და სომხეთს – რუსეთთან და ირანთან. ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ ეს ურთიერთობები გამოვიყენოთ ერთმანეთის ინტერესების დაახლოებისათვის და იმისთვის, რასაც კავკასიაში სტაბილურობის დამყარება ჰქვია. რაც შეეხება ცალკეულ საკითხებში რუსეთის, თურქეთისა და ირანის ჩართვას, მე ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ.

„რ.“: რეგიონის მთავარი პრობლემა კონფლიქტებია. როგორ ხედავთ ამ ურთიერთობების გამოყენებას კონფლიქტების მოგვარების საქმეში?

ნ. ბ.: გადამწყვეტი სიტყვა კონფლიქტის მოგვარებაში მაინც კონფლიქტის მხარეებმა უნდა თქვან. რაც შეეხება რუსეთს, ის

შუამავალია აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების სფეროში. ჩვენ აქამდე გვქონდა სამართლიანი პრეტენზიები რუსეთის მისამართით და ვთვლიდით, რომ რუსეთი ერეოდა ამ კონფლიქტის დარეგულირებაში, თუმცა არა საქართველოს სასარგებლოდ. ჩვენ გვინდა, რომ რუსეთმა ითამაშოს სამართლიანი როლი ამ კონფლიქტის მოწესრიგებაში და არა ისე, როგორც ეს მარტო ქართველებს აწყობთ და აფხაზებისთვის მიუღებელი იქნება. თუ აფხაზები არ იგრძნობენ რუსეთის მხრიდან დასაყრდენ ძალას, ისინი ბევრად უფრო კომპრომისულები იქნებიან კონფლიქტის მოწესრიგების თვალსაზრისით. რა როლი შეუძლია ითამაშოს ამ მიმართულებით ევროკავშირმა და საერთაშორისო თანამეგობრობამ? გულუბრყვილობა იქნება მოვითხოვოთ დღევანდელი საერთაშორისო ორგანიზაციებიდან აქტიური ჩართვა კონფლიქტის მოწესრიგებაში სამხედრო თვალსაზრისით და ჩვენ ეს არც გვინდა, მაგრამ გაერო უფრო აქტიური და მკაცრი უნდა იყოს.

„რ.“: 11 სექტემბრის მოვლენების შემდეგ პოლიტოლოგთა ერთმა ნაწილმა გამოთქვა მოსაზრება, რომ მსოფლიო აღარ იქნება ისეთი, როგორიც აშშ-ზე განხორციელებულ ტერაქტებამდე იყო. რამდენად იზიარებთ ამ მოსაზრებას?

ნ. ბ.: მსოფლიო ნამდვილად ვეღარ იქნება ისეთი, როგორიც იყო 11 სექტემბრამდე. ყველას გაუჩნდა დაუცველობის გრძნობა. თავისთავად პოლიტიკური გარემოც მნიშვნელოვნად შეიცვალა. ეს ეხება აშშ-სა და რუსეთის ურთიერთობებსაც. ამ ფონზე ალბათ გადაისინჯება რუსეთის ურთიერთობა მის ყოფილ და დღევანდელ სტრატეგიულ მეგობრებთან და პარტნიორებთან. ძალიან ბევრი რამ იცვლება რუსეთისა და სამხრეთ-აღმოსავლეთის ქვეყნების ურთიერთობებში. ვფიქრობ, რომ ეს პროცესი ასახვას ჰპოვებს არა მხოლოდ ცენტრალურ აზიაზე, არამედ კავკასიის რეგიონზეც. ვერ ვიტყვი, რომ დღესდღეობით ტერორიზმის საფრთხე მსოფლიოში აღარ არსებობს, ან იმდენადაა შემცირებული, რომ მშვიდად შეგვიძლია ვიყოთ. როდესაც აშშ-მა გადაწყვიტა დაესაჯა ტერორისტები, ეს გარკვეულწილად

ხსნის იმას, რასაც ჰქვია დაუსჯელობის სინდრომი მსოფლიოში. ყველა ტერორისტს ხვალ ეცოდინება, რომ ის და მისი დამფინანსებლები იქნებიან სასტიკად დასჯილი იმ აქციების განხორციელებისთვის, რასაც დღეს გეგმავენ. ამდენად ვფიქრობ, რომ გადაწყვეტილება ბინ-ლადენისთვის გამოეცხადებინათ რეალურად მსოფლიოში ომი, იყო სწორი.

„რ.“: თქვენი აზრით, რატომ ვერ ჩამოყალიბდა პარლამენტსა და მთავრობას შორის კონსტრუქციული თანამშრომლობა?

ნ. ბ.: ვთვლი, რომ ურთიერთობა უნდა იყოს კონსტრუქციული, თუმცა კრიტიკა არ უნდა იქნას აღქმული, როგორც მტრობა. ვერ ვიტყვი, რომ ძალიან ბედნიერი ვარ მთავრობის ახალი შემადგენლობის გამო. ვთვლიდი, რომ ან არ უნდა გადაგვეყენებინა მთავრობა, ან თუ გადავაყენეთ, მაშინ რადიკალური ცვლილებები უნდა გაგვეხორციელებინა ამ მთავრობაში. მე არასოდეს დამიმალავს, რომ ვარ აქტიური მხარდამჭერი მინისტრთა კაბინეტის იდეისა. იმედი მაქვს, რომ პარლამენტი საგაზაფხულო სესიაზე აქტიურად დაუბრუნდება მის განხილვას და მივიღებთ ცვლილებებს და შესაძლებლობას მთავრობის სერიოზული გადახალისებისა. ვფიქრობ, დღესაც შეიძლება მთავრობასთან ნორმალური თანამშრომლობა. სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე არის კონსტრუქციულად განწყობილი, ითანამშრომლოს პარლამენტთან.

„რ.“: რამ შეუშალა პარლამენტს ხელი, რომ მთავრობა უკეთესად დაეკომპლექტებინა?

ნ. ბ.: მე მგონი, პოლიტიკურმა დაპირისპირებებმა და ამბიციებმა. იყო შემთხვევები, როდესაც ფრაქციები ერთმანეთის ჯინაზე აძლევდნენ მინისტრებს ხმას.

„რ.“: ბოლო დროს აქტიურად მიმდინარეობს საუბარი რუსული კაპიტალის ექსპანსიაზე საქართველოში და მის გავლენაზე ქართულ პოლიტიკაში. პირადად თქვენ რას ფიქრობთ ამის შესახებ?

ნ. ბ.: საქართველო ძალიან პატარა ქვეყანაა და რომელიმე ერთი ქვეყნისა და ძალის სერიოზული კაპიტალის შემოდინება

იწვევს არა მარტო პოლიტიკოსების, არამედ მოსახლეობის შეშფოთებასაც. ჩვენ მაქსიმალურად უნდა შევეცადოთ, რომ ყველა მხრიდან იყოს დაბალანსებული ის კაპიტალი, რომელიც შემოდის ქვეყანაში. ამ კაპიტალმა მართლა უნდა აკეთოს სასარგებლო საქმე, მაგრამ არ დაიწყოს რეალური ზეგავლენის მოხდენა ქვეყნის შიგნით არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე. ეს ძალიან არასასურველი და მძიმე იქნება ქვეყნისათვის.

გიორგი კალანდაძე

რეზონანსი. – 2001, 31 დეკემბერი, №361, გვ. 2

„კობა ბუჩუკური ნამდვილად არ შედის ქართველ კორუმპირებულთა ოცეულში“

რა უთხრა პარლამენტის თავმჯდომარემ პრეზიდენტს გულახდილად?

ინტერვიუ პარლამენტის თავმჯდომარე
ნინო ბურჯანაძესთან:

„რეზონანსი“: ბოლო დღეების განმავლობაში აფხაზეთთან დაკავშირებით სამი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა: სახელმწიფო მინისტრი ავთანდილ ჯორბენაძე სოხუმში ჩავიდა; ასლან აბაშიძემ მოსკოვი მოინახულა; თბილისში კი გადაწყდა სპეციალური სხდომის მოწვევა აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, რომელზეც შესაძლებელია გადაისინჯოს პარლამენტის მიერ 2001 წლის 10 ოქტომბრის დადგენილება. ამ დოკუმენტის მიხედვით, პარლამენტი აფხაზეთიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანას ითხოვდა. შეიძლება თუ არა ეს სამი მოვლენა იმ ერთიანი სტრატეგიის შემადგენელ ნაწილად მივიჩნიოთ, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას გააჩნია აფხაზეთთან მიმართებაში?

ნინო ბურჯანაძე: ვფიქრობ, რომ დიდი ხანია დადგა დრო, რეალური და კონკრეტული გადაწყვეტილებები იქნას აფხაზეთთან დაკავშირებით მიღებული. საქართველოს პარლამენტს სპეციალური სხდომა არ მიუძღვნია აფხაზეთის საკითხისთვის და ამას თავისი გასამართლებელი საბუთი ნამდვილად ჰქონდა. პირადად მეც ხშირად თავს ვიკავებდი სხდომის ჩატარებისგან, ვინაიდან არ მინდა, რომ კიდევ ერთხელ იმედი გავუცრუოთ ჩვენს მოსახლეობას, განსაკუთრებით დევნილებს. არ მინდა

საპარლამენტო სხდომა ჩატარდეს ისე, რომ ჩვენ ვისაუბროთ, გული მოვიოხოთ და შედეგად ნაბიჯი წინ არ გადავდგათ. როდესაც წინ გადადგმულ ნაბიჯზე ვლაპარაკობ, მესმის, რომ პარლამენტის ერთი სხდომა კონფლიქტს რეალურად ვერ გადაწყვეტს, თუმცა ნაბიჯის გადადგმა კონფლიქტის დარეგულირების პროცესში ნამდვილად შესაძლებელია. ავთანდილ ჯორბენაძის სოხუმში ჩასვლა მნიშვნელოვან მოვლენად მიმაჩნია. ასევე სერიოზულ შედეგებს უნდა ველოდოთ (ყოველ შემთხვევაში, ამის იმედი მაქვს) ასლან აბაშიძის ვიზიტის შემდეგ. ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ პარლამენტის სხდომამდე შეგვექმნა სპეციალური დროებითი კომისია ერთი კონკრეტული საკითხისთვის, რომელშიც შევლენ: ირაკლი მენაღარიშვილი, ავთანდილ ჯორბენაძე, მალხაზ კაკაბაძე, ნუგზარ საჯაია, პეტრე ჩხეიძე, ასევე პარლამენტის წევრები. ვფიქრობ, ჩვენთვის მნიშვნელოვანი იქნება დღევანდელ ვითარებაში ინფორმაციის მოსმენა მოსკოვიდან, სოხუმიდან, ნიუ-იორკიდან, და შემდეგ პარლამენტი ჩამოყალიბდება, რომელი კონკრეტული საკითხის თაობაზე უნდა იმსჯელოს აფხაზეთთან მიმართებაში. ჩვენ ასევე ვიმსჯელებთ რუსეთის სამშვიდობოებთან დაკავშირებით, მოვამზადებთ სპეციალური დადგენილების პროექტს, რომელიც, ჩემი აზრით, აუცილებლად უნდა იყოს კონკრეტული წინ გადადგმული ნაბიჯი კონფლიქტის მოწესრიგების გზაზე.

„რ“: უნდა ველოდოთ თუ არა დადგენილების ტექსტში ისეთი ფორმულირების გაჩენას, რომელიც ითხოვს სამშვიდობო ძალების არა გაყვანას კონფლიქტის ზონიდან, არამედ მანდატის გაფართოებას?

ნ. ბ.: ეს ამას ავტომატურად არ ნიშნავს. პარლამენტმა თავისი პოზიცია ერთხელ ნათლად გამოხატა. მუდმივად ვუსვამ ხაზს იმ გარემოებას, რომ ეს არ იყო პარლამენტის კაპრიზი. აბსოლუტურად დასაბუთებული იყო დეპუტატების გადაწყვეტილება სამშვიდობოების აფხაზეთიდან გასვლის შესახებ. დღეს ისინი რეალურად ასრულებენ არა სამშვიდობოების, არამედ

მესაზღვრეების ფუნქციას, რაც ჩვენთვის აბსოლუტურად მიუღებელია. იმ შემთხვევაში, თუ ისინი თავიანთ მანდატს, ადგილსამყოფელს შეიცვლიან და რეალური გარანტები გახდებიან, რომ დაიწყება ლტოლვილების სერიოზულად დაბრუნების პროცესი; თუ ისინი გადაადგილდებიან მდინარე ღალიძგამდე, რაც ფაქტობრივად ნიშნავს გალის რაიონის რეალურად დაბრუნებას, ასეთ შემთხვევაში პარლამენტი შეცვლილი გარემოებების გამო იმსჯელებს სამშვიდობოების შეცვლილ მანდატთან დაკავშირებით. თუ ეს ყველაფერი განხორციელებული არ იქნა, ვერ ვხედავ საფუძველს იმისათვის, რომ პარლამენტმა თავისი გადაწყვეტილება შეცვალოს.

„რ“: 1994 წლის შეთანხმებით, სამშვიდობოებისათვის მანდატის შეცვლა შესაძლებელია, თუ თანხმობას ამის თაობაზე განაცხადებს როგორც თბილისი, ასევე სოხუმი. რა გარანტია გაქვთ, რომ სოხუმი მანდატის შეცვლას მხარს დაუჭერს?

ნ. ბ.: გარანტია, რა თქმა უნდა, არ არსებობს, მაგრამ ერთ-ერთი გარანტია იქნება რუსეთის გადაწყვეტილება. გარწმუნებთ, რუსეთს აქვს საკმაო ბერკეტები იმისათვის, რომ აფხაზეთის ხელისუფლება, კარგი გაგებით, აიძულოს მიიღოს ის გადაწყვეტილება, რომელიც სამართლიანი და სწორია. ჩვენ არ ვლაპარაკობთ უსამართლო გადაწყვეტილების მიღებაზე.

„რ“: რამდენად დათანხმდება სოხუმი, თუნდაც გალის რაიონში ლტოლვილთა დაბრუნებაზე?

ნ. ბ.: თუ იქნება სერიოზული მცდელობა, რომ დაითანხმონ ამაზე სოხუმი, რუსეთის მხრიდან ამ პროცესის დაწყება რეალურია.

„რ“: თქვენ რუსეთის ფაქტორი ახსენეთ. ამდენად, ხომ არ იყო მიზანშეწონილი, სპეციალურ კომისიაში ასლან აბაშიძეც შეგეყვანათ, რომელიც პრეზიდენტის რწმუნებულის უფლებამოსილებით სარგებლობს?

ნ. ბ.: ეს იმას ნიშნავს, რომ ასლან აბაშიძე თბილისში უნდა ჩამობრძანდეს. შეიძლება, ამ ეტაპზე ეს არც იყოს პრინციპულად

აუცილებელი. ჩვენთვის მთავარია, გვქონდეს სრულყოფილი ინფორმაცია მისი მოსკოვში ყოფნის შედეგების თაობაზე. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთი ინფორმაციის მოწოდებაზე ჩვენ ბატონი ასლანი უარს ნამდვილად არ გვეტყვის.

„რ“: სავარაუდოდ, როდისთვის უნდა ველოდოთ პარლამენტის სხდომის მოწვევას?

ნ. ბ.: ვფიქრობ, ეს საკითხი ძალიან არ გაიწელება დროში. თუმცა, მინიმუმ, 10 დღე მაინც საჭირო იქნება იმისათვის, რომ სერიოზულად მოვამზადოთ სხდომა. თუ ჩატარდა დევნილთა ყრილობა, გარკვეულ მოსაზრებებს ჩვენ ეს ფორუმიც მოგვცემს, რადგან ის დაგვანახებს, რა პრობლემატიკაზეა ყურადღების გამახვილება მნიშვნელოვანი.

„რ“: კიდევ ერთი საკითხი: რამდენიმე დღის წინათ, მთავრობის გაფართოებულ სხდომაზე კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგები შეაჯამეს და ამის თაობაზე გადაწყვეტილებაც მიიღეს...

ნ. ბ.: ვერ ვიტყვი, რომ კმაყოფილი ვარ მთავრობის სხდომის მიმდინარეობით. სამწუხაროდ, შემიძლია გითხრათ, რომ ის იმავე სტილში მიმდინარეობდა, როგორც წინა გაფართოებული სხდომები. ძალიან კარგად მახსოვს წინა სხდომაზე მირიან გოგიაშვილის ძალიან საინტერესო მოხსენება, რომელშიც სწორი ანალიზი იყო გაკეთებული. მაშინ ის აცხადებდა, რომ სამართალდამცავები და ძალოვანი სტრუქტურები ნარკობიზნესის, იარაღით ვაჭრობის, ლამის ადამიანების გატაცების „კრიშები“ არიან. მეგონა, რომ ამ კონკრეტულ მოხსენებას მოჰყვებოდა ძალიან სერიოზული გამოხმაურება. ამ მთავრობის სხდომაზე ვერც ერთი მაღალჩინოსანი თანამდებობის პირის გვარი ვერ მოვისმინე, რომელთა წინააღმდეგაც საქმე იქნა აღძრული იმ ბრალდებებით, რომლითაც მაშინ გამოვიდა ანტიკორუფციული საბჭოს მდივანი. ამიტომ სკეპტიციზმის საფუძველი მაქვს მეც და მოსახლეობასაც. მას შემდეგ რეალურად არაფერი შეგვიცვლია. ვფიქრობ, რომ ძალიან სერიოზული ნაბიჯებია გადასადგმელი

ამ მიმართულებით. მთავრობის სხდომაზე კი მოვისმინეთ, თუ რას აკეთებდნენ ჩვენი სამართალდამცველები და დღეს ისევ ვლაპარაკობთ, რომ ქვეყანაში კორუფციის პრობლემაა. იგივეს ვიტყვი იმ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელიც იქნა მთავრობის სხდომაზე მიღებული. ერთმნიშვნელოვნად ვიტყვი, რომ კანონის წინაშე ყველა უნდა იყოს თანასწორი. თუ ჩვენ მართლა ვაპირებთ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლას, ეს ნებისმიერ ადამიანს ერთნაირად უნდა შეეხოს. თუმცა არსებობს ელემენტარული ლოგიკა, შეფარდებითობისა და შედარების პრინციპი, როცა არ ისჯებიან ადამიანები იმისათვის, რომ ისინი არიან ნარკობიზნესის „კრიშები“ და ამ დროს შეიძლება თანამდებობიდან გათავისუფლდეს გუბერნატორი იმისათვის, რომ მან დეკლარაციაში რაღაც არასწორად მიუთითა. ეს უბრალოდ, შეუსაბამობაა! ვფიქრობ, ამ გადაწყვეტილების მიღება შეიძლებოდა მაშინ, როდესაც გაირკვეოდა, რამდენად სამართლიანი და საფუძვლიანია ის პრეტენზია, რაც კობა ბუჩუკურის მიმართ იყო გამოთქმული. თუ ჩვენ კორუფციასთან ბრძოლა გვინდა, უნდა დავიწყოთ იმ ხალხისგან, ვისი გვარიც და სახელიც ყველამ კარგად იცის და ვინც, მინიმუმ, ათეულში მაინც მოიხსენიება საქართველოში ყველაზე კორუმპირებულთა შორის.

„რ“: თქვენ შეგიძლიათ დაასახელოთ ეს ათეული?

ნ. ბ.: ეს არ არის ამ წუთში კონკრეტულად ჩემი ფუნქცია, მაგრამ თუ ამის აუცილებლობა დადგა, მე ამ გვარებსაც დავასახელებ.

„რ“: თქვენ მთავრობის სხდომის შემდეგ გქონდათ შეხვედრა პრეზიდენტთან. მოახსენეთ თუ არა მას თქვენი მოსაზრება?

ნ. ბ.: პრეზიდენტს ვუთხარი სიტყვა-სიტყვით ის, რასაც ახლა თქვენ გეუბნებით. უმეტეს შემთხვევაში ვცდილობ, ჯერ პრეზიდენტს ვუთხრა ჩემი პრეტენზიები ან განსხვავებული მოსაზრება ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით და მხოლოდ შემდეგ დავაფიქსირო ის ღიად. ვფიქრობ, რომ ესაა მუშაობის ის სტილი, რაც ჩემთვის მისაღებია.

„რ“: და როგორი იყო ამის თაობაზე პრეზიდენტის რეაქცია?

ნ. ბ.: ეს თავად პრეზიდენტს ჰკითხეთ.

„რ“: ბუჩუკურის გადაყენებასთან დაკავშირებით უკვე გაკეთდა შეფასებები, მათ შორის ისეთიც, რომ კობა ბუჩუკურის გადაყენებას პოლიტიკური სარჩული ედო საფუძვლად. თქვენი აზრით, რამდენად სამართლიანია ასეთი შეფასება?

ნ. ბ.: წინასწარი შეფასებებისგან თავს შევიკავებ. დაველოდები იმ მასალებს, რომელიც ჩვენ ნათლად დაგვანახებს, რამდენად სამართლიანია ის პრეტენზია, რომელიც მას წაუყენეს. ძალიან მინდა ეს პრეტენზიები გაქარწყლდეს და არ იყოს მართალი. იმედი მაქვს, ბატონი ბუჩუკური გააკეთებს ყველაფერს იმისათვის, რომ საქმეს ნათელი მოეფინოს. დეკლარაციაში არასწორი ინფორმაციის შეტანა საკმაო საფუძველია იმისათვის, რომ პრეტენზია გამოეცხადოს და თუნდაც გადაყენებულ იქნას გუბერნატორი. თუმცა, ჩემი ინფორმაციით, კობა ბუჩუკური ნამდვილად არ შედის ქართველ კორუმპირებულთა არც პირველ და არც მეორე ათეულში. ალბათ, ამის გამო გაჩნდა შეკითხვები, რატომ მაინცდამაინც კობა ბუჩუკურით დაიწყო კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა საქართველოში.

„რ“: უახლოეს პერიოდში პარლამენტი შეუდგება მუშაობას ცვლილებებზე თვითმმართველობის კანონსა და საარჩევნო კოდექსზე, თანაც ამ ცვლილების შეტანას ითხოვს ის პოლიტიკური ძალა, რომლის განსხვავებული პოზიციის გამოც ერთი წლის წინათ ოპოზიციურმა ფრაქციებმა პარლამენტის მუშაობას ბოიკოტი გამოუცხადეს.

ნ. ბ.: არ ვიტყოდი, რომ ამჟამად ასეთ ცვლილებებს მხოლოდ მოქალაქეთა კავშირი ითხოვს, თუმცა თვითმმართველობის კანონთან დაკავშირებით ყველაზე მეტად ეს ძალა აქტიურობს. საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით ყველა ძალა ერთნაირად აქტიურია. ცოტა ხნის წინათ განვაცხადე, რომ ჩემთვის პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რომ პარლამენტმა, ჩემი თავმჯდომარეობის დროს, მიიღოს თვითმმართველობის ახალი კანონი

და საარჩევნო კოდექსი. ფაქტია, რომ საარჩევნო კანონი იდეალური არაა. თუმცა კარგად მახსოვს ის პერიოდიც, რაც წინ უძღოდა ამ საარჩევნო კანონის მიღებას. მაშინ „მოქალაქეთა კავშირმაც“ ბევრი შეცდომა დაუშვა. ჩემი აზრით, მას ოპოზიციასთან მეტი ძალისხმევა უნდა გამოეჩინა, რომ კანონპროექტი სხვაგვარი ყოფილიყო. ალბათ კარგიცაა, პარლამენტში რომ არ არის ერთმნიშვნელოვნად ჩამოყალიბებული უმრავლესობა, რაც ჩვენ მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ყველა კონკრეტულ ძალასთან ვითანამშრომლოთ. თუმცა, ამავე დროს მინდა პოლიტიკურ ძალებს პარლამენტში მოვუწოდო, რომ გარკვეული კომპრომისებისთვის მოემზადონ. ნამდვილად არ მინდა, რომ საქართველოში შემდგომში ჩატარებული არჩევნების შედეგები კვლავ კითხვის ნიშნის ქვეშ იყოს დაყენებული და გამუდმებული პოლიტიკური დაპირისპირების საგანი გახდეს.

გიორგი კალანდაძე

რეზონანსი. – 2002, 13 თებერვალი, № 039, გვ. 2

„საიდან აქვს აფხაზურ არმიას ვერტმფრენები, უკანასკნელი პერიოდის ტანკები და მძიმე ტექნიკა?“

ექსკლუზიური ინტერვიუ პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძესთან

კოდორის ხეობაში აფხაზური არმიის შესაძლო შეჭრა უშიშროების საბჭოს მოწვევის მიზეზი გახდა. პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის განცხადებით, ხეობაში სიტუაცია კონტროლირებადია, თუმცა რუსეთის მხრიდან მორიგი პროვოკაცია არ გამოირიცხება. საბჭოს სხდომიდან გამოსულმა ძალოვანმა მინისტრებმა აღნიშნეს, რომ კოდორის ხეობაში აფხაზთა შეიარაღებული ძალისა და მძიმე ტექნიკის კონცენტრაცია შეინიშნება, თუმცა ხეობაში ჯერჯერობით სიმშვიდეა. დღეს საბჭო კიდევ ერთხელ, ამჯერად გაფართოებული შემადგენლობით შეიკრიბება.

მას, სავარაუდოდ, პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც დაესწრება, რომელსაც „რეზონანსის“ კორესპონდენტი შეხვდა და ექსკლუზიური ინტერვიუ ჩამოართვა.

„რეზონანსი“: 12 აპრილს რუსეთის სამშვიდობო ძალების 80-კაციანი დესანტის გადასხმის შემდეგ საქართველოსა და რუსეთს შორის უაღრესად დაიძაბა ვითარება. მოგვიანებით რუსმა სამხედროებმა ხეობა დატოვეს. თქვენი აზრით, რამდენად შეიძლება კოდორის ინციდენტი ამოწურულად ჩაითვალოს?

ნინო ბურჯანაძე: პირადად მე მაშინ შემეძლება ვთქვა, რომ კოდორის ინციდენტი ამოწურულია, თუ რუსეთის სათათბიროში, მეტ-ნაკლებად, ობიექტურად იქნება გაშუქებული ის, რაც კოდორის ხეობაში მოხდა. ამასთან, გამოვლენილი და დასჯილი უნდა იყოს ის თანამდებობის პირი, რომელმაც ასეთი ბრძანება

გასცა. წინააღმდეგ შემთხვევაში ნამდვილად არ ვიქნებით დაზღვეულნი იმისგან, რომ მსგავსი ინციდენტი კვლავ განმეორდება. რუსი სამხედროები შეიძლება ბევრ კრიტიკას იმსახურებდნენ, მაგრამ მათ პროფესიონალიზმში ეჭვი არავის ეპარება მთელ მსოფლიოში. მათ კარგად იციან ის საქმე, რასაც აკეთებენ. ამიტომ ეჭვი მეპარება იმაში, რომ რუსმა სამხედროებმა არ იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ და ვერ წაიკითხეს გაეროს ნახევარგვერდიანი ოქმი, რომელიც კოდორის ხეობას შეეხებოდა. ასევე დარწმუნებული არ ვარ, რომ რუსმა სამხედროებმა და იმ პირებმა, რომლებმაც კოდორის ოპერაცია დაგეგმეს, არ იცოდნენ, სად განალაგეს ხეობაში ე. წ. სამშვიდობოების დესანტი. რუსეთის სამშვიდობოები, რომლებიც კოდორში გადაისროლეს, განალაგეს ტრიალ მინდორზე, რომელიც ტყიანი მთებით იყო გარშემორტყმული. პრაქტიკულად ერთი გასროლის შემთხვევაშიც კი ხეობაში შეიძლებოდა განხორციელებულიყო და განვითარებულიყო ისეთი მოვლენები, რომ ყოფილიყო უზარმაზარი მსხვერპლი რუსი სამშვიდობოების მხრიდან და სიტუაციის შემოტრიალება შემდეგ ურთულესი იქნებოდა. ჩვენ საბრძოლო მოქმედებებში ჩათრეულნი ვიქნებოდით. ამიტომ მაქვს სრული უფლება ვილაპარაკო, რომ ეს აქცია იყო შორს გამიზნული პროვოკაცია და იმ ადამიანებმა, რომლებმაც ეს ბრძანება გასცეს, საკუთარი ჯარისკაცები გასწირეს. მე ამის თაობაზე ჩემს რუს კოლეგებსაც ვუთხარი და ვთხოვე, მიიღონ სასწრაფო ზომები, რომ გამოძიებული იქნას, თუ რა მოხდა რეალურად კოდორში.

„რ“: რუსი სამშვიდობოები აცხადებდნენ, რომ ისინი მოქმედებდნენ 2 აპრილის ოქმის საფუძველზე, რომელიც მათ კოდორის ხეობაში პატრულირების უფლებას აძლევდა...

ნ. ბ.: ის, რაც 12 აპრილს კოდორში მოხდა, ვერანაირად ვერ ჩაითვლება პატრულირებად. ამის თაობაზე საუბრობს არა მარტო ქართული მხარე, არამედ ჩვენი რუსი კოლეგებიც, რომლებმაც თავისი თვალით წაიკითხეს გაეროს ოქმი. საქმე ისაა, რომ ერთობლივი პატრულირება ჩატარდა გასული კვირის

ოთხშაბათს და ამის თაობაზე ოქმიც გაფორმდა. თუმცა ის, რაც ორი დღის შემდეგ, 12 აპრილს მოხდა, პატრულირებად ვერ ჩაითვლება, მათ შორის 78-კაციანი დესანტის გადმოსხმა და 14 რეისის გაკეთება იქ უამრავი იარაღისა და ბარგის ჩამოტანის მიზნით. სხვათა შორის, არც არავის უთქვამს, რომ ეს პატრულირება იყო. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში პირდაპირ წერია, რომ იხსნება ახალი საკონტროლო პუნქტი გაეროს ოქმის თანახმად. თუმცა ამავე ოქმში არაფერი წერია საკონტროლო პუნქტის გახსნაზე. მეტიც, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავგზა აურია გაუთვითცნობიერებელ საზოგადოებას, როდესაც საუბარი 2 აპრილის შეთანხმებაზე დაიწყო. ჩვენ თავადაც დავეჭვდით და დავუწყეთ ძებნა ამ ოქმს, თუმცა ეს დოკუმენტი ყველგან, გარდა რუსეთის სამსახურების ინფორმაციებისა, მოიხსენიება 29 მარტის შეთანხმებად. ამდენად, ეს სპეციალურად იქნა გაკეთებული, რათა თავგზა აებნიათ იმ ადამიანებისთვის, რომლებსაც წაკითხული ჰქონდათ 29 მარტის ოქმი.

„რ“: გამოდის, რომ რუსი სამშვიდობოები მოქმედებდნენ არარსებული ოქმის საფუძველზე.

ნ. ბ.: რა თქმა უნდა.

„რ“: თქვენი აზრით, რა შეიძლება ყოფილიყო კოდორში რუსების გადმოსხმის მთავარი მიზანი? გავრცელდა მოსაზრება, რომ რუსების დესანტის გადმოსხმა შეიძლება წმინდა დაზვერვით ხასიათს ატარებდა, რათა რუსებს გაეგოთ, რა ოდენობის სამხედრო ძალა და შეიარაღება ჰქონდათ ქართველებს ხეობაში; ასევე გაეგოთ, იყვნენ თუ არა ხეობაში ჩეჩნები.

ნ. ბ.: გარკვეულწილად, ესეც არ არის გამორიცხული. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ იმას, რა რაოდენობის ბარგით ჩამოვიდნენ რუსი სამხედროები კოდორის ხეობაში, ვფიქრობ, რომ ეს უფრო შორს გამიზნული გეგმა იყო, ვიდრე მხოლოდ დაზვერვა. დაზვერვა შეიძლება ყოფილიყო ერთ-ერთი პუნქტი იმ გეგმაში, რაც რუს სამხედროებს ჰქონდათ.

„რ“: 12 აპრილს პრეზიდენტი უშუალოდ ჩავიდა კოდორის ხეობაში. იყო თუ არა ეს გამოწვეული სრული ინფორმაციის არ არსებობით? ასევე, იყო თუ არა გამართლებული პრეზიდენტის განკარგულება, რომელიც მან თავდაცვის მინისტრს მისცა?

ნ. ბ.: პრეზიდენტის მხრიდან განკარგულება იყო გაცემული არა იმაზე, რომ ესროლათ რუსების წინააღმდეგ, არამედ იმაზე, რომ ემოქმედათ სიტუაციის მიხედვით, ანუ იმ შემთხვევაში, თუ რუსების მხრიდან იქნებოდა გასროლა ან რაიმე სხვა პროვოკაცია, შესაბამისი ზომები მიეღო საქართველოს თავდაცვის სამინისტროსაც. თავად პრეზიდენტიც იმიტომ ჩავიდა კოდორში, რომ პირველ ყოვლისა, არ მომხდარიყო გასროლა. ხეობაში გასროლის შემთხვევაში ლოკალური მასშტაბით შეიძლება ქართველებს მოეგოთ, ისეთ მდგომარეობაში იყვნენ იქ რუსი სამხედროები; მაგრამ მეორე საკითხია, ამას რა პოლიტიკური შედეგები მოჰყვებოდა და როგორ ფართომასშტაბიან პრობლემაში გადაიზრდებოდა. ვფიქრობ, რომ პრეზიდენტის ეს განკარგულება სწორი იყო. ალბათ თავდაცვის სამინისტრო თავად განსაზღვრავდა, რა გადაწყვეტილება უნდა ყოფილიყო მიღებული. მე ნამდვილად არ ვარ სისხლისღვრის მომხრე; პირიქით, მომხრე ვარ, რომ ნებისმიერი საკითხი გადაიჭრას მშვიდობიანი გზით. თუმცა, როგორც ჩანს, საჭიროა, რომ ხანდახან მეორე მხარემაც დაინახოს ჩვენგან გარკვეული ძალა და გამბედაობა. ჩვენ არაერთხელ აღმოვჩნდით პროვოკაციის წინაშე. ის ჯარი, რომლის შექმნასაც ვაპირებთ, იმისთვის კი არ გვჭირდება, ვინმე ამოვხოცოთ, არამედ იმისთვის, რომ მხარეს, რომელსაც გაუჩნდება მსგავსი პროვოკაციების განხორციელების სურვილი, არ ჰქონდეს ილუზია, რომ ქართული ჯარი გამკლავებას ვერ შეძლებს. ჩვენ ძლიერი ჯარი კონფლიქტს თავიდან აგვაცილებს. მე არა ვარ მომხრე თვითმფრინავების ჩამოგდებისა და ამით გამოწვეული მსხვერპლისა, მაგრამ იმის მომხრე ნამდვილად ვარ, რომ ასე განუკითხავად ჩვენს ტერიტორიაზე ვერ შემოდიოდნენ უცხო ქვეყნის თვითმფრინავები და ვერ ბომბავდნენ ვერც

პანკისისა და ვერც კოდორის ხეობებს. როდესაც იარსებებს რეალური საშიშროება იმისა, რომ უკანონოდ შემოფრენილი თვითმფრინავი ჩამოგდებული იქნება, სხვები ასჯერ იფიქრებენ, ვიდრე ერთხელ თვითმფრინავს გამოუშვებენ. საქართველომ უნდა შეძლოს კანონიერი ინტერესების დაცვა.

„რ“: ამას წინათ თქვენ აღნიშნეთ, რომ აპირებთ პანკისისა და კოდორის ხეობების მონახულებას. რა არის თქვენი ამ ვოიაჟების ძირითადი მიზანი გარდა იმისა, რომ ადგილზე გინდათ ნახოთ, თუ რა ხდება ხეობებში?

ნ. ბ.: არა მარტო კოდორისა და პანკისის ხეობების მონახულებას ვაპირებ, იმედი მაქვს, რომ გალის მონახულებასაც შევძლებ. სანკტ-პეტერბურგში ვიზიტისას მე ჩემს რუს კოლეგებს შევთავაზე გალში ჩასვლა, რათა მათ საკუთარი თვალით ნახონ, რომ გალის რაიონი დღეს პრაქტიკულად ცარიელია. იქ არის ცარიელი სახლები და რუსეთის პოზიტიური ქმედებების შემთხვევაში ნამდვილად შეიძლება, შესაბამისი უსაფრთხოებითი გარანტიებით, ლტოლვილების დაბრუნების პროცესის დაწყება. თუ სამშვიდობოების მანდატის შეცვლა მოხერხდება, როგორც ეს საქართველოს ხელისუფლებას სურს, გალის რაიონში ლტოლვილთა დაბრუნება კონფლიქტურ სიტუაციას არ შექმნის. გალში ყოველთვის მხოლოდ ქართველები ცხოვრობდნენ. რაც შეეხება კოდორში გამგზავრებას, იქ ჩასვლა ინციდენტამდეც მინდოდა. მე უკვე ვესაუბრე დავით თევზაძეს და ვთხოვე დრო შეერჩია, როდის იქნებოდა უკეთესი კოდორში ჩემი ჩასვლა. მე მინდა ვნახო, რა ხდება კოდორში; მინდა გავიგო, რეალურად რა პრობლემები აქვს ადგილობრივ მოსახლეობას. ვფიქრობ, უახლოეს დღეებში ჩავალ კიდეც კოდორის ხეობაში.

„რ“: რამდენად სერიოზულად მიგაჩნიათ აფხაზური არმიის მუქარა, რომ ისინი მძიმე ტექნიკას შეიყვანენ კოდორის ხეობაში?

ნ. ბ.: ამ მუქარას სერიოზულად განვიხილავ. მხოლოდ აფხაზურ არმიაზე რომ იყოს საუბარი, სერიოზულ ყურადღებას არ მი-

ვაქცევდი, რადგან ისინი ბევრს ვერაფერს მოახერხებენ, ისევე როგორც ვერაფერს შეძლებდნენ 1992-1993 წლებში რუსი გენერლების დახმარების გარეშე. ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ აფხაზურ არმიას ისინი ზურგს არ უმაგრებდნენ. ამიტომ სერიოზული მუშაობა გვჭირდება რუსეთის ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებთან. არ მინდა მოხდეს ისე, რომ რუსეთის ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებმა გააკეთონ ერთი, გენერლებმა კი – მეორე. არ მინდა ყველაფერზე რუსეთისკენ გავიშვიროთ ხელი, მაგრამ ვიკითხოთ: საიდან აქვთ აფხაზებს საკუთარი კატარღები, როდესაც საქართველომ ეს მხოლოდ ნატოს, აშშ-სა და თურქეთის დახმარებით შეძლო? საიდან აქვს აფხაზურ არმიას ვერტმფრენები, უკანასკნელი პერიოდის ტანკები და მძიმე ტექნიკა? ტანკი ხომ ვერ შემოვა კონტრაბანდული წესით? დავსვათ ეს კითხვა და შემდეგ ვილაპარაკოთ, რამდენად სამართლიანია ჩვენი პრეტენზიები ჩვენი ჩრდილოელი მეზობლების მიმართ. თუმცა დიდი იმედი მაქვს, რომ ის ძალები რუსეთში, რომელთაც სურთ საქართველოსთან კეთილმეზობლური და ნორმალური ურთიერთობების განვითარება, უფრო მომძლავრდებიან, ვიდრე ის ძალები, რომლებიც რეალურ ქმედებებს ახორციელებენ საქართველოს წინააღმდეგ.

გიორგი კალანდაძე

რეზონანსი. – 2002, 20 აპრილი, №106, გვ. 2

ვფიქრობ, არავის არანაირი შტურმი არ დასჭირდება ჩემი თანამდებობის დასაკავებლად...

საქართველოზე გადის „წითელი ხაზი“

...თუ დაპირისპირება ამ ფორმით გაგრძელდა, არჩევნები მშვიდად ვერ ჩაივლის. ...საქართველოს პარლამენტს არ სჭირდება 235 დეპუტატი, მით უმეტეს 7 ვიცე-სპიკერი. თუ 50 – მილიონიანი უკრაინის პარლამენტში 435 დეპუტატს ორი ვიცე-სპიკერი ართმევს თავს, რა აუცილებელია 7 ვიცე-სპიკერი გვყავდეს?

...შეიძლება დადო ფიცი, რომ არასოდეს აფხაზეთს არ დავკარგავთ, რომ აუცილებლად დავიბრუნებთ, მაგრამ ფიცი დადო, რომ 1 აგვისტოს შემდეგ რაღაც მოქმედებებს დავიწყებო, კატეგორიულად მიუღებელია. იმედი მაქვს, რომ გონს მოვლენ ის ადამიანები, რომლებიც მსგავს განცხადებებს აკეთებენ. ევროპის საბჭოს კომისიამ საქართველოს დასწამა ის, რაც ჩვენს დაუძინებელ მტრებსაც არ მოსვლიათ არასდროს ფიქრად – თურმე ჩვენში რასიზმი ბატონობს(!). ამას ასკვნიან ბასილ მკალავიშვილის ქმედებებიდან გამომდინარე... და ეს ხდება მაშინ, როცა პრობლემების მოსაგვარებლად საქართველოს დამატებით ექნება უაღრესად ხელსაყრელი საერთაშორისო გარემო. რასისტულ ქვეყნებს და რეჟიმებს რა „პერსპექტივაც“ აქვთ თანამედროვე მსოფლიოში, ცნობილია... „აფხაზეთის პრობლემა შეიძლება რუსეთისა და აშშ-ის პრეზიდენტების დიალოგის ერთ-ერთი სერიოზული თემა გახდეს. ამასთან, ევროკავშირიც ამზადებს სერიოზულ დოკუმენტს აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით და ეს პროცესები შესაძლოა ისე სწრაფად განვითარდეს, რომ ჩემი წასვლის დროისთვის ვალმოხდილი აღმოვჩნდე. ბედნიერი ვიქნები, ეს ასე რომ მოხდეს“, – აცხადებს პრეზიდენტი შევარდნაძე მიმდინარე კვირაში მოსკოვში დაგეგმილი

ბუში-პუტინის სამიტის წინ! „რუსეთი დაინტერესებულია, საქართველო იყოს ძლიერი და ერთიანი, რაც შეესატყვისება რუსეთის ნაციონალურ ინტერესებს“ – ამას კი პრეზიდენტ პუტინის უახლოესი თანამოაზრე და ხელქვეითი, ФСБ-ს შეფი ნიკოლაი პატრუშევი აფიქსირებს თბილისში. რა თქმა უნდა, ვერ ვიტყვით, რომ სანდოა რუსი მაღალჩინოსნის ეს განცხადება, რომლის მსგავსიც დღემდე არაერთი მოგვისმენია, მაგრამ ვფიქრობ, აქ საყურადღებოა სწორედ გლობალურ პოლიტიკაში მიმდინარე უმნიშვნელოვანესი პროცესები. ამერიკისა და რუსეთის პრეზიდენტები მოსკოვში გამართული მოლაპარაკების შემდეგ, სადაც ხელს მოაწერენ ხელშეკრულებას ბირთვული შეიარაღების მკვეთრი შემცირების შესახებ, 28 მაისს რომში მონაწილეობას მიიღებენ ნატოს სამიტში და ასევე ხელს მოაწერენ ხელშეკრულებას ალიანსის ახალი აღმასრულებელი ორგანოს „ნატო-რუსეთის საბჭოს“ შექმნის თაობაზე, რომლის საფუძველზეც დღემდე არსებული ფორმატი 19+1 (ნატოს წევრი 19 ქვეყანა+-რუსეთი) გარდაიქმნება ნატოს „ოცეულად“. ამ მნიშვნელოვანი მოვლენის არსი მდგომარეობს იმაში, რომ ნატოში კარგად ესმით – არასტაბილური და განზე მდგომი რუსეთი სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის ევროპულ უსაფრთხოებას. დასავლეთს იმედი აქვს, სწორედ „ოცეულის“ წევრ რუსეთთან მოლაპარაკებებითა და რუსეთის მონაწილეობით დაამკვიდრებს მტკიცე სტაბილურობასა და უსაფრთხოებას არა მხოლოდ ევროპაში, არამედ მთელ ევრაზიულ სივრცეში. აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების პერსპექტივაც ევრაზიული უსაფრთხოების მიღწევის კონტექსტში უნდა განვიხილოთ... ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე ვესაუბრები პარლამენტის თავმჯდომარეს, ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს:

ნინო ბუჯანაძე – ფაქტია, რომ საქართველოს პოლიტიკური და უსაფრთხოების გარანტიების ხარისხი მსოფლიოში ბევრად უფრო მაღალია, ვიდრე ეს იყო 8-9 წლის წინ, როცა იბომბებოდა აფხაზეთი და იქ მიმდინარე სისხლისღვრის მიუხედავად,

ჩვენთვის არავის ეცალა. დღეს კი საქართველოს პრობლემები ბევრი სახელმწიფოსთვის ძალზე მნიშვნელოვანია და თუ ვითარება კვლავ გამწვავდება, საქართველო არავითარ შემთხვევაში არ აღმოჩნდება მარტოდმარტო ამ პრობლემების წინაშე. ვფიქრობ, საქართველოს საფრთხე უფრო შინაური პრობლემებიდან გამომდინარე ემუქრება, ვიდრე გარედან. თუმცა ისიც აშკარაა, რომ ბევრი მათგანი სწორედ გარედან არის ინსპირირებული. კოდორის გარშემო შემაშფოთებელი მოვლენები გარკვეულწილად გრძელდება, მაგრამ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ განაცხადა, – არანაირ საომარ მოქმედებებს კოდორის მიმართულებით არ ვაპირებთ და მხოლოდ ჩვენი ფორმირებები გადაადგილდნენო. იმედი მაქვს, ასეა, რადგან მათი ნებისმიერი ქმედება, ხელმოწერილი დოკუმენტებისა და საერთაშორისო სამართლის ნორმების თანახმად, საქართველოს ხელისუფლებასთან უნდა იქნეს შეთანხმებული... რაც შეეხება ბუში-პუტინის სამიტს, უდავოდ დიდი მნიშვნელობა აქვს, რით დამთავრდება მოლაპარაკება. მართალია, რუსეთი დასუსტებულია და სუპერსახელმწიფოების კრიტერიუმებს ვეღარ აკმაყოფილებს, მაგრამ მისი უგულებელყოფა არ შეიძლება. ვფიქრობ, ბუში-პუტინის შეხვედრის შედეგები პოზიტიური იქნება მრავალი მიმართულებით. პრეზიდენტი პუტინი საკმაოდ გაწონასწორებული და პრაგმატიკოსი პოლიტიკოსია და ამ მოლაპარაკებებისას მიიღებს რუსეთის ინტერესების შესაბამის გადაწყვეტილებებს, მაგრამ ვფიქრობ, პუტინს შესანიშნავად ესმის ისიც, რომ რუსეთის სახელმწიფო ინტერესებში შედის აშშ-ისა და დანარჩენ მსოფლიოსთან დემოკრატიული და ცივილიზებული ურთიერთობების დამყარება. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ნატო-რუსეთის თანამშრომლობა, რადგან რუსეთს მეტი დემოკრატიული პასუხისმგებლობები დაეკისრება. ერთი რამ ცხადია: ნატოსთან რუსეთის დაახლოება არ უნდა მოხდეს იმ ქვეყნების ინტერესების ხარჯზე, რომლებიც წლების მანძილზე თანამშრომლობენ ნატოსთან და ცდილობენ ალიანსთან ინტეგრი-

რებას. დარწმუნებული ვარ, თავად ნატო არ დაუშვებს ამას და შეეცდება რუსეთთან გონივრული კომპრომისების გამოძებნას. მართალია, „ოცეულის“ შექმნა წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ნატო-რუსეთის პოზიციები სავსებით თანხვდება ერთმანეთს. ნატოს აღმასრულებელ საბჭოში რუსეთის მეოცე ქვეყნად დამატება არ ნიშნავს რუსეთისთვის ვეტოს უფლების მიცემას, რადგან ნატოს აქვს საკუთარი სტრატეგია, ნატოს პარტნიორ სახელმწიფოებსაც თავისი ინტერესები და სტრატეგია გააჩნიათ და არა მგონია, რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარე, ნატომ უარი თქვას აღმოსავლეთით გაფართოებაზე. ნატოსთან საქართველოს თანამშრომლობა-დაახლოება ერთმნიშვნელოვნად გაგრძელდება... ასევე დარწმუნებული ვარ, რომ ბუში-პუტინის მოლაპარაკებებში საქართველოს პრობლემატიკას, უწინარესად აფხაზეთს მნიშვნელოვანი დრო და ადგილი დაეთმობა. სხვათა შორის, დღემდე პრეზიდენტ პუტინთან საუბრისას პრეზიდენტ ბუშს, ნატოს გენერალურ მდივან ლორდ რობერტსონს და სხვა სახელმწიფოთა მაღალი რანგის წარმომადგენლებს ცალსახად წამოუჭრიათ საქართველოს პრობლემატიკის თემა. ამასთან, ვაშინგტონს არაერთხელ კატეგორიულად განუცხადებია მოსკოვისთვის, რომ საქართველოზე გადის „წითელი ხაზი“, რაც იმას ნიშნავს, რომ იგი ხელშეუხებელია, რადგან საქართველო მნიშვნელოვანი დაინტერესების საგანია არა მხოლოდ რუსეთისთვის, არამედ ამერიკისთვის. მეტიც, ისიც უთქვამთ, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობა შეიძლება იყოს გარკვეული ლაკმუსის საგანი რუსეთის დემოკრატიულობისა და ცივილიზებულობის თვალსაზრისით. მეც არაერთხელ მითქვამს დასავლელი კოლეგებისთვის, რომ მათ რუსეთის დემოკრატიულობისა და გულწრფელობის საზომად სახელმწიფოთაშორის ურიერთობებში უნდა აიღონ არა რუსეთის ურთიერთობა აშშ-თან, საფრანგეთთან, დიდ ბრიტანეთთან, გერმანიასთან და სხვა წამყვან სახელმწიფოებთან, არამედ რუსეთის საქართველოსთან ურთიერთობა, სადაც მო-

სკოვის ინტერესები ნათელია. ამიტომ ვიცით, რომ ვაშინგტონი ყურადღებით აკვირდება, თუ როგორი პოლიტიკა აქვს რუსეთს საქართველოს მიმართ და პირდაპირ გეტყვით, არა მხოლოდ აკვირდება... ბუნებრივია, წინასწარ ძნელია იმის თქმა, კონკრეტულად რას მოილაპარაკებენ ბუში და პუტინი, მაგრამ იმედია, რომ რუსეთის პოზიცია მკვეთრად შეიცვლება აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით. ფაქტია, რუსეთი დღემდე სიტყვიერად ერთ განცხადებას აკეთებს, რეალურად კი ხელს უწყობს სეპარატისტული რეჟიმის გაძლიერებას. ამიტომ ერთმნიშვნელოვნად უნდა დაფიქსირდეს – მოლაპარაკების მაგიდასთან დასხდნენ მხარეები და დაიწყოს სერიოზული მუშაობა სამშვიდობო პროცესის გასააქტიურებლად.

საქართველოს „დიდმა მეგობარმა“ როგოზინმა კვლავ წამოყო თავი. განაცხადა, რომ პანკისის ხეობაში იმალება კასპისკის ტერაქტის მომწყობი ხალილოვი და მოუწოდა კრემლს, სასწრაფოდ დაიწყოს კონტრტერორისტული ოპერაცია პანკისის ხეობაში. თქვენ კარგად იცნობთ როგოზინს და იქნებ გვითხრათ, რა მიზეზებს ეფუძნება მისი სიძულვილი საქართველოსადმი.

მართალი გითხრათ, ეს ჩემთვის არც ისე სასიამოვნო თემაა, რადგან პირადად ნორმალური ურთიერთობა მქონდა ყოფილ კოლეგასთან. მისი ადრინდელი გაწონასწორებული გამონათქვამებიდან, გამოსვლებიდან მქონდა ილუზია, რომ როგოზინი სამართლიან პოზიციას დაიკავებდა საქართველოსთან მიმართებაში. სამწუხაროა, რომ ბატონმა როგოზინმა საკუთარი პოლიტიკური იმიჯის შესაქმნელად აირჩია საქართველოს ლანძღვა-გინების და ანტიქართული განცხადებების კეთების გზა. ეს მისი არჩევანია და ჩემი აზრით, სრულიად არამართებული და უწინარესად, საკუთრივ როგოზინის პოლიტიკური იმიჯისთვისაც არასახარბიელო, მაგრამ პირადად მე აღარ ვაპირებ როგოზინის დემარშებზე არანაირ რეაგირებას, იმდენად აბსურდული განცხადებები გააკეთა ბოლო ორი-სამი თვის მანძილზე საქართველოს საწინააღმდეგოდ.

უაღრესად მნიშვნელოვანი და საინტერესო პროცესები მიმდინარეობს საერთაშორისო პოლიტიკაში, რაც პირდაპირ უკავშირდება საქართველოს მომავალს და ამის კვალდაკვალ, სრულიად გაუგებარია ის, რაც პარლამენტში ხდება. დეპუტატები სხდომებზე არ დადიან, სხდომები იშლება, არადა ეს ხდება ისეთი მნიშვნელოვანი მოვლენების წინ, როგორციაა ბუში-პუტინის სამიტი, ნატოში რუსეთის ინტეგრირება და „ოცეულის“ შექმნა.

მართალია, კვორუმის უქონლობის და დღევანდელი ჩაშლილი სხდომების გამო აღშფოთებული ვარ კოლეგების საქციელით, მაგრამ პოზიტიურს ვერ გადავხაზავ. კოდორის ხეობის კრიზისის დროს პარლამენტი ერთ მუშტად შეიკრა და დღედაღამ მუშაობდა, რაც ნორმალური მოვლენა გახლავთ და არც მე ვიწონებ ამით თავს. არანორმალური ის არის, რაც დღეს ხდება პარლამენტში და ღმერთმა ნუ ქნას და დარწმუნებული ვარ, თუ კვლავ შეიქმნა რაიმე საშიშროება, პარლამენტი იტყვის თავის სიტყვას, როგორც არაერთხელ უთქვამს და რასაც უამრავი კონკრეტული რეზოლუცია, განცხადება, დადგენილება მოჰყოლია ევროსაბჭოში, ევროპარლამენტში, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაში და ა.შ. შეიძლება ამ რეზოლუციებს პრობლემები ბოლომდე ვერ მოუგვარებია, მაგრამ პოლიტიკური და მორალური ზეგავლენა ნამდვილად მოუხდენია ადრესატზე!

ბატონმა თამაზ ნადარეიშვილმა და დევნილებმა პარტიზანებთან ერთად ხატზე დაიფიცეს, რომ თუ 1 აგვისტომდე რეალური წინსვლა არ იქნება აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების საქმეში, ისინი, ფაქტობრივად, ომს დაიწყებენ აფხაზეთში დასაბრუნებლად.

იმედი მაქვს, რომ გონს მოვლენ ის ადამიანები, რომლებიც მსგავს განცხადებებს აკეთებენ. უდიდეს პატივს ვცემ ჩვენს ტრადიციებს და სარწმუნოებას, არც ხატისადმი პატივისცემა მაკლია, მაგრამ ცალსახად ვაცხადებ: ნორმალურ მოვლენად არ მიმაჩნია, რომ 21-ე საუკუნის დასაწყისში ხატზე დაფიცება რაღაც პოლიტიკურ შოუდ გადავაქციოთ. მესმის იმ ადამიანე-

ბისა, ვისაც უკანასკნელი იმედიც ეწურება და ხავსს ეკიდებიან, მაგრამ ფიცის დადება არ არის ის გზა და მეთოდი, რომლითაც პოზიტიურ შედეგს მივაღწევთ. გონიერი ადამიანები ვართ და ყველას კარგად გვესმის, რომ 1 აგვისტომდე შეიძლება ისე რადიკალურად შეიცვალოს ვითარება, რომ სრულიად სხვა პროცესებში აღმოვჩნდეთ. შეიძლება დადო ფიცი, რომ არასოდეს აფხაზეთს არ დავკარგავთ; რომ აუცილებლად დავიბრუნებთ და მეც არაერთხელ ყველა დონეზე შეხვედრისას ცალსახად განმიცხადებია, რომ საქართველო არასოდეს შეეგუება აფხაზეთის დაკარგვას; მაგრამ ფიცი დადო, რომ 1 აგვისტოს შემდეგ რაღაც მოქმედებებს დავიწყებთ, კატეგორიულად მიუღებელია. ყველა გონიერმა ადამიანმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს იმ სიტუაციიდან გამომდინარე, რა ვითარებაც იქნება კონკრეტულ შემთხვევაში. ესა თუ ის ნაბიჯი გარკვეულ ვითარებაში შეიძლება იყოს სწორი, სხვა დროს კი დამანგრეველი. ვიმეორებ, მესმის ლტოლვილების მძიმე მდგომარეობისა და ჩვენი ემოციური განწყობისა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, გვაქვს სერიოზული რეზერვი კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისა და ამ რეზერვებს მაქსიმალურად გამოვიყენებთ. მე ვაპირებ აფხაზეთში ჩასვლას და მოხარული ვარ, რომ აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ერთ-ერთი მაღალი რანგის წარმომადგენელი პოზიტიურად შეხვდა ჩემს ინიციატივას. ჩვენ ვაცხადებთ ყველგან, რომ გვინდა და ვცდილობთ აფხაზეთის პრობლემა მოვაგვაროთ სამართლიანად და მიმაჩნია, რომ კონფლიქტის გადაწყვეტის დროს მხოლოდ ქართული მხარის ინტერესები კი არ იყოს გათვალისწინებული, არამედ აფხაზური მხარისაც – ბუნებრივია, მე კანონიერი და სამართლიანი ინტერესი მაქვს მხედველობაში. მსურს გაგაცნოთ რამდენიმე დღის წინ მიღებული ლტოლვილი ქალბატონის განცხადება. მას ორი შვილი ჰყავს აფხაზეთში დაკრძალული, მათგან ერთი ომში დაეღუპა. ამ განცხადებამ შემძრა. ეს ქალბატონი მთხოვს, როგორც დედას, დავეხმარო მას შვილდაღუპულ აფხაზ დედებთან შეხვედრაში და სჯერა, – ქართველი და აფხაზი დედები მოვნახავთ საერთო

ენასო! ეს არის საოცარი გამოვლინება ადამიანის, დედის დიდსულოვნებისა. როცა განვაცხადე, რომ იქნებ მიეცეთ შესაძლებლობა დაღუპულთა დედებს ერთმანეთთან შეხვედრებისა და თავიანთი შვილების საფლავების მონახულებისა, სოხუმიდან გავრცელდა ინფორმაცია, რომ ამ საკითხს გადაწყვეტს აფხაზეთის ხალხი და აფხაზეთის ხელისუფლებაო. თუ სოხუმის ხელისუფლება მართლა შეეკითხება ხალხს და ეს არ იქნება ვიღაცის კაბინეტში გადასაწყვეტი საკითხი, დარწმუნებული ვარ აფხაზი დედები გულთან მიიტანენ ქართველი დედის თხოვნას. თუ მოხერხდა ჩემი სოხუმში ჩასვლა, ერთ-ერთ საკითხად ამ ინიციატივასაც დავაყენებ. რაც შეეხება კონფლიქტის დარეგულირების პერსპექტივას, მთავარია მოვახერხოთ აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლება აქტიურად ჩაებას მოლაპარაკებათა პროცესში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ვითარება გართულდება და იმ ადამიანთა მდგომარეობაც, რომლებსაც სურთ მშვიდობიანი გზით დაარეგულირონ ეს პრობლემა. მართლაც, რამდენი ხანი შეიძლება ვეუბნებოდეთ თუნდაც დედებს, რომლებსაც ელემენტარულად შვილების საფლავის ნახვა ენატრებათ, მოითმინეთო. ვეღარ ითმენს ეს ხალხი, დრო გადის, ადამიანები იხოცებიან, ასაკი ემატებათ და ეს უნდა გაითვალისწინონ აფხაზებმა და უწინარესად რუსეთმა, რომელსაც გამოკვეთილი ინტერესები აქვს აფხაზეთის კონფლიქტში. იმედი მაქვს, გაიმარჯვებს ის ფრთა, რომელიც პუტინის პოზიციას აფიქსირებს და აცხადებს, რომ რუსეთი პოზიტიურ როლს ითამაშებს ამ საქმეში და ვერ გაიმარჯვებს ის ფრთა, რომელსაც ურჩევნია, რომ აფხაზეთი კვლავაც შენელებული მოქმედების ნაღმი იყოს საქართველოს წინააღმდეგ. ამასთან, ვერავინ დამარწმუნებს, რომ რა ყოფაშიც აფხაზები იმყოფებიან, კარგია მათთვის. აფხაზური მოსახლეობა და მთლიანად აფხაზეთი უმძიმეს დღეშია. ჩვენ გარანტიები უნდა მივცეთ აფხაზურ მხარეს, რომ დაცული იქნება მათი სამართლიანი უფლებები და ამ გარანტიებს გაამყარებს საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევა.

თვითგანადგურების იმ ფაქტს, რაც „მოქალაქეთა კავშირმა“ დაიტეხა თავს, თქვენ, როგორც ამ პარტიის აქტიური წევრი, რა შეფასებას აძლევთ?

თავის დროზე ჩემს მიერ ფრაქცია მოქალაქეთა კავშირის დატოვება განპირობებული იყო იმით, რომ ბევრი რამ, რაც იმ პერიოდში ხდებოდა, არასწორად მიმაჩნდა. არადა, ბევრი საინტერესო იდეა გვქონდა, რომელთა განხორციელების შემთხვევაში დღეს სულ სხვა ვითარება იქნებოდა. საკმაოდ უხმაუროდ გადავდექი პარტიული პოსტიდან სწორედ იმიტომ, რომ უკვე 1998 წელს უჭირდა პარტიას და არ მინდოდა ამის აფიშირება. ველოდი უკეთეს დროს, მაგრამ მოქკავშირს საქმე უარესობისკენ წაუვიდა... მე პირადად არ ვეთანხმებოდი ბევრ საკითხში პრეზიდენტს, არც იმას, რაც ფრაქციაში, პარტიაში, პარლამენტში ხდებოდა, მაგრამ სამწუხაროდ ჩემი პოზიცია არ გაიზიარეს. ვერ ვიტყვი, რასაც ვამბობდი, ყველაფერი სწორი იყო, მაგრამ ბევრი ჩემი პროგნოზი ასრულდა. ქვეყნისთვის არის ძალიან ცუდი, რაც ამ პარტიას დაატყდა თავს. „მოქალაქეთა კავშირმა“ და ხელისუფლებამ ვერ მოახერხეს გამოეყენებინათ უნიკალური შანსი, მაშინ როცა 6 წლის განმავლობაში ვიყავით ერთიანი გუნდი – ვგულისხმობ პრეზიდენტს და საპარლამენტო უმრავლესობას. მთავრობა კი, ფაქტობრივად, იყო კოალიციური, მხოლოდ მოგვიანებით გამოჩნდნენ იქ მოქკავშირის წევრები. რაც შეეხება ზურაბ ჟვანიას, მას ბოლო პერიოდში საკმაოდ ბევრი მტერი გამოუჩნდა, მაგრამ ამდენი ურთიერთბრალდება, სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა ნამდვილად მეტყველებს იმაზე, რომ ჩვენში პოლიტიკური კულტურა არ არსებობს. ის, რაც „მოქალაქეთა კავშირში“ ხდება, არ უნდა გასულიყო ქუჩაში, საზოგადოებაში. პარტიამ თვითონ უნდა გაარკვიოს, ვინ არის მტყუან-მართალი და როცა ამას გაარკვევს, ან გაიყოფა პარტია, ან გაერთიანდება, ან ნაწილი დატოვებს პარტიას და შემდეგ ხალხი გააკეთებს არჩევანს.

ფორმდება ახალი საპარლამეტო უმრავლესობა და კომიტეტების თავმჯდომარეთა პოსტების გადანაწილების შემდეგ

შეიძლება პარლამენტის თავმჯდომარის მიმართაც განახორციელონ შტურმი და თქვენს სავარძელზეც განაცხადონ პრეტენზია. ელით მოვლენათა ასეთ განვითარებას?

ვფიქრობ, არავის არანაირი შტურმი არ დასჭირდება ჩემი თანამდებობის დასაკავებლად. არა ვარ ის ადამიანი, ვინც თანამდებობას ებღაუჭება. თუ დავრწმუნდი, რომ დაკისრებულ მოვალეობას ვერ ვასრულებ სათანადოდ და ამას დააფიქსირებს უმრავლესობა კი არა, თუნდაც პარლამენტის მნიშვნელოვანი ნაწილი, გარწმუნებთ, არავის არ შევუქმნი პრობლემებს და „შტურმამდე“ არ მივიყვან საქმეს. ჩემი ერთადერთი ინტერესი ამ თანამდებობაზე ყოფნისას არის ის, რომ რაღაც სასიკეთო გავაკეთო ქვეყნისთვის. რაც შეეხება ახალი უმრავლესობის შექმნას, ვფიქრობ, ცოტა გადაჭარბებულია ამაზე საუბარი. ჯერჯერობით ვერ ვხედავ ახალ უმრავლესობას. საერთოდ, როცა არ მოგწონს რაიმე და ვიღაცას აკრიტიკებ, მისი შეცდომა აღარ უნდა გაიმეორო. მოქალაქეთა კავშირი და ყოფილი უმრავლესობა დაანგრია სწორედ იმან, რომ ჩვენ, და აქ ჩემს თავსაც ვგულისხმობ, ძალიან ბევრის უფლებას ვაძლევდით თავს. როცა პროცედურის გამარტივება გვინდოდა, მინისტრების 188 ხმით დამტკიცება შევცვალეთ 79 ხმით. რომ გაგვეკონტროლებინა ჩვენი უმრავლესობიდან ვინ რომელ, მინისტრს აძლევდა ან არ აძლევდა ხმას, ფარული კენჭისყრა შევცვალეთ ღია კენჭისყრით. როცა დაგვჭირდა, ბევრი სხვა გადაწყვეტილებაც მივიღეთ და დღეს თუ კვლავ იგივე გავიმეორეთ, ამით არავინ არაფერს მოიგებს. ამასწინანდელ სხდომაზე კანონი შევცვალეთ პოლიტიკური კონიუნქტურიდან გამომდინარე, რამაც დაადასტურა, რომ არანაირი ახალი უმრავლესობა პარლამენტში არ არსებობს – მოთხოვნა იმისა, რომ კომიტეტების თავმჯდომარეებისა და ვიცე-სპიკერების დამტკიცებისას კენჭისყრა ყოფილიყო არა ფარული, არამედ ღია – განპირობებული გახლდათ იმით, რომ თითქოს ერთმანეთთან შეთანხმებულ-გარიგებული ეს პოლიტიკური ძალები არ ენდობიან ერთმანეთს. თუ ეს მოაწესრიგებს

პარლამენტს და უფრო ქმედითუნარიანს გახდის, მოხარული ვიქნები. რეალობა კი ის არის, რომ ეს პოლიტიკური ძალები გაერთიანებული არიან ერთი კონკრეტული მიზნით, კერძოდ კომიტეტების თავმჯდომარეთა და ვიცე-სპიკერების ასარჩევად, რაც განახორციელეს კიდეც. მე პირადად ორი კვირა მოვითმენ კიდევ, სანამ საარჩევნო აჟიოტაჟი ჩაწყნარდება და შემდეგ კონკრეტულ შეკითხვებს დავუსვამ თითოეულ ჩემს კოლეგას, რომელიც მიკროფონთან მივა და მხოლოდ იმით შემოიფარგლება, რომ დამნაშავეებისკენ გაიშვერს ხელს; კერძოდ, მოვითხოვ კონკრეტულ მოსაზრებას, წინადადებას, ქმედებას, თუ რა გავაკეთოთ ქვეყანაში ვითარების რადიკალურად შესაცვლელად. დროა, საქმის კეთებაზე ვიფიქროთ და არა მხოლოდ ურთიერთბრალდებებსა და პოლიტიკური ქულების დაწერაზე.

რამდენად მისაღებია თქვენთვის 7 ვიცე-სპიკერი?

ჩემი უარყოფითი პოზიცია გამოვხატე კონსულტაციებისას და შემდეგ კენჭისყრისას და ვთქვი, რომ საქართველოს პარლამენტს არ სჭირდება 235 დეპუტატი, მით უმეტეს 7 ვიცე-სპიკერი. თუ 50-მილიონიანი უკრაინის პარლამენტში 435 დეპუტატს ორი ვიცე-სპიკერი ართმევს თავს, რა აუცილებელია 7 ვიცე-სპიკერი გვყავდეს? მაგრამ თუ ეს ხელს შეუწყობს პარლამენტის ეფექტიან მუშაობას, შეიძლება დროებით, ერთი წლის მანძილზე იყოს ამდენი ვიცე-სპიკერი, თუმცა მომავალში ასე გაგრძელება დაუშვებელია.

წინასაარჩევნო კამპანია იძენს უკიდურესად საშიშ ხასიათს, საქმე ფიზიკურ ანგარიშსწორებამდეც მიდის.

ეს არის აღმაშფოთებელი და უკვე გავაკეთე განცხადება, რათა ხელისუფლებამ, სამართალდამცავმა ორგანოებმა აღკვეთონ ეს საშიში დაპირისპირება, მით უმეტეს, რომ ერთი მხრიდან საკმაოდ მაღალი თანამდებობის პირები არიან ორგანიზატორები იმისა, რაც ხდება. თუ ცემა-ტყეპა იყო, ამ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძრას. პარლამენტი ამ საკითხზე კიდევ იმსჯელებს. თუ დაპირისპირება ამ ფორმით გაგრძელდა,

არჩევნები მშვიდად ვერ ჩაივლის. ზოგიერთ ხელისუფალს შეიძლება არც აძლევს ხელს სიმშვიდე... მინდა იმედი ვიქონიო, რომ უახლოეს ხანებში ვითარება განიმუხტება და მოვახერხებთ დემოკრატიული და ცივილიზებული არჩევნების ჩატარებას, ვიმეორებ, თუ ასე გაგრძელდა, ეს ძნელად წარმოსადგენი იქნება...

ზურაბ მჭედლიშვილი

კვირის პალიტრა 2002.-20-26 მაისი. – №20. – გვ. 3

რატომ ეშინია ბურჯანაძეს კულუარული ინტრიგების?

პარლამენტის სპიკერის გულახდილი ინტერვიუ

– დღეს მუდმივად ისმის რუსეთის პასუხისმგებლობის საკითხი, მაგრამ რამდენად აცნობიერებს ამ პასუხისმგებლობას თავად თბილისი. ჩვენთან ხომ ყველა აფხაზეთით არის დაკავებული. პასუხისმგებელი პირი არ ჩანს, ჯერ ლორთქიფანიძე, ახლა ჯორბენაძე...

– მეც ვფიქრობდი, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს უნდა გაეწია კოორდინაცია. ერთიანი და სერიოზული სტრატეგია უნდა ჩამოყალიბდეს... ამ მიმართულებით ბევრია გასაკეთებელი.

– ხელისუფლებამ ეს დღემდე ვერ მოახერხა. თქვენ ამ ხელისუფლების იმედი გაქვთ?

სერიოზული პრობლემები არსებობს, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ გარდამტეხი ცვლილებები იქნება. თუმცა, ამისთვის რადიკალური ნაბიჯების გადადგმაა საჭირო. ვიცი, რას ნიშნავს შევარდნაძისთვის აფხაზეთი... რუსეთშიც ნელ-ნელა პოზიტიური ძალები ჩნდება... პუტინი რეალისტი პოლიტიკოსია. იგივე კოდორთან დაკავშირებით მან ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო. ეს მისთვის მარტივი გადაწყვეტილება არ იყო. როცა ის დასავლეთთან დაახლოებაზე საუბრობს, გულწრფელია. მას ესმის, რომ რუსეთისთვის მნიშვნელოვანია დემოკრატიული აზროვნება და არა იმპერიული.

– დემოკრატიული და იმპერიული აზროვნება ახსენეთ. თქვენ ასეთი არჩევანის წინაშე დგახართ საქართველოში?

– საქართველოსნაირ ქვეყანაში ასეთი არჩევანი იქნება. ეს არ არის გასაკვირი... ათი წელი საკმაოდ ცოტაა იმისთვის,

რომ ქვეყანა ჩამოყალიბდეს. ჩვენ კი არა, საფრანგეთი დადგა ამ არჩევანის წინაშე ოცდამეერთე საუკუნეში. და თქვენ რატომ გიკვირთ?

– არა, მე აბსოლუტურად არ მიკვირს. უბრალოდ მაინტერესებს, რამდენად ხართ განწყობილი, საკუთარი პოზიცია ღიად დააფიქსიროთ.

– მე ჩემი პოზიცია დავაფიქსირე. დიდ ფულსა და ოლიგარქებთან დაკავშირებით დავაფიქსირე. სამწუხაროა, რომ ეს პრობლემები არსებობს. ჩვენ შეგვეძლო სწორი პოლიტიკის შემთხვევაში ეს პრობლემები თავიდან აგვეშორებინა.

– ამ ყველაფერს შევარდნაძის პასუხისმგებლობამდე მივყავართ?

– ყველანი პასუხს ვაგებთ... იგივე კომიტეტის თავმჯდომარეების ხელახალი დანიშვნები... მე ღიად არ ჩავთვალე ჩართვა, მაგრამ ღიად დავაფიქსირე საკუთარი პოზიცია. რაც შეეხება იმ მეთოდებს, რომელიც ჭრის, თავი ავარიდე. სწორედ კულუარულ ინტრიგებზე მივანიშნებ. თუ პარლამენტის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ რეალობა უნდა შეიცვალოს, მოდით, ერთხელ მაინც გაკეთდეს ეს ღიად და გახსნილად ამ პარლამენტში, ყოველგვარი კულუარული ინტრიგების გარეშე. მიიჩნევს პარლამენტი, რომ ამ ცვლილებების გარეშე უფრო ეფექტური იქნება საკანონმდებლო ორგანო, ვნახოთ. დიდი იმედი მაქვს, რომ პარლამენტი ბევრად ეფექტური და სახელმწიფოებრივად მოაზროვნე გახდება.

– თქვენ მართლა გჯერათ, რომ საამისოდ ჩვენ შვიდი ვიცე-სპიკერი გვჭირდებოდა?

– ვთვლიდი, რომ ეს სწორი არ იყო, მაგრამ თუ ეს წაადგება, მაშინ იყოს...

– ანუ ეს წაადგება სტაბილურობას პარლამენტში?

– მოდით, ასე ვთქვათ, სტაბილურობას ქვეყანაში.

– შეგიძლიათ თქვათ, რომ პარლამენტში ახალი უმრავლესობა ჩამოყალიბდა?

– არა, უმრავლესობა არ არსებობს. სხვადასხვა იდეოლოგიის ინტერესებისა თუ ამბიციების გამო მონოლითური უმრავლესობა აღარ იარსებებს.

– ანუ, თუ ადრე არსებობდა ისეთი ლიდერი, შევარდნაძის სახით, რომლის გამოც ეს მონოლითური უმრავლესობა იძულებული იყო, მხარი დაეჭირა ან არ დაეჭირა რაიმე გადაწყვეტილებისთვის, მათ შორის თქვენც, ახლა ასეთი ლიდერი არ არსებობს?

– ერთ-ერთი ესეც არის.

– პოლიტიკური თამაშის წესებს არ აღიარებთ. ეს ხომ არ გამოგთიშავთ პოლიტიკიდან საერთოდ?

– მე ჩემი პრინციპები მაქვს. ამ პრინციპების გამო ამირჩიეს ამ თანამდებობაზე და ამ ადამიანად მინდა დავრჩე.

– მაგრამ პოლიტიკა ამის გარეშე არ არსებობს.

– არ ვიცი, ჯერჯერობით ასეა. რა თქმა უნდა, გარკვეული პრობლემები არის იმიტომ, რომ პოლიტიკური თამაშის წესებით არ ვთამაშობ.

– ჟვანია ხშირად ამბობს, რომ მის გამო ხალხს დევნიან და ავიწროებენ. თავის დროზე თქვენ სწორედ ჟვანია გიჭერდათ მხარს. ზეწოლას განიცდით?

– არა, რაც არ მომწონდა, თავის დროზე ჟვანიასაც ღიად ვეუბნებოდი... თუმცა ფსიქოლოგიური ზეწოლა ხშირია. მუდმივი წამოძახილები, ვიღაცა გკარნახობს. ანუ მუდმივად იმის დეკლარირება, რომ ბურჯანაძე მიკროფონებსაც ვიღაცის კარნახით რთავს, მძიმე ასატანია და ჩემი იმიჯის დისკრედიტაციას ისახავს მიზნად.

ალია 2002. – 28-29 მაისი. – №63.– გვ. 4

ნინო ბურჯანაძე: „გამართლება არანაირი მოტივით არ შეიძლება!“

საქართველოს პარლამენტმა გუშინ მიიღო განცხადება, რომელშიც მოსკოვის ტერორისტული აქტი დაგმო და რუსეთს თანადგომა გამოუცხადა. ამასთან, განცხადებაში საგანგებოდაა მინიშნებული, რომ ეს აქტი ერთაშორისი და სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების გამწვავების საფუძვლად არ უნდა იქცეს. გუშინ პარლამენტშიც და საზოგადოებაშიც ხმადაბლა, თუმცა შეშფოთებით მსჯელობდნენ იმაზე, რომ რუსეთმა შეიძლება მოსკოვის ტერორისტული აქტი საქართველოს წინააღმდეგ გამოიყენოს. ამ განწყობიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან, ნინო ბურჯანაძესთან „24 საათის“ საუბარი შესაბამისი შეკითხვით დაიწყო.

– უკვე განვითარებული მოვლენების ლოგიკა ხომ არ იძლევა ვარაუდის გამოთქმის საფუძველს იმის თაობაზე, რომ ეს ტერაქტი, საბოლოო ჯამში, საქართველოს წინააღმდეგ შემოტრიალდეს?

– ალბათ, მიაქციეთ ყურადღება, რომ გუშინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს ტერორისტებმა ქართული დროშა გადმოკიდეს; თითქოს, ქართველები გამოუშვეს; ვერ გეტყვით, რამდენად შეგნებულად, მაგრამ ამას ამბობდნენ ყოფილი მძევლები. მე ვფიქრობ, რომ აქ ჰპოვა გამოვლინება ფსიქოლოგიურმა წნეხმა, რომელსაც ამ მიმართულებით რუსეთის მასმედია წლების მანძილზე ახორციელებდა. არადა, რეალურად, ერთი ქართველია გათავისუფლებული, თუ არ ვცდები – ეროვნებით აფხაზი, თუმცა, ამას არა აქვს მნიშვნელობა, რადგან იგი საქართველოს მოქალაქეა, თანაც ბავშვი. ჩვენი ინფორმაციით, მძევლად რჩება საქართველოს კიდევ სამი თუ ოთხი

მოქალაქე. ამ ტერაქტის საქართველოსთან დაკავშირება ძალიან ხელოვნური იქნება, თუმცა, არ გამოვრიცხავ, რომ იყოს მცდელობები.

– თავად პუტინის განცხადებაც საქართველოს პოლიტიკური წრეების ნაწილმა ასეთ მინიშნებად აღიქვა...

– მე არ მინდა ვიფიქრო, რომ ის განცხადება, რომელიც პუტინმა გააკეთა, რამენაირად საქართველოს მიმართ იყო გაკეთებული. უამრავი ქვეყანა არსებობს, სადაც მართლაც არის სერიოზული ტერორისტული ბაზები, მართლაც არსებობს მცდელობები სხვა ქვეყნებში ტერორისტული აქტების დაგეგმვისა... მე არ ვიცი, რომელი ქვეყანა ჰყავდა ამ შემთხვევაში მხედველობაში პუტინს, მაგრამ ეს ქვეყანა, ალბათ, დასახელდება. ნებისმიერ შემთხვევაში გამოძიება უნდა მოხდეს. მე ვიცი, რომ ჩვენმა სპეცსამსახურებმა შესთავაზეს თანამშრობლობა ბატონ პატრუშევს. ვფიქრობ, ურთიერთობები ცივილიზებული ფორმით უნდა განვითარდეს.

– ტერორისტებთან მოლაპარაკებებში იოსებ კობზონის განსაკუთრებულმა აქტიურობამ და ბერეზოვსკისთან მისმა საყოველთაოდ ცნობილმა კავშირებმა რუსეთში უკვე გააჩინა ვერსია იმის თაობაზე, რომ ტერაქტი შეიძლება დაკავშირებული იყოს ბერეზოვსკისთან მის ჯგუფთან, რომელშიც პატარკაციშვილიც შედის... ამ კუთხიდანაც ხომ არ შეექმნება პრობლემები საქართველოს?

– მე, ამ თვალსაზრისით, ვერაფერს გეტყვით. არა მგონია, ბერეზოვსკი იმდენად უჭკუო იყოს, რომ მსგავსი აქტების განხორციელებაში რაიმე მონაწილეობა მიეღო.

– საქართველოს პარლამენტში დღის განმავლობაში გაჩნდა ეჭვი იმის თაობაზე, რომ საქართველოს პარლამენტმა, შესაძლოა, იჩქარა განცხადების მიღება. გაჩნდა აზრი, რომ იქნებ სჯობდა, მოვლენების განვითარებას დავლოდებოდით?

– ჩვენმა პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ამ ტერაქტისადმი პარლამენტის დამოკიდებულებას გამოხატავს

– გამოთქმულია თანაგრძნობა. მთელი მსოფლიო გამოეხმაურა ამ მოვლენას და განზე არც საქართველო უნდა დარჩენილიყო მით უმეტეს, რომ თითოეული ჩვენგანი შეაშფოთა ამ ფაქტმა. ამასთან, დღეს დილით ვესაუბრე ბატონ მირონოვს, რომელმაც დადებითად აღიქვა საქართველოს პარლამენტის მიერ ამ მიმართვის მიღების ფაქტი. ამ წუთებში ვესაუბრე ბატონ სელეზნიოვსაც – დავაყენე საკითხი გავრცელებული მცდარი ინფორმაციის შესახებ, თითქოს ქართველები ტერორისტების მხრიდან განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდნენ. თავად სელეზნიოვმა განაცხადა, რომ ამ ტერაქტმა არ უნდა გააღვივოს ერთაშორისი და სახელმწიფოთაშორისი შუღლი. დღეს ჩვენ თანაგრძნობა გამოვთქვით. თუ ხვალ დავინახავთ, რომ ჩვენს მიმართ უსამართლო ბრალდებები ვრცელდება, ეს უკვე სხვა განხილვის საგანი გახდება.

– რამდენად იმოქმედებს საქართველოს პარლამენტის კატეგორიული პოზიცია ქართულ – ჩეჩნურ ურთიერთობებზე?

– შეიძლება გავიგო, როცა მებრძოლი ებრძვის შეიარაღებულ მებრძოლს, მაგრამ ერთია ბრძოლა და მეორეა – ტერორისტული აქტი, მით უმეტეს, როცა ეს ეხება უდანაშაულო მოსახლეობას. ამის გამართლება არანაირი მოტივით არ შეიძლება. ვფიქრობ, რომ ამ ფაქტს თავად ჩეჩენი მოსახლეობაც დაგმობს.

თამარ ხორბალაძე

24 საათი 2002 წ. 25 ოქტომბერი № 145 გვ. 1-A3

„მრცხვენია, რომ ასეთი უსუსურები ვართ...“

ქართული პოლიტიკური სპექტრი „იმპიჩმენტობანამ“ მოიცვა. ოპოზიცია პოლიტიკური რევანშისთვის ემზადება და ხელისუფლებასთან ულტიმატუმის ენაზე იწყებს საუბარს. ითქვა, ოპოზიციის მოთხოვნა (თანამდებობაზე დასანიშნთა სია) სახელმწიფო მინისტრს მაგიდაზე უდევს და მისი დაკმაყოფილება გადაწყვეტს ჯორბენაძის ბედსო... ბოლოდროინდელ პოლიტიკურ მოვლენებზე კომენტარი პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს ვთხოვეთ:

– ქალბატონო ნინო, მოსკოვის ტერაქტთან დაკავშირებით საქართველოს მეორე პირის ოჯახის დადანაშულება მოხდა. ფიქრობთ, რომ ეს გამიზნულად გაკეთდა?

– ეს იყო აბსოლუტურად გამიზნული... არ მინდა კონკრეტულ ადრესატებზე მივუთითო, რადგან ჯერ არ მაქვს სათანადო არგუმენტები... რუსეთს განზრახული ჰქონდა საქართველოსთვის ტერორისტების მფარველობა დაებრალებინა და ეთქვა ამ საქმეში პარლამენტის თავმჯდომარის მამაც კი მონაწილეობსო. იმ პირებს კი, რომლებიც საქართველოში არიან (შესაძლოა მის ფარგლებს გარეთაც), ჩემი დისკრედიტაცია ჰქონდათ დაგეგმილი. ჩემს პოზიციას ზედმეტი მოკრძალების გარეშე ვაფიქსირებ რუსეთ-საქართველოს პრობლემურ საკითხებზე. ეტყობა, ვიღაცას რუსეთში ეს ძალიან არ მოსწონდა. ამიტომაც მიმართეს ამ ხერხს – თუ ტერორისტებს მფარველობ და რეპუტაცია შებღალული გაქვს, არც კატეგორიული ლაპარაკის უფლება არ უნდა მისცე თავს. ჩემი პოზიცია ეტყობა საქართველოშიც აწუხებდა ვიღაცას და რუსეთშიც. მამამ გენერალური პროკურორისა და უშიშროების მინისტრის სახელზე განცხადებები შეიტანა. იგი ითხოვს გაირკვეს, საიდან იღებს სათავეს ეს

დეზინფორმაცია. აქვს თუ არა კავშირი მას ჩეჩენ ტერორისტებთან, და ბოლოს ვინ იყო დაინტერესებული ამ დეზინფორმაციის გავრცელებით. მინდა (განცხადებაც გავაკეთო ამის თაობაზე) ამ გამოძიებაში რუსეთის სპეცსამსახურები და გენერალური პროკურატურა ჩართონ. შესაძლოა მერე იმის თქმაც არ შერცხვეთ – გენერალური პროკურორის პირველი მოადგილის სიმამრზე და პარლამენტის თავმჯდომარის მამაზე საქართველოს პროკურატურამ არაობიექტური გამოძიება ჩაატარაო, საერთაშორისო ექსპერტებიც ჩართონ და გაარკვიონ, კავშირი თუ აქვს ჩემს ოჯახს ტერორისტებთან. ძალზე მეუხერხულება ამ თემაზე ლაპარაკი, მაგრამ რაკი არსებობენ პირები, რომელთაც არაფრის რცხვენიათ, სხვა რაღა დამრჩენია.

– „ბოროტი ენები“ ამბობენ, რომ ეს ინფორმაცია მოსკოვში ვახტანგ რჩეულიშვილმა ჩაიტანა.

– არ მინდა ბატონ ვახტანგს ბრალი დავდო, ჯერ კარგად არ ვარ გარკვეული დეტალებში...

– ბოლო დროს ქართულ პოლიტიკაში ყველაზე პოპულარული იმპიჩმენტის თემა გახდა – საიმპიჩმენტო კანდიდატთა სიას (პრეზიდენტი, სახელმწიფო მინისტრი) რამდენიმე დღის წინ ასლან აბაშიძეც მიემატა.

– რამდენიმე კვირის წინ ბურჯანაძის იმპიჩმენტზეც იყო საუბარი. ამის ინიციატორი ბატონი ვახტანგ რჩეულიშვილი გახლდათ... როცა ქვეყანაში ამდენს ლაპარაკობენ იმპიჩმენტზე, ბუნებრივია, ეს კარგი ნიშანი არ არის. არ მინდა ამ დებატებში ჩავერთო, მაგრამ როგორც იურისტი გეტყვით, – იმპიჩმენტი არის სამართლებრივი პროცედურა და იმპიჩმენტზე ლაპარაკი სჯობს ხალხის ქუჩაში გამოყვანას.

– პოლიტიკური ექსპერტები სახელმწიფო მინისტრის იმპიჩმენტს სავსებით შესაძლებლად მიიჩნევენ.

– არ მგონია, 9 თვის შედეგების გამო ჯორბენაძეს იმპიჩმენტი მოუწყონ. კიდევ სამი თვეა წლის ბოლომდე. მინდა ბიუჯეტი შესრულდეს და ნაკლები პრეტენზიები მქონდეს სახელ-

მწიფო მინისტრსა და სხვა თანამდებობის პირებთან, მაგრამ სერიოზული შეშფოთების საფუძველი რომ არსებობს, ესეც ცხადია. ზოგიერთებს სურთ ბიუჯეტის გამო ჩემი შენიშვნები ჩემს და სახელმწიფო მინისტრს შორის დაპირისპირებად მონათლონ, მაგრამ ხომ კარგად გვახსოვს, რას გვეუბნებოდნენ აპრილში, როცა სახელმწიფო მინისტრი შეგვპირდა, 4 თვეში ბიუჯეტს გავზრდიო, დავიჯერე და ჩემი შენიშვნები აღარ გამიხმაურებია. შედეგად ის მივიღეთ, რომ გაზრდის ნაცვლად, ბიუჯეტი ვერ შესრულდა. ვინმეს კრიტიკა ჩემი თვითმიზანი არ არის, მაგრამ ამ საკითხის გამო, პასუხს მოვითხოვ. 1997 წლის შემდეგ ბიუჯეტი არ შესრულებულა, უკვე ამოიწურა ხალხის შესაძლებლობები... მრცხვენია, რომ ასეთი უსუსურები ვართ... რეგიონები ავიღოთ, აღარ შეიძლება თბილისსა და ბათუმს შორის ასეთი ურთიერთობა გაგრძელდეს. ვფიქრობ, ამ დაპირისპირებაში წვლილი ორივე მხარეს მიუძღვის, მაგრამ ურთიერთბრალდებებს სჯობს ამ რთული ვითარებიდან გამოსვლაზე ვიფიქროთ. 10 დღის წინ პრეზიდენტს შევთავაზე, შეგვექმნა სახელმწიფო კომისია, რომელიც გაარკვევდა ამ დაპირისპირების მიზეზს. ასეთ დაძაბულ ვითარებაში ცენტრისა და რეგიონის დაპირისპირება სახელმწიფო ინტერესებს არ შეესაბამება და ეს ყველამ კარგად უნდა გაიგოს.

– ბოლო დროს ორმა ფრაქციამ – „აღორძინებამ“ და „აფხაზეთმაც“ ხმაურიანი საპარლამენტო ბატალიები მოაწყვეს, რაც ურთიერთბრალდებებში გადაიზარდა.

– ეს ძალზე შემაშფოთებელი ფაქტია და ხელისუფლებამ რადიკალური ნაბიჯები უნდა გადადგას ამის აღმოსაფხვრელად. აჭარის და აფხაზეთის წარმომადგენლებს უნდა ეყოთ გონიერება, რათა ეს პროცესი რეგიონებს შორის დაპირისპირებაში არ გადაზარდონ. ამ დაპირისპირებაში არის საკითხები, რაზეც სპეცსამსახურებმა და გენერალურმა პროკურატურამ სერიოზული რეაგირება უნდა მოახდინონ, ურთიერთბრალდებები აუცილებლად უნდა გადამოწმდეს.

თქვენ თუ გააკეთეთ რაიმე ამ ორი ფრაქციის შესარიგებლად, მათი დაპირისპირება ხომ თქვენს თვალწინ მოხდა?

თქვენმა კითხვამ მაფიქრებინა, რომ უფრო მეტი უნდა გავაკეთო ამ საკითხის მოსაგვარებლად. ორივე მხარეს ვესაუბრე, მაგრამ ამ დაპირისპირების მიღმა სერიოზული პრობლემები დგას.

იზო რიკაძე

კვირის პალიტრა 2002. – 4-10 ნოემბერი. – №44. – გვ. 7

რამდენი სკლეროზიანია პარლამენტში

ნინო ბურჯანაძეს მუდმივად საყვედურობენ არაეფექტური პარლამენტის გამო. საყვედურებს თავად დეპუტატები გამოთქვამენ. პარლამეტის თავმჯდომარე, თავის მხრივ, ქვეყანაში არსებულ საერთო კრიზისზე საუბრობს. ხმაურის ეპიცენტრში პარლამენტი კიდევ დიდხანს იდგება. წინ ახალი ბიუჯეტის დებატებია.

„ალია“ ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს ესაუბრა.

– თევზაძესთან შეხვედრაზე ბიუჯეტი მკაცრად გააკრიტიკეთ და თქვით: თუ თავდაცვას დაფინანსება არ გაეზრდება, ბიუჯეტს მხარს არ დავუჭერო. არსებობს სხვა პრეტენზიებიც. რამდენად რეალურია ბიუჯეტის ჩაგდება და მაშინ პარლამენტს უბიუჯეტო ქვეყანაზე მოუწევს პასუხისმგებლობის აღებაც...

– რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში ყველაფერი პარლამენტს და შეიძლება მეც დამბრალდეს. ამდენი წლის მანძილზე ვამბობთ, რომ ბიუჯეტი არ ვარგა, მაგრამ ხმას მაინც ვაძლევთ. ამ წლის ბიუჯეტზეც ამბობდნენ: ბიუჯეტი მინიმუმზეა გათვლილი, უფრო მეტის ამოღება შეიძლებაო. არგუმენტი ასეთი იყო: ამით მთავრობას მუშაობა და ბიუჯეტის შევსება გაუადვილდება. სხვათა შორის, ამას ამბობდნენ ჩემი ყოფილი ფრაქციელები. ახლა ბიუჯეტის შეუსრულებლობისა და პოლიტიკური კონიუნქტურის შემდეგ ეს ადამიანები ხელისუფლების პირველი დამცველები არიან.

– ვის გულისხმობთ, ვიტალი ხაზარაძეს?

– ჩემს ზოგიერთ კოლეგას ჰგონია, რომ საქართველოში ხალხს მასობრივად სკლეროზი დაემართა – არავის არაფერი ახსოვს და ვერაფერს ხედავს. მათ ჰგონიათ, რომ ყველა მათ ნალაპარაკევს დაიჯერებს. ხალხს არც მასობრივი სკლეროზი დამართნია და არც მასობრივი გამოტვინება.

– ბიუჯეტი ერთ-ერთი დოკუმენტია, რომელიც შეიძლება ჯორბენაძის წინააღმდეგ გამოიყენონ. ეგებ ამიტომაც მიდის საუბარი ბიუჯეტის ჩაგდებაზე?

– მე არ დამისრულებია პასუხი წინა შეკითხვაზე ანუ, მხარს დავუჭერ თუ არა ბიუჯეტს. ეს თქვენს ამ შეკითხვასაც გასცემს პასუხს. ბიუჯეტის არდამტკიცება ჩემი თვითმიზანი ნამდვილად არ არის, არც კონკრეტული პირების წინააღმდეგ ბრძოლა შედის ჩემს ინტერესებში, ჯორბენაძე იქნება ეს თუ სხვა პოლიტიკური ლიდერი. მე მართლა მინდა, რომ ქვეყანაში ვითარება გაუმჯობესდეს. ამიტომაც ბიუჯეტთან დაკავშირებით რადიკალური ნაბიჯებია გადასადგმელი. ჩვენ წლების მანძილზე სულ უფრო და უფრო ცუდ ბიუჯეტს ვამტკიცებდით დაბალი და დაბალი პარამეტრებით, იმ იმედით, რომ ბიუჯეტი რეალური იქნებოდა. მაგრამ ბიუჯეტი ვერ სრულდება. პარლამენტის მიერ მიღებული კანონების დაუფინანსებლობას ვერ შევეგუები, იგივე მაღალმთიან რეგიონებზე, რეპრესირებულთა შესახებ კანონი, ვეტერანების შესახებ კანონი. არ ვაპირებ ისეთი დაფინანსება მივცე თავდაცვას, რომ მერე, რუსეთის თვითმფრინავების დაბომბვის შემდეგ, მინისტრმა თქვას: რა ვქნა, „რაგატკებით“ ხომ ვერ ჩამოვაგდებო. ასეთ ბიუჯეტს ხმას ვერ მივცემ.

– დიახ, მაგრამ პარლამენტი ყოველთვის იძულებული იყო, მხარი დაეჭირა ბიუჯეტისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში პარლამენტი იქნება დამნაშავე... ასე რომ, ასეთი განცხადება შეიძლება პოპულიზმადაც ჩაგითვალონ...

– მე არ ვითხოვ მილიარდიან ბიუჯეტს. ხომ არ ვამბობ: მიეცით პარლამენტს ერთი მილიარდი ლარი. თავდაცვას – 500 მილიონი და ასე შემდეგ, ეს მართლა იქნება პოპულიზმი. მაგრამ თავდაცვა ითხოვს მინიმუმს – 150 მილიონს, ჩვენ კი – 59-ს ვუწერთ. ანუ ჩვენ თავდაცვის სისტემა არ გვექნება. კონტრაბანდამ წალეკა ყველაფერი...

– ამ თემაზე სახმინისტრთან საუბარი გქონდათ?

– სახელმწიფო მინისტრმა ჩემი პოზიცია იცის.

– ჯორბენაძესთან შეხვედრის შემდეგ არმაზ ახვლედიანმა

გააკეთა განცხადება: პარლამენტის თავმჯდომარეს ურჩევნია, გაითვალისწინოს ახალი რეალობა და გონს მოეგოსო. ასე რომ, „როდის მოეგებით გონს“?

– გონს მოსაგები არაფერი მჭირს.

– მაგრამ ახალ რეალობას ვერ ითვალისწინებთ. თუმცა, ეგებ აგვიხსნათ, რა ახალ რეალობაზეა საუბარი?

– არ ვიცი, ბატონი არმაზი რას გულისხმობდა. როგორც ჩანს, ზოგიერთებს ახალი რეალობა ესმით ისე, რომ ჩვენ ვიძახოთ, ყველაფერი კარგად არის და ტაშიც დავუკრათ. ეს ახალი რეალობა კი არა, უფრო წარსულში დაბრუნებაა. ბოლო პერიოდში ყველა ჩემი პროგნოზი გამართლდა იგივე ბიუჯეტის არშესრულებასთან დაკავშირებით.

– თქვენს კაბინეტში ბევრი წიგნია. მაგრამ პრეზიდენტისა და სახმინისტრის გამოსვლებს ვერ ვხედავ. არადა, ყველას დაევალა ამ გამოსვლების სამაგიდო წიგნად ქცევა...

– არა, სამაგიდო წიგნი არ გამხდარა. პრეზიდენტის გამოსვლაში ცალკეული წინადადებები საინტერესო იყო. თუმცა, პრეზიდენტისგან შექმნილი ვითარების გამო ბევრად უფრო კრიტიკულ და რადიკალურ გამოსვლას ველოდი. ნამდვილად შეეძლო პრეზიდენტს ეს გაეკეთებინა. მისი წინა საპარლამენტო გამოსვლები გაცილებით საინტერესო იყო. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ თავად პრეზიდენტს სურს, მისი გამოსვლა სამაგიდო გახდეს და ვიღაცეები ფრაზებს ხაზავდნენ. ასეთი განწყობა პრეზიდენტს არა აქვს.

– შეიძლება ითქვას, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებაში კომუნისტური მმართველობაა, პარლამენტში – არა. შევარდნაძე ორივესთან თანამშრომლობს. თქვენი დაკვირვება მაინტერესებს ამ პროცესზე...

– არ მინდა ვთქვა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება კომუნისტურია, პარლამენტი კი – დემოკრატიის ოაზისი.

– ასეთი რამ პარლამენტზე არც მე მითქვამს...

– დიახ, ის რა დადგენილებაც პარლამენტმა მიიღო საბიუჯეტო დებატების დროს, ეს პარლამენტს დადებითი კუთხით სუ-

ლაც არ წარმოაჩენს. მაღიზიანებს, როცა პარლამენტის არაეფექტურობაზე ისინი საუბრობენ, ვისაც ამისი არანაირი უფლება არა აქვს. მათ, ვინც ორდღიანი საბიუჯეტო განხილვების შემდეგ არც ერთ დადგენილებას მხარი არ დაუჭირა, არა აქვს უფლება პარლამენტის არაეფექტურობაზე ისაუბროს. რა თქმა უნდა, არაეფექტური იქნება, როცა მთელი აღმასრულებელი ხელისუფლების მცდელობა მიმართული იქნება იმისკენ, რომ პარლამენტმა არაფერი თქვას. ვისი ბრალია ეს? მთავრობას სურდა, ეჩვენებინა, რა მაგრები ვართ, ნახეთ, რა მაგრად ვმართავთ პარლამენტს. ორი დღის მანძილზე ვალაპარაკებთ და ვაყვირებთ დეპუტატებს, 100-მილიონიანი გარღვევით მივალთ და არც არაფერს მივაღებინებთო. ეს მათ მოახერხეს.

– ანუ, ჯორბენაძემ იმის დემონსტრირება მოახდინა, რომ პარლამენტს თავად მართავს და არა თქვენ?

– არ მინდა ახლა ამაზე კონკრეტულად ვისაუბრო. ვისი იდეა იყო, ეს მერე გამოჩნდება. ასეთი მდგომარეობა შეცდომაა. ამით არავის პოზიციები არ გამყარებულა.

– შარაძე ოფიციალურად გამოვიდა თქვენი იმპიჩმენტის ინიციატივით.

– ჯერჯერობით პატივი დამდო და მხოლოდ გამაფრთხილა. თუ გონს მოვეგები, აღარ გააგრძელებს.

– არსებობს ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ რჩეულიშვილი ასლან აბაშიძისგან და შევარდნაძისგან გარანტიებს ითხოვს, იმის გარანტიებს, რომ თქვენი გადაყენების შემდეგ თავად მიიღებს თავმჯდომარის სტატუსს. ასეთი ინფორმაციები თქვენც გაქვთ?

– ასეთი ხმები ჩემამდეც მოდის. მაგრამ განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ ვანიჭებ. არა მგონია, პრეზიდენტისგან ან აბაშიძისგან მას მხარდაჭერა ჰქონოდა. ასე ვფიქრობ იმიტომ, რომ საამისო არგუმენტები არ ექნებათ. ვნახოთ, რამდენად არაეფექტურია ეს პარლამენტი. უმრავლესობის არსებობის მიუხედავად, გარკვეული გადაწყვეტილებები მაინც მივიღეთ. დავამტკიცეთ მინისტრები, მივიღეთ ბიუჯეტი, ყველა ის გადაწყვე-

ტილება მივიღეთ, რომელზეც ხელისუფლება იძახდა, ბიუჯეტის შესასრულებლად გვჭირდებაო. არც ერთი სერიოზული მოვლენა გვერდით არ დაგვიტოვებია. პანკისი იყო, დაბომბვები თუ სხვა...

– საგარეო პოლიტიკა დადებითად ფასდება. ამას პრეზიდენტსაც უწონებენ. პრეტენზიები უფრო შიგნით არის. თქვენ ზედმეტად ფრთხილობთ ხოლმე პოზიციის დაფიქსირებას, გეშინიათ, ეს ვიღაცეებთან თქვენს კავშირებს არ მიეწეროს. ნეიტრალიტეტს იცავთ, პოლიტიკაში კი ასეთი პოზიცია ჩემთვის გაურკვეველია.

– იცით, შეიძლება უმრავლესობა შექმნილიყო, მაგრამ რა გარიგებების ფასად? თანაც ინტერესები ჭრელია და წინასაარჩევნო განწყობაცაა – ყველაფერი ეს მოქმედებს.

– მაგრამ თქვენ თითქოს ვერ აკეთებთ არჩევანს შევარდნაძესა და ოპოზიციას შორის...

– მიკროფონიდან არ ვყვირი და რადიკალიზმით არ გამოვირჩევი, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩემი პოზიციები არ ჩანს. ჩემი პოზიციების დაფიქსირება არასოდეს მიჭირს და არც ის მაშინებს, თუ ეს პოზიციები ვინმეს პოზიციებს ემთხვევა.

– დიდი არჩევნები მოდის და ალბათ თქვენც გიფიქრიათ საკუთარ არჩევანზე...

– რა თქმა უნდა, გარკვეულწილად ამაზე ფიქრიც მიწევს. თუმცა, გადაწყვეტილება ჯერ არ მიმიღია.

– თავში პროგნოზებზე საუბრობდით. თქვენი აზრით, როგორი შეიძლება იყოს მომავალი პარლამენტი და რომელ ფიგურებს შეიძლება ჰქონდეთ შანსი საპრეზიდენტოდ?

– საპრეზიდენტო კი არა, საპარლამენტო არჩევნებზეც კი ძალიან ადრეა ჯერ საუბარი. ყველაფერი დამოკიდებული იქნება მოვლენების განვითარებაზე. ასე თუ გაგრძელდა, მომავალი პარლამენტი უარესი იქნება. ვნახოთ.

ქეთი ხატიაშვილი

ალია 2002. – 23-25 ნოემბერი. – №140. – გვ. 5

ამ სიდუხჭირემ პირველი თოვლის სიხარული ჩამიკლა

გასული წელი საქართველოსთვის საკუთარი თავის ძიების, თვითდამკვიდრებისა და დიდი პერიპეტიების წელიწადი იყო. ზოგი რამ კარგი მოხდა, ზოგიც მტკივნეული და მწარედ გასახსენებელი. არაერთხელ დაგვბომბეს, არაერთხელ გვაყურებინეს ხალხის რჩეულთა ცემა – ტყეპაში გადაზრდილი შოუ-წარმოდგენები, არაერთხელ მოგვიკლა გული უნიათო მთავრობის, აღმასრულებლებისა და კანონმდებლების დაპირისპირებამ. წელსაც, როგორც ყოველთვის, ისევ გაირღვა ბიუჯეტი (თუმცა მავანთ მტკიცებით, მისი პარამეტრები წარმატებითაც კი შესრულდა), ისევ ვერ გაიზარდა ხელფასები და პენსიები, კრიმინალურ გარჩევებს არაერთი ქართველი შეეწირა, თოვლიან ზამთარში ისევ ცივა, ისევ არ არის დენი და გაზი... გასული წლის ანალიზი და შეეფასება პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს ვთხოვეთ:

ნინო ბურჯანაძე – გასულმა წელმა მართლაც მნიშვნელოვანი გახადა საქართველოს როლი თანამედროვე გეოპოლიტიკაში. ჩვენმა ქვეყანამ იპოვა თავისი ადგილი თანამედროვე მსოფლიოში. როგორც სახელმწიფომ, გარკვეული ფუნქცია შეიძინა. მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველო შედის არა მარტო რეგიონალურ, არამედ ევროპის და მსოფლიოს სახელმწიფოების ინტერესების სფეროში, რაც მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ადგილის დამკვიდრებისა და რეალური დამოუკიდებლობის განმტკიცებისთვის. აქ, თავისთავად ცხადია, უმნიშვნელოვანესია ის საერთაშორისო პოლიტიკა, რომელსაც ეწეოდა ბოლო წლების მანძილზე საქართველო. ჩვენმა ხელისუფლებამ და ხალხმა მნიშვნელოვანი არჩევანი გააკეთა ევროპელი სტრუქტურები-

საკენ. საქართველო სულით, კულტურით მართლაც ევროპული ქვეყანაა და მისი სწრაფვა ევროპულ სტრუქტურებში გაწევრებისა და ევროპული სახელმწიფოებისკენ ბუნებრივი პროცესია. ვფიქრობ, ეს შეუქცევადია და როგორადაც არ უნდა ეცადონ ცალკეული პოლიტიკური ძალები, პოლიტიკური ფიგურები და გნებავთ, სახელმწიფოები, ევროპული ფასეულობებისკენ (ადამიანთა უფლებათა დაცვა, სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების დემოკრატიზაცია, სიტყვის თავისუფლება) აღებულ გეზზე უარს არასოდეს ვიტყვით. ჩვენ ძვირად დაგვიჯდა მოპოვებული სახელმწიფოებრივი და პიროვნული თავისუფლება, ქვეყანაში დემოკრატიის ფორმირება და ამიტომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ საქმის ბოლომდე მისაყვანად. ამ ჭრილში საქართველოს ნატოსთან დაახლოებასა და ნატოს წევრობის პრეტენდენტობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ნატო არ არის თვითმიზანი და ცარიელი სიტყვები. ეს ის ორგანიზაციაა, სადაც საქართველო თავის უსაფრთხოებას ხედავს. ჩვენი ნატოსთან დაახლოება ვინმეს ინტერესებს არ ეწინააღმდეგება. აქ რუსებს ვგულისხმობ. გვესმის, რომ მეზობლებთან მშვიდობიანი თანაარსებობის მოსურნე ნებისმიერი ქვეყანა უნდა ზრუნავდეს არა მარტო თავის უსაფრთხოებასა და სტაბილურობაზე, არამედ მეზობელი ქვეყნებისა და რეგიონისაზეც. ამ მხრივ ნატოს ნამდვილად პოზიტიური როლის თამაში შეუძლია. თუმცა ის ინფორმაციული ომი, რომელიც რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ გამართა, თავისთავად ცხადია. იყო „ქარიშხალი ჭიქაში“. ბევრს უნდოდა, ჩვენში არსებული პრობლემები სრულიად სხვა კუთხით წარმოეჩინა. ზოგიერთი რუსი გენერალი ცდილობდა, საქართველო საერთაშორისო ტერორიზმის პლაცდარმად მოენათლა, თითქოს ჩვენს ქვეყანაში ათასობით ჩეჩენი ბოევიკი და ტერორისტი იმყოფებოდა, რათა შემდეგ საშუალება მისცემოდა, ჩეჩნურ ფრონტზე თავისი წარუმატებლობა საქართველოსთვის დაებრალებინა. დღეს პანკისის პრობლემის დარეგულირება უნდა გამოვიყენოთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ნორმალიზაციისა და პა-

ნკისის ხეობაში საბოლოო წესრიგის დასამყარებლად. მაგრამ დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ გაზაფხულზე, თოვლის დნობასთან ერთად ეს პრობლემები კვლავ არ წამოიჭრას. ამას წინათ მაღალი რანგის რუს პოლიტიკოსებს ვესაუბრე. თქვეს, საქართველო-რუსეთის ურთიერთობა 1998-2000 წლებში გაფუჭდა, ეს იყო ურთულესი ფაზა ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაშიო. ნათქვამი ცხადყოფს, რომ რუსეთი ყოველთვის ცალმხრივად უყურებს ჩვენთან ურთიერთობას და „ურთიერთობების გაფუჭებას“ იმ დროიდან ითვლის, როცა ჩეჩნების საკითხს ნებსით თუ უნებლიეთ საქართველოც დაუკავშირდა. მაშინვე შევუსწორე რუს კოლეგებს – რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა კრიტიკულ ზღვარზე 1992-93-94 წლებში მივიდა, კერძოდ, აფხაზეთის კონფლიქტის დროს, როცა თქვენ აფხაზებს აშკარად დაუჭირეთ მხარი-მეთქი. ჩვენ მოწმენი ვართ იმისა, რომ ბოლო დროს რუსეთი აფხაზეთისა და ოსეთის მცხოვრებთ უკანონოდ აძლევს თავის მოქალაქეობას. კერძო, იურიდიული პირები ყიდულობენ ქონებას აფხაზეთში, რუსეთის დელეგაციები იქ, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოში, ისე ჩადიან მოსალაპარაკებლად. რუსეთი არღვევს დსთ-ის სახელმწიფოთა გადაწყვეტილებას, რომელიც პრეზიდენტ ელცინის მიერ იქნა ხელმოწერილი. გაეროს უშიშროების საბჭოში რუსები წლების განმავლობაში აბრკოლებენ აფხაზეთის საკითხის განხილვის პროცესს. აფხაზ სეპარატისტებს რუსები რომ არ უჭერდნენ მხარს, ასე აგრესიულად ვერ დაელაპარაკებოდნენ საქართველოს და კონფლიქტიც გადაწყდებოდა. რუსეთმა თავად იწვნია, რა არის სეპარატიზმი, ამიტომ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამჟამად სხვაგვარად შეხედავს ჩვენს პრობლემებს. რუსეთს ხელს უნდა აძლევდეს ერთიანი, ძლიერი, დამოუკიდებელი და მეგობრულად განწყობილი საქართველო. ეს კი მაშინ მოხდება, თუ ის არ შეეცდება აფხაზეთსა და სამაჩაბლოში ნაღმების გამოყენებას და პირიქით, პოზიტიურ როლს ითამაშებს კონფლიქტის მოგვარებაში. ჩვენს ურთიერთობებს ართულებს სამხედრო ბაზების საკითხიც. რუსი

სამხედროებისგან არაერთხელ მსმენია, საქართველოში სამხედრო ბაზები არ გვჭირდებაო. თუ ასეა და მათ ეს ბაზები დესტაბილიზაციისთვის არ სჭირდებათ, რატომ არ გაჰყავთ?

– ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის გამო ატეხილ ხმაურსაც ბევრმა „რუსული კუდი“ გამოაბა – რუსეთი ხომ აშკარად წინააღმდეგი იყო, ამ ნავთობსადენს საქართველოს ტერიტორიაზე გაევლო.

– ეს ალბათ პროექტის ჩაშლის მცდელობა იყო... ბორჯომის ხეობა ჩვენი სიმდიდრეა და უნდა გავუფრთხილდეთ. ნავთობსადენის პროექტში ჩადებულია სერიოზული გარანტიები, მაგრამ ყოველთვის არსებობს გაჟონვის ან ავარიის თეორიული შანსი. ამიტომ ხელისუფლება, პარლამენტი და მოსახლეობაც დაინტერესებული უნდა იყოს პროექტის მაქსიმალური უსაფრთხოებით. უცნაურად მეჩვენება ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის ბორჯომის მონაკვეთზე დაცვის უფროსად ბ-ნ გიგა გელაშვილის დანიშვნა. თუ თემურ ხაჩიშვილს და გიგა გელაშვილს მართლაც ჩადენილი აქვთ დანაშაული, რის გამოც სასჯელს იხდიდნენ, წარმოუდგენელი იყო ჯერ მათი გათავისუფლება, შემდეგ პოლიტიკაში დაბრუნება და მით უმეტეს, ასეთი უმნიშვნელოვანესი უბნის მართვის ჩაბარება. თუ უდანაშაულოდ დააპატიმრეს და ეს იცის ხელისუფლებამ, მაშინ კეთილი ინებოს და დასაჯოს ისინი, ვის გამოც ეს ხალხი ამდენი წელი ციხეში იჯდა, ხოლო თუ ეს ხალხი მართლაც დამნაშავეა, მაშინ ბოდიში და პოლიტიკიდან და ხელისუფლებიდან ცოტა შორს დადგნენ... ხაჩიშვილმა რუსეთზე ორიენტირებული პოლიტიკური პარტია „დათვი“ შექმნა. ძნელი სათქმელია, ვინ მართავს მას, თუმც გარკვეული მოსაზრებები და ეჭვი ამის თაობაზე არსებობს. ცოტა უხერხული ხომ არ არის ხაჩიშვილისგან იმაზე ლაპარაკი, რომ საქართველოს სახელმწიფო ენა რუსულიც უნდა იყოს. ქართულს ან საერთაშორისოდ აღიარებულ ინგლისურ ენას გამოაცხადებს რუსეთი სახელმწოფო ენად? საკუთარი თავის, ენის, ქვეყნის და ერის პატივისცემას თუ არ მივეჩვიეთ, არაკეთილმოსურნეები

ყოველთვის ეცდებიან საქართველოს საშინაო საქმეებში ხელის ფათურს. გულისტკივილით ვუყურებ საქართველოში მიმდინარე პროცესებს და ვფიქრობ, საზოგადოების დიდი ნაწილი მზად არ აღმოჩნდა დამოუკიდებლობისათვის. არ ვგრძნობთ პასუხისმგებლობას სამშობლოს მომავლისა და ხალხის წინაშე. საქართველოს ყოველთვის შიდა დაპირისპირება ღუპავდა, როცა ქვეყანას ერთმანეთის ჯიბრით აქეთ-იქით ვექაჩებოდით...

– ბოლო დროს პოლიტიკური პარტიების არსენალში იარაღიც გამოჩნდა. ვარაუდობენ, რომ ამით ცდილობენ ვითარების ხელოვნურად დაძაბვას, ქაოსის შექმნას, რასაც შესაძლოა საგანგებო მდგომარეობის შემოღება მოჰყვეს, რაც შევარდნაძეს საპრეზიდენტი ვადას გაუხანგრძლივებს...

– პოლიტიკური პარტიის არსენალში იარაღი კი არა, პოლიტიკური მეთოდები, სიტყვა და კალამი უნდა იყოს. იარაღის ჟღარუნს ქვეყნის შიდა ცხოვრებისთვის სიკეთე არასოდეს მოუტანია. მიუხედავად იმისა, კრიმინალური ფონი მძიმეა, კომენდანტის საათის შემოღების საშიშროებას ვერ ვხედავ. თუმცა არ გამოვრიცხავ ხელოვნურ დაპირისპირებას. არა მგონია, ეს შევარდნაძეს უნდოდეს და ვერც იმას ვიტყვი, რომ 2005 წლის შემდეგაც დარჩეს პრეზიდენტად.

– საქართველოს პარლამენტი სამწუხაროდ მშვიდობიანი თანამშრომლობის მაგალითს ნამდვილად არ იძლევა.

– დაპირისპირება, უნდობლობა და განსხვავებული აზრის მიუღებლობა, რაც პარლამენტშია, საზოგადოებრივი ყოფის ანარეკლი გახლავთ. პოლიტიკური ოპონენტები ერთმანეთის მიმართ შეუწყნარებლები არიან. ეს განპირობებულია ქვეყნის მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფონით, მაგრამ ამის გამართლება არ შეიძლება. ნებისმიერმა ადამიანმა, მით უმეტეს ხალხის რჩეულმა, თავი უნდა შეიკავოს ხოლმე. მართლაც საშინელი საყურებელია ის დაპირისპირება, რომელსაც ხშირად ვხედავ სხდომათა დარბაზში. ჯერ კიდევ 1999 წლის არჩევნების დროს მეგონა, ახალი პარლამენტი ძველზე უკეთესი იქნე-

ბოდა, მაგრამ ბევრი ღირსეული ადამიანი დარჩა მაშინ გარეთ და ბევრი ნაკლებად ღირსეული აღმოჩნდა პარლამენტში. ისიც უნდა ითქვას, რომ გარკვეული ძალები სერიოზულად ცდილობენ პარლამენტის დისკრედიტაციას და ეტყობა, არ ესმით, რომ ამას შესაძლოა სერიოზული სავალალო შედეგები მოჰყვეს. როგორიც არ უნდა იყოს პარლამენტი, მან თავისი ფუნქცია მაინც უნდა შეასრულოს. საჭიროა მივიღოთ ნორმალური საარჩევნო კანონი, რომელიც მოგვცემს ყველა საზოგადოებრივი ფენისა და ყველა პოლიტიკური ძალისათვის მეტ-ნაკლებად მისაღები პარლამენტის არჩევის საშუალებას.

– საპარლამენტო შეხლა-შემოხლას ხშირად კანცელარიას აბრალებენ. ეს პროცესი მართლაც მართულია?

– სამწუხაროა, მაგრამ რაც ბოლო ხანებში ხდება, უკვე მიუღებელ ფორმებს იღებს. სახელისუფლებო პარტიების ქმედებებს კანცელარიის ზეწოლად აღიქვამ. გასულ კვირას ფაქტობრივად არაფრისაგან შექმნეს პრობლემა. ხაზარაძემ და მისმა მომხრეებმა იცოდნენ, რომ პარლამენტი გასულ კვირასვე აპირებდა სამინისტროების რეორგანიზაციაზე მსჯელობას. ადამიანებმა, რომელთაც მშვენივრად იციან რეგლამენტი, კონსტიტუციის დარღვევაში დამადანაშაულეს და სხდომათა დარბაზში დემარში მოაწყვეს. ეს არის კანცელარიის მხრიდან პარლამენტის იგნორირების, მისი მართვის მცდელობა. ვეცდები ამას წინ აღვუდგე, მაგრამ არა იმიტომ, რომ აღმასრულებელ ხელისუფლებასთან დაპირისპირება მსურს. ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას მაძალებენ, მე კი არა, „სხვას“ მიაჩნია სწორად, ვერავინ წამართმევს ჩემი აზრის ქონის უფლებას. თუ მტყუან-მართლის გარჩევის უნარი და საშუალება არ მექნება, არა მგონია, ჩემნაირი პარლამენტის თავმჯდომარე დასჭირდეს ხალხს. შესაძლოა, მართული პარლამენტის თავმჯდომარე რომელიმე თანამდებობის პირს ხელს აძლევდეს, მაგრამ მე მინდა ისეთი ვიყო, როგორიც ქვეყანას სჭირდება. სახელისუფლებო ფრაქციებისაგან განსხვავებით, პრეზიდენტი არ აძლევს თავს უფლებას, კონკრეტულად

მიმითითოს – დღეს ეს გააკეთე, ხვალ – ისაო. მას ბევრ საკითხში, განსაკუთრებით, რაც საგარეო პოლიტიკას ეხება, ვეთანხმები. შიდაპოლიტიკური პროცესებისადმი კი ხშირად განსხვავებული აზრი გვაქვს, რასაც ზოგ შემთხვევაში საჯაროდ აღვნიშნავ, ზოგიერთ თემაზე კი პრეზიდენტთან ან ვიწრო წრეში ვსაუბრობ. ბატონ ვიტალი ხაზარაძეს ერთადერთი მიზანი აქვს – დაანახვოს პრეზიდენტს, როგორ იცავს მის ინტერესს და ებრძვის პარლამენტის ურჩ თავმჯდომარეს. დემარში, საბიუჯეტო განხილვის წინ, იყო გაფრთხილება, რომ გონს მოვიდე და „ჭკვიანად“ ვიყო.

– უჩვეულო პროცესებია სახელისუფლებო პარტიაშიც. ერთ დროს პრეზიდენტის საყრდენი ძალა დაიქსაქსა, დასუსტდა. პარტიის ახალი ლიდერის ავთანდილ ჯორბენაძის ძალისხმევა პარტიის აღორძინებისათვის რამდენად ნაყოფიერად გეჩვენებათ?

– არ მგონია პარტიაში ხალხის ძალით გაწევრებამ რაიმე შედეგი გამოიღოს. მოქალაქეთა კავშირის მომავლისადმი სკეპტიკურად ვარ განწყობილი. თუ ასე გაგრძელდა, ამ პარტიას ძალიან გაუჭირდება.

– სოციალური სიდუხჭირით მანიპულირება პოლიტიკურმა პარტიებმა ბოლო დროს მასებზე ზეგავლენის საუკეთესო საშუალებად აქციეს. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ამომრჩეველს არასწორი არჩევანისკენ უბიძგებს.

– ეს მართლაც სერიოზული პრობლემაა. ყოველთვის მიყვარდა თბილისის ქუჩებში გასეირნება – ადამიანებს სახე უცინოდათ. დღეს ფეხით სიარული სიამოვნებას აღარ მგვრის, რადგან თანაქალაქელებს დაჩაგრულებს და შეწუხებულებს ვხედავ. ვხედავ ადამიანებს, რომლებიც ყოველდღიურ პრობლემებს გაჭირვებით აგვარებენ. ყოველთვის მიყვარდა თბილისში თოვლი. ახლა კი გული საოცრად დამძიმებული მაქვს. ვგრძნობ, რამდენ პრობლემას უქმნის თოვლი ჩვენს მოსახლეობას. მეც კი, ადამიანს, რომელიც უფრო უზრუნველყოფილი ვარ, ვიდრე ჩვენი მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, ამ სიდუხჭირემ პირველი თოვლის სიხარული ჩამიკლა. არ მინდა, ასე გაგრძელდეს, არ

მინდა, ადამიანებს ჩაბნელებულ, გაციებულ სახლებში სუფრაზე ცარიელი პურის ან მჭადის ნატეხები ეწყოთ...

– შარშან „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში დაიჩივლეთ, შინაურებისათვის დრო აღარ მრჩება, შამპუნის ყიდვასაც ვეღარ ვახერხებო. შეიცვალა რამე?

– ვცდილობ არ მოვწყდე ოჯახურ პრობლემებს, თუმც გარკვეულწილად ჩემიანები უკვე შეეჩვივნენ უჩემობას – 14 საათი, ზოგჯერ მეტიც, გამოსული ვარ შინიდან. ასე რომ, შამპუნის ყიდვას უჩემოდ ახერხებენ.

– ქალბატონო ნინო, ჩვენმა მკითხველმა თავისი პოსტისთვის ყველაზე შესაფერის პიროვნებად თქვენ დაგასახელათ...

– საზოგადოების აზრს ყოველთვის ვუწევდი ანგარიშს. იმ დროს, როდესაც ქართველი პოლიტიკოსები დემარშს აწყობენ პარლამენტში, მკითხველის შეფასება ჩემთვის უდიდესი მხარდაჭერაა და საქმიანობაში მეტ სტიმულს მაძლევს. დიდი მადლობა „კვირის პალიტრას“ და მის მკითხველს.

– საახალწლო სუფრისათვის თუ მოიცლის საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე. თქვენი ნახელავი რა გექნებათ?

– ალბათ ნიგვზიანი წითელი ფხალი და ტკბილეული, ძირითადად ნამცხვრები. ვნახოთ, როგორი სამუშაო გრაფიკი მექნება. შესაძლოა ლობიანი და ხაჭაპური გამოვაცხო.

– ვიცი, რომ თქვენი შვილები თოვლის ბაბუის საჩუქრებს ნაძვის ხესთან პოულობენ. ხომ არ გაგვანდობთ, ვინ არის თოვლის ბაბუა?

– თოვლის ბაბუა არის თოვლის ბაბუა... ალბათ ამ ინტერვიუს ჩემი შვილებიც წაიკითხავენ და... ჩემს უმცროს ვაჟს სჯერა, რომ თოვლის ბაბუა არსებობს. რატომ არ უნდა სჯეროდეს იმის, რაც ლამაზი, კარგი და სასიამოვნოა?

– ამბობენ ახალი წლის ღამეს ჩაფიქრებული ყველა სურვილი სრულდებაო. რას ინატრებდით?

– იმას, რასაც ნებისმიერი ადამიანი ინატრებს, რომ მისთვის ძვირფასი, საყვარელი ადამიანები, მისი ოჯახის წევრები ჯან-

მრთელნი და ბედნიერნი იყვნენ, მომავალი წელი სიკეთის და სიხარულის მომტანი იყოს, ვინატრებდი, რომ მომავალი წელი ჩემი ქვეყნისთვის გაერთიანების, სიმშვიდის და სინათლის წელი იყოს. ჩვენს ხალხს 2003 წლის დადგომას ვულოცავ. ისინი გაცილებით უკეთეს ცხოვრებას, ბევრად უკეთეს ხელისუფლებას და პარლამენტს იმსახურებენ. მინდა ჩემი ქვეყანა იყოს ერთიანი, მინდა, იბადებოდეს უფრო მეტი ბავშვი, იქმნებოდეს მეტი ბედნიერი ოჯახი. თითოეულ თქვენგანს სულის სიმტკიცეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ისეთ საქართველოში ცხოვრებას ვუსურვებდი, რომელზეც თითოეული ჩვენგანი ოცნებობს.

დაჩი გრძელიშვილი
იზო რიკაძე

კვირის პალიტრა 2002. – 23 -29 – დეკემბერი. – №51. – გვ. 3

ბურჯანაძის და შევარდნაძის საუბრის ექსკლუზიური დეტალები

ბოლო ხანს პარლამენტში დემარშისტების მეორე „ლეგიონი“ შეიქმნა – ამჯერად, სახელისუფლებო ფრაქციების სახით. მათი ბოიკოტის გამო პარლამენტში რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის განხილვა ჩავარდა.

„ალია“ ესაუბრება პარლამეტის თავმჯდომარეს, ნინო ბურჯანაძეს.

– ქალბატონო ნინო, რაც თქვენ ჯორბენაძემ, ხაზარაძემ და რჩეულიშვილმა გაგიკეთეს, მაგას, ჩვენში დარჩეს და, „პრომოუშენი“ და „რასკრუტკა“ ჰქვია. პოლიტიკაში ღრმად ჩაუხედავ ადამიანს შესაძლოა დარჩეს შთაბეჭდილება, რომ სპეციალურადაც კი ხდება თქვენი ფიგურის წინ წამოწევა...

– მართლა? ვერ გეტყვით, თუ ასეთი კეთილშობილები არიან, რომ თავის თავს ისამარებენ ჩემთვის პოზიტიური იმიჯის შესაქმნელად, მაშინ მივესალმები ამ მაღალქრისტიანული მორალით მოაზროვნე ადამიანებს. თუ ესენი ასე ცდილობენ ჩემს „პრომოუშენს“, ალბათ, ნამუსმაც უნდა შემაწუხოს, როდესაც მათ ვაკრიტიკებ.

– რამდენად მისაღებია ის კონფრონტაცია, რამაც უკვე ღიად იჩინა თავი პარლამენტსა და კანცელარიას შორის?

– არც ერთი კონფლიქტი, რომელიც კი მოხდა პარლამენტსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის, ან ჩემსა და მის რომელიმე წარმომადგენელს შორის, ნამდვილად არ იყო ჩემგან პროვოცირებული. პირიქით, ვცდილობ, ხელი შევუწყო ქვეყანაში სტაბილურობას, პარლამენტის ნორმალურ ფუნქციონირებას. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პარლამენტი ვინმეს მონად გადაიქცეს და გახდეს კანონების რეგისტრატორი, სადაც, როდესაც მოესურვებათ, მაშინ შემოაგდებენ კანონს.

ნამდვილად არ დავუშვებ, რომ პარლამენტი გადაიქცეს კანცელარიის ფილიალად. თუ ვინმეს ჰგონია, რომ გამწარებული მოსახლეობის აგრესიას აღმასრულებული ხელისუფლებიდან პარლამენტზე გადმოიტანს, ძალიან ცდება. მოსახლეობამ ძალიან კარგად იცის, ვის ფუნქციაში რა შედის. რომც მოახერხონ და ხალხმა პარლამენტის გარეკვა მოითხოვოს, რა, ჰგონიათ, აქ გაჩერდება ეს ყველაფერი? მერე ვინმე აზვირთებულ სიტუაციას გააკონტროლებს? ცეცხლს ეთამაშებიან. თუ ასე გაგრძელდა, ის აგრესია, რაც ჯერჯერობით, პარლამენტის კედლებს შორის იხარშება, ქუჩაში გადავა და მართლაც მთელ პასუხისმგებლობას დავაკისრებ იმ ადამიანებს, ვინც ყველაფერზე მიდიან იმისათვის, რომ თავისი საჭიროება დაუმტკიცონ პრეზიდენტს, სახელმწიფო მინისტრს.

– მაინც რამ განაპირობა თქვენი და ჯორბენაძის ასეთი დაპირისპირება?

– პიროვნულად არანაირი პრეტენზია არა მაქვს მის მიმართ. მასთან პიროვნული პრობლემები რომც მქონდეს, მერწმუნეთ, ამას სახელისუფლებო შტოების დაპირისპირებაში არ გადავზრდიდი. ჯორბენაძემ, როგორც ჩანს, ვერ განსაზღვრა, როგორ უნდა ელაპარაკებოდეს არა მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარეს, საერთოდ, პარლამენტს. კანცელარიამ ღია, გახსნილი კონსულტაციები კი არ დაიწყო ჩემთან და ბიუროსთან, არამედ პარლამენტის სამართავად პარლამენტში ინტრიგების კეთებას მიჰყო ხელი. ბიუჯეტის შესრულების განხილვისას საერთოდ წარმოუდგენელი რამ გააკეთა ჯორბენაძემ – სხდომა დატოვა აღშფოთებულმა იმით, რომ როგორ გაბედა პარლამენტმა და რამდენიმე წუთით ალოდინა. არც ერთ ქვეყანაში აღმასრულებული ხელისუფლების წარმომადგენლები პარლამენტს ასე არ ეპყრობიან და ასე ვერ ელაპარაკებიან. იმის ნაცვლად, რომ ერთად გვემსჯელა ამ პრობლემაზე, ბიუჯეტის შესრულების გზებზე, ჯორბენაძემ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ პარლამენტს ბიუჯეტის შეუსრულებლობა ვერ შეეფასებინა. იმის სა-

დემონსტრაციოდ, რომ რამდენიც არ უნდა მოინდომოს ბურჯანაძემ, პარლამენტი მაინც ვერ შეაფასებს მთავრობის მუშაობას, პარლამენტი მართვადია.

– როდესაც დაძაბულობამ პიკს მიაღწია და სამთავრობო ფრაქციებმაც პარლამენტი დატოვეს, საინტერესოა, რა პოზიცია დაიკავა პრეზიდენტმა?

– როდესაც პრეზიდენტი ჩავაყენე საქმის კურსში, მან ბრძანა, რომ არაფერი იცოდა ამის თაობაზე. არანაირი სურვილი არა მაქვს, ქვეყნის პრეზიდენტის ნათქვამი ეჭქვეშ დავაყენო და ჩავთვალო, რომ იგი ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარეს სიმართლეს არ ეუბნება.

– კარგით რა... ვიტალი ხაზარაძე რომ პარლამენტიდან გაქცევას აპირებდა, საათნახევრით ადრე მიშა მშვილდაძემ იცოდა და თქვენ გჯერათ, რომ პრეზიდენტმა ეს არ იცოდა?

– შეიძლება პრეზიდენტმა არ იცოდეს, მასთან ყველაფერი არ მიდის ხოლმე. მართალი გითხრათ, ძალიან გამიკვირდა, როდესაც მან რადიოინტერვიუში ბრძანა, რომ რიგგარეშე განხილვებთან დაკავშირებით პარლამენტში ხშირად მისი მოთხოვნების იგნორირება ხდება. მე ავუხსენი, რომ ის არასწორად არის ინფორმირებული, შეიძლება მე არ ვეთანხმებოდე მას და ჩემი განსხვავებული აზრი გამაჩნდეს, მაგრამ ამის შესახებ, პირველ რიგში, თვითონ მას ვეუბნები ღიად. მაგრამ ამის იგნორირება სხვა რამეა, რასაც მე არ ვეწევი და არც მიმაჩნია სწორად. რაც შეეხება სახელმწიფო მინისტრს, თუ იგი მართლა გულწრფელია, როდესაც ამბობს, თითქოსდა ეს დემარში არ იყო მასთან შეთანხმებული, მაშინ ოფიციალურად უნდა გაეკეთებინა განცხადება. თუ პრეზიდენტისა და მის ფუნქციებს ვინმე ითავსებს, ის ადამიანი თავის ადგილზე უნდა დასვან. ის, რაც გააკეთეს სახელისუფლებო პარტიებმა ვიტალი ხაზარაძის ხელმძღვანელობით, ეს იყო ელემენტარული პროვოკაცია.

– როგორ წარმოგიდგენიათ, თუნდაც მანანა გიგინეიშვილი პრეზიდენტის ნების გარეშე ვიტალის ნათქვამზე დატოვებდა დარბაზს?

– შეიძლება ქალბატონი მანანა თვლიდა, რომ ეს პრეზიდენტთან იყო შეთანხმებული, ალბათ, მას ასე აუხსნეს.

– გაქცეული ფრაქციები მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტროს საკითხის განხილვას ბიუჯეტის განხილვამდე ითხოვდნენ. როცა ასე გააფთრებით ითხოვენ, ყოველთვის რაღაც ინტერესი აქვთ, ცნობილია კიდეც ეს ინტერესი მაგრამ მეორეცაა, როცა საკითხი ასე მტკიცედ იბლოკება, მაშინაც რაღაც ინტერესი არსებობს ხოლმე?

– მე არანაირი ინტერესი არ მამოძრავებს და არც არაფერი დამიბლოკავს. მინდა მოვისმინო არგუმენტები იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელზეც გადაწყვეტილება უნდა მივიღო პარლამენტთან ერთად და რომელზეც პასუხს ვაგებ. გადათვალეთ, მერამდენე ცვლილებაა აღმასრულებელ ხელისუფლებაში – ხან ვაერთებთ, ხან ვყოფთ, ხან ვაუქმებთ სამინისტროებს. გამაგებინეთ, შეიძლება გაუთავებელი ცვლილებები? შეიძლება არ ვიცოდეთ, ამის შემდეგ რას ვაკეთებთ და ისე ვაუქმებდეთ ან ვაერთებდეთ სამინისტროებს? რა მოვითხოვე? მომეცით არგუმენტები! სხვათა შორის, პრეზიდენტი დღესაც არ ითხოვს ამ საკითხის დაჩქარებული წესით განხილვას და ამბობს, რომ მისთვის ბევრად უფრო მნიშვნელოვანია ბიუჯეტი. როგორც ჩანს, ვიღაცა სხვა იყო დაინტერესებული, რომ რიგგარეშე განხილულიყო ეს საკითხი.

– კი, მაგრამ რიგგარეშე განხილვის მოთხოვნით ხომ პრეზიდენტი შემოვიდა?

– არა, როდესაც პრეზიდენტი ამ ინიციატივით შემოვიდა, რიგგარეშე განხილვას არ ითხოვდა. რიგგარეშე განხილვის მოთხოვნა მეორე დღეს შემოვიდა, სხვათა შორის, არა პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი, არამედ ფაქსიმილე დარტყმული.

– გინდათ თქვათ, რომ პრეზიდენტის მაგიერ ეს სხვამ გააკეთა?

– არ ვიცი, შეიძლება პრეზიდენტთან შეთანხმებული იყო, შეიძლება არც იყო შეთანხმებული. ყოველ შემთხვევაში, ჩემთან

პრეზიდენტს არც ერთხელ არ დაუსვამს საკითხი, რომ ის ამ საკითხის სასწრაფოდ განხილვას ითხოვდა. პრეზიდენტმა იცოდა, რომ მე ვითხოვდი არგუმენტაციას ამ სამინისტროების გაუქმებასთან დაკავშირებით.

– ბიუროზე, ფაქტობრივად, თქვენმა ხმამ გადაწყვიტა მინიმალური ხელფასის საკითხის დღის წესრიგში ჩასმა. უნდა ვივარაუდოთ, რომ მხარს უჭერთ ამ კანონს?

– მე დღემდე არა მაქვს პოზიცია ჩამოყალიბებული, არ ვიცი, მხარს დავუჭერ თუ არა. არა იმიტომ, რომ არ მინდა ხალხს ხელფასი მოემატოს, უბრალოდ, ვიდრე არგუმენტებს არ მოვისმენ, გადაწყვეტილებას ვერ მივიღებ. ბატონი სახელისუფლებო ფრაქციების ლიდერი ითხოვდა დღის წესრიგიდან ამოგვეღო ეს კანონპროექტი. ეს მართლაც პოლიტიკური სიბეცეა, მართლა ბეცი უნდა იყო, რომ იმ კანონპროექტის განხილვაზე, რომელსაც ხალხი ელოდება, თქვა: „არც ვისმენ“. მოხარული ვარ, რომ ჩემმა ხმამ გადაწყვიტა ამ საკითხის დღის წესრიგში ჩასმა.

– ვახტანგ რჩეულიშვილის ამბიციები თქვენს სკამზე გადის, არა?

– დარწმუნებული ხართ, რომ უფრო მეტი ამბიცია არა აქვს? პარლამენტის თავმჯდომარეობას ის გარდამავალ ეტაპად უყურებს. მე არც არასოდეს მიბრძოლია სკამისთვის და არც ახლა ვაპირებ ვინმესთან ბრძოლას სკამზე. იმისთვის კი ბოლომდე ვიბრძოლებ, რომ ვალდებულებების შესრულებას, რაც მაკისრია, ღირსეულად გავართვა თავი. მოვახერხებ ამას თუ არა, ხალხის შესაფასებელია და არა ზოგი ჩემი „ღრმადპატივცემული“ კოლეგის. ახლა სახელისუფლებო ფრაქციებში მართლაც მიმდინარეობს პირველობისთვის ბრძოლა, თავს არ ზოგავენ, რომ შევარდნაძეს დაუმტკიცონ, რომ ისინი უფრო საჭირონი არიან, ვიდრე სხვები.

– თქვენ ვისთვის ცდილობთ თქვენი საჭიროების დამტკიცებას?

– არავისთვის არაფრის დამტკიცებას არ ვცდილობ, ჩემ-

თვის ერთადერთი ანგარიშგასაწევი საქართველოს მოსახლეობაა. იცით რა, მე ამ ქვეყანაში ვაპირებ ცხოვრებას...

– ამის განცხადებით თქვენც შორს იხედებით, შორს – პოსტშევარდნაძისტულ ეპოქაში...

– მე შორს ვიხედები არა მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით, არამედ იმ თვალსაზრისით, რომ მყავს 12 და 9 წლის ბიჭები და არანაირი სურვილი არა მაქვს, ჩემს შვილებს ვინმემ წამოაძახოს, დედაშენი რომ ამხელა თანამდებობაზე იყო, რა გაუკეთა ქვეყანას?

რეზო შატიკიშვილი

ალია 2002. – 26-27 დეკემბერი. – №154. – გვ. 6

ბურჯანაძე მოსკოვში ვიზიტის უარყოფით დეტალებს არ ახმაურებს

ზოგიერთ რუს პოლიტიკოსთან საუბარი შეუძლებელია

– როგორ შეაფასებდით მოსკოვში ვიზიტს და რა შეიძლება ითქვას მისი კონკრეტული შედეგების შესახებ?

– ვიზიტის შედეგებს მომავალში უფრო ნათლად დავინახავთ. ზოგადად კი ამ ეტაპზე მოსკოვში საქართველოს დელეგაციის ჩასვლა ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რადგან ქართულ მხარეს რუსული პოლიტიკური ელიტის წინაშე სამართლიანი პრეტენზიები ოფიციალურად აუცილებლად უნდა დაეფიქსირებინა. შემიძლია ვთქვა, რომ რუსეთი გარკვეულწილად დაინტერესებულია იმ პრობლემებით, რომლებიც ამჟამად საქართველოს აწუხებს. ჩვენთვის უპირველესი აფხაზეთის საკითხია, მაგრამ რუსეთისათვის საქართველოსთან ურთიერთობა უპირველესი საკითხი ნამდვილად არ არის. მეტიც, რუსეთის უმაღლეს პოლიტიკურ ეშელონებში ბევრმა არ იცოდა, რეალურად რა პრობლემებზე საუბრობდა ქართული მხარე. რუსეთის ხელისუფლება არ არის ერთგვაროვანი. რუსი პოლიტიკოსების ნაწილი ჩვენს საპარლამენტო დელეგაციას ინტერესით უსმენდა, თუმცა იყვნენ ისეთი პოლიტიკოსებიც, რომლებთანაც საუბარი უბრალოდ შეუძლებელი იყო.

– რა კონკრეტულ საკითხებზე იმსჯელეთ მოსკოვში?

– ვიზიტის მსვლელობისას მწვავე და ღია საუბრები გვქონდა ძირითადად აფხაზეთის საკითხებზე: სოხუმი–სოჭის სარკინიგზო მონაკვეთის გახსნასა და აფხაზეთის მოსახლეობისთვის რუსეთის მოქალაქეობის დამადასტურებელი პასპორტების გაცემაზე. შევთანხმდით, რომ აფხაზეთში მიმდინარე პროცესე-

ბის შესასწავლად სასწრაფო რეჟიმში შეიქმნება სპეციალური კომისია, რომელსაც რუსეთის აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება დააკომპლექტებს.

– პასპორტიზაციასთან დაკავშირებით კონკრეტულად რა პოზიცია დააფიქსირა რუსულმა მხარემ?

– პასპორტიზაციის შეჩერებასთან დაკავშირებით ერთმნიშვნელოვანი დაპირება არ ყოფილა, თუმცა აღგვითქვეს, რომ აფხაზეთის მოსახლეობისთვის რუსული პასპორტების გაცემა მანამდე შეჩერდება, სანამ საბოლოოდ არ გაირკვევა რუსეთის მიმართ საქართველოს პრეტენზიები. სპეციალური კომისია შეისწავლის, თუ ვინ და რა ვითარებაში მიიღო პასპორტიზაციის დაწყებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება.

– თქვენი აზრით, რამდენად გულწრფელნი იყვნენ რუსი პოლიტიკოსები საქართველოს დელეგაციასთან შეხვედრისას?

– ძნელი სათქმელია, მაგრამ რუსი კოლეგების უმეტესობა ერთმნიშვნელოვნად აფიქსირებდა, რომ რუსული პასპორტების გაცემა და სარკინიგზო მიმოსვლის გახსნა გაუგებრობასთან არის დაკავშირებული. ეს კი იმის უფლებას გვიტოვებს, რომ რუსეთისგან შესაბამის რეაგირებას ველოდოთ. რუსეთის ფედერაციის საბჭოში უკვე შეიქმნა ჯგუფი, რომელიც საქართველოს კონკრეტულ პრეტენზიებს მიიღებს და შეისწავლის. ჯგუფის წევრები უახლოეს ხანებში საქართველოში ჩამოვლენ და ჩვენს მიერ დაყენებულ საკითხებს უფრო ღრმად გაეცნობიან.

– გადაწყდა თუ არა ვიზიტის შედეგად რუსეთ-საქართველოს შორის ჩარჩო-ხელშეკრულებაზე მუშაობის გაგრძელების საკითხი?

– შევთანხმდით, რომ რუსეთ-საქართველოს შორის ჩარჩო-ხელშეკრულებაზე მუშაობა აუცილებლად განახლდება, კერძოდ, საქართველოს ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის მიმართულებით.

– შეეხეთ თუ არა შეხვედრებზე საქართველოს დსთ-დან გამოსვლის საკითხს?

– ამაზე ყურადღება არ გაგვიმახვილებია, რადგან ეს ახალი თემა არ არის. ჩვენ ბევრად უფრო მწვავე და კონკრეტულ საკითხებზე გვქონდა სათქმელი. ქართული დელეგაციის მიზანი იყო 28 იანვარს რუსეთ-საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრაზე რუსულ მხარეს საქართველოს სამართლიან პრეტენზიებთან დაკავშირებით პასუხები ჰქონოდა და მხარეებს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გლობალური მოწესრიგების თაობაზე ესაუბრათ, რათა მომავალში კონკრეტული პრობლემების გადაწყვეტა და ახლების წარმოშობის თავიდან აცილება შეძლონ.

– რუსეთ-საქართველოს ეკონომიკური ურთიერთობების მოწესრიგებაზე თუ იყო საუბარი?

– რასაკვირველია. იმ ეკონომიკურ კავშირებზეც გავამახვილეთ ყურადღება, რომლებიც რუსეთის აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს საქართველოს გვერდის ავლით აფხაზეთის სეპარატისტულ ხელისუფლებასთან აქვს. დღემდე ქართულ მხარეს სურდა, აფხაზეთთან ეკონომიკური ურთიერთობების საკითხი კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების შემდეგ გადაეწყვიტა. დღეს კი მზად ვართ აფხაზეთის ეკონომიკურ რეაბილიტაციაზე ვისაუბროთ, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ლტოლვილთა დაბრუნებისა და კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების თანადროულად. რუსულ მხარეს არანაირი მორალური უფლება არა აქვს, ცალმხრივად ისაუბრონ აფხაზეთის აღორძინებაზე, შეიცოდონ აფხაზები და დევნილების ნებას იგნორირება გაუწიონ.

– იგრძნობოდა თუ არა ღია და დაუფარავი აგრესია რუსეთის მხრიდან?

– მე ვერ დავინახე რუსეთის ხელისუფლების მკვეთრად გამოხატული აგრესია. მაგრამ ქართულმა მხარემ უფრო აქტიურად უნდა იმუშაოს, რათა მისი სურვილები ნებისმიერ რუს პოლიტიკოსამდე ზუსტად დავიდეს. ჯერჯერობით ყველა რუსი პოლიტიკოსი ამისათვის მზად არ არის. ჩვენ გვინდა რუსეთმა გაიგოს,

რომ მის ინტერესებში არ შედის სუსტი, დაქუცმაცებული, გაბოროტებული საქართველოს მეზობლობა და არის ინტერესები, რომელთაც საქართველო ვერასდროს დათმობს. ეს ნაციონალური ინტერესებია: ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი. არ მინდა ვისაუბრო იმ ნეგატიურ მომენტებზე, რომლებსაც ვიზიტის მსვლელობისას წავაწყდით. ვიმედოვნებ, რომ ორი ქვეყანა შეთანხმებას მიაღწევს იმ საერთო ღირებულებების საფუძველზე, რომლებითაც ჩვენი ხალხები ცხოვრობენ.

ინტერ-პრესი

ახალი თაობა. – 2003, 27 იანვარი, №25, გვ. 3

რუსეთის კულისებში პოსტშევარდნაძისტულ არჩევნებზე უკვე საუბრობენ

რუსეთი ჯერჯერობით მხოლოდ იმედებს არიგებს. ნინო ბურჯანაძე შედეგებს ელოდება. მანამდე კი პარლამენტის თავმჯდომარე ქართული მხარით უკმაყოფილებას გამოთქვამს.

„ალია“ ნინო ბურჯანაძეს დაუკავშირდა.

ნინო ბურჯანაძე: საქართველოში ან თუნდაც საზღვარგარეთ მწვავე განცხადებების გაკეთება საკმარისი არ არის. ზოგჯერ გაბუტულის პოზიცია გვიკავია ხოლმე. მოსკოვისთვის საქართველოს პრობლემა მეორეხარისხოვანია, ერაყი გაცილებით მნიშვნელოვანია. საქართველოს ხელისუფლება რუსეთთან არ მუშაობს.

– ხვალ უშიშროების საბჭოს სხდომაზე აპირებთ ამ საკითხის დაყენებას?

– აუცილებლად.

– თქვენ საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე იყავით და ეს საკითხები უშუალოდ გევალებოდათ...

– მუშაობა კომპლექსური უნდა იყოს. უნდა შევიმუშაოთ გეგმა, როგორ ვიმუშაოთ რუსეთთან.

– ეს ხელისუფლება შეძლებს ასეთი გეგმის შემუშავებას?

– ხელისუფლებაშიც არიან გონიერი ადამიანები. ასე რომ, შესაძლებელია.

– თქვენ კონკრეტული ინიციატივა წარუდგინეთ?

– გარკვეული წინადადებები მქონდა, მაგრამ ამ საკითხზე მუშაობა ერთი ადამიანის პრეროგატივა არ არის.

– რუსეთში კულუარულ საუბრებში იგრძენით რუსეთის დაინტერესება პოსტშევარდნაძისტული არჩევნებისადმი?

– ალბათ, ეს ინტერესი არის, მაგრამ ჩვენი მთავარი მისია ეს არ იყო. ეს რუსეთთან გასარჩევი საკითხი არ არის.

– ამიტომაც გავუსვი ხაზი დაინტერესებას.

– ალბათ, ინტერესი არის. იყო შეკითხვები იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ განახლდება პარლამენტი. გარკვეული მნიშვნელობა აქვს, ვინ მოვა საქართველოს პარლამენტში. ამ თვალსაზრისით ინტერესი არის.

– პროგნოზები არ გამოუთქვამთ?

– არა, ჩვენ სხვა საკითხების გამო ვიყავით მოსკოვში...

– თუმცა, დამეთანხმეთ, ამ საკითხების მოგვარება ბევრად იქნება დამოკიდებული მომავალ არჩევნებზე...

– იმედი მაქვს, ეს საკითხი მოგვარდება მანამ, სანამ პოსტშევარდნაძისტულ ეპოქაზე დაიწყება საუბარი. შევარდნაძისთვის აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემის დარეგულირება ნამდვილად პრინციპულია.

ქეთი ხატიაშვილი

ალია 2003. – 25-27 იანვარი. – №8. – გვ. 4

ყმის პოზიცია ქართველებისთვის მიუღებელია

პრეზიდენტობაზე ფიქრი კი არა, ვისაც რა შეგვიძლია, ის გავაკეთოთ ქვეყნისთვის. 2005 წელს შესაძლოა ყველაზე მაღალი რეიტინგი იმ ადამიანს ჰქონდეს, რომელიც დღეს საერთოდ არ ჩანს პოლიტიკურ არენაზე. იმას კი, რომელიც დღეს პოპულარულია, იმ დროისთვის არავითარი შანსი აღარ ჰქონდეს. ეს პოლიტიკაში ჩვეულებრივი მოვლენაა. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის წელიწადია პარლამენტმა დსთ-ის სამშვიდობოების გაყვანა მოითხოვა, გაერო და სხვა ჩვენი მეგობრებიც რუსეთს უგორებენ კოჭს და გვიყვავებენ, – რუსები აფხაზეთში დატოვეთო. ჩვენმა კეთილმოსურნე გაერომ არც გაეროს შენობის წინ მომიტინგე ორი ათასი ქართველის გულისტკივილი გაიზიარა და არც საქართველოს ელჩის მოსმენა ისურვა – ერაყთან ომის წინ რუსეთის განაწყენებას მოერიდა და თავისი კეთილი რჩევა ამჯერად რეზოლუციით განამტკიცა – რუსი სამშვიდობოები აფხაზეთში დატოვა. ქართველ პოლიტიკოსთა უმეტესობა გაეროს უუნარობასა და აფხაზეთის საკითხისადმი გულგრილობას აბრალებს, ხოლო „ნაციონალები“ ჩვეულ რადიკალურობას არ ღალატობენ და კულუარული ინფორმაციით, პარლამენტის უახლოეს სხდომაზე საქართველოს გაეროდან გამოსვლის დასმას აპირებენ... როგორ განვითარდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები და რას უნდა ველოდოთ – ამ საკითხზე პარლამენტის თავმჯდომარე ქალბატონი ნინო ბურჯანაძე გვესაუბრება:

დღემდე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში მძლავრობდა პრინციპი: „დიდ კაცთან პატარა კაცსა როდის გასვლია მართალი“. მომავალშიც ასე იქნება?

სანამ ასე სუსტები ვიქნებით, სანამ ჩამოყალიბებული პოზიცია არ გვექნება და ჩვენს შინაპრობლემებს თვითონვე არ გა-

დავჭრით, მუდმივად გვექნება ეს პრობლემა. საქართველო თუ ფეხზე დადგება, ნაკლებად დაჩაგრავს ვინმე. „დიდი კაცისა“ და „პატარა კაცის“ იგავი რომ არ განმეორდეს, ამისთვის გვყავს მეგობრები, საერთაშორისო თანამეგობრობა. ახლა კი ვიჩაგრებით, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელდება. ყმისა და ბატონის ურთიერთობა მიუღებელია ქართული ბუნებისათვის. ამიტომაც იყო, რუსეთის იმპერიის დროსაც და საბჭოთა პერიოდშიც ქართველებს განსაკუთრებული მდგომარეობა გვქონდა და ვინმეს მბრძანებლობას, მით უმეტეს ახლა, აღარ მოვითმენთ. მერწმუნეთ, ჩვენს დელეგაციას რუსეთში თავი უხერხულად ოდნავად არ უგრძვნია – პირიქით, ჩვენი ოპონენტები იცავდნენ თავს – არაფერი ვიცოდით მატარებელზე, პასპორტებს კი არ გავცემთ, რაღაც შტამპებს ურტყამენ აფხაზებსო. ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე კიდეც ვთქვი – რა ხდება ამ ქვეყანაში, არავინ არაფერი იცის-მეთქი? დავუშვათ, დავუჯერეთ. ახლა ხომ იციან, რაც აფხაზეთში ხდება? ახლა იმოქმედონ შესაბამისად. ვერ ვიტყვი, რომ კიევში პრეზიდენტების შეხვედრის შედეგებით აღფრთოვანებული ვარ. თუმცა იქ ითქვა, – ლტოლვილთა დაბრუნების პარალელურად უნდა ამოქმედდეს რკინიგზაო. სამიტის შემდეგ რუსეთის ელჩთან ვისაუბრე. ჩხიკვიშვილმა მითხრა, პუტინის განკარგულებით პასპორტების და რკინიგზის საკითხის გასარკვევად ვმუშაობთო. რუსეთ – საქართველოს პრობლემების შესასწავლად საგანგებო კომისიის შექმნაა დაგეგმილი. ვნახოთ, რა ნაყოფს გამოიღებს ეს. თუ პრობლემის გადაწყვეტის გზა არ მოიძებნა, საერთაშორისო ორგანიზაციებს მივმართავთ.

მაგრამ საერთაშორისო ორგანიზაციები მძაფრი განცხადებების გაკეთებას ერიდებიან. მაგალითისთვის 31 იანვარს გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაც იკმარებს, რომელმაც აფხაზეთი ისევ რუს სამხედროებს „დაუტოვა.“

მანდატის გაგრძელებას გაეროს გარდა მეგობარი ქვეყნებიც ემხრობიან, რადგან მართლაც არსებობს აფხაზეთში საფრთხე.

– რომელ საფრთხეს გულისხმობთ?

– სამშვიდობოების გასვლის შემთხვევაში რუსეთში აღმოჩნდებიან ძალები, რომელთა პროვოკაციას ქართველებსა და აფხაზებს შორის შეტაკება მოჰყვება. შეიძლება რაღაც გაუთვალისწინებელიც მოხდეს და ქართველებს დაგვაბრალონ. რუსეთი არც მალავს საკუთარ ზრახვებს, – თუ სამშვიდობოები აფხაზეთიდან გავლენ, იქ სისხლიან ფაფას მოვუდუღებთ ქართველებსო. სამშვიდობოების გაყვანის საკითხს კარგად უნდა აწონ-დაწონა. არიან კი მზად ჩვენი ხელისუფლება და ძალოვანი სტრუქტურები ამისთვის? პარლამენტმა 1 წლის წინ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სამშვიდობოები საქართველოდან უნდა გასულიყვნენ. რა გაკეთდა ამ ხნის მანძილზე? როგორ შეიძლება მზად არასოდეს ვიყოთ? არ ვართ მზად სამშვიდობოების გასაყვანად, არ ვართ მზად მშვიდობის შესანარჩუნებლად – ოდესღაც ხომ უნდა ვიყოთ მზად რაღაც კონკრეტული ნაბიჯისთვის. რად უნდა ლაპარაკი, რომ არ ვართ მზად რუსეთის პროვოცირების თავიდან აცილებისთვის. ისეთ მდგომარეობაში ვართ, რომ ორი უბედურებიდან ერთ-ერთი უნდა ავირჩიოთ და დღეს იმაზე ვფიქრობთ და ვიმტვრევთ თავს, რომელია „ნაკლები“ უბედურება. პარლამენტმა გასულ კვირას მთავრობას სთხოვა, ერთ კვირაში წარმოადგინოს კრიზისული ვითარებიდან გამოსვლის გეგმა. იმედი მაქვს, გეგმა ვიღაცას სეიფშიც უდევს და თუ არა, მით უარესი ჩვენი ხელისუფლებისთვის.

– ანუ შეიძლება დავასკვნათ, რომ ერთი კვირის შემდეგ საქართველო ისევ გაუგრძელებს რუს სამშვიდობოებს მანდატს, მიუხედავად ჩვენი პრეზიდენტის განცხადებისა – პასპორტების და რკინიგზის საკითხის მოგვარებამდე მანდატის გაცემაზე თავს შევიკავებთო.

– პრეზიდენტმა უნდა აწონ-დაწონოს ის არგუმენტები, რომლებიც ჩამოვთვალე. რაც მოქალაქეობის და რკინიგზის პრობლემამ წამოჭრა, პრეზიდენტი გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ერთი მხრივ, არის პარლამენტის გადაწყვეტილება (დსთ-ის სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ), მეორე

მხრივ კი გასათვალისწინებელია პროგნოზები, რომელსაც გაერო, მეგობარი ქვეყნები და რუსეთის ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლები აკეთებენ... მაგრამ ხომ არსებობს თავმოყვარეობაც... რუსეთის ხელისუფლებამ უნდა დაგვანახვოს, რომ მზად არის კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის. უნდა გადაწყდეს მოქალაქეობის და პასპორტების პრობლემა და შემდეგ განვიხილოთ სხვა საკითხები, თორემ უპირობოდ სამშვიდობოებისთვის მანდატის გაგრძელება რთული მისაღები იქნება.

– რუსული პრესა საქართველოს მომავალ პრეზიდენტად გსახავთ. რას ფიქრობთ ამ საკითხზე?

– ჯერ ადრეა საქართველოში ვინმეს პრეზიდენტობაზე ლაპარაკი. 2005 წლამდე ბევრი რამ არის ქვეყანაში გასაკეთებელი. რა იქნება ამ ხნის განმავლობაში, როგორ დალაგდება პოლიტიკური სპექტრი, ვის რა შესაძლებლობები ექნება, ეს იქნება გადამწყვეტი. 2005 წელს შესაძლოა ყველაზე მაღალი რეიტინგი იმ ადამიანს ჰქონდეს, რომელიც დღეს საერთოდ არ ჩანს პოლიტიკურ არენაზე. იმას კი, რომელიც დღეს პოპულარულია, იმ დროისთვის არავითარი შანსი აღარ ჰქონდეს. ეს პოლიტიკაში ჩვეულებრივი მოვლენაა. პრეზიდენტობაზე ფიქრი კი არა, ვისაც რა შეგვიძლია, ის გავაკეთოთ ქვეყნისთვის, თორემ შესაძლოა ისეთი რამ დატრიალდეს, აღარც ქვეყანა გვქონდეს და პრეზიდენტობაც გვერდზე დარჩეს ყველას.

– წელს საპარლამენტო არჩევნები გველის. რომელ პოლიტიკურ ძალებს აღიქვამთ მეტ-ნაკლებად სერიოზულად?

– მიუხედავად იმისა, რომ ოქტომბერში არჩევნები ჩატარდება, ჯერ კიდევ არ არის დალაგებული პოლიტიკური სპექტრი. გაზაფხულისთვის ალბათ ყველაფერი გამოიკვეთება. სასურველია არ იყოს მომავალში ისეთი პარლამენტი, როგორიც დღეს გვაქვს. ძნელია კონკრეტული გადაწყვეტილების მიღება და გატანა. ხშირად ყოფილა, მცოდნია, რომელი გადაწყვეტილება იქნება ქვეყნისთვის უკეთესი, მაგრამ პარლამენტი საპირის-

პიროს უჭერს მხარს. ცუდია, რომ მე, პარლამენტის თავმჯდომარეს არ მყავს გუნდი, რომელზე დაყრდნობითაც გავიტანდი ჩემთვის მისაღებ გადაწყვეტილებას. ეს არ ნიშნავს იმას, რომ მარტო ერთი პარტია მოვიდეს პარლამენტში, მაგრამ პოლიტიკური სპექტრი ისე უნდა დალაგდეს, რომ იყოს გამოკვეთილი უმრავლესობა, გამოკვეთილო ოპოზიცია და ეს უმრავლესობაც ისეთი უნდა იყოს, ერთმნიშვნელოვნად ვერ იღებდეს გადაწყვეტილებას.

– რაკი ბრძანეთ, პარლამენტის თავმჯდომარეს თავისი პოლიტიკური გუნდი უნდა ჰყავდესო, ალბათ, ფიქრობთ კიდეც ვინ არის თქვენთვის შედარებით მისაღები და ვინ არა. დღევანდელი პოლიტიკური სპექტრიდან რომელ ძალას არჩევდით?

– ვნახოთ... არის პოლიტიკური ჯგუფები, რომელთანაც, მათივე შეხედულებებიდან გამომდინარე, ვერ ვხედავ თანამშრომლობის შესაძლებლობას. არის ძალები, რომლებთანაც მეტი საერთო მაქვს. ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ დალაგდება პოლიტიკური სპექტრი, როგორ პოლიტიკურ შეხედულებებსა და მეთოდებს აირჩევენ და ა. შ.

– კულუარებში ითქვა, თითქოს ერთიანი ოპოზიციის სიაში გაქვთ ერთ-ერთი საპატიო ადგილი, მეორე ვერსიით – „ახალი მემარჯვენეებისკენ“ იხრებით.

– მე სხვა ვერსიებიც ვიცი. ზოგჯერ ისეთ პარტიასთან მაიგივებენ, რომელთა წარმომადგენელსაც არ ვიცნობ. ვერსიების სიმრავლე მეტყველებს, რომ არც ერთი არ არის სწორი. მაგალითად, „ახლებთან“ ჩემი კავშირის შესახებ გიგი წერეთლისგან გავიგე. გადაწყვეტილებების მიღებისას ჩემი შეხედულებისამებრ ვმოქმედებ. არ ვითვალისწინებ პოლიტიკურ კონიუნქტურას. ამიტომ ჩემი პოზიცია ხან ოპოზიციის აზრს ემთხვევა, ხანაც სამთავრობო ფრაქციებისას. ვიცი, ჩემს რეიტინგს უფრო მკვეთრი ოპოზიციური განცხადებები წაადგება, მაგრამ არ შეიძლება პარლამენტის თავმჯდომარის თვითმიზანი იყოს პოლიტიკური რეიტინგის ამაღლება. თუ ვხედავ, რომ ჩემი გაჩუმება საზია-

ნოა ქვეყნისათვის, ხმამაღლა ვამბობ სათქმელს. თუ თქმას არა-თქმა სჯობს, მაშინ ვჩუმდები.

– ბოლოს უნდა გკითხოთ მოსკოვის ვიზიტის ერთი დეტალის შესახებ. ეს პრესიდან შევიტყვეთ – თითქოს გენადი სელეზნიოვმა თქვენთან შეხვედრაზე 15 წუთით დაიგვიანა და ბოდიშიც არ მოიხადა ამის გამო.

– სტატიის ავტორმა, რომელიც ეტყობა, ვითარებაში ვერ გაერკვა, ამით კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუ რა დაძაბულია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, რომ ჩვენ ყველაფერს ეჭვით ვუყურებთ და რუსებისგან ცუდს ველით. სინამდვილეში ქართულ დელეგაციას დააგვიანდა. ჩვენ დიდი კორტეჟი და პოლიციის მანქანა გვაცილებდა. მაგრამ მანქანა, რომელშიც დელეგაციის წევრები ისხდნენ, ჩამორჩა. კორტეჟის დაცვამ სვლა არ შეანელა, ამიტომ ჩვენ დროულად მივედით შეხვედრაზე, ჩამორჩენილი მანქანა კი გვიან. პროტოკოლის სამსახურმა სელეზნიოვის თანაშემწეს აცნობა ამის შესახებ. მე, რამდენიმე დელეგატი და ჟურნალისტები მისაღებ ოთახში აღმოვჩნდით. როცა რუსებმა მკითხეს, როგორ მოვიქცეთო, დიალოგი დავიწყოთ-მეთქი და ნახევარ წუთში მიგვიღო სელეზნიოვმა. უპატივცემულობა არ მიგრძვნია, პირიქით, რუსები ხაზგასმული თავაზიანობით და პატივით გვეპყრობოდნენ. ღმერთმა ქნას, ასეთივე კორექტულები დასახული გეგმების განხორციელებაში იყვნენ. ნორმალური რუსეთისთვის გაცილებით ხელსაყრელია საქართველო ძლიერი და მის მიმართ კეთილგანწყობილი იყოს და მჯერა, ამას რუსეთშიც მალე მიხვდებიან.

კვირის პალიტრა 2003. – 3-9 თებერვალი. – № 5. – გვ. 1-7

ჩვენ უსუსურები აღმოვჩნდით

არსებობს საშიშროება, რომ სიტუაცია ექვსი თვის შემდეგაც არ შეიცვლება. გუშინ საქართველოში დაბრუნდა საქართველოს პარლამენტის დელეგაცია, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიაში. აღსანიშნავია, რომ ზამთრის სესიაზე, პროცედურულად, რეზოლუციების მიღება არ არის გათვალისწინებული. ამიტომ ქართული დელეგაცია ამჯერად აფხაზეთის საკითხებზე დებატებით შემოიფარგლა. გთავაზობთ ბლიც – ინტერვიუს ქართული დელეგაციის ხელმძღვანელთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან, ნინო ბურჯანაძესთან. – აღსანიშნავია, რომ ეუთოს-ს საპარლამენტო ასამბლეაში ამ დღეებში პირველად შედგა აფხაზეთთან დაკავშირებული სპეციალური ჯგუფის შეხვედრა. ჩვენ ამ ჯგუფის წევრები არ ვართ, თუმცა ჩვენი დელეგაცია ამ შეხვედრაზე მოწვეული იყო და ქართული მხარისთვის საინტერესო ყველა პოზიციას რუსული პასპორტების დარიგებასთან დაკავშირებით – დაფიქსირების საშუალება მოგვეცა. მნიშვნელოვანია, რომ ჯგუფმა მიიღო გადაწყვეტილება, ბოლო შანსი მიეცეს აფხაზეთის მხარეს, რომელიც ამ ჯგუფთან თანამშრომლობას თავს არიდებდა. თუ აფხაზების მხრიდან ეს ბოლო შანსიც არ იქნა გამოყენებული, მაშინ ჯგუფი შესაბამის გადაწყვეტილებებს მიიღებს ამ საკითხთან დაკავშირებით და რადიკალურად შეცვლის თავის დამოკიდებულებას.

– რა სახის გადაწყვეტილებები შეიძლება იქნას მიღებული?

– ჯგუფის წევრები და ხელმძღვანელი უახლოესი ერთი თვის განმავლობაში ჩამოვლენ საქართველოში და უკვე როტერდამის სესიაზე, ივლისში, ჯგუფი გააკეთებს იმ განცხადებებს, რომელსაც ჩვენ ველოდებით და რასაც კონკრეტული ნაბიჯები

მოჰყვება. ჩვენ საკმაოდ კრიტიკულად გამოვედით არა მხოლოდ რუსეთთან დაკავშირებით, არამედ თავად ეუთოსთან მიმართებაშიც იმდენად, რამდენადაც ვერ ვხედავთ იმ აქტიურობას და იმ დონის გადაწყვეტილებებს, რომელიც საჭიროა მაშინ, როცა ეუთო-ს წევრ ქვეყნებში არის ამდენი გადაუწყვეტელი და ე. წ. გაყინული კონფლიქტი.

– რუსეთის დელეგაციასთან თუ გქონდათ შეხვედრები?

– არ შემიძლია არ ვთქვა, რომ ეუთო-ში ჩვენი მოღვაწეობის ბოლო პერიოდის განმავლობაში უპრეცედენტო აქტივობა იყო რუსეთის მხრიდან. რუსეთის დელეგაციამ გამოაცხადა მზადყოფნა დეტალური დიალოგისთვის. მოგვაწოდეს ინფორმაცია იმის თაობაზეც, რომ რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში მართლაც შეიქმნა სპეციალური ჯგუფი რკინიგზის მიმოსვლის აღდგენის და პასპორტების საკითხის შესასწავლად. თუმცა, ვნახოთ, რუსეთის მხრიდან ასეთი აქტიურობა რა რეალურ შედეგებს მოიტანს უახლოეს პერიოდში. ჩვენი ინფორმაციით, რამდენიმე კვირაა, რუსული პასპორტების დარიგება შეჩერებულია, თუმცა ეს არ არის პრობლემის საბოლოო გადაწყვეტა, რადგან შტამპი პასპორტში არსებობს. ჩვენ დავაყენეთ საკითხი საერთაშორისო დოკუმენტის მინიჭებასთან დაკავშირებით, რაც გარდამავალი ეტაპი იქნება პრობლემის საბოლოო დარეგულირებამდე. ასევე მინდა ხაზი გაუსვა: როგორც გვითხრეს, პირველი შემთხვევა იყო, როცა სპეციალურად საქართველოს პრობლემატიკასთან დაკავშირებით ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაზე წარმოდგენილი იყო რუსეთის ფედერაციის საბჭოს დელეგაცია. ადრე, როგორც წესი, ასეთ სესიებს მხოლოდ რუსეთის დუმის წარმომადგენლობა ესწრებოდა.

– გასულ კვირას უშიშროების საბჭომ, თქვენი მონაწილეობით, საქართველოს პრეზიდენტს სამშვიდობოების მანდატის გაგრძელების რეკომენდაცია მისცა. რამდენადაც ვიცი, თქვენ ჟურნალისტებისთვის თქვენი პოზიცია, მიღებულ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, არ გაგიცვნიათ. რამდენად აუცილებელი და გარდაუვალი იყო ასეთი გადაწყვეტილების მიღება?

– ფაქტობრივად, ჩვენ აღმოვჩნდით გამოუვალ მდგომარეობაში, როცა ცუდსა და უარესს შორის არჩევანის გაკეთება მოგვიხდა. მე პარლამენტის გადაწყვეტილების რევიზიაზე საუბრის არც სურვილი და არც უფლება არ მაქვს, მაგრამ თავად პარლამენტშიც იყო მსჯელობა იმაზე, რომ თუ მანდატი გაფართოვდებოდა, თუ სამშვიდობოები თუნდაც მდინარე ღალიძგის მიმართულებით გადაიწევდნენ, თუ მანდატის ინტერნაციონალიზაცია და, პარალელურად, ლტოლვილების დაბრუნება მოხდებოდა, ჩვენი დამოკიდებულება მანდატის მიმართ სრულიად განსხვავებული იქნებოდა. მაშინ, როდესაც არაფერი მსგავსი არ მომხდარა და არავითარი კონკრეტული ნაბიჯები არ გადადგმულა რუსეთის მხრიდან, მანდატის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილება ძალიან მძიმე მისაღები იყო. მაგრამ მე დავინახე, რომ ჩვენი ხელისუფლება აბსოლუტურად არ იყო მზად მანდატის შესაწყვეტად. მე დავაყენე კიდეც ეს საკითხი – როცა პარლამენტმა მიიღო ნ თვის წინ გადაწყვეტილება იმის თაობაზე, რომ მანდატი უნდა შეწყვეტილიყო, აღმასრულებელ ხელისუფლებას და მთელ ქვეყანას ყველაფერი უნდა გაეკეთებინა იმისათვის, რომ მანდატის გაგრძელების ვადა როცა მოვიდოდა, ჩვენ მზად ვყოფილიყავით მანდატის გაგრძელებაზე უარის სათქმელად. დღეს თავად ჩვენ არ აღმოვჩნდით ამისთვის მზად და ამიტომაც გვესაუბრებიან ასეთი ტონით. ჩვენ უსუსურები აღმოვჩნდით. ჩემთვის სერიოზულია იმის საშიშროება, რომ ექვსი თვის შემდეგ იგივე სიტუაციაში აღმოვჩნდეთ.

– გასულ კვირას დიდ ოპოზიციურ გაერთიანებასთან დაკავშირებით გაჟღერდა თქვენი გვარიც.

– გასულ კვირას მე საქართველოში არ ვიყავი...

– დიახ, მაგრამ ითქვა, რომ თქვენ შეიძლება ჩაუდგეთ სათავეში გაერთიანებული ოპოზიციის სიას. რა კომენტარს გაუკეთებდით ამ ხმებს?

– ჩემთან არ გამართულა პოლიტიკური კონსულტაციები ამასთან დაკავშირებით. ამის შესახებ შევიტყვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან, თუმცა ვიცი, რომ კულუარებში

ასეთი საუბრები მართლაც იყო. როცა ჩავერთვები ამ პროცესში, კომენტარს შემდეგ გავაკეთებ.

თამარ ხორბალაძე

24 საათი 2003. – 24 თებერვალი. – №53 – გვ. A3

კიდევ ერთ სამოქალაქო დაპირისპირებას ვეღარ გავუძლებთ

ბოლო ერთი წელი ნინო ბურჯანაძის პოლიტიკურ კარიერაში მნიშვნელოვანი ეტაპი აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ დღეს პარლამენტი საკმაოდ დისკრედიტირებულ და თითქმის პარალიზებულ პოლიტიკურ ორგანოდ ითვლება, პარლამენტის თავმჯდომარემ მოახერხა, რომ ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული პოლიტიკოსი გამხდარიყო. თითქმის ყველა ოპოზიციური პარტია სიამოვნებით მიიღებდა მას თავის რიგებში. სპეკულაციები, რომ ნინო ბურჯანაძე ამა თუ იმ პოლიტიკურ ბლოკთან თუ პარტიასთან აპირებს გაერთიანებას, მასმედიაში, უკვე დიდი ხანია, დაიწყო. თუმცა, თავად პარლამენტის თავმჯდომარე ჯერჯერობით არ აკონკრეტებს, რომელ პოლიტიკურ ძალასთან აღმოჩნდება არჩევნების წინ.

როგორ შეაფასებდით დღეს ოპოზიციური სპექტრის განლაგებას. ბოლო პერიოდში ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ თქვენ, შესაძლოა, ჟვანიასა და სააკაშვილის ოპოზიციური ბლოკის სიის სათავეში აღმოჩნდეთ (თუ ეს ბლოკი საერთოდ შეიქმნება). სოციოლოგები აცხადებენ, რომ ეს ამ ბლოკისთვის ძალიან პოზიტიური მოვლენა იქნება. როგორ კომენტარს გააკეთებდით. სად, რომელ პოლიტიკურ ძალასთან ხედავთ თქვენ თავს?

ჯერ მაინც ადრეა ამაზე ლაპარაკი. მართალია, ნორმალურ ქვეყნებში, არჩევნებამდე ექვისი თვით ადრე, ის მაინც არის ცნობილი, თუ როგორ დალაგდება პოლიტიკური სპექტრი, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში, პოლიტიკური პროცესები იმდენად ამორფულ ხასიათს ატარებს, რომ პროგნოზის გაკეთება მიჭირს. უცნობია, როგორ ჩამოყალიბდება ოპოზიცია – იქნება ერთი, დიდი ოპოზიციური გაერთიანება თუ რამდენიმე ბლოკი. ჩემთვის პრინციპული მნიშვნელობისაა არა მარტო ის, თუ რა

პოლიტიკური მსოფლმხედველობა აქვს ამა თუ იმ პარტიას თუ გაერთიანებას, არამედ ისიც, თუ რა ტიპის ადამიანები ერთიანდებიან მასში და რა მეთოდებით აპირებენ ისინი თავიანთი პოლიტიკური მიზნების მიღწევას რადგან ზოგჯერ, ძალიან კეთილშობილური მიზნები ძალიან არაკეთილშობილი ხერხებით მიიღწევა ხოლმე. მე მაინც ვფიქრობ, რომ მაჟორიტარ დეპუტატად ვიყარო კენჭი, თუმცა არ გამოვრიცხავ, ჩემი პოლიტიკური მომავალი რომელიმე პოლიტიკურ ძალას დაუკავშირო. მაგრამ ეს, ალბათ, უახლოეს ორ-სამ თვეში გადაწყდება. ამ ეტაპზე ვცდილობ, ნეიტრალურობა შეძლებისდაგვარად შევინარჩუნო. პარლამენტში ძალიან ცხარე დებატებია მოსალოდნელი. მნიშვნელოვანია, რომ სტაბილურობა იქნას შენარჩუნებული. მე ვერ ვიტყვი, რომ ძალიან ნეიტრალური ვარ, რადგან ვცდილობ დავაფიქსირო ჩემი პოზიცია ყველა მნიშვნელოვან და მტკივნეულ საკითხთან დაკავშირებით. მაგრამ, სადაც მართალია ხელისუფლება, იქ ხელისუფლებას დავუჭერ მხარს, სადაც მართალია ოპოზიცია, იქ ოპოზიციის მხარეს დავდგები.

იმის გამო, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნები პრინციპული მნიშვნელობისაა როგორც ოპოზიციის, ისე ხელისუფლებისათვის, არჩევნების მოახლოებასთან ერთად არა მარტო ცხარე დებატები, არამედ პოლიტიკურ პარტიებს შორის სერიოზული დაპირისპირებაც არის მოსალოდნელი. რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ არჩევნებმა შედარებით მშვიდ სიტუაციაში ჩაიაროს?

„მე მთლად მშვიდად ვერ ვუყურებ იმ პროცესებს, რაც ახლა ხდება. არ გამოვრიცხავ, რომ არჩევნებამდე ვითარება კიდევ უფრო დაიძაბოს. ამის საშიშროება რეალურად არსებობს. მითუმეტეს, როცა საქართველოშიაც და მის ფარგლებს გარეთაც არიან ძალები, რომელთაც სიტუაციის მაქსიმალურად დამუხტვა აძლევთ ხელს. ასეთ ვითარებაში, მინდა განსაკუთრებით დიდი პასუხისმგებლობა ხელისუფლებას დავაკისრო. ხელისუფლებამ უნდა შექმნას ისეთი პირობები, რომ არჩევნები მაქსიმალურად ობიექტურად ჩატარდეს. ამით ის სიტუაციის გამწვავების ძალიან

სერიოზულ საფრთხეს მოხსნის. მაშინ ოპოზიციასაც აღარ ექნება საფუძველი იმისათვის, რომ სიტუაცია გაამწვავოს. მეორე მხრივ, არ მინდა ოპოზიციის როლი დავაკნინო. მასაც იგივე პასუხისმგებლობა ეკისრება ქვეყნის წინაშე, როგორიც ხელისუფლებას. ოპოზიციამაც უნდა გააკეთოს ყველაფერი, რომ გამარჯვებისათვის ცივილიზებული გზით იბრძოლოს. ამიტომ აუცილებელია გარკვეული თამაშის წესების შემუშავება და მათი დაცვა. ამ წესებს დიდი მნიშვნელობა აქვს იმისთვისაც, რომ ოპოზიციამ გამარჯვება ლეგიტიმურად მოიპოვოს.

რამდენიმე ხნის წინ ოპოზიცია აცხადებდა, რომ ხელისუფლება სიტუაციას სპეციალურად გაამწვავებს, რათა არჩევნები ჩაიშალოს. რამდენად სერიოზულად აღიქვამთ ამ ტიპის განცხადებებს?

ხელისუფლებაში ცალკეულ პირებს ამის სურვილი, შესაძლოა, ნამდვილად აქვთ, მაგრამ მე იმედი მაქვს, პრეზიდენტს ძალიან კარგად ესმის, რომ ამის გაკეთება არ შეიძლება და ამას არ დაუშვებს. მინდა გავაფრთხილო ყველა, ხელისუფლება იქნება ეს თუ ოპოზიცია – ქვეყანა კიდევ ერთ სამოქალაქო დაპირისპირებას ვეღარ გაუძლებს.

ასეთ ვითარებაში, რა პოზიტიური როლი შეუძლია ითამაშოს ოპოზიციის გაერთიანებამ. რამდენად სწორი ტაქტიკა იქნება ოპოზიციური პარტიების მხრიდან არჩევნებში ერთი საარჩევნო ბლოკით მონაწილეობა?

გაერთიანებას აქვს ერთი დიდი პლიუსი. ის იძლევა გაცილებით მეტ გარანტიას, რომ ოპოზიცია უფრო სერიოზული შემადგენლობით მოვა პარლამენტში, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ ისინი არჩევნებში ცალ-ცალკე მიიღებენ მონაწილეობას. ვფიქრობ, რომ შვიდპროცენტიანი ბარიერის დამოუკიდებლად გადალახვა დღეს ბევრ პოლიტიკურ პარტიას გაუჭირდება. თუმცა, ცხადია, რეალურად არსებობს იმის საშიშროებაც, რომ პარლამენტში მოსვლის შემდეგ ოპოზიციური ბლოკი დაიშალოს და ისეთივე ფრაგმენტული პარლამენტი მივიღოთ, როგორიც გვაქვს დღეს. ეს კი ქვეყანას სიკეთეს ნამდვილად ვერ მოუტანს.

მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე პოლიტიკურ ძალასთან გაერთიანებას გადაწყვეტთ, რას არჩევდით – საარჩევნო ბლოკს თუ პარტიას?

დღევანდელ ვითარებაში ვერ ვხედავ ისეთ პარტიას, რომლის მსოფლმხედველობაც ჩემს მსოფლმხედველობას ზუსტად ემთხვევა. ასე რომ, ჩემთვის ბლოკთან თანამშრომლობა უფრო ადვილი იქნება, ვიდრე კონკრეტულ პარტიასთან.

არჩევნებამდე პარლამენტს ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი. კიდევ შესწევს ამ პარლამენტს იმის უნარი, რომ რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღოს?

არ მინდა, არაობიექტური ვიყო, ზედმეტად შევაფასო ან გადავაფასო პარლამენტის მუშაობა ჩემი თავმჯდომარეობის პერიოდში. მე მაინც არ ვიტყოდი, რომ ამ წელიწადნახევრის განმავლობაში საკანონმდებლო ორგანო ქმედითუუნარო და პარალიზებული იყო. თუ გაიხსენებთ, როგორი დაძაბული სიტუაცია იყო 2001 წლის შემოდგომაზე, მაშინ დამეთანხმებით, რომ ამ პარლამენტმა შეძლო ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება. პოლიტიკური დაპირისპირებების და განხეთქილებების მთელი სიმძიმე პარლამენტში იყო გადმოტანილი. ამიტომ ვფიქრობ, რომ ამ გარდამავალ ეტაპზე მან თავისი ძირითადი ფუნქციის შესრულება მაინც მოახერხა. ბოლო პერიოდის განმავლობაში დეპუტატების მხრიდან მუდმივად იყო იმის მცდელობა, რომ პარლამენტი პარალიზებულ ორგანოდ წარმოეჩინათ, მაგრამ არსებობს სტატისტიკა – რამდენად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, კანონები და დადგენილებები იყო მიღებული მთელი ამ ხნის განმავლობაში. თუ მათი შესრულება ვერ მოხერხდა, ეს უკვე მხოლოდ პარლამენტის პრობლემა არ არის.

მაგრამ, როცა თქვენ პარლამენტის თავმჯდომარე გახდით, განაცხადეთ, რომ ამ პარლამენტს ოთხი ძირითადი საკითხი უნდა გადაეწყვიტა: ქვეყნის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული მოწყობა, მინისტრთა კაბინეტი, საარჩევნო და საგადასახადო კოდექსი.

მე ჩამოვთვალე ეს ოთხი პრობლემა, თუმცა მაშინვე აღვნიშნე: მაინცდამაინც ოპტიმისტურად არ ვიყავი განწყობილი, რომ ამ საკითხების გადაწყვეტას პარლამენტი თავს გაართმევდა. მაგრამ, ჯერ კიდევ რჩება იმედი, რომ ოთხიდან ორი საკითხი მაინც დადებითად გადაწყდება. საგადასახადო კოდექსის განხილვა პარლამენტში უახლოეს მომავალში იგეგმება. თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ ამ მიმართულებით მთავრობამ სრული უუნარობა გამოიჩინა. აღმასრულებელ ხელისუფლებას ერთი ნაბიჯიც კი არ გადაუდგამს, რათა საგადასახადო კოდექსზე, რომელიც „მრეწველებმა“ წარმოადგინეს, ერთად გვემუშავა. მე პირადად მიმაჩნია, რომ საგადასახადო კოდექსის შეცვლის შემთხვევაში, ბიუჯეტი უკვე სულ სხვა პრინციპებზე იქნება აწყობილი. ამას უკვე დიდი ხანია სავალუტო ფონდიც ითხოვს, მაგრამ ჩვენ ჯერჯერობით ვერ მოვახერხეთ ამ საკითხზე მთავრობასთან თანამშრომლობა. უახლოეს პლენარულ სხდომაზე „მრეწველები“ აპირებენ ამ კოდექსის წარმოდგენას და პარლამენტი ამ საკითხის განხილვას დამოუკიდებლად დაიწყებს. დარწმუნებული ვარ იმაშიც, რომ საარჩევნო კოდექსში გარკვეულ ცვლილებებს მივაღწევთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ არჩევნების ჩატარებას ისე ვერ შევძლებთ, რომ ამას სერიოზული გართულებები არ მოჰყვეს. ამას აბსოლუტურად ყველა პოლიტიკური ძალა გრძნობს. ბოლო პერიოდში პარლამენტში ძალიან აქტიურად მუშაობს ინტერფრაქციული ჯგუფი. ამ პროცესში მეც ჩავერთე, რათა გადაწყვეტილებების მიღება მაქსიმალური პოლიტიკური კონსულტაციების საფუძველზე მოხდეს.

სამუშაო ჯგუფი კანცელარიამაც შექმნა. ეს ფუნქციათა დუბლირებას ხომ არ გამოიწვევს?

გარკვეული დუბლირება არის, მაგრამ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება აქვს მთავრობასაც და აქვს პარლამენტსაც. მე ვისურვებდი, რომ მას შემდეგ, რაც კონკრეტული მასალები დაიდება როგორც მთავრობის, ისე ჩვენი კომისიის მხრიდან, მოხდეს საბოლოო პოზიციების შეჯერება, რათა პარლამენტში მაქსიმალურად შეთანხმებული ვარიანტი გავიტა-

ნოთ. რამდენად შესაძლებელია ეს, ძნელი სათქმელია, თუმცა, სურვილის შემთხვევაში, არაფერი შეუძლებელი არ არის. რაც შეეხება დანარჩენ ორ საკითხს, ტერიტორიულ მოწყობას და მინისტრთა კაბინეტის შექმნას, მათ ამ პარლამენტში მომავალი არ აქვთ. მინისტრთა კაბინეტის შექმნის აუცილებლობაზე მე პირადად, 1998 წლიდან მოყოლებული, ვლაპარაკობ და, როგორც ჩანს, სულ ტყუილად. კანონპროექტის ის ვარიანტი, რომელიც პრეზიდენტმა შემოიტანა, აბსოლუტურად მიუღებელია როგორც ჩემთვის, ისე პარლამენტის დიდი ნაწილისათვის. ცვლილებების გარეშე ამ კანონპროექტის გატანაში მე აზრს ვერ ვხედავ, სხვა ვარიანტი კი თემატური უმრავლესობისა და, რაც მთავარია, პრეზიდენტისთვის, არ ვიცი, რამდენად მისაღები იქნება. პრეზიდენტმა თავის დროზე ახსენა ორპალატიანი პარლამენტი და ეს საკმაოდ საინტერესო იდეაა, მაგრამ მოდით, პირდაპირ ვთქვთ – სანამ ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა არ განისაზღვრება და ჩვენ არ გვეცოდინება, როგორი მოწყობის ქვეყანა უნდა გვქონდეს, ორპალატიანი პარლამენტი მხოლოდ სურვილად დარჩება. გარდა ამისა, ეს არ არის ისეთი საკითხი, რომელიც ერთი ხელის მოსმით უნდა გადაწყდეს. ისეთი ტიპის ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, ორპალატიან პარლამენტს როგორც სერიოზული პლიუსები, ისე სერიოზული მინუსებიც აქვს.

ძალიან მოულოდნელი იყო, როცა პარლამენტმა რატიფიცირება ვერ გაუკეთა საქართველოსა და ამერიკის მთავრობებს შორის სამხედრო თანამშრომლობის ხელშეკრულებას. ამის გამო, რამდენადაც ვიცი, ამერიკის ელჩი საკმაოდ შეშფოთებულია.

მე მქონდა ელჩთან შეხვედრა. ის მზადაა, რომ პარლამენტში თითოეულ ფრაქციას შეხვდეს და საკითხი განიხილოს. ამერიკა ჩვენთვის არ არის ის პარტნიორი, რომელთან ურთიერთობაშიც ამდენი კითხვის ნიშანი უნდა დავსვათ, მით უმეტეს, როდესაც სამხედრო თანამშრობლობის საკითხი იხილება. ეს არის ორმხრივი დოკუმენტი და თავად ელჩმაც დაადასტურა,

რომ უახლოეს მომავალში დაგეგმილია გარკვეული გაცვლითი პროგრამები. ამ პროგრამის ფარგლებში ქართველ ოფიცრებს ამერიკაში წასვლის საშუალება ექნებათ და ამერიკის ტერიტორიაზე იგივე უფლებებით ისარგებლებენ, რა უფლებებიც ექნებათ ამერიკელ სამხედროებს საქართველოში. ასე რომ, მათთვის პრივილეგიების მინიჭება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ჩვენი უფლებების შელახვას. ეს არის ტიპიური ხელშეკრულება, რომელსაც ამერიკა სხვა ქვეყნებთანაც დებს. ჩემი წინადადება იყო, რომ ამ საკითხის განხილვა გადაგვედო. პარლამენტისაკენ ბევრ არაკეთილმოსურნეს ჰქონდა თვალი მიპყრობილი და, შეიძლება, სრულიად უმტკივნეულო ან პროფესიული დავა პოლიტიკურ დავაში გადასულიყო. მე ვფიქრობ, რომ ჩვენი გადაწყვეტილება სწორი იყო. ამ საკითხის განხილვას ჩვენ, სავარაუდოდ, სამშაბათს დავუბრუნდებით.

ახლახან პარლამენტმა მიიღო კანონი მინიმალური ხელფასის გაზრდის შესახებ. დღეს ხელისუფლება სირაქლემის ფუნქციას ირჩევს და არ უნდა, თვალი გაუსწოროს იმ პრობლებას, რომლის წინაშეც აღმოჩნდა. ვეტოს დადებას კი პრეზიდენტი არ ჩქარობს. რა ბედი ელის ამ კანონს?

მე არ განვიხილავ რეალურად იმის შესაძლებლობას, რომ 3 თვეში საქართველოში მინიმალური ხელფასი 115 ლარამდე გაიზარდოს. ეს ხელისუფლება ამას ვერ გააკეთებს. სიმართლე გითხრათ, ძნელად წარმომიდგენია, ამის გაკეთებას, არსებული რეალობიდან გამომდინარე, საერთოდ ვინმე თუ შეძლებდა. მაგრამ, თუ მიაქციეთ ყურადღება, დემოკრატები განიხილავდნენ იმ შესაძლებლობასაც, რომ ეს კანონი მომავალი წლის იანვრიდან ამოქმედებულიყო და არა რამდენიმე თვეში. მაგრამ ხელისუფლება ძალიან უსუსური აღმოჩნდა, მე პირადად ვერც ერთი დამაჯერებელი არგუმენტი ვერ მოვისმინე მათგან. ამიტომ ის ფაქტი, რომ პარლამენტმა ეს გადაწყვეტილება მიიღო, მხოლოდ ხელისუფლების უსუსურობის ბრალია. მე ქვეყანაში არსებულ ვითარებას ძალიან სკეპტიკურად ვუყურებ. ერთი წლის წინ

იმ დაპირისპირებების ფონზე, რომ ბიუჯეტის პროფიციტი იქნება და აპრილში გაზრდილ ბიუჯეტს შემოიტანდნენ, მე ვესაუბრე პრეზიდენტს და ვუთხარი, რომ ჩემი ინფორმაციით, ძალიან მძიმე სიტუაცია იყო ბიუჯეტის შესრულების თვალსაზრისით, რამაც მაშინ გარკვეული გაღიზიანება გამოიწვია. სამწუხაროდ, ის პროგნოზი ასრულდა და ბიუჯეტი 100 მილიონით გაირღვა. თუმცა, მთავრობა გვარწმუნებდა – ძალიან კარგია, რომ მხოლოდ ასით გაირღვა და არა 400-ითო. დღეს საუბარი მქონდა საგადასახადო კომიტეტის თავმჯდომარესთან და, სამწუხაროდ, შედეგები ისევ ძალიან საგანგაშოა. მარტის ბოლოს კვარტალური ბიუჯეტის განხილვა გვექნება. იმედი მაქვს, პარლამენტი სერიოზულად მიუდგება ამ საკითხს და არა ისე, როგორც გასული წლის ოქტომბერში.

გარდა ამისა, თუ ხელისუფლებამ ვერ შეასრულა სავალუტო ფონდის მოთხოვნები, ქვეყანა, შესაძლოა, გაკოტრების რეალური საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს. შესწევს კი მთავრობას ამ ვალდებულებათა შესრულების უნარი?

დეფოლტის საფრთხე უდავოდ არსებობს. მე შეგნებულად გავაკეთე განცხადება, რომ სიტუაცია ისევ ძალიან საგანგაშოა. ხელისუფლებამ სერიოზული ზომები უნდა მიიღოს და დაუყოვნებლივ, თუ უკვე გვიან არ არის. ჩვენ რომ თავის დროზე სერიოზული განგაში აგვეტეხა ამ საკითხზე, დღეს ასეთი სიტუაცია აღარ გვექნებოდა. როდემდე შეიძლება, სირაქლემის პოზიციაში ვიყოთ და ერთმანეთი ვატყუოთ. ოდესმე ჭკუა ხომ უნდა ვისწავლოთ.

ეკა კვესიტაძე

24 საათი 2003. – 8 მარტი. – №65. – გვ. 1-A3

ბურჯანაძე პრეზიდენტის წინააღმდეგ

რატომ გამართა პარლამენტის თავმჯდომარემ დილის 7 საათზე ბრიფინგი

– საზოგადოება თვალნათლივ ადევნებს თვალყურს, თუ რა უმძიმესი პოლიტიკური პროცესები მიმდინარეობს ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში. უკვე აშკარაა, რომ აღმასრულებელი ხელისუფლება სერიოზულად არის დაინტერესებული პარლამენტის ქმედუუნარობაში. სწორედ ამიტომ ეს ის გამონაკლისი შემთხვევა იყო 16 მარტს, დილის 7 საათზე, როდესაც ლიტვაში საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტამდე აეროპორტში საგანგებო ბრიფინგი გამართა დელეგაციის ხელმძღვანელმა, პარლამენტის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ნინო ბურჯანაძემ, რომელმაც საკმაოდ მწვავე შეფასებები მისცა მიმდინარე მოვლენებს. უკვე ცნობილია, რომ 19 მარტს გაიმართება პარლამენტის რიგგარეშე სხდომა, რომლის უმთავრესი მიზანია, გააუქმოს კანონი სახელფასო მინიმუმის საარსებო მინიმუმთან გათანაბრების შესახებ. განცხადება ამის შესახებ პრეზიდენტის ხელმოწერის შემდეგ გამოქვეყნდა, თუმცა ამ საკითხის ირგვლივ არსებობს ბევრი კითხვა, რამდენად კანონიერად არის მოწვეული პარლამენტის რიგგარეშე სხდომა. როგორც ჩვენთვის ცნობილი გახდა, სახელისუფლო ფრაქციებმა ხელმოწერების შეგროვება დაიწყეს სხდომის მოწვევის შესახებ, თუმცა პარლამენტის აპარატის უფროსის ხათუნა გოგორიშვილის განმარტებით, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პარლამენტის კანცელარია არ მუშაობდა, შესაბამისად, დარღვეულია რეგლამენტის შესაბამისი მუხლები, რაც ითვალისწინებს საგანგებო სხდომის მოწვევის პროცედურებს. უბრალოდ, სასაცილოა ის ფაქტი, რომ პარლამენტის თა-

ვმჯდომარე მასმედიის მეშვეობით უკვე თვითმფრინავში იგებს, რომ პარლამენტის რიგგარეშე სხდომა მოწვეულია და არა ერთი დღით ადრე პრეზიდენტ შევარდნაძესთან სატელეფონო საუბრისას, რომლის დროსაც შევარდნაძე შაბათ საღამოს არ ადასტურებს სხდომის მოწვევის ფაქტს. გაკვირვებას იწვევს, რომ შევარდნაძეს საგანგებო სხდომის მოწვევაზე სწორედ შაბათს აქვს ხელი მოწერილი, ე. ი. გამოდის, რომ ჩვენი პრეზიდენტი პარლამენტის თავმჯდომარეს ატყუებს. შესაბამისად, ქალბატონ ნინოს კომენტარი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ბრიფინგზე ოდნავ განსხვავებულია.

ნინო ბურჯანაძე:

– პრეზიდენტთან შაბათს მქონდა საუბარი, მას შემდეგ, რაც ირაკლი გოგავამ მომაწოდა ინფორმაცია, რომ დეპუტატები აგროვებენ ხელმოწერებს, რათა მოიწვიონ რიგგარეშე სხდომა. არ დაგიმალავთ, რომ რიგგარეშე სხდომის მოწვევას უარყოფითად ვუყურებ, რადგან, თუ ამ სხდომამდე გარკვეული კომპრომისი არ იქნება მიღწეული, მიმაჩნია, რომ კარგს არაფერს მოგვიტანს და კიდევ უფრო გააღრმავებს და გაამწვავებს იმ დაპირისპირებას, რომელსაც პარლამენტში ჰქონდა ადგილი. ამ სხდომის მოწვევას მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს აზრი, თუ ჩვენ რეალურად მოვახერხებთ ოპოზიციის და სახელისუფლებო ძალების ერთმანეთის პირისპირ დაჯდომას და კომპრომისული ვარიანტის მოძებნას. როგორც ჩანს, კომპრომისის გამოძებნას სახელისუფლებო ძალები სრულებით არ ფიქრობენ და რიგგარეშე სხდომის მოწვევა კვლავ ძალის დემონსტრირებისთვის ხდება, რაც, ჩემი აზრით, არ არის მისაღები და სწორი გადაწყვეტილება. ამის თაობაზე პრეზიდენტს გავუზიარე ჩემი დამოკიდებულება, საინტერესოა, რა გადაწყვეტილება იქნება მიღებული, თუმცა ინიციატივა სახელისუფლებო ფრაქციების მხრიდან მოდის. რაც შეეხება იმას, შეიძლება თუ არა პრეზიდენტმა გაერთიანებული დემოკრატების ინიციატივასთან დაკავშირებით გამოიყენოს ვეტოს უფლება, ბურჯანაძე აღნიშნავს,

რომ ის ცდილობდა ამ დღეების განმავლობაში დეპუტატები დაერწმუნებინა, რომ პრეზიდენტს აქვს უფლება, დაუბრუნოს პარლამენტს კანონი. – ვცდილობდი, დამერწმუნებინა პრეზიდენტი, რომ ეს იყო საუკეთესო გამოსავალი ამ ვითარებიდან, რამდენადაც პრეზიდენტის გადაწყვეტილება თავიდან აგვაცილებდა იმ პოლიტიკურ დაძაბულობას, რომელსაც პარლამენტში ჰქონდა ადგილი. მესმის, რომ პრეზიდენტისთვის ეს მარტივად მისაღები გადაწყვეტილება არ არის, მაგრამ სავსებით გასაგები იქნებოდა მის მიერ ვეტოს გამოყენების უფლება; თუმცა არიან ადამიანები, რომლებიც არწმუნებენ პრეზიდენტს, რომ ვეტოს გამოყენების შემთხვევაში დაიძაბება ურთიერთობა პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის. მე კი მიმაჩნია, რომ ურთიერთობას უფრო ის ძაბავს, რაც ბოლო პერიოდის განმავლობაში ხდება პარლამენტში და არაფერი საგანგაშო არ არის იმაში, თუ პრეზიდენტი მოტივირებულად გამოიყენებს ვეტოს უფლებას, პარლამენტს გამოუგზავნის კანონს გარკვეული შესწორებებით. უბრალოდ, არიან ადამიანები, რომლებიც ცდილობენ პრეზიდენტს მატროსოვივით გადაეფარონ და დაუმტკიცონ თავისი საჭიროება, რეალურად კი საქმე ფუჭდება და ეს დაპირისპირება საზოგადოებას კარგს არაფერს მოუტანს, – აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე.

– რაც შეეხება ბრალდებებს პარლამენტის თავმჯდომარის მისამართით, რომ ის არის ტენდენციური სხდომების წარმართვისას, ბურჯანაძე თვლის, რომ ძნელია ყოველთვის ნეიტრალური იყო, რადგან არსებობს შინაგანი განწყობა ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელსაც პარლამენტი იხილავს, მაგრამ ყოველთვის ცდილობს, კანონს მიჰყვეს.

– სამწუხაროდ, მინდა ვაღიარო, რომ ერთ მომენტში ვიყავი არაობიექტური და დავარღვიე რეგლამენტის მოთხოვნა მაშინ, როდესაც არ მივეცი უფლება ტრადიციონალისტებს, კენჭისყრამდე გამოეყენებინათ შესვენება. მაგრამ ეს გადაწყვეტილება მივიღე იქიდან გამომდინარე, რომ შევეცადე, თავიდან

ამეცილებინა უფრო სერიოზული პოლიტიკური დაპირისპირება; თუმცა, ვალდებული ვიყავი, მივყოლოდი რეგლამენტის თითოეულ პუნქტს, მაგრამ, დარწმუნებული იყავით, ეს დიდ აღშფოთებას გამოიწვევდა სახელისუფლებო ფრაქციის მხრიდან. ქალბატონ ნინოს ყურადღების მიღმა არ დარჩა აფხაზეთის სეპარატისტული რეჟიმის წარმომადგენელ გაგულიას ცინიკური განცხადებები.

– ერთი რამ შემიძლია განვაცხადო, რომ სანამ ჩვენ ის ვითარება გვექნება ქვეყნის შიგნით, რა ვითარებაც გვაქვს, ბუნებრივია, ამ ფონით ისარგებლებენ გაგულია და მისი მსგავსი ადამიანები და გააკეთებენ ისეთ განცხადებებს, რომლებსაც ისინი მიიჩნევენ საჭიროდ. ამ შემთხვევაში ჩვენ თავად ვასუსტებთ ჩვენს თავს და ჩვენსავე პოზიციებს, აცხადებს ბურჯანაძე. შეკითხვაზე, სურს თუ არა პრეზიდენტს, ჰყავდეს მორჩილი პარლამენტის თავმჯდომარე, ქალბატონი ნინო პასუხობს, რომ პრეზიდენტისთვის ალბათ უფრო ადვილია ისეთ ადამიანთან მუშაობა, ვისთანაც ბევრი დავა და კამათი არ სჭირდება. ეს მარტივი საკითხია და შეიძლება გასაგებიც იყოს. პირველი არ არის შანტაჟი პარლამენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის სხვადასხვა მიმართულებებიდან. რა თქმა უნდა, დიდი განჭვრეტა არ სჭირდება იმას, რომ როდესაც ასეთ დაძაბულ ვითარებაში შემოდის კანონპროექტი პარლამენტის თავმჯდომარის მიმართ გადაყენების პროცედურის გამარტივებაზე, ეს არის პირდაპირი შანტაჟი და ძალის დემონსტრირება. – არა მგონია, რომ ეს ძალიან ჭკვიანური გადაწყვეტილება იყოს, რადგან ძალიან ნათლად გამოჩნდა, რეალურად რა მეთოდებით სურთ აღმასრულებელი ხელისუფლების ზოგიერთ წარმომადგენელს და სამთავრობო ფრაქციებს პრეზიდენტთან თანამშრომლობა. ეს სახელისუფლებო ფრაქციების უსუსურობის კიდევ ერთი დადასტურებაა. თავად დარწმუნდით, რომ ბოლო ერთი კვირის განმავლობაში სახელისუფლო ძალები ვერ ახერხებდნენ საკუთარი პოზიციების დაცვას. არ მესმის, რატომ უნდა იყოს ბრალდებები

თავმჯდომარის მიმართ, თითქოს ის შლის პარლამენტის სხდომებს, როცა ე. წ. თემატური უმრავლესობა 118 დეპუტატის შეგროვებას ვერ ახერხებს. სხდომებს შლიან ის ადამიანები, ვინც ატყუებს პრეზიდენტს, როცა ელემენტარულად ხალხის მიყვანას ვერ ახერხებენ სხდომათა დარბაზში. პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, მას არ შეუძლია არ გამოეხმაუროს იმ ფაქტს, რომ გარკვეული ადამიანები ხელისუფლებაში შეეცდებიან ისე წარმოაჩინონ ვითარება, თითქოს რიგგარეშე სხდომა მოწვეულია იმ მოტივით, რომ მოხდეს ხელშეკრულების რატიფიცირება აშშ-ის მთავრობასთან, თან 115-ლარიან საკითხსაც განიხილავენ. თუ სახელისუფლებო ფრაქციებს პრიორიტეტად მიაჩნდათ სამხედრო ხელშეკრულების რატიფიცირება, რატომ მოხდა მათი მოთხოვნით სწორედ ამ საკითხის განხილვის გადატანა?! პარლამენტის თავმჯდომარე მოუწოდებს ოპოზიციას, განსაკუთრებით სახელისუფლო ძალებს, რომ არ გაამწვავონ ვითარება, რადგან ამ დაპირისპირებამ შესაძლოა უმძიმესი ფორმები მიიღოს და გასცდეს პარლამენტს, რაც მძიმედ აისახება ქვეყანაზე. ამიტომ ორივე მხარე უნდა დასხდეს და კონსენსუსი მოძებნოს. ქალბატონი ნინო ყურადღების მიღმა არ ტოვებს ბონდო ჯიქიას შვილის გატაცების ფაქტს და მიაჩნია, რომ მომხდარი სერიოზული აღშფოთების და დიდი წუხილის საგანია.

– საგანგაშო ვითარებაა, როცა დღისით, მზისით, ადამიანს იტაცებენ და ვთვლი, რომ ხელისუფლებამ სერიოზული და მკვეთრი რეაგირება უნდა მოახდინოს, რადგან რეალურად ჩნდება იმის სინდრომი, რომ ქუჩაში გასვლა არ არის უსაფრთხო. ვფიქრობ, თუ შექმნილი სიტუაცია არ გამოსწორდა, უნდა დაისვას რიგი ჩინოსნების პასუხისმგებლობის საკითხი, თუმცა ამ პასუხისმგებლობას ხელისუფლება გაურბის. ვშიშობ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ ძალიან რთულ სიტუაციაში აღმოვჩნდებით. რაც შეეხება გოგავას ბრალდებებს, რომ რიგი პარლამენტის წევრები არიან რუსეთის აგენტები, ბურჯანაძე პასუხობს, რომ მას ასეთი ინფორმაცია არა აქვს. თუ ირაკლი გოგავას აქვს

კონკრეტული ინფორმაცია კონკრეტული პირების აგენტობასთან დაკავშირებით, ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ გოგავამ უნდა მიმართოს შესაბამის უწყებებს, გააკეთოს შესაბამისი განცხადებები, შესაძლოა პირველ ეტაპზე დახურულად და დააყენოს ამ ადამიანების პასუხისმგებლობისა და სადეპუტატო იმუნიტეტის მოხსნის საკითხი. როგორც ბურჯანაძე აცხადებს, მას რომ ჰქონდეს ასეთი ინფორმაცია, იგი სწორედ ასე მოიქცეოდა. მისივე სიტყვებით, ეჭვი და ვარაუდი შეიძლება არსებობდეს, რომ ზოგიერთი ადამიანი კონკრეტული დავალებებით მოქმედებს, მაგრამ, თუ გოგავა გულისხმობდა იმ ადამიანებს, რომლებიც ამერიკასთან ხელშეკრულების რატიფიცირების საკითხზე განსხვავებულ პოზიციებს აფიქსირებდნენ, მაშინ ბატონი ირაკლი შეიძლება ძალიან უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს თავისივე თანაგუნდელების წინაშე. არსებობს ინფორმაცია, რომ სახელისუფლებო ფრაქციები წინააღმდეგები არიან, პარლამენტის სხდომები ვიცე-სპიკერმა გიგი წერეთელმა წაიყვანოს. პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, ასეთი მოთხოვნა მართლაც არსებობს. ბალტიისპირეთში ვიზიტის წინ ბურჯანაძემ ხელი მოაწერა განკარგულებას იმის შესახებ, რომ პარლამენტის სხდომები სწორედ გიგი წერეთელს წაეყვანა. დოკუმენტი 16 მარტს გაფორმდა. ამის შემდეგ გიგი წერეთლის გადასაწყვეტია, რომელ სხდომას წაიყვანს და ვის გადასცემს სხდომის წაყვანის უფლებამოსილებას. ბურჯანაძე მოუწოდებს კოლეგებს, ნუ ახდენენ ხელისუფლების უზურპაციას და ნუ ერევიან იმ საქმეში, რისი უფლებაც კონსტიტუციით არ აქვთ. პარლამენტის თავმჯდომარე ბრიფინგზე შეეხო 2003 წლის ბიუჯეტის შესრულების საკითხს. მისი ინფორმაციით, ამ საკითხზე მოსმენა მარტის ბოლოსთვის იგეგმება. როგორც ბურჯანაძე აცხადებს, ვითარება საკმაოდ არასახარბიელოა. არსებული მონაცემებით, პირველი ორი კვარტლის მიხედვით, 2003 წლის ბიუჯეტში 40-მილიონიანი გარღვევაა, რაც იმის პირობაა, რომ გარდაუვალი ხდება ბიუჯეტის სეკვესტრი. ამ ვითარების ფონზე ნინო ბურჯანაძე იმ

ადამიანების პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს, რომლებმაც მოსახლეობის წინაშე დადეს პირობა, რომ არათუ სეკვესტრი, არამედ 2003 წლის ბიუჯეტში პროფიციტი იქნებოდა, ანუ მუშაობა პლიუსებით დასრულდებოდა. მისი აზრით, ამ ადამიანებმა სერიოზულად უნდა გასცენ პასუხი ხალხს, თუ რატომ ვერ მოხერხდა პარლამენტისა და მოსახლეობის წინაშე აღებული ვალდებულებების შესრულება.

P.S. საზოგადოებისთვის ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, პარლამენტის ზოგიერთი წევრი თუ საპარლამენტო ფრაქცია როგორ ეწევა საკანონმდებლო ორგანოს დისკრედიტაციას. რად ღირს ის ფაქტი, რომ დეპუტატები პარლამენტის დარბაზში არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებიან. სამწუხაროა ის გარემოება, რომ ამ ფაქტის დამადასტურებელი გახლდათ პარასკევის პლენარული სხდომა, როცა ფრაქცია „მრეწველების“ გარკვეული ჯგუფი ღიად და დაუფარავად, პირდაპირ სხდომათა დარბაზში პლენარული სხდომის მიმდინარეობისას ბრენდის სმით იყო დაკავებული. ამ ფაქტთან დაკავშირებით პარლამენტის სპიკერატი, სავარაუდოდ, უახლოეს პერიოდში შესაბამის ზომებს გაატარებს, რომლის მიხედვით, ნასვამ მდგომარეობაში მყოფ პარლამენტის წევრს აეკრძალება სხდომათა დარბაზში შესვლა.

ირაკლი გოგორიშვილი

ახალი თაობა. – 2003, 17 მარტი, №74, გვ. 2-4

„არ ვარ საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრე...“

„ვაფრთხილებდი პრეზიდენტს, რომ მაინც ვეტოს გამოყენება დასჭირდებოდა“

ჩვენი რესპოდენტი საპარლამენტო დებატების მთავარი გმირი, სპიკერი ნინო ბურჯანაძეა:

ქალბატონო ნინო, ბოლოდროინდელმა პროცესებმა ცხადყო, რომ პრეზიდენტი და პარლამენტი (აქ, ბუნებრივია, ე. წ. თემატურ უმრავლესობას არ ვგულისხმობ) ვერ პოულობენ საერთო ენას. მეტიც, აშკარაა, რომ აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება სხვადასხვა ენაზე ლაპარაკობენ.

ნინო ბურჯანაძე – შესაძლოა პრეზიდენტსა და პარლამენტს განსხვავებული შეხედულებები ქონდეთ და ეს ტრაგედია არ არის, მაგრამ, რა თქმა უნდა, სასურველია ძირითად და მნიშვნელოვან საკითხებში მათი შეხედულებები ერთმანეთს ემთხვეოდეს. ეს იდეალური ვარიანტი იქნებოდა. ასეთი ვითარება გვქონდა კიდეც 1995 წლიდან 2000 წლამდე, მაგრამ ვერც პრეზიდენტმა და ვერც პარლამენტმა ვერ გამოიყენეს. ამ ხუთი წლის მანძილზე პრეზიდენტს პარლამენტში დაუბრკოლებლად გაჰქონდა თავისი გადაწყვეტილებები, მაგრამ ქვეყნისთვის გასაკეთებელი ბევრი სასიკეთო რამ პოლიტიკურ ინტრიგებს შეეწირა. დღეს ბევრი შეგნებულად ცდილობს, გააღრმაოს დაპირისპირება პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის, დაძაბოს საპარლამენტო ფრაქციების ურთიერთობა. აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში ბევრია ისეთი, რომლებსაც ხელს აძლევს ეს კონფრონტაცია.

– რატომ ცდილობენ ისინი ურთიერთობის დაძაბვას?

– მათ მხოლოდ პირადი, მერკანტელური ინტერესები ამოძრავებთ, რომლითაც ქვეყანა ვერაფერს იგებს. პარლამენტში

მყოფი ადამიანები (რომლებიც კონფრონტაციას უწყობენ ხელს) ცდილობენ, პრეზიდენტს ერთგულება დაუმტკიცონ. ამით დღევანდელი და, შესაბამისად, ხვალინდელი გარანტიების მოპოვება უნდათ. პრეზიდენტს ამით არწმუნებენ, რომ მათ გარეშე მისი არც ერთი გადაწყვეტილება არ გავა პარლამენტში. ამ შემთხვევაში სხვა მოტივი აქვს აღმასრულებელ ხელისუფლებას. იგი სუსტია და მის მიმართაც ამიტომ გამოთქვამენ სერიოზულ პრეტენზიებს. აქედან გამომდინარე, მას ხელს აძლევს საპარლამენტო კრიზისის ინსპირირება, რათა ხალხის ყურადღება და აგრესიაც ნაცვლად კანცელარიისა, პარლამენტზე გადავიდეს. მწარედ ცდებიან, თუ ჰგონიათ, რომ მოსახლეობა მოტყუვდება. თუ მოსახლეობის მოთმინება აივსება და ხალხი პარლამენტთან მოვა, არ არის გამორიცხული, მათ სხვაგანაც გაუხვიონ. ამიტომ მინდა გავაფრთხილო კონფრონტაციის ხელის შემწყობნი, – ნუ ცდილობენ ხელოვნური კონფლიქტების ინსპირაციას. სჯობს, მოვაგვაროთ ის პრობლემები, რომლებიც ხალხს აწუხებს და ამით ავიცილოთ დესტაბილიზაცია.

– ის სცენები, რომელიც ბოლო დროს პარლამენტში გათამაშდა, აშკარად მეტყველებს, რომ კულუარებში დაუნდობელი ბრძოლა მიმდინარეობს. ბრალდებები გაისმა თქვენი მისამართითაც, ამასთან, სხვადასხვა ბანაკიდან (სოციალისტებიდან – რჩეულიშვილი, მრეწველებიდან – ლევან პირველი და შარაძე).

– ის პირები, რომლებიც დაასახელეთ (და კიდევ ბევრი მათნაირი), რაც მეტად მიპირისპირდებიან, მით უფრო მიღრმავდება რწმენა, რომ სწორად ვიქცევი. მათ კონკრეტული მიზანი ამოძრავებთ. შარაძეს ვერ დავუწყებ იმის ახსნას, ქონება საიდან მაქვს. ჩემი ოჯახი ხალხს მას შემდეგ არ გაუცვნია, რაც პარლამენტის თავმჯდომარე გავხდი. ჯერ კიდევ ბაბუაჩემი (მამაჩემის მამა) დასავლეთ საქართველოში ცნობილი და პატივცემული კაცი იყო. კარგი მეღვინე გახლდათ, მას ბევრი ისეთი ადამიანი იცნობდა, რომელთაც კარგად იციან ჩვენი ოჯახის ავკარგი. ჩემი ოჯახის სახე თვითონ მე ვარ და ალბათ, კარგად გამოვხატავ, რა არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი და ღირებული. მატერიალურ

ფასეულობებსა და თუნდაც ბრილიანტებზე ღირებული ჩემთვის სხვა რამ არის... რაც შეეხება ბრილიანტებს... ნამდვილად ვერ ვაკადრებ ჩემს ხალხს ტყუილს. არჩევნების დროს, როდესაც მოსახლეობას ვხვდებოდი, მთავაზობდნენ, – ბრილიანტები მოიხსენით, ხალხში სამკაულებით ნუ გახვალთო, მაგრამ ეს არ გავაკეთე... იმიტომ კი არა, ხალხის აზრს ანგარიშს არ ვუწევ და არ მესმის, რომ ადამიანს, რომელსაც წამლის ფული არა აქვს, შესაძლოა, ძვირფასი სამკაული აღიზიანებდეს, არამედ იმიტომ, რომ ვერ ვითვალთმაქცებ. ჩემი ხალხისთვის ის უფრო შეურაცხმყოფელი იქნებოდა, გაცვეთილი ფეხსაცმელი და ძველი პიჯაკი რომ ჩამეცვა, ვითომ ძალიან მიჭირს. ამას ბევრი აკეთებს კიდეც. ვისაც ეშინია, რომ აქვს, იმან დამალოს, მე არ მეშინია. ბატონების გურამ შარაძისა და ვახტანგ რჩეულიშვილის (და სხვა ბევრი მათნაირის) განცხადებებზე კომენტარს არ გავაკეთებ, მაგრამ ერთს კი ვიტყვი, – მათი გააქტიურება, ჩემკენ მომართული აგრესია, ყოველთვის ემთხვევა იმ მომენტს, როდესაც კანცელარიისგან განსხვავებული პოზიციის გამოხატვას „ვბედავ“. ეს ზოგჯერ ხელისუფლების უშუალო მითითებით კეთდება, ზოგჯერ კი მათი პირადი ინიციატივით. ეს ხალხი უკვე გაიცნო საზოგადოებამ. ამ რთულ და დაძაბულ პერიოდში ისინი მოსახლეობის ყველაზე სათუთი გრძნობებით სპეკულირებენ და არ ღირს მათთვის პასუხის გაცემა. რომ ავყვე, მათ დონემდე უნდა დავიდე, მაგრამ ზოგჯერ ძალაუნებურად მაინც მიწევს რაღაცის თქმა, იმიტომ რომ ვხედავ, როცა ვჩუმდები, ჰგონიათ, საპასუხო არგუმენტი არ აქვსო და მეტად თავხედდებიან.

– აღმასრულებელი და საკანონმდებლო ორგანოს ორივე ბანაკი თქვენ გიტევდათ.

– გულწრფელად გეტყვით, მართლაც მძიმე სიტუაციაში აღმოვჩნდი. პარლამენტარების შეუვალ სახეებს ვხედავდი. ერთხანს სასოწარკვეთილებაც კი დამეუფლა. მივხვდი, ძალის დემონსტრირებას ცდილობდნენ და კომპრომისზე წასვლას არ აპირებდნენ. მიუხედავად ამისა, ალბათ ამ სიტუაციაში გაჭყლე-

ტილის შთაბეჭდილებას მაინც არ ვტოვებ, გავუძელი. თუმც სიმართლე რომ გითხრათ, ძალიან გამიჭირდა.

– თქვენი იმპიჩმენტის საკითხის დასმას გარეგნულად ძალიან მშვიდად შეხვდით.

– მადლობელი ვარ ბატონი ვიტალი ხაზარაძისა, რომ ამ დადგენილების პროექტი შემოიტანა პარლამენტში. იმიტომ რომ, სანამ ამ საკითხს დასვამდა, ნახევარი საათით ადრე მქონდა ის კრიტიკული მომენტი, რომელზეც ზემოთ მოგახსენეთ (როცა აღარ ვიცოდი, რა გამეკეთებინა). როცა ხაზარაძის განცხადება მოვისმინე, დავრწმუნდი, რომ სწორად ვიქცეოდი. რა უნდა ვთქვა... პატარა ადამიანები არიან. სცადონ ჩემი გადაყენება, – 118 ხმას კი არა, გაცილებით ნაკლებსაც ვერ მოაგროვებენ. პარლამენტის თავმჯდომარის გადაყენება ხელისუფლების დისკრედიტაცია იქნება, რადგან არასოდეს გადამიდგამს ქვეყნისთვის საზიანო ნაბიჯი. ისე კი ჩემს რეიტინგს თანამდებობიდან გადაყენება უთუოდ წაადგება... ალტერნატიული პარლამენტის იდეა განსხვავებული ბანაკებიდან წამოვიდა, რაც მაფიქრებინებს, რომ ამ საკითხზე სადღაც სხვაგან იმსჯელეს სერიოზულად. საშიშად მიმაჩნია პარლამენტის თავმჯდომარის გადაყენების პროცედურის გამარტივებაზე ლაპარაკი. შემთხვევით არ წერია კონსტიტუციაში, რომ პარლამენტის თავმჯდომარის არჩევასა და გადაყენებას 118 ხმა სჭირდება. ეს არის პარლამენტის სტაბილურობისა და მისი თავმჯდომარის დამოუკიდებლობის გარანტია. ვის რაში სჭირდება ისეთი პარლამენტის თავმჯდომარე, რომელსაც მუდმივად იმის შიში ექნება, 80-კაციან ჯგუფს რომ არ დავეთანხმო, ვაითუ გადამაყენონო. პროცედურის გამარტივებაზე როცა ლაპარაკობენ, გულისხმობენ, რომ მორჩილი პარლამენტის თავმჯდომარე უნდა ჰყავდეთ, რომელსაც რასაც ჩასძახებენ, იმავეს ამოსძახებს.

– ბრძანეთ, პრეზიდენტს ხშირად ატყუებენო.

– ამ მეთოდს სახელისუფლებო ფრაქციები მიმართავენ. მათ დაარწმუნეს პრეზიდენტი, რომ გააუქმებდნენ მინიმალური

ხელფასის ზრდის შესახებ გადაწყვეტილებას. სამწუხაროდ პრეზიდენტმა მათ დაუჯერა და არა – მე. სოჭის შეხვედრიდან დაბრუნებისთანავე ვუთხარი პრეზიდენტს, ამ გადაწყვეტილების მიღებას პარლამენტი ვერ შეძლებს დიდი დაპირისპირების გარეშე-მეთქი. მე რეალური ვითარება დავუხატე პრეზიდენტს, სიმართლე ვუთხარი, მაგრამ მან სხვების არგუმენტები გაითვალისწინა.

– „კვირის პალიტრასთან“ ინტერვიუში დავით ბერძენიშვილმა განაცხადა, რომ გაერთიანებული პოზიციის სიას ჩაუდგებით სათავეში. მისივე შეფასებით, თქვენ საპარლამენტო რესპუბლიკის პრეზიდენტის ფუნქციასაც წარმატებით გაართმევთ თავს.

– ამ წინადადების შემოთავაზებისთვის ოპოზიციის მადლიერი ვარ. ჯერჯერობით საბოლოო გადაწყვეტილება არ მიმიღია... თუმცა არ გამოვრიცხავ რომელიმე პოლიტიკურ ბლოკთან თანამშრომლობასაც.

– სად აპირებთ კენჭის ყრას?

– ჯერჯერობით ეს არსად მითქვამს, – ქუთაისში, ცაგერში ან საბურთალოს რაიონში ვიყრი კენჭს... რაც შეეხება ჩემს პრეზიდენტობას... არ ვარ საპარლამენტო რესპუბლიკის მომხრე. უახლოესი რამდენიმე წლის მანძილზე (2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგაც) საქართველოს ძლიერი პრეზიდენტი დასჭირდება. ქართველები განსხვავებული მენტალიტეტის ხალხი ვართ და საპარლამენტო რესპუბლიკა მისაღები ვერ იქნება ჩვენთვის. ცოტა სიმკაცრე და ძლიერი ხელი გვჭირდება, თუმც ეს არ ნიშნავს დიქტატურას და უკანონობას.

– წინასაარჩევნოდ პოლიტიკოსებს პოპულიზმის შემოტევა სჩვევიათ. რას დაუპირისპირებთ ამ სინდრომს?

– ვერაფერს... პოლიტიკა და პოპულიზმი ერთმანეთის თანმხვედრია ყოველთვის, მაგრამ პოპულიზმსაც ზღვარი უნდა ჰქონდეს. სხვათა შორის, 115-ლარიანი ხელფასის საკითხი პოპულიზმად შერაცხეს. რაგინდ არაპოპულარულიც უნდა იყოს ამის თქმა, გეტყვით, 115 ლარამდე ხელფასის გაზრდა თავიდანვე

არარეალურად მიმაჩნდა. ოპოზიციამ შეძლო ამ საკითხის გატანა, იმიტომ რომ ხელისუფლებამ ვერ მოახერხა და არ ინდომა მასთან დიალოგი...

– დასასრულ, არის თუ არა დღესდღეობიოთ საპარლამენტო კრიზისი?

– ეს სახელისუფლებო კრიზისია. საპარლამენტო კრიზისი გამოიწვია იმან, რომ სახელისუფლებო ფრაქციებმა ვერ შეძლეს პრეზიდენტისთვის დანაპირების შესრულება – 118 კაცის მოყვანა პარლამენტში და შეეცადნენ, თავიანთი უსუსურობა სპიკერატისთვის გადაებრალებინათ. პრეზიდენტს რომ ვეტო თავის დროზე გამოეყენებინა, უკეთესი იქნებოდა. მაშინ პარლამენტში არ გაიმართებოდა ორკვირიანი დებატები. ვაფრთხილებდი კიდეც პრეზიდენტს, რომ საბოლოოდ მაინც ვეტოს გამოყენება მოუწევდა. მართალია, იგი პრეზიდენტისთვის არაპოპულარული ნაბიჯია, მაგრამ ეს არის ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება. როცა პრეზიდენტმა იცის, რომ კანონს ვერ შეასრულებს, სჯობს ამ კანონს ვეტო დაადოს, ვიდრე მოსახლეობა მოატყუოს.

იზო რიკაძე

კვირის პალიტრა 2003. – 24 – 30 მარტი. – № 12. – გვ. 7-13

ნინო ბურჯანაძე აღარ გადადგება!

რამ გადააფიქრებინა პარლამენტის სპიკერს?

წინასაარჩევნოდ პარლამენტში ვითარება იძაბება. საკანცელარიო ბანაკიდან ვახტანგ რჩეულიშვილი აგრესიაზე გადავიდა. ის არ მალავს თავის სურვილს ოპონენტების „განადგურებასთან“ დაკავშირებით. ერთ-ერთ ბოლო ინტერვიუში სოც – ლიდერი ბურჯანაძეს და ჟვანიას ციხისკენ გზას ულოცავს. პასუხს ვახტანგ რჩეულიშვილს გუშინ მიუტანდნენ. ბიუროს დახურულ სხდომაზე ნინო ბურჯანაძემ ერთ-ერთი დეპუტატის შენიშვნაზე უპასუხა: ამ ქვეყანას მართლაც რომ ჰყავდეს პატრონი, ციხეში მე ნამდვილად არ აღმოვჩნდებოდი, ამის დიდი შანსი რჩეულიშვილს უფრო ექნებოდაო... ქვეყანა უპატრონოს შთაბეჭდილებას ნამდვილად ტოვებს. მთავრობა ფანტაზიორობს. ის ახლა მაჟორიტარებს სენატორობასა და ვადის ავტომატურად გაგრძელებას ჰპირდება. ნინო ბურჯანაძემ შესაძლო გადადგომასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. პარლამენტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ ქვეყანაში ოთხი პრიორიტეტი უნდა განისაზღვროს: სტაბილურობა, საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის – ევროატლანტიკური კურსის უცვლელობა, რადიკალური ეკონომიკური რეფორმები და კორუფციასთან ბრძოლა.

„ალია“ ნინო ბურჯანაძეს ესაუბრა.

– გადადგომის შესახებ თქვენი სენსაციური განცხადებით დავიწყოთ. გამოეხმაურა პრეზიდენტი?

– არა. მიუხედავად იმისა, რომ გუშინ დამირეკა, ჩემი განცხადების შესახებ არაფერი უთქვამს. ის რიგგარეშე სხდომით დაინტერესდა.

– და ეს რას ნიშნავს? თქვენი განცხადება მან სერიოზულად არ მიიღო, თუ იმდენად მნიშვნელოვნად მიიღო, რომ განგებ აარიდა ამ თემას თავი?

– ვერ გეტყვით. დღეს შევხვდები მას. სხვა საკითხებთან ერთად მინდა მაჟორიტარებისთვის ვადის შესაძლო გაგრძელების საკითხზე დაველაპარაკო. თუ სახელისუფლებო ბლოკებიდან ასეთი ინიციატივა წამოვა და მეტიც, ზეწოლის მექანიზმებით შეეცდებიან მის გატანას, ბუნებრივია, ვიფიქრებ, უნდა დავრჩე თუ არა ჩემს თანამდებობაზე. ის ადამიანი არა ვარ, რომელიც სავარძლის გამო ყველაფერზე თვალს დახუჭავს. პარლამენტში ის მაინც უნდა მოხერხდეს, რომ მსგავსი არადემოკრატიული გადაწყვეტილებები მიღებულ არ იქნას. იმედი მაქვს, რომ ხელისუფლება საბოლოოდ უარს იტყვის ამ ინიციატივაზე. მჯერა, რომ თავად მაჟორიტარებს შორისაც აღმოჩნდებიან ისინი, ვინც ამ გადაწყვეტილებას მხარს არ დაუჭერს. მოხარული ვარ, რომ ნიკო ლეკიშვილმა ამასთან დაკავშირებით მკვეთრი განცხადება გააკეთა. ბატონი ნიკო არ აპირებს ამ ინიციატივის გაზიარებას. მეტიც, ის მიიჩნევს, რომ თუ საბოლოოდ ასეთ გადაწყვეტილებას მაინც მიიღებენ, ბატონი ნიკო დატოვებს მანდატს და კენჭს ხელახლა იყრის. მაჟორიტარების ინიციატივაზე პრეზიდენტს ადრეც ვესაუბრე. სწორედ მაშინ, როცა ეს იდეა პირველად გახმოვანდა...

– რამდენადაც მახსოვს, პირველად ეს იდეა ბიუჯეტის კენჭისყრების დროს დაიბადა. მაჟორიტარებმა სწორედ ამ იდეაში გაცვალეს საკუთარი ხმები და ბიუჯეტს მხარი დაუჭირეს.

– დიახ, მაშინ სერიოზულად იყო საუბარი იმაზე, რომ მაჟორიტარების ნაწილს მართლაც შეჰპირდნენ უფლებამოსილების გაგრძელებას სენატის მექანიზმით იმ შემთხვევაში, თუ ისინი ბიუჯეტს მხარს დაუჭერდნენ. ამიტომაც ჩემი დამოკიდებულება ამ საკითხზე პრეზიდენტს მაშინვე ვუთხარი. თავის დროზე შევარდნაძემ ხელი შეუწყო დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობას. ახლა მას ისეთ რაღაცეებს ურჩევენ, რომ პრეზიდენტი საკუთარი აშენებულის ნგრევას იწყებს...

– მაგრამ რამდენად შედეგიანი იქნება პრეზიდენტთან საუბარი? ეს ინიციატივა, ალბათ, მასთან შეთანხმებულია...

– ვიცი, რომ ამ თემაზე პრეზიდენტთან კონსულტაციები იყო. ადრე, როცა შევარდნაძეს ჩემი დამოკიდებულება ვუთხარი, დამეთანხმა. მითხრა, რომ ეს მართლაც არ იქნება დემოკრატიული და რომ ევროსაბჭოს და ეუთოს ამაზე ძალიან მძიმე დამოკიდებულება ექნება. მერე რა ხდება და როგორ ტრიალდება ყველაფერი, ჩემთვის გაუგებარია.

– ერთი მხრივ, თქვენი პროტესტი გადადგომასთან დაკავშირებით გასაგებია. მეორე მხრივ, ამ ნაბიჯით, ალბათ, უკან დაიხევთ. ამ შემთხვევაში გამოდის, რომ თქვენ მოშლით პარლამენტს, როგორც ოპოზიციური ხელისუფლება.

– ნამდვილად არ მქონდა თვითმიზნად, რომ პარლამენტი ყოფილიყო ოპოზიციური ხელისუფლებისადმი. ასე გამოვიდა თავისთავად. სამწუხაროდ, ასეთი ინიციატივა მოდის ან ისეთი ფორმით მოდის ეს ინიციატივები, რომ ჩემთვის მიუღებელი ხდება ხოლმე. რაც შეეხება გადადგომა-არგადადგომის საკითხს, კარგად მესმის, ბევრს ჩემი გადადგომა გაუხარდება. ამიტომ სულაც არ ვაპირებ ჩემი პოზიციების დათმობას. სხვათა შორის, მინდა ერთი პატარა საიდუმლო გაგანდოთ: ბოლო პერიოდში ხშირად მქონდა მძიმე განცდები პარლამენტში და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით. ამავე დროს უსუსურობის გრძნობაც გიჩნდება, ფაქტობრივად, ვერ ახერხებ სწორი გადაწყვეტილებების მიღებას. ერთ-ერთი ასეთი კრიზისული მდგომარეობის დროს ვახტანგ რჩეულიშვილი გამოჩნდა ეკრანზე. ის ამბობდა: რა შეუძლია ბურჯანაძეს? არაფერი არ შეუძლია, ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ იღებსო... გულში ვეთანხმებოდი, მართალს ამბობს, მართლაც ასეა-თქო. ბოლოს თქვა: ერთადერთი, რაც ნინო ბურჯანაძეს შეუძლია, ის არის, რომ მე და ჩემს თანამოაზრეებს ხელი შეგვიშალოს ვაკეთოთ ის, რაც გვინდა. ეს სრულიად საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რომ დავრწმუნებულიყავი – არსადაც არ უნდა წავიდე. სანამ

შემეძლება, რომ ვახტანგ რჩეულიშვილს და მისნაირებს ხელი შევუშალო იმის გაკეთებაში, რისი გაკეთებაც უნდათ, მანამდე უნდა ვიყო. ასე რომ, არავითარ შემთხვევაში არ დავყრი ფარ-ხმალს და არ შემეშინდება.

– უმრავლესობა ბოიკოტს აგრძელებს. თავში ახსენეთ, რომ პრეზიდენტთან სატელეფონო საუბარი გქონდათ. არ უთხარით მას, რომ შევარდნაძის მოწვეულ სხდომებს თავად მისი უმრავლესობა არ ესწრება?

– რამდენჯერმე მქონდა პრეზიდენტთან ამ თემაზე საუბარი. ოღონდ, მოდით, ვთქვათ – სახელისუფლებო ფრაქციები და არა პრეზიდენტის უმრავლესობა. პრეზიდენტი საქმის კურსში ჩავაყენე, ვუთხარი, რომ ეს მხოლოდ ჩემი პრობლემა არ არის და ის ქვეყნის პრობლემა ხდება. უცნაური პასუხი მივიღე. პრეზიდენტმა მითხრა: სახელისუფლებო ფრაქციები პრეზიდენტის ფრაქციები სულაც არ არისო. ამდენ ხანს მეგონა, რომ ფრაქციები პრეზიდენტთან დადიოდნენ. აღმოჩნდა, რომ ასე არ არის. ან ამ ადამიანებს უნდა ვუთხრათ, რომ პრეზიდენტი მათ საპრეზიდენტო ფრაქციებად არ მიიჩნევს და ამდენ ხანს ტყუილად აპელირებენ პრეზიდენტის სახელით, ან რაღაც სხვა გადაწყვეტილებები უნდა იქნას მიღებული. უხერხულია, გუშინ ისმოდა: აი, პრეზიდენტმა დაავალა ფრაქციებს, არ მოსულიყვნენო. არადა, პრეზიდენტი, ალბათ, მართლაც არ იძლევა ასეთ დავალებებს, ეს ძნელი წარმოსადგენია.

– მაშინ რამდენად შესაძლებელია, რომ ჯორბენაძეს ვერ მოენელებინა თქვენი მკაცრი საუბრები...

– ვინ რა ვერ მოინელა, ვერ გეტყვით. ფაქტი სახეზეა: სახელისუფლებო ფრაქციები არ მოდიან სხდომებზე. საერთოდ, არსად გამიგონია, რომ უმრავლესობა ბლოკავდეს სხდომებს. ასეთი რამ არსად ხდება.

– ეს პირადად თქვენს წინააღმდეგ არის მიმართული?

– რა თქმა უნდა! დღესაც დახურულ სხდომაზე ვთხოვე, არ დავძაბოთ ვითარება, მოვძებნოთ გამოსავალი და დაპირის-

პირებაზე აქცენტებს ნუ გავაკეთებთ-მეთქი. ასეთი განწყობის მიუხედავად სახელისუფლებო ფრაქციების უმრავლესობა ყველაფერში ბრალს მე მდებდა. ეს ბრალდებები თანდათან უფრო გამძაფრდა.

– მაგრამ ბიუჯეტი რამდენად შეიძლება გახდეს ის საკითხი, რომელიც თემატურ უმრავლესობას დარბაზში დააბრუნებს?

– თუ სახელისუფლებო ფრაქციები არ დაინტერესდნენ საარჩევნო კოდექსით, თუ არ დაინტერესდებიან საგადასახდო კოდექსით, არ გამოვრიცხავ, რომ არც საბიუჯეტო განხილვით დაინტერესდნენ, იმიტომ რომ 2002 წლის ბიუჯეტი გაირღვა. არადა ამტკიცებდნენ, რომ ბიუჯეტი არა მხოლოდ შესრულდება, გადაჭარბებითაც შევასრულებთო. თუ ასე არ იქნება, შესაბამის გადაწყვეტილებებს მივიღებთო, – ირწმუნებოდნენ მაშინ, მათ შორის სახელმწიფო მინისტრიც. არც ოთხი თვის ბიუჯეტის შესრულებაზეა სახარბიელო მდგომარეობა. ჩვენ გვეუბნებიან, რომ ბიუჯეტი შესრულებულია. მაშინ რატომ არ არის გაცემული ხელფასები და პენსიები, რატომ არ ფინანსდება ჯანდაცვის პროგრამები, რატომ არ არის დაფინანსებული ძალოვანი უწყებები? ამ კითხვებს ვერ გაექცევიან. მაგალითად, იანვარში შემოსავლები იყო 50 მილიონი, თებერვალში – 62, მარტში, ბოლო ერთ დღეში 40 მილიონი ამოიღეს... როგორ შეიძლება ეს მოხდეს? არა ვარ დარწმუნებული, რომ ამ კითხვებზე პასუხების გაცემა ვინმეს აწყობდეს.

ქეთი ხატიაშვილი

ალია 2003. – 17-18 აპრილი. – №43. – გვ. 1-4

ხელისუფლებას არჩევნების ჩაშლა სურს

სერიოზული დესტაბილიზაციის თავიდან ასაცილებლად პარლამენტის თავმჯდომარე ხელისუფლებას არჩევნების ჩასატარებლად რადიკალური ნაბიჯების გადადგმისკენ მოუწოდებს.

– რამდენად საფუძვლიანია „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერის დავით გამყრელიძის გუშინდელი განცხადება არჩევნების გადადების მიზნით ხელისუფლების მიერ საგანგებო მდგომარეობის შესაძლო გამოცხადების თაობაზე და აწყობს თუ არა, თქვენი აზრით, ხელისუფლებას არჩევნების ჩატარება?

– თუ ხელისუფლება არჩევნებში მონაწილეობას ამ საარჩევნო ბლოკით აპირებს, ვფიქრობ, მას არჩევნების ჩატარება არ უნდა აწყობდეს. ამ ბლოკის რეიტინგი ყველასათვის ცნობილია და არა მგონია, ასეთ ფონზე ხელისუფლებას არჩევნების მოგების რეალური შანსი ჰქონდეს. თუ ხელისუფლებას მართლაც სურს არჩევნების ნორმალურად ჩატარება, ერთადერთი გამოსავალი არჩევნებამდე დარჩენილ დროში სიტუაციის გასაუმჯობესებლად რადიკალური ნაბიჯების გადადგმაა. სიმართლე გითხრათ, სახელისუფლებო ბლოკის ზოგიერთ ლიდერს რომ ვუყურებ, არ ვიცი, რა ნაბიჯები უნდა გადადგას ისეთი, რომ უახლოეს ხანებში სახელისუფლებო ბლოკის რეიტინგმა ოდნავ მაინც აიწიოს. ამიტომ ვფიქრობ, ხელისუფლებას არჩევნების ჩატარება არ აწყობს. მმართველ ძალას უნდა ესმოდეს, რომ დღეს ის ვითარება აღარ არის, რომელიც 1998 წელს იყო. არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს საზოგადოებრივ აზრს, ხელისუფლება კი მას ანგარიშს ნაკლებად უწევს და ეს კარგს არაფერს მოგვიტანს.

– რამდენად შესაძლებელია პარლამენტმა საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით შეთანხმებას მიაღწიოს?

– საარჩევნო კოდექსის პროექტთან დაკავშირებული მოლაპარაკებები ძალიან დიდი ხანია ჭიანურდება და საზოგადოებისთვის მისაღები კოდექსის შემუშავება მართლაც კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. თუმცა, თუ ხელისუფლებას ამისი სურვილი ექნება, საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით შეთანხმების მიღწევა სავსებით რეალურია. მე მაინც არ დავკარგავ იმედს, რომ საარჩევნო კოდექსის მიღებასა და ნორმალური არჩევნების ჩატარებას შევძლებთ. ხელისუფლებამ ყველაფერი უნდა გააკეთოს იმისათვის, რომ ქვეყანა არჩევნებამდე სტაბილური მდგომარეობით მივიდეს. როცა ხელისუფლებაზე ვსაუბრობ, რასაკვირველია, ოპოზიციის პასუხისმგებლობასაც არ გამოვრიცხავ, თუმცა ბუნებრივია, რომ უპირველესი პასუხისმგებლობა ყველაფერზე, რაც ქვეყანაში ხდება, სწორედ ხელისუფლებას ეკისრება და მასში მე საკუთარ თავსაც ვგულისხმობ.

– რა კომენტარს გააკეთებდით 5 მაისს „სოციალისტების“ ლიდერ ვახტანგ რჩეულიშვილსა და „დემოკრატებს“ შორის მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით?

– ძალიან ცუდია, რომ მსგავს ფაქტებს პარლამენტის შენობაში აქვს ადგილი, მაგრამ ყველა ადამიანმა პასუხი უნდა აგოს თავის სიტყვებზე და დაუკვირდეს, რა საპასუხო რეაქცია შეიძლება მოჰყვეს მათ. მკვეთრი აზრის გამოთქმაც ძალიან დელიკატურად, კორექტული ფორმით და ეთიკური ნორმების გათვალისწინებით არის შესაძლებელი. ის, რასაც ბოლო დროს ვკითხულობთ და გვესმის, არანაირ ზნეობრივ ჩარჩოებში აღარ ჯდება.

ინტერ-პრესი

ახალი თაობა. – 2003, 10 მაისი, №126

„პრინციპული ვიქნები ყველას, მათ შორის, ოჯახის წევრების მიმართაც“

ნინო ბურჯანაძის აზრით, ოპოზიციის გაერთიანებას ლიდერების ამბიციები უშლის ხელს

ნინო მიქიაშვილი:

მომავალი საპარლამენტო არჩევნები 2005 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის მოსამზადებელი ეტაპია. შესაბამისად, აქტიურად მიდის საუბარი იმაზე, თუ ვინ დაიკავებს პრეზიდენტ შევარდნაძის სავარძელს პოსტ-შევარდნაძისტულ ეპოქაში. პრეზიდენტობის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეც მოიაზრება. „მთელი კვირა“ გთავაზობთ მასთან ექსკლუზიურ ინტერვიუს, რომელიც არც უარყოფს და არც ადასტურებს გავრცელებულ ხმებს მის საპრეზიდენტო ამბიციასთან დაკავშირებით.

„მთელი კვირა“: ქალბატონო ნინო, როგორ მოიქცევით იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიციის გაერთიანება არ მოხდება?

ნინო ბურჯანაძე: იმედი მინდა ვიქონიო, რომ ოპოზიციის გაერთიანება რაღაც ფორმით მოხდება და იმ შემთხვევაში, თუ ეს არ მოხერხდა, ვეცდები შევკრიბო თანამოაზრეები, რომლებიც გაიზიარებენ იმ პრინციპებს, რაც ჩემთვის და საქართველოს ხვალინდელი დღისთვის მისაღები და სწორია. თუმცა ყველა შენიშვნას და კორექტირებას ძალიან სერიოზულად შევისწავლი და განვიხილავ მას შემდეგ, რაც ეს პრინციპები საბოლოოდ ჩამოყალიბდება.

„მ. კ“: პოლიტიკურ პარტიას ჩამოაყალიბებთ?

ნ. ბ.: ისედაც უამრავი პარტიაა და არ ვიცი, რამდენად მიზანშეწონილი იქნება ახალი პარტიის შექმნა, მით უმეტეს, ამისთვის

ძალიან ცოტა დროა დარჩენილი. თუ ოპოზიციის გაერთიანება არ მოხდებოდა, ვფიქრობდი, ჩამომეყალიბებინა რაღაც მოძრაობისმაგვარი იმ ადამიანებისგან, ვინც ჩემი თანამოაზრეები იქნებიან, მაგრამ ამან რაღაც ფორმით საარჩევნო სუბიექტადაც უნდა მიიღოს მონაწილეობა საპარლამენტო არჩევნებში. მაგრამ ვნახოთ, ეს ყველაფერი რა ფორმას მიიღებს. ჩემი მხრიდან იქნება მაქსიმალური მცდელობა, რომ იყოს სერიოზული ძალა, რომელსაც შეეძლება გარკვეული პრინციპების არა მხოლოდ დეკლარირება, არამედ ცხოვრებაში გატარება. ვეცდები, ვიპოვო ისეთი ადამიანები (ასეთები ნამდვილად არიან. უბრალოდ, მათ მეტი ყურადღება უნდათ), რომლებიც არიან საქმის მცოდნენი, პროფესიონალები, წესიერნი და ადამიანები, რომლებსაც მართლაც შესტკივათ გული თავიანთ ქვეყანაზე.

„მ. კ“: საპრეზიდენტო ამბიციები მართლაც გაქვთ? ქვეყანაში იქმნება ისეთი ფონი, რომ თქვენ იყოთ პრეზიდენტობის ერთადერთი რეალური კანდიდატი.

ნ. ბ.: არანაირად შემიწყვია ხელი იმისთვის, რომ ასეთი ფონი შექმნილიყო. ნამდვილად არანაირი პოლიტიკური ამბიცია არ მაწუხებს გარდა იმისა, რომ თავი გავართვა იმ მოვალეობას, რა მოვალეობაც მაკისრია და არ გავუმტყუნო რწმენა და იმედი იმ ადამიანებს, ვისაც ჩემი იმედი აქვთ და ჩემი სჯერათ. ჩემი უპირველესი ამოცანა გახლავთ ის, რომ ბოლომდე ღირსეულად მივიყვანო პარლამენტის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება. შეიძლება მეტის ან ნაკლების გაკეთება ყოფილიყო შესაძლებელი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად მართალი ვარ ჩემი სინდისის წინაშე, რადგან მაქსიმუმის გაკეთებას ვცდილობდი იმ ძალიან რთულ და ჭრელ ვითარებაში, რაც პარლამენტში არსებობდა. შემდგომი ამბიცია ნამდვილად მაქვს იმისა, რომ პოლიტიკაში დავრჩე და ასევე ღირსეულად გავაგრძელო საქმიანობა. რა იქნება მომავალში, ამის წინასწარ თქმა ძნელია, რადგან შეიძლება დღეს ჩემი რეიტინგი იყოს მაღალი, მაგრამ თუ რაიმე არასწორ ნაბიჯს გადავდგამ ან მოსახლეობას გავუმტყუნებ იმედებს, ხვალ ეს რეიტინგი შეიძლება

ნულის ტოლი იყოს, ან ნულს ქვემოთ ჩამოვიდეს; ან პირიქით შეიძლება მოხდეს და ეს რეიტინგი იყოს ბევრად უფრო მაღალი, ვიდრე დღეს მაქვს. ამიტომ ყველა პოლიტიკოსს აბსოლუტურად გულწრფელად ვურჩევ, რომ დღეს ნუ ლაპარაკობენ საპრეზიდენტო ამბიციებზე, რადგან ამაზე ლაპარაკი ადრეა და საპრეზიდენტო არჩევნებამდე ძალიან ბევრი საქმეა გასაკეთებელი. ქვეყანაც და თითოეული პოლიტიკოსიც ბევრად უფრო მეტს მოიგებს, თუ ისაუბრებს და იფიქრებს იმ საქმეზე, რაც დღესაა გასაკეთებელი და არა იმაზე, რაც 2005 წელს უნდა გაკეთდეს.

„მ. კ“: იყრით თუ არა კენჭს ქუთაისში მაჟორიტარ კანდიდატად?

ნ. ბ.: არ დაგიმალავთ, რომ ჩემი სიმპათიები გარკვეულწილად ქუთაისისკენ იხრება. თუმცა არის რამდენიმე პრობლემა (მათ შორის თუნდაც ის, რომ ქუთაისს ძალიან დიდი ყურადღება სჭირდება, ძალიან ბევრი სირთულეა გადასალახი, დედაქალაქიდან ძალიან მოშორებულია), რომელიც მაშფოთებს და რომელსაც შეიძლება თავი ვერ გავართვა დეპუტატად არჩევის შემთხვევაში, ან იმდენი დრო ვერ დავუთმო ქუთაისს, რამდენსაც საჭიროებს. ამიტომ ჯერჯერობით კიდევ ვფიქრობ.

„მ. კ“: ქალბატონო ნინო, თქვენ მომხრე ხართ რევოლუციური ცვლილებების რევოლუციური მეთოდების გარეშე. რას გულისხმობთ ამაში?

ნ. ბ.: ამაში ვგულისხმობ გარღვევას პრაქტიკულად ყველა მიმართულებაში, რაც ქვეყანაში პრობლემას წარმოადგენს. ესაა გარღვევა კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, დაუსჯელობის სინდრომის გადალახვაში, ეკონომიკაში, რომელიც გაუბედურებულ მდგომარეობაშია. ამ და კიდევ სხვა მრავალი პრობლემის მოგვარებას სჭირდება გადამჭრელი ნაბიჯები და არა ნახევრად გადადგმული ნაბიჯები და ნახევრად გაკეთებული დეკლარაციები.

„მ. კ“: კულუარული ინფორმაციით, ოპოზიციის გაერთიანება რუსეთის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ძებნილმა ბადრი პატარკაციშვილმა ჩაშალა, რადგან გაერთიანების შემ-

თხვევაში ეს იქნება ძალიან ძლიერი ძალა, რომელიც დაუპირისპირდება შევარდნაძის ხელისუფლებას და ძალა, რომლის სათავეში მყოფი ადამიანები ვერ იქნებიან ადვილად მართვადი პატარკაციშვილის ან რუსეთის მიერ...

ნ. ბ.: არა მგონია, ოპოზიციის არგაერთიანებაში ბადრი პატარკაციშვილი რაიმენაირად იყოს ჩართული. ვფიქრობ, რომ თვითონ ოპოზიციის ლიდერებმა ვერ მოახერხეს შეთანხმება მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით.

„მ. კ“: ძირითადად რა უშლის ხელს მათ გაერთიანებას, მხოლოდ პიროვნული ამბიციები?

ნ. ბ.: გარკვეულწილად პიროვნული ამბიციები, გარკვეულწილად განსხვავება ხედვაში იმასთან დაკავშირებით, თუ ვის როგორ წარმოუდგენია დამარცხების თუ გამარჯვების შემთხვევაში შემდგომი ნაბიჯები. გარკვეულწილად შეიძლება იყოს უნდობლობის ფაქტორიც.

„მ. კ“: როგორ შეაფასებდით პრეზიდენტ შევარდნაძის მოღვაწეობას 1992 წლის გაზაფხულიდან მოყოლებული დღემდე?

ნ. ბ.: ცოტა არაკორექტულია პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან პრეზიდენტის მოღვაწეობის შეფასება, მაგრამ ერთმნიშვნელოვნად შემიძლია გითხრათ, რომ არ მიყვარს და პატივს არ ვცემ იმ ადამიანებს, რომელთაც შეუძლიათ ყველაფერი წყალში გადაყარონ და არ დაინახონ ის, რაც გაკეთებულია. ნებისმიერი ადამიანის საქმიანობაში უნდა დაინახო როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური მომენტები და არასდროს არ უნდა გადაუსვა ხაზი იმას, რაც გაკეთებულია. ნამდვილად ვერ დავეთანხმები იმ აზრს, რომ პრეზიდენტ შევარდნაძის საქართველოში ყოფნისას კარგი არაფერი გაკეთებულა. ეს ასე არ არის. სრულიად გულწრფელი ვიყავი 1995 წლის საპარლამენტო არჩევნებისას და 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების დროსაც შედარებით ნაკლებად დარწმუნებული, მაგრამ მაინც გულწრფელი იმაში, რომ გარღვევა მოხდებოდა. ძალიან დიდი პოზიტივია და პრეზიდენტ შევარდნაძეს უდიდესი წვლილი მი-

უძღვის იმაში, რომ დანგრეული და გაპარტახებული ქვეყნიდან მეტ-ნაკლებად სტაბილურ ქვეყანაში გადავედით და სტაბილურობა დამყარდა, რეალურად ძალიან სერიოზულად დაიწყო საქართველოს, როგორც სახელმწიფოს როლზე ლაპარაკი გეოსტრატეგიულ სივრცეში და ჩვენ დავამყარეთ ძალიან მჭიდრო ურთიერთობები ამერიკის შეერთებულ შტატებთან, ევროპის ქვეყნებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. სრულიად ვიზიარებ პრეზიდენტ შევარდნაძის ხედვას და დამოკიდებულებას საგარეო პოლიტიკურ მიმართულებებში. ამ მიმართულებებში პრაქტიკულად სრულად ვიზიარებ მის ხედვას და დამოკიდებულებას. არის გარკვეული კორექტივები, შეიძლება მე ჩემი მოსაზრებები მქონდეს, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ვფიქრობ, რომ ეს იყო ერთადერთი სწორი მიმართულება საქართველოსთვის და ამაზე ხაზის გადასმა ნამდვილად არ იქნება სწორი. გარკვეული პერიოდის განმავლობაში საშინაო პოლიტიკაშიც მთელი რიგი მიმართულებები სწორად გახლდათ წარმართული. თუმცა იყო გარკვეული ხარვეზები, რამაც შემდეგ სერიოზულად იჩინა თავი და დღეს უკვე ჩვენ მივედით იმ პრობლემებამდე, რომლებზეც ზემოთ ვსაუბრობდი – დაუსჯელობის სინდრომზე, კორუფციაზე, რომელმაც საერთოდ ფრთები შეისხა ქვეყანაში და არათანმიმდევრულ პოლიტიკაზე, იგივე ეკონომიკური მიმართულებით. ჩვენ პრაქტიკულად არ გვაქვს თანმიმდევრული პოლიტიკა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი უნდა იყოს ჩვენი ეკონომიკური განვითარების მიმართულება და ამას უკავშირდება ჩვენი ძირითადი პრეტენზიები. პოზიტიურ მომენტებზე უკვე გესაუბრეთ. საერთოდ, ამ შეფასებებში დრო გარკვეულ კორექტირებას შეიტანს და პრეზიდენტ შევარდნაძის მოღვაწეობას ჩემზე უფრო სწორად სხვა შეაფასებს.

„მ. კ“: პარლამენტის თავმჯდომარე, ქვეყანაში მეორე პირი რამდენად პრინციპული შეიძლება იყოს პროკურატურის მიმართ, სადაც თქვენი მეუღლე გენერალური პროკურორის პირველი მოადგილეა?

ნ. ბ.: და რატომ არ შეიძლება იყოს?

„მ. კ“: და რამდენად პრინციპული შეიძლება იყოს მამათქვენის ბიზნესის მიმართ, რომელსაც ამავდროულად პრეზიდენტ შევარდნაძესთან დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებს?

ნ. ბ.: საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარედ თუ ვინმეს უნდა ისეთი ადამიანი, რომელსაც არც ქმარი ეყოლება, არც ცოლი (იმ შემთხვევაში, თუ კაცი იქნება), არც მამა, არც დედა, არც შვილი და საერთოდ არავინ, არა მგონია, ის ქვეყანას გამოადგეს. ადამიანს, რომელსაც პარლამენტის თავმჯდომარის თანამდებობა უკავია, უნდა ესმოდეს, რა არის პირველხარისხოვანი ინტერესი და რა – მეორეხარისხოვანი. ჩემი ოჯახის წევრებს ძალიან კარგად ესმით, რა არის ქვეყანა, რა ინტერესები აქვს სახელმწიფოს, და არასდროს არ გააკეთებენ რაიმე ისეთს, რომ ინტერესების კონფლიქტი მოხდეს. რაც შეეხება პროკურატურას, ესაა სასამართლო ხელისუფლების სტრუქტურა და მას არანაირი შეხების წერტილი არა აქვს პარლამენტთან (ყოველ შემთხვევაში, არ უნდა ჰქონდეს). პროკურატურის ფუნქციებში არასდროს ჩავრეულვარ არც მანამ, სანამ ჩემი მეუღლე გენერალური პროკურორის პირველი მოადგილე გახდებოდა, არც მას შემდეგ და არც ახლა ვაპირებ ჩარევას. თუ ჩემი მეუღლე გააკეთებს რაიმე ისეთს, რაც შეუფერებელი იქნება მისი თანამდებობისთვის, გარწმუნებთ, რომ ჩემს მითითებაზე ადრე თავად მიიღებს გარკვეულ გადაწყვეტილებას. ასე რომ, ამ მხრივ აბსოლუტურად მშვიდად ვარ. მინდა გითხრათ, რომ გავრცელებული ხმები მამაჩემის ბიზნესთან დაკავშირებით ძალიან გადამეტებულია. როცა მამაჩემის და პურის ბიზნესის თემაზე საუბრობენ, მე მგონი, 90%-მა არ იცის, რომ მამაჩემი 1995 წლიდან სახელმწიფო სტრუქტურაში აღარ მუშაობს და პრაქტიკულად შეხება არა აქვს პურთან და პურის ბიზნესთან. რამდენიმე დღის წინ ისიც წავიკითხე, რომ პურის გაძვირება თურმე მამაჩემის ბრალი ყოფილა. ეს იმ ადამიანების სინდისზე იყოს, ვინც ამას ლაპარაკობს. ამის გადამოწმება ძალიან მარტივია და არანაირი

პრობლემა არ არის. ასე რომ, კიდევ ერთხელ შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ძალიან პრინციპული ვიქნები ყველა შემთხვევაში ყველას მიმართ. თუ იქნება ისეთი კონფლიქტი ინტერესებისა, როდესაც არჩევანი უნდა გავაკეთო ჩემი ოჯახის წევრსა და ჩემს თანამდებობას შორის (და თუ ამას ვერ გადავლახავ), ამ თანამდებობიდან წავალ. მე პავლიკა მოროზოვი ნამდვილად ვერ ვიქნები და ვერც იმ ადამიანებს შევუერთდები, ვინც მღეროდა – „მოვკლავ დედას და დავხვრეტ მამას, თუ რევოლუცია მიბრძანებს ამას.“ ამას ვერ გავაკეთებ და ამისთვის მადლობას ვუხდი ღმერთს, რადგან ასეთი პარლამენტის თავმჯდომარე საქართველოს ნამდვილად არ სჭირდება, მაგრამ ვიმეორებ, რომ თუ კონფლიქტი იქნება, თანამდებობიდან წავალ.

„მ. კ“: თქვენი პროგნოზით, როგორი იქნება მომავალი პარლამენტი?

ნ. ბ.: ძალიან ძნელი სათქმელია, ვნახოთ...

ახალი თაობა. – 2003, 25 მაისი, №141

არჩევნებამდე თვენახევრით ადრე მინისტრთა კაბინეტისა და ორპალატიანი სისტემის შემოღება, უბრალოდ არასერიოზულია

გვესაუბრება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე

– ქალბატონო ნინო, პრეზიდენტმა შევარდნაძემ აღნიშნა, საქართველოს პარლამენტს კარგი თავმჯდომარე ჰყავს და გაუფრთხილდითო. ეთანხმებით ასეთ შეფასებას? თქვენ განაცხადეთ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში აღგიქვამენ არა როგორც პრეზიდენტობის კანდიდატს, არამედ როგორც პარლამენტის სპიკერს, რომელსაც პოლიტიკური მომავალი აქვს. და მაინც, ზოგიერთი პოლიტიკოსი მიიჩნევს, რომ პარლამენტის თავმჯდომარე ოკეანის გაღმა პრეზიდენტობის კანდიდატის რანგში სტუმრობდა. რას იტყოდთ ამასთან დაკავშირებით?

– პრეზიდენტის შეფასებას ვეთანხმები... დანარჩენს, რაც შეეხება, გარწმუნებთ, ამაზე ლაპარაკი ნაადრევად მიმაჩნია. ორი წლით ადრე საუბარი, თუ პოლიტიკაში ვინ რას აპირებს, ჩემი აზრით არასწორია. დღეს უპირველეს ჩემს ამოცანად მიმაჩნია თავი გავართვა იმ მოვალეობას, რაც მაკისრია. საქართველოს პრეზიდენტობა ძალიან ძნელია. ვფიქრობ, ვისაც ამის პრეტენზია აქვს, ყველას უნდა ესმოდეს, რაოდენ დიდ პასუხისმგებლობას ეჭიდება.

– როცა თქვენ პარლამენტის მიერ გაწეულ მუშაობაზე საუბრობთ, ხაზს უსვამთ, რომ მითი იმის შესახებ, თითქოს პარლამენტი ქმედითუუნაროა, გადაჭარბებულია. არადა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მომავალი საპარლამენტო არჩევნები ახლოვდება და საარჩევნო კოდექსში ცვლილებების საკითხი რამდენიმეთვიანი კონსულტაციების შემდეგ ისევ გაყინულია.

– პარლამენტის კრიტიკის საკმაოდ სერიოზული საფუძველი არსებობს. ძალიან ხშირად ამ საკითხთან დაკავშირებით მწვავე კრიტიკით მე თავად გამოვდივარ, მაგრამ პარლამენტის არაქმედუნარიანობაზე მუდმივი საუბარი, ვფიქრობ, მიზნად მის დისკრედიტაციას ისახავდა. ამასთან, გამიზნული იყო იმისათვის, რომ ქვეყანაში არსებული ყველა პრობლემის ფოკუსირება პარლამენტთან მიმართებაში მომხდარიყო, ხოლო ყველა სხვა სახელისუფლებო შტო ჩრდილში აღმოჩენილიყო. ბიუჯეტის შეუსრულებლობას, გაუცემელ პენსიებსა და ხელფასებს პარლამენტს ნამდვილად ვერავინ დააბრალებს. რაც შეეხება ძირითად საკანონმდებლო საკითხებს, რაც ქვეყნის ნორმალურად ცხოვრებისათვის მეტ-ნაკლებად აუცილებელი იყო, პარლამენტმა ასეთი კანონები მიიღო. შეგახსენებთ, პარლამენტმა რატიფიკაცია გაუკეთა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომელიც ჩვენი საგარეო პოლიტიკური კურსისათვის ძალიან სერიოზული და მნიშვნელოვანი იყო. პანკისის, აფხაზეთისა და დსთ-ს სამშვიდობოების პრობლემა უყურადღებოდ არ დაგვრჩენია. საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით მინდა იმედი გამოვთქვა, რომ ბოლოს და ბოლოს, შეთანხმება მოხდება. მოიძებნება, ალბათ, ისეთი მოდელი, რომელიც მეტ-ნაკლებად ორივე მხარისთვის მისაღები იქნება. შეთანხმების ბოლო ვარიანტი, რომელიც სახელისუფლებო ბლოკმა შემოგვთავაზა, მხოლოდ სახელისუფლებო ბლოკის ვარიანტი არ ყოფილა. იგი თავის დროზე ერთ-ერთი კონსულტაციის დროს ორივე მხარეს მე შევთავაზე. საუბარია ჩვიდმეტკაციან საარჩევნო კომისიაზე – ბალანსით დაახლოებით ექვსი თერთმეტზე, მეთერთმეტე წევრად გათვალისწინებული იყო ყოფილი უზენაესი საბჭოს წევრი. მაშინ სახელისუფლებო ბლოკმა ამ ვარიანტზე უარი განაცხადა. გუშინ თითქოს გამოიკვეთა, რომ გარკვეული მოდიფიკაციით ამ ვარიანტის მომარჯვებით შეიძლება შეთანხმება შედგეს. ვნახოთ, რა იქნება. თუ ამ ვარიანტზე შევთანხმდით, ამის მერე განსახილველია როგორ მოხდება დაკომპლექტება ადმინისტრაციის შემდგომ დონეებზე (საოლქო,

საუბნო). რა თქმა უნდა, ძალიან ცუდი იქნება, თუ ამ მოწვევის პარლამენტმა საარჩევნო კოდექსი ვერ მიიღო. ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა ერთმნიშვნელოვნად უნდა გაიზიაროს იმ მხარეებმა, რომლებიც ნორმალური გადაწყვეტილების მიღებას და კონსენსუსამდე მისვლას ვერ ახერხებენ. ვფიქრობ, აუცილებელია, საარჩევნო ადმინისტრაციაში ისეთი ბალანსი იყოს, რომელიც ჩვენს მოსახლეობას დაარწმუნებს, რომ არჩევნები ან საერთოდ არ გაყალბდება (რაც ძნელი დასაჯერებელია), ან ყოველ შემთხვევაში, მინიმალურად გაყალბდება, ისე რომ, მოსახლეობის ძირითადი ნება არ შეიცვლება.

– ქალბატონო ნინო, საკონსტიტუციო ცვლილებებს, რომელიც ორპალატიანი პარლამენტისა და მინისტრთა კაბინეტის შემოღებას, ქვეყნის რეგიონალურ მოწყობას ეხება, პარლამენტართა ნაწილი დაჩქარებული წესით მოითხოვს. დაჩქარებული ტემპით მნიშვნელოვანი საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება ძნელად წარმოსადგენია, მით უმეტეს, ყველას კარგად ესმის, რომ ერთ სასესიო კვირაში ამდენი გაურკვეველი საკითხი (მისაღებია საარჩევნო კოდექსი) ვერ გადაწყდება. რატომ გახდა საჭირო ასე სასწრაფოდ საკონსტიტუციო ცვლილებების დამტკიცება, ვის ინტერესებში შედის ეს?

– მინისტრთა კაბინეტის იდეას მე მხარს 1998 წლიდან ვუჭერდი. დღემდე ჩემი პოზიცია არ შეცვლილა, დღესაც მხარს იმავე მოდელს ვუჭერ, მაგრამ ვთვლი, რომ არჩევნებამდე თვენახევრით ადრე მინისტრთა კაბინეტისა და ორპალატიანი სისტემის შემოღება, უბრალოდ, არასერიოზულია. გარწმუნებთ, ამასთან დაკავშირებით პარლამენტში 157 ხმის მოგროვება ძალიან სერიოზული პოლიტიკური გარიგებების გარეშე ვერაფრით ვერ მოხერხდება. საჭირო ხმების მოგროვება ისეთი პოლიტიკური დათმობების ხარჯზე შეიძლება მოხდეს, რაც ქვეყნის ინტერესებს ნამდვილად არ წაადგება. არ მინდა შეურაცხყოფა მივაყენო იმ ხალხს, ვისაც გულწრფელად სჯერა, რომ ეს იდეა ახლაა განსახილველი. მაგრამ ჩემი პოზიცია ასეთია: რა თქმა უნდა, სწორი იქნებოდა ამ პარლამენტს საკონსტიტუციო ცვლილებები მიეღო,

რათა ადამიანს, რომელიც არჩევნებზე მიდის, უკვე სცოდნოდა, ერთპალატიან პარლამენტს უჭერს მხარს თუ ორპალატიანს, რა უფლებამოსილებით არის, როგორ იქნება, ვთქვათ, მინისტრთა კაბინეტისა და პარლამენტის ურთიერთშეფარდება და ბალანსი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ახლა ამ საკითხის განხილვა გარკვეული კონკრეტული ინტერესებიდან გამომდინარე ხდება.

– ჩვენ ყველანი მივეჩვიეთ, რომ პარლამენტარები სხდომას არ ესწრებიან, კვორუმი არ იკრიბება, წარამარა ბოიკოტს მიმართავენ. მაგრამ როგორ გაიგებენ დანიშნულ შეხვედრამდე დეპუტატების გამოუცხადებლობას ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტების ადამიანის უფლებათა დაცვის ბიუროს წევრები, რომლებიც საქართველოში წინასაარჩევნო ვითარების შესაფასებლად იმყოფებიან? რა მოხდა, ესეც პროტესტი იყო?

– ვფიქრობ, დეპუტატების მხრიდან ეს მაინც უფრო გაუგებრობა ან ნაწილობრივ უპასუხისმგებლობა იყო, ვიდრე რაღაც პროტესტი. ფრაქციის ლიდერებმა თქვეს, გაურკვევლობა მოხდაო, მათ თითქოს ამ შეხვედრის შესახებ არაფერი იცოდნენ. მიუხედავად ასეთი არასასიამოვნო ფაქტისა, ეუთოს დელეგაცია კვლავაც მზად არის ფრაქციების თავმჯდომარეებს შეხვდეს. შევეცდები, ამას ორგანიზება დღესვე გავუკეთო. შევეგუეთ სხდომების გაცდენას, მაგრამ დელეგაციებთან შეხვედრაზე არმოსვლა, ეს მართლაც ძალიან უხერხულია, მით უმეტეს, ეუთოსთვის სათქმელი ძალიან ბევრი გვაქვს. მე მინდა ყველას მივმართო, მათ შორის იმ ადამიანებსაც, ვინც ხშირად ეუთოს აკრიტიკებს, რომ ეუთო გახლავთ ის ერთადერთი ორგანიზაცია, სადაც ძალიან სერიოზულ საკითხებზე მსჯელობენ – იქნება ეს აფხაზეთის საკითხი, ქვეყნის უსაფრთხოება, რუსეთის ბაზების საკითხი თუ ბევრი სხვა. თუ გვაქვს ამ ორგანიზაციასთან რამე კონკრეტული შენიშვნა, პრეტენზია ან წინადადება, ეს ალბათ, შესაბამისად უნდა ითქვას. იმედი მაქვს, აღნიშნულ ფაქტს ეუთო გაგებით მოეკიდება, ფრაქციები კი ამ საერთაშორისო ორგანიზაციის მიმართ გარკვეულ ინტერესს გამოავლენენ.

– ქალბატონო ნინო, ოპოზიციის ნაწილი ამ ბოლო დროს თქვენი მისამართით საკმაოდ კრიტიკულია, ტელეეკრანიდან მოგიწოდებენ, უფრო რადიკალურ პოზიციებზე დადგეთ. რამდენად ეთანხმებით მათ აზრს?

– მე ვდგავარ იმ პოზიციაზე, რაც სწორად მიმაჩნია. პოზიციის შეცვლას არავის კარნახით არ ვაპირებ. ტელეეკრანიდან მოწოდებას და განცხადებების გაკეთებას კი ვფიქრობ, – პოლიტიკოსებს შორის დიალოგი და კონსულტაციები სჯობს. ალბათ, შევძლებთ შევხვდეთ და ვისაუბროთ იმ საკითხებზე, რომლებიც ჩვენთვის მნიშვნელოვანი და საინტერესოა, გავარკვიოთ, ჩვენი პოზიციები ერთმანეთს რამდენად დაუხლოვდა ან დაშორდა. ჩვენ ხშირ შემთხვევაში რადიკალურად განსხვავებული აზრები გვაქვს. ხან ემთხვევა ეს აზრები ერთმანეთს, ხან კიდევ არ ემთხვევა, ასეთი რამ პოლიტიკაში ბუნებრივია. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, დავიკავებ ისეთ პოზიციას, რომელიც სწორად მიმაჩნია, იმისდა მიუხედავად, მოსწონს ეს პოზიცია ვინმეს თუ არ მოსწონს. ჩემთვის, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, თითოეული ადამიანის, მოსახლეობის აზრი, მაგრამ, უპირველეს ყოვლისა, პოზიციის სისწორეში დარწმუნებული თვითონ უნდა ვიყო.

– პარლამენტში უკვე დევს და სულ მალე განიხილავენ რეგლამენტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე დადგენილების პროექტს, რომელიც საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტემა წარმოადგინა. ახალი რეგლამენტის ოპონენტები სხვა შენიშვნებთან ერთად აღნიშნავენ, რომ წარმოდგენილი ცვლილებებით, ქვეყნის მეორე პირის გადაყენების პროცედურა გამარტივებულია. თქვენ როგორ ფიქრობთ?

– რეგლამენტი აუცილებლად შესაცვლელი გახლავთ, მაგრამ ვერ გეტყვით, რომ ის ვარიანტი, რომელიც საპროცედურო კომიტეტმა შემოგვთავაზა, უნაკლოა. ვფიქრობ, სპიკერის უფლებების შეზღუდვის მცდელობა პარლამენტში მას შემდეგ დაიწყო, როცა აღმოჩნდა, რომ სპიკერი იმაზე უფრო ურჩია, ვიდრე ბევრს წარმოედგინა. დარწმუნებული ვარ, რომ ნების-

მიერი ადამიანი, ვისაც შემდგომ პარლამენტში სპიკერად აირჩევენ, ნამდვილად დამოუკიდებელი იქნება, სპიკერზე ზეწოლა მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს, იგი ვინმეს მანიპულირების საგანი ვერ და არ უნდა გახდეს. თუ ჩვენ რეგლამენტის შეცვლა გვინდა, მოდით, ჯერ ისე გავაკეთოთ, რასაც მე დიდი ხანია ვთავაზობ. თავიდანვე მიმაჩნდა, რომ რეგლამენტის შეცვლასთან დაკავშირებით 118-ხმიანი კვორუმის 79 ხმამდე ჩამოწევა სწორი არ იყო. მოდით, ჯერ შევცვალოთ რეგლამენტი, 118 ხმით მივიღოთ და მერე ვილაპარაკოთ, თვით რეგლამენტში არსობრივი რა ცვლილებები უნდა მოხდეს. თუ ვინმეს სჭირდება სპიკერის ნაცვლად რობოტი, რომელიც მხოლოდ მიკროფონებს ჩართავს და ყველაფერზე თავს დააქნევს, ასეთ შემთხვევაში ვფიქრობ, რომ ჩემი და ჩემისთანა ადამიანების ადგილი პარლამენტში ნამდვილად არ არის.

ესაუბრა მზია გელენავა

საქართველოს რესპუბლიკა 2003. – 20 ივნისი. – №160. – გვ. 1-2

ქნესეტში შეიქმნა საქართველო-ისრაელის მეგობართა ჯგუფი

პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტი ისრაელში

დღეს პარლამენტის თავმჯდომარე საქართველოში ბრუნდება. ისრაელში ოთხდღიანი ოფიციალური ვიზიტის განმავლობაში ნინო ბურჯანაძე, თანმხლებ პირებთან ერთად, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების არაერთ წარმომადგენელს შეხვდა, თუმცა, ძირითადი შეხვედრა გუშინ, ისრაელის პრემიერ-მინისტრ არიელ შარონთან შედგა.

„24 საათი“ პარლამეტრის თავმჯდომარეს ისრაელში დაუკავშირდა.

ძალზე მნიშვნელოვანი შეხვედრა იყო, რასაც წესით, გარკვეული შედეგი, გაგრძელება უნდა მოჰყვეს. საყოველთაოდ ცნობილია, თუ რამდენად მნიშვნელოვანი ფიგურაა პრემიერ-მინისტრი ისრაელის სახელმწიფო სტრუქტურაში და, მით უფრო – არიელ შარონი. უნდა აღვნიშნო, რომ დაგეგმილი ნახევარი საათის ნაცვლად შეხვედრა საათი და ათი წუთი გაგრძელდა. ასეთი რამ, როგორც გვითხრეს, ხშირად არ ხდება. შარონი სერიოზულად დაინტერესდა საქართველოში არსებული სიტუაციით. ორ ქვეყანას ბევრი საერთო აქვს და, ბუნებრივია, საინტერესოა გარკვეული გამოცდილების გაზიარება სამშვიდობო პროცესის თუ სხვა თვალსაზრისით. შარონის დაინტერესება საქართველოთი იმითაცაა განპირობებული, რომ მისი ბებია საქართველოშია დაკრძალული, მისი მშობლები თავის დროზე ერთმანეთს საქართველოში შეხვდნენ და თავად მას ძალიან ტკბილი გრძნობები აქვს საქართველოსა და ქართველი ხალხისადმი. ვფიქრობ, რომ საქმიანი და საინტერესო შეხვედრა იყო.

– თქვენ ახსენეთ, რომ ამ ვიზიტს, შეხვედრებს შეიძლება რაღაც გაგრძელება მოჰყვეს. კონკრეტულად რა იგულისხმება ამაში?

– საჭიროა პოზიციების შეჯერება იმ იდეებთან დაკავშირებით, რომელიც ამ ორმხრივი შეხვედრებისას გამოითქვა როგორც ისრაელის პრეზიდენტთან, ისე პრემიერ-მინისტრთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან და სხვებთან საუბარში. თანამშრომლობის პერსპექტივები გამოიკვეთა როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თანამშრომლობის თვალსაზრისით. ისრაელს საქართველოზე ნაკლები მოსახლეობა ჰყავს, ამასთან, ნაკლები ბუნებრივი რესურსები, თითქმის მუდმივი კონფლიქტები... მაგრამ მიუხედავად ამისა, აქვს მყარი ბიუჯეტი, კარგად განვითარებული ინდუსტრია. ვფიქრობ, ამ ქვეყანაში არსებული პოტენციალი და გამოცდილება საქართველოს მხრიდან შეიძლება ისე იქნას გამოყენებული, რომ ეს ორივე ქვეყნისთვის სასარგებლო აღმოჩნდეს.

– ჩვენთვის მტკივნეულ პოლიტიკურ თემებზე თუ იყო საუბარი?

– ჩვენ ასეთ თემებზე ნებისმიერი ოფიციალური ვიზიტის დროს ვსაუბრობთ. – კონკრეტულად უსაფრთხოების, ეთნოკონფლიქტების საკითხზე, იმ მხარდაჭერის შესახებ, რაც შეიძლება ამ სახელმწიფოსაგან მივიღოთ. ისრაელის მხარდაჭერა კი, როგორც საქართველოსადმი მეგობრულად განწყობილი ქვეყნისა, პოლიტიკური ასპექტით მართლაც მნიშვნელოვანია. შესაძლებელია გამოცდილების გაზიარება თუნდაც სამხედრო სწავლების თვალსაზრისით, ტერორიზმთან ბრძოლის წინააღმდეგ. გარდა ამისა, არცთუ ცოტა ხნის წინ, ისრაელში კორუფციის საკმაოდ მაღალი დონე იყო. აქ სერიოზული რეფორმები გატარდა, განსაკუთრებით – სამართალდამცავ და ძალოვან სტრუქტურებში, რამაც ხელი შეუწყო ქვეყნის ბიუჯეტის განმტკიცებას, ჩრდილოვან ეკონომიკასთან ბრძოლას. აღარ ვლაპარაკობ კულტურულ სფეროში გაცვლის შესახებ. ყოველივე ამას პარლამენტის თავ-

მჯდომარე რივლინი მხურვალედ გამოეხმაურა. ისრაელის ქნესეტში, რომელიც სულ რამდენიმე თვის არჩეულია, შექმნილია საქართველო-ისრაელის მეგობართა ჯგუფი. ის ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობის გაღრმავებითაა დაინტერესებული. საქართველოში არსებულ ვითარებას ისრაელში კარგად იცნობენ. მაგრამ საჭიროა ხშირი კონტაქტები, რადგან მათ საკუთარი პრობლემები საკმარისად აქვთ და დროდადრო თავის შეხსენებაა საჭირო. საერთოდ, სერიოზული ყურადღება უნდა დავუთმოთ ვიზიტებს საზღვარგარეთ, რადგან საქართველო პატარა ქვეყანაა და მისი პრობლემები, შესაძლოა, მსოფლიოს სხვა ქვეყნების, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ სერიოზულ პრობლემად არ აღიქმებოდეს. მოხარული ვარ, რომ ეს ვიზიტი შედგა. ვიყავი აშკელონში, სადაც დიდი ქართულ-ებრაული დიასპორაა, მათი წარმომადგენელია ქალაქის მერი შაბთაი ცური. ის ბავშვები, რომლთა მშობლებიც არ არიან საქართველოში დაბადებულები, ისეთი სითბოთი საუბრობენ საქართველოზე, გაგიკვირდებათ. ამას ჩვენი მხრიდან დიდი ხელშეწყობა სჭირდება, რადგან საქართველოს, როგორც ისრაელისადმი მეგობრული სახელმწიფოს აღქმაში დიასპორას უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

– როგორც წესი, ჩვენი ბიუჯეტი ხშირი ვიზიტების საშუალებას არ იძლევა...

– გეთანხმებით. ამიტომ საამისოდ არსებული თანხები მაქსიმალურად ოპტიმალურად უნდა იყოს გამოყენებული. არის თუ არა ჩვენთვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო მხარდაჭერა, ბოლოს და ბოლოს?

– წინასაარჩევნოდ არსებულ სიტუაციაზეც თუ ისაუბრეთ არიელ შარონთან, სხვა ოფიციალურ პირებთან?

– არა, ამ თემაზე მაინცდამაინც არ გვისაუბრია. მართალია, იყო გარკვეული ინტერესი – რა შიდა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ვითარებაა საქართველოში, მაგრამ ეს მაინც არ იყო შეხვედრების ძირითადი თემა.

– აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით რაიმე შემოთავაზება ხომ არ ყოფილა? თუნდაც, ისრაელ-პალესტინის კონფლიქტის გადასაწყვეტად შემუშავებული რეკომენდაციების, „საგზაო რუკის“ ფარგლებში?

– თავად აქ, „საგზაო რუკასთან“ დაკავშირებით აზრი არაერთგვაროვანია. არიან ადამიანები, ვისაც სკეპტიკური დამოკიდებულება აქვს და არიან პოლიტიკურ ისტებლიშმენტში ისეთებიც, ვინც დიდ იმედებს ამყარებს ამ რეკომენდაციებზე – პრობლემის გადაჭრის ინიციატივაზე, რომელიც „საგზაო რუკაში“ აშშ-ს, ევროკავშირის, რუსეთისა და ისრაელის ერთდროულ ჩართვას გულისხმობს. აფხაზეთის შემთხვევაში შეიძლება გამოყენებულ იქნას სქემა – ამერიკა, რუსეთი და საქართველო.

ლელა მჭედლიძე

24 საათი 2003. – 27 ივნისი. – №174. – გვ. 1-A2

ცსკ-ს თუ არ შევცვლით, მძიმე შედეგებს მივიღებთ

ირაკლი გოგორიშვილი

პარლამენტის თავმჯდომარე ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ლიტვაში. ვილნიუსში საქართველოსთან ერთად ის ათი ქვეყანა შეიკრიბა, „ნატოს“ ალიანსში რომ შეაბიჯა. ვილნიუსის შეხვედრაზე საქართველო განსაკუთრებული სტატუსით იყო მიწვეული და ეს იმითაც არის უპირველესად განპირობებული, რომ საქართველო ღიად აცხადებს, რომ მისი პრიორიტეტია ნატოში გაწევრიანება. გარდა ამისა გამოიკვეთა ისიც, რომ ამ პროცესში საქართველოს ლობისტებად გამოჩნდნენ ბალტიისპირეთის ქვეყნები. ამ შეხვედრაზე სწორედ გამოიკვეთა ის მხარდაჭერა, რომ საქართველო სწორ საგარეო პოლიტიკურ კურსს ირჩევს, როცა მიისწრაფვის აღნიშნულ ორგანიზაციაში გაწევრიანებისაკენ. მაგრამ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხელისუფლება, რომელიც ღიად აცხადებს თავის საგარეო პრიორიტეტს, რეალურად არ ასრულებს დაკისრებულ ვალდებულებებს. პარლამენტის თავმჯდომარემ სპეციალური ბრიფინგი მიუძღვნა ამ საკითხს.

ნინო ბურჯანაძე:

– ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის შეხვედრა, რომელიც ვილნიუსში შედგა. მინდა შეგახსენოთ, რომ ე. წ. ვილნიუსის ათეული არის ის ჯგუფი 10 ქვეყნისა, რომელიც ნატოს გაფართოების ბოლო ტალღაზეა, შვიდი მათგანი ნატოს წევრია და სამი უახლოეს პერიოდში შეაბიჯებს ამ ორგანიზაციაში. პრაქტიკულად საქართველო რომ იყო მიწვეული ვილნიუსის ათეულის შეხვედრაზე, ეს იყო აბსოლუტურად უპრეცედენტო შემთხვევა, რადგან ამ ფორუმზე მათი ერთობლივი მუშაობის პროცესში არც

ერთ სხვა ქვეყანას არ მიუღია მონაწილეობა და საქართველო გამართულ ფორუმზე გამონაკლისის სახით იყო მიწვეული. არ შეიძლება განსაკუთრებული მადლობა არ ეთქვას ლიტვის პარლამენტის თავმჯდომარეს და ბალტიისპირეთის სხვა ქვეყნებს, რომლებმაც სერიოზულად დაგვიჭირეს მხარი „ვილნიუსის ათეულში“ მონაწილეობის მისაღებად. აქ თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს წარმომადგენელმა ნატოში ბატონმა დავით თოდუამ. გარდა იმისა, რომ ჩვენთვის მნიშვნელოვანია ამ ქვეყნებთან ურთიერთობა და მათი გამოცდილების გაზიარება, მნიშვნელოვანია ისიც, რომ გაჩნდა ჩვენთან მიმართებაში მესიჯი ამ ღონისძიების ფონზე „ათი პლუს ერთი“. სწორედ ამ ფორმაში ამ შეხვედრაზე ხაზგასმით დაფიქსირდა საქართველოს მონაწილეობა და შეიძლება ეს ბევრისთვის დეტალი იყოს, მაგრამ ათი ქვეყნის ფონზე საქართველოს დროშაც ფრიალებდა. ვფიქრობ, რომ ეს არის ძალზე სერიოზული განაცხადი, რასაც შეუძლია პოლიტიკური და პრაქტიკული შედეგების მოტანა.

– ქალბატონო ნინო, პარლამენტში საკონსტიტუციო ცვლილებებზე მსჯელობენ, სადაც საუბარია ორპალატიანი პარლამენტის შემოღებაზე. როგორია თქვენი დამოკიდებულება?

– სიმართლე გითხრათ, ამ პარლამენტში ძალიან ვეჭვობ, რომ 157 ხმა მოგროვდეს საკონსტიტუციო ცვლილებებთან მიმართებაში, რადგან ძალიან სერიოზული საკითხია ქვეყნის მოწყობასთან დაკავშირებით, ბუნებრივია აზრთა სხვადასხვაობა. ორპალატიანი პარლამენტის საქართველოს ტიპის ქვეყანაში არსებობს გარკვეული პლუსები და არსებობს გარკვეული მინუსები. ამ საკითხზე აუცილებელია სერიოზული და აქტიური დებატები. გადაწყვეტილების მიღება პარლამენტში მართლაც გვჭირდება, თუ, რა თქმა უნდა, ამ საკითხის უკან გარკვეული ინიციატივები არ მოიაზრებოდეს.

– საუბარია ამ ცვლილებების ფონზე მაჟორიტარებისთვის უფლებამოსილების გახანგრძლივებაზე გარკვეული ვადით?

– ლეიბორისტების ინიციატივას დეტალური განხილვა ესაჭიროება. ამ პროექტს დეტალურად გავეცანი და მაქვს გარკვეული შენიშვნები, როგორც იურისტს. რაც შეეხება მაჟორიტარებისთვის უფლებამოსილების გახანგრძლივებას, ამ იდეის კატეგორიული და რადიკალური მოწინააღმდეგე ვარ. არ ვურჩევდი პარლამენტარებს მსგავსი იდეის მხარდაჭერას, რადგან მოსახლეობა არ შეურიგდება პარლამენტართა ასეთ უმსგავსო გადაწყვეტილებას.

– როგორ ფიქრობთ, პარლამენტში თუ მოხდება კენჭისყრა იმ შეთანხმებულ პროექტზე, რომელიც საარჩევნო კოდექსში ცვლილებებს უკავშირდება?

– იმედი მაქვს, რომ საბოლოო ჯამში მოხდება შეჯერება პოზიციებისა. ვფიქრობ, რომ ყველას უნდა ესმოდეს, როგორც ხელისუფლებას, ასევე ოპოზიციას, რომ მოსახლეობისთვის არის მნიშვნელოვანი, რომ ცენტრალური საარჩევნო კომისია ახლებურად დაკომპლექტდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ შეიძლება მივიღოთ საკმაოდ მძიმე შედეგი, როცა არჩევნებზე მოსახლეობა არ მივა. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციაში არიან კეთილსინდისიერი ადამიანები, არჩევნების ჩატარების კომისია უნდა შეიცვალოს საფუძვლიანად, თუ გვინდა, რომ ნორმალური არჩევნები ჩატარდეს.

– დღეს აქტიურად საუბრობენ, საჭიროა თუ არა, რომ პარლამენტის წევრს ჰქონდეს იმუნიტეტი. როგორია თქვენი დამოკიდებულება?

– პირადად მე ინიციატორი ვარ, რომ საერთოდ მოეხსნას დეპუტატს იმუნიტეტი და იყოს მხოლოდ შეზღუდული იმუნიტეტი, რაც ჩვენს პოლიტიკურ საქმიანობასთან იქნება დაკავშირებული. საერთოდ ამ ბოლო დროს არასწორი გაგება არის იმუნიტეტის მოხსნა-არმოხსნასთან დაკავშირებით, რადგან თუ დეპუტატი თანამშრომლობს გამოძიებასთან და არ ემალება გამოძიებას, იმუნიტეტის მოხსნა უნდა მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმე მივა მის პატიმრობაში აყვანამდე. სხვათა

შორის, ეს იმაზეც არის დამოკიდებული, რა მიმართულებით წარიმართა გამოძიება.

მთელი კვირა („რეზონანსის“ ყოველკვირეული გამოცემა). –

2003, 7 ივლისი, № 185, გვ. 5

რას მალავს ნინო ბურჯანაძე?

საინტერესოა ვინ იქნებოდა დღეს ქვეყნის მეორე პირი, ამ ქალბატონის კარიერა „მუსიკალური გზით“ რომ წასულიყო. არადა, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიას დიდი შანსი ჰქონდა, პარლამენტის დღევანდელი თავმჯდომარე მისი კურსდამთავრებულიც ყოფილიყო. მეტიც, დღეს ცოტამ თუ იცის, რომ არა მხოლოდ ნინო ბურჯანაძე, არამედ მისი მამაც შეიძლებოდა ქართული სამსახიობო სკოლის წარმომადგენელი გამხდარიყო.

ნინო ბურჯანაძე: ბევრისთვის უცნობია, რომ წელიწადნახევარი მამაჩემი თეატრალურ ინსტიტუტში სწავლობდა. ის იყო ბატონ ჯემალ ღაღანიძის, კარლო საკანდელიძის კურსზე. ასე რომ, მამას მეგობრობა თეატრალებთან, იგივე რამაზ ჩხიკვაძესთან, გოგი გეგეჭკორთან სტუდენტობის დროიდან მოდიოდა.

– და თქვენ მაშინ დაბადებული იყავით?

– ცხადია, არა. მაშინ მამა 19-20 წლის იყო. მე გაცილებით გვიან გავჩნდი, როცა ის უკვე 31 წლის იყო. მისი სტუდენტობის დროს ვერ მოვესწარი, მაგრამ მოვესწარი იმ დროს, როცა მისი ურთიერთობა ხელოვანებთან ძალიან ახლო იყო. ბუნებრივია, ამან ჩემზე პოზიტიური გავლენა მოახდინა. მამას დღემდე შემორჩა ეს სიყვარული თეატრის მიმართ. მაშინ ქუთაისში ვცხოვრობდით, მაგრამ არ გამართულა თბილისში არც ერთი საპრემიერო და არასაპრემიერო ჩვენება, რომელსაც არ დავსწრებივართ. ხელოვნების განსაკუთრებული მოყვარული იყო მამაჩემის შუათანა და. მას სამი და ჰყავდა, მაგრამ ეს შუათანა, რატომღაც, ნებიერა იყო. დედაჩემი დღემდე იხსენებს, როგორ გადადო მამიდაჩემმა სახელმწიფო გამოცდები და მოსკოვში გაფრინდა – ავსტრიულ „აისრევიუს“(ბალეტი ყინულზე) წარმოდგენას უნდა დავესწრო, გამოცდებს სექტემბერშიც ჩავაბარებ,

„აისრევიუ“ კი შეიძლება ვეღარასოდეს ვნახოო. სამწუხაროდ, ამ დასისთვის ეს მართლაც ბოლო გასტროლი აღმოჩნდა. ტრაგიკული ისტორიაა. მოსკოვიდან ვენაში გაფრენის დროს დასი ავიაკატასტროფაში დაიღუპა. ძალიან კარგად მღეროდა მამაჩემის მამა, რომელიც ცნობილი მეღვინე იყო და ლეჩხუმში დღემდე მისი ტექნოლოგიით აყენებენ მთელ რიგ ღვინოებს. შესანიშნავად მღეროდა მამაჩემის უმცროსი და, მამაც მშვენივრად მღერის. ძალიან კარგად უკრავდა გიტარაზე და მღეროდა დედაჩემის დედაც. ასე რომ, სიმღერაში ღმერთმა არ დაგვჩაგრა. ჩვენს ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ ირაკლი აბაშიძე, ნოდარ დუმბაძე, ჟანსუღ ჩარკვიანი, რომელიც ჩემი ნათლიაა. გურამ ფანჯიკიძე მამაჩემის უახლოესი მეგობარი იყო. ცხადია, მიღებული მაქვს საკმაოდ სერიოზული მუსიკალური განათლება, რჩევასაც მაძლევდნენ, კონსერვატორიაში ჩამებარებინა და მართლაც მინდოდა, მაგრამ ისევ მამამ მითხრა, სჯობს პრაგმატული სპეციალობა აირჩიოო...

– და რომელ ფაკულტეტზე აპირებდით კონსერვატორიაში ჩაბარებას?

– არა აქვს მნიშვნელობა... მოკლედ, მამაჩემმა მითხრა, თუ აპირებ ხელოვანი გამოხვიდე, განსაკუთრებული ნიჭი უნდა გქონდეს, სხვა შემთხვევაში დაიჩაგრებიო. იურისტი კი შეიძლება საშუალო დონისაც იყო. რა თქმა უნდა, სასურველია, თუ კარგი იურისტიც გამოხვალ.

– მაინც ვოკალს არჩევდით თუ ფორტეპიანოს?

– საბოლოოდ ხომ აღარ ჩავაბარე... ამიტომ თქმასაც აზრი არ აქვს. ისე, სკოლაში კარგად ვმღეროდი. ყველა ოლიმპიადაზე გამოვდიოდი, სკოლის გუნდშიც ვიყავი. პიონერთა სასახლეში აქტიურად დავდიოდი და ვასრულებდი სოლო პარტიებს. ძალიან მიყვარდა სიმღერა. რაც შეეხება ჩემს მუსიკალურ გემოვნებას, განსაკუთრებით კლასიკური მუსიკისკენ ვიხრები.

– მაგრამ მარტო კლასიკისთვის ძალიან ახალგაზრდა ხართ. თანამედროვე მუსიკა..

– კარგი მოსასმენი შეიძლება ნებისმიერი დროის მუსიკალური მიმდინარეობა იყოს, მაგრამ ამის შეფასებაც უნდა შეგეძლოს. იყო დრო, როცა ჩემი შვილისთვის რეპი მისაღები იყო, ჩემს უფროს შვილს კი ჰარდროკიც მოსწონდა. ითვლებოდა, რომ ეს მიმდინარეობები კარგია, მაგრამ მართალი გითხრათ, ჩემთვის ცოტა არ იყოს, ძნელი აღსაქმელი იყო. თუმცა, ბუნებრივია, კლასიკურის გვერდით თანამედროვე მუსიკა მეც მომწონდა, მაგალითად, როკენროლი. ელვის პრესლი კი დიდი ხნის მანძილზე ჩემი კერპი იყო. მის სიმღერებს დღემდე სიამოვნებით ვუსმენ, მაგრამ ხომ გეუბნებით, კლასიკა მირჩევნია და აქაც ყველაფრის მოსმენა არ შემიძლია. განწყობაზეა დამოკიდებული. ძნელია, ვაგნერს ყოვლდღე მოუსმინო.

– რატომ, განწყობა ხელს არ გიწყობთ?

– არა, მით უფრო – დღეს...

– თქვენი კოლეგების უმრავლესობა, ვგულისხმობ პოლიტიკოსებს, თვლის, რომ კულტურა დღეს არააქტუალურია და მასზე ზრუნვა არ შეიძლება პრიორიტეტი იყოს...

– მეცოდება ის ხალხი, ვისაც ღმერთმა არ მისცა უნარი, კარგი მუსიკა და ნაწარმოები აღიქვას და შეაფასოს. პოლიტიკურ სპექტრში ამის დეფიციტი დღეს მართლაც არსებობს. სამწუხაროდ, ამ პროფესიას დღეს ისეთი ადამიანები ირჩევენ, ვისთვისაც წიგნის, მხატვრული ნაწარმოების წაკითხვაც კი ძალიან უცხო ხილია. მათთვის წიგნი მხოლოდ სახელმძღვანელოა, რომელიც შეიძლება სკოლაში ან უნივერსიტეტში გადაშალონ. ვწუხვარ, რომ ახალგაზრდა თაობაში კომპიუტერმა და მასმედიამ წიგნი ჩაანაცვლა. ჩემს ოჯახში წიგნისადმი სიყვარული ბუნებრივი რამ იყო. კარგად მახსოვს, მამაჩემის მშობლები ბოლო წლებში სოფელში ცხოვრობდნენ. ბაბუა ხშირად ჩამოდიოდა ქუთაისში, მისი ჩამოსვლის შემდეგ, როგორც წესი, სახლში ახალი წიგნი ქრებოდა და ვიცოდით, ძებნა არ უნდა დაგვეწყო, ან მე მიბარებდა, ან დედას, წიგნი წავიღე და რომ ჩამოვალ, ჩამოგიტანთო. მამაჩემის დედას სიცოცხლის ბოლო წლებში

თვალთ დააკლდა, კატარაქტის ოპერაცია გავუკეთეთ და ვეღარ კითხულობდა. საერთოდ, ბაბუაჩემს და ბებიაჩემს წარმოუდგენელი ურთიერთობა ჰქონდათ, სიცოცხლის ბოლომდე შეყვარებულ წყვილად დარჩნენ. ბაბუას საათობით შეეძლო თავისი მეუღლისათვის წიგნი ხმამაღლა ეკითხა. როცა ბებია მეორე თვალის ოპერაციისთვის მოსკოვში წავიყვანეთ, იქ არავინ მოგცემდა უფლებას, ავადმყოფთან ერთ საათზე მეტი გაგეტარებინა. ამის მიუხედავად, ბაბუაჩემი დილის 9 საათიდან მივიდოდა მოსაცდელში და საღამომდე იქ იჯდა. ამან იმდენად იმოქმედა მედპერსონალზე, რომ მთავარმა ექიმმა ბრაძანება გამოსცა, გამონაკლისის სახით ეს კაცი მეუღლესთან შეუშვითო. რუსი ექიმების რეაქციაც მახსოვს, როგორც ჩანს, მათთვის უცხო იყო ისეთი ქართველი მამაკაცი, რომელიც თავის მეუღლეს მთელი დღე ეჯდა და ხმამაღლა წიგნებს უკითხავდა. სხვათა შორის, ძალიან განვიცდიდი, რომ ჩემი უფროსი შვილი 11 წლამდე საერთოდ არ კითხულობდა წიგნებს. შემძვრალი იყო კომპიუტერში და კითხულობდა მხოლოდ ენციკლოპედიებს, ანუ მოკლედ იღებდა ინფორმაციას. მადლობა ღმერთს, 12 წლიდან აქტიური კითხვა დაიწყო. მუსიკაზეც დამყავდა, მაგრამ უშედეგოდ. სმენა კარგი ჰქონდა, მაგრამ როგორც ჩანს, მეთოდი ვერ შეურჩიეს. მაგრამ მუსიკა უყვარს და მშვენიერი გემოვნებაც აქვს. უმცროსი ფორტეპიანოზეც დადის და თან თამრიკო ჭოხონელიძის სტუდიაშიც მეცადინეობს.

– ანუ საახალწლო პროექტში თქვენი ერთობლივი მონაწილეობა შემთხვევითი არ იყო?

– ნაწილობრივ – არა. სიმღერის ჩაწერა თამრიკოს იდეა იყო, გარკვეული პროვოკაციაც კი, მისი მხრიდან. როცა მან დამირეკა და ეს იდეა გამიზიარა, თავიდან საშინელი რეაქცია მქონდა, აღვშფოთდი, ვუთხარი, ასეთ ჭკვიან ქალს ეს აზრი თავში როგორ მოგივიდა-მეთქი, მაგრამ მერე თამრიკომ და ჩემმა შვილმაც, დიდი ზეწოლის შემდეგ ამ ავანტიურაზე დამითანხმეს. ბოლოს მეც ჩავთვალე, ცუდი არ იქნებოდა, თუ ჩვენი მოსახლე-

ობა ნახავდა, რომ ჩვენც ჩვეულებრივი ადამიანები ვართ, ჩვენი დადებითი და უარყოფითი მხარეებით, სისუსტეებით.

– დღეს პოლიტიკა და შოუბიზნესი ერთმანეთის გარეშე წარმოუდგენელია, განსაკუთრებით არჩევნების დროს. თქვენი პრიორიტეტი ესტრადაზე თამრიკო ჭოხონელიძეა, თუ არსებობენ სხვები, ვისზეც შეგიძლიათ თქვათ, რომ მოგწონთ?

– პოლიტიკის და შოუბიზნესის დაკავშირება ბუნებრივია, რადგან ეს დარგი მაინც მასობრივი კულტურის ნაწილია, მას განსაკუთრებული გავლენა აქვს ახალგაზრდებზე, რომლებისთვისაც ხშირად ეს არის ის პრიზმა, საიდანაც პოლიტიკა შეიძლება დაინახონ. ქვეყანაში არსებულმა რთულმა ვითარებამ ყველაფერზე იქონია გავლენა და ვერ გეტყვით, რომ ჩვენი ესტრადა ძალიან მაღალი დონისაა, თუმცა, არანაირად არ მინდა ვინმეს გული ვატკინო, რადგან ამ ადამიანებსაც სამართლიანად შეუძლიათ გვითხრან, თქვენს პოლიტიკას მიხედეთო, მაგრამ ამ ფონზეც ნამდვილად არსებობენ გამორჩეული შემსრულებლები. რაც შეეხება ხელოვნების სხვა დარგებს, მახსოვს, მამა მაშინ თერჯოლის რაიკომის მდივანი იყო. მოგეხსენებათ, დავით კლდიაშვილი წარმოშობით თერჯოლელი გახლდათ. მის იუბილეზე ძალიან კარგი ღონისძიება ჩატარდა. მამის იდეა იყო, „სამანიშვილის დედინაცვალი“ მის სახლ-მუზეუმში და კარმიდამოში დაედგათ. ღობესთან მაყურებლები იდგნენ, ბავშვები ხეებზე ისხდნენ და ეს იყო „სამანიშვილის დედინაცვლის“ არაჩვეულებრივი ვერსია და იმდენად შთამბეჭდავი, რომ 25 წელია გასული და დღემდე ყველა დეტალი ძალიან ცხადად მახსოვს. ცუდია, რომ დღეს ასეთი ზეიმები არ ტარდება. ბუნებრივია, როგორც არ უნდა გვიჭირდეს, ხელისუფლებამ ამას ყურადღება უნდა მიაქციოს.

– თქვენ პარლამენტის თავმჯდომარე რთულ დროს გახდით. ეს პოსტი სულ ორი წელია, რაც დაკავებული გაქვთ, მაგრამ მაინც ამ ხნის მანძილზე თუ იყო რაიმე სერიოზული კულტურული პროექტი, სადაც თქვენი პირადი წვლილი შეგიძლიათ გაიხსენოთ?

სამწუხაროდ, ბოლო გახლდათ ლიანა ისაკაძის ბორჯომის ფესტივალი, რომლის ჩატარებაშიც, ვფიქრობ, სერიოზული წვლილი შევიტანე. ჩემდა სამარცხვინოდ, სხვა მხოლოდ წვრილ – წვრილი საქმეები თუ იყო. თორემ რომ გითხრათ, რაიმე განსაკუთრებულად საამაყო გვაქვს გასახსენებელი-მეთქი, ვერ გეტყვით.

თქვენ ხშირად ტეტჩერს გადარებენ. ის, რომ ეს ქალბატონი თქვენთვისაც მნიშვნელოვანი მოღვაწეა, ამას თქვენს კაბინეტში მისი ფოტოებისა და წიგნების სიმრავლეც მოწმობს. მართალია, თქვენგან განსხვავებით ის მთავრობის ხელმძღვანელი იყო, მაგრამ არ შეიძლება არ იცოდეთ, რომ ტეტჩერის რეფორმებიდან კულტურული რეფორმა ევროპის თანამედროვე ხელოვნების ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი რეფორმა იყო.

არ ვიქნები გულწრფელი, თუ გეტყვით, რომ არ მსიამოვნებს, როცა ამ არაჩვეულებრივი მოღვაწის გვერდით, რაღაც ფორმით მაინც მახსენებენ, მაგრამ ნამდვილად არ მაქვს ილუზია, დღეს ტეტჩერს შევედარო, თუმცა, სურვილი შეიძლება მქონდეს და ეს ბუნებრივიცაა, მაგრამ ეს კეთილგანწყობილი ადამიანების სურვილს უფრო ჰგავს, საქართველოში ისეთი ქალი ჰყავდეთ, რომელიც ისეთივე ძლიერი, ჭკვიანი და რადიკალური რეფორმების გამტარებელი იქნება, როგორიც ტეტჩერი ინგლისისთვის იყო. საქართველოს ძლიერი ფიგურა ნამდვილად სჭირდება, და ქალი იქნება ეს თუ კაცი, მეორე საკითხია. ის, რომ რადიკალური რევოლუციური რეფორმები საჭიროა, საზოგადოებაში ეს მოთხოვნილება არსებობს. ტეტჩერს ჰქონდა ერთი არაჩვეულებრივი თვისება, რის გამოც სხვა მის ბევრ შესანიშნავ თვისებებთან ერთად მას ძალიან დიდ პატივს ვცემ. როგორც მისი მემუარებიდან ირკვევა, ის სულაც არ იყო კმაყოფილი იმით, რომ „რკინის ქალბატონის“ ამპლუაში იყო, მაგრამ როცა თვლიდა, რომ სწორი იყო, კომპრომისზე არასდროს მიდიოდა და ძალიან მძიმე გადაწყვეტილებებსაც იღებდა. პოლიტიკოსი, რომელიც აჰყვება პოპულიზმს და არ მიიღებს სწორ გადაწყვეტილებას, თუნდაც ეს მისი იმიჯისთვის დამანგრეველი იყოს, ასეთი პოლი-

ტიკოსი ქვეყანას არ გამოადგება. ვფიქრობ, ყველას, ვისაც უნდა ამ ქვეყნისთვის რაღაც გააკეთოს, ეს ქალბატონი მაგალითია. უნდა გადავაბიჯოთ საკუთარ პატივმოყვარეობას და არა თავმოყვარეობას. როცა არაპოპულარულ ნაბიჯს დგამ, ცხადია, გაგაკრიტიკებენ. ტეტჩერი თავის დროზე გადადგა, რომ გადაერჩინა კონსერვატორული პარტია, თუმცა ვერ ვიტყვი, რომ მისი გადადგომის შემდეგ მოვიდნენ ფიგურები, რომლებიც მას ოდნავ მაინც შეედრებოდნენ. ვფიქრობ, მისი მხრიდან ეს, რამაც იგი აიძულა ამ ნაბიჯზე წასულიყო, მისმა გარემოცვამ ვერ გაამართლა.

თეონა გეგელია

ალია 2003. – 24-25 ივლისი. – №85. – გვ. 8

„ჩვენს მთავრობას ხალხი და მისი პრობლემები არ აინტერესებს“

პარლამენტის თავმჯდომარის აზრით, საქართველოში საქმე საგანგაშოდაა

დიდი ხანია საუბრობენ, რომ საქართველოში ხელისუფლება უუნაროა, თუმცა მის შესაცვლელად ოპოზიციას საკმაო ძალისხმევა ესაჭიროება. ამისათვის რამდენიმე თვის წინ ოპოზიციამ გაერთიანების საჭიროებაზე დაიწყო საუბარი. თითქოს მათი გაერთიანებისათვის ხელი არაფერს არ უნდა შეეშალა, თუმცა ჯერჯერობით გაერთიანება მხოლოდ ნინო ბურჯანაძემ და „გაერთიანებულმა დემოკრატებმა“ მოახერხეს. კონკრეტულად რის გაკეთებას აპირებს ნინო ბურჯანაძის გუნდი? ამ საკითხებთან დაკავშირებით „რეზონანსი“ პარლამენტის თავმჯდომარესა და პირველი ოპოზიციური ბლოკის ლიდერს ნინო ბურჯანაძეს ესაუბრა.

„რეზონანსი“: ბლოკის შექმნა, ახალი პროგრამის შემუშავება, ახალი პრინციპების გარშემო ოპოზიციის შემოკრება ხელისუფლებასთან თქვენმა დაპირისპირებამ გამოიწვია. რატომ აღმოჩნდით ოპოზიციაში?

ნინო ბურჯანაძე: ჩემთვის ოპოზიციონერობა თვითმიზანი არასოდეს ყოფილა, მაგრამ იმის დრო აღარ არის, რომ ქვეყნის ნგრევას მშვიდად ვუყუროთ. ხელისუფლება გვპირდებოდა, რომ ნორმალურ სახელმწიფოს ააშენებდა. მე მაშინ იმედი მქონდა, რომ მართლაც ასე მოხდებოდა და პრეზიდენტის გუნდში ვიყავი, ისევე როგორც ბევრი ჩემი დღევანდელი თანამოაზრე. გვჯეროდა, რომ ქვეყნის სასიკეთოდ რაღაც შეიცვლებოდა, და რომ დავინახეთ, ქვეყანა უარესობისკენ წავიდა, ხელისუფლების

საქმიანობის კრიტიკა დავიწყეთ. ეს აღარ მოეწონათ და ოპოზიციაშიც ასე აღმოვჩნდით. ახლა იმის დრო არ არის, რომ კიდევ ახალი დაპირებები ვისმინოთ და ვუყუროთ, ხელისუფლება ქვეყანას საბოლოოდ როგორ დაანგრევს. ბოლო ასწლეულის მანძილზე საქართველოს მეორედ ეძლევა შანსი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფო შექმნას და ცივილიზებულ ერთა შორის ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს. როდესაც რუსეთის იმპერია იშლებოდა, საქართველოს შანსი ჰქონდა, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულიყო. შიდააშლილობის, ვიწროპარტიული ინტერესების, კორუფციისა და საგარეო აგრესიის გამო ჩვენ საბჭოთა იმპერიის მარწუხებში მოვექეცით. ასი წლის შემდეგაც იგივე მეორდება. ჩვენი ხელისუფლება აცხადებს, რომ თავისუფალ და დემოკრატიულ ქვეყანას აშენებს, მაგრამ საუბედუროდ, მხოლოდ აცხადებს. შევარდნაძემ ხალხისა და სახელმწიფოს წინაშე ვერც ერთი მნიშვნელოვანი პრობლემა ვერ გადაწყვიტა. მე შემოვიარე საქართველოს რეგიონების უმეტესობა. დავიწყეთ წინასაარჩევნო კამპანია და მინდა გითხრათ, რომ რეგიონებში ნანახმა გაჭირვებამ ყველა მოლოდინს გადააჭარბა. მე ვნახე მარტოხელა მოხუცები, რომლებსაც 14-ლარიანი პენსია თვეობით არ მიუღიათ და დღემდე თავი კეთილი ადამიანების წყალობით გააქვთ. მე ვნახე თვალცრემლიანი დედები, ვნახე დათრგუნული კაცები, ოჯახებისთვის პურის ყიდვის საშუალებაც რომ არ გააჩნიათ... დაკარგული ტერიტორიების პრობლემა ისევ მოუგვარებელია. ყველაზე მთავარი, რაც დამთრგუნველად მოქმედებს საზოგადოებაზე ისაა, რომ არ არსებობს არანაირი პოლიტიკური ნება და კომპეტენცია ამ პრობლემათა გადასაწყვეტად.

„რ“: თქვენ ოპოზიციას გაერთიანების ახალი ფორმა შესთავაზეთ. რატომ გადაწყვიტეთ, რომ არ შეგექმნათ ახალი პარტია და ოპოზიციის გაერთიანება კონკრეტული პრინციპების გარშემო მომხდარიყო?

ნ. ბ.: დღეს ოპოზიციას ერთი ამოცანა აქვს შესასრულე-

ბელი. ეს ამოცანა კი ხელისუფლების შეცვლა გახლავთ. ოპოზიციის ნებისმიერ წარმომადგენელს ხელისუფლების პოლიტიკა არ მოგვწონს და ოპოზიციაშიც ამიტომ აღმოვჩნდით. მთავრობას ვუპირისპირდებით მხოლოდ იმიტომ, რომ მათ საქმიანობას შედეგი არ მოაქვს. იმის ნაცვლად, რომ ქვეყნის მდგომარეობა გაუმჯობესებისაკენ მიდიოდეს, თანდათან უარესდება. ეს იმას ნიშნავს, რომ არსებული ხელისუფლება ქვეყანას ან ვერ მართავს, ან შეგნებულად არ მართავს. ამიტომ ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე, ეს ხელისუფლება უნდა შეიცვალოს. ეს არის ოპოზიციის ძირითადი მიზანი. ყველას ერთი ამოცანა გვაქვს შესასრულებელი, გაერთიანების შემთხვევაში კი ამ ამოცანის შესრულება გაცილებით გაადვილდებოდა. ამიტომ მე შევთავაზე ყველას, რომ საარჩევნოდ პრინციპების გამო გავერთიანებულიყავით. მთავარი პრინციპი კი გახლავთ ის, რომ ვისაც ქვეყნისათვის ნამდვილად გული შესტკივა, გავერთიანდეთ და ამ მიზნისათვის ერთად ვიბრძოლოთ. ოპოზიცია უნდა იყოს ერთად, მიზნის მიღწევა რომ შეძლოს. მე ვფიქრობ, რომ ახალი პარტიის შექმნა უკვე ახალი ამბიციის გაჩენის ტოლფასი იქნებოდა. ეს კიდევ უფრო მეტად დაშლიდა ოპოზიციას. რა საჭიროა ახალი პარტიის შექმნა, როდესაც სხვასაც იგივე მიზნები აქვს განსახორციელებელი და ერთად ყოფნით უკეთესი შედეგის მიღწევა შეიძლება? ყველაზე მთავარი კი ის არის, არჩევნების შემდეგ რა იქნება? დაპირებით ყველა ჰპირდება და ცხადია, ასეც უნდა იყოს. ჩვენ არ მოგვწონს ხელისუფლება, არ მოგვწონს მისი პოლიტიკა და მისი შეცვლა გვინდა. ეს გასაგებია. მაგრამ ჩნდება მეორე კითხვა: ამ ყველაფრის გაკეთებას როგორ ვაპირებთ? ეს კი ის მთავარი პრინციპია, რის გარშემოც ოპოზიციის გარკვეული ნაწილის შემოკრება მოხერხდა და ბლოკი ჩამოყალიბდა. დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე ცხადია, რომ ქართულ პოლიტიკას გამოცდილ ხალხთან ერთად ახალი ძალაც ესაჭიროება. არსებული მთავრობა თავის მოვალეობას ვერ ასრულებს. ამიტომაც საჭიროა, რომ ქართულ პოლიტი-

კაში ახალი ძალა, ახალი რესურსები ჩაერთოს. არ შეიძლება საქმე ნათესაობის გამო კეთდებოდეს. ქვეყნის ნორმალური მართვისათვის საჭიროა, რომ რაც შეიძლება მეტი პროფესიონალი ადამიანი მოვიზიდოთ. ახალი ძალა და ძველი გამოცდილება – ასეთია პრობლემის გადაჭრის ჩვენი მიდგომა. არსებობს სურვილი და ჩვენ ამ სურვილის განსახორციელებლად კონკრეტულ გზებზე ვსაუბრობთ. ეს არის ჩვენი პრინციპი. რა თქმა უნდა, ამ პრინციპის განხორციელებას ახალი პარტიის შექმნა ვერ უშველიდა. ამიტომაც გადავწყვიტეთ, რომ საქმის ერთად კეთებისთვის ყველა ის ადამიანი, პარტია თუ ბლოკი მოგვეწვია, რომელიც ჩათვლიდა, რომ ჩვენთან ერთად მოქმედება უფრო ნაყოფიერი აღმოჩნდებოდა.

„რ“: ეს იმას ნიშნავს, რომ ეს პრინციპები ცალკეული ადამიანების გარდა „გაერთიანებულმა დემოკრატებმა“ გაიზიარეს.

ნ. ბ.: მე მინდა აღვნიშნო, რომ ზურაბ ჟვანიას გუნდი ის ძალაა, რომელიც ჩვენი ამოცანის განხორციელებისათვის საკმაოდ კარგ რესურსებს ფლობს. „გაერთიანებული დემოკრატების“ წევრებს აქვთ საკმაოდ კარგი გამოცდილება და ამავე დროს ახალ რესურსებსაც ფლობენ. მთავარი კი ის არის, ჟვანიას გუნდისთვის ყველანაირ ამბიციაზე წინ საქართველოს გადარჩენის საკითხი დადგა. ოპოზიციის გაერთიანების საჭიროებაზე ბევრი საუბრობს, მაგრამ პირველი ნაბიჯი სწორედ მან გადმოდგა. იმის განცხადება, რომ საკმაოდ ცნობილი პარტიის ლიდერი სიის ბოლოში იქნება, რეალურად იმას ნიშნავს, რომ საქმის გასაკეთებლად მზად არის. ეს იმას ნიშნავს, რომ მას გაერთიანების სურვილი გააჩნდა და ოპოზიციური ბლოკი უკვე არსებობს. მნიშვნელოვანია, რომ ჩემს მიერ შეთავაზებული პრინციპების აღიარება ჟვანიას გუნდიდან ერთსულოვნად მოხდა. მათი პოტენციალი კი ის ძალაა, რომელსაც საქვეყნო საქმეების კეთებაში უნდა დავეყრდნოთ. ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანია ის პრინციპულობა, რაც თავის დროზე ამ გუნდის წევრებმა გამოიჩინეს. როდესაც ნახეს, რომ ხელისუფლების გვერდით მათ

საქმეს ისეთი შედეგი არ ჰქონდა, როგორსაც ქვეყანა ითხოვდა, მათ ამ თანამდებობებზე უარი თქვეს და ხელისუფლებიდან წამოვიდნენ. ჩემთვის გადამწყვეტი, პირველ რიგში, სწორედ ეს პრინციპულობაა. მე შემიძლია, რომ ამ ხალხს ვენდო. მე უკვე მაქვს იმის გარანტია, რომ მათთვის მთავარი ქვეყნის ინტერესების დაცვა იქნება.

„რ“: რატომ მოხდა ასე, რომ ხელისუფლების პოლიტიკა ქვეყნისათვის დამღუპველი აღმოჩნდა და ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად რას დაუპირისპირებთ?

ნ. ბ.: ხელისუფლება საუბრობს ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესებაზე. სინამდვილეში კი ჩვენი ქვეყნის ნებისმიერი მოქალაქე დაადასტურებს, რომ მდგომარეობა დღითიდღე მძიმდება. ქვეყნის მართვისათვის რაიმე სისტემა უნდა არსებობდეს. დღევანდელ ხელისუფლებას კი მხოლოდ ერთი სისტემა გააჩნია. ეს არის კორუფციული გარიგებების მწყობრი სქემა. ნებისმიერი ორგანო ამ სისტემით მუშაობს. დღევანდელ საქართველოში კანონი არის ხელისუფლებაზე მორგებული და არა პირიქით. შედეგად მოსახლეობის უდიდესი ნაწილი გაღატაკებულია. სახელმწიფოს მთლიანად დაკარგული აქვს სოციალური დაცვის ფუნქცია. როგორ შეიძლება იმ ქვეყანაში, სადაც საზოგადოების უმეტესობა უმუშევარია და ვინც მუშაობს, ისიც 20 ლარს თვეობით ვერ იღებს, პრეზიდენტი აცხადებდეს, რომ ქვეყანამ დაპირებული მილიონი სამუშაო ადგილი მიიღო და ყველაფერი კარგად არის? ხელისუფლება სიამაყით აცხადებს, რომ საქართველო ევროპისა და აზიის დამაკავშირებელია და არც ის ავიწყდებათ, რომ ამ სიკეთეზე ილაპარაკონ. სინამდვილეში კი ზღვარგადასული კორუფციის გამო ქვეყანაზე გამავალი მარშრუტი საერთაშორისო პარტნიორებისთვის სამხრეთ კავკასიის რეგიონში ყველაზე უფრო ძვირი და მოუხერხებელია. თუკი ეს მარშრუტი საჭიროებისამებრ ვერ გამოვიყენეთ, რა მნიშვნელობა აქვს, გვექნება თუ არა? პრეზიდენტი გაუთავებლად საუბრობს სტაბილიზაციაზე. რას ნიშნავს სტაბილიზაცია? იმას, რომ

საქართველოში კრიმინალურ ვითარებას არაფერი ეშველა? ადამიანის გატაცება, ფულის გამოძალვა, ქურდობა, ყაჩაღობა ჩვეულებრივ მდგომარეობად იქცა? ეს ისედაც გაჭირვებული მოსახლეობის მხრებზე გადადის. ყველაზე საგანგაშო ის არის, რომ მოსახლეობა ხელისუფლების მხრიდან სულ მცირე ყურადღებასაც კი ვერ გრძნობს. ჩვენს მთავრობას ხალხი და პრობლემები არ აინტერესებს. მისთვის ხალხის გაჭირვება არაფერს ნიშნავს. სხვა შემთხვევაში იმას მაინც არ განაცხადებდნენ, რომ ყველაფერი კარგად არის. ეს უკვე ხალხის დაცინვაა. შესაძლოა, ხალხმა გაჭირვება მოითმინოს, მაგრამ შეურაცხყოფა მართლაც ძნელი ასატანია. ხელისუფლება დასავლეთთან სტრატეგიულ პარტნიორობაზე საუბრობს, მეორე დღეს კი სიკვდილით დასჯის გაუქმებას ნანობს. ხელისუფლება ებრძვის ყველაზე მთავარ ღირებულებებს – დაწყებული თავისუფალი არჩევნებითა და დამთავრებული რეალური თვითმმართველობის განვითარებით. ხელისუფლება საუბრობს რუსეთთან თანასწორ, ორმხრივად ხელსაყრელ ურთიერთობაზე – სინამდვილეში კი ხალხისგან, საზოგადოებისგან ფარულად საქართველოსათვის სტრატეგიული დარგების გადაბარება ხდება. ეს კი საქართველოს დამოუკიდებლობის დაკარგვის ტოლფასია. მე კიდევ ვიმეორებ, რომ ჩვენ ხელისუფლებას სწორედ ამის გამო გავემიჯნეთ. ჩვენ ვხედავთ რეალურ საშიშროებას, რომ ქვეყანას საფრთხე ემუქრება. ამიტომაც ისეთი გუნდის შეკრებას ვცდილობთ, რომელიც ამ მოჯადოებული წრის გარღვევის შესაძლებლობას მოგვცემს. რას აკეთებს და როგორ აკეთებს ჩვენი ხელისუფლება, ეს უფრო და უფრო ძნელი გასარკვევი ხდება. არავინ იცის, ვინ რა საკითხზე აგებს პასუხს. ისეთი დანაშაულებიც კი, როგორიც სამშობლოს ღალატის ტოლფასია, ყოველთვის დაუსჯელი რჩება. სახელმწიფო უწყებები ერთმანეთთან არიან დაპირისპირებულნი, მაშინ როდესაც საქმეს ერთიანი ძალისხმევით უნდა აკეთებდნენ. რა თქმა უნდა, ასეთ პირობებში ქვეყნის მართვა შეუძლებელია. თუმცა მთავარი ის არის, რომ ამის გამოსწორება ხელისუფლე-

ბას არ სურს. საკუთარი ხალხის მოტყუებით ქვეყნის მართვას უკვე კატასტროფამდე მივყავართ. ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებას უნდა წარმოადგენდეს ერთიანი პროფესიონალთა გუნდი. თითქოს არაფერი, მაგრამ ამდენი ბიუროკრატიული ორგანო ჩვეულებრივი მოქალაქისათვის სიმართლეს მიუწვდომელს ხდის. სამაგიეროდ, კორუფციის კარგი წყაროა.

„რ“: თქვენი ბლოკი ამ პრობლემების მოსაგვარებლად რის გაკეთებას აპირებს?

ნ. ბ.: ჩვენ ვთვლით, რომ პირველ რიგში ის საკითხები უნდა განისაზღვროს, რომლის მოგვარება გადაუდებელია. ამისათვის კი საჭიროა საქმის მცოდნე სპეციალისტები. ჩვენ უკვე განსაზღვრული გვაქვს, რომელ სფეროზე ვინ იმუშავებს. გასატარებელია ეკონომიკური რეფორმა, აღსადგენია ტერიტორიული მთლიანობა... როდესაც ეკონომიკის რეფორმაზე ვსაუბრობთ, პირველ რიგში მეწარმეთა ინტერესების დაცვა და სოფლის მეურნეობის პრობლემების მოგვარებაა საჭირო. ქვეყანაში მეწარმეობა თუ არ განვითარდა, თუკი ხალხი არ დასაქმდა, ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა არ მოწესრიგდება. ქვეყანაში უნდა შეიქმნას რაღაც პროდუქცია, რომელიც საერთაშორისო ბაზარზე გავა. ამ გზით მიღებული შემოსავლით ცხოვრობს ყველა ნორმალური ქვეყანა. ჩვენთან კი მეწარმეების ისეთი შევიწროება ხდება, რომ მუშაობას აზრი აღარ აქვს. თუკი არ ექნა ქვეყანას საკუთარი შემოსავალი, ვერც სოციალური პრობლემები მოგვარდება. დღეს კი ჩვენს მთავრობას ეს საკითხი არ აინტერესებს. როდესაც საერთაშორისო ორგანიზაციები აღებული ვალდებულებების შესრულებას სთხოვენ, მაშინ იწყებს ბიუჯეტის ფორმალურ შესრულებაზე საუბარს და ამის გაკეთება ისევ მოსახლეობას უწევს.

უპირველესი ეკონომიკური ამოცანებია: საინვესტიციო კლიმატის გაჯანსაღება, კერძო საკუთრების უფლების დაცვა, მეწარმეთათვის ხელშემწყობი და სტაბილური კანონმდებლობის შექმნა და მისი პრაქტიკული ამოქმედება, მეწარმეთა დაცვა მთა-

ვრობის უკანონო ქმედებათაგან და კრიმინალური სამყაროსგან, მცირე და საშუალო ბიზნესის სახელმწიფოებრივი მხარდაჭერა. როდესაც ეკონომიკურ პრობლემებზე ვმსჯელობთ, უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანამ აგრარული პოტენციალი სრულყოფილად გამოიყენოს. ამისათვის კი საჭიროა, რომ გლეხსა თუ ფერმერს საჭირო იარაღი და ის ელემენტარული თანხა გააჩნდეს, მიწის დასამუშავებლად რომ არის საჭირო.

„რ“: ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისათვის რა გეგმა არსებობს?

ნ. ბ.: მინდა გითხრათ, რომ ყველა საკითხის მოგვარების დაწვრილებითი გეგმა, ნაბიჯ-ნაბიჯ, ანუ რის შემდეგ რა უნდა გაკეთდეს და როგორ, სულ მალე გვექნება. ამ პრობლემების კონკრეტულ გეგმაზე საგანგებოდ მოწვეული სპეციალისტები მუშაობენ. განსაკუთრებით ის მომენტი მინდა აღვნიშნო, რომ თითოეულ საკითხზე ჩვენი ბლოკი განსაკუთრებით მუშაობს. რაც შეეხება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ეს საკითხი ჩვენი ქვეყნის უპირველეს ეროვნულ ინტერესს წარმოადგენს. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ქვეყნის გამთლიანება და კონსტიტუციური წესრიგის დამყარება, პრობლემათა მოგვარების ყველა მექანიზმი საბოლოო მიზანს უნდა შეესაბამებოდეს. დღეს ხშირად დავობენ, მშვიდობიანი თუ ძალისმიერი გზით უნდა მოგვარდეს ეს საკითხი? დემოკრატიული და ცივილიზებული სახელმწიფო უპირატესობას, ბუნებრივია, მშვიდობიან გზას უნდა ანიჭებდეს. მაგრამ მშვიდობიან მოლაპარაკებათა რესურსების ამოწურვის შემთხვევაში უპირველესი ეროვნული ინტერესის დაცვის ყველა მეთოდის მიღებისთვის მზად უნდა ვიყოთ. არადა, ქვეყნის ტერიტორიული დაცვის საჭიროებაზე მაშინ ვსაუბრობთ, როდესაც სამხედრო უწყებების ისედაც მცირე დაფინანსებას კიდევ უფრო მეტად ვამცირებთ.

„რ“: ამ ბოლო დროს ბევრს საუბრობენ, რომ საქართველოს პრეზიდენტმა პოლიტიკური კურსი შეიცვალა. ამის შესახებ რას იტყოდით?

ნ. ბ.: დღეს ქვეყნის საგარეო ორიენტაცია უკვე სადავო გახდა. ეს განგაში უსაფუძვლოდ არ არის ამტყდარი. ხელისუფალთა მხრიდან პოპულარული გახდა სამკუთხედების, პერპენდიკულარული ჯვარედინი ხაზებისა თუ სხვა გეომეტრიული კონსტრუქციების მოშველიება იმის სადემონსტრაციოდ, თუ რა ორიენტაცია აქვს დღევანდელ საქართველოს. უპრინციპობის გეომეტრიული გამოსახულება ჯერ არავის გამოუგონია. ამიტომ ყველა ეს მცდელობა საფუძველშივე განწირულია. მაგრამ თუნდაც ამ ბოლო დროს ენერგოსისტემასთან დაკავშირებული საკითხები ამ შეშფოთების საბაბს უეჭველად იძლევა. საქართველოს საგარეო პოლიტიკურ ორიენტაციას ჩვენი ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი ისტორია განსაზღვრავს და არა ცალკეული პირები. ქვეყანა დგას იმ სათავეებთან, სადაც თანამედროვე ევროპული, დასავლური, ქრისტიანული მსოფლმხედველობა დაიბადა. ამიტომაც საქართველოს დასავლურ ცივილიზაციაზე ორიენტირება ჩვენივე ეროვნული მემკვიდრეობის გაფრთხილებისა და გაგრძელების ტოლფასია. ამ გზიდან გადახვევა კი სხვისი ბატონობის დაბრუნებას უდრის. საქართველოს ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის სხვა არაფერი იყო, თუ არა ამ მთავარი ფასეულობის მოპოვება. გრიგოლ ხანძთელის, ათონელების, ილიას და სულხან-საბას ქვეყანაში დასავლური არჩევანი არა დღეს, არამედ საუკუნეების წინ გაკეთდა. დასავლური, ლიბერალური ღირებულებების ერთგულება სიტყვისა და აზრის ერთგულებას გულისხმობს. საქართველოს საგარეო პოლიტიკური ორიენტაცია დასავლურ თანამეგობრობაზე, ევროკავშირზე, ნატოზე – მყარი და შეუვალი არჩევანია, რადგანაც საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია ქვეყნის შიდა ცხოვრებასაც მნიშვნელოვანწილადაც განსაზღვრავს. თუმცა ეს იმას არ გამორიცხავს, რომ ჩვენს ქვეყანას თავის უშუალო მეზობლებთან ორმხრივად ხელსაყრელი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს.

„რ“: პრეზიდენტმა ბიუჯეტის სეკვესტრის ვერმიღება პარლამენტს და კონკრეტულად სპიკერატს დააბრალა...

ნ. ბ.: პირადად მეც და საზოგადოებაც უკვე მიეჩვია იმ ფაქტს, რომ მთავრობა ყველაფერს პარლამენტს აბრალებს. თუმცა, როდესაც ხელისუფლებას რაღაცის გატანა სურს, მაშინ კვორუმსაც კარგად აგროვებს და არც ამ საკითხის გატანა უჭირს. მხოლოდ ბოლო ფაქტს შეგახსენებთ: როდესაც ხელისუფლებამ ისეთი საარჩევნო კანონის გატანა მოახერხა, როგორიც თვითონ სურდა, ამ დროს სახელისუფლებო ფრაქციების მოყვანაც შეძლო და დილის 5 საათამდე გაჩერებაც. ამჯერად ოპოზიცია მზად არის, რომ ბიუჯეტის სეკვესტრს მხარი დაუჭიროს, მაგრამ მთავრობის მიერ პასუხისმგებლობის აღების საფასურად. ჩვენს ხელისუფლებას კი პასუხისმგებლობის აღება არ სურს. ამიტომაც ხდება ასე.

„რ“: ამ ბოლო დროს გახშირდა პოლიტიკურ ლიდერებზე თავდასხმა. ნიშნავს ეს თუ არა იმას, რომ საქართველოში პოლიტიკური ტერორი ხორციელდება?

ნ. ბ.: მე არ ვიცი, პოლიტიკურ ლიდერებზე გახშირდა თუ არა თავდასხმა, მაგრამ ცხადია, რომ ხელისუფლების მიერ აღებული კურსი აქეთკენ მიდის. პრეზიდენტის განცხადებები, პრინციპში, ისევ ძველი საარჩევნო კანონის მიღება და საერთოდ, ეს ყველაფერი, რაც დღეს საქართველოშო ხდება, უკვე იმის ნიშანია, რომ საქართველოში საქმე საგანგაშოდაა.

რუსიკო მაჩაიძე

რეზონანსი. – 2003, 27 აგვისტო, №233, გვ. 2-4

რა პრეტენზიებს უყენებს ბურჯანაძე რუსეთს

ამ დღეებში მოსკოვში „კავკასიური ოთხეულის“ – რუსეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს და სომხეთის პარლამენტების თავმჯდომარეთა შეხვედრა შედგა. მის შედეგებზე და საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ნორმალიზაციის საკითხზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე „ნეზავისიმაია გაზეტას“ ესაუბრა:

– მიმდინარე შეხვედრა რიგით მეხუთე გახლდათ. როგორც წინათ, ასევე ამჟამადაც მისი შედეგების შესახებ ინფორმაცია მეტადრე მწირია. თქვენ მაინც თუ შეგიძლიათ, ცოტა რამ გვითხრათ?

– ჯერ ერთი, მე ვიწონებ იმ ფორმატს, რომლის მიხედვითაც „კავკასიური ოთხეულის“პარლამენტების მეთაურთა შეხვედრა ტარდება. ჩვენ თავიდანვე შევთანხმდით, რომ ეს შეხვედრები მის მონაწილეთა გარდა ყველასთვის დახურული იქნებოდა. შეთანახმებას ვასრულებთ. პირადად ჩემთვის „ოთხეულის“ ფორმატში შეხვედრები გახსნილი საუბრის საშუალებას მაძლევს ისეთ ავტორიტეტულ რუს პოლიტიკოსთან, როგორიცაა ფედერაციის საბჭოს თავმჯდომარე – სერგეი მირონოვი. რუსეთი ინტერესების დაცვისას ცდილობს, საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა პრობლემატიკაში ყურადღებით გაერკვეს და პრობლემათა სიმძაფრის შემსუბუქების გზები მოძებნოს.

– კონკრეტულად რა უშლის ხელს საქართველო-რუსეთის დაახლოებას? შესაძლოა, საქმე საქართველოს მიერ ღიად დეკლარირებულ, დასავლეთსა და ამერიკის შეერთებული შტატებისკენ მიმართულ ორიენტაციაშია?

– ვერ გამიგია, ჩვენი პროდასავლური ორიენტაცია რუსეთში ვინმეს ასე რატომ უნდა აწუხებდეს. განა რუსეთს სხვა

ორიენტაცია აქვს? განა რუსეთი ნაკლებად ცდილობს ნატო-სთან, ამერიკის შეერთებულ შტატებთან დაახლოებას? რუსეთი იმავე ნატოსთან, ევროკავშირთან დაახლოების საკითხებში მნიშვნელოვნად წინაა, ვიდრე საქართველო. მოსკოვისთვის ეს შეიძლება და საქართველოსთვის კატეგორიულად არა? დარ-წმუნებული ვარ, თუ რუსეთი საქართველოს მომავალშიც ისევე მოეკიდება, როგორც რაღაც დანამატს საგარეო ურთიერთო-ბებში, მაშინ ჩვენს შორის პარტნიორული ურთიერთობა არ გა-მოვა. ასე იქნება მანამ, სანამ მოსკოვი საქართველოს „უფროსი ძმის“ პოზიციებიდან ელაპარაკება. ოდესმე ხომ უნდა დაძლიოს რუსეთმა საკუთარ თავში ეს „იმპერიული სინდრომი“? დასა-ვლეთისკენ ორიენტირებულები რომ ვართ, ამაში გასაკვირი არაფერია. იგივე ამერიკის შეერთებული შტატები 1990-წლებში სურსათით დაგვეხმარა. ამჟამად არმიის მშენებლობაში გვეხმა-რება. რუსეთისგან ასეთ დახმარებას ვერ მივაღწიეთ. 1994 წელს პრეზიდენტებმა – შევარდნაძემ და ელცინმა ხელი მოაწერეს სამხედრო ბაზების შესახებ ხელშეკრულებას. ჩვენ ხომ დავთა-ნხმდით 25 წლით მათ დატოვებას. ამის ნაცვლად ვთხოვეთ, ნო-რმალური არმიის მშენებლობაში დახმარება, აფხაზეთის კონ-ფლიქტის დარეგულირებაში ნორმალური წინსვლა ყოფილიყო. აქედან ვერაფერი მივიღეთ. ახლა მოსკოვში უკვირთ, რეალური დახმარებისთვის იმავე ამერიკელებს, თურქებს, ბერძნებს, გე-რმანელებს მადლობას რომ ვუხდით. არადა, თავად მოსკოვმა გვიკარნახა, რომ დახმარებისთვის მათთვის მიგვემართა.

– შესაძლოა საქმე შევარდნაძის ფაქტორში უნდა ვეძებოთ? რბილად რომ ვთქვათ, ცნობილია, რომ იგი რუსეთში არ უყ-ვართ, საბჭოთა კავშირის დანგრევის, ავღანეთიდან, აღმოსა-ვლეთ ევროპიდან ჯარის გამოყვანის გამო...

– მიუხედავად იმისა, რომ შევარდნაძესთან ოპოზიციაში ვარ, შევეცდები, ობიექტური ვიყო, ჯერ ერთი, იმის გამო, ამა თუ იმ ქვეყნის პრეზიდენტი, რომ არ მოგწონს, მთელი ერი არ უნდა დასაჯო. ეს კი ნამდვილად ასეა. მეორეც, მიმაჩნია, რომ

შევარდნაძის მიმართ ასეთი მტრობა, უბრალოდ, უსამართლობაა. მართალია, ამ ადამიანმა გასული საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევარში მსოფლიოში მომხდარ ცვლილებებში ძალზე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა, თუმცა, რატომღაც ყველა ივიწყებს, ვინ და როდის იღებდა ამ გადაწყვეტილებებს. რეალურად ამ ადამიანმა მაშინ ერთადერთი დამოუკიდებელი გადაწყვეტილება მიიღო, როცა სსრკ-ს საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან გადადგა და განმარტა, თუ რატომ და რისთვის აკეთებდა ამას. რუსეთმა უნდა გაიგოს, რომ ნორმალური ურთიერთობებისათვის უფრო მეტია საჭირო, ვიდრე მისი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დეკლარირებული პატივისცემა. ჩვენ ამას გვეუბნებიან და იმავდროულად სოხუმსა და სოჭს შორის მატარებელს უშვებენ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოქალაქეებს რუსეთის პასპორტებს ურიგებენ, ამ ქართულ ავტონომიებში დამოუკიდებლობის აღსანიშნავად გამართულ ღონისძიებებში მონაწილეობენ. როგორი რეაგირება უნდა მოვახდინოთ ჩვენ ამაზე? ახალგაზრდობამ გაითავისა ერთი რამ: რუსეთი – ეს ის ქვეყანაა, რომლის გამოც საქართველომ აფხაზეთი, მანამდე კი სამხრეთ ოსეთი დაკარგა და მუდმივად სერიოზულ პრობლემებს გვიქმნის. განა ეს არ იძლევა იმის საფუძველს, რომ დავფიქრდეთ, ბატონებო, სადამდე მივედით.

„ნეზავისიმაია გაზეტა“

ალია 2003. – 7-8 ოქტომბერი. – №117. – გვ. 14

კომპრომატები ბურჯანაძის წინააღმდეგ

ხელისუფლების წარმომადგენლები ძალიან ხშირად ამბობენ პირად საუბრებში, რომ „ბურჯანაძე-დემოკრატების“ წინააღმდეგ მათ სერიოზული კომპრომატები ჰქონდათ, რომელთა მეშვეობით ისინი ბურჯანაძე-ჟვანიას მაღალი რეიტინგის დამსხვრევასაც გეგმავდნენ. აი, ნახავთ, რა მოგელით! ამ ფრაზებს ხშირად საპროტესტო ნოტებივით აგზავნიდნენ ვაშლიჯვრის ოფისში. მაშინ ალბათ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ერთი ჩვეულებრივი მედალი შავი პიარის მთავარი „გმირი“ გახდებოდა. როგორც იტყვიან, ყველაფერი პეტერბურგში დაიწყო, მაგრამ – ოფიციალურ შეხვედრაზე. კავკასიური ოთხეულის შეხვედრები დსთ-ს ფარგლებში უკვე ტრადიციაა. დსთ-ს პარლამენტთაშორისო ასამბლეის ეგიდით კავკასიის სამი ქვეყნის სპიკერები ერთმანეთს ხვდებიან ხოლმე. სერგეი მირონოვი ასამბლეას თავმჯდომარეობს. პირველ რიგში ალბათ ის ვერ წარმოიდგენდა, რამდენად სკანდალური იქნებოდა მისი საჩუქარი ქალბატონი ნინოსთვის. ბოლო – მეხუთე შეხვედრა მოსკოვში ჩატარდა. გადაწყვეტილება ამ შეხვედრაზე თბილისში მიიღეს. ოთხეული აქ რუსეთ-საქართველოს შორის ცნობილი მატჩის დროს ჩამოვიდა. მაშინ სტადიონზე შუქი ჩაქრა და მატჩი გადაიდო. სამაგიეროდ, არ ჩამქრალა დიპლომატიური შეხვედრები. სწორედ ამ მატჩის დროს დაინიშნა რიგით მეხუთე შეხვედრაც, რომლის ადგილად შეირჩა მოსკოვი, თარიღად კი – 30 სექტემბერი შემთხვევით არ იყო არჩეული. გაითვალისწინეთ საქართველოს ნოემბრის არჩევნები, აზერბაიჯანის ოქტომრის არჩევნები, სომხეთში კი არჩევნები ერთი თვის წინ ჩატარდა. ამიტომაც ოქროს შუალედად სწორედ 29-30 სექტემბერი დასახელდა. ოთხეულის მეხუთე შეხვედრამ ტრადიციულად ჩაიარა, არაფერი გან-

საკუთრებული – პროტოკოლის სრული დაცვით. მედიამ ჯერ შეხვედრის დასაწყისი დააფიქსირა, შემდეგ ლიდერებმა დახურულ კარს მიღმა გააგრძელეს მუშაობა და უკვე დასასრულ მირონოვი ფეხზე ადგა და ნინო ბურჯანაძეს მიმართა: „მინდა, სიურპრიზი გავუკეთო ქალბატონ ნინოს და ეგებ მედიაც შემოვიდეს, რომ დააფიქსირონ“. სწორედ ამ ვითარებაში გადაეცა ბურჯანაძეს მედალი, ყვავილებთან ერთად. ამ ვიზიტის შესახებ ინფორმირებული იყო ყველა – კანცელარიაც, საგარეო საქმეთა სამინისტროც. ამ ვიზიტის ყველა დეტალზე ინფორმაცია შევარდნაძეს თავად ბატონი ელჩისგანაც მიეწოდა. როგორც წესი, ელჩებს ევალებათ, დეტალური ინფორმაციები პრეზიდენტს წერილობით გამოუგზავნონ. შესაბამისად, შევარდნაძემაც იცოდა, რა საქმეებით იყო დაკავებული პარლამენტის თავმჯდომარე. და მაშინ რა მოხდა? ადრე სარიშვილმა ბურჯანაძის ამერიკულ ვიზიტთან დაკავშირებით იეჭვიანა და სკანდალური განცხადებები გააკეთა: ვიზიტი ჩაუვარდა და არ შედგაო, მაგრამ პაუელთან შეხვედრის შემდეგ გაჩუმდა. ახლა მოსკოვის ვიზიტზე ახმაურდა. მოუწევს მას ისევ გაჩუმება?

„ალია“ პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს ესაუბრება:

– იცით, მე თქვენ არ მოგცემთ ინტერვიუს!

– რატომ?

– იმიტომ, რომ მხოლოდ აგენტებს ვესაუბრები, – (გაიღიმა).

– თქვენ აგენტი-ჟურნალისტების სია არ გადმოგცეს?

– თქვენ რა სიაში ხართ, რაღაც არ მახსოვხართ! – (ხუმრობა აიტაცა და საქაღალდეც კი გადაშალა). დიახ, ყოფილხართ, მაშინ დავიწყოთ.

– „ბურჯნაძე-დემოკრატებში“ არსებობდა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მოსალოდნელი იყო შავი პიარი თქვენს წინააღმდეგ. თუ გაქვთ რაიმე კულუარული ინფორმაცია, როგორ მზადდებოდა ეს სკანდალი, ვინ იღებდა მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღებაში...

– ცხადია, ვიცოდი იმის თაობაზე, რომ ჩვენს წინააღმდეგ შავი პიარი იგეგმებოდა. ხელისუფლებას, რომელიც აბსოლუტურად უუნაროა, გადაწყვიტოს ნებისმიერი პრობლემა, ელექტრომომარაგებით დაწყებილი, პენსია-ხელფასებით დასრულებული (თუნდაც საარჩევნოდ), სხვა არაფერი დარჩენია და არაფერი შეუძლია გარდა იმისა, რომ მთელი თავისი ცოდვები და პრობლემები გადააბრალოს ოპოზიციას. კულუარული ინფორმაცია ანალიზის გასაკეთებლად საჭირო არ არის. სხვათა შორის ძალიან გამიკვირდა, როცა ორშაბათის ბრიფინგზე პრეზიდენტს უცნაური კითხვა დაუსვეს ჩემი ოჯახისა და ჩემს წინააღმდეგ აგორებულ კამპანიასთან დაკავშირებით რუსულ პრესაში. გამაოცა შეკითხვამაც და პასუხმაც – შევარდნაძემ თქვა, როგორ არ რცხვენია ქალბატონ ნინოს, თუ ჰგონია, რომ მე ვდგავარ ასეთი კამპანიების უკანო. გამაოცა იმიტომ, რომ არაფერი განსაკუთრებული ჩემზე და ჩემს ოჯახზე რუსულ პრესაში არ დაწერილა. შესაბამისად, განსაკუთრებული ბრალდებები არც შევარდნაძისთვის წამიყენებია რუსულ პრესაში, დაგეგმილ კამპანიასთან დაკავშირებით. მე შეიძლება ამას ვფიქრობდი, მაგრამ არ მითქვამს.

– როგორ ფიქრობთ, ამით შევარდნაძემ სარიშვილის ბრალდებების უკან გაშიფრა საკუთარი თავი?

– მე არ ვიცი, რატომ დაისვა ეს შეკითხვა მაინცდამაინც გუშინწინ, ეს ხომ არ იყო პრევენცია ქალბატონ ირინას განცხადებების? საინტერესოა ის, რომ სარიშვილმა თავისი პრესკონფერენცია ერთი დღით გადადო, ანუ ანონსი სამშაბათისთვის იყო გაკეთებული, თუმცა ჟურნალისტებს ქალბატონი ირინა გუშინ შეხვდა. და სწორედ გუშინ იბეჭდება „იზვესტიაში“ წერილი ჩემს ერთი კვირისწინანდელ ვიზიტზე. ახლა პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ ყველაფერი ეს იგეგმება სახელმწიფო კანცელარიაში, იგეგმება სახელისუფლებო ბლოკში, რომლის სპიკერი გახლავთ ირინა სარიშვილი, მაგრამ რომლის ხელმძღვანელი, ლიდერი და სულისჩამდგმელი არის ედუარდ შევარდნაძე. მართლა ძალიან მრცხვენია ამ ვითარების გამო. თუ ხელისუფლე-

ბაში ვინმეს ჩემთან დაკავშირებით რაიმე კომპრომატი ჰქონდა, მით უფრო უნდა მოეწვიათ უშიშროების საბჭო, რომლის ჩატარებასაც მე ვითხოვდი. არ გეცინებათ იმაზე, რომ ხელისუფლება თურმე ფლობდა ინფორმაციას პარლამენტის თავმჯდომარის აგენტობასთან დაკავშირებით?!

– ეს სერიოზული ინფორმაცია იქნებოდა და ხომ არ ჰქონია უშიშროებას თქვენი დაკითხვის ან გამოვლენის მცდელობები?

– რაზე უნდა დავეკითხე უშიშროებას, რომელ ჩემს ქმედებაზე? დასაკითხი ხელისუფლებაში, სხვათა შორის, ძალიან ბევრია. კონკრეტულად ის ადამიანები, რომლებმაც საქართველოს ენერგოსისტემა ერთი ხელის მოსმით რუსეთის ჯიბეში გადაიტანეს. დასაკითხი მართლაც ბევრია და დაიკითხებიან კიდეც. სწორედ ამის ეშინიათ ხელისუფლებაში.

– პრეზიდენტის თემა გავაგრძელოთ. როგორ ფიქრობთ, ის კონკრეტულად არის ამ ბრალდების მონაწილე?

– მე არ მაინტერესებს, შევარდნაძე იყო მონაწილე თუ არა. გაჩუმებაც დანაშაულია და გაჩუმებაც არის თანხმობა იმაზე, რასაც მისი ხელისუფლება და მისი წარმომადგენლები აკეთებენ. არ ვიცი, მართალი გითხრათ, არ მეგონა, თუ ამ თემებზე კომენტარები უნდა გამეკეთებინა, მაგრამ თქვენ – ჟურნალისტებს სხვანაირად მიგაჩნიათ. არ ვიცი, ვინმეს ჩემთვის რომ დაებრალებინა, კანიბალიაო, იმის მტკიცება უნდა დამეწყო, რომ ადამიანებს არ ვწვავ და არ ვჭამ? მე არ ვთვლი, რომ ამის მტკიცება უნდა დამეწყო, მაგრამ თქვენ თუ მიგაჩნიათ, რომ მტკიცება საჭიროა, ვიტყვი: ადამიანებს არ ვწვავ და არ ვჭამ, არც ვხარშავ, რომ შევჭამო. საერთოდ, არ ვჭამ არც შემწვარს და არც მოხარშულს.

– ოპონენტებსაც არ ჭამთ?

– გადატანითი მნიშვნელობით. როგორც ჩანს, ამიტომაც ეშინიათ.

– ისე, ჩვენ დიდი ხანია ველოდით თქვენთან შეხვედრას. ბინ ლადენსაც ხომ არ ესაუბრებოდით?

– როგორ არა, ერთ საათში ერთხელ იგორ გიორგაძეს ვუ-

რეკავ ხოლმე და ყოველ ორ საათში – ბილ ლადენს. მათთან მაქვს შესაბამისი კონსულტაციები.

– ტერაქტებს ხომ არ გეგმავთ ორი ნოემბრისთვის?

– დიახ, და ეხლა „ბოინგებს“ ვეძებთ.

– ჩვენ ადრე გვქონდა ინფორმაცია, რომ გენპროკურორი სერიოზული ზეწოლის ქვეშ იყო: მისგან თქვენი მეუღლის სამსახურიდან დათხოვნას მოითხოვდნენ. დღესაც იგივე გრძელდება. ამ ბრალდების პარალელურად თქვენი მეუღლის ფიგურამაც წამოიწია...

– ბოლო პერიოდის განმავლობაში მუდმივი ზეწოლა იყო გენერალურ პროკურორზე, რომ მას ბადრი ბიწაძე ან გაენთავისუფლებინა ან თავად გადამდგარიყო. ამაზეც კი მიდიოდნენ. მისი გადადგომის შემთხვევაში ოთხივე მოადგილე ავტომატურად დატოვებდა თანამდებობას. ამასთან დაკავშირებით კომენტარების გაკეთებას ადრე საჭიროდ არ მივიჩნევდი. თუ ვინმეს ჰგონია, რომ ამით შემაშინებს, ძალიან ცდება. მე სოფელ-სოფელ, ქალაქ-ქალაქ დავდივარ, ვხედავ გაუბედურებულ ხალხს, ვხედავ, უკაცრავად და, კბილებჩაცვენილ ნახევარ საქართველოს მოსახლეობას. თუ ვინეს ჰგონია, რომ ამ ადამიანებს და მათ რწმენას ხაზს გადავუსმევ იმიტომ, რომ ვიღაცა რაღაცას იტყვის ან დაწერს გაზეთში, ძალიან ცდება. უკან არ დავიხევ. მე ვთვლი, რომ სწორ საქმეს ვაკეთებ და ჩემი ხალხის უკეთესი მომავლისთვის ვიბრძვი.

– როგორი პოზიცია აქვს ოჯახს, მაგალითად, ბატონი ბადრი მზად არის პოსტი დატოვოს ან რას ამბობს მამათქვენი იმ ბრალდებებზე, რაც მის წინააღმდეგ დროდადრო ითქმება ხოლმე?

– ჩვენი ოჯახი ერთსულოვანია. ჩვენ კარგად ვიცოდით, რაზეც მივდიოდით, ვიცოდით, რა ბრალდებები წამოვიდოდა და რა წნეხი იქნებოდა. სხვათა შორის, არ გამოვრიცხავ, რომ ჩემმა მეუღლემ მართლაც დატოვოს პოსტი. თუმცა, ეს მისი პირადი გადასაწყვეტია. მაგრამ ჯერ ცოტა ხანი დავაკვირდებით, რამდენად შორს წავა ხელისუფლების ფანტაზიები. არაფერი განსაკუთრებული ბადრი ბიწაძეს იმით, რომ თანამდებობას დატოვებს,

არ დააკლდება. ის თანამდებობითაც კაცია და თანამდებობის გარეშეც. ხელისუფლებას კი მწირი ფანტაზია აქვს, გადააქციო პეტერბურგის საიუბილეო მედალი სკანდალად... სხვათა შორის, იქ ქალბატონმა ირინამ ერთი შეცდომა დაუშვა, პუტინი კი არ აწერს ხელს, არამედ პეტერბურგის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი.

– შესაძლებელია პუტინის ხელმოწერილი მედალი დამალული გაქვთ.

– დიახ, დიახ. როგორ მიხვდით? როგორი გამჭრიახი ბრძანდებით.

– რაც შეეხება სატელეფონო მოსმენებს, თითქმის ყველა პოლიტიკოსისგან გამიგია, რომ მათი ტელეფონები ისმინება. ამ ფონზე თქვენ რომ გიორგაძესთან გქონდათ საუბარი, ლოგიკურია?

– არ დავინტერესებულვარ, არაფერი მაქვს დასამალი და არ მეშინია, რასაც ვლაპარაკობ.

თქვენ, განსაკუთრებით თქვენს მამას, არასოდეს არ ჰქონია შეხება გიორგაძესთან?

– არასოდეს. სხვათაშორის ჩემი კომენტარი ძალიან საინტერესოდ გაუშვა პირველმა არხმა. მკითხეს, რას ვფიქრობ იგორ გიორგაძის ჩამოსვლასთან დაკავშირებით საქართველოში, რაზეც ვუპასუხე: მე ვთვლი, ის უნდა ჩამოვიდეს, წარსდგეს სასამართლოს წინაშე და თუ ის თვლის, რომ უდანაშაულოა, დაამტკიცოს; თუ ვერ დაამტკიცებს, უნდა მოიხადოს შესაბამისი სასჯელი. პირველმა არხმა დატოვა მხოლოდ ის, რომ იგორ გიორგაძე უნდა ჩამოვიდეს საქართველოში. სირცხვილია.

– საკუთარ ხელისუფლებაში ახალი აღმოჩენა გააკეთეთ?

– უნდა ვაღიარო, რომ ასეა. საქართველოს ხელისუფლებაში ამდენ უღირს მამაკაცს ვერასოდეს წარმოვიდგენდი.

ქეთი ხატიაშვილი

ალია 2003. – 9-10 ოქტომბერი. – №118. – გვ. 2

ნინო ბურჯანაძემ საკუთარი კაბინეტი დაცალა

რევოლუცია გაბრაზების პიკზეა. ნაციონალების ლოზუნგი: „გადადგეს შევარდნაძე“, სულ უფრო პოპულარული ხდება. რას ფიქრობს ამაზე „ბურჯანაძე-დემოკრატების“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე? მათი საპროტესტო ლოზუნგი პარლამენტის ვადამდელი არჩევნების ჩატარება იყო. შეიცვალეს თუ არა განწყობა ვაშლიჯვარში? ან რამდენად მისაღებია მათთვის კანცელარიის წინ ხალხის გაყვანა. ამ და სხვა საკითხებს თავად ნინო ბურჯანაძე პასუხობს.

ნინო ბურჯანაძე: ბოლო მომენტამდე ვაცხადებდი, რომ ჩემთვის ყველაზე მიუღებელი იყო ლოზუნგი შევარდნაძის გადაყენების მოთხოვნით. თუმცა, ნებისმიერ ნორმალურ ქვეყანაში პრეზიდენტი ასეთ ვითარებაში თავად მიიღებდა გადადგომის გადაწყვეტილებას. ჩემთვის მთავარი იყო, პრეზიდენტს ეღიარებინა, რომ არჩევნები არ ჩატარდა, დაენიშნა ახალი არჩევნები და დაესაჯა ისინი, რომლებმაც ქვეყანა ამ მდგომარეობამდე მიიყვანეს. მთავრობამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ნებისმიერი დიალოგისთვის გზა გადაეკეტა და ეს იმ ფონზე, როცა შევარდნაძე გამუდმებით ამბობდა, მზად ვარ დიალოგზეო. სამი დღის განმავლობაში არაერთხელ დავურეკე პრეზიდენტს, რა თქმა უნდა, ჩემს პარტნიორებთან შეთანხმებით, მაგრამ დღის განმავლობაში ჩემს სამ-ოთხ ზარს პრეზიდენტი უბრალოდ არ პასუხობდა. მე პრეზიდენტთან არც ვაჭრობას ვაპირებდი და არც რამენაირ გარიგებას. ეტყობა, სწორედ ამიტომაც არ შემხვდა. ვაპირებდი პრეზიდენტისთვის რეალური ვითარება ამეხსნა, ყოველ შემთხვევაში, ჩემი ხედვა.

– აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ პრეზიდენტის გადადგომა გარდაუვალი გახდა?

– სამწუხაროდ, ყველაფერი ამ მიმართულებით მიდის. პრეზიდენტმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ყველა სხვა ლოზუნგი მეორე პლანზე გადასულიყო.

– ოპოზიცია მზად არის, ვთქვათ, შევარდნაძის გადადგომისთვის? რამდენად შეძლებს ოპოზიცია ერთიანობის შენარჩუნებას. ხომ არ მოხდება დაპირისპირება?

– ცხადია, ვითარება ძალიან მძიმეა და აქ მხოლოდ ოპოზიციის დაპირისპირებაზე არ არის საქმე. ქვეყანას ერთხელ მაინც უნდა შეექმნა პრეცედენტი, რომ საპრეზიდენტო არჩევნებამდე ნორმალურად მივსულიყავით. ძალიან კარგად მესმოდა, რომ რადიკალური განცხადებების გაკეთებით ძალიან ბევრი ქულის ჩაწერა შემეძლო. მაგრამ მუდმივად ვამბობდი, რომ პრეზიდენტის გადადგომა შეიძლება საფუძვლიანია ამ მოვლენების ფონზე. თუმცა, წელიწადნახევარი დაგვრჩა და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ არჩევნები ნორმალურად ჩავატაროთ. პრეზიდენტმა კი ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ისეთი ადამიანებიც კი, რომლებიც ნამდვილად არ იყვნენ რადიკალურად განწყობილი, პროტესტის უკიდურეს ზღვრამდე მიიყვანა. პრეზიდენტის პირადი პასუხისმგებლობაა ის, რომ არც ჩვენ და არც მოსახლეობას მან სხვა გამოსავალი არ დაუტოვა.

– პრეზიდენტის გადადგომა სამოქალაქო ომს გამოიწვევს?

– ქვეყანაში სამოქალაქო დაპირისპირება არ არის, დაპირისპირებაა ხალხსა და ხელისუფლებას შორის. ხელისუფლების ყველაზე დიდი დანაშული არის ის, რომ რაც მან აჭარასთან მიმართებაში გააკეთა. უპატიებელია ის, რომ ხელისუფლებამ საკუთარი სავარძლების შესანარჩუნებლად პრაქტიკულად გაწირა აჭარისა და მთელი დანარჩენი საქართველოს მოსახლეობა კონფლიქტისთვის. მიუხედავად იმისა, რომ წარმოუდგენელია ჩვენი მოსახლეობა არ დგას პარლამენტის წინ, იქ დგანან აჭარის ხელისუფლების წარმომადგენლები. ეს დაუშვებელია. ისე მაინც გაეკეთებინათ, რომ მომხრეები სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოეყვანათ. ეს არის მზაკვრობა ხელისუფლების

მხრიდან, მათ სწორედ აჭარისა და დანარჩენი მოსახლეობის დაპირისპირება უნდათ. ხელისუფლებამ დაუშვა სისხლისღვრის შესაძლებლობა.

– რა მოხდება მაშინ, თუკი ეს ხალხი კანცელარიისკენ დაიძვრება. შეძლებთ ამ მიტინგზე ექსცესების თავიდან აცილებას?

– პროვოკაციების მცდელობები იქნება. ხელისუფლებისთვის გადარჩენის ერთადერთი შანსია, მოახდინოს პროვოკაცია, მოახდინოს სისხლისღვრისა და უბედურების ინსპირირება. ჩვენ ყველანაირად შევეცდებით, რომ ეს თავიდან ავიცილოთ.

– კანცელარიასთან აპირებთ მისვლას?

– მე ძალიან არ მინდა, რომ ეს მიტინგი წავიდეს კანცელარიასთან. ორჯერ ყველაფერი გავაკეთე იმისთვის, რომ დიდი მასები კანცელარიისკენ არ წასულიყვნენ. მიმაჩნია, რომ ეს ჩემი მხრიდან სწორი ნაბიჯი იყო. ახლაც ვეცდები, მაგრამ თუ ისინი მაინც წავლენ, ჩემს ხალხს არ მივატოვებ.

ქეთი ხატიაშვილი

ალია 2003. – 22-24 ნოემბერი. – №137. – გვ. 7

ნინო ბურჯანაძე: „შევარდნაძემ თავის დროზე ძალზე ბევრი გააკეთა საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებისათვის“

საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა გაზეთ „გერმანულ ტალღას“.

– რა გრძნობა გეუფლებათ ახლა თქვენ: სიხარულის და კმაყოფილებისა ოპოზიციის გამარჯვების გამო თუ შეშფოთების და საქართველოს შემდგომი ბედისთვის ზრუნვის?

– რა თქმა უნდა, მიხარია, ოპოზიციამ რომ გაიმარჯვა. ეს იყო ქართველი ხალხის გამარჯვება დემოკრატიისათვის ბრძოლაში. ხალხი 10 წლის განმავლობაში ძალზე ბევრს ითმენდა: მას არ ჰქონდა შუქი, ხელფასები, ელემენტარული სოციალური პირობები, მაგრამ პროტესტი არ გამოუთქვამს. აღშფოთების მიუხედავად, ინარჩუნებდა სიმშვიდეს. ხალხი ქუჩაში გამოვიდა მხოლოდ მაშინ, როცა იგრძნო, რომ დემოკრატიას საფრთხე ემუქრებოდა. მიხარია, რომ გავიმარჯვეთ, მაგრამ ახლა მთავარია ვიზრუნოთ იმისთვის, რომ შევინარჩუნოთ სტაბილურობა 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე.

– მომავალ არჩევნებში ოპოზიციამ დაასახელა მხოლოდ ერთი კანდიდატი – მიხეილ სააკაშვილი. ახლა იგი გახდა თქვენი პოლიტიკური პარტნიორი. ამ ცოტა ხნის წინათ გამართულ პარლამენტის არჩევნებში კი კონკურენტი იყო. როგორ შევათავსოთ ერთმანეთთან?

– პარლამენტის არჩევნების დროს ჩვენ კონკურენტები ვიყავით, მაგრამ იმ საფრთხემ, რომელიც დემოკრატიას დაემუქრა, გაგვაერთიანა. სხვადასხვა რელიგიური, ეროვნული თუ პოლიტიკური გრძნობებით, სიმპატიებითა და ანტიპათიებით

გამსჭვალული ათი ათასობით ადამიანი ერთად რომ არ დამდგარიყო დემოკრატიის დასაცავად, ჩვენ ვერ გავიმარჯვებდით. ახლა პოლიტიკურ უთანხმოებაზე გაცილებით მნიშვნელოვანია ის, რომ ოპოზიციამ შეინარჩუნა ერთიანობა, ქვეყანაში არსებული ვითარება. მე და მიხეილ სააკაშვილს ცალ-ცალკე რომ წამოგვეყენებინა ჩვენი კანდიდატურები პრეზიდენტის პოსტზე, გაჩაღდებოდა სერიოზული ბრძოლა, რასაც შეეძლო კვლავ გაეხლიჩა საზოგადოება. ამის დაშვება შეუძლებელია. ჩვენთვის გაცილებით მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ინტერესები, ვიდრე პოსტისთვის ბრძოლა, თუნდაც პრეზიდენტის პოსტი იყოს ეს.

– როგორია მომავლისათვის სამოქმედო გეგმა?

– 45 დღის განმავლობაში შეუძლებელია ქვეყანაში რაიმე რადიკალურად შეიცვალოს, მაგრამ მთავარია ვუჩვენოთ ყველას სტაბილურობისა და თანამშრომლობის სულისკვეთება. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ თანამდებობები დატოვონ იმ მინისტრებმა, რომლებიც ან კორუმპირებულები არიან, ან არასაკმარისად კომპეტენტურები, რომლებმაც ვერ გაართვეს თავი სიტუაციასა და დაკისრებულ ამოცანებს. მთავარია ხალხმა შეიგნოს, რომ ქვეყანაში იწყება გარდაქმნები.

– რუსეთის ხელმძღვანელობის ნაწილი აცხადებს, რომ „ვარდების რევოლუცია“ ამერიკის მიერ იყო ინსცენირებული. რას ფიქრობთ ამის თაობაზე? საერთოდ, როგორ უნდა განვითარდეს ურთიერთობა რუსეთთან?

– ჩვენ დაინტერესებული ვართ იმით, რომ გვქონდეს კეთილმეზობლური ურთიერთობა, მაგრამ არის გარკვეული მომენტები, რომლებიც ხელს უშლის ამას, მათ შორის იმ პოლიტიკოსების გამონათქვამებიც, რომლებიც მიანიშნებენ „ამერიკის ხელს“. მაგრამ ქუჩაში ხომ ხალხი გამოვიდა, კარგად თუ დავუკვირდებით, დავინახავთ: ამერიკა ყველაფერს აკეთებდა საიმისოდ, რომ საქართველოში ნორმალური არჩევნები გამართულიყო. ამერიკელთა ერთადერთი მოთხოვნა იყო ის, რომ არჩევნები თავისუფალი და დემოკრატიული ყოფილიყო. ვფიქრობ, ეს სა-

ვსებით სამართლიანია, რადგან ჩვენ ხომ გვსურს საქართველოში ნორმალური სამართლიანი სახელმწიფოს აშენება.

– აპირებთ თუ არა ითანამშრომლოთ ყოფილ პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძესთან, თუ მის პასუხისგებაში გადაცემაზე ფიქრობთ?

– ჩვენ ერთმნიშვნელოვნად განვაცხადეთ, რომ ბატონი შევარდნაძე სრული ხელშეუხებლობით სარგებლობს. იგი დაცულია, მისი უშიშროება გარანტირებულია, არავინ არ აპირებს მის პასუხისგებაში გადაცემას. ბუნებრივია, თუ პრეზიდენტს ექნება საინტერესო და საქმიანი წინადადებები, ჩვენ მას გავითვალისწინებთ. ედუარდ შევარდნაძე უაღრესად გამოცდილი პოლიტიკოსია. თავის დროზე მან ძალზე ბევრი გააკეთა საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტების ჩამოყალიბებისათვის. მე გული მწყდება, რომ თავისი კარიერის დასასრულს მან დაუშვა სერიოზული პოლიტიკური შეცდომები, რომლებმაც ასეთი შედეგები მოიტანა. გულახდილად გეტყვით: სამწუხაროა, რომ ადამიანი, რომელსაც შეეძლო თავისი სახელი ოქროს ასოებით ჩაეწერა საქართველოს ისტორიაში, გადადგა დემონსტრანტების არცთუ ისე დადებითი ლოზუნგების გამო.

– შევარდნაძის ოჯახი მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში. მის ნათესავებს პრივატიზებული აქვთ რამდენიმე კომპანია. ყოველივე ეს უცვლელად დარჩება?

– სამწუხაროდ, როგორც შევარდნაძის ოჯახი, ისე მისი უახლოესი გარემომცველი პირები ყველაფერს აკეთებდნენ საიმისოდ, რომ სერიოზულად შერყეულიყო პრეზიდენტის ავტორიტეტი. ახლა ამაზე ლაპარაკი არ მსურდა, მაგრამ რადგან მკითხეთ, ვალდებული ვარ გიპასუხოთ: თუ ამა თუ იმ კომპანიის ან ქონების პრივატიზაცია უკანონოდ მოხდა, ეს ადამიანები დაისჯებიან და არა აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნებიან ისინი – შევარდნაძის ოჯახის წევრები თუ ჩემი ოჯახის წევრები. დემოკრატიისათვის არ არის მნიშვნელოვანი, თუ ვინ არის. აქ მთავარია ის, თუ ვინ რა მოიმოქმედა და რამდენად პირნათელია ესა თუ ის

ადამიანი ან ესა თუ ის კომპანია კანონის წინაშე. თუ ყოველივე ის, რასაც ისინი ფლობენ, კანონიერადაა შეძენილი, მათ ხელს არავინ ახლებს.

საქართველოს რესპუბლიკა 2003. – 28 ნოემბერი. – №321. – გვ. 1-2

„თქვენ გაქვთ საფუძველი ამაყად ატაროთ ჯარისკაცის მუნდირი!“

საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის გამოსვლა გამოსაშვებ სამხედრო აღლუმზე

ბატონო გენერლებო, ოფიცრებო, სერჟანტებო და რიგითებო, პატივცემულო საზოგადოებავ! დღეს ჩვენ ყველანი ერთად საზეიმოდ აღვნიშნავთ კიდევ ერთ წინგადაგმულ ნაბიჯს საქართველოს შეიარაღებული ძალების მშენებლობის გზაზე. არმია დამოუკიდებელი სახელმწიფოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ატრიბუტია და მისი სრულყოფა რთულ და სერიოზულ პროცესს წარმოადგენს. ჩვენ, ფაქტობრივად, ნულიდან დავიწყეთ ეროვნული არმიის შექმნა და დღეს თანამედროვე მოთხოვნათა და ახალი პრინციპების შესაბამისად უნდა განვახორციელოთ მისი რეფორმირება მძიმე ეკონომიკური რეფორმების ფონზე. საქართველომ არჩია დემოკრატიული განვითარების გზა და ყოველმხრივ უჭერს მხარს მსოფლიოს მოწინავე ქვეყნებს საერთაშორისო უსაფრთხოების თანამედროვე სისტემის შექმნაში, რამაც განაპირობა კიდეც მათი ჩვენდამი აქტიური და მრავალმხრივი დახმარება. ეს დახმარება განსაკუთრებით დასაფასებელია იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი შეზღუდული შესაძლებლობები არ გვაძლევს რეფორმების განხორციელების და დაფინანსების შესაძლებლობებს. საქართველოს ოფიციალური განცხადება ნატო-ში გაწევრიანების სურვილის შესახებ გვავალდებულებს სხვა სახელმწიფო ინსტიტუტებთან ერთად შეიარაღებული ძალების დასავლური სტანდარტების შესაბამისობაში მოყვანას. მისასალმებელია, რომ ამ პროცესში აქტიურად არიან ჩართულნი როგორც სახე-

ლისუფლო, ისე არასამთავრობო ორგანიზაციები, რაც კარგი წინაპირობაა მიზნის მისაღწევად. არმიის რეფორმა სტრუქტურულ ცვლილებებთან ერთად სათანადო კვალიფიკაციის კადრების მომზადებას და მატერიალურ-ტექნიკურ უზუნველყოფას მოითხოვს, რაშიც დიდ დახმარებას გვიწევენ ჩვენი მეგობრები. ამ მხრივ აშშ-ს ძალისხმევა მართლაც გამორჩეულია! წლების მანძილზე გამოვლენილი თანადგომა და სამხედრო სფეროში თანამშრომლობა, თვისობრივად, ახალ ეტაპზე გადავიდა. წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის დაწყებიდან წელიწადნახევარი გავიდა. მისი შინაარსიდან გამომდინარე, ის დამსახურებულად მოექცა საზოგადოების ინტერესის ცენტრში. პროგრამა გეგმის მიხედვით ხორციელდება და გვაქვს კიდეც შესაბამისი შედეგები. საქართველოს მთავრობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს მისი წარმატებით დასრულებისათვის, ვინაიდან პროგრამა გვაძლევს რეალურ და მყარ საფუძველს პროფესიონალური არმიის შესაქმნელად. დღეს აღინიშნება პროგრამის მესამე ფაზის მეოთხე ეტაპის დასრულება. ჩვენს წინაშეა საქართველოს შეიარაღებული ძალების მეოთხე პროფესიონალური ქვედანაყოფი, ასმეთერთმეტე მსუბუქი ქვეითი ბატალიონი, რომელმაც, ამერიკელი ინსტრუქტორების ხელმძღვანელობით, ინტენსიური მომზადება გაიარა და მიაღწია საბრძოლო მომზადების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის დონეს. დარწმუნებული ვარ, პროგრამის ბოლო ეტაპზეც არანაკლები შედეგები იქნება მიღწეული. ბატალიონის პირად შემადგენლობას საზეიმოდ გილოცავთ წვრთნის დამთავრებას! თქვენ გაქვთ საფუძველი, ამაყად ატაროთ ჯარისკაცის მუნდირი, საქართველო კი ყოველთვის ამაყობდა ქვეყნის მთლიანობისა და სტაბილურობის ღირსეული დამცველებით. თქვენ გააკეთეთ უაღრესად საპატიო და დასაფასებელი არჩევანი სამშობლოსათვის განსაკუთრებული სამსახურის გასაწევად. დარწმუნებული ვარ, შეძენილი ცოდნა შეგაძლებინებთ მომავალში თქვენს წინაშე დასმული ამოცანების წარმატებით შესრულებას. დღეიდან კი თქვენი ამოცანაა,

ყოველდღიური შრომით შეინარჩუნოთ საბრძოლო მომზადების მაღალი დონე. მჯერა, რომ თვითოეულ თქვენგანს გაცნობიერებული აქვს სახელმწიფოს ერთიანობის და უსაფრთხოების დაცვის დიდი პასუხისმგებლობა. გისურვებთ მშვიდობას, წარმატებებს, ღირსეულ სამხედრო სამსახურს! ვსარგებლობ შემთხვევით, – მადლობას ვუხდი ყველას, ვინც იღწვის წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის წარმატებით განხორციელებისთვის; ვინც იდგა ამ პროგრამის სათავეებში! მადლობას ვუხდი აშშ-ს ხელისუფლებას, აშშ-ს პრეზიდენტს! ვფიქრობ, დასაფასებელია ის წვლილი, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ თავის დროზე გასწია ამ პროგრამის განხორციელებისათვის! მინდა მადლობა გადავუხადო ამერიკელ ინსტრუქტორებს, რომლებიც თავდაუზოგავად შრომობენ საქართველოს შეიარაღებული ძალების ფეხზე დასაყენებლად! მინდა, მადლობა გადაგიხადოთ თითოეულ თქვენგანს! მინდა გითხრათ, რომ ქართველ დედებს თქვენი იმედი აქვთ. მინდა გითხრათ, რომ თქვენი შემყურე თითოეულ ქართველ დედას გული სიამაყის, სიმშვიდის და ხვალინდელი საქართველოს იმედის გრძნობით ევსება. დიდი მადლობა, გისურვებთ წარმატებას, ბედნიერ, წარმატებულ, ღირსეულ საქართველოში ცხოვრებასა და მოღვაწეობას!

24 საათი 2003. – 15 დეკემბერი. – № 323. – გვ. 1-A6

„თუ მე და ჩემი ახლობლები ვართ დამნაშავე, დაგვსაჯეთ“

„ვინც რა იცით, თქვით – ვისზე რა მასალებიც გაქვთ, მოიტანეთ!..“

...ბატონ ასლანს არ უგრძნობინებია ჩემთვის – არალეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენელს ვესაუბრებიო

...არ ვიქნები გულწრფელი, რომ არ ვთქვა – მიშას განცხადებებმა, რა თქმა უნდა, დაძაბა ბატონ ასლან აბაშიძესთან დიალოგი. ჩვენი საუბრისას შემოიტანეს მიშას გამოსვლის ვიდეოფირი...

...დღეს პროკურატურა აკეთებს იმას, რაც ბევრად ადრე უნდა გაეკეთებინა.

...კონტროლის პალატის თავმჯდომარემ თავისი ნათქვამით თვითონვე დაადასტურა, რომ პრეტენზია სამართლიანად წაუყენეს.

...ზურაბ ცქიტიშვილის ვაჟის დანიშვნის შესახებ მეც არაფერი ვიცოდი.

...ამ გარემოში მუშაობა შეუძლებელია. დილიდან ღამემდე ამ ოთახში ყოფნა წარმოუდგენელია და გულწრფელად თანავუგრძნობ ამის გამო პრეზიდენტს. ძვირფასი ავეჯის დადგმას არ ვგულისხმობ, მაგრამ ამ ოთახში რომელიმე ქვეყნის დელეგაციის ან ელჩის მიღება სამარცხვინოა. საქართველოს ამჟამინდელი პირველი პირი თავისი მდგომარეობით აღფრთოვანებული სულაც არ ჩანს. ეს არც არის გასაკვირი. ჩვენ რომ გვაქვს, ისეთი ქვეყნის პირველკაცობა იოლი არ გახლავთ. რა განცდა ჰქონდა ნინო ბურჯანაძეს, როდესაც ასობით მომიტინგით სავსე პარლამენტის სხდომათა დარბაზში განაცხადა – მომხდარზე პა-

სუხისმგებლობას ვიღებო და რას ფიქრობს ის რევოლუციის შემდეგ შექმნილ ვითარებაზე? „კვირის პალიტრის“ დღევანდელი სტუმარი – საქართველოს მოქმედი პრეზიდენტი ამ და კიდევ მრავალ საინტერესო საკითხებზე გვესაუბრება: ალბათ თქვენ ის დღე გახსენდებათ, როდესაც პარლამენტის სხდომა ჩაიშალა (22 ნოემბერი), ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი, პრეზიდენტი გადადგებოდა თუ არა და მე ვთქვი, – ვიღებ პასუხისმგებლობას, რაც კონსტიტუციით მეკისრება-მეთქი. რა თქმა უნდა, მძიმე იყო ჩემთვის ამის თქმა, მაგრამ ვგრძნობდი, სიტუაცია შეიძლებოდა უმართავი გამხდარიყო, რადგან პარლამენტის წინ შეკრებილი ათიათასობით ადამიანი ელოდა რაღაც კონკრეტულს, ჩვენგან. ნებისმიერ ნორმალურ ადამიანს უთუოდ შეეშინდებოდა ამხელა პასუხისმგებლობისა და მეც გამიელვა – შევძლებ კი-მეთქი? მაგრამ არის ისეთი მომენტები, როდესაც ამა თუ იმ ნაბიჯის გადადგმისას თავად მეტად იმის მეშინია, იმედი არ გავუცრუოთ იმ ადამიანებს, რომლებიც მრავალი დღის მანძილზე ჩვენ გვერდით იდგნენ.

– იმ დღეებში თქვენი მეგობრები აღნიშნავდნენ, რომ ყველაზე დიდი საფრთხე ფიზიკურ ანგარიშსწორებაში იყო. ახლაც ასეა?

– დღესაც განსაკუთრებულად ზრუნავენ ჩემზე. ჩემი მეგობრების გარდა, ჩემი პირადი დაცვაც საოცრად მობილიზებული იყო. ისინი ემოციურად მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდნენ – სახელმწიფო დაცვის სამსახურის ოფიცრები არიან, მაგრამ ოპოზიციის მიტინგებზე იდგნენ და იცავდნენ ოპოზიციის ლიდერს, რომელიც იმ ხელისუფლების გადადგომას ითხოვდა. საოცარი ვაჟკაცობა გამოავლინა პრეზიდენტის დაცვამაც, რომელმაც კრიტიკულ ვითარებაში არნახული მობილიზება გამოავლინა. მათ სავსებით ჰქონდათ საფუძველი ეფიქრათ, პრეზიდენტს საფრთხე ემუქრებაო, მაგრამ იარაღის გამოყენება არც უფიქრიათ. რაკი თავად ვიყავი მოვლენების ეპიცენტრში, სრულად ვერ აღვიქვი მომხდარი. მხოლოდ რამდენიმე დღის წინ ვნახე

პარლამენტის სხდომათა დარბაზში განვითარებული მოვლენების ამსახველი კადრები – საოცრად შთამბეჭდავი და ემოციური იყო, რაც დარბაზში მოხდა... დიდი რამე გააკეთა ხალხმა. გაუსაძლისმა მდგომარეობამ და შეურაცხყოფამ (რაც მათი ინტერესების იგნორირებით გამოიხატებოდა) აიძულა ისინი, საკუთარი ღირსება დაეცვათ.

– რამ მოიყვანა ხალხი რუსთაველზე, – ოპოზიციის ლიდერებისთვის მხარდაჭერის თუ შევარდნაძის გადადგომის სურვილმა?

– ზოგიერთები ამბობენ, – ეს პროცესი იმართებოდაო. თუ ხალხს გულწრფელად არ სურს რაღაც მიზნის მიღწევა, კოკისპირულ წვიმაში დღედაღამ არ დადგება. განცვიფრებული ვუყურებდი გალუმპულ, გათოშილ ადამიანებს, რომლებიც ფეხმოუცვლელად იდგნენ და თავიანთ სამართლიან პრეტენზიას უცხადებდნენ ხელისუფლებას. ეს ხალხი იქ იმისთვის არ მოსულა, რომ ნინო ბურჯანაძე, მიშა სააკაშვილი ან ზურაბ ჟვანია მოსწონდათ. ჩვენ იმიტომ მოვეწონეთ მათ, რომ ვთქვით ის, რაც თავად ჰქონდათ გულში. ჩვენ გაგვაერთიანა ერთმა რამემ – დავინახეთ, რომ ეს ქვეყანა ხელიდან გვეცლებოდა. ვხედავდით, რომ პრეზიდენტი არაადეკვატურად რეაგირებდა მოვლენებზე და ვერ დავუშვებდით ასე გაგრძელებას. ვერ წარმოიდგენთ, რა მდგომარეობაა ხაზინაში ან სახელმწიფო სტრუქტურებში. მიკვირს, აქამდე როგორ არ გაჩერდა ყველაფერი? პრეზიდენტს ბოლო მომენტამდე შეეძლო მიეღო ისეთი გადაწყვეტილება, რომ მიტინგი დაშლილიყო, მაგრამ ხალხს იმდენად არაფრად აგდებდნენ, რომ იოტისოდენ დათმობაზე წასვლა არც უფიქრიათ.

– შესაძლოა შევარდნაძე ფიქრობდა – ჩემი გაზრდილები არ გამწირავენო.

– პირადად მე არავინ გამიწირავს. არა მგონია, ადამიანის თანამდებობიდან გადაყენება მისი გაწირვა იყოს. სამწუხაროდ, თავისი პოლიტიკური კარიერა თავად შევარდნაძემ გაწირა. ადამიანს, რომელსაც შეეძლო საკუთარი სახელი ოქროს ასოე-

ბით ჩაეწერა ქვეყნის ისტორიაში, საშინელი შეძახილებით დააატოვებინეს თანამდებობა.

– ახალმა ვითარებამ ახალი პრობლემები წარმოშვა აჭარასთან. ითქვა, რომ ასლან აბაშიძესთან თქვენი დიალოგის არცთუ შთამბეჭდავი შედეგი თბილისში მიხეილ სააკაშვილის მიერ გაკეთებულმა განცხადებებმაც განაპირობა.

– არა მქონია იმის ილუზია, რომ აჭარაში ჩასვლისთანავე ყველა პრობლემა მოგვარდებოდა. დიდი ხანია, რაც ცენტრისადმი უნდობლობა გაჩნდა ამ რეგიონის ხელმძღვანელობაში და ერთი ხელის მოსმით ამის მოგვარება შეუძლებელია. დიალოგისას მომავალი თანამშრომლობის პერსპექტივა, საბიუჯეტო ვალდებულებები და უმთავრესი საკითხი – არჩევნებში აჭარის მონაწილეობა განვიხილეთ. არ ვიქნები გულწრფელი, რომ არ ვთქვა – მიშას განცხადებებმა, რა თქმა უნდა, დაძაბა ბატონ ასლანთან დიალოგი. ჩვენი საუბრისას შემოიტანეს მიშას გამოსვლის ვიდეოფირი. მე და ბატონმა ასლანმა ერთად ვნახეთ იგი და რეაქცია ძალზე მძიმე იყო. ბატონი ასლანი აღშფოთდა ამ განცხადებებით, რომლებიც ჩემთვისაც მოულოდნელი გახლდათ. ცხადია, ასეთი განცხადებები ხელს არ უწყობს მოლაპარაკების პროცესს. ჩვენთვის უნიშვნელოვანესია აჭარასთან ურთიერთობის მოგვარება, თუმც მიშას ვეთანხმები, რომ ეს არ უნდა მოხდეს საქართველოს ინტერესების, მისი კონსტიტუციისა და კანონის ხარჯზე. ბატონ ასლანს ვუთხარი, – თუ არჩევნებში აჭარა მონაწილეობას არ მიიღებს, ამას მოწონებით არც დანარჩენ საქართველოში შეხვდებიან და ვერც მსოფლიოში-მეთქი. საპრეზიდენტო არჩევნების 45 დღეში ჩატარება ვინმეს კაპრიზი არ არის და აჭარა ვალდებულია, მონაწილეობა მიიღოს. თუ ვინმეს ბატონი მიხეილი არ მოსწონს, სხვა კანდიდატს მისცეს ხმა, მაგრამ არ შეიძლება აჭარაში საარჩევნო უბნების გახსნაზე უარის თქმა. მოლაპარაკების მეორე რაუნდს ბატონ ასლანთან ზურაბ ჟვანია გამართავს, თუ საჭირო იქნება, მეც ჩავალ აჭარაში. იმედი მაქვს, 4 იანვარს ყველაფერი მშვიდობიანად

ჩაივლის და გაპრეზიდენტების შემდეგ ბატონი მიხეილიც გამართავს დიალოგს ასლან აბაშიძესთან. ვფიქრობ, მოხერხდება ურთიერთობების კანონიერ და სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევა. ორივე მხარეს აქვს ამის სურვილი.

– ასეთი მოლაპარაკების დროს, რა თქმა უნდა (ორივე მხრიდან), რაღაც დათმობაზეა ლაპარაკი. კონკრეტულად, რა პირობა წამოაყენა ასლან აბაშიძემ არჩევნებში მონაწილეობის სანაცვლოდ?

– ულტიმატუმი მას არ წამოუყენებია, არც ადრე და არც ბოლო შეხვედრისას ბატონ ასლანს ჩემთან ამ ფორმით არ უსაუბრია. უბრალოდ, მან აღნიშნა, რომ რეგიონალური და ცენტრალური ხელისუფლების უფლებამოსილებები კანონით უნდა გაიმიჯნოს. ეს საკითხი (რეგიონალიზმი, ქვეყნის ტერიტორიული მოწყობა) იყო და არის ჩვენს საარჩევნო პროგრამაში, მაგრამ პრობლემა ის არის, რომ ამჟამინდელი პარლამენტი საპრეზიდენტო არჩევნებამდე ვერ მოასწრებს ცვლილებების შეტანას კონსტიტუციაში. ჩვენ ვისაუბრეთ მინისტრთა კაბინეტის შემოღებაზეც, რომელსაც ბატონი ასლანიც ემხრობა. სამწუხაროდ, ქვეყნის შიგნითაც და გარეთაც არიან ძალები, რომელთაც ხელს არ აძლევს აჭარის არჩევნებში მონაწილეობა და შეგნებულად ძაბავენ ჩვენ შორის ურთიერთობას. დღეს ნამდვილად გვაქვს ურთიერთობების მოგვარების შანსი. თუმცა არ დაგიმალავთ, ჩემთვის მოულოდნელი და უსიამოვნო იყო, როდესაც აჭარაში შს მინისტრი ისე დაინიშნა, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას ამის შესახებ არც შეატყობინეს. აჭარის ახალ შინაგან საქმეთა მინისტრთან პიროვნული პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ ასეთი საკადრო ცვლილების შესახებ ჩვენ უთუოდ უნდა გვცოდნოდა. იმედი მაქვს, ჩვენი ურთიერთობები ისე დარეგულირდება, რომ მსგავს სიურპრიზებს არც რეგიონი გაგვიკეთებს და არც ცენტრალური ხელისუფლება იკადრებს.

– ასლან აბაშიძემ რამენაირი ფორმით ხომ არ მიგანიშნათ, რომ არ ცნობს ახალ ხელისუფლებას? –

– ბატონ ასლანს არ უგრძნობინებია ჩემთვის – არალეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენელს ვესაუბრებიო. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ჩემი პარლამენტის თავმჯდომარეობა ხომ მაინც არ არის სადავო. ერთადერთი ქვეყანა მსოფლიოში, რომელსაც ახალი ხელისუფლების ლეგიტიმურობაზე დაებადა ეჭვი, რუსეთია. მთელმა მსოფლიომ აღნიშნა – საქართველოში ყველაფერი კონსტიტუციის ფარგლებში მოხდაო. როგორც იურისტი, ამას მეც სრული პასუხისმგებლობით ვადასტურებ.

– იმ საკადრო ცვლილებებს, რომელსაც თქვენ და ზურაბ ჟვანია ახორციელებთ, ზოგჯერ მიხეილ სააკაშვილი არ ეთანხმება და მწვავედ აკრიტიკებს კიდეც. ხომ არ გააჩენს ეს ბზარს საქართველოს ახალ ხელისუფლებაში?

– ჩვენი მუშაობა ბევრად უფრო შეთანხმებულად მიმდინარეობს, ვიდრე წარმომედგინა. ჩვენი მეგობრობის მიუხედავად მეგონა, ჩემი და მიშას ურთიერთობა ბევრად პრობლემური იქნებოდა. სხვადასხვა საკითხზე განსხვავებული აზრი ნორმალური მოვლენაა. ხალხი ქუჩაში იმიტომ გამოვიდა, რომ ერთპიროვნული მმართველობა არ ყოფილიყო და მერწმუნეთ, ჩვენ მართლაც ვუსმენთ ერთმანეთს. ცხადია, ყველა საკადრო ცვლილება არ თანხმდება. მაგალითად, ზურაბ ცქიტიშვილის ვაჟის დანიშვნის შესახებ მეც არაფერი ვიცოდი – აჭარაში გადაფრენის დროს შევიტყვე თვითმფრინავში. სხვა დანიშვნებზე მიშას პრეტენზია არ გამოუთქვამს. შესაძლოა ყველა საკადრო ცვლილება არ არის იდეალური და თავადაც უკმაყოფილო ვარ, მაგრამ ამ ეტაპზე უკეთესი გადაწყვეტილება ვერ მივიღეთ. ჩემს ყველა გადაწყვეტილებას მიშასთან ვათანხმებ მიუხედავად იმისა, რომ მეუბნება, – ისე გააკეთე, როგორც საჭიროდ ჩათვლიო.

– ახალი ხელისუფლება დასაჭერი ხალხის სიების გამოქვეყნებიდან კონკრეტულ ქმედებებზე გადავიდა. კორუმპირებულთა დასჯა კი, ბატონო, კარგია, მაგრამ დაჭერების ტალღას ხომ არ გადაურჩებიან ის დასაჭერები, რომლებმაც მოვლენების ბოლო

მომენტში ალღო აუღეს (მანამდე კი ისევე მოქმედებდნენ, როგორც სხვა ჩინოვნიკები) და რევოლუციას თანაუგრძნეს, ანუ დღეს თქვენს ბანაკში არიან?

– ის, რაც ხდება, პოლიტიკური დევნა ნამდვილად არ არის. არა მგონია, ვინმეს გაუჩნდეს კითხვა, რატომ აღიძრა საქმე ლევან მამალაძის წინააღმდეგ? რატომ აღიძრა საქმე აკაკი ჩხაიძეზე ან კონტროლის პალატის საქმიანობაზე? ამას წინათ მოლაშვილმა ბრძანა, – ხელისუფლებას ვადას ვაძლევ. თუ ჭკვიანად იქნება და თავს დამანებებს, მეც გავჩუმდები, არადა ყველაფერს ვიტყვიო. კი, მაგრამ თუ რამე ჰქონდა სათქმელი, რატომ მალავდა აქამდე? ჩვენი მთავარი პრეტენზიაც სწორედ ის არის, რომ მალავდნენ იმას, რაც უნდა ეთქვათ და მხოლოდ იმას ამბობდნენ, რაც ხელს აძლევდათ. არც ტყუილად ყოფილან გაჩუმებული. კონტროლის პალატის თავმჯდომარემ თავისი ნათქვამით თვითონვე დაადასტურა, რომ პრეტენზია სამართლიანად წაუყენეს. ყველას მივმართავ – ვინც რა იცით, თქვით. ვისზე რა მასალებიც გაქვთ, მოიტანეთ. პრეზიდენტ შევარდნაძესთან 1998 წლიდან ის პრეტენზია მქონდა, რომ დასასჯელ ხალხს არ სჯიდა. თუ მე და ჩემი ახლობლები ვართ დასასჯელი, იმასაც არ აპატიოთ. როდესაც შვილებისათვის აქ ლუკმაპური ვერ უშოვიათ დედებს (და იძულებულნი არიან თურქეთსა და საბერძნეთში მოახლეებად დადგნენ) და ზოგიერთები კი ათეულობით მილიონებს თვალის დაუხამხამებლად იდებენ ჯიბეში, ეს ნორმალურია?! არ უნდა მოვთხოვოთ ასეთებს პასუხი? ხელისუფლებას რომ ეს ხალხი დროზე დაეჭირა, მერწმუნეთ, ამ კაბინეტში დღეს სხვა იქნებოდა და 100-ათასიანი მიტინგები არ გაიმართებოდა. ამიტომ არანაირ სინდისის ქენჯნას არ განვიცდი კორუმპირებული ადამიანების დაპატიმრების გამო. თუ ვინმე მეტყვის და დამისაბუთებს, რომ ვინმე უსამართლოდ ან პოლიტიკურად განსხვავებული მოსაზრების გამო იდევნება, მერწმუნეთ, რადიკალურ ზომებს მივიღებ. მაგრამ დღეს პროკურატურა აკეთებს იმას, რაც ბევრად ადრე უნდა გაეკეთებინა. ვიმეორებ, დამნა-

შავეების დანდობა (რომელ ბანაკშიც არ უნდა იყვნენ ისინი) არ იქნება.

– დღეს საქართველო ეკონომიკური კატასტროფის პირას არის, ასეთ რთულ ვითარებაში ვინ წაგვაშველებს ხელს?

– გვპირდებიან, რომ საქართველოს ფინანსური მხარდაჭერის გარეშე არ დატოვებენ. მსოფლიო იმიტომ გვიცხადებს თანადგომას, რომ დადებითად შეაფასეს, რაც აქ მოხდა, მოეწონათ, ქართველი ხალხის სიმტკიცე. თუ სწორად წარვმართავთ საკადრო, საბიუჯეტო და კორუფციასთან ბრძოლის პროგრამას, უთუოდ დაგვეხმარებიან. აშშ-ის, ევროსაბჭოს, ეუთოსა და ევროკავშირის უპირველესი მოთხოვნა ასეთი იყო – დაგვერწმუნეთ, რომ კორუფციას ებრძვით; რომ ის მილიონები, რომლებსაც სხვებს მოვაკლებთ და თქვენ მოგცემთ, ცალკეული პირის ჯიბეში არ წავა, არ მოხმარდება ვიღაცის მეოთხმოცე ვილის აშენებასო. არავის ვაპატიებ იმას, რომ ნახევარი საქართველო გაუსაძლის პირობებში ცხოვრობს. 50 წლის ადამიანი გელაპარაკება და ხედავ, კბილი აღარ აქვს შერჩენილი იმიტომ, რომ ნორმალური კვება არა აქვს, ვიტამინს ვერ იღებს და თავს ვერ უვლის. ეს უნდა ვაპატიოთ ვინმეს? კი ვიცოდი, რომ ხალხს უჭირდა, მაგრამ ხალხთან ახლო ურთიერთობამ მეტად დამანახვა მათი გასაჭირი. თავზარი დამცა ატირებული, შეურაცხყოფილი მამაკაცების ნახვამ, რომელთაც შვილს წიგნი ვერ უყიდეს, მშობელს წამალი ვერ მიუტანეს, ცოლის გახარებასა და საჩუქარზე ხომ აღარც არის ლაპარაკი. არ მინდა ამის ატანა. ჩვენ თუ გვინდა ნორმალურად გამოვიყურებოდეთ და შვილებიც უზრუნველყოფილნი გვყავდეს, სხვებმა რა დააშავეს?! ვიღაცას მეტი ექნება და ვიღაცას ნაკლები, მაგრამ სირცხვილია საქართველოში ხალხი შიმშილობდეს. როდესაც ქუთაისში მითხრეს, საპონს მეზობლები ერთმანეთისგან ვსესხულობთო, ყურებს არ დავუჯერე...

– როგორ აპირებთ ქვეყანა ამ რთული რიტმიდან ჩვეულებრივ, სტაბილურ რიტმს დაუბრუნდეს და ერთხელ და სამუდამოდ ყველასათვის ნანატრი მშვიდობა დადგეს?

– ქვეყანაში არეულობა იმას უნდა, ვის წინააღმდეგაც უკვე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, ან კიდევ იმას, ვინც სახლში ზის და ელოდება – მის წინააღმდეგ როდის აღიძვრება საქმე. პატიოსან, რიგით მოქალაქეებს და ხელისუფლებაში ახლა მოსულ ხალხს არ უნდა ქაოსი და არეულობა. ჩვენ სისხლხორცეულად ვართ დაინტერესებული ქვეყნის სტაბილურობით, აჭარასთან ურთიერთობის დარეგულირებით, არჩევნების ნორმალურად ჩატარებითა და სიტუაციის გამოსწორებით. ამ ვითარებაში პატრიოტული გრძნობა რომც არ გამოძრავებდეს, პრაგმატული მოსაზრება გიკარნახებს – რადგან ხელისუფლებაში მოხვედი, მოახერხე ისე, რომ ქვეყანაში ყველაფერი კარგად იყოს, რომ ხვალ შენთან არ მოვიდეს 100 ათასი კაცი და არ გიყვიროს – წადიო.

– თქვენი პოლიტიკური ოპონენტების თქმით, ყველაზე დიდი საფრთხე მიხეილ სააკაშვილს თქვენგან და ზურაბ ჟვანიასაგან ელის.

– არ ვაპირებ იმის მტკიცებას, რომ მე და ზურაბ ჟვანია არ ვგეგმავთ მიშა სააკაშვილის მოკვლას. სამარცხვინოა ასეთი ლაპარაკი. თუმც ცხადია, მიშას სერიოზული დაცვა სჭირდება, იმიტომ, რომ მისი და თითოეული ჩვენგანის, ვინც ხელისუფლებაში ვართ, სახით ზოგიერთები სერიოზულ საფრთხეს ხედავენ. მათ გარანტირებული ჰქონდათ თავიანთი შვილების, შვილიშვილების მომავალი და ეს ხალხი, რომელთაც 500 და 600 კილოგრამი ოქრო ჰქონდა ბანკებში შენახული, შესაძლოა დღეს ოთხ კედელს შორის გამოამწყვდიონ – ამიტომ ასე იოლად არ დათმობენ ამ ყველაფერს.

– პრეზიდენტის კაბინეტში როგორ გრძნობთ თავს?

– საოცრად დამთრგუნველი გარემოა, თუნდაც იმიტომ, რომ ჭერია დაბალი და ისეთი შეგრძნება მიჩნდება, რომ აკლდამაში ვარ. ეს დაჯავშნული ფანჯრები ძლივს გავხსენი. პრეზიდენტ შევარდნაძისთვისაც მითქვამს ხშირად – სამარცხვინოა, რომ ამ ოთახში დამტვრეული მაგიდა და სკამები დგას-მეთქი. ნამდვი-

ლად ვერ გავამართლებ პრეზიდენტის გარემოცვას, რომ ვერ უზრუნველყვეს ქვეყნის პირველი პირის სამუშაო კაბინეტის ნორმალურად მოწყობა. ძვირფასი ავეჯის დადგმას არ ვგულისხმობ, მაგრამ ამ ოთახში რომელიმე ქვეყნის დელეგაციის ან ელჩის მიღება სამარცხვინოა.

– შესაძლოა ამ კაბინეტით შევარდნაძე იმის დემონსტრირებასაც ახდენდა, რომ ღარიბი ქვეყნის პრეზიდენტი იყო.

– შესაძლოა, მდიდრულად არ იყოს მოწყობილი ოთახი, მაგრამ სასიამოვნოდ გამოიყურებოდეს. ამ გარემოებაში მუშაობა შეუძლებელია. დილიდან ღამემდე ამ ოთახში ყოფნა წარმოუდგენელია და გულწრფელად თანავუგრძნობ ამის გამო პრეზიდენტს.

– ე. წ. „ვარდების რევოლუცია“ როგორ მოგაგონდებათ?

– ვამაყობ, რომ ამ პროცესში ვმონაწილეობდი, მაგრამ მთავარი ის არის, როგორ დამთავრდება ყველაფერი. დღეს კი მეამაყება და მინდა მომავალშიც ეს განცდა მქონდეს...

იზო რიკაძე

კვირის პალიტრა 2003. – 15-21 დეკემბერი. – №50 – გვ. 7

„ჩემთვის მთავარია არჩევნების ნორმალურად ჩატარება“

საქართველოს მოქმედი პრეზიდენტის ნინო ბურჯანაძის გამოსვლა ქუთაისის მერიაში

მოგესალმებით ყველას კიდევ ერთხელ! ძალიან კარგად ვიცი ქუთაისის პრობლემები და ისიც, რომ ეს პრობლემები, პრაქტიკულად, მთელი საქართველოსთვის ერთია – უშუქობა, უწყლობა, უგზოობა და ბევრი სხვა რამ. ცხადია, დღეს თითოეული ჩვენგანი არჩევნებზე საუბრობს. ორი აზრი არ არის, თუ ქვეყანაში არჩევნები არ ჩატარდა, ვერ ჩავდგებით ცხოვრების ნორმალურ რეჟიმში და პოლიტიკური არეულობა არ მოგვცემს ჩვენი პრობლემების მოგვარების საშუალებას. ამიტომ მინდა, ყველას მოგმართოთ და გთხოვოთ, რომ ხალხს არჩევნებზე მოსვლის საშუალება მივცეთ. როგორც მიმდინარე რეგისტრაციამ გამოავლინა, არჩევნებში მონაწილეობის სურვილი და აქტიურობა იმაზე მეტია, ვიდრე ჩვენ წარმოგვედგინა. არა მარტო ჩემი, არამედ მიხეილ სააკაშვილის თხოვნაც არის, რომ ყველამ, გამგებელი იქნება ეს თუ საკრებულოს თავმჯდომარე, ყველაფერი გავაკეთოთ იმისათვის, რომ ადამიანებს კვლავ შეურაცხყოფა არ მივაყენოთ. ჩვენთვის მთავარია არჩევნების ნორმალურად ჩატარება. საერთაშორისო თანამეგობრობა ისე გვაკვირდება, რომ არანაირი გაყალბება არ უნდა დაუშვათ და ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ არჩევნები ჩატარდეს სამართლიანად. ჩემი და ჩემი თანამოაზრეების, პრეზიდენტობის კანდიდატის აზრია, უმკაცრესად დაისაჯოს გაყალბების ნებისმიერი მცდელობა. ჩვენ დარწმუნებულები ვართ ჩვენს გამარჯვებაში და არ გვჭირდება არანაირი გაყალბება. ასევე

დარწმუნებული ვიყავით წინა არჩევნების დროსაც და რომ არ გაეყალბებინათ, გამარჯვება გარდაუვალი იყო. მოხარული ვარ, რომ ახალ გუბერნატორს, აქვს ძალიან კონკრეტული პროგრამები და გეგმები, რომლის განხორციელებასაც ის აპირებს ახლებური ფორმატით. დარწმუნებული ვარ მის წარმატებაში. დღევანდელ შეხვედრას ესწრებიან საკრებულოს თავმჯდომარეები, წევრები, სასამართლო ხელისუფლება, გამგებლები, მაჟორიტარი დეპუტატები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ყალიბდება თანამშრომლობის ახალი ტიპი. კიდევ რამდენიმე საკითხი, რომელსაც მინდა შევეხო. კარგად ვიცი, რა მდგომარეობა იყო კონკრეტულად ქუთაისში – დაბნელების შემდეგ ხალხს ქუჩაში გამოსვლის კი არა, სახლში ყოფნისაც ეშინოდა. იყო დაყაჩაღების უამრავი შემთხვევა. სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს ყველა, ვინც აწიოკებს ოჯახებს, ქუთაისს, ახლომახლო სოფლებს და მე მგონი, უკვე ჩანს ამის ნიშნები. ტერორისკენ არავის მოვუწოდებ, მაგრამ როგორც კი დავიწყეთ გარკვეული დამსჯელობითი სამართლებრივი მანქანის ამოქმედება, იმ წუთში გაჩნდა წარწერები, რომ 1937 წელია. ღმერთმა დაგვიფაროს 1937 წლისაგან და რამენაირი პოლიტიკური შეკვეთისაგან, მაგრამ გარწმუნებთ, პირველი მე ვიქნები და უმკაცრეს ზომებს მივიღებ, თუ დავინახავ, რომ პოლიტიკური დევნა ხორციელდება და რაღაც გადაწყვეტილება პოლიტიკური მოსაზრებებით არის მიღებული. ჩვენ შორიდან ვერ ვუყურებთ დამნაშავეთა სამყაროს და ამ საქმეში ძალიან დიდი იმედი მაქვს ბატონ ზურაბ ჩიკვაიძის. რადგან დასჯაზე ჩამოვარდა საუბარი, გეტყვით, რომ არ იქნება იმ ადამიანების დაზოგვა, ვისი დაუდევრობისა თუ უსინდისობის გამო სიმწრით დაგროვებული პენსია ხალხამდე ვერ მივა. იმ ხალხს, ვინც პენსიონერების ფულს, ვითომ ტექნიკური მიზეზის გამო დაატრიალებს და საკუთარ ჯიბეში ჩაიდებს, არ ეპატიება! არც ერთი თეთრი არ უნდა დარჩეს სადღაც გაჩხერილი იმის გამო, რომ იქ რაღაც გაუგებრობას აქვს ადგილი. არ მესმის, რომელ საუკუნეში ვცხოვრობთ, რომ ცელოფნის პარკე-

ბით ვატაროთ თანხები, მაშინ როდესაც ბანკი არსებობს. ბიუჯეტისთვისაც მისაღებია, რომ ბანკის მეშვეობით ხორციელდებოდეს ანგარიშსწორება. ის, რომ ვიღაცას ხელს აძლევს ბანკის მეშვეობით გატარდეს ასიათასობით თანხა, იმას ნიშნავს, რომ მის უკან ძალიან სერიოზული ინტერესი დგას. ამის თაობაზე ხმამაღლა უნდა ითქვას! ის პრობლემები, რომლებიც აწუხებს ქუთაისს, ჩემთვის სადარდებელი გახლავთ არა მხოლოდ როგორც ამ ქალაქის მკვიდრისთვის და პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლისთვის, არამედ როგორც მომავალი მაჟორიტარი დეპუტატისათვისაც. მე ვთხოვ ყველას, რომ ჩართულიყვნენ ქალაქის გზების უზრუნველყოფის საკითხში. არსებობს ამ პრობლემის მოგვარების გზები, იგივე მსოფლიო ბანკის პროგრამებში მონაწილეობით. რაც მე ქუთაისში გზები ვნახე, ამას გზა არ ჰქვია. მიკვირს, როგორ არ დაგვიშინა ხალხმა ქვა, რომელსაც არა აქვს შუქი, წყალი (გათბობაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია) და მუხლამდე ტალახშიც დადის. ეს, უბრალოდ, წარმოუდგენელია! ამას ახლა ამ ზამთარში არაფერი ეშველება, თუმცა გუბერნატორსაც და ქალაქის მერსაც უნდა ვთხოვოთ, რომ იქნებ ხრეში მაინც დაყაროონ გზაზე. არა მგონია, ეს კატასტროფულ თანხებთან იყოს დაკავშირებული. რაც შეეხება შუქს, მე მოსკოვში სპეციალური მოლაპარაკებები მქონდა – შევხვდი რუსეთის ბიზნესის ათ ყველაზე ძლიერ წარმომადგენელს, მათ შორის იყო ჩუბაისი და რაპაპორტი, რომლებიც სპეციალურად მოვიდნენ. მათი მხრიდან იყო შეპირება, რომ ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რათა საქართველოს ამ ზამთარს ელექტროენერგიის პრობლემა არ ჰქონდეს, მაგრამ, ყველაფერს ისინი ვერ მოაგვარებენ. როგორ შეიძლება საჩხერე იხდიდეს ასი პროცენტით და არ ჰქონდეს ელექტროენერგია? როგორ შეიძლება ვერ მოვახერხოთ ის, რომ ელემენტარულად, გრაფიკით მივცეთ ქუთაისს დენი? ჩემი კატეგორიული მოთხოვნაა, რომ თუ ორსაათიანი გრაფიკია, ამას მაინც ნუ დავარღვევთ. მინდა გთხოვოთ, რომ უახლოეს დღეებში გრაფიკით მოწოდების საკითხი იყოს კატე-

გორიულად გადაწყვეტილი. ასევე, უნდა შევძლოთ წყლის გრაფიკით მიწოდება. მინდა ქუთაისელებმა იცოდნენ, რომ დავით მუმლაძის თხოვნით, შევხვდი სლოვაკ ბიზნესმენებს, რომელთაც აქვთ ძალიან სერიოზული პროექტი ქუთაისში წყალმომარაგების რეაბილიტაციის და გაუმჯობესების თვალსაზრისით. მე ძალიან კარგად მესმის, რამხელა პასუხისმგებლობა ავიღე, როდესაც ქუთაისს შევპირდი, რომ წყლის პრობლემას მოვაწესრიგებდი; პირადად ჩემი თხოვნა იყო მათდამი, რომ პროექტი მაქსიმალურად სწრაფად მოემზადებინათ. ცხადია, ეს ერთ-ორ თვეში ვერ გაკეთდება, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს პრობლემა ძალიან მალე უნდა გადაწყდეს. გაჩნდა ისეთი იდეაც, რომ საავტომობილო ქარხნით დაინტერესდეს ერთ-ერთი ძალიან სერიოზული რუსული კონცერნი, რომელიც ნახევრად რუსულია და რომლის პაკეტების ნახევარი „ვოლვოს“ საავტომობილო ინდუსტრიას აქვს. ინტერესი ძალიან დიდია და მე არ გამოვრიცხავ, რომ საახალწლოდ დღესასწაულების შემდეგ ჩამოვიდეს გარკვეული ჯგუფი, რომელიც დაინტერესდება საავტომობილო ქარხნის შესაძლებლობებით და გარკვეული პროექტი შეიძლება ამასთან დაკავშირებით დაიდოს. მე არ მინდა ვთქვა, რომ ეს უკვე გადაწყვეტილია, მაგრამ თავისთავად, ინტერესი იმასთან დაკავშირებით, რომ ასეთი პროექტი განხორციელდეს, ნამდვილად არსებობს! ნებისმიერ ადამიანს, რომელიც თავის საქმეს ახორციელებს კეთილსინდისიერად და რომელსაც უყვარს თავისი საქმე, თავისი ქალაქი და, პირველ რიგში, თავის ხალხზე ფიქრობს და მერე საკუთარ თავზე, ჩვენი მხრიდან მაქსიმალური ხელშეწყობა ექნება. პოლიტიკური სიმპათია-ანტიპატიის მიხედვით გარწმუნებთ, არავინ შეირჩევა. თქვენც ალბათ, თვალყურს ადევნებდით, რა ხდებოდა ჩემი მაასტრიხტში, რუსეთში ყოფნის დროს, როდესაც ჩვენი ქვეყნისათვის ახალი შესაძლებლობები გამოჩნდა. ხედავთ, როგორი დახმარება და ყურადღებაა აშშ-ს მხრიდან და ახლა თუ ეს ვერ გამოვიყენეთ, გარწმუნებთ, უახლოესი ორმოცდაათი წელი ჩვენ ასეთი შანსი

აღარ მოგვეცემა. ამიტომ მოგვიწევს მკაცრი ზომების გატარება და მე ძალიან დიდი იმედი მაქვს იმისა, რომ თქვენი მხრიდან იქნება სრული მხარდაჭერა და მაქსიმალური მცდელობა, რომ მოსახლეობას ელემენტარული პრობლემები მაინც გადაუწყდეს. მინდა, თითოეულ თქვენგანს დიდი წარმატებები გისურვოთ. მინდა, მოგილოცოთ დამდეგი შობა-ახალი წელი და გთხოვთ, რომ ის კონკრეტული საკითხები, რომელზეც ჩვენ ვისაუბრეთ, კატეგორიულად იქნეს შესრულებული!

24 საათი 2003. – 29 დეკემბერი. – № 335. – გვ. A2

რა დახვდა ნინო ბურჯანაძეს შევარდნაძის კაბინეტში და როგორ აფასებს თავის პრეზიდენტობას

არ ვიცით, როგორ მოიხსენიებს შევარდნაძე საკუთარ სამუშაო აპარტამენტებს თავისივე მემუარებში, მაგრამ პოლიტმემკვიდრეებს კანცელარიის მეთერთმეტე სართულზე მძიმე მოგონებები დარჩებათ. ნინო ბურჯანაძე შოკირებული იყო, ექსპრეზიდენტის მოსასვენებელი ოთახიც კი საშინლად არაკომფორტული და ჭუჭყიანი ყოფილა. კანცელარიის ახალ დიასახლისს ბევრის შეცვლა მოუწია. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის ოთახი უფრო ნათელია. შევარდნაძეს ფანჯრებზე ყოველთვის ფარდები ჰქონდა ჩამოფარებული, ოთახი ძველი ავეჯითა და სიმკაცრით გამოირჩეოდა. ახლა იქ უამრავი ქოთნის ყვავილია, საახალწლოდ ბურჯანაძემ სამუშაო ოთახში დიდი ნაძვის ხეც დადგა და ფერად-ფერადი სათამაშოებით მორთო. ექსპრეზიდენტი თავის მისაღებში ბევრ წიგნს და საჩუქარს ინახავდა. ბუნებრივია, თაროები ახლა ცარიელია. ერთადერთი, რაც ბურჯანაძეს დახვდა, ეს დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის ოცდაათტომეულია, რუსულ ენაზე. ნინო ბურჯანაძის პრეზიდენტობის ორმოცდახუთდღიანი ვადა უკვე დასრულდა. როგორია მისი შთაბეჭდილებები, რა მდგომარეობაა პრეზიდენტობა და რა შეიძლება ისწავლო ამ მცირე დროში? ქალი-პრეზიდენტი კანცელარიას მალე დატოვებს.

„ალია“ ქალბატონ ნინოს ესაუბრა:

– როგორ შეეჩვიეთ ახალ აპარტამენტებს? ჟვანიამ კანცელარიას მოუხერხებელი და ჩინოვნიკური უწოდა. კომფორტს ვერც თქვენ გრძნობთ?

– ამ გარემოს ადამიანი ძნელად თუ დაარქმევს აპარტამენტებს. აქ ყველაფერი მოუხერხებელი და გამაღიზიანებელია, დაწყებული თავად გარემოთი, ავეჯითა და სკამებით. ვერ გე-

ტყვით, რომ პარლამენტში ჩემი კაბინეტი იყო ადვილად მისაჩვევი. დიდ ოთახს ზედმეტად ოფიციალური სახე აქვს და ადამიანური სითბო აკლია. პრეზიდენტის სამუშაო ოთახის გაადამიანურება ჩემთვის ძალიან რთული იყო. არ ვიცი, პრეზიდენტი ამ გარემოს როგორ ეგუებოდა. ოთახში უამრავი ყვავილი შემოვიტანე, რომ ცოტა „დამთბარიყო“.

– მახსოვს, პარლამენტიდან მოყოლებული, თქვენი ოთახი ყოველთვის გამოირჩეოდა ყვავილებით. როგორც მახსოვს, ჯერ კიდევ ლეკიშვილმა თავისი სახმინისტრობის დროს შესთავაზა შევარდნაძეს მეთერთმეტე სართულის გარემონტება, მაგრამ უარი მიიღო. როგორ ფიქრობთ, რატომ ამბობდა შევარდნაძე უარს კაბინეტის შეცვლაზე ან გარემონტებაზე მაინც?

– არ ვიცი, ეს პრეზიდენტს უნდა ჰკითხოთ. სხვათა შორის, მისი პრეზიდენტობის დროს მეც არაერთხელ შემითავაზებია აქაურობის გალამაზება, ავეჯის გამოცვლა. პრეზიდენტი ამბობდა ხოლმე, ქვეყანაში მძიმე ვითარებაა და ამის დრო არ არისო. ეს შეიძლება გასაგებია, მაგრამ არ ვეთანხმები. ჯერ ერთი, ადამიანმა რომ თავისი მოვალეობა შეასრულოს, მას ნორმალური სამუშაო პირობები სჭირდება და არა დავუშვათ, სკამი, რომელსაც ელემენტალურად ვერ გამოაჩოჩებ, რომ დაჯდე. მეორეც, ქვეყნის პრეზიდენტი და გარემო, სადაც ის მუშაობს, არის ქვეყნის სახე. მე უხერხულად ვგრძნობ თავს, როცა უცხოელი სტუმრები ამ ოთახებში შემოდიან. აქ ყველაფერი საბჭოური ეპოქით არის გამსჭვალული. ქართველი ხალხი არ იმსახურებს იმას, რომ როცა „სიენენზე“ ან „ბიბისიზე“ გადაიცემა რეპორტაჟი, როგორ გადმოსცემს ელჩი სიგელს პრეზიდენტს და ამ დროს ჩანს რაღაც საშინელი, უგემოვნო ავეჯი...ძალიან ბევრ ადამიანს, რომელიც ამას ხედავს და არ იცის საქართველოში არსებული ვითარება, დარჩება შთაბეჭდილება, რომ, უბრალოდ, ჩვენ ვერ ვხვდებით, რომ ეს წარსულის საშინელი გადმონაშთია.

– პრეზიდენტის სამუშაო ოთახში თქვენ ადრეც ყოფილხართ, მაგრამ ალბათ პირველად შეხვედით მის მოსასვენებელ ოთახში. იყო ისეთი რამ, რამაც გაგაოცათ ან გაგაკვირვათ?

– გავოცდი და აღვშფოთდი იმით, რომ იქ უკეთესი კი არა, ამ ცენტრალურ ოთახთან შედარებით უარესი პირობები დამხვდა. მართლა ძალიან გამიკვირდა. ვერ წარმომიდგენია, ამდენი წელი ასეთ პირობებში როგორ შეიძლებოდა აქ მუშაობა და ან მოსვენება. მაგრამ ახლა ამაზე საუბარი არ მსურს, ეს ჩემი გასარჩევი არ არის, რა პირობებში და როგორ ცხოვრობდა ის. უბრალოდ, ვთქვი, რომ იმ ადამიანებს, ვინც მილიონები იშოვა ედუარდ შევარდნაძის ავტორიტეტსა და სახელს ამოფარებულებს, შეეძლოთ პრეზიდენტისთვის ნორმალური მოსასვენებელი ოთახი მოეწყოთ, ნორმალური სავარძელი და სკამი დაედგათ და ლამის არა დამტვრეული. უბრალოდ მართლა გაოცებული ვარ.

– როცა პრეზიდენტი ხდები, რა იცვლება? ეს ალბათ, სულ სხვა მდგომარეობაა?

– მართლაც, საპასუხისმგებლოა. განუსაზღვრელად ყველაფერი, რაც ხდება, შენ გეხება. პარლამენტის თავმჯდომარე ბევრ რამეზე აგებს პასუხს, მაგრამ ის ერთი კონკრეტული შტოს ხელმძღვანელია. პრეზიდენტის ვალდებულება გაცილებით დიდია. იცვლება ბევრი რამ, სფერო, კომპეტენცია იმ საკითხებისა, რომელიც შენს კომპეტენციაში შედის. იცვლება თავისუფლების ხარისხი, გემატება დაცვა. დიდი თავისუფლებით არც პარლამენტის თავმჯდომარის პოსტზე გამოვირჩეოდი, მაგრამ ახლა ლამის ის რეჟიმი მომენატრა. ახალი რეჟიმი მძიმეა. ცუდი ის არის, რომ ჯერჯერობით ამის კონტროლს ვერ ვახერხებ. მიშა, ალბათ, უფრო დაალაგებს. წინა სისტემა ძალიან ბევრი რაღაცით ერთ ადამიანზე იყო მიბმული და ახლა ბევრი რამ შეიცვლება. ჩვენ მოვახერხეთ ის, რომ დაცვა არ იყოს ასეთი აქტიური, რომ როცა მე ხალხთან მივდივარ. 31-ში, მაგალითად, როცა მოედანზე მივედი და შევეცადე, ხალხთან მივსულიყავი, მიმელოცა ადამიანებისთვის, ამან ისეთი დისკომფორტი შემოიტანა თავად ხალხისთვის... დაცვამ დაიწყო ადამიანების გაწევა, რასაც ცხადია, მოჰყვა უხერხულობა, ხალხი შევიწროვდა, ზოგი ზედმეტად, ძალით გასწიეს და მეც

უკან დავიხიე, თუმცა ძალიან მინდოდა, ადამიანებს ადამიანურად დავლაპარაკებოდი.

– თქვენ ცვლილებები ახსენეთ. არის თუ არა უკვე შეთანხმებული, როგორ დანაწილდება უფლებები სამეულს შორის?

– იცით, ყველა დეტალი, ბუნებრივია არა, მაგრამ ძირითადი მიმართულებები მოლაპარაკებულია. ჩვენ მინისტრთა კაბინეტის დონეზე ვმუშაობთ, რომელიც თავისთავად კონსტიტუციას ისე დაალაგებს, რომ უფლებამოსილების გამიჯვნა მოხდება. მინდა იმედი ვიქონიო, რომ საკამათო საკითხებიც გადაწყდება.

– ყველაზე დიდ დავას რა იწვევს?

– სიმართლე გითხრათ, ბევრად უფრო ნაკლები საკითხები გვქონდა სადავო, ვიდრე შეიძლება წარმომედგინა. მე და მიშას პრაქტიკულად არ გვიკამათია.

– ეს თქვენ გაოცებას იწვევს?

– დიახ, დასამალი რა არის, რომ ჩვენ, მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის მეგობრები და თანამოაზრეები ვიყავით ჯერ კიდევ იურიდიული კომიტეტიდან მოყოლებული, ძალიან ხშირად ვდაობდით და ვკამათობდით. ხან მიშა იყო მართალი და ხან – მე, რაც ნორმალურად მიმაჩნია. სულაც არ არის კარგი მაინცდამაინც ერთ ხმაში ლაპარაკი. ბოლო პერიოდის პოლიტიკური თვალსაზრისით გზების დაშორების შემდეგ ბევრი რამ დალაგდა. იმედი მაქვს, რომ ასე გაგრძელდება. მაგრამ დავას, კამათს, აზრთა სხვადასხვაობას არ გამოვრიცხავ, მაგრამ ჯერ-ჯერობით გვყოფნის იმის ჭკუა, რომ ერთმანეთს მოვუსმინოთ და იმის აზრს დავეთანხმოთ, ვინც იმ კონკრეტულ შემთხვევაში მართალია.

– თქვენ ყველაზე მაღალი რეიტინგი გქონდათ, ანუ თქვენი გაპრეზიდენტების შემდეგ შანსები ძალიან მაღალი იყო. ფსიქოლოგიურად მოგიწიათ სააკაშვილის ფაქტორთან შეგუება. ეს რთულად გადაიტანეთ?

– ნამდვილად არა, აბსოლუტურად გულწრფელად ვამბობ. ჩემთვის ფსიქოლოგიურად უფრო რთული იყო, რომ მე განვწყობილიყავი პრეზიდენტობისთვის. გულწრფელად გეუბნებით,

საპრეზიდენტო კამპანიას არ ვაწარმოებდი. თუ გახსოვთ, იმასაც ვამბობდი, რომ საპრეზიდენტო არჩევნებამდე, ანუ 2005 წლამდე ჯერ ძალიან შორს არის და მაშინ ვნახოთ, ვიქნები თუ არა პირადად მე მზად პრეზიდენტობისთვის, ან როგორ დალაგდება 2005 წლისთვის რეიტინგები-მეთქი. პრეზიდენტობა ჩემი თვითმიზანი არ ყოფილა. ასევე გულწრფელად შემიძლია გითხრათ, რომ პრეზიდენტობა ჩემთვის დიდი პასუხისმგებლობაა. ეს 31 დეკემბერი ჩემთვის ყველაზე მძიმე 31 დეკემბერი იყო. ადგილს ვერ ვპოულობდი, სანამ ის სადღესასწაულო არაჩვეულებრივი ზეიმი არ დასრულდა; სანამ არ მივიღე ინფორმაცია, რომ ხალხი დაიშალა და ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. ქვეყანა, სადაც აფხაზეთი დასაბრუნებელია, სამაჩაბლო დასაბრუნებელია, 14-ლარიან პენსიასაც ვერ გასცემ.

– შეიძლება პირადად თქვენ არა, მაგრამ ოჯახის წევრებს, რომლებიც ასევე მოელოდნენ თქვენს პრეზიდენტობას, გაუჭირდათ სხვა კანდიდატის მიღება?

– არანაირად, არავის ჰქონდა ის ამბიცია, რომ აუცილებლად პრეზიდენტი უნდა გავმხდარიყავი. ოჯახი მხარში მედგა, ისინი ჩემთან ერთად იბრძოდნენ და როდესაც მოისმინეს პირდაპირი ჩართვა, სადაც მიხეილ სააკაშვილი ერთიან კანდიდატად გამოვაცხადეთ, ბადრიმ დამირეკა და მითხრა: „ასეთი ბედნიერი პირველად ვარ ბოლო წლების განმავლობაში. პრეზიდენტი რომ ყოფილიყავი, საერთოდ ვერ გნახავდიო“. მიშამ დაიმსახურა პრეზიდენტობა. დაიმსახურა იმით, რომ მოიგო საპარლამენტო არჩევნები, დაიმსახურა იმით, რომ მართლა იყო რევოლუციის ლიდერი. ჩემი წვლილი რევოლუციაში შევიტანე, მაგრამ იმას, რაც მიშამ გააკეთა, მე ვერ გავაკეთებდი. ძალიან მინდა, რომ ის წარმატებული იყოს.

– მახსოვს, ჟვანიამ 1999 წელს ერთ-ერთ პირად საუბარში თქვა: ჩემი ამბიცია სულაც არ არის გავხდე პრეზიდენტი. მე ბევრად დიდი ამბიცია მაქვს: მინდა, რომ ევროპაში საქართველოს გაწევრიანება ბევრწილად სწორედ ჩემს სახელს უკავშირდებოდესო. თქვენი პოლიტიკური ამბიცია როგორია?

– მე ძალიან მინდა, რომ წვლილი შევიტანო ჩემი ქვეყნის ხვალინდელ დღეში. მიმაჩნია, რომ რაღაცის გაკეთება ამ ქვეყნისთვის ნამდვილად შემიძლია. ყოველ შემთხვევაში, ჩემი შესაძლებლობები ჯერჯერობით ამოწურული არ არის.

– სამეულში თქვენ ერთადერთი ქალბატონი ხართ, ვინც პოლიტიკაში ამინდს ქმნის. არ გიჭირთ მამაკაცების გვერდით?

– მაინცდამაინც არ მიჭირს. პირდაპირ გეტყვით, გულწრფელად ვთვლი, რომ არც ერთი იმ თვისებით, რაც პოლიტიკოსს სჭირდება, მათ განსაკუთებულად არ ჩამოუვარდები. თუმცა როგორც ჩანს, მამაკაცებს მაინც აქვთ ის განწყობა, რომ მათ რაღაც უკეთ იციან. ცდილობენ, ეს ჩემთან აღარ გამოამჟღავნონ, იმიტომ რომ შესაბამისად უკურეაქციას იღებენ.

– ანუ ასეთი შემთხვევები იყო?

– ქვეშეცნეულად. არის შემთხვევები, როცა ცდილობენ განსაკუთრებული არგუმენტების გარეშე მოგვახვიონ თავიანთი აზრი. არა მგონია, დიდად გამოსდიოდეთ ხოლმე. ყველა ადამიანს სურს, მეორეს დაუმტკიცოს, რომ მისი აზრი უფრო სწორია. ხანდახან შეიძლება, ჩემი მხრიდან არის სურვილი, რომ ჩემი აზრი სხვას მოვახვიო თავს.

– საპარლამენტო არჩევნები მარტისთვის იგეგმება. სხვა პოლიტიკური ძალები რამდენად მოასწრებენ მომზადებას?

– იმედი მაქვს, მოასწრებენ. თუ ვერ მოასწრებენ, არ ჩავატაროთ არჩევნები? არანაირი სურვილი არ მაქვს ერთპარტიული პარლამენტი მივიღოთ. მეორე მხრივ, ასე ჩვენ გაუთავებლად შეიძლება ვთქვათ, პარტიები მზად არ არიანო, მაგ არგუმენტით, ჩვენ არც საპარლამენტო არჩევნები არ უნდა ჩაგვეტარებინა. არც ერთი კანდიდატი მზად არ იყო მიხეილისთვის კონკურენცია გაეწია.

– ინაუგურაცია სად გაიმართება?

– ამ თემაზე მე და სახმინისტრი ვსაუბრობდით დღეს. მე მას ვთხოვე, რომ რამდენიმე დღეში საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ.

– თქვენ ხშირად ტეტჩერს გადარებენ. ტეტჩერის ოჯახი მას ხელს ყველაფერში უწყობდა. მისმა მეუღლემ ერთხელ გულ-

წრფელად აღიარა, რომ სადილების კეთებაც კი უწევდა ხოლმე ხშირად. თქვენი ოჯახი ხელს გიწყობთ?

– დიახ. ახლა ჩემს ქმარს სადილების კეთება არ უწევს, დედა აკეთებს ხოლმე. თუმცა, იყო პერიოდი, როცა ბადრი ძალიან მეხმარებოდა, განსაკუთრებით ჩვენი ქორწინების პირველ დღეებში. მე განსაკუთრებული ხელმარჯვეობით არ გამოვირჩეოდი. ის კი, როგორც მარტოხელა სტუდენტი, რომელიც მიჩვეული იყო თვითმომსახურებას, ხანდახან ძალიან გემრიელ სადილებს ამზადებდა. მამაჩემიც ძალიან გემრიელად აკეთებს, როცა აკეთებს. ბადრი ძალიან მეხმარებოდა, როცა ანზორიკოზე ვიყავი ფეხმძიმედ, თითქმის არაფერს მაკეთებინებდა. ძალიან მიწყობს ხელს. როცა ასეთი არანორმალური გრაფიკის შემდეგ ადამიანი სახლში ბრუნდება და მას იქაც პრობლემები ხვდება, ჩასაფრებული ჰყავს უახლოესი ადამიანი კრიტიკით – რა ვერ გააკეთე სახლში და რა გააკეთე – უბრალოდ, ვერაფრის გაკეთებას ვერ შეძლებს. ამ მხრივ, ძალიან გამიმართლდა. მეუღლისთვის ძალიან მძიმეა, არ ვიცი, რამდენად გამიხარდებოდა პირადად მე, ჩემი რძალი რომ ამ გრაფიკით მუშაობდეს.

– ისე თქვენთვის პრეზიდენტობა ალბათ დიდი გამოცდილება იყო?

– უდავოდ დიდი გამოცდილება იყო.

– როგორ შეგიძლიათ ამ 45 დღის დახასიათება: ეს თქვენთვის კრიტიკული პერიოდი იყო თუ რთული?

– მაინც რთული. კრიტიკულს არ ვიტყოდი. ღმერთის დახმარებით ეს პერიოდი კატაკლიზმების გარეშე გადავიარეთ. ამიტომაც კრიტიკულს ვერ დავარქმევდი.

– რა ისწავლეთ ამ პერიოდში: მოთმინება, ძალაუფლებისადმი დამოკიდებულება თუ მართვა?

ალბათ, ყველაფერი ერთად. რა ვისწავლე, მომავალში გამოჩნდება.

ქეთი ხატიაშვილი

ალია 2004. – 6-7 იანვარი. – №2. – გვ. 4

რუსეთიდან გამოგზავნილმა ფულმა იხსნა საქართველო

4 იანვარს საქართველომ აირჩია პრეზიდენტი. რა ელის ახლა ქვეყანას? ამის შესახებ ჟურნალ „ოგონიოკის“ კორესპონდენტი ბორის გორდონი ესაუბრა ნინო ბურჯანაძეს, რომელიც ჯერ კიდევ ასრულებს საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას.

– ვინ არის მიხეილ სააკაშვილი?

– მიხეილი უაღრესად ნიჭიერი ადამიანია. ეს შემიძლია ერთმნიშვნელოვნად გითხრათ. თანაც იგი ძალზე გულახდილია, რაც, პრინციპში, არ არის დამახასიათებელი პოლიტიკოსისათვის. ეს არის ჩვენი მუდმივი კამათის საგანი – განა დასაშვებია ასეთი გულახდილობა? ხშირად მითქვამს მისთვის: „რაც ახლა შენ თქვი, შეგეძლო ოდნავ შერბილებულად მაინც გეთქვა“. მაგრამ იგი დაჩვეულია თქვას პირდაპირ ის, რასაც ფიქრობს. იგი უაღრესად გულღია და ემოციური ადამიანია.

– იქნებ ეს საქართველოში უფრო მიღებულია, ვიდრე რუსეთში?

– შესაძლოა ასეც იყოს. ბოლოს და ბოლოს, ყველას თავისი სტილი აქვს. მაგრამ ვფიქრობ, რომ დროთა განმავლობაში მიხეილიც შეიცვლის მას. ეს უკვე ნამდვილად აღარ იქნება ოპოზიციონერის სტილი.

– მისი ამა თუ იმ საკითხში დარწმუნება ან გადარწმუნება ადვილია თუ – არც ისე?

– ეს იოლი საქმე არ გახლავთ, მაგრამ მას შეუძლია მოსმენა. თვით კამათის დროსაც კი (თქვენთვის, ალბათ, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ცხარედ კამათობენ საქართველოში) იგი აფიქსირებს თანამოსაუბრის ყველა რაციონალურ მოსაზრებას. ზოგჯერ დაგვიწყებია კიდეც, თუ რაზე ვკამათობდით, მიშას კი

მეორე დღეს დაურეკავს და უთქვამს: „იცი, ნინო, მე ყველაფერი გავაანალიზე – ამ საკითხში შენ აბსოლუტურად მართალი იყავი. ჩინებული აზრია, უნდა მოვსინჯოთ“. ეს ძალზე მნიშვნელოვანი ნიშათვისებაა პოლიტიკოსისათვის.

– ამ დღეებში ერთმა რუსმა პოლიტოლოგმა თქვა, რომ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის მთელ სივრცეში ხელისუფლების სათავეში მისვლას ცდილობენ პოლიტიკოსები, რომლებმაც განათლება მიიღეს დასავლეთის ეგრეთწოდებულ „მეხუთე კოლონას“ პოსტსაბჭოურ ელიტაში. რუსეთის სტრატეგიული ამოცანაა, არ დაუშვას მათი მოსვლა ხელისუფლების სათავეში, რადგან ამ შემთხვევაში რუსეთის ინტერესებს თანამეგობრობის სივრცეში ხაზი გადაესმება. მაგალითის სახით მან მოიყვანა მიხეილ სააკაშვილი. რას იტყვით ამის შესახებ?

– თქვენ თვითონ დაფიქრდით: სააკაშვილმა დაამთავრა კიევში საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტი, წავიდა სასწავლებლად შეეთებულ შტატებში...

– თუ არ ვცდები – მაგისტრატურაში?

– მგონი ასეა. შემდეგ განაგრძო სწავლა ევროპაში. ახლა მითხარით – თუ იგი „მეხუთე კოლონაა“, მაინც ვისი?

– როგორც ჩანს, იგი კუზმას აგენტი უნდა იყოს. სხვაგვარად არ შეიძლება.

– ახლა ერთ საიდუმლოს გაგიმხელთ – მე მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვსწავლობდი. გამოდის, რომ ქართველებმა მეც უნდა მიმიჩნიონ „მეხუთე კოლონად“? ყველაზე საინტერესო, რომ ის ადამიანები, რომლებიც ამას საყვედურობდა მიხეილს, თავიანთ შვილებს მაინც გზავნიან ჰარვარდში.

– რამდენადაც მახსოვს, საქართველო აპირებს ნატოში შესვლას. ასეთ შემთხვევაში, როგორ შეძლებთ რუსეთთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას?

– ნატოს წევრ მრავალ ქვეყანას ხომ შესანიშნავი ურთიერთობა აქვს რუსეთთან. მაშ, რატომ არ შეიძლება საქართვე-

ლოსაც კარგი ურთიერთობა ჰქონდეს? ეს რაღაც აბსოლუტურად გაუგებარი კლიშეა – თუ მეგობრობ ამერიკასთან აღარ შეგიძლია იმეგობრო რუსეთთან. არადა, თვით რუსეთსაც ხომ ძალზე კარგი ურთიერთობა აქვს ამერიკასთან!

– ახალი ხელისუფლება როგორ აპირებს მორიგების მიღწევას აფხაზეთთან? ეს შესაძლებელია?

– რა თქმა უნდა, შესაძლებელია. როგორ ფიქრობთ, განა შევძლებდით ჩვენ აფხაზებთან და ოსებთან ერთად ცხოვრებას ამდენი ხნის განმავლობაში, მართლაც რომ მტრები ვყოფილიყავით? ჩვენ უთუოდ მივაღწევთ მორიგებას.

– როგორც ჩინელები აცხადებდნენ მთელი მსოფლიოს გასაგონად, მათ შეუძლიათ იმდენ ხანს მოიცადონ, სანამ ტაივანი მომწიფდებოდეს ჩინეთთან შეერთებისათვის...

– ალბათ, ჩინეთისათვის უფრო იოლია ამ პრობლემის გადაჭრა, რადგან მათ არ ჰყავთ ტაივანიდან ლტოლვილები. ჩვენ კი გვყავს აფხაზეთიდან ლტოლვილი 300 ათასი კაცი, რომლებიც გაუსაძლის პირობებში ცხოვრობენ. ამიტომ მოგვიწევს საკმაოდ სწრაფად მივაღწიოთ მორიგებას. მაგრამ ჩვენ ახლა სრულიად ახალ საფუძველს ჩავუყრიით რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას, თუ რუსეთი გახდება ნამდვილი შუამავალი სეპარატისტებთან მოლაპარაკების პროცესში. თუ სეპარატისტები მართლა იგრძნობენ, რომ მოსკოვის გარკვეული წრეები მათ აღარ უჭერენ მხარს, გარწმუნებთ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები ძალზე სწრაფად მოგვარდება.

– ახალმა ხელისუფლებამ უნდა წამოაყენოს, ალბათ, გარკვეული ეკონომიკური პროგრამა, გასცეს პასუხი ასეთ კითხვას: რისი გატანა შეუძლია საქართველოს მსოფლიო ბაზარზე. ერთმა თქვენმა ცნობილმა ბიზნესმენმა ამ ცოტა ხნის წინათ თქვა, რომ ერთადერთი, რისი შეთავაზებაც შეუძლია საქართველოს მსოფლიოსათვის, ეს არის ქართული სუფრა. თქვენ ეთანხმებით ამ მწარე ირონიას?

– ვერავითარ მწარე ირონიას აქ ვერ ვხედავ. ჩვენ ტრადიციულად აგრარული ქვეყანა ვიყავით და არასოდეს არ გვრცხვე-

ნოდა ამისი. გარდა ამისა, ვიყავით ტრადიციულად ტურისტული ქვეყანა. თქვენ კი, ალბათ, კარგად იცით, რომ ტურისტისთვის ასევე საკმაოდ მნიშვნელოვანია...

– ეგზოტიკური ეროვნული სამზარეულო?

– მართალს ბრძანებთ. აი, თქვენ თვითონვე უპასუხეთ კითხვას იმის თაობაზე, თუ რისი გატანა შეუძლია საქართველოს მსოფლიო ბაზარზე. თქვენ ხომ წარმოდგენაც კი არა გაქვთ, თუ რამდენი საინტერესო რამ შეგვიძლია ვუჩვენოთ ტურისტებს. უფრო მეტსაც გეტყვით – მრავალმა ქართველმაც კი არ იცის, თუ რამდენად ლამაზია ჩვენი ქვეყანა. მე თვითონ ისეთ ოჯახში გავიზარდე, რომ ხშირად მიწევდა მოგზაურობა მთელ საქართველოში. დარწმუნებული ვიყავი, რომ ყველაფერი ვიცოდი. შემდეგ დავიწყე პოლიტიკური კარიერა და კვლავ მომიწია მთელი საქართველოს შემოვლა. ჰოდა, მაშინ მივხვდი, რომ იმის მეათედიც კი არ მცოდნია, რაც ჩვენ გვქონდა. როცა თქვენთან, დაღესტანში, მოხდა უბედურება, ვერტმფრენით გავფრინდი, რათა დამეთვალიერებინა ჩვენი საზღვარი ჩეჩნეთთან და დაღესტანთან – საკუთარი თვალით უნდა მენახა, საიმედოდ იყო თუ არა იგი ჩაკეტილი. თითქოსდა ასეთ ვითარებაში ბუნებით ტკბობის დრო არ იყო, მაგრამ როცა დავინახე ეს მთები, დათოვლილი მიუვალი ფერდობები, უბრალოდ სუნთქვა შემეკრა. კარგად მაქვს შეგნებული, რომ ჩვენ გვჭირდება სრულიად განსხვავებული პილოტიკური და ეკონომიკური სიტუაცია, რათა შევძლოთ ტურიზმით გარკვეული სახსრების მოზიდვა, მაგრამ ოდნავი ეჭვიც კი არ მეპარება იმაში, რომ ჩვენ ამის მიღწევას შევძლებთ.

– მაგრამ ჯერჯერობით ეკონომიკური სასწაული არ მომხდარა საქართველოში, თუნდაც როგორღაც მაინც ჩამოყალიბდა საშუალო კლასი?

– ვფიქრობ, რომ არა. შედარებით შეძლებული ადამიანების ძალზე პატარა ფენა ჩვენში უკვე არის. მაგრამ ეს ნამდვილად არ არის საშუალო კლასი. არიან ადამიანები, რომლებიც კარგ ხელფასს იღებენ კომერციულ სტრუქტურებში ან საერთა-

შორისო ორგანიზაციებში, მაგრამ მათი რიცხვი მცირეა. მასობრივი საშუალო ფენა არ გვყავს. სერიოზული ქართველი პოლიტიკოსებისათვის ეს მრავალ პრობლემას ქმნის – საშუალო კლასის გარეშე სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობა წარმოუდგენელია.

– მდიდრები თუ არიან ახლა საქართველოში?

– არიან. ჩვენთან საზოგადოების საკმაოდ ძლიერი პოლარიზაციაა – ადამიანები ან ძალზე მდიდრები არიან, ან – ძალზე ღარიბები. მდიდართა რიცხვიც, სამწუხაროდ, ძალზე მცირეა.

– რატომ „სამწუხაროდ“? რუსეთში ახლა მრავალი პოლიტიკოსი მხოლოდ იმაზე თუ ოცნებობს, რომ მდიდრები არ გვყავდეს.

– სამწუხაროდ – იმიტომ, რომ საქართველოში მეტი მდიდარი რომ იყოს, იქნებოდა, ელემენტარულად, მეტი სამუშაო ადგილი და გადახდილი გადასახადები. მაგრამ ჩვენში მდიდრები ცოტა არიან. შეიძლება ვილაპარაკოთ რამდენიმე ასეულ ოჯახზე, ყველაზე მეტი – ათასზე. ღარიბები და ძალზე ღარიბები კი უმრავლესობას შეადგენენ. გახსოვთ 90-იანი წლების დამდეგის მოსკოვი, როცა თქვენთან ყველა ყველაფრით ვაჭრობდა? თბილისიც დღეს დაახლოებით ასე გამოიყურება. ქალაქის მეტი უბნები გადაქცეულია უზარმაზარ ბაზრობებად, ერთ მთლიან ბაზრად.

– მოკლედ რომ ვთქვათ, საქართველო დაღუპვას გადაარჩინა სოფელმა და ვაჭრობამ. და კიდევ იმ ადამიანებმა, რომლების სხვა ქვეყნებში გაემგზავრნენ ფულის საშოვნელად. სხვა, კაცმა რომ თქვას, არაფერია. იყო ძალზე მძიმე ეკონომიკური სიტუაცია და სოციალური ფონიც ასევე მძიმე იყო. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ყოველთვიური პენსია, რომელიც სულ რაღაც 7 დოლარს უდრის?

– ძალზე გამიჭირდება ამის წარმოდგენა.

– ჩვენში კი ეს ჩვეულებრივი საქმეა. არადა, ფასები თბილისში ოდნავ თუ ჩამოუვარდება მოსკოვისას. ჩვენ შევძელით

თავის გატანა, როგორც ვფიქრობ, ქართული ხასიათის წყალობით.

– რას გულისხმობთ?

– ყველა ეხმარებოდა ერთმანეთს. მეზობელი – მეზობელს, ნათესავი – ნათესავს. თუ რომელიმე ოჯახს სოფლიდან გამოუგზავნიდნენ სურსათს, ისინი მათ უნაწილებდნენ არა მარტო თავისიანებს, არამედ მეზობლების ოჯახებსაც. ის ქართველები, რომლებიც ლუკმაპურის საშოვნელად გამოემგზავრნენ რუსეთში, ფულს უგზავნიდნენ არა მარტო თავიანთ ოჯახებს, არამედ – მეგობრებსაც.

– მაგრამ განა ჩვენთან ბევრის შოვნას შეძლებს კაცი? გასტარბაიტერები ხომ რუსეთში ყველაზე შემოსავლიან ადგილებზე ვერ ეწყობიან სამუშაოდ.

– ვიცი. მაგრამ წარმოიდგინეთ, ადამიანი, თვით ამ შემთხვევაშიც კი, როცა ძალზე მცირე ფულს შოულობდა, მაინც ახერხებდა რაღაცის გაგზავნას მეგობრებისა და ნათესავებისათვის. მრავალი ქართველი შოულობს ლუკმა-პურს რუსეთში და ჩვენ მადლობას ვუხდით იმათ, ვინც მათ აქ ეხმარება ან თანაუგრძნობს.

– ან ყველა ნორმალურ ადამიანს, რომლებიც კავკასიელების მიმართ მტრულად არ არიან განწყობილები?

– დიახ.

„ოგონიოკი“ , 2004 წლის 5-11 იანვარი.

საქართველოს რესპუბლიკა 2004. -10 იანვარი. – №7. – გვ. 1-3

არ გაპატიებენ, თუ დაინახეს, თავისი გაინაღდა და ჩვენ აღარაფრად გვაგდებსო...

„პრეზიდენტი ისეთ კაბინეტში დაჯდება,
როგორც მის ღირსებას ეკადრება“

„არ ვაპირებ მის დაჩაგვრას იმის გამო,
რომ ჩემი ქმარია.“

„ბადრი ბიწაძის „დანაშაული“ მხოლოდ ის არის,
რომ ნინო ბურჯანაძე მოიყვანა ცოლად“

ბატონ ასლანს არ უთქვამს, „კმარელების“ დაპატიმრება შეთანხმებული იყოო. უბრალოდ, ჩვენ გვქონდა საუბარი და გამოვხატე შეშფოთება იმ მოვლენების გამო, რაც ხდება აჭარაში. ბატონ ასლანს ვთხოვე, თქვენ ჩაერთეთ იმ პროცესებში, რაც ავტონომიის ტერიტორიაზე ხდება-მეთქი. ვფიქრობ, მოვახერხებთ, რომ აჭარაში მოვლენები ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს.

...ცუდს და საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ ჩვენ უმრავლესობა გვეყოლება პარლამენტში. როგორც ჩანს, საქართველოს მოქმედ პრეზიდენტს სურვილები უსრულდება. გასულ წელს „კვირის პალიტრასთან“ საახალწლო ინტერვიუში ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, – საქართველოს მოსახლეობა უკეთეს ხელისუფლებას იმსახურებსო. ასე აგიხდეთ ყველაფერი კარგი, – ახალ წელს საქართველო ახალი ხელისუფლებით შეხვდა, თუმცა რამდენად უკეთესები იქნებიან ახლები, დრო გამოაჩენს. ხალხმა თავი არ დაზოგა, ახალ პრეზიდენტს თავისი ხმა დაუნანებლად მისცა და თანადგომაც აღუთქვა.

ქალბატონ ნინო ბურჯანაძესთან საუბარი სწორედ ახლად ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების თემით დავიწყეთ:

ჩვენთვის მოულოდნელი არ ყოფილა მიხეილ სააკაშვილის ამდენი პროცენტით გამარჯვება. ასეთი შთამბეჭდავი წარმატება ორმა ფაქტორმა განაპირობა – იმან, რომ ბატონ მიხეილს რეალური ალტერნატივა არ ჰყოლია, მეორე კი ის გახლავთ, რომ მან დაიმსახურა გამარჯვება. სააკაშვილმა იბრძოლა და მოიგო რევოლუციური ბრძოლა, რაშიც მას მოსახლეობის ძალზე დიდი მხარდაჭერა ჰქონდა.

– 28 მარტს დანიშნულმა საპარლამენტო არჩევნებმა ოპოზიციის უკმაყოფილება გამოიწვია – ახალი ხელისუფლება საკუთარი წარმატების პიკზე ასწრებს არჩევნების ჩატარებასო.

– გარწმუნებთ, ახლა ნამდვილად არ არის ჩვენი წარმატების პიკი. წარმატების პიკებს მომავალში ველოდებით. ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე, თუ ამ ნიშნულს ვერ ავცდით. დარწმუნებული ვარ, სირთულეების მიუხედავად, მეტი გვექნება ხალხისთვის სათქმელი, ვიდრე დღეს. რაც შეეხება არჩევნების თარიღს, პოლიტიკურად უფრო ადრეც ჩატარდება. სწრაფად უნდა დამთავრდეს საარჩევნო პროცედურები, ქვეყანა სწრაფად უნდა ჩადგეს ნორმალურ კალაპოტში. ჩვენ გავითვალისწინეთ საერთაშორისო თანამეგობრობის აზრი, რომელმაც გვთხოვა, საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები ერთად არ ჩაგვეტარებინა. ჩვენ გავითვალისწინეთ ჩვენი ოპონენტების აზრიც, თორემ კანონმდებლობით, 25 იანვარს უნდა ჩატარებულიყო არჩევნები. მინდა ოპოზიცია ობიექტური იყოს. სწორედ იმიტომ გადავწიეთ ვადა, რომ მათ მოესწროთ არჩევნებისთვის მომზადება. როდემდე უნდა იმუშაოს ძველმა პარლამენტმა? ოპოზიცია აპრილის ბოლოს ან მაისში ითხოვდა არჩევნებს. ამაზე რომ დავთანხმებულიყავით, პარლამენტი 20 დღის შემდეგ – ივნისში შეიკრიბებოდა. დღეს ქვეყანას რადიკალური ნაბიჯები სჭირდება, რაც ალბათ კარგი ხნის შემდეგ მოგვცემს შედეგს. როგორ წარმოგიდგენიათ ქმედუუნარო პარლამენტით რეფორმების განხორციელება?!

– ამბობენ, თუ ახალმა ხელისუფლებამ ასე გააგრძელა, ოპოზიცია პარლამენტში ვერ მოხვდებაო.

– ნამდვილად არ ვართ დაინტერესებული იმით, რომ ერთპარტიული ან ორპარტიული პარლამენტი გვყავდეს. ყოველთვის ვიცოდი კონსტრუქციული ოპოზიციის ფასი. პრეზიდენტი შევარდნაძე არაერთხელ განაწყენებულა, როდესაც ჯერ კიდევ „მოქალაქეთა კავშირში“ ყოფნისას ოპოზიციას პოზიტიურად ვუყურებდი. ოპოზიცია საჭირო და აუცილებელია, მაგრამ დღეს არაორდინარული ვითარებაა. გარკვეულწილად ოპოზიციამ საკუთარ თავს უნდა დააბრალოს ის პრობლემები, რომლებიც მას დღეს აქვს და შეექმნებათ საარჩევნო ბარიერის გადალახვისას. საარჩევნო ბარიერის დაქვეითებაზე იყო ლაპარაკი, მაგრამ ნამდვილად არ გადავდგამ ამ ნაბიჯს. არ შეიძლება არაპოლიტიკური კონიუნქტურის გამო ბარიერის ამაღლება-დაქვეითება. არ შეიძლება ადამიანი ნეიტრალური იყო, როდესაც შენს ქვეყანას უჭირს. რევოლუციის დროს, ერთერთ მიტინგზე გამოსვლისას, დანტეს სიტყვები გამახსენდა („ღვთაებრივი კომედიიდან“ – ი. რ.), დაახლოებით ასე ჟღერს – ჯოჯოხეთის ყველაზე ცხელი ადგილები ელით იმ ადამიანებს, რომლებიც უდიდესი გარდაქმნების პერიოდში ნეიტრალურ პოზიციას იცავდნენო. როდესაც შენს ქვეყანაში რევოლუციაა, არ შეიძლება ყველაფერს შორიდან უყურო და თქვა, – არც ერთი მხარე მომწონს, არც მეორე, მოვიცდი, ეს ამბავი როგორ დამთავრდება და ჩემს სათქმელს მერე ვიტყვიო. ამას ხალხი არ გაპატიებს, როცა კრიტიკულ მომენტში გვერდით არ დაუდგები – ან ერთ მხარეს უნდა იყო, ან მეორეზე. საპირისპირო ბანაკში ყოფნას უფრო გაპატიებს ხალხი, მაგრამ როცა არსად არ ხარ, შინ თბილად ზიხარ, ტელევიზორთან მოკალათებული და მშვიდად უყურებ, როგორ დგას ხალხი წვიმაში და უცდი, რით დამთავრდება ყველაფერი, რომ მერე გააკეთო ჭკვიანური დასკვნები, ამას ვინ გაპატიებს. ზოგიერთ რამდენადმე ოპოზიციურ ლიდერს ბოლო წუთამდე ვურეკავდი და ვეხვეწებოდი,

– მოდით, ჩვენ გვერდით დადექით-მეთქი. ხალხის განწყობაც ლოგიკურია დღეს მათ მიმართ და ამის გამოსწორებას ერთი და ორი თვე არ ეყოფა. თავდაპირველად უცხოელი დამკვირვებლებიც ყოყმანობდნენ არჩევნების თარიღზე, მაგრამ როდესაც გაეცნენ ვითარებას და შეხვდნენ ოპოზიციას, დაასკვნეს – არჩევნების გადადებას აზრი არ აქვსო. ერთ, ორ ან თუნდაც ნ თვეში ოპოზიცია იმდენად ვერ გაძლიერდება, რომ ჩვენ კონკურენცია გაგვიწიოს. ყველაფერს გავაკეთებთ, რომ საპარლამენტო არჩევნები სამართლიანად ჩატარდეს და ყველა პარტიას ჰქონდეს არჩევნებისათვის ნორმალურად მომზადების საშუალება, მაგრამ სხვის გასაკეთებელ საქმეს ჩვენ ვერ გავაკეთებთ. გარანტიას ვაძლევ ოპოზიციას, რომ არჩევნები ობიექტურად ჩატარდება და არავის დაეკარგება ერთი ხმაც კი. არა მგონია, პარლამენტში ჩვენი ძალა მარტო აღმოჩნდეს. ვფიქრობ, იქ უსათუოდ შევლენ „აღორძინება“ და ლეიბორისტები... ცუდს და საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ იმაში, რომ ჩვენ უმრავლესობა გვეყოლება პარლამენტში. ყველა ნორმალურ ქვეყანაში ასეა. ბატონ მიხეილსაც, ბატონ ზურაბსაც და მეც გვეყოფა ჭკუა, რომ კრიტიკულად შევხედოთ ჩვენს ნაბიჯებს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ თანამოაზრეები ვართ, ხშირად ვკამათობთ, ვდაობთ და ასე მივდივართ სწორ გადაწყვეტილებამდე.

– აჭარაში „კმარას“ აქტივისტების დაკავების შემდეგ ითქვა, რომ ეს ქალბატონ ნინოსთან, ბატონ ზურაბსა და ბატონ მიხეილთან იყო შეთანხმებული.

– არავითარი შეთანხმება არ ყოფილა, ეს ჩვენი პრეროგატივა არ არის.

– ასლან აბაშიძემ განაცხადა, – ეს ცენტრალურ ხელისუფლებასთან შეთანხმებით გაკეთდაო.

– ბატონ ასლანს არ უთქვამს ,,კმარელების“ დაპატიმრება შეთანხმებული იყოო. უბრალოდ, ჩვენ გვქონდა საუბარი და გამოვხატე შეშფოთება იმ მოვლენების გამო, რაც ხდება აჭარაში. ბატონ ასლანს ვთხოვე, თქვენ ჩაერთეთ იმ პროცესებში, რაც

ავტონომიის ტერიტორიაზე ხდება-მეთქი. არ შეიძლება ოჯახების დაპატიმრება. თუ ვინმეს დანაშაული აქვს ჩადენილი, უსათუოდ უნდა დაისაჯოს, მაგრამ ვინმეს დაპატიმრება განსხვავებული მოსაზრების ან კიდევ იმის გამო, რომ ასლან აბაშიძე ან ნინო ბურჯანაძე არ მოსწონს, არ შეიძლება. ვფიქრობ, მოვახერხებთ, რომ აჭარაში მოვლენები ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს.

– ლაპარაკია აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ვადამდელ არჩევაზე. როგორ გესახებათ ასლან აბაშიძესთან ურთიერთობა სამომავლოდ?

– ის, რომ ბატონი ასლანი დათანხმდა საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარებას; ის, რომ აჭარამ ამ ბოლო პერიოდში პირველად გადმორიცხა 2,5 მლნ. დოლარი ცენტრალურ ბიუჯეტში, მეტყველებს, რომ ბატონ ასლანს თანამშრომლობა სურს ხელისუფლებასთან. გულწრფელად გეტყვით, სხვადასხვა პრობლება, რომლებიც აჭარასთან წარმოიქმნა, ცენტრალური ხელისუფლების დამსახურება გახლავთ. ამიტომ როდესაც პრობლემებზეა ლაპარაკი, მხოლოდ რეგიონისკენ ვერ გავიშვერთ ხელს.

– ამბობენ, ნინო ბურჯანაძეს გაუჭირდება საპრეზიდენტო სავარძლის შელევაო.

– ჩემი პატივისცემის მიუხედავად, მიკვირს, რომ ხალხი ზოგჯერ თავად წყვეტს, მე რა გამიჭირდება და რა – არა. ჩემი თვითმიზანი არ ყოფილა პრეზიდენტობა. ჩემი მიზანია, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაცია ჩემი ქვეყნის, ხალხისა და შვილების საკეთილდღეოდ. როდესაც შენს ქვეყანას უკეთებ რამეს, ამით შენს შვილებს აძლევ საშუალებას, ნორმალურ და ღირსეულ ქვეყანაში იცხოვრონ. როდესაც 2003 წლის არჩევნებისათვის ვიბრძოდი, საპრეზიდენტო ამბიციები კი არა, ის მაწუხებდა, ახალ პარლამენტში სერიოზული წარმომადგენლობა მოგვეპოვებინა, რასაც ნამდვილად ვიმსახურებდით ჩვენი რეიტინგიდან გამომდინარე. როდესაც პრეზიდენტად კენჭისყრაზე

უარი განვაცხადე, ვფიქრობ, სამართლიანი გადაწყვეტილება მივიღე. ხალხი ჩვენგან ერთიანობას ელოდა და უსინდისობა იქნებოდა, საპრეზიდენტო სკამისათვის ჭიდილი დაგვეწყო. ამასთან, მიშამ სამართლიანად დაიმსახურა ეს პოსტი, მიუხედავად იმისა, რომ სერიოზული წვლილი მეც შევიტანე ამ რევოლუციის დაწყებასა და დამთავრებაში. მიშამ უზარმაზარი როლი შეასრულა ამ რევოლუციაში. რაც მან გააკეთა, იმას ვერ შევძლებდი. უბრალოდ, ჩვენ ერთმანეთი შევავსეთ, უდავო ლიდერი კი მიშა იყო.

– გამორიცხავთ, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებზე მიხეილ სააკაშვილის კონკურენტი იყოთ?

– მანამდე საპარლამენტო არჩევნებია ჩასატარებელი. მიმაჩნია, რომ არავისზე ნაკლები პარლამენტის თავმჯდომარე არ ვიქნები. დღეს უფრო მეტი გამოცდილება მაქვს, ვიდრე 2 წლის წინ, როდესაც ამ თანამდებობაზე ამირჩიეს. მაქვს საინტერესო იდეები, თუ როგორი უნდა იყოს პარლამენტი, როგორც ხელისუფლების მხადამჭერი ეფექტიანი მექანიზმი და მეორე მხრივ, როგორც ხელისუფლების კონტროლის საშუალება. მაქსიმალურად ვეცდები, ხელი შევუწყო ბატონ მიხეილსაც და ბატონ ზურაბსაც, რადგან ჩვენი, სამივეს წარმატება ქვეყნის წარმატება იქნება. ვისურვებდი, ახლად არჩეული პრეზიდენტი იმდენად წარმატებული პრეზიდენტი ყოფილიყოს, რომ მეორე ვადითაც აერჩიოთ. ეს იმის დასტური იქნება, რომ იგი ბევრ სასიკეთოს გააკეთებს ამ ქვეყნისთვის. როდესაც მხარი დავუჭირე მიხეილ სააკაშვილს, როგორც საპრეზიდენტო კანდიდატს, ვერ ვიტყვი, მშვიდად ვიყავი-მეთქი. პასუხისმგებლობის შიში მქონდა. ადამიანს საკუთარ თავზე გიჭირს პასუხისმგებლობის აღება და როცა სხვაზე იღებ პასუხისმგებლობას, ორმაგად გიმძიმს. ამიტომ დაინტერესებული ვარ, მიშა წარმატებული პრეზიდენტი იყოს, რადგან ერთ-ერთი პირველი, ვისაც მისი შეცდომების გამო მოსთხოვენ პასუხს, მეც ვიქნები. განსხვავებული აზრი ოჯახშიც არის, მაგრამ აუცილებელი არ არის ის დაინგრეს. ჩვენც ვკამათობთ ხოლმე, ჯერჯერობით, არ გვიჩხუბია. ადრე

გვიჩხუბია ხოლმე მე და მიშას, მაგრამ მტყუანი ვინც იყო, უკან იხევდა ხოლმე. შესაძლოა, მიშასგან ნაკლებად მოსალოდნელი იყოს, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, მიშას მერე უთქვამს, – ვიფიქრე და შენ მართალი იყავიო. უკან დახევა მეც არ გამჭირვებია არასოდეს.

– პრეზიდენტის ახალი რეზიდენციის შესახებ საზოგადოებაში მითქმა-მოთქმა დაიწყო. ამბობენ, ბიუჯეტის ისედაც მწირი თანხები სააკაშვილის რეზიდენციის კეთილმოწყობაზე რატომ უნდა დაიხარჯოს.

– ბატონი მიხეილის პრინციპული პოზიციაა, რომ ბიუჯეტიდან არც ერთი თეთრი არ დაიხარჯოს რეზიდენციის რეკონსტრუქციაზე. გთხოვთ, მიიხედ-მოიხედოთ ამ კაბინეტში. გინდათ ასეთ კაბინეტში იჯდეს თქვენი პრეზიდენტი? გინდათ უცხოელი სტუმრები ასეთ, 40 წლისწინანდელ საბჭოურ ავეჯს ხედავდნენ? საქართველოს ყოველთვის უჭირდა, მაგრამ ქართველები იმ ლოგიკას არასოდეს მიჰყოლიან, – ქვეყანას უჭირს და რა დროს შენებააო. ასე რომ ყოფილიყო, არც ტაძრები გვექნებოდა და არც ქართული სიმღერა და ცეკვა. ჩვენ ხომ იშვიათად გვემღერებოდა და გვეცეკვებოდა. ქვეყანას თავისი სახე უნდა ჰქონდეს. პრეზიდენტს ექნება ნორმალური რეზიდენცია, სადაც არც ელჩის მიღება შეგრცხვება და არც უცხო ქვეყნის პრეზიდენტის. ქართველები ასეთი ხალხი ვართ, ლუკმას მოვიკლებთ, ოღონდ სტუმარი მივიღოთ კარგ გარემოში, თვითონ არ შევჭამთ და საუკეთესოს სტუმრისთვის შევინახავთ. ეს ხომ ქართული ჩვეულებაა. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენს პრეზიდენტს იტალიის ან რუსეთის პრეზიდენტისნაირი რეზიდენცია ექნება, მაგრამ ისეთ კაბინეტში დაჯდება, რაც მის ღირსებას ეკადრება.

– ოპოზიცია კრიტიკულად შეხვდა ახალი პრეზიდენტის გელათში შესაძლო ინაუგურაციასაც. სააკაშვილი აღმაშენებელს ბაძავსო...

– არ მეგულება ქართველი, რომელიც დავით აღმაშენებელს არ აღმერთებდეს. დავით აღმაშენებლის სურათი ჩემს ოთახში ჰკიდია; მანამდე ეს სურათი ბატონი ზურაბის კაბინეტში

ეკიდა. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი თავი დავით აღმაშენებელი გვგონია. თუ ბატონ მიხეილის ინაუგურაცია გელათში გადაწყდა, ეს იქნება პატივისცემა იმ წინაპრისადმი, რომელმაც ქვეყანა ააყვავა და თუ ინაუგურაციის დროს მიხეილ სააკაშვილი ჩაიფიქრებს, – იმის გაკეთება შევძლო საქართველოსთვის, რაც დავით აღმაშენებლმა შეძლოო, – ვინმე ამის საწინააღმდეგოს იტყვის? მოდი, ყველაფერს კეთილი თვალით, ნაკლებად კრიტიკულად შევხედოთ.

– ძველი ხელისუფლების შეცდომებიდან გამომდინარე, რის გათვალისწინებას აპირებს ახალი ხელისუფლება?

– არც საკუთარი მოსახლეობა უნდა მოატყუო და არც მეზობლები. გულწრფელად უნდა უთხრა – კი, შეგპირდით ამას, მაგრამ ამა და ამ მიზეზის გამო, სამწუხაროდ, ვერ გისრულებთ დაპირებულსო. ხალხი ამას გაიგებს. ისინი საოცრად მომთმენები არიან. როცა ხედავენ, რომ ცდილობ საქმის გაკეთებას და რაღაც ხელს გიშლის, დიდსულოვნები არიან. მხოლოდ იმას არ გაპატიებენ, თუ დაინახეს, თავისი გაინაღდა და ჩვენ აღარაფრად გვაგდებს და ჩვენი ტკივილი აღარ სტკივაო.

– თქვენი მეუღლე უმუშევრობას დიდხანს აპირებს?

– (იცინის) კარგია, რომ ეს მკითხეთ... ვნახოთ. არ მინდა უმუშევარი დარჩეს – მან იცის, როგორ უნდა ემსახუროს თავის ქვეყანას და ასეთი ადამიანები უნდა გამოვიყენოთ. ვიცი, ბევრი ამას ათას კუდს გამოაბამს, ქმარი თანამდებობაზე დანიშნა და მიეხმარაო, მაგრამ ბოლოს ყველაფერი გაირკვევა და საჭოროაც აღარაფერი დარჩება. არ ვაპირებ მის დაჩაგვრას იმის გამო, რომ ჩემი ქმარია. მისი „დანაშაული“ მხოლოდ ის არის, რომ ნინო ბურჯანაძე მოიყვანა ცოლად...

– რამდენად იყო შესაძლებელი პროკურატორის ყოფილი მაღალჩინოსანი ამ უწყებაში მუშაობისას კორუფციის მიღმა დარჩენილიყო?

– მინდა გითხრათ, რომ ის არაერთხელ დაუპირისპირდა ძველ ხელმძღვანელობას, რისი მაგალითებიც მრავლად არსებობდა და, შესაბამისად, დაუმსახურებლად გაილანძღა კი-

დეც. ის პროფესიონალი, პატიოსანი ადამიანია, რასაც კიდევ ერთხელ დაამტკიცებს.

უკვე მესამე წელია, შობა-ახალ წელს ჩვენს მკითხველს და საქართველოს მოსახლეობას მიმართავთ ხოლმე. ამჯერად რას ეტყოდით მათ?

მინდა ყველაფერი საუკეთესო ვუსურვო ჩემს ხალხს. საოცარი პატივისცემითა ვარ გამსჭვალული მის მიმართ. ხანდახან ვფიქრობდი, რატომ არ არის ჩვენი მოსახლეობა აქტიური, რატომ ითმენს იმას, რაც არ მოსწონს. ყველაფერზე ხელი ხომ არ ჩავაქნევინეთ-მეთქი. აღმოჩნდა, რომ ღირსების შელახვას ჩვენი ხალხი არავის აპატიებს. მან საოცარი ერთიანობა, ურთიერთპატივისცემა გამოავლინა ერთმანეთის მიმართ. ჩვენი ხალხი ღირსეულ მომავალს იმსახურებს და მინდა მას სიმშვიდე, სიკეთე და უკეთესი მომავალი ვუსურვო.

იზო რიკაძე

კვირის პალიტრა 2004. – 12-18 იანვარი. – №2. – გვ.7

„იყო კარგი მთავრობა დღევანდელ საქართველოში – ეს ფანტასტიკის სფეროა“

ნინო ბურჯანაძე: „ეს არ იყო განხეთქილება, ეს იყო კამათი, დავა, ხანდახან ხმის ჩახლეჩამდე, მაგრამ მე ვთვლი, რომ ეს ნორმალურია“

ამ ბოლო დროს პატარა კაბინეტები დიდ აქტუალობას იძენენ იმ დონეზეც კი, რომ პუტინი და სააკაშვილი შეხვედრისას ერთმანეთს საკუთარ კაბინეტებზე ესაუბრებიან. თბილისში დაბრუნებული სააკაშვილი გაოცებით აღნიშნავს, რომ რუსეთის პრეზიდენტის კაბინეტი მის კაბინეტზე ნ-ჯერ პატარა მაინც ყოფილა...

პარლამენტში ნინო ბურჯანაძის კაბინეტი კი საკმაოდ პატარაა. ჯერ კიდევ სამი თვის წინ ნინო ბურჯანაძემ ამ კაბინეტიდან გააკეთა განცხადება, რომ შევარდნაძის მმართველობის უუნარობის გამო ძალაუფლებას თვითონ იღებდა. პრინციპში, ამ გადაწყვეტილების შედეგია ის, რაც დღეს საქართველოში ხდება. თუ რა ხდება და რაც მთავარია, როგორ ხდება ან როგორ უნდა ხდებოდეს, – ამ საკითხზე „მთელი კვირა“ ნინო ბურჯანაძეს პარლამენტის თავმჯდომარის პატარა კაბინეტში ესაუბრა.

„მთელი კვირა“: მთავრობის დაკომპლექტებასთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრებები არსებობს. ამბობენ, რომ ისინი „პოლიტიკოსები არ არიან“, „კანდიდატებს გამოცდილება არა აქვთ“, „ეს არის სოროსის მთავრობა“ და ა. შ. თქვენ როგორ შეაფასებდით, რა არის ეს მთავრობა?

ნინო ბურჯანაძე: მე ძალიან დიდი იმედი მაქვს, რომ ეს ნორმალური მთავრობა იქნება. იყო კარგი მთავრობა დღევანდელ საქართველოში – ეს ფანტასტიკის სფეროა. წინა ხელისუფლებისგან ისეთი უმძიმესი მემკვიდრეობა მივიღეთ და დღეს ქვეყანაში იმდენი პრობლემაა, რომ ვინც არ უნდა იყოს, მუშაობა გა-

უჭირდება. კლასიკური გაგებით კარგი მთავრობა ნიშნავს იმას, რომ ეს მთავრობა ქვეყანაში არსებულ ყველა პრობლემას აგვარებს. ამის მიღწევას დრო სჭირდება. მაგრამ ნორმალური მთავრობა ნიშნავს იმას, რომ ეს მთავრობა, რეფორმების თვალსაზრისით, ძალიან სერიოზული ნაბიჯების გადადგმას დაიწყებს. არ დაგიმალავთ და არც ერთ ჩვენგანს, არც სააკაშვილს, არც ჟვანიას და არც მე, არ გვაქვს იმის ილუზია, რომ ეს იდეალური მთავრობაა. მაგრამ კანდიდატურების პოვნა ძალიან გართულდა. ზოგმა უარი თქვა, ზოგიც შერჩევისას გამოირიცხა. ასეთ ვითარებაში ყველასათვის მოსაწონი ადამიანის პოვნა ძალიან რთულია.

„მ. კ“: წინა მთავრობას შევარდნაძის მთავრობას ეძახდნენ და ამით, პრინციპში, ყველაფერი გარკვეული იყო. რა ნიშნით ხასიათდება ეს მთავრობა?

ნ. ბ.: თვითონ პრეზიდენტის პოზიციაა, რომ ამას ან სააკაშვილის ან ჟვანიას მთავრობა არ ერქვას. სააკაშვილის მიზანია, რომ ამას საქართველოს მთავრობა ერქვას. ქვეყანაში პრობლემა იმიტომ იყო, რომ შევარდნაძის მთავრობა იყო. სურვილი იყო, რომ პარლამენტიც შევარდნაძის ყოფილიყო. ზოგადად რომ ვთქვათ, იყო მცდელობა, ყველაფერი ერთი კაცის ქუდის ქვეშ ყოფილიყო მოქცეული. ცხადია, ქვეყანაში მთავარი პოლიტიკური ფიგურა პრეზიდენტია. ყველა ნორმალურ ქვეყანაში ასეა და ბუნებრივია, მთავარი პასუხისმგებლობა პრეზიდენტს ეკისრება. მაგრამ მთავრობაც, პარლამენტიც, პრეზიდენტიც, პრემიერიც, მინისტრიც და ჩვეულებრივი რიგითი მოქალაქეც საქართველოსი უნდა იყოს. ამიტომ ამ მთავრობის დაკომპლექტებისას მთავარი არგუმენტი მხოლოდ ის არ იყო, რომ ხელისუფლებაში მაინცდამაინც ერთგულების ნიშნით გამორჩეული ხალხი მოსულიყო. ძალიან ბევრი კანდიდატურაა, ვისაც პრეზიდენტი პირადად არც კი იცნობს. თუმცა, გუნდის შექმნისას რომ ერთგულების ფაქტორიც გასათვალისწინებელია, მე ამაში ეჭვი არ მეპარება. რატომღაც უცნაურ უკიდურესობებში

გადავდივართ. ნაცნობი ადამიანის, თანამებრძოლის, თანამოაზრის, გუნდის წევრის დანიშვნა დანაშაულად აღიქმება. მე ასე არ ვთვლი.

„მ. კ“: თქვენ როგორ ფიქრობთ, ყველაზე მეტად რომელ მინისტრს გაუჭირდება?

ნ. ბ.: ჯერ ერთი, ეს ნამდვილად არ ვიცი და რომც ვიცოდე, არ ვიტყვი. ღმერთმა ქნას და ვცდები, ხალისი წინასწარ რატომ უნდა დავაკარგვინო? მე ვთვლი, რომ ყველას გაუჭირდება. იმდენად მძიმე სიტუაციაა, რომელი ქვეყნიდანაც გინდა ჩამოიყვანო, დღეს საქართველოში მინისტრობა ნებისმიერ ადამიანს გაუჭირდება, რა თქმა უნდა, თუკი თავის საქმიანობას პასუხისმგებლობით მოეკიდება. ყველა სამინისტრო დასანგრევი და თავიდან ასაშენებელია. მე ამას მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, თუმცა ვიმედოვნებ, რომ გაჭირვების მიუხედავად თავს მაინც გაართმევენ.

„მ. კ“: მთავრობის დაკომპლექტების კონსულტაციებში მონაწილეობდით?

ნ. ბ.: მე კანდიდატურების შერჩევის პროცესში აქტიურად ჩართული არ ვიყავი. რა თქმა უნდა, მე კონსულტაციის ყველა ეტაპი და ყველა ნიუანსი ვიცოდი: ვინ იხილებოდა, ვისზე რა მოსაზრებები ჰქონდათ. იყო ცალკეული კანდიდატურები, ვისზეც მე ჩემი მკვეთრად უარყოფითი ან მეტ-ნაკლებად უარყოფითი პოზიცია გამოვხატე. ამ ადამიანების უმეტესობა ახლა მთავრობაში არ არის, თუმცა არა მარტო იმიტომ, რომ ამის წინააღმდეგი მხოლოდ მე ვიყავი. დისკუსიების დროს აღმოჩნდა, რომ მიშაც და ზურაბიც გარკვეული გადამოწმების შედეგად იგივე მოსაზრებამდე იყვნენ მისული. მე თითოეულ იმ ადამიანზე, ვინც მთავრობაშია, ჩემი პირადი აზრი გამაჩნია. ამ შემთხვევაში მე უფრო კარგ მდგომარეობაში ვარ იმიტომ, რომ ამ პროცესებს შემიძლია გარკვეულწილად გვერდიდან ვუყურო. ცხადია, მეტი პასუხისმგებლობა პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს აკისრია. ამ პერიოდში პარლამენტს თავისი საქმე ჰქო-

ნდა – იგივე ეს კანონპროექტები, რომლებიც მთავრობას ნორმალური ფუნქციონირებისთვის სჭირდება და მე უფრო ამაზე ვიყავი ფოკუსირებული.

„მ. კ“: თქვენთვის ხელისუფლების რომელ ორგანოში ყოფნა უფრო სასურველია? საკუთარ თავს მთავრობაში თუ ხედავთ?

ნ. ბ.: ჩემთვის სასურველია ის, სადაც ვარ. მე ნამდვილად გულწრფელად ვამბობ, რომ პარლამენტში მუშაობა ძალიან მაინტერესებს, მით უმეტეს, რომ ძალიან სერიოზული გეგმა მაქვს პარლამენტის ეფექტურობის გაზრდის, პარლამენტის მოქმედუნარიანობისა და ავტორიტეტის ამაღლების თვალსაზრისით. ამდენად, ამ გეგმის განხორციელებისთვის ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი. აღმასრულებელ ხელისუფლებას თავისი სპეციფიკა უდავოდ გააჩნია. აღმასრულებელ ხელისუფლებაში მართვის ბერკეტები ბევრად უფრო მეტია. არის ერთი რამ, რაც აღმასრულებელ ხელისუფლებაში გადაწყვეტილებების მიღებას უფრო ამარტივებს – იქ მკვეთრი სუბორდინაცია მოქმედებს, ანუ შენი სიტყვა არის კანონი: რასაც ამბობ, შენი ხელქვეითი ვალდებულია დაგემორჩილოს და ეს მითითება შეასრულოს. რა თქმა უნდა, ვგულისხმობ იმას, რომ რაც კანონის ჩარჩოებში ჯდება. პარლამენტში ეს ასე არ არის. პარლამენტში ყველა თანასწორია და გადაწყვეტილების ბოლომდე მიტანა ბევრად უფრო რთულია, თუნდაც შენ ათასგზის დარწმუნებული იყო, რომ ეს გადაწყვეტილება ქვეყნისთვის ერთადერთი სწორი გზაა. ეს განსხვავება არის და ალბათ ამის გამოა, რომ ძალიან ბევრ ადამიანს მუშაობა აღმასრულებელ ხელისუფლებაში ურჩევნია.

„მ. კ“: პრეზიდენტმა კონკურენტად თქვენ დაგასახელათ. სად უფრო საჭირო ხართ? რა როლში ხედავთ თქვენს თავს?

ნ. ბ.: მე დღეს ვთვლი, რომ ჩემი ყოფნა იქ არის საჭირო, სადაც ვარ. მართლა გულწრფელად ვთვლი. სრულიად სამართლიანი იყო ჩემი მხრიდან, რომ მიხეილ სააკაშვილისთვის პრეზიდენტობის კანდიდატად მხარი დამეჭირა, იმიტომ რომ მან

იბრძოლა, მოიგო არჩევნები, მოიგო რევოლუცია, ცხადია, ჩვენთან ერთად, მაგრამ ამ რევოლუციის ლოკომოტივი ნამდვილად მიშა იყო. ამის არდანახვა უბრალოდ უსამართლობა იქნებოდა. ამასთან, ახლა ქვეყანაში ისეთი ეტაპია, რომ რადიკალური ნაბიჯები, რომლის გადადგმაც მიშას შეუძლია, ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანია, თუმცა აქაც გარკვეული ზომიერებაა საჭირო და მე ვხედავ უკვე, რომ ეს ძალიან კარგად ესმის პრეზიდენტსაც. უახლოეს ხანში ეს კიდევ უფრო უკეთესად გამოჩნდება. რაც შეეხება ჩემს შემდგომ პერსპექტივას, მე ნამდვილად მინდა მიშა ისეთი პრეზიდენტი იყოს, რომ 5 წლის შემდეგაც მას რეალური კონკურენტი არ ჰყავდეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი ქვეყანა იქნება კარგად. მერწმუნეთ, ნებისმიერ თანამდებობაზე უფრო მნიშვნელოვანია, რომ ჩემს ქვეყანაში ამდენი გაუბედურებული სახე არ დავინახო. ათი წლის მერე რა იქნება, მერე ვილაპარაკოთ, ცოტა რომ მივუახლოვდებით. თუმცა ეს ძალიან დიდი და მძიმე პასუხისმგებლობაა. მე ეს ძალიან კარგად ვიცოდი და რაიმე მიზანმიმართული ქმედებებისგან ყოველთვის თავს ვიკავებდი. ამ ორი თვის განმავლობაში მე კიდევ უფრო კარგად დავინახე, ეს პასუხისმგებლობა რამდენად მძიმეა.

„მ. კ“: 2 ნოემბრის არჩევნებამდე საარჩევნო სიაში პირველ ნომრად ყოფნა გარკვეულწილად გაერთიანებული ოპოზიციის სახედ აღიქმებოდა. პრეზიდენტმა განაცხადა, რომ სიის სათავეში ვერ იქნებით. ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ ამ გაერთიანების სახე აღარ იქნებით?

ნ. ბ.: არანაირად. პრეზიდენტმა აბსოლუტურად სწორი განცხადება გააკეთა. როგორ ვიქნები მე სიაში, როდესაც უკვე პარლამენტის წევრი ვარ? თავისთავად ეს არ არის სწორი. მაშინ სხვა გამოსავალი არ იყო. ის ფაქტი, რომ არჩევნების ნახევარი გაუქმდა, ნახევარი დარჩა და ასეთ გაუგებარ სიტუაციაში აღმოვჩნდით, რა თქმა უნდა, არ არის კარგი. მოხდა ისე, რომ ვინც სიის სათავეში ვიყავით, იგივე გიგი წერეთელი, მიშა მაჭავარიანი, გია ბარამიძე – ეს ადამიანები სიაში ვერ ვიქნებით.

მე ამ ადამიანების გვერდით ვარ. თუკი სიაში ჩემი გვარი და სახელი არ ეწერება, ეს ნამდვილად არაფერს ნიშნავს. ყველა ადამიანი, ვინც მივა და იმ ნომერს შემოხაზავს, რომელიც ჩვენი გაერთიანების იქნება, თითოეულ მათგანს ეცოდინება, რომ ის მხარს უჭერს სააკაშვილს, ბურჯანაძეს და ჟვანიას. მე ამ სიაში ვარ და პრინციპში, ჩემი თანამოაზრეებით, თანაგუნდელებით, იმ ხალხით, ვისაც ადრე ბურჯანაძის გუნდი ერქვა. ახლა ვცდილობთ, რომ არ დავარქვათ ცალკე ბურჯანაძის გუნდი, ცალკე ჟვანიას გუნდი და ცალკე სააკაშვილის გუნდი. თუმცა გარკვეულწილად ეს მაინც იქნება, მაგრამ მართლა გვინდა რაღაც ერთიანი გუნდი შეიქმნას. მე ამ გუნდში ვარ, ვარ აქტიური წევრი და ჩემი გვარი ფორმალურად სიაში პირველი რომ არ იქნება, არაფერს ნიშნავს.

„მ. კ“: ამ ბოლო დროს მემარჯვენე ოპოზიციის გაერთიანებაზე საუბრობენ და აცხადებენ, რომ შესაძლოა ამ გაერთიანების ლიდერიც გახდეთ. საუბარი იყო იმაზეც, რომ თითქოს ამ საკითხთან დაკავშირებით თქვენთან ინტენსიურ კონსულტაციებს განსაკუთრებით „ახალი მემარჯვენეები“ აწარმოებენ. რამდენად რეალურია თქვენს მიერ ოპოზიციური ძალების სათავეში ჩადგომა?

ნ. ბ.: მე ნებისმიერ ადამიანს, ვისაც ჩემთან გაერთიანება უნდა, მადლობას ვუხდი. შესაძლოა, 2 ნოემბრის არჩევნებამდე გამართულ კონსულტაციებზე საუბრობენ, რადგანაც რევოლუციის შემდეგ ამ თემაზე საუბარი ნამდვილად არავისთან მქონია და პრინციპში, ამ თემაზე აღარ მიფიქრია. შესაძლოა, შიგნით რაიმე კონსულტაციებს მართავენ, მაგრამ არჩევნების და საერთოდ, 2 ნოემბრის რევოლუციის შემდეგ დავით გამყრელიძე ერთადერთხელ ვნახე, ისიც საპატრიარქოში, შობის დღესასწაულზე. არც მანამდე და არც მას შემდეგ მე იგი არ მინახავს და მით უმეტეს, ჩვენ ამ საკითხთან დაკავშირებით არანაირი კონსულტაცია არ გვქონია. ალბათ სწორიც არის, რომ ბატონ დავითს ჩემთვის მსგავსი შემოთავაზება არ გაუკეთებია, იმიტომ

რომ მე ვარ იმ გუნდში, რომელშიც ვარ და არსად გადასვლას და გადაბარგებას ნამდვილად არ ვაპირებ. რასაც მე რევოლუციის დროს ბატონ დავითს მოვუწოდებდი, ის იყო, რომ იგი თავად მოსულიყო ჩვენთან. ვფიქრობ, უფრო სწორი იქნებოდა, რომ იგი რევოლუციის პერიოდში ჩვენს გვერდით ყოფილიყო, მაგრამ ეს მისი გადასაწყვეტია და არა – ჩემი.

„მ. კ“: თქვენ პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის გუნდის წევრი ხართ. რა როლი ექნება პარლამენტს?

ნ. ბ.: ჯერ ერთი, ამ ეტაპზე და პირველი რამდენიმე თვე კრიტიკისგან თავი მაქსიმალურად უნდა შეიკავო. ადამიანს სტრუქტურის აწყობა, მუშაობის დაწყება უნდა აცალო. პირველივე დღიდან კრიტიკის დაწყება გაუმართლებლად მიმაჩნია. პირველივე დღიდან იმას უნდა შეეცადო, თუ ხედავ, რომ შეცდომას უშვებს, შენი აზრი გაუზიარო და იქნებ უკეთესი გამოსავალი იქნას ნაპოვნი და უკეთესი გადაწყვეტილებები მოჰყვეს. მე დიდი იმედი მინდა ვიქონიო, რომ მთავრობა კრიტიკისთვის ნაკლებ საფუძველს მომცემს. მაგრამ თუ კრიტიკის საფუძველი იქნება, რა თქმა უნდა, გარკვეული პერიოდის შემდეგ ცხადია, ეს კრიტიკა პარლამენტის მხრიდან უდავოდ იქნება. იმედი მაქვს, რომ ამას ჩემი თანაგუნდელებიც გაიზიარებენ. თუ ახლა ჩვენ ერთმანეთს მხოლოდ ქება დავუწყეთ და ერთმანეთს მხოლოდ ის ვუთხარით, რომ ყველაზე ჭკვიანები და ყველაზე ლამაზები ჩვენ ვართ, არაფერ შეცდომას ჩვენ არ ვუშვებთ, მაშინ ჩვენ ერთმანეთსაც დავღუპავთ და ქვეყანასაც. ეს ჩვენ კარგად გვესმის. პარლამენტის ფუნქციაა, იყოს კრიტიკული, მაგრამ – კონსტრუქციულად კრიტიკული. ამიტომ, პირველ რიგში, აუცილებელი კონსტრუქციულობაა, ანუ მცდელობა, რომ რაღაც გაუმჯობესდეს. თუ კრიტიკა კეთილგანწყობილია, ეს კრიტიკა, როგორც წესი, ნორმალურ ადამიანებს არ სწყინთ ხოლმე და მე ვთვლი, რომ ჩვენი სამეული ნორმალური ადამიანებისგან შედგება.

„მ. კ“: თქვენი მხრიდან მთავრობამ კრიტიკა უკვე დაიმსახურა?

ნ. ბ.: ჯერჯერობით მხოლოდ ვდავობთ და ვკამათობთ. ალბათ, რაღაცაში კრიტიკა მე დავიმსახურე, რაღაცაში – მათ. იდეალური ნაბიჯები არ არსებობს, მით უმეტეს ისეთ ქვეყანაში და ისეთ ვითარებაში, როგორშიც ჩვენ ვართ. გაითვალისწინეთ, რამდენი ხანია, რაც ხელისუფლებაში ვართ, – რევოლუციის შემდეგ სამი თვე არ გასულა. ინაუგურაციის შემდეგ მხოლოდ სამი კვირა გავიდა და მანამდე ქვეყანა მუდმივი რყევების პერიოდში იყო.

„მ. კ“: კობა დავითაშვილის მიერ გამოთქმულ კრიტიკას როგორ აფასებთ?

ნ. ბ.: კობა საერთოდ ძალიან პირდაპირი და გულწრფელი ადამიანია: რასაც ფიქრობს, ის თქვა. თუმცა, მე ვფიქრობ, რომ მისი შიში იმასთან დაკავშირებით, რომ ამ საკონსტიტუციო ცვლილებით ქვეყანა იქცევა, ცოტა გაზვიადებული იყო. ამ ცვლილებებით აღფრთოვანებული არც მე ვარ. ეს არაერთხელ მითქვამს, მაგრამ ეს გარდამავალი პერიოდის ცვლილებებია. და მეორე მომენტი, მე ამას ყოველთვის ხაზს ვუსვამ: პრეზიდენტი ხალხმა აირჩია და აირჩია 96%-ით. მას აქვს ძალიან დიდი ნდობა და როდესაც პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი, რომელსაც იგი ენდობა, ამბობენ, რომ ხალხისთვის დანაპირების შესრულება მხოლოდ ამ მოდელით შეუძლიათ, მეც ვალდებული ვარ, ანგარიში გავუწიო. თუმცა ის, რაც ჩემთვის პრინციპულად მიუღებელი იყო, ამას შევეწინააღმდეგე და კონსტიტუციაში ძალიან ბევრი რამ შეიცვალა. ბევრი ვიკამათეთ, ბევრი ვიდავეთ იმისათვის, რომ შეცდომა არ მოგვსვლოდა. მაშინ ამის გამო ძალიან ბევრი ჭორიც გაჩნდა, რომ ჩვენს შორის განხეთქილება იყო. მაგრამ ეს არ იყო განხეთქილება – ეს იყო კამათი, დავა, ხანდახან ხმის ჩახლეჩამდე, მაგრამ მე ვთვლი, რომ ეს ნორმალურია. ამ დავის და კამათის შემდეგ ჩვენ ვახერხებდით, რომ იმ გადაწყვეტილებამდეც მივსულიყავით, რომელიც უფრო კომპრომისული იყო, – შეიძლება იდეალური არა, მაგრამ უფრო კომპრომისული. საკონსტიტუციო ცვლილების დროს მართლაც

იყო მუხლები, რომელთა შეცვლაც მოვითხოვეთ, რათა საკანონმდებლო ორგანო არ დასუსტებულიყო. პუნქტები, რომლებსაც არ ვეთანხმებოდით, პროექტში შეიცვალა, თუმცა საკონსტიტუციო ცვლილება იდეალური არ არის და არც შეიძლება, რომ იდეალური იყოს. ჩვენ პოსტრევოლუციურ, გარდამავალ პერიოდში ვიმყოფებით. ქვეყანაში მძიმე სიტუაციაა. მძიმე მემკვიდრეობაა და ყველაფრის იდეალური ფორმირება შეუძლებელია. მაგრამ ყველაფერი ჯერ წინ არის და დროთა განმავლობაში საკონსტიტუციო ცვლილების გატარება აუცილებელი იქნება. დღევანდელი ჩვენი კონსტიტუცია არც ბოლომდე საპრეზიდენტო რესპუბლიკის კონსტიტუციაა და არც ბოლომდე საპარლამენტოსი.

„მ. კ“: აქცენტი ჟვანიას გვარზე იყო გაკეთებული და კობა დავითაშვილი ამ ცვლილების წინააღმდეგი სწორედ ჟვანიას გამო წავიდა...

ნ. ბ.: ქვეყანას პრემიერ-მინისტრი სჭირდებოდა. ის, რომ ჟვანია არავისზე ნაკლები პრემიერ-მინისტრი არ იქნება, თუ ბევრზე უკეთესი არა, ამაში ეჭვი არ მეპარება. მე დარწმუნებული ვარ, რომ იგი ძალიან ბევრი რამის გაკეთებას შეძლებს, იმიტომ რომ ძალიან საინტერესო იდეები აქვს. ჩვენი მოლაპარაკება იმასთან დაკავშირებით, რომ სააკაშვილის პრეზიდენტობის შემდეგ ჟვანია პრემიერ-მინისტრი უნდა ყოფილიყო და მე პარლამენტის თავმჯდომარე, არავისთვის საიდუმლო არ იყო, მათ შორის არც კობასთვის. საკონსტიტუციო რეფორმა რომ ჩასატარებელი იყო, ამას 1992 წლიდან მოყოლებული ვაცხადებდი. პრეზიდენტისთვის აუცილებელია, რომ მას მინისტრთა კაბინეტი ჰყავდეს. ეს სისტემა იმის საშუალებას იძლევა, რომ ქვეყანაში ერთიანი გუნდი მუშაობდეს და მინისტრები მხოლოდ თავიანთი უწყებებით კი არა, საერთო საქმის კეთებით იყვნენ დაკავებულნი. მაგალითისთვის ვიტყვი, რომ ამჟამად ქვეყნის ბიუჯეტზე პასუხისმგებელი უკვე მინისტრთა კაბინეტია და ის პროცესი აღარ განმეორდება, როდესაც შეუსრულებელი ბიუჯეტის გამო ხან ვის ვთხოვდით პასუხს და ხან – ვის. პრემიერ-

მინისტრი აუცილებელი იყო და მე მიმაჩნია, რომ ამ მოვალეობას ჟვანია არავისზე ნაკლებად არ შეასრულებს. მე კობასი მესმის. მან თქვა ის, რასაც ფიქრობს. მე საერთოდ ისეთ ადამიანებს, ვინც იმას ამბობს, რასაც ფიქრობს, პატივს ვცემ. მაგრამ ვფიქრობ, რომ ჯერჯერობით მაინც ასეთი რადიკალური ნაბიჯები არ უნდა გადადგმულიყო. ჩვენ უნდა გვეცადა კომპრომისისთვის გუნდის შიგნით მიგვეღწია, გვედავა, გვემსჯელა იმის შესახებ, რაც არ მოგვწონს. მაგრამ თუ კობას სხვა არგუმენტებიც გააჩნია, ეს რა თქმა უნდა, თითოეულმა ადამიანმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს.

„მ. კ“: ყველა სტრუქტურულ ცვლილებას ეთანხმებით?

ნ. ბ.: სტრუქტურულ ცვლილებებს ძირითადად ვეთანხმები. იყო რამდენიმე მოსაზრება, რომ სტატისტიკის დეპარტამენტი ეკონომიკის სამინისტროსთან საერთოდ არ უნდა იყოს. ყველა ქვეყანაში პრაქტიკულად ასეა და იყო საუბარი, რომ გარდამავალი ეტაპის შემდეგ კორექტივები შევა. მაგრამ დეპარტამენტების სამინისტროების შემადგენლობაში შესვლას ძირითადად ვეთანხმები.

„მ. კ“: დაზვერვისა და კონტრდაზვერვის უშიშროების სამინისტროში გაერთიანება ამ სამინისტროს საკმაოდ გააძლიერებს. ეს არანაირ პრობლემას არ შექმნის?

ნ. ბ.: თუ უშიშროების სამინისტრო ძლიერი ორგანო იქნება, გარწმუნებთ, რომ ქვეყნისთვის ეს მხოლოდ კარგი იქნება. თუ ქვეყანა ქვეყანაა, უშიშროების სამინისტრო ძლიერი ორგანო უნდა იყოს. ქვეყანას ასევე შინაგან საქმეთა სამინისტრო ძლიერი უნდა ჰყავდეს და საერთოდ, ყველა სამინისტრო ძლიერი უნდა იყოს. მთავარია, რომ ამ სამინისტროებმა კანონის ჩარჩოებში იმოქმედონ. უფრო მეტიც, ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ ეს ორგანოები გაძლიერდნენ. აბა, ქვეყანა სხვანაირად როგორ ვაშენოთ, თუ ძლიერი სამინისტროები არ გვეყოლება?! პირიქით, მე იმის მეშინია, რომ ისეთი ძლიერი არ იქნება, როგორიც საჭიროა.

„მ. კ“: გარკვეული წინააღმდეგობა მოჰყვა სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ ცვლილებასაც. იყო რადიკალური შეფასებები, რომ ეს 30-იანი წლების დაბრუნებაა, ეს არის სტალინის რეჟიმის დაბრუნება, დიქტატურის დამყარება და ა. შ. თქვენ ამ ცვლილებას როგორ აფასებთ?

ნ. ბ.: თავიდანვე არასწორად იქნა აღქმული, პარლამენტში რა შემოდიოდა. მოდით, პირდაპირ ვთქვათ: დღევანდელ სისხლის სამართლის კოდექსში ეს მუხლი არსებობდა, ანუ თუ თანამშრომლობდი გამოძიებასთან, თუ აღიარებდი ბრალს, სასჯელი უმსუბუქდებოდა. ეს იყო საბჭოთა კავშირის დროსაც. ეს იყო დამოუკიდებელი საქართველოს ყველა პერიოდში. ახლა უბრალოდ ამაზე მაქსიმალური ფოკუსირება გაკეთდა. მე მგონი, ახლა ცოტათი შერბილდა ეს დამოკიდებულება და მგონი, მეტნაკლებად მისაღები ვარიანტია. ეს პროცესი თავისთავად აღსაფრთოვანებელი არ არის. სისხლის სამართლის პროცესი ყოველთვის უსიამოვნო განცდებს და უსიამოვნო შეგრძნებებს იწვევს, მაგრამ მეორეს მხრივ, ქვეყანა მართლა თავზე დაგვენგრა. ამიტომ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა საჭიროა. თუმცა, სიფრთხილეა საჭირო, რათა ერთი უკიდურესობიდან მეორე უკიდურესობაში არ გადავვარდეთ. წინა ხელისუფლებას პოლიტიკური ნება რომ ჰქონოდა, მთელი ამ წლების განმავლობაში კორუფციასთან ბრძოლა ძალიან მარტივად შეიძლებოდა. მთავარი არის პოლიტიკური ნება. კანონი კორუფციასთან ბრძოლას ან ცოტა გაგიადვილებს, ან ცოტა გაგირთულებს. ამ კანონმა ბრძოლა ცოტათი გააადვილა.

„მ. კ“: ოპოზიცია ღამის პოლიტიკური ტელეგადაცემების გაუქმებას ხელისუფლებას აბრალებს. არის თუ არა ეს მასმედიაზე ზეწოლა?

ნ. ბ.: მე არ ვიცი, არის თუ არა ზეწოლა. თვითონ მასმედია ხმას არ იღებს. მე იმ გადაწყვეტილებით, რომ ღამის პოლიტიკური ეთერი არ იქნება, მაინცდამაინც კმაყოფილი არ ვარ, მაგრამ ეს ჩემი გადასაწყვეტი არ არის; არც პრეზიდენტის გადასა-

წყვეტი არ არის და ჩვენ ამაში ნამდვილად არ ჩავრეულვართ. ეს იყო ტელეკომპანიების მიერ მიღებული გადაწყვეტილება და გაუთავებელი ძახილი, რომ მასმედია იზღუდება, გაუგებარია. თუ ვინმე იზღუდება, თქვით. მე ამასთან დაკავშირებით არც ერთი რეპორტაჟი არ წამიკითხავს, არ მომისმენია არც ერთი გამოსვლა. ეკა ხოფერია და ინგა გრიგოლია ის ხალხი არ არის, ვისი შეშინებაც ასე მარტივად შეიძლება. სიტყვის თავისუფლების შეზღუდვა, მე მგონი, შეურაცხმყოფელი ზეწოლაა. თუ ვინმე მათზე შეურაცხმყოფელ ზეწოლას ახდენს, არა მგონია, გაჩუმდნენ. ასევე ბევრი სხვა ჟურნალისტი, რომლებიც ამ გადაცემებში მუშაობდნენ. როდესაც ეს ჟურნალისტები ჩუმად არიან, მე არანაირი საფუძველი არ გამაჩნია ვთქვა და ვიფიქრო, რომ ხელისუფლების მხრიდან ზეწოლა ხორციელდება. ეს ისეთი თემაა, სადაც ასე მარტივად თამაში არ შეიძლება. თუ ვინმე ამას დააპირებს, ეს ძალიან მძიმედ დამთავრდება და გარწმუნებთ, რომ ჩვენ ეს ძალიან კარგად გვესმის.

„მ. კ“: პრეზიდენტის რუსეთში ვიზიტი საქართველოს პოლიტიკური კურსის ცვლილებადაც კი აღიქვეს. თქვენ ამ ვიზიტს როგორ შეაფასებთ?

ნ. ბ.: პრეზიდენტის რუსეთში ვიზიტს ძალიან პოზიტიურად ვაფასებ. გულწრფელად გეტყვით, რომ ამ ვიზიტს მოუთმენლად ველოდი და ვღელავდი კიდეც, იმიტომ რომ ძალიან მინდოდა წარმატებული ყოფილიყო. ამას საქართველოსთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. არანაირი ორიენტაციის ცვლილება არ მომხდარა. ეს პრეზიდენტმა მოსკოვშივე აღნიშნა, რუსეთთან კარგი ურთიერთობა ორიენტაციის შეცვლას არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს. ჩვენი ყველაზე დიდი შეცდომა ის იყო, რომ პრეზიდენტი, მინისტრები, ხელისუფლება ამხელა ქვეყანას პრაქტიკულად იგნორირებას უკეთებდნენ. მინისტრი მინისტრს არ ელაპარაკებოდა, დეპარტამენტის ხელმძღვანელი– დეპარტამენტის ხელმძღვანელს. გამონაკლისი იყო მხოლოდ საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, რომელმაც

თავის კოლეგასთან ნორმალური ურთიერთობა დაამყარა. დღეს მე ვთვლი, რომ ეს ორიენტაციის შეცვლა კი არ არის, ეს სასიკეთო და საქართველოსთვის აუცილებელი ქმედებებია. სხვათა შორის, აშშ-ც და ევროპის ქვეყნებიც ამას ძალიან პოზიტიურად აღიქვამენ, ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურად. მოსკოვში ჩემი ვიზიტის დროს მთავარი იყო ის, რომ ახალ ხელისუფლებასა და რუსეთის ხელისუფლებას შორის რაღაც ნდობის ფაქტორი გაჩენილიყო. მე ვთვლი, რომ მაშინ რუსეთთან კარის შეღება მოხერხდა; პრეზიდენტის ვიზიტი კი უკვე ქართულ-რუსული ურთიერთობების კარის გაღებაა.

„მ. კ“: სახელშეკრულებო დონეს როგორ აფასებთ? სამხედრო ბაზების გაყვანისა და აფხაზეთის საკითხისთვის სხვა ხელშეკრულებებია საჭირო, თუ ამ ფორმატითაც შეიძლება ამ პრობლემებზე მუშაობა?

ნ. ბ.: ის ფაქტი, რომ ჩარჩო-ხელშეკრულებაზე ხელის მოწერა შემოდგომისთვის დაინიშნა, უკვე ბევრს ნიშნავს. ჩვენი მოთხოვნა იყო, რომ აფხაზეთის საკითხი ამ ხელშეკრულებასთან მიბმული არ ყოფილიყო, იმიტომ რომ ჩარჩო-ხელშეკრულება უფრო ფართოა და დროის შორ პერსპექტივაზეა გაწერილი. ჩვენ არანაირი სურვილი არა გვაქვს, რომ წლების მერეც აფხაზეთზე გვქონდეს სალაპარაკო. ბაზები, აფხაზეთი – ეს ის თემებია, რომლებიც უნდა დარეგულირდეს. მაგრამ გარწმუნებთ, რომ ამ დამთბარი ურთიერთობების ფონზე, რომელიც დღეს რუსეთ-საქართველოს შორის არის, ეს პრობლემები ბევრად უფრო სწრაფად და კონსტრუქციულად გადაწყდება.

„მ. კ“: ეკონომიკური ინვესტიციების განხორციელებისთვის საჭირო პირობები თუ არსებობს?

ნ. ბ.: ჩვენ ბევრი რამ გვაქვს იმისთვის გასაკეთებელი, რომ ნორმალური საინვესტიციო გარემო შევქმნათ. ამისთვის კორუფციის მაქსიმალური წნეხის ქვეშ მოქცევაა საჭირო. ინვესტიციებისთვის მომზადებას ძალიან ბევრი რამ სჭირდება, მაგრამ მეგობრების დახმარებით, უდავოდ, ბევრის გაკეთებას შევძლებთ.

„მ. კ“: პრეზიდენტი ხელისუფლებაში ქალების მოსვლას ითხოვს, პარლამენტში კი ქალების სიმცირეა. ეს ძალთა დისბალანსს ხომ არ გამოიწვევს?

ნ. ბ.: აბსოლუტურად ნორმალური განცხადებაა და მე მხოლოდ მივესალმები. მე ქალების საკმაოდ კარგ წარმომადგენლობას ვკრებ. მე ვისაც ვფიქრობ, რომ სიის ფორმირებისას ჩვენთან ყოფნა შევთავაზო, საკმაოდ ღირსეული კონტიგენტია. რადგანაც ბატონ მიხეილს ასე ძალიან უყვარს ქალები, მაქსიმალურად შევეცდები, რომ კარგი ქალბატონები იყვნენ. იგივე მაია ნადირაძის მაგალითით შეიძლება ითქვას, რომ ძლიერ პოლიტიკოს ქალთა სიმცირე არც პარლამენტში იქნება.

„მ. კ“: საპარლამენტო არჩევნების გადადების საშიშროება ხომ არ არსებობს?

ნ. ბ.: იმედია, არა. კატეგორიულად მიმაჩნია, რომ არჩევნები არ უნდა გადაიდოს. პირიქით, რაც დრო გადის, მით უფრო ვრწმუნდები: სწორი იყო ის პოზიცია, რომ არჩევნები რაც შეიძლება მალე ჩატარებულიყო. არჩევნების ჩატარება აუცილებელია, რათა ქვეყანა ნორმალურ კალაპოტში ჩადგეს. პრინციპში, 28 მარტამდე დიდი დრო არ დარჩა და იმედია, ჩვენ ამ არჩევნების სამართლიანად ჩატარებას მოვახერხებთ, იმიტომ რომ ამას ახლა არა მარტო ჩვენი მოსახლეობა, არამედ მსოფლიო საზოგადოებაც ელოდება.

რუსიკო მაჩაიძე

რეზონანსი – „მთელი კვირა“, 2004, 16 თებერვალი, №041, გვ. 2-9

იდეალურები არ ვართ მაგრამ ძირითადი ხაზი სწორია

სწორია ეს ხალხი, ბოლომდე რომ არ სჯერა ხელისუფლების – უნდობლობის რეჟიმში ჩვენ, ჩვენმა ხელისუფლებებმა 12+70 წელი ვიცხოვრეთ. ამის გამოსწორებას არც ერთი ხავერდოვანი რევოლუცია ეყოფა და არც ერთი ჩოლოქი. ხალხს, კოლექტიური მეხსიერების დასაწმენდად, ამ წლების ნახევრის მაინც პოზიტიურად გავლა ესაჭიროება. კოლექტიურ მეხსიერებაში ჯერ კიდევ მკაფიოდ არსებობს რევოლუციის სამეულის ერთობა. დადის ჭორები და სკეპტიკოსები ელიან ამ გაერთიანების დაშლას, მაგრამ, ჯერჯერობით, სამივეს ყოფნის ძალა და ინტელექტი, იდგნენ ერთად და თითოეული თავის ადგილზე. ხალხის მეხსიერების შემდეგი ჩანაწერი უახლოესი მოვლენები იქნება – პრეზიდენტი თბილისში, პრემიერი – ფოთში და პარლამენტის თავმჯდომარე ბათუმში, მოლაპარაკებებზე. ასე თუ გაგრძელდა სკეპტიკოსთა (რომელსაც დღეს მოდური სახელი ოპზიცია ჰქვია) სუსტი ხმა სულ უფრო ნაკლებად გასაგონი გახდება ხალხისთვის. ნინო ბურჯანაძე ამ ბოლო ხანს, აქტიურად აღარ ჩანდა, რაც მრავალი ჭორის საფუძველი გახდა. საინტერესოა, რას ფიქრობს პარლამენტის თავმჯდომარე, როცა ძველი პარლამენტი დათხოვილია და ახალი ჯერ არ არჩეულა; როცა ხელისუფლება ზოგჯერ შეცდომებით, მაგრამ რადიკალურად ცდილობს ახალი ცხოვრების დაწყებას.

– ბათუმის მოლაპარაკებებს თუ არ ჩავთვლით, საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ პოლიტიკურად არც ისე აქტიურობთ, რატომ?

– ქვეყნის შიდა არენაზე მართლაც ნაკლებად ვჩანდი. პირველ რიგში, ალბათ, იმიტომ, რომ პარლამენტის სხდომები აღარ არის. არ იდგა კონკრეტულად ის საკითხები, რომლის გა-

მოც ჩემი გამოჩენა და კომენტარები საჭირო იყო. გარდა ამისა, რამდენიმე სერიოზული ევროპული ვიზიტი მქონდა. აი, ეს იყო მიზეზი, მე კი ეკრანებზე გამოჩენა და აუცილებელი კომენტარები თვითმიზნად არ დამისახავს.

– უკვე მერამდენედ გიხდებათ მომლაპარაკებელის როლში ყოფნა, თავს როგორ გრძნობთ ამ ამპლუაში?

– პოლიტიკა სწორედ ეს არის – არსებული პრობლემების დიალოგის გზით გადაწყვეტას უნდა შეეცადო. მოხარული ვიქნებოდი, ნაკლებად მტკივნეული საკითხების გადაჭრა რომ მიწევდეს. ჩვენი ქვეყანა თანდათან უნდა დალაგდეს და ისეთ კალაპოტში ჩადგეს, რომ დაძაბული დღეები ნაკლები იყოს.

– რთულია ასლან აბაშიძესთან საუბარი?

– რთულია. კარგად მოგეხსენებათ, პრობლემები ცენტრსა და რეგიონს შორის წლების განმავლობაში გროვდებოდა. ორივე მხრიდან ბევრი პრეტენზიაა დაგროვილი. როცა ვითარება კრიზისულია, ამ პრეტენზიებზე პასუხის გაცემა რთულდება. ამ ურთიერთობებში ნდობის ფაქტორის დეფიციტია და ვფიქრობ, ახლა მთავარია, ახალმა ხელისუფლებამ არა მარტო აჭარასთან, არამედ ყველა რეგიონთან ურთიერთნდობის საფუძველზე ააგოს ურთიერთობები.

– რამდენად რეალურად გესახებათ ცენტრის ახალ და რეგიონის ძველ ხელისუფლებას შორის ურთიერთობების ნდობაზე აგება?

– ძალიან მნიშვნელოვანი იყო პრეზიდენტისა და ასლან აბაშიძის შეხვედრა. ინაუგურაციის გარდა პრეზიდენტს აჭარის ხელმძღვანელთან შეხვედრის შესაძლებლობა არ ჰქონია და მათ შორის არც ცენტრსა და რეგიონს შორის დაგროვილი პრობლემები განხილულა. მოგეხსენებათ, მიხეილ სააკაშვილი პირდაპირი ადამიანია და დარწმუნებული ვარ, პირდაპირ დაასახელებდა იმ პრობლემებს, რომელსაც ის არ შეეგუებოდა. პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ პრეზიდენტი არ შეეგუება იმას, რომ მას არ შეეძლოს თავისი ქვეყნის ტერიტორიაზე გადაა-

დგილება, რასაც აბსოლუტურად ვეთანხმები. წარმოუდგენელი ნონსენსია, რომ დღის და ღამის ნებისმიერ დროს პრეზიდენტს თავისი სურვილის მიხედვით არ შეეძლოს გადაადგილება და ამის თაობაზე მას ვინმესთან, თუნდაც რეგიონის ხელმძღვანელთან ჭირდებოდეს შეთახმება. პირდაპირ იყო ნათქვამი, რომ პრეზიდენტი და ცენტრალური ხელისუფლება არ შეეგუებოდა არჩევნების არადემოკრატიულად ჩატარებას, წინასაარჩევნო კამპანიის შეზღუდვას, ადამიანის უფლებების უგულებელყოფას. არ შეეგუებოდა იმას, რომ არ იყოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლი საბაჟოზე, პორტზე – ყველა ეს მოთხოვნა სამართლიანია. ჩემთან საუბრის დროსაც და, რაც მთავარია, პრეზიდენტთან საუბრის დროს აჭარის ხელმძღვანელი დაეთანხმა ამ მოთხოვნებს. ჩემი აზრით, ეს თანამშრომლობის გარკვეულ წინაპირობებს ნამდვილად ქმნის.

– როგორც ცესკოს თავჯდომარემ განაცხადა, აჭარაში საკმაოდ დიდი დარღვევებია და არჩევნების ჩატარების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. როგორ განვითარდება მოვლენები?

– არავინ ელის იმას, რომ აჭარაში იდეალური არჩევნები ჩატარდება. იდეალური არჩევნები, შეიძლება, ვერც სხვაგან ჩატარდეს, მაგრამ ნებისმიერ რეგიონში დემოკრატიული არჩევნების ელემენტარული პირობები დაცული უნდა იყოს. ვიცი, რომ სიებთან დაკავშირებული პრობლემები არსებობს, მაგრამ სურვილის შემთხვევაში, ამ ერთი კვირის გამოყენებაც შეიძლება იმისთვის, რომ სიები ობიექტურ რეალობას დაუახლოვდეს. იმედი მაქვს, რომ აჭარის ხელმძღვანელის პირობა შესრულდება და არჩევნებამდე დარჩენილ რამდენიმე დღეში თავისუფალი საარჩევნო კამპანია ჩატარდება. ხელისუფლების მონდომების შემთხვევაში, იქ ნორმალური არჩევნების ჩატარების საშუალება არის.

– კრიზისის დღეებში აბაშიძემ რუსეთისგან მხარდაჭერა ვერ მიიღო. იმოქმედა თუ არა ამან მოლაპარაკების პროცესზე?

– ალბათ, ძალიან ბევრმა ფაქტორმა იმოქმედა და მათ შორის, რუსეთის პრეზიდენტის განცხადებამაც. მისასალმებელია, რომ რუსეთის პრეზიდენტის დონეზე გაკეთდა განცხადება, რომ ის საქართველოს საშინაო საქმეებში არ ჩაერეოდა. ცხადია, ასეთივე დიდი ყურადღება გამოიჩინეს ევროპულმა სტრუქტურებმა. ამ ყველაფერმა პოზიტიურად იმოქმედა კონფლიქტის დარეგულირებაზე, მაგრამ გადამწყვეტი მაინც ის იყო, რომ ცეტრისა და რეგიონის ხელმძღვანელებს ეყოთ გონიერება და ვითარების ესკალაცია არ მოხდა. ეს ფაქტია და ამის არდანახვა სწორი არ იქნებოდა. ორივე მხარემ ერთმანეთისკენ შემხვედრი ნაბიჯები გადადგა და ეს არ იყო გარიგება. ეს იყო ნაბიჯები ქვეყანაში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნების სასარგებლოდ.

– თქვენი აზრით, როდემდე შეძლებს ასლან აბაშიძე ამ პოზიციის შენაჩუნებას და რას ეყრდნობა ის?

– ოპოზიციის მხრიდან გაისმა გამონათქვამები, თითქოს, ეს პრობლემა არ გადაწყვეტილა და კვლავ არსებობს. რა თქმა უნდა, პრობლემა არსებობს და არც პრეზიდენტს, არც მე და არც ასლან აბაშიძეს არ უთქვამს, რომ პრობლემა ამოიწურა. არავის აქვს ილუზია, რომ შეხვედრა ყველა პრობლემას მოხსნის. წინა ხელისუფლებამ ისეთი სიღრმის პრობლემები დაგვიტოვა, რომ ამის მოხსნა ერთი ხელის დაკვრით ნამდვილად შეუძლებელია. ჩვენ ვთქვით, რომ ახლა კრიზისი დაძლეულია. ხოლო იმისთვის, რომ პრობლემები აღარ შეიქმნას, ცენტრალური და რეგიონის ხელისუფლების მხრიდან მოლაპარაკებებით მიღწეული პირობების შესრულებაა საჭირო. კონსტიტუციური ცვლილებები უნდა მოიცავდეს ტერიტორიული მოწყობისა და აუცილებლად – ცენტრსა და რეგიონს შორის კონსტიტუციური უფლებამოსილების გამიჯვნის საკითხებს. ამის შესახებ ბატონ ასლან აბაშიძესთან წინა ჩასვლის დროსაც ვისაუბრე. მერწმუნეთ, ასეთ შემთხვევაში ბევრი საკითხი კანონისა და კონსტიტუციის ჭრილში გადავა. გასაკეთებელი ნამდვილად ძალიან ბევრია და პრეზიდენტის განწყობაც ვიცი – თუ აჭარის ხელმძღვანელობა გადადგამს იმ ნაბიჯს, რასაც ქვეყნის კონსტიტუციურ სივრცეში

აჭარის სრული ინტეგრაცია, თავისუფალი არჩევნები, ადამიანის უფლებების პატივისცემა, საბიუჯეტო წესრიგის დამყარება ჰქვია – პრობლემები მოგვარდება.

– გჯერათ, რომ ასლან აბაშიძე ამას შეასრულებს?

– ყოველ შემთხვევაში, გარკვეულ საკითხებში მან თანამშრომლობისთვის მზადყოფნა გამოაცხადა.

– ავტონომიის მეთაური საკმაოდ ცივად შეხვდა თქვენთან ერთად ჩასულ საქართველოს უშიშროების მინისტრს. შეეხო თუ არა საუბარი აჭარაში ამ სტრუქტურის გაუქმებას?

– მაინცდამაინც თბილი შეხვედრების დრო არ იყო, ხომ მართალია? ვითარება ძალიან დაძაბული იყო და თან ბატონი ასლანი ზურაბ ადეიშვილს არც იცნობდა. მათ საუბრის დროს ერთმანეთის მიმართ საკმაოდ ნორმალური დამოკიდებულება გაუჩნდათ და ერთმანეთთან ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე საუბრობდნენ. ცხადია, შეეხნენ აჭარის უშიშროების სამინისტროს გაუქმების საკითხსაც. ბატონმა ასლანმა თავიდანვე დააზუსტა რამდენიმე საკითხი, რაზედაც ბატონმა ზურაბმა სრულიად გულწრფელად უპასუხა, რომ ეს მისგან არ მოდიოდა და ამგვარი განცხადება მას არ გაუკეთებია.

– ბატონი ასლანი რაიმე ინფორმაციას ამოწმებდა?

– დიახ, არასწორ ინფორმაციას ეხებოდა. აჭარის უშიშროების სამინისტროსთან დაკავშირებულ შეკითხვაზე ბატონ ზურაბს თავისი პოზიცია არ დაუმალავს და პირდაპირ უპასუხა, რომ ის ასე თვლიდა საჭიროდ. ზურაბ ადეიშვილმა ძალიან პოზიტიური როლი ითამაშა. მოხარული ვარ, რომ ის ამ შეხვედრას ჩემი თხოვნით და ინიციატივით ესწრებოდა. ვიცოდი, რომ აუცილებელი გახდებოდა კონკრეტულ საკითხებზე კვალიფიციური პასუხის გაცემა. შუა საუბრის დროს ბატონ ასლანს მიაწოდეს ინფორმაცია. ჩემი თხოვნით, ბატონმა ზურაბმა ოპერატიულად გადაამოწმა და ინფორმაცია, რომელმაც რეგიონის ხელმძღვანელობის გარკვეული გაღიზიანება გამოიწვია, არ დადასტურდა.

– ხომ ვერ იტყვით, რას ეხებოდა ეს საკითხი?

– ეს იყო ინფორმაცია ჯარის გადაადგილების შესახებ. ბატონმა ასლანმა შეხვედრის დასაწყისშივე გადმოგვცა დოკუმენტი, რომელიც ცენტრალური ხელისუფლების მიერ იარაღის შესყიდავს ეხებოდა...

– გავრცელდა ინფორმაცია, რომ არჩევნებამდე დაიდება ხელშეკრულება იმუნიტეტის მოხსნის თაობაზე. რატომ ასე წინასწარ, ხომ არ არის საშიშროება, რომ დეპუტატებს პარლამენტში მოხვედრის შემდეგ, გასაგები მიზეზების გამო, აღარ მოუნდებათ იმუნიტეტთან განშორება?

– ეს გარკვეული ჟესტია. ჩვენი მოსახლეობის დიდი ნაწილი, კარგა ხანია, ითხოვს დეპუტატებისთვის იმუნიტეტის შეზღუდვას და მეც ყოველთვის ამის მომხრე ვიყავი. რამდენიმე ხნის წინ ხელი მოვაწერე ინიციატივას იმუნიტეტის გაუქმების შესახებ, რადგან არ შეიძლება, ადამიანი პარლამენტში სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისთვის თავის ასარიდებლად მოდიოდეს. არადა, 1995, 1999 წლის და ახლად არჩეული პარლამენტის არჩევნების დროსაც კი აშკარად იყვნენ ადამიანები, რომლებიც კენჭს სწორედ ამიტომ იყრიდნენ, ეს კატეგორიულად მიუღებელია და ვფიქრობ, რომ დეპუტატობის კანდიდატების მხრიდან იმუნიტეტის ამ ნაწილზე უარის თქმა ძალიან მნიშვნელოვანი ჟესტი იქნება. რა თქმა უნდა, დეპუტატი ხელშეუხებელი უნდა იყოს პოლიტიკური ცხოვრების, აზრის თავისუფლად გამოთქმის საკითხში და ამას არავინ ეხება.

– ბადრი ბიწაძის გენერალურ მოადგილედ დანიშვნამ თავის დროზე დიდი ხმაური გამოიწვია. ამასწინანდელ გადაადგილებას ხმაური არ მოჰყოლია, რატომ?

– თქვენს ადგილზე ასე დავსვამდი კითხვას – მაშინ რატომ ატყდა ხმაური? ეს მოულოდნელი იყო ჩემთვისაც და ჩემ ირგვლივ მყოფი ადამიანებისთვისაც. ბადრი ნულიდან არ გამხდარა გენერალური პროკურორის მოადგილე, მისი გადაადგილება ვერტიკალში მოხდა, თუმცა ამას ახლა მნიშვნელობა არა აქვს. საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თავმჯდომარედ მის დანიშვნას რეაგირება არ მოჰყვა და, ალბათ, ეს უფრო სწორია. ცოტა

უხერხულია საკუთარ ქმარზე ლაპარაკი, მაგრამ ვფიქრობ, რომ ის კარგი იურისტია, იცის და უყვარს თავისი საქმე. ძალიან ვამაყობ იმით, რომ ბადრი ბიწაძეზე ვერავინ ვერსად დაწერა, რომ არაპროფესიონალი, ან კორუმპირებულია. მთავარ პრეტენზიად ყველგან ერთს უყენებენ – ის ნინო ბურჯანაძის ქმარია. რამდენად შეიძლება ეს ნაკლად ჩაითვალოს, ვერ გეტყვით... სულ მიმაჩნია, რომ ჩემი ქმარი იმის გამო იჩაგრება, რომ ჩემი ქმარია, სხვა შემთხვევაში ეს კითხვები არ დაისმებოდა.

– ისტორიისთვის ისეთი შემთხვევებიც არის ცნობილი, როდესაც ოჯახში მაღალი თანამდებობრივი პოზიციები ერთ-ერთმა უნდა დათმოს...

– ამგვარი პრობლემები სახლში ნამდვილად არ გვაქვს. როცა მისი გენერალური პროკურორის მოადგილედ დანიშვნის დროს ვითარება გართულდა, მან ერთმნიშვნელოვნად თქვა, რომ მზად იყო თანამდებობიდან და საერთოდ, სახელმწიფო სტრუქტურებიდან წასასვლელად, რადგან მას ქვეყნისათვის უფრო საჭიროდ და მნიშვნელოვნად ჩემი საქმე მიაჩნდა. მეორე მხრივ, წარმომიდგენია, როგორი აჟიოტაჟი მოჰყვებოდა მის ბიზნესში გადასვლას. რაც გინდა ლეგალური ბიზნესი დაეწყო ნულიდან, ამაზე ასეთივე აჟიოტაჟი ატყდებოდა... უკაცრავად და, ქმართან გაყრას ნამდვილად არანაირი თანამდებობების გამო არ ვაპირებ.

– 2002 წელს განაცხადეთ, რომ უახლოეს 10 წელიწდში პრეზიდენტობაზე საკუთარი კანდიდატურის წამოყენებას არ აპირებთ, რომ ჯერ არ ხართ მზად ამ პასუხიმგებლობის ასაღებად. ამ მცირე ხანში რთული გზა გამოიარეთ და გარკვეული გამოცდილება შეიძინეთ. რა მოგცათ ამ პერიოდმა და რა წაგართვათ?

– როგორც მინიმუმ, სიცოცხლის რამდენიმე წელი წამართვა, რადგან მართლა ძალიან მძიმე დღეები იყო, ყოველივე დიდი ნერვების, ფიზიკური და სულიერი ენერგიის ხარჯზე მოხდა. ამ დღეებმა დიდი გამოცდილებაც შემძინა და კიდევ ერთხელ, საფუძვლიანად დამარწმუნა იმაში, რომ საქართველოს მსგავსი ქვეყნის პრეზიდენტობა არ უნდა გინდოდეს. ამგვარი სული-

ერი და ფიზიკური დაძაბულობა ერთი ადამიანისთვის უმძიმესი ტვირთია. მიხეილ სააკაშვილს გულწრფელად მინდა, ვუსურვო, რომ არა მხოლოდ ეს ვადა ამოწუროს წარმატებულად, არამედ ძალიან წარმატებულად იყოს არჩეული მეორე ვადითაც. ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყნის კეთილდღეობისა და წინსვლისთვის მიცემული ბევრი პირობა შესრულებული იქნება. ყველანაირ თანამდებობაზე უფრო ძვირად ნამდვილად მიღირს ჩემი ქვეყნის კეთილდღეობა და განვითარება.

– მომავალი ათი წლის შესახებ განცხადება ძალაში რჩება?

– ჩემი პოლიტიკური კარიერა ისეთი მოულოდნელობებით იყო სავსე, რომ ვეღარ ვამბობ, რა როგორ განვითარდება. შეიძლება საერთოდ წავიდე პოლიტიკიდან, ან დავრჩე პოლიტიკაში... დღეს ძალიან რთულია იმის თქმა, თუ რა იქნება 10 წლის მერე. უახლოეს ხანებში კი სავსებით მისაღებად მიმაჩნია ის ადგილი და თანამდებობა, სადაც ვარ. თანამდებობა გადამწყვეტი არ არის, მთავარია, აკეთო საქმე, რომელიც შეგიძლია და ქვეყანას წაადგება. დანარჩენი მეორეხარისხოვანია.

– ახლა რევოლუციამდელ შეკითხვებს დაგისვამთ. სააკაშვილი მიტინგებზე თავს ისე გრძნობდა, როგორც თევზი წყალში, თქვენ შესახებ ამას ნამდვილად ვერ იტყოდი. ღამით ხალხში გადიოდით ხოლმე, ადამიანები გამხნევებდნენ და ამით, სხვათაშორის უდიდეს ტვირთს გკიდებდნენ. რა მოგცათ ხალხთან ახლოს კონტაქტმა?

– მართლაც საოცარი სითბო იგრძნობოდა ხალხის მხრიდან და აქედან გამომდინარე, მართლაც ძალიან დიდი პასუხისმგებლობა იყო. რაც უფრო თბილად გხვდება ხალხი და რაც უფრო იმედის თვალით გიყურებს, უფრო მეტ პასუხისმგებლობას გრძნობ და ეს ჩემთვის მძიმე იყო. ვხედავდი, რომ ხალხი ჩემგან, ჩვენგან კონკრეტულ ნაბიჯებს და შედეგებს ელოდა. არც ტრაგიკული მოვლენებისგან და სისხლისღვრისგან ვიყავით დაზღვეული. ჩემთვის მიტინგზე ყოფნა ნამდვილად არ იყო ჩვეული გარემო. მიშა რევოლუციის უდავო ლიდერი იყო და მართლაც ძალიან თავისუფლად გრძნობდა თავს. მაინცდამაინც

მშიშარა არ ვარ, მაგრამ როდესაც ხალხის ასეთი რაოდენობა იკრიბება, ყოველთვის მაქვს გარკვეული შეშფოთების და შიშის გრძნობა. სიფრთხილით ვეკიდებოდი ხალხის გადაადგილებას აქედან კანცელარიამდე, მერიამდე... ჩემი გამოსვლები არ არის მიტინგების სტილი. ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ მეგაფონით ხელში თუკი შევარდნაძის ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლა მომიწევდა, ნამდვილად ვერ ვიფიქრებდი. როგორ უნდა მოენდომებინა შევარდნაძეს, როგორ უნდა დაემხო ქვეყანა საკუთარ და ჩვენს თავზე, რომ ნინო ბურჯანაძე მიტინგებზე მეგაფონით ხელში გამოსულიყო... ამისთვის უდიდესი მონდომება იყო საჭირო.

– ბოლოს, ალბათ, გაითავისეთ ეს ვითარება...

– რომ არ გამეთავისებინა, იქ არც ვიქნებოდი. ეს იყო ერთადერთი ფორმა, რომლითაც იმ პერიოდში სამართლიანობის აღდგენა იყო შესაძლებელი. ცხადია, ჩემთვის უფრო მისაღები ფორმა პარლამენტის დარბაზში გამართული დებატებია... მიტინგი პროტესტის უკიდურესი ფორმაა.

– თქვენგან განსხვავებით თქვენმა მეგობრებმა – ზურაბ ჟვანიამ, გია ბარამიძემ, ვასიკო მაღლაფერიძემ აქამდე იცოდნენ რა არის მიტინგი, შიმშილობის აქცია. თქვენ ყოველთვის მშობლების დამჯერი შვილი იყავით...

– გინდათ თქვათ, რომ ისინი მშობლებს არ უჯერებდნენ?!

– არა, მინდა, ვიკითხო ბავშვობიდან პირველ პროტესტს, პირველ დაუმორჩილებლობას ხომ ვერ გაიხსენებდით?

– სულ პირველი პროტესტი, ცხადია, არ მახსოვს, მაგრამ შემიძლია, პირველი პოლიტიკური პროტესტი გავიხსენო. ეს იყო 1978 წელს, როდესაც საბჭოთა ჯარები ავღანეთში შევიდნენ. ვერაფრით გავიგე, რა ხდებოდა. იმ პერიოდში პოლიტიკით ვიყავი დაინტერესებული და პატარაობიდან ვკითხულობდი პოლიტიკურ ლიტერატურას, საერთაშორისო ურთიერთობებს. ჩუმ-ჩუმად „ამერიკის ხმას“ და „ბი-ბი-სი“-ს ვუსმენდი. საშინელი აღშფოთება გამოიწვია და ჩემთვის აბსოლუტურად ნათელი იყო, რომ არანაირი ინტერნაციონალური მისიით არ უნდა შესულიყო

საბჭოთა ჯარი. მამასთან პირველი კამათი ამის გამო მომივიდა. ძალიან ხმამაღლა ვკამათობდით. მამაჩემმა ვერაფრით დამარწმუნა, რომ ეს სწორი ნაბიჯი იყო. საოცრად დამწყდა გული, რომ მამა ჩემს პოზიციას არ იზიარებდა. ძალიან დავმშვიდდი, როდესაც სრულიად შემთხვევით, მშობლების საუბარი მოვისმინე. დედა ეუბნებოდა – კი მაგრამ, შენც ხომ ძალიან აღშფოთებული ხარ და ბავშვს ამდენი რატომ ეკამათეო? მამამ უპასუხა – ბავშვია, სადმე იტყვის და ეს პრობლემებს გამოიწვევს. ჯობია, ჰქონდეს ეჭვი, რომ ის შეიძლება ამ წუთს სწორი არ არის. გაიზრდება, მიხვდება, რომ მისი პოზიცია სწორია და მერე გავარკვევთო... ეს ჩემთვის გარკვეული კომპენსაცია იყო.

– შეიცვალა თუ არა თქვენი დამოკიდებულება თქვენი შვილების მიერ გამოხატულ პროტესტებზე?

– სხვადასხვაგვარად აღვიქვამ ჩემი შვილების პროტესტს. რეზიკომ ნოემბრის წინასაარჩევნო დღეებში კარებზე დამახვედრა წერილი, რომელსაც დაახლოებით ასეთი შინაარსი ჰქონდა: „კმარა ნინო, კმარა... ვის გაუგია ისეთი დედა, ერთ თვეს რომ შვილს არ შეხვდებაო“... და ა. შ. (სხვათაშორის, ეს ბარათი დედამ ჩარჩოში ჩასვა და პარლამენტში, თავის სამუშაო კაბინეტში ინახავს). მაგრამ, რევოლუციისაგან განსხვავებით, კმარას ეს ოჯახური რგოლი ეფექტური არ გამოდგა... ანზორიკოსთან ცოტა სხვანაირად არის. რა თქმა უნდა, 16 წლის ასაკში მაქსიმალისტი უნდა იყო და ასეც არის. ამ თაობის წარმომადგენლები დღეს ძალიან პრაგმატულები არიან. ამ ასაკში ასეთი პრაგმატული არ ვიყავი. ჩემი შვილი, ზოგჯერ მაკრიტიკებს და თავის აზრს გამოთქვამს, მე ეს მიკვირს იმიტომ, რომ პრინციპში სწორს ამბობს. უფრო მომგებიან ნაბიჯს მთავაზობს, მაგრამ მე ვბრაზობ, როდესაც ამას 16 წლის ვაჟი მეუბნება; როცა ის მეუბნება – შენ თუ პოლიტიკაში გინდა ყოფნა, ეს უნდა გააკეთო, ამას უნდა მიეჩვიოო... მე ჩემი შეხედულება მაქვს, მაგრამ ის კაცია და ამიტომაც ამბობს ასე.

– ერთ ხანს ხელისუფლებაში იყავით და ოპოზიციონერობასაც ახერხებდით. როდის ჩამოყალიბდება ახალი, ძლიერი

ოპოზიცია?

– ახალი, ძლიერი და ნამდვილი ოპოზიციის ჩამოყალიბებას პირობები სჭირდება. მომხრე ვარ, რომ ქვეყანაში კონსტრუქციული და ძლიერი ოპოზიცია არსებობდეს. გულწრფელად გეტყვით, თუ ჩვენ ძალიან სერიოზულ შეცდომებს არ დავუშვებთ, ძლიერი ოპოზიციის ჩამოყალიბება გაჭირდება. თუმცა, გულახდილად რომ გითხრათ, მიუხედავად იმისა, რომ ოპოზიცია ქვეყნის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პირობაა, ძლიერი ოპოზიციის არსებობით ბედნიერი არ ვიქნები. რადგან ეს ნიშნავს, რომ ჩვენ სერიოზულ შეცდომებს ვუშვებთ. ქვეყანა ისეთ მდგომარეობაშია, რომ იდეალურ ნაბიჯებს ვერ გადადგამ. პოლიტიკოსებს სხვადასხვაგვარი ხედვა აქვთ. რა თქმა უნდა, დღეს ოპოზიციას ძლიერი სიტყვის თქმა გაუჭირდება იმიტომ, რომ დღევანდელი ოპოზიციის ერთმა ნაწილმა რევოლუციის დროს დიდი შეცდომები დაუშვა და მაყურებლის როლში დარჩა. როცა ქვეყნის ყოფნა-არყოფნის საკითხი დგას და ქვეყნის ბედი წყდება, არ შეიძლება, გარედან უყურო მოვლენებს, ეს ხალხს არ ავიწყდება. უფრო მესმის იმ ადამიანებისა, ვინც ბოლომდე იდგა შევარდნაძის მხარეს...

– შეგვახსენეთ ეს ადამიანები, თუ შეიძლება..

– მაინცდამაინც ვერც მე ვიხსენებ... ოპოზიციას დღეს ძალის მოკრება სჭირდება, იმიტომ, რომ ხალხს ახსოვს – როცა მთელი საქართველო ერთ მუშტად იყო შეკრული, ეს პოლიტიკოსები ხალხის გვერდით არ იდგნენ...

– სახელისუფლებო გაერთიანების გარდა, თქვენი აზრით, რა ძალებს ვიხილავთ პარლამენტში?

– ერთპარტიული პარლამენტის ხილვა არც მიხეილ სააკაშვილს უნდა და არც მე. მინდა, რომ პარლამენტში იყოს ჯანსაღი ადამიანების ჯგუფი, ვინც კონსტრუქციულად, კრიტიკულად შეაფასებს ჩვენი ხელისუფლების ნაბიჯებს.

– ხედავთ ამ ძალას?

– რთული სათქმელია. კონსტრუქციულ ოპოზიციას, ჯერჯერობით, ვერ ვხედავ.

– ამ სიღრმით ელოდით თუ არა პოსტრევოლუციურ გართულებებს? როგორ შეაფასებდით ძირითად ტენდენციებს? ეს ანტიკრიმინალური ოპერაციების ფორმებსაც ეხება.

– ჩვენი ამ რეჟიმში ყოფნა, ალბათ, არ არის გასაკვირი. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ქვეყანამ, „ვარდების“ ერქვა თუ არა, მართლაც რევოლუცია გადაიტანა. ქვეყანაში უზარმაზარი რყევები იყო და პოსტრევოლუციური სინდრომებიც მოსალოდნელი იყო. მეშინოდა, კიდევ უფრო ღრმად არ წასულიყო ეს პროცესები, მაგრამ ამის თავიდან აცილება მოვახერხეთ. გაიხსენეთ, რევოლუციის შემდგომ კვირებში იგივე ჩვენი აქტივისტები, ჩვენთან შეუთანხმებლად, ზოგი საკრებულოში შევარდა და ადგილები დაიკავა, ზოგი – გამგეობებში... მეც და მიხეილ სააკაშვილმაც მაშინვე ძალზე მკვეთრი, რადიკალური განცხადებები გავაკეთეთ და ვთქვით, რომ ამის ჩამდენი ჩვენი რიგებიდან გაირიცხებოდა. ამით ვითარება მოვთოკეთ. უცნაური ხალხი ვართ ქართველები – ჯერ სულ ვამბობდით, რომ ხელისუფლება არავის იჭერს. ახლა, როცა დაჭერები დაიწყო – მაშინვე 37 წელი გაიხსენეს... ჩვენი ქვეყანა კორუფციამ დააქცია და ამ სენის დონე უკვე ეროვნულ უსაფრთხოებას ემუქრებოდა. ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, ვერ ვიტყვი, რომ ამ მეთოდებმა ჩემთვის მისაღები ფორმა მიიღო, ტელევიზორში ამის ყურება არ მინდა, მაგრამ, მეორე მხრივ, მოსახლეობამ უნდა იცოდეს, რა ხდება. მგონია მეთოდებიც, სტილიც და გადაწყვეტილებებიც თანდათან დაიხვეწება. არც მე და არც მიხეილ სააკაშვილი არ ვთვლით, რომ შეცდომებს არ ვუშვებთ და იდეალურები ვართ. ცხადია, არის რაღაც გადაცდომები, მაგრამ ძირითადი ხაზი სწორია.

მაია ჭალაგანიძე

24 საათი 2004 წ. 20 მარტი №67 გვ. 1-B1

როგორ დახვდა ასლან აბაშიძე ნინო ბურჯანაძეს

„თაფლობის თვიდან“ გამოსულმა ხელისუფლებამ პირდაპირ კრიზისში შეტოპა. ახალი დაძაბულობისაკენ მსოფლიომ გვიხსნა. ეს პირველი გამოცდა იყო ვარდების რევოლუციის გმირებისთვის. ხელისუფლება კმაყოფილების დემონსტრირებას ახდენს როგორც ცენტრში ისე პერიფერიაზე. გამოდის მხოლოდ ხალხი დარჩა შეშინებული. მაინც რა მოხდა ჩოლოქთან?

„ალია“ პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს ესაუბრა.

აჭარის პრობლემის თავი და თავი ნამდვილად წინა ხელისუფლებაში დევს, ეს პრობლემები წლობით გროვდებოდა. ჩვენ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ – ერთმანეთის მიმართულებით გადავდგით ნაბიჯები. ქვეყნის პრეზიდენტმა გამოიჩინა გონიერება, როცა განაცხადა, რომ მზად არის, აბაშიძესთან შესახვედრად. აბაშიძემაც, თავის მხრივ, კონსულტაციებისკენ გადადგა ნაბიჯი.

– მესმის, რასაც ნიშნავს ერთმანეთისკენ გადაგმული ნაბიჯები, მაგრამ შეიძლება კითხვა ასე დავსვათ: ცენტრი დამარცხდა თუ გაიმარჯვა?

– ნამდვილად არ ვთვლი, რომ დამარცხდა. საერთოდ მიმაჩნია, რომ როცა გონივრულ ნაბიჯს დგამ და ნაბიჯს დგამ იმისკენ, რომ სისხლი არ დაიღვაროს, არ შეიძლება დამარცხებული გამოხვიდე. სხვათა შორის, შეუძლებელი იყო პრეზიდენტისთვის, როცა გადაადგილების უფლებას არ აძლევენ.

– სხვათა შორის ოპონენტები ლოგიკურ კითხვას სვამენ: ხომ არ მიადგებოდა პრეზიდენტი დილის შვიდის ნახევარზე სხვა რეგიონებს – კახეთს ან იმერეთს, თანაც შეიარაღებული?

– მე არ ვიცი დეტალები, უბრალოდ, თბილისში არ ვიყავი. დილის შვიდ საათზე იყო თუ ათ საათზე, ამას მნიშვნელობა არა აქვს, ის პრეზიდენტია. მიუხედავად ყველაფრისა, პრეზიდენტმა მაინც თქვა, ჩავალ და აბაშიძეს დაველაპარაკებიო. იმიტომ, რომ მას მნიშვნელოვნად მიაჩნდა კრიზისის განმუხტვა.

– ყოველთვის, როცა ახალი ხელისუფლება სირთულეების წინაშე დადგება, ძველ ხელისუფლებას დაადანაშაულებს, ანუ ეს ჩვენ კი არა ვართ სუსტები, წინა ხელისუფლება იყო უვარგისიო...

– დღეს 19 მარტია, ჩვენ ხელისუფლებაში 25 იანვრის შემდეგ მოვედით. ორი თვეც არ არის გასული. 100%-დან 98 წინა ხელისუფლების დამსახურებაა.

– მაშინ რა შეიძლებოდა, შევარდნაძეს გაეკეთებინა? ასეთივე რადიკალური ნაბიჯები გადაედგა? რამდენად გამოიწვევდა ეს მაშინაც სამოქალაქო დაპირისპირებას?

– შევარდნაძეს უნდა დაერეგულირებინა ის პრობლემები, რომელიც არსებობდა.

– როგორ?

– უნდა მიგვეღო კონსტიტუციური ცვლილებები, რომელიც განსაზღვრავდა ცენტრსა და რეგიონის უფლებამოსილებისა და კომპეტენციის ფარგლებს. სხვათა შორის, ადრეც არაერთხელ მომისმენია ასლან აბაშიძის მხრიდან და ამ წინადადებას მეც მხარს ვუჭერდი და ბევრი ჩემი მეგობარიც.

– მახსოვს მაშინ კონფლიქტს სწორედ ეს უფლებების გამიჯვნა იწვევდა. საუბარი იყო, რამდენად ფართო უფლებები ექნებოდა აბაშიძეს. ისეთივე, როგორც აფხაზეთს, თუ უფრო მოკრძალებული?

– ეს თეორიული კრიზისი იქნებოდა. ეს იქნებოდა დავა და კამათი, სადაც მართალი და მტყუანი გამოჩნდებოდა. საბიუჯეტო უფლებები უნდა დაერეგულირებინა. ათი წლის მანძილზე ცენტრი რეგიონს ედავებოდა და რეგიონი – ცენტრს. რომელი პრობლემა დაარეგულირა შევარდნაძემ?

– არის ცენტრი ჩამოყალიბებული, რა სახის უფლებები უნდა მივცეთ აჭარას, ფართო თუ შეზღუდული?

– ეს მსჯელობის საგანია. ამ საკითხს კომისიის შექმნა და ყველა კუთხით განხილვა სჭირდება. ეს მხოლოდ პოლიტიკური საკითხი არ არის, სამართლებრივიცაა. ეს ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული საკითხი იქნება, რომლის გადაწყვეტაც ახალ პარლამენტს მოუწევს. ამ წუთში კონკრეტიკაზე სასაუბროდ, მზად არ ვარ.

– აბაშიძეს ბევრჯერ შეხვედრიხართ, ამ კრიზისის ფონზე ის აგრესიული იყო?

– ბატონი ასლანისა და ჩემი ურთიერთობა უცნაურად წარიმართა. რამდენჯერაც შევხდით, ყოველთვის რაღაც პრობლემა იყო. შევარდნაძის დროსაც ბათუმში მაშინ მიწევდა ჩასვლა, როცა ურთიერთობა რთულდებოდა. ის ახლაც ისეთივე იყო, როგორც სხვა შეხვედრების დროს. თუმცა ცხადია, ახლა ჩვენ ბევრად უფრო ვღელავდით. პირობები, რომელიც ჩვენი მხრიდან იყო წაყენებული, ნამდვილად არ იყო შეუსრულებელი. ანუ აქედანაც კი ჩანს, რომ პრეზიდენტი მზად იყო კონფლიქტის განმუხტისთვის. პრეზიდენტის მხრიდან ზომიერი და სამართლიანი მოთხოვნები იყო ჩამოყალიბებული. მნიშვნელოვანი იყო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარების საკითხი, ასევე იარაღის ჩაბარების თემა...

– მოსახლეობაში დარიგებული იარაღი ვის უნდა ჩააბარონ?

– ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო სტრუქტურებს. ასე ვთქვათ, ცენტრი შემდეგ გადაწყვეტს ამ იარაღის ბედს. საერთოდ, ეს სერიოზული პრობლემაა. ცენტრალური ხელისუფლება წინა ხელისუფლების დროს იმდენად სუსტი იყო, რომ რეგიონებმა, განსაკუთრებით კი ამ ტიპის რეგიონებმა, სადაც ძალაუფლება მეტად იყო თავმოყრილი, დაიწყო საკუთარი შეიარაღების შექმნა.

– საერთოდ, ცნობილია, რა რაოდენობის იარაღია რეგიონში და როგორ არის შეძენილი?

– ალბათ, ცენტრს ასეთი ინფორმაციები აქვს. მე ვერ გეტყვით. ეს ნამდვილად არ არის ის ინფორმაცია, რომელიც პარლამენტის თავმჯდომარემ დეტალურად უნდა იცოდეს. მაგრამ საკითხი დასარეგულირებელია.

– აბაშიძე ყველას ტერორისტად ნათლავდა, სააკაშვილი არ მოუნათლავს. თქვენც, მგონი, ერთადერთი ბედნიერი გამონაკლისი ხართ...

– არა, არა. ბატონ ასლანს ინფორმაცია ჰქონდა, რომ პრეზიდენტს სხვა განზრახვა ამოძრავებდა და ამიტომ მივიდა დილის შვიდ საათზე. პრეზიდენტს სხვა ინფორმაცია ჰქონდა, რატომაც გადაწყვიტა, სასწრაფოდ გამგზავრებულიყო აჭარაში. მას ჰქონდა ინფორმაცია, რომ აჭარაში სერიოზული პროვოკაცია იგეგმებოდა. როგორც თავად მითხრა, სწორედ ამიტომ გაემგზავრა, რომ ეს პროვოკაცია აეცილებინა. იქ ლაპარაკი იყო მიტინგის დარბევაზე, ამიტომაც პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნა კარგი გადაწყვეტილებაა. ის, როგორც მინიმუმ, ყველა საეჭვო გადაწყვეტილებას გადაამოწმებს.

– თუმცა, რამდენად შეიძლება ნდობაზე საუბარი, თუნდაც სატელეფონო მუქარების შემდეგ, აბაშიძე აცხადებს, რომ მის თვითმფრინავს ჩამოგდებით დაემუქრნენ.

– რამდენადაც ვიცი, ეს ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება. პრეზიდენტი მას არ დამუქრებია.

– მაგრამ ჭანკოტაძე სწორედ იმის გამო დაუკავებიათ, რომ საჰაერო სივრცის გადაკეტვის შესახებ ინფორმაცია გასცა, ასე არ არის?

– არა, ამის გამო არ დაუჭერიათ, მის მიმართ კონკრეტული ბრალდებებია. საუბარია ფინანსურ ვალდებულებებზე. არაფერი გაუთქვამს, უბრალოდ, მან არ შეასრულა ბრძანება იმის შესახებ, რომ დაკეტილიყო საჰაერო სივრცე. დეპარტამენტის ხელმძღვანელი არ ასრულებს პრეზიდენტის ბრძანებულებას, ისიც პრაქტიკულად საომარ მდგომარეობაში, ის ნამდვილად არ არის გასაჩერებელი თანამდებობაზე. თუ გადაწყვეტილებას არ ეთანხმები, როგორც მინიმუმ, უნდა გადადგე.

– პარადოქსული ვერსიაც გამოჩნდა, სხვათა შორის, რომ თქვენ და აღორძინებამ ყველაფერი წინასაარჩევნოდ გაითამაშეთ.

– ხელისუფლებას შოუების დადგმა არ სჭირდება, ჩვენ ვცდილობთ, საქმეები ვაკეთოთ.

– თუმცა, ჯერ ეს საქმეები დაპატიმრებების სერიალს არ გასცდენია.

– უკაცრავად, მაგრამ ბიუჯეტში შემოსავლები გაიზარდა, პენსიები სამი ლარით გაიზარდა. თქვენ ეტყობა, გავიწყდებათ, რომ პენსიები ხუთი და ექვსი თვის გაუცემელი იყო. თუ თვეში გავცემთ ხელფასებს და პენსიებს, მიგაჩნიათ რომ ეს ცოტაა?

– ცოტაა, თქვენს საარჩევნო პროგრამაში უფრო მეტი დაპირება იყო.

– ჩვენ არსად არ გვეჩქარება.

– ნაციონალებს ხომ ჰქონდათ?

– მე არ ვიცი ახლა ნაციონალების... მე მგონი, მათაც არ უთქვამთ, ერთ თვეშიო.

– საუბარი იყო ხელფასებისა და პენსიების გაორმაგებაზე, მცირე ბიზნესის ორი წლით გადასახადებიდან განთავისუფლებაზე. ახლა კი ჯერ ახალი კოდექსიც არ არსებობს და როცა მაისში პარლამენტი მიიღებს, იანვრამდე მაინც ვერ ამოქმედდება, ასე არ არის?

– მე არ ვიცი დეტალურად, არ მახსოვს.

– ამას გულწრფელად ამბობთ?

– დიახ, ორი ნოემბრის არჩევნებამდე სხვისი დაპირებების მოსმენისთვის არ მეცალა, შეგახსენებთ, მე ჩემი ბლოკის კამპანიით ვიყავი დაკავებული და ძალაინ აქტიურად. თუმცა იყო გაცემული დაპირებები და მისი შესრულება რთული იქნება. მაგრამ, როცა ხალხი ხედავს, რომ შენ ცდილობ შეასრულო, მაგრამ არსებობს ობიექტური მიზეზები, რატომ ვერ ახერხებ ამას, ადამიანები ამას გპატიობენ. მოსახლეობისათვის გამაღიზიანებელი ის იყო, რომ ის ხედავდა ხელისუფლებას, რომელიც მას

ჰყავდა, სურვილიც არ ჰქონდა, მდგომარეობა გაეუმჯობესებინა. ეს არის მთავარი მიზეზი.

ქეთი ხატიაშვილი

ალია 2004. – 20 -22 მარტი. – № 34. – გვ. 4

„არ მინდა ჩემი როლი გავაზვიადო“

„ძველი ხელისუფლება ისე ჩქმალავდა ამ პრობლემას, როგორც შუბს ხალთაში“

ბათუმში ჩემი ყოფნი დროსაც ბატონ ასლანს რამდენიმე ისეთი ინფორმაცია მიაწოდეს, რაც ჩვენი წყაროებით სრულიად სხვაგვარად იყო. როდესაც ვითარება ასეთი დაძაბულია, ხშირად, როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს, დაუზუსტებელ ან გაზვიადებულ ინფორმაციებს აწვდიან. მახსოვს მიშას ხმა, როდესაც ტელეფონით ველაპარაკე – ძალზე შეშფოთებული და შეწუხებული იყო...

...დემოკრატებისგან მეტი მხარდაჭერის იმედი მქონდა, მაგრამ... გასულ კვირას დაძაბულობა ცენტრსა და რეგიონს შორის საქმეში პარლამენტის თავმჯდომარის ჩარევამ განმუხტა. ნინო ბურჯანაძის მანდილმა გააფთრებული მამაკაცები, ჯერჯერობით, დააზავა. ცნობილია, რომ ბუნებით ეჭვიანი ასლან აბაშიძე პარლამენტის თავმჯდომარეს კარგი თვალით უყურებს და ენდობა. სწორედ ამიტომაც გადაწყვიტა პრეზიდენტმა აბაშიძის დასაწყნარებლად ამ კოზირის გამოყენება. სააკაშვილმა სწორად გათვალა, ბურჯანაძემ მშვიდობის ელჩის ფუნქციას თავი კარგად გაართვა. ნინო ბურჯანაძესთან საუბრისას უპირველესად იმით დავინტერესდით, რას ფიქრობდა, როდესაც აჭარაში წინასაომარი სიტუაციის განსამუხტავად მიდიოდა. ძალიან ვღელავდი, მაგრამ ორმაგად ვინერვიულე საქართველოში დაბრუნებამდე. როდესაც შორიდან უყურებ მოვლენებს, უფრო მტკივნეულად აღვიქვამ ყველაფერს. ბატონ ასლანთან შეხვედრისას კარგად მესმოდა, რამდენად ბევრი რამ იყო დამოკიდებული ჩვენს დიალოგზე, რათა შემდეგ პრეზიდენტისა და ასლან აბაშიძის შეხვედრა მოხერხებულიყო. მიხარია, რომ პოზიტიური

წვლილი შევიტანე პრობლემის მოგვარებაში. ბატონ ასლანს ბათუმში გამგზავრებამდე ვესაუბრე ტელეფონით – ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ ის ზოგიერთ დათმობაზე წასასვლელად მზად იყო და ძალზე კარგად ესმოდა ისიც, თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა ვითარების ზედმეტად დაძაბვას. ამიტომაც ბათუმში უიმედოდ არ წავსულვარ. თუმც ისიც არ მიფიქრია, რომ ყველა პრობლემა ერთბაშად გადაწყდებოდა. ეს შეუძლებელი იქნებოდა, რადგან ცენტრსა და რეგიონს შორის პრობლემები წლების მანძილზე გროვდებოდა და მას ღრმა ფესვები აქვს. მთავარი ისაა, რომ ვითარება უკვე განიმუხტა, დანარჩენი კი ნელ-ნელა გაირკვევა.

– თუ საიდუმლო არარის, რაზე ისაუბრეთ თქვენ და აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელმა 7 საათის მანძილზე?

– ვეცადე, ბატონი ასლანი დამერწმუნებინა, რომ ცენტრალურ ხელისუფლებას არ ჰქონია აჭარაში ჯარით შეჭრის განზრახვა. ვილაპარაკეთ პრეზიდენტის გადაადგილების საკითხზეც. სავსებით ერთმნიშვნელოვნად ვიტყვი – დაუშვებელია, პრეზიდენტი ქვეყნის რომელიმე კუთხეში თავისუფლად ვერ შედიოდეს. ან თუნდაც იმას, რომ პრეზიდენტს ეუბნებოდნენ, დაცვით არ შემოხვიდე, თუ აჭარაში გინდა შემოსვლა, ასე და ასე მოიქეციო – ასე ლაპარაკი პრეზიდენტთან მიუღებელია და კარგია, რომ ეს საკითხი ნორმალურად და სწორად გადაიჭრა... ვისაუბრეთ ცენტრისა და რეგიონის უფლებამოსილებათა გამიჯვნაზე, საბიუჯეტო საკითხებზე. დიდი დრო დავუთმეთ აჭარაში არჩევნების ჩატარების თემას – წინასაარჩევნო პროცედურებისა და აგიტაციისთვის ნორმალური პირობების შექმნას. ვილაპარაკეთ სხვა საკითხებზეც. უნდა ვთქვა, რომ დიალოგში საკმაოდ პოზიტიური როლი შეასრულა გიორგი აბაშიძემ, რომელიც შეხვედრას ესწრებოდა.

– სხვათა შორის, რუსული საინფორმაციო საშუალებები აღნიშნავდნენ დაძაბულობის განმუხტვაში მოსკოვის მერის, იური ლუჟკოვის როლს. თითქოს იგი თქვენი და ასლან აბაშიძის შეხვედრას ესწრებოდა.

– იური ლუჟკოვი შეხვედრას არ დასწრებია და არც იქნებოდა მართებული მისი იქ ყოფნა. ეს იყო პარლამენტის თავმჯდომარისა და ავტონომიური რესპუბლიკის ხელმძღვანელის შეხვედრა, რომელიც ქვეყნის შიგნით შექმნილ კრიზისულ მდგომარეობას ეხებოდა და ნებისმიერი უცხო ქვეყნის წარმომადგენლის დასწრება იქ ზედმეტი იქნებოდა. არ მინდა ჩემი როლი გავაზვიადო. მე თუ არ ვიქნებოდი, მოიძებნებოდა სხვა პირი, რომელიც პრეზიდენტის განწყობასა და სიტყვებს მიიტანდა ასლან აბაშიძემდე... ვფიქრობ, ვითარების დაძაბვა გაუგებრობამ გამოიწვია. ბათუმში ჩემი ყოფნის დროსაც ბატონ ასლანს რამდენიმე ისეთი ინფორმაცია მიაწოდეს, რაც ჩვენი წყაროებით სულ სხვაგვარად იყო. როდესაც ვითარება ასე დაძაბულია, ხშირად, როგორც ერთ, ისე მეორე მხარეს დაუზუსტებელ ან გაზვიადებულ ინფორმაციებს აწვდიან... პრეზიდენტი სამართლიანად იყო აღშფოთებული, რომ წინააღმდეგობა გაუწიეს მის გადაადგილებას, მაგრამ ამის მიუხედავად, მან ნამდვილად მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, როდესაც ჩავიდა აჭარაში და შეხვდა ავტონომიის ხელმძღვანელს, ვითარება ამით განიმუხტა.

— თქვენ დაუზუსტებელი და გაზვიადებული ინფორმაციები ახსენეთ. კულუარებში სხვადასხვა ვერსია გავრცელდა, სინამდვილეში, ვინ აამღვრია წყალი?

– საქართველოში არ გახლდით და დეტალები არ ვიცი. ვითარების დაძაბვის მთავარი მიზეზი ნამდვილად არ არის ბოლოდროინდელი მოვლენები და არც დღევანდელი ხელისუფლება. კრიზისის მიზეზი ის პრობლემებია, რომლებიც უკანასკნელი 10 წლის განმავლობაში გროვდებოდა და რომლებიც ოდესმე უთუოდ თავს შეგვახსენებდა. ძველი ხელისუფლება ისე ჩქმალავდა ამ პრობლემას, როგორც შუბს ხალთაში, მაგრამ ხომ ცხადი იყო, რომ ჭირი თავს არ დამალავდა. ცენტრისა და რეგიონის დასაპირისპირებლად ძალზე ნოყიერი ნიადაგი შეიქმნა და ამან თავი მაშინ იჩინა, როდესაც ცენტრმა რეგიონში კონსტიტუციური წესრიგის დამყარება განიზრახა – არჩევნების

დემოკრატიულად ჩატარება და საბიუჯეტო კონტროლის აღდგენა მოითხოვა.

– ოპონენტებმა მიხეილ სააკაშვილს სისუსტედ ჩაუთვალეს ჩოლოქიდან გამობრუნება.

– ეს იყო სწორი გადაწყვეტილება – ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ. ვითარების გამწვავებას მან გამობრუნება არჩია. ძალისმიერი გადაადგილება კატასტროფის ტოლფასი იქნებოდა. ერთი ტყვია რომ გავარდნილიყო, მას უთუოდ მოჰყვებოდა საპასუხო და ვის უნდა ესროლა ერთმანეთისთვის?! ერთი ქვეყნის შვილებს ომი უნდა აგვეტეხა? ეს წარმოუდგენელი უგუნურება და შეცდომა იქნებოდა. სააკაშვილს ყველაფერი რომ დააბრალონ, სიმხდალეს ნამდვილად ვერ დასწამებენ. მე სწორედ მისი გაბედულების მეშინოდა. რაკი აჭარაში არ შეუშვეს, პრეზიდენტი შეურაცხყოფილად გრძნობდა თავს და შემეშინდა, ვაითუ წინააღმდეგობას არ შეეპუოს და საზღვრისკენ წავიდეს-მეთქი. კარგია, რომ მაშინ სააკაშვილმა პირად თავმოყვარეობაზე მაღლა ქვეყნის ინტერესი და მისი სტაბილურობა დააყენა და ჩოლოქიდან გამობრუნდა. ეს იყო ერთადერთი სწორი ნაბიჯი იმ ვითარებაში.

– ზოგისთვის ეს კონფლიქტი მორიგი წინასაარჩევნო „ფანდი“ იყო.

– რას ქვია „ფანდი“? გამოდის, ნინო ბურჯანაძე და მიშა სააკაშვილი ნიჭიერი მსახიობები ყოფილან, რომ ასე კარგად ითამაშეს. მახსოვს მიშას გამოსვლა, მისი ხმა, როდესაც ტელეფონზე ველაპარაკე – ძალზე შეშფოთებული და შეწუხებული იყო. ის მართლაც ძალზე ნიჭიერი ადამიანია, მაგრამ არა მგონია იმ დონის მსახიობი იყოს, ასე დამაჯერებლად თამაშობდეს. თანაც გასულ კვირას უკვე დაინიშნენ ბათუმის პორტსა და საბაჟოზე პრეზიდენტის წარმომადგენლები – ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

– გენერალურმა პროკურორმა განაცხადა, რომ აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები სოსო გოგიტიძეზე, ასევე, დავით ბაკურაძეზე. თუ ამ საქმეებს მსვლელობა მიეცემა, ხომ არ გახდება ეს მორიგი დაპირისპირების მიზეზი?

– პროკურატურის საქმეში ვერ ჩავერევი – ვერ ვიტყვი, რომელი საქმე უნდა შეწყდეს და რომელი გაგრძელდეს. თუ ვინმეზე არსებობს სერიოზული ინფორმაცია, ის უთუოდ უნდა გადამოწმდეს და გაირკვეს, დამნაშვეა ეს პირი თუ უდანაშაულო. დარწმუნებული ვარ, ბატონი გოგიტიძე და ბაკურაძეც თავად იქნებიან დაინტერესებულნი, რომ გაირკვეს, არიან თუ არა ისინი დამნაშავენი. ისიც, რომ პროკურატურის წარმომადგენლები უკვე ჩავიდნენ აჭარაში, მნიშვნელოვანი ფაქტია.

– მინდა გკითხოთ საარჩევნო სიების შედგენისას წარმოქმნილ პრობლემებზე. თქვენ ასხენეთ ფრაზა – „ჩემი გუნდი“, მაშინ, როდესაც მიხეილ მაჭავარიანი ამტკიცებს, ჩვენ ვართ ქალბატონი ნინოს თანაგუნდელები და მათ სხვაგან რატომ ეძებსო.

– არასოდეს მითქვამს, „დემოკრატებს“ ჩემს გუნდად არ მივიჩნევ-მეთქი და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ და „ნაციონალები“ წინა არჩევნებზე ცალ-ცალკე გამოვდიოდით, მათზეც არ ვიტყვი ამას. ნაციონალებიც და დემოკრატებიც თანაგუნდელები ვართ. თუმცა არიან პირები, რომლებიც ამ პარტიების წევრები არ ყოფილან, თუმცა წინა არჩევნების დროს მოიაზრებოდნენ ნინო ბურჯანაძის გუნდის წევრებად. თუკი გაერთიანებული დემოკრატებისთვის მაშინ იყო მისაღები ბურჯანაძის გუნდის არსებობა (ამაზე ავაგეთ ნოემბრის არჩევნების კამპანია), ახლა რა მოხდა? მათ (ე. წ. ბურჯანაძის გუნდს) არაფერი შეშლიათ, რევოლუციის დაწყებამდეც და მერეც გვერდში გვედგნენ. როდესაც მათ ვუთხარი – პარლამენტში არ შევალ, რადგან არჩევნები გაყალბდა-მეთქი, დამეთანხმნენ, მიუხედავად იმისა, რომ მათგან რამდენიმე პარლამენტში გასული იყო. ამ ხალხმა იბრძოლა და თან ძალზე ღირსეულად. როდესაც ამას ვამბობ, იმას არ ვგულისხმობ, რომ პარლამენტში მათი მოყვანა ვინმეს ხარჯზე მინდოდა. წინა არჩევნების დროს ამ ხალხს ბურჯანაძე-დემოკრატების ბლოკში თავისი ადგილი ჰქონდა, ამჯერადაც ასე უნდა ყოფილიყო და ეს იქნებოდა სამართლიანი. მე და მიშა მაჭავარიანს არ უნდა დაგვჭირვებოდა ერთმანეთთან პრესით ლაპარაკი, მას არ უნდა ეთქვა – ნინო ბურჯანაძის ქმედება შა-

ნტაჟს ჰგავს, მისი გუნდის წევრები ეჭვს იწვევენო. მე ღირსეული ადამიანები შევარჩიე, ამ ხალხის შესახებ წინასწარ მქონდა შეთანხმება ბლოკის ლიდერებთან და არავისთვის ყოფილა დიდი მოულოდნელობა.

– ანუ მერე შეიცვალეს აზრი?

– აღარ მინდა ამაზე ლაპარაკი. ეს უსიამოვნო ინციდენტი დღეს უკვე ამოწურულია. თუ რამე გვეწყინება მეგობრებს, უნდა ვუთხრათ ერთმანეთს. არ ვარ ისეთი ადამიანი, წყენა გულში ჩავიდო და მერე კრიტიკულ მომენტში გავუხსენო ვინმეს. სხვათა შორის პრეზიდენტსაც ვესაუბრე და განვუმარტე, რაზეც ვიყავი განაწყენებული და იგი სავსებით გაგებით შეხვდა ჩემს პოზიციას. დარწმუნებული ვარ, ბატონი მიხეილი რომ აქ ყოფილიყო, სიას უფრო სხვა სახე ექნებოდა.

– სხვათა შორის იმასაც ამბობენ – ბურჯანაძეს და ჟვანიას ურთიერთობა გაუცივდათ, სპიკერი ქალბატონი პრეზიდენტს უკეთ შეეწყოო.

– სრული უფლება მქონდა, მეტი გაგება და დათმობა გაერთიანებული დემოკრატებისგან მომეთხოვა, ვიდრე ნაციონალებისგან. ბუნებრივია, მეტი პრეტენზია მექნებოდა გაერთიანებული დემოკრატების ლიდერის, ვიდრე ნაციონალების მიმართ. დემოკრატებისგან მეტი მხარდაჭერის იმედი მქონდა, მაგრამ...

— თქვენი მეუღლის ახალი პოსტი მოგწონთ?

— ვერაფერს ვიტყვი, ამაზე არ მიფიქრია. ისე, იოლი სამსახური მას არასოდეს ჰქონია. ჯერ კიდევ პარლამენტის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარეობიდან ვიცი, რა პრობლემებიც არსებობს საზღვარზე. ჩემი მეუღლეც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება ამ საქმეს და დარწმუნებული ვარ, კარგად გაართმევს თავს.

იზო რიკაძე

კვირის პალიტრა 2004. – 22-28 მარტი. – №12 გვ. 1-7

დათვური სამსახურია დუმილი, როცა რაღაცა სწორად არ კეთდება

„დღეს უფრო მომზადებული ვარ პარლამენტის თავმჯდომარეობისთვის“

ბევრ ქვეყანას აქვს სტრატეგიული ინტერესი საქართველოში და, ბუნებრივია, ისინი აქ თავის აგენტურას ამუშავებენ. კარგად ვიცი, მოარული გზებით როგორ ინფორმაციასაც აწვდიან ბატონ ასლანს. მეორე მხრივ, ზოგიერთი მართლაც ცდილობს ცენტრალურ ხელისუფლებას რადიკალური ნაბიჯებისთვის უბიძგოს და ამით ჩიხში მოაქციოს. აჭარაში შექმნილმა დაძაბულობამ ყველას დაუკარგა მოსვენება. ცენტრი კონსტიტუციური უფლებების აღსრულებას ითხოვს. მაგრამ რატომღაც აბაშიძეს საპირისპირო არგუმენტები აქვს, თანაც თავისივე მიღებული აჭარული კოსტიტუციის საფუძველზე. კიდევ ერთი პრობლემა: სააკაშვილი ურჩობას ვერ იტანს. აბაშიძე კი მორჩილებას არ არის ნაჩვევი – ამის შედეგად კი ჩოლოქთან კვლავ შეიარაღებული ხალხი ტრიალებს. მაინც სადამდე გაგრძელდება აჭარული ჩიხი? ახალი პარლამენტი 21 აპრილს შეუდგება მუშაობას. განსახილველად უპირველესი საკითხი აჭარა იქნება და აჭარის თემითვე დავიწყეთ ინტერვიუ პარლამენტის თავმჯდომარესთან ქალბატონ ნინო ბურჯანაძესთან:

ზოგიერთი შეეცადა, აჭარასთან დაპირისპირება ამ ხელისუფლების მიერ შექმნილად წარმოეჩინა, მაგრამ ეს ასე ნამდვილად არ არის. ყველას კარგად გვახსოვს, რომ იგივე პრობლემა ორი-ხუთი წლის წინაც და უფრო ადრეც არსებობდა. პრობლემა, რომელიც წინა ხელისუფლებამ დაგვიტოვა, აუცილებლად საჭიროებს მოგვარებას. ასეთ ვითარებაში აღარ შეიძლება ურთიერთობის გაგრძელება. ეს მხოლოდ პოლიტიკურ

ელიტას კი არა, თითოეულ მოქალაქეს, მთლიანად საზოგადოებას თრგუნავს. თითოეული ჩვენგანი შიშობს, რა მოხდება ხვალ აჭარაში. ამასთან, აქ ერთ და ორ პრობლემასთან არ გვაქვს საქმე – არის პრობლემების მთელი კომპლექტი. ის, რომ ჯერჯერობით არ არის გამიჯნული ცენტრისა და რეგიონის უფლებამოსილებები, თავისთავად ქმნის ძალზე ბევრ პრობლემას. ყველას გვახსოვს, წლების მანძილზე რა წინააღმდეგობებს ვაწყდებოდით რეგიონიდან ბიუჯეტში თანხების გადმორიცხვასთან, საბაჟოს გაკონტროლების, კონტრაბანდასა და ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. აჭარის ავტონომიის ხელმძღვანელობას მოვუწოდებ (იმედი მაქვს, ჩემს მოწოდებას ყურად იღებენ), აუცილებლად გადადგას ნაბიჯი ცენტრალური ხელისუფლების სამართლიანი მოთხოვნების შესასრულებლად. არ შეიძლება ქვეყანაში ორი სამართლებრივი სივრცე არსებობდეს, არ შეიძლება რომელიმე რეგიონს შეიარაღების მთელი არსენალო ჰქონდეს. თავად ბატონი ასლანი მოითმენდა ქობულეთის, ხულოს ან ავტონომიური რესპუბლიკის რომელმე რაიონის გამგებელს მისგან დამოუკიდებლად და უკითხავად იარაღი რომ ეყიდა, გამგეობის შენობის წინ კი ტანკი დაეყენებინა? რა თქმა უნდა, არა და არც არის მოსათმენი. არ შეიძლება, ქვეყანაში იყოს იარაღი, რომელსაც ცენტრალური ხელისუფლება არ აკონტროლებს. ამიტომ განიარაღების, ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიის საკითხები აუცილებლად და სასწრაფოდ გადასაწყვეტია. გასაგებია, რომ ყველაფერი ეს ერთ დღეში არ მოგვარდება, მაგრამ საამისოდ მუშაობა უნდა დაიწყონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ცენტრი ძალზე რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდება, რადგან ის უარს ვერ იტყვის ამ კანონიერ მოთხოვნებზე, – კონსტიტუციური სივრცის აღდგენა სწორედ ამ გზით შეიძლება. თუმც იმავდროულად ყველამ ვიცით, რომ ეს პრობლემა მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით უნდა მოგვარდეს. იმედი მაქვს, გონიერება გაიმარჯვებს და ორივე მხარე სწორ ნაბიჯებს გადადგამს.

– ამბობენ, აჭარის მოსახლეობა მეტისმეტად დაზაფრული და შეშინებულიაო...

– ასეთივე განცდა გვაქვს მთელს საქართველოში. ღმერთმა ნუ ქნას, აჭარაში რამე მოხდეს, რადგან ამან შესაძლოა ჯაჭვური რეაქცია გამოიწვიოს. ამ საფრთხეს ყველა კარგად ვხედავთ.

– ურთიერთობის დასარეგულირებლად და დიალოგისათვის 22-ჯერ იყო ედუარდ შევარდნაძე აჭარაში, მაგრამ ამაოდ. ახალი ხელისუფლებაც ხშირად სტუმრობს აჭარას, მაგრამ ხელშესახები შედეგები არ ჩანს. როდის გამოიღებს აჭარა-თბილისს შორის მისვლა-მოსვლა პოზიტიურ ნაყოფს?

– წინა ხელისუფლება ბათუმში მართლაც უშედეგოდ დადიოდა. როგორც კი სიტუაცია გამწვავდებოდა, ნაცვლად იმისა, კატეგორიულად მოეთხოვა პრობლემის გადაწყვეტა ან მისი გადაწყვეტის გზები ეძებნა, ხელისუფლება, ფაქტობრივად შუბის ხალთში დამალვის პოლკიტიკას მიმართავდა. დღეს ასე ნამდვილად არ ხდება. თუ დააკვირდებით, ცენტრის მკვეთრ პოზიციასა და აჭარაში არაერთხელ ჩასვლას აბაშიძის მხრივ გარკვეული ნაბიჯები მოჰყვა. ანუ ცენტრალურმა ხელისუფლებამ დაანახვა ავტონომიის ხელმძღვანელობას, რომ არ აპირებს ბათუმსა და თბილისს შორის უშედეგო სიარულს. ჩვენ კარგად გვესმის, რომ აჭარაში ერთი ჩასვლით ყველა პრობლემა არ მოგვარდება. ამიტომაც, როდესაც პარლამენტი მუშაობას დაიწყებს, ერთ-ერთ პრიორიტეტად ცენტრსა და რეგიონს შორის პრობლემების კონსტიტუციურად დარეგულირებას დავისახავთ. რთულია 10 წლის მანძილზე დაგროვებული მწვავე საკითხების ერთბაშად გადაწყვეტა. ამას ფსიქოლოგიური ბარიერიც უშლის ხელს და წყალქვეშა დინებებიც, მაგრამ პრობლემების მოგვარების წლობით გაჭიანურებაც შეუძლებელია. ბატონი ასლანისათვის არასდროს დამიმალავს ჩემი პოზიცია, რომელიც სამწუხაროდ ჯერჯერობით გაზიარებული არ არის. 1997 წელს, პარლამენტში ჩემი ერთ-ერთი პირველი გამოსვლისას ვთქვი, – ჩემთვის შეურაცხმყოფელია, რომ საქართველოში ჩოლოქის სა-

კონტროლო-გამშვები პუნქტი არსებობს-მეთქი. სხვათა შორის, ერთ-ერთი შეხვედრისას მითხრა ბატონმა ასლანმა, – თქვენ ჩოლოქის გამო გაგვაკრიტიკეთო. მე არ დამიწყია მტკიცება, – არფერი მითქვამს-მეთქი და დავუდასტურე – არანორმალურია, როდესაც საზღვარი არსებობს საქართველოს ორ ნაწილს შორის-მეთქი. გასახარია, რომ ამას წინათ, ბატონმა გიორგი აბაშიძემაც განაცხადა, მკვეთრად უარყოფითად ვაფასებ ჩოლოქზე საკონტროლო-გამშვები პუნქტების არსებობასო და დასძინა, ჩემი ნება რომ იყოს, ახლავე გავაუქმებდი მასო.

– ამბობენ, განსხვავებულად ლაპარაკი აბაშიძეების ტაქტიკაა, გიორგი აბაშიძე დემოკრატს თამაშობს, თორემ ისიც მამის პოლიტიკას იზიარებსო.

– ასეა თუ ისე, ადამიანების ცნობა ვიცი და არა მგონია, გიორგი აბაშიძე ჩვენთან საუბრისას არაგულწრფელი ყოფილიყო. არაერთხელ მისაუბრია მასთან. ბათუმში ჩემი ბოლო ჩასვლისასაც მან ძალზე პოზიტიური როლი შეასრულა მოლაპარაკებაში. მახსოვს, შეწუხებულმა მითხრა – ქალბატონო ნინო, იქნებ მოახერხოთ ამ საკითხის დარეგულირება, ეს პრობლემა ძალზე მაწუხებსო. არა მგონია, ახალგაზრდა კაცი გულწრფელი არ იყოს, მაშინ როდესაც თავისი ქვეყნის ხვალინდელ დღეზე ლაპარაკობს. შესაძლოა შეცდომებს გიორგი აბაშიძეც უშვებს, ისევე როგორც ყველა ჩვენგანი. მით უმეტეს, როდესაც უკონტროლო გარემოში ცხოვრობს და განუსაზღვრელი ძალაუფლება აქვს, ახალგაზრდობამ კი არა, შესაძლოა გამოცდილმა ადამიანებმაც არასწორი ნაბიჯები გადადგან.

– ანუ შეიძლება ვთქვათ, რომ ბატონი ასლანი აჭარაში თუ არა, საკუთარ ოჯახში მაინც არის დემოკრატი?

– ალბათ ასეა.

– გახმაურდა ვერსია, ცენტრსა და აჭარას შორის დაპირისპირებაში უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების ხელი ურევია. ისინი ერთი მხრივ პრეზიდენტს აქეზებენ, – აჭარის პრობლემას დროულად თუ არ მოაგვარებთ, თქვენი რეიტინგი დაეცემაო, მე-

ორე მხრივ კი ასლან აბაშიძეს ეუბნებიან, – დრო გააჭიანურე, ახალი ხელისუფლების დღეები დათვლილიაო.

– ამ ვერსიას არათუ გამოვრიცხავ, დარწმუნებულიც კი ვარ, რომ ასეა. ეს დაპირისპირება სპეცსამსახურების ჩარევის გარეშე არ დაწყებულა. ბევრ ქვეყანას აქვს სტრატეგიული ინტერესი საქართველოში და, ბუნებრივია, ისინი აქ თავის აგენტურას ამუშავებენ. კარგად ვიცი, მოარული გზებით როგორ ინფორმაციასაც აწვდიან ბატონ ასლანს. მეორე მხრივ, ზოგიერთი მართლაც ცდილობს ცენტრალური ხელისუფლებას რადიკალური ნაბიჯებისკენ უბიძგოს და ამით ჩიხში მოაქციოს. ხმა, ამ ხელისუფლებასა და პარლამენტს დღეები დათვლილი აქვსო, აბსოლუტურად მცდარია. ჩვენ მოსახლეობა გვიჭერს მხარს, არ გადაგვიდგამს ისეთი ნაბიჯები, რომ მას ზურგი ექცია ჩვენთვის.

– რას იტყოდით ახალ პარლამენტზე?

– დრო მჭირდება ყველას გასაცნობად. თუმც ძირითადი შემადგენლობა ცუდი ნამდვილად არ არის. ჩვენ შევძლებთ თანამშრომლობას და იმას, რომ ნორმალური პარლამენტი გვყავდეს. მე ნამდვილად არ მაქვს იმის ილუზია, რომ ამ პარლამენტში იოლი იქნება მუშაობა, მაგრამ ვფიქრობ, შევძლებ მოსახლეობას შეუქმნა განცდა, – ეს ის პარლამენტია, რომელიც ჩვენზე ზრუნავსო. ჩვენ გვინდა ეს იყოს ქმედუნარიანი ორგანო, რომელიც აქტიურად ითანამშრომლებს მთავრობასთან, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფო ინტერესებიდან გამომდინარე, მას ოპონირებასაც გაუწევს.

– ორსუბიექტიან პარლამენტს ზოგი იწონებს, ზოგიც იწუნებს, თქვენ რა აზრის ხართ ამ საკითხზე?

– პარლამენტი რომ ორსუბიექტიანია, ამას მინუსებიც აქვს და პლუსებიც. ერთმა უცხოელმა ჟურნალისტმა მითხრა, – თქვენს პარლამენტში ორი ძალაა წარმოდგენილი და როგორ იმუშავებსო. უკაცრავად, მაგრამ ამერიკის კონგრესსა ან დიდ ბრიტანეთში რამდენი პარტიაა – მეთქი, ვკითხე. ამაზე ტრაგედიის შექმნა არ ღირს. თუმც ხელისუფლებას პარლამენტში ნა-

მდვილად სჭირდება კონსტრუქციული ოპოზიცია. პარლამენტში დღეს ისეთი ხალხი მოვიდა, რომლებმაც თავიანთი მრწამსისა და დემოკრატიული ფასეულობების დაცვისთვის რევოლუცია მოახდინეს. დარწმუნებული ვარ, პარტიული კუთვნილების მიუხედავად, ისინი არ გაჩუმდებიან, თუ მიიჩნევენ, რომ დუმილი ქვეყნისთვის საზიანო იქნება.

– ამბობენ, რომ შესაძლოა თქვენმა გუნდმა ცალკე ფრაქცია შექმნას, რომელიც ოპოზიციური ნიშის დაკავებას შეეცდება.

– ამ ხმებს ისინი ავრცელებენ, რომელთაც დიდი სურვილი აქვთ წარმოაჩინონ, თითქოსდა ჩემი და ჩემი გუნდის მიზანი ოპოზიციონერობაა. პარლამენტში ცალკე ფრაქციის შექმნას არ ვაპირებ და ჩემი მეგობრებიც იმავე აზრს იზიარებენ. პირველი არ გადავდგამ ნაბიჯს დეზინტეგრაციისა და გამიჯვნისკენ. ჩვენი გუნდის ერთიანობა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი დარღვევა ნამდვილად არ წაადგება ქვეყანას. თუ ნაციონალები და გაერთიანებული დემოკრატები ცალ-ცალკე შექმნიან ფრაქციებს, ამის შემდეგ კიდევ დავფიქრდებით, შევქმნათ თუ არა დამოუკიდებლი ფრაქცია. აქტიურ თანამშრომლობას ვაპირებ იმათთან, რომლებთან ერთადაც მოვედი ამ ხელისუფლებაში. მაგრამ იმაზე თავის დაქნევას, რაზეც დასაქნევი არ არის, ოპოზიციონერობა არ სჭირდება. დათვური სამსახური და მტრობაა ვინმეს სიამოვნებისათვის დუმილი მაშინ, როდესაც რაღაც სწორად არ კეთდება. მე კი არ ვაპირებ ამ ხელისუფლებას ვუმტრო. თუკი რამე არასწორად გაკეთდება, ვალდებულად ჩავთვლი თავს ამის თაობაზე დახურულ კარს მიღმა ვუთხრა ხელისუფლებას და ტელევიზიით არ ვიყვირო. თუ აუცილებელი იქნება, პარლამენტის სხდომათა დარბაზშიც არ მოვერიდები პოზიციის გამოხატვას. ასეთი სტილი მაქვს – ათჯერ ვიტყვი დახურულ კარს მიღმა, მაგრამ როცა ყურს არ მათხოვებენ, მეთერთმეტეჯერ უკვე პრესასთან ან პარლამენტში ვლაპარაკობ.

– პარლამენტის თავმჯდომარეობა ხომ არ გადაგიფიქრებიათ?

– რატომ უნდა გადამეფიქრებინა? მგონია, რომ ამ მოვალეობას თავს გავართმევ. დღეს ბევრად უფრო მომზადებულად მიმაჩნია თავი პარლამენტის თავმჯდომარეობისთვის, ვიდრე 2 წლის წინ. როდესაც დავრწმუნდები, რომ სხვა მეტად გამოდგება ამ თანამდებობაზე, ნამდვილად არ ჩავებღაუჭები სავარძელს.

– დასასრულ, სავსებით აპოლიტიკური კითხვა მინდა დაგისვათ. რამდენადაც ვიცი, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული პრეზიდენტის, პატრიარქისა და პრემიერ-მინისტრის გარემოცვაში აღნიშნეთ და სადღეგრძელოც გითქვამთ. თუ საიდუმლო არ არის, ვინ ადღეგრძელეთ?

– უპირველესად პატრიარქს გადავუხადე მადლობა. მართლაც მნიშვნელოვანია მისი როლი ერის გაერთიანებასა და გამთლიანებაში. ჩემი სადღეგრძელოს მთავარი არსი ის იყო, რომ ჩვენ, დღევანდელმა ხელისუფლებამ გავამართლოთ იმათი იმედები, რომლებსაც ჩვენი სჯერათ. ასევე პრეზიდენტსა და დღევანდელ ხელისუფლებას (ცხადია, ჩემს თავსაც) ვუსურვებ ის იმედი გაგვემართლებინოს, რომელიც არა მარტო ქვეყნის შიგნით, მის გარეთაც აქვთ-მეთქი.

იზო რიკაძე

კვირის პალიტრა 2004. – 19-25 აპრილი. -№16. – გვ. 1-7

ნინო ბურჯანაძე აჭარის ამბებში რუსეთის ჩარევას გამორიცხავს და იმედოვნებს, რომ აბაშიძე „იმ ნაბიჯებს გადმოდგამს, რაც გადმოსადგმელია“

პარლამენტის თავმჯდომარე დუმის დადგენილებაში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს და პირიქით აცხადებს, რომ თუ ადრინდელ დადგენილებებს გავიხსენებთ, ეს გაცილებით უკეთესი იყო. გამომდინარე აქედან, ბურჯანაძე დარწმუნებულია, რომ რუსეთი საქართველოს საშინაო საქმეებში არ ჩაერევა, თუნდაც საერთაშორისო საზოგადოებრიობის რეაქციის შიშით. საუბარია რუსეთის პარლამენტის ქვედა პალატის დადგენილებაზე, რომელიც აჭარის პრობლემას ეხება. დუმის დეპუტატები ეჭვობენ, რომ თბილისი ძალის გამოყენებას აპირებს და რჩევას გვაძლევს, რომ ამას პოლიტიკური დიალოგი ვარჩიოთ.

როგორ იმოქმედებს რუსეთი საქართველოს საშინაო საქმეებთან მიმართებაში? მისცა თუ არა გარანტიები ცენტრმა ავტონომიის მეთაურს? ამ და სხვა საკითხებზე „რეზონანსი“ პარლამენტის თავმჯდომარეს ესაუბრა.

ნინო ბურჯანაძე: გვინდა, აჭარის პრობლემა მშვიდობიანი გზით მოგვარდეს. მაგრამ ის, რომ პრობლემა მოსაგვარებელია, ამაზე ლაპარაკობს აბსოლუტურად ყველა. იგივე რუსეთის სათათბიროს განცხადების დრამატიზებას არ დავიწყებდი. თქვენ ალბათ მიაქციეთ ყურადღება, რომ პირველად, ბოლო წლების განმავლობაში დუმის განცხადებებში საქართველოს მიმართ ტონალობა აბსოლუტურად შეცვლილია. პირველად, ბოლო წლების განმავლობაში, რუსეთის საკანონმდებლო ორგანო საქართველოს მეგობრულ სახელმწიფოს უწოდებს. ის, რომ იქ არის მოწოდება თუ მინიშნება იმაზე, რომ მშვიდობიანად გადაწყდეს ეს პრობლემა, ამაში განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ.

ჩვენ თავად ვამბობთ, რომ ჩვენი მთავარი ამოცანა პრობლემის მშვიდობიანი გადაწყვეტაა. დიდი იმედი მაქვს, რომ აჭარის ხელისუფლება სერიოზულ ნაბიჯებს გააკეთებს და ის მოთხოვნები შესრულდება, რომლებიც ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან იყო დაყენებული. მაგალითად, განიარაღებასა და აჭარის საკონსტიტუციო-სამართლებრივ სივრცეში მოქცევასთან დაკავშირებით.

„რ“: თქვენი აზრით, დუმის დადგენილება აგრესიული არ არის?

ნ. ბ.: მე ვერ ვხედავ ამ დადგენილებაში ვერაფერს ისეთს, რაც განგაშის საგანი უნდა გახდეს. არ ვთვლი, რომ ტონი აგრესიულია. გაიხსენეთ წინა დადგენილებები და მერე შეაფასეთ... როცა პირდაპირ წერია, რომ საქართველო არის მეგობრული სახელმწიფო იმ დადგენილების ფონზე, სადაც საქართველო მტრულ სახელმწიფოდ იყო გამოცხადებული, მგონი ეს ცვლილება უნდა შევამჩნიოთ. ყველა პრობლემის ერთბაშად მოხსნას არ უნდა ველოდოთ. თუ შევეცდებით, რომ ერთმანეთს მეტი პოზიტივი დავანახოთ, მით უფრო მალე გადაწყდება საქართველოს ურთიერთობები. გამოვრიცხავ, რომ ოფიციალური მოსკოვი საქართველოს შიდა კონფლიქტში ჩაერიოს.

„რ“: რა რესურსები არსებობს და რაზე შეიძლება აჭარასთან დიალოგი?

ნ. ბ.: სასაუბრო ძალიან ბევრია, მაგრამ ამ საუბრებს კონკრეტული ნაბიჯები უნდა მოჰყვეს. თუ საუბრის შემდეგ ნაბიჯი გადმოდგმული არ იქნა, საუბარი საუბრად დარჩება. ამიტომ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ იმედი მაქვს, აჭარის ავტონომიის მეთაური კონკრეტულ ქმედებებს დაიწყებს და იმ ნაბიჯებს გადმოდგამს, რაც გადმოსადგმელია.

„რ“: აჭარიდან წამოსულ სამხედროებს ცენტრი რა გარანტიებს აძლევს?

ნ. ბ.: მათი აჭარიდან წამოსვლა გენერალ დუმბაძის განცხადებამ განაპირობა, რომელმაც უარი განაცხადა უმაღლეს

მთავარსარდალს დამორჩილებოდა. მსოფლიოში არც ერთი ქვეყანა, არავინ მოითმენს, რომ რომელიმე გენერალი არ ემორჩილებოდეს უმაღლესი მთავარსარდლის მოთხოვნებს. დუმბაძის განცხადების შემდეგ სრულიად ბუნებრივია, რომ სამხედროების წამოსვლა დაიწყო. მათ არ უნდათ, რომ თავიანთი პრეზიდენტისა და ცენტრალური ხელისუფლების წინააღმდეგ წავიდნენ. როცა დუმბაძე ამ განცხადებას აკეთებდა, სხვას რას ელოდა?

„რ“: აძლევს თუ არა ხელისუფლება აბაშიძეს ხელშეუხებლობის გარანტიებს?

ნ. ბ.: ჩემი თანდასწრებით ასეთი შეთავაზება არ ყოფილა. თუმცა ვიცი, რომ გარკვეული საუბრები ამასთან დაკაშირებით იყო. რა დონეზე და როგორ, ვერ გეტყვით. პირადად მე ამ საუბრებს არ ვესწრებოდი.

„რ“: თუ აბაშიძე პოზიციებს დათმობს და თბილისში ჩამოსვლას მოინდომებს?

ნ. ბ.: ამ გამწვავებულ ვითარებაში არ მგონია, რომ აბაშიძის თბილისში ჩამოსვლაზე საუბარი სწორი გამოსავალი იყოს. ამ წუთში, თუ ვითარება არ დარეგულირდა, ჩამოსვლაზე ლაპარაკი შედეგს არ მოიტანს. თუმცა ის, რომ რეგიონის ლიდერი არ ჩამოდის დედაქალაქში, ორდინალურ შემთხვევად ვერ ჩაითვლება.

„რ“: ხომ არ ფიქრობთ, რომ აჭარის პრობლემის გამო აფხაზეთის საკითხი თითქოსდა მიჩუმდა? არადა, აფხაზეთში არჩევნები მოახლოვდა და სოხუმშიც აქტიური პროცესები მიმდინარეობს?

ნ. ბ.: აფხაზეთის პრობლემა მეორეხარისხოვნად არასდროს იქცევა, მაგრამ იქაც გარკვეული სპეციფიკაა. დანიშნულია არჩევნები. დღეს ნამდვილად პირველი პრობლემა არის აჭარის პრობლემა.

ეკა გულუა

რეზონანსი. – 2004, 30 აპრილი, №113, გვ. 8

კონფლიქტის მოგვარებაში მონაწილეობის გამო რუსეთს სამაგიეროდ არ მოუთხოვია

ვეცდებით, რომ აჭარაში განხორციელებული ინვესტიციები დაცული იყოს

ის, ვინც საკუთარი ამბიციის წინ წამოწევას შეეცდება, უთუოდ დაკარგავს მხარდაჭერას...

...ასლან აბაშიძეს ვუთხარი, რისი ღირსია ის, ვინც ხიდების აფეთქება გირჩიათ-მეთქი. როდესაც ივანოვი აჭარაში ჩამოფრინდა, ჩვენ ბათუმში, ქობულეთსა და ჩოლოქთან აბსოლუტურად ვაკონტროლებდით სიტუაციას. აბაშიძის ნებისმიერი გაბრძოლება უთუოდ მარცხით დამთავრდებოდა, მაგრამ ჩვენთვის მთავარი ის იყო, შეტაკების პრეცედენტი არ დაგვეშვა.

„ასლან აბაშიძე გაიქცა, აჭარა თავისუფალია!“ – გვახარა პრეზიდენტმა გიორგობა ღამეს.

„გვეღირსა!“ – აღმოხდათ აჭარლებს... ასე დასრულდა „აჭარის ლომის“ პოლიტიკური შულერობა საქართველოში და ამით იწყება მისი ნოსტალგიით (ალბათ, ასე იქნება!) აღსავსე ოდისეა რუსეთსა და შემდგომ ავსტრიაში. აბაშიძემ მოახერხა ისტორიაში „გამორჩეული“ ადგილის დამკვიდრება – ოდესღაც ხიდების აშენებით თავმომწონე ფეოდალი მატიანეში „ხიდების ამფეთქებლის“ სახელით შევა. წესით, მემედ აბაშიძის შთამომავალს საქართველოსთვის რაიმე უკეთესი უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ხომ გახსოვთ ანდაზა – „ერთი ხისგან ბარიც გამოვა და ნიჩაბიცო...“ ასლან აბაშიძის უსისხლოდ მოცილების შემდეგ, პრეზიდენტმა გულმოწყალების მაგალითი გვიჩვენა, როდესაც მისი ყველა ქვეშევრდომი შეიწყალა, მაგრამ რას უზამს სააკაშვილი აბაშიძის მიერ მსხვერპლივით მიგდებულ გენერალ დუმბაძეს?

არ გაუჩნდება პრეზიდენტს ეჭვი – რატომ დამიტოვა აბაშიძემ მისთვის თავგადაკლული გენერალიო? იქნებ დუმბაძე აბაშიძის მორიგი ნაღმია, რომელზეც პრეზიდენტის კაცთმოყვარე იმიჯი უნდა „აფეთქდეს...“ პრეზიდენტმა უნდა აირჩიოს, რა ჯობს, – სხვებისთვის ჭკუის სასწავლებლად ურჩი გენერლის სამაგალითო დასჯა თუ რუსთველისეული შეგონების გახსენება – „მოსამართლე და მოწყალე“ ქვეყნის მმართველივით მოქცევა. აჭარის ვარდობისთვის რევოლუციის შეფასება და მოსალოდნელი პროცესების შესახებ კომენტარი პარლამენტის თავმჯდომარეს, ნინო ბურჯანაძეს ვთხოვეთ:

დიდი განსაცდელის წინაშე ვიდექით, მოვლენების ტრაგიკულად განვითარების რეალური საშიშროება იყო. ამიტომ, ბუნებრივია, მშვიდად არ ვყოფილვარ. თავის დროზე აჭარაში დიდძალი იარაღი დარიგდა და შენახულიც ბევრი ჰქონდა ასლან აბაშიძეს. ერთ პროვოკაციულ გასროლას შესაძლოა უმართავი პროცესები მოჰყოლოდა – ეს კი კატასტროფა იქნებოდა არა მხოლოდ აჭარის, არამედ მთელი საქართველოსათვის. ღვთის წყალობით, ყველაფერი მშვიდობიანად და უსისხლოდ დასრულდა. იმ ღამით, როდესაც ასლან აბაშიძე საქართველოდან წავიდა, განსაკუთრებით დაძაბული ვითარება იყო. არაერთი საგანგაშო ინფორმაცია გვქონდა იმის თაობაზე, თუ რის გაკეთებას აპირებდნენ ასლან აბაშიძე და მისი გარემოცვა. ყოველ ერთ საათში ისეთი ინფორმაციები მოგვდიოდა, რომლებიც დაუყოვნებელი და ზუსტი გადაწყვეტილებების მიღებას საჭიროებდა. მთელი საღამო პრეზიდენტის სამუშაო კაბინეტში ვიყავი და ვხედავდი, როგორი ძალისხმევა იყო საჭირო ვითარების განსამუხტავად. სიტუაციის მოსაგავრებლად ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში მეც ვმოქმედებდი. ძალზე მძიმე ღამე იყო, საოცრად დაძაბულები ვიყავით მანამ, სანამ გავიგებდით – ასლან აბაშიძე გაფრინდაო. იმ ღამესვე რამდენიმე მნიშვნელოვანი სატელეფონო საუბარი მქონდა. მათ შორის იგორ ივანოვთანაც და მას განვუმარტე – დიდი მნიშვნელობა აქვს პრობლემა სწრაფად გადაიჭრას, დროის გაჭიანურება უფრო დაძაბავს სი-

ტუაციას-მეთქი. ბოლო სამი დღის განმავლობაში ტელეფონით რამდენჯერმე ვესაუბრე თვითონ ასლან აბაშიძეს. ხშირად ვესაუბრებოდი გიორგი აბაშიძესაც. პირველივე საუბრისას ვუთხარი ასლან აბაშიძეს – ჯობს, გადადგეთ-მეთქი. მას რომ ჩემი რჩევა ყურად ეღო და ობიექტური რეალობა გაეთვალისწინებინა, ბევრად უკეთესი იქნებოდა მისთვის, უფრო დააფასებდნენ მის გადაწყვეტილებას.

– როგორი იყო ასლან აბაშიძის რეაქცია, როდესაც გადადგომა შესთავაზეთ?

– კატეგორიულად უარყო. ვფიქრობ, მას არ ჰქონდა ობიექტური ინფორმაცია, არ იცოდა, რეალურად რა ხდებოდა... თუმც გიორგი აბაშიძე თავიდანვე კონსტრუქციულად იყო განწყობილი. ვფიქრობ, ასლან აბაშიძის გადადგომის გადაწყვეტილებაზე სწორედ მისმა ვაჟმა მოახდინა გავლენა. ამასთან, აბაშიძე იმაშიც დარწმუნდა, რომ წინააღმდეგობის გაწევა უაზრობა იყო. ხიდების აფეთქების შემდეგ ვესაუბრე გიორგის – ნორმალურია, როდესაც რეგიონის ხელმძღვანელი ასე იქცევა-მეთქი? თვითონაც შეშფოთებული იყო, არ ვიცოდი, მამა ამას რომ აპირებდა, თორემ უთუოდ გადავაფიქრებინებდიო. ასლან აბაშიძეს კი ვუთხარი, რისი ღირსია ის, ვინც ხიდების აფეთქება გირჩიათ-მეთქი. როდესაც ივანოვი აჭარაში ჩამოფრიდა, ჩვენ ბათუმში, ქობულეთსა და ჩოლოქთან აბსოლუტურად ვაკონტროლებდით სიტუაციას. აბაშიძის ნებისმიერი გაბრძოლება უთუოდ მარცხით დამთავრდებოდა, მაგრამ ჩვენთვის მთავარი ის იყო, შეტაკების პრეცედენტი არ დაგვეშვა.

– კულუარებში აინტერესებთ, – ნეტავ რა უთხრა ივანოვმა ასლან აბაშიძეს ისეთი, რომ აჭარიდან წასვლაზე დაიყოლიაო.

– არ ვიცი მათი საუბრის დეტალები, მაგრამ ვფიქრობ, ბატონმა ივანოვმა რეალური სურათი დაუხატა ასლან აბაშიძეს და დაუდასტურა პრეზიდენტ პუტინის პოზიციაც, რომ რუსეთი ამ საქმეში არ ჩაერეოდა, არ დაეხმარებოდა მას. ამიტომ აბაშიძეს სხვა გზა აღარ ჰქონდა და წავიდა.

– ასლან აბაშიძეს ოფიციალურად არ განუცხადებია გადადგომის შესახებ. ვარაუდობენ, რომ ამით მან კოზირი და მიდავების საფუძველი დაიტოვა.

– არა მგონია, გამიზნულად მოქცეულიყო ასე. სხვათა შორის, გადადგომაზე არც შევარდნაძეს გაუკეთებია განცხადება.

– მაგრამ მან ის მაინც თქვა – სახლში მივდივარო.

– კი, მაგრამ არა მგონია, ასლან აბაშიძე ახლა მაინც ვერ აღიქვამდეს რეალობას. არა მგონია, მან რაიმე მოქმედებები დაიწყოს – ეს უდიდესი შეცდომა იქნება და უშედეგოდ დასრულდება. ვფიქრობ, იმდენად რთული ვითარება იყო, რომ განცხადებების გაკეთებაზე ბატონმა ასლანმა დრო აღარ დაკარგა – ალბათ, ამ მიზეზით ვერ მოვისმინეთ მისგან – გადავდექიო. როგორც პოლიტიკური ფიგურა, ასლან აბაშიძე საქართველოში ვერასოდეს დაბრუნდება. ის, რაც აჭარაში მოხდა, არ ყოფილა ხელოვნურად პროვოცირებული. თუმც ასლან აბაშიძე ფიქრობდა – ყველაფერი განგებ ამიგორესო. მართალია, საქართველოს ხელისუფლებამ ამ მიმართულებით შესაბამისი ქმედებები განახორციელა, მაგრამ ხალხიც მზად იყო საამისოდ. მოსახლეობის უკმაყოფილებამ, იმათმა საპროტესტო განწყობამ მოამწიფა ვითარება. ჩვენ აჭარაში პრობლემების შესახებ და მათი გადაწყვეტის გზებზე ავლაპარაკდით. ფორმალურად კარგი იქნებოდა, რომ მას განცხადება გაეკეთებინა, მაგრამ ვფიქრობ, ამას დღეს აღარ აქვს პრინციპული მნიშვნელობა.

– ვინ იყო აჭარის მოვლენების მთავარი გმირი?

– ხალხი. ხალხის მხარდაჭერის გარეშე წარმატებას ვერც ერთი პოლიტიკოსი ვერ მოიპოვებს. ხალხის შემდეგ კი ამ გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი საქართველოს პრეზიდენტმა შეასრულა. 5 მაისის ღამეს, როდესაც მის სამუშაო ოთახში ვიყავი და განვიხილავდით არსებულ მდგომარეობას, გამაოცა მისმა ენერგიამ და გამბედაობამ. ის არეგულირებდა ამ პროცესებს. რომ არა სააკაშვილის ეს თვისებები, გამარჯვებას ასე იოლად ვერ მოვიპოვებდით.

– დღესდღეობით აჭარაში რამდენიმე მეტ-ნაკლები გავლენის მქონე ფიგურაა. ხელისუფლებაში წამყვანი პოზიციის დაკავების სურვილი ხომ არ გამოიწვევს განხეთქილებას სურმანიძეს, ინაშვილს, ასანიძეს, დიასამიძეს, ხაბაზსა და ვაშალომიძეს შორის? თანაც უკვე საჯაროდ მსჯელობენ აჭარის ხელისუფლებაში „ნაციონალები“ მოვლენ თუ „დემოკრატებიო“.

– დღეს არ გვაქვს იმის დრო, რომ ვინმეს ამბიციებს გადავაყოლოთ გამარჯვება. აჭარაში არჩევნები ჩატარდება და გამოჩნდება, რომელ ლიდერს ჰყავს მეტი მხარდამჭერი. ვფიქრობ, ზემოთ ჩამოთვლილი პირები საკმაოდ გონიერები არიან. ისინი ალბათ მოილაპარაკებენ და ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებენ, რომელიც აჭარისთვისაც სასარგებლო იქნება და მთლიანად საქართველოსთვისაც. ის, ვინც საკუთრი ამბიციის წინ წამოწევას შეეცდება, უთუოდ დაკარგავს მხარდაჭერას. რაც შეეხება ნათქვამს -„ნაციონალები“ მეტნი იქნებიან აჭარის ხელისუფლებაში თუ „დემოკრატებიო“ – ნელ-ნელა ამ პარტიებს შორის ზღვარი იშლება. გავიხსენოთ ჩოლოქზე პრემიერ-მინისტრის გადასვლა და ისიც, თუ როგორ მიჰყვებოდნენ მას „ნაციონალებიც“ და „დემოკრატებიც“. შესაძლოა ტაქტიკაში იყოს სხვაობა ამ ორ ძალას შორის, მაგრამ ჩვენ უკვე დავანახვეთ საზოგადოებას, – როდესაც საქართველოს უჭირს, სამი ლიდერი ერთად ვართ და ხალხიც, რომელიც ჩვენ ირგვლივ არის, ერთ მუშტად იკვრება. ჩვენ ვდაობთ და ვკამათობთ კიდეც, ერთმანეთს ზოგჯერ არ ვეთანხმებით, მაგრამ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მიღებისას ვერთიანდებით და სწორედ ჩვენი განსხვავებულობის წყალობით, ვიღებთ სწორ გადაწყვეტილებას. ამიტომაც ამ საკითხშიც გადაწყვეტილებას პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე მივიღებთ.

– რამდენადაც ვიცით, აჭარაში თავის დროზე დიდძალი რუსული კაპიტალი ჩაიდო. ინვესტორების უმეტესობა ასლან აბაშიძის მეგობარია. რა ბედი ელით მათ.

– ყველაფერი ჩვეულებრივად დარჩება, ისინი ჩვეულებრივ გააგრძელებენ მუშაობას და ვეცდებით, კიდევ მეტი ინვესტი-

ცია მოვიზიდოთ აჭარაში. დღემდე ბევრ ინვესტორს სწორედ აჭარაში არსებული რეჟიმი და არადემოკრატიული გარემო აბრკოლებდა. ჩოლოქის არსებობაც ბევრ ინვესტორს უკან ახევინებდა. ყველანაირად ვეცდებით, რომ აჭარაში განხორციელებული ინვესტიციები დაცული იყოს და შევეცდებით არა მარტო აჭარაში, საქართველოს ნებისმიერ კუთხეშიც მეტი ინვესტიცია განხორციელდეს. ფინანსური ინტერესები მხოლოდ მეგობრობას არ ეფუძნება, ამიტომაც ასლან აბაშიძის მეგობრები რომ დაინახავენ – ჩვენი პროექტები წარმატებულიაო, უთუოდ გააგრძელებენ ინვესტირებას. ყოველივეს მიუხედავად, ჩვენ არ ვემხრობით საქართველოში შავი ფულის გათეთრებას. თუ ასეთი ეჭვი გაჩნდება, ცხადია, შესაბამისი ორგანოები უთუოდ დაინტერესდებიან ამ ფაქტებით. კეთილსინდისიერ ინვესტორებს კი შეეძლებათ საქმიანობა მშვიდად გააგრძელონ.

– რაკი უკვე გაისმის ლაპარაკი აჭარის ავტონომიის სტატუსის შეცვლაზე, ხომ არ იქნება უპრიანი ამის რეალური განხორციელება – ამით თავიდან ავიცილებდით აბაშიძის სხვებით ჩანაცვლებასაც.

– დღეს ავტონომიის გაუქმებაზე ლაპარაკი დიდი შეცდომაა. მოვლენების ელვისებურად განვითარებამ, როგორც ჩანს, ზოგიერთს ვერ დაანახვა, რა ავიცილეთ თავიდან. როდესაც კობა დავითაშვილმა პარლამენტში ასე იოლად დასვა ეს საკითხი, გამახსენდა 5 მაისის საშინლად ემოციური ღამე, როგორი განცდები გვქონდა მე, პრეზიდენტს, ჩვენ ირგვლივმყოფთ, ჩემს 10 წლის შვილს, რომელიც გამუდმებით მირეკავდა – დედა, ომი ხომ არ იქნებაო. რატომ გვავიწყდება, რამხელა საშიშროების წინაშე ვიდექით – შესაძლოა ბათუმის ქუჩებში (და არა მხოლოდ იქ) დღეს ომი ყოფილიყო. დიდ პატივს ვცემ და კეთილგანწყობილი ვარ კობა დავითაშვილის მიმართ, მაგრამ არ ვარ დარწმუნებული, რომ ამჟამად ავტონომიის გაუქმება მართებული იქნება. როდესაც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემა მოსაგვარებელია, აჭარის ავტონომიის სტატუსის ხელყოფა არცთუ გონი-

ვრული ნაბიჯი იქნება. არც იმის დავიწყება გვმართებს, რომ ყველაფერს თავისი დრო აქვს. ოდესმე შესაძლოა მართლაც ვკითხოთ აჭარის მოსახლეობას, უნდათ თუ არა ავტონომია (ან თავად გვითხრან ეს), მაგრამ ამის გაკეთბა დღეს და ხვალ არ შეიძლება. ქვეყნის ხელისუფლება არ დაობს, რომ ავტონომიის სტატუსი ძველებურად უნდა დარჩეს, მაგრამ სავსებით სწორია თქვენი შენიშვნაც – აჭარის კანონმდებლობა და სტრუქტურები აჭარისა და სრულიად საქართველოს ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს და არა თანამდებობაზე მოსული რომელიმე კონკრეტული პირისა და ნათესავის ინტერესებს. ამიტომ უპირველესად კანონმდებლობაშია სამართლებრივი და კონსტიტუციური გარანტიები გასათვალისწინებელი. და ერთიც, არა მგონია, ვინმემ სააკაშვილს ის გაუბედოს, რასაც შევარდნაძეს უბედავდნენ. ის, რაც 10 წლის მანძილზე ვერ გააკეთა შევარდნაძემ, 4 თვეში მოაგვარა სააკაშვილმა. ეს რეალობაა.

– ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ ხელისუფლებამ გენერალ დუმბაძის შეწყალების საკითხი განიხილოს თუნდაც იმიტომ, რომ დღეს მხოლოდ დუმბაძე ზის განსასჯელის სკამზე მაშინ, როდესაც ასლან აბაშიძის გარემოცვაში გაცილებით საშიში პირები იყვნენ.

– ვესწრებოდი პრეზიდენტისა და ჯემალ გოგოტიძის საუბრებს. სააკაშვილმა აღუთქვა – საპრეზიდენტო სიტყვას გაძლევ – არც შენს, არც აბაშიძის და არც სხვათა მიმართ არ იქნება სისხლის სამართლებრივი და პოლიტიკური დევნა, მაგრამ ეს არ ეხება დუმბაძესა და ნეტკაჩოვსო. დუმბაძე სამხედრო პირია და მას არ ჰქონდა უფლება, დაპირისპირებოდა მთავარსარდალს. თუ გვინდა, სხვა გენერლებს ასეთი განზრახვა არ გაუჩნდეთ, სიმკაცრე გვმართებს. შესაძლოა პრეზიდენტმა მოგვიანებით სხვა გადაწყვეტილებაც მიიღოს დუმბაძესთან დაკავშირებით, მაგრამ ფაქტია, რომ გენერალი დამნაშავეა. ლაპარაკი, რომ დუმბაძე ასლან აბაშიძისგან ზეწოლას განიცდიდაო, უსარგებლო არგუმენტია – იმ გენერლის ფასი, რომელსაც აშანტაჟებენ, კაპიკია.

– ოპოზიცია კრიტიკულად უყურებს ჩვენი ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაწყვეტისას რუსების აქტიურობას. ამბობენ, ივანოვმა თუ არ მოგვიგვარა პრობლემები, ჩვენ ვერ მოვაგვარებთო?

– ამაოდ ცდილობენ ამ გამარჯვებაში საქართველოს ხელისუფლების როლის დაკნინებას. რუსეთმა ამ პროცესებში პოზიტიური როლო შეასრულა, არადა შეეძლო ცუდად ჩარეულიყო. ამ მოვლენებში რუსეთის სამხედრო ბაზის ჩარევა უსათუოდ შეცვლიდა პროცესების კონტექსტს და არც ის დავივიწყოთ, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ორი რუსული სამხედრო ბაზაა. არ მრცხვენია იმის აღიარება, რომ ამ პრობლემის მოგვარებაში რუსეთმა პოზიტიური როლი შეასრულა. როდესაც რუსეთი კარგად იქცევა, ეს უნდა ვთქვათ კიდეც. როდესაც ივანოვმა აბაშიძეს ხელშეუხებლობის გარანტიებზე დასტური მისცა და სასწრაფოდ გაიყვანა აჭარიდან – ამით სერიოზული პრობლემა აგვაცილა. პრეზიდენტი სააკაშვილი ორჯერ ესაუბრა პრეზიდენტ პუტინს და კმაყოფილი იყო ამ დიალოგით. არასოდეს შემშინებია რუსების გაკრიტიკება და არც იმის აღნიშვნა შემეშინდება, როდესაც ის პოზიტიურად იმოქმედებს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ რუსეთის პრეზიდენტმა ეს ჟესტი ყოველგვარი პირობების გარეშე გააკეთა. ამ კონფლიქტის მოგვარებაში მომაწილეობის გამო მას სამაგიერო არ მოუთხოვია და ამის დაუნახაობა არ ივარგებს.

– ოპოზიციის აზრით ხელისუფლება დასავლეთში დაწერილი სცენარების მხოლოდ შემსრულებელია და ეს არის მისი წარმატების საიდუმლო ნოემბერსა და მაისში.

– თუ ვინმე ასეთ კარგ სცენარებს გვიწერს (და ჩვენ ასე კარგად ვასრულებთ), ურიგო არ იქნება, რომ ასეთივე სცენარები აფხაზეთსა და სამაჩაბლოზეც დაწერილიყო და მერწმუნეთ, მათაც ხალისით შევასრულებდით. რა სცენარები სჭირდებოდა ჩოლოქის ზღუდის არსებობას – ისეთი უჭკუოები ვიყავით, ვერ ვხვდებოდით, ეს ცუდი რომ იყო? როცა ჩოლოქთან პასპორტებს

გვისინჯავდნენ, ამერიკელებს უნდა ეკარნახათ, ეს ურიგო რამ არისო? ვინც ასე ფიქრობს, მათ გასაგონად ვიტყოდი, – გაცილებით უკეთესი წარმოდგენა მაქვს ჩვენს ხელისუფლებასა და ხალხზე. კარგად ვიცი, რა ნაკლიც გვაქვს, მაგრამ დადებითსაც კარგად ვხედავ. ზოგიერთებს ვურჩევდი, ობიექტურად შევაფასოთ პოლიტიკური ოპონენტების ნაბიჯები და მხოლოდ ხინჯს და ნაკლს ნუ გვიძებნიან. ეს თავად მათთვის იქნება უკეთესი. უსაზღვროდ ბედნიერი ვარ, რომ აჭარაში ასე მშვიდობიანად განვითარდა მოვლენები. ვფიქრობ, მომხდარმა სერიოზული გავლენა იქონიოს საქართველოს მომავალზე. ერში უდიდესი ფსიქოლოგიური გარდატეხა მოხდა, რადგან ხალხი ხედავს ხელისუფლებაში მოსულ ისეთ პირებს, რომელთაც მძიმე პირობების მოგვარება შეუძლიათ. ისინი ხედავენ, რომ ჰყავთ ხელისუფლება, რომელსაც შეუძლია საკუთარი ძალაუფლებაც კი სასწორზე დადოს, თუკი ქვეყნის მომავალს არგებს. პრეზიდენტმა სააკაშვილმა (და ჩვენც) სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენა საკუთარი ხელისუფლება. მან არჩევანი გააკეთა მკვეთრ, რისკიან გადაწყვეტილებასა და უნიათო ყოყმანს შორის. თუკი 10 წელი მიუტევებდნენ შევარდნაძეს ჩოლოქის საზღვრის არსებობას, ჩვენ 3 წელს მაინც არ გვაპატიებდნენ? მაგრამ ქვეყნისთვის იქნებოდა ცუდი, ქვეყანა ვერ გაიმართებოდა წელში. ამიტომაც სააკაშვილის სიმამაცეს დიდად ვაფასებ. მან ბეწვის ხიდზე გაიარა. სამწუხაროდ, დღეს ისეთ მდგომარეობაშია საქართველო, რომ რისკი საჭიროა. ნელ-ნელა ჭაობიდან ვერ ამოვალთ, სერიოზული ძალისხმევა გვჭირდება. ხელი თუ არ გავანძრიეთ იმის შიშით, ვაითუ ჩავიძიროთო, უთუოდ ფსკერისკენ წავალთ.

იზო რიკაძე

კვირის პალიტრა 2004. – 10-16 მაისი. – №19 გვ. 1-7

რუსეთმა ობიექტური პოზიციის დაკავება გადაწყვიტა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს მცირე ხნის წინ ბიბისიმ ინტერვიუ ჩამოართვა, რომელშიც იგი საქართველო-რუსეთის ურთიერთობების სასიკეთო ცვლილებების შესახებ საუბრობს. გთავაზობთ ამ ინტერვიუს:

– თქვენი აზრით, რა მიმართულებით ვითარდება საქართველო-რუსეთის ურთიერთობები, განსაკუთრებით აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და საქართველოში რუსეთის ბაზების არსებობის საკითხებთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობის ფონზე?

– უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ურთიერთობა საქართველოსა და რუსეთს შორის უკეთესობისაკენ შემობრუნდა. ის, რომ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, ჩემი აზრით, ტრაგედიას არ წარმოადგენს, რადგან უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში ორ ქვეყანას შორის იმდენი პრობლემა დაგროვდა, რომ მათი ერთი დაკვრით გადაწყვეტა უბრალოდ შეუძლებელია. დიახ, არსებობს პრობლემები ე. წ. კონფლიქტურ ზონებთან დაკავშირებით. ეს ეხება აფხაზეთსაც, ეგრეთწოდებულ სამხრეთ ოსეთსაც და რუსეთის ბაზებსაც. მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ შევძლებთ ამ პრობლემების გადაწყვეტას. სხვათა შორის, არ შემიძლია არ აღვნიშნო ის, რაც ამას წინათ მოხდა რუსეთის სახელმწიფო დუმაში, როდესაც პირველად უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში ე. წ. სამხრეთ ოსეთში არსებული სიტუაციის განხილვა რაიმე დოკუმენტის მიღების გარეშე დასრულდა, ხოლო ე. წ. პრეზიდენტი, ბატონი კოკოითი სახელმწიფო დუმაში არ შეუშვეს. ეს საკმაოდ მკვეთრი ნიშანია იმისა, რომ ქართულ-რუსული ურთიე-

რთობები, პრობლემების მიუხედავად, სწორი მიმართულებით ვითარდება.

– ალბათ კიდევ ერთ ასეთ ნიშნად შეიძლება მივიჩნიოთ რუსეთის პრემიერის ფრადკოვის განცხადება, რომელიც მან მოსკოვში საქართველოს პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას ვიზიტის დროს გაავრცელა. როგორ გგონიათ, შეიძლება თუ არა მიხაილ ფრადკოვის განცხადების შეფასება იმ თვალსაზრისით, რომ რუსეთმა აფხაზეთთან დაკავშირებით უფრო შემრიგებლური პოზიციის დაკავება გადაწყვიტა?

– ვფიქრობ, რომ რუსეთმა უფრო კონსტრუქციული და ობიექტური პოზიციის დაკავება გადაწყვიტა. მე მგონი, რუსეთისთვის გაცილებით ხელსაყრელია საქართველოს სახით ჰყავდეს ერთიანი, ძლიერი და კეთილგანწყობილი მეზობელი, დაქსაქსული, სუსტი და გაბოროტებული მეზობლის ნაცვლად. ჩვენ გვესმის, რომ რუსეთს თავისი კანონიერი სტრატეგიული ინტერესები გააჩნია. მზად ვართ, პატივი ვცეთ კანონიერ ინტერესებს. მაგალითად, რუსეთს სურს, რომ სამხრეთ საზღვრიდან მას არაფერი ემუქრებოდეს. რუსეთს სურს ნორმალური, მათ შორის, ეკონომიკური ურთიერთობის ქონა საქართველოსთან და მის ნაწილთან – აფხაზეთთან. ჩვენ ეს გვესმის და კანონიერი ურთიერთობების პატივისცემის ნიადაგზე მზად ვართ თანამშრომლობისთვის.

– როგორია თბილისის დამოკიდებულება რუსეთის დაჟინებულ მოთხოვნაზე, გაგზავნოს ჩეჩნეთში საქართველოში დარჩენილი ჩეჩენი ლტოლვილები?

– მე რაიმე ცუდს ამ მოთხოვნაში ვერ ვხედავ. მთავარია, ამ ლტოლვილებს ცხოვრების ნორმალური პირობები შეექმნათ. თუმცა ეს რუსეთის მოთხოვნა არ არის, ჩვენ თავად წამოვწიეთ ეს საკითხი. საქართველოსთვის, რომელსაც 300 ათასი საკუთარი ლტოლვილი ჰყავს, ადვილი არ არის ჩეჩენი ლტოლვილების შენახვაც. ამიტომაც ამ საკითხის გადაწყვეტას ჩვენ მხოლოდ მივესალმებით.

– თქვენი აზრით, რამდენად წარმოადგენს საქართველო განხეთქილების ვაშლს რუსეთსა და აშშ-ს ურთიერთობაში?

– არა მგონია, რომ საქართველო განხეთქილების ვაშლს წარმოადგენდეს, რადგან, ჩემი აზრით, როგორც რუსეთისთვის, ასევე აშშ-თვის გაცილებით ხელსაყრელია საქართველოს განხეთქილების ვაშლად კი არა, თანამშრომლობის ობიექტად მიჩნევა. ჩვენ სტრატეგიული პარტნიორული თანამშრომლობა გვაქვს აშშ-თან და არ ვაპირებთ ამ ურთიერთობაზე უარის თქმას. გარდა ამისა, ვისურვებდით რუსეთთან კარგი ურთიერთობის ქონას. ასე რომ, თუ ამ საკითხს ობიექტურად მივუდგებით, რუსეთსა და საქართველოს ინტერესების დამთხვევის უფრო მეტი მომენტები აქვთ, ვიდრე დაპირისპირებისა. მთავარია, რომ რუსეთის გარკვეულ წრეებში შეწყვიტონ საქართველოს რუსეთის გავლენის სფეროდ მიჩნევა.

– მოსკოვში ვიზიტის დროს ზურაბ ჟვანიამ მიანიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ რუსეთი საქართველოს ტერიტორიიდან თავის ბაზებს გაიყვანს, საქართველო არ დაუშვებს თავის ტერიტორიაზე მესამე ქვეყნის ბაზებს – როგორც ჩანს, ამერიკის ბაზები იგულისხმება. ეს რა, რაღაც პოლიტიკური ვაჭრობის ობიექტია?

– თქვენ იცით, რომ ჩემთვის, როგორც პოლიტიკოსისთვის, ასევე საერთაშორისო იურისტისათვის, საქართველოს მსგავსი ქვეყნისათვის იდეალური იქნებოდა ნეიტრალური სახელმწიფოს სიტუაცია; თუმცა შესანიშნავად მესმის, რომ ამ რეგიონში ამჟამად ნეიტრალურ ქვეყნად დარჩენა უბრალოდ შეუძლებელია. მეორე მხრივ, ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ გვსურს ვიხილოთ ჩვენი ქვეყანა რაიმე უცხოური ბაზებისაგან თავისუფალი. გარწმუნებთ, რომ ამერიკულ მხარეს არასდროს დაუსვამს საკითხი საქართველოს ტერიტორიაზე ამერიკული ბაზების განთავსების შესახებ. აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ თუ რუსეთი 1999 წლის სტამბულის შეთანხმებებს შეასრულებს და საქართველოდან რუსეთის ბაზებს გაიყვანს, ჩვენი ურთიერთობა რუსეთთან გაცილებით უკეთესი იქნება. იგი და-

ფუძნებული იქნება არა სამხედრო გავლენაზე, არამედ ეკონომიკურ და სხვა ინტერესებზე, რაც გაცილებით უფრო მტკიცეა.

– თქვენი აზრით, რა როლი შეიძლება ითამაშოს საქართველომ ყარაბაღის კონფლიქტის მოწესრიგებაში?

– ჩვენ არაერთხელ გვითქვამს, რომ სასიცოცხლოდ ვართ დაინტერესებული ყარაბაღის პრობლემის მოწესრიგებაში, რადგან სამხრეთ კავკასია ძალიან მცირე რეგიონია და ჩვენს ორ მეზობელს შორის არასტაბილური ურთიერთობა უარყოფით ზეგავლენას ახდენს მთლიანად ამ რეგიონზე. ბედნიერი ვართ იმით, რომ ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს როგორც სომხეთთან, ასევე აზერბაიჯანთან და რა თქმა უნდა ვისურვებდით, რომ ამ სამმა სახელმწიფომ საერთო ენა გამონახოს. ძნელია რაიმე რეცეპტის გამოწერა, რადგან ძალიან რთული პრობლემები გვაქვს ეთნიკური კონფლიქტების სფეროში. მაგრამ თუ ეს ორი სახელმწიფო მიიჩნევს, რომ საქართველომ რაიმე სარგებლობა შეიძლება მოიტანოს, მათ შორის პრობლემის მოწესრიგებაში, ჩვენ ყველაფერს ვიღონებთ, რათა ჩვენს მეგობრებს დავეხმაროთ.

გ. თ.

გაზეთი „ახალი თაობა“. – 2004, 14 ივნისი, №162, გვ. 3

„ხელისუფლებაში მყოფებმა უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენსკენ ნასროლი ქვა ჩვენს შვილსაც მოხვდება“

„ბიწაძეებს, ბურჯანაძეებს და მორჩაძეებს ვერ გადავასახლებ საქართველოდან...“

ამიხსნას ვინმემ, რატომ არის ვინმეს დაკითხვაზე წაყვანა არაქართული ჟესტი? გასაგებია, რომ დიანასთვის მძიმე იქნებოდა ეს პროცედურა, მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ ხელისუფლებამ არ გატეხა სიტყვა – დიანა აბაშიძე აბსოლუტური ხელშეუხებლობით სარგებლობდა. არ არის საჭირო ცრემლის ღვრა იმის გამო, რომ დინა აბაშიძეს ჰკითხეს იმ მილიონებზე, რომლებიც ბიუჯეტში არ შემოსულა. ორთვიანი მუშაობით „დაღლილმა“ პარლამენტარებმა „დამსახურებული“ დასვენების უფლება ოფიციალურად მოიპოვეს. გასულ პარასკევს მათ გაჯგიმულებმა მოისმინეს ახალი სახელმწიფო ჰიმნი და უკონდიციონერო, ჩახუთულ სხდომათა დარბაზიდან გაქცევით უშვეელს თავს. სხდომის დამთავრების შემდეგ შეხვედრები პარლამენტის თავმჯდომარესთან (შედარებით გრილ ვითარებაში) გაგრძელდა. საღამოს ათ საათზე ნინო ბურჯანაძესთან ინტერვიუს დროს შევესწარი, როგორ ეუბნებოდა ქვეყნის მთავარი მესაზღვრე მეუღლეს – დღეს მაინც წამოდი ცოტა „ადრეო“. ბადრი ბიწაძე იმდენად დაჟინებით ითხოვდა ამას, ვიფიქრე, ქალბატონი ნინო ალბათ ოჯახში ძალიან ენატრებათ-მეთქი, თავად პარლამენტის თავმჯდომარემ კი მოსალოდნელ სიურპრიზზე იეჭვა. გაუკეთა თუ არა მეუღლემ სიურპრიზი ნინო ბურჯანაძეს, შემდგომი შეხვედრისას ვკითხავ, მანამდე კი მკითხველისთვის არანაკლებ საინტერესო კითხვებზე, ქვეყნისთვის მნიშვნელოვან და საჭიროროტო საკითხებზე გთავაზობთ პარლამენტის თავმჯდომარის კომენტარს.

– კანონი დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შესახებ, ფაქტობრივად, გასულ კვირას ამოქმედდა, მაგრამ ამას ახლავს ეჭვი – ხომ არ გამოიყენებს მას ხელისუფლება ოპონენტების წინააღმდეგ და თვალს დახუჭავს თავისიანების არანაკლებ დაუსაბუთებელ ქონებაზე?

– კანონში ისეთი დებულებები შევიტანეთ, რომ მისი ბოროტად გამოყენების შესაძლებლობა გამორიცხულიყო. შეიძლება, ვინმე დასასჯელი კიდევ დარჩა, მაგრამ დღემდე უსამართლოდ არავინ დასჯილა. ვინც ამბობს, ხელისუფლება თანაგუნდელებს ან ახლობლებს არ ეხებაო, ჯობს, გაიხსენონ ჩემთვის მართლაც უსიამოვნო ფაქტი, უმრავლესობისა და ნაციონალური მოძრაობის წევრის, პარლამენტარის დაპატიმრება. მიუხედავად იმისა, რომ ამ ფაქტმა ბევრს ატკინა გული, მმართველ ძალას თვალი არ დაუხუჭავს და კორუფციულ გარიგებაში ეჭვმიტანილი თანაგუნდელი დააკავა. ხელისუფლების თვითმიზანი არ არის ვინმეს ტერორი, მაგრამ როდესაც პირზე საქმეა აღძრული, ის თავს, ბუნებრივია, ლაღად და მშვიდად ვერ იგრძნობს. ხელისუფლებას ნამდვილად ვერ გავამტყუნებ იმის გამო, რომ კორუმპირებულებისთვის ქონების ჩამორთმევას აპირებს. მამალაძე, ფაქტობრივად წინა ხელისუფლებისა და კორუფციის სიმბოლო იყო. არ შეიძლება ადამიანმა ზომიერების გრძნობა დაკარგოს. როცა ზღვარს გადადის, ცა ქუდად არ მიაჩნია და დედამიწა ქალამნად, ასეთი, როგორც წესი, ცუდად ამთავრებს ხოლმე... მაგრამ თუ მას თავის გასამართლებელი არგუმენტი ექნება, მოვუსმენთ. ამიტომ უთუოდ უნდა გამოცხადდეს სასამართლოზე და თავი იმართლოს. ძალიან ვწუხვარ, რომ ლევან მამალაძის ქონების ჩამორთმევის შესახებ განცხადების შემდეგ ბიძამისმა თავი მოიკლა. არ ვიცი, მას ჰქონდა თუ არა ჩადენილი რაიმე დანაშაული, თავად ფაქტია ძალზე სამწუხარო. საქართველო ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩამოყალიბდეს ისეთ ქვეყნად, სადაც ხალხი დარწმუნებული იქნება – დღეს რომ ცილი დამწამონ, ხვალ სიმართლე უთუოდ გაირკვევაო. დამნაშავეს კი ეცოდინება, რომ დღეს თუ არა, ხვალ უსათუოდ დასჯიან. თუკი

ჩვენთან ეს წესი დამკვიდრდება, ხელისუფლებაში ბევრად პატიოსანი ხალხი მოვა და იქ არაკეთილსინდისიერების ადგილი აღარ იქნება.

– გასულ კვირას პარლამენტმა კონტროლის პალატის ახალ თავმჯდომარედ თქვენი წამოყენებული კანდიდატურა დაამტკიცა. ზურაბ სოსელია რით ამჯობინეთ დათო ტყეშელაშვილს?

– დათო ტყეშელაშვილი არასოდეს განხილულა ზურაბ სოსელიას ალტერნატიულ კანდიდატად. კონტროლის პალატის თავმჯდომარედ ის არც ოფიციალურად დამისახელებია და არც არაოფიციალურად. ალბათ თავად დათოს ჰქონდა ამ პოსტის დაკავების სურვილი და მის მეგობრებსაც უნდოდათ ეხილათ იგი ამ თანამდებობაზე. მიუხედავად ამისა, მე მქონდა კონკრეტული არგუმენტები, რის გამოც არჩევანი ბატონ ზურაბ სოსელიაზე შევაჩერე. დათოსთან კარგი და მეგობრული ურთიერთობა მაქვს, მაგრამ თანამდებობაზე დანიშვნისას ეს არ უნდა იყოს გადამწყვეტი. კონტროლის პალატის ხელმძღვანელი აბსოლუტურად არაპოლიტიზებული უნდა იყოს – ეს არის პარლამენტის ერთადერთი ორგანო, რომელმაც აღმასრულებელი ხელისუფლება უნდა გააკონტროლოს. იმედი მაქვს, ამ მოვალეობას ბატონი ზურაბ სოსელია თავს გაართმევს.

– სხვათა შორის, კონტროლის პალატის თავმჯდომარის კანდიდატურაზე მსჯელობისას კიდევ ერთხელ წამოტივტივდა თქვენი და ზურაბ ჟვანიას ურთიერთობის თემა.

– არა მგონია, ვინმე ფიქრობდეს, რომ ასეთ რთულ ვითარებაში ქვეყნის ხელისუფლების უმაღლეს პირებს აბსოლუტურად ერთი და იგივე აზრი უნდა ჰქონდეთ. განსხვავებული აზრი და ხანაც ცხარე კამათი ხელს არ გვიშლის მუშაობასა და ქვეყნისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებაში.

– გასულ კვირას საქართველოში დიანა აბაშიძის ჩამოსვლას და მის მიმართ განხორციელებულ სამართალდამცავების ქმედებებს არაერთგვაროვანი შეფასებები მიეცა. თქვენ რას იტყოდით?

– ამიხსნას ვინმემ, რატომ არის ვინმეს დაკითხვაზე წაყვანა არაქართული ჟესტი? როდესაც გამოძიებას ვინმესთან კითხვები აქვს, უთუოდ უნდა დასვას. ვიმედოვნებ, კითხვები კორექტულად დაუსვეს დიანა აბაშიძეს. გასაგებია, რომ დიანასთვის მძიმე იქნებოდა ეს პროცედურა, მაგრამ მნიშვნელოვანია ის, რომ ხელისუფლებამ არ გატეხა სიტყვა – დიანა აბაშიძე ბათუმში აბსოლუტური ხელშეუხებლობით სარგებლობდა. იყო ვითარების ხელოვნურად დაძაბვის მცდელობა და მითქმა-მოთქმა – ხელისუფლება დიანას დააპატიმრებს, სისხლის სამართლის საქმეს აღძრავს, არ გაუშვებენო. ეს ხმები მის ყურამდეც გამიზნულად მიიტანეს და გააღიზიანეს. დროულად განაცხადეს ირაკლი ოქრუაშვილმა და ზურაბ ადეიშვილმა – არავითარ დაპატიმრებაზე ან სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე არ შეიძლება ლაპარაკი, მას თავისუფლად შუძლია გადაადგილებაო, რაც დადასტურდა კიდეც. არ არის საჭირო არც ვითარების ზედმეტად დრამატიზება და არც ცრემლის ღვრა იმის გამო, რომ დიანა აბაშიძეს ჰკითხეს იმ მილიონებზე, რომლებიც ბიუჯეტში არ შესულა. ჩემთვისაც უსიამოვნო საყურებელია, როდესაც ახალგაზრდა ქალი დაკითხვაზე მიჰყავთ, მაგრამ დიანასაც და სხვებსაც შეეძლოთ ბათუმის ქუჩებში გავლა და იმის დანახვა, რომ ირგვლივ უამრავი რამ გასაკეთებელია. როდესაც ათეულობით მილიონებზეა ლაპარაკი, ხომ შეიძლებოდა სულ მცირე თანხა ბათუმის ქუჩებზეც გაეხარჯათ. რაც იარაღზე დახარჯა აბაშიძემ, იმ თანხის ნახევარი ხალხისთვის რომ მოეხმარებინა, მის დასაცავად დადგებოდა ყველა. ხელისუფლებაში მყოფმა ყველა ადამიანმა უნდა იცოდეს, რომ მისკენ გასროლილი ქვა მის შვილსაც მოხვდება. ჩვენ, ხელისუფლებაში მყოფებმა, მხოლოდ საკუთარ თავზე არ უნდა ვიფიქროთ. ჩვენ მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯი პირდაპირ თუ ირიბად ჩვენს შვილებს წინ დახვდება.

– რამდენიმე დღის წინ, კანცელარიის წინ ერთ-ერთი საწარმოს თანამშრომლებმა გამართეს აქცია და თქვენი მეუღლის გვარიც ახსენეს – ბადრი ბიწაძე მამიდაშვილს (საწარმოს ერთ-

ერთ თანამშრომელს) მფარველობს და აქციონერები საწარმოდან გამოგვაძევესო. ისიც თქვეს, ქალბატონი ნინოს დახმარებით საწარმოს ხელში ჩაგდების მსურველნი ზურაბ ჟვანიასაც შეხვდნენო.

– არ ვაპირებ ასეთ განცხადებაზე კომენტარის გაკეთებას. ბევრჯერ ახსენეს ჩემი ოჯახის წევრები სხვადასხვა კონტექსტში, მერე ჩვენს ძაღლებზე გადავიდნენ – ისინიც კი რამდენჯერმე მოხვდნენ პრესაში. რა არ თქვეს ჩემზე, მამაჩემზე, ჩემს მეუღლესა და შვილზე. არ შეიძლება ასეთი დაუსაბუთებელი განცხადებების გაკეთება. ბიწაძეებს, ბურჯანაძეებსა და მორჩაძეებს (დედის გვარია) ვერ გადავასახლებ საქართველოდან, ახლობლებთან კავშირს ვერ გავწყვეტ. ვერც ერთ ჩემს ნათესავზე, ახლობელსა და ოჯახის წევრზე ვერავინ ვერც ერთხელ ვერ წამოაყენა არგუმენტირებული პრეტენზია. ხან თერთმეტ მილიონზე ლაპარაკობდნენ, ხან ბაზრობაზე, ახლა ქარხანაზე, მერე ალბათ კოსმოსურ ხომალდზეც გადავლენ... თუ ვინმეს რაიმე არგუმენტი და მასალა აქვს, წარმოადგინოს და შესაბამისი ორგანოები შეისწავლიან. პროკურატურასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს მოვუწოდებ (უპირველესად კი მე მაინტერესებს), ყველაფერი გაარკვიონ. ჭორების განხილვას კი არ ვაპირებ.

– კანცელარიიდან ისევ პარლამენტზე გადმოვიდეთ – რესპუბლიკელები უმრავლესობიდან განაწყენებული მიდიან, რატომ მოგვექცნენ ასე ცუდად აჭარაშიო. რამდენად საფუძვლიანად მიგაჩნიათ მათი საყვედური და შეინარჩუნებენ თუ არა ისინი ამ შემთხვევაში კომიტეტების თავმჯდომარეთა პოსტებს?

– ნამდვილად არ მინდა, რომ რესპუბლიკელები უმრავლესობიდან გავიდნენ, რადგან მათი უმეტესობა კეთილსინდისიერი, ინტელექტუალური ხალხია. უმჯობესი იქნება, თუ ისინი თავიანთ შესაძლებლობებს უმრავლესობასთან ერთად რეფორმების გატარებას მოახმარენ. თუ რაიმე აქვთ გასარკვევი, ჯობს უმრავლესობაშივე ითქვას. ვიმსჯელოთ და შესაძლოა დავეთანხმოთ კიდეც, ან პირიქით, ისინი დავარწმუნოთ. ჩემი აზრით,

გულდასაწყვეტი რესპუბლიკელებს კი არა, პრეზიდენტსა და ნაციონალურ მოძრაობას აქვს. ნაციონალები და რესპუბლიკელები ერთად იბრძოდნენ აჭარაში ვითარების შესაცვლელად და როდესაც ამას მართლაც მიაღწიეს (90%-ით პრეზიდენტის დამსახურებით), ნამდვილად არ იყო სწორი, რომ რესპუბლიკელები ცალკე გამოვიდნენ არჩევნებში. ბავშვისთვისაც კი ნათელი უნდა ყოფილიყო, რომ ბათუმში არჩევნებს სააკაშვილს ვერავინ მოუგებდა და მიკვირს, რატომ ვერ მიხვდა ამას ასეთი გამოცდილი ხალხი? არჩევნებზე ბათუმში ჩავედი. პრეზიდენტმა საგანგებოდ მთხოვა, ყურადღება გაამახვილეთ, რომ საარჩევნო პროცესი ობიექტურად წარიმართოსო. ყველგან ვამბობდი, დაისჯება ის, ვინც არჩევნებს გააყალბებს-მეთქი. ბათუმში ისეთი განწყობა დაგვხვდა, როგორიც აქ, თბილისში იყო რევოლუციის დღეებში. იქაც ისევე გვეძახდნენ და ხელს გვიქნევდნენ. ასეთ ფონზე ძნელი იყო, რომელიმე სხვა პოლიტიკურ ძალას გაემარჯვა. ამიტომ უხერხულია რესპუბლიკელების მხრიდან არჩევნების გაყალბებაზე ლაპარაკი. მხოლოდ საქართველოში ხდება ასეთი პოლიტიკური ნონსენსი, როცა ორი პოლიტიკური ძალა ერთ ქალაქში თანამებრძოლები არიან, იქიდან 3 საათის სავალზე კი ოპონენტები. განსაკუთრებით პატივს ვცემ ბატონ ლევან ბერძენიშვილს და რომან გოცირიძეს, რომლებიც შესანიშნავად ხელმძღვანელობენ კომიტეტებს. არ მინდა მათ ისეთი გადაწყვეტილება მიიღონ, რომ თანამდებობები დატოვონ. თუ ისინი უმრავლესობიდან ოპოზიციაში გადავლენ, ცხადია, ორ ასეთ უმნიშვნელოვანეს კომიტეტს ოპოზიციას არ დავუტოვებთ.

– წინა ჭრელ პარლამენტთან შედარებით, ახალი პარლამენტი მოსაწყენად ხომ არ გეჩვენებათ?

– წინა პარლამენტი ჭრელი კი არა, აუტანელი იყო. რევოლუციის მოწყობა მარტო იმისთვის ღირდა, რომ ზოგიერთები (როგორებიც საქართველოს კი არა, არც ერთი ქვეყანის პარლამენტში არ უნდა იყვნენ), დღეს აქ არ არიან. ახალი პარლამენტი მოსაწყენი ნამდვილად არ არის. ამ ორ თვეში უამრავი

რამ მოვასწარით, მხოლოდ გასულ კვირას 70-მდე კანონს ვუყარეთ კენჭი. სექტემბრიდან კიდევ უფრო აქტიურად ვაპირებთ მუშაობას და ვეცდებით, ამომრჩეველის იმედი არ გავაცრუოთ, შევქმნათ ისეთი საკანონმდებლო ბაზა, რომ ქვეყანაში განვითარდეს მცირე ბიზნესი, შეიქმნას სამუშაო ადგილები და მოვიზიდოთ ინვესტიციები. ჩემი ინიციატივით შეიქმნა ბიზნესმენთა საკონსულტაციო საბჭო, რომელიც საშუალებას მოგვცემს გავიგოთ, რა პრობლემები აქვთ მათ. პარლამენტი ეცდება მეწარმეთა შენიშვნების გათვალისწინებას და ისეთი კანონების შექმნას, რომელიც უფრო გაუდავილებს მათ საქმიანობას.

– რამდენადაც ვიცი, გამცდენი დეპუტატების დაჯარიმებასაც აპირებთ. საჯარიმო თანხების დახარჯვას საქველმოქმედო საქმეში ხომ არ აპირებთ?

– არ გამოვრიცხავ, რომ დეპუტატები პლენარული სხდომის გაცდენის გამოც დავსაჯოთ. ზოგჯერ მიზეზები ობიექტურია, მაგრამ ზოგჯერ დეპუტატები ცუღლუტობენ კიდეც. ამიერიდან ჩვენ გაცდენებზე შესაბამის რეაგირებასა და მკაცრი სანქციების დაწესებას ვაპირებთ. თუ დეპუტატები ვერ მოახერხებენ სადეპუტატო და სხვა ასევე მნიშვნელოვანი უფლებამოსილებების შეჯერებას, მათ არჩევანის გაკეთება მოუწევთ. მოსახლეობა იმედით შემოგვყურებს, ამიტომ არ დავუშვებ მათი მოლოდინის გაცრუებას და პარლამენტარიზმის იდეის დევალვაციას. დაკავებული ხელფასების ნაწილი დეპუტატთა ურთიერთდახმარების ფონდში ჩაირიცხება, რადგან გარწმუნებთ, ახლანდელი დეპუტატების უმრავლესობა მართლაც ხელფასზე ცხოვრობს და ხშირად მათაც სჭირდებათ ხელის შეშველება, თანხის ნაწილს კი ქველმოქმედებას მოვახმართ.

იზო რიკაძე

კვირის პალიტრა 2004. – 28 ივნისი-4 ივლისი. – №26. – გვ. 1-7

„როგორ შეიძლება ადამიანს მიაფურთხო?“

„ოჯახის წევრებთან ერთად სადმე კუნძულზე დასვენებას ვინატრებდი...“

აქციები როგორ არ მინახავს, მაგრამ ამჯერად წარმოუდგენელი და ქართველისთვის შეუფერებელი რამ ვიხილე – როგორ შეიძლება ადამიანს მიაფურთხო? სად გაიზარდა ეს ხალხი, ან თავად რა შვილები უნდა გაზარდონ? შუაღამეს იყო მიტანებული, როდესაც ნინო ბურჯანაძემ „კვირის პალიტრასთან“ შესახვედრად მოიცალა. სპიკერი ქალბატონი იმდენად დაღლილი ჩანდა, კითხვების უმრავლესობაზე უარი ნებაყოფლობით ვთქვით და შედარებით მსუბუქი თემები ვარჩიეთ. მაგრამ ასეთ „შემსუბუქებელ გარემოებაშიც“ ვერ ავცდით ცხინვალის პრობლემისა და პრივატიზაციის გამო ატეხილ აჟიოტაჟს. რევოლუციის შემდეგ, ბუნებრივია, ცხინვალში ძველებურად არ დარჩებოდა ყველაფერი. ქვეყანაში რადიკალური რეფორმები დაიწყო და ცხადია, ეს შეეხო ამ რეგიონსაც. ამას ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლების მწვავე რეაქცია მოჰყვა. ცხინვალის ხელისუფლებაში არის ხალხი, რომელსაც ხელს აძლევს ამ კონფლიქტის არსებობა. იციან, მანამ იქნებიან თანამდებობებზე, სანამ სამაჩაბლოში დაძაბულობაა. ასეთივე დაინტერესებული ხალხია რუსეთშიც, რომელიც ხელს სწორედ ამ დაპირისპირებით ითბობს. ჩვენ გვინდა კონფლიქტი მშვიდობიანი გზით მოგვარდეს, მაგრამ ამის მიუხედავად, იქაური მოსახლეობის, ქართველი სამშვიდობოებისა და პოლიციელების შეურაცხყოფის მოთმენას არავინ აპირებს. რომ არა რუსეთის განსაზღვრული წრეების წაქეზება, ბუნებრივია, ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება ასეთ თავხედობას ვერ გაბედავდა. ამ წრეების შეხედულებებსა და პოზიციას გამოხატავს სწორედ გენერალი

ნაბზდოროვი, რომლის აბსურდული მოსაზრებების კომენტარიც კი შეურაცხმყოფელია ჩემთვის. რომელი ცივილიზებული ქვეყნის გენერალს არ ეცოდინება, რომელი ქვეყნის ტერიტორიაზე ახორციელებს სამშვიდობო მისიას? მაგრამ ნაბზდოროვის, ერთი შეხედვით, ბრიყვული განცხადებები პროვოცირების საკმაოდ სერიოზული მცდელობაა. რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის შეგნებულად დაძაბვის მანქანა 10 წლის წინ ამუშავდა და დღეს, მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტებს შორის პოზიტიური ურთიერთობა ჩამოყალიბდა, დუმაში და საშუალო დონეებზე ეს მანქანა ისევ მუშაობს. როდესაც ცხინვალში 50 ქართველი პოლიციელი დაატყვევეს, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის მუშაობაში ვმონაწილეობდი. ჩვენმა დელეგაციამ მოახერხა და ცხინვალში შექმნილი მდგომარეობა ერთ-ერთ განსახილველ საკითხად შეიტანა. 54 ქვეყნიდან რუსეთის დელეგაცია იყო ერთადერთი, რომელსაც არ ეყო პოლიტიკური ეშმაკობა და თუნდაც გამჭრიახობა ეუთოს რეზოლუციისთვის მხარი დაეჭირა (თუმც უნდა ვაღიარო, რომ აზრი რუსულ დელეგაციაშიც გაიყო). ეუთომ კატეგორიულად მოსთხოვა ოსურ მხარეს მძევლების გათავისუფლება. ასევე მკაცრად გააფრთხილა სამშვიდობოები, რომ რეგიონში თავიანთი ფუნქცია შეესრულებინათ. შეგვეძლო ბევრად უფრო მკაცრი რეზოლუცია გამოგვეტანა ეუთოს ასამბლეის სხდომაზე, მაგრამ ანგარიში გავუწიეთ პრეზიდენტებს შორის ურთიერთობას. ვეცადეთ, ჩვენი განცხადებებით ზედმეტად არ გაგვემწვავებინა მდგომარეობა, რადგან საქართველოს ნამდვილად სურს რუსეთთან ნორმალური ურთიერთობა. მაგრამ ასეთი ზომიერი ტექსტიც იმდენად მიუღებელი აღმოჩნდა რუსეთის დუმისთვის, რომ ეუთოს კრიტიკაზეც არ დაიხიეს უკან.

– ჩვენი კეთილგანწყობა რატომღაც უპასუხოდ რჩება. სააკაშვილის მეგობრულ ჟესტებსაც არ მოჰყვა შედეგი. ხშირად გაიგონებთ, რუსეთი ჩვენი სტაჟიანი, მატყუარა მეზობელია და მისი ნდობა არ შეიძლებაო.

– რუსეთი მართლაც იტყუებოდა, მაგრამ მე-17-18 საუკუნეების მსოფლიო განსხვავდება დღევანდელისაგან და არც დღევანდელი საქართველო ჰგავს მაშინდელს. მეტსაც გეტყვით, დღევანდელი საქართველო შარშანდელსაც არ ჰგავს. თავის მუდმივად მსხვერპლის როლში წარმოჩენა არ არის ქვეყნისთვის კარგი. თუ ერთთავად გატყუებენ და შენც ტყუვდები, ეს საკუთარ თავს უნდა დააბრალო და იმას მაინც უნდა ეცადო, მომავალში მაინც აღარ მოატყუებინო თავი. ოსები ჩემთვის და ნებისმიერი ქართველისთვის ახლობელი ხალხია. ცხინვალში არ მეგულება არც ერთი ოჯახი, ქართველი მეგობარი და ნათესავი არ ჰყავდეს. ასევე ვართ ქართველებიც, ყველას გვყავს ოსი ახლობლები. ამიტომ დიდი უგუნურება იყო მესამე ძალის პროვოკაციაზე აყოლა. ისტორია განსჯის, ვინ მეტი დააშავა ამ დაპირისპირებისას, მაგრამ რადგან ქართველები დიდი ერის წარმომადგენლები ვართ, მეტი პასუხისმგებლობაც გვეკისრება. თუმც იმედი მაქვს, ოსი ხალხიც კრიტიკულად შეხედავს თავის ქმედებებს. ქართველებმაც და ოსებმაც არ უნდა გავიმეოროთ შეცდომები.

– მაგრამ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლება უარს ამბობს შერიგებაზე, სანამ ქართული მხარე 1989-92 წლებში ოსების გენოციდის ფაქტს არ აღიარებს.

– ოსების გენოციდი არ მომხდარა. თუმც ვაღიარებ, რომ მოხდა მრავალი შემზარავი და შემაძრწუნებელი ფაქტი, რომლის დროსაც ოსებიც დაზარალდნენ და ქართველებიც. ქართველები ჩვენს ნამოქმედარზე მოვიხდით ბოდიშს, ოსები – თავიანთზე. იმდენი ვაჟკაცობა და გამბედაობა კი უნდა გვქონდეს, რომ დანაშაულის აღიარება შევძლოთ. ჩვენ შერიგება გვინდა და ეს ჩანს პრეზიდენტის განცხადებითაც – საგანგებო გამოძიება ჩატარდება ავტობუსის დაცხრილვის ფაქტზე, რომელიც ქართველებს ბრალდებათო. ვერ წარმომიდგენია, რომ ქართველებს შეეძლოთ ქალებისა და ბავშვების დახოცვა, მაგრამ ვინც ეს დანაშაული ჩაიდინა და უდანაშაულოთა სისხლში გაისვარა ხელი,

რა ეროვნებისაც უნდა იყოს, უსათუოდ დაისჯება. თუ იქნება დანაშაულის მამხილებელი კონკრეტული ფაქტები, არც ერთ ქართველს (და არაქართველსაც) არ დავაფარებთ ხელს. მტკიცედ მჯერა, სამართლიანობა გაიმარჯვებს და ყველაფერი მშვიდობიანად დასრულდება. რაკი ქართველები არ წამოვეგეთ ყველაზე ძნელად ასატან პროვოკაციას, ვფიქრობ, ამის შემდეგაც გონიერებას გამოვიჩენთ. „სიმდის“ შემქნელი ერისაგან ასეთ საქციელს არ ველოდი. ედინბურგში ვიყავი, როდესაც ეს ამბავი შევიტყვე და გულწრფელად გეტყვით, როდესაც ინტერნეტში ეს კადრები ვნახე, შინაგანად ვდუღდი. ცხადია, ჩვენი ჯარისკაცების დამტყვევებლები ფიქრობდნენ, ეგებ ქართული მხარე ამით ვაიძულოთ, სპეცოპერაცია ჩაატაროს ტყვეების გასათავისუფლებლადო. ეს კი შეიარაღებული კონფლიქტის დაწყებას ნიშნავდა.

– ცხინვალის შემდეგ ერთ-ერთ აქტუალურ თემად დიდი პრივატიზაციის დასაწყისი იქცა, რომელსაც ეკონომიკის სამინისტროსთან აქციები მოჰყვა. საქართველოს პარლამენტი როგორ აპირებს პრივატიზაციის პროცესისთვის თვალყურის მიდევნებას?

– ამ აქციებმა მეტისმეტად ამაზრზენი სახე მიიღო და თვალნათლივ ჩანს, რომ იმ ძალების მიერ იმართება, რომელთაც ხელს არ აძლევს პრივატიზაციის პროცესის საჯაროობა. აქციები როგორ არ მინახავს, მაგრამ ამჯერად წარმოუდგენელი და ქართველისთვის შეუფერებელი რამ ვიხილე – როგორ შეიძლება ადამიანს მიაფურთხო? სად გაიზარდა ეს ხალხი, ან თავად რა შვილები უნდა გაზარდონ? ძალზე მწვავე აღშფოთების გამოხატვაც კი შეიძლება კულტურული ფორმით. ის კი, რაც ვნახე, მეტისმეტად სამარცხვინო რამ იყო. პრივატიზაცია რომ უნდა მოხდეს, ამას არავინ უარყოფს და პარლამენტი ამ პროცესით სერიოზულად დაინტერესდება. გასაგებია მოსახლეობის ეჭვიანობის მიზეზი, წინა ხელისუფლების დროს ჩატარებული პრივატიზებით ქვეყანას არ უხეირია და არც პრივატიზებული საწარმოები ამუშავებულა. მაგრამ წინა ხელისუფლების მაგალითით შეშინებულები ავი ძაღლივით არ უნდა მოვიქცეთ – არც ჩვენ და

არც სხვასო. უნდა განვსაზღვროთ, რა არის ქვეყნისთვის სიკეთის მომტანი. ნაჩქარევი პრივატიზაცია სწორი არ იქნება, მაგრამ არც მისი უსაშველოდ გაჭიანურება ივარგებს. თუ პრივატიზაციას ქვეყნისა და მოსახლეობისთვის მომგებიანი პირობებით ჩავატარებთ, ეს საშიში ნამდვილად არ არის. საწარმოები მართლა გაიყიდება, მართლა გადაიხდიან ფულს მყიდველები და ყალბი დოკუმენტაცია არ შედგება. როდესაც ბიზნესმენი მილიონებს გადაიხდის საწარმოში, წარმოუდგენელია, ის არ აამუშაოს და მოგებაზე არ იზრუნოს. პირადად მივადევნებ თვალს, რომ პრივატიზაცია სწორად განხორციელდეს.

– სხვათა შორის, უკვე გაისმის უკმაყოფილო არგუმენტი, თბილისელი მაღალჩინოსნების ნათესავებმა აჭარის ობიექტებს დაადგეს თვალიო.

– ამ დალოცვილ ქვეყანაში ყველა ვიღაცის დეიდა, ბებია და მეზობელია. შეეწინააღმდეგება, რომ პრივატიზაცია დეიდაშვილ-მამიდაშვილობის პრინციპით განხორციელდეს, მაგრამ თუ ბიზნესმენს სწორი პოლიტიკა ექნება და მისაღებ პირობებს შემოგვთავაზებს, მხოლოდ იმის გამო არ უნდა დავიწუნოთ, რომ ვიღაცის ახლობელია. მახსოვს, როდესაც გერბის საკითხს განვიხილავდით, ბრალი დამდეს – ერთი თქვენი მოგვარე მხატვრის მხარე გიჭირავთო. იშვიათად ვიბნევი ხოლმე, მაგრამ მაშინ დავიბენი, არ ვიცოდი, რას მედავებოდნენ. მერე გაირკვა, რომ ჩემი მოგვარე მხატვარი სრულიად არ მონაწილეობდა კონკურსში. არ შეიძლება ვიღაცის მოგვარეობისა და მეზობლობის გამო მე გადმომწვდნენ. ამას წინათ, ერთ გაზეთში დაუწერიათ – ნინო ბურჯანაძის მეზობელი გერმანიაში ქურდობით ირჩენს თავსო. ეს რომ მითხრეს, სასწრაფოდ მოვიძიე გაზეთი, ვინ არის, იქნებ ვიცნობ და დახმარება სჭირდება-მეთქი. ერთი გზასაცდენილი ბიჭი აღმოჩნდა, რომელსაც დოლიძის ქუჩის მიდამოებში უცხოვრია – ასეც ხომ არ შეიძლება?

– ქალბატონო ნინო, მოდი, უფრო მსუბუქ თემებზე გადავიდეთ. ცოტა ხნის წინ, ინგლისის დედოფალს შეხვდით. როგორ გაართვით თავი სავსებით უწყინარი, მაგრამ ბევრი ხმაურის

გამომწვევი (თუნდაც ლუდმილა პუტინას მაგალითზე) თავსაბურავის – ქუდის შერჩევას?

– დედოფალი ძალზე საინტერესო ადამიანია. სრულიად არ გიქმნის კომპლექსს, შესაძლოა რამე არც აინტერესებდეს, მაგრამ მაინც ინტერესით გისმენს. საქართველოსა და პრეზიდენტზე მელაპარაკა. მითხრა, ბევრი გააკეთეთ, მაგრამ ქვეყნის ფეხზე დასაყენებლად კიდევ მეტის გაკეთებაა საჭიროო. სამეფო ოჯახის წევრები საქართველოში არასოდეს ყოფილან, ამიტომ ისინი ჩვენს ქვეყანაში მოვიწვიე. ინგლისის სამეფო კარზე სტუმრობისას ჩაცმულობა მართლაც პრობლემაა. პროტოკოლის სამსახურის წარმომადგენელი გეუბნება, დაახლოებით როგორ უნდა გეცვას კონკრეტულ შემთხვევაში. ჩვენ სამეფო ოჯახის ტრადიციებზე არ ვართ გაზრდილები და ამაში გასაკვირი და სამარცხვინო არაფერია. როდესაც პროტოკოლის სამსახურიდან მაცნობეს, დედოფალთან შეხვედრისას ქუდი და ხელთათმანია საჭიროო, დრო არ მქონდა,მაგრამ ორ მაღაზიაში მაინც შევიარე. მეტად სასაცილო იყო ქუდის შერჩევის პროცესი. ვნახე ძალიან ლამაზი და ძვირად ღირებული ქუდები, მაგრამ ვეცადე არჩევანი რაც შეიძლება „მშვიდ“ ქუდზე შემეჩერებინა და არა ბუმბულებით გაწყობილზე. სხვათა შორის, ასე გამოწყობილს (ქუდსა და ხელთათმანებში) სასიამოვნო განცდა დამეუფლა – ქალად ვიგრძენი თავი. მწყინს, რომ ეს ტრადიცია საქართველოში თანდათან იკარგება. ვფიქრობ, ზოგჯერ აუცილებელიცაა ქუდი გეხუროს. მაგალითად, 26 მაისს აღლუმზე ისე დამწვა მზემ, ორი კვირა მოვუნდი კანის ნორმალურ მდგომარეობაში მოყვანას.

– საკუთარ თავზე ხომ არ აიღებდით ამ ტრადიციის აღდგენას?

– (იცინის). საკმაო გამბედაობა უნდა საქართველოში ამის გაკეთებას. ნებისმიერი ადამიანი ანგარიშს უწევს საზოგადოებრივ აზრს და მით უმეტეს, პოლიტიკოსი. ვნახოთ, იმდენად მომეწონა თქვენი იდეა, რომ წინააღმდეგი არ ვიქნებოდი, ეს ტრადიცია აღვადგინო საქართველოში. სხვათა შორის, გაცილებით

ხშირად ვიყენებ ხელთათმანს. მაქვს ზამთრისა და საზაფხულო ბევრი ხელთათმანი და მიმაჩნია, რომ ეს ძალზე მოსახერხებელი და კარგი აქსესუარია.

– როდესაც ცხინვალში ასეთი დაძაბული ვითარებაა, სახელმწიფო საზღვარის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის ხელმძღვანელის მეუღლე ალბათ მთლად მშვიდად ვერ იქნება, ბატონ ბადრიზე ნერვიულობთ ხოლმე?

– ბუნებრივია, განვიცდი, მაგრამ ჩვენ შევეგუეთ ერთმანეთის კრიზისულ ვითარებაში ყოფნას. როდესაც ბადრი საზღვარზე ან სადმე დაძაბულ რეგიონშია, ხშირად ვურეკავ და თუ ტელეფონი გათიშული აქვს ან არ მპასუხობს, ვღელავ ხოლმე. მაგრამ მშიშრები არცერთი არ ვართ. ვიცით, რომ ეს სავალდებულოა და სიტუაციის განსაკუთრებულ დრამატიზებას არ ვახდენთ ხოლმე.

– პარლამენტში უკვე არდადეგები დაიწყო. სად დაისვენებთ ან იქნებ ის გაგვიმხილოთ,სად და როგორ გარემოში ინატრებდით დასვენებას?

– მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტი არ მუშაობს, თორმეტ საათზე ადრე შინ ვერ მივდივარ. ახლაც ხომ ხედავთ, თორმეტის სამი წუთია. არ ვიცი, მოვახერხებ თუ არა დასასვენებლად წასვლას. ძალიან მინდა თუნდაც 2-3 დღით ლეჩხუმში, ჩემს სოფელში, ასევე ჩემი მეუღლის მშობლებთან, ჭიათურაში ჩასვლა. არ დაგიმალავთ და ზღვაც მენატრება. ვფიქრობ, სარფში წავიდე თუ ბობოყვათში. რაც შეეხება ნატვრას, ვინატრებდი მხოლოდ ოჯახის წევრებთან – ქმარსა და ბავშვებთან და ჩემს მშობლებთან ერთად ყოფნას და სადმე კუნძულზე, ოღონდ აბორიგენულ კი არა, ნორმალურ, ცივილიზებულ პირობებში დასვენებას... კუნძულისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ალბათ ლეჩხუმში წასვლას მაინც მოვახერხებ.

იზო რიკაძე

კვირის პალიტრა 2004. – 26 ივლისი – 1 აგვისტო. – №30. – გვ. 1-7

თუ კოკოითი ბურჯანაძის ფქვილს დააკავებს, პარლამენტის თავმჯდომარე მზადაა პოლიტიკიდან წავიდეს

შარშან ამ დროს ნინო ბურჯანაძეს საქართველოს ნებისმიერ ადგილას ერთსა და იმავეს სთხოვდნენ – 14-ლარიანი პენსია დროულად მაინც მიეღოთ. ამას ითხოვდნენ ქალაქებშიც და იმ სოფლებშიც, სადაც შუქი ბოლოს რამდენიმე წლის წინათ ნახეს... საქართველოს მოქალაქეებთან შესახვედრად ცხინვალის რეგიონში ჩასულ ნინო ბურჯანაძეს შარშან ამ დროს კოკოითი დაჭერით ემუქრებოდა... გასულ კვირას პენსიების თემა ისევ პოპულარული გახდა, განსაკუთრებით ოპოზიციისთვის. ოპოზიცია ჟვანიას შარშანდელი დაპირების შესრულებას სთხოვს, კოკოითი კი ჯავრის ამოყრას თავისებურად ცდილობს და მის მუქარაში ისევ ნინო ბურჯანაძის გვარი ფიგურირებს. რა პოზიცია აქვს საქართველოში მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარეს – ამ საკითხებთან დაკავშირებით „მთელი კვირა“ ნინო ბურჯანაძეს ესაუბრა.

ნინო ბურჯანაძე: თავისთავად ის ფაქტი, რომ ბიუჯეტი საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში პირველად გაიზარდა, ძალზე მნიშვნელოვანია. მთავრობის მხრიდან ბიუჯეტის გაზრდის პირობა იყო და მე მოხარული ვარ, რომ ეს პირობა შესრულდა. თუმცა ამაზე გაცილებით მნიშვნელოვანი თავისთავად ის ფაქტია, რომ ბიუჯეტი გაიზარდა. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს რეალურად აქვს იმის უნარი, რომ სახელმწიფოებრივად ჩამოყალიბდეს. დამეთანხმებით, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ძალზე ცოტა დრო გავიდა და თუკი ამ დროში ხელისუფლებამ ამის გაკეთება შეძლო, ეს ქვეყნის მომავლისთვის გარკვეული წარმატების საფუძველია. რაც შეეხება

თავად ბიუჯეტის დეტალებს, სიმართლე გითხრათ, მე გამიჭირდება ამ საკითხზე დაწვრილებით ვისაუბრო. ჩვენ მთავრობასთან საუბარი ზოგად პარამეტრებთან დაკავშირებით გვქონდა. ზოგადად გადანაწილებასთან დაკავშირებით კი ჩვენი არგუმენტები ჯერ არ გაგვაჩნია თუნდაც იმის გამო, რომ განხილვას ახლა ვიწყებთ. ორი აზრი არ არსებობს, რომ სოციალური საკითხები ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია და ყოველთვის იქნება. მე არა მგონია, რომ მთავრობას სოციალური საკითხებისთვის გვერდი ჰქონდეს ავლილი, მაგრამ ფაქტია, რომ ამჟამად თავდაცვა და სამართალდამცავი ორგანოები განსაკუთრებული ინტენსივობით უნდა იქნას დაფინანსებული. ამას ჩვენი მოსახლეობა ყოველთვის გაგებით ეკიდება და არა მგონია, რომ ვინმეს რამე ამის საწინააღმდეგო ჰქონდეს. მე ვფიქრობ, რომ ასევე პრიორიტეტული უნდა იყოს ძველი დავალიანების გასტუმრებაც. თუ არის ისეთი მუხლები გაუთვალისწინებელი, რომელზეც მთავრობამ წინასწარი ვალდებულება აიღო და პირობა არ შეასრულა, ცხადია, ჩვენ ამ საკითხს სერიოზულად დავსვამთ და მთავრობის არგუმენტებს მოვისმენთ, თუ ეს საკითხი რატომ არ იქნა გათვალისწინებული და მერე ვიმსჯელებთ, მთავრობის გადაწყვეტილება რამდენად რეალურია. თუმცა, მე უკვე დავსვი კითხვა, არის თუ არა დევნილების თანხები დაფინანსებული, და მე მითხრეს, რომ ასეთი დამატებითი ვალდებულება არც ყოფილა აღებული, ანუ საჭიროა, რომ ეს საკითხი გაირკვეს.

„მ. კ“: კონფლიქტის ზონებში აქცენტი ყოველთვის და განსაკუთრებით ახლა სოციალურ მდგომარეობაზე კეთდება. ახლა იმის განცხადება, რომ მთავრობას დამატებითი ვალდებულება არ აუღია, რა აზრს შეუქმნის საზოგადოებას?

ნ. ბ.: ცხინვალში ჰუმანიტარული აქციები ყველა შემთხვევაში გაგრძელდება. ადამიანებმა უნდა იგრძნონ, რომ ხელისუფლება მათზე ზრუნავს. მათ უნდა ჰქონდეთ იმის განცდა, რომ საქართველოს ხელისუფლებისა და ქართველი ხალხისთვის ოსები არ არიან უცხოები. ეს არ არის ვიღაც სხვა ერი. ისინი

ჩვენი თანამემამულეები არიან ან ჩვენივე მოქალაქეები, და ჩვენ ვალდებულნი ვართ, მათზე ვიზრუნოთ. ცუდია, რომ ასეთი ღონისძიებები აქამდე არ ტარდებოდა და წინა ხელისუფლებაში ამაზე არავის უფიქრია. კონფლიქტის ზონებში ჰუმანიტარული აქციები ისევ გაგრძელდება.

„მ. კ“: შარშან ზურაბ ჟვანიას გათვლილი ჰქონდა, რომ იმ ბიუჯეტის ფონზე სახელფასო მინიმუმის 115 ლარამდე გაზრდა იყო შესაძლებელი. თავის დროზე არც ბიუჯეტში და არც ახლა, ბიუჯეტის გაზრდის პირობებში, ამაზე საუბარი აღარ არის. ოპოზიცია ჟვანიას უკვე ტყუილ დაპირებებში ადანაშაულებს. გარკვეულწილად ეს საკითხი ალბათ თქვენც გეხებათ. ოპოზიციის პრეტენზია რამდენად რეალურად მიგაჩნიათ?

ნ. ბ.: მე ეს საკითხი არანაირად არ მეხება.

„მ. კ“: რატომ, ჯერ კიდევ რევოლუციამდე ბლოკი „ბურჯანაძე-დემოკრატების“ ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება იყო, რომ სახელფასო მინიმუმი გაიზრდებოდა. ეს დაპირება ფიგურირებდა „ნაციონალ-დემოკრატების“ პროგრამაშიც რევოლუციის შემდეგ.

ნ. ბ.: რა თქმა უნდა, ეს მოთხოვნა ძალაში რჩება და მე, მაგალითად, მოსახლეობასთან შეხვედრისას არასოდეს მითქვამს, რომ ჩვენი მოსვლისთანავე ხელფასი 115 ლარი გახდებოდა. მე დაპირებებში ყოველთვის ფრთხილი ვარ და ყოველთვის მირჩევნია, ადამიანს ბევრად ნაკლებს დავპირდე და მეტი გავუკეთო, ვიდრე დავპირდე და შემდეგ ამის გაკეთება ვერ შევძლო. არც ერთ ჩემს წინასაარჩევნო გამოსვლაში მე არ მითქვამს, რომ როგორც კი ჩვენ ხელისუფლებაში მოვალთ, მაშინვე დავიწყებთ ხელფასებისა და პენსიების ზრდას. მე ყველა შეხვედრაზე ადამიანებს ვეუბნებოდი, რომ როგორც კი ჩვენ ხელისუფლებაში მოვალთ, პირველ რიგში ჩვენ ძველი დავალიანების გასტუმრებას დავიწყებთ და მხოლოდ იმის შემდეგ, როდესაც ძველი დავალიანების გასტუმრებას შევძლებთ, ხელფასებისა და პენსიების გაზრდას ეტაპობრივად დავიწყებთ.

ყველა შეხვედრაზე ეს დაფიქსირებულია და მე ნამდვილად არ მრცხვენია იმ დაპირებისა, რომელსაც ვაძლევდი, იმიტომ რომ ჩვენ ამას ვასრულებთ. ადამიანებს ხელფასსა და პენსიას ყოველთვიურად ვაძლევთ. ვასრულებთ იმ პირობასაც, რომ დავალიანების გასტუმრება დავიწყეთ და ძალიან მცირედ, მაგრამ მაინც მომატებაც დავიწყეთ. ასევე ეტაპობრივად ხელფასების მომატებასაც დავიწყებთ. უსამართლობა იქნება, რომ დღევანდელ ხელისუფლებას ბათუმის ფონზე, ცხინვალის ფონზე, იმის ფონზე, რომ ხელისუფლება ბიუჯეტს მაინც ზრდის და, რაც მთავარია, თავდაცვის დაფინანსებას ზრდის, ყველა საკითხის და ყველა პრობლემის ერთბაშად გადაჭრა მოსთხოვო. რა თქმა უნდა, მეც მოხარული ვიქნებოდი, რომ ამის შესაძლებლობა იყოს, მაგრამ ობიექტური რეალობაც ხომ არსებობს? არც ერთ ნორმალურ ქვეყანაში დიდი დასაკვეხი არ არის, რომ ხელფასს და პენსიას თავის დროზე არიგებს. მაგრამ ერთი წლის წინათ მოსახლეობის მოთხოვნა იყო, რომ პენსია და ხელფასი დროზე მიეცათ. ხალხს იმის იმედიც კი დაკარგული ჰქონდა, რომ ძველ დავალიანებას როდისმე აიღებდნენ. ის კი, რომ პენსიისა და ხელფასის თვე-თვეში აღება საერთოდ შესაძლებელი იყო, აღარავის სჯეროდა.

„მ. კ“: თქვენ თვლით, რომ ოპოზიციის არგუმენტი სამართლიანი არ არის?

ნ. ბ.: მე ვფიქრობ, რომ ოპოზიციის მხრიდან გაზვიადებული კრიტიკაა. სამწუხაროდ, იმის საშუალება ჯერ არ არის, რომ ყველა ის სურვილი ავასრულოთ, რაც ჩვენ ნამდვილად გვაქვს და რასაც ხალხი იმსახურებს. ბუნებრივია, ადამიანები უკეთეს ხელფასს, უკეთეს ცხოვრებას იმსახურებენ, მაგრამ ერთბაშად ყველაფერი არ ხდება. თუმცა, წინ საკმაოდ სერიოზული ნაბიჯები ნამდვილად იდგმება. არის სერიოზული პრობლემებიც, რომლებზეც მე თვალის დახუჭვას არ ვაპირებ და კიდეც რომ დავხუჭოთ, პრობლემა თავს არ დამალავს.

„მ. კ“: რა პრობლემებს გულისხმობთ?

ნ. ბ.: თუნდაც ის, რომ გარკვეულწილად სერიოზული შემცირებები მიდის და ადამიანები უმუშევარნი რჩებიან. მე ეს პრობლემა ძალიან მაწუხებს და მერწმუნეთ, სააკაშვილიც და ჟვანიაც საკმაოდ შეწუხებულნი არიან. მაგრამ აქაც, ხშირ შემთხვევაში, აბსოლუტური აუცილებლობაა იმისა, რომ რადიკალური ზომები იქნას მიღებული. მეორეს მხრივ, ალბათ იმაზეც უნდა ვიფიქროთ, რომ ეს ხალხი აბსოლუტურად უპატრონოდ და უსახსროდ არ დარჩეს. ეს ხელისუფლებისთვის უზარმაზარი ტკივილია, რომ მისი მოქალაქეების ერთი ნაწილი სამსახურს კარგავს.

„მ. კ“: რეფორმის გატარება გასაგებია. მაგრამ გარკვეულ პრობლემას ქმნის ისიც, რომ ამ ხალხს მასობრივად აწერინებენ განცხადებას საკუთარი სურვილით გადადგომის შესახებ. ამ მოთხოვნას კი სამინისტროს რეფორმით ხსნიან. ამის გამო სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ კი ეს ხალხი ერთი თუ ორი თვის ხელფასს ვეღარ იღებს.

ნ. ბ.: ზოგ შემთხვევაში ამან მართლაც ძალზე მასობრივი ფორმა მიიღო. ერთის მხრივ, მართლა ძალიან რთულია, რომ ახალმა მისულმა ხელმძღვანელმა ერთბაშად მთელი კოლექტივის გაცნობა მოახერხოს და ობიექტური გადაწყვეტილება მიიღოს.

„მ. კ“: სჯობს თუ არა, რომ ხელმძღვანელმა თვითონ გაათავისუფლოს პირი და არა ის, რომ განცხადება წასვლის შესახებ საკუთარი სურვილის არგუმენტით დააწერინოს?

ნ. ბ.: რა თქმა უნდა. თუმცა, როგორც ჩანს, უფრო მარტივი გზა აირჩიეს. ეს ძალზე რთული და დელიკატური თემაა.

„მ. კ“: მთავრობის არგუმენტების მოსმენას ამ თემაზე თუ აპირებთ?

ნ. ბ.: პარლამენტის იურიდიულმა კომიტეტმა ამ საკითხთან დაკავშირებით მოსმენა უკვე ჩაატარა და ვაპირებთ, რომ პარლამენტში სექტემბერში განხილვა მოეწყოს. საკადრო პოლიტიკა რეფორმის ერთ-ერთი ნაწილია და ჩვენ გვაინტერესებს,

ეს რეფორმა რამდენად კანონიერად ტარდება; ესა თუ ის გადაწყვეტილება რამდენად კანონიერია; რამდენად სწორია ის გზა, რომელიც ამა თუ იმ უწყების ხელმძღვანელობამ აირჩია.

„მ. კ“: უკვე გათავისუფლებულ ხალხს რა ეშველება? მათთან დაკავშირებით პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილება რამდენად სასარგებლო აღმოჩნდება?

ნ. ბ.: თუ ვინმე უკანონოდ არის გათავისუფლებული, ამისათვის სასამართლოა. პარლამენტი სასამართლოს ფუნქციას ნამდვილად ვერ აიღებს, მაგრამ თუ რომელიმე ხელმძღვანელმა პირმა თავის უფლებამოსილებას გადაამეტა, ასეთ შემთხვევაში პარლამენტს გარკვეული ბერკეტები ბუნებრივია, გააჩნია.

„მ. კ“: პრობლემა ე. წ. საკუთარი სურვილით დაწერილი განცხადების შედეგად გათავისუფლებულ ხალხს შეექმნა. მათი ბედი როგორ გაირკვევა?

ნ. ბ.: მე მესმის, რომ გარკვეული კოლიზია არის; მაგრამ კანონის საფუძველზე თუ ადამიანის გათავისუფლების მოთხოვნა დევს, შესაბამისი გადაწყვეტილება მოქმედებს. ამ შემთხვევაში ჩემი ჩარევა რთულია. როდესაც ადამიანებს ეუბნებიან, დაწერეთ განცხადებაო, სამსახურში აღარ მოხვედრის ალბათობა უკვე არის. მე მესმის, რომ სხვა ფაქტორებიც მოქმედებს, მაგრამ იმასაც ნუ ვიტყვით, რომ განცხადებას თუ არ დაწერდნენ, სამსახურის დაკარგვის რისკი არ იყო. ფაქტობრივად, ჩვენ ჩაკეტილ წრეში აღმოვჩნდით. ერთის მხრივ, შეუძლებელია, ქვეყანა წინ წავიდეს, ეფექტური მართვა იყოს, თუ ქვეყნის ბიუროკრატიული აპარატი არ შემცირდება. ხალხის დიდი რაოდენობა სამსახურიდან უნდა წავიდეს და ოპტიმალური რაოდენობა დარჩეს. მეორეს მხრივ, ეს ადამიანები სოციალურად დაუცველნი რჩებიან. სამწუხაროდ, სახელმწიფოს არ აქვს იმის საშუალება, რომ ამ ადამიანებს ან ალტერნატიული სამსახური შესთავაზოს, ან ისეთი საშუალება იყოს, რომ ამ ადამიანებს ბიზნესის გაკეთების საშუალება ჰქონდეს. არსებული მდგომარეობის შენარჩუნებით ჩვენ ხვალინდელ პერსპექტივასაც რეალურად ვკეტავთ. მეორეს

მხრივ, არის ძალზე მტკივნეული ნაბიჯები, რომლებიც ქვეყანასაც და კონკრეტულად ამ ადამიანებსაც ხვალინდელ პერსპექტივასაც აძლევს, მაგრამ ამ კონკრეტულ ადამიანებს ძალიან მძიმე მდგომარეობაში აყენებს. აქ გადაწყვეტილების მიღება ძალიან ძნელი და ძალიან მტკივნეულია. მაგრამ ჩვენ ვეცდებით, რომ რაღაც ოპტიმალურ შუალედზე გავიაროთ. თუნდაც ის ადამიანები, ვინც სამსახურიდან წავიდა, მთლად უპატრონო და დაუცველნი არ უნდა დარჩნენ. ეს მექანიზმები, უდავოდ, საფიქრალია და მერწმუნეთ, რომ ეს საკითხები ძალიან მაწუხებს.

„მ. კ“: რამდენად საშიშია ხელისუფლების ე. წ. ლიბერალური პრივატიზაციის პოლიტიკა?

ნ. ბ.: პრივატიზაციასთან დაკავშირებით, მე მგონი ზედმეტი აჟიოტაჟი ატყდა. მე ვფიქრობ, რომ ეს უფრო მართული პროცესი იყო, ვიდრე თავისთავადი. ერთ რამეს შევხედოთ: თუკი სახელმწიფომ პრივატიზაცია სწორად ჩაატარა, ასეთ შემთხვევაში პრივატიზაცია საშიში კი არა, აბსოლუტურად აუცილებელია. ჩვენ არ უნდა დაგვემართოს ისე, რომ ოღონდ სხვას არ მივცეთ და ჯანდაბას, გაფუჭდეს. დღეს თითოეული ჩვენგანი იმის მომსწრეა, რომ უამრავი შენობა, უბრალოდ, გაპარტახების გზაზეა და თუკი ვინმე მყიდველი გამოჩნდა, მოსახლეობის ნაწილი ამას ეწინააღმდეგება. ეს არის პარადოქსი. ზოგჯერ გვირჩევნია, გაფუჭდეს და სხვას არ მივცეთ. რატომ? თუკი ეს ადამიანი ამ საწარმოში ფულს ჩადებს, ის დაინტერესებულია, რომ აქედან მოგება ნახოს, ანუ აამუშაოს, დამატებითი სამუშაო ადგილები შექმნას, ინფრასტრუქტურა განავითაროს. მე არ ვიცი, ეს ინფორმაცია რამდენად მართალია. ახლა გადამოწმების პროცესში ვარ, მაგრამ მე მითხრეს, რომ გერმანელ ინვესტორებს ქალაქ ბორჯომთან დაკავშირებით კონკრეტული პროგრამები ჰქონდათ. მათ კონკრეტული ობიექტების პრივატიზაცია სურდათ და ვალდებულებას იღებდნენ, რომ ამ პრივატიზაციის პარალელურად მთელი ბორჯომის წყალმომარაგების სისტემას შეცვლიდნენ, ამ სისტემას რეაბილიტაციას გაუკეთებდნენ და ბორჯომის

მოსახლეობას სუფთა სასმელი წყლით მოამარაგებდნენ. ბორჯომში, ონკანში ფაქტობრივად მდინარის წყალი მოდის. ამ ფირმას მოსახლეობამ იმდენად შეუშალა ხელი, რომ ეს ფირმა საქართველოდან წავიდა. მე დეტალები არ ვიცი და კონკრეტულად დასკვნის გაკეთება მიჭირს, მაგრამ ერთი შეხედვით, სად არის ლოგიკა? ყველა საწარმო გაპარტახებულია. მოდის მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე კეთილსინდისიერი და ყველაზე პროფესიონალი ინვესტორი და დამატებით წყლის პრობლემის მოგვარებას გპირდება და შენ ეუბნები, რომ გირჩევნია დალპეს, ოღონდ მან არ წაიღოს. მე მგონი, რომ ჩვენ ისევ ძველი მენტალობა გვიშლის ხელს, რომ რაიმე კერძო საკუთრებაში არ იყოს.

„მ. კ“: იქნებ ხელს წინა ხელისუფლების გამოცდილება გვიშლის? წინა ხელისუფლების მიერ პრივატიზაციის დაწყებას საზოგადოება ასეთი აგრესიით არ შეხვედრია...

ნ. ბ.: რა თქმა უნდა, მოსახლეობაში ამის შიშიც არის და გარკვეულად გასაგებია. მოსახლეობას ეშინია, რომ პრივატიზაციის თანხები კვლავ ვიღაც კონკრეტული ადამიანების ჯიბეში წავა და არა ხალხის სასარგებლოდ. ეს უკვე სახელმწიფოს მთავარი ამოცანაა, რომ მოსახლეობა დარწმუნდეს იმაში, რომ ის თანხები, რომლებიც პრივატიზაციით შემოვა, მოსახლეობის სასიკეთოდ წარიმართება, სწორედ სოციალურ დაცვაზე წავა. პრივატიზაციის შედეგად ამუშავებული საწარმოები კი ჩვენ დამატებით ინფრასტრუქტურას, სამუშაო ადგილებს და ბიუჯეტში შემოსავალს მოგვცემს. ცხადია, არის ობიექტები, რომელთა პრივატიზაციასაც მეტი სიფრთხილით უნდა მივუდგეთ. ეს არის იგივე სტრატეგიული ობიექტები, იგივე კულტურული დანიშნულების ობიექტები. არ შეიძლება ფილარმონიის პრივატიზება მოახდინო და მყიდველს არ დაუდო პირობა, რომ ეს იყოს სწორედ საკონცერტო დარბაზი და არ გადაიქცეს რესტორნად თუ კაზინოდ. ეს უკვე სახელმწიფოს მხრიდან უნდა გაკეთდეს, რომ ხელშეკრულებაში ისეთი ვალდებულებები ჩაიდოს, რომელიც ქვეყნისა და ხალხის ინტერესებიდან არის გამომდინარე. მე პი-

რადად დარწმუნებული ვარ, რომ დღევანდელი ხელისუფლება ამ საკითხს საკმაოდ კარგად მიხედავს.

„მ. კ“: პარლამენტი მთავრობისგან ამ გარანტიას თუ ითხოვს?

ნ. ბ.: რა თქმა უნდა. პარლამენტის შესაბამისი კომიტეტი ამ საკითხებთან დაკავშირებით მოსმენას ჩაატარებს. ჩვენ ეკონომიკის მინისტრთან საკმაოდ კარგად ვთანამშრომლობთ. კახა ბენდუქიძეს პრივატიზაციასთან დაკავშირებით ინფორმაცია მოვთხოვეთ. მან დამატებით რამდენიმე დღე ითხოვა იმისათვის, რომ სრულად ჩამოყალიბებული კონცეფცია და თავისი მოსაზრებები პარლამენტში წარმოადგინოს და ჩვენ ამ საკითხებს განვიხილავთ.

„მ. კ“: ხალხი რომ მთავრობას ენდოს, ამისათვის მინიმუმ რა უნდა გააკეთოს?

ნ. ბ.: მე მგონი, მინიმუმი უკვე გაკეთებულია. მე ვერ ვიტყვი, რომ იდეალური მდგომარეობა გვაქვს, მაგრამ იმას, რომ კორუფციის წინააღმდეგ ნაბიჯები იდგმება, ოპოზიცია ვერ უარყოფს. შეცდომებიც არის დაშვებული, რაც ასევე ბუნებრივია, იმიტომ რომ შეცდომას მხოლოდ ის არ უშვებს, ვინც არაფერს აკეთებს, თუ მის გლობალურ შეცდომაზე არ ვილაპარაკებთ, რომ არაფრის კეთება თავისთავად უკვე შეცდომაა. მაგრამ ჩვენ ამას ვხედავთ და ვეცდებით, რომ თანდათანობით შემდგომი ნაბიჯები უფრო სწორი იყოს და ნაკლები შეცდომები იქნას დაშვებული. აშკარაა, რომ ბიუჯეტი გაიზარდა, ანუ ხელისუფლებამ რაღაც ნაბიჯები გადადგა და 200 მილიონზე მეტი ჯიბეში კი არ ჩაიდო, როგორც წინა ხელისუფლება აკეთებდა, არამედ გაწერილი ბიუჯეტი შემოაქვს, რომელ ორგანოს რამდენი უნდა დაუმატოს. არ არის გამორიცხული, რომ ვიღაც რაღაცას დღესაც იდებს, მაგრამ ექვს თვეში ქვეყნის კრისტალურად სუფთად გახდომა და იდეალურ მდგომარეობაში მოყვანა, განსაკუთრებით იმ მდგომარეობიდან, შეუძლებელია.

„მ. კ“: ექვს თვეში ბიუჯეტის გაზრდის ფონზე რა შეიძლება ითქვას, – წინა ხელისუფლება ვერ მუშაობდა თუ არ მუშაობდა?

ნ. ბ.: წინა ხელისუფლება ნამდვილად ძალზე ცუდად მუშაობდა, უფრო სწორად, მხოლოდ საკუთარი ჯიბის ინტერესებიდან გამომდინარე მუშაობდა. მე არ მინდა, რომ მუდმივად წინა ხელისუფლებას ვუბრუნდებოდეთ, მაგრამ რეალურად ეს ქვეყანა დანგრევამდე იქნა მიყვანილი. მე არასოდეს დამავიწყდება ის ორი თვე, როდესაც რევოლუციის შემდეგ ამ ნგრევას პირდაპირ შევეფეთე. მიუხედავად იმისა, რომ მე ოპოზიციაში ვიყავი, ბოლომდე მაინც არ მცოდნია, ქვეყანა რამდენად იყო დანგრეული. პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების დროს მართლაც სრულ შოკში ვიყავი, იმიტომ რომ რასაც არ მოვკიდე ხელი და საითკენაც არ გავიხედე, ყველა სტრუქტურა დანგრეული იყო. 23 ნოემბერს გადადგა შევარდნაძე და 24 ნოემბერს თავდაცვის მინისტრი მეუბნება, რომ ჯარისთვის მხოლოდ ორი დღის საკვები მარაგია დარჩენილი. რაზეა ლაპარაკი? შეიძლება ჯარისთვის მხოლოდ ორი დღის საკვები მარაგი გქონდეს? ახლა ნახეთ, ექვსი თვის მოსულ ხელისუფლებას საკვების ან იარაღის რამდენი მარაგი აქვს და ჩვენი ჯარი როგორ არის ჩაცმული. მე გულწრფელად მინდა გითხრათ, რომ ბოროტი მეხსიერების ადამიანებს არ მივეკუთვნები, მაგრამ რაც დრო გადის, წინა ხელისუფლებაზე მით უფრო ვბრაზდები. მე არ ვამბობ იმას, რომ წინა ხელისუფლებას ხალხისთვის რომ ემუშავა, ახლა შვეიცარიის დონეზე ვიცხოვრებდით, მაგრამ ნამდვილად შეიძლებოდა, რომ ბევრად უკეთეს მდგომარეობაში ვყოფილიყავით. ამისათვის ისიც კი საკმარისი იქნებოდა, წინა ხელისუფლებას ოდნავ ადამიანურად და სინდისიერად რომ ემუშავა.

„მ. კ“: ცხინვალში მდგომარეობის გართულების შემდეგ ეუთოს დადგენილებამ დიდი როლი ითამაშა. შეიძლება ითქვას, რომ ეს დადგენილება თქვენ მიაღებინეთ. ასეთ დადგენილებებს ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს?

ნ. ბ.: მაშინ ცხინვალში ურთიერთობა რომ კრიტიკულ დონემდე არ გამწვავდა, ვფიქრობ, ამაში ძალიან სერიოზული წვლილი შეიტანა იგივე ეუთოს მიერ გაკეთებულმა განცხადებამ, იგივე აშშ-ს მიერ გაკეთებულმა განცხადებამ. რა თქმა

უნდა, მნიშვნელოვანი იყო, რომ საქართველოს ხელისუფლება ამ პროვოკაციას არ წამოეგო. ეს გათვლილი რაზე იყო? ჩვენ ემოციური ხალხი ვართ და ცხადია, ორმოცდაათ ქართველ სამხედროს, რომელსაც ცხინვალის მოედანზე ცხვრებივით აჩოქებენ, აღშფოთებას ვეღარ დამალავ. მე პირადად ისეთი აღშფოთებული ვიყავი, რომ მეტი შინაგანი დუღილი და აღშფოთება შეუძლებელია. ბუნებრივია, პრეზიდენტი და თითოეული ქართველი ასევე იყო აღშფოთებული. გათვლილი იყო ამაზე, რომ ჩვენ ამას არ მოვითმენდით და ძალიან მძიმე პროვოკაციაში ჩავერთვებოდით. ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ ამას ჩვენი ხელისუფლება არ წამოეგო და ძალიან მნიშვნელოვანი წნეხი იყო საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან გაკეთებული განცხადებები. როდესაც ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაზე 54 წევრი ქვეყნიდან 52 მხარს უჭერს საქართველოს და მარტო ერთი რუსეთია წინააღმდეგი და ბელორუსია თავს იკავებს, ეს უკვე ძალიან მნიშვნელოვანი იყო. თავად რუსეთის დელეგაციაშიც კი ხმები გაიყო და დელეგაციის წევრების ნაწილმა თავი შეიკავა. აღარ არის ის პერიოდი, როდესაც საერთაშორისო თანამეგობრობას ჩვენთვის არ ეცალა. ცხინვალის მომენტმა კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ ჩვენ მეგობრები მართლა გვყავს და აქტიური მუშაობით ჩვენ ძალიან ხმამაღალი სიტყვის თქმა შეგვიძლია.

„მ. კ“: ამ ქვეყნების დათანხმება გაგიჭირდათ?

ნ. ბ.: ჩვენ პროცედურული თვალსაზრისით ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდით. ჩვენ როგორც კი ეს ინფორმაცია გავიგეთ, მე საგანგებო რეჟიმში სიტყვა მოვითხოვე. მიმდინარეობდა უსაფრთხოებისა და პოლიტიკური კომიტეტის სხდომა. კომიტეტის თავმჯდომარე და ორგანიზაციის პრეზიდენტი შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით უკვე საქმის კურსში მყავდა ჩაყენებული. მათ გამოაცხადეს, რომ საქართველოში ძალზე მძიმე ვითარებაა შექმნილი და რიგგარეშე სიტყვა მომცეს. მე მომხდართან დაკავშირებით გავაკეთე ინფორმაცია

და პარალელურად დავარიგეთ სურათი, სადაც ჩვენი ბიჭები დაჩოქებულნი არიან. ცხადია, ამ სურათმაც ძალზე სერიოზული შოკი მოახდინა. ადამიანების ასე მოპყრობა მიუღებელია. ჩვენ მართლაც ძალზე ბევრი ვიბრძოლეთ. უფრო სწორად, ვეძებეთ გამოსავალი, ეს საკითხი რიგგარეშე საკითხად როგორ ჩაგვესვა. რიგგარეშე საკითხის ჩატანას ჯერ რეზოლუციის მომზადება სჭირდება. ვინც ვიყავით, ყველაფერს ერთდროულად ვაკეთებდით. ყველა, ვინც იქ ვიყავით, ვწერდით, ვაკეთებდით, იმეილს ვიღებდით... მაგრამ ყველაზე რთული ის იყო, რომ პრაქტიკულად საბოლოო ვადის ამოწურვამდე ორი საათით ადრე ჩვენ 10 ქვეყნიდან 25 დეპუტატის ხელმოწერა გვჭირდებოდა. არ შემიძლია არ ვთქვა, რომ მათ მართლაც ძალზე აქტიურად დაგვიჭირეს მხარი. ქართული დელეგაციის წევრებმა სათითაოდ რიგებში ჩამოვიარეთ და ხელმოწერები 10-ის ნაცვლად 14 ქვეყნიდან შევაგროვეთ. სხვათა შორის, რუსეთის დელეგაციას ამის იმედი ჰქონდა და ერთ-ერთმა მათგანმა ამის შესახებ მითხრა კიდეც. როდესაც მე მასთან მივედი და ვუთხარი: თუ თქვენ გაბედავთ და სიმართლეს იტყვით, ეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში, მით უმეტეს საპარლამენტო დონეზე, გარღვევა იქნება-მეთქი. მან მიპასუხა, რომ თქვენ რეზოლუციის მომზადებას ვერ მოასწრებთო. მე „დავამშვიდე“ და ვუთხარი, მოვასწრებთ-მეთქი, და მოვასწარით კიდეც. ძალზე ბევრი ვინერვიულეთ. შესაძლოა, ამით ბევრი რამ არ წყდებოდა, მაგრამ ვიცოდით, რომ ამ რეზოლუციას სერიოზული წვლილის შეტანა შეეძლო. ძალიან მძიმე დღენახევარი გვქონდა, მაგრამ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტმა ბრიუს ჯორჯმა და მომავალმა, დღეს უკვე არჩეულმა პრეზიდენტმა ელცი ჰასტინგსმა, რომელიც აშშ-ის დელეგაციის წევრია და ბევრმა სხვა ქვეყანამ მხარი ძალზე აქტიურად დაგვიჭირა. შვეიცარიის დელეგაციის ერთი წევრი მოვიდა და პირდაპირ განაცხადა, რომ ჩვენ, შვეიცარიელები, ხელს მოვაწერთო, და ეს ძალზე ამაღელვებელი მომენტი იყო.

„მ. კ“: კოკოითის მიერ ბოლო დღეებში გაკეთებული განცხადება ხომ არ იყო შურისძიება თუნდაც ამის გამო?

ნ. ბ.: კოკოითი თავს ძალზე უხერხულ მდგომარეობაში იგდებს. მე არ მიმაჩნია, რომ მის განცხადებებზე რაიმე კომენტარები უნდა ვაკეთო, იმიტომ რომ ყველანაირ ზღვარს გადასცდა. ყველამ თავის სინდისში ჩაიხედოს და ისე იმოქმედოს, როგორც თავისი სინდისი კარნახობს. რა თქმა უნდა, თუ აქვს ასეთი რამ.

„მ. კ“: საერთოდ, რამდენად რეალურია კოკოითისთვის რაიმე შეთავაზების სანაცვლოდ ცხინვალის პრობლემის მოგვარება?

ნ. ბ.: სასაცილოა იმაზე ლაპარაკი, რომ ვიღაცამ კოკოითს 5 მილიონი შესთავაზა. მერე ეტყობა, კოკოითს გუცაევის მიერ შეთავაზებული 5 მილიონი ეცოტავა და მერე თქვა, რომ ბურჯანაძემ 20 მილიონი შესთავაზა. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ კოკოითმა თავისი თავი როგორც 20 მილიონით, ასევე 5 მილიონით ძალზე გადააფასა. ეს ისეთი პრობლემაა, რომელიც ფულზე არ იყიდება. ეს არის პრობლემა, რომელიც სრულიად სხვა მეთოდებით მოგვარდება: მე დარწმუნებული ვარ, მშვიდობიანი და სამართლიანი მეთოდებით, იმიტომ რომ ამ ხალხთან ჩვენ გასაყოფი არაფერი გვაქვს. რაც შეეხება კოკოითს და მის მსგავს ადამიანებს, მათ იციან, რომ კონფლიქტის მოგვარების შემთხვევაში ხელისუფლებაში მათი ადგილი აღარ რჩება. ეს არის მათთვის ყველაზე მტკივნეული. ეჭვი არ შეგეპაროთ, რომ ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლებისთვის ყველაზე დიდი შოკი სწორედ კონტრაბანდის გადაკეტვა და ერგნეთის ბაზრობის დაკეტვა იყო. თუკი ვინმე ამ კონტრაბანდით სარგებლობდა, სარგებლობდა სწორედ ცხინვალის ხელისუფლება. კონტრაბანდის მოძრაობაში კი რუსი სამშვიდობოებიც იყვნენ ჩართულნი. შეუძლებელია მათ ეს არ შეემჩნიათ. ამიტომაც ამ ხალხს შემოსავლების დიდი არტერია გადაეკეტა. კოკოითი ამბობს, იქ ბურჯანაძის კონტრაბანდა მიდიოდაო. თუ პატიოსანი კაცია, გაეჩერებინა. თუ ჩემი მოერიდა და იმიტომ

არ გააჩერა? აზრი რაღაც ელემენტარულ ლოგიკას ხომ უნდა ექვემდებარებოდეს. იცოდა, რომ ჩემი ოჯახის ფქვილი იყო და ჩემი პატივისცემით არ გააჩერა? შარშან ჩემს დაპატიმრებას აპირებდა და ახლა ჩემი პატივისცემით ფქვილი არ დააკავა? თუ პატიოსანი ადამიანია, დაიჭიროს, ინფორმაცია გამოაქვეყნოს. მე პირიქით, დაინტერესებული ვარ. თუ ვინმე რამეს დაიჭერს, კი ბატონო, მე ხმის ამომღები არა ვარ და ასეთ შემთხვევაში პოლიტიკიდან საერთოდ წავალ.

„მ. კ“: რუსეთიდან კოკოითს ზურგს ვინ უმაგრებს?

ნ. ბ.: მოდით, ვთქვათ: ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლებას, ნურც კოკოითს და ნურც სხვა რომელიმე მის მსგავსს გმირად ნუ ვაქცევთ. ცხინვალის დე-ფაქტო ხელისუფლებას რუსეთის ცალკეული ძალების მხარდაჭერა რომ არ ჰქონდეს, ბუნებრივია, ეს კონფლიქტი ძალიან დიდი ხნის დარეგულირებული იქნებოდა. ცხინვალის რეგიონში არ არსებობს ოჯახი, რომელსაც ქართულ მხარეს ან ნათესავი ან მეგობარი არ ჰყავდეს. მე მყავდა ოსი თანაკლასელი, რომლის ოსობაც მას შემდეგ გავაცნობიერეთ, რაც ქართულ-ოსური კონფლიქტი მოხდა. ჩვენთვის ეს იმის გაცნობიერება იყო, რომ ქართველებისა და ოსების ერთმანეთთან ომი როგორ შეიძლება. ცხადია, ეს ხელოვნური კონფლიქტი იყო. ძალიან ცუდია, რომ ჩვენ, ქართველებიც და ოსებიც, ამ ხელოვნურ კონფლიქტს წამოვეგეთ. მე დარწმუნებული ვარ, რომ გამოსაძიებელი უნდა გამოიძიონ; ვინც დააშავა, ის უნდა დაისაჯოს; ვის რა დანაშაული აქვს ჩადენილი, უნდა ითქვას. ოსებს უნდა ჰქონდეთ იმის განცდა, რომ ვინც დააშავებს, პასუხს ვაგებინებთ, მნიშვნელობა არ აქვს, ქართველი იქნება თუ არაქართველი. მოსახლეობა რეალურად ამ კონფლიქტის ტყვეობაშია. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მოსახლეობის 90%-ს საქართველოსთან ურთიერთობა ბუნებრივად მიაჩნია. ავიღოთ თუნდაც ენის პრობლემა: რაც ჩვენ აფხაზეთში გვქონდა, ოსეთში ხომ ეს პრობლემა არ გვქონია. ოსებთან ურთიერთობის სპეციფიკა ბევრად უფრო სხვაგვარია, ვიდრე აფხაზებთან მიმართებაში.

„მ. კ“: თქვენ საგანგებო შეხვედრა გქონდათ ელიზაბეთ ჯონსთან. საუბარი იყო საქართველოსა და ამერიკის პარტნიორობასა და პარტნიორობის ჭრილში ნავთობსადენის ამოქმედებასთან. საქართველოში განსახორციელებელ საერთაშორისო პროექტებს კონფლიქტის მოგვარება რამდენად უკავშირდება?

ნ. ბ.: როგორც წესი, ცდილობენ, რომ ასეთ რეგიონებში ნავთობსადენები არ გავიდეს. ბედის ირონიაა, რომ სადაც ნავთობსადენია, იქ დუღილია და პრობლემებიც იქმნება. ცხადია, რომ ნებისმიერი ინვესტორი ქვეყანაში სტაბილურ მდგომარეობას ითხოვს. რაც შეეხება აშშ-ის წარმომადგენელთან შეხვედრას, ცხადია, მასთან საუბარი იყო ცხინვალის პრობლემასთან დაკავშირებითაც. ჩვენ აშშ-ის ძალიან სერიოზული მხარდაჭერა გვაქვს. ისინი მოწადინებულნი არიან, რომ ეს პრობლემა მშვიდობიანად მოგვარდეს და ამისათვის გარკვეულწილად გვეხმარებიან. რაც შეეხება ნავთობსადენს, ჩვენ პრინციპულად ვართ დაინტერესებულნი, რომ ეს პროექტი განხორციელდეს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ნავთობსადენმა საქართველოს ტერიტორიაზე გაიაროს, მაგრამ ჩვენ ბორჯომის ხეობას რისკის წინაშე ვერ დავაყენებთ. ეს ცხადია. ამიტომ ჩვენ სრული გარანტიები გვესაჭიროება იმისათვის, რომ რისკის ფაქტორი ნულის ტოლი იქნება. როგორც კი ჩვენ ამის გარანტიები გვექნება, ნავთობსადენის მშენებლობაც განახლდება.

„მ. კ“: თქვენ ამერიკის მხარდაჭერა ახსენეთ. არჩევნებში ჯონ კერის გამარჯვების შემთხვევაში ეს მხარდაჭერა რამდენად შენარჩუნდება?

ნ. ბ.: ბოლო პერიოდის განმავლობაში ნათლად გამოჩნდა, რომ ამერიკის ადმინისტრაციაში მიმდინარე ცვლილებების მიუხედავად აშშ საქართველოს მხარს ყოველთვის უჭერდა, იმიტომ რომ საქართველოსთან თანამშრომლობა აშშ-ის ინტერესებში შედის. მე წინასწარი პროგნოზების გაკეთება ნამდვილად არ მინდა, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენ აშშ-ის დღევანდელი ხელისუფლების უზომოდ მადლიერნი ვართ. მათ ბევრ

კრიტიკულ მომენტში მხარი დაგვიჭირეს და ამ მხარდაჭერას პრინციპული და გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. მე კიდევ ვიმეორებ, რომ ამერიკისა და საქართველოს მეგობრობა ხელისუფლების ცვლაზე დამოკიდებული არ არის. ეს არის გრძელვადიანი სტრატეგიული თანამშრომლობა. სხვათა შორის, ამერიკა ის ქვეყანაა, სადაც სტაბილური გარემოა, მათ შორის პოლიტიკური გარემოც და წინა და ახალ ხელისუფლებას შორის მემკვიდრეობითობა არსებობს.

რუსიკო მაჩაიძე

მთელი კვირა. – 2004, 2 აგვისტო, №207, გვ. 2-6

„ვარდების რევოლუციის“ წლისთავს ღირსეულად აღვნიშნავთ“

ვინც აფხაზეთში დაისვენებს, ის 300 ათასი ლტოლვილის უბედურებაზე ხელს ითბობს

– რამდენიმე დღის წინ სახელისუფლებო პარტიის წარმომადგენლები პრეზიდენტთან კანცელარიაში შეიკრიბნენ, სადაც შენიშვნები მიიღეს თვითონ პარტიის წევრებმა. არის თუ არა პარტიაში სერიოზული პრობლემები?

– თავისთავად ძალიან კარგია, რომ პარტიის პოლიტსაბჭომ შეკრება დაიწყო. უახლოეს ხანში ჩამოყალიბდება თემატიკა, რომლის განხილავში მეც მივიღებ მონაწილეობას. კანცელარიაში გამართული შეხვედრის საქმის კურსში ვიყავი, წინასწარ მქონდა საუბარი გიორგი არველაძესთან. ვერ ვხედავ ვერანაირ საფუძველს იმაზე ვილაპარაკოთ, რომ პარტიის შიგნით რაიმე განხეთქილება და პრობლემაა, მაგრამ სრულიად ბუნებრივია ის, რომ პარტიის მთავარ საბჭოზე იხილებოდა პარტიის აქტიური წევრების საქმიანობის შედეგები, და თუ ვინმე ისე ვერ აკეთებს საქმეს, როგორც დღევანდელ რეალობას სჭირდება, ის კრიტიკასაც იმსახურებს. ჩვენ ჩვენს ძალას სწორედ იმაში ვხედავთ, რომ უპირველეს ყოვლისა, თვითკრიტიკულად შევხედოთ ჩვენი წევრების და მეგობრების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. ნორმალურ გადაწყვეტილებად მიმაჩნია ის, რომ პრეზიდენტი დროდადრო ესწრება პოლიტსაბჭოს სხდომებს, როდესაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი საკითხები იქნება განხილული. შეიძლება პრეზიდენტი ყველა სხდომას ვერ დაესწროს და არც არის აუცილეებლი. ჩვენ გვექნება შესაძლებლობა, საკითხები განვიხილოთ შიგნით, ყოველგვარი აჟიოტაჟის გარეშე.

– თუმცა ბოლო პერიოდში არსებობს მოსაზრება, რომ უმრავლესობის შიგნით თავისუფლების ინსტიტუტის ზოგიერთ წარმომადგენელს და პარტიის დანარჩენ წევრებს შორის არის გარკვეული დაპირისპირება. თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ?

– ასეთი დაპირისპირება არ არის, არის განსხვავებული ხედვა სხვადასხვა საკითხის მიმართ, ან შეიძლება იყოს ერთი და იგივე საკითხის გადაწყვეტის მეთოდოლოგიასთან დაკავშირებით სხვადასხვა შეხედულება, მაგრამ ესეც ნორმალური პროცესია. ერთი მხრივ, გვაკრიტიკებენ იმისათვის, რომ მონოლითური პარლამენტია, ერთიანია და ყველა ერთნაირად ლაპარაკობსო, რაც ასე არ არის, ყველა ერთნაირად არ ლაპარაკობს; მეორე მხრივ, გვეუბნებიან, რატომ გაქვთ სხვადასხვა აზრიო. მე მგონი, ძალიან ჯანსაღი პროცესია პარტიის შიგნით, ფრაქციის შიგნითაც უნდა იყოს განსხვავებული აზრი და ამ აზრთა ჭიდილი. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ყველა ჩავეფლობით ჭაობში და არავის ამ ჭაობში ჩაფლობის არანაირი სურვილი არა გვაქვს.

– ე. ი. დაპირისპირების შესახებ ინფორმაცია არასწორია?

– ნამდვილად არ არის არანაირი დაპირისპირება. ყოველ შემთხვევაში, მე ამის თაობაზე ინფორმაცია არა მაქვს.

– ე. წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტი კოკოითი მოსკოვიდან ცხინვალში დაბრუნების შემდეგაც კატეგორიულ განცხადებებს აკეთებს. ოსური მხარე არ ცნობს არც სახელმწიფო მინისტრის მოადგილედ ზინაიდა ბესტაევას დანიშვნის ფაქტს. ოსური მხრიდან გარკვეული ულტიმატუმები ისმის იმ ფონზე, როცა ცხინვალში ჩასვლას გეგმავდით პრემიერ-მინისტრი და თქვენნ.

– მე ნებისმიერ დროს მზად ვარ ცხინვალში, ცხინვალის რეგიონის ნებისმიერ სოფელში ჩავიდე, ასევე აფხაზეთში, მაშინ როცა იქ ჩასვლას რაღაც რეალური აზრი ექნება. ახლა ჩავიდე მხოლოდ იმიტომ, რომ ჩემი ჩასვლა აღვნიშნო და თავი მოვიწონო, ამის გაკეთებას ნამდვილად არ ვაპირებ. ცხადია, ჩასვლას ცხინვალში ვგეგმავ. რაც შეეხება ბატონ პრემიერ-მი-

ნისტრის ჩასვლას ცხინვალში, მე ვფიქრობ, რომ ძალიან კარგი იქნება, შეხვედრა თუ შედგება. ის, რომ ჩემი, პრემიერ-მინისტრის და ნებისმიერი ოფიციალური პირის მხრიდან არის მზადყოფნა, ჩავიდეთ ცხინვალში და ვისაუბროთ, კიდევ ერთი დასტურია, რომ ჩვენ მართლაც გვინდა ამ პრობლემის მშვიდობიანად მოგვარება. რაც შეეხება ქალბატონ ბესტაევას დანიშვნას, მივესალმები ამ ფაქტს. ესეც კიდევ ერთი დასტურია, რომ ჩვენ გულწრფელად გვინდა ოს ხალხთან ძველი, მეგობრული ურთიერთობის აღდგენა და მათ წარმომადგენლებთან მუშაობა და თანაცხოვრება. რას ნიშნავს ახლა, რომ ოსური მხარე არ ცნობს ბესტაევას? რა, ეროვნებას ჩამოართმევენ? გვარს ჩამოართმევენ? დამალავენ, რომ ეს ქალბატონი ნამდვილად ოსია და რას უზამენ? ამ ქალბატონს საკმაოდ დიდი ავტორიტეტი აქვს თავის თანამემამულეებში, თავისი ეროვნების ადამიანებში. მან საკმაოდ ბევრი საქმე გააკეთა იქ, სადაც მუშაობდა და იმედია, რომ თავისი საქმიანობით საქართველოში სასიკეთო საქმეს გააკეთებს. სხვათა შორის, ამ ქალბატონის მთავარი ამოცანაა სწორედ ოსი ეროვნების ადამიანებზე ზრუნვა და მათი რეაბილიტაციურ გარემოში მოქცევა სწორედ საქართველოს ტერიტორიაზე. გასაგებია, ეს ბატონ კოკოითს არ მოსწონს, რაც კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ სწორ ნაბიჯებს ვდგამთ.

– კოკოითის განცხადებები, რომელიც მოსკოვიდან კეთდებოდა, იგივე ვიცე-პრეზიდენტის პოსტთან და 20 მილიონის შეთავაზებასთან დაკავშირებით, რას ემსახურებოდა?

– ძალიან სასაცილო არგუმენტებია. ძალიან უხერხულ მდგომარეობაში ჩაიგდო თავი კოკოითმა არა მხოლოდ როგორც პოლიტიკოსმა, თუ მას პოლიტიკოსობაზე პრეტენზია აქვს, არამედ როგორც ადამიანმა, იმიტომ რომ, რბილად რომ ვთქვათ, არაკორექტული და არაარგუმენტირებული გამოთქმები ჰქონდა. მე ნამდვილად არ ვაპირებ ამ გამონათქვამებზე კომენტარის გაკეთებას.

– თქვენ ეუთოს ვიცე-პრეზიდენტი ხართ. ეუთომ ცხინვალის

რეგიონთან დაკავშირებით უკვე მიიღო განცხადება. ამჟამად საუბარია ეუთოს მისიის გაფართოებაზე ცხინვალის რეგიონში. როგორ გადაწყდება ეს საკითხი?

– მოხარული ვარ, რომ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეამ აბსოლუტურად ადეკვატური შეფასება მისცა იმას, რაც ე.წ. სამხრეთ ოსეთში ხდებოდა იმ პერიოდში. ჩვენმა დელეგაციამ მართლაც წარმოუდგენელი სამუშაო ჩაატარა, იმიტომ რომ დრო იყო ძალიან მცირე, ნახევარი დღე გვქონდა და ამ დროის განმავლობაში ჩვენ მოვახერხეთ ყველა დელეგატამდე, ყველა სახელმწიფომდე ჩვენი ტკივილის და პრობლემების მიტანა, საგანგებო სხდომის გამართვა, ორჯერ მოსმენა, სპეციალური ბიუროს სხდომის ჩატარება და რეზოლუციის მიღება. ძალიან სამწუხარო იყო, რომ რუსეთის დელეგაცია ისევ ამოვარდა კონტექსტიდან. იგი ერთადერთი ქვეყანა იყო, რომელიც ამ საკითხის განხილვას და საქართველოს პოზიციას შეეწინააღმდეგა. რაც შეეხება მონიტორინგის მისიის გაფართოებას, ნამდვილად ჩვენი მოთხოვნა იყო და მე ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაზე ვთქვი, რომ ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, ეუთოს დამკვირვებლების რაოდენობა გაიზარდოს ე.წ. სამხრეთ ოსეთში, რომ ეს მისია გაფართოვდეს, იმიტომ რომ ჩვენ დასამალი არაფერი გვაქვს. ჩვენ ნამდვილად გვაძლევს ხელს საერთაშორისო დამკვირვებლები ცხინვალის რეგიონში. ვისაც დასამალი აქვს რაიმე, იმას არ სურს ეს. მე მაინც იმედი მაქვს, ეუთო ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მონიტორინგის მისია გაფართოვდეს. თუმცა ცხადია, რუსეთის თანხმობის გარეშე ძალიან რთული იქნება გადაწყვეტილების მიღება, იმიტომ რომ ეუთოში გადაწყვეტილება კონსენსუსით მიიღება.

– რაც შეეხება აფხაზეთთან დაკავშირებულ საკითხს, სოჭიდან სოხუმის მიმართულებით ისევ ჩამოდის კატარღები. პრეზიდენტმა სააკაშვილმა გააკეთა განცხადება, რომ ცეცხლი უნდა გავუხსნათ ყველა იმ გემს, რომელიც ჩვენს ტერიტორიულ წყლებში უკანონოდ შემოვა. მიუხედავად ამისა, რუსი

ტურისტები კატარღით სოხუმში მაინც ჩამოდიან. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო კი საქართველოს საწინააღმდეგო განცხადებებს აკეთებს.

– ჩვენი, როგორც პოლიტიკური, ასევე ადამიანური ვალდებულებაა, ყველა ის ადამიანი გავაფრთხილოთ, ვინც აფხაზეთში დასასვენებლად მოდის, რომ ისინი საკუთარ თავს რისკის ქვეშ აყენებენ, არღვევენ საქართველოს კანონს, არღვევენ ყველანაირ საერთაშორისო ნორმას. ჯერ ერთი, ჩვენ ვერ ვაგებთ პასუხს აფხაზეთში ვითარებაზე. არ არის გამორიცხული, იქ ადგილი ჰქონდეს რაიმე ტერორისტული აქტის მცდელობას. ჩვენ არ გვინდა, რომ მსგავსი რაიმე მოხდეს და ვთხოვთ რუს ტურისტებს – ძალიან ბევრი კარგი დასასვენებელი ადგილია და დაისვენონ სხვაგან, ვიდრე ეს კონფლიქტი არ მოგვარდება. ეს არის კონფლიქტური ზონა, სადაც არის რთული ვითარება და არავინ იცის, როდის ვინ რას გააკეთებს. ძალიან ბევრი ადამიანია დაინტერესებული, რომ რაიმე ცუდი მოხდეს და საქართველოს დაბრალდეს. რაც შეეხება ტერიტორიულ წყლებში გემების უკანონოდ შემოსვლას, არც ერთი გემი არ უნდა შემოვიდეს ჩვენს ტერიტორიულ წყლებში უკანონოდ. რა თქმა უნდა, საქართველოს სასაზღვრო და სამხედრო ძალები ყველაფერს გააკეთებენ შესაძლებლობის ფარგლებში, რომ უკანონოდ გემი არ შემოუშვან ტერიტორიულ წყლებში. მე ვნახე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება და სიმართლე გითხრათ, ძალიან აღვშფოთდი. რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აღაშფოთა პრეზიდენტის განცხადებამ, მაგრამ ძალიან მაინტერესებს, რუსეთის ტერიტორიულ წყლებში უკანონოდ რომ შედიან უცხო ქვეყნის გემები, რას აკეთებენ რუსები? მშვიდობიანი მოსახლეობის გავსებული „ბოინგი“ რომ ჩამოაგდეს, 150 კაციანი, რუსეთის ტერიტორიაზე და თან დიდხანს არ ამბობდნენ, რომ მათი ჩამოგდებული იყო, ეს ვისი ბრალი იყო და რატომ ჩამოაგდეს? ჩამოაგდეს იმიტომ, რომ არ უნდა შემოვიდეს თვითმფრინავი იმ ტერიტორიაზე, რომელზეც მას ფრენის უფლება

არა აქვს; არ უნდა შევიდეს გემი იქ, სადაც მას შესვლის უფლება არა აქვს. აბა, რას აკეთებს და საერთოდ, დედამიწაზე რატომ არსებობს სასაზღვრო ჯარი, რატომ აქვთ სასაზღვრო ჯარის კატარღებს იარაღი? იმიტომ, რომ საზღვრის დარღვევა არ დაუშვან. თუ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო ფიქრობს, რომ აფხაზეთის ტერიტორიული წყლები რუსეთის საზღვარია, ძალიან შემცდარა. ჩვენ ამას არ დავუშვებთ. ჩვენ ძალიან ვაფასებთ რუსეთთან კარგ ურთიერთობას. მათთან კეთილი ურთიერთობა გვინდა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მუდმივად ავიტანთ იმას, რომ რუსეთის საზღვარი თურმე საზღვარია და საქართველოს საზღვარი საზღვარი არ არის. ჩეჩნური სეპარატიზმი თურმე სეპარატიზმია და უნდა დაიგმოს, აფხაზური სეპარატიზმი კი სეპარატიზმი არ არის. რუსეთის მოქალაქეების უფლებები რომ ირღვევა, თურმე იმას დაცვა უნდა. ქართველები რომ შვილების საფლავზე ვერ მიდიან აფხაზეთში, ეს თურმე არაფერია. ყველაფერს აქვს საზღვარი. რუსეთი უნდა შეეგუოს იმას, რომ საქართველოში ქვეყანა ქვეყანას ემსგავსება. მე ნამდვილად არანაირი სურვილი არა მაქვს, თუნდაც ერთი უდანაშაულო ადამიანი არათუ დაიღუპოს, არამედ რაიმე გაეკაწროს, არა აქვს მნიშვნელობა, ქართველი იქნება, რუსი, ოსი თუ აფხაზი, მაგრამ მე არ მივდივარ ჩეჩნეთში დასასვენებლად იმ ტერიტორიაზე, რომელიც ჩვენ დავკარგეთ სწორედ იმიტომ, რომ რუსები უსინდისოდ იქცეოდნენ აფხაზეთში და პირდაპირ ეხმარებოდნენ აფხაზ სეპარატისტებს. ოფიციალურად ვაცხადებ: ახლა ვინც აფხაზეთში ჩამოდის, არის ხალხი, რომელიც ხელს ითბობს 300 ათასი დევნილის უბედურებაზე, იმიტომ რომ აფხაზეთში არის უფრო დაბალი ფასები, ვიდრე ნებისმიერ სხვა ადგილზე სწორედ იმიტომ, რომ ეს არის კონფლიქტური ზონა. ყველა ადამიანს უნდა ესმოდეს და მათ სინდისზე უნდა იყოს, იცოდნენ, რომ ისინი ისვენებენ 300 ათასი დევნილის ცრემლის, სისხლის, ოფლის და უბედურების ხარჯზე. ამას ჩვენ ნამდვილად არ მოვითმენთ.

– აფხაზეთში შემოდგომაზე დაგეგმილია საპრეზიდენტო არჩევნები. რა ძალები შეიძლება მოვიდნენ აფხაზეთის ხელისუფლებაში?

– პროგნოზები ძალიან ცუდი საქმეა პოლიტიკაში არჩევნების დროს, მით უმეტეს, აფხაზეთში ისეთი ინტერესებია გადახლართული, ისეთი წყალქვეშა დინებებია და ისეთი ფინანსური კლანები არიან დაინტერესებული როგორც აფხაზეთში, ასევე რუსეთში, გავლენის სფეროების მოპოვებით იმდენი სპეცსამსახურია ჩართული, რომ ძალიან ძნელია რაიმე პროგნოზის გაკეთება. მართალია, არც ჩვენ და არც მთელი მსოფლიო ამ არჩევნებს არ ცნობს, მაგრამ ვინც მოვა ამ ეგრეთწოდებული არჩევნების შემდეგ, მინდა იყოს, მინიმუმ, გონიერი და პრაგმატული პოლიტიკოსი, რადგან არ შეიძლება პრაგმატულად მოაზროვნე აფხაზი პოლიტიკოსი ვერ ხვდებოდეს, რომ ამ კონფლიქტს პერსპექტივა არა აქვს, აფხაზეთის დამოუკიდებლობას პერსპექტივა არა აქვს.

– ქალბატონო ნინო, თქვენ რევოლუციური სამეულის წევრი ხართ, რომელსაც გიორგობა დღეს გარკვეული დამთხვევები უყვარს. რას უნდა ველოდოთ 23 ნოემბერს?

– ჩვენ არაფერს სპეციალურად არ ვამთხვევთ. ყველაფერი, რაც მოხდა, მოხდა ალბათ ღვთის ნებით, იმიტომ რომ შემთხვევით არაფერი ხდება, მით უმეტეს, ასეთი რამ. მართლა საოცარი დამთხვევები იყო და შეუძლებელია, ადამიანი არ ჩაფიქრდე, რომ რაღაც ისე უბრალოდ არ ხდება. ჩვენ არაფერს კონკრეტულად ნამდვილად არ ვგეგმავთ. თუ, რა თქმა უნდა, 23 ნოემბრისათვის მოგვარებული იქნება ოსეთის პრობლემა, ეს, ვფიქრობ, მხოლოდ კარგი იქნება როგორც ქართველი, ასევე ოსი ხალხისათვის. ჩვენ ნამდვილად არ ვაპირებთ ამ პრობლემის ძალისმიერი მეთოდებით მოგვარებას და გვინდა მისი პოლიტიკური გზით დარეგულირება. პოლიტიკურ დარეგულირებას კი სიფრთხილე და ცოტა დრო კიდევ სჭირდება. ვნახოთ, იმედი მაქვს, 23 ნოემბერს ღირსეულად აღვნიშნავთ რევოლუციის წლისთავს

და მოსახლეობა არ იქნება იმედგაცრუებული იმ 1 წლით, რომელიც ამ რევოლუციის შემდეგ გავიდა.

ნანა მიშელაშვილი

ახალი თაობა. – 2004, 8 აგვისტო, №217

ჟირინოვსკი და როგოზინი გადამფრენი „იხვებივით“ არიან

საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ნინო ბურჯანაძემ ინტერვიუ მისცა „ნოვაია გაზეტას“ სპეციალურ კორესპოდენტს თბილისში ელენე მილაშინას.

– ქალბატონო ნინო! საქართველოს პრეზიდენტის მიერ გაკეთებული განცხადება ტურისტებიანი რუსული გემის ჩაძირვის შესახებ, რუსეთში ულტიმატუმად აღიქვეს. რატომ აძლევს ქართული მხარე ზოგიერთ რუს პოლიტიკოსს ასეთ კარგ საბაბს იმისთვის, რომ აამხედროს რუსეთის მოსახლეობა საქართველოს წინააღმდეგ?

– სააკაშვილმა განაცხადა (და ის, რაც მან თქვა, სავსებით შეესაბამება საერთაშორისო სამართლის ნორმებს), რომ ჩვენ დავიცავთ ჩვენს საზღვრებს. საზღვრის დამრღვევებს ვდევნით, გავაფრთხილებთ და გამოვიყენებთ სანქციებს მათ წინააღმდეგ. ერთადერთი, რაც სააკაშვილმა თქვა რუსი ტურისტების შესახებ, არის ის, რომ აფხაზეთში არ არის ამ ადამიანების უშიშროების არანაირი გარანტია, რადგან ეს კონფლიქტის ზონაა. მან უბრალოდ გააფრთხილა ტურისტები, რომ ვერავინ ვერ უზრუნველყოფს მათ უშიშროებას აფხაზეთში. ამავე დროს, ბატონმა სააკაშვილმა რუსი ტურისტები მიიწვია საქართველოს ნებისმიერ სხვა არაკონფლიქტურ რაიონში. ვფიქრობ, რომ ეს სავსებით სამართლიანი განცხადებაა, რომლის დამახინჯებაც ხელს აძლევდა რუსეთში გარკვეულ ძალებს. და ეს მათ, სამწუხაროდ, შეძლეს. ძალზე ვწუხვარ, რომ რუსეთის მოქალაქეები არ უღრმავდებიან შექმნილ ვითარებას და იოლად წამოეგებიან პროვოკაციას...

– საქართველოს წარმომადგენლები ყოველთვის აღნიშნავენ: „გარკვეული ძალები“, „გარკვეული წრეები“. რა წრეებია

ეს? აქვს თუ არა აფხაზეთის ან სამხრეთ ოსეთის კონფლიქტს ეკონომიკური სარჩული, რაიმე ეკონომიკური დაინტერესება, როგორც ეს იყო, მაგალითად აჭარაში?

– ჩვენ სრულიად შეგნებულად ვლაპარაკობთ რუსეთის პოლიტიკის ორ დონეზე, რათა შეურაცხყოფა არ მივაყენოთ იმ ადეკვატურ და ობიექტურ რუს პოლიტიკოსებს, რომლებსაც არ სურთ ზიანის მიყენება ჩვენი ურთიერთობისთვის. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ბოლო ხანებში ჩვენ ვაწყდებით სხვა პოლიტიკოსების მოქმედებას... რატომ ხდება, რომ რუსეთის მოქალაქეები წამოეგებიან ხოლმე ისეთი პოლოტიკოსების პროვოკაციებს, როგორიც ჟირინოვსკი და როგოზინია? ვის აძლევს ხელს, რომ რუსი ტურისტები ჩავიდნენ აფხაზეთში და ნებაყოფლობით გახდნენ პოლიტიკური სიტუაციის მძევლები, როგორც ეს მოხდა, მაგალითად, დეპუტატ კოკოშკინთან დაკავშირებულ შემთხვევაში? დარწმუნებული ვარ, რომ ეს შემთხვევა სპეციალურად იყო პროვოცირებული, რათა დაედანაშაულებინათ საქართველო და აეტეხათ ხმაური.

– ვის შეეძლო სპეციალურად დაეშინა ცეცხლი რუსი დეპუტატის კორტეჟისთვის?

– არ ვიცი, ვინ ისროდა. თუმცა, ზუსტად ვიცი, რომ ქართველებს არ უსვრიათ. რაში გვჭირდებოდა ჩვენ ეს? იმისთვის, რომ შემდეგ ყველას ეთქვა „ტყვიები ქართულად ზუზუნებდნენო“, როგორც ეს ამ ცოტა ხნის წინ განაცხადა ბატონმა ჟირინოვსკიმ?

– ცნობილია, რომ არსებობს რუსეთის მოქალაქეთა მთელი სიები, რომლებიც მეტ-ნაკლებად წარმატებით ეწევიან ბიზნესს ამ კონფლიქტურ რეგიონებში. თქვენ შეგიძლიათ დაგვისახელოთ მათი გვარები და ფირმები?

– რა თქმა უნდა, გვარები ცნობილია, მაგრამ მე საკმაო პასუხისმგებლობის გრძნობა მაქვს საიმისოდ, დამადასტურებელი საბუთების გარეშე არ დავასახელო ისინი. მე მაღელვებს არა მარტო ბიზნესი, არამედ ის ორმაგი სტანდარტი, რომლითაც რუსეთის მოსახლეობა მიუტევებს ყველაფერს თავის ხელმძღვანელებს. როცა იბომბებოდა პანკისის ხეობა და დაიღუპა ერთი

კაცი, ქართული სოფლის მცხოვრები, თქვენი ქვეყნის პრეზიდენტის რეიტინგი ამით მხოლოდ იზრდებოდა. როცა ჩვენმა პრეზიდენტმა გადაწყვიტა, დაიცვას თავისი საზღვრები და ამისთვის უკან არ დაიხევს არაფერზე, ეს უკვე რუსეთის აღშფოთებას იწვევს. რატომ არის, რომ რუსეთს შეუძლია დაბომბოს თავისი ქალაქი გროზნო, მაგრამ საქართველოს არა აქავს უფლება დაიცვას თავისი ტერიტორიული ინტერესები? რატომ ხდება, რომ რუსეთს შეუძლია აღგავოს პირისაგან მიწისა ნახევარი ჩეჩნეთი, ჩვენ კი ჰაერში გასროლაც არ შეგვიძლია? მითხარით, განა ნორმალურია, როცა რუსი მოქალაქეები დასასვენებლად ჩამოდიან აფხაზეთში, სადაც ასობით ქართველის სისხლი დაიღვარა? მე გაოგნებული დავრჩი, როცა საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის მოქალაქეთა უშიშროების გარანტიებს იძლეოდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო. ეს ხომ ვერანაირ საერთაშორისო ნორმებსა და ჩარჩოებში ვერ თავსდება.

– გუშინ თავდაცვის მინისტრმა ივანოვმა ინფორმაციას რუსული თვითმფრინავების შესახებ, რომლებმაც საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვიეს, ბოდვა უწოდა. როგორ აპირებთ რეაგირებას ასეთ შეურაცხყოფაზე?

– ასეთი უცნაური გამოთქმა, ჩემი აზრით შეუფერებელი უნდა იყოს ინტელიგენტი ადამიანისათვის. მე ვიცნობ მინისტრ ივანოვს და მას ინტელიგენტ, განათლებულ, დახვეწილ ადამიანად მივიჩნევ. ამიტომ, ჩემთვის გაუგებარია, თუ რატომ თქვა მან ეს.

– მე ვიცი, რომ პრეზიდენტ სააკაშვილს დაგეგმილი ჰქონდა, ტელეფონით დაკავშირებოდა პრეზიდენტ პუტინს ამერიკაში არაოფიციალური ვიზიტის დასრულების შემდეგ, მოახერხა მან ამის გაკეთება?

– ყოველივე ის, რაც ხდება, რა თქმა უნდა ახდენს გავლენას ორი პრეზიდენტის ურთიერთობაზე, მაგრამ ეს ურთიერთობა კვლავ კონსტრუქციულია. ყოველ შემთხვევაში, სააკაშვილმა ამ ცოტა ხნის წინათ, გაუგზავნა წერილი პუტინს, რომელშიც სცადა

დაწვრილებით განემარტა მთელი სიტუაცია. ვფიქრობ, რომ პრეზიდენტი პუტინი გონიერი პოლიტიკოსია. ჩემი აზრით, სწორედ პრეზიდენტ პუტინს უნდა ესმოდეს ყველაზე უკეთ სააკაშვილისა... პუტინისთვის ხომ ძალზე მნიშვნელოვანია ჩეჩნეთის საკითხის გადაწყვეტა.

– თქვენ ხომ კარგად გესმით, რომ რუსეთში არაფრის გადაწყვეტა არ შეიძლება, თუ არ იქნება პუტინის ნება...

– რა თქმა უნდა, კითხვის ნიშნები ჩნდება. როცა პრეზიდენტის კონტროლს დაქვემდებარებული სახელმწიფო სათათბირო იღებს სკანდალურ გადაწყვეტილებას, რომელიც შეურაცხყოფს მეზობელ ქვეყანას, მოიხსენიებს საქართველოს ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკად და ა. შ. ვფიქრობ, ეს დიდი სისულელეა. უწინარეს ყოვლისა, თვით რუსეთთან მიმართებაში, რუსეთიც ისეთივე ფედერაციული სახელმწიფოა, როგორც საქართველო. უფრო მეტიც, რუსეთს აქვს სეპარატიზმის უაღრესად სერიოზული პრობლემა ჩეჩნეთში. საქართველოს შესახებ მიღებული განცხადებით კი სახელმწიფო სათათბირო, პრაქტიკულად, უარს ამბობს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპზე. კიდევ ვიმეორებ, ეს დიდი სისულელეა, თვით რუსეთის საარსებო ინტერესებს თუ გავითვალისწინებთ.

– თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობის გამო, შეუძლებელია საქართველოს არ აღელვებდეს ის მოვლენები, რომლებიც ინგუშეთში განვითარდა 22 ივნისს. რას ფიქრობთ ჩეჩნეთის კონფლიქტის ესკალაციაზე და მის გეოგრაფიულ გავრცელებაზე? ხომ არ ემუქრება ეს საქართველოს უშიშროებას?

– ჩვენ ძალზე გვაღელვებს ჩეჩნეთში და მთლიანად, ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილი ვითარება. სამწუხაროდ, ყველა ეს ნეგატიური პროცესი დასაბამს იღებს რუსეთიდან და შეუძლებელის მათ წინ აღვუდგეთ. რუსეთის მოქალაქეებს ეს მუდმივად უნდა ახსოვდეთ და უნდა მიმართონ კითხვით თავიანთ ხელმძღვანელებს. აღშფოთებას იწვევს, როცა ფეთქდება სახლები მოსკოვში, როცა მძევლად იყვანენ ადამიანებს, როგორც ეს

მოხდა „ნორდ – ოსტში“ და დიდ სინანულს იწვევს ის, რომ დაიხურა „ნორდ-ოსტის“ საქმის გამოძიება. იგი აუცილებლად ბოლომდე უნდა მიეყვანათ.

– გავრცელდა ინფორმაცია, რომ საქართველო ყიდულობს იარაღს ისრაელში, თურქეთში, გერმანიასა და ამერიკაში. ეს მართლა ასეა? საქართველო აპირებს საჰაერო თავდაცვის სისტემის აღგენას?

– ჩვენ ერთადერთი ქვეყანა ვართ რომელსაც არაფერი არ მიუღია რუსეთისაგან საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. საქართველოდან საჰაერო თავდაცვის სისიტემებიც კი გაიტანეს. ახლა ჩვენ ამ სფეროში გავწევთ გარკვეულ მუშაობას, რადგან უნდა გვქონდეს ეფექიტიანი დაცვა. ჩვენ უნდა გავხდეთ საიმედო მეზობელი, რადგან ჩვენ თუ ვერ შევძლებთ სიტუაციის გაკონტროლებას, ეს ავტომატურად შეუქმნის პრობლემებს ჩვენს მეზობლებს. ასე მოხდა, მაგალითად, პანკისის ხეობაში.

საქართველოს რესპუბლიკა 2004 წ. 14 აგვისტო №188 გვ. 1-2

„ყველა ერთად უნდა ვებრძოლოთ იმ ბოროტებას, რასაც ტერორიზმი ჰქვია“

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის განცხადება რუსეთის ტერიტორიაზე მომხდარი ტერორისტული ფაქტების გამო

2 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ განცხადება გააკეთა რუსეთის ტერიტორიაზე მომხდარი ტერორისტული ფაქტების გამო:

მინდა, რომ გამოვხატო ჩემი, საქართველოს პარლამენტის წევრების და უამრავი ადამიანის აღშფოთება იმ ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებსაც ბოლო პერიოდის განმავლობაში რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე აქვს ადგილი. ტერორიზმს გამართლება ნამდვილად არა აქვს, როგორი საფუძველიც უნდა ჰქონდეს და რა განცხადებებიც უნდა კეთდებოდეს ტერორიზმის ფაქტების გასამართლებლად. მსოფლიოს არც ერთი რელიგია და არც ერთი პოლიტიკური მსოფლმხედველობა არ ამართლებს უდანაშაულო ადამიანების მსხვერპლს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ეს ბავშვებს ეხება. ვიმედოვნებ, რომ უახლოეს საათებში და დღეებში ეს პრობლემა პრაქტიკულად გადაიჭრება და ბავშვები დაუბრუნდებიან თავიანთ ოჯახებს. რუსეთში ჩემს კოლეგებს ხმა უკვე მივაწვდინე, რომ ჩვენ ყველანი აღშფოთებული ვართ და ვწუხვართ მომხდარი ფაქტების გამო. ამასთან დაკავშირებით სპეციალური განცხადებაც გავამზადე. ასევე საქართველოს პრეზიდენტმა სპეციალური წერილი გაუგზავნა რუსეთის პრეზიდენტს. ტერორიზმი და ეს აღმაშფოთებელი ფაქტები ის შემთხვევაა, როდესაც ჩვენ ყოველთვის ერთმნიშვნელოვნად ვაცხადებთ: აქ არა აქვს ადგილი და არც შეიძლება

ჰქონდეს ორმაგ მიდგომას, ორმაგ სტანდარტებს, ჩვენ, ყველამ ერთად უნდა ვებრძოლოთ იმ უბედურებას, იმ ბოროტებას, რასაც ტერორიზმი ჰქვია. დახმარების თხოვნით რუსეთის მხრიდან მომართვა არ ყოფილა, მაგრამ თავისთავად ჩვენი მზადყოფნა, რომ დახმარება აღმოვუჩინოთ რუსეთის ფედერაციას ან ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც ტერორიზმის უმძიმესი საფრთხის ან ფაქტის წინაშე დადგება, ვგონებ, სრულიად ბუნებრივი გახლავს. ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ, რომ რამდენადაც შეგვიძლია ვიბრძვით ტერორიზმის წინააღმდეგ. საქართველო პატარა სახელმწიფოა, მაგრამ მან თავისი წვლილი შეიტანა ანტიტერორისტული კოალიციის საქმიანობაში და თუ საჭირო გახდება, ჩვენ ჩვენს წვლილს კვლავაც შევიტანთ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ბავშვების განთავისუფლებისათვის ნებისმიერ კუთხეში, მათ შორის რუსეთშიც. ამ შემთხვევაში კი ჩვენ ალბათ უფრო ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენა შეგვიძლია და, ბუნებრივია, ამისათვის მზად ვართ.

საქართველოს რესპუბლიკა 2004 წ. 3 სექტემბერი № 204 გვ.

ნინო ბურჯანაძე: „სტრასბურგის დებატები ქართულმა მხარემ ასით ნოლზე მოიგო“

„შემიძლია თავისუფლად განვაცხადო, რომ ეს დებატები ქართულმა მხარემ ასით ნოლი მოიგო“, – ასეთია ნინო ბურჯანაძის შეფასება. სტრასბურგში ქართულ-რუსულ პრობლემებთან დაკავშირებით დებატების გამართვა ქართულმა მხარემ მოითხოვა, რუსული მხარე კი ბოლომდე წინააღმდეგი იყო. ისინი აცხადებდნენ, რომ ასეთი დებატების გამართვა საჭირო არ იყო.

რუსული პრესა კი შოკში იმის გამო იყო ჩავარდნილი, რომ დებატებში რუსეთის მხრიდან ისეთივე მაღალი რანგის წარმომადგენლები არ მიიღებდნენ მონაწილეობას, როგორიც ნინო ბურჯანაძეა. დებატების გამართვამდე მთელ იმედს ქართველი პოლიტოლოგებიც ნინო ბურჯანაძეზე ამყარებდნენ. „მე ნინო ბურჯანაძის იმედი მაქვს“, -აცხადებდა პოლიტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი. თავად სტრასბურგში მყოფმა ქართულმა დელეგაციამაც დებატებში ნინო ბურჯანაძის გარეშე გამოსვლა ვერ გარისკა. სამაგიეროდ ეს რამდენიმე დღიანი დაძაბულობა საქართველოს სრული გამარჯვებით დასრულდა. სტრასბურგში გამართული დებატების დეტალებზე და მის შედეგებზე „მთელი კვირა“ ნინო ბურჯანაძეს ესაუბრა.

ნინო ბურჯანაძე: თავისთავად ის ფაქტი, რომ დებატები შედგა, უკვე ძალზე მნიშვნელოვანი იყო. დებატების გამართვა დღის წესრიგში დამატებით იქნა შეტანილი. ყველამ კარგად იცის საერთაშორისო ორგანიზაციების საპროცედურო წესები რა რთულია და მით უმეტეს ისეთი ორგანიზაციის, როგორიც არის ევროსაბჭო. თავად ეს ფაქტი, რომ დებატები შედგა და ამასთან, მე მომეცა საშუალება სიტყვით გამოვსულიყავი, საგანგებო რეჟიმზე მეტყველებს. ეს მეტყველებს პირველ რიგში კი

იმაზე, რომ საქართველოს ევროსაბჭოს სახით ძალზე სერიოზული მეგობარი ჰყავს. გარდა ამისა, იმ ადამიანებს, ვინც ევროსაბჭოს წარმოადგენენ, რომ არ ჰქონოდათ იმის განცდა, რომ საქართველოს პრობლემები ამ საერთაშორისო ორგანიზაციის ფორმატში განხილვას იმსახურებს და საქართველოს რუსეთის მიმართ მართლაც სერიოზული და რაც მთავარია, არგუმენტირებული პრეტენზიები გააჩნია, რა თქმა უნდა, ეს დებატები არ შედგებოდა. ფაქტი იმისა, რომ დებატები შედგა, საქართველოს დელეგაციის უკვე სერიოზული გამარჯვება იყო. რუსეთი ამ დებატების გამართვის კატეგორიული წინააღმდეგი იყო. რუსეთის მხრიდან მუდმივად გვესმის, რომ ვისაუბროთ ორმხრივ ჩარჩოებში. მაგრამ სამწუხაროდ, ორმხრივი ფორმატებით ჩვენ წარმატებას ვერ მივაღწევთ; ვერ ვაღწევთ იმიტომ, რომ რუსეთს ჩვენი არგუმენტების მოსმენა და გაზიარება არ სურს. ვფიქრობ, ეს დებატები ძალიან მნიშვნელოვანი იმ მხრივაც იყო, რომ ევროსაბჭო და მსოფლიო თანამეგობრობა კიდევ ერთხელ დარწმუნდა იმაში, რომ საქართველოს შემთხვევაში მას აქვს საქმე მართლაც ცივილიზებულ და დემოკრატიულ სახელმწიფოსთან. ჩვენ თავიდანვე გავუსვით ხაზი იმ გარემოებას, რომ ჩვენი მიზანი რუსეთის ლანძღვა-გინება არ იყო. ჩვენი მიზანი იყო პრობლემების დაყენება იმისათვის, რომ ამ პრობლემების გადაწყვეტის გზა გვეძებნა. ჩვენდა სამწუხაროდ, რუსეთის დელეგაციის მხრიდან ვერ მოვისმინეთ იმის პოლიტიკური განცხადებაც კი, რომ მათ პრობლემის განხილვის სურვილი მაინც გააჩნიათ. დავუშვათ, ასეთი რამ ეთქვათ: ჩვენ საქართველოს არ ვეთანხმებით, მაგრამ ჩვენ მზად ვართ მათთან ერთად ეს პრეტენზიები განვიხილოთ; ანუ რეალურად, ჩემდა სამწუხაროდ უნდა ვთქვა, რომ რუსეთის დელეგაციის აბსოლუტური უმრავლესობა ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირში იმყოფება. საუბრებში ისინი ევროსაბჭოს ახსენებდნენ, რომ საქართველო არის სტალინის სამშობლო. ეს არის ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკა, რომელმაც თავის დროზე აფხაზებს არ ჰკითხა, საქართველოში

ყოფნა უნდოდათ თუ არა. ჯერ ერთი, აფხაზეთმა საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ რეფერენდუმში მონაწილეობა მიიღო და მეორეც: თავად რუსეთს არ უკითხავს ჩეჩნეთისთვის, უნდოდათ თუ არა რუსეთში ყოფნა. სირცხვილია, რომ ჩვენ ერთმანეთს ასეთი არგუმენტებით დავუწყოთ ლაპარაკი.

„მ. კ“: რა მოჰყვება ამ დებატებს?

ნ. ბ.: ცხადია, არავის, არც პოლიტიკოსებს და არც ჩვეულებრივ მოქალაქეებს, არ ექნება იმის ილუზია, რომ ერთ დებატებს, თუნდაც ასით ნოლზე გამარჯვების შემთხვევაში, – ნამდვილად შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ ასით ნოლი მოვიგეთ, – პოლიტიკური პრობლემის გადაწყვეტა ერთბაშად შეუძლია. მაგრამ ამ დებატებმა გააკეთა ის, რომ ევროსაბჭოში ერთი მნიშვნელოვანი შეთანხმება მოხდა. ამ პროცესს გარკვეული გაგრძელება მოჰყვება: დაინიშნება სპეციალური ჯგუფი, რომელიც ამ რამდენიმე თვის განმავლობაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დინამიკას დააკვირდება, შეისწავლის იმ პრეტენზიებს და შეკითხვებს, რომლებიც ჩვენ დავსვით. არ არის გამორიცხული, რომ იანვრის სესიის დროს ევროსაბჭო ამ საკითხს კვლავ დაუბრუნდეს. ჩვენი მთავარი ამოცანა არის ის, რომ რუსეთი მუდმივად დემოკრატიული წნეხის ქვეშ იყოს, ანუ რუსეთს ესმოდეს, რომ ჩვენ არ გავჩუმდებით. სადაც ჩვენ მართალი არ ვიქნებით, იმის გამბედაობაც გვეყოფა, რომ ეს ვაღიაროთ. მაგრამ სადაც არის ჩვენი ეროვნული ინტერესები და სადაც ჩვენ მართლები ვართ ჩვენი სინდისისა და მსოფლიო ცივილიზებული სამართლებრივი ნორმების წინაშე, ჩვენ ვიბრძოლებთ ყველგან და ყველა ფორუმზე დავაფიქსირებთ, რომ რუსეთი მოქმედებს ორმაგი სტანდარტით და ისე, როგორც არც ერთი ცივილიზებული სახელმწიფო არ უნდა მოქმედებდეს.

„მ. კ.“: რუსეთის მხრიდან საერთოდ რაიმე პრეტენზია თუ გამოითქვა?

ნ. ბურჯანაძე: ფაქტობრივად რუსეთის მხრიდან არც ერთი შეკითხვა და არც ერთი პრეტენზია არ გამოთქმულა; უფრო

მეტიც: რუსეთის დელეგაციას არც ჩვენს მიერ დასმული კითხვებისთვის გაუცია პასუხი. ჩემს გამოსვლაში იყო ძალზე კონკრეტული შეკითხვები. როგორ შეიძლება რუსეთი საერთოდ საქართველოს პატივისცემაზე ლაპარაკობდეს, როდესაც რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო აკეთებს განცხადებას, რომ თურმე აფხაზეთში არჩევნები დემოკრატიულად ჩატარებულა. რომელ დემოკრატიულ არჩევნებზეა საუბარი, როდესაც იქიდან მოსახლეობის 2/3 საერთოდ გამოდევნილია? მე დავსვი კითხვა: რუსეთი თვლის, რომ აფხაზეთი დამოუკიდებელი სახელმწიფოა? აღიარებს აფხაზეთის დამოუკიდებლობას? თუ არ აღიარებს, მაშინ არჩევნების დემოკრატიულობაზე როგორღა საუბრობს? როგორ ხდება ის, რომ ყველანაირი ნორმების დარღვევით იხსნება სოხუმი-სოჭის რკინიგზა და ა. შ. არც ერთ ამ კითხვაზე პასუხი გაცემული არ ყოფილა. რუსეთის მხრიდან ყველა კითხვაზე ძირითადი პასუხი იყო, რომ ეს დებატები არ უნდა გამართულიყო. გვეუბნებოდნენ, რად გვინდა, ევროსაბჭოში რომ ვლაპარაკობთ; მოდით, ერთმანეთს პირისპირ ველაპარაკოთო. ჩვენ ამაზეც გვქონდა არგუმენტი. თუ რუსეთი თვლის, რომ ასეთ საკითხებზე ევროსაბჭოში არ უნდა იმსჯელოს, იგივეს ამბობს რუსეთი ეუთოსთან დაკავშირებით, იგივეს ამბობს გაეროში, იგივეს ამბობს სხვაგან, მაშინ რუსეთმა უნდა გადაწყვიტოს, რომ მას ამ საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა არ უნდა, იმიტომ რომ ამ საერთაშორისო ორგანიზაციებს სხვა არავითარი დანიშნულება არა აქვს გარდა იმისა, რომ მწვავე პრობლემებზე იმსჯელოს და ამ პრობლემების გადასაწყვეტად გამოსავალი ეძებოს.

„მ. კ.“: რუსეთის პასუხების ასეთ ფორმულირებაზე ევროსაბჭოს მხრიდან რა რეაქცია იყო?

ნ. ბ.: ევროსაბჭოს მხრიდან, როგორც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის პიტერ შიდერის, ასევე ტერი დევისის მხრიდან ძალზე მწვავე განცხადებები გაკეთდა. მათ განაცხადეს: ეს ორგანიზაცია სწორედ იმისათვის არის მოწოდე-

ბული, რომ მწვავე და პრობლემატური საკითხები განიხილოს და არა იმისათვის, რომ უბრალოდ იჯდეს და არაფერი აკეთოს.

„მ. კ.“: ქართული მხარის მიერ დასმული პრობლემები ევროსაბჭოსთვის ბოლომდე ცნობილი იყო?

ნ. ბ.: ჩვენ შევეცადეთ, რომ ძირითადი პრობლემების მთელი სპექტრი წარმოგვეჩინა. მე ვერ ვიტყვი, რომ ევროსაბჭოს ყველა წარმომადგენელი ასე დეტალურად არის ამ პრობლემაში ჩახედული, თუმცა ინტერესი დიდია და ზოგადი წარმოდგენა ყველას აქვს. მაგრამ იყო საკითხები, რომლებზეც მათ დეტალური ინფორმაცია არ ჰქონდათ. გარდა იმისა, რაც ეკრანზე ჩანდა, კულუარებში პრაქტიკულად 24-საათიანი მუშაობა გვქონდა, რათა დელეგატები წინასწარ მოგვემზადებინა, ყველა შეკითხვაზე, რაც მათ ჰქონდათ, წინასწარ პასუხი მიგვეცა.

„მ. კ.“: დებატების წინა პროცესი როგორ წარიმართა?

ნ. ბ.: როდესაც ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ ეს დებატები უნდა გაგვემართა, ჩვენი დელეგაცია სრულიად ერთსულოვანი იყო. ჩვენ ამ დებატებისთვის უნდა გვებრძოლა. ჩვენ ყველანაირი წინასწარი პროცედურები მაქსიმალურად დაჩქარებული ტემპით დავიწყეთ. პირადად მე სტრასბურგში ლანა ღოღობერიძეს და ჩვენი დელეგაციის წევრებს ვესაუბრე წინა შაბათს და ასევე ჩემი და პიტერ შიდერის საუბარიც შედგა. მე ამ დროს საბერძნეთში, როდოსზე ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის მუდმივმოქმედი კომიტეტის მუშაობაში ვიღებდი მონაწილეობას, მაგრამ პიტერ შიდერს იქიდან ვესაუბრე და ჩვენი არგუმენტები გავაცანი, თუ ჩვენთვის ეს დებატები რატომ იყო ასე მნიშვნელოვანი. მან აღმითქვა, რომ ორშაბათის ბიუროს სხდომაზე ყველაფერს გააკეთებდა იმისათვის, რომ ეს დებატები შემდგარიყო; თუმცა დებატების დანიშვნა პროცედურულად ძალზე რთული იყო და გარანტიას ვერავინ გვაძლევდა. ორშაბათს მე უკვე აეროპორტში ვიყავი, როდესაც გავიგე, რომ ევროსაბჭოში ჩვენი დებატების საკითხი დადებითად გადაწყდა და მეორე დღეს უკვე სტრასბურგში მომიწია გამგზავრებამ. მე მინდა გითხრათ, რომ

მთელი ჩვენი დელეგაცია თავის სიმაღლეზე იდგა. ყველა დელეგაციის წევრი თუ დამხმარე თანამშრომლები ყველაფერს აკეთებდნენ, დაწყებული კონსულტაციებიდან და ტექნიკური სამუშაოებით დამთავრებული, რათა ეს გამოსვლა მაქსიმალურად შედეგიანი ყოფილიყო და მე ამის ძალიან მოხარული ვარ. ჩვენ შევიკრიბეთ და ის თემები განვიხილეთ, რომლებიც უნდა დაგვეყენებინა. ჩვენ ვცდილობდით, რომ თითოეული გამოსვლა მაქსიმალურად გამოგვეყენებინა. ერთ გამოსვლაში ვერც ერთი წევრი ყველაფერს ვერ ჩატევდა. ამიტომ ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო ან რაიმე არ გამოგვრჩენოდა, ან რაიმე არ გამეორებულიყო. თვითონ დელეგაციის შიგნითაც წინასწარ ძალზე ბევრი ვიმუშავეთ. მე მინდა ყველას მადლობა გადავუხადო ამ ერთსულოვნებისთვის და ძალზე აქტიური თანამშრომლობისთვის. გარდა ამისა, მუშაობა მიმდინარეობდა იქ სხვა სახელმწიფოების წარმომადგენლებთან, ევროსაბჭოს ოფიციალურ ხელმძღვანელობასთან. ჩვენი დელეგაციის წევრები მათთან შეხვედრებს მართავდნენ და წინასწარი სამუშაო, მიუხედავად დიდი სირთულეებისა, კარგად ჩავატარეთ. ჩვენ ძალიან ძლიერი პოზიცია გვაქვს იმ თვალსაზრისით, რომ არ ვცრუობთ, არ ვმალავთ პრობლემებსა და სირთულეებს; ძალიან გულწრფელა ვლაპარაკობთ იმ პრობლემებზე, რაც გვაქვს.

„მ. კ.“: აშშ-ის წარმომადგენლობამ დებატების გამართვამდე საქართველოს მხარდაჭერა გამოუცხადა. ამ მხარდაჭერამ რამდენად იქონია გავლენა?

ნ. ბ.: თავისთავად ეს არის პოლიტიკურად ძალზე მნიშვნელოვანი მხარდაჭერა. თუმცა ამ შემთხვევაში ევროსაბჭო თავის შიდა გადაწყვეტილებებზე იყო ფოკუსირებული. მაგრამ თავად ის ფაქტი, რომ აშშ-ის საგარეო საქმეთა კომიტეტმა იმსჯელა და ეს გადაწყვეტილება მიიღო, ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო.

„მ. კ.“: თქვენ დებატების შემდეგ ტერი დევისს შეხვდით. რა იყო ამ შეხვედრის მთავარი მიზანი?

ნ. ბ.: ტერი დევისი ჩვენი ძალიან დიდი ხნის მეგობარია. მას ფასდაუდებელი წვლილი მიუძღვის საქართველოს ევრო-საბჭოში შესვლის პროცესში. ის ჩვენი მეგობარია და სწორედ ამიტომაა ძალიან ობიექტური. ტერი დევისი არასოდეს ხუჭავს თვალს იმ სირთულეებსა და იმ პრობლემებზე, რაც საქართველოს წინაშე დგას. სხვათა შორის, ჩვენი შეხვედრისას მან გაგვაფრთხილა, რომ ამ დიდი მეგობრობის გამო ახლა უფრო მეტად შეეცდება საქართველოს შესაძლებლობები მაქსიმალურად გამოიყენოს, რათა საქართველო ნამდვილად ფეხზე დადგეს და მსოფლიო თანამეგობრობის ერთ-ერთი ღირსეული წევრი გახდეს. ჩვენ რომ მასთან მეგობრული ურთიერთობები გვაქვს, იმას არ ნიშნავს, რომ საქართველოს პრობლემებს არაობიექტურად შეხედავს. სხვათა შორის, ჩვენ ყველა ჩვენი მეგობრისგან ამას ვითხოვთ. მათ ვთხოვთ იმას, რომ იყვნენ მაქსიმალურად ობიექტურნი. ვეუბნებით, თუ რაიმე გვეშლება, გვითხარით, იმიტომ რომ შეცდომების გამოსწორება ჩვენს ინტერესშია, რათა ქვეყანა დროზე დაემსგავსოს ქვეყანას და ფეხზე დროზე დადგეს. თუ მართლები ვართ და ჩვენს დაჩაგვრას ბევრი აპირებს, გვერდით დაგვიდექით-თქო, რასაც აკეთებენ კიდეც ჩვენი მეგობრები.

„მ. კ.“: ამ განხილვისას საქართველის მიმართ რაიმე შენიშვნა გამოითქვა?

ნ. ბ.: ერთ-ერთი პრობლემა გახლავთ იგივე საქართველოს შეუსრულებელი ვალდებულებების პრობლემა. ტერი დევისმა აღნიშნა, რომ მან ძალიან კარგად იცის, ეს წინა ხელისუფლების პრობლემაა; მაგრამ გვთხოვა, ვალდებულების შესრულების დაჩქარებასთან დაკავშირებით შესაძლებლობის ფარგლებში რაიმე ნაბიჯები გადავდგათ. ჩვენ კონკრეტულად ვისაუბრეთ, უახლოეს პერიოდში რა ვალდებულების შესრულება შეგვიძლია და ამისთვის რა არის საჭირო. ტერი დევისმა ყოველგვარი მხარდაჭერა აღგვითქვა, რაც მასზე არის დამოკიდებილი და შევთანხმდით, პროცედურები როგორ უნდა დავიწყოთ, რათა საქართველომ თავისი ვალდებულებების რეალიზება მოახდინოს.

„მ. კ.“: საქართველოში დემოკრატიულ პროცესებთან დაკავშირებით რაიმე პრეტენზია ხომ არ გაჩნდა?

ნ. ბ.: დემოკრატიულ პროცესებთან დაკავშირებით საქართველოში კი არა, ამერიკის და ევროპულ სახელმწიფოებთანაც კი შეიძლება პრეტენზია გამოითქვას. არ შეიძლება, რომელიმე ქვეყანაში იდეალური მდგომარეობა იყოს, მით უმეტეს ისეთ ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. ჩვენ თვითონ ვაღიარებთ, რომ ბევრი პრობლემა არსებობს, რომელიც გამოსასწორებელია. იგივე, ვთქვათ, თავისუფლების აღკვეთის ადგილებში. არის პრობლემები, რომლებიც სამართალდამცავი ორგანოების მუშაობას ეხება. მაგრამ ყველაზე მთავარი ის არის, რომ ჩვენ ამ პრობლემებზე თვალებს არ ვხუჭავთ და ამ პრობლემებს არ ვმალავთ. ჩვენ ვიცით, რომ პრობლემები არსებობს და ვცდილობთ, ეს პრობლემები გამოვასწოროთ. ჩვენ რომ გამოვიდეთ და ვთქვათ, ისეთი დემოკრატია, როგორიც საქართველოშია, არც ამერიკასა და არც საფრანგეთში არ არსებობს, ხომ სასაცილო მდგომარეობაში აღმოვჩნდებით? ამიტომ ჩვენ ღიად ვლაპარაკობთ იმ პრობლემებზე, რაც არსებობს. ამას ჩვენი მეგობრები ძალიან აფასებენ. ისინიც ობიექტურად ამბობენ, რომ საქართველოში ისეთი პრობლემები, რომლებიც დემოკრატიულ განვითარებას საფრთხეს შეუქმნის, ნამდვილად არ არის. მაგრამ არის პრობლემები, რომლის გადაწყვეტაშიც ჩვენ ისინი მოგვეხმარებიან.

„მ. კ.“: ევროპაში საქართველოზე „ვარდების რევოლუციის“ პირველი შთაბეჭდილება არ შეიცვალა?

ნ. ბ.: ნამდვილად არ შეცვლილა. მხარდაჭერა ჩვენ ძალიან დიდი გვაქვს. უბრალოდ, მათი მხრიდანაც მოლოდინი ძალიან დიდია. ვნახოთ, ამ მხარდაჭერას საქართველო როგორ გაამართლებს.

„მ. კ.“: რუსეთს პირდაპირ უთხრეს, რომ იგი საქართველოს საშინაო საქმეებში ერევა, ისევ რომ გაგრძელდეს ეს ჩარევა, ამას ევროსაბჭოს მხრიდან რა რეაგირება მოჰყვება?

ნ. ბ.: საერთოდ, ჩვენი ევროპელი მეგობრები რუსეთში ამ ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებს დიდ ყურადღებას აქცევენ. მნიშვნელოვანია ის, რომ ბოლო პერიოდში გაკეთებულმა განცხადებებმა, რომლებიც რუსეთის ვერტიკალის გამკაცრებისკენ იყო მიმართული, ევროპელები მართლაც შეაშფოთა. იყო პერიოდი, როდესაც რუსეთის მიერ ევროპის გასაგონად გაკეთებული განცხადებები ბევრზე მოქმედებდა. ჩვენს ევროპელ და ამერიკელ მეგობრებს ხშირად ვეუბნებოდი: რუსეთის დემოკრატიულობის ხარისხს იმ განცხადებებით და იმ ქმედებით ნუ განსაზღვრავთ, რომელსაც რუსეთი ევროპულ სახელმწიფოებთან ან ამერიკასთან მიმართებაში ახორციელებს, იმიტომ რომ ერთია, როგორ მოქმედებს რუსეთი ამერიკასთან და ევროპის დიდ ქვეყნებთან და მეორეა, როგორ მოქმედებს საქართველოსნაირ ქვეყნებთან მიმართებაში. მე ყოველთვის მოვუწოდებდი: დააკვირდით, როგორია რუსეთი საქართველოს მსგავს ქვეყანასთან მიმართებაში-მეთქი. რუსეთის რეალური დემოკრატიულობის ინდიკატორი და განმსაზღვრელი ეს არის. დღეს უკვე ძალიან ბევრი რამ შეიცვალა. სხვათა შორის, გამობრძანდა ქალბატონი ფერერო ვალდნერი, ავსტრიის საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, რომელიც დღეს ევროკავშირის ერთ-ერთ უმაღლეს თანამდებობაზე დაინიშნა და რუსეთი ძალზე მწვავედ გააკრიტიკა. მან თქვა, რომ ევროკავშირს რუსეთთან კარგი ურთიერთობა უნდა, მაგრამ კარგი ურთიერთობა დემოკრატიულ რუსეთთან უნდა და ევროკავშირი რუსეთში რაღაც ავტორიტარული ძალების გაძლიერებას ან არადემოკრატიული და ორმაგი სტანდარტებით მოქმედებას არ შეეგუება. ეს ჩვენთვის ძალზე მნიშვნელოვანია და თუ რუსეთი ამას არ გაითვალისწინებს, ეს არ იქნება მისი პრობლემა მხოლოდ საქართველოსთან მიმართებაში: ეს იქნება მისი ძალიან სერიოზული პრობლემა საგარეო ურთიერთობების თვალსაზრისით. ამის არგათვალისწინების უფლება კი არც ერთ სახელმწიფოს არა აქვს.

„მ. კ.“: დებატებამდე რუსულ პრესაში აქცენტი იმაზე კეთდებოდა, რომ მათ ევროპის იმედი ჰქონდათ. დებატების შემდეგ, როდესაც ევროსაბჭოს მხრიდან უკვე კონკრეტული განცხადებები გაკეთდა, რუსებს რა რეაქცია ჰქონდათ?

ნ. ბ.: დელეგაციაში ნორმალური ხალხიც იყო, რომლებიც ამბობდნენ: იქნებ დავსხდეთ და დავილაპარაკოთ. საერთოდ, რუსეთის პრობლემა ის არის, რომ ერთს ამბობენ და მეორეს აკეთებენ. იწერება ის, რისიც თავადაც არ სჯერათ. ამ შემთხვევაშიც ასე იყო. მაგრამ ეს პრობლემას ვერ მოაგვარებს. ამაში, მე მგონი, ახლა მაინც დარწმუნდებოდნენ.

„მ. კ.“: ევროსაბჭოს მხრიდან თუ გაკეთდა რაიმე რეკომენდაცია, თუ საქართველოს რუსეთთან დამოკიდებულება როგორ უნდა გაგრძელდეს?

ნ. ბ.: ჩვენ თავადაც ვამბობთ და ყველა ნორმალური ადამიანიც ამას გვირჩევს, რომ კონსულტაციები უნდა გაგრძელდეს. ახლა არანაირი რეკომენდაცია არ ყოფილა. ახლა იყო მოსმენა, განხილვა. ვნახოთ, შემდეგი პროცესები რას მოგვიტანს.

„მ. კ.“: არაოფიციალურად რა განწყობა ჰქონდათ?

ნ. ბ.: არაოფიციალურადაც და ოფიციალურადაც მინდა გითხრათ, რომ საქართველოს მხარს ყველა უჭერდა. საქართველო რუსეთთან ურთიერთობაში მართალია. ეს აბსოლუტურად ღიად ითქვა.

რუსიკო მაჩაიძე

მთელი კვირა. – 2004, 11 ოქტომბერი, №277, გვ. 8, 9

„მე საერთოდ არ მომცეს ბესლანში ჩასვლის საშუალება“

საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში კრიზისი კიდევ უფრო გაღრმავდა ჩრდილოეთ ოსეთში მომხდარი ტრაგიკული მოვლენების შემდეგ. ამ ბოლო თვენახევრის განმავლობაში რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა იმდენად გამწვავდა, რომ ეს განხილვის საგანიც კი გახდა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში. გასული კვირის დამლევს სტრასბურგში იმყოფებოდა საქართველოს პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძე, რომელმაც სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ექსკლუზიური ინტერვიუ მისცა „ნეზავისიმაია გაზეტას“.

– ქალბატონო ნინო, თუ შეიძლება გვითხარით, როგორ გესმით ყოველივე ის, რაც ამ ბოლო ხანებში ხდება საქართველო – რუსეთის ურთიერთობაში?

– გულახდილად რომ გითხრათ, მთლად ბოლომდე არ მესმის. ჩემი აზრით, ამის გაგება შეუძლებელიც კი არის.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ ასეთი სიტუაცია, მნიშვნელოვანწილად, თბილისის მიერ არის პროვოცირებული? რა საჭირო იყო ვთქვათ, რუსეთ – საქართველოს ურთიერთობის პრობლემის გატანა ევროპულ დონეზე? რა საჭირო იყო ამ საკითხის თაობაზე დებატების შეტანა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიის დღის წესრიგში, თანაც, ამ საკითხის უშუალოდ დაკავშირება ქართულ-ოსური და ქართულ – აფხაზური პრობლემის მოგვარებასთან? განა არ იცოდით, თუ როგორი რეაგირება მოჰყვებოდა ამას მოსკოვის მხრიდან?

– რა თქმა უნდა, ჩვენ ყველაფერი კარგად გვქონდა შეგნებული. მაგრამ, რა უნდა გვეღონა, თუ თბილისსა და მოსკოვს, სამწუხაროდ, უკვე აღარ ძალუძთ ჩვენს ურთიერთობაში არ-

სებული პრობლემების გადაჭრა ორმხრივ საფუძველზე? მოსკოვში ხომ ჩვენი მოსმენა უბრალოდ არ სურთ. რუსეთში გარკვეული წრეების პოლიტიკა ამ ბოლო ხანებში მხოლოდ იმით შემოიფარგლებოდა, რომ ყოველმხრივ ცდილობდნენ მიეჩქმალათ ეს პრობლემები, თითქოს არაფერი არ ხდებოდა. მაგრამ ეს ხომ სიკეთემდე არ მიგვიყვანს. ერთ, არც თუ ისე მშვენიერ დღეს, ეს პრობლემები თუ არ იფეთქებს, გადაუჭრელი მაინც გახდება, და ჩვენ „უცებ“ შევიგნებთ, რომ შემდგომში არაფერი აღარ გვექნება განსახილველი. იქნებ, მოსკოვში ვიღაცას სწორედ ეს სჭირდება? საქართველო, თავის მხრივ, აკეთებს ყველაფერს, რათა დააღწიოს თავი ამ ჩიხს. ჩვენ ძალ-ღონეს არ დავიშურებთ იმისთვის, რომ გამოვნახოთ სიტუაციის კრიზისიდან გამოყვანის ჯერ კიდევ არსებული გზები. ახლა ეს იყო ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესია. მომავალში, ალბათ რაღაც სხვა იქნება.

– ერთი სიტყვით, საჭადრაკო ტერმინოლოგიას თუ გამოვიყენებთ, თბილისმა გადაწყვიტა ითამაშოს „თეთრებით“? და რა მოიტანა ამან, გარდა იმისა, რომ რუსეთი კიდევ უფრო გაღიზიანდა? სტრასბურგში თქვენს მოხსენებას ხომ არანაირი შედეგი არ მოუტანია, დებატები არ გაჩაღებულა. უფრო მეტიც, რუსეთის დელეგაციის ხელმძღვანელმა, მომხსენებელმა რუსეთის მხრიდან კონსტანტინე კოსაჩოვმა თქვენ დაგადანაშაულათ პრობლემის „გაზვიადებაში“ და იმის მცდელობაში, რომ თქვენი პრობლემები სხვისთვის მოგეხვიათ თავს.

– არა უშავს, როგორმე გადავიტანთ ამას. კიდევ უფრო სერიოზული ბრალდებებიც გვსმენია ჩვენი მისამართით. ჩვენ ვიცოდით, რომ მოსკოვში დიდი აღფრთოვანებით არ შეხვდებოდნენ ჩვენს იდეას ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ფორმატით მსგავსი დებატების გამართვის შესახებ. ძნელი მისახვედრი არ იყო, ჩვენი რუსი ოპონენტების განწყობილება. მაგრამ მე მიმაჩნდა და ახლაც მიმაჩნია, რომ სტრასბურგში გამართული საუბარი დროის ამაოდ ფლანგვა არ ყოფილა. ჩვენ მივაღწიეთ

მთავარს: ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სახით გავამახვილეთ საერთაშორისო გაერთიანების ყურადღება ჩვენს სახელმწიფოთაშორის ურთიერთობაში არსებულ პრობლემებზე. თუ ჩვენ ვერ მოვახერხებთ ერთმანეთთან საერთო ენის გამონახვას, ვერ შევძელით საქმის დაძვრა გაყინულ წერტილიდან, მაშასადამე დახმარებისთვის სხვას უნდა მივმართოთ. და რატომ მიაჩნიათ მოსკოვში, რომ დებატები არ გამოვიდა? იმიტომ ხომ არა, რომ საქართველოსა და რუსეთის დელეგაციების გამოსვლების შემდეგ, სტრასბურგში მოსკოვისათვის არც თუ ისე სასიამოვნო შეფასებები გამოითქვა? ახლა კი, რაც შეეხება რუსეთის დელეგაციის პოზიციას, ამის შემდეგ გამოთქმულ შეფასებებს, ჩემს მოხსენებას ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში და საერთოდ, საქართველოს მხარის მოქმედებას. თუ რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გამოქვეყნებული ცნობებით ვიმსჯელებთ, ბატონი კოსაჩოვის აზრით, მეტი რომ არ ვთქვათ „არაკორექტული“ იყო სტრასბურგში ჩემს მიერ გამოთქმული პრეტენზია იმის თაობაზე, რომ რუსეთი, ერთი მხრივ, მხარს უჭერს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს, მაგრამ ფაქტობრივად, სულ სხვაგვარად მოქმედებს. იბადება კითხვა: განა რუსეთში არ იცოდნენ, რომ ჩვენს უარყოფით რეაქციას გამოიწვევდა მაგალითად, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებისთვის რუსეთის მოქალაქეობის მასობრივი მინიჭება? მაგრამ ამის თაობაზე გამოთქმულმა ჩვენმა აზრმა განა შეძლო ამ პროცესის შეჩერება... განა ძნელი იყო იმის განჭვრეტა, თუ როგორ მოეკიდებოდა თბილისი იმ ნაბიჯებს, რომლებიც გადადგა მოსკოვმა აფხაზეთში პრეზიდენტის არჩევნების მომზადების პერიოდში. აქ არ უნდა დაგვავიწყდეს არც დესანტის გადასხმა სოხუმში, როცა იქ, არჩევნების წინ ჩავიდნენ არა მარტო რუსული ესტრადის ვარსკვლავები, არამედ ამ ქვეყნის სახელმწიფო სათათბიროს ვიცე-სპიკერები, რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის მოადგილე და სხვა თვალსაჩინო პოლიტიკოსები. და იქ მარტო სიმღერები

როდი ჟღერდა. და თურმე მე არ მქონია არავითარი მიზეზი საიმისოდ, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საერთო მდგომარეობა დამეკავშირებინა საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების მოგვარების პრობლემასთან. ბატონმა კოსაჩოვმა განაცხადა, რომ აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის პრობლემა საქართველოს საშინაო საქმეა, და ამიტომაც, ცხინვალთან და სოხუმთან ურთიერთობა საქართველომ თვითონ უნდა მოაგვაროსო. რუსეთი კი, როგორც მან აღნიშნა, როგორც შეუძლია, ისე უწყობს ხელს ამ პრობლემის გადაჭრას. აი რას გეტყვით, თქვენი დახმარება ჩვენ უკვე აღარ გვაძლევს ხელს. შეიგნეთ, რომ საქართველო, თითქმის ერთი წელია აღარ არის შევარდნაძის საქართველო, ეს უკვე სხვა ქვეყანაა. ჩვენთვის ახლა ძალზე ცოტაა მხოლოდ ის, რომ რუსეთი გვეფიცება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ერთგულებაში. ჩვენ არანაირად არ გვაძლევს ხელს, ვთქვათ ის, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ზრუნვის ფონზე, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო 4 ოქტომბერს, ანუ აფხაზეთში გამართული პრეზიდენტის არჩევნებიდან უკვე მეორე დღეს, აქვეყნებს ოფიციალურ განცხადებას, რომელშიც ამ არჩევნებს უწოდებს „თავისუფალს და დემოკრატიულს“. არადა, საქმე ეხება აფხაზეთის რესპუბლიკას, რომელსაც მსოფლიოში არავინ არ აღიარებს და ამავე არაღიარებული რესპუბლიკის პრეზიდენტის არჩევნებს, რომელსაც ასევე არავინ არ ცნობს. როგორ უნდა გავიგოთ ეს: რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკვე აღიარა აფხაზეთი როგორც სუვერენული და დამოუკიდებელი სახელმწიფო? ასეთ შემთხვევაში, რა უნდა ვთქვათ საქართველოს ტერიტორიულ მთიანობაზე? განა შეიძლება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემაზე ლაპარაკი მაშინ, როცა რუსეთის მაღალი სახელმწიფო მოხელეთა მონაწილეობით სოხუმში საზეიმო ვითარებაში გააცილეს მოსკოვისკენ მიმავალი პირველი მატარებელი, რომელსაც უნდა გადაეკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი, მაგრამ ამის ჩვენთვის შეტყობინება არა-

ვინ არ მიიჩნია საჭიროდ? ნება მიბოძეთ, ვიკითხო, სად იყო ეს კორექტულობა, როცა მოსკოვში აცხადებენ, რომ საქართველოს პრეზიდენტს თურმე მადლობა უნდა გადაეხადა იმისთვის, რომ მაისში მას ასე „მუქთად“ ერგო აჭარა? რა უნდა ვიგულისხმოთ მაშინ, როცა არა შემთხვევითი ადამიანები, არამედ სერიოზული პოლიტიკოსები, ჩვენი კოლეგები სვამენ ასეთ კითხვას: რატომ უნდა „მისცეს“ რუსეთმა სააკაშვილს აფხაზეთი ან სამხრეთ ოსეთი? ნუთუ თანამედროვე მსოფლიოს რუკაში, ისტორიაში, საერთაშორისო-სამართლებრივ ნორმებში მხოლოდ რუსეთის ფედერაციის საკონსტიტუციო სასამართლო ერკვევა? სამხრეთ ოსეთში აგვისტოს კრიზისის პერიოდში მყოფი სახელმწიფოს სათათბიროს ერთ-ერთი ცნობილი დეპუტატის (იგულისხმება ანდრეი კოკოშინი. – „ნ. გ.“) მოთხოვნას რუსეთის შემადგენლობაში ამ ტერიტორიის მიღების შესახებ, სწორედ საკონსტიტუციო სასამართლომ გასცა ერთმნიშვნელოვანი პასუხი: ასეთი რამ შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცხინვალის ხელისუფლების სურვილს მოიწონებს საქართველო. ამის შემდეგ თქვენ კიდევ მეკითხებით, მესმის თუ არა, რა ხდება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში?

– კრიზისი საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში გაღრმავდა ბესლანში დატრიალებული ტრაგიკული მოვლენების შემდეგ. თქვენი აზრით, რა კავშირი შეიძლება არსებობდეს აქ?

– ჯერ ერთი, მსურს კიდევ ერთხელ გამოვუთქვა სამძიმარი ყველას, ვინც ამ, ნამდვილად, მხეცური აქტის შედეგად დაკარგა შვილები, ახლობლები, გამოვუთქვა სამძიმარი ქართველი ხალხის სახელით ყველა იმ ადამიანს, ვინც გადაიტანა მთელი ეს საშინელება. რაც შეეხება ამჟამინდელი კრიზისის კავშირს ამ მოვლენებთან, იგი სამწუხაროდ არსებობს. ბესლანში ტრაგიკული მოვლენების დატრიალებისთანავე, ვიღაცის წაქეზებით, ვიღაცის ბრძანებით, მოსკოვში აამოქმედეს ნამდვილად ჯოჯოხეთური პროპაგანდისტული მანქანა. მე ზედმეტ სიფრთხილეს არ ვიჩენ, ნამდვილად არ ვიცი, თუ ვინ მოიმოქმედა ეს, მა-

გრამ ვიღაც ნამდვილად „გამჭრიახმა“ ადამიანმა, ამ შემზარავ ტრაგედიაში მოულოდნელად აღმოაჩინა რაღაც „ქართული კვალი“, და, როგორც იტყვიან, მერე ყველაფერი თავისთავად აეწყო. კვლავ გაახსენდათ პანკისის ხეობა, კვლავ დაიწყო მითქმა-მოთქმა იმ ტერორისტულ საფრთხეზე, რომელიც რუსეთს, თურმე საქართველოს სასაზღვრო რაიონებიდან ემუქრება. რუსმა გენერლებმაც არ დააყოვნეს და სასწრაფოდ დაიწყეს საქართველოს ტერიტორიისთვის პრევენციული დარტყმების მიყენების საკითხის განხილვა. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში გადაკეტეს საქართველოსთან დამაკავშირებელი სახმელეთო საზღვარი. ბესლანში არ შეუშვეს საქართველოდან ჩასული ჰუმანიტარული დახმარებით დატვირთული ავტოკოლონა. საქართველო იმ ქვეყნების ნუსხაშიც კი არ ახსენეს, რომლებმაც გამოთქვეს პროტესტი ამ მოვლენების წინააღმდეგ. და რა გამოვიდა, აფრიკის ყველა ქვეყანამ დაგმო ტერორისტები, გამოუთქვა მხარდაჭერა რუსეთს, ჩრდილო ოსეთის ხალხს, საქართველო კი დუმდა. იქნებ ეს მოსატანიც არ იყოს ჩვენი დღევანდელი საუბრის კონტექსტით თუ ვიმსჯელებთ, მაგრამ მე, რუსეთის მეზობელი ქვეყნის პარლამენტის თავმჯდომარეს, მაშინ საერთოდ არ მომცეს ბესლანში ჩასვლის საშუალება. ხუთი დღის განმავლობაში ვცდილობდი მოსკოვიდან მიმეღო თანხმობა ბესლანში ჩასვლაზე, მე მსურდა მიმეგო პატივი ამ ტრაგედიის მსხვერპლთა ხსოვნისთვის, დამედო ყვავილების თაიგული ბესლანის სკოლის კედელთან, ამენთო სანთელი. არ გამოვიდა. მოსკოვში არ მომცეს იქ ჩასვლის უფლება, რადგან ეს საჭიროდ არ მიიჩნიეს. ჩვენ, ფაქტობრივად, გვაიძულეს გვემართლებინა თავი. რის გამო? მაშინ რუსეთის მრავალი გამოცემა წერდა, რომ ტერორისტული საფრთხე, თურმე რუსეთს საქართველოდან ემუქრებოდა. მაგრამ, რატომღაც ყველას დაავიწყდა სხვა რამ. მაგალითად ის, რომ საქართველოს სპეცსამსახურების წარმომადგენლებთან ერთად პანკისის ხეობის ინსპექტირებაში მონაწილეობდა რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსა-

ხურის ორი გენერალიც, რომლებმაც იქ ჩეჩენი ან რომელიმე სხვა ტერორისტების ყოფნის კვალი ვერ აღმოაჩინეს. დაივიწყეს ისიც, რომ რუს მესაზღვრეებს უკვე კარგა ხანია აღარ აქვთ პრეტერნზია ქართველი კოლეგების მიმართ ჩეჩნეთის მონაკვეთზე ჩვენი საზღვრის ზედმეტად „გამჭვირვალობის“ გამო, და ეს ორი უწყება უკვე რეალურად შეუდგა საზღვრის რეალურ პატრულირებას. როგორც ჩანს, ეს ფაქტები ვერ თავსდება საერთო განწყობილებაში, და ამიტომ მათ შესახებ ლაპარაკიც კი არ სურთ. სამაგიეროდ, გამოქვეყნდა საზოგადოებრივი აზრის არა ერთი გამოკითხვის შედეგები, რომელთა თანახმადაც, რუსეთი, უნდა უფრთხოდეს თავდასხმას... საქართველოს მხრიდან. ყოველივე ეს, სასაცილო იქნებოდა, მთელი ამ პროპაგანდისტული იერიშის შედეგები ძალზე შემაშფოთებელი რომ არ იყოს. რუსეთში იზრდება ახალგაზდობა, რომელიც საქართველოს სახით უკვე ხედავს მტერს.

– საქართველოში არ არის ანალოგიური განწყობილება?

– არის. და განა მარტო ეს არ კმარა იმისთვის, რომ შევჩერდეთ და ყველაფერი ბოლომდე არ დავანგრიოთ? იქნებ, ახლა უაზრობაა ამაში ვინმე დავარწმუნო, მაგრამ სწორედ ეს აზრი იყო სტრასბურგში ჩემი გამოსვლის მთავარი თემა. დებატების დაწყებისთანავე განვაცხადე, რომ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის პრობლემის გამოტანა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის დელეგატთა განსახილველად, გადავწყვიტეთ არა იმიტომ, რომ გვსურს რუსეთს ჩირქი მოვცხოთ ან გავუტეხოთ სახელი, ჩვენი სურვილია, ერთობლივად გამოვნახოთ გამოსავალი შექმნილი სიტუაციიდან. და, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ სტრასბურგში დაწყებული სერიოზული სჯა-ბაასი გაგრძელდება ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სამოტორინგო ჯგუფის სხდომაზე, რომელიც ნოემბერში უნდა გაიმართოს თბილისში.

– ხომ არ მიგაჩნიათ, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში მზარდი ერთ-ერთი მიზეზია პრეზიდენტ მიხეილ საა-

კაშვილის მიერ გაკეთებული მწვავე განცხადებები. საზღვარგარეთ თითქმის ყოველი ვიზიტის დროს ხომ იგი აკეთებს ასეთ განცხადებებს რუსეთის მისამართით. რამდენად გამართლებულია ასეთი მკვეთრი დემონსტრაციულობა?

– მაგრამ, ხომ იყო, როგორც თქვენ ამბობთ სხვაგვარი „დემონსტრაციულობაც“? ინაუგურაციის დროს ჩვენმა ახალმა პრეზიდენტმა გადადგა ისეთი ნაბიჯი, რომელსაც საქართველოში მისგან არავინ ელოდა. თავის გამოსვლაში იგი დემონსტრაციულად შებრუნდა რუსეთის მხარეს, გაიწოდა ხელი და თქვა: მე გიწვდით ხელს, მოდით დავიწყოთ ახალი, ნორმალური ურთიერთობის მშენებლობა. ამას მოჰყვა ვიზიტი მოსკოვში, იყო დამაიმედებელი მოლაპარაკება პრეზიდენტ პუტინთან. ერთი სიტყვით, ყველაფერი კარგად დაიწყო. შემდეგ კი, მოულოდნელად ყველაფერი გაიყინა, შეჩერდა და კიდევ უფრო გაუარესდა, ვიდრე წინათ იყო.

– ამ სამი-ოთხი წლის წინათ, როცა საქართველოს მაშინდელმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ საჯაროდ გამოთქვა კომპლიმენტები ჩეჩენი საველე მეთაურის რუსლან გელაევის მისამართით, თქვენ მოსკოვში იმყოფებოდით და ასეთი ფრაზა წარმოსთქვით: „უკეთესი იქნებოდა ეს საერთოდ არ ეთქვა“. ხომ არ გსურთ რაიმე ამის მსგავსი გაიმეოროთ პრეზიდენტ სააკაშვილის ზოგიერთ გამონათქვამთან დაკავშირებით?

– თუ თქვენ გულისხმობთ მის მიერ გაკეთებულ განცხადებას აფხაზეთის ნავსადგურებისკენ მიმავალი გემებისთვის ცეცხლის დაშენის შესახებ, აქ ძალზე ბევრი რამ გაზვიადებულია. სააკაშვილს ხომ არ უთქვამს, რომ ჩვენ ცეცხლს გავუხსნით რუს ტურისტებს, როგორც ეს რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა მოსდეს მთელ მსოფლიოს. მან სავსებით კონკრეტული რამ თქვა: საქართველომ უნდა დაიცვას თავისი საზღვრები, მათ შორის, საზღვაო საზღვარიც, და თუ რომელიმე გემი არ დაგვემორჩილება, ჩვენ უფლება გვაქვს, გაუხსნათ მას ცეცხლი. „კარგი იქნება, თუ ამ გემებზე ტურისტები არ აღმოჩნდებიან,“ – აი რა თქვა ჩვენმა პრეზიდენტმა. ეს მუქარა კი არა,

გაფრთხილება იყო: ამჟამინდელი აფხაზეთი არ არის რუსებისთვის დასვენების საუკეთესო ადგილი, მათ შორის უშიშროების თვალსაზრისითაც. მეტი არაფერი. მაგრამ თქვენც სცადეთ, გაგვიგოთ. გაუგოთ იმ ქართველ დედებს, რომლებსაც დღესაც არა აქვთ შესაძლებლობა, ჩავიდნენ აფხაზეთში თავიანთი შვილების საფლავებზე.

– რა შეგიძლიათ თქვათ თვით საქართველოში შექმნილი ვითარების შესახებ? რამდენად ერთსულოვანია „რევოლუციური სამეული“ – სააკაშვილი, ბურჯანაძე და ჟვანია?

– ძალზე მოხარული ვარ, რომ ის სკეპტიკური განწყობილება, რომელიც ვარდების რევოლუციის შემდეგ შეინიშნებოდა, მთლიანად გაქარწყლდა. არავითარი გათიშულობა ჩვენს შორის არ არსებობს.

– ოპოზიციის გარეშე თავს მოწყენილად ხომ არ გრძნობთ? ოპოზიცია, ამ სიტყვის ძველი გაგებით, ახლა ხომ არც კი შეინიშნება...

საქართველოს ხელისუფლებას ნამდვილად არ ჰყავს სერიოზული ოპოზიცია. და ალბათ, ახლო მომავალშიც მის გამოჩენას არ უნდა ველოდოთ. უბრალოდ, ჩვენ ისე არ მოვიქცევით როგორც წინანდელი ხელისუფლება იქცეოდა. ჩვენ იმიტომ ვიყავით ძლიერი და აქტიური ოპოზიცია, რომ შევარდნაძის მთავრობა ძალზედ ცუდად იქცეოდა. რაც შეგვეხება ჩვენ... დიახ, ჩვენც ალბათ, ვუშვებთ შეცდომებს, მაგრამ, პრინციპში, ვცდილობთ ყველაფერი გავაკეთოთ სწორად, ვცდილობთ გავითვალისწინოთ შენიშვნები, რომლებსაც გამოთქვამენ უბრალო ადამიანები, ჩვენი მეგობრები საზღვარგარეთ. მოსაწყენია ასე მუშაობა? მოსაწყენად დრო არ გვრჩება. მეორე მხრივ კი, შემიძლია ვთქვა, რომ მე თვითონ, ძალზე ფრთხილი ადამიანი ვარ. არავითარ შემთხვევაში არ მივცემ თავს თვალის დახუჭვის უფლებას მაშინ, როცა რაღაც სწორად არ კეთდება. სწორედ იმიტომ, რომ ახლა ხელისუფლებაში ვარ და არა ოპოზიციაში, დაუყოვნებლივ უნდა მოვახდინო რეაგირება შეცდომებზე.

– ახალი ხელისუფლება არ იძლევა საბაბს უკმაყოფილებისთვის?

– არა. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ვცდილობთ, რომ ეს ასე არ მოხდეს. მაგრამ, ვთქვათ, სოციალურ სფეროში ხომ არის სერიოზული პრობლემები. პენსიების მომატებას ხალხს უკანასკნელად გაზაფხულზე დაპირდნენ... თქვენ გაიხსენეთ, რა ხდებოდა ერთი წლის წინათ. უდიდესი დავალიანება დაგროვდა – 1, 5 წლის და კიდევ გასული წლების დავალიანება. ჩვენ კი არასრული ერთი წლის განმავლობაში პრაქტიკულად გავისტუმრეთ პენსიების გაცემის საქმეში არსებული ვალები, პენსიების, ხელფასების მომატებაც კი დავიწყეთ. მაგრამ, სასწაულის მოხდენა არ შეგვიძლია, სამწუხაროდ, ჯადოსნური ჯოხი არ გვაქვს. სასიხარულოა, რომ მოსახლეობას ესმის ჩვენი, კარგად აქვს შეგნებული, რომ მასშტაბურ რეფორმებს სჭირდება დრო, დიდი ძალისხმევა. ყველაფერი ერთბაშად არ ხდება.

– ხომ არ ნანობთ, რომ ერთი წლის წინათ უარი თქვით პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობაზე? თქვენ ხომ სააკაშვილის ძალზე სერიოზულ მეტოქედ ითვლებოდით

– არა, არ ვნანობ. მე მიმაჩნია, რომ საქართველოს ახლა სჭირდება მტკიცე და გაბედული პრეზიდენტი, ისეთი, როგორიც მიხეილ სააკაშვილია. დარწმუნებული ვარ, სწორად მოვიქეცი.

ესაუბრა ანატოლი გორდიენკი
„ნეზავისიმაია გაზეტა“
13 ოქტომბერი

საქართველოს რესპუბლიკა 2004 წ. 14 ოქტომბერი №239 გვ. 1-2-7.

„არ იყო საჭირო საბაბად გარდაცვლილი პრეზიდენტის გამოყენება“

ყველა პრეზიდენტის გარემოცვაში არიან ადამიანები, რომლებიც სიმართლეს არ ამბობენ

...არ ვიცი რამდენად ზუსტია ინფორმაცია აფხაზეთში დესანტის გადასხმაზე, მაგრამ თუ ეს გამართლდა, რუსეთი მსოფლიოში თავს მოიჭრის...

...მე შევარდნაძეს ვეუბნებოდი სიმართლეს, მაშინაც კი, როდესაც ოპოზიციაში არ ვიყავი. აქედან გამომდინარე, ბევრად უფრო მწარე სიმართლეს ვეტყვი პრეზიდენტ სააკაშვილს... ამიერიდან ქართველ პარლამენტარებს ეკრძალებათ უდიერად ჩაცმა და საქციელი, ერთმანეთის ფიზიკურ ნაკლზე მითითება და უხამსი სიტყვების ხმარება, სილის გაწნვასა და მუშტის მოქნევაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. მაგრამ თუ ვინმე მაინც იურჩებს და ეთიკის კოდექსის ფარგლებს გასცდება, უთუოდ ხათუნა გოგორიშვილთან მოუწევს საქმის დაჭერა და შესაძლოა, გვარიან ჯარიმასაც გამოჰკრას ხელი. სანამ ნინო ბურჯანაძეს ქართული პარლამენტის ამ ინოვაციაზე დაველაპარაკებოდით, „არანაკლებ მნიშვნელოვან“ საგარეო ამბებსა და სტრასბურგში გადატანილ დუელზე ვკითხეთ: ამ დებატებით ეროპელებმა გაიგეს რუსების მიმართ ჩვენი პრეტენზიების შინაარსი. ჩვენთვის თვითმიზანი არ ყოფილა (და ეს ვთქვით კიდეც) რუსეთის კრიტიკა და ამ ქვეყანასთან არსებული პრობლემების საჯარო არენაზე გამოტანა, მაგრამ, რადგან არ ხერხდება ჩვენ შორის არსებული პრობლემების ორხმრივი მოლაპარაკებებით მოგვარება, იძულებული გავხდით, ევროპელი მეგობრები ჩაგვეყენებინა საქმის კურსში, რათა მათ ადეკვატური შეფასებები მისცენ მოვლენებს.

– ევროსაბჭოში კი მოვიქეცით მარჯვედ, მაგრამ ექსპერტების აზრით, ეუთოს გადაწყვეტილებამ, საქართველო-რუსეთის

სასაზღვრო მონაკვეთზე მონიტორინგის ჯგუფი შეემცირებინა, წამგებიან მდგომარეობაში ჩაგვაყენა. ითქვა ისიც – ეუთოს ამ გადაწყვეტილებაზე სწორედ რუსულმა მხარემ იმოქმედა და იქ გავლენა რუსებს მეტი აქვთ.

– ვერ ვიტყვი, რომ ეუთოში რუსებს მეტი გავლენა ჰქონდეთ, მაგრამ, რადგან იქ გადაწყვეტილებები მიიღება კონსენსუსით (ან კონსენსუს ერთით), თუ რუსეთი რაიმე საკითხს ან გადაწყვეტილებას არ ეთანხმება, ის იბლოკება. თუმც საზღვრის მონიტორინგის საკითხი ჯერ საბოლოოდ არ არის გადაწყვეტილი და თუ ჩვენ აქტიურად ვიმუშავებთ, შეიძლება მონიტორინგის მისია არ შემცირდეს. როდესაც რუსები ამბობენ – ჩვენს საზღვარს ადვილად კვეთენ ტერორისტები და ამით საფრთხე გვექმნებაო, მაშინ ხომ უნდა იყვნენ დაინტერესებული, რომ საზღვარი მეტად იყოს დაცული და რაც შეიძლება მეტი მეთვალყურე ჰყავდეს მას? ისინი კი, პირიქით, ეუთოს მისიის შეწყვეტას და იქიდან მეთვალყურეების გამოყვანას ითხოვენ. რატომ? ჰკითხეს კიდეც რუსეთს, რაკი საზღვარზე პრობლემა გაქვთ, რატომღა ითხოვენ იქიდან დამკვირვებლების გამოყვანასო და ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან გაუჭირდათ ჩვენს მეზობლებს.

– სიტყვიერად რუსეთი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას კი აღიარებს, მაგრამ საქმით სხვას აკეთებს. აფხაზეთში მისი ბოლოდროინდელი მოქმედებები და გავრცელებული ინფორმაცია იქ „რუსული დესანტის“ გადასხმის შესახებ საკმაოდ შემაშფოთებელია.

– ევროსაბჭოში სწორედ ეს ვთქვით – რუსეთი აფხაზებს და ოსებს მოქალაქეობას ანიჭებს, რკინიგზა გახსნა და იქაურ საპრეზიდენტო არჩევნებში პირდაპირ და უხეშად ჩაერთო. მართალია, აფხაზეთის არჩევნებს არ ვაღიარებთ, მაგრამ მისი შედეგი საკმაოდ სერიოზული საფუძველია იმაში დასარწმუნებლად, რომ ფხაზეთში არც რუსებს ულხინთ. არ ვიცი, რამდენად ზუსტია ინფორმაცია აფხაზეთში რუსული დესანტის გადმოსხმაზე, მაგრამ თუ ეს გამართლდა, რუსეთი მსოფლიოში თავს

მოიჭრის. რას ჰქვია, სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე დესანტი ისე გადასხა, რომ ამ ქვეყანას არ შეუთანხმო? აფხაზეთის დღევანდელი მდგომარეობა მაშფოთებს, რადგან იქ დაწყებული არეულობა უთუოდ გადმოინაცვლებს გალში და არასტაბილურობის კერას შექმნის. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთში ჩატარებულ არჩევნებს არ ვცნობთ, გვინდა, ხალხის რჩეულმა გაიმარჯვოს და იქ სიმშვიდე იყოს. სტრასბურგში რუსმა კოლეგებმა გვისაყვედურეს – ჩვენთან დიალოგი და ერთობლივ პრობლემებზე ორმხრივი საუბარი არ გსურთო, რაზეც ვუპასუხე, – მზად ვართ, პარლამენტში ხვალვე მივიღოთ თქვენი დელეგაცია ან თავად ჩამოვიდე მოსკოვში-მეთქი... მაგრამ ჩემს წინადადებას არავინ გამოხმაურებია და ვერც იმას გეტყვით, მათ სატელეფონო ზარებს ვერ ავუდივარ-მეთქი.

– ახლა საქართველოს შიდაპოლიტიკაზე გადავიდეთ. ამას წინათ პრეზიდენტის ერთ-ერთმა მრჩეველმა განაცხადა – საააკაშვილს სიმართლეს უმალავენო. თქვენ თუ ამჩნევთ პრეზიდენტის გარემოცვას ასეთ სიმპტომებს?

– თუ ასეა, ის მრჩეველი თვითონ რატომ არ ეუბნება სიმართლეს? უცნაურია, პრეზიდენტის მრჩეველი რომ ასე ლაპარაკობს. ყველა პრეზიდენტის გარემოცვაში არიან ისეთი ადამიანები, რომლებიც სიმართლეს არ ამბობენ და რაც მოეწონება, მხოლოდ იმას ეუბნებიან პრეზიდენტს. ასეთ რამეს თავად პრეზიდენტმა უნდა მიაქციოს ყურადღება და არ მგონია, მიხეილ სააკაშვილს ეს გამოეპაროს. პრეზიდენტის მრჩევლის ნათქვამს საკუთარ თავზე ვერ მივიღებ. იმიტომ, რომ ყოველთვის სიმართლეს ვამბობ. მე შევარდნაძეს ვეუბნებოდი სიმართლეს, მაშინაც კი, როცა ოპოზიციაში არ ვიყავი. აქედან გამომდინარე, ბევრად უფრო მწარე სიმართლეს ვეტყვი პრეზიდენტ სააკაშვილს, რომელიც ჩვენი გუნდის წევრია. მინდა, რომ მანაც და ჩვენც ნაკლები შეცდომა დავუშვათ. იმიტომ, რომ ხალხი ყველას მოგვთხოვს ამ შეცდომებზე პასუხს. პრეზიდენტმა მრჩეველთა საბჭო იმიტომ შექმნა, რომ მათ უთხრან ის, რასაც სხვები არ

ეუბნებიან, ამიტომ ბატონ მრჩეველს ვურჩევდი, პრეზიდენტს სიმართლე უთხრას.

– ხელისუფლების უმთავრეს პრობლემად საკადრო დეფიციტს მიიჩნევენ, თქვენც ასე ფიქრობთ?

– მიუხედავად იმისა, რომ ბევრი ღირსეული ადამიანი გვყავს ქვეყანაში, საკადრო დეფიციტი ნამდვილად გვაქვს. თანამდებობაზე მოხვედრის მსურველები ყოველთვის ბევრი არიან, მაგრამ თანამდებობისთვის შესაფერისი კანდიდატურის პოვნა ადვილი არ არის. არის სხვა ფაქტორიც, ბევრი პროფესიონალი საზღვარგარეთ მუშაობს ან კერძო საქმიანობას ეწევა და არ უნდა სახელმწიფო სამსახურისა და პოლიტიკური პასუხისმგებლობა იტვირთოს.

– გასულ კვირას საპარლამენტო უმრავლესობა რამდენიმე დეპუტატმა მეტად უცნაური განცხადებით დატოვა. ნუთუ პარლამენტს მართლა არ სურს ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზის დადგენა?

– ეს მხოლოდ წასვლის საბაბი იყო. უხერხულია, როდესაც მავანნი გარდაცვლილი პრეზიდენტის სახელს იყენებენ. დარწმუნებული ვარ, პარლამენტი ზვიად გამსახურდიას მკვლელობას ვერ გამოიძიებს. ამის გასაკეთებლად სულ მცირე გვამის ეგსჰუმაცია უნდა მოხდეს. როგორ უნდა გააკეთოს ეს პარლამენტმა ან როგორ დაჰკითხავს მოწმეებს? მკვლელობის გამოძიება არ არის პარლამენტის კომპეტენცია. ამით სპეციალისტები უნდა დაკავდნენ. ვერ დამისახელებთ მსოფლიოში ვერც ერთ პარლამენტს, რომელსაც მკვლელობა აქვს გამოძიებული. ამიტომ არ მინდა პოპულისტურ გადაწყვეტილებას დავუჭირო მხარი და მერე უხერხულ მდგომარეობაში აღმოვჩნდე. პარლამენტის სახელით უშიშროებისა და შს სამინისტროებს, გენერალურ პროკურატურას დავავალე, რომ მოგვაწოდოს ინფორმაცია იმ კომისიის მუშაობაზე, რომელიც ზვიად გამსახურდიას გარდაცვალებას იკვლევს. ჩვენ შესაძლოა ამ კომისიის მუშაობა შევაფასოთ ან პოლიტიკური შეფასებები გავაკეთოთ, მაგრამ

პარლამენტის ფუნქცია არა რის პრეზიდენტის გარდაცვალების მიზეზის დადგენა. ყოველთვის ვერიდები ჩემი კოლეგების გადაწყვეტილებების მკვეთრ შეფასებას, მაგრამ ამჯერად ისინი ძალზე არაკოლეგიალურად მოიქცნენ. ელემენტარული ეთიკის საკითხია, – ჯერ პარლამენტის თავმჯდომარისთვის ეთქვათ, რა არ მოსწონდათ, რა შენიშვნები ჰქონდათ. თუნდაც ის ეთქვათ – უკმაყოფილო ვართ, პარლამენტმა ჩვენს ინიციატივას მხარი რომ არ დაუჭირა და ამიტომ გავდივართ უმრავლესობიდანო. რატომ უნდა გამეგო ჩემი კოლეგების გადაწყვეტილება ტელევიზიით? ვფიქრობ, უმრავლესობიდან გასვლა და ამის გახმაურება ამ დეპუტატების თვითმიზანი იყო და ნამდვილად არ იყო ამის საბაბად საჭირო გარდაცვლილი პრეზიდენტის გამოყენება.

– უმრავლესობიდან გასულმა სხვა მიზეზიც დაასახელეს – სახელისუფლებო ფრაქციაში რამდენიმე კაცი წყვეტს ყველაფერს, ჩვენ კი არავინ არაფერს გვეკითხება, ხმას არ გვაღებინებენო.

– შესაძლოა უმრავლესობაში მართლაც არის პრობლემები, მაგრამ ვერ დავეთანხმები ნათქვამს, – დეპუტატებს ხმის ამოღებას უკრძალავენო. არ მახსენდება ფრაქციის სხდომაზე ვინმესთვის ეთქვათ, – ხმის ამოღების უფლება არ გვაქვს, წყნარად იჯექიო. თუ ვინმეს ფრაქციაში რამე აქვს სათქმელი, უთუოდ უნდა თქვას. შესაძლოა ყველაფერი მეც არ მომწონდეს, მაგრამ ზოგჯერ იმიტომ ვჩუმდები, რომ იმ მომენტში ასე სჯობს და არ არის საჭირო საკითხის გამწვავება. არ გამოვრიცხავ, კენჭისყრის დროს ფრაქციის წევრებს უთხრას მისმა ხელმძღვანელმა, – ამ საკითხს მხარს ვუჭერო, მაგრამ ნათქვამს დირექტივის სახე არასოდეს აქვს და ბრძანებებს არავინ იძლევა. ასეთი საქციელი ელემენტარულად არაეთიკურია.

– რაკი ეთიკა ახსენეთ, გკითხავთ – რატომ გახდა აუცილებელი ეთიკის კოდექსის შემოღება?

– აღვშფოთდი, როდესაც ზოგიერთი ჩემი და თქვენი კოლეგა ირონიით შეხვდა ამ კოდექსს. კოდექსით გვსურდა პა-

სუხისმგებლობის განცდა გაგვემძაფრებინა პარლამენტში. როდესაც ეთიკის კოდექსს ხელს ვაწერდი, ნამდვილად არ მიფიქრია – ეს ყველა პრობლემას მოაგვარებს-მეთქი. უბრალოდ, ამით ვაღიარეთ, ამ მხრივ პარლამენტში პრობლემაა და გვინდა უკეთესები გავხდეთ-თქო. ხოლო, თუ ადამიანი შინაგანად არ არის ეთიკური, თუნდაც 20 ეთიკის კოდექსზე მოაწერინე ხელი, არაფერი უშველის.

– თუ პარლამენტარმა ეთიკის კოდექსი დაარღვია, დასჯით თუ სიტყვიერად მიუთითებთ?

– თუ დეპუტატმა დაარღვია ის ნორმა, რომელიც ეთიკის კოდექსშია ჩაწერილი, ამაზე პასუხს საპროცედურო საკითხთა კომიტეტი მოსთხოვს. შესაძლოა ეს იყოს, სიტყვიერი გაფრთხილებაც, ჯარიმაც ან ხელფასის დაქვითვაც.

მარი ზანდუკელი

კვირის პალიტრა 2004. – 18-24 ოქტომბერი. – №42. – გვ. 7-27

რუსეთს და საქართველოს ერთად რომ დაესაჯათ ბასაევი, თავიდან ავიცილებდით ბესლანის ტრაგედიას

დაისახა პოზიტიური დინამიკა მოსკოვ-თბილისის დიალოგში, მაგრამ „სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ წინ წაწევა“ მთელი რიგი პრობლემების გადაჭრის საქმეში – რუსეთის უშიშროების საბჭოს მეთაურმა იგორ ივანოვმა ასეთი კომენტარი გააკეთა ორშაბათს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ნონო ბურჯანაძესთან გამართული სამუშაო შეხვედრის შემდეგ. ბურჯანაძე, რომელიც მოსკოვში შეხვდა აგრეთვე, სახელმწიფო სათათბიროს სპიკერს ბორის გრიზლოვს და რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა მინისტრს სერგეი ლავროვს, ადასტურებს, რომ „ყინული ლღობას იწყებს“. იმედი მაქვს, რომ ურთიერთობა ნორმალურ კალაპოტში გადავა, და დადგება დრო, როცა მოსკოვში გულდამძიმებული აღარ ჩამოვალ, მაგრამ მანამდე მოგვიწევს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობაში არსებული პრობლემების გადაჭრა, თქვა ნინო ბურჯანაძემ. ამ პრობლემების გადაჭრის გზებზე ესაუბრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე გაზეთ „იზვესტიის“ სპეციალურ კორესპოდენტს ნატალია რატიანს.

ბურჯანაძე: გარკვეული დროის განმავლობაში ჩვენი მოლაპარაკება ვაკუუმში იმყოფებოდა. ახლა, მთავარი პოზიტივია ის, რომ განახლდა დიალოგი ასტანაში ჩვენი პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ. კონკრეტულ ძვრებზე ჯერჯერობით ნაადრევია ლაპარაკი. ჯერ კიდევ რჩება მრავალი საკითხი, რომელთა გადაწყვეტის საქმეში პოლიტიკური ნების გამოჩენის გარეშე ძალიან გაგვიჭირდება წინ წასვლა. ერთი მხრივ რუსეთი აცხადებს, რომ პატივს სცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მეორე მხრივ კი ხსნის სოხუმ– სოჭის რკინიგზას. ასეთი

პოზიცია კარგს არაფერს მოიტანს. ძალზე მნიშვნელოვანია რომ, ყოველივე ის, რაზეც პუტინი ლაპარაკობს, განხორციელდეს. აქ იგულისხმება იგივე ანტიტერორისტული მოქმედებაც. გაიხსენეთ, თავის დროზე რამდენი რამ ითქვა პანკისის პრობლემის შესახებ. ახლა პრობლემა აღარ არის. მაგრამ არავინ არ ლაპარაკობს იმაზე, რომ საქართველოს ხელისუფლება თანამშრომლობს რუსეთის სპეცსამსახურებთან, რომ ჩვენ ერთობლივი ძალებით ვეწევით პატრულირებას პანკისის ხეობაში, რომ ხორციელდება ერთობლივი ფრენა რუსეთ-საქართველოს საზღვრის მიდამოებში. თუ დღევანდელი სამუშაო შეხვედრები შეუწყობს ხელს იმას, რომ დაიწყოს პრეზიდენტებს შორის მიღწეულ მორიგებათა რეალიზება, ჩვენი მხარე ამას მხოლოდ მიესალმება.

– საქართველოს არაერთგზის აღუნიშნავს, რომ ძალზე დიდი მნიშვნელობა ენიჭება რუსეთის მხარდაჭერას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოწესრიგებაში, მეორე მხრივ კი, ქართველი პოლიტიკოსები გამუდმებით ლაპარაკობენ ორმაგ სტანდარტებზე, რომელსაც რუსეთი იყენებს ამ საკითხებში. როგორ შეიძლება ამ დახშული წრიდან თავის დაღწევა?

– ჩვენ მუდამ გვეუბნებიან, რომ რუსეთი დაინტერესულია როგორც ერთი, ისე მეორე კონფლიქტის მოწესრიგებით. მაგრამ როცა ჩვენ ვთავაზობთ სამოქმედო გეგმის შედგენას, რომლის მიზანი იქნება, რომ არამხოლოდ ვილაპარაკოთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე, არამედ იმაზეც, თუ როგორ შეასრულებს რუსეთი პოზიტიურ როლს ამ პრობლემის მოწესრიგებაში, ყოველთვის ერთსა და იმავე პასუხს ვიღებთ: „ჩვენ არ გვსურს საქმეში ჩარევა, უმჯობესი იქნება, თქვენ თვითონ მოურიგდეთ აფხაზებს და ოსებს“. გამოდის, რომ იქ, სადაც რუსეთს რეალურად შეუძლია შეასრულოს დადებითი როლი – ჩვენ გვთავაზობენ დამოუკიდებლად მივაღწიოთ მორიგებას. ხოლო იქ კი, სადაც საქმე ეხება რკინიგზის გახსნას, რის წყალობითაც

რუსეთს შეუძლია ჩაიწეროს დამატებითი ქულები და ყველას უჩვენოს, თუ როგორ იბრძვის იგი აფხაზეთის მცხოვრებლებისთვის და როგორ შესტკივა მათთვის გული, რუსეთი მზად არის გაუწოდოს მათ დახმარების ხელი. დამეთანხმეთ, რუსეთს და საქართველოს თავის დროზე, როცა ბასაევი გაგრის სტადიონზე ქართველების თავებით ფეხბურთს თამაშობდა, ერთად რომ დაესაჯათ იგი, შევძლებდით თავიდან აგვეცილებინა ისეთი საზარელი ტრაგედია, რომელიც ბესლანში დატრიალდა, და არა მარტო იქ.

– მოსკოვში გამართული მოლაპარაკების დროს თქვენ შეეხეთ კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მხრიდან პოზიტიურ ნაბიჯებს. რას ელით მათგან და საქართველოს რომელი წინადადებები დარჩა უპასუხოდ?

– სამი თვის წინ 10 და 14 წლის ბავშვები აფხაზეთიდან საზოგადოებრივი ფონდის მოწვევით ჩამოვიდნენ საქართველოს დასათვალიერებლად, მაგრამ შინ დაბრუნების შემდეგ, ეს ბავშვები გახდნენ იზგოები (ანუ ქართულად ამბოკარები. რედ.) თავიანთ საზოგადოებაში, მათ უწოდებდნენ მოღალატეებს და ბეჭდავდნენ მათ ფოტოსურათებს. ჩინებულად გვაქვს შეგნებული, რომ ასეთ ფონზე არავინ იღებს ყურად რაიმე პოზიტიურ წინადადებას. ასევე ბოლო 4 თვის განმავლობაში არანაირი აზრი არ ჰქონდა განსახილველად რაიმე წინადადების გამოთქმას, რადგან წინასაარჩევნო ბრძოლამ ყველაფერი უკანა პლანზე გადასწია. სიცრუეა, როცა ამბობენ, თითქოს საქართველო ხელს უშლიდეს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ჰუმანიტარული დახმარების მიწოდებას. ჩვენ, უბრალოდ, გვსურს, წინასწარ ვიცოდეთ ამის შესახებ, და, დარწმუნებული ვიყოთ, რომ ეს ნამდვილად ჰუმანიტარული დახმარებაა და არა იარაღი. ეს საქართველოს პრეტენზია არ გახლავთ, ეს არის ხელშეკრულება, რომელსაც ხელი მოაწერა რუსეთმა დსთ-ს ფარგლებში. იმედი მინდა ვიქონიო, რომ რუსეთი სხვაგვარად შეხედავს ამ პრო-

ბლემებს და ჩვენ შევძლებთ თანდათანობით ურთიერთობის მოგვარებას. რაც შეეხება ჩვენს წინადადებებს, ჩვენ ვლაპარაკობთ პოლიტიკურ სტატუსზე, ეროვნულ უმცირესობათა უშიშროებისა და დაცვის გარანტიებზე.

– თქვენ არ გამოგირიცხავთ აფხაზეთში რუსეთის საკუთრების ლეგალიზაციის შესახებ მოლაპარაკების გამართვის შესაძლებლობა. როგორი იქნება მექანიზმები და როდის შეიძლება დაიწყოს მოლაპარაკება?

– საკუთრების საკითხი რუსეთის გარკვეული წრეებისათვის, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ იგი მაინც მეორეხარისხოვანია. აფხაზეთი არის საქართველოთი მანიპულირების შესანიშნავი შესაძლებლობა. სანამ არსებობს აფხაზეთის პრობლემა, საქართველოს ძალზე გაუჭირდება ლაპარაკი ნორმალური სახელმწიფოსა და ეკონომიკის მშენებლობის შესახებ. ჩვენ მზად ვართ განვიხილოთ საკუთრებასთან დაკავშირებული საკითხები, ოღონდ მას შემდეგ, რაც მივაღწევთ კონფლიქტის მოწესრიგებას. ის პირები, რომლებიც ახლა ჩალის ფასად იძენენ საკუთრებას აფხაზეთში, უნდა ჩაუფიქრდნენ იმ უბედურებას, რომელსაც განიცდის საქართველოს სხვადასხვა ქალაქის სასტუმროებსა და საბავშვო ბაღებში შეხიზნული 300 ათასი ლტოლვილი.

– რა შედეგებს ელის საქართველო ზურაბ ჟვანიასა და ედუარდ კოკოითის მოლაპარაკებისგან, რომელიც 5 ნოემბერს უნდა გაიმართოს?

– საქართველოს ექნება კონკრეტული წინადადებები ვითარების მოწესრიგების შესახებ, მაგრამ ძალზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმ „მესიჯებზე“, რომელსაც ბატონი კოკოითი მიიღებს რუსეთიდან. ვერ დავიჯერებ, რომ სოჭში კოკოითი თავის პოზიციას გამოთქვამს ისე, რომ წინასწარ არ დაეკითხება რუსეთის მხარეს. რა თქმა უნდა, არ მსურს გავაზვიადო რუსეთის როლი, მით უმეტეს, აფხაზეთში გამართულმა ამ ბოლო არჩევნებმა დაადასტურა, რომ არც რუსეთი ყოფილა ყოვლის-

შემძლე. თუ რუსეთი გამოიჩენს კეთილ ნებას, პოზიტიური ძვრების მიღწევა შესაძლებელი იქნება.

– მაგრამ სოჭში მოლაპარაკებაზე თქვენმა პარტნიორებმა შეიძლება გამოთქვან საყვედური, რომ საქართველო ეთათბირება ამერიკას?

– ჩვენ ამერიკისგან არ ვიღებთ რეკომენდაციებს – ვმოქმედებთ ისე, როგორც ამას გვიკარნახებს ჩვენი ეროვნული ინტერესი. ხოლო თუ ამერიკელთა რჩევა შეესაბამება ჩვენს ეროვნულ ინტერესებს, რატომ არ უნდა გავითვალისწინოთ იგი? თუ რუსეთი გვიკარნახებს იმას, რაც ჩვენს ეროვნულ ინტერესებში შედის, ღმერთმა მოუმართოს ხელი! ჩვენ მზად ვართ, მოვუსმინოთ ყველას, ვისი რჩევაც საქმეს ზიანს კი არ მოუტანს, არამედ წაადგება. რუსეთი ყოველთვის განაწყენებულია, როცა საქართველო თანამშრომლობს ამერიკასთან, მაგრამ არასდროს არ უკითხავს ასეთი რამ: „რატომ მოხდა ეს?“

საქართველოს რესპუბლიკა 2004 წ. 4 ნოემბერი №256 გვ. 1-2

ნინო ბურჯანაძე რევოლუციის მონაპოვარს აფასებს

პარლამენტის თავმჯდომარის სამუშაო ოთახში ჯერ კიდევ ისმის რუსთაველიდან სამშენებლო ხმაური. ხელისუფლება რევოლუციის წლისთავის აღსანიშნავად ემზადება. შარშან ამ ოთახში ქვეყნის მართვის პასუხისმგებლობა ნინო ბურჯანაძემ აიღო. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა. „ჩვენ გამოსაყენებელი გვაქვს ჩვენი გეოსტრატეგიული მდგომარეობა, გამოსაყენებელი გვაქვს ჩვენი ხალხის საოცარი ნიჭიერება. მაგრამ, მეორეს მხრივ, ცოტა მენტალიტეტიც შესაცვლელი გვაქვს. ჩვენ უნდა მივეჩვიოთ იმას, რომ ჩვენს გასაკეთებელს არავინ გააკეთებს; უნდა მივეჩვიოთ იმას, რომ ჩვენს ქვეყანას ჩვენვე უნდა მოვუაროთ და ჩვენს ქვეყანას ჩვენ არ უნდა შევუქმნათ პრობლემები. საქართველოს მთელ რიგ საკითხებში ისეთი პოტენციალი აქვს, რომ ბევრ დიდ სახელმწიფოსაც კი შეშურდება.

ამიტომ მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენი ქვეყანა ძალიან მალე ღირსეული ქვეყანა იქნება და ამას ჩვენი და ჩვენივე შვილების თაობა კი არა, ჩვენი მშობლების თაობაც მოესწრება“, – ასეთია ნინო ბურჯანაძის შეფასება. თუმცა ის აღიარებს, რომ ბევრი რამ გასაკეთებელია. ერთი წლის ნამოღვაწარის შესახებ „მთელ კვირასთან“ პარლამენტის თავმჯდომარე საუბრობს.

ნინო ბურჯანაძე: ნოსტალგია ნამდვილად არა მაქვს, იმიტომ რომ „ნოსტალგია“ „მონატრებას“ ნიშნავს. ახლა ნამდვილად არ მინდა, რომ ქვეყანაში რევოლუცია იყოს და იგივე მდგომარეობაში ვიყოთ, როგორშიც შარშან ვიყავით. მაგრამ რა თქმა უნდა, დიდი ემოციით და სითბოთი ვიხსენებ იმ დღეებს მიუხედავად იმისა, რომ მაშინ ნამდვილად სხვაგვარი განცდა მქონდა. სითბოთი იმიტომ, რომ ადამიანების საოცარი ერთიანობა იყო, საოცარი კეთილგანწყობა იგრძნობოდა და რაც მთა-

ვარია, იმედიანობის გრძნობა. ჩემთვის ისევე, როგორც ბევრი ადამიანისთვის, ეს დღეები სიცოცხლის ბოლომდე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დღეები იქნება.

„მ. კ“: გამართლდა თუ არა იმ ხალხის მოლოდინი, ვინც ერთი წლის წინათ თუნდაც ამ ფანჯრებთან იდგა?

ნ. ბ.: მე ვფიქრობ, რომ რეალისტურად განწყობილი ადამიანების მოლოდინი ნამდვილად გამართლდა, გამოუსწორებელი რომანტიკოსების მოლოდინი კი ცხადია, ვერ გამართლდებოდა. რევოლუცია ყოველთვის მაქსიმალისტურია. თუ სურვილებზე ვილაპარაკებთ, ყველა ადამიანს, ხელისუფლებაში იქნება თუ ხელისუფლების გარეთ, გვინდა, რომ ყველაფერი ერთბაშად გაკეთდეს, მაგრამ სამწუხაროდ, ჯადოსნური ჯოხი არავის არ გვაქვს.

„მ. კ“: თქვენ თვლით, რომ რაც გაკეთდა, რევოლუციური ხელისუფლების შესაძლებლობის მაქსიმუმი იყო?

ნ. ბ.: მე ვფიქრობ, რომ ამ ერთ წელიწადში რისი გაკეთებაც შეიძლებოდა, მართლაც მაქსიმუმი გაკეთდა. ნამდვილად არა გვაქვს იმის უფლება ვილაპარაკოთ, რომ რევოლუციამ ვინმეს იმედები გაუმტყუნა. რა იყო იმ ადამიანების მოთხოვნა, ვინც იმ დღეებში ჩვენთან ერთად წვიმასა და ქარში ქუჩაში იდგა? მათი მოთხოვნა იყო, რომ ადამიანებისთვის ანგარიში გაეწიათ; რომ ადამიანები აბუჩად არ აეგდოთ; რომ ქვეყანა კორუფციასა და განუკითხაობაში არ ყოფილიყო ჩათრეული; რომ ამის ნაცვლად აღმშენებლობითი პროცესები დაწყებულიყო; ხელფასები და პენსიები დროულად გაცემულიყო; ჯარი ჯარს დამსგავსებოდა. ყველაზე დაუნახავმა ადამიანმაც უნდა აღიაროს, რომ ეს კეთდება. ადამიანებს ვერც იმაში გაამტყუნებ, რომ უკეთესის სურვილი გააჩნდეთ.

„მ. კ“: აქცია დაიწყო იმ მოთხოვნით, რომ მაშინდელ ხელისუფლებას ხელახალი არჩევნები დაენიშნა, და დამთავრდა იმით, რომ მთლიანად მმართველობა შეიცვალა. რითი აღმოჩნდა ხელისუფლების შეცვლა თუნდაც იმაზე უკეთესი, რომ შე-

ვარდნაძეს პირველი მოთხოვნა დაეკმაყოფილებინა და თქვენ პარლამენტში დიდი უპირატესობით მოსულიყავით?

ნ. ბ.: დღეს უკვე შეიძლება ითქვას, რომ უკეთესი შედეგი არის ის, რაც დადგა. ერთი წლის წინათ, როდესაც ჯერ კიდევ წინ იყო რევოლუცია; როდესაც ჩვენ არ ვიცოდით, ეს ყველაფერი რითი დამთავრდებოდა; არ ვიცოდით, შევძლებდით თუ არა ქვეყნაში სტაბილურობის შენარჩუნებას, მაშინ ძნელი იყო იმის განსაზღვრა, რომელი შედეგი უკეთესი იქნებოდა. ძნელი იყო რისკზე წასვლა. თითოეულ ჩვენგანს კარგად ესმოდა, რომ იმ ხელისუფლების ხელში საშველი არ დაგვადგებოდა. მაგრამ ჩვენ მაინც ვამბობდით, რომ უნდა დაინიშნოს არჩევნები და ხელისუფლება პარლამენტიდან ძლიერმა ოპოზიციურმა გუნდმა აიძულოს, რადიკალური რეფორმების გატარება დაიწყოს და 2005 წელს ყველაფერი რადიკალურად შეიცვალოს. როდესაც ამ ხელისუფლებამ არაფერი გაიგონა, როცა ქუჩაში ასი ათასი კაცი გამოვიდა და მაინც იძახდა, მოსახლეობა მხარს ჩვენ გვიჭერსო, ეს ისეთი მასხრად აგდება იყო, რომ ამის მოთმენა შეუძლებელი გახდა. ქუჩაში გამოსული ხალხი და მათ შორის ჩვენც აღარ მოითმენდა იმ ხალხის პარლამენტში ჯდომას, ვინც იმ ხელისუფლებას მოჰყავდა; აღარ მოითმენდა თავად იმ ხელისუფლებას იმ მთავრობის და პირველ რიგში, შევარდნაძის არაადეკვატური საქციელის გამო. პროცესები შეუქცევადი გახდა. პრაქტიკულად ბოლო წუთამდე ვიძახდით, რომ ან არჩევნები დაინიშნოს, ან გადადგეს. არც ერთხელ, არც სააკაშვილისგან, არც ჟვანიასგან, არც ჩემგან და არც ერთი სხვა ლიდერისგან, არც ერთი რევოლუციის წამყვანი ფიგურებისგან ხელისუფლების დამხობის მოთხოვნა და მოწოდება არ ყოფილა. ჩვენ ყველაფერს ვაკეთებდით იმისათვის, რომ კონსტიტუციურ ჩარჩოში დავრჩენილიყავით და ქვეყანა ქაოსში არ ჩაბმულიყო. ეს დაგვიფასდა კიდეც იმით, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა.

„მ. კ“: გარდა იმისა, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრდა, ამ ერთი წლის განმავლობაში ხელისუფლების ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად რა მიგაჩნიათ?

ნ. ბ.: სხვადასხვა ეტაპზე სხვადასხვა, მართლაც რომ პრინციპულად მნიშვნელოვანი მომენტები იყო. პირველ ეტაპზე იყო ქვეყნისათვის სასიცოცხლო და უმნიშვნელოვანესი სტაბილურობისა და სიმშვიდის შენარჩუნება. ჩვენ ყველა მივეჩვიეთ იმას, რომ ეს იყო ვარდების რევოლუცია, ეს იყო ხავერდოვანი რევოლუცია და ა. შ. თითქოს პირველივე დღიდან ვიცოდით, რომ ეს ასე დამთავრდებოდა; თითქოს არ იყო შიში, რომ ტანკები დაიქოქებოდა; თითქოს არ იყო იმის შიში, რომ გაზს გამოიყენებდნენ; თითქოს არ იყო შიში, რომ ჯარს გამოიყვანდნენ და მიტინგს დაარბევდნენ. თითქოს ეს ყველაფერი არ იყო და ვიღაცა ლაპარაკობდა, რომ ჩვენ ხელისუფლება გადმოგვცეს; რომ ეს ყველაფერი ასე მარტივი იყო. ქვეყანა უზარმაზარი საფრთხის წინაშე იდგა. რეალურად იყო იმის საფრთხე, რომ რევოლუცია ასე მალე და ასე მარტივად არ დამთავრდებოდა. 23 ნოემბერს, როდესაც მე პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება დავიწყე, როდესაც უშიშროების საბჭო მოვიწვიე, მიხეილ სააკაშვილმა პირველი ის განცხადება გააკეთა, რომ პარტიიდან გაირიცხებოდა ნებისმიერი, ვინც სადმე შეჭრას და ნებისმიერი რანგის ძალაუფლების თვითნებურად ხელში აღებას შეეცდებოდა. ეს პროცესი უკვე დაწყებული იყო. ეს რომ არ გაგვეჩერებინა, ქვეყანა მართლაც ქაოსში მოექცეოდა, მით უმეტეს, რომ ამის მსურველები საკმაოდ იყვნენ. რევოლუციის შემდეგ ჩვენი პირველი, უზარმაზარი წარმატება იყო ის, რომ ხელისუფლებამ ქვეყნის მართვა შეძლო. მეორე უზარმაზარი წარმატება იყო ის, რომ ჩვენ არჩევნების ჩატარება შევძელით. პრაქტიკულად რევოლუციის რეჟიმში მყოფმა ქვეყანამ საპრეზიდენტო არჩევნები ევროპულ სტანდარტებზე ჩაატარა. შემდეგი მნიშვნელოვანი წარმატება იყო ის, რომ ხელისუფლებაში მოსვლიდან სამ თვეში დავიწყეთ იმ პენსიების თვე-თვეში დარიგება, რომელსაც წინა ხელისუფლება ან ყინავდა, ან თვეების დაგვიანებით ისტუმრებდა. ეს ხომ ციდან არავის ჩამოუყრია. ეს ხომ იყო უზარმაზარი შრომის, ღამეების თენების, უდიდესი ნერვიულობისა და შესაძლოა, ცრემლების ხარჯზეც კი. ნამდვილად შემიძლია

ვთქვა, რომ პირადად პრეზიდენტის ძალისხმევით 26 მაისს ჩვენ ჩავატარეთ აღლუმი, სადაც მე ცრემლებს ძლივს ვიკავებდი, და ასე იყო ძალიან ბევრი ადამიანი. იმის ილუზია არავის აქვს, რომ ჩვენი ჯარი მსოფლიო მასშტაბის ომებს მოიგებს, მაგრამ ჩვენ გვყავს ჩაცმულ-დახურული და შეიარაღებული ჯარი და რაც მთავარია, დავინახეთ ჩვენი ბიჭები როგორ ამაყად მიდიოდნენ. ცალ-ცალკე ჩექმით კი არ მიჩანჩალებდნენ, საკუთარი სიამაყის შეგრძნებით მიდიოდნენ. როდესაც დანგრეული ქვეყანა მივიღეთ, როდესაც პრაქტიკულად ყველა მიმართულებით მხოლოდ პრობლემები დაგვხვდა და ბიუჯეტში – ნული, მე არა მგონია, რომ ამის არდანახვა სწორი იყოს.

„მ. კ“: პარლამენტის თავმჯდომარე იყავით იმ ხელისუფლებაშიც და ახლაც. ბევრს საუბრობდნენ იმაზე, რომ პარლამენტის უფლებები შემცირდა. რამდენიმე დღის წინათ ითქვა ისიც, რომ ევროსაბჭოს დელეგაციამ თქვენ მთავრობაზე კონტროლის გამკაცრება გირჩიათ. რევოლუციამ კონკრეტულად პარლამენტს რა მოუტანა?

ნ. ბ.: წინა პარლამენტი იყო შევარდნაძის მხარდამჭერი. ოპოზიციაში სულ რაღაც ორმოცამდე ადამიანი ვიყავით, პლუს თავმჯდომარე. რა თქმა უნდა, ამას მნიშვნელობა აქვს. მაგრამ ეს მართლაც სერიოზული ოპოზიცია და ძლიერი რუპორი იყო. რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას, ქვეყანას ამ არჩევნების შემდეგ მართლაც უნიკალური შანსი გაუჩნდა, რომ პრეზიდენტი, მთავრობა და პარლამენტი ერთ გუნდად მუშაობდეს. ის ფაქტი, რომ პარლამენტი მთავრობას გარკვეული საკითხების გამო აკრიტიკებს, სრულიად ბუნებრივია. ყველაზე მეტად აკრიტიკებ იმას, ვინც გინდა, რომ შეცდომა არ დაუშვას. სრულიად ბუნებრივია, რომ პრეზიდენტმა პარლამენტის მისამართით რაღაც შენიშვნა გამოთქვას, ასევე პარლამენტმა გამოთქვას მთავრობის მიმართ რაღაც შენიშვნები. როდესაც მიგვაჩნია, რომ რაღაც არასწორად კეთდება, ეს უნდა ვთქვათ. ძალიან ცნობილი გამონათქვამია, რომ ჭეშმარიტება კამათით მიიღ-

წევა. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი არ უნდა გავიდეს ჯანსაღი კრიტიკისა და კონსტრუქციული თანამშრომლობის ჩარჩოებიდან. მე შემიძლია ვთქვა, რომ ჯერჯერობით ამ ფარგლებს არ გავცილებივართ. რაც შეეხება ევროსაბჭოს დელეგაციის ბოლო ვიზიტს, მათ, ასე ვთქვათ, წაგვახალისეს. ყველა ევროპული სახელმწიფოს მეთაური, როდესაც ჩვენ მათთან შეხვედრა გვაქვს, ყოველთვის უსვამს ხაზს იმას, რომ პარლამენტის მხრიდან მთავრობაზე კონტროლის განხორციელება ძალზე მნიშვნელოვანია. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალი დემოკრატიის სახელმწიფოებში. ჩვენთან არ არის ასწლიანი დემოკრატიის ტრადიცია. მით უმეტეს, ეს მნიშვნელოვანია იქ, სადაც პრეზიდენტი, მთავრობა და პარლამენტი ასე ერთიანი გუნდია. როდესაც ერთიანი გუნდია, ნაკლები კრიტიკულობის საშიშროება ყოველთვის არსებობს. ჩვენს მეგობრებს იმის ეშინიათ, რომ სიფხიზლე არ დავკარგოთ. ფაქტია, რომ ქვეყანაში რაღაც კეთდება და როდესაც იცი, როგორ ცდილობენ ქვეყანაში მდგომარეობა გამოასწორონ, შესაძლოა სიფხიზლე დაიკარგოს და ვეღარ გავთვალოთ, რა გვაქვს გასაკეთებელი. ამიტომ არის ეს კრიტიკა ძალზე მნიშვნელოვანი. სხვათა შორის, თვენახევრის წინ ჩვენთან დიდი ბრიტანეთის თემთა პალატის წევრი და თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ბრიუს ჯორჯი იყო ჩამოსული, რომელიც ახლა ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის საპატიო პრეზიდენტია. მისი ჩამოსვლა დაემთხვა პარლამენტსა და მთავრობას შორის კამათს. იგი პარლამენტში მოწვეული გვყავდა იმისათვის, რომ პარლამენტარებისთვის ბრიტანული გამოცდილება გაეზიარებინა და მთელი მისი გამოსვლა მიმართული იყო იქითკენ, თუ ჩვენ მთავრობის მიმართ როგორი კრიტიკულები უნდა ვიყოთ. მე ვუთხარი, რომ ჩვენ ამის თქმა აღარ გვჭირდება და მოდით, მთავრობას მოვასმენინოთ, რომ ჩვენი კრიტიკა შედარებით მშვიდად აღიქვან-მეთქი. თუმცა, ისიც მინდა ვთქვა, რომ მთავრობამ ჩვენი კრიტიკა საკმაოდ ბევრჯერ გაიზიარა, იგივე ბიუჯეტთან დაკავშირებით. რა თქმა უნდა, ჩვენ ბიუჯეტის გაო-

რმაგებას მივესალმებით, მაგრამ ძალიან ბევრი კონკრეტული შენიშვნა თუ კითხვა გაგვიჩნდა. ამ შენიშვნების დიდი რაოდენობა მთავრობამ გაითვალისწინა. ძალიან კონსტრუქციული მუშაობა გვქონდა საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით და მთავრობამ პარლამენტის პრინციპული შენიშვნები გაითვალისწინა. პარლამენტის პოზიცია ძალზე კატეგორიული იყო და ჩვენ ვთქვით, რომ ამ შენიშვნის გაუთვალისწინებლად კოდექსს ვერ მივიღებდით. ასევე კონსტრუქციული მუშაობა მიმდინარეობს ფინანსურ ამნისტიასთან დაკავშირებით, სადაც მთელი რიგი საკითხები შეიცვალა. ასე რომ, ჯანსაღი პროცესი მიმდინარეობს და სკეპტიკოსებს, რომლებიც იძახდნენ, რომ პარლამენტი იქნებოდა ჯიბის პარლამენტი და ყველაფერს კამათის გარეშე მიიღებდა, სათქმელი ძალიან ცოტა აქვთ. შემიძლია გულწრფელად გითხრათ, ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ ასე იქნებოდა. პარლამენტში მართლაც იმდენი ენთუზიასტი ადამიანია, რომ კითხვისა და ანალიზის გარეშე არაფერს მიიღებს. ერთმანეთის კრიტიკა სრულიად ბუნებრივი პროცესია, მაგრამ მე ის არ მსიამოვნებს, რომ საქმიან კამათს ზოგიერთები ისეთ ქვეტექსტებს უძებნიან, რომ მოსმენაც არ ღირს.

„მ. კ“: განსაკუთრებული სიხარული რევოლუციამ აჭარის მოსახლეობას მოუტანა, მაგრამ განსაკუთრებული უკმაყოფილება დღევანდელი ხელისუფლების მიმართ ამ რეგიონიდან ისმის...

ნ. ბ.: წარმატებებზე რომ ვსაუბრობდი, აჭარა მეც კი გამომრჩა. იგივე დამემართა, რასაც სხვებს ვსაყვედურობდი, რომ ყველაფერს ისე ვიღებთ, თითქოს ასეც უნდა იყოს. აჭარის მოვლენებს, შესაძლოა, ისეთი შედეგები მოჰყოლოდა, რომ ეს ქვეყანა დაენგრია. მაგრამ რადგან ეს პროცესი მშვიდობიანად დამთავრდა, კი გამომრჩა და მოსახლეობა ალბათ ფიქრობს, რა მოხდა, იყო პრობლემა და აღარ არისო. მე არ დამავიწყდება აბაშიძესთან გამართული უმძიმესი შეხვედრები და საერთოდ ის ვითარება, რაც აჭარაში იყო. ერთადერთი სწორი გადაწყვე-

ტილება იყო ის, რაც სააკაშვილმა მიიღო, რომ ჯერ აჭარის პრობლემა გადაწყვეტილიყო და შემდეგ სხვა საკითხები. მე ძალიან მეშინოდა და ამ საკითხს ძალიან ფრთხილად ვეკიდებოდი. რაც შეეხება იმას, რომ დღეს აჭარაში პრობლემებია, ვიცით და არც ვმალავთ, არც თვალებს ვხუჭავთ. რა თქმა უნდა გვინდა, რომ უკეთესი მდგომარეობა იყოს, მაგრამ ესეც ძალზე ბევრ სირთულესთან არის დაკავშირებული. აბაშიძის წასვლიდან ჯერ ექვსი თვე გავიდა. ამიტომ მე მინდა ყველას ვთხოვო, ვისაც რითი შეგვიძლია ხელი შევუწყოთ იმას, რომ ქვეყანა თანდათან გადავიდეს ნორმალურ რეჟიმში.

„მ. კ“: რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ საზოგადოებას იმედი არ გაუცრუვდეს და მხოლოდ დღევანდელი დღით არ ცხოვრობდეს?

ნ. ბ.: მე, რა თქმა უნდა, ამ ადამიანების მესმის. ხალხი დაიღალა. 10-12 წლის განმავლობაში ქვეყანაში უმძიმესი მდგომარეობაა და ადამიანები დაიღალნენ. ჯერ იმედის თვალით პრეზიდენტ გამსახურდიას ხელისუფლებას უყურებდნენ, მერე შევარდნაძე მოვიდა და იმედი ისევ გადაეწურათ. ხალხი შიშობს, იმედი ამ ხელისუფლებამაც არ გაუცრუოს. ეს ბუნებრივია. არა მგონია, რომ ჩვენი გუნდის ყველაზე დიდ მოწინააღმდეგესაც კი გულში ჩვენი წარმატება არ უნდოდეს, იმიტომ რომ ეს საბოლოოდ ქვეყნის წარმატებას ნიშნავს. ამიტომ მოსახლეობის ეს შიში, რომ მათი მდგომარეობა არ გაუმჯობესდება; სურვილი, რომ ყველაფერი რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს, გასაგებია. ერთია, როდესაც ადამიანები ემოციის დონეზე საუბრობენ, მაგრამ როდესაც ჩაუფიქრდებიან, ესმით, რომ ერთ წუთში ყველაფრის მოგვარება წარმოუდგენელია. ერთ წელში კი არა, საქართველო ათ წელშიც კი ვერ იქნება ისეთი ქვეყანა, როგორიც არის შვეიცარია და ავსტრია. პრინციპული განსხვავება ხომ არის? მე არ მინდა ადამიანების მიმართ კრიტიკული ვიყო, იმიტომ რომ მე მათი ძალიან კარგად მესმის. ხელფასებს და პენსიებს ცოტა მოუმატეთ და დროულად ვაძლევთ, მაგრამ ხომ

არ შეიძლება ადამიანებს ვუთხრათ, რომ ამის გამო მადლობელი იყავითო? ცხადია, ამის გამო ადამიანები მადლობლები ვერ იქნებიან, კმაყოფილი ვერ იქნება, იმიტომ რომ ეს ადამიანი 20 ლარით ვერ იცხოვრებს. ეს ადამიანები კმაყოფილები მაშინ იქნებიან, როდესაც ხელისუფლება მათ ისეთ ხელფასს, პენსიას მისცემს, რომლითაც ღირსეული ცხოვრება შეეძლება. ჩვენ პრობლემების ისეთ ჯურღმულში ვიყავით, რომ აქედან ამ დროში ნორმალურ მდგომარეობაში მოხვედრა ნამდვილად წარმოუდგენელია.

„მ. კ“: პოლიტოლოგთა ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ დასავლეთმა საქართველოს მიმართ დამოკიდებულება შეიცვალა; რომ ახალმა ხელისუფლებამ მათი იმედები ვერ გაამართლა... ეს მოსაზრება რამდენად რეალურია?

ნ. ბ.: რამდენიმე დღის წინათ „ფაინენშელ ტაიმსში“ („Financial Times“) საქართველოსთან დაკავშირებით ანალიტიკური სტატია გამოქვეყნდა. ეს წერილი საკმაოდ პოზიტიურია. როგორც „ვარდების რევოლუცია“ მოექცა მსოფლიო ყურადღების ცენტრში, ასეთივე ყურადღებაა ერთი წლის შემდეგაც. ამ ბოლო დღეების განმავლობაში იბეჭდება ანალიტიკური სტატიები და შეფასებები, რომლებიც საკმაოდ პოზიტიურია. ოფიციალურად რა განცხადებებიც კეთდება, ფაქტია, რომ დამოკიდებულება არ შეცვლილა. უფრო მეტიც, პოლიტიკურ წრეებში რამდენი შეხვედრის შესაძლებლობაც აქვს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარესა და ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებს, სხვა ადამიანებს ამდენი შეხვედრის შესაძლებლობა ნამდვილად არ გააჩნიათ. მე გულწრფელად გეტყვით, რომ უარყოფითი დამოკიდებულება და იმედგაცრუება ნამდვილად არ მიგრძვნია. შენიშვნები, რა თქმა უნდა, არის. პირადად მე ნებისმიერ შეხვედრაზე საუბარს იმით ვიწყებ, რა გავაკეთეთ და შემდეგ ვეკითხებით, რა შენიშვნები აქვთ. თუ ხართ ჩვენი მეგობრები და ხედავთ, რომ გვეშლება, გვითხარით. მე ვერ ვხედავ იმაში პრობლემას, რომ ვინმემ შე-

ნიშვნა მოგვცეს და გაგვაკრიტიკოს. შეუცდომელი ადამიანი არ არსებობს, მით უმეტეს, ამ მდგომარეობის ქვეყანაში. რა თქმა უნდა, რაღაცა გვეშლება, რაღაცის უკეთ გაკეთება შეიძლება, მაგრამ გვითხრას ვინმემ, როგორ და გვერწმუნეთ, ნებისმიერ რეალურ და კარგ რჩევას დიდი სიამოვნებით გავიზიარებთ. ლაპარაკით რამდენიმე წუთში ისეთ საქართველოს დაგიხატავთ, ადამიანს ზღაპარში რომ მოელანდება, მაგრამ ასეთი ქვეყანა როგორ შევქმნათ და რაც შეიძლება ჩქარა, თუ ვინმეს შეუძლია რამის თქმა, გვითხრას. რეალურად ჩვენ ძალიან დიდი მხარდაჭერა გვაქვს. ის, რომ ამდენი გრანტი, ამდენი დახმარება, ამდენი პროექტი, ამდენი პროგრამა, ამდენი პოტენციალური ინვესტორი ჩამოდის, იმაზე მეტყველებს, რომ საქართველოს მიმართ დაინტერესება არ შენელებულა. ხაზი მინდა გავუსვა ერთ გარემოებას: როდესაც მე პოზიტიურ მომენტებზე ვსაუბრობ, არ მინდა საზოგადოებას ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, რომ ჩვენ მხოლოდ კარგს ვხედავთ. ეს ასე ნამდვილად არ არის. ნამდვილად არ ვართ თვითკმაყოფილების გრძნობით შეპყრობილნი, იმიტომ რომ ვიცით, ძალიან ბევრია გასაკეთებელი, მაგრამ ამ რევოლუციის დღეებში აქცენტი მაინც უფრო პოზიტივზე გავაკეთოთ. 24-დან უკვე უფრო მეტი შემართებით დავიწყოთ მუშაობა.

რუსიკო მაჩაიძე

მთელი კვირა. – 2004, 22 ნოემბერი, №319, გვ. 5

„ვერ ვიტყვი, რომ რაც ქვეყანაში ხდება, ყველაფერი ვიცი“

თუ ჯიბეში მანდატი მექნება, ამით თქვენთვის რამე შეიცვლება?

პრეზიდენტის კაბინეტში შესულ ადამიანებს რატომღაც გონიათ, რომ მხოლოდ კარგი ინფორმაცია უნდა მიაწოდონ ხელისუფლებას...

...პარტიის შექმნა რომ მნდომოდა, უფრო გონივრული არ იქნებოდა, შევსულიყავი პარტიაში, ეს მითქმა-მითქმა მომესპო და მერე გამოვსულიყავი? დამაბამდა ვინმე ნაციონალურ მოძრაობაში თუ რა? ხელისუფლება „ვარდების რევოლუციის“ წლისთავს ერთიანობის დემონსტრირებით შეხვდა – ნაციონალებისა და დემოკრატების გაჭიანურებულ გაერთიანებას, როგორც იქნა, წერტილი დაესვა. ზურაბ ჟვანიამ საკუთარი პარტია ისე გააუქმა, არც უცდია დემოკრატების ხსოვნის რაიმე ელემენტი გაერთიანებული პარტიის სახელწოდებაში რამენაირად გაჟღერებულიყო. ამ გაერთიანებაში არ ისურვა შესვლა პარლამენტის თავმჯდომარემ, ნინო ბურჯანაძემ. რა მიზეზით, ამას ინტერვუდან შეიტყობთ:

– ხელისუფლებაში ყოფნის ერთი წლის მანძილზე რისი გაკეთრება გინდოდათ და რა ვერ მოახერხეთ?

– ვერ მოხერხდა კონფლიქტების დარეგულირება, ეკონომიკის იმდენად აღორძინება, რომ ხალხის სოციალური პრობლემები მოგვარებულიყო... ყველაფერ ამის გაკეთების სურვილი იყო, მაგრამ განხორციელების რეალური შესაძლებლობები არ არსებობდა. კორუფციასთან ბრძოლა, ხელფასებისა და პენსიების დროულად გაცემა, ჯარისა და პოლიციის რაღაც სტანდარტებთან მიახლოება გაკეთებული საქმეების მიზერია, მაგრამ არ შეიძლება იმის დაუნახავობა, რაც გაკეთდა. ქვეყანაში სტაბი-

ლურობა შენარჩუნდა, ბევრ ისეთ საქმეს ჩავუყარეთ საფუძველი, რომლის ნაყოფს წლების შემდეგ მივიღებთ. როდესაც უინსტონ ჩერჩილს პრემიერ-მინისტრად ირჩევდნენ, მან ხალხს ასეთი დაპირება მისცა – მე გპირდებით ოფლს, გპირდებით ცრემლს, გპირდებით დაღლას, შესაძლოა, სისხლსაც, მაგრამ გპირდებით, რომ ქვეყანას ფეხზე დავაყენებო. ძალზე ნიშანდობლივად მეჩვენება მისი სიტყვები დღესაც – ოფლის, ცრემლის, დაღლისა და ნერვიულობის გარეშე, ღირებული და მნიშვნელოვანი მართლაც არაფერი კეთდება. გპირდებით, რომ საქართველოს ხელისუფლება თავდაუზოგავად იბრძოლებს ქვეყნის აღმშენებლობისათვის, მაქსიმალურად დაიხარჯება ამ ამოცანის შესრულებისთვის, მაგრამ გეტყვით ერთ რამესაც – თქვენი და ხალხის თანადგომის გარეშე ჩვენ არაფერი გამოგვივა.

– ახალი ხელისუფლების მთავარ ღირსებად და წარმატების საწინდრად ბევრი აქაური თუ უცხოური ექსპერტი ხალხთან სიახლოვესა და მასთან დიალოგის უნარს მიიჩნევდა. დღეს რამდენად ახლოს არის ხელისუფლება ხალხთან?

– ცხადია, ხალხს არ უნდა მოვწყდეთ, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ისეთი სიახლოვე მოსახლეობასთან, როგორიც რევოლუციის დღეებში გვქონდა, აღარ გვაქვს ელემენტარული მიზეზის გამო – მაშინდელივით არ ვდგავართ მათ გვერდით ქუჩაში. მაგრამ ხელისუფლებაში კარგად ვიცით, რომ კაბინეტებში ჩაკეტვა არ ივარგებს და ჩვენთვისვე იქნება დამღუპველი. მიუხედავად იმისა, რომ თანამდებობაზე ყოფნას მოსახლეობისაგან გარკვეული იზოლაციაც ახლავს, არ გვაქვს საშუალება, უშუალოდ ხალხისგან მიიღო ყველა ინფორმაცია, მეც და პრეზიდენტმაც კარგად ვიცით, რომ ყველაზე ობიექტურ შეფასებებს ხალხისგან მოვისმენთ. პრეზიდენტის კაბინეტში შესულ ადამიანებს რატომღაც ჰგონიათ, რომ მხოლოდ კარგი ინფორმაცია უნდა მიაწოდონ ხელისუფლებას, მაგრამ ეს საქმეს არ წაადგება და ამიტომ არავის ვთხოვთ, მხოლოდ სასიამოვნო ამბები გვითხარით-თქო. მერწმუნეთ, რაგინდ უსიამოვნო ინფორმაციაც უნდა მოვიდეს ჩემამდე, თუ ის პრეზიდენტის ყურადღებას მო-

ითხოვს და საჭიროა, მან იცოდეს, აუცილებლად ვეუბნები. ვერ ვიტყვი, ყველაფერი ვიცი, რაც ქვეყანაში ხდება-მეთქი, მაგრამ ვცდილობ, რეალობას არ მოვწყდე. არასოდეს გამომიხატავს უკმაყოფილება, როდესაც არასასიამოვნო ინფორმაციას მაწვდიან. ვინც საპირისპიროდ იქცევა და მხოლოდ კარგის გაგონება სურს, ის რეალობას მოსწყდება. ეს კი ხელისუფლებისთვის კატასტროფის ტოლფასია...

– რევოლუციის წლისთავზე ნაციონალური მოძრაობისა და დემოკრატების საზეიმო გაერთიანების შემდეგ ითქვა, რომ თქვენ პარტიაში არ შეხვედით.

– თუ ჯიბეში მანდატი მექნება, ამით თქვენთვის რამე შეიცვლება? უკეთესი გავხდები თუ უარესი?

– ჩემთვის არაფერი შეიცვლება – დარჩებით ის ვინც ხართ.

– მეც ასე მგონია... ვფიქრობ, გადაჭარბებული ყურადღება გამოიჩინეს იმისადმი, ავიღებდი თუ არა პარტიის მანდატს. ვფიქრობ, ვიღაცას ხელს აძლევს ამ თემის აჟიტირება – ამიტომაც გამახვილდა ამ საკითხზე ყურადღება. კმაყოფილი ვარ, რომ პარლამენტში ჩემმა კოლეგებმა, ნაციონალური მოძრაობის წევრებმა და თავად პრეზიდენტმა ყურადღება არ მიაქციეს ვიღაცის მიერ აგორებულ თემას. მერწმუნეთ, პრეზიდენტისთვის პრინციპული მნიშვნელობა არ აქვს, ნინო ბურჯანაძეს რომელი პარტიის მანდატი ექნება ჯიბეში, რადგან იცის, ამით არაფერი შეიცვლება. მთავარია, რომ ჩვენ ერთნაირი ხედვა გვაქვს ქვეყნის მომავალსა და მის სტრატეგიულ განვითარებაზე, ჩვენ ერთიანი გუნდი ვართ. ვინც მიცნობს როგორც პოლიტიკოსს, ის ვერ იტყვის, რომ წყალქვეშა დინებებით ვმოქმედებ ან სადმე რაიმე განხეთქილების შემტანი ვარ.

– ამბობდნენ, რომ თქვენ არ ინდომეთ პარტიის რიგითი წევრობა და ამით ხაზი გაუსვით საკუთარ დამოუკიდებლობას. ითქვა ისიც, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ ნაციონალური მოძრაობის წევრობაზე უარის თქმით ახალი პოლიტიკური ძალის შექმნის ფარული სურვილი უნებურად გაამჟღავნო.

– მე დამოუკიდებელი ადამიანი ვიქნები იმის მიუხედავად, გავწევრდები თუ არა რომელიმე პარტიაში. ყოველთვის გამოვხატავ ჩემს შეხედულებას და ამაში ხელს ვერაფერი შემიშლის. პარტიის შექმნა რომ მნდომოდა, უფრო გონივრული არ იქნებოდა, შევსულიყავი პარტიაში, ეს მითქმა-მოთქმა მომესპო და მერე გამოვსულიყავი? დამაბამდა ვინმე ნაციონალურ მოძრაობაში თუ რა? პარტია მაშინ არ შემიქმნია, როდესაც ამის აუცილებლობა იყო და მაღალი რეიტინგი მქონდა, რადგან ყოველთვის ვცდილობ პარტიულ პროცესებს გარკვეულწილად გავემიჯნო. რაც შეეხება ნათქვამს – რიგითი წევრობა იუკადრისაო, რომ მნდომოდა, ნამდვილად არ ვიქნებოდი რიგითი... თავად არ მქონია სურვილი პარტიულ იერარქიაში რაიმე თანამდებობა დამეკავებინა. მაგრამ ამის მიუხედავად, როდესაც საჭირო იქნება, აქტიურად მივიღებ პარტიის მუშაობაში მონაწილეობას და თუკი საქმე მოითხოვს პარლამენტის თავმჯდომარის აზრის გამოთქმას ან რაიმე საკითხში ჩარევას, განზე არ გავდგები...

– როდესაც პარლამენტის სხდომაზე უმრავლესობის ლიდერს, მაია ნადირაძეს კვორუმის არარსებობის გამო შენიშვნა მიეცით, კულუარებში თქვენს შორის არსებულ დაძაბულ ურთიერთობაზე დაიწყეს ლაპარაკი...

– ქალბატონი მაიასთვის არანაირი შენიშვნა არ მიმიცია. რადგან ის უმრავლესობის ლიდერია, უბრალოდ ვკითხე, – როდის მოხერხდება დეპუტატების მობილიზაცია, რომ ვიმუშაოთ-მეთქი; ეს იყო კითხვა და არა – შენიშვნა. არ არის საჭირო ამ საკითხზე ზედმეტად ყურადღების გამახვილება, რადგან ჩვენ ძალზე ნორმალური და საქმიანი ურთიერთობა გვაქვს. რაკი პლენარულ სხდომაზე საკუთარი აზრი გამოვთქვი, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მე და მაიას ურთიერთობაში რაიმე პრობლემა გვქონდეს. თუ განსხვავებული აზრი მექნება, იმის გამო, რომ ვინმემ რამე არ თქვას, ვერ ვითამაშებ, რომ მე და ქალბატონი მაია ტყუპებივით ვფიქრობთ. კამათი, აზრთა სხვადასხვაობა და ერთმანეთის მიმართ კრიტიკული დამოკიდებულება არ ნიშნავს მტრობას, ჯიბრსა და ჩასაფრებას.

– ბოლო დროს გააქტიურდა თემა – საქართველოს ეკლესიაში არსებულ პრობლემებზე, რამდენად ფლობთ ამ საკითხზე ინფორმაციას და საერთოდ, ვინ და რატომ წამოსწია ეს საკითხი წინა პლანზე?

– ასეთი ადამიანები არც მალავენ თავიანთ სახეს და ვინაობას – პრესიდან ეს კარგად ჩანს... არ მინდა იმ ადამიანის გვარისა და სახელის დასახელება, რომლებმაც რაღაც აბსურდული ბრალდებები წამოაყენა, მერე კი თქვა, გამოვიდეს ნინო ბურჯანაძე და მიპასუხოს, თუ ასე არ არისო (ამ მინიშნებით დავასკვენით, პარლამენტის თავმჯდომარე გურამ შარაძეს გულისხმობდა. – ი.რ.). არ ვაპირებ იმ ადამიანებისთვის თავის გაყადრებასა და დაპირისპირებას, რომლებიც ქართველისთვის ყველაზე წმინდა თემებს – რელიგიას, მართლმადიდებლობას, ეროვნულობასა და ერთიანობას პირადი მიზნებისთვის იყენებენ და ამით სპეკულირებენ. მის უწმინდესობასთან საოცრად თბილი დამოკიდებულება მაქვს და მისგანაც ყოველთვის დიდ ყურადღებას ვგრძნობ. საქართველოს პრეზიდენტმაც ამ დღეებში არაერთხელ აღნიშნა, ბედნიერია საქართველო, რომ ამ ურთულეს პერიოდში ასეთი სულიერი წინამძღოლი ჰყავსო. არიან ადამიანები, რომელთაც ხელს აძლევთ ეკლესიაში განხეთქილება, არის უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების ქმედებების კვალიც. ჩვენმა არაკეთილმოსურნეებმა იციან, რაოდენ მნიშვნელოვანია საქართველოს აღმშენებლობისათვის ქართული ეკლესიის ერთიანობა და სწორედ აქ ცდილობენ წყლის ამღვრევას. რაკი იციან, რაოდენ უყვარს ხალხს კათოლიკოს-პატრიარქი, ხელისუფლების დისკრედიტაციის მიზნით იმასაც ამბობენ — ეკლესიის საქმეებში ერევიან და ამით ხალხის გრძნობებზე თამაშობენო.

– დასასრულ, მინდა უკრაინაში განვითარებულ მოვლენებზე გკითხოთ. რა მსგავსებასა და რა განსხვავებას ხედავთ „ვარდების რევოლუციასა“ და იქ მიმდინარე პროცესებს შორის?

– უკრაინაში მართლაც ძალზე რთული ვითარებაა. რუსეთისთვის ეს იქნება ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი, რათა

სხვის საქმეებში აღარ ჩაერიოს. უკრაინელები თავად გადაწყვეტენ, როგორი პრეზიდენტი უნდათ. რუსული ტელეარხები უკრაინაში მიმდინარე მოვლენებსა და „ვარდების რევოლუციას“ შორის პარალელის გავლებას ცდილობენ და „რაღაც ერთ“ სცენარზეც მიანიშნებენ. უკრაინის ხელისუფლებას არჩევნები რომ არ გაეყალბებინა, არავითარ სცენარზე არ იქნებოდა ლაპარაკი. გულახდილად გეტყვით, არავითარი სცენარი არ არსებობს. ის არც ჩვენ გვქონია და არც უკრაინელებს ექნებათ. როდესაც ხელისუფლება არჩევნებს აყალბებს, ოპოზიციას პოლიტიკური მეთოდებით უწევს ბრძოლა. პოლიტიკური ბრძოლის ფორმა კი ყველა ქვეყანაში ერთნაირია. ეს არის მიტინგი, გაფიცვა, საპროტესტო აქციები და ხელისუფლების მხილება. უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსები რომ არ ჩარეულიყვნენ, გაცილებით მშვიდობიანად განვითარდებოდა პროცესები, ისევე როგორც აფხაზეთში – იქაც, რუსებს რომ არ ჩაეყოთ ცხვირი, გაცილებით მშვიდად აირჩევდნენ პრეზიდენტს. რა რუსეთის და კრემლის საქმეა, ვის აირჩევდნენ პრეზიდენტად აფხაზეთში, როდესაც ჩვენც კი არ ჩავერიეთ ამ საკითხში. უცნაურია, აფხაზები, რომელთაც პრეტენზია აქვთ დამოუკიდებლობაზე, თავისუფლებასა და ვაჟკაცობაზე, რატომ ეგუებიან იმ ფაქტს, რომ მათ პრეზიდენტობის კანდიდატებს კრემლში იბარებენ და ინსტრუქტაჟს აძლევენ?! იგივე მინდა ვთქვა ოსებზეც. ერი, რომელიც დამოუკიდებლობისთვის იბრძვის, არ უნდა აფრიალებდეს პუტინის სურათს წარწერით – „Путин наш президент!“

მარი ზანდუკელი

კვირის პალიტრა 2004. – 29 ნოემბერი – 5 დეკემბერი. – №48. – გვ. 7-11

ნინო ბურჯანაძე ძველი რეჟიმით მუშაობას არ აპირებს

პარლამენტის სპიკერი აქტიურდება და დეპუტატებსაც „გააქტიურებას“ უპირებს

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხდომაზე პრეზიდენტ სააკაშვილის გამოსვლას აფასებს და აცხადებს, რომ მას საერთაშორისო თანამეგობრობის ადეკვატური რეაქცია მოჰყვება. ამასთან, პარლამენტის სპიკერი მთავრობის მომავალ ურთიერთობებზეც ამახვილებს ყურადღებას. ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით „რეზონანსი“ ნინო ბურჯანაძეს ესაუბრა.

„რ“: როგორ შეაფასებთ ევროსაბჭოს გენერალურ ასამბლეაზე საქართველოს პრეზიდენტის გამოსვლას და რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს სააკაშვილის ინიციატივებს? ასევე საინტერესოა თქვენი პოზიცია ევროსაბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციასთან დაკავშირებით.

ნინო ბურჯანაძე: ძალიან სასიამოვნო იყო იმის ყურება, როგორ გამოვიდა ევროსაბჭოს ტრიბუნიდან საქართველოს პრეზიდენტი და როგორ კომპეტენტურად იცავდა საქართველოს პოზიციას. დარწმუნებული ვარ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ის ინიციატივა, რომელიც მან ევროსაბჭოში წარმოადგინა. ეს პირველი შემთხვევაა, როცა საქართველოს პრეზიდენტი ევროპული სტრუქტურის წინაშე ახალი ინიციატივით გამოდის. ვფიქრობ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას ამასთან დაკავშირებით ადეკვატური რეაქცია ექნება. ამ განცხადებით ჩვენ კიდევ ერთხელ დავადასტურეთ, რომ მზად ვართ კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების გზა ვიპოვოთ. მზად ვართ პატივისცემით მოვეპყროთ ყველა იმ ერს, რომელიც ცხოვრობს საქართველოს ტერიტორიაზე. ვფიქრობ, რომ დღეს ძალიან

მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში და მინდა იმედი ვიქონიო, რომ მას არამარტო ევროპელი პოლიტიკოსები გამოეხმაურებიან, არამედ კონფლიქტური ზონის წარმომადგენლებიც. თუ ისინი ამას არ გააკეთებენ და ამ უმნიშვნელოვანეს ინიციატივებს არაფრად ჩააგდებენ, კიდევ ერთხელ დაადასტურებენ, რომ პოლიტიკური დარეგულირება არ სურთ და როცა მშვიდობაზე საუბრობენ, მხოლოდ დემაგოგიით იფარგლებიან. რაც შეეხება იმ ცვლილებებს, რომლებიც შეტანილი იყო მონიტორინგის კომიტეტის დასკვნაში, ძალიან ბევრი ჩვენს მიერ შეთავაზებული არგუმენტი გაზიარებული იყო. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ტრაგიკული, საგანგაშო არაფერი მომხდარა მაშინ, როცა მონიტორინგის ჯგუფმა მოამზადა შენიშვნები. ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევეჩვიოთ, რომ ვართ ცივილიზებული სამყაროს წევრები, სადაც კრიტიკა და განსხვავებული აზრი ნორმალური ცხოვრების წესია. ის, რომ ჩვენი ევროპელი კოლეგები რაღაც საკითხებში გვაკრიტიკებენ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათი კრიტიკა 100%-ით სამართლიანია. თუმცა ცხადია, იყო ძალიან სერიოზული არგუმენტები, რომელთა გათვალისწინება ჩვენთვის პრობლემას არ წარმოადგენს. ჩვენ ძალიან კონსტრუქციულად მივუდექით ამ დოკუმენტს. იქ, სადაც გვქონდა მყარი არგუმენტები, ვუთხარით. ასევე განვუმარტეთ, რომ აჭარის ავტონომიასთან დაკავშირებით სრულიად სხვა სპეციფიკაა საქართველოში და თავად ის ადამიანები, ვინც აჭარაში ცხოვრობს, ნორმალურად მიიჩნევენ არსებულ მოდელს. ეს ის მოდელია, რომელიც აჭარის მოსახლეობას და სრულიად საქართველოს უქმნის ნორმალური განვითარების შესაძლებლობას.

„რ“: რაც შეეხება რეზოლუციის იმ ნაწილს, სადაც პარლამენტის ფუნქციების შესუსტებაზეა საუბარი, ამ პოზიციას ეთანხმებით?

ნ. ბ.: ძირითადი აქცენტი გაკეთებულია იმაზე, რომ პრეზიდენტს აქვს პარლამენტის დათხოვნის უფლება. თავად ამ მექანიზმში ვერავითარ კრიტიკულს და ტრაგიკულს ვერ ვხედავ. ყველა

ქვეყანაში, სადაც არსებობს მინისტრთა კაბინეტი, ხელისუფლების შტოების დაბალანსების გამო პრეზიდენტს აქვს ამ მთავრობის ან პარლამენტის დათხოვნის უფლება. ამით კრიზისს, რომელიც საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის წარმოიშვება, პრეზიდენტი განმუხტავს. პრობლემა ის არის, რომ პარლამენტმა შეასრულოს დაკისრებული ფუნქცია. შემთხვევითი არ იყო, როცა გუშინდელ ბრიფინგზე გავაკეთე განსაკუთრებული აქცენტები, თუ რა არ მომწონს პარლამენტში და რა არის გამოსასწორებელი. დღევანდელი კონსტიტუციით ჩვენ საკმარისი ძალაუფლება გვაქვს, რათა პარლამენტი იყოს ძლიერი და სერიოზულად აკონტროლოს აღმასრულებელი ორგანოები, მაგრამ სამწუხაროდ, ჯერჯერობით პარლამენტი ამ ფუნქციებს სრული მოცულობით ვერ ასრულებს. პარლამენტი აღარ გააგრძელებს იმ რეჟიმში მუშაობას, როგორც ეს გრძელდებოდა გასული წლის ბოლომდე. ვთხოვე პრემიერ ჟვანიას, რომ პარლამენტის ბიუროსათვის გამოეგზავნა მთავრობის პრიორიტეტები, რომელთა მიხედვით უნდა იმუშაოს საკანონმდებლო ორგანომ, რათა მთავრობას საქმიანობაში ხელი არ შეეშალოს. გარდა ამისა, არის ძალიან კარგი შესაძლებლობა, რომ მთავრობამ სისტემაში მოიყვანოს თავისი საქმიანობა და ერთიანი კონცეფციის მიხედვით მუშაობდეს.

„რ“: მთავარი პრიორიტეტების შესახებ მთავრობისაგან უკვე მიღებულია ინფორმაცია?

ნ. ბ.: ჯერჯერობით არა, მაგრამ მომავალი ბიუროს სხდომისთვის ის წარმოდგენილი იქნება. თუ მთავრობა მას არ წარმოადგენს, ნურავის გული ნუ დასწყდება, ჩვენ ვიმუშავებთ რეგლამენტის მიხედვით. რაც შეეხება განცხადებებს რეგლამენტში ცვლილებების აუცილებლობის შესახებ, არავითარ შემთხვევაში არ დავუშვებ კანონების მიღების პროცედურის გამარტივებას. რაც დავუშვი, ეს სავსებით საკმარისია. გარდა ამისა, არ მინდა ვინმეს შთაბეჭდილება დარჩეს, რომ მხოლოდ მთავრობის ნორმალურ რეჟიმში ჩაყენებაზე ვზრუნავ. პირველ ყო-

ვლისა მინდა, რომ პარლამენტი ჩადგეს ნორმალურ რეჟიმში. არ ვარ კმაყოფილი დეპუტატების გარკვეული ნაწილის საქმიანობით და დარწმუნებული ვარ, რომ თითოეულმა დეპუტატმა უნდა გაითავისოს, რისთვის არის მოსული პალამენტში. გარდა ამისა, პარლამენტის მთავარი პრიორიტეტი იქნება არა მარტო კარგი კანონების მიღება, არამედ მათ შესრულებაზე კონტროლი.

„რ“: მიმდინარეობს საუბარი ირანიდან გაზის საქართველოს გავლით ტრანსპორტირებაზე. პარალელურად, გაზსადენის პრივატიზაციის საკითხებიც განიხილება. ექსპერტები ამბობენ, რომ ეს საფრთხეს შეუქმნის საქართველოს უსაფრთხოებას; ამასთან, ის ამერიკის ინტერესებსაც ეწინააღმდეგება. თქვენი პოზიცია როგორია ამ საკითხთან დაკავშირებით?

ნ. ბ.: არა მგონია ირანთან მოლაპარაკებები ისე წარიმართოს, რომ არავის აზრის გათვალისწინება არ მოხდეს. ირანთან ძალიან ბევრი სახელმწიფო თანამშრომლობს. იმედი მაქვს, რომ თანდათან რეგიონში ვითარება შეიცვლება და უფრო აქტიურად გახდება შესაძლებელი ამ ქვეყანასთან თანამშრომლობა. კონკრეტულ ამ თემაზე არ შევჩერდები, მაგრამ ნებისმიერი ასეთი საკითხი ძალიან სერიოზულად უნდა იყოს განხილული პარლამენტში. პარლამენტი არის ორგანო, რომელიც განსაზღვრავს ქვეყნის საგარეო და საშინაო პრიორიტეტებს. ბევრი რამ არის დამოკიდებული დეპუტატების აქტიურობასა და მათი არგუმენტების ხარისხზე. სიმართლე გითხრათ, მეგონა, რომ პარლამენტარები უფრო მეტ აქტიურობას გამოიჩენდნენ პრივატიზაციის მიმდინარეობასთან დაკავშირებით. არ მინდა, ის დადებითად ან უარყოფითად შევაფასო, მაგრამ არაერთხელ მითქვამს: მივესალმები რუსული კაპიტალის საქართველოში შემოსვლას, მაგრამ არანაირი სურვილი არ მაქვს, რომ ყველა საპრივატიზაციო ობიექტი რუსულმა კაპიტალმა ჩაიგდოს ხელში.

„რ“: დღეს უშიშროების საბჭოს მდივანი გელა ბეჟუაშვილი მოსკოვში გაემგზავრა. შეხვედრების მთავარი თემა ანტიტე-

რორისტული ცენტრების შექმნა და ბაზების გაყვანაა. თუმცა ვრცელდება ისეთი ინფორმაცია, რომ საუბარი იქნება „გაზპრომისათვის“ გაზსადენის მიყიდვის საკითხზე. რამდენად მოსალოდნელია გაზსადენების რუსული კომპანიისთვის მიყიდვა ბაზების გაყვანის სანაცვლოდ?

ნ. ბ.: მივესალმები ბატონ ბეჟუაშვილის რუსეთში ვიზიტს. ეს შეხვედრა დიდი ხნით ადრე უნდა შემდგარიყო. უნდა ვისაუბროთ ჩვენს რუს კოლეგებთან ბაზებზეც, პრივატიზაციაზეც და ხელშეკრულებებზეც. რაც შეეხება გაზსადენის რუსული კომპანიისთვის მიყიდვას, ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. ამასთან არა მგონია, რომ ეს ბეჟუაშვილის ვიზიტის თემა იყოს.

რუსიკო მაჩაიძე
სოფო ქვლივიძე

რეზონანსი. – 2005, 27 იანვარი, №18, გვ. 2

პარლამენტი კრიტიკული და მკაცრი უნდა იყოს

მეორე არხის აქტიური მაყურებელი ისვენებს, რადგან ისვენებს პარლამენტი. თუმცა, შეიძლება, რომელიმე უმუშევარ, ან უბრალოდ დაინტერესებულ ადამიანს გულწრფელი სურვილი კლავს, უყუროს სესიის ტრანსლაციას, რათა არ გამორჩეს კანონი, რომელიც მის ცხოვრებას გააუმჯობესებს. თებერვალში პარლამენტი სასესიო მუშაობას განაახლებს. უმრავლესობის აზრი არ ვიცით, მაგრამ პარლამენტის თავმჯდომარეს ასე ცხოვრება მოსწყინდა და არდადეგები მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეხვედრების გარდა, საპარლამენტო მუშობის გაუმჯობესებაზე ფიქრისთვისაც გამოიყენა. რა არის ეგ გეგმა, რას უქადის მთავრობას, რომელიც ამ პარლამენტმა დაამტკიცა...

ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე, ქალბატონი ნინო ბურჯანაძე საუბრობს.

– კიევში მსოფლიო პოლიტიკოსებს შეხვდით. ორ რევოლუციას ისინი განსხვავებულად აფასებდნენ?

– შედარებები ნაკლებად იყო. ყველას კარგად ესმის, მთავარი მსგავსება იყო დემოკრატიული ფასეულობებისთვის ბრძოლა და ხალხის სურვილი – თავად მართოს საკუთარი ბედი. ცხადია, იყო ანალოგიებიც. ძირითადად ორივე მოვლენა პოზიტიურად შეფასდა, მაგრამ ორმხრივ საუბრებში ვცდილობდით, მომავლის პერსპექტივების შესახებ გველაპარაკა და შეხვედრები საქართველოს პრობლემებზე სასაუბროდ გამოგვეყენებინა.

– ქართულ დელეგაციას პირველობის შეგრძნება ჰქონდა?

– უკრაინა ჩვენი მეგობარი სახელმწიფოა. სწორედ ამ მეგობრობას ჭირდება მოფრთხილება და დელიკატურობა. უკრაინელი პოლიტიკოსებიც და უბრალო ადამიანებიც ყოველ ნაბიჯზე

ხაზს უსვამდნენ – საქართველოს ასეთი პოზიტიური მაგალითი რომ არ ყოფილიყო, მათ გაუჭირდებოდათ. საქართველოს მაგალითით მათ ირწმუნეს, რომ შეიძლება, ერმა ნება გამოხატოს და მშვიდობიანი გზით, რადიკალურად შეცვალოს ქვეყანა.

– ეს რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში არ მომხდარიყო, ორ რევოლუციონერ პრეზიდენტს ნობელის პრემიაზე წარადგენდნენ? რთული სათქმელია – არანაკლებად არის შეფასებული ჰაველის და სხვათა როლიც... ჰაველიცა და ვალენსაც სოციალისტურ ბანაკს ეკუთვნოდნენ...

– ადამიანის ბრძოლა დემოკრატიის, თავისუფლებისა და მშვიდობისთვის დედამიწის ნებისმიერ კუთხეში ერთნაირად ფასდება. წინა ლაურეატები არ დაჯილდოებულან იმის მიხედვით, თუ ვინ რომელ რეგიონში მოღვაწეობდა, ისინი გაკეთებული საქმეების გამო დააჯილდოვეს. ინფორმაცია ჩვენი პრეზიდენტის ნომინანტობის შესახებ ფანტასტიკური ახალი ამბავია. იმედი მაქვს, რომ გადაწყვეტილებაც პოზიტიური იქნება და პრეზიდენტი ამ ჯილდოს მფლობელი პირველი ქართველი გახდება. თავისთავად, ნობელის პრემიის ნომინანტობაც მნიშვნელოვანი მოვლენაა.

– რას „გეჩურჩულებოდათ“ პაუელი კიევში?

– ძალიან მოხარული ვიყავი, რომ პაუელთან ასეთი თბილი შეხვედრა შედგა. მან საოცარი სითბო გამოხატა საქართველოსა და მისი ლიდერებისადმი, აგრეთვე ჩვენ გვერდით ყოფნის მზადყოფნა გამოხატა. იმის გარდა, რაც ეკრანზე ჩანდა, პაუელს კიდევ ორჯერ შევხვდი. ერთხელ მიღებაზე და შემდეგ მარინის სასახლეში. მას აინტერესებდა საქართველოში მიმდინარე მოვლენები და ჩვენ წინაშე მდგარი პრობლემები. საუბარი შეეხო რუსეთ-საქრთველოს ურთიერთობებსაც. კერძოდ, საზღვრის მონიტორინგსა და ეუთო-სთან ურთიერთობებს. მე ის საქართველოში მოვიწვიე და თითოეული ჩვენგანის განწყობა გამოვხატე, როცა ვუთხარი, რომ არასდროს დაგვავიწყდება მისი მხადაჭერა რევოლუციის დროს. უკრაინაში ვიზიტისას კადრს

მიღმა ძალზე მნიშვნელოვანი შეხვედრები დარჩა. მქონდა ერთსაათიანი ოფიციალური შეხვედრა ლატვიის პრეზიდენტთან, რომელიც ძალიან გავლენიანი ქალბატონია არა მხოლოდ ლატვიაში, არამედ ევროპულ სივრცეში. ის მზად არის, კონკრეტული დახმარება გაუწიოს საქართველოს ევროკავშირთან და ნატოსთან ურთიერთობებში. შესაძლოა, 2006 წელს ნატო-ს სამიტი სწორედ ლატვიაში გაიმართოს. მე მას საქართველოს ლობისტობა ვთხოვე. მისი პასუხი ასე ჟღერდა: ჩვენ საქართველოს მხრიდან ყოველთვის გვქონდა მხარდაჭერა და სამართლიანი იქნება ამ ქვეყანას დავუდგეთ მხარში, როცა ეს მას სჭირდება. მქონდა ხანგრძლივი საქმიანი საუბარი ესტონეთის პრეზიდენტთან. მან ასევე სერიოზული მხარდაჭერა აღგვითქვა. შევხვდი ლიტვის პარლამენტის თავმჯდომარეს. ძალზე საინტერესო შეხვედრა მქონდა ეუთო-ს მოქმედ თავმჯდომარესთან, სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან. ის ეუთო-ს მონიტორინგის საკითხით და განსაკუთრებით, პანკისის მხარეში არსებული ვითარებით დაინტერესდა. მათ განვუმარტეთ, ეუთო-ს მისიის დასახვედრად ნებისმიერ დროს ვართ მზად. მათ შეუძლიათ თუნდაც ახლავე, ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე ნახონ პანკისში შექმნილი ვითარება (ვინაიდან, რუსეთმა გამოთქვა პრეტენზია, რომ ჩვენ წინასწარ ვიცით მონიტორინგის შესახებ და ბოევიკებს ვაგებინებთ, რათა მიიმალონ). ამ მოწვევისთვის ჩვენი პრეზიდენტისა და ხელისუფლებისგან სრული კარტ-ბლანში მქონდა. ვითხოვე, რომ მისიაში აუცილებლად ჩართულიყვნენ რუსი სპეციალისტებიც. ეუთო-ს თავმჯდომარე ამ მოწვევას დათანხმდა.

– აფხაზეთთან დაკავშირებით არაფერი თქმულა?

– იგი საქმის კურსში იყო და აღგვითქვა, რომ ჩვენ ეუთო-ს მხრიდან ან ევროპელი კოლეგებისგან მეტი მხარდაჭერა გვექნება. საქართველო მზადაა მშვიდობიანი დარეგულირებისთვის, მაგრამ ეფექტურობისთვის აუცილებლად საჭიროა საერთაშორისო თანამეგობრობის გააქტიურება. მქონდა ხანმოკლე,

მაგრამ მნიშვნელოვანი შეხვედრა ნატო-ს გენერალურ მდივანთან, ბატონ სხეფერთან, რომელიც საქართველოს მეგობარია და გახსოვოთ, ალბათ, მაასტრიხტში როგორ აქტიურად ცდილობდა საქართველოს დახმარებას.

– შიდა ამბებსაც შევეხოთ – მიმდინარეობს საზოგადოებრივი კამათი ქვეყნის ფედერალური და უნიტარული მოწყობის შესახებ. ფედერალური მოდელის მომხრეები არსებული რეალობიდან გამოდიან. დღეს, მართლაც, ასეთია რეალობა, მაგრამ ხვალ შეიძლება სხვაგვარი იყოს. კანონი უნდა ქმნიდეს რეალობას თუ რეალობა კანონს?

– კანონი არ შეიძლება მოწყვეტილი იყოს რეალობიდან. რეალობას მოწყვეტილი კანონი განწირულია იმისთვის, რომ ფურცელზე დარჩეს და არ იმუშაოს. რეალურთან მიახლოებული კანონი რეალობის გაუმჯობესების საშუალებას ქმნის. საქართველოში რომ უნიტარიზმისთვის შესაძლებლობები იყოს, წინააღმდეგი არ ვიქნებოდი, რადგან ეს ქვეყნის შიდამოწყობის მარტივი მოდელია. მაგრამ, დღეს საქართველოში არ არის ამის საშუალება – ქვეყანას, სადაც ორი ეთნიკური კონფლიქტია, სადაც არსებობდა სამი ავტონომია – ხელოვნურად უნიტარულ სახელმწიფოდ ვერ აქცევ. განა რეალურია, აფხაზებს უთხრათ – არავითარი ავტონომიური უფლებები არ გექნებათ და საქართველოში იმავე სტატუსით უნდა შემოხვიდეთ, რა სტატუსითაც იმერეთი და კახეთია? ერთია სურვილები და მეორე – რეალობა. თუ ამ პრობლემის მოგვარება გვინდა, უნდა ვილაპარაკოთ, რა მოცულობის ავტონომიას ვაძლევთ და რა პრინციპებით ვთანამშრობლობთ ამ ორ წარმონაქმნთან ისე, რომ ორი ერის პრინციპები და უფლებები საერთაშორისო კანონმდებლობით იყოს დაცული და, მეორე მხრივ, ერთიანი საქართველოს ეროვნული და ნაციონალური ინტერესები არ შეილახოს. ძალიან ურაპატრიოტიზმიც ნუ გამოგვივა – შეიძლება, ვინმეს ისიც უნდა, საქართველო ნიკოფსიიდან დარუბანდამდე იხილოს...

– აღმაშენებლობის მსურველები დღეს გვყვანან.

– ბუნებრივი სურვილია, შენი ქვეყანა ძლიერი, ერთიანი და 12 მილიონიანი იყოს, მაგრამ ეს ოცნების საგანია. ჯობს, მიწაზე დავეშვათ.

– რა გამოცდილებას გამოიყენებს ევროსაბჭო კონფლიქტების დასარეგულირებლად და სტატუსის განსასაზღვრად?

– ის, რაც პრეზიდენტმა ევროსაბჭოში თქვა და გააკეთა, ძალიან მნიშვნელოვანი იყო. უცხოელი მეგობრები ხშირად გვსაყვედურობდნენ, რომ არ ვთავაზობდით ინიციატივებს. ვფიქრობ, ეს გარღვევა მოხდა. მსოფლიოში არსებობს კონფლიქტებისა და ავტონომიის დარეგულირების მექანიზმი. ჩვენ უნდა ავიღოთ ის ოპტიუმი, რაც საქართველოს სინამდვილისთვის მაქსიმალურად მისაღებია. ეს დოკუმენტი საბოლო ვარიანტი არ არის და ამის შესახებ პრეზიდენტმა თქვა. ეს იყო პირველი ეტაპი, ჩვენი ინიციატივა და ნებისმიერი კოსტრუქციული წინადადების განსახილველად, თუნდაც კომპრომისებზე წასვლისთვის ვართ მზად, მაგრამ არა ისეთზე, რომელიც ჩვენი ხალხისა და ქვეყნისთვის არ იქნება მისაღები.

– რა რეაქცია ჰქონდათ რუსებს?

– არაერთგვაროვანი. ალბათ, ნახეთ რუსი კოლეგის გამოსვლა, რომელმაც არც თუ უარყოფოთად შეაფასა ეს წინადადებები...

– გულისხმობთ ჟირინოვსკის პარტიის წარმომადგენლის განცხადებას იმის შესახებ, რომ საქართველო რუსი ინვესტორების მეშვებით გონს მოეგო?

– ვერ გეტყვით, რომ ჟირინოვსკის პარტიის განცხადებებს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ. ამას რუსეთის ხელისუფლება უნდა გამოეხმაუროს, ძალიან სტუმართმოყვარედ რომ ხვდებიან ლიდერებს. მათ ითამაშონ შუამავლისა და მომრეგულირებლის როლი, რაც საერთაშორისო თანამეგობრობამ დააკისრა.

– ამდენია ხანია, რუსეთს ვერც საერთაშორისო თანამეგობრობამ აიძულა მშვიდობისმყოფელი როლის შესრულება. რაიმე ახალი ბერკეტი გაჩნდა?

– თუ საერთაშორისო თანამეგობრობა გააქტიურდება და დარწმუნებული ვარ, ასეც მოხდება, რუსეთს სხვა გზა არ დარჩება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის საერთოდ პროცესს მიღმა აღმოჩნდება და ამის ბერკეტი არსებობს – ჩაერთობა ეუთო, ევროკავშირი, ევროსაბჭო, მთელი მსოფლიო. არსებობს სხვადასხვა პოლიტიკური გზები, რომლითაც რუსეთი ამ პროცესებზე გავლენას დაკარგავს. ეს აუცილებლად მოხდება, თუ რუსეთი პოზიტიურ როლს არ ითამაშებს. თუ ის პოზიტიურ როლს ითამაშებს, ამით არა მხოლოდ საქართველო, არამედ რუსეთიც მოიგებს – შეიცვლება იმიჯი რუსეთისა, რომელიც მუდმივად ცდილობს, პრობლემები შეუქმნას მეზობელ სახელმწიფოს. თუ ამას გაიგებენ, ხომ კარგი, თუ ვერ გაიგებენ – მაინც გვეშველება, ოღონდ რუსეთის გარეშე.

– ყველაფრის მიუხედავად, უკანასკნელი საპრივატიზაციო გადაწყვეტილებები ხელისუფლებამ რუსეთის სასარგებლოდ მიიღო, სტრატეგიულ პარტნიორად კი დასავლეთს ვაცხადებთ. დღის წესრიგში მაგისტრალური მილსადენები დადგა, რომლის გაყიდვაც ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოების საკითხია. რას აპირებს ხელისუფლება?

– საქართველოში ნებისმიერი ქვეყნის და, მათ შორის, რუსეთის ინვესტიციებსაც მივესალმები. თუ რუსეთის ეკონომიკური ელიტა ინვესტირებით იქნება დაინტერესებული, ეს ნიშნავს, რომ ამ ქვეყნის სტაბილურობითაც დაინტერესდებიან. თუმცა, აქ არის ერთი დიდი „მაგრამ“... წინააღმდეგი ვარ იმისა, რომ ობიექტების უმრავლესობა რომელიმე ერთმა ქვეყანამ ჩაიგდოს ხელში. მით უმეტეს, ფრთხილად ვეკიდები საკითხს, როდესაც საქმე სტრატეგიულ ობიექტებს ეხება. მიმაჩნია, რომ გაზსადენი სტრატეგიული ობიექტია. ვიცი, რომ ამაზე სხვადასხვა სტრუქტურები ბევრს ფიქრობენ და პრეზიდენტიც დიდი სიფრთხილით ეკიდება ამ საკითხს, მაგრამ პირადად მე გაზსადენის რუსეთისთვის მიყიდვის კატეგორიული წინააღმდეგი ვიქნები, რა ფასადაც არ უნდა იყოს ეს.

– საქართველოს ხელისუფლებას დაუშვებლად მიაჩნდა კრიმინალ ფუხაევის მძევალ პოლიციელ ჩალაურში გაცვალა. სხვა სოუსით, მაგრამ ეს მაინც მოხდა, რატომ?

– შანტაჟის ენით ლაპარაკის უფლებას არავის მივცემთ. რა თქმა უნდა, ცუდია, როდესაც გამტაცებელთან მოლაპარაკებებზე მიდიხარ, მაგრამ ყოველთვის არსებობს საპირწონე. როცა სასწორზე ადამიანის სიცოცხლე დევს და არსებობს შეიარაღებულ კონფლიქტში ჩათრევის საშიშროება, ცხადია, ხელისუფლებას გარკვეულ კომპრომისზე წასვლა უწევს. ფუხაევი საერთაშორისო ელემენტს – ოთხმხრივ კომისიას გადავეცით. ეს არ არის იდეალური გადაწყვეტილება, მაგრამ მსხვერპლად შეწირვას ნამდვილად ჯობდა. ძალიან მალე დადგება დრო, როდესაც ჩვენ ამას ვერ გაგვიბედავენ.

– თქვენ პირდაპირი მნიშვნელობით, ზემოდან უყურებთ პარლამენტის დარბაზს. ცხადია, ხელისუფლება ოპოზიციის სიძლიერეზე ვერ იზრუნებს. რა მოძრაობებია დარბაზში? გამოცდილება რას გკარნახობთ, ოპოზიცია ძლიერდება და ბევრდება?

– სიმართლე გითხრათ, დარბაზი პრეზიდიუმიდან ნაკლებად სასიამოვნო საყურებელია და ამას ის ნაკლებად დისციპლინირებული დეპუტატებიც ამჩნევენ, რომლებიც ზოგჯერ ჩემთან სასაუბროდ ამოდიან. მაგრამ, ეს არის სამუშაო ვითარება, პარლამენტს ეს სპეციფიკა აქვს. ეს ისეთივე სამუშაო რეჟიმია, როგორც თქვენ გაქვთ რედაქციაში. კამათი და მით უფრო, არა კანონებზე, გარეშე თვალისთვის მართლაც ცუდი სანახავია... მაგრამ, სანამ დემოკრატიული პროცესები ღრმად არ წავა და დემოკრატიული ინსტიტუტები საბოლოოდ არ ჩამოყალიბდება, პარლამენტის სხდომების ტრანსლაციის მომხრე ვარ. პარლამენტის გაძლიერებაზე სერიოზულად ვფიქრობ და ამ გეგმას განვითარების გარკვეული ეტაპები აქვს...

– თავს სუსტად გრძნობთ?

– მე – არა, მაგრამ ვფიქრობ, რომ პარლამენტი ვერ ასრულებს იმ ფუნქციას, რომელიც მას აკისრია. მხედველობაში მაქვს

არაკანონშემოქმედებითი, არამედ საზედამხედველო, აღმასრულებელი ხელისუფლების კონტროლის ფუნქცია. ეს გარკვეულწილად გასაგები იყო, რადგან მთელი წინა წლის განმავლობაში ფორსმაჟორში ვმუშაობდით. ანომალიაა, როცა ერთ სესიაზე 90 კანონს იღებ. მეორე მხრივ, მთავრობის მუშაობისთვის აუცილებლად უნდა მიგვეცა მინიმალური შესაძლებლობები. გარწმუნებთ, თებერვლიდან ასე აღარ იქნება და იმიტომ, რომ ერთ სესიაზე მიღებული 80 კანონი სათანადო ხარისხის ვერ იქნება. პრეზიდენტთან მქონდა კონსულტაციები და ის გაგებით მოეკიდა ამ საკითხს. მოხარული ვარ, რომ პრემიერ-მინისტრიც გაგებით მოეკიდა ამ საკითხს. მას განვუმარტე, რომ პარლამენტი ამ რეჟიმში ვეღარ და აღარ გააგრძელებს მუშაობას. რა თქმა უნდა, გამონაკლისები იქნება, მაგრამ ეს 100-დან 4-5 კანონი შეიძლება იყოს. ყველა გაივლის სათანადო პროცედურას, რაც იმასაც გულისხმობს, რომ მთავრობა ასე მარტივად თვეში ორ ერთმანეთისგან განსხვავებულ ცვლილებას ვერ შემოიტანს, უფრო მობილიზებული გახდება და სტრატეგიაზე იფიქრებს. თითოეულ დარგში გვჭირდება სტრატეგიული განვითარების გეგმა. რაც მთავარია – პარლამენტმა თვალი უნდა ადევნოს მის მიერ მიღებული კანონების მუშაობას. იმედი მაქვს, რომ პარლამენტში რომელიმე კანონის ჩაგდება, ან დაწუნება მთავრობის მხრიდან არ იქნება აღქმული, როგორც დაპირისპირება და სახელისუფლებო კრიზისი (როგორც საბიუჯეტო კრიზისის დროს მოხდა). ეს მისასალმებელი, ნორმალური პროცესია. რაც უფრო თვითკრიტიკულები ვიქნებით, მით უფრო ნაკლებ შეცდომებს დავუშვებთ.

– პოლიტიკოსთა ნაწილი ოპოზიციურ გამოსვლას ძალიან მძაფრად აღიქვამს...

– კრიტიკა არავის უყვარს.

– დიახ, მაგრამ ხელისუფლებას გააფთრებული იცავენ, საჭიროა თუ არა ეს. ადამიანებს ყოველ დროში სჭირდებათ კერპი და ახლაც. როდის დამთავრდება საქართველოში ცნება „გარემოცვა“?

– ძალიან ხშირად მაღალი თანამდებობის პირთა მიერ დაშვებული შეცდომები გარემოცვის ბრალია. ადამიანებს კარგის მოსმენა ურჩევნიათ. გარემოცვისა და ერთგული ადამიანის მთავარი ფუნქცია ის არის, რომ რაც უნდა არასასიამოვნო იყოს, ობიექტური რეალობა უთხრას. ამიტომ ვარ მტკიცე და თავს ძლიერად ვგრძნობ, როცა ვამბობ, რომ პარლამენტი კრიტიკული და მკაცრი უნდა იყოს. მაქსიმალურად აღვკვეთ ზოგიერთი ჩემი კოლეგის მოჭარბებულ სურვილს, გადაეფაროს მთავრობას, ეს დათვური სამსახურია. საჭიროა ოპოზიციაც მაქსიმალურად დაკავდეს საპარლამენტო მუშაობით. თქვენ ნახეთ ევროსაბჭოს დასკვნა, სადაც წერია, რომ საპარლამენტო ოპოზიცია არ არსებობს. ეს ასე არ არის, ოპოზიცია, რა თქმა, უნდა არსებობს, მაგრამ ის რომ სუსტია, ხელისუფლების ბრალი ნამდვილად არ არის. ვერავინ იტყვის, რომ მათ პარლამენტში ვინმე ჩაგრავს, მიკროფონი მათთვის ყოველთვის ჩართულია. მირჩევნია, ოპოზიცია ძლიერად და არგუმენტირებულად გამოდიოდეს. ამას, ალბათ, დრო დაალაგებს.

– უმრავლესობა ხშირად ითვალისწინებს ოპოზიციის შენიშვნებს?

– ძალიან სურთ, წარმოადგინონ, რომ ეს პარლამენტი ჯიბის არის და ყველაფერზე თავს უქნევს მთავრობას. გაიხსენეთ, როგორი იყო საგადასახადო დებატები და როგორი პრინციპული დეტალები შევაცვლევინეთ მთავრობას?! თავიდან მთავრობა ამბობდა, რომ ნდობაზე დააყენებს საკითხს და ამას არ შეცვლის, მაგრამ რადიკალურად შეიცვალა საგადასახადო კოდექსი და ყველა კომპეტენტური სპეციალისტის აზრიც ეს არის. გაიხსენეთ, როგორ შეიცვალა კანონი ამნისტიის შესახებ, მაუწყებლობის შესახებ და სხვა... ოპოზიციას სათქმელი ნაკლები რჩება იმიტომ, რომ რაციონალურ აზრს თავად ვუწევთ ანგარიშს.

ესაუბრა მაია ჭალაგანიძე

24 საათი 2005. – 29 – იანვარი – №20 – გვ. 1-B1

პარლამენტის თავმჯდომარე პრემიერ-მინისტრს უპირისპირდება

ნინო ბურჯანაძე: „მაგისტრალური გაზსადენის პრივატიზებას არ დავუშვებ“

პარლამენტის თავმჯდომარემ პრემიერ-მინისტრს ოფიციალური წერილი მისწერა და მოსთხოვა, მთავრობამ პარლამენტს თავისი ძირითადი პრიორიტეტების შესახებ ინფორმაცია გადაუგზავნოს. ბურჯანაძე აცხადებს, რომ რევოლუციურ რეჟიმში მუშაობა სრულდება და ამიერიდან საკანონმდებლო ორგანო მთავრობაზე ზედამხედველობას გაამკაცრებს. აქვე ბურჯანაძე აცხადებს, რომ არ დაუშვებს მაგისტრალური მილსადენის პრივატიზებას „გაზპრომის“ მიერ და საამისოდ საკმარისი ბერკეტები გააჩნია.

„მე ნამდვილად არ მომწონს და არ მიხარია, რომ მსხვილი საწარმოები რუსულმა კომპანიებმა იყიდეს“.

„სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ უპირველეს ყოვლისა, პრეზიდენტი არ დაუშვებს იმას, რომ ან შაჰდენიზს და ან ბაქო-ჯეიჰანს რაიმე საფრთხე დაემუქროს“.

„გაზსადენის პრივატიზების და მით უმეტეს რუსეთისთვის მიყიდვის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ“.

ასეთ განცხადებებს აკეთებს პარლამენტის თავმჯდომარე. გთავაზობთ მასთან ექსკლუზიურ ინტერვიუს.

საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციიდან ზუსტად ერთი წლის შემდეგ რამდენიმე საკმაოდ მნიშვნელოვანი ფაქტი ერთმანეთს ემთხვევა. მათ შორის უმთავრესი სააკაშვილის ნობელის პრემიაზე წარდგენაა, რომელიც მის მიერ ევროსაბჭოში კონფლიქტის მოგვარების პროექტის წარდგენისას ხმაურდება.

ამ საკითხებზე და საქართველოში მიმდინარე სხვა პროცესებთან დაკავშირებით „მთელი კვირა“ პარლამენტის თავმჯდომარეს ესაუბრა.

ნინო ბურჯანაძე: ეს მართლაც უპრეცენდენტო და უმნიშვნელოვანესი ფაქტია. დიდი იმედი მაქვს, რომ პოზიტიური გადაწყვეტილებით დასრულდება. ყველაფერს, ფაქტობრივად, არჩევნები წყვეტს და ბოლო შედეგს ვერავინ იწინასწარმეტყველებს, მაგრამ თავისთავად ძალიან საინტერესო და სწორი იდეაა. საქართველოსა და უკრაინის მიერ დემოკრატიულ სივრცეში ადგილის მოპოვება არა მარტო ამ ქვეყნებისთვის, არამედ მთელი ამ რეგიონისთვის მნიშვნელოვანია. თავისთავად უკვე წარდგენა ძალიან დიდი პატივია. აქამდე არც ერთი ქართველი ნობელის პრემიაზე წარდგენილი არ ყოფილა და მინდა, ორივე პრეზიდენტს დიდი წარმატება და ამ ჯილდოს მიღება ვუსურვო.

„მ. კ“: რევოლუციის ავტორებად ყოველთვის თქვენი სამეული სახელდებოდა. ამ პრემიის უკან ბურჯანაძე და ზურაბ ჟვანიაც მოიაზრება?

ნ. ბ.: იმაზე, რომ რევოლუციის სულისჩამდგმელი და წამყვანი ნამდვილად მიხეილ სააკაშვილი იყო, ორი აზრი არ არსებობს. არც ჩვენ და არც ბატონი მიხეილი ერთმანეთის გაკეთებულის იგნორირებას არ ვაპირებთ, მაგრამ ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ რევოლუციის ლიდერი ნამდვილად სააკაშვილი იყო და სრულიად მისი დამსახურებაა, რომ ეს ტიტული მან მიიღო. მთავარია, რომ ჩვენ ერთად გავაკეთოთ ისეთი საქმეები, რომ ქვეყანა გზაზე დავაყენოთ. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ იმ საქმეში, რომელშიც სააკაშვილის ღვაწლი ასე დააფასეს, თითოეული ჩვენგანის წვლილიც არის.

„მ. კ“: საქართველოსა და უკრაინის ახალ კავშირს საერთაშორისო თვალსაზრისით რა პერსპექტივა აქვს? თუნდაც შავი ზღვისპირეთის ქვეყნების კავშირის თვალსაზრისით?

ნ. ბ.: უკრაინა და საქართველო აქამდეც ძალიან ახლო პოზიციებით გამოვდიოდით და, როგორც წესი, საერთაშორისო

ორგანიზაციებში ერთმანეთს მხარს აქამდეც ვუჭერდით. ასე რომ, ეს კავშირი არსებობს და ამის შემდეგ ეს ტრადიცია უფრო მეტად გაძლიერდება. რაც შეეხება შავი ზღვისპირეთის ქვეყნების კავშირს, საქართველო თავისთავად არის შავი ზღვის ქვეყანა და ჩვენ პირველად ახლა არ დავაყენეთ ის საკითხი, რომ ამ მდებარეობის გამო ჩვენი ქვეყანა ე. წ. ხმელთაშუა ზღვის უსაფრთხოების პროცესში ჩაერთოს. ჩვენ ეს საკითხი ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინათ საბერძნეთში, ეუთოს გაფართოებულ კომიტეტის სხდომაზე დავაყენეთ და ჩვენი ევროპელი კოლეგები კარგად გამოეხმაურნენ. მე შევეცადე ამეხსნა, რომ შავი ზღვა ხმელთაშუა ზღვის განუყოფელი ნაწილია. შავ ზღვას გასასვლელი აქვს მხოლოდ ხმელთაშუა ზღვით. თუნდაც ბალკანეთის მოვლენებმა დაგვანახა, რომ შავი და ხმელთაშუა ზღვის სივრცეები ერთმანეთზე ძალიან ძლიერად არის გადაჯაჭვული. ძალიან ძნელია ილაპარაკო ხმელთაშუა ზღვის უსაფრთხოებაზე შავი ზღვის უსაფრთხოების გარეშე. ამიტომ ჩვენი წინადადება იყო, რომ ხმელთაშუა ზღვის უსაფრთხოებაში ჩაერთოს შავი ზღვის უსაფრთხოებაც, მით უმეტეს, რომ შავი ზღვის ქვეყნებიდან თურქეთი, რუმინეთი და ბულგარეთი ნატოს წევრი ქვეყნებია. უკრაინასა და საქართველოს ნატოსთან განსაკუთრებული ურთიერთობები აქვს. ასევე ძალიან საინტერესო იდეა იყო ე. წ. სამი ზღვის – ბალტიის, შავი და ხმელთაშუა ზღვების თანამშრომლობა, რომელზეც ჩვენ ასევე ძალიან სერიოზულად ვიმუშავებთ.

„მ. კ“: საქართველოს ინიციატივას, რომ ამ თანამშრომლობაში ჩაერთოს, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან როგორ შეხვდნენ?

ნ. ბ.: ძალიან პოზიტიურად. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ყველა შეხვედრაზე ეს სურვილი გავახმოვანეთ. საქართველო არის ევროკავშირის სამეზობლო ინიციატივის წევრი ქვეყანა, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, ერთხელ და სამუდამოდ დამკვიდრდეს, რომ საქართველო არის სამხრეთ-აღმოსავლეთ

ევროპა. სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში საქართველოს მონაწილეობა ევროპასა და ევროკავშირთან დაახლოების კიდევ ერთი სერიოზული ნაბიჯი იქნება. ეს ინიციატივა რამდენიმე ხნის წინათ იყო გაჟღერებული. ამას კიდევ ერთხელ გავუსვი ხაზი ჩემი რუმინეთში ვიზიტისას და ასევე უკრაინაში გამართული შეხვედრებისას.

„მ. კ“: უკრაინის პრეზიდენტის ინაუგურაციისას თქვენ საკმაოდ მნიშვნელოვანი შეხვედრები გამართეთ...

ნ. ბ.: რეგიონისთვის უკრაინა იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ამ რევოლუციის გავლენა მხოლოდ ერთი ქვეყნის ფარგლებს სცილდება. პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა იმას, რა მოხდებოდა უკრაინაში იგივე დსთ-ის სივრცისათვის. ძალზე მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე ის, რომ უკრაინა კიდევ ერთი ძალიან სერიოზული მაგალითი აღმოჩნდა იმისა, რომ უკრაინელ ხალხს ვერავინ ვეღარ უკარნახებს, პრეზიდენტად ვინ აირჩიოს, როგორ იცხოვროს და ა. შ. ეს ძალიან სერიოზული გაკვეთილი იყო რუსეთში იმ ძალებისთვის, რომლებიც ცდილობდნენ უკრაინელი ხალხისთვის თავისი აზრი მოეხვიათ. რაც შეეხება ჩემს შეხვედრებს, მე მიმაჩნია, რომ ძალზე მნიშვნელოვანი და საინტერესო შეხვედრები შედგა. უკრაინის პრეზიდენტს საინტერესო ხედვა აქვს, თუ როგორ უნდა განვითარდეს უკრაინისა და საქართველოს ურთიერთობები. ჩვენ მართლაც ძალიან ბევრი ვისაუბრეთ ჩვენი თანამშრომლობის მომავალ შესაძლო პერსპექტივებზე. ის ფაქტი, რომ საქართველოს პრეზიდენტს და პირადად მე უკრაინის პრეზიდენტთან ძალიან ახლო ურთიერთობა გვაკავშირებს, ძალიან მნიშვნელოვანია. მაგრამ გადამწყვეტი მაინც ის არის, რომ ჩვენი ხედვა ერთმანეთს ემთხვევა ჩვენი ქვეყნების მომავლის თაობაზე, იმ გზებსა და სისტემაზე, როგორ უნდა განვითარდეს მომავალში ქვეყნის აღმშენებლობის პროცესიც და ჩვენი ევროპასთან და ნატოში ინტეგრაციის პროცესიც. ძალიან საინტერესო საუბარი მქონდა იულია ტიმოშენკოსთან, რომელიც ახლა პრემიერ-მინისტრის მოვალეობას

ასრულებს. მას საკმაოდ საინტერესო პროექტები აქვს საქართველოსთან ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარების თვალსაზრისით. მქონდა ხანგრძლივი შეხვედრა უკრაინის პარლამენტის თავმჯდომარესთან. ბატონ ლიტვინთან მოვილაპარაკეთ პარლამენტების შემდგომ თანამშრომლობაზე. უახლოეს ხანებში ლიტვინი საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვევა და ამის შემდეგ ჩვენი თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება. შედგა ჩემი საუბარი ლატვიის პრეზიდენტთან. მან განაცხადა, რომ საქართველოს თანადგომა მას თავის მოვალეობად და მისი ხალხის ვალად მიაჩნია. ძალიან დაინტერესდნენ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემატიკით და იმ ინიციატივით, რომელზეც მე ზოგად კონტექსტში ვუთხარი, რასაც პრეზიდენტი ევროსაბჭოში გახმოვანებას აპირებდა. არ არის გამორიცხული, რომ 2006 წელს ნატოს სამიტი სწორედ ლატვიაში გაიმართოს და ცხადია, საქართველოს მიმართ ლატვიის პოზიციას სერიოზული მნიშვნელობა ექნება. ჩვენ ვისაუბრეთ საქართველოს გეოსტრატეგიულ მდგომარეობაზე, საქართველოს როგორც სავაჭრო, ასევე პოლიტიკური და ტრანზიტული პოტენციალის გამოყენების პერსპექტივაზე. მან განაცხადა მზადყოფნა, რომ მიიღოს ჩვენი პრეზიდენტის მოწვევა და უახლოეს ხანებში საქართველოს ოფიციალური ვიზიტით ეწვიოს. გვქონდა ხანგრძლივი შეხვედრა ლიტვის პარლამენტის თავმჯდომარესთან. ბატონი პაულაუსკასი ჩვენი ძველი მეგობარია. ის კარგად იცნობს საქართველოს და ამჟამად საზღვრის მონიტორინგის პრობლემით ძალზე დაინტერესდა; სრული მზადყოფნა გამოხატა იმისათვის, რომ საზღვრის მონიტორინგის აღსადგენად დახმარება და მხარდაჭერა გამოხატოს. ესტონეთის პრეზიდენტი განსაკუთრებით აფხაზეთის პრობლემატიკით დაინტერესდა და გვირჩია, რომ მაქსიმალურად მოხდეს საქართველოს გააქტიურება ევროპროცესებთან მიმართებაში. შეხვედრა გვქონდა ეუთოს გენერალურ მდივანთან, ბატონ კუბიჩთან. მან გამოხატა შეშფოთება იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ საზღვრის მონიტო-

რინგის საკითხი ვერა და ვერ მოწესრიგდა. უახლოეს ხანებში, სავარაუდოდ თებერვალში, იგი საქართველოში აუცილებლად ჩამოვა და ამ საკითხზე სერიოზული მსჯელობა გაიმართება. ვესაუბრე ეუთოს მოქმედ თავმჯდომარეს, სლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრს, რომელიც დეტალურად ჩავაყენე საქმის კურსში, თუ რა ხდება საზღვრის მონიტორინგთან დაკავშირებით, რა ბრალდებები ისმის პანკისთან მიმართებაში რუსეთის მხრიდან და განვუმარტე, რომ რუსეთის პოზიციაში ლოგიკა არ არსებობს. თუ რუსეთი თვლის, რომ პანკისის ხეობიდან მას საფრთხე ემუქრება, მაშინ პირიქით უნდა იყოს დაინტერესებული, რომ მონიტორინგი არათუ არ გაუქმდეს, არამედ ეს მისია გაფართოვდეს. მე შევთავაზე, რომ ჩვენ მზად ვართ, აბსოლუტურად გამჭვირვალე იყოს როგორც პანკისი, ასევე საქართველოს ნებისმიერი კუთხე და მივიღოთ ნებისმიერი საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი, რათა დარწმუნდნენ, რომ საქართველოში საერთაშორისო ტერორისტები არ არიან. იგი ამ წინადადებით ძალიან დაინტერესდა და მითხრა, რომ თებერვალში მოსკოვში ვიზიტისას ამ წინადადებას განიხილავს. საუბარი მქონდა კოლინ პაუელთან, რომელიც კვლავ ადასტურებს საქართველოსადმი მის კეთილგანწყობას და აშშ-ის მხრიდან დიდ მხარდაჭერას. შედგა ჩვენი საუბარი რუსეთის ფედერაციის თავმჯდომარესთან. მირონოვს დეტალურად ვუთხარი ჩვენი ხედვა საზღვრის მონიტორინგთან დაკავშირებით, ასევე იმ განცხადებებთან დაკავშირებით, რასაც რუსი პოლიტიკოსები აკეთებენ. ავუხსენი, რომ ეს განცხადებები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში პოზიტიურ როლს ნამდვილად არ თამაშობს. ჩვენ შევთანხმდით, რომ თებერვალ-მარტში თბილისში კავკასიის ოთხეულის შეხვედრა შედგეს. თუკი მისი ვიზიტი შედგა, მე ვფიქრობ, რომ რუსეთისა და საქართველოს პარლამენტებს შორის ურთიერთობაში ახალი ეტაპი დაიწყება.

„მ. კ“: პრეზიდენტმა კონფლიქტის მოგვარების პროექტი წარადგინა. რამდენად შესრულებადი იქნება ეს პროექტი?

ნ. ბ.: ძალიან სასიამოვნო იყო იმის ყურება და მოსმენა, ჩვენი პრეზიდენტი საქართველოს ინტერესებს ევროსაბჭოს ტრიბუნიდან როგორ კომპეტენტურად იცავდა. ეს პირველი შემთხვევაა, როდესაც საქართველოს პრეზიდენტი ევროპული სტრუქტურების წინაშე ასეთი ახალი ინიციატივით გამოდის და მე ვფიქრობ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას ამასთან დაკავშირებით აბსოლუტურად ადეკვატური რეაქცია ექნება. ამ განცხადებით კიდევ ერთხელ დავადასტურეთ, რომ ჩვენ ნამდვილად გვინდა მშვიდობიანი დარეგულირების გზა ვიპოვოთ და ჩვენ მზად ვართ ყველა იმ ხალხს და ერს, ვინც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობს, პატივისცემით მოვეპყრათ, მაგრამ ცხადია, საქართველოს ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტების სრული გათვალისწინებით. პრეზიდენტის გამოსვლა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში ისტორიული მოვლენა იყო. იმედი მინდა ვიქონიოთ, რომ ამას არამარტო ევროპელი პოლიტიკოსები გამოეხმაურებიან, არამედ იგივე კონფლიქტური ზონის წარმომადგენლები. თუკი ისინი ამ უმნიშვნელოვანეს ინიციატივებს არაფრად ჩააგდებენ, კიდევ ერთხელ დაადასტურებენ, რომ მათ არავითარი პოლიტიკური მოწესრიგება არ სურთ და როდესაც მშვიდობაზე საუბრობენ, მხოლოდ დემაგოგიით იფარგლებიან. რაც შეეხება იმ ცვლილებებს, რაც შეტანილ იქნა მონიტორინგის ჯგუფის შენიშვნებში, ჩვენს მიერ შეთავაზებული ბევრი ცვლილება გაზიარებულ იქნა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ ჩვენ უკვე ცივილიზებული სამყაროს წევრები ვართ, სადაც კრიტიკა ნორმალური ცხოვრების წესია. თუკი ჩვენი ევროპელი კოლეგები რაღაც საკითხებში გვაკრიტიკებენ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მათი კრიტიკა ასი პროცენტით სამართლიანია. თუმცა ცხადია, რომ აქ სამართლიანი არგუმენტებიც იყო, რომლის გაზიარებაც ჩვენთვის პრობლემას ნამდვილად არ წარმოადგენს. იმ შენიშვნებზე, რაც იყო ციხეში ადამიანების მდგომარეობის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით, სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის

გაძლიერებასთან დაკავშირებით ჩვენც ვსაუბრობთ. მაგრამ რაც შეეხება აჭარის სტატუსს, ამ საკითხს ნამდვილად ვერ გავიზიარებთ და განვუმარტეთ, რატომ. ეს ის მოდელია, რომელიც აჭარის მოსახლეობასა და მთელ საქართველოს მდგომარეობის გაუმჯობესების პირობას ნამდვილად უქმნის.

„მ. კ“: პარლამენტის შესუსტების შესახებ შენიშვნაზე რას იტყვით?

ნ. ბ.: იქ საუბარი იმაზეც იყო, რომ ახალი კონსტიტუციით პარლამენტის ფუნქციები შესუსტდა, მაგრამ ამ შენიშვნაში ძირითადი აქცენტი გაკეთებული იყო იმაზე, რომ პრეზიდენტს აქვს პარლამენტის დათხოვნის უფლება. მე თავად ამ მექანიზმში ტრაგიკულს ვერაფერს ვხედავ. ყველა ქვეყანაში, სადაც არსებობს მინისტრთა კაბინეტი, იმისათვის, რომ ხელისუფლების შტოები დაბალანსდეს, პრეზიდენტს აქვს ან მთავრობის, ან პარლამენტის დათხოვნის უფლება. ამით ის კრიზისს, რაც ნორმალურ ქვეყნებში მინისტრთა კაბინეტსა და პარლამენტს შორის წარმოიშვება ხოლმე, განმუხტავს. ამიტომ ეს პრობლემა არ არის. პრობლემა არის ის, რომ პარლამენტმა და პარლამენტარებმა შეასრულონ ის ფუნქცია, რაც მათ დაკისრებული აქვთ. დღევანდელი კონსტიტუციით ჩვენ საკმარისი უფლება გვაქვს იმისათვის, რომ პარლამენტი იყოს ძლიერი. საკმარისი ძალაუფლება გვაქვს იმისათვის, რომ პარლამენტმა აღმასრულებელი ხელისუფლება აკონტროლოს, მაგრამ ჯერჯერობით პარლამენტი ამ ფუნქციას ვერ ასრულებს. წინა წელს მაინც პოსტრევოლუციური პერიოდი იყო და მუდმივად ფორსმაჟორულ მდგომარეობაში ვმუშაობდით. მთავარი იყო, რომ მთავრობისთვის საკანონმდებლო ბაზა მიგვეცა. ახლა პარლამენტი აღარ და ვეღარ გააგრძელებს მუშაობას იმ რეჟიმში, როგორც გასული წლის ბოლომდე ვმუშაობდით. შეუძლებელია, რომ პარლამენტმა თითო სესიის განმავლობაში ასამდე კანონი მიიღოს. მე რამდენიმე დღის წინ ზურაბ ჟვანიასთან მქონდა საუბარი და ოფიციალური წერილიც გავუგზავნე, რომ გამოგვიგზავნოს პრიორიტეტი: პარ-

ლამენტმა რა მიმართულებით უნდა იმუშაოს, რომ მთავრობას ხელი არ შეეშალოს. ეს არ არის კაპრიზი, ეს არის აუცილებლობა იმისათვის, რომ პარლამენტს, როგორც ინსტიტუციას, თავისი ფუნქციები ჰქონდეს. გარდა ამისა, ეს კარგი შესაძლებლობაა იმისათვის, რომ ჩვენ მთავრობას დავეხმაროთ, რათა თავისი საქმიანობა სისტემაში მოიყვანოს და ერთიან კონცეფციაში მუშაობდეს. დასამალი ნამდვილად არ არის, რომ დღეს მთავრობის კონცეფცია და სტრატეგია კარგად და ნათლად ჩამოყალიბებული არ ჩანს. მთავრობამ უნდა იცოდეს, დღეს რომ კანონს შემოიტანს, ხვალ პარლამენტი ამის საწინააღმდეგო კანონს ნამდვილად აღარ მიიღებს. ბატონ ზურაბთან დამატებითი საუბარი კიდევ მქონდა და იმედი მაქვს, რომ მომავალი ბიუროს სხდომისთვის ასეთი პრიორიტეტები გამოგზავნილი იქნება. თუ არ იქნება, მერე გული ნურავის დასწყდება, თუკი ჩვენ იმ რეგლამენტით ვიმუშავებთ, რაც არსებობს.

„მ. კ“: პარლამენტი პრიორიტეტს რა საკითხებს მიანიჭებს?

ნ. ბ.: სამწუხაროდ, არ გვქონდა ეროვნული უშიშროების კონცეფცია. ხელისუფლებამ ეს კონცეფცია შეიმუშავა და ესეც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, რომლის მიხედვითაც ჩვენ ვილაპარაკებთ, როგორი უნდა იყოს ქვეყნის პოლიტიკა. ასევე ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იქნება იმ კანონპროექტების მიღება, რომლებიც თვითმმართველობის საკითხებს მოაგვარებს.

„მ. კ“: რაც შეეხება პრივატიზაციის პროცესს, უკვე საუბრობენ, რომ რუსეთი სერიოზული მონოპოლისტი გახდება. ამასთან ბენდუქიძემ განაცხადა, რომ მას ნაკლებად აინტერესებს გაზსადენის „გაზპრომისათვის“ მიყიდვის გამო შაჰ-დენიზის პროექტს საფრთხე რამდენად შეექმნება. თვლით თუ არა, რომ ასეთი გადაწყვეტილებები საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ არის მიმართული?

ნ. ბ.: მე არ ვიცი, მან ასეთი განცხადება რატომ გააკეთა. მაგრამ ისეთ მნიშვნელოვან ფიგურას, როგორიც არის მინისტრი

და მით უმეტეს იმ სამინისტროს ხელმძღვანელს, რომელსაც ბატონი კახა ხელმძღვანელობს, განსაკუთრებით უნდა აინტერესებდეს, რა ბედი ეწევა ბაქო-ჯეიჰანს ან შაჰ-დენიზს. მე პირადად ნამდვილად მაინტერესებს, რა პრობლემები ექნება ამ პროექტებს და გარწმუნებთ, ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ამ პროექტს პრობლემა არ შეექმნას. ნებისმიერი საკითხიც კი, რომელიც ამ პროექტებს კითხვის ნიშანს ოდნავ მაინც დაუსვამს, ჩემი მხრიდან ძალიან სერიოზული კრიტიკის საგანი იქნება. არა მგონია, რომ თუკი ირანული გაზის გატარებაზე იქნება საუბარი, ეს მოლაპარაკება ისე წარიმართოს, მსოფლიოში არავის აზრი გავითვალისწინოთ და რაღაცა სეპარატისტული გადაწყვეტილებები მივიღოთ. ირანთან ძალიან ბევრი ქვეყანა თანამშრომლობს. არის სფეროები, სადაც ირანთან აშშ-იც თანამშრომლობს. მე იმედი მაქვს, რომ რეგიონში ვითარება შეიცვლება და ირანთან თანამშრომლობა ძალზე აქტიური გახდება. მაგრამ ნებისმიერი ამ ტიპის საკითხი პარლამენტში სერიოზულად უნდა იქნას განხილული. პარლამენტი არის ის ორგანო, რომელიც ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს. ამიტომ ძალიან ბევრია დამოკიდებული პარლამენტარების აქტიურობასა და მათი არგუმენტების ხარისხზე. მე მართლა მეგონა, რომ იგივე პრივატიზაციის საკითხებთან დაკავშირებით პარლამენტარები უფრო მეტ აქტიურობას გამოიჩენდნენ. მე პირადად არანაირი სურვილი არა მაქვს, რომ ყველა საპრივატიზაციო ობიექტი რუსულმა კაპიტალმა ჩაიგდოს ხელში და საქართველოში მოქმედი ყველა კომპანია რუსეთს ეკუთვნოდეს. მე მიმაჩნია, რომ ბაზრის რაც მეტი გაჯერება იქნება, საქართველოსთვის მით უფრო უკეთესი იქნება. მე მესმის, რომ ეს ადვილი მისაღწევი არ არის. ნამდვილად არ მაქვს იმის ილუზია, რომ მთავრობა ერთი ხელის აქნევით მთელი მსოფლიოს ინვესტორებს დააინტერესებს, მაგრამ ამისდა მიუხედავად, საპრივატიზაციო პროცესში მეტი ყურადღება და მეტი გამჭვირვალეობა გვჭირდება.

„მ. კ“: პირადად თქვენ საპრივატიზაციო პროცესში რა არ მოგწონთ?

ნ. ბ.: მე ნამდვილად არ მომწონს და არ მიხარია, რომ მსხვილი საწარმოები რუსულმა კომპანიებმა იყიდეს. შესაძლოა, ამაში ცუდი არც არაფერი იყოს. არიან ადამიანები, ვინც ზუსტად ასე ფიქრობს, მაგრამ მე მირჩევნია, რომ ასე არ იყოს. ამ კერძო კომპანიების უკან რომ სახელმწიფო დგას, ამაზე ორი აზრი ნამდვილად არ არსებობს. მე ნამდვილად მირჩევნია, რომ საქართველოში რუსული კომპანიები მონოპოლიურ მდგომარეობაში არ იყვნენ. რაც შეეხება გაზსადენის პრივატიზებას, მე ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, მით უმეტეს, რუსეთისთვის მიყიდვის თაობაზე. მე ამის შესახებ მთავრობის ხელმძღვანელობისთვის ნათქვამი მაქვს და არ ვიცი არგუმენტი, რატომ უნდა მიჰყიდონ რუსეთს.

„მ. კ“: რეალურად რა ბერკეტები გაქვთ?

ნ. ბ.: მე არ მინდა წინასწარ ვილაპარაკო. არსებობს კონსტიტუცია და არსებობს კანონი. ბოლოს და ბოლოს, არსებობს საზოგადოებრივი აზრი. ყველა კანონიერი გზა და საშუალება არსებობს იმისათვის, რომ ყველა ადამიანმა თავისი პოზიცია დააფიქსიროს და ეცადოს, რომ ის გადაწყვეტილება იქნას მიღებული, რაც ქვეყნისთვის სწორად მიაჩნია. პარლამენტის თავმჯდომარეს კი ამის ბერკეტები ნამდვილად გააჩნია. უპირველეს ყოვლისა, მე დარწმუნებული ვარ, მექნება შესაძლებლობა ამ საკითხზე ძალიან სერიოზულად თავად პრეზიდენტთან ვიმსჯელო და მას ვუთხრა ჩემი არგუმენტები. სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ უპირველეს ყოვლისა, პრეზიდენტი არ დაუშვებს იმას, რომ ან შაჰ-დენიზს და ან ბაქო-ჯეიჰანს რაიმე საფრთხე დაემუქროს.

რუსიკო მაჩაიძე

მთელი კვირა. – 2005, 31 იანვარი, №21, გვ. 2-7

გერმანული ყოველკვირეული DAS PARLAMENT. ნინო ბურჯანაძე: ჩვენ, ქართველები, საოცარი ხალხი ვართ

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის ინტერვიუ

DAS PARLAMENT: რა პროგრესს მიაღწიეს საქართველოში „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ გასული ერთი წლის განმავლობაში?

ბურჯანაძე: შემიძლია დავასახელო მთელი რიგი წარმატებები. მაგრამ ჩვენ ასევე კარგად გვაქვს შეგნებული, რომ ასეთ მოკლე ვადებში მემკვიდრეობით დარჩენილი პრობლემების გადაჭრა შეუძლებელია. ჩვენ ხომ კატასტროფის პირას ვიყავით მისული. ჩვენი ყველაზე მთავარი წარმატებაა ის, რომ ქართველებმა შეიგნეს: ხელისუფლების სათავეში არიან ადამიანები, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ არ გაუცრუოთ მათ იდეები.

DAS PARLAMENT: როგორია ამაზე ხალხის რეაქცია?

ბურჯანაძე: ჩვენ ქართველები საოცარი ხალხი ვართ. არჩევნების წინ ყველა უკმაყოფილო იყო იმის გამო, რომ შევარდნაძე არ ებრძოდა კორუფციას და არავინ არ დაუპატიმრებია. როცა ჩვენ მოვედით ხელისუფლების სათავეში და შევუდექით დამნაშავეთა დაკავებას, ამის გამო გაკრიტიკება დაგვიწყეს. ახლა ჩვენ ვცდილობთ, ამაზე ბევრი არ ვილაპარაკოთ.

DAS PARLAMENT: რა გზით შეიძლება სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მოწესრიგება?

ბურჯანაძე: საქართველოს მთავრობას და ხალხს ამ კონფლიქტის მშვიდობიანად მოწესრიგება სურთ. პრეზიდენტმა სააკაშვილმა სამხრეთ ოსეთს შესთავაზა ავტონომიის სტატუსი. მაგალითად, ოსებს შეეძლებათ, ბავშვებს სკოლაში ასწავლონ

მშობლიურ, ოსურ ენაზე. გარდა ამისა, ჩვენ მათ ვთავაზობთ სახელისუფლებო უფლებამოსილებათა ნაწილს, ოღონდ, მხოლოდ რეგიონალურ, და არა საერთო-სახელმწიფო დონეზე.

DAS PARLAMENT: უნდა დადგინდეს გარკვეული კვოტები?

ბურჯანაძე: არა. მე კვოტების პრინციპული წინააღმდეგი ვარ. ალბათ, არ მოვისურვებდი პარლამენტის თავმჯდომარედ ყოფნას მხოლოდ იმის გამო, რომ ქალი ვარ. ჩვენ გვსურს, დავიცვათ ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები და გავუნაწილოთ მათ ხელისუფლება. მაგრამ ჩვენ არ გვსურს, მოვახდინოთ მოსახლეობის უმრავლესობის საპასუხო რეაქციის პროვოცირება. ჩვენი მიზანია, უშიშროების გარანტია მივცეთ ოსი უმცირესობის წარმომადგენლებს. მაგრამ ჩვენ არ ვაპირებთ დაუსრულებლად ველოდოთ მოვლენათა განვითარებას და იმას, თუ ერთი მუჭა სეპარატისტები როდის გამოთქვამენ მზადყოფნას მოლაპარაკების დაწყებისთვის. ამიტომ ვითხოვთ მხარდაჭერას საერთაშორისო ორგანიზაციებისგან. ჩვენ უნდა შევაგნებინოთ სეპარატისტებს, რომ მოლაპარაკების გარდა სხვა გამოსავალი არ არსებობს.

DAS PARLAMENT: როგორია რუსეთის რეაქცია სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით?

ბურჯანაძე: ჩვენ ვთხოვეთ საერთაშორისო ორგანიზაციებს – გაეროს, ევროკავშირს, ეუთოს, ნატოსა და ევროპის საბჭოს – მოახდინონ ზემოქმედება რუსეთზე. ოფიციალურად ეს ქვეყანა გვევლინება შუამავალ სახელმწიფოდ, მაგრამ სინამდვილეში ახორციელებს ორმაგ პოლიტიკას. ერთი მხრივ, მოსკოვი აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მეორე მხრივ კი აშკარად უჭერს მხარს სეპარატისტებს.

DAS PARLAMENT: გარდა ამისა, აფხაზეთის კონფლიქტიც არსებობს.

ბურჯანაძე: აქ პრობლემა უფრო რთულად დგას, ვიდრე სამხრეთ ოსეთში. საქმე ის არის, რომ ოსები უფრო მეტად არიან ინტეგრირებული ქართულ საზოგადოებაში, ვიდრე აფხაზები.

მაგრამ ეჭვი არ მეპარება, რომ აფხაზებთან ერთად გამოვნახავთ მისაღებ გადაწყვეტილებას. აფხაზები მიიღებენ ავტონომიის ყველაზე ფართო უფლებებს მტკიცე საერთაშორისო გარანტიების პირობებში.

DAS PARLAMENT: ასეთ წინადადებას აფხაზები როგორ ეკიდებიან?

ბურჯანაძე: ისინი ერთსა და იმავეს იმეორებენ: ჩვენ გავიმარჯვეთ ომში და ჩვენი დამოუკიდებლობა საერთაშორისო დონეზე ცნეს. ჩვენთან დიალოგისთვის ისინი მზად არ არიან.

DAS PARLAMENT: რუსეთთან ურთიერთობა საკმაოდ დაძაბულია. რა ვითარებაა შექმნილი სადღეისოდ?

ბურჯანაძე: ჩვენი ურთიერთობა რთული იყო. რევოლუციის შემდეგ იმედი გვქონდა, რომ იგი გაუმჯობესდებოდა. ჩვენ გავიღეთ ძალისხმევა ამ მიმართულებით. რუსეთმაც გადმოდგა ასეთი ნაბიჯი. მაგალითად, რუსები არ ჩარეულან, როცა აჭარაში ხდებოდა ხელისუფლების შეცვლა დემოკრატიული გზით. მაგრამ სუვერენული საქართველოსთვის ძალზე მძიმე ტვირთია რუსული ბაზების არსებობა ჩვენს ტერიტორიაზე. მოსკოვი ჯერჯერობით არ აწარმოებს ჩვენთან სერიოზულ მოლაპარაკებას ჯარების გაყვანის შესახებ.

DAS PARLAMENT: რამე პირობები თუ წამოაყენა რუსეთმა ჯარების გაყვანისთვის?

ბურჯანაძე: მოსკოვში შეშფოთებულები არიან ნატოსთან ჩვენი ურთიერთობის გამო. ამიტომ რუსეთმა წამოაყენა ახალი ულტიმატუმი: სანამ გაიყვანენ რუსეთის ჯარებს, მათ სურთ ჩამოგვართვან წერილობითი ვალდებულება იმის თაობაზე, რომ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არ შეიქმნება ბაზები სხვა სახელმწიფოთა არმიებისთვის. ასეთი განცხადების გაკეთება ჩვენ დიდ პრობლემად არ მიგვაჩნია, რადგან თვითონ ვართ დაინტერესებული იმით, რომ საქართველოს ტერიტორიაზე არ იყოს დისლოცირებული უცხო ქვეყნის ჯარები. მე არ გამოვრიცხავ, რომ მივიღებთ კანონს, რომელიც აკრძალავს უცხო ქვეყნების

ჯარების დისლოკაციას ჩვენს ტერიტორიაზე. მაგრამ ეს დამოკიდებული იქნება მოსკოვთან ჩვენი ურთიერთობის შემდგომ განვითარებაზე.

DAS PARLAMENT: საქართველომ მართლა მისცა თავშესაფარი პანკისის ხეობაში „ალ-ქაიდას“ ტერორისტებს?

ბურჯანაძე: ამ საკითხში რუსეთს სურს საქართველო ყველას დაანახოს ძალზე ცუდი კუთხით. თანაც, იგი ეწინააღმდეგება რეგიონში ეუთოს დამკვირვებელთა მისიის გამოგზავნას, რადგან ისინი შეძლებენ ობიექტურად შეაფასონ ადგილზე შექმნილი ვითარება, მაგრამ რუსეთი ამით დაინტერესებული არ არის. მას სურს, საქართველოს დააბრალოს ტერორისტებთან თანამშრომლობა, რათა გაგვიტეხოს სახელი საზღვარგარეთ. და მაინც, როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, ისე რუსეთისა და საქართველოს დაზვერვის წარმომადგენლებს შეეძლოთ დარწმუნებულიყვნენ იმაში, რომ პანკისის ხეობაში ტერორისტთა არანაირი ბანაკები არ არსებობს.

DAS PARLAMENT: რუსეთის ზემოქმედების გამო საქართველო ხომ არ იტყვის უარს ნატოში გაწევრიანებაზე?

ბურჯანაძე: არავითარ შემთხვევაში. ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანება კვლავ დარჩება ჩვენი საგარეო პოლიტიკის უმთავრეს მიზნად. ჩვენ პატივისცემით ვეკიდებით იმას, რომ რუსეთს სურს თავისი სამხრეთი საზღვრების უშიშროების უზრუნველყოფა. მაგრამ საქართველო სუვერენული ქვეყანაა და თვითონ გადაწყვეტს, თუ ვისთან უნდა იმეგობროს. ნატოში გაწევრიანება ჩვენთვის პრიორიტეტია. ამ შემთხვევაში, საქმე ეხება არა უშიშროებას, არამედ ზოგად ღირებულებებს. საქართველო ევროპის ნაწილია კულტურული და პოლიტიკური თვალსაზრისით. რუსეთისგან განსხვავებით, ჩვენ არ გვსურს დემოკრატია „მოვარგოთ“ ჩვენს ეროვნულ ტრადიციებს. ჩვენი აზრით, დემოკრატიულ ღირებულებებს უნივერსალური ხასიათი აქვს.

DAS PARLAMENT: საქართველოს „ვარდების რევოლუციამ“ გამოიწვია პოსტსაბჭოურ სივრცეში დემოკრატიული გარღვევის ახალი ტალღა. რატომ მოხდა ეს მხოლოდ ახლა?

ბურჯანაძე: ჩვენი ხალხები ძალიან მომთმენნი არიან. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არ გვსურდა ახალი გადატრიალების მოწყობა, რადგან, ადამიანებს ეშინოდათ გაუთავებელი კრიზისის, დესტაბილიზაციის და სისხლისღვრის. მაგრამ ნებისმიერ მოთმინებას აქვს საზღვარი.

მოამზადა სიმონ კილაძემ

საქართველოს რესპუბლიკა 2005 წ.– 20 მარტი– №64 გვ.– 1-2

„არასოდეს მიკვირდა საზღვარგარეთ სიარული“

„ახალი თაობა“ გთავაზობთ ინტერვიუს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძესთან

– ქალბატონო ნინო, რუსეთის თავდაცვის მინისტრი ივანოვი საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანის სანაცვლოდ 250-300 მილიონ დოლარს მოითხოვს. საქართველომ რა უნდა დაუპირისპიროს იმ პოზიციას, რომელიც რუსეთის თავდაცვის უწყებას აქვს?

– ჩვენი მოლაპარაკების ძირითადი შეფასებისაგან თავს შევიკავებ. საჭიროა ჩვენი დელეგაცია დაბრუნდეს, რათა ზუსტად გავიაროთ ის პუნქტები, რაც მოლაპარაკების პროცესში იქნა განხილული. რაც შეეხება ბატონ ივანოვის განცხადებას, უნდა გითხრათ, რომ ჩემთან შეხვედრის დროს ივანოვმა სხვა თანხა დაასახელა. ახლა ეს თანხა განახევრებულია, ანუ წინა შეხვედრის დროს 500 მილიონი იყო მოთხოვნილი, რაზეც მე პირდაპირ ვუთხარი ივანოვს, რომ ეს აბსოლუტურად არარეალური თანხაა, როცა საუბარია 2-3 ათასი ადამიანის საქართველოდან გაყვანაზე. ახლა საუბარია 200-300 მილიონზე, რაც წინა მოთხოვნასთან შედარებით განახევრებულია. რამდენად რეალურია ეს თანხა, ძალიან ბევრი ფაქტორია, რომელზეც ექსპერტებმა უნდა იმსჯელონ, ანუ გასათვალისწინებელი უნდა იქნას ის თანხა, რომელსაც რუსეთი წლების განმავლობაში არ იხდიდა ბაზების არენდისათვის, კომუნალური გადასახადები და ბევრი სხვა რამ.

– ქართველ დეპუტატებს მიაჩნიათ, რომ საერთაშორისო თანამეგობრობამ ამ ბაზების გაყვანის სანაცვლოდ რუსეთს, სავარაუდოდ, უნდა გადაუხადოს 8-10 მილიონი დოლარი. ეს თანხა რამდენად რეალურია?

– არა მგონია, რომ 8-10 მილიონი დოლარი რეალური თანხა უნდა იყოს, მაგრამ კიდევ ვიმეორებ, რომ ეს არის საექსპერტო

საქმიანობის არე და ჩვენმა და საერთაშორისო ექსპერტებმა უნდა თქვან საბოლოო თანხა.

– საქართველოში ჩამოსვლას გეგმავს აშშ-ს პრეზიდენტი. ამბობენ, რომ პარლამენტშიც არის დაგეგმილი ბუშის გამოსვლა.

– მე ძალიან ბედნიერი ვარ ამერიკის პრეზიდენტის საქართველოში ვიზიტის გამო. აშშ-ს პრეზიდენტის ჩასვლა ნებისმიერ ქვეყანაში სერიოზული პოლიტიკური ჟესტია, მით უმეტეს ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა. ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა. მე ნამდვილად, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენა. პრეზიდენტ ბუშის მოსვლა პარლამენტში ნამდვილად დაგეგმილია. ცხადია, მას დიდი სიამოვნებით შევხვდებით. ვისაუბრებთ იმ საკითხებზე, რომელიც, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი იქნება, რომ აშშ-ს პრეზიდენტმა ქართველი პარლამენტარებისაგან მოისმინოს.

– საუბარი შეეხება იგივე რუსეთის ბაზების საკითხსაც?

– ცხადია, ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი იქნება ბაზების გაყვანის საკითხი. ჩვენთვის პრიორიტეტული და მნიშვნელოვანია, რომ აშშ-ს პრეზიდენტმა დაინახოს სრული ერთიანობა აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების, მთლიანად საქართველოს მოსახლეობის სურვილი, რომ რუსეთის ბაზები გავიდეს საქართველოდან.

– პარლამენტის მიერ რუსეთის ბაზებთან დაკავშირებით მიღებული დადგენილების არ შესრულების შემთხვევაში რეალურად ამოქმედდება თუ არა ის სანქციები, რომლებიც დადგენილებაშია აღნიშნული?

– გარწმუნებთ, რომ აუცილებლად შესრულდება, რაც დადგენილებაშია აღნიშნული. მე არ მინდა ამ ორთვიანი ვადის გასვლამდე ისეთი ტონით გამოგვივიდეს საუბარი, რომელიც შეიძლება რამენაირი ფორმით ულტიმატუმად ჩაითვალოს. ჩვენ არ ვიყენებთ არავისთან ულტიმატუმის ტონს, მაგრამ ძალიან ღიად ვამბობ იმას, რაც რეალურად იქნება, თუ ამ ორი თვის განმავლობაში პროგრესი მიღწეული არ იქნება. თუნდაც

ბაზების კანონგარეშედ გამოცხადების პროცედურა, ეს არ არის ერთსაათიანი პროცედურა, მაგრამ ეს პროცედურა დაიწყება. რუსი დეპუტატების სარკაზმი ასეთია: „რას ნიშნავს ბაზების კანონგარეშედ გამოცხადება? ეს ნიშნავს იმას, რომ ქართველები თოფს აიღებენ და ესვრიან?“ ეს ამას, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს. დეპუტატებმა იმდენი მაინც კი უნდა იცოდნენ საერთაშორისო სამართალში, რომ კანონგარეშედ გამოცხადება მაინცდამაინც სროლას არ ნიშნავს. ეს ელემენტარულად იმას ნიშნავს, რომ ის სფეროები, რომლებიც შეთანხმებით არის დარეგულირებული: მიმოსვლასთან, ბაზების მომარაგებასთან დაკავშირებით, რეგულირების სფეროდან გამოვა და ელემენტარულად, რუსი სამხედროები საქართველოს ტერიტორიის ერთი ნაწილიდან მეორე ნაწილში ვერ გადაადგილდებიან. არ მოხდება მათი შემოშვება, გაშვება – კი, ბატონო!

– იმ დროს, როცა პარლამენტში რუსეთის ბაზებთან დაკავშირებული დადგენილება მომზადდა, თქვენ საქართველოში არ იმყოფებოდით. მაშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ თქვენ ამ დადგენილების თაობაზე საერთოდ არ იყავით საქმის კურსში. საქართველოში როცა დაბრუნდით, იცოდით თუ არა, რომ ეს დადგენილება უკვე სესიის დღის წესრიგში იყო შეტანილი?

– მე არ ვიცოდი თავად ფაქტი, რომ დადგენილების განხილვა იქნებოდა იმ კვირაში და იმ სესიაზე, რომელზეც დადგენილების განხილვა მოხდა. თავისთავად, დადგენილების შინაარსთან დაკავშირებით, პრეზიდენტთან, უშიშროების საბჭოს შემადგენლობაში, დეპუტეტებთან (იგივე ამ დადგენილების ინიციატორთან, გიგა ბოკერიასთან) რამდენჯერმე გვქონდა საუბარი, ანუ ძირითად პრინციპებზე ჩვენ აბსოლუტურად შეთანხმებული ვიყავით და პოზიცია იყო ერთიანი. აქ საუბარია იმაზე, რომ არც მე და არც პრეზიდენტი არ ვიყავით ინფორმირებული, რომ დეპუტატები ასე სწრაფად გააკეთებდნენ ამ დადგენილების ინიცირებას. ვინაიდან ბატონმა გიგა ბოკერიამ ჩათვალა და ეს ასეც იყო, რომ ჩვენ შინაარსობრივად ყველანაირად შეთანხმე-

ბული ვიყავით, მან მიიჩნია, რომ რაც უფრო სწრაფად იქნებოდა გამოტანილი დადგენილება, მით უკეთესი. პრეზიდენტს და მე ამ შემთხვევაში განსხვავებული აზრი გვქონდა, მაგრამ დეპუტატების უმრავლესობამ ჩათვალა, რომ რადგან ეს „მანქანა დაქოქილი იყო“ (ასე ვთქვათ), აღარ ღირდა რუსეთის მხარესთან ამ არგუმენტის მიცემა, რომ უკან დავიხიეთ ან შეგვეშინდა. აქედან გამომდინარე, გადავწყვიტეთ ამ დადგენილების მიღება, მით უმეტეს, აქ არ იყო ულტიმატუმის და მუშტების ქნევის ტონი. ასე რომ, მე არ მოვახდენდი ამ ინციდენტის დრამატიზებას, იმიტომ რომ შემდეგ სრულიად გაირკვა ეს საკითხები. ნამდვილად ეს ასე არ იყო, რომ ვინმემ შეგნებულად ჩემი უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენებისთვის გააკეთა ეს. მაგრამ ზოგადად ეს ისეთი ინციდენტი იყო, რომელიც ჩვენ კიდევ ერთხელ გვარწმუნებს, რომ კოორდინირებული ქმედება არა მარტო გადაწყვეტილების შინაარსზე, არამედ ფორმაზე, დროზე (თუ როდის ვაკეთებთ ამა თუ იმ განცხადებას) ბევრად უკეთესია, ვიდრე არაკოორდინირებულობა.

– ხშირია ასეთი შემთხვევები, როცა საქართველოში დაბრუნებისას ასეთ სიურპრიზებს გახვედრებენ ცალკეული დეპუტატები?

– არა, მაინცდამაინც ხშირი არ არის. თუმცა ისე არის ხოლმე, რომ რატომღაც საკმაოდ ხშირად, როცა მე არა ვარ ქვეყანაში, რაღაც ხდება. ეს, პრინციპში, გასაგებია, იმიტომ რომ ქვეყანაში იმდენად რთული მდგომარეობაა, რომ სულ რაღაც ხდება. ამას განსაკუთრებულად მწვავედ აღვიქვამ, როცა ქვეყანაში არა ვარ, იმიტომ რომ შორს როცა ხარ, უფრო ღელავ, უფრო განიცდი; იმის განცდა გაქვს, საქართველოში რომ იყო, იქნებ რაღაც უფრო ადვილად დარეგულირდეს. ეს პრობლემა არის. მაგრამ ის, რომ რაიმე განსაკუთრებული და შეგნებული სიურპრიზები კეთდებოდეს ჩემი არყოფნის დროს, მე ასე არ ვთვლი.

– თუმცა ოპოზიცია ამბობს, რომ ბურჯანაძეს საქართველოში არყოფნის დროს ასეთ სიურპრიზებს ხშირად უმზადებენ.

– არა, მე ბევრად უფრო კარგი შეხედულება მაქვს ადამიანებზე, პოლიტიკოსებზე, ვიდრე, როგორც ჩანს, ჩვენი ოპოზიციის წარმომადგენლებს. მე არ გამოვრიცხავ, რომ შეიძლება ცალკეული ადამიანები იყვნენ, ვისაც განსაკუთრებული სიმპათიები ჩემს მიმართ არ ჰქონდეს. შეიძლება ასეთი ადამიანები უმრავლესობის შემადგენლობაშიც იყვნენ, ესეც ტრაგედია არ არის, შეიძლება ყველას არ მოსწონდეს შენი გაკეთებული საქმე. ძირითადად მე ნამდვილად არა მაქვს საპარლამენტო უმრავლესობის აბსოლუტურ უმრავლესობასთან ურთიერთობის პრობლემა. ძალიან ბევრ მათგანთან მართლა კარგად ვთანამშრომლობ. ის, რომ ზოგჯერ ჩვენი აზრი ერთმანეთს არ ემთხვევა, ან ვკამათობთ, ეს აბსოლუტურად ნორმალური პროცესია და ამაში ტრაგიკულს ვერაფერს ვხედავ.

– ქალბატონო ნინო, იმასაც ამბობენ, რომ თქვენ და მაია ნადირაძეს არ გაქვთ კარგი ურთიერთობა და ხშირად ერიდებით ნადირაძესთან სიტუაციის გამწვავებას. ოპოზიციის ზოგიერთ წარმომადგენელი იმასაც ამტკიცებს, რომ ხშირად ეს უკმაყოფილება სახეზე გაქვთ გამოხატული, მაგრამ კორექტულობის ეტიკეტს იცავთ და უხეშად არ პასუხობთ ნადირაძეს.

– ჯერ ერთი, უხეშად მე არავის ვპასუხობ; მერე მეორე: მე ძალიან ნორმალური ურთიერთობა მაქვს ქალბატონ მაიასთან. კიდევ ვიმეორებ: თუ ყოველთვის ჩემი და ნადირაძის პოზიცია ერთმანეთს არ ემთხვევა, ამაში რაიმე განსაკუთრებული არ არის. მე ნამდვილად ვერ ვხედავ აქ რაღაც განსაკუთრებული განცვიფრების საგანს, თუმცა გარწმუნებთ, რომ ჩვენი პოზიციები და მოსაზრებები ძალიან ხშირად ერთმანეთს ემთხვევა. სრულიად ნორმალური და კოლეგიალური ურთიერთობა გვაქვს. მე მგონი, კამათისაგან სახალხოდ ნამდვილად თავს ვიკავებთ. მე ყოველთვის ვცდილობ, რომ არა მარტო ქალბატონ მაიას, არამედ სხვა კოლეგებსაც მაინცდამაინც სახალხოდ არ ვეკამათო და თუ რაიმე სათქმელი მაქვს, მირჩევნია, დახურულ კარს მიღმა ვისაუბროთ. ასე რომ, გამუდმებული მცდელობები

იმისა, რომ მე და ქალბატონი მაია ერთმანეთთან დაპირისპირებულად წარმოგვაჩინონ, მე მგონი, ეს ზოგიერთების უფრო სურვილია, ვიდრე რეალობა. თან, როგორც ჩანს, მამაკაცების უმრავლესობას ჰგონია, რომ თუ ქალები მაღალ თანამდებობაზე არიან, აუცილებლად ერთმანეთს უნდა ექიშპონ (ესეც არ არის სწორი!). გარწმუნებთ, ან მე, ან ქალბატონი მაია ქალები რომ არ ვიყოთ და სახალხოდ უფრო მწვავე კამათიც რომ გვქონდეს, ბევრად ნაკლები ჭორი და განსჯა იქნებოდა, ვიდრე დღეს არის.

– სანამ ოპოზიცია პარლამენტს ბოიკოტს გამოუცხადებდა, „მემარჯვენე ოპოზიციის“ ლიდერთან, დავით გამყრელიძესთან თქვენ შეკამათება მოგიხდათ. გამყრელიძე იმის გამო აღშფოთდა, რომ სხდომის წამყვანი ზის და დეპუტატებს მიკროფონებთან რიგში ფეხზე დგომა უწევთ. ხომ არ აპირებთ, რომ ფეხზე მდგარმა წაიყვანოთ სხდომა, როგორც გამყრელიძემ მოგთხოვათ?

– მე მგონი, ბატონ დავითს სიტყვა გაექცა. დარწმუნებული ვარ, რომ ის ნამდვილად იმას არ გულისხმობდა, რომ მე ფეხზე მდგომს წამეყვანა სხდომა. მაშინ მეც ვისარგებლე შემთხვევით და რეპლიკა ვუთხარი ბატონ დავითს, რომ აწი ფეხზე დამდგარი წავიყვან-მეთქი სხდომას. იცით რა, ნამდვილად არ იყო სამართლიანი მოთხოვნა. ამ შემთხვევაში ზურაბ ტყემალაძის აღშფოთებას ვპასუხობ. მინდა აგიხსნათ, რაზეა საუბარი. ხომ არ შეიძლება დაუსრულებლად გრძელდებოდეს ან კამათის, ან შეკითხვების პროცედურა, როდესაც დეპუტატების გარკვეული რაოდენობა მიკროფონთან დგას, ანუ კამათი როცა სრულდება, მე რამდენჯერმე ვაცხადებ, რომ კამათი მთავრდება და ვისაც რაიმე გაქვთ სათქმელი, გთხოვთ, მიკროფონთან დადგეთ. როცა ვხედავ, რომ ერთი და იგივე კითხვები ისმება, ვაცხადებ: ბოლო მიკროფონები ჩაირთვება. ამის შემდეგ, როცა რამდენჯერმე იტყვი: ბოლო მიკროფონი, ბოლო მიკროფონი და დეპუტატები მაინც ჯიუტად, ბოლო წუთში ადგებიან და დადგებიან მიკროფონთან, ეს უბრალოდ არაკორექტულია. თუ ასე ეზარებათ

ადგომა და მიკროფონთან დგომა, შეუძლიათ ხელით მანიშნონ, ან ჩაეწერონ, რომ მათ კითხვა აქვთ. როგორც წესი, იცით, როგორ არის? დარბაზი ყოველთვის ითხოვს რეგლამენტის დაცვას, კორექტულობას. მაგრამ როცა კონკრეტულ დეპუტატს მოსთხოვ რეგლამენტის დაცვას, კორექტულობას, ზოგჯერ ეს სხვანაირად აღიქმება.

– მას შემდეგ, რაც ოპოზიციამ დარბაზი დატოვა, დილის 11 საათზე რამდენჯერმე იყო კვორუმის პრობლემა. ოპოზიციონერები ხუმრობდნენ, რომ მათ გარეშე კვორუმს ვერ აგროვებთ.

– საკმაოდ უსიამოვნოა, როცა კვორუმი არ გროვდება. ოპოზიციის გარეშე ვაგროვებთ კვორუმს, თუმცა მიმაჩნია, რომ უფრო სწორია ოპოზიცია დარბაზში იყოს და არ ტოვებდეს რაღაც პერიოდულობით მუდმივად დარბაზს, იმიტომ რომ სხდომათა დარბაზი და ტრიბუნა არის ყველაზე საუკეთესო შესაძლებლობა განსხვავეული აზრის დაფიქსირებისთვის. ჩვენ რეგლამენტში მივიღებთ ცვლილებებს, რომელიც საკმაოდ სერიოზულ სანქციებს აკისრებს დეპუტატებს გაცდენებისათვის. იმედი მაქვს, რომ ეს სანქციები უფრო მეტად იმოქმედებს დეპუტატებზე და ისინი სისტემატურად იქნებიან სხდომაზე.

– ოპოზიციას მოუწოდებთ, რომ პარლამენტის სხდომათა დარბაზში დაბრუნდნენ?

– მე თავიდანვე მოვუწოდებდი, რომ დარბაზიდან არ გასულიყვნენ. საერთოდ ეს ფორმა მაინცდამაინც მისაღებ ფორმად არ მიმაჩნია. შეიძლება ოპოზიციამ არ მიიღოს რეგისტრაციაში ან კენჭისყრაში მონაწილეობა, მაგრამ დარბაზის დატოვება თავად ოპოზიციას ართმევს იმის შესაძლებლობას, რომ განსხვავებული აზრი დააფიქსიროს. პირადად მე პროტესტის ეს ფორმა ხანგრძლივად გამოყენების თვალსაზრისით სწორად არ მიმაჩნია. შეიძლება ერთი დღე სხდომა დატოვო, მაგრამ შემდეგ უნდა დაბრუნდე, თუ მიგაჩნია, რომ არის ისეთი საკითხები, რომელზეც შენი აზრი უნდა დააფიქსირო.

– ქალბატონო ნინო, ხშირად ამბობენ, რომ თქვენ პარლამენტში უფრო ცოტა დროს ატარებთ, ვიდრე მივლინებებში...

– ასეა? თქვენ როგორ ხედავთ?

– ჩვენ ვხედავთ, რომ თქვენ ხშირად მოგზაურობთ, ძირითადად არასასესიო კვირაში. რა კომენტარს გააკეთებთ იმაზე, რომ პარლამენტში უფრო ნაკლებად ხართ, ვიდრე საზღვარგარეთ?

– მე ყოველთვის დიდ ანგარიშს ვუწევ საზოგადოებრივ აზრს. ამჯერად დარწმუნებული ვარ, რომ ეს არ არის საზოგადოების უმეტესობის აზრი. არ ვაპირებ არანაირად თავის მართლებას, იმიტომ რომ ძალიან მარტივად შეიძლება იმის დათვლა, რამდენ დროს ვატარებ პარლამენტში. შეგიძლიათ თქვენ უთხრათ მკითხველს, რამდენჯერ ყოფილა, რომ ღამის 12 საათზე ჩაგიწერიათ ჩემთან ინტერვიუ. არც ისე ბევრი ადამიანი მეგულება, განსაკუთრებით იმ ადამიანებში, ვინც ბევრს ლაპარაკობს, რომ ღამის 12 ან 1 საათამდე სამსახურში ისხდნენ და შაბათ-კვირასაც მუშაობდნენ. სხვათა შორის, საჯაროა ის ინფორმაცია, რამდენჯერ ვიყავი მივლინებაში და რა თანხა დაიხარჯა.

– ამაზეც ხშირად არის საუბარი, რომ დიდი თანხები იხარჯება...

– ეს აბსოლუტურად უსაფუძვლოა და დაუსაბუთებელი, იმიტომ რომ მინიმუმის მინიმუმია დახარჯული, რაც შეიძლება დაიხარჯოს. მე არ ვაპირებ იმის მოყოლას და თავის მართლებას, როგორ ვცდილობთ ეკონომიის გაკეთებას ბილეთის ფასიდან დაწყებული ბევრი სხვა რამით დამთავრებული. ცუდი არ იქნებოდა, თუ გაკეთდებოდა ანალიზი ვიზიტების შესახებ, ამ ბოლო 8 თვის განმავლობაში ვისთან იყო შეხვედრები, და მერე მოსახლეობა ძალიან მარტივად გააკეთებდა ანალიზს, ეს შეხვედრები უნდა ყოფილიყო თუ არა. აი, მაგალითად, მინდა გკითხოთ: უნდა ვყოფილიყავი თუ არა ედინბურგში საპარლამენტო ასამბლეაზე, სადაც პრაქტიკულად მთელი საპარლამენტო ასამბლეის დღის წესრიგი პირადად ჩემი წყალობით შეიცვალა (ამის ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვამბობ) და ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ბოლო ორი დღე ლაპარაკი იყო მხოლოდ სამაჩაბლოზე. უნდა ვყოფილიყავი თუ არა იქ, როცა, როგორც დელეგაციის მდივანი, აპარატის თანამშრომელი და-

ვდიოდი პლენარული სხდომის დარბაზის რიგებში და ჩემი ხელით ვარიგებდი ცხინვალში გადაღებულ ჩვენი დაჩოქილი ბიჭების სურათებს. ნახევარ საათში მოვაგროვე 25 სახელმწიფოს 45 წარმომადგენლის ხელმოწერა და რეზოლუცია შევიტანე დღის წესრიგში. ეს იმდენად წარმოუდგენელი ფაქტი იყო, რომ რუსებმა თავიც კი არ შეიწუხეს, რომ დაებლოკათ რეზოლუცია. იმდენად იყვნენ დარწმუნებული, რომ ნახევარ საათში 25 ქვეყნის წარმომადგენლის ხელმოწერის შეგროვება არარეალური იყო, მაგრამ ეს გაკეთდა. მე საჭიროდ არ ვთვლი, რომ ეს დეტალები ვილაპარაკო და რეკლამა გავუკეთო იმას, რასაც ვიზიტების დროს ვაკეთებ. მე შემიძლია ერთმნიშვნელოვნად გითხრათ, არასოდეს მიკვირდა საზღვარგარეთ სიარული და მაშინ დავდიოდი, როცა მაინცდამაინც ბევრი ამას ვერ ახერხებდა. არც ახლა არის ჩემთვის საზღვარგარეთ წასვლის პრობლემა. მე შემიძლია პარასკევს ავიღო ბილეთი და ორშაბათს დილით უკვე სამსახურში ვიყო, თუ ამაზეა ლაპარაკი; მაგრამ შაბათ-კვირა გავატარო ჩემს ოჯახთან, შვილებთან ერთად და დავისვენო. თუ ეს გვირჩევნია, მე შემიძლია ესეც გავაკეთო და ოფიციალურ ვიზიტებში არ ვიარო. მაგრამ ერთი შეკითხვა მაქვს: 8-10 აპრილს ჩემი ვიზიტი იგეგმება ბრიუსელში, სადაც უნდა შევხვდე ნატოს გენერალურ მდივანს, ევროკავშირის სამეზობლო ინიციატივის გაფართოების ხელმძღვანელს, ხავიერ სოლანას (რომელიც პირადად მუშაობს საზღვრის მონიტორინგის მისიის გაძლიერებაზე). თუ არ გვჭირდება ეს შეხვედრები, პრობლემა არ არის; თუ გვჭირდება, მაშინ ბოდიშს ვიხდი, ნუ იწყება სხვანაირი ლაპარაკი. თან გვჭირდება და მოგვწონს, რომ საზღვარგარეთ ტაშს გვიკრავენ, თან არ გვინდა! ასე არ ხდება! ყველაზე საწყენი ისაა, რომ არიან ადამიანები, რომლებიც სარგებლობენ საზოგადოების საკმაოდ რთული სოციალური ფონით. წამოსროლილი სიტყვა, – რომ რამდენს დადის პარლამენტის თავმჯდომარე და რამდენს ხარჯავს ადამიანზე, რომელსაც ელემენტარული ყოფითი პრობლემები აქვს, რა თქმა უნდა, უარყოფით გავლე-

ნას ახდენს. მაგრამ როგორც კი ადამიანს პირველი გაბრაზება გადაუვლის, უკვე აანალიზებს, რა მოჰყვება ამ ვიზიტებს. მე შემიძლია დაწვრილებით ვისაუბრო, როდის რა მოჰყვება ამა თუ იმ ვიზიტს. სხვათა შორის, შემიძლია გითხრათ, რომ ერთი ვიზიტის შემდეგ საქართველოს ბიუჯეტში ჩაირიცხა ერთი მილიონი ევრო. ასე რომ, რამდენიც არ უნდა ვიარო, ვერც ექვს მილიონს და ვერც ნახევარ მილიონს ვერ დავხარჯავ. ვფიქრობ, რომ ტყუილად არ დავდივარ. ყოველგვარი ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ არცთუ ცუდად წარმოვადგენ საქართველოს, როდესაც საქართველოს საზღვრებს გარეთ ვარ. ამიტომ მე აღარ ვაპირებ ამ თემაზე ლაპარაკს. თუკი ეს თემა კიდევ წამოიჭრება, მოდით, თუნდაც თქვენი გაზეთით ჩავატაროთ გამოკითხვა: გვჭირდება თუ არა საერთაშორისო კონტაქტები, თუ საზღვრები უნდა დავხუროთ და არც არავინ შემოვუშვათ და არც არავინ გავუშვათ? მე დავემორჩილები იმ გადაწყვეტილებას, რასაც მიიღებთ.

– ქალბატონო ნინო, როცა საზღვარგარეთ ვიზიტის დროს თქვენთან ერთად ოპოზიციის წარმომადგენლები მოდიან, იქაც გიშლიან ნერვებს, თუ მარტო საქართველოს პარლამენტის სხდომაზე?

– სხვათა შორის, უნდა ვაღიარო, რომ არა. ეს ძალიან კარგი ტრადიციაა და არ შემიძლია დაფასებით არ აღვნიშნო. ეს ტრადიცია, რაც მე პარლამენტში ვარ, თითქმის ყოველთვის მოქმედებდა. 1995 წლიდან დაწყებული, როცა ჯერ კიდევ სახალხო პარტია იყო ძალიან მკვეთრი ოპოზიცია და აქ მართლა უკიდურესად გამწვავებული იყო ვითარება, გავდიოდით თუ არა საზღვარგარეთ, ერთიან პოზიციას ვაფიქსირებდით. დღესაც იგივე გრძელდება საზღვარგარეთ ჩვენი ვიზიტების დროს. „მემარჯვენე ოპოზიციის“ წარმომადგენლები იქნებიან, თუ რესპუბლიკელები, საზღვარგარეთ აბსოლუტურად ის პოზიცია გვაქვს, რაც ჩვენ ქვეყანას სჭირდება. საზღვარგარეთ კამათის და კინკლაობის დრო ნამდვილად არ არის, ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთის

ოპონენტები ვიყოთ ქვეყნის შიგნით. ასე რომ, ეს კარგი ტრადიციაა და სხვათა შორის, კარგ შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენს უცხოელ პარტნიორებზე.

– ბოლო პერიოდში უცხოეთში ვიზიტების დროს, მხედველობაში მაქვს ზურაბ ჟვანიას გარდაცვალების შემდგომი პერიოდი, თქვენთან ოფიციალური ან არაოფიციალური შეხვედრების დროს თუ ისმევა ზურაბ ჟვანიას სიკვდილთან დაკავშირებული კითხვები, ანუ ეჭვქვეშ თუ დგება ჟვანიას სიკვდილის ის ოფიციალური ვერსია, რომელიც დღემდე არის ცნობილი?

– ყველა შემთხვევაში, რა თქმა უნდა, ბატონ ზურაბს ახსენებენ და მწუხარებას გამოთქვამენ მისი ტრაგიკულად დაღუპვის გამო. მაგრამ ოფიციალურ შეხვედრებზე არასოდეს არავის ეჭვის ქვეშ არ დაუყენებია ოფიციალური ვერსია. ცხადია, როცა აზრს გვეკითხებიან, ჩვენ ყოველთვის ვამბობდით, რომ გამოძიება უნდა დასრულდეს; გამოძიების საბოლოო შედეგები უნდა იყოს; პასუხები უნდა მოვიდეს ყველა იმ უწყებიდან, სადაც შეკითხვები გაიგზავნა, მათ შორის საზღვარგარეთიდან. საბოლოოდ, გადაწყვეტილად პასუხის გაცემა ოფიციალურად მოხდება მხოლოდ ამის შემდეგ.

– პარლამენტი აპირებს თუ არა ჟვანიას სიკვდილის გამოძიებასთან დაკავშირებით სამართალდამცავების მოწვევას და მათგან ინფორმაციის მოსმენას?

– თუ გახსოვთ, დავით გამყრელიძემ წამოჭრა საკითხი, რომ პარლამენტში საგამოძიებო კომისია შექმნილიყო, მაგრამ თავად უმრავლესობამ და უპირველეს ყოვლისა, ბატონი ზურაბის უახლოესმა მეგობრებმა ამას მხარი არ დაუჭირეს, იმიტომ რომ ჩვენ არავითარი საფუძველი არ გვაქვს, რომ ჩვენივე მეგობრებს, რომლებიც სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელები არიან, არ ვენდოთ. ჯერჯერობით, ნამდვილად ამის არანაირი საფუძველი არა გვაქვს. ამიტომ პარლამენტი დაელოდება ოფიციალურ დასკვნას, რომელიც გამოძიების დასრულების შემდეგ გამოქვეყნდება. თუ მერე ვინმეს გაუჩნდება კითხვები ამ დას-

კვნის ობიექტურობის ან სრულყოფილების თვალსაზრისით, ცხადია, შემდეგ ეს კითხვები გაჩნდება. მანამ ჩვენ ველოდებით ოფიციალურ დასკვნას.

ნანა მიშელაშვილი

ახალი თაობა. – 2005, 27 მარტი, №84, გვ. 3-6

ნინო ბურჯანაძე: სასურველია, რომ 2008 წლის არჩევნებამდე საქართველოში აღარ იყვნენ რუსი სამხედროები

23 მაისს თბილისში უნდა დაიწყოს ბაზების გატანის საკითხზე რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების ძირითადი რაუნდი. მოსკოვისა და თბილისის ამ რთული დიალოგის თავისებური „დამჩქარებელი“ გახდა საქართველოს პარლამენტი. ხალხის რჩეულთა გადაწყვეტილებით, თუ მოლაპარაკება წარუმატებელი იქნება, მაშინ რუსეთის სამხედრო ბაზები საქართელოში ჯერ კიდევ 15 მაისიდან აღმოჩნდებიან „ გატანის რეჟიმში“, ანუ მათ გამოუცხადებენ ყოველმხრივ ბლოკადას. თბილისში „ვრემია ნოვოსტის“ საკუთარი კორესპოდენტის მიხეილ ვიგნანსკის კითხვებს პასუხი გასცა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ.

– თუ იქნება მიღწეული რაიმე კომპრომისი? რა განწყობილებით მიდის მოლაპარაკებაზე საქართველოს მხარე?

– დავიწყოთ იმით, რომ ჩვენს დადგენილებაში არფერია ისეთი, რაც საფრთხეს უქმნის რუსი სამხედროების უშიშროებას. საიდუმლო არავისთვის ყოფილა ის, რომ 15 მაისიდან ამოქმედდებოდა ჯერ კიდევ 10 მარტს მიღებული დადგენილება. ამიტომ, ჩემთვის გაუგებარია ამ საკითხის ირგვლივ ატეხილი ისტერია და პანიკა. დიახ, იმედი მაქვს, რომ ჩვენ შევძლებთ გარკვეულ მორიგებათა მიღწევას. ის წინადადებები, რომელიც ბოლო მომენტში მივიღეთ რუსეთის მხარისგან, უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ კიდევ უფრო დაახლოვდება ჩვენი პოზიციები.

– თუ არის შესაძლებელი ის, რომ ბაზები საქართველოდან გაიტანონ ორი-სამი თვის დაგვიანებით?

– გულახდილად რომ გითხრათ, მე მოხრე ვარ, რომ ბაზების გატანა დასრულდეს 2008 წლის 1 იანვრისთვის. მაგრამ

თუ დანარჩენი საკითხების შეთანხმება მეტ-ნაკლებად მაინც მოხერხდება, აქ უკვე ორი ან სამი თვე დიდ როლს აღარ შეასრულებს. რუსეთის ბაზების საკითხი დიდ ზიანს აყენებს ჩვენს ურთიერთობას. რუსი სამხედროების ყოფნა საქართველოში დამატებითი გამღიზიანებელია. დიახ, არ გჭირდებათ თქვენ ეს ბაზები! ამას აღიარებს ყველა სამხედრო, მეტ-ნაკლებად ობიექტური პოლიტიკოსი. რუსეთის ბაზები საქართველოში სჭირდებათ მხოლოდ იმ ძალებს, რომლებსაც არანაირად არ სურთ შეიგნონ, თუ რა ჭეშმარიტი ინტერესები შეიძლება ჰქონდეთ მოსკოვსა და თბილისს. სამხედროების ყოფნის გარეშე ხომ ჩვენი ურთიერთობა გაცილებით უკეთესეი იქნება.

– როგორ შეფასებას მისცემდით რუსეთ-საქართველოს ამჟამინდელ ურთიერთობას?

– როგორც კონსტრუქციულ-ცივს. გარკვეული ძალები მტრულად არიან განწყობილი. ჩემი აზრით ასეთები რუსეთში უფრო მეტი არიან, ვიდრე საქართველოში.

– რუსეთთან ურთიერთობის შესახებ რას ამბობენ ამერიკელები?

– ამერიკელები დაინტერესებული არიან იმით, რომ საქართველოს არ ჰქონდეს გამწვავებული ურთიერთობა მეზობლებთან. მაგრამ ამერიკის შეერთებული შტატები ასევე ერთმნიშვნელოვნად უჭერს მხარს ბაზების გატანას. ეს სულაც არ არის საკვირველი, რადგან, შეთანხმება ბაზების შესახებ, არ გახლავთ რუსეთ-საქართველოს შეთანხმება. იგი მიიღეს 1999 წელს სტამბოლში, ეუთოს სამიტზე.

– ბაზების გატანის პრობლემა დროის მიხედვით ემთხვევა საქართველოს პარლამენტის არჩევნებს, რომელიც 2008 წელს უნდა გაიმართოს. როგორ ფიქრობთ, ხელისუფლებამ უნდა აჩვენოს ამომრჩევლებს, რომ ასრულებს დაპირებებს?

– დიახ, სასურველი იქნებოდა, რომ არჩევნების დროისთვის რუსი სამხედროები აღარ იყვნენ საქართველოში. იცით, ძალზე გულსატკენია, რომ რუსთთან ჩვენს ურთიერთობაში ახლა ასე აქტიურად ჟღერს მხოლოდ „ბაზების საკითხი“. სწორედ ამიტომ

ვთავაზობთ რუს კოლეგებს იმ პრობლემების სასწრაფოდ გადაჭრას, რომლებიც მეგობრობაში გვიშლიან ხელს.

– ახალი პრეზიდენტისა და ახალი პარლამენტის არჩევიდან ერთ წელიწადზე მეტი დროის გასვლის შემდეგ, საქართველოს ხელმძღვანელობის რეიტინგი გაცილებით უფრო დაბალი აღმოჩნდა, ვიდრე „ვარდების რევოლუციის“ დროს იყო.

– ეს აბსოლუტურად ნორმალურია. საქართველოში ამჟამად შექმნილი სიტუაციისთვის, რეიტინგი საკმაოდ მაღალიც კია. ჩვენ იძულებული ვართ განვახორციელოთ მძიმე, არა პოპულარული რეფორმები. მე მსურს, რომ ყველაფერი გაკეთდეს სწორად და ადამიანებმა დღეს თუ არა ხვალ მაინც დაინახონ, რომ ჩვენ არ შევმცდარვართ.

– საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ დაკარგა პრემიერი ზურაბ ჟვანია. მის ოჯახის წევრებს და ახლობლებს არ სჯერათ, რომ იგი მხუთავი გაზით მოიწამლა. რა კომენტარს გაუკეთებდით ამას?

– ოჯახს უფლება აქვს, დასვას ნებისმიერი კითხვა. ეს ხომ უდიდესი ტრაგედიაა. მაგრამ მიმაჩნია, რომ გამოძიება ობიექტური იყო. თუ ყველა კითხვას ჯერჯერობით არ გაეცა პასუხი, საჭიროა საქმის დამატებით გამოძიება.

– ედუარდ შევარდნაძის გადადგომიდან მიხეილ სააკაშვილის არჩევამდე, თქვენ ასრულებდით საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას. ხომ არ გსურთ კვლავ დაბრუნდეთ პრეზიდენტის სავარძელში?

– მე თავს იქ კომფორტულად არ ვგრძნობდი. ამის სურვილი ნამდვილად არ მაქვს. ეს ძალზე მძიმე ტვირთია... საქართველო რომ იყოს, მაგალითად, შვეიცარიასავით ქვეყანა, მაშინ, იქნებ უარიც კი არ მეთქვა. მაგრამ აქ ძალზე ძნელია იყო ღირსეული პრეზიდენტი.

– როგორც საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, თქვენ, 2003 წლის დეკემბერში შეხვდით პრეზიდენტ პუტინს. როგორც მახსოვს, იგი მაშინ მოიწვიეთ გუდაურში სათხილამუროდ. ეს მოწვევა ძალაში რჩება?

– ამჟამად გუდაურში თოვლი აღარ არის. მაგრამ საქართველო მშვენიერია წელიწადის ნებისმიერ დროს. ჩვენ ყოველთვის სიხარულით ვუმასპინძლებთ რუსეთის პრეზიდენტს. საჭიროა გამოვნახოთ ურთიერთგაგების და ურთიერთპატივისცემის ენა. თვით იმ შემთხვევაშიც კი, რომ რუსეთი უდიდესი სახელმწიფოა, საქართველო კი – პატარა ქვეყანა. მთავარია, შევიგნოთ, რომ ჩვენ, ყველა თანასწორნი ვართ.

– ერთი წლის წინ, თქვენ თქვით, რომ შეისწავლიდით აფხაზურ ენას, აფხაზეთის რთული საკითხის უკეთ მოწესრიგების მიზნით. როგორ მიდის საქმე?

– ცუდად. უნდა ვაღიარო, რომ მხოლოდ რამდენიმე ფრაზა შევისწავლე. აფხაზური უაღრესად რთული და უნიკალური ენაა! მაგრამ მე ყოველთვის მზად ვარ, ჩავიდე სოხუმში და გავმართო დიალოგი, იმ შემთხვევაშიც კი, თუ პირველ ეტაპზე ჩვენ ერთმანეთს მთლად ტკბილი სიტყვებით არ მივმართავთ. მაგრამ აფხაზები რატომღაც არ მიწვევენ...

– იქნებ, არ ავიწყდებათ თქვენს მიერ გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ ახალი ომის დაწყების შემთხვევაში თქვენი ორივე ვაჟი საბრძოლველად წავიდოდა?

– აბა, სხვა რა უნდა მეთქვა? ხომ არ შეიძლება ფრონტზე გაუშვა სხვისი შვილები, ჩემები კი სადღაც გადავმალო? ალბათ, ნებისმიერი აფხაზი დედაც ამას იტყოდა. მაგრამ პოლიტიკოსების და დედების ამოცანაა ის, რომ ომი აღარ განმეორდეს.

საქართველოს რესპუბლიკა 2005 წ.– 24 მაისი – №121– გვ. 2

ბესო ჯუღელისგან შენიშვნას არ ვიმსახურებ!

კარგად არის ცნობილი, თუ რა ინციდენტს ჰქონდა ადგილი პარლამენტის პლენარულ სხდომაზე, როცა დეპუტატებს შორის ხელჩართული ჩხუბი გაიმართა. ამას თან დაერთო ის ფაქტი, რომ საპარლამენტო ფრაქცია მაჟორიტარების ხელმძღვანელმა ბესო ჯუღელმა პარლამენტის ხელმძღვანელობა დაადანაშაულა პარლამენტის დისკრედიტაციაში. აღნიშნულ საკითხზე „ახალმა თაობამ“ კომენტარი ნინო ბურჯანაძეს სთხოვა. – ის ინციდენტი, რომელიც სხდომათა დარბაზში მოხდა, კატეგორიულად მიუღებელია. ამომრჩეველი ნამდვილად არ მოიწონებს დებატებისთვის შეუფერებელ საქციელს. ასეთი უმსგავსი საქციელი უნდა იყოს აღკვეთილი. მოვუწოდებ კოლეგა დეპუტატებს, პარლამენტის სხდომათა დარბაზში აღარ გამართონ ხელჩართული ჩხუბი, რადგანაც ელემენტარულად არსებობს ურთიერთობების ნორმალური ფორმა, რომ არაფერი ვთქვათ პარლამენტის მიერ ეთიკის კოდექსის დაცვაზე. რაც შეეხება ბატონ ბესო ჯუღელის განცხადებას, სიმართლე გითხრათ, გაოცებული ვარ მისი პოზიციით, რადგან ნამდვილად არ ვიმსახურებ ამგვარ შენიშვნას. ყველა ფრონტზე ვიბრძვი მხოლოდ და მხოლოდ იმისათვის, რომ საკანონმდებლო იმიჯი სათანადოდ ამაღლდეს. ასე რომ, ბატონი ბესოს შენიშვნა, რბილად რომ ვთქვათ, არამართებულია, – მიიჩნევს პარლამენტის თავმჯდომარე.

– ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაზე ლამის დაგადანაშაულეს იმაში, რომ სუსტად დაიცავით საქართველოს პოზიციები.

– ლანძღვა-გინებას და მუშტი-კრივის გამართვას რუსეთის დელეგაციასთან ნამდვილად არ ვაპირებდით, ქართულმა დელეგაციამ საკადრისი პასუხი გასცა რუსული მხარის ცინიკურ პოზიციას. ამას აღნიშნავდა 53 ქვეყნის დელეგაცია, რომელიც

სრულ მხარდაჭერას უცხადებდა საქართველოს. ეს აისახა იმითაც, რომ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაზე სრული ერთსულოვნება დაფიქსირდა, როცა აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით ეუთომ ყოველგვარი შენიშვნების გარეშე მიიღო ჩვენ მიერ შემუშავებული სპეციალური რეზოლუცია. რა თქმა უნდა, ამ რეზოლუციას მხარი არ დაუჭირა რუსეთის დელეგაციამ, რომელიც, როგორც ჩანს, ძალიან გაღიზიანებული იყო იმით, თუ რამდენად მნიშვნელოვან შეხვედრებს ვმართავდით. ალბათ ზედმეტია საუბარი იმაზე, რომ რუსი პოლიტიკოსების უდიდესი ნაწილის აზროვნება მე-18 საუკუნეს ვერ გასცდა. ქალბატონ სლისკას განცხადება სწორედ ამაზე მიანიშნებს. როგორც ჩანს, მათი გამოხტომები პიროვნულ ნიშნებს ატარებდა. თუმცა ქართულმა დელეგაციამ საკადრისი პასუხი გასცა მათ. რაც შეეხება ქალბატონ სლისკას გამონათქვამებს, რომ საქართველოს არ უნდა ჰქონდეს გუბერნიაზე მეტის ამბიცია, ვფიქრობ, ზედმეტია კომენტარი.

– რაზე გაამახვილეთ ყურადღება?

– ეს არის კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების საკითხი, ქვეყანაში ფინანსური ინვესტიციების განხორციელება და რაც მნიშვნელოვანია, დემოკრატიული ინსტიტუტების გამყარება და განვითარება. ამერიკელები სერიოზულად ინტერესდებიან საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა იმას, თუ რამდენად ახორციელებს პარლამენტი საზედამხედველო ფუნქციას. გადამწყვეტი როლი, მათი შეფასებით, პარლამენტს სწორედ ამ მიმართულებით უნდა დაეკისროს. ეთნოკონფლიქტების მშვიდობიან გადაწყვეტას ალტერნატივა არ გააჩნია; თუმცა ქართული მხარე არ აპირებს 10 და 15 წელი ელოდოს კონფლიქტების დარეგულირებას. არსებობს პრეზიდენტის არაერთი სამშვიდობო ინიციატივა, თუმცა ადეკვატური გამოხმაურება არ მოჰყოლია არც რუსეთისგან და არც სეპარატისტული მთავრობებისგან. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ აქტიურად ჩაერთოს ამერიკული დიპლომატია რო-

გორც სახელმწიფო ადმინისტრაციის, ასევე ამერიკის სენატისა და კონგრესის სახით, რასაც, დარწმუნებული ვარ, პოზიტიური შედეგი მოჰყვება. საერთოდ, მსოფლიომ თვალნათლივ უნდა დაინახოს, თუ ვის სურს რეალურად მშვიდობა. ჩვენი მოწოდება ასევე იყო მიმართული გაერთიანებული ერების ორგანიზაციისკენ. გაეროში ჩვენი მეგობარი სახელმწიფოების ელჩებთან შეხვედრისას მათ აქტიურობისკენ მოვუწოდეთ და უახლოეს პერიოდში კონკრეტულ ინიციატივებს ველოდებით კონფლიქტების დარეგულირების მიმართულებით.

– რა კომენტარს გაუკეთებთ იმ ინციდენტს, რომელიც რუსთაველზე მოხდა?

– განსაკუთრებულ აღშფოთებას იწვევს სასამართლო დარბაზის დარბევა. არსებობს პროტესტის სხვა ფორმები და არც ერთ ნორმალურ სახელმწიფოში არ რჩება ასეთი ფაქტები დაუსჯელი. სხვა საქმეა, სამართალდამცავებს რეაგირება უმალვე უნდა მოეხდინათ და ის ადამიანები, ვინც სასამართლო დარბაზის დარბევაში იღებდა მონაწილეობას, უნდა დაეკავებინათ. რაც შეეხება შემდგომ განვითარებულ პროცესებს რუსთაველის გამზირზე, იმ დღეებში, როგორც მოგახსენეთ, შეერთებულ შტატებში ვიმყოფებოდი და სრულყოფილ ინფორმაციას ამ მხრივ არ ვფლობ. თავისთავად ცალკე განსჯის საგანია, ჰქონდა თუ არა ადგილი პოზიციის მხრიდან უფლებამოსილების გადაჭარბებას. ერთი რამ ცხადია, დაუსჯელი არ უნდა რჩებოდეს სასამართლოს დარბევა.

– როგორ შეაფასებდით ოპოზიციის დემარშს?

– იმედი მაქვს, რომ ოპოზიცია საშემოდგომო სესიის გახსნისთანავე საპარლამენტო საქმიანობაში აქტიურად ჩაერთვება. ჩვენ ერთობლივად ბევრი საქმე გვაქვს გასაკეთებელი. აუცილებელია, რომ ოპოზიცია საპარლამენტო ტრიბუნას იყენებდეს.

– ბოლო პერიოდში სულ უფრო მყარი ხდება მოსაზრება, რომ ხელისუფლება თავისუფალი მედიის წინააღმდეგ ილაშქრებს.

– ნამდვილად არ მივესალმები რომელიმე საინფორმაციო გამოშვების დახურვის ფაქტს. ხელისუფლება პოლიტიკურ ზეწოლას თავისუფალ მედიაზე არ ახორციელებს. ძნელად დასაჯერებელია ის, რომ რომელიმე ჟურნალისტს ეშინოდეს საკუთარი პოზიციის დაფიქსირების. ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია, როცა ხელისუფლება თავისუფალი მედიის წინააღმდეგ ილაშქრებს. როგორც წესი, ასეთი არასწორი ნაბიჯები დამღუპველია.

ირაკლი გოგორიშვილი

ახალი თაობა. – 2005, 14 ივლისი, №192, გვ. 3

„გელაშვილის საქმეში მართლაც არის საეჭვო დეტალები“

„ამას ქართული კურორტების ანტირეკლამად ნუ ჩამომართმევთ“

ავტომატით თავზე ვერსავის დავადგები, არ იჩხუბოთ და ერთმანეთს არ შეაგინოთ-მეთქი...

...გაოპოზიციონერებას არ ვაპირებ. ვფიქრობ, იმ უამრავ საქმეს, რომელიც წამოვიწყეთ, ბოლომდე უნდა მიყვანა.

...არ მომწონს, რომ პარლამენტი არ არის კრიტიკული ჩვენი მთავრობის მიმართ. რუს კოლეგებთან კონფლიქტი, ჩანს, ნინო ბურჯანაძეს დაბედებული აქვს. ეუთოს ასამბლეაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერ სლისკას სიტყვიერ პაექრობას მეტად საინტერესო გაგრძელება მოჰყვა – რუსეთის დელეგაციის ერთი „ძლიერი სქესის“ წარმომადგენელი ნინო ბურჯანაძეს დარბაზშივე „მიეჭრა“ და საქმის გარჩევა დაუწყო. ცხადია, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ამ ინციდენტზეც ვესაუბრეთ, აშშ-ში ვიზიტის შედეგებზე და ის მოვლენებიც შევაფასებინეთ, რაც მის აქ არყოფნაში მოხდა რუსთაველის პროსპექტზე და პარლამენტში.

ნინო ბურჯანაძე – არ ვიცი, სახელდობრ რამ გააღიზიანა რუსეთის დელეგაცია. თუმცა რუსები ყველაფერ იმაზე ღიზიანდებიან, რაც საქართველოს ეხება – აღიზიანებთ ვარდების რევოლუცია, ბუშის ვიზიტი საქართველოში, ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლებისა და, კერძოდ, ჩემი შეხვედრები აშშ-ში მაღალ დონეზე. ეტყობა, მათთვის ძნელად ასატანია ისიც,რომ ბაზების გაყვანაზე ხელშეკრულებას მოაწერეს ხელი. კონფლიქტის ინიციატორი რუსული მხარე იყო. სლისკას შეურაცხმყო-

ფელი განცხადება – საქართველოს პრეტენზიებს რუსეთმა არც უნდა მიაქციოს ყურადღება, ეს ხომ 2,5 მილიონიანი გუბერნიაა, ამ ქვეყანას არ დაველაპარაკებით როგორც სერიოზულ სახელმწიფოსო, ჟურნალისტებმა რომ გადმომცეს, თავდაპირველად არ დავიჯერე – არ შეიძლება გონიერმა პოლიტიკოსმა ასეთი განცხადება გააკეთოს მეთქი. მაგრამ შემდგომ სლისკამ არა თუ უარყო თავისი ნათქვამი, უარესიც დაამატა. ველოდი, რომ ვიღაც იტყოდა რუსების მხრიდან – ეს მთელი დელეგაციის აზრი არ არისო და მოუბოდიშებდა არა მარტო საქართველოს, არამედ ყველა იმ სახელმწიფოს, რომელთა მოსახლეობა 300 ათასიდან 50 მილიონამდე კაცს ითვლის, მაგრამ ასეთი პირი რუსეთის დელეგაციაში არ აღმოჩნდა. მხოლოდ სესიის ბოლო დღეს ანატოლი სობჩაკის ქვრივმა, ლუდმილა ნარუსოვამ გამოხატა მომხდარით შეშფოთება. რაკი ოფიციალურად არავინ გამოხატა პოზიცია, იძულებული გავხდი, რომ მეპასუხა დუმის ვიცე-სპიკერისთვის. ეუთოში მყოფ ჩვენს მეგობრებს განვუმარტე, ძნელია ურთიერთობა ისეთ ქვეყანასთან, რომლის მმართველი პარტიის წევრები მე-19 საუკუნის ტერმინოლოგიით ლაპარაკობენ და წარმოდგენა არ აქვთ ეუთოს ფუნდამენტურ პრინციპებზე, რომელიც ქვეყნებს შორის თანასწორობას, ურთიერთპატივისცემასა და თანამშრომლობას გულისხმობს მათი სიდიდისა და მოსახლეობის რიცხოვნობის მიუხედავად. რუსებს შევახსენე თავიანთი ნამოქმედარი აფხაზეთშიც, გავახსენე მათი ეროვნული გმირი შამილ ბასაევი და ის, რასაც ისინი დღეს სჩადიან აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. ამან სლისკა აღაშფოთა და მიპასუხა, სხვებისგან განსხვავებით რუსეთი მეგობრებს არ ყიდულობსო. ეტყობა, ფიქრობს, რომ ამერიკელები ქართველებს ყიდულობენ. სამწუხაროდ, ამხელა ქვეყანაში არ სცოდნიათ, რომ მეგობრის ყიდვა შეუძლებელია. ის მამაკაცი, რომელიც ჩემთან მოიჭრა, ჟირინოვსკის პარტიის წევრია. დაგვემუქრა, დენს და გაზს გამოგირთავთ, ყველა ქართველს გამოვყრით რუსეთიდანო. თუ ფიქრობთ, რომ ცივილეზებული ქვეყანა ასე უნდა

იქცეოდეს, ასევე გააკეთეთ მეთქი. ვხედავდი, რომ ჩემი პროვოცირება სურდა და თავი შევიკავე. კარგად ჩანდა, მისი ერთადერთი მიზანი ჩვენი დელეგაციის წევრი მამაკაცების ან ჩემი მდგომარეობიდან გამოყვანა იყო. რუსეთის საქციელმა ეუთო ძალზე აღაშფოთა და ჩვენ დაგვიჭირეს მხარი. ქალბატონი სლისკას სკანდალური განცხადებების გამო ჩრდილოში მოექცა რეზოლუცია აფხაზეთის საკითხზე, რომელიც ეუთომ მიიღო. რეზოლუციაში მივუთითეთ, რომ ჩვენ უკმაყოფილო ვართ ეუთოს აქტიურობით აფხაზეთის ზონაში, რომ საერთაშორისო თანამეგობრობას უფრო ქმედითი ღონისძიებების გატარება მართებს, რომ რუსეთმა უნდა შეწყვიტოს უხეში ჩარევა კონფლიქტში და მოლაპარაკებების პროცესში კონსტრუქციულ როლს დასჯერდეს. შესაძლოა, რუსები ამ რეზოლუციამაც გააღიზიანა. რეზოლუციაში მითითებულია კონკრეტულად რა უნდა გაკეთდეს, რა ვადებში უნდა წარმოადგინოს სამუშაო ჯგუფმა (რომელშიც ნეიტრალური ქვეყნებია წარმოდგენილი) ანგარიში გაწეულ სამუშაოზე. ეს ნიშნავს იმას, რომ ეუთოს უკვე ექნება ზუსტი ინფორმაცია, რამდენად ნორმალურად მიმდინარეობს აფხაზეთში მოლაპარაკებები და სამშვიდობო პროცესს ვინ უშლის ხელს.

– ამერიკაში თქვენი სხვა შეხვედრების დეტალებზეც ვისაუბროთ.

– აშშ-ის ვიცე-სპიკერმა დიკ ჩეინმა მითხრა, პრეზიდენტი ბუში 10 დღის შემდეგაც კი სიამოვნებით იხსენებდა საქართველოში თავის ვიზიტს, ასეთი კარგი განწყობა არც ერთი ვიზიტის შემდეგ არ ჰქონიაო. შტატებში დარწმუნებული არიან, რომ საქართველო წარმატებული ქვეყანა იქნება, რომ აქ ჩატარდება დემოკრატიული რეფორმები და მზად არიან ყველაფერი გააკეთონ ჩვენი კონფლიქტების მოსაგვარებლად. ამაზე კონდოლიზა რაისმაც და ეროვნული უშიშროების საბჭოში ბატონმა ჰელდიმაც ისაუბრეს. ამასვე გაუსვა ხაზი ბატონმა რამსფელდმაც. საერთაშორისო თანამეგობრობა მზად არის რუსეთის ბაზების გაყვანაზე მონიტორინგი განახორციელოს. მათთან საუბრისას

აღვნიშნე, რომ სამხრეთ ოსეთთან დაკავშირებით პრეზიდენტს აქვს სამშვიდობო პროგრამა და ინიციატივა, რომელსაც საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერა სჭირდება. ჩვენს მეგობრებს ისიც ავუხსენი, რომ უფრო და უფრო გვიჭირს მოსახლეობას განვუმარტოთ, თუ რატომ არ მივმართავთ გადამჭრელ ზომებს ოსი სეპარატისტების თვითნებობის აღსაკვეთად, რატომ უფრთხილდებით ასე სამშვიდობო პროცესს. ამის ახსნა სამომავლოდ უფრო გაჭირდება, თუ აშშ-ის და საერთაშორისო დიპლომატია არ გააქტიურდება ამ საკითხის მოსაგავრებლად – მეთქი. აშშ-მა მხარდაჭერა აღგვითქვა, ისინი ამ პროცესში აქტიურად ჩაერევიან.

– რამდენადაც ვიცი, ვაშინგტონში, ერაყში დაჭრილი მიხეილ ქუთათელაძეც მოინახულეთ.

– მიშა პრეზიდენტმა ბუშმაც და კონდოლიზა რაისმაც ინახულეს, დიდხანს დარჩნენ მასთან. მეც მოვასწარი მისი ნახვა. მიშა შესანიშნავი ახალგაზრდაა. მინდა შემთხვევით ვისარგებლო და მადლობა ვუთხრა დედამისს (რომელიც სულ 42 წლის ყოფილა) ასეთი ვაჟკაცის გაზრდისთვის. ამხელა მორალური და ფიზიკური ტრამვის შემდეგ მიშა ამბობს, ჯარში უნდა გავაგრძელო სამსახურიო. ერთიც არ დაუწუწუნია, ეს რა მომოვიდაო. პირიქით, აქეთ გვამხნევებდა. ამერიკელი ექიმები დაგვპირდნენ, აქედან ქუთათელაძეს სირბილით გამოვუშვებთო.

– ამას წინათ რუსთაველის პროსპექტზე მომხდარ ინციდენტსა და პარლამენტში ატეხილ მუშტი-კრივზე რას იტყვით?

– ჩვენი სასამართლოების ბევრი გადაწყვეტილებით არც მე ვარ აღფრთოვანებული, მაგრამ სასამართლო ერთ თვეში და თუნდაც ორ წელიწადში იდეალური ვერ გახდება, ამ საკითხზე აქტიურად უნდა იმუშაოს ხელისუფლებამ. თუ საზოგადოებას სურს, რომ კარგი სასამართლო და პარლამენტი ჰყავდეს, თავადაც განსაზღვრული სტანდარტებით უნდა მოქმედებდეს. თუ ვინმეს ჰგონია, რომ დამოუკიდებელი სასამართლოს, თავისუფალი პრესისა და ძლიერი პარლამენტის არსებობა პრეზიდენტისა და

პარლამენტის თავმჯდომარის ნება-სურვლზეა დამოკიდებული, ცდება. მართალია, ამ პროცესებში დიდი როლი აქვთ დაკისრებული ქვეყნის ლიდერებს, მაგრამ საზოგადოებამაც უნდა შეიტანოს მასში წვლილი. თუ გვინდა, რომ სასამართლო დამოუკიდებელი იყოს, მას პატივი უნდა ვცეთ. როცა არ ვეთანხმებით მის გადაწყვეტილებას, დარბაზი კი არ უნდა დავარბიოთ, არამედ გავასაჩივროთ, ბოლო ინსტანციამდე ვიბრძოლოთ სამართლის დასამტკიცებლად – აი, ასეთ შემთხვევაში იქნება მოსამართლე ობიექტური. მოსამართლე არ უნდა დადგეს იმის მხარეს, ვინც უფრო მაგრად მოუღერებს მუშტს და დაარბევს დარბაზს. თუ ეს დამკვიდრდა, პირადად თქვენ, რომელსაც არ შეგიძლიათ მუშტი-კრივის გამართვა, რა გარანტია გაქვთ, რომ მოსამართლეს არ შეეშინდება თქვენი მუშტმაგარი მოწინააღმდეგის და მისკენ არ გადაიხრება? ოპოზიციამ შეცდომა დაუშვა, როდესაც მოჭიდვეებს დაუჭირა მხარი. ხელისუფლებაც შეცდა – დარბაზშივე უნდა დაეპატიმრებინა დამრბევები და შემდგომ გართულებებს აიცილებდა თავიდან. რაც შეეხება პარლამენტში ჩხუბს, ეთიკის კოდექსს ხელი მოვაწერეთ და ავტომატით თავზე ვერავის დავადგები, არ იჩხუბოთ და ერთმანეთს არ შეაგინოთ-მეთქი. ეთიკის კოდექსში რაიმე განსაკუთრებული სასჯელის მექანიზმები არ არის შეტანილი, თუმც თქვენ კარგი აზრი მომაწოდეთ – მოვიფიქრებ, შესაძლოა დებოშის ამტეხი დეპუტატები მატერიალურად დაზარალდნენ.

– როდესაც ოპოზიცია ხელისუფლებას აკრიტიკებს, თქვენი მისამართით რაიმეს თქმას ყოველთვის ერიდება. ამის გამო ამბობენ, ნინო ბურჯანაძე სამომავლოდ ოპოზიციური გაერთიანების ლიდერად მოგვევლინებაო.

– ოპოზიციის გაძლიერებაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, ძლიერი და კონსტრუქციული ოპოზიცია ნებისმიერი ქვეყნისთვის დადებითი ფაქტორია. თავს ვიკავებ მძაფრი გამონათქვამებისგან და, ალბათ, ოპოზიციაც ამიტომ არის კრიტიკული, მაგრამ, ზოგიერთ ოპოზიციონერზე ნამდვილად ვერ ვიტყვი კონსტრუქციულია-მეთქი. ამას მე პოპულიზმად აღვიქვამ. მირჩევნია,

რომ ოპოზიცია მართლაც ძლიერი და კონსტრუქციული იყოს და იმ შეცდომებზე მიგვითითოს, რაც გვაქვს. ეს ქვეყნის წინსვლის პირობაა, მაგრამ, როდესაც ისეთ რაღაცას ითხოვენ, რაც შეუსრულებელია, ეს ოპოზიციისგან დისტანცირებას იწვევს. რაც შეეხება ჩემს ოპოზიციურ ლიდერობას, გაოპოზიციონერობას არ ვაპირებ. ვფიქრობ, იმ უამრავ საქმეს, რომელიც წამოვიწყეთ, ბოლომდე უნდა მიყვანა. კონსტრუქციული პოზიციის დაკავება არასდროს მიჭირს. ხელისუფლება გამოასწორებს იმ შეცდომებს და დაძლევს იმ სირთულეებს, რაც მას უდავოდ აქვს. ყველაფერს ნელ-ნელა მივხედავთ.

– რა არ მოგწონთ ხელისუფლების ქმედებებიდან?

– არ მომწონს, რომ პარლამენტი არ არის კრიტიკული ჩვენი მთავრობის მიმართ. უფრო სერიოზულად უნდა მოვეკიდოთ მთავრობაზე კონტროლს. არ მომწონს, რომ ჩამოყალიბებული არ გვაქვს ეკონომიკური სტრატეგია. არ მომწონს ის, რაც „ნიკალაში“მოხდა. მსგავსი ფაქტები დაუსჯელი არ უნდა დარჩეს. იმედი მაქვს, სექტემბრის სესიამდე გავიგებთ იმ პირთა გვარებს, ვინც ეს ჩაიდინა. არ მომწონს ის, რაც გასულ კვირას მოხდა თბილისში – პარლამენტარის ცემას ვგულისხმობ. ხელისუფლებამ უნდა გაარკვიოს, რა მოხდა, აუცილებლად უნდა დაისაჯონ დამნაშავეები.

– ვალერი გელაშვილი ხელს სპეცსამსახურებისკენ იშვერს.

– ფონი ძალზე არასასიამოვნო ოყო და ამის გამოყენება კარგად შეეძლოთ იმ ძალებს, რომლებსაც ხელისუფლებასთან კავშირი არ აქვთ. წინასწარ არაფრის თქმა არ მინდა. ჩემთვის ძნელი წარმოსადგენია, ხელისუფლებაში იმდენად ბრიყვი და უგუნური იყოს ვინმე, რომ ეს ჩაედინა. ეს ხომ ძირის გამოთხრა და იმ ტოტის მოჭრაა, რომელზეც ზიხარ. ასეა თუ ისე, რადგან კითხვები არის, მათ პასუხიც უნდა გაეცეს. გელაშვილის საქმეში მართლაც არის საეჭვო დეტალები. პირადად დავინტერესდები ამ საკითხით და ვეცდები, მომხდარზე ადეკვატური რეგირება მოვახდინოთ.

– შვებულებას სად გაატარებთ?

– ოფიციალურად უკვე შვებულებაში ვარ, მაგრამ ხომ ხედავთ ჩემს მაგიდას (უამრავ დოკუმენტს მაჩვენებს), რა დღეშია. დიდი იმედი მაქვს, რომ აგვისტოს მეორე ნახევარში მაინც შევძლებ ოჯახთან ერთად დასვენებას. ბოლოდროინდელმა ვიზიტებმა დიდი ენერგია მოითხოვა, ამიტომ დასვენება ურიგო არ იქნებოდა. ზღვაზე მინდა წასვლა, მაგრამ არა აქ და ნუ მიწყენენ ჩემი თანამემამულეები. არა იმიტომ, რომ საზღვარგარეთ მირჩევნია, უბრალოდ ჯერ ერთი, ხალხს ვერ ვეტყვი, შვებულებაში ვარ და ვერ მოგისმენთ-მეთქი, ზღვაზე თავისუფლად გინდა ყოფნა. ისეთ ადგილას წავალ, სადაც ნაკლებად მიცნობენ. იმედია, ეს ქედმაღლობად და საქართველოს კურორტების ანტირეკლამად არ ჩამეთვლება. პირიქით, საზღვარგარეთ საქართველოს მთის კურორტებსა და ზღვას დიდ რეკლამას ვუკეთებდი – ჩამობრძანდით, ნახეთ, რა კურორტები გვაქვს-მეთქი.

ეკა ლომიძე

კვირის პალიტრა 2005. – 18-24 ივლისი. – №29. – გვ. 1, 6, 11

„არ მინდა, რუსეთთან ურთიერთობა ამორალურ პრინციპებზე იყოს დაფუძნებული“

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გუშინ ოფიციალური ვიზიტით ფინეთში გაემგზავრა. გამგზავრებამდე კი „რეზონანსმა“ მასთან ექსკლუზიური ინტერვიუ ჩაწერა. პარლამენტის თავმჯდომარე დარწმუნებულია, რომ ფინეთიდან საინტერესო შემოთავაზებებით ჩამოვა, თუმცა, მანამდე იმ მიღწევებსა და პრობლემებზე საუბრობს, რომელიც დემოკრატიულ საქართველოში ჯერ კიდევ არსებობს.

„რეზონანსი“: პარლამენტის ისტორიაში წელს პირველად ჩატარდა თანამშრომელთა ატესტაცია. კმაყოფილი ხართ თუ არა შედეგებით და როდის დაიწყება პარლამენტში ვაკანტური ადგილების შევსება?

ნინო ბურჯანაძე: ძალიან მოხარული ვარ, რომ საქართველოს პარლამენტში ფართო მასშტაბიანი ატესტაცია ჩავატარეთ, რომელიც 299 თანამშრომელმა გაიარა. სასიამოვნოა, რომ საატესტაციო კომისიამ მხოლოდ 5 თანამშრომლისადმი გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ ისინი სამსახურებრივ საფეხურზე დაქვეითებას ექვემდებარებოდნენ. თანამშრომელთა უმრავლესობა მათ მიერ დაკავებულ თანამდებობებს შეეფერება და დაახლოებით 100-მდე თანამშრომელი დაწინაურებას იმსახურებს. საატესტაციო კომისიის წევრები იყვნენ როგორც დეპუტატები, ასევე სხვადასხვა უწყებებიდან მოწვეული ადამიანები. ეს ნიშნავს, რომ პარლამენტში არიან ძალიან კომპეტენტური და კვალიფიციური ადამიანები. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ჩვენ ატესტაციის ჩატარება ისეთი პრინციპით გადავწყვიტეთ, რომ ეს არ ყოფილიყო მიმართული ადამიანების სამსახურიდან დათხოვნისკენ. სხვა უწყებებში თანდათანობით ატესტაცია სწორედ ამ

პრინციპით უნდა ჩატარდეს. კონკურსისა და ატესტაციის თვითმიზანი ადამიანების თანამდებობებიდან გათავისუფლება არ უნდა იყოს. იმისათვის, რომ ჩვენ დამატებითი შესაძლებლობები მიგვეცა ჩვენი თანამშრომლებისათვის, წინასწარ ჩავატარეთ ტრენინგები და სემინარები. ადამიანებმა მართლა იშრომეს, აიმაღლეს კვალიფიკაცია და უკეთესად ჩააბარეს საატესტაციო გამოცდები. ასევე მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ სულ მალე ჩავატარებთ კონკურსს, რადგან პარლამენტში არის ვაკანტური თანამდებობები. მინდა, თქვენი გაზეთის საშუალებით მივმართო მკითხველებს, რომ ვისაც შესაბამისი კვალიფიკაცია გააჩნია და სურვილი აქვს, იყოს სახელმწიფო სამსახურში, კონკურსში მიიღოს მონაწილეობა. კონკურსი სექტემბრის პირველ დეკადაში გამოცხადდება და საბუთების მიღება 10 დღე გაგრძელდება. სექტემბრის ბოლოს კი კონკურსი ჩატარდება.

„რ“: თქვენ დღეს ფინეთში მიემგზავრებით. ვისთან გექნებათ შეხვედრა და რა დახმარებების იმედი გვაქვს ფინეთიდან?

ნ. ბ. ფინეთში წელს აღინიშნება ჰელსინკის აქტის საიუბილეო წელი. ეუთოს დაარსება, როგორც თანამშრომლობისა და უსაფრთხოების ხელშეკრულების ორგანიზაციისა, სწორედ ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკში მოხდა. სწორედ აქედან გამომდინარე, ეუთოს საიუბილეო თარიღები განსაკუთრებული პომპეზურობით სწორედ ჰელსინკში აღინიშნება. ამ ღონისძიებას ეძღვნება საგანგებო და ძალიან მაღალი რანგის კონფერენცია, სადაც მოწვეულები არიან სხვადასხვა რანგის პოლიტიკოსები, ასევე საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები და იქნება საინტერესო მსჯელობა ეუთოს დღევანდელ რეალობაზე. მე მოხსენება უნდა წარვადგინო ჩვენი შეხედულების შესახებ ეუთოს როლსა და პერსპექტივებზე. საქართველოსთვის ეუთო ძალიან მნიშვნელოვანი ორგანიზაცია გახლავთ. ჩვენ ბევრჯერ გვქონდა მისგან მხარდაჭერა, როცა საუბარი იყო აფხაზეთსა და ცხინვალში კონფლიქტზე. პირველად ეუთოს დოკუმენტში დაფიქსირდა ეთნიკური წმენდის ელემენტები აფხაზეთში. ეუ-

თოს სამიტი იყო 1999 წელს სწორედ სტამბულში, სადაც ხელი მოეწერა ბაზების გაყვანის ხელშეკრულებას საქართველოსა და რუსეთს შორის. ეუთო იყო ის ორგანიზაცია, რომელმაც საზღვრის მონიტორინგის მისია შეასრულა, თუმცა, სამწუხაროდ, ეს მისია უკვე არ ფუნქცინირებს. ასევე გვინდა, რომ ეუთო ძალიან გააქტიურდეს ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში. ეს ის საკითხებია, რომელსაც მე და ჩემი კოლეგები ეუთოში დავაყენებთ. პარალელურად, იგეგმება ორმხრივი შეხვედრები ფინეთის პრეზიდენტთან, ფინეთის საგარეო ეკონომიკური ვაჭრობის მინისტრთან, პარლამენტის თავმჯდომარესთან, ჰელსინკის მერთან, რომელიც ჩემი ძველი კოლეგა და მეგობარია და იმედი მაქვს, რომ მოვახერხებ მის დაინტერესებას საქართველოს პრობლემატიკით. შეხვედრები იგეგმება რამდენიმე პოტენციურ ინვესტორთან. ვფიქრობ, ეს იქნება სასარგებლო პირველი ნაბიჯის გადადგმა ამ მიმართულებით, რადგან, სამწუხაროდ, სკანდინავიის ქვეყნებთან აქტიური ურთიერთობები არ გვაქვს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ შვედეთში პრეზიდენტი მიბრძანდება. ჩემი ვიზიტის შემდეგ კი ფინეთის პრეზიდენტის ვიზიტი იგეგმება საქართველოში. ეს ძალიან საინტერესო და მაღალი პოტენციის მქონე ქვეყნებია, რომლებმაც თავის დროზე ბალტიისპირეთში რამდენიმე მილიარდიანი ინვესტიცია ჩადეს და ბალტიისპირეთის ქვეყნებს ძალიან დაეხმარნენ ეკონომიკური აღმავლობის სწრაფად მიღწევაში.

„რ“: ბოლო პერიოდში რუსეთთან ურთიერთობა ძალიან დაიძაბა. რუსულ პრესაში ჩნდება ცნობები, რომ საქართველო ომისთვის ემზადება, რომ ბესლანის ტერაქტი თბილისში დაიგეგმა და ა.შ. საქართველო-რუსეთის მომავალი ურთიერთობა როგორ წარმოგიდგენიათ?

ნ. ბ. ნამდვილად არ მინდა რუსეთთან ჩვენი ურთიერთობები გაფუჭდეს და დაიძაბოს. სამწუხაროდ, რუსულ პრესაში საკმაოდ უცნაური სტატიები იბეჭდება. მაგალითად, „ბურჯანაძემ ისევ დაადანაშაულა რუსეთი გორის ტერაქტის მონაწილეობაში“.

ბურჯანაძემ კი არ დაადანაშაულა რუსეთი, დაადანაშაულა იმ ადამიანებმა, ვინც ჩვენება მისცეს, რომ ეს ყველაფერი რუსეთის ცალკეული სპეცსამსახურების მხრიდან იმართებოდა. საამისოდ არსებობს დოკუმენტურად დადასტურებული მასალაც. მე არანაირ სიამოვნებას არ მანიჭებს ნებისმიერი მეზობელი ქვეყნის დადანაშაულება, მით უმეტეს ისეთ უსიამოვნო ფაქტში, როგორიც არის ტერაქტი, რომელსაც ადამიანთა მსხვერპლი მოჰყვა. მაგრამ ძალიან მინდა, იმედი ვიქონიო, რომ თავად რუსეთი დაინტერესდება იმ მასალებით, რაც ჩვენს შსს-ს გააჩნია და რაც ვანო მერაბიშვილმა ოფიციალურად გადასცა რუსულ მხარეს. ეს არ არის ბურჯანაძის ან სხვა ვინმეს აჩემება. ეს არის ფაქტი, რომელიც გამოძიების მონაცემებიდან გამომდინარე არსებობს. ის, რომ ჩვენ ამ ფაქტებზე თვალს ნამდვილად არ დავხუჭავთ, ეს ერთმნიშვნელოვანია, რადგან ტერორიზმთან ბრძოლა ისეთი თემაა, რომელიც რუსეთმა თავის მხრებზე გადაიტანა. აქედან გამომდინარე, ის ორმაგი სტანდარტებით არ უნდა სარგებლობდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში თავად რუსეთი იქნება მუდმივად ტერაქტების სამიზნე. შენ თუ ორმაგი სტანდარტებით მოქმედებ და ახალისებ ტერაქტებს საქართველოში – გორში, ცხინვალში თუ აფხაზეთში, ეს აუცილებლად შენ შემოგიბრუნდება და ისეთი ტრაგედიები მოხდება, რომელიც, სამწუხაროდ, უკვე მოხდა. ჩვენ არ გაგვხარებია არც მოსკოვის, არც ბესლანის და არც სხვა ტერაქტები. ის, რომ გორის ტერაქტის ბრალდებების საპასუხოდ მოგვიტრიალდნენ და უსინდისოდ ბესლანის ტერაქტში დაგვდეს ბრალი, ეს ყველაფერი ამორალურია. არ მინდა, რომ ჩვენი რუსეთთან ურთიერთობები ამორალურ პრინციპებზე იყოს დაფუძნებული. პირადად ძალიან ფრთხილად ვეკიდები ნებისმიერ ბრალდებას და მოხარული ვიქნები, თუ რუსული მხარე ბრალდებებს დოკუმენტურად გააქარწყლებს.

„რ“: ბოლო მოვლენებიდან გამომდინარე, კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ საქართველოში მუშაობენ „გრუ“-ს აგენტები, მათ შორის ხელისუფლების მაღალ ეშელონებშიც. დაი-

წყო საუბარი იმაზეც, რომ საქართველოში უკრაინის პრეზიდენტის ვიქტორ იუშენკოს ვიზიტი იგეგმება. მისი ვიზიტი კიდევ ხომ არ გადაიდება?

ნ. ბ. სპეცსამსახურები და აგენტები რომ საქართველოში მუშაობენ, ამაში განსაკუთრებული არაფერია. გარკვეულ ჩარჩოებში ამის შესახებ სახელმწიფოებმა იციან და ამას თვალყურს ადევნებენ. ჩვენ, ჩვენი მხრივ ყველანაირად ვეცდებით, რომ არ მოხდეს ისე, რომ მათ მიერ განხორციელებული ტერორისტული საქმიანობები საქართველოს ეროვნულ ინტერესებს შეეხოს. რაც შეეხება ტერაქტების საშიშროებას, მინდა იმედი ვიქონიო, რომ რუსეთის უმაღლესი ხელისუფლების მხრიდან, ბოლოდროინდელი მოვლენების შემდეგ, საგანგებო ყურადღება იქნება და ჩვენც ყველანაირად ვეცდებით, რომ ნებისმიერი ტერაქტის მცდელობა კატეგორიულად აღკვეთილი იყოს. რაც შეეხება ვიქტორ იუშენკოს შესაძლო ტერაქტთან გავრცელებულ ინფორმაციებს, კონსულტაციები მქონდა როგორც ჩვენი მაღალი რანგის ოფიციალურ წარმომადგენლებთან, ასევე უკრაინაში საქართველოს ელჩთან. არანაირი ინფორმაცია, რომელიც შესაძლო ტერაქტზე მიუთითებს, არ არსებობს, ამაზე უბრალოდ ეჭვიც კი არ არსებობს. უბრალოდ, ბატონი იუშჩენკო პირადად ესაუბრა საქართველოს პრეზიდენტს და სთხოვა ვიზიტი გადაედო, რადგან სურვილი აქვს საქართველო თავისუფალი გრაფიკით მოინახულოს. ამაში საგანგაშო არაფერია. გარწმუნებთ, რომ ბატონი იუშჩენკო აუცილებლად გვესტუმრება.

„რ“: როგორ ფიქრობთ, რამდენად წარმატებით ჩატარდა ვოვა არუთინიანის აყვანის ოპერაცია?

ნ. ბ. მოხარული ვარ, რომ ასეთი ოპერაცია ჩატარდა და დაკავებულია პრეზიდენტ ბუშის თავდასხმაში ეჭვმიტანილი. სამწუხაროა, რომ სრულიად ახალგაზრდა ადამიანის სიცოცხლე შეეწირა ამ ამბავს. ასევე არ შემიძლია აღშფოთება არ გამოვხატო იმ კადრებთან დაკავშირებით, რომელსაც მე ტელევიზიით ვხედავდი. ძალიან მინდა, მასმედიის წარმომადგენლებს

გთხოვოთ, რომ ადამიანურ მხარეებს მიაქციოთ ყურადღება. ამაზე პრეზიდენტმაც ძალიან სწორად თქვა, რომ იყო გაუთავებელი სიუჟეტები არუთინიანზე, მის დედაზე, რომელიც ადამიანურად ცოდოა, რადგან მისმა შვილმა ასეთი საქციელი ჩაიდინა. არუთინიანის დედა უფრო ცოდოა თუ იმ დაღუპული პოლიციელის დედა, რომელზეც ერთი სიუჟეტიც არავის გაუკეთებია. ჩვენ თქვენთან ერთად კარგისა და ავის გარჩევა თუ არ დავაფუძნეთ, ძალიან გაგვიჭირდება პოლიციას მოვთხოვოთ, ჩვენთვის თავი გაწიროს. ნამდვილად არ მახსოვს რომელი ოპერატორი იღებდა სპეცოპერაციის კადრებს, მაგრამ შეიძლება სასწრაფო მანქანის ფანჯარა გააღო და დასვენებულ ახალგაზრდა ბიჭს გადაუღო, რომლის პატრონი სპეცოპერაციას პირდაპირ ეთერში უყურებდა და არ იცოდა, რომ ის მისი შვილი იყო? როცა ამ კადრებს ვუყურებდი, შოკური რეაქცია მქონდა. მახსოვს, ბატონმა ვანო მერაბიშვილმა მითხრა, რომ ისტერიულად რეკავდნენ დაღუპული პოლიციელის ოჯახის წევრები და კითხულობდნენ ის იყო თუ არა. რა თქმა უნდა იცნეს, მაგრამ ბოლო მომენტამდე ოჯახს იმის დაჯერება არ უნდოდა, რომ მისი ოჯახის წევრი დაიღუპა. ასეთი რამ შეიძლება? მესმის ჟურნალისტის თავგადადება და ყველას პატივ ვცემ, მაგარმ რაღაც ჩარჩოები უნდა არსებობდეს.

ეკა გულუა

რეზონანსი 2005. – 30 ივლისი. – №199. – გვ. 4.

ბურჯანაძე მოსამართლეებზე ზეწოლის ფაქტებს ითხოვს

„ჩვენ ნუ წარმოვიდგენთ ისე, რომ ხელისუფლებაში ყველანი ანგელოზები არიან და არავის არაფერი ეშლება“

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე მოუწოდებს ყველა მოსამართლეს, რომ თუ მათზე ხელისუფლების მხრიდან ზეწოლა ხორციელდება, ამის შესახებ ღიად განაცხადონ. ის აცხადებს, რომ პირადად დაიცავს იმ მოსამართლეების უფლებებს, რომლებიც დარწმუნებული არიან საკუთარ სიმართლეში. სპიკერის თქმით, მასაც ძალიან ხშირად სმენია მოსამართლეებზე განხორციელებული ზეწოლის ფაქტების შესახებ, მაგრამ მოარულ ხმებზე დაყრდნობით მკაცრ განცხადებებს ვერ გააკეთებს. ამ თემის კიდევ ერთხელ წამოწევა ერთ-ერთი მოსამართლისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხის დასმას მოჰყვა. დეპუტატების განცხადებით, პარლამენტი უზენაეს სასამართლოში მიმდინარე პროცესებით უნდა დაინტერესდეს. მათი აზრით, რადგან მოსამართლეები ერთმანეთის მიყოლებით წერენ გადადგომის შესახებ განცხადებებს, ეს ეჭვის საფუძველს ქმნის. „კონსერვატორების“ ლიდერი კობა დავითაშვილი უფლებამოსილების გადაჭარბების მოტივით დეპუტატ გიგა ბოკერიას წინააღმდეგ საქმის აღძვრას მოითხოვს. ეს მოთხოვნა ბოკერიას განცხადებამ განაპირობა: „ჩვენი პოლიტიკური ზეწოლის ქვეშ, ლეგიტიმური ორგანო, იუსტიციის საბჭო ახორციელებს იმ კურსს, რასაც კორუმპირებული, უნებისყოფო და უპრინციპო მოსამართლეებისაგან კანონის დაცვით სასამართლოს გაწმენდა ჰქვია“. ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით „რეზონანსი“ პარლამენტის თავმჯდომარესთან ნინო ბურჯანაძესთან ინტერვიუს გთავაზობთ.

„რეზონანსი“: გახშირდა მოსამართლეების მიერ საკუთარი განცხადებების საფუძველზე თანამდებობის დატოვების ფაქტები და ასევე გახშირდა ოპოზიციის ბრალდებები, რომ მათზე ხელისუფლების მხრიდან ზეწოლა ხორციელდება. რა კომენტარს გააკეთებთ ამასთან დაკავშირებით?

ნინო ბურჯანაძე: თავისთავად ის ფაქტი, რომ ბოლო პერიოდის განმავლობაში მოსამართლეებმა აქტიურად დაიწყეს განცხადებების დაწერა თანამდებობიდან საკუთარი ნებით წასვლის თაობაზე, ამ სტრუქტურაში პრობლემის არსებობაზე მიუთითებს. ცხადია, იბადება კითხვა: არის თუ არა მოსამართლეებზე ზეწოლა? მიმაჩნია, რომ მოსამართლეებზე, რომელსაც საკუთარი თავის იმედი აქვს, კიდეც რომ დააპიროს ხელისუფლებამ ზეწოლის განხორციელება, ამას ვერ მოახერხებს. თუ მართლაც არსებობს ხელისუფლების მხრიდან ზეწოლის ფაქტები, ვინმემ ამის თაობაზე კონკრეტული მაგალითი უნდა თქვას. არაერთხელ გავაკეთე განცხადება, რომ თუ არის კონკრეტული ფაქტები მოსამართლეებზე ხელისუფლების მხრიდან ზეწოლისა, მზად ვარ მათ შესასწავლად. სამწუხაროდ, არც ერთ მოსამართლეს არ მოუმართავს არც ჩემთვის, არც პარლამენტისთვის და ბუნებრივია, რომ მხოლოდ მოარულ ხმებზე ან ეჭვებზე დაყრდნობით არ შემიძლია განცხადებების გაკეთება. თუ მოსამართლე ვერ უძლებს ზეწოლას, ის ჩემთვის არ არის ფასეული მოსამართლე. თუ ადამიანს ეუბნებიან, რომ დაწერე განცხადება და წადი და ის ვერ იცავს საკუთარ სიმართლეს, ის ვერასოდეს დაიცავს ობიექტურ პოზიციას და ვერ გაუმკლავდება მსგავს ზეწოლას რომელიმე სახელმწიფო ჩინოვნიკის მხრიდან. ვერავის დავიცავ, თუ დასაცავმა პირმა თავად არ გამოიჩინა ინიციატივა. თუ რომელიმე მოსამართლე ხმას მომაწვდენს, რომ მას უსამართლოდ ჩაგრავენ სამრთლიანი გადაწყვეტილების გამოტანის გამო, ხმალამოღებული დავიცავ ამ ადამიანის უფლებებს. მაგრამ მოარულ ინფორმაციაზე, რომ ვიღაცამ ვიღაცას ძალით რაღაც დააწერინა, პარლამენტის თავმჯდომარე

რეაგირებას ვერ გააკეთებს. ქალბატონმა ფიქრია ჩიხრაძემ კიდევ ერთხელ გააკეთა განცხადება, რომ თითქოს ერთ-ერთ ამ მოსამართლეს ხელისუფლების წარმომადგენელი მიუვარდა კაბინეტში და შეურაცხყოფა მიაყენა. თუ ასეთ ფაქტს მართლაც ჰქონდა ადგილი, გარწმუნებთ, რომ ეს ჩინოვნიკი არ დარჩება თავის ადგილას. ამის პირობას გაძლევთ. დავავალე იურიდიულ კომიტეტს და პირადად ლევან ბეჟაშვილს, რომ გამოიკვლიოს ეს საკითხი და მის მიერ მოძიებულ ინფორმაციას გავახმოვანებ ბიუროსა და პლენარულ სხდომებზე. თუ დადასტურდება, რომ მოსამართლეს სწორად გამოტანილი განაჩენის გამო ჩინოვნიკმა შეურაცხყოფა მიაყენა, ის ჩინოვნიკი დაისჯება.

„რ“: ამგვარი ეჭვების გაჩენა ალბათ იმანაც გამოიწვია, რომ რევოლუციის შემდეგ დაკავებულ თითქმის ყველა ეჭვმიტანილს სასამართლომ წინასწარი 3-თვიანი პატიმრობა მიუსაჯა. როგორ ფიქრობთ, რამდენად შეიძლება იყოს ეს ეჭვის საფუძველი, რომ მოსამართლეებზე მართალაც ხორციელდება ზეწოლა?

ნ. ბ. მე არ უარვყოფ, შესაძლოა, მართლაც ხორციელდება ზეწოლა, მაგრამ ვინმემ ხომ უნდა თქვას ამის თაობაზე? ვინმეს გამბედაობა ხომ უნდა ეყოს, რომ გამოვიდეს და თქვას, რომ მივიღე სწორი გადაწყვეტილება და ხელისუფლება ამის გამო მდევნის? თუ ყველამ დაკარგა გამბედაობა და მთელი საქართველოს მოსამართლეები ასე შეშინებულები არიან, ძალიან ცუდად გვქონია საქმე. ასეთ შემთხვევაში თუ ოპოზიციას ჰგონია, რომ მარტო მე გადავარჩენ სიტუაციას, ეს ასე არ არის. მინდა საზოგადოებას გულწრფელად მოვუწოდო, რომ ქვეყანაში დემოკრატიული ფასეულობების დამკვიდრება თითოეული ჩვენგანის ვალდებულებაა. თუ ვინმეს ჰგონია, რომ თავად უნდა გაჩუმდნენ და პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, ან ოპოზიციის რომელიმე წარმომადგენელი გადაწყვეტს ქვეყანაში დემოკრატიასთან დაკავშირებულ ყველა პრობლემას, ცდება. საზოგადოებამ თვითონ თუ არ იბრძოლა თითოეული თავისი დარღვეული უფლებისათვის, როგორც მინიმუმ ხმამა-

ღლა თუ არ თქვა, ვერავინ უშველის ამ სიტუაციას. ჩვენ ნუ წარმოვიდგენთ ისე, რომ ხელისუფლებაში ყველანი ანგელოზები არიან და არავის არაფერი ეშლება. მთავარია, პოლიტიკური ნება იმისა, რომ ქვეყნაში დამყარდეს დემოკრატიული წყობილება და იყოს დემოკრატიული და დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება, ნამდვილად არსებობს. თქვენი გაზეთის მეშვეობით ვაცხადებ, რომ შევეცდები ყველაფერი გავაკეთო იმისათვის, რომ თითოეული მოსამართლის უფლება იყოს დაცული. მაგრამ ამისათვის საჭიროა, რომ მოსამართლე იყოს მართალი და არ ეშინოდეს თავისი სიმართლის დამტკიცების.

„რ“: პლენარულ სხდომაზე მოითხოვეთ სტენოგრაფიული ჩანაწერის ამოღება კობა დავითაშვილისა და გიგა ბოკერიას განცხადებებიდან გამომდინარე. როგორ ფიქრობთ, მართლაც გადაამეტა თუ არა გიგა ბოკერიამ უფლებამოსილებას, როცა განაცხადა, რომ ხელისუფლება ზეწოლას ახორციელებს იუსტიციის საბჭოზე?

ნ. ბ. ჯერ არ მინახავს სტენოგრაფიული ჩანაწერი. რაც მოვისმინე არა მგონია, რომ ბატონმა გიგამ პოლიტიკური ზეწოლის თაობაზე გააკეთა განცხადება და ის პოლიტიკური ზეწოლის მომხრეა. მეც არა ერთხელ მსმენია ასეთი ფაქტების შესახებ, მაგრამ არც ერთი დამადასტურებელი საბუთი არ მაქვს. როგორც ჩანს, ის მოსამართლეები, რომლებიც აგრძელებენ განცხადებების დაწერას, არ არიან თავის მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებებში დარწმუნებული და ეს არის ყველაზე დიდი პრობლემა.

„რ“: მიმდინარე კვირას ძალიან მნიშვნელოვანი დადგენილება მიიღო პარლამენტმა სამშვიდობო ძალების გაყვანასთან დაკავშირებით. ამას უმალ მოჰყვა რეაქცია რუსეთის სათათბიროსა და მთავრობის წარმომადგენლების მხრიდან. როგორ ფიქრობთ, რამდენად მოსალოდნელია პროვოკაციები კონფლიქტების ზონებში და აქედან გამომდინარე მოსალოდნელია თუ არა მათი გამწვავება?

ნ. ბ. დადგენილებას მოსკოვის მხრიდან მოჰყვა არაადეკვატური რეაქცია, რადგან ჩვენ არ ვლაპარაკობთ კონფლიქტის

გამწვავების სურვილზე და სამშვიდობოების ახლავე გაყვანაზე. ვსაუბრობთ იმაზე, რომ მოველით კიდევ, რომ 4 თვის განმავლობაში სამშვიდობოების მხრიდან რაიმე პოზიტიური ნაბიჯი გადაიდგას. მინდა ამის იმედი ვიქონიო. ადეკვატური რექცია იქნებოდა ვთქვათ, რომ მართალია პრობლემები არსებობს, მაგრამ მოდით ერთობლივად ვეძებოთ გამოსავალი. როცა ერთის მხრივ თვალს ხუჭავ აფეთქებებზე და ხელს უწყობ მათ, როცა ამზადებ დივერსანტებს სამაჩაბლოსა და აფხაზეთში, როცა მხარს უჭერ სეპარატიზმს და მოუგვარებელი კონფლიქტების შენარჩუნებას, არასტაბილურობის კერების არსებობას უწყობ ხელს, ამით ახალისებ იმ ადამიანებს, რომლებიც შენსავე ტერიტორიაზე გებრძვიან. როცა რუსეთის სათათბიროს ვიცე-სპიკერები ლაპარაკობენ იმაზე, რომ თურმე საქართველომ უნდა სცნოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, კარგად დაფიქრდნენ რა მოჰყვება ამას ჩრდილოეთ კავკასიაში. გულწრფელად ვწუხვარ, ეს ქვეყნის უბედურებაა, რომ ამხელა ქვეყანას ასეთი ვიცე-სპიკერები ჰყავს. ჟირინოვსკიზე აღარ ვლაპარაკობ, ის ერის სირცხვილია. ვითხოვთ, რომ რუსეთმა შეასრულოს თავისი საშუამავლო მისია. შეიძლება, რომ 21-ე საუკუნეში ასეთ პატარა ქვეყანაში დაკარგული იყოს ბავშვი, რომელსაც 10 წელია ოჯახი ეძებს? მინდა ვისარგებლო თქვენი გაზეთით და ქედი მოვიხარო იმ აფხაზი ქალბატონის წინაშე, რომელმაც ის საკუთარი შვილივით გაზარდა. მგონია, რომ ჩვენი მოთხოვნა სრულიად სამართლიანია. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია კონტაქტების გაგრძელება. თუმცა, ძალიან მცირეა იმედი, რომ რუსეთი ამ 4-თვიან ვადას გამოიყენებს.

სოფო ქვლივიძე

რეზონანსი 2005. -15 ოქტომბერი. – №276. – გვ. 4

ნინო ბურჯანაძე: „მე არ მსურს, რომ ჩვენს ყველაზე დიდ წარმატებად დარჩეს „ვარდების რევოლუცია“

ამ ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში არაერთი მიმოხილველი ავლებს პარალელებს საქართველოსა და უკრაინას შორის. ვითარება ამ ორ ქვეყანაში ძალიან წააგავს ერთამენეთს თვით პატარ-პატარა დეტალებითაც კი. როგორც საქართველოში, ისე უკრაინაში გაიმარჯვეს „ფერადმა რევოლუციებმა“. თბილისშიც და კიევშიც რევოლუციის ბელადებმა და მათმა თანამოსაგრეებმა ვერ შეძლეს „საბრძოლო“ ერთობის შენარჩუნება, და, მეტი რომ არ ვთქვათ, ერთმანეთთან უსიამოვნებაც კი მოუვიდათ მშვიდობიანი შრომის დროს. მცირეოდენი განსხვავებაა, ალბათ, მხოლოდ ის, რომ საქართველოს პარლამენტის სპიკერი ნინო ბურჯანაძე ერთადერთი ქალბატონი არ ყოფილა რევოლუციურ „კონკლავში“. უკრაინისგან განსხვავებით, სადაც ჯერ კიდევ ცოტახნის წინ „მეფობდა“ პრემიერი იულია ტიმოშენკო, ახლა კი გაბატონებულია მკაცრი „პატრიარქატი“, საქართველოში საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა ეროვნებით ქართველი, საფრანგეთის მოქალაქე სალომე ზურაბიშვილი. სწორედ ამან გამოიწვია კიდეც სპიკერ ბურჯანაძის უკმაყოფილება, რომელმაც მინისტრი, რა თქმა უნდა, დაადანაშაულა სამინისტროს დაშლაში და არაკოორდინირებული ქვეყნის საგარეო-პოლიტიკირი კურსის განხორციელებაში. ყოველივე ეს დასრულდა ზურაბიშვილის გადადგომით, რომელმაც თავის გადაყენებას უწოდა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ დაშვებული „სტრატეგიული შეცდომა“, დაადანაშაულა იგი დემოკრატიული გარდაქმნის შეკვეცაში, „ვარდების რევოლუციის“ იდეალების დავიწყებაში, და განაცხადა, რომ გადადის ოპოზიციის რიგებში. ყოფილმა მინისტრმა უკვე გამართა ოპოზიციური

ძალების მიტინგი, რომელზეც მოითხოვა პარლამენტის დათხოვნა და დამსწრეთ განუცხადა, რომ აპირებს შექმნას მემარჯვენე ყაიდის მოძრაობა, რომელიც მოემსახურება საზოგადოებას. ახლა ქალბატონი ზურაბიშვილი თავის მეუღლესთან ერთად მოგზაურობს მთელ საქართველოში და ეცნობა თანამოქალაქეთა ცხოვრებას. სპიკერი ბურჯანაძე კი უკრაინაში ჩამოვიდა, რათა კიდევ უფრო განამტკიცოს და კოორდინირებული გახადოს მოქმედება აქაური „ფერადი რევოლუციის“ მოღვაწეებთან. კიევში ბურჯანაძეს ჰქონდა უმაღლესი დონის შეხვედრები, თუმცა, იგი ტიმოშენკოსაც შეხვდა, რომელსაც კარგა ხანს ესაუბრა.

ქალბატონი ნინო ინტერვიუზე დათანხმდა „კიევსკი ტელეგრაფის“ კორესპონდენტებს ალექსანდრე სერგის და ვლადიმერ სკაჩკოს.

– უკრაინაში ამ ბოლო ხანს განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებით, იშვა ასეთი სენტენცია: არა რევოლუცია ანადგურებს თავის შვილებს, არამედ ისინი სპობენ რევოლუციას. იგულისხმება უთანხმოება რევოლუციის ბელადება შორის, რასაც მოჰყვა გადაადგილებები ხელისუფლებაში. როგორ ფიქრობთ, საქართველოშიც რაღაც ამის მსგავსი ხდება?

– გულახდილად რომ გითხრათ, გული მტკივა, როცა თანამოსანგრეები და თანამოაზრეები რაღაც მომენტში ვერ პოულობენ საერთო ენას. მაგრამ პოლიტიკა რთული საქმეა და ამიტომაც ძნელია გარეშე თვალისთვის იმის დანახვა თუ რა დაუძლეველი დაბრკოლებები შეიქმნა ურთიერთგაგების მიღწევის გზაზე. მე კი მსურს, მხოლოდ გისურვოთ ერთობა, რათა ის უთანხმოება, რომელიც მოხდა უკრაინის პოლიტიკურ ელიტაში რევოლუციის ლიდერებს შორის, დაიძლიოს. გისურვებთ ასევე, უკრაინელმა ხალხმა თვალნათლივ იგრძნოს ის შედეგი, რომელსაც იგი ელის – სახელმწიფოს აყვავება. საქართველოშიც, რა თქმა უნდა, პოლიტიკური ცხოვრება უღრუბლო არ არის. ყოველთვის არის გარკვეული უთანხმოება, სხვადასხვაგვარი შეხედულებები, კამათი. მაგრამ ერთი რამ შემიძლია ვთქვა:

პრინციპში, ძალიან გაგვიმართლდა იმაში, რომ გარკვეული უთანხმოების მიუხედავად, მაინც შეგვიძლია საერთო ენის გამონახვა, თანამშრომლობა.

– ამ ბოლო ხანებში მასობრივი ინფორმაციის მრავალი საშუალება იტყობინებოდა, რომ საქართველოში გამოჩნდა ოპოზიციის ძლიერი ლიდერი, ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი სალომე ზურაბიშვილი...

– იცით, მაინც ვფიქრობ, რომ ეს რამდენადმე ნაჩქარევი დასკვნაა. მომავალი გვიჩვენებს, თუ რამდენად ძლიერია ოპოზიცია და მისი ლიდერი. ზურაბიშვილი ნიჭიერი, ჭკვიანი ქალია, ასე რომ, პრინციპში, შესაძლებელია, იგი ძლიერი ლიდერიც გახდეს. თუმცა, ამისთვის საჭიროა დრო, ხალხის მხარდაჭერა და სერიოზულად დასაბუთებული პოზიცია. რევოლუცია ყოველთვის წარმოქმნის უდიდეს მოლოდინს, რომლის გამართლებაც ერთბაშად შეუძლებელია, რაოდენ იდეალური ლიდერებიც არ უნდა იყვნენ. ასე რომ, აბსოლუტურად ნორმალურია ის, რომ არიან ადამიანები, რომლებიც ძალზე ბევრს ელოდნენ, მაგრამ, გაცილებით ცოტა რამ მიიღეს. თუმცა, არიან ისეთი ადამიანებიც, რომლებიც რეალურად აფასებენ სიტუაციას და ხედავენ, რომ საქართველოში მართლაც ბევრი რამ კეთდება. და საერთოდ, ხალხი ნებისმიერ შემთხვევაში გაერკვევა, თუ ვინ ეუბნებოდა მას სიმართლეს და ვინ – ატყუებდა. ჩემთვის, გულახდილად რომ ვთქვათ, გაუგებარია, როცა ადამიანი დღეს მუშაობს გუნდში, ხვალ კი, როცა თანამდებობიდან გადააყენებენ, ოპოზიციური ხასიათის განცხადებების გაკეთებას იწყებს.

– ზურაბიშვილის პოსტიდან წასვლას, მნიშვნელოვანწილად, შეუწყო ხელი კონფლიქტმა თქვენთან. ყოველ შემთხვევაში, ასე აღნიშნავდა მრავალი მიმომხილველი. აქ რაიმე ქალური შური ხომ არ ყოფილა?

– არანაირი. ყოველ შემთხვევაში, ჩემი მხრიდან მაინც. და საერთოდ, მეცინება კიდეც, როცა ასეთ კითხვას მისვამენ. მე საკმაოდ წარმატებული ქალი ვარ, ჭკვიანი, სასიამოვნო გარეგნობის, მყავს ნორმალური ოჯახი, ძალზე კარგი ქმარი და შე-

სანიშნავი შვილები, გავიკეთე ბრწყინვალე პოლიტიკური კარიერა, რატომ უნდა მშურდეს ვინმესი? მე ხომ მაქვს ჩემი ადგილი საზოგადოებაში. მაგრამ ეს თემა აქტიურად მუსირებს ქართულ მასობრივ ინფორმაციის საშუალებებში. და, საერთოდ მიმაჩნია, რომ ეს თემა ვიღაცამ გამოიგონა და როგორც იტყვიან, „მიუგდო“ ჟურლანისტებს. გულახდილად რომ გითხრათ, ამან, გარკვეულწილად ჩემზეც იმოქმედა და კინაღამ ავყევი კიდეც პროვოკაციას. ეს გამოიხატა იმით, რომ იმაზე ნაკლებად ვლაპარაკობდი, ვიდრე შემეძლო სინამდვილეში მეთქვა, თავს ვიკავებდი კრიტიკული შენიშვნების გამოთქმისაგან. მაგრამ ეს ჩემთვის კარგი გაკვეთილი იქნება.

– ამის მიუხედავად, ქალბატონ ზურაბიშვილის მისამართით, პირველი ბრალდებები პარლმენტმა გამოთქვა. რა პრეტენზიები გქონდათ ყოფილ მინისტრთან?

– უწინარეს ყოვლისა, მინდა ხაზი გაუსვა, პარლამენტი მე არ ვარ, მიუხედავად ჩემი ადგილისა და ჩემი გავლენისა. პარლამენტს სხვაგვარი აზრი რომ ჰქონოდა ამ საკითხის თაობაზე, გარწმუნებთ, რომ 80 დეპუტატი არ გამოთქვამდა ორი კომიტეტის სხდომებზე პრეტენზიებს ზურაბიშვილის მისამართით. და კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ ამ პრეტენზიებზე ჩვენ პასუხი, უბრალოდ, არ მიგვიღია. ქალბატონი ზურაბიშვილი შესანიშნავად უძღვება მოლაპარაკების პროცესს, გამოცდილი დიპლომატია, მაგრამ მინისტრად მან ვერ იმუშავა. შესაძლოა, სხვა პოსტზე მას გაცილებით უფრო გაემართლებინა. და, საერთოდ არ მესმის, თუ რატომ აღიქვამენ კრიტიკას ასე მტკივნეულად. მით უმეტეს, როცა პრეტენზიები, პრინციპში, დასაბუთებული იყო. სამწუხაროდ, გარკვეულწილად გადავუხვიეთ იმ მიზნებს, რომლებიც დავისახეთ ევროკავშირთან და ნატოსთან ურთიერთობაში, ამიტომ, ვერ მივცემდით თავს ისეთი ფუფუნების უფლებას, როგორიც არის არაეფექტიანი საგარეო პოლიტიკა.

– ზურაბიშვილი საქართველოში მოიწვიეს საფრანგეთიდან, ქვეყნიდან, რომელიც ცნობილია თავისი პრორუსული პოზიციით...

– არ შეიძლება იმის თქმა, რომ ქალბატონ ზურაბიშვილს პროპუსული პოზიცია ეკავა. იგი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი იყო და მტკიცედ იცავდა იმ გეზს, რომელიც განსაზღვრეს პრეზიდენტმა, პრემიერ-მინისტრმა და ქვეყნის პარლამენტმა. იგი მუშაობდა ისე, როგორც შეეძლო. მე კიდევ ერთხელ მსურს აღვნიშნო, რომ მთავარი პრობლემა მისი პოლიტიკური ორიენტაცია არ ყოფილა. მთავარი პრობლემა იყო მისი, როგორც მინისტრის, და არა როგორც დიპლომატის მუშაობის ეფექტიანობა.

– საქართველოს პარლამენტმა მიაღწია რუსეთის ბაზების გატანასთან დაკავშირებული პრობლემის გადაჭრას...

– თუმცა, ახლა ჩვენი ოპოზიცია ალაპარაკდა, რომ ეს მხოლოდ ქალბატონ მინისტრის დამსახურება არ ყოფილა...

– რუსეთს მიეცა ოთხი თვე, სამხრეთ ოსეთის პრობლემის გადაჭრისა და მის მშვიდობისმყოფელთა სტატუსის განსაზღვრისთვის. ესეც გაბედული ნაბიჯია. და უეცრად – ასეთი დემარში. როგორ ფიქრობთ, რატომ არ სურს რუსეთს, რომ კავკასიაში მეზობლად ჰყავდეს მშვიდობიანი, აყვავებული ქვეყანა, მაშინ როცა კავკასია დენთის კასრს უფრო წააგავს.

– ამ კითხვაზე მეც არა მაქვს პასუხი. ეს, ალბათ, უფრო რუს პოლიტიკოსებს უნდა ჰკითხოთ. რატომ არ ესმით ამ ადამიანებს, რომ მათთვის უფრო ხელსაყრელი იქნება, თუ საქართველოს სახით ეყოლებათ სტაბილური, დემოკრატიული, განვითარებული და კეთილმოსურნეთ განწყობილი მეზობელი? ჩემი აზრით, იქ ჯერჯერობით ჭარბობს გარკვეული იმპერიული აზროვნება. რაც უფრო სუსტი იქნებიან სახელმწიფოები რუსეთის ირგვლივ, მით უფრო ადვილად შეეძლება კრემლს ამ ქვეყნებით მანიპულირება და ეს რუსეთისთვის უკეთესი იქნება. რუსეთში მავანთ უბრალოდ ვერ შეუგნიათ, რომ ასეთი აზროვნების დრო წარსულს ჩაბარდა და სადღეისოდ, ყველაზე ეფექტიანია ურთიერთობა რომელიც ეყრდნობა პარტნიორობას, ორივე მხარის ინტერესების პატივისცემას. ჩვენ რუსეთს ვთავაზობთ ასეთ ურთიერთობას, მაგრამ, ცალმხრივი წესით, რა თქმა უნდა, ვე-

რაფერს გავაკეთებთ. მუდამ ვამბობდი, რომ პატივისცემით ვეკიდებით სხვა სახელმწიფოების კანონიერ ინტერესებს, რუსეთის ინტერესებს, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ჩვენი ეროვნული ინტერესების შელახვის ხარჯზე.

– ახლა კი გადავიდეთ მთავარ კითხვაზე: რა არის უკრაინაში თქვენი ვიზიტის მთავრი მიზანი? მართალია, რომ თქვენ უკრაინაში ჩამოხვედით ჩვენი ბელადების შესარიგებლად, რითაც დიდად ყოფილა დაინტერესებული შეერთებული შტატები?

– ჩემი ვიზიტი არის ოფიციალური მოგზაურობა ქვეყანაში, რომელიც საქართველოს ისტორიული პარტნიორია. მოლაპარაკება ითვალისწინებს უამრავი საკითხის განხილვას: პოლიტიკა, სტრატეგიული პარტნიორობა, ჩვენი ურთიერთობა მეზობლებთან, ნატოსთან და ევროკავშირთან, ეკონომიკური პროექტები, კულტურული კავშირურთიერთობა. ასევე გვსურს, ვთხოვოთ უკრაინას, უფრო აქტიურად ჩაებას აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მშვიდობიან მოწესრიგებაში. და კიდევ მრავალი სხვა საკითხი. რაც შეეხება თქვენი ლიდერების შერიგებას, ჩემი აზრით, უდიდესი მეგობრობისა და სტრატეგიული პარტნიორობის მიუხედავადაც კი, უპრიანი იქნება, თუ ამ საკითხს უფრო დელიკატურად მივუდგებით. ძალზე მოხარული ვიქნებოდი, თუ შევძლებდი რაიმე ისეთის გაკეთებას, რაც გაამჯობესებდა როგოც უკრაინაში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციას, ისე ამ ქვეყნის ლიდერების ურთიერთობას. მე იმთავითვე ვთქვი, და ახლაც გავიმეორებ: პოლიტიკური პროცესი უაღრესად რთულია და შეუძლებელია გარეშე ძალების ჩარევით რაიმე სწორი გადაწყვეტილების გამონახვა და შეცდომების გამოსწორება. არასდროს არ მივცემდი თავს იმის უფლებას, რომ ჩავერიო უკრაინის საშინაო საქმეებში. ამ ქვეყნის ლიდერების ურთიერთობაც უკრაინის პოლიტიკური ელიტის საშინაო საქმეა. ჩვენ, ბუნებრივია, მზად ვიქნებით, ყოველგვარი დახმარება გავუწიოთ უკრაინელ ხალხს და უკრაინულ სახელმწიფოს და შეძლებისდაგვარად გავაკეთებთ კიდეც ამას.

– ამ დღეებში მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატები პირველად ამზადებს ისეთ ინიციატივებს, რომლებიც თბილისს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე კონტროლის აღდგენის შესაძლებლობას მისცემს. რა არის ამ ინიციატივების არსი?

– თქვენ იცით, თუ რაოდენ დიდ ყურადღებას ვუთმობთ ამ საკითხების მშვიდობიანად მოგვარებას. და სავსებით სწორი იყო, როცა ითქვა, რომ საქართველოს ეს ავტონომიები უნდა დატოვონ რუსეთის სამშვიდობო ძალებმა. და საერთოდ, როცა რუსი პოლიტიკოსები ლაპარაკობენ ჩვენი პარლამენტის დადგენილებაზე, რომელიც რუსეთს აძლევს წინადადებას ოთხი თვის მანძილზე გაერკვეს ამ საკითხში, მათ რატომღაც ავიწყდებათ, რომ დოკუმენტში არსად არ არის ხაზგასმული ასეთი რამ: რუსეთის ჯარები უნდა გავიდნენ და ამით ყველაფერი დასრულდება. იქ აღნიშნულია, რომ ოთხი თვის განმავლობაში სამხრეთ ოსეთში,ხოლო აფხაზეთთან დაკავშირებით – თერთმეტი თვის განმავლობაში, ჩვენ ველით, თუნდაც მცირეოდენ პოზიტიურ ძვრებს რუსეთის სამშვიდობო ძალების და თვით რუსეთის მხარის მოქმედებაში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ რუსი მშვიდობისმყოფელები შეასრულებენ დაკისრებულ მისიას. მაგრამ თუ ეს არ მოხდება, თუ კვლავ გაგრძელდება სტაგნაცია, საქართველოს პარლამენტი მხოლოდ მაშინ დასვამს საკითხს ქვეყნის ტერიტორიიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ. სამხრეთ ოსეთის თაობაზე მშვიდობიანი გეგმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა წარუდგინა ევროპის საბჭოს, გაეროს გენერალურ ასამბლეას. მალე ჩვენი პრემიერ-მინისტრი ამ გეგმას წარმოადგენს ვენაში, ეუთოს მუდმივ კომიტეტში. ეს არის ჩვენი რეალური პოლიტიკა – ჩვენ გვსურს მშვიდობა და არა ომი. ჩვენ ასევე ვაცხადებთ, რომ ეს გეგმა აბსოლუტურად ღიაა ყველა კეთილმოსურნესთვის, ნებისმიერი წინადადებისთვის, რომლებსაც აუცილებლად განვიხილავთ. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, ამ ბოლო წლების მანძილზე, პრაქტიკულად,

პირველად განაცხადეს ყველას გასაგონად, რომ მზად არიან ჩაერთონ კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების პროცესში. და ეს ძალზე მნიშვნელოვანია. ახლა ვაპირებთ მოვამზადოთ სამოქმედო გეგმა, რომელიც მოახდენს პრეზიდენტ სააკაშვილის სამშვიდობო გეგმის რეალიზებას. რა თქმა უნდა, სიამოვნებით მივიღებთ შენიშვნებს ჩვენი ამერიკელი, ევროპელი და უკრაინელი მეგობრებისგან. თუ რუსებსაც ექნებათ წინადადება, ჩვენ მათ აზრსაც გავიზიარებთ. სხვათა შორის, სწორედ ამ გეგმის თაობაზე გავგზავნე სახელმწიფო სათათბიროსა და რუსეთის ფედერაციის საბჭოში სპეციალური წერილი ბატონების გრიზლოვის და მირონოვის სახელზე. მესმის, რომ ასეთი გადაწყვეტილების მიღება რთულია, მაგრამ სწორედ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში არსებული საკმაოდ რთული ფონის გათვალისწინებით, შევთავაზე რუს კოლეგებს საპარლამენტო დელეგაციების გაცვლა, რუსი და ქართველი პარლამენტარების დონეზე ამ დოკუმენტის განხილვის დაწყება. წერილი გავგზავნე ერთ თვეზე მეტი ხნის წინათ, თუმცა, ჯერჯერობით არანაირი პასუხი არ მიმიღია. მაგრამ მაინც მაქვს იმედი, რომ პასუხი დადებითი იქნება.

– თქვენი აზრით, რა როლის შესრულება შეუძლია უკრაინას ამ კონფლიქტების მოწესრიგების საქმეში.

– მიგვაჩნია, რომ უკრაინას შეუძლია სარგებლობის მოტანა მრავალ სფეროში. მაგალითად, ჩვენ გვსურს, რომ აფხაზეთთან დაკავშირებით უკრაინა შეიყვანონ გაეროს გენერალური მდივნის მეგობარი ქვეყნების ჯგუფში. აბსოლუტურად დარწმუნებულები ვართ, რომ უკრაინა ძალზე აქტიურად და სასარგებლოდ იმუშავებს ამ ჯგუფში და ამით მხოლოდ სარგებლობას მოიტანს. რაც შეეხება სამხრეთ ოსეთს, ვფიქრობ, რომ უკრაინა დიდი ინტესივობით ჩაებმება ვენაში ეუთოს მუდმივ საბჭოში ჩვენი გეგმის განხილვაში და შეძლებს რეალურ მონაწილეობას ვითარების გაუმჯობესებაში. მაგალითად, ის, რასაც უკრაინა ახლა აკეთებს დნესტრისპირეთთან დაკავშირებით, არის ისტორიული

შანსი თვით უკრაინისთვისაც. ვგულისხმობ იმას, რომ უკრაინამ მიიღო გადაწყვეტილება დნესტრისპირეთ-უკრაინის საზღვრის მთელ პერიმეტრზე ეუთოს მეთვალყურეების განლაგების შესახებ. ეს რევოლუციური გადაწყვეტილებაა. გულახდილად გეტყვით: ეს არის იმის მაგალითი, თუ როგორ ცდილობს დიდი სახელმწიფო ყოველმხრივ აღკვეთოს კონფლიქტის გაღვივება და გააუბჯობესოს სიტუაცია, გამონახოს კონფლიქტის მოგვარების გზები. დაახლოებით იგივეს უკვე კარგა ხანია ვთხოვთ რუსეთს – დააყენონ საერთაშორისო მეთვალყურეები და დავაწესოთ ერთობლივი კონტროლი საზღვარზე როკის გვირაბის მიდამოებში, რომელიც სამხრეთ ოსეთს რუსეთთან აკავშირებს. მაგრამ დადებითი პასუხი დღემდე არ მიგვიღია. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ უკრაინის მონაწილეობა დნესტრისპირეთის პრობლემის მოგვარებაში შეიძლება გახდეს სერიოზული დადებითი ბიძგი.

საქართველოს რესპუბლიკა 2005 წ.– 1 ნოემბერი – №253 – გვ. 2-3

ბურჯანაძე 20-30 წელს მოცდას არ აპირებს

პარლამენტის თავმჯდომარისათვის რუსეთის პოზიცია გაუგებარია

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ კონფლიქტების მოგვარების პროცესში საერთაშორისო თანამეგობრობის ჩართვის პერსპექტივა საკმაოდ რეალურია. მისი თქმით, ევროკავშირსა და აშშ-ში მართლაც დაინახეს საქართველოს ხელისუფლების განწყობა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირებასთან დაკავშირებით. სპიკერის აზრით, კონფლიქტის მეორე მხარე იძულებული გახდება რეალობას თვალი გაუსწოროს და სამშვიდობოების ჩანაცვლების პროცესს დათანხმდეს.

ამ და სხვა საკითხებთან დაკავშირებით „რეზონანსი“ პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძესთან ექსკლუზიურ ინტერვიუს გთავაზობთ.

„რეზონანსი“: ნიშნავს თუ არა ახალი სამშვიდობო გეგმა, რომელიც ეუთოსა და აშშ-ის ამ პროცესში ჩართვას გულისხმობს, იმას, რომ დასავლეთი სერიოზულად დაკავდება კონფლიქტების მოწესრიგებით?

ნ. ბ. ეს მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი თემაა. მოგეხსენებათ, რომ წინა კვირას პრემიერ– მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა საერთაშორისო არენაზე პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ინიცირებული სამშვიდობო გეგმა კიდევ ერთხელ გაახმოვანა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ ის, უკვე მოდიფიცირებული გახმოვანდა ეუთოს მუდმივმოქმედ საბჭოს სხდომაზე ვენაში და ამით ჩვენ კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვით და დავადასტურეთ, რომ მოწადინებული ვართ ვიპოვოთ კონფლიქტების დარეგუ-

ლირების მშვიდობიანი გამოსავალი. ჩვენი მთავარი პრიორიტეტია, რომ კონფლიქტები დარეგულირდეს დიპლომატიური გზით, მაგრამ ასევე ხაზი გავუსვით იმას, რომ ჩვენ არ ვაპირებთ 20 და 30 წელი ველოდოთ ამ კონფლიქტების დარეგულირებას. არ მესმის, რატომ ეჩვენებათ ჩვენს რუს ოპონენტებს ერთწლიანი დარეგულირების გეგმა არარეალისტურად, მაშინ, როცა ყველაფერი, რაც ამ გეგმაში წერია, ძალიან მარტივად შეიძლება განხორციელდეს. რა თქმა უნდა, თუ ამის პოლიტიკური ნება იქნება და, ცხადია, არა მარტო საქართველოს მხრიდან. რაც შეეხება იმას, გვაქვს თუ არა იმის გარანტია, რომ ჩვენი მეგობრები უფრო აქტიურად ჩაერთვებიან ამ პროცესში, ნამდვილად გვაქვს, რადგან ჩვენმა მეგობრებმა როგორც ევროკავშირში, ისე აშშ-ში მართლაც დაინახეს, რომ ჩვენი განწყობა კონფლიქტების დარეგულირებისა ერთმნიშვნელოვანია. დაინახეს ის, რომ ჩვენ არ ვაპირებთ თუნდაც 5 და 10 წელი ლოდინს, მაგრამ ამავე დროს, ჩვენი ნაბიჯები სამშვიდობო მოლაპარაკებებისა, აბსოლუტურად, სერიოზული და გათვლილია. ამერიკელმა მეგობრებმა დაგვიდასტურეს მზადყოფნა, რომ აქტიურად ჩაერთონ კონფლიქტების პოლიტიკური დარეგულირების პროცესში. ეს პროცესი რეალურად უკვე დაწყებულია და ვფიქრობ, თანდათანობით პოლიტიკური ნაბიჯები უდავოდ იქნება გადადგმული.

„რ“: თუმცა, გასათვალისწინებელია რუსული ფაქტორიც. მათი წინააღმდეგობა სახეზეა. იყო თუ არა წინასწარი კონსულტაციები რუსულ მხარესთან?

ნ. ბ. რა თქმა უნდა, არასოდეს გამოვრიცხავთ რუსეთის ფაქტორს. ჩვენ რეალისტურად უნდა შევაფასოთ მოვლენები და ეს შეუძლებელია რუსეთის ფაქტორის გათვალისწინების გარეშე. თავიდანვე მინდა განვაცხადო, რომ რუსეთის იზოლირება ამ პროცესიდან ნამდვილად არ არის ჩვენი თვითმიზანი. თუ რუსეთი შეეცდება, რომ ერთხელ მაინც გადადგას მართლაც ცივილიზებული და დემოკრატიული ნაბიჯი, შეასრულოს ის მთავარი ამოცანები, რასაც მათი მხრიდან წლების განმავლობაში

ველოდებით, ჩვენ და საერთაშორისო თანამეგობრობა სიამოვნებით ჩავრთავთ ამ პროცესში. მაგრამ, ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევეგუებით იმას, რომ რუსული მხარე ეძებდეს თავის გასამართლებლად ათასნაირ შესაძლებლობას, რომ გაამართლოს პროცესის გაჭიანურება. უკვე ვიყავით იმის მოწმენი, რომ რუსეთი არა მხოლოდ აჭიანურებდა პროცესს, არამედ სრულიად უკანონო ნაბიჯებს დგამდა. ე. წ. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მცხოვრებთათვის უკანონოდ რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება, აფხაზეთში რუსეთის მოქალაქეების სხვადასხვა თანამდებობებზე დანიშვნის ხელშეწყობა და ა. შ. ამ კონფლიქტებს უფრო აღრმავებს. თუ რუსეთი გააგრძელებს ამავე ლოგიკით მოქმედებას, რა თქმა უნდა, შევეცდებით, საერთაშორისო თანამეგობრობის წევრების მხარდაჭერით შევძლოთ მათი პროცესიდან იზოლირება და კონფლიქტების დარეგულირება. მაგრამ, ეს არ არის ჩვენი თვითმიზანი და ეს პარლამენტის დადგენილებითაც გაჟღერდა. ჩვენ იქ ჩავწერეთ, რომ 4 თვეს ველოდებით პროგრესს ე. წ. სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში, 10 თვეს – აფხაზეთთან მიმართებაში. რა უნდათ, წლების განმავლობაში ველოდოთ, როდის მოესურვება რუსეთს გახდეს დემოკრატიული ქვეყანა? თუ პროგრესი არ იქნება, აუცილებლად დავსვამთ საკითხს სამშვიდობოების გაყვანის თაობაზე.

„რ“: რა მოხდება 10 თებერვლისა და 1 ივლისის შემდეგ, თუ ჩვენ დავინახავთ, რომ პროგრესი არ შეიმჩნევა?

ნ. ბ. დიდი ხანია პოლიტიკაში ვარ და ხშირად ოპტიმიზმს ვინარჩუნებ, მაგრამ არც იმდენად გულუბრყვილო ვარ, ჩავთვალო, რომ რუსეთი აუცილებლად შეცვლის თავის პოზიციას და პოლიტიკას ამ კონფლიქტებთან მიმართებაში. თუმცა, პირდაპირ შემიძლია გითხრათ, რუსულ პოლიტიკურ ელიტას სწორად რომ ესმოდეს ქვეყნის ინტერესები, სრულიად სხვაგვარად მოიქცეოდა და საქართველოსთან ურთიერთობების დარეგულირებას შეეცდებოდა არა კონფლიქტურ რეგიონებში საქართველოსთან დაპირისპირების მცდელობით, არამედ მეგობრული

და პარტნიორული ურთიერთობის აგებით. დადგენილების შემუშავების დროს ჩვენ საკმაოდ რეალისტური გადაწყვეტილება მივიღეთ. მასში არ ჩაგვიწერია, რომ 10 თებერვლამდე თუ არ იქნება პროგრესი, საქართველო სამშვიდობოების გაყვანას დაიწყებს. იქ წერია, რომ პარლამენტი დაიწყებს ჯარების გაყვანის პროცედურას. ეს გულისხმობს საერთაშორისო თანამეგობრობასთან მოლაპარაკებების კიდევ უფრო გააქტიურებას, რომ მოხდეს მათი შემცვლელების პოვნა და, გარდა ამისა, სამშვიდობო ჯარების შევიწროებას ცივილიზებული გაგებით. ეს არ ნიშნავს, რომ ვინმეს უფლებები შეილახება, მაგრამ ცივილიზებული საშუალებები ნიშნავს, რომ მათ შეეზღუდებათ გადაადგილება, საქართველოში შემოსვლის შესაძლებლობა, ტვირთის გადაზიდვის შესაძლებლობა და ა. შ. ჩვენ ამ ნაბიჯების გადადგმას აუცილებლად დავიწყებთ, მაგრამ, ცხადია, გვირჩევნია იყოს პროგრესი.

„რ“: როგორ გავაკონტროლებთ სამშვიდობოების გაყვანის პროცესს და თუ შევძლებთ მათ ჩანაცვლებას, თუნდაც უკრაინული და თურქული კონტიგენტით, რასაც ბევრი უტოპიად მიიჩნევს იმის გათვალისწინებით, რომ ამ პროცედურას გაეროს უშიშროების საბჭოს ნებართვა და მეორე მხარის თანხმობა ესაჭიროება?

ნ. ბ. გაკონტროლება არ არის მარტივი პროცესი, მაგრამ ეს შესაძლებელია. მოგეხსენებათ დღევანდელ მსოფლიოში ძალიან ბევრი საშუალება არსებობს იმისა, რომ სპეციალისტებმა დაადგინონ ჯარი გადის თუ არა. ანუ, ისინი გადაიცვამენ თუ არა ადგილობრივი ჯარების ფორმას და დარჩებიან თუ არა ქართველების წინააღმდეგ უკვე ღიად საბრძოლველად. ეს არ არის პროცესი, რომლის დამალვაც შესაძლებელია. დღეს, საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან არსებობს იმის ნება, რომ საქართველო ასე ადვილად არავინ დაჩაგროს. რა თქმა უნდა, მიმდინარეობს მოლაპარაკებები სხვა ქვეყნებთან ჩანაცვლებასთან დაკავშირებით. როცა უკრაინაში ვიმყოფებოდი, ამაზეც

იყო საუბარი და უკრაინულმა მხარემ დაადასტურა, რომ აქტიურად იხილავენ ამ საკითხს და მზად არიან საჭიროების შემთხვევაში საერთაშორისო მანდატით ჩაერთონ პროცესში. ცხადია, ყველა სხვა სტრატეგიულ პარტნიორს ვესაუბრებით, რომ დღეს არსებული სამშვიდობო ძალების ჩანაცვლება საერთაშორისო ორგანიზაციების ეგიდით მოხდეს. კონფლიქტის მეორე მხარე უნდა ამოვიდეს ობიექტური რეალობიდან. ჩვენ მათ ვთავაზობთ ყველა შესაძლო პრიორიტეტს, რაც შეიძლება ჰქონდეს ნებისმიერ ავტონომიას ნორმალური, დემოკრატიული და ცივილიზებული სახელმწიფოს ჩარჩოებში. თუ ისინი ამ ყველაფერზე უარს ამბობენ, მაშინ მოუწევთ რეალობისთვის თვალის გასწორება. ძალიან მაინტერესებს, რას მოიმოქმედებენ, თუ დარჩებიან დანარჩენი საქართველოს პირისპირ. შესაძლოა, აქეთ გვთხოვენ სხვა სამშვიდობო ძალების შემოყვანა.

„რ“: ჯარების გაყვანის შემდეგ კონფლიქტის მხარეები რჩებიან ერთმანეთის პირისპირ რა შესაძლებლობებს განიხილავთ ამ შემთხვევაში?

ნ. ბ. არსებობს პროვოკაციების სერიოზული საფრთხე, როგორც დე ფაქტო ხელისუფლების, ასევე რუსეთის სპეცსამსახურების მხრიდან. რეჟიმს, რომელიც არ აძლევს ადამიანებს საკუთარ მიწა-წყალზე დაბრუნებისა და ახლობლების საფლავების მონახულების საშუალებას, როცა გამოგდებული ადამიანების სახლებს უკანონოდ ითვისებენ და ყიდიან, კრიმინალური რეჟიმი ჰქვია. თუმცა, ჩვენს დადგენილებაში ჩავწერეთ, რომ იმდენად მნიშვნელოვანია მშვიდობიანი გამოსავლის პოვნა, მზად ვართ ამ რეჟიმებთანაც ვითანამშრომლოთ.

„რ“: რაც შეეხება პარლამენტში მიმდინარე პროცესებს, რით იყო გამოწვეული თქვენი გამოჩენა ახალი ფრაქციის პრეზენტაციაზე? როგორ უყურებთ პარლამენტში ახალი ოპოზიციური გაერთიანების შექმნას?

ნ. ბ. ნებისმიერი კონსტრუქციული ოპოზიციური გაერთიანების შექმნას მივესალმები და მხარს ვუჭერ. მიმაჩნია, რომ

ქვეყანაში პროცესების ნორმალურად განვითარებისათვის მნიშვნელოვანია კონსტრუქციული ოპოზიციის არსებობა. პირველ ყოვლისა, ეს თავად ხელისუფლებისათვის არის მნიშვნელოვანი: როცა ძლიერი ოპოზიცია გყავს, მობილიზებული ხარ და უფრო კრიტიკულად უყურებ შენს ნაბიჯებს, რათა არ მისცე საშუალება შენს ოპონენტს საფუძვლიანად გაგაკრიტიკოს. უსაფუძვლო კრიტიკაზე, რომელიც ხშირად გაისმის დღევანდელი ოპოზიციის მხრიდან, პასუხის გაცემა ადვილია. რაც შეეხება მისვლას, ხაზს ვუსვამ იმას, რომ ყოველთვის არიან რესპუბლიკელებშიც და სხვა ფრაქციებშიც ადამიანები, რომლებთანაც პიროვნულად გარკვეული პოზიტიური დამოკიდებულება მაკავშირებს. მაგრამ, სხვა შემთხვევაშიც აუცილებლად მივიდოდი პრეზენტაციაზე, რადგან შეიქმნა პარლამენტში ახალი ოპოზიციური ფრაქცია და როგორც ჩემმა კოლეგამ ზვიად ძიძიგურმა შემახსენა (თუმცა, ამის შეხსენება არ მჭირდება) ვარ არა მხოლოდ უმრავლესობის თავმჯდომარე, არამედ მთლიანად პარლამენტის თავმჯდომარე.

სოფო ქვლივიძე

რეზონანსი – 2005. – 2 ნოემბერი. – №294. – გვ. 4

ბურჯანაძე შავ სიას ადგენს

რუსეთმა საქართველოს პრეტენზიების მოსმენა არ ისურვა

პარლამენტის თავმჯდომარე დსთ-ს საპარლამენტო ასამბლეის მონაწილეებს წერილობით მიმართავს და უპრეცედენტო და ცინიკურ ფაქტს უწოდებს იმას, რომ საქართველოს დელეგაციის წევრს სანკტ-პეტერბურგში გასამგზავრებელი ვიზა არ მისცეს. „საქართველოში რუსეთის ფედერაციის საელჩომ არსებული დირექტივებიდან გამომდინარე და ე.წ. შავი სიის საფუძველზე განუცხადა ვიზის გაცემაზე უარი საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს, ბატონ გივი თარგამაძეს, რომელიც დსთ-ს საპარლამენტო ასამბლეის მორიგ სხდომაზე პარლამენტის თავმჯდომარის თანმხლები ოფიციალური დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდა“, – აღნიშნულია ნინო ბურჯანაძის წერილობით მიმართვაში. გუშინვე, პარლამენტის თავმჯდომარემ ბრიფინგი გამართა და განაცხადა, რომ რუსული მხარე რაც არ უნდა ეცადოს, გასასამართლებელი საუბარი დაიწყოს, რომ ვიზა გაცემული იყო, ან ვიზას აეროპორტში ჩაარტყამდნენ, ეს არ არის გამართლება. ეს არის ცინიზმი, პარლამენტის თავმჯდომარე და დელეგაცია არ აპირებენ, აეროპორტში ისხდნენ და ელოდონ, როდის ინებებს რუსეთის საელჩო ან რუსეთის ხელისუფლება, რომ მოგვცეს ქვეყანაში შესასვლელი ვიზა. ჩვენ აღშფოთებული ვართ, რომ არ მოგვეცა შესაძლებლობა გამოგვეთქვა ჩვენი ძალიან მნიშვნელოვანი ინიციატივები დსთ-ს ფარგლებში, – კატეგორიულად აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე. რუსული მხარე ხშირად საყვედურს გამოთქვამს, რომ რუსულ-ქართული ურთიერთობები საქართველოს გააქვს საერთაშორისო და არა

დსთ-ს არენაზე. ნინო ბურჯანაძის თქმით, საქართველოს დელეგაციის სურვილი იყო, რომ დსთ-ის ტრიბუნიდან წარედგინა პრეზიდენტ სააკაშვილის ინიციატივა ე.წ. სამხრეთ ოსეთის სამშვიდობო გეგმასთან დაკავშირებით, თუმცა ამის საშუალება არ მიეცათ. – ასევე ვაპირებდით, რომ სერიოზული პრეტენზიები გამოგვეხატა რუსეთის სამშვიდობოების მოქმედების გამო ე.წ. სამხრეთ ოსეთში და აფხაზეთში, თავად რუსეთის ხელისუფლების მიერ განხორციელებული ორმაგი სტანდარტებით მოქმედების გამო, – აღნიშნავს პარლამენტის თავმჯდომარე. საქართველოს დელეგაცია დსთ-ში აპირებდა ესაუბრა პარლამენტის იმ დადგენილებაზე, რომელმაც რუსი პოლიტიკოსების აღშფოთება გამოიწვია. დადგენილებაში პარლამენტი სამშვიდობო ძალებს კონკრეტულ ვადებს უწესებს, რომ კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესში მიღწეული იქნას პროგრესი. ნინო ბურჯანაძე მიიჩნევს, რომ რუსეთმა პრაქტიკულად თავის დანამატად გახადა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ორგანიზაცია. – ჩემი მთავარი პრეტენზია, როდესაც ამ ორგანიზაციაში გამოვდიოდი, იყო ის, რომ სამიტები ტარდებოდა ისე (თუ ქართული მხარე არ ააფორიაქებდა სიმშვიდეს), რომ თითქოს დსთ-ს სივრცეში არაფერი არ ხდებოდეს; თითქოს დსთ-ს სივრცეში არ იყოს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოუგვარებელი კონფლიქტი, დნესტრისპირეთისა და მთიანი ყარაბაღის მოუგვარებელი კონფლიქტები. ისე მშვიდად და წყნარად მიდიოდა ყველაფერი, როცა ჩვენ არ ვიყავით, თითქოს ეს იყო შვეიცარიის კონფედერაციის საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო ორგანიზაცია, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ. მიუხედავად იმისა, რომ ნინო ბურჯანაძე დსთ-ის კრიტიკით გამოდის, იგი ჯერჯერობით მაინც არ აკეთებს ოფიციალურ განცხადებას ამ ორგანიზაციიდან გამოსვლის შესახებ. ხომ არ დადგა დრო, რომ საქართველომ დსთ დატოვოს? ამ კითხვაზე ნინო ბურჯანაძე ასე პასუხობს:

– განსაკუთრებულ ხაზს არ გავუსვამდი დსთ-ში საქართველოს ყოფნა-არყოფნას, იმიტომ რომ არც არაფერს არ გვაძლევს

და არც არაფერს განსაკუთრებულს არ ვკარგავთ. სამწუხაროდ, იმდენად უმოქმედოა ეს ორგანიზაცია, რომ დიდი მნიშვნელობა მასში ყოფნა-არყოფნას არა აქვს. აქვე ნინო ბურჯანაძე დსთ-ის ერთადერთ პოზიტივზე საუბრობს. ესაა დსთ-ის ფარგლებში საქართველოს პრეზიდენტის და პარლამენტის თავმჯდომარის შეხვედრა დსთ-ის წევრი სახელმწიფოების პრეზიდენტებთან და სპიკერებთან. ნინო ბურჯანაძე ამბობს, რომ რუსეთის სივრცეში ძალიან დიდი მანქანა მუშაობს, რათა ქართული მხარის პოზიცია არ მივიდეს არა მარტო რუსეთის საზოგადოების, არამედ მსოფლიო საზოგადოების ყურამდე. ხომ არ აჯობებდა, რომ პარლამენტის თავმჯდომარე წასულიყო სანკტ-პეტერბურგში და იქ გამოეთქვა პრეტენზიები? ეს კითხვა ბრიფინგზეც დაისვა. – შეიძლებოდა ორივე გადაწყვეტილება ყოფილიყო მიღებული. ერთი მხრივ, ძალიან მყარი არგუმენტები აქვს იმას, რომ ჩვენ დავრჩით და აქედან გამოვხატეთ ჩვენი პროტესტი, იმიტომ რომ ეს მართლაც იყო ძალიან დიდი შეურაცხყოფა. მეორე მხრივ, რა თქმა უნდა, იყო იმის შესაძლებლობა, რომ იქაც გაგვეხმაურებინა იგივე. თუმცა, გულწრფელად მინდა გითხრათ, რომ იმედი მაქვს, ჩვენი კოლეგები ამას ადეკვატურ შეფასებას მისცემენ არა იმიტომ, რომ დღეს საქართველოს ექცევიან ასე, ხვალ კი ასევე მოექცევიან მოლდოვას, აზერბაიჯანს ან სხვა ქვეყანას; ანუ, თუ ერთხელ ნორმალურად ჩაითვალა ის, რაც ჩვენ დღეს გაგვიკეთეს, ხვალ აუცილებლად დსთ-ის სხვა სახელმწიფოებს გაუკეთებენ იგივეს,

– ასეთ დასკვნას აკეთებს პარლამენტის თავმჯდომარე. მას მიაჩნია, რომ ამ ეტაპზე სწორი პოზიცია დსთ-ის სამიტზე არწასვლა იყო. რაც შეეხება შავ სიას, რომელსაც ქართული მხარე მოამზადებს და იქ რუსი პოლიტიკოსები შევლენ, რომელთაც საქართველოში შემოსასვლელი ვიზა არ მიეცემათ, ნინო ბურჯანაძემ გუშინ დააკონკრეტა, რომ ამ შავ სიას საქართველოს პარლამენტი არ შეიმუშავებს და ეს არის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრეროგატივა. პარლამენტის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ამ საკითხზე საგარეო უწყებასთან კონსულტაციები

ექნებათ. „ვშიშობ, რომ ეს სია ძალიან გრძელი იქნება“, – ამბობს ნინო ბურჯანაძე, თუმცა არ აკონკრეტებს არც ერთ გვარს, ვინც ამ სიაში შევა. ცხადია, პარლამენტის თავმჯდომარე რომელიმე რუსი პოლიტიკოსის გვარის წინასწარ დასახელებას ერიდება.

ნანა მიშელაშვილი

გაზეთი „ახალი თაობა“. – 2005, 19 ნოემბერი, №320, გვ. 2

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის

მ ი მ ა რ თ ვ ა

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სხდომის მონაწილეებს

პატივცემულო კოლეგებო!

მსურს საქართველოს პარლამენტის სახელით თქვენი ყურადღება მივაპყრო და ღრმა აღშფოთება გამოვხატო უპრეცედენტო და ცინიკური ფაქტის გამო, რომელიც დსთ-ის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სხდომაში საქართველოს დელეგაციის მონაწილეობის ჩაშლის მიზეზი გახდა. როგორ ჩანს, საქართველოში რუსეთის ფედერაციის საელჩომ, არსებული დირექტივებიდან გამომდინარე და ე. წ. შავი სიის საფუძველზე, განუცხადა ვიზის გაცემაზე უარი საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეს ბატონ გივი თარგამაძეს, რომელიც დსთ-ის საპარლამენტთაშორისო ასამბლეის მორიგ სხდომაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ქალბატონ ნინო ბურჯანაძის თანმხლები ოფიციალური დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდა. ზემოაღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ ახდენს საქართველოსადმი რუსეთის ფედერაციის რეალური დამოკიდებულების ილუსტრირებას და ხაზს უსვამს იმას, რომ რუსეთის ხელისუფლების გარკვეულ პოლიტიკურ წრეებს არ სურთ ჩვენს ქვეყანასთან კონსტრუქციული თანამშრომლობა. რუსეთის მხარე საქართველოს გამუდმებით ადანაშაულებს იმაში, რომ ჩვენ დსთ-ის ფარგლებში არსებულ მექანიზმებს არასაკმარისად აქტიურად ვიყენებთ. ჩვენს დელეგაციას

განზრახული ჰქონდა, დსთ-ის მაღალი ტრიბუნიდან საჯაროდ წარედგინა ცხინვალის რეგიონში კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარების გეგმა, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა შესთავაზა საერთაშორისო თანამეგობრობას. გარდა ამისა, ჩვენ ვაპირებდით, შევხვედროდით დსთ-ის წევრ სახელმწიფოთა სპიკერებს, მათ შორის, რუსეთის ფედერაციის საკანონმდებლო ხელისუფლების ორივე პალატის თავმჯდომარეებს. საქართველომ არაერთხელ ხაზგასმით აღნიშნა ის პოზიტივი, რომელიც მიღწეული იქნა საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანის საკითხში. ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია ასეთივე პოზიტივის მიღწევა საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტების მოწესრიგების საკითხებში. თუმცა ჩვენ არ ვმალავდით, რომ განზრახული გვქონდა, ის ნეგატიური პროცესებიც გაგვეშუქებინა, რომლებიც ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რუსეთის მხარის აქტიური მხარდაჭერით მიმდინარეობდა. იმავდროულად საქართველოს დელეგაცია აპირებდა განემარტა ჭეშმარიტი არსი „ქვეყნის ტერიტორიაზე არსებულ კონფლიქტურ რეგიონებში შექმნილი ვითარებისა და სამშვიდობო ოპერაციების მიმდინარეობის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის დადგენილებისა, რომელმაც რუსი პოლიტიკოსების ამდენი დაუსაბუთებელი საყვედური გამოიწვია. დადგენილების თანახმად, საქართველოს პარლამენტი სამშვიდობო ძალებს საკმარის დროს აძლევს იმისათვის, რომ უსწრაფესად იყოს მიღწეული პროგრესი კონფლიქტების მშვიდობიანი მოწესრიგების პროცესში ყოფილი სამხრეთ ოსეთი ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე და აფხაზეთში (საქართველო). საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის პროცედურა მხოლოდ იმ შემთხვევაში დაიწყება, თუ ეს პროგრესი დადგენილებით განსაზღვრულ ვადებში ვერ იქნება მიღწეული. ჩვენდა სამწუხაროდ, რუსეთის ფედერაციის შესაბამისი უწყებების მხრიდან უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ და სრულმა უგულებელყოფამ კიდევ ერთხელ შეუშალა ხელი საქა-

რთველოს პარლამენტის წევრებს, რომ დსთ-ის ფარგებლში გამოეხატათ საკუთარი ქვეყნის პოზიცია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ რუსეთში გარკვეული წრეები არ არიან დაინტერესებული ჩვენს სახელმწიფოებს შორის კონსტრუქციული თანამშრომლობის დამყარებით და მათი ქმედებების საპარლამენტთაშორისო ასამბლეის სხდომაში საქართველოს დელეგაციის მონაწილეობის ჩაშლას ისახავს მიზნად. განსაკუთრებით ხაზი მინდა გაუსვა იმას, რომ ეს ნაბიჯი პოლიტიკურად მიმართულია არა მხოლოდ საქართველოს, არამედ დსთ-ის, როგორც დამოუკიდებელი საერთაშორისო ორგანიზაციის წინააღმდეგ. დსთ-ის შექმნის დღიდანვე რუსეთის ხელისუფლება ამ ორგანიზაციას განიხილავს, როგორც რუსეთის დანამატს, როგორც საკუთარი ერთპიროვნული პოლიტიკის განხორციელების მექანიზმს, და არ აღიარებს მას როგორც სუვერენულ სახელმწიფოთა ინტერესების გამომხატველ საერთაშორისო ინსტიტუტს, რაც ამ ორგანიზაციაში უხეში ჩარევით, დსთ-ის ეგიდით გამართულ სამიტებზე თავად რუსეთის მიერ მოწერილი სამართლებრივი დოკუმენტებისა და შეთახმებების იგნორირებითა და დარღვევით გამოიხატება. ჩვენ დსთ-ში შესვლისას იმედი გვქონდა, რომ ეს ორგანიზაცია თუნდაც უმცირეს პოზიტიურ როლს შეასრულებდა ეგრეთ წოდებული გაყინული კონფლიქტების მშვიდობიან და სამართლიან მოწესრიგებაში, რომ დსთ-ის მშვიდობისმყოფელები დევნილთა უსაფრთხოებისა და მშობლიურ კერაზე მათი დაბრუნების გარანტები იქნებოდნენ, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ათ წელზე მეტი ხანია, რაც საქართველო დსთ-ის წევრია და სამშვიდობო ძალები კონფლიქტის ზონებში იმყოფებიან, იქ ხალხი კვლავ იხოცება, სამშვიდობოები კი, უკეთეს შემთხვევაში უმოქმედოდ არიან. დსთ-ის არსებობის მთელი ამ ხნის განმავლობაში ეს ორგანიზაცია ადეკვატურად არ რეაგირებდა დსთ-ის წევრთა მიერ ორმაგი სტანდარტების გამოყენების ფაქტებზე, რითაც თავის სრულ ქმედუუნარობას ავლენდა. მივმართავ ყველა ჩემს კოლეგას და მინდა მოვუწოდო დსთ-ის საპარ-

ლამენტთაშორისო ასამბლეას, არ გამოიჩინონ გულგრილობა, მიუკერძოებლად შეაფასონ რუსეთის ფედერაციის მოქმედებები და დაგმონ მეზობელ სახელმწიფოთა მიმართ ორმაგი სტანდარტების პოლიტიკა. მსურს კიდევ ერთხელ განვაცხადო, რომ საქართველო მზად არის, ითანამშრომლოს ნებისმიერ სახელმწიფოსთან, მათ შორის, რუსეთთან, კეთილმეზობლური ურთიერთობების, ერთმანეთის სუვერენული უფლებებისა და კანონიერი ინტერესების პატივისცემის საწყისებზე.

საქართველოს რესპუბლიკა 2005 წ. – 22 ნოემბერი – №271 – გვ. 2

„ბიზნესმენი ქვეყანაში უფრო მეტად დაცულად უნდა გრძნობდეს თავს“

„ვეცადეთ, ყველაფერი მედიის სასარგებლოდ ყოფილიყო“

არდადეგების შემდეგ პირველივე სასესიო კვირა საკანონმდებლო ორგანოსთვის მეტისმეტად საინტერესოც კი აღმოჩნდა. პარლამენტი ჯერ პრეზიდენტის სტუმრობამ და მისი საანგარიშო სიტყვის ანალიზმა და შეფასებამ გამოაცოცხლა, შემდეგ რუს მშვიდობისმყოფელთა საქართველოდან გაყვანის საკითხზე მსჯელობამ, რომელზეც, საბედნიეროდ, ოპოზიციასაც და ხელისუფლებასაც ერთი აზრი აღმოაჩნდა. ასევე საინტერესო გაგრძელება ჰქონდა ტერმინალ „ოპიზის“ საქმიანობის შემსწავლელი კომოსიის დასკვნის გამოქვეყნებასაც, რამაც თვალსაჩინო გახადა, რომ უმრავლესობაში არსებულ დაპირისპირებაზე გავრცელებული ხმა არცთუ უსაფუძვლოა (ამ შემთხვევაში იმას ვგულისხმობთ, რომ მაია ნადირაძემ თავისი ყოფილი მოადგილე კობა ბექაური მტრად გამოაცხადა).გასული კვირის მოვლენებზე კომენტარი პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძეს ვთხოვეთ.

ჩემთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო, რომ პრეზიდენტმა აქცენტი სამომავლო საქმეებზე, პერსპექტივებზე გააკეთა. მან ილაპარაკა ეკონომიკური და საბანკო სფეროს ლიბერალიზაციაზე, მცირე და საშუალო ბიზნესისთვის ხელშეწყობაზე. ყველაფერი ეს რომ რეალურად განხორციელდეს, ამას არა მარტო საკანონმდებლო განმტკიცება, არამედ პრაქტიკულად განხორციელება სჭირდება. პარლამენტში უკვე განვიხილავთ კანონპროექტებს საბანკო სფეროს შესახებ, ცვლილებებს საგადასახადო კოდექსში, მაგრამ აუცილებლია, კანონი რეალურად

ამოქმედდეს. ბიზნესმენი ქვეყანაში უფრო მეტად დაცულად უნდა გრძნობდეს თავს. ეს პრობლემა რეალურად არსებობს ქვეყანაში და აუცილებლად უნდა მოგვარდეს.

– თქვენ პრეზიდენტის გამოსვლის, ასე ვქვათ, „საქმიან მხარეზე“ მიუთითებთ, თუმცა ოპოზიციის განცხადებით, ქვეყნის პირველი პირის ანგარიშს უფრო საზეიმო ელფერი დაჰკრავდა.

– შარშანდელისგან განსხვავებით (პარლამენტში პრეზიდენტის შარშანდელ გამოსვლას, რადგან პირველი იყო, იმიტომაც ჰქონდა განსხვავებული ელფერი) ჩათვალეთ, რომ არ იყო საჭირო საზეიმო ელემენტები და ამიტომ პრეზიდენტის მოსვლაც და დახვედრაც წელს უფრო მოკრძალებული იყო. სწორედ რომ სამუშაო რეჟიმში გამოსვლა ჰქონდა პრეზიდენტს. ისე, გარკვეულწილად, განსაკუთრებული ატმოსფერო მაინც იყო, რადგან პრეზიდენტი პარლამენტში წელიწადში ერთხელ მოდის. ვისურვებდი, ოპოზიციისგან გაცილებით კონსტრუქციული, კრიტიკული და საქმიანი შენიშვნები მოგვესმინა...

– გასულ კვირას პარლამენტმა ცხინვალის რეგიონიდან რუს მშვიდობისმყოფელთა გაყვანის შესახებ მიიღო გადაწყვეტილება.

– როდესაც დადგენილებაზე ვმუშაობდით, ცხადია, ვიცოდით, რომ რუსეთს რეაქცია ექნებოდა. ამიტომაც იყო ამ საკითხზე ბევრი კამათი, აზრების აწონ-დაწონა. თუმც ვფიქრობ, ჩვენ სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ და ამის თქმის საფუძველს საერთაშორისო თანამეგობრობის რეაქციაც მაძლევს. საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, აშშ-ის მთავრობის განცხადებამ კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ჩვენი ფორმულირებები იყო სწორი, კორექტული და დასაბუთებული. სხვათა შორის, ამ საკითხთან დაკავშირებით რუსეთის დუმის განცხადებაც არ არის ისეთი ტონალობისა, როგორიც სჩვევია. ჩვენმა დადგენილებამ მათ პროვოკაციის საშუალება არ დაუტოვა. როდესაც ვამბობთ, რომ რუს მშვიდობისმყოფელებს საერთაშორისო სამშვიდობო ძალები უნდა ჩაენაცვლოს, ეს ჩვენი მეგობარი ქვეყნებისათვის არის შეტყობინება, რომ ომის

დაწყება კი არ გვინდა და ამიტომ კი არ ვყრით რუსებს, არამედ იმიტომ, რომ რუს მშვიდობისმყოფელებთან კონკრეტული პრეტენზიები გვაქვს, ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ სამშვიდობო მისია განხორციელდეს – ამიტომ გვინდა, რომ იქ ობიექტური, ნეიტრალური ძალები იყვნენ. პარლამენტის დადგენილებით მთელ მსოფლიოს დავუდასტურებთ ჩვენი პრეტენზიების მართებულობას. ამის საპასუხოდ რუსეთის გადაწყვეტილება, რომ არ მიიღოს მონაწილეობა ვენაში, სამშვიდობო კომისიის მუშაობაში, სილის გაწნაა საერთაშორისო თანამეგობრობისა და ეუთოსათვის. რუსეთს ჰქონდა დიდი შანსი, მსოფლიოსთვის დაენახვებინა, რომ მართლაც სურს კონფლიქტის მშვიდობიანად მოგვარება და ქართველები ამას აფასებენ. ამ გადაწყვეტილებამ კი კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მართლები ჩვენ ვართ, რუსეთი კი ყველა მიზეზს ეძებს, რომ სამშვიდობო პროცესი ჩიხიდან არ გამოვიდეს.

– რუსეთის თავდაცვის მინისტრ ივანოვს მიაჩნია, რომ პირიქით, ქართველები ცდილობენ რუსეთის პროვოცირებას.

– მაშინ, როდესაც ჩვენს მოქალაქეებს უკანონოდ აძლევენ რუსეთის მოქალაქეობას, კონფლიქტის ზონაში აღლუმზე ტექნიკის დემონსტრირებაზე რეაგირებას არ ახდენენ, კიდევ ჩვენ ვართ ცუდები? სამწუხაროა, რომ რუსეთს ასეთი თავდაცვის მინისტრი ჰყავს, თუმც ალბათ ის იმ რეალობის ადეკვატურია, რაც რუსეთშია.

– საქართველოში რუსეთის ელჩის, ჩხიკვიშვილის გაწვევისაგან თავი შეიკავეს რუსებმა...

– ასე რომ მოქცეულიყვნენ, ეს მეტისმეტი არასერიოზულობა იქნებოდა.

– როგორია შექმნილ ვითარებაზე დასავლეთის რეაქცია?

– აშშ-ის ხელისუფლებამ განაცხადა, რომ მისთვის სავსებით გასაგებია საქართველოს პრეტენზიები და ის წუხილიც, რომელიც ქართულ მხარესა და საქართველოს პარლამენტს აქვს სამშვიდობო მანდატის არაჯეროვნად შესრულების გამო, რომ

რუს მშვიდობისმყოფელთა ჩანაცვლება საჭიროა საერთაშორისო სამშვიდობო ძალებით და მოგვიწოდებენ რუსეთთანაც დიალოგისაკენ. ჩვენ დიალოგზე უარი არასოდეს გვითქვამს, ახლაც მზად ვართ, ოღონდ დიალოგი თანასწორუფლებიანი და შედეგიანი უნდა იყოს. საერთაშორისო თანამეგობრობაში აქამდე არასოდეს ყოფილა ასეთი მზაობა ამ პროცესის პოლიტიკური გზით დარეგულირებისა. აშშ-ის განცხადებაში აღნიშნულია ისიც, რომ აშშ-ის მთავრობა მზად არის ჩაერთოს კონფლიქტის პოლიტიკურ დარეგულირებაში ქართულ და რუსულ მხარესთან ერთად. ეს ძალზე მნიშვნელოვანი ოფიციალური განაცხადია. ჩვენ ყველა მიმართულებით ვიმუშავებთ და პანიკას არ ავყვებით. ეჭვი არ მეპარება, რომ რუსეთი პროვოკაციებს დაგეგმავს, მაგრამ თუ გონივრულად მოვიქცევით, გართულებებს თავიდან ავიცილებთ.

– სეპარატისტული რეჟიმების ხელმძღვანელები ომისთვის ემზადებიან, რუსეთი კი ცხინვალსა და სოხუმში თავისი მოქალაქეების დაცვაზე საჯაროდ ლაპარაკობს. რას უნდა ველოდოთ?

– მშვიდობისმყოფელთა სარდალი ცხინვალის რეგიონში ცდილობს პანიკა შექმნას, ქართველები დღეს თუ არა ხვალ ომს დაიწყებენო. გასულ კვირას რუსეთის სპეცსამსახურები და საინფორმაციო საშუალებები ერთხმად აცხადებდნენ – ქართველებმა კონფლიქტის ზონაში სამხედრო ძალები შეიყვანეს და ომისთვის ემზადებიანო. სინამდვილეში კი ეს განცხადებები იყო მზადება საიმისოდ, რომ კონფლიქტის ზონაში მართლაც დაწყებულიყო დესტაბილიზაცია და ეს ქართველებისთვის დაებრალებინათ. მსოფლიო თანამეგობრობისთვის საინტერესო მესიჯია, რომ როგორც ოსი, ისე აფხაზი სეპარატისტები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან საერთაშორისო სამშვიდობო ძალების ჩანაცვლებას და მხოლოდ რუსებს ენდობიან. ეს მეტად საგულისხმო რამეზე მიუთითებს.

– კონკრეტულად, ხელისუფლება რომელი ქვეყნის სამშვიდობო ძალებს გულისხმობს?

– კონსულტაციები რამდენიმე სახელმწიფოსთან მიმდინარეობს, ვთათბირობთ ეუთოსა და ევროკავშირთანაც. ლაპარაკია უკრაინელებსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებზე, ვნახოთ, რას მოგვცემს კონსულტაციები.

– საქართველოს თავდაცვის მინისტრი აკონკრეტებს თარიღს, როდესაც სამაჩაბლოს დავიბრუნებთ. თქვენც ფიქრობთ, რომ წელს ამ ტერიტორიას დავიბრუნებთ?

– გასაგებია ბატონ ირაკლის ემოციური დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. ჯერ ერთი, ის თავდაცვის მინისტრია და მეორე – ამ კუთხის შვილია. ამიტომ მისთვის ორმაგად მტკივნეულია ეს პრობლემა. წელს იქნება ეს, საახალწლოდ თუ მომავალი წლის მარტში, ცხინვალის რეგიონი საქართველოს უთუოდ დაუბრუნდება. აფხაზეთი და ცხინვალი ყოველთვის იყო და იქნება საქართველოს შემადგენლობაში. პრეზიდენტმა პუტინმა ძალზე არამართებული შედარება გააკეთა, როდესაც კოსოვოზე საუბრისას აფხაზეთი და ცხინვალი ახსენა. ასეთი განცხადებები თავად რუსეთისთვის არ არის სასარგებლო. დღეს თუ ხვალ მას თავად შეიძლება შეექმნას ანალოგიური პრობლემები.

– საბაჟო ტერმინალ „ოპიზასთან“ დაკავშირებით გამოქვეყნებულ კომისიის დასკვნას, პარლამენტში ვნებათაღელვა მოჰყვა. ოპოზიცია და სახელისუფლებო გუნდის ნაწილიც არ დაეთანხმა დასკვნას, რის შემდეგაც ბექაურმა პარლამენტიდან წასვლაზე გააკეთა განცხადება.

– ვფიქრობ, გონივრული გადაწყვეტილებაა. პარლამენტისათვის უსიამოვნოა, რომ ეს საკითხი ამდენი ხანია განსჯის საგანია. არც იმით ვარ აღფრთოვანებული, რომ ეს თემა საზოგადოებაში ტრიალებს.

– ერთ პრობლემაზეც, კერძოდ, გაზეთების სარეალიზაციო ჯიხურების დაკეტვაზეც მინდა გკითხოთ.

– ფაქტობრივად, ეს პრობლემა აღარ არსებობს. ვფიქრობ, ის ხელოვნურად იყო გაზვიადებული და არც პრესის წნეხში მოქცევა ჰქონია მიზნად. პარლამენტი უკვე განიხილავს კანონპ-

როექტს, რომელიც საბოლოოდ გადაჭრის ამ პრობლემას. იმ ჯიხურებს, სადაც მხოლოდ გაზეთები იყიდება, არაფერი ემუქრება, მაგრამ იქ, სადაც პრესასთან ერთად უამრავი რამ და მათ შორის, სუვენირებიც იყიდება, კონტროლი მკაცრი იქნება. როცა პრესის ზოგიერთი წარმომადგენელი ამბობს, პრესას ზღუდავენ და ხელს არ უწყობენო, რატომღაც არ ახსენდება, როგორი კანონპროექტი მიიღო პარლამენტმა სიტყვის თავისუფლების შესახებ ჩემი აქტიური ძალისხმევით. წინა მოწვევის პარლამენტში პირადად გამოვიტანე ეს კანონპროექტი და ბევრი ვიმუშავე საიმისოდ, რომ ისეთი ყოფილიყო, როგორიც დღეს არის. სამწუხაროდ, რამდენჯერმე ეს ფაქტი ისეთი კონტექსტით ახსენეს, თითქოს ამ გადაწყვეტილების მიღებას ვეწინააღმდეგებოდი, რაც სიცრუეა.

– სხვათა შორის, ისიც ითქვა, პრესის ინტერესები აღმასრულებელ ხელისუფლებასა და კანონმდებლებს შორის წარმოქმნილ დაპირისპირებას შეეწირა. პარლამენტარებს კანონში უზუსტობა გაეპარათ, რაც აღმასრულებლებმა არ აპატიესო.

– ამაზე ვერაფერს გეტყვით. ფაქტი ერთია – როდესაც ეს პრობლემა წარმოიქმნა, მაშინ გამოსავალზე დავიწყეთ ფიქრი და ვეცადეთ, რომ ყველაფერი მედიის სასარგებლოდ გადაწყვეტილიყო.

იზო რიკაძე

კვირის პალიტრა 2006. – 20-26 თებერვალი. – №8. – გვ. 1-7

დარწმუნებული ვარ, არც ისეთი ჩანაწერი დაიმალებოდა, თუ ქვეყნის საზიანოდ ვილაპარაკებდი

„ეს ძალზე მტკივნეული თემაა ჩემთვის, როგორც ადამიანისათვის, როგორც დედისთვის და როგორც პარლამენტის თავმჯდომარისთვის“ ვფიქრობ, რომ ეს კონკრეტული საკითხი უნდა გამოიძიონ. ქვეყნის პირველი პირები ხშირად ისეთ თემებზე საუბრობენ, რაც არ უნდა გახდეს სხვა ქვეყნისთვის ხელმისაწვდომი. ის პირები, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას ფლობენ, არ უნდა ისმინებოდნენ. არის ინფორმაცია, რომელიც განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში დახურული უნდა იყოს. ასე რომ, ეს მართლაც სერიოზული საკითხია და მას ხელისუფლებამ უნდა მიაქციოს ყურადღება – უნდა გაირკვეს, რასთან გვაქვს საქმე.

„ქვეყნის პირველი პირები ხშირად ისეთ თემებზე საუბრობენ, რაც არ უნდა გახდეს სხვა ქვეყნისთვის ხელმისაწვდომი. ის პირები, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას ფლობენ, არ უნდა ისმინებოდნენ... ეს მართლაც სერიოზული საკითხია და მას ხელისუფლებამ უნდა მიაქციოს ყურადღება – უნდა გაირკვეს, რასთან გვაქვს საქმე.“ მაშინ, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარის საუბრის ფარულ ჩანაწერს კონსერვატორები მედიას აცნობდნენ, ნინო ბურჯანაძე ლიონელებისა და ქუთათურების დასაძმობილებლად საფრანგეთში იმყოფებოდა ვიზიტით. პარლამენტის თავმჯდომარეს არც ის მოუსმენია, როგორ დააბრალა სალომე ზურაბიშვილმა ზოგიერთ ოპოზიციონერს ბურჯანაძის სასარგებლოდ მუშაობა. პარლამენტის თავმჯდომარე საფრანგეთიდან სულ რამდენიმე საათის ჩამოსული იყო, როდესაც „კვირის პალიტრას“ შეხვდა. საუბარი საფრანგეთში ვიზიტით დავიწყეთ:

საფრანგეთში პოზიტიური ვიზიტი გვქონდა. ამ ქვეყანასთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება ძალზე მნიშვნელოვანია იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც ევროსტრუქტურებთან დაახლოებასა და ნატოში გაწევრებას ფიქრობს. პირველი ოფიციალური სამუშაო დღე ლიონში გვქონდა. ეს ეკონომიკურად ძალაზე ძლიერი რეგიონია და მინდოდა იმერეთის რეგიონთან დამეძმობილებინა. ლიონის მხარის ხელმძღვანელობა, ქუთაისის წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაციაში, აბრეშუმკომბინატის ამოქმედებაში, ელექტროენერგიის ობიექტებისა და გადამცემი ხაზების აღდგენაში დახმარებას დაგვპირდა. საგანგებო შეხვედრა გვქონდა ლიონის უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელობასთან. გადაწყდა, რომ სექტემბრიდან სასწავლო პროგრამებით ქუთაისელი და ლიონელი ახალგაზრდების გაცვლა დაიწყება. ფრანგ პოლიტიკოსებს ვუამბეთ იმ რეფორმებზე, რომლებიც საქართველოში ბოლო ორი წლის განმავლობაში მიმდინარეობს. მასპინძლებმა აღგვითქვეს, რომ აქტიურად დაუჭერენ მხარს საქართველოს ნატოში გაწევრებას, მათ ერთმნიშვნელოვნად განაცხადეს – ჩვენთვის მიუღებელია აფხაზეთსა და სამაჩაბლოში გაყინული კონფლიქტების არსებობა, რადგან ეს არასტაბილურობის წყაროაო. საინტერესი შეხვედრა გვქონდა პარიზის სამრეწველო-სავაჭრო პალატაში, სადაც მეტად სასიამოვნო რამ შემოგვთავაზეს – მე-19 საუკენეში არსებულ ულამაზეს შენობაში, რომელიც დაახლოებით საქართველოს პარლამენტისოდენაა, 2007 წლის დამდეგს საქართველოს დღეები ჩატარდება. ამ ღონისძიებაზე მიწვეულნი იქნებიან ის პირები, რომლებიც დღეს ევროპის ეკონომიკას განაგებენ. ამასთან, სენატის თავმჯდომარეს, კრისტიან პონსლეს ვთხოვე, რომ ლუქსემბურგის სასახლეში ჩვენი სამუზეუმო ექსპონატების გამოფენა მოეწყოს. გვქონდა შეხვედრა იუნესკოშიც. ვისაუბრეთ კონკრეტულ პროექტებზე, რომლებიც გულისხმობს არა მარტო საქართველოს იურისდიქციაში მყოფ ტერიტორიაზე არსებული ძეგლების რესტავრაციას, არამედ იმ ძეგლების და-

დგენასაც, რომლებიც აფხაზეთსა და სამაჩაბლოშია. გვქონდა საუბრები გელათის 900 წლისთავისა და ჯვრის მონასტრის 1500 წლის იუბილის აღნიშვნაზეც.

– ფრანგული სოფლის ნახვისას გითქვამთ, ნეტავ ქართველ გლეხებსაც ასეთ პირობებში უწევდეთ მუშაობაო.

– ლიონი მეღვინეობით განთქმული რეგიონია. ძალიან მინდა, საქართველოშიც მალე მოვიდეს ის დრო, როდესაც ადამიანები თავიანთი შრომის შესაბამისად იცხოვრებენ. ქვეყანაში არსებული სიტუაციის გამო ჯეროვნად ვერ ფასდება ადამიანის შრომა და ის ისე ვერ ცხოვრობს, როგორც ეკადრება. ამის მოგვარებას დრო სჭირდება. დღევანდელ დონემდე მისასვლელად საფრანგეთსაც დიდი ძალისხმევა დასჭირდა, მაგრამ ჩვენ გვინდა, რაც შეიძლება დავაჩქაროთ ეს პროცესი და ამიტომაც ვეძებთ ევროპული ქვეყნების დახმარებას. მართალია, განვიცდი, როდესაც მოქალაქეები პრობლემის ან პოლიტიკური კონიუნქტურის გამო ქუჩაში გამოდიან პროტესტის გამოსახატავად, მაგრამ ეს ნორმალური პროცესია და სწორად არ მიმაჩნია ამის დრამატიზება. საქართველოზე მძიმე აქციები მიმდინარეობს საფრანგეთში, თავად ვნახე, რაოდენ მწვავე დაპირისპირება მოჰყვა საფრანგეთის ხელისუფლების ერთ-ერთ გადაწყვეტილებას (იგულისხმება ბოლოდროინდელი სტუდენტთა საპროტესტო აქციები საფრანგეთში). ქუჩის აქციები კარგი არ არის, მაგრამ ეს დემოკრატიულ ქვეყნებში ნორმალური მოვლენაა. მეორე მხრივ იმასაც ვიტყვი, რომ ხელისუფლებას უთუოდ მართებს პრობლემაზე რეაგირება. როდესაც მოსახლეობა რაციონალურ აზრს სთავაზობს, ხელისუფლებამ ეს უნდა გაითვალისწინოს. არ არსებობს ისეთი რეფორმა, რომელიც ყველას მოეწონება.

– ქალბატონო ნინო, იმ მოვლენებზეც ვისაუბროთ, რაც ბოლო დროს ქართველ საზოგადოებას აწუხებს... სანდრო გირგვლიანის მკვლელობა დიდი ვნებათაღელვისა და საპროტესტო აქციების მიზეზი გახდა. ამ დანაშაულის გამო კონკრეტული პირები დაისაჯნენ, მაგრამ საზოგადოებამ ჩათვალა, რომ ეს ხელისუფლების მიერ გატარებული ნახევარზომა იყო.

– ეს ძალზე მტკივნეული თემაა ჩემთვის, როგორც ადამიანისათვის, როგორც დედისთვის და პარლამენტის თავმჯდომარისთვის. ეს არის თემა, რომელიც ხელისუფლებისგან ადეკვატურ პასუხს მოითხოვს ყველა იმ კითხვაზე, რაც არსებობს. ხელისუფლების ადეკვატური პასუხი კი იმ პირთა დასჯა იქნება, რომელთაც დასაბუთებულ და არგუმენტირებულ ბრალდებას წაუყენებენ. სანამ გამოძიება მიმდინარეობს, მასში ჩარევის უფლებას თავს არ მივცემ. შესაძლოა, გამოძიების დასკვნა დაემთხვეს საზოგადოების მოლოდინს, შესაძლოა – არა. მთავარი ის არის, რომ გამოძიების შედეგი და პასუხი კომპეტენტური და ობიექტური იყოს.

– შს მინისტრის პარლამენტში მისვლაც იმით იყო გამოწვეული, რომ თქვენ კონკრეტული კითხვები გქონდათ?

– ეს ტრაგედია გულთან მივიტანე, მაგრამ ამის გამოსახატად არ არის აუცილებელი ხმამაღალი ლაპარაკი. ვიმეორებ, ამ საქმის ობიექტური გამოძიება ძალზე მნიშვნელოვანია, ეს არა მარტო ადამიანურად, არამედ პოლიტიკურადაც პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხია ხელისუფლებისათვის. კითხვები ყველას გვაქვს და ვისურვებდი, რომ გამოძიების დასრულებამდე ამ საკითხის პოლიტიზება არ მომხდარიყო. ვფიქრობ, გამოძიების დასრულებამდე ყველა პოლიტიკურმა ჯგუფმა უნდა შეიკავოს თავი კომენტარების გაკეთებისგან. ამ საქმის გამოძიება შს მინისტრისა და გენერალური პროკურორის ღირსების საკითხია.

– გასულ კვირას ოპოზიციამ გაავრცელა თქვენი დ ასლან აბაშიძის საუბრის ჩანაწერი, სადაც აჭარის ავტონომიის დამოუკიდებლობაზეა ლაპარაკი.

– რამდენიმე საათის წინ დავბრუნდი საქართველოში და არ ვიცი, კონკრეტულად რომელ საუბარს გულისხმობთ, მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ყველგან – დაფარულადაც, საჯაროდაც და სატელეფონო საუბარშიც იმას ვამბობ, რაც ჩემს ქვეყანას სჭირდება.

– მაშინ კონკრეტულად მოსმენის ფაქტზე გთხოვთ კომენტარს. ნორმალურია, რომ თურმე ქვეყნის პირველ პირებს უსმენენ?

– არც ქვეყნის პირველ პირს უნდა უსმენდნენ, არც მეორეს, არც მესამეს და არც რიგით მოქალაქეს. არსებობს კონკრეტული კანონი და ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში მას უნდა იცავდნენ. კანონის დაცვით ნებისმიერი პირის მოსმენა შეიძლება, მაგრამ კანონის დარღვევით არც ერთ პირს არ უნდა მოუსმინონ. როდესაც ქვეყანაში სატელეფონო საუბრებს კანონდარღვევით უსმენენ, ეს ძალზე სერიოზული მსჯელობის საგანი უნდა გახდეს. ბოლო დროს განვითარებული მოვლენების ბევრ დეტალს არ ვიცნობ, მათ შორის იმ თემასაც, რის გამოც ეს კითხვა დამისვით. თუმცა ვიტყვი, რომ ქვეყანაში ყველა მოქალაქე დარწმუნებული უნდა იყოს, რომ კანონით არის დაცული. ნორმალური სახელმწიფოს აშენება მხოლოდ ამ გზით შეიძლება; ხოლო თუ გვინდა, ვიღაცას კანონდარღვევით ვუსმინოთ – ეს ნორმალური სახელმწიფოს აშენების წინაპირობა ვერ იქნება. სჯობია, ავირჩიოთ ის გზა, რომელიც რთულია, ნაკლებად კომფორტული, მაგრამ კანონიერია და სამართლიანი. რა თქმა უნდა, არ არის ნორმალური, როცა ქვეყნის პირველ პირს უსმენენ. პოლიტიკოსების უფლებები ხშირად არა მარტო მოსმენებით, არამედ უსამართლო ბრალდებებითაც ილახება, ასეთია პოლიტიკოსთა ცხოვრება. თუმც ვფიქრობ, რომ ეს კონკრეტული საკითხი უნდა გამოიძიონ. ქვეყნის პირველი პირები ხშირად ისეთ თემებზე საუბრობენ, რაც არ უნდა გახდეს სხვა ქვეყნისთვის ხელმისაწვდომი. ის პირები, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას ფლობენ, არ უნდა ისმინებოდნენ. არის ინფორმაცია, რომელიც განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში დახურული უნდა იყოს. ასე რომ, ეს მართლაც სერიოზული საკითხია და მას ხელისუფლებამ უნდა მიაქციოს ყურადღება – უნდა გაირკვეს, რასთან გვაქვს საქმე.

– სხვათა შორის, ითქვა, რომ ამ ჩანაწერის გახმაურებით კობა დავითაშვილი თქვენს სასარგებლოდ გაისარჯა.

– მართლა? ძალიან საინტერესოა, ვერაფერს ვიტყვი... ვფიქრობ, მან ის ინფორმაცია წარმოადგინა, რაც ჰქონდა. დარ-

წმუნებული ვარ, არც ისეთი ჩანაწერი დაიმალებოდა, თუ ქვეყნის საზიანოდ ვილაპარაკებდი.

იზო რიკაძე

კვირის პალიტრა 2006. – 27 მარტი – 2 აპრილი. – №13. – გვ. 1

რას სთავაზობს პარლამენტის თავმჯდომარე ოპოზიციას?

უმრავლესობა და ოპოზიცია ერთმანეთს ცალ-ცალკე გამართული ბრიფინგებით ესაუბრება. უმრავლესობა ყველა კანონს აუღელვებლად და ერთხმად იღებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ კვირას პარლამენეტში საკმაოდ მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა ხდებოდა, ოპოზიციას ბოიკოტის შეწყვეტა არც უფიქრია. პარლამეტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ოპოზიციასთან დიალოგის რესურსები არ ამოწურულა. ოპოზიცია კი ბურჯანაძეს სიტყვაზე არ ენდობა და დიალოგის დაწყებისათვის კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას ითხოვს. აპირებს თუ არა ხელისუფლება დათმობაზე წასვლას და როგორ შეიძლება ამ პრობლემის მოგვარება, ამ საკითხთან დაკავშირებით „მთელი კვირა“ პარლამენტის თავმჯდომარეს ესაუბრა.

ნინო ბურჯანაძე: მე ვთქვი და აქაც ვიმეორებ, რომ სასიხარულო არაფერია იმაში, პოლიტიკური ცხოვრების რაღაც ეტაპზე რომელიმე პოლიტიკური ძალა ბოიკოტს რომ მიმართავს და პლენარულ სხდომებს არ ესწრება. თუმცა, თავისთავად, ამაში რაღაც არაორდინალური და საოცარიც არაფერია. საქართველო არ არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც მსგავსი რამ ხდება. პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში პოლიტიკური ძალები დროდადრო ბოიკოტს მიმართავენ. მაგრამ, მეორე საკითხია, დემოკრატიულ სახელმწიფოებში პოლიტიკური ძალები ამ ბოიკოტს როგორ იყენებენ. ცოტა ხნის წინ პარიზში ვიზიტისას საფრანგეთის სენატის პლენარულ სხდომებს ვესწრებოდი და იქ ბოიკოტი ჩვენს თვალწინ განხორციელდა. შრომის რეგულირების საკითხის განხილვისას პარლამენტის წევრთა დიდმა ნაწილმა პროტესტის ნიშნად სხდომა ხმაურით და განცხადებებით დატოვა. მაგრამ ისინი დარბაზში დაბრუნდნენ ოცი წუთის

შემდეგ, ანუ როდესაც ამ საკითხის განხილვა დაბრუნდა. მათ თავისი პოლიტიკური პოზიცია დააფიქსირეს, რომ მათ აქვთ განსხვავებული მოსაზრება და მათ განსხვავებულ აზრს არ ითვალისწინებენ. მათ ბოიკოტი გამოხატეს კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ სხვა საკითხებთან დაკავშირებით თავი ვალდებულად ჩათვალეს, შეესრულებინათ ის ამოცანა, რა ამოცანაც ამომრჩეველმა დააკისრა.

„მ. კ“: თქვენ ფიქრობთ, რომ საქართველოში უმრავლესობა ოპოზიციის შენიშვნებს ითვალისწინებს და ბოიკოტი ზედმეტია?

ნ. ბ: ბოიკოტი ნორმალური ფორმაა, მაგრამ მაშინ, თუკი მას ნორმალურად იყენებენ. მე მრჩება შთაბეჭდილება, რომ ჩვენი ოპოზიციისთვის ბოიკოტი თვითმიზანი გახდა. თუ ვინმეს ეს მიზანი აქვს, განაგრძონ, ძალით დაბრუნებას ვერავის ვაიძულებთ. თუ თვითმიზანი არ არის, მე პირადად კონსტრუქციული წინადადებები ძალიან ბევრჯერ შევთავაზე. თუმცა, ზოგიერთებისთვის მოსაწონი ტონალობა ვერაფრით ვერ შევარჩიე. თვითონ მიკარნახონ, იქნებ, გავითვალისწინო. იმ ფაქტმა, რომ ბაზების რატიფიცირებაში არ მიიღეს მონაწილეობა, მე ძალიან გამაოცა. ეს ხომ რიგითი საკითხი არ იყო? იმ შემთხვევაშიც კი, თუკი მათ განსხვავებული პოზიცია ჰქონდათ, სწორედ ამიტომ უნდა შემოსულიყვნენ და საკუთარი პოზიცია დაეფიქსირებინათ. თუკი მართლა ქვეყნის დასაქცევ გადაწყვეტილებას ვიღებთ, ამ დროს სეირს სხვა ოთახიდან ჩუმად უყურებენ? ამიტომ ეს ფორმა ჩემთვის მიუღებელი ხდება.

„მ. კ“: ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ ოპოზიციას დიალოგს აღარ სთავაზობთ?

ნ. ბ: მიუხედავად ამ ყველა წინაპირობისა, მიუხედავად იმისა, რომ პირადად ჩემს მიმართ ჩემი კოლეგები ძალიან არა კორექტულები იყვნენ, მე მაინც ვთვლი, რომ ამ ყველაფერზე მაღლა უნდა დავდგეთ. ამიტომ კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ჩემს კოლეგებს, ამ კვირას კომიტეტებში აქტიურად იმუშაონ და პლენარულ სხდომებზე დარბაზში დაბრუნდნენ. მე გავით-

ვალისწინე „მრეწველების“ მიერ საკმაოდ კორექტული ტონით შემოთავაზებული წინადადება, რომ საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით დამატებითი კონსულტაციები გაიმართოს. ამით კიდევ ერთხელ დავანახე იმ ადამიანებს, ყოველ შემთხვევაში იმ ადამიანებს, ვისაც ამის დანახვა უნდა, რომ ჩვენ კონსტრუქციული დიალოგისთვის მზად ვართ. თუ „მრეწველებს“ საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით კონკრეტული წინადადებები ექნებათ, ჩვენ აუცილებლად გავითვალისწინებთ. თუკი ჩვენი ოპოზიციონერები დაბრუნდებიან, ძალიან კარგი. თუ არ დაბრუნდებიან, არ იქნება კარგი, მაგრამ ეს არ იქნება ქვეყნის დასასრული. ჩვენ მუშაობას მაინც გავაგრძელებთ.

„მ. კ“: თქვენი შეფასებით გელაშვილისთვის იმუნიტეტის მოხსნა არ იყო ბოიკოტისთვის სათანადო მოზეზი?

ნ. ბ: მათი გადასაწყვეტია, საკუთარი დამოკიდებულების გამოსახატად რა ფორმა აირჩიეს. ბოიკოტი შეიძლება გამოაცხადო, მაგრამ, ეს არ ნიშნავს იმას, რომ შენ უარი თქვა იმაზე, რისთვისაც პარლამენტში ხარ. არსებობს ძალიან მნიშვნელოვანი საერთო სახალხო საკითხები, იგივე ბაზების საკითხი, იგივე რუსეთთან დღევანდელი ურთიერთობა, იგივე საერთო ფასეულობები, რაზეც, უდავოდ, უნდა გავერთიანდეთ. ამ დოკუმენტში ძალიან უცნაური ფორმულირება იყო – ვაიძულოთ ხელისუფლება, ჩაატაროს სამართლიანი არჩევნები. რატომ ვაიძულოთ? ვინმემ თქვა, რომ არ უნდა ჩავატაროთ? რატომ ჰგონია ოპოზიციას, რომ ჩვენ მათზე ნაკლებად გვესმის, რომ მთელი მსოფლიო უყურებს, ჩვენ ამ არჩევნებს როგორ ჩავატარებთ. მე პირადად არც კი ვუშვებ იმ აზრს, რომ არჩევნები ხელისუფლების მხრიდან არ იქნება მაქსიმალურად სამართლიანად და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული. ასე, რომ მე ხადახან მრჩება შთაბეჭდილება, რომ რაღაც თემები ხელოვნურად იძაბება ხოლმე. ჩვენს ოპოზიციას ძალიან მარტივად შეეძლო, იგივე საკითხები ბიუროზე შემოეტანა ან ჩემთან წინასწარი განხილვა მოეწყოთ და არ დაწყებულიყო საგანგებო

მოწოდება და მიტინგების ჩატარება. მერწმუნეთ, ასე უფრო საქმიან რეჟიმში წავიდოდა მუშაობა. მაგრამ, როგორც ჩანს, საკუთარი თავის დამკვიდრების მეთოდს ყველა სხვადასხვაგვარად ხედავს.

„მ. კ“: ასეთ ვითარებაში დიალოგისთვის რა ბერკეტებია დარჩენილი?

ნ. ბ: თუკი ვითარება ასე გამწვავდა და აშკარად გამოჩნდა, რომ არსებული მექანიზმები საკმარისი არ არის, მაშინ შეიძლება დამატებით მექანიზმებზე ვიფიქროთ. პირადად ჩემი ინიციატივით და ძალისხმევით რეგლამენტში ძალიან სერიოზული ფორმულირებებია ჩადებული ოპოზიციის უფლებების დასაცავად და ამ უფლებებიდან ძალიან ბევრი, ოპოზიციას არც ერთხელ არ გამოუყენებია. მე არა მგონია, რომ ოპოზიციაში ისეთი ვინმე აღმოჩნდეს, რომელმაც თქვას, რომ მათ პარლამენტში აზრის გამოხატვის შესაძლებლობა არ აქვთ, ან სპიკერი მათ ნორმალური მუშაობის შესაძლებლობას არ აძლევს.

„მ. კ“: თქვენ ახსენეთ, რომ „მრეწველების“ ტონი და შენიშვნები მისაღებია. ასეთი დამოკიდებულება ოპოზიციის დაპირისპირებას ხომ არ გამოიწვევს და რამდენად შეიძლება, რომ ეს მეთოდი გარკვეულწილად ბერკეტად ჩავთვალოთ?

ნ. ბ: დამატებითი მექანიზმები შეიძლება იყოს, მაგალითად, დამატებითი საკონსულტაციო ჯგუფების შექმნა. რაღაც კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით შეიქმნას შემთანხმებელი კომისია, სადაც უმრავლესობა და ოპოზიცია თანაბარი რაოდენობით იქნება წარმოდგენილი, ან უმრავლესობა იყოს უმცირესობაში. ამ ჯგუფის მუშაობის სპეციფიკა კი იქნება ის, რომ კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებით დისკუსია დახურულ კარს მიღმა გაიმართება. ყოველთვის, მაშინაც კი, როდესაც ოპოზიციაში ვიყავი, ჩემი მთავარი ამოცანა იყო, რომ ჯერ მეცადა, საკითხი დახურულ კარს მიღმა კონსულტაციების და მოლაპარაკებების გზით მომეგვარებინა. თუ ეს აღარ ხერხდება, მაშინ ადამიანი ხმამაღლა იწყებს იმის ლაპარაკს, რაც სწორად მიაჩნია და

ვფიქრობ, რომ ასეთი მექანიზმების ამოქმედება და უფრო გაღრმავება კიდევ შესაძლებელია. რა თქმა უნდა, თუკი ორმხრივი სურვილი იქნება.

„მ. კ“: ოპოზიცია კონკრეტული ნაბიჯის გადადგმას ითხოვს.

ნ. ბ: რა, მთავრობა დაითხოვოს?

„მ. კ“: შესაძლებელია?

ნ. ბ: ეს უბრალოდ არასერიოზული მოთხოვნაა და ყველამ იცოდა, რომ ეს არ შესრულდებოდა. როდესაც ადამიანს გინდა, კომპრომისს მიაღწიო, ყოველთვის იმ საკითხის წამოყენებას ცდილობ, რომელზეც შეიძლება, დიალოგი შედგეს. როდესაც თავიდანვე შენ ისეთ წინადადებას აყენებ, რომ ზუსტად იცი, არ შესრულდება, ეს იმას ნიშნავს, რომ შენ დიალოგისკენ კი არ დგამ ნაბიჯებს, არამედ, უბრალოდ, სურვილს აცხადებ.

„მ. კ“: თავდაცვის მინისტრისთვის ახალი ამპლუის მინიჭება მთავრობის კრიზისს არ უკავშირდება?

ნ. ბ: ჩვენთან ასეთ თემაზე კომენტარი ძალიან ტრაგიკული ტონით კეთდება ხოლმე. საერთოდ, ცუდი არ იქნება, პოლიტიკოსებმა კონსტიტუცია წაიკითხონ და იცოდნენ, პრეზიდენტს როდის ვისი დათხოვნა შეუძლია. ზოგიერთებს ძალიან უნდათ, ისე წარმოადგინონ, რომ პრეზიდენტი დღეს იტყვის და ხვალ მთავრობას და პარლამენტს დაითხოვს. მაგრამ, ასე არ არის. ჩვენ არაიდეალური, მაგრამ ცივილიზებული კონსტიტუცია გვაქვს, სადაც მექანიზმები კონკრეტულად არის გაწერილი. მთავრობისა და პარლამენტის დათხოვნა ისე მარტივი არ არის, როგორც ეს ჩვენს კოლეგებს უნდათ. ამ გადაწყვეტილებებშიც, თუკი ქვეყნისთვის საჭირო გახდა, მე ტრაგიკულს ვერაფერს ვერ ვხედავ. თუკი პრეზიდენტი გადაწყვეტს, რომ კონკრეტული ვითარების განსამუხტავად მთავრობის გადაყენება საჭიროა ან ქვეყნის უკეთესი ხვალინდელი დღისთვის საჭირო იქნება, რომ პარლამენტი დაითხოვოს, ამაში რა ტრაგედიაა? კონკრეტულ ეტაპზე ქვეყანას რაც დასჭირდება, ისე უნდა გაკეთდეს.

„მ. კ“: დაპირისპირება არც უმრავლესობაშია?

ნ. ბ: ის, რომ დროდადრო განსხვავებული აზრი არსებობს, აბსოლუტურად ნორმალური და მისაღებია. აქამდე ჩვენი ოპონენტების მხრიდან მთავარი კრიტიკა ის იყო, რომ თითქოს ყველა ერთ აზრს ლაპარაკობდა. მეორე საკითხია, რომ როდესაც გადაწყვეტილების მიღება ხდება, ცხადია, ელემენტარული სოლიდარობა არსებობს. მე ზუსტად ვიცი, რომ ოპოზიციის ყველა წევრი ნამდვილად არ ეთანხმება იმას, რასაც ზოგიერთი ლიდერი ამბობს. მაგრამ, შიდაპარტიული თუ შიდაფრაქციული დისციპლინა ყველაზე დემოკრატიულ ქვეყნებშიც კი არსებობს. იმიტომ, რომ დემოკრატია ანარქიას არ ნიშნავს. თუმცა, ჩვენს ოპოზიციას დემოკრატია ნამდვილად ასე ესმის, რომ რაც მინდა, იმას ვაკეთებ და რაც მინდა, იმას ვამბობ და რასაც მინდა იმას ვაბრალებ.

„მ. კ“: არჩევნებთან დაკავშირებით კომპრომისის მიღწევა შეიძლება?

ნ. ბ: ამ კანონებთან დაკავშირებით ადამიანებს განსხვავებული მოსაზრებები აქვთ და ძალიან მალე საქართველოში დადგება ის ეტაპი, როდესაც ჩვენ ყველა ამ თანამდებობაზე პირდაპირი არჩევნები გვექნება. დღევანდელ ეტაპზე, რა სქემაც ჩვენ გვაქვს, ექსპერტების მიერ სრულიად გამართლებულად იქნა მიჩნეული. ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ვენეციის კომისიის და ევროსაბჭოს ექსპერტების დასკვნებს. არც ერთ დასკვნაში არ წერია, რომ ჩვენს მიერ მიღებული კანონი ევროპულ სტანდარტებს არ შეესაბამება. არსად არ წერია, რომ ჩვენ არადემოკრატიული კანონი მივიღეთ. ცენტრალურ ევროპაში თუ შეიძლება, ასეთი არჩევნები ტარდებოდეს, ჩვენ მართლა ფრთიანი დემოკრატიის ოაზისი გავხდით, რომ ყველაფერი მაქსიმალისტურად გაკეთდეს? ჩემთვის ექსპერტებს სხვა დასკვნა რომ მოეტანათ და ეთქვათ, რომ დემოკრატიისთვის ის პრაქტიკა, რასაც თქვენ ამკვიდრებთ, არ არის მისაღებიო, რა თქმა უნდა, ამ კანონის შეცვლას პირველი მე მოვითხოვდი.

„მ. კ“: ეს ბარიერის დაწევასაც ეხება?

ნ. ბ: ბარიერის დაწევა ის თემაა, რომელზეც ჩვენ ხელისუფლებაში მუდმივად ვფიქრობთ და მუდმივად ვსაუბრობთ. ბარიერი ჩვენ არ აგვიწევია და არის ძალიან სერიოზული არგუმენტები, თუ რატომ უნდა იყოს 7%-იანი და არა ნაკლები. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეს ერთხელ და სამუდამოდ გადაწყვეტილი კანონია. ამ თემაზე დისკუსია ჩვენს შიგნითაც მიმდინარეობს. მინდა, გითხრათ, რომ 7%-ან ბარიერს იმ ქვეყანაში, სადაც ასზე მეტი პარტიაა რეგისტრირებული, გარკვეული პოზიტიური მნიშვნელობა ნამდვილად აქვს. იმიტომ, რომ ქვეყანაში პოლიტიკური სპექტრის დაწმენდა ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოხდეს. არ შეიძლება, ქვეყანაში იყოს ასი კი არა, თუნდაც ექვსი-შვიდი აქტიური პოლიტიკური ძალა. თავისთავად მაღალი ბარიერი აიძულებს თუნდაც ოპოზიციურ ძალებს, რომ მათ მეტი საერთო ენა გამონახონ. ცხადია, ამას გარკვეული მინუსებიც აქვს, მაგრამ ჩვენს პარლამენტში ოპოზიციის სიმცირე ნამდვილად არ შეიმჩნევა. თუმცა, შეიძლება, ეს თემა მსჯელობის საგანი გახდეს. მაგრამ, ულტიმატუმის ენით ბავშვებს აღარ ელაპარაკებიან და რაღა ჩვენთან არის ნორმალური, რომ ერთი პოლიტიკური ძალა მეორეს სწორედ ულტიმატუმის ენით ელაპარაკოს?

რუსიკო მაჩაიძე

მთელი კვირა (რეზონანსი) – 2006. – 17 აპრილი. – №101. – გვ. 1-2

„თურმე ყველა მე მკარნახობს რა ვილაპარაკო და... სიტყვებსაც მიწერენ“

„ეს გამონათქვამი არ იყო კორექტული და აღარ ვაპირებ ამ ამ თემაზე მსჯელობას“

„დსთ-ის საკითხს ისე გადავწყვეტთ, როგორც ეს იმ მომენტისთვის იქნება საჭირო“

...თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, ყველა თავად ირჩევს აზრის გამოხატვის ფორმასო. ვეთანხმები, მაგრამ აზრის გამოხატვისა და პროტესტის ეს ფორმა ჩემთვის მიუღებელია...

...ბოდიშის მოხდისა მათ ეშინიათ, რომელთაც საკუთარი თავის რწმენა არა აქვთ...

...ნინო ბურჯანაძე დუმის იუბილეზე იმიტომ გაემგზავრა, რომ სახელმწიფოთაშორის ურთიერთობის ეტიკეტი დაეცვა – რუსი კოლეგებისათვის დღესასწაულის მიულოცველობა ცუდ ტონად ჩამეთვლებაო, მაგრამ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს მაგიდებზე მუშტები უბრახუნეს და მისი შენიშვნაც – ზოგჯერ ჩვენთან ურთიერთობისას შეცდომას უშვებთო, არ მიიღეს. მოგვიანებით ნინო ბურჯანაძემ ოქრუაშვილის განცხადების გამო მოიბოდიშა კიდეც, მაგრამ საპასუხო რეაქცია ის იყო, რომ რუსული ბაზარი ქართულ მინერალურ წყალს, „ბორჯომსაც“ ჩაუკეტეს.

პარლამენტის თავმჯდომარეს ქართულ-რუსული პოლიტიკის მნიშვნელოვან საკითხებზე ვესაუბრეთ:

რუსული გაზეთისთვის, „ვრემია ნოვოსტეისთვის“ მიცემული თქვენი ინტერვიუ დიდი განსჯის საგანი გახდა – პარლამენტის თავმჯდომარემ ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებების გამო ბოდიში მოიხადაო.

არ ვიცი, რატომ გახდა ეს აუიოტაჟის მიზეზი. თავდაცვის მინისტრისადმი პატივისცემის მიუხედავად, უნდა ვთქვა, რომ აზრის გამოხატვის ის ფორმა არ იყო კორექტული. სხვათა შორის, ისიც გასაგებია, რომ ირაკლის რუსული პოლიტიკა აღიზიანებს, ასეთივე განცდა გვაქვს ჩვენც, მაგრამ ჯობია, რუსეთს არ მივცეთ იმის საშუალება, რომ არაკორექტულობაში დაგვდოს ბრალი. თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, ყველა თავად ირჩევს აზრის გამოხატვის ფორმასო. ვეთანხმები, მაგრამ აზრის გამოხატვისა და პროტესტის ეს ფორმა ჩემთვის მიუღებელია. ჩვენ რუს ერს მივაყენეთ შეურაცხყოფა, ნაცვლად იმისა, რომ სახელმწიფოს პოლიტიკა გაგვეკრიტიკებინა. ამიტომ ვფიქრობ, განსაკუთრებული და მიუღებელი ჩემს განცხადებაში არაფერი ყოფილა. პირიქით, მიმაჩნია, რომ რაც ვთქვი, სწორად ვთქვი. ვიმეორებ, მინისტრის გამონათქვამი არ იყო კორექტული და აღარ ვაპირებ ამ თემაზე მსჯელობას. ბოდიშის მოხდისა მათ ეშინიათ, რომელთაც საკუთარი თავის რწმენა არა აქვთ, ან კიდევ ბოდიშის მოუხდელობა სიძლიერედ მიაჩნიათ. რუსეთს არასოდეს მოვუბოდიშებ არც ოსეთის, არც აფხაზეთის გამო, მაგრამ ამ კონკრეტული გამონათქვამის გამო ბოდიშის მოხდა უპრიანი იყო.

ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებამ ხომ არ განაპირობა ის სიტუაცია, სანქტ-პეტერბურგში რომ დაგხვდათ?

ცხადია, ამან გააღიზიანა (სამართლიანადაც) ზოგიერთი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ვერ შეცვლიდა რადიკალურად იმ ფონს, რომელიც მანამდეც მძიმე იყო. ბატონ ირაკლის რაც უნდა ეთქვა, რუსეთის სათათბიროში ტაშით არ შემხვდებოდნენ, მით უმეტეს მას შემდეგ, რაც იქ ვთქვი.

თუ იცოდით, რომ ტაშით არ შეგხვდებოდნენ, რატომ წახვედით სანქტ-პეტერბურგში და კიდევ, ხომ არ სჯობდა თქვენს ნაცვლად დუმის იუბილეზე მიხეილ მაჭავარიანი გამგზავრებულიყო. ქვეყნის მეორე პირის, თანაც ქალის უპატივცემულობა, ძნელი მოსათმენიაო, არაერთისგან გავიგონე.

მე ასე არ ვფიქრობ, ამ უხამსი საქციელით დუმის დეპუტატებმა თავსა და სახელმწიფოს მიაყენეს შეურაცხყოფა. ჩემი

სიტყვით გამოსვლის შემდეგ ბევრი გამესაუბრა – ზოგი მეთანხმებოდა, ზოგი არა, მაგრამ ყველამ მომიბოდიშა რუსი დეპუტატების მცირე ჯგუფის უზნეობის გამო. სანკტ-პეტერბურგში წაუსვლელობა მხოლოდ არაფრისმომცემი პროტესტი იქნებოდა. სიტყვით გამოსვლისას ჩამოვთავალე ის მიზეზები, რომელიც ხელს უშლის რუსულ – ქართულ ურთიერთობებს, წამოვაყენე პოლიტიკური წინადადებები, რაც წესით, რუსეთისა და უცხოეთის პოლიტიკურმა წრეებმა ყურად უნდა იღონ. მე დაუფარავად ვთქვი სათქმელი და არა ზურგს უკან – სხვა ქვეყანაში. ეს ნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, დღეს მოყვრები არ ვართ, რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა გვსურს. ურთიერთპრობლემებზეც ამიტომ ვლაპარაკობთ და რუსეთს მათი გადაწყვეტის გზაც შევთავაზეთ.

ითქვა, რომ სანკტ-პეტერბურგში მას შემდეგ გადაწყვიტეთ გამგზავრება, რაც პრერზიდენტმა გთხოვათ...

თუნდაც ასე რომ ყოფილიყო, რა არის ამაში ცუდი.

ამ ამბავს კუდები გამოაბეს... ბურჯანაძე რუსების ხახაში ჩააგდესო...

რა კუდი და საფუძველიც უნდა ჰქონდეს ამას, თუ ჩემს ქვეყანას დასჭირდება, ყველგან წავალ... რა თქმა უნდა, პრეზიდენტთან კონსულტაცია გავიარე და ჩვენი აზრები ერთმანეთს დაემთხვა. ორივემ გადავწყვიტეთ, რომ უნდა წავსულიყავი და მეთქვა ის, რაც საჭირო იქნებოდა. არანაირი მითითება ამ მიმართებით პრეზიდენტს არ მოუცია. თითქოს ყველა მე მკარნახობს, როგორ და რა ვილაპარაკო, როგორ მოვიქცე, თურმე სიტყვებსაც მიწერენ. მაგრამ არა უშავს, ამასაც ავიტან.

განსჯის საგანი გახდა ისიც, თქვენი სიტყვა მისალოცი უნდა ყოფილიყო თუ კრიტიკული...

სამწუხაროდ, ეს მხოლოდ რუსეთში კი არა,საქართველოშიც აქტუალური თემაა. მილოცვა არ დამვიწყებია და ვუსურვე კიდეც რუსებს, დემოკრატიული, სტაბილური და განვითარებული ქვეყანა გქონდეთ-მეთქი, მაგრამ მხოლოდ დითირამბებს

ვერ მივუძღვნიდი ზოგიერთ ჩემს კოლეგასავით, რომელთაც მადლობა გადაუხადეს რუსებს – წერა -კითხვა თქვენ გვასწავლეთო. ვფიქრობ, პოლიტიკოსები გულწრფელნი უნდა იყვნენ, პოლიტიკა კი გამჭვირვალე. მიმაჩნია, რომ ჩემი განცხადება ძალზე კორექტული იყო და შეესაბამებოდა არსებულ სიტუაციას.

რამდენიმე დღის წინ ირაკლი ოქრუაშვილმა დსთ – დან შესაძლო გამოსვლის შესახებ გააკეთა განცხადება. მას შემდეგ კი პრეზიდენტმაც ბრძანა, ამ საკითხზე მუშაობა უნდა დავიწყოთო. ბევრს ამის გამო კითხვა დაებადა – რატომ აკეთებს განცხადებებს ჯერ თავდაცვის მინისტრი და მერე პრეზიდენტი?

იმიტომ, რომ ის პრეზიდენტია. შეიძლება მან სულ ბოლოს გამოთქვას თავისი აზრი რომელიმე საკითხზე ან სრულად არ გამოხატოს პოზიცია; ან კიდევ, შესაძლოა, პირველმა გააკეთოს განცხადება და მერე ამუშავდეს სახელმწიფო მანქანა. მიხეილ სააკაშვილი ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ისე მოიქცევა, როგორც ქვეყნის პრეზიდენტს მართებს. ბატონ ირაკლის განცხადებაშიც არ იყო რაიმე გასაკვირი. მისი აზრი დსთ-ზე ცნობილია და აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელისუფლებაში ბევრი ფიქრობს მისნაირად. დსთ რომ მკვდრად შობილი და საქართველოსთვის არაფრის მომცემი ორგანიზაციაა, ფაქტია, მაგრამ იქიდან გამოსვლის საკითხს ისე გადავწყვეტთ, როგორც იმ მომენტისთვის იქნება საჭირო.

უახლოეს ხანებში რამდენად არის მოსალოდნელი ამ საკითხის გადაწყვეტა?

ასეთი მნიშვნელობის საკითხები ერთ ან ორ კვირაში არ გადაწყდება.

დღემდე დსთ-ის სივრცეში უვიზო მიმოსვლა და მისი ტრიბუნა იყო ის „მაცდუნებელი ხილი“, რის გამოც მის დატოვებაზე თავს ვიკავებდით. ისევ ეს ორი „სიკეთე“ ხომ არ გადაწონის დსთ-დან გამოსვლის სურვილს?

რომ განვსაზღვროთ, რა რას გადაწონის, სწორედ ამიტომ თქვა პრეზიდენტმა, საკითხი მთავრობამ შეისწავლოსო. შემდეგ

მთავრობა მას ჩვენ გადმოგვცემს განსახილველად და გადაწყვეტილებასაც მივიღებთ.

რამდენადაც ვიცი, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარეობა შემოგთავაზეს. თუ ფიქრობთ ამ წინადადებაზე?

რა თქმა უნდა, ეს დიდი პატივია ჩემთვისაც და ქვეყნისთვისაც. ეს ძალზე მნიშვნელოვანი თანამდებობაა, მაგრამ არის რამდენიმე ფაქტორი, რის გამოც თავს ვიკავებ. რთულია პარლამენტის თავმჯდომარეობის შეთავსება ასეთ მნიშვნელოვან თანამდებობასთან. ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარეობა გარკვეულწილად უფლებებსაც გაძლევს, სამაგიეროდ, კონკრეტულ საკითხებში დიპლომატიური ჩარჩოებით გზღუდავს. ასე რომ, ბევრი მაქვს ასაწონ-დასაწონი.

თუ ეს თანამდებობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას რამენაირად წაადგება, ალბათ, ბევრი ფიქრი და ყოყმანი არ უნდა იყოს საჭირო.

ვერ ვიტყვი, რომ ეუთოს თავმჯდომარეობა ამ საკითხს გადაწყვეტს. ასე რომ იყოს, არც დავფიქრდებოდი. ეუთოს მხოლოდ ის შეუძლია, რომ გააქტიუროს ძალისხმევა. ამასთან, ეუთოს თავმჯდომარე მხოლოდ თავისი ქვეყნის შინაკომფლიქტებზე ვერ გაამახვილებს ყურადრებას.

საინტერესოა თქვენი და მარგარეტ ტეთჩერის შეხვედრის დეტალები. იცოდა ინგლისის ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა, რომ სამაგალითო პოლიტიკოსად მიგაჩნიათ?

ცხადია, ქალბატონ ტეთჩერს ჰქონდა ჩემზე ინფორმაცია. რატომღაც ხშირად ხდება განსჯის საგანი, რატომ მიკიდია სამუშაო ოთახში მარგარეტ ტეთჩერის ფოტო. მასზე მისივე ავტოგრაფია და მაშინ გამომიგზავნა, როდესაც პრეზიდენტის მოვალეობას ვასრულებდი (წარწერას მაჩვენებს) – „პრეზიდენტ ბურჯანაძეს საუკეთესო სურვილებით, მარგარეტ ტეთჩერისგან“. მან გვაცნობა, თვალს ვადევნებ საქართველოში მიმდინარე მოვლენებს, რევოლუციასო და ამ ფოტოთი და წარწერით ჩემდამი დამოკიდებულება გამოხატა. ქალბატონ ტეთჩერს ვუთხარი, ჩემ-

თვის და ჩემი თაობისთვის პოლიტიკური ლიდერის მაგალითი ბრძანდებით-მეთქი. შევახსენე პირველი გამოსვლა საბჭოთა ტელევიზიით, როდესაც სამ საბჭოთა პოლიტიკურ მიმომხილველთან იცავდა დასავლეთის ფასეულობებს. მაშინ ტეთჩერმა გააცამტვერა სამი საკმაოდ ძლიერი ოპონენტი, ცნობილი საბჭოთა პოლიტიკური მიმომხილველები. შევატყვე, ესიამოვნა ამის გახსენება. დეტალურად გამომკითხა საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ამბავი, დაინტერესდა ჩვენთან მიმდინარე პროცესებით. ასაკისა და სტატუსის მიუხედავად, მეორედან პირველ სართულამდე ჩამომაცილა და მხოლოდ კარამდე კი არა, კარს მიღმაც გამომყვა. მითხრა, როდესაც ინგლისში იქნებით, აუცილებლად მესტუმრეთო. ეს ჩემთვის დასამახსოვრებელი დღე იყო.

ითქვა, ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრაზე მარგარეტ ტეთჩერმა ტელე და ფოტოგადაღებები აკრძალაო, მაგრამ ინგლისის ყოფილ პრემიერ-მინისტრთან გადაღებული თქვენი ფოტო მაინც გაჩნდა...

ვინ მოიგონა, რომ ფოტოს გადაღება არ უნდოდა ქალბატონ ტეთჩერს? ისიც დაიწერა, თითქოს ინგლისის პრემიერ-მონისტრს ჩემთან შეხვედრა არ სურდა და მე ტონი ბლერს დავურეკე, რომ შეხვედრა მოეწყო ჩემთვის. ურიგო არ იქნებოდა, ტონი ბლერთან ისეთი ურთიერთობა მქონოდა, რომ შეხვედრების ჩაწყობა მეთხოვა. როდესაც ჟურნალისტობაზე პრეტენზიის მქონე პირები წერენ ამას, ცოტა არ იყოს, უხერხულია. შეხვედრაზე ვიდეოგადაღება არ შეიძლებოდა, მაგრამ ფოტოგადაღება არავის აუკრძალავს.

დასასრულ, მინდა ერთ რამ გკითხოთ, რაც ასე აშფოთებს საზოგადოებას – სპეცოპერაციების უმეტესობა მსხვერპლით მთავრდება. 2006 წლის განმავლობაში უკვე 40 კაცია ლიკვიდირებული. ეს საგანგაშო სტატისტიკა რაზე მეტყველებს და რატომ ხდება აუცილებელი მაინცდამაინც უკიდურესი ზომების გამოყენება?

ძნელია სპეცოპერაციის დროს იმის განსაზღვრა, ეჭვმიტანილი დაიჭრება თუ მსხვერპლი იქნება. ასეთ ოპერაციებს ხშირად მოსდევს მსხვერპლი, მაგრამ ისიც ცხადია, რომ სპეცოპერაციის დამგეგმავმა წინასწარ უნდა განჭვრიტოს ყველაფერი. არასასურველი შედეგი ხშირად იმით არის განპირობებული, რომ სხვა გამოსავალი არ იყო და პოლიციელების სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. როდესაც არჩევანია გასაკეთებელი პოლიციელს, მოქალაქეს ან დამნაშავეს შორის, არჩევანი დამნაშავის სასარგებლოდ არ გაკეთდება. თუმც ისიც უნდა ვთქვათ, რომ მსხვერპლი ხშირად სამართალდამცველთა არაპროფესიონალიზმს მოსდევს. ეს საკითხი უთუოდ შესასწავლია. სადაც გამოიკვეთება სამსახურებრივი ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, დამნაშავენი უსათუოდ უნდა დაისაჯონ. დღისით– მზისით იმ ადგილზე, სადაც უამარვი ხალხი მიმოდის, არ შეიძლება სპეცოპერაციის ჩატარება. ღმერთმა გადაგვარჩინა, რომ მოქალაქეები არ დაშავდნენ. თუკი პოლიციამ იცოდა, რომ მანქანაში მსხდომნი დანაშაულის ჩასადენად მიდიოდნენ, ან ადგილზე უნდა ჩასაფრებოდნენ მათ, ან ისე უნდა დაეწყოთ დევნა, რომ დამნაშავეებს ვერ შეემჩნიათ. ტელეკადრები უდავოდ ბადებს კითხვებს. ამ საკითხის შესწავლა იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარეს დავავალე, რათა წინასწარი ინფორმაცია ბიუროს სხდომაზე მომახსენოს. ასეთ ხალხმრავალ ადგილას მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში უნდა ჩატარებულიყო სპეცოპერაცია. იყო კი იმ შემთხვევაში უკიდურესი აუცილებლობა?

იზო რიკაძე

კვირის პალიტრა 2006. – 8-14 მაისი. – №19. – გვ. 1-7

ნინო ბურჯანაძე: ოპოზიცია სრული დისკრედიტაციისკენ მიდის

„ოპოზიციის და რუსეთის განცხადებები აბსოლუტურად ერთნაირად ხმოვანდება“

ბოლო დროს საქართველოს პარლამენტი ქვეყნის ფარგლებს გარეთ და შიგნით ერთნაირად გააქტიურდა. წინა კვირას პარლამენტმა სახალხო დამცველის უაღრესად კრიტიკული ანგარიში მოისმინა, რაც უმრავლესობამ შეაფასა, როგორც „კერძო აზრი“. ამასთანავე, სხდომაზე არ დაუშვეს სანდრო გირგვლიანის დედა. ცხადია, რომ ამ ანგარიშში მოყვანილი ფაქტების უმრავლესობაზე რეაგირებას ხელისუფლება არ მოახდენს. ამავე დროს, სამშაბათს პარლამენტმა მიიღო დადგენილება რუსი სამშვიდობოების გაყვანის შესახებ. სამშაბათის სხდომაზე ოპოზიცია არ გამოცხადდა. ამასთან დაკავშირებით პარლამენტის თავმჯდომარე აცხადებს, რომ ოპოზიცია „სრული დისკრედიტაციისკენ“ მიდის. რაც შეეხება გირგვლიანის საქმეს, ნინო ბურჯანაძე „რეზონანსთან“ საუბარში ამბობს, რომ აქვს იმის „შინაგანი განცდა, რომ ეს ოთხი კაცი (ახალაია, დონაძე, სანოძე, მელნიკოვი – რედ.) იქ შემთხვევით არ აღმოჩნდა“, თუმცა ეს განცდა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ „ვინმეს ხელი დაადო“.

„რეზონანსი“: თქვენ სთხოვდით ოპოზიციას, რომ სამშაბათს, სამშვიდობოების საკითხის განხილვისას პასუხისმგებლობა ხელისუფლებასთან ერთად ოპოზიციასაც გაეზიარებინა. რეალურად რამდენად არსებობს საშიშროება ჩრდილოეთიდან?

ნინო ბურჯანაძე: რუსეთი შეეცდება, რომ მთელი აგრესია ხელისუფლებისადმი მიმართოს. ეს იქნება ეკონომიკური ბლოკადა, ფასების მომატება, იგივე პროვოკაციები. მაგრამ ძალიან

დიდი იმედი მაქვს ჩემი ხალხის, რომელმაც კრიტიკულ მომენტში სწორი პოზიციის არჩევა ზუსტად იცის.

„რ“: ბიუროს გადაწყვეტილებით სახალხო დამცველის მოხსენების შესახებ პარლამენტი არავითარ დოკუმენტს არ მიიღებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მოხსენებას არანაირი რეაგირება არ მოჰყვება?

ნ. ბ. ეს არ ნიშნავს იმას, რომ რეაგირება არ მოჰყვება. სამწუხაროდ, ჩვენი ოპოზიცია იყენებს კონკრეტულ თემებს მხოლოდ საკუთარი მიზნების მისაღწევად. მაგრამ, ამას რომ მაინც აღწევდნენ, კიდევ არა უჭირს. ვთვლი, რომ სრული დისკრეტიზაციისკენ მიდიან, რაც ძალიან სამწუხარო იქნება. დამერწმუნეთ, ხელისუფლების ინტერესებში არის ძლერი ოპოზიციის არსებობა. არის თემები, რომლებზეც არ შეიძლება, საკუთარი პოზიცია არ დააფიქსირო. შიდა პრობლემები არის სხვა რამ მაგრამ, გარეშე მოწინააღმდეგის თვალწინ ერთიანი უნდა იყო.

„რ“: ხელისუფლებას გირგვლიანის დედის შეეშინდა?

ნ. ბ. გირგვლიანის თემა არის ყველაზე მძიმე თემა. მე ვაცხადებ, რომ ეს საკითხი ბოლომდე უნდა იყოს გარკვეული. გულწრფელად რომ გითხრათ, მაქვს იმის შინაგანი განცდა, რომ ეს ოთხი კაცი იქ შემთხვევით არ აღმოჩნდა. მაგრამ, ეს შინაგანი განცდა ნამდვილად არ არის საკმარისი იმისთვის, რომ ვინმეს ხელი დაადო. თუ იურიდიული დოკუმენტი არ იქნება, ამ საქმეს ბოლომდე ვერ მიიყვან. ხელისუფლება ნამდვილად დაინტერესებულია, რომ ეს საქმე ბოლომდე მივიდეს. ადამიანურ ემოციას რომ თავი დავანებოთ, პოლიტიკურად არ გვაწყობს, რომ საქმე ბოლომდე არ მივიდეს. მაგრამ, ის, რაც ბოლო პერიოდში ხდება, ყოველგვარ ზღვარს სცილდება. ვინმემ იფიქრა, ირინა ენუქიძის სესიაზე მოსვლას რა შედეგები მოჰყვებოდა? თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ასეთი რამ მსოფლიო პრაქტიკაში არ ყოფილა, სესია რა ფორმით წაგვემართა? სხდომა დახურული რომ ყოფილიყო, ამ მოთხოვნას კიდევ გავიგებდით. მაგრამ, ეს სხდომა ხომ ღია იყო და პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა? მზად ვარ, მას ნებისმიერ დროს შევხვდე.

„რ“: მთავრობის შეცვლა რამდენად რეალურია?

ნ. ბ. ჯერჯერობით ეს კონსულტაციები არ დასრულებულა. მაგრამ, ცვლილებები ნამდვილად არის მოსალოდნელი. შეიძლება რადიკალური არა, მაგრამ რაღაც შეიცვლება.

„რ“: რაც შეეხება დოკუმენტს რუსი სამშვიდობოების გაყვანის შესახებ, ოპოზიცია აცხადებს, რომ ეს დოკუმენტი ვერ იმუშავებს.

ნ. ბ. რატომ? ძალიან საინტერესოა, რომ ჩვენი ოპოზიციის და რუსეთის განცხადებები აბსოლუტურად ერთნაირად ხმოვანდება. რუსები ამბობენ, რომ ამ დოკუმენტს არავითარი ძალა არა აქვს და ჩვენი ოპოზიცია უდასტურებს. რა დაემართათ? ის მაინც სცადონ, რომ მათი განცხადებები ჩვენი ღია მტრის განცხადებებს ნუ დაემთხვევა. პარლამენტის განცხადებებს თუ იურიდიული ძალა არა აქვს, პარლამენტში მოსახვედრად კენჭს რატომ იყრიან? ბაზების გაყვანასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება რატომ ავიწყდებათ?

რუსიკო მაჩაიძე

რეზონანსი – 2006. – 20– ივლისი. – №193. – გვ. 2

„განსხვავებული აზრი და კამათი გუნდის შიგნით დასაშვებია, მაგრამ საჯარო განცხადებების გაკეთება არ შეიძლება“

„ეუთო რუსეთის შანტაჟზე წამოეგო“

პარლამენტის თავმჯდომარესთან ნინო ბურჯანაძესთან „კვირის პალიტრის“ ინტერვიუ, როგორც წესი, ჩართული ტელევიზორის ფონზე მიმდინარეობს. ქვეყნის მეორე პირი ინტერვიუს პარალელურად ახალ ამბებსაც ადევნებს თვალყურს. რამდენიმე ადგილას შეწყვეტილი ინტერვიუ საინფორმაციო გამოშვების ბოლოს, სპორტის ამბების ჩვენებისას ისევ გაწყდა. ზინედინ ზიდანის თავურის შემხედვარემ, ვინ იცის, ალბათ მერამდენეჯერ ვერ დამალა აღტაცება, მიყვარს, ღირსებას ვაჟკაცურად რომ იცავენ, ზოგჯერ ღირსება გამარჯვებაზე მეტიაო. ასეთ აღტყინებას პარლამენტის გაწონასწორებული თავმჯდომარისგან არ ველოდი. უნებლიეთ გავიფიქრე, ალბათ პოლიტიკაშიც ასეთივე აზარტულია და მას პირველი კითხვა ეუთოში გამართულ ამასწინანდელ ბრძოლაზე დავუსვი:

– ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტობის ერთერთ რეალურ კანდიდატად თქვენ მოიაზრებოდით, თუმც კენჭისყრის შედეგებმა წინასწარი პროგნოზი ვერ გაამართლა. რამ იმოქმედა საბოლოო შედეგზე?

– ყველაზე რეალური კანდიდატები მე და შვედეთის წარმომადგენელი (რომელიც გახდა კიდეც ეუთოს პრეზიდენტი) ვიყავით. ბატონი გორან ლენმარკელი ღირსეული ადამიანია, მასთან ძალზე კარგი ურთიერთობა მაქვს. მის ობიექტურობაზე, კეთილშობილებასა და კორექტულობაზე მეტყველებს ის, რომ კენჭისყრამდე აცხადებდა, ნინო ბურჯანაძე ღირსეული კანდი-

დატურაა, თუმც მეც ვეცდები, ამ პოსტზე ვიყარო კენჭიო. ჩემს კანდიდატურაზე ბევრად დიდი პოლიტიკური ჭიდილი და დაპირისპირება იყო, ვიდრე ლენმარკელის. ის დალაგებული, გაწონასწორებული ქვეყნის წარმომადგენელია, მას არ უხდება რადიკალური განცხადებების გაკეთება და არც მის ქვეყანას აქვს მწვავე პრობლემები. ჩემი კანდიდატურა სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლების საკმაოდ დიდმა ჯგუფმა დაასახელა. რაკი შანსი დიდი მქონდა, რუსეთის დელეგაცია, გარეგნული სიმშვიდის მიუხედავად, კულუარებში მუშაობდა. არჩევნების წინა საღამოს, როდესაც ვითარება რეალურად შეაფასეს და დარწმუნდნენ, გამარჯვების რეალური შანსი მქონდა, ძალზე შეშინდნენ და გადაწყვიტეს, ეს არ უნდა დავუშვათ, ყველა ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ ნინო ბურჯანაძე დავბლოკოთო.

– კონკრეტულად, რით შეგიშალეს ხელი?

– მიდიოდნენ დელეგატებთან და ეუბნებოდნენ, რუსეთი ეუთოს დატოვებს, თუკი ნინო ბურჯანაძე ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარე გახდებაო. ამით მთელი ასამბლეის გასაგონად დაადასტურეს, ბურჯანაძესთან არ ვითანამშრომლებთო.

სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები გვეუბნებოდნენ, არჩევნების შედეგის მიუხედავად, ეს არის დიდი პოლიტიკური გამარჯვება, რადგან ცხადი შეიქნა, როგორ შეეშინდა რუსეთს, ამ ვებერთელა ქვეყანას, ერთი პატარა ქვეყნის წარმომადგენლისო.

– თქვენი ოპონენტები აცხადებდნენ, არჩევნების უარყოფითი შედეგის მიზეზი ის გახდა, რომ დელეგაციებთან ქართულმა მხარემ სათანადო მუშაობა არ ჩაატარა.

– საიდან მოიტანეს, რომ არ გვიმუშავია? რა იციან, რა მუშაობა გავწიეთ? ერთს ვიტყვი დელეგაციებთან მუშაობა გვიან დავიწყეთ, რადგან ბოლო მომენტში გადაწყდა არჩევნებში მონაწილეობა. დიალოგი ყველა დელეგაციასთან გვქონდა და ვიცოდით, იმაზე მეტი მხარდამჭერი გვყავდა, ვიდრე გამარჯვების

მოსაპოვებლად იყო საჭირო ... აღარ გავაგრძელებ – არის კითხვები, რომლებსაც ალბათ მოგვიანებით გაეცემა პასუხი. ვიმუშავეთ კიდეც, შანსიც მაღალი გვქონდა. შედეგი ყველასათვის მოულოდნელი აღმოჩნდა. რუსებმა და მათმა მოკავშირეებმა იმაზე მეტი გააკეთეს და იმაზე გაცილებით უღირსი მეთოდები გამოიყენეს, ვიდრე წარმოვიდგენდით.

– ანუ ეუთო რუსეთის შანტაჟზე წამოეგო?

– დიახ, ასეა.

– ითქვა ისიც, თუკი რუსები ასე გააფთრებით იბრძოდნენ, ბურჯანაძეს უნდა გაეთვალა თავისი შესაძლებლობები და თავისი კანდიდატურა რეალური პრეტენდენტისთვის დაეთმო. ეს თუნდაც იმისთვის იქნებოდა სასიკეთო, რომ ეუთოს პრეზიდენტი ჩვენგან დავალებული იქნებოდაო

– ზოგიერთს ჰგონია, პოლიტიკაში უსათუოდ უნდა ივაჭრო. ჩემთვის ეს მიუღებელია. მიზნის მიღწევა ვაჭრობის გარეშეც შეიძლება. ეს დასტურდება იმ წერილითაც, რომელიც ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის თავმჯდომარისგან მივიღე – ის მადლობას მიხდის ღირსეული შეჯიბრებისთვის და მთხოვს, მასთან თანამშრომლობა გავაგრძელო, გვერდით დავუდგე. მწერს, კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას ვაპირებ და აქცენტს საქართველოზე გავაკეთებო.

– ზოგიერთი შეფასებით, გაეროში თქვენმა მწვავე გამოსვლამ აფხაზეთის პრობლემის მოგვარების პერსპექტივა დააზარალა.

– 14 წლის განმავლობაში პრობლემის მოგვარების პერსპექტივიდან რა გამოვიდა? თუ იქ ვინმეს რამე ეწყინა, რუსეთის ელჩი იყო, რომელიც აღაშფოთა ჩემმა გამოსვლამ. სხვათა შორის, ჩემს გამოსვლას უკვე მოჰყვა შედეგი. სექტემბრის ბოლოს აფხაზეთში მომხდარი ფაქტების შემსწავლელი კომისია უნდა ჩამოსულიყო. გუშინწინ მაცნობეს, რომ ჩემი გამოსვლის შემდეგ ვადა გადმოიწია და კომისია აგვისტოს დასაწყისში ჩამოვა.

– სამშვიდობო ძალების გაყვანის თაობაზე დადგენილებამ, რომელიც ხელისუფლებამ უდიდესი მნიშვნელობის მქონედ

გამოაცხადა, ოპოზიცია დიდად ვერ აღაფრთოვანა. ამბობენ, ასეთი დადგენილებები უამრავი აქვს პარლამენტს მიღებული, მაგრამ შედეგი ჯერ არ ჩანსო.

– ასეთი დადგენილება აქამდე არ მიგვიღია. ოპოზიციის თქმით, ეს დადგენილება არ შესრულდება. შეგახსენებთ, რომ იმავეს ამბობდნენ რუსეთის ბაზების გაყვანაზეც. საბედნიეროდ, ბაზების გაყვანის თაობაზე დადგენილება სრულდება და ბოლომდეც მივა. ვიმედოვნებ, ეს ბოლო დადგენილებაც ამოქმედდება, საამისოდ ყველაფერს გავაკეთებთ. ოპოზიციაში რომ ვყოფილიყავი, ამ დადგენილებას უსათუოდ მივცემდი ხმას და დემონსტრაციულადაც განვაცხადებდი – მას მხარს ვუჭერ-მეთქი. რადგან ხელისუფლებაზე გაბრაზებული ხარ, არ შეიძლება ასეთი განცხადებები გააკეთო, რომ მოწინააღმდეგე გაახარო.

– ასეთი არგუმენტიც მოჰყავთ – სამშვიდობო ძალების გაყვანაზე დადგენილებას დსთ-დან გამოსვლა სჯობდა, რომელიც ავტომატურად მოხსნიდა სამშვიდობო ძალების საკითხსო.

– ტყუილია ... ოპოზიციას ეს ან უცოდინარობით მოსდის, ან ცრუობს. დსთ-დან გამოსვლა ერთწლიანი პროცედურაა.

– ვადა არც სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ დადგენილებაშია მითითებული.

– ვადის ჩაწერა არასერიოზულობა და პოპულიზმი იქნებოდა. აღმასრულებელ ხელისუფლებაზეა დამოკიდებული, როდის დავასახელებთ ვადას. შესაძლოა, ეს 1 ან 2 თვეში მოხდეს. გარწმუნებთ, წლამდე არ გაჭიანურდება.

– საქართველოს პარლამენტის დადგენილება რუსეთში არასერიოზულად აღიქვეს.

– თუკი ასეა, რაღა საჭიროა ამდენი კომენტარი. სერგეი ივანოვი, ლავროვი და პარლამენტის თავმჯდომარე უმალ გამოეხმაურნენ. თუკი ეს არასერიოზული დოკუმენტია, რისთვის დაიწყო ამხელა აურზაური? ხომ ამბობენ, ეს დადგენილება არ შესრულდებაო, მაშინ მშვიდად დაელოდონ მოვლენების განვითარებას. რუსებს იმდენად მოეშალათ ნერვები, სერგეი ივანოვმა განაცხადა, ჯარებს შემოვიყვან ცისფერჩაფხუტიანების

დასახმარებლადო. ამას აგრესია და ოკუპაცია რომ დაერქმევა, მაშინ რას იტყვის რუსეთი გაეროში? მშვიდად მოისმენს ამასაც?

– „დიდი რვიანის“ შეხვედრაზე საქართველოსთვის რაიმე სასარგებლო თუ გამოიკვეთა?

– ის, რომ ამდენი ილაპარაკეს საქართველოზე, ბუში-პუტინის შეხვედრის შემდეგ რომ ლავროვმა საგანგებო ბრიფინგი გამართა, მგონი, მნიშვნელოვანი შეტყობინებაა ყველასთვის. საქართველოზე იმდენი რამ ითქვა, არა მგონია, დიდად გახარებოდათ რუსეთის პრეზიდენტსა და საგარეო საქმეთა მინისტრს. სამიტზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში დიდი ნაბიჯი გადაიდგა. რუსეთი ძლიერი ქვეყანაა, მაგრამ უკეთესი იქნება, თუ დიპლომატიას გამოიჩენს და მსოფლიოს დაანახვებს, დემოკრატიული ქვეყანა ვარ და მეზობლებს ვეხმარებიო. კონფლიქტის მოგვარება ის იქნება, თუ რუსეთი 300 ათასი დევნილის აფხაზეთში დაბრუნებაში დაგვეხმარება.

თქვენი ოპონენტები ასევე ხშირად იხსენებენ, ნინო ბურჯანაძემ უმწეო ლტოლვილები მოღალატეებად შერაცხაო.

– ამის აფიშირება შეგნებულად ხდება მათგან, რომელთაც ჩემი დისკრედიტაცია სურთ. ერთ-ერთი პირველთაგანი ვარ, ვინც შეძლებისდაგვარად გვერდით უდგას დევნილებს... ადამიანი რომ 2-3 ათასი, თუნდაც 300 ათასი ლარის გამო იტყვის, მთავრობაზე გაბრაზებული ვარ და აფხაზეთის მოქალაქეობას მივიღებო, არ არის მოღალატეობა?! ვიმეორებ, ასეთი განცხადება ღალატია და ნათქვამის გამო ბოდიშს არ მოვიხდი. დევნილებს რომ ეთქვათ, პარლამენტის თავმჯდომარე ან პრეზიდენტის პოლიტიკა არ მოგვწონსო, აღშფოთება გამოეთქვათ, მთავრობა გარანტიებს არ გვაძლევსო და გავეკრიტიკებინეთ, უფლება არ მექნებოდა, რამე მეთქვა. განაწყენების უფლება აქვთ, მაგრამ სამშობლოზე გაბრაზება და იმ აფხაზებთან მისვლა, რომელთაც კინწისკვრით გამოაგდეს საცხოვრებლიდან – არ არის მოღალატეობა?! ჩემი შეფასების შემდეგ ბევრმა განაცხადა, არ ვაპირებთ აფხაზეთში წასვლასო. შესაძლოა, გამწარებულმა ადამია-

ნმა ბევრი რამ თქვას, მაგრამ არსებობს ფასეულობა, რომელსაც არ უნდა შეეხო.

– რამდენიმე დღის წინ ოპოზიციამ განაცხადა, დიალოგი მხოლოდ სააკაშვილთან, ბურჯანაძესთან და ოქრუაშვილთან გვსურსო. მოსალოდნელია, რომ დიალოგისას წამოიჭრას ის თემები, რის გამოც აქციები იმართება (უნივერსიტეტი, გირგვლიანის საქმე). მზად ხართ, ზოგიერთი რამ დაუთმოთ?

– ჩემთან ერთ-ერთი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი იყო, რომელსაც აქამდე არ ვიცნობდი. თავისი კონცეფცია მომიტანა იმის შესახებ, როგორ წარმოუდგენია ინსტიტუტის შემდგომი საქმიანობა, რა არის უპირველეს ყოვლისა გასაკეთებელი. გავოცდი, რომ მითხრა, ქალბატონო ნინო, მინდა ყველაფერი მოვასწრო, რადგან რამდენიმე კვირაში 65 წელი მისრულდება, უნდა გადავდგე და მინდა ჩემს შემცვლელს საქმე გაკეთებული დავახვედროო. რატომ არ შეიძლება ამ მეცნიერივით იფიქრონ სხვებმაც? როდესაც გადაწყდა, უნივერსიტეტში ცვლილებები უნდა მოხდესო, ისე აღიქვეს თითქოს ეს ყველას ეხებოდა. უნივერსიტეტში ბევრი ღირსეული ადამიანია, მაგრამ სამწუხაროდ, არიან უღირსებიც, რომელთა ადგილი აღარ არის უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის სახელით ზოგი ისეთი ადამიანი ლაპარაკობს, რომ თავად უნივერსიტეტისთვის არის სამარცხვინო. ღირსეულ ადამიანებს, რომელთაც შეურაცხყოფილად იგრძნეს თავი (და ეს არ დაუმსახურებიათ) მინდა ვუთხრა, ნუ დადგებიან მათ გვერდით, ვისთან დგომაც მათი სირცხვილიც არის და ჩვენიც. გირგვლიანის საქმე კი ყველაზე მძიმე საკითხია. ხელისუფლებისთვის ეს დიდი და გამოუსწორებელი ტრაგედიაა, იმ ახალგაზრდას ვეღარავინ გააცოცხლებს. რაც უნდა ბევრი კითხვა დაისვას, ვერ იქნება საფუძველი იმისათვის, რომ იმ ლხინის მონაწილე რომელიმე წევრს დავადოთ ხელი და მკვლელად გამოვაცხადოთ, მაგრამ არც უპასუხო კითხვები უნდა დარჩეს. მეც და ხელისუფლების ყველა წევრი დაინტერესებული ვართ, რომ ეს საქმე ბოლომდე მივიდეს.

– მთავრობაში ცვლილებებზე რას იტყვით?

– ამ საკითხზე კონსულტაციები მქონდა პრეზიდენტთან და ახალი მთავრობა უკვე სამშაბათს დამტკიცდება.

– მთავრობის ახალ შემადგენლობაში აღარ არის გოგა ხაინდრავა, რა გახდა მისი თანამდებობიდან გადაყენების მიზეზი?

– პირველ ყოვლისა, მადლობას ვუხდით ბატონ გოგას იმისთვის, რაც გააკეთა, მაგრამ დღეს ისეთი ვითარებაა, რომ სამთავრობო გუნდის ერთიანობას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს. როდესაც ერთ გუნდში რადიკალურად განსხვავებული მოსაზრება ეჯახება ერთმანეთს, არ არის სახარბიელო, მთავრობა ერთიანი და შეკრული უნდა იყოს. მთავრობა ცოცხალი ორგანიზმია. შესაძლოა, რომელიმე მინისტრი დღეს შეუცვლელი ჩანდეს, მაგრამ ხვალ იმავე – ადგილზე სხვა იყოს ბევრად ეფექტიანი. ამაში დრამატული არაფერია. როდესაც ერთ გუნდში ხარ და მინისტრის თანამდებობა გიკავია, დიდი პასუხისმგებლობაც გაკისრია. ამის გამო ხანდახან უფრო შეზღუდულადაც უნდა გამოხატო პოზიცია. განსხვავებული აზრი და კამათი გუნდის შიგნით დასაშვებია, მაგრამ საჯარო განცხადებების გაკეთება არ შეიძლება.

– ხაინდრავა აცხადებს, ჩემი გათავისუფლების ამბავი ჟურნალისტებისგან შევიტყვე, ნოღაიდელმა პირისპირ საუბრისას ვერ მითხრა, რომ ახალ მთავრობაში წარდგენილი არ ვიყავიო.

– ზურაბ ნოღაიდელი არ მიეკუთვნება იმ ადამიანების კატეგორიას, რომელსაც პირდაპირ რაიმეს თქმა უჭირს, უფრო პირიქითაა.

– იანვარში ოქრუაშვილს თავად მოუწევს ჩემოდნების ჩალაგებაო, ამბობს ხაინდრავა. რამდენად საფუძვლიანია ეს განცხადება?

– მათ შორის გამართულმა დიალოგმა ნათელი გახადა, რომ ვითარება სამთავრობო გუნდში ნორმალური არ იყო. როგორ შეიძლება ადამიანს უთხრა, არაფერი გამოგივაო. ჩვენ ცხინვალის პრობლემის მოგვარება მშვიდობიანად გვინდა და უნდა ვირწმუნოთ, რომ ყველაფერიც გამოგვივა.

– პრეზიდენტ სააკაშვილის პუტინთან შეხვედრის ჩაშლის მიზეზი რა გახდა?

– ის არგუმენტები, რომელთაც რუსული მხარე ავრცელებს, ნაწილობრივ სწორია – დსთ-ის სამიტი არ ითვალისწინებს ორმხრივ შეხვედრას. რუსი კოლეგებისათვის თავიდანვე გვქონდა ნათქვამი, რომ საქართველოს პრეზიდენტი იმ შემთხვევაში ჩავიდოდა რუსეთში, თუკი პრეზიდენტ პუტინს პირისპირ შეხვდებოდა. საამისოდ მუშაობაც მიმდინარეობდა, მაგრამ ბოლოს გაირკვა, რომ ეს ვეღარ ესწრებოდა, დოღის გამო კი პრეზიდენტ სააკაშვილის რუსეთში ჩასვლა არ ღირდა. პრეზიდენტ პუტინთან პირისპირ შეხვედრა სამომავლოდ იგეგმება, სადაც კონკრეტულ საკითხებზე ვისაუბრებთ. რუსული მხარის თავშეკავება პრეზიდენტების შეხვედრაზე იმით უნდა ავხსნათ, რომ ჯერ არ იყვნენ ორმხრივი შეხვედრისთვის მზად და მომავალი დიალოგისთვის საფუძვლიან მომზადებას აპირებენ.

– არის პროგნოზი, რომ მთავრობის ეს შემადგენლობა ჩავარდება.

– რუსებს იმით გავახარებთ, რომ პრეზიდენტს მთავრობის შემადგენლობას ჩავუგდებთ? სწორედ ამით განვსხვავდები ზოგიერთი ოპოზიციონერისაგან. როდესაც ქვეყანას უჭირს, მის საზარალო ნაბიჯს არ გადავდგამ.

იზო რიკაძე

კვირის პალიტრა N30 (595) 24-30 ივლისი. 2006 წ. 7 გვ.

„არც ღვინო გვინდა და არც გაზი სამაჩაბლოსა და აფხაზეთის გარეშე“

„დსთ-დან გამოსვლა გამომწვევი და არაფრის მომცემი გადაწყვეტილება იქნება“

...სენატორი ლუგარი დამპირდა, საქართველოს გვერდით ვიქნები და ნებისმიერი პრობლემის გადაჭრაში მოგეხმარებითო. მადლიერი ვარ ლატვიის პრეზიდენტისა, რომელსაც არც ერთ ფორუმზე გამოსვლისას არ დავიწყებია საქართველო...

...არაოფიციალურად ვიცი, რომ ჟაკ შირაკს სურდა დაბადების დღეზე პუტინი მიეწვია. ამან გაკვირვებაც გამოიწვია, – სტუმარს საკუთარ სახლში პატიჟობენ. თავად სტუმრად მყოფი შირაკისაგან პუტინის მიპატიჟება რიგაში ყველას გაუკვირდა.. რიგაში ნატოს წევრი 26 ქვეყნის ლიდერების შეკრებაზე, არ დავიწყებიათ საქართველო, რომელიც მართალია, ალიანსის წევრი არ არის, მაგრამ იქ შესვლის სურვილი ნამდვილად აქვს. როგორც ჩანს, საქართველოს პრეზიდენტმა და პარლამენტის თავმჯდომარემ ერთგვარად როლები გაინაწილეს, – სააკაშვილმა უფრო ძნელი საქმე აირჩია და რუსეთთან გართულებული ურთიერთობის მოგვარების მიზნით მინსკს მიაშურა, ბურჯანაძეს კი გაცილებით სასიამოვნო მისია ერგო, – რიგაში კეთილგანწყობილ გარემოში სტუმრობა და აშშ პრეზიდენტთან საუბარი. რა უთხრა ჯორჯ ბუშმა ნინო ბურჯანაძეს, რით გააოცა ჟაკ შირაკმა ლატვიელი მასპინძლები, რატომ არ ჩავიდა რიგაში (საფრანგეთის პრეზიდენტისთვის დაბადების დღის მისალოცად) პუტინი და როგორი განწყობილებით ელიან საქართველოს ნატოში, ამაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე გვესაუბრება:

რიგის სამიტს უამრავი სტუმარი ესწრებოდა, მაგრამ პარლამენტის თავმჯდომარის რანგით ოფიციალური სტუმარი მხოლოდ მე ვიყავი. იმაში, რომ ნატოს სამიტს ამ ორგანიზაციის არაწევრი ქვეყნის წარმომადგენელი ესწრებოდა, დიდი როლი ითამაშა საქართველოს ფაქტორმა და ჩვენი ქვეყნისადმი ლატვიის პრეზიდენტის დამოკიდებულებამ. ვაირა ვიკეფრაიბერგას კარგა ხანია ვიცნობ და მისგან მივიღე პირადი მიწვევა. სასიამოვნო იყო, რომ საჯარო თუ კერძო საუბრებისას, ყველა საქართველოზე ლაპარაკობდა და კეთილ განწყობილი იყვნენ ჩემდამი, როგორც ამ ქვეყნის ერთ-ერთი ხელმძღვანელისადმი.

– სხვადასხვა ქვეყნის ლიდერებთან მისალმებისას აშშ-ის პრეზიდენტი კარგა ხანს შეყოვნდა თქვენთან და გესაუბრათ. საინტერესოა, რა გითხრათ?

– ეს იყო ყურადღებისა და კეთილგანწყობის ჟესტი. სასიამოვნო, თბილი და მნიშვნელოვანი სიტყვები მითხრა. შემიძლია გითხრათ, მე რა ვუთხარი ჯორჯ ბუშს: თქვენი ვიზიტი საქართველოში ახსოვთ და ძალიან უყვარხართ. საქართველო დარწმუნებულია, რომ თქვენ და თქვენი ქვეყანა ყოველთვის მხარს დაგვიჭერთ-მეთქი. მეტად საყურადღებო იყო ჯორჯ ბუშის სიტყვა, რომელშიც მან საქართველოსა და აქ მიმდინარე რეფორმებზე ილაპარაკა და გვითხრა, რეფორმები უთუოდ უნდა გაგრძელდეს, რომ ნატოში შემოხვიდეთო და დასძინა, რომ საქართველოს ნატოში გაწევრებას ხელოვნური ბარიერი არ შეექმნებაო. ნატოს გენერალურმა მდივანმაც, სხეფერმაც ბრძანა, რომ ბევრი რამ თვით საქართველოზეა დამოკიდებული. თქვა ისიც, ნატოს არაწევრი ქვეყნები ხელს ვერ შეგიშლიან, რომ ალიანსის წევრი გახდეთო.

– ცხადია, ეს რუსეთის გასაგონად ითქვა.

– რა თქმა უნდა, ნატო თავად წყვეტს, ვინ მიიღოს თავის წევრად. გარდა ნატოში გაწევრების სურვილისა, რამდენიმე ფაქტორია გასათვალისწინებელი. საქართველო სიტყვით კი არა, საქმითაც უნდა სცემდეს პატივს იმ პრინციპებს, რომლე-

ბითაც ეს ორგანიზაცია ხელმძღვანელობს. რჩევები, რომლებიც ნატოს სამიტზე მოგვცეს, მოულოდნელი არ ყოფილა. თავადაც ვიცით, რომ დემოკრატიული რეფორმები უნდა გაგრძელდეს და სასამართლოს დამოუკიდებლობა გაძლიერდეს. რეფორმები ერთ-ორ წელიწადში რომ ვერ დასრულდება, ესეც კარგად იციან ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში. შეხვედრებისას არ დამიმალავს, რომ ნატო მხოლოდ უსაფრთხოების ორგანიზაცია კი არ არის, დემოკრატიული პროცესების განვითარებაზეც ზრუნავს და საქართველოს ამ მხრივ დიდი მხარდაჭერა სჭირდება.

– როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ, 2008 წელს საქართველოს ნატოში გაწევრება რეალურია?

– პოლიტიკაში პროგნოზები უმადური საქმეა. რამდენიმე წლის წინ ვერავინ იტყოდა, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნები ალიანსის წევრები გახდებოდნენ და ნატოს სამიტი რიგაში ჩატარდებოდა. არ მინდა საზოგადოება ზედმეტად დავაიმედო, მაგრამ ფაქტია, რიგაში ერთმნიშვნელოვნად ითქვა, საქართველო არის ერთ-ერთი ქვეყანათაგანი, რომელიც ძალზე ახლოსაა ნატოს კართანო. რეფორმებს ჩვენ სწრაფად გავატარებთ, მაგრამ ბევრი რამ იქნება დამოკიდებული იმაზეც, რა ვითარება შეიქმნება 2008 წლისთვის მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე. ვფიქრობ, ეს პროცესი ძალზე არ გაჭიანურდება, შესაძლოა, ის რაღაც მოვლენებმა დააჩქაროს კიდეც. ჩემი აზრით, საქართველოს ნატოში გაწევრება მოკლევადიანი პერსპექტივაა.

– რამდენად საფუძვლიანია ნატოს სამიტზე გაკეთებული განცხადება, საქართველოს ნატოში შესვლას ალიანსის არაწევრი ქვეყნები ხელს ვერ შეუშლიანო, მაშინ როდესაც მოწმენი ვართ უკრაინაში განვითარებული პროცესებისა, – პრემიერი იანუკოვიჩი უკრაინას რუსეთის ეკონომიკურ სივრცეში ექაჩება. შეიძლება თუ არა, რომ ეს საფრთხე საქართველოსაც დაემუქროს?

– ეს საფრთხე საქართველოს არ ემუქრება. ვერც იმას ვიტყვი გადაჭრით, რომ უკრაინა რუსეთთან უკვე ერთიან ეკონომიკურ სივრცეს ქმნის. ეს მხოლოდ პრემიერ-მინისტრის განა-

ცხადი იყო. უკრაინას პრეზიდენტი და პარლამენტიც ჰყავს, ამ საკითხს მხოლოდ იანუკოვიჩი ვერ გადაწყვეტს. თუ უკრაინა რუსეთთან მჭიდრო ეკონომიკურ თანამშრომლობას აპირებს, ეს გასაკვირი სულაც არ არის. საქართველოსგან განსხვავებით, უკრაინაში საზოგადოება რევოლუციის დროსაც კი ორად გაიყო. უკრაინის მოსახლეობა ევროპასა და განსაკუთერებით კი ნატოსთან ინტეგრაციას ძალზე სკეპტიკურად უყურებს. მისი მხოლოდ 1/3 უჭერს მხარს ნატოში გაწევრებას, მოსახლეობის ნახევარს კი მიაჩნია, რომ უკრაინა რუსეთის გარეშე დაიღუპება. სხვათა შორის, მიკვირს კიდეც, ამხელა ქვეყანაა და რატომ ჰგონიათ, ჩვენს თავს ვერ მოვუვლითო. ნატოში შესვლის თაობაზე საქართველოს მოსახლეობა და ოპოზიციაც კი ერთსულოვანია. ამიტომაც ვამბობ, რომ უკრაინის მსგავსი პრობლემა საქართველოს არ შეექმნება. რუსეთის მცდელობა, ნატოში ჩვენს შესვლას შეუშალოს ხელი, აბსოლუტურად უნაყოფო იქნება.

– თქვენ სენატორ რიჩარდ ლუგარსაც შეხვდით?

– ლუგარი საქართველოსადმი კეთილგანწყობილი სენატორების რიცხვს ეკუთვნის და ეს ჩემთან საუბრისასაც გამოხატა. ძალზე მნიშვნელოვანი იყო შეხვედრა, რომელსაც ლუგარი, ლატვიის თავდაცვის მინისტრი და მე ვესწრებოდით. საუბრისას, კერძოდ ვიკითხე, აშშ-სა და ლატვიას კონკრეტულად რით შეუძლიათ საქართველოს დაეხმარონ, რა საკითხებში შეგვიძლია უფრო ეფექტიანად თანამშრომლობა-მეთქი და პასუხებიც მივიღე.

– რა პასუხები?

– შეხვედრა დახურული იყო, ამიტომ მის შინაარს ვერ გავახმაურებ. მთავრი ის არის, რომ ითქვა, კიდევ უფრო ეფექტიანი უნდა გახდეს ჩვენი თანამშრომლობაო. ჩვენ საამისო გზებიც დავსახეთ და სენატორი ლუგარი დამპირდა, საქართველოს გვერდით ვიქნები და ნებისმიერი პრობლემის გადაჭრაშიც დაგეხმარებითო. მადლობელი ვარ ლატვიის პრეზიდენტისა, რო-

მელსაც არც ერთ ფორუმზე გამოსვლისას არ დავიწყებია საქართველო. ესტონეთის პრეზიდენტმაც საჯაროდ და დაუფარავად გამოხატა ჩვენი მხარდაჭერა. ძალზე ობიექტურად ილაპარაკა ჩვენზე პოლონეთის პრეზიდენტმაც.

– ჟაკ შირაკისთვის დაბადების დღის მისალოცად პუტინის ჩამოსვლას ელოდნენ. რატომ აღარ ჩამოვიდა რუსეთის პრეზიდენტი?

– პუტინის ჩამოსვლას რიგაში არ ელოდნენ და ამის თაობაზე გავრცელებული ინფორმაცია მოულოდნელიც კი იყო. არაოფიციალურად ვიცი, რომ ჟაკ შირაკს სურდა დაბადების დღეზე პუტინი მიეწვია. ამან გაკვირვებაც გამოიწვია, – მსტუმარს საკუთარ სახლში პატიჟებენ. თავად სტუმრად მყოფი შირაკისაგან პუტინის მიპატიჟება ყველას გაუკვირდა, ოღონდ ოფიციალურად არაფერი თქმულა (შირაკსა და პუტინს თბილი ურთიერთობა აქვთ, ექსპერტები ამბობენ, შირაკი იმაზე მეტად სცემს პუტინს პატივს, ვიდრე საჭიროაო. – ავტ.).

– დსთ-ის სამიტზე პრეზიდენტ სააკაშვილისა და პუტინის დიალოგი ბურუსით მოცული დარჩა საზოგადოებისთვის. ამიტომ ითქვა, აზრი არ ჰქონდა მინსკში საქართველოს პრეზიდენტის ჩასვლასაო.

– არ ვიზიარებ ამ აზრს. პრეზიდენტი სწორად მოიქცა მინსკში რომ ჩავიდა. პრეზიდენტს ერჩივნა, მინსკის ნაცვლად რიგაში წასულიყო, მაგრამ საჭირო იყო, რუსეთთან დიალოგისთვის თავისი მზადყოფნა დაედასტურებინა. პრეზიდენტები მართლაც შეხვდნენ ერთმანეთს. არც ველოდი, რომ ამ შეხვედრით ყველაფერი ერთბაშად გადაწყდებოდა. ვიცი, რომ რამდენიმე სერიოზულ თემაზე ისაუბრეს და მეტ-ნაკლებად გაარკვიეს პოზიციები. ესეც მნიშვნელოვანია. როდესაც ამბობენ, მოლდავეთის პრეზიდენტს პუტინთან შედეგიანი დიალოგი ჰქონდაო, არ ვიცი რას გულისხმობენ. დნესტისპირეთის პრობლემა რომ არ გადაჭრილა, ვიცი, და მოლდოვური ღვინის რუსულ ბაზარზე დაბრუნებაა გამარჯვება? დავუშვათ, ქართული ღვინოც

დაბრუნდეს რუსულ ბაზარზე, ეს არის ჩვენი ყველაზე დიდი სურვილი? არც ღვინო გვინდა და არც გაზი, ოღონდ სამაჩაბლოსა და აფხაზეთის პრობლემა გადაწყდეს. ღვინოც, ბორჯომიც და გაზიც მნიშვნელოვანი საკითხებია, მაგრამ რუსეთთან სხვა, გაცილებით საჭირბოროტო თემებზე ვლაპარაკობთ. სანამ აფხაზეთისა და სამაჩაბლოს საკითხები არ გადაწყდება, რუსეთთან სხვა საკითხებზე არ ვილაპარაკებთ.

– დსთ-ის ფარგლებში რამდენად შედეგიანად მიგაჩნიათ საუბრის გაგრძელება?

– თუ აზრის გამოთქმას აზრი არ აქვს, მაშინ პოლიტიკას თავი დავანებოთ; არც პარლამენტი გვინდა და არც ინტერვიუს უნდა გაძლევდეთ. თუ დსთ პრობლემებს არ წყვეტს, არც პარლამენტი წყვეტს ყველა პრობლემას, მაგრამ ჩვენ აქ ვმსჯელობთ და გამოსავალს ვეძებთ. რიგის სამიტზეც არ გადაწყვეტილა კონკრეტულად არაფერი, მაგრამ დაისვა საკითხები ,რომლებზეც დავიწყებთ მუშაობას. დსთ-დან მაშინ უნდა გამოვიდეთ, როდესაც ეს მომგებიანი იქნება საქართველოსთვის. დღეს დსთ-დან გამოსვლა გამომწვევი, არაფრისმომცემი გადაწყვეტილება იქნება.

– ირანიდან გაზის შემოტანის თაობაზე განსხვავებული პოზიციები გამოხატეს მეთიუ ბრაიზამ და ჯონ ტეფტმა. საქართველოს მთავრობა როგორ აპირებს მოქმედებას?

– აშშ პატივს სცემს საქართველოს ინტერესებს. ჯონ ტეფტს, როგორც ჩვენი მეგობარი ქვეყნის ელჩს, უფლება აქვს, გამოხატოს თავისი აზრი. შესაძლოა, მისი აზრი ყოველთვის არ ემთხვეოდეს საქართველოს მთავრობის აზრს. საქართველომ შარშან ირანიდან შემოიტანა გაზი და თუ საჭირო შეიქნა, ამ ზამთარშიც შემოიტანს. აშშ პატივს სცემს საქართველოს სუვერენულ არჩევანს და სწორედ ეს განასხვავებს მას სხვა, თუნდაც ჩვენი მეზობელი ქვეყნისაგან.

იზო რიკაძე

კვირის პალიტრა 2006. – 4-10 დეკემბერი. – №49. – გვ. 1-7

კანადას თავი გავაცანით

ნინო ბურჯანაძე სიდიდით მსოფლიოს მეორე ქვეყანაში ვიზიტს წარმატებულად მიიჩნევს

„კანდაშიც და ვენაშიც ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. შემიძლია ვთქვა, რომ მეც და დელეგაციის ყველა წევრს ვალმოხდილის შეგრძნება გვაქვს. გავაკეთეთ მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა“, – ასე აფასებს პარლამენტის თავმჯდომარე კანადასა და ავსტრიაში ვიზიტებს. ეს ვიზიტები არ გაშუქებულა არც ერთი ქართული ტელეარხის მეშვეობით და რამდენიმე დღის წინ ოპოზიციამ საყვედურიც კი გამოთქვა, რომ საპარლამენტო დელეგაცია არც თუ მნიშვნელოვანი ვიზიტით იყო წასული. მიუხედავად ამისა, თუ ბურჯანაძეს დავუჯერებთ, ვიზიტები საკმაოდ მნიშვნეელოვანი აღმოჩნდა იმ დონეზეც კი, რომ როგორც პარლამენტის თავმჯდომარე ირწმუნება, კანადაში საქართველო აშშ-ის, ბრიტანეთის, გერმანიის და საფრანგეთის თანასწორადაც კი მიიჩნიეს. ვენაში კი ევროპის ენერგეტიკული დივერსიფიკაციის საქართველოს როლი ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად იქნა განხილული.

ნინო ბურჯანაძე: კანადაშიც და ვენაშიც ვიზიტი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. შემიძლია ვთქვა, რომ მეც და დელეგაციის ყველა წევრს ვალმოხდილის შეგრძნება გვაქვს. გავაკეთეთ მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა. გულდასაწყვეტია, რომ ამ ვიზიტის გაშუქება არ მოხდა, რადგან კანადა მართლაც მნიშვნელოვანი ქვეყანაა საერთაშორისო პოლიტიკურ არენაზე როგორც ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით. შესაბამისად, კანადის მხარდაჭერა ძალზე მნიშვნელოვანია. მნიშვნელოვანი იყო ეს ვიზიტი იმ თვალსაზრისითაც, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში ეს პირველი ვიზიტი

იყო. მოხარული ვარ, რომ პრაქტიკულად ამ ვიზიტით მოხდა ყინულის გაჭრა, როგორც თავად კანადელებმა დაახასიათეს. გაიმართა მაღალი რანგის შეხვედრები კანადის პრემიერ-მინისტრთან, პრაქტიკულად ქვეყნის ხელმძღვანელთან, ორივე პალატის თავმჯდომარესთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან, სახელმწიფო მინისტრებთან, ასევე რამდენიმე მინისტრთან, ოპოზიციის და მმართველი ფრაქციის ლიდერებთან – პრაქტიკულად კანადის მთელ პოლიტიკურ სპექტრთან. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ვიზიტით დაინტერესდა კანადის ტელევიზიაც და საგანგებო გადაცემა მიუძღვნა. ყველა ამ ფაქტორის გათვალისწინებით, ძალზე გულდასაწყვეტი იყო ის, რომ არც ერთი ქართული ტელევიზია არ დაინტერესდა, რადგან ვთვლი, რომ ჩვენი საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია იცოდეს, საერთაშორისო არენაზე რა კეთდება. კანადასთან ურთიერთობის დამყარება კი მართლაც მნიშვნელოვანი წარმატება იყო.

– თქვენი ვიზიტისას ოპოზიციის მხრიდან გაკეთდა შეფასება, რომ ეს ვიზიტი არც თუ ისე მნიშვნელოვანი იყო. რა შედეგი ექნება მას, ეს იყო მხოლოდ ურთიერთობის დამყარება, თუ დაიდო კონკრეტული შეთანხმებებიც?

– არ ვიცი, ვინ რა პარამეტრით აფასებს ვიზიტების მნიშვნელობას, მაგრამ იმავე ადამიანებმა დღეს მისაყვედურეს, რომ ჩემს ვიზიტებში მათი წარმომადგენლები არ მონაწილეობენ. თუმცა, ვცდილობ, რომ მათი წარმომადგენლის გარეშე არც ერთი ვიზიტი არ შედგეს და მინდა, ბატონ ივლიანე ხაინდრავას მონაწილეობა აღვნიშნო. ბუნებრივია მას აქვს განსხვავებული მოსაზრებები, მაგრამ ეს მოსაზრებები სახელმწიფოებრივი თვალსაზრისით ფიქსირდებოდა. ჩემი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო კანადის პოლიტიკური ელიტისთვის იმ ინფორმაციის მიწოდება, ქვეყანაში რა რეფორმები განხორციელდა და რაში გვჭირდება კანადის აქტიური მხარდაჭერა. აღვნიშნეთ, თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს კანადის მხარდაჭერის მოპოვებას ნატოში ინტეგრაციის თვალსაზრისით. გარდა ამისა, ვთხოვეთ პრემიერ-მინისტრს, რომ კანადა აქტიურად ჩაერთოს

კონფლიქტების პოლიტიკური დარეგულირების პროცესში. დეტალურად ავუხსენით ჩვენი სამშვიდობო გეგმის შესახებ, რომელსაც ეუთოს ფარგლებში ყველა ქვეყანამ მხარი დაუჭირა, მათ შორის კანადამაც. ამასთან, ამ ვიზიტისას გაცხადდა, თუ რა მნიშვნელოვანია ეკონომიკური თვალსაზრისით კანადის აქტიურობა. ვთვლით, რომ ეს ორივე მხარისთვის მნიშვნელოვანია. დეტალურად მოვუყევით ყველა იმ მიმართულების შესახებ, რა მიმართულებითაც შეიძლება ინვესტიციების განხორციელება, ასევე ვისაუბრეთ იმაზე, რომ შემდგომი ეტაპი უნდა იყოს კანადური ბიზნესით და ეკონომიკური მიმართულებით დაინტერესება. ასევე მნიშვნელოვანია, კანადის პარლამენტში საქართველოს მეგობარი ჯგუფის შექმნა. იმიტომ, რომ კანადაში ასეთი მეგობრობა სულ ოთხ ქვეყანასთან არსებობს. ეს არის აშშ, ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია, ახლა შეიქმნა საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფი. ეს ადამიანები აცხადებენ მზადყოფნას, რომ საქართველოს პრობლემატიკასთან დაკავშირებით აქტიურად ითანამშრომლონ. ალბათ, ყველა მკითხველმა არ იცის, რომ კანადაში არის ისეთი საპარლამენტო მოდელი, რომ მთავრობის წევრები ამავე დროს არიან პარლამენტის წევრები და ამდენად, პარლამენტთან ურთიერთობას კიდე უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს. ყველაზე საინტერესო კი კონფერენციაში მონაწილეობის მიღება იყო, სადაც ფაქტობრივად ერთადერთი უცხოელი გამომსვლელი ვიყავი. გარდა ამისა, მქონდა ლექცია ოტავას უნივერსიტეტში, რომელსაც არა მხოლოდ პოლიტიკური ელიტა, არამედ საზოგადოების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ და ვთვლი, რომ ეს ვიზიტი საკმაოდ მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იყო. განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო პრემიერ-მინისტრთან შეხვედრა, რადგან იგი გადატვირთული გრაფიკის გამო იშვიათად მართავს ასეთ შეხვედრებს.

– რამდენიმე თვის წინ კანადა საფრანგეთთან და გერმანიასთან ერთად საქართველოს ნატოში გაწევრიანებას უპერსპექტივოდ მიიჩნევდა. მათი დამოკიდებულება ამ შეხვედრის შემდეგ თუ შეიცვალა?

– სხვათა შორის ეს არ არის სწორი ფორმულირება. ეს ქვეყნები საქართველოს ნატოში გაწევრიანების წინააღმდეგი არ არიან და არც იყვნენ. უბრალოდ, ისინი ცოტა სკეპტიკურად უყურებდნენ თარიღს, როდის უნდა მიეღო საქართველოს ინტენსიური დიალოგის ფაზა. მნიშვნელოვანი იყო სწორედ კანადის მხარდაჭერა რამდენიმე თვის წინ, როდესაც ინტენსიური დიალოგის ფაზაში გადავედით. ახლა ასევე პრინციპულად მნიშვნელოვანი იქნება, რომ მაპ-ში გაწევრიანებისთვის მივიღოთ მათი მხარდაჭერა. მთავარი კამათი არის ვადაზე. ვფიქრობ, რომ ჩვენს კოლეგებს ძალზე არგუმენტირებულად ავუხსენი, თუ რატომ გვინდა ნატოში გაწევრიანება უფრო ადრე და რა მნიშვნელობა აქვს სწორედ გადაწყვეტილების მიღების თარიღს.

– კანადურ ოპოზიციას თუ შეხვდით?

– კანადაში საქართველოსთვის ცოტა რთულად წარმოსადგენი პოლიტიკური ვითარებაა. მათ ჰყავთ ე. წ. უმცირესობის მთავრობა. ცოტა ხნის წინ უმრავლესობის მთავრობა გადადგა და უმცირესობის კოალიციით იქნა მთავრობა არჩეული. მაგრამ ჩვენ შევხვდით ყველას, ვინც პოლიტიკურ სპექტრში მოიაზრება ხელისუფლების მხრიდანაც და ოპოზიციის მხრიდანაც.

– ვენაში ვიზიტი როგორ დასრულდა?

– რაც შეეხება ვენას, იქ ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის მუდმივმოქმედ კომიტეტში გამოსვლა გვქონდა. რამდენიმე ორმხრივი შეხვედრაც გავმართეთ. შევხვდით აშშ-ის დელეგაციის ხელმძღვანელს, რომელიც ამჟამად კონგრესში ევროპისა და აზიის კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს და საგანგებოდ ვისაუბრეთ იმ მხარდაჭერის გაგრძელებაზე, რაც საქართველოს ამერიკის მხრიდან გააჩნია. ასევე შევხვდით ეუთოს მოქმედ პრეზიდენტს, რომელიც ესპანეთის წარმომადგენლობის ხელმძღვანელია. მას მივაწოდეთ ინფორმაცია საქართველოს კონფლიქტებთან დაკავშირებით და ავუხსენით, ესპანეთის პრეზიდენტობის დროს ჩვენ რას ველოდებით. ასევე, ვფიქრობ, საინტერესო მოხსენება გამოვიდა ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებით. ყოველ შემთხვევაში, გა-

მოხმაურება ძალიან დიდი იყო. ძალიან კორექტულად, მაგრამ ძალიან ნათლად ვუთხარით, თუ რამდენად მნიშვნელოვანია საქართველო ევროპისთვის ენერგეტიკული დივერსიფიკაციის თვალსაზრისით და რამდენად სახიფათოა, როდესაც ევროპა არის ერთი და ისიც არცთუ ძალიან დემოკრატიულ ქვეყანაზე დამოკიდებული. ასე რომ, ვფიქრობ, ორივე ვიზიტი იყო ძალიან მნიშვნელოვანი. შემიძლია, ვთქვა, რომ მეც და დელეგაციის წევრებსაც ვალმოხდის შეგრძნება გვაქვს. გავაკეთეთ მაქსიმუმი, რისი გაკეთებაც შეიძლებოდა.

რუსიკო მაჩაიძე

რეზონანსი – 2007. – 27 თებერვალი. – № 050. – გვ. 5

ძალიან მნიშვნელოვანი ასამბლეა

„რუსეთში ასეთი წესი გვაქვს, – ქალსა და რადიოს არ ვეკამათებით!“ – ეს განცხადება რუსმა დეპუტატმა ოზეროვმა ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე გააკეთა, ვიდრე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეს შეკითხვას დაუსვამდა. დეპუტატს დარბაზში სიცილი დააყარეს. ნინო ბურჯანაძემ ოზეროვს ასეთი პასუხი გასცა: „მესმის, რომ რუსეთს პატარა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან პრობლემები აქვს, მაგრამ თუ გენდერული პრობლემებიც გქონდათ, არ ვიცოდი“-ო. ისე, რუს დეპუტატს ასეთივე წარმატებით შეეძლო ეთქვა, რუსეთში ზანგებს ადამიანებად არ მივიჩნევთო. ნატოს საპარლამენტო ასამბლეა პორტუგალიაში, ქალაქ მედინაში 25-28 მაისს გაიმართა. ამ ფორუმზე საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის ინიციატივით ნინო ბურჯანაძე ერთ-ერთ გამომსვლელად მიიწვიეს. სწორედ ეს გამოსვლა და გამოსვლის შემდეგ გამართული კითხვა-პასუხი, რომელშიც რუსეთის დელეგაციის წევრების აგრესიას ბურჯანაძემ კომპეტენტურობა, გაწონასწორებულობა და ზოგჯერ ფარული სარკაზმიც დაუპირისპირა, კიდევ ერთხელ გახდა იმ უპირობო მხარდაჭერის საფუძველი, რომელიც ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე საქართველომ ევროპისგან მიიღო. ფორუმის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე „24 საათს“ ესაუბრა:

– რა შედეგები მოიტანა ამ გამოსვლამ?

ნ. ბურჯანაძე: პორტუგალიის ვიზიტს ორ ნაწილად გავყოფდი. ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე ჩვენი ვიზიტი პორტუგალიის მაღალი რანგის ხელმძღვანელობასთან შეხვედრებისათვის გამოვიყენეთ. მოგეხსენებათ, პორტუგალია ივლისიდან ევროკავშირის თავმჯდომარე ქვეყანა ხდება და

ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ პორტუგალიის ხელისუფლება კარგად იყოს ინფორმირებული საქართველოში არსებული რეალობის, იმ ამოცანების და მიზნების შესახებ, რომელიც ჩვენ გვაქვს. შეხვედრები გვქონდა პარლამენტის თავმჯდომარესთან, პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან, პარლამენტის წევრებთან, სახელმწიფო მინისტრთან, რომელიც ევროკავშირის პრეზიდენტობის დროს მთავარი ფიგურაა. საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრა ხანმოკლე გამოვიდა, ვინაიდან მხოლოდ საპარლამენტო ასამბლეის შემდეგ დაიგეგმა და მინისტრი მთელი ნახევარი საათი უცდიდა სხდომის დასრულებას. ჩვენ პორტუგალიას ნატოში გაწევრიანებაში მხარდაჭერა ვთხოვეთ და ეს მხარდაჭერა მიღებულია. ახლა ჩვენ, საქართველოს მთავრობას, „გადარბენები“ გვაქვს. ყველა მეგობარი ქვეყანა გვირჩევს, რომ ვიზიტებით რაც შეიძლება მეტი ქვეყანა დავფაროთ, რათა ჩვენი პრობლემები კარგად გავაგებინოთ და მათი მხარდაჭერა მოვიპოვოთ. ახლა ჩვენ სწორედ ამას ვაკეთებთ.

– როგორ ფიქრობთ, რა არის ნატოს საპარლამენტო ასამბლეაზე თქვენი გამოსვლის მთავარი შედეგი?

ნ. ბურჯანაძე: დიპლომატიას და მით უმეტეს, საპარლამენტო მუშაობას, როგორც მოგეხსენებათ, მყისიერი ეფექტი არ აქვს. შედეგი მას მოგვიანებით მოაქვს, როდესაც კონკრეტული დოკუმენტი შეიქმნება და კონკრეტული მხარდაჭერა გამოიხატება. დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი გამოსვლა და ის დებატები, რომელიც გამოსვლას მოჰყვა და რომლის მოწმენიც ნატოს წევრები გახდნენ, ხელს შეუწყობს ნატოს მხარდამჭერი დოკუმენტის შექმნას რეიკიავიკში, რომელსაც ნატოს საპარლამენტო ასამბლეა, ჩვენი თხოვნით, ალბათ მიიღებს. და კიდევ: ეს არის ნატოში გაწევრიანებისკენ გადადგმული ერთი ძალიან დიდი და სერიოზული ნაბიჯი.

– გარდა რუსეთის დელეგაციის მიერ დასმული ზოგჯერ კურიოზული კითხვებისა, რით იყო მნიშვნელოვანი ეს ასამბლეა?

ნ. ბურჯანაძე: გენერალურმა მდივანმა ხაზგასმით თქვა, რომ ნატოს კარი ღიაა იმ ქვეყნებისთვის, ვისაც ნატოში შესვლა სურს, რომლებიც იღვწიან ნატოში შემოსვლისათვის და ნატოს არაწევრ არც ერთ ქვეყანას არ აქვს ვეტოს უფლება რომელიმე სახელმწიფოს ნატოში გაწევრიანებაზე. ეს იყო კონკრეტული მესიჯი რუსეთისადმი. ფორუმი იყო ძალიან წარმომადგენლობითი. მას 500-ზე მეტი ადამიანი ესწრებოდა. ნატოს საპარლამენტო ასამბლეის გახსნის დღეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნატოს გენერალური მდივნისა და პორტუგალიის, როგორც მასპინძელი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრის გვერდით გამოდიოდა და უკვე ამას აქვს ძალიან დიდი დატვირთვა. არ დაგიმალავთ, ყველანი ძალიან ვღელავდით და წინა დღეს ღამის სამ საათამდე ვიმუშავეთ გამოსვლის ტექსტზე, რომ 20-წუთიანი გამოსვლა მაქსიმალურად დაბალანსებული ყოფილიყო. თუმცა გამოსვლაზე უფრო მნიშვნელოვანიც კი აღმოჩნდა გამოსვლის შემდეგ გამართული 40-45-წუთიანი კითხვა-პასუხი, რომელშიც ჩვენი რუსი კოლეგები აქტიურად ჩაერთნენ. ნამდვილად შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენ რუსეთის მიმართ არ ვიყავით კონფრონტაციულნი. ვთქვით იმ პრობლემებზე, რომელიც გვაქვს. ვახსენეთ ემბარგოს პრობლემაც, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემებიც; ვთქვით იმ სირთულეების შესახებაც, რაც ერთმანეთთან გვაქვს. თუმცა, ეს ყველაფერი ძალიან კორექტულად გავაკეთეთ. უნდა ითქვას, რომ ჩვენმა რუსმა კოლეგებმა საკუთარი შეკითხვებით „ძალიან გამოიჩინეს“ თავი.

– რომელი იყო ყველაზე რთული შეკითხვა ან, თუ გნებავთ, კურიოზული, რომელიც რუსებმა დასვეს?

ნ. ბურჯანაძე: შეკითხვები, რომელზეც ჩვენ პასუხი არ გვაქვს, არ არსებობს. ჩვენ ჩვენი სიმართლე გვაქვს და ჩვენი მეგობრები ამ სიმართლეს ძალიან კარგად ხედავენ და ამ დებატების დროს ის კიდევ ერთხელ დაინახეს. ყველაზე კურიოზული, ალბათ, კრასნოდარის გუბერნატორის გამოსვლა იყო, რომელმაც განაცხადა, რომ აფხაზეთის ომში მონაწილეობ-

დნენ კაზაკები, ყაბარდოელები, რუსი ჯარისკაცები და ჩვენი ქვეყნის ათასობით მოქალაქე და მე მათ ვეხმარებოდი და ვიფარავდიო. ამაზე მე ვუპასუხე: თქვენ მთელ მსოფლიოს დაანახეთ ის, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ: – რუსეთი აქტიურად იყო ჩაბმული ამ კონფლიქტში, იყო ერთ-ერთი მხარე და სწორედ ამიტომ არ შეიძლება რუსეთი იყოს მედიატორი და იყოს ერთადერთი, ვისაც მონოპოლიზებული აქვს კონფლიქტების დარეგულირების პრობლემა. ჩემს გამოსვლაში მე დელიკატურად აღარ გავამახვილე ყურადღება აფხაზეთში რუსეთის მონაწილეობაზე, რათა საუბარი კონფრონტაციულ რეჟიმში არ გადამეყვანა, მაგრამ ეს ფაქტი კრასნოდარის გუბერნატორმა იქ ყველას გასაგონად აღიარა: ის თავისი გამოსვლით დაგვეხმარა.

– რა ხდებოდა ამ დებატების შემდეგ ოფიციალური გამოსვლების მიღმა? ანუ თუ შეგვიძლია, რომ არაოფიციალურ ნაწილში გამართულ შეხვედრებზეც ვისაუბროთ, რამდენადაც იძლევა ამის შესაძლებლობას ეტიკეტი...

ნ. ბურჯანაძე: ნამდვილად შემიძლია გითხრათ, რომ გამოსვლის დასრულების შემდეგ ჩვენს დელეგაციასთან რიგი იდგა. მოდიოდნენ ადამიანები და ძალიან წარმატებულ გამოსვლას გვილოცავდნენ. გვეუბნებოდნენ, რომ კარგად დაინახეს, რატომ გვაქვს პრობლემები რუსეთთან. ასევე გვეუბნებოდნენ, რომ შემდგომ ფორუმებზე მათი და მათი ქვეყნის პარლამენტების მხრიდან ძალიან სერიოზული მხარდაჭერა იქნება, მათი ქვეყნების აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან მუშაობის კუთხით.

– საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი დსთ-ს სამიტზე მიემგზავრება. როგორც ცნობილია, იგი წინა სამიტზე არ ჩავიდა, ვინაიდან სააკაშვილ-პუტინის შეხვედრის ორგანიზება ვერ მოხერხდა. ამჯერად მაინც თუ გაიმართება ეს შეხვედრა და რა დადებით და უარყოფით შედეგს შეიძლება ველოდოთ ამ მოვლენიდან?

ნ. ბურჯანაძე: იმედი მაქვს, რომ პრეზიდენტების შეხვედრა შედგება და ამ შეხვედრას გარკვეული პოზიტივი მოჰყვება,

იმიტომ რომ რთული ურთიერთობის მიუხედავად რუსეთს ნამდვილად შეუძლია და აქვს სერიოზული შესაძლებლობა, შეასრულოს პოზიტიური როლი ცხინვალის კონფლიქტის დარეგულირებაში; აქვს დიდი შანსი იმისა, რომ ნაბიჯები გადადგას ნორმალიზებისკენ, თუკი მას უნდა, რომ ჰქონდეს ნორმალური ქვეყნის იმიჯი.

– სავიზო რეჟიმის გამარტივება, თუნდაც საქართველოში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების ნათესავებისთვის, არის თუ არა სამიტის წინ ურთიერთობაში დაძაბულობის შემცირებისთვის გადადგმული ნაბიჯი?

ნ. ბურჯანაძე: რისთვისაც არ უნდა იყოს გადადგმული, ეს კარგი ნაბიჯია. თუმცა ამას გარღვევას ვერ დავარქმევდი. გარღვევა იქნება ის, რომ რუსეთმა დაიწყოს მართლაც პოზიტიური როლის თამაში კონკრეტულად კონფლიქტების დარეგულირების საქმეში.

– 29 მაისს ცხინვალში დამოუკიდებლობის დღე აღნიშნეს. რამდენად არის დღეს შესაძლებელი, რომ კოკოითი მოლაპარაკებაზე დათანხმდეს? წინააღმდეგ შემთხვევაში, რა იქნება გაგრძელება?

ნ. ბურჯანაძე: კოკოითი ამ ბოლო დროს ისე იქცევა, რომ თავად რიყავს საკუთარ თავს. ჩვენ, მართლაც, გულწრფელად განვაცხადეთ, რომ კოკოითთან დიალოგი გვინდოდა და მივიღეთ მტკიცე უარი ნებისმიერი მოლაპარაკების პროცესზე. ამას მისგან კიდევ უფრო არაგონივრული ნაბიჯები მოჰყვა, რომელიც მას აუცილებლად ჩიხში შეიყვანს. ჩვენ ყველგან, ყველა დონეზე ვამბობთ, რომ ვითარების გამწვავებას არ ვაპირებთ; მაგრამ იმასაც არავის ვუმალავთ, რომ სამუდამოდ ასე ვერ გაგრძელდება. ჩვენ ხელს არ გვაძლევს სტატუს-კვოს შენარჩუნება. ქართულ პოლიტიკაში სანაკოევის გამოჩენამ რეალურად გაუხსნა გზა კონფლიქტის პოლიტიკურ დარეგულირებას. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია საერთაშორისო თანამეგობრობის ძალისხმევა, რომელიც მიმართულია ამ ადმინისტრაციის პოლიტიკურ დიალოგში ჩართვის შესაძლებლობებისაკენ. ცხადია,

ამა თუ იმ საკითხებზე სანაკოევს და ჩვენ არ გვაქვს იდენტური ხედვა, მაგრამ მასთან შეიძლება საუბარი, მზად არის კომპრომისებისთვის და ასევე აქვს არგუმენტები, რომელთა გაზიარება ჩვენთვის მნიშვნელოვანია. ასე რომ, ამ გზას გავაგრძელებთ. კოკოითი თუ გონს მოვა, ეს პირადად მას და მის ირგვლივ არსებულ რეალობას წაადგება. ყველას ვეუბნებით: ჩვენ არ გვინდა ომი, თუმცა ჩვენ მზად ვართ ჩვენი ქვეყნის დასაცავად და ამაში ვერავინ გაგვამტყუნებს.

– ამ ბოლო დროს არასრულწლოვანებში კრიმინალური სიტუაცია საგანგაშო გახდა. თქვენ განაცხადეთ, რომ ამ პრობლემით დაინტერესდებით. გაქვთ თუ არა რაიმე კონკრეტული გეგმა?

ნ. ბურჯანაძე: მე, როგორც დედას, როგორც პარლამენტის თავმჯდომარეს, როგორც პოლიტიკოსს, მაშფოთებს ის, რაც ხდება. ვაპირებ, შევკრიბო ის ადამიანები, ფსიქოლოგები, პედაგოგები, ყველა, ვისაც ამასთან შეხება აქვს, რომ კონკრეტულად დაიწყონ გამოკვლევა, რა არის ამ ძალადობის მიზეზები. გარდა ამისა, მინდა შევკრიბო განათლების მინისტრი და ყველა იმ უწყების ხელმძღვანელი, ვისაც უკვე აქვს შემუშავებული სტრატეგია, რათა შევთანხმდეთ, როგორ ვიმუშავოთ მოზარდებთან, რომ ეს სტრატეგია და ძალადობის ის მიზეზები, რასაც სპეციალისტები დაგვიდებენ, ერთმანეთთან თანხვედრაში იყოს.

ეკა ჯანაშია

გაზეთი „24 საათი“. – 2007. – 31 მაისი, №118, გვ. A1, A3

ბურჯანაძე „ბისეკის“ საიუბილეო სამიტსა და გაზაფხულის პოლიტიკურ გარღვევაზე

„ის, რომ ჩვენ გვთხოვენ უფრო მაღალ სტანდარტებს, ვიდრე თუნდაც ჩვენსავე მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებს, ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანია“

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე მიიჩნევს, რომ ბოლო დროს საერთაშორისო ასპარეზზე საქართველოს მიმართ დამოკიდებულება კიდევ უფრო მეტად შეიცვალა. განსაკუთრებით კი ეს საფრანგეთის პოზიციის გააქტიურებამ განაპირობა. მისი შეფასებით, საქართველოს სულ უფრო მეტი შანსი უჩნდება, რომ ევროინტეგრაციის კუთხით გადამწყვეტი ნაბიჯები გადადგას. ამ საკითხებთან დაკავშირებით „რეზონანსი“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ესაუბრა. რაც შეეხება საქართველოს შიდა პოლიტიკაში არსებულ კონკრეტულ პრობლემებს, ნინო ბურჯანაძე აცხადებდა, რომ „პრობლემები არსებობს, თუმცა, არა ისე, როგორც ამაზე ხელისუფლების ოპონენტები საუბრობენ“ და იგი ამ პრობლემებზე „რეზონანსთან“ უახლოეს დღეებში ისაუბრებს.

ნინო ბურჯანაძე: საერთოდ ეს გაზაფხული ძალიან დატვირთულია როგორც საქართველოში სტუმრების ჩამოსვლით, ასევე ჩვენი ვიზიტებით. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ყველა ეს ვიზიტი კონკრეტული და საქართველოსთვის უაღრესად მნიშვნელოვანი შედეგით დასრულდა. რამდენიმე დღის წინ ბულგარეთში, ქალაქ ვარნაში ჩატარდა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის შეკრება, სადაც საქართველოსთვის აქ ყოფნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო, რადგან საქართველო გახდა თავმჯდომარე ქვეყანა და გადმომეცა

საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტობა. 6 თვის განმავლობაში ჩვენ ვიქნებით ამ თანამდებობაზე. ეს ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან, პრეზიდენტობის დროს ქვეყანას აქვს განსაკუთრებული შესაძლებლობები, თავისი ხედვა გაახმოვანოს ამ ორგანიზაციაში და ჩვენ გვაქვს გეგმები, თუ ამ ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეის მუშაობა როგორ გავააქტიუროთ. ჩემი იდეა იყო, რომ ამ ორგანიზაციის ეგიდით ჩატარდეს წევრი ქვეყნების პარლამენტის თავმჯდომარეების სამიტი, რომელიც ადრე არასოდეს ჩატარებულა. დღემდე იმართება მხოლოდ პრეზიდენტების და საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტი. ჩვენთვის მთავარი არის იდეის განხორციელება, რათა თანამშრომლობა უფრო მეტად გამყარდეს. რადგან დარწმუნებული ვარ, რომ ამ ორგანიზაციას ბევრად უფრო მეტი პოტენციალი აქვს, ვიდრე მისი გამოყენება ხდება. ვარნაში მნიშვნელოვანი იყო ისიც, რომ პარალელურად ტარდებოდა ვიცე-პრეზიდენტის არჩევნები. საქართველოდან წარდგენილი იყო მიხეილ მაჭავარიანის კანდიდატურა. საკმაოდ სერიოზული კონფერენცია იყო, 4 ადგილზე 6 სახელმწიფოს ჰქონდა პრეტენზია და ძალზე სასიხარულოა, რომ ამ თანამდებობაზე სწორედ ჩვენი კანდიდატურა აირჩიეს. ეს თანამდებობა ორწლიანია და რეალური შესაძლებლობა იქნება იმისა, რომ რასაც ჩვენ ამ ექვსი თვის განმავლობაში დავიწყებთ, შემდეგ ორ წელში გარკვეული გაგრძელება და მხარდაჭერა მოჰყვეს. ვარნაში ჩავატარეთ ასევე ორმხრივი შეხვედრები ბულგარეთის პარლამენტის თავმჯდომარესთან. მიუხედავად იმისა, რომ ვარნაში 11 ქვეყნის წარმომადგენელი იყო ჩასული, განსაკუთრებული ყურადღება სწორედ საქართველოს დელეგაციას დაეთმო. ჩვენ ძალიან აქტიურად ვისაუბრეთ ბულგარეთის და საქართველოს ორმხრივ ურთიერთობაზე. მე დავაყენე რამდენიმე საკითხი, მათ შორის ჩვენი მოქალაქეებისთვის ვიზების გამარტივების საკითხი. ასევე კულტურული თანამშრომლობის საკითხები და რაც მთავარია, მათგან მივიღეთ სრული მზადყოფნა, რომ ევროკავ-

შირში საქართველოსთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას მათი მხრიდან სრული მხარდაჭერა გვექნება. ასევე შევხვდთ სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციებს და ვთვლით, რომ ეს ვიზიტი საკმაოდ მნიშვნელოვანი და საინტერესო იყო.

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის („ბისეკი“) სამიტზე თქვენ უკვე ამ ორგანიზაციის საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტის რანგში იქნებით და თქვენი ინფორმაციით, შედგება თუ არა საქართველოს და რუსეთის პრეზიდენტების შეხვედრა და რა საკითხები შეიძლება იყოს განხილული?

25 ივნისს სტამბულში აღინიშნება შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის შექმნის 15 წლისთავი. ამ ღონისძიებას აღნიშნავენ ძალიან მაღალ დონეზე და გაიმართება თერთმეტივე წევრი სახელმწიფოს პრეზიდენტების და საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტი. სააკაშვილის და პუტინის ცალკე შეხვედრა დაგეგმილი არ არის, მაგრამ, ვფიქრობ, რომ მათ დიალოგისთვის კიდევ ერთი საშუალება ნამდვილად ექნებათ და ეს ორივე ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია, რადგან ძირითადი პრობლემები სწორედ ასეთი შეხვედრებისას წყდება. ცხადია, კონკრეტულ საკითხებზე საუბარი ძნელია, თუ რაზე შეიძლება მათ ისაუბრონ. მაგრამ ადვილი მისახვედრია, რომ ეს საკითხები ძირითად პრობლემებს შეეხება. გარდა ამისა, მე როგორც საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი საგანგებო სტატუსით ვარ მიწვეული და სიტყვით გამოსვლის შესაძლებლობა მექნება. ეს გამოსვლა არის ძალზე მნიშვნელოვანი იმ თვალსაზრისით, რომ როგორც საპარლამენტო ორგანიზაციის პრეზიდენტს საქართველოსთვის მნიშვნელოვან საკითხებზე საუბრის საშუალება მექნება.

რამ განაპირობა საფრანგეთში საქართველოს პრეზიდენტის და პარლამენტის თავმჯდომარის ერთდროული ვიზიტი?

ჩემი ვიზიტი რამდენიმე თვის წინ იყო დაგეგმილი და დაემთხვა პრეზიდენტის ვიზიტს. როგორც წესი, ასე ერთდროული ვიზიტები არ ხდება. ბუნებრივია, ნიკოლა სარკოზის მიერ ჩვენი

პრეზიდენტის მიპატიჟება უაღრესად მნიშვნელოვანი იყო და ჩვენ თარიღებზე საუბარს ვერ დავიწყებდით. ამასთან, ჩემი რამდენიმე მნიშვნელოვანი ღონისძიება იყო დაგეგმილი, რომლის შეცვლაც ასევე არ შეიძლებოდა. მთავარი კი ის არის, რომ ეს ვიზიტები უაღრესად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. გარკვეულწილად შეიძლება ითქვას, რომ ქვეყნისთვის გადამწყვეტიც კი.

რას გულისხმობთ, ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ საქართველომ თუნდაც ევროინტეგრაციის კუთხით რაიმე მყარი გარანტიები მიიღო?

საფრანგეთის და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრიდან ძალიან მალე რადიკალური ცვლილებები დაეტყო პრაქტიკულად ყველაფერს. სააკაშვილის წამოსვლა დაგეგმილი იყო ბატონ სარკოზისთან შეხვედრის მეორე დღეს, თუმცა, ჩვენი პრეზიდენტი შეხვედრიდან ორი დღის განმავლობაში საფრანგეთში დარჩა იმისთვის, რომ სარკოზისთან შეხვედრის შემდეგ შეხვედრა შეხვედრაზე ინიშნებოდა. პირადად ვიყავი იმის მომსწრე, როგორ სპონტანურად ინიშნებოდა ისეთ კომპანიებთან შეხვედრა, რომლებთანაც პრეზიდენტებიც კი ექვსი თვით და ერთი წლით ადრე ნიშნავენ შეხვედრებს. ეს მიუთითებდა იმაზე, რომ პრეზიდენტ სარკოზის მხრიდან იყო მიცემული მითითება, რომ საქართველოს პრეზიდენტის და დელეგაციის წინაშე ყველა კარი უნდა გაღებულიყო. არც კი მინდა, ძალიან ბევრი ვილაპარაკო, იმდენად მნიშვნელოვანი იყო ეს ვიზიტები. ცხადია, ამას ექნება გარღვევითი მნიშვნელობა ქართული პოლიტიკისთვის და ზოგადად ევროპული პოლიტიკისთვის. ვინაიდან საფრანგეთის პოლიტიკა ბოლო დროს იყო უფრო დაბალანსების პოლიტიკა. სარკოზის განცხადება კოსოვოსთან დაკავშირებით იყო უმნიშვნელოვანესი. მან ძალიან ნათლად თქვა, რომ კოსოვოს შემთხვევის საქართველოში არსებულ კონფლიქტებთან არანაირი შედარება არ შეიძლება და არათუ არ შეიძლება, ეს არის არასწორი და უბრალოდ სპეკულაცია. ეს არ არის უბრალო განცხადება. არც ის არის უბრალო და შემთხვევითი ფაქტი, როდესაც საფრანგეთის პრეზიდენტი თავისი არჩევიდან ერთ თვეში

თავისთან პატიჟებს საქართველოს პრეზიდენტს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანი ქვეყანა ვართ, მაგრამ არც ისე დიდი, რომ საფრანგეთმა პირველი დაგვპატიჟოს. ცხადია, საქართველოს მიმართ ასეთ ყურადღებას რომ იჩენენ, სულ სხვა რამეშია საქმე. ეს ნამდვილად დასაფასებელია და ამას უდავოდ გამოყენება სჭირდება.

საქართველოს მიერ „მაპ“-ის მიღებისას თუნდაც მომავალ წელს საფრანგეთის დამოკიდებულებას რამდენად ექნება გადამწყვეტი მნიშვნელობა?

რა თქმა უნდა, საფრანგეთს ექნება აბსოლუტურად გადამწყვეტი მნიშვნელობა და სარკოზიმ დააფიქსირა, რომ იგი საქართველოში ნატოში გაწევრიანებას მხარს უჭერს ყოველგვარი ხელოვნური ბარიერების და ყოველგვარი პრობლემების გარეშე. მე შევხვდი საფრანგეთის სენატში თავმჯდომარეს და წამყვანი პარტიის ლიდერებს, სადაც ჩვენ ვისაუბრეთ უკვე შეცვლილ რეალობაზე და დიდი იმედი მაქვს, რომ ის, რაც ითქვა, რეალიზებული იქნება და რადიკალურად შეცვლის არა მარტო ქართულ-ფრანგულ ურთიერთობებს, არამედ შეცვლის რეალურად საფრანგეთის როლს კავკასიაში და ზოგადად ევროპაში.

ამ შეხვედრებისას ქვეყნის შიდა მდგომარეობაზე არ კეთდება აქცენტები, თუ რამდენად აკმაყოფილებს საერთაშორისო მოთხოვნებს?

ნამდვილად შემიძლია, გითხრათ, რომ ამ კონტექსტით ეს კითხვები არ ისმება. ისმება იმ კუთხით, თუ როგორი პროგრესი არსებობს, რა არის გაკეთებული და რა გასაკეთებელი. ყველას ესმის, რომ დღეს საქართველოს მოსთხოვო ის იდეალური სტანდარტი, რაც შეიძლება მოსთხოვო იგივე საფრანგეთს და ბელგიას, არასწორია. მაგრამ, ის რომ ჩვენ გვთხოვენ ბევრად უფრო მაღალ სტანდარტებს, ვიდრე ჩვენსავე მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებს, ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანია.

პირადად თქვენ, რამდენად სერიოზულად აღიქვამთ იმ პრობლემებს, რაც ქვეყანაში არსებობს?

ცხადია, პრობლემები არის. ყველაზე სერიოზული პრობლემა ტერიტორიული მთლიანობაა და ვიდრე ეს პრობლემა არ მოგვარდება, ძალიან რთულია მთლიანად წარმატებულ მოდელზე ილაპარაკო. ბუნებრივია, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროშიც ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი. იგივე სასამართლო სფეროში, მოსამართლეთა დამოუკიდებლობის გაძლიერების თვალსაზრისით. იგივე საკუთრების დაცვასთან დაკავშირებით. პრობლემა ყველგან არის და ორი აზრი არ არსებობს, რომ საქართველოში ყველაფერი გასაუმჯობესებელია. მაგრამ ამაზე განა ჩვენ თვითონ არ ვლაპარაკობთ? არ არსებობს ქვეყანა, რომელმაც შეიძლება ეს პრობლემები ერთ და ორ წელში მოაგვაროს.

საუბარია იმაზე, რომ ხელისუფლების მხრიდან ორმაგ მიდგომებს აქვს ადგილი.

ცხადია, ასეთი რამე არც ერთ შემთხვევაში არ უნდა ხდებოდეს. რაც შეეხება საკანონმდებლო საკითხებს, გავეცნობი და პირობას გაძლევთ, რომ ამ საკითხებზე თქვენთან უახლოეს დღეებში ვისაუბრებ.

რუსიკო მაჩაიძე

რეზონანსი – 2007. – 20 ივნისი. – №161. – გვ. 2

„საკუთარ თავზე არ ვიღებ კონტროლს, პალატის ძველ სისუსტეებს“

„თურქმენეთის პრეზიდენტს ხომ არ ვეტყოდი, ბილეთის ფული არ მაქვს და თვითმფრინავი გამომიგზავნეთ-მეთქი“

ამას წინათ საფრანგეთში საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის თავმჯდომარის ვიზიტები ერთმანეთს დაემთხვა. ფრანგული ვიზიტის შედეგად ნიკოლა სარკოზის მხარდაჭერა და კეთილი სურვილები მივიღეთ. თუმც საზოგადოებისთვის საყურადღებო რატომღაც ფრანგების დახმარებით ატომური ელექტროსადგურის მშენებლობის ცნობა აღმოჩნდა. სწორედ ამ თემით დავიწყეთ საუბარი პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძესთან:

ნ. ბურჯანაძე: საფრანგეთში ვიზიტი და მისი შედეგები ბევრად მნიშვნელოვანია, ვიდრე ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა. უცნაურია, რომ მხოლოდ ამაზე გაკეთდა აქცენტი. საქართველოს ხვალინდელი დღისთვის, ევროპაში რეალური პოლიტიკური ძვრებისათვის ძალზე მნიშვნელოვანია პრეზიდენტ სარკოზის პოზიცია. მან ბრძანა: საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას მხარს ვუჭერთ და კოსოვოს პრეცედენტის გამოყენება საქართველოში არ შეიძლებაო. საფრანგეთის პრეზიდენტმა პირველად დააფიქსირა, რომ უპირობოდ დაუჭერს მხარს საქართველოს ნატოში გაწევრებასა და ევროკავშირთან დაახლოებას. ქართულ-ფრანგულ ურთიერთობებში ახალი, ისტორიული ეტაპი დაიწყო. რატომ ჰგონია ჩვენს ზოგიერთ თანამემამულეს, რომ ყველაზე უკეთ თავად იცის, რა არის პოლიტიკურად მომგებიანი და რა – არა. თუ ატომური ელექტროსად-

გურების აშენება მთელი მსოფლიოსთვის არის ეკონომიკურად მომგებიანი, ამასთან, უსაფრთხოების მაქსიმალური ზომების დაცვაც შესაძლებელია, ჩვენ რატომ ვართ გამონაკლისები? არ ვამბობ, რომ ატომური ელექტროსადგურის მშენებლობაზე გადაწყვეტილება გაანგარიშებისა და გათვლის, ექსპერტებთან კონსულტაციის გარეშე უნდა მივიღოთ. მსოფლიოში ცნობილი ფრანგული ფირმა მხოლოდ ჩვენდამი კეთილგანწყობის გამო არ ააშენებს საქართველოში მილიარდებად ღირებულ ატომურ სადგურს. ჩვენ რომც არ დავითვალოთ და გავიანგარიშოთ, ფრანგები გათვლიან ყველაფერს. ატომური ელექტროსადგური ლიტვაშიც შენდება, რომელიც მწყობრში 2015 წელს შევა. დღეს შევიტყვე, რომ ბალტიის ზღვის ერთ-ერთი ყურის ფსკერზეც მიმდინარეობს ატომური ელექტროსადგურის მშენებლობა. ზოგიერთის თქმით, საქართველო სეისმურად არცთუ მყარი ქვეყანაა, მაგრამ იაპონია ხომ გაცილებით მგრძნობიარე სეისმურ ზონაში მდებარეობს. მიუხედავად ამისა, იაპონიაში არის ატომური ელექტროსადგურები და იაპონელები ამაში დიდ საფრთხეს ვერ ხედავენ. საფრთხის ალბათობის რაღაც მეათედი პროცენტის გამორიცხვა არასოდეს შეიძლება, საფრთხე შეიძლება ჰიდროელექტროსადგურებიდანაც მოდიოდეს. ღმერთმა დაგვიფაროს, მაგრამ თეორიულად ენგურის კაშხლის გარღვევის ალბათობაც არსებობს, მაგრამ ამის გამო მის აშენებაზე უარი არ გვითქვამს. ბირთვული ენერგია მომავლის ენერგიაა, ყველა ქვეყანა ცდილობს მის გამომუშავებას. ჩემთვის გაცილებით ნაკლებსასიამოვნოა ხუდონჰესის ან ისეთი გიგანტის აშენება, როგორიც ენგურჰესია. არსებული ჰიდროელექტროსადგურები და წყალსაცავები მნიშვნელოვნად ცვლის მიკროკლიმატს. ზოგიერთი ირანიდან საფრთხეზეც ლაპარაკობს, რაც არასერიოზულად მიმაჩნია. თუ საქართველოში ვინმე ატომურ ელექტროსადგურს ააფეთქებს, ის ირანსაც მისწვდება...

– მაჰმადიანი მესხების ჩამოსახლების საკითხზე პარლამენტში ცხარე კამათი გაიმართა. ოპოზიცია აცხადებს, ხელი-

სუფლებას ევროსაბჭოსთვის თავის მოწონება სურს, თორემ ის ამ ვალდებულების უცილობელ შესრულებას არც გვთხოვსო.

ნ. ბურჯანაძე: ასე ისინი ლაპარაკობენ, რომლებიც არ იცნობენ არც ჩვენი ევროპელი მეგობრებისა და არც საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლების აზრს. ბოლო 10 წლის განმავლობაში არც ერთი საერთაშორისო შეხვედრა არ მახსოვს, რომელზეც ეს საკითხი არ დასმულიყო. ვერ ვიტყვი, რომ ჩემთვის სასიამოვნო იყო ამ საკითხზე საუბარი, მაგრამ წინა ხელისუფლების დროს ყველანაირად ვცდილობდი ამ ვალდებულების გადავადებას, რადგან ქვეყანაც და ხელისუფლებაც სუსტი იყო და არ იყო გარანტია იმისა, რომ ამ თემას ჩვენი სახელმწიფოს საწინააღმდეგოდ არ გამოიყენებდნენ. დღეს ვითარება რადიკალურად შეცვლილია. თუკი რაიმე პროვოკაციის მცდელობა იქნება, საქართველოს აქვს შესაძლებლობა, პრევენციული ზომები მიიღოს. ამ კანონში ისეთი არაფერი წერია, რაც საქართველოს უსაფრთხოებას ან ეროვნულ ინტერესებს დაემუქრება. ოპოზიციის იმ ნაწილს, რომლისთვისაც თვითმიზანი არ არის მწვავე განცხადებების გაკეთება, ვთხოვე, კონკრეტული წინადადებები მომაწოდეთ, რომ ყველა შესაძლო საფრთხე გავითვალისწინოთ და შესაბამისი დამცავი მექანიზმი კანონში შევიტანოთ-მეთქი. მაჰმადიანი მესხების მასობრივად და უკონტროლოდ ჩამოსახლება წარმოუდგენელია. ვინც უკანონოდ გადმოკვეთს საზღვარს, მას ისევე გაასახლებენ, როგორც ნებისმიერ არალეგალურ პირს. კანონიერ შემოსვლას კი უამრავი დოკუმენტაცია და დრო სჭირდება, რათა სახელმწიფო ორგანომ გადაწყვეტილება მიიღოს. ძალიან შეზღუდული იქნება იმ პირთა რაოდენობა, რომლებიც წლის განმავლობაში საქართველოში დასახლების უფლებას მიიღებენ. საქართველოს არა აქვს იმდენი არც სოციალური, არც პოლიტიკური და არც ეკონომიკური რესურსი, რომ დიდი რაოდენობით ხალხი დააბრუნოს. ეს აბსოლუტურად გასაგებია ჩვენი უცხოელი მეგობრებისათვის. კანონ-პროექტის მიღება აუცილებელია, რათა ვა-

ლდებულება ვაღიაროთ და ვაღიაროთ ისიც, რომ ისტორიული სამართლიანობის აღდგენას ვიწყებთ.

– ანუ თქვენ საფრთხეს ვერ ხედავთ?

ნ. ბურჯანაძე: ეს მოგონილი საფრთხეა. რაც შეეხება კონსერვატორებს, მათი ჩამოსვლა იმ რეგიონში უფრო პროვოკაციას ჰგავდა. თუ ასეა, ბევრი უსიამოვნო ფაქტი შეიძლება გაიხსენონ აფხაზებმაც ქართველებზე... და პირიქით. რა ვქნათ, გამუდმებით გავიხსენოთ წარსულში მომხდარი უბედურებები და შემზარავი ისტორიები, არ დავივიწყოთ, რაც ქართველებსა და ოსებს შორის მოხდა და აღარასოდეს აღარ შევრიგდეთ? ხალხში ანტაგონიზმი კი არა, თანაცხოვრებისა და მიმტევებლობის სურვილი უნდა გავაღვივოთ.

– ე. წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა სააკაშვილთან დიალოგის სურვილი გამოთქვა...

ნ. ბურჯანაძე: ჩვენ არაერთხელ შევთავაზეთ მას დიალოგი. მე, პირადად, რამდენჯერმე შევუთვალე, შევხვდეთ-მეთქი და ყოველთვის უარს ამბობდა. საქართველოს ტელევიზიით გამოსვლისას კოკოითი ლამის ფრთიან ანგელოზად დაიხატა, რომელიც „სისხლისმსმელ“ ქართველებს მოლაპარაკებას სთხოვს და მას ყურს არავინ უგდებს. რომელ შეხვედრაზე იყო ლაპარაკი, როდესაც კოკოითმა იმის უფლებაც არ მომცა, მშვიდობიანი ესკორტით გამევლო ცხინვალში. კავკასიურ ტრადიციებზე ლაპარაკობს, თავად კი „დაავიწყდა“, რომ ქალს ამდენ ხანს მთიან გზაზე უნდა მევლო. ჩვენ ყოველთვის მზად ვიყავით დიალოგისთვის, მაგრამ რთულია მოლაპარაკება კაცთან, რომელიც სიტყვით ერთს ამბობს და საქმით კი სხვას აკეთებს.

– ფიქრობთ, რომ კოკოითს ნირი სანაკოევმა უცვალა?

ნ. ბურჯანაძე: რა თქმა უნდა, კოკოითი დარწმუნდა, რომ ვითარება კონფლიქტის რეგიონში რადიკალურად შეიცვალა სანაკოევის სასარგებლოდ. შესაძლოა, ხვალ კოკოითი იმ პირებისთვისაც ზედმეტი აღმოჩნდეს, რომლებიც მისით მანიპულირებდნენ – ამან აალაპარაკა კოკოითი სხვანაირად.

– ბოლო დროს ხშირად გვესმის საყვედური კონტროლის პალატის მუშაობის გამო, რომელიც პარლამენტს დაქვემდებარებული სტრუქტურაა. კონტროლის პალატის შემოწმების რიგ აქტებს გრიფი „საიდუმლო“ ედება, რაც თავისთავად სისხლის სამართლის დანაშაულიაო.

ნ. ბურჯანაძე: საკუთარ თავზე არ ვიღებ კონტროლის პალატის იმ პერიოდის სისუსტეებს, როდესაც მას ხელმძღვანელი არ ჰყავდა. ახალი თავმჯდომარის დანიშვნის შემდეგ ამ ორგანიზაციის მუშაობაზე პასუხისმგებლობის ნაწილს მე ავიღებ. ლევან ჭოლაძემ საფუძვლიანი საკადრო წმენდა ჩაატარა. ეს საჭირო იყო, რათა კონტროლის პალატა კორუფციაში ეჭვმიტანილი ან ნაკლებმონდომებული თანამშრომლებისგან გაწმენდილიყო.

– სარეზერვო ფონდიდან პრეზიდენტის მიერ თქვენი მივლინებისთვის გამოყოფილი 48 ათასი ლარი პარლამენტში გაცხოველებული მსჯელობის საგნად იქცა.

ნ. ბურჯანაძე: მიკვირს, ამ კითხვით მე რომ არ მომმართეს კოლეგებმა. არ შეიძლება ყველაფრით სპეკულირება. თუ ვინმეს არ ესმის, რა მნიშვნელობა აქვს თურქმენეთში ვიზიტს, რაღა უნდა ვთქვა. ჩემს ვიზიტს ორ დღეში საქართველოსა და თურქმენეთის პრეზიდენტების შეხვედრა და სერიოზულ პროექტებზე საუბარი მოჰყვა, რაც შეიძლება 40 ათასი კი არა, 40 მილიარდი ღირდეს, რადგან გეოპოლიტიკურად და გეოსტრატეგიულად საქართველოსთვის შეუფასებელი მნიშვნელობა აქვს. ვინც ამ თემით სპეკულირებს, ან პოლიტიკურად ბეცია, ან პროვოკატორი. შესაძლოა, პენსიონერს მართლაც მოხვდეს ყურში 48 ათასი ლარის ვიზიტში დახარჯვა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ თვითმფრინავით (ჩარტერით) მგზავრობის თანხა. თურქმენეთში ჩემთან ერთად 12 კაცი იყო. სასტუმროსა და სხვა თანხები თურქმენეთმა გაიღო. მე საქართველოს ოფიციალური წარმომადგენელი ვარ. თურქმენეთის პრეზიდენტს ხომ არ ვეტყოდი, ბილეთის ფული არ გვაქვს და თვითმფრინავი გამომიგზავნეთ-მეთქი. არის შემთხვევები, რომ ვიზიტისას ორ-სამჯერ მიწევს ხოლმე თვი-

თმფრინავში გადაჯდომა. ხშირად პირდაპირ აეროპორტიდანაც წავსულვარ შეხვედრაზე. უკაცრავად და, აეროპორტშიც გამომიცვლია ხოლმე ტანსაცმელი. ამიტომაც ოპონენტების შენიშვნებს არ მივიღებ, რადგან ნებისმიერი ვიზიტისას მაქსიმუმს ვაკეთებ ჩემი ქვეყნისთვის.

გაზეთი „კვირის პალიტრა“ – 2007 – 25 ივნისი – 1 ივლისი, №26, გვ. 7

„თუ რუსეთი შეასრულებს პოზიტიურ ან თუნდაც ნეიტრალურ როლს, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დარეგულირება შესაძლებელი იქნება სულ რამდენიმე თვეში ისე, რომ მოგებული ყველა მხარე დარჩება“

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივების შესახებ „Время Новостей“-ის კორესპონდენტს მიხეილ ვიგნანსკის ესაუბრა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე.

– ამ რამდენიმე დღის წინათ, როცა იმყოფებოდით აფხაზეთის მახლობლად გახსნილ ქართულ ახალგაზრდულ ბანაკში, განაცხადეთ, რომ თვითაღიარებულ რესპუბლიკებზე თბილისის იურისდიქციის პრობლემა უახლოეს მომავალში გადაიჭრება. რას ეფუძნება ასეთი ოპტიმიზმი? სოხუმი ხომ უკვე წელიწადზე მეტია აღარ მონაწილეობს თბილისთან მოლაპარაკებაში, ცხინვალშიც მხოლოდ სუვერენიტეტზე თუ ლაპარაკობენ...

ნ. ბურჯანაძე: ოპტიმიზმი ეფუძნება იმას, რომ ჩვენ ახლა ძალზე აქტიურად ვმუშაობთ ამ კრიზისების პოლიტიკური მოწესრიგების მიმართულებით. ისახება საქართველოს მთლიანობის, ერთიანობის უზრუნველყოფის რეალური შესაძლებლობა, ჩვენს პოზიციას აქვს სერიოზული საერთაშორისო მხარდაჭერა. მწიფდება კონფლიქტების სამართლიანი მოწესრიგების წანამძღვრები და იმედი მაქვს, რომ ეს მალე მოხდება. თუ რუსეთი შეასრულებს პოზიტიურ ან თუნდაც ნეიტრალურ როლს, სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის დარეგულირება შესაძლებელი იქნება სულ რამდენიმე თვეში ისე, რომ მოგებული ყველა მხარე დარჩება. რაც შეეხება აფხაზეთს, აქ უფრო მეტი დრო დაგვჭირდება, მაგრამ ვითარება აქაც საკმაოდ პერსპექტიულია.

– საქართველომ შექმნა სამხრეთ ოსეთის სტატუსის განმსაზღვრელი სახელმწიფო კომისია, მაგრამ რუსეთი არ მონაწილეობს მის მუშაობაში...

ნ. ბურჯანაძე: ჩვენი მხრივ სწორი იყო, როცა რუსეთს შევთავაზეთ მუშაობა ამ კომისიის შემადგენლობაში, რათა მას შესძლებოდა სიტუაციის უკეთ გაცნობა. თუ რუსეთს სურს შეასრულოს შუამავლის როლი, იგი ჩვენს წინადადებას უნდა გამოეხმაუროს. მაგრამ იმ შემთხვევაშიც, თუ რუსეთი ახლა არ მიიღებს მონაწილეობას კომისიის მუშაობაში და ამ პროცესში მოგვიანებით ჩაებმება, ჩვენთვის ესეც მისაღები იქნება.

– 14 აგვისტოს სრულდება 15 წელი ქართულ-აფხაზური ომის დაწყებიდან, რომელსაც 17 ათასი კაცი შეეწირა. ნუთუ შეუძლებელი იყო ამ კონფლიქტის თავიდან აცილება?

ნ. ბურჯანაძე: ქართველები და აფხაზები გახდნენ პროვოკაციის მსხვერპლნი. ორივე მხარე წაგებული დარჩა. ძალზე დასანანია, როცა აფხაზები ამბობენ, რომ მათ გაიმარჯვეს. ომი მოიგეს რუსეთის იმ სპეციალურმა სამსახურებმა, რომლებმაც პროვოკაციულად გამოიწვიეს მისი გაჩაღება და ამით დიდძალი ფული იშოვეს, ისევე როგორც დიდი ფული „გააკეთეს“ ჩეჩნეთში ომის დროს. აფხაზეთი აყვავებული მხარე იყო, ახლა კი თითქმის გაუდაბურებულია. ყველაზე მეტად მაშფოთებს და მაშინებს ის, რომ აფხაზეთში ნერგავენ ანტიქართულ განწყობილებას, სიძულვილს ქართველების მიმართ. სიძულვილი კი, როგორც ცნობილია, ცუდი მრჩეველია. საქართველოში არ არის სიძულვილი აფხაზების მიმართ. ვიხსენებ იმ დროს, როცა ჩემს მშობლებს და მე მრავალი მეგობარი გვყავდა აფხაზეთში, სადაც თავს ისე ვგრძნობდით, როგორც მშობლიურ სახლში. თავის მხრივ, აფხაზებიც თბილისში ასევე გრძნობდნენ თავს. თუ აფხაზური მხარე კვლავ განაგრძობს სიძულვილის დანერგვას, ეს უდიდეს ტრაგედიას მოუტანს თვით აფხაზ ხალხს. აფხაზეთში არა აქვთ ინფორმაცია იმის შესახებ, თუ სინამდვილეში რა ხდება. იქ ინფორმაციას მხოლოდ ერთი წყაროდან იღებენ, რომელიც მიზანმიმართულად თესავს აფხაზურ საზოგადოე-

ბაში შიშს საქართველოსა და ქართველების მიმართ, ცდილობს ქართველებისგან მტრის ხატის შექმნას. დროა, თვით აფხაზმა ხალხმა შეიგნოს, რომ უნდა გაიხსნას საზოგადოება, მიიღოს ინფორმაცია არა მარტო რუსული, არამედ სხვა წყაროებიდანაც. აფხაზი ხალხი ბრძენია და თვითონ შეიგნებს, სად არის სიმართლე და სად – სიცრუე.

– ამ ბოლო ხანებში ბევრს ლაპარაკობენ იმაზე, რომ აფხაზეთი შეიძლება ჩაებას სოჭის ოლიმპიური ასპარეზობისათვის მზადებაში...

ნ. ბურჯანაძე: აფხაზეთი ამას ვერასდროს გააკეთებს საქართველოს თანხმობის გარეშე. თუ კონფლიქტი მოწესრიგდება, რა თქმა უნდა, ქართული მხარე მზად იქნება მთლიანად, აფხაზეთთან ერთად ჩაებას სოჭი-2014 პროექტის განხორციელებაში, დაუჭიროს მას მხარი. თუ კონფლიქტი არ იქნება დარეგულირებული და აფხაზეთი ცალმხრივად ეცდება ოლიმპიადის მზადებაში მონაწილეობას, ან რუსეთი ასევე ცალმხრივად ეცდება აფხაზეთის ჩაბმას ამ საქმეში, აქედან კარგი არაფერი გამოვა. რუსეთის ვიცე-პრემიერმა ჟუკოვმა განაცხადა, რომ აფხაზეთში ააგებენ რაღაც ქარხნებს, რომლებიც სოჭის ოლიმპიადისთვის გამოუშვებენ საშენ მასალებს. მას, როგორც ჩანს დაავიწყდა, რომ რუსეთის იურისდიქცია არ ვრცელდება აფხაზეთის ტერიტორიაზე. თუ კვლავაც გააკეთებენ ასეთ განცხადებებს, თუ რუსეთი ეცდება უგულებელყოს საქართველოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, ყველა ის ვალდებულება, რომლებიც მან იკისრა არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი მსოფლიო გაერთიანების წინაშეც, გარწმუნებთ, რომ განმეორდება იგივე, რაც მოხდა მოსკოვში 1980 წლის ზაფხულის ოლიმპიური ასპარეზობის დროს, როცა სსრ კავშირს ბოიკოტი გამოუცხადეს. არა მგონია, რუსეთში ცუდად ახსოვდეთ ეს ისტორია და გაიმეორონ წარსულის შეცდომები.

– მაგრამ ხომ გაჩნდა ორმხრივი ურთიერთობის დათბობის ნიშნები – რუსეთმა გააფართოვა საქართველოს მოქალაქეთათვის ვიზების გაცემა, ლაპარაკია სატრანსპორტო მიმოს-

ვლის განახლებაზე, უკვე აღარ ისმის წინანდელი აგრესიული რიტორიკა ორივე მხარის პოლიტიკოსთა მიერ გაკეთებულ განცხადებებში...

ნ. ბურჯანაძე: კარგია, რომ დაიწყეს ვიზების გაცემა, რომ შეიცვალა რიტორიკა, მაგრამ ჩვენ გვჭირდება კონკრეტული რეალური ნაბიჯები, რათა სულ სხვა დონეზე დავაყენოთ ორი ქვეყნის ურთიერთობა. ვიზების გაცემა ვერ გადაჭრის იმ მთავარ პრობლემას, რომელიც რუსეთსა და საქართველოს შორის არსებობს. დღემდე არ მოქმედებს საჰაერო მიმოსვლა, დღემდე არ არსებობს ნორმალური ეკონომიკური კავშირურთიერთობა. მაგრამ რა თქმა უნდა, ყველაზე დიდ პრობლემას ქმნის აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტები. სანამ რუსეთი არ შეასრულებს პოზიტიურ როლს, ან ამ რეგიონებთან ურთიერთობაში არ დაიცავს ერთიან ცივილიზებულ სტანდარტს, ჩვენი ორმხრივი კავშირი მუდამ არასტაბილური იქნება.

– რუსეთის ელჩმა საქართველოში ვიაჩესლავ კოვალენკომ ერთხელ შენიშნა, რომ საქართველო ნეიტრალიტეტის გზას თუ დაადგებოდა, ეს უფრო გააიოლებდა ორი ქვეყნის ურთიერთობას.

ნ. ბურჯანაძე: როგორ ფიქრობთ, საქართველოსთვის ამის შეთავაზება ქვეყნის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის კარნახი ხომ არ არის? გაიხსენეთ, როგორი იყო ბატონი პუტინის რეაქცია, როცა ერთმა ქვეყანამ გამოთქვა წინადადება მეორის კონსტიტუციის შეცვლის შესახებ. ქართველი ხალხის გადასაწყვეტია, ნეიტრალური უნდა იყოს მათი ქვეყანა თუ არა, მოსახლეობის 82 პროცენტი კი მხარს უჭერს საქართველოს შესვლას ნატოს რიგებში. მოლდავეთმა უკვე კარგა ხანია გამოაცხადა ნეიტრალიტეტი, მაგრამ რაღაც არ მსმენია, რომ მას კარგი ურთიერთობა ჰქონდეს რუსეთთან. იქაც ისეთივე პრობლემებია, როგორიც ჩვენთან, ზოგჯერ კი უფრო რთულიც. რუსული სამხედრო ბაზები დღესაც იქ არის, მოლდავური ღვინოებისთვის დღესაც ჩაკეტილია რუსეთის ბაზარი, და რაც ყველაზე მთა-

ვარია – კვლავ გადაუჭრელი რჩება დნესტრისპირეთის პრობლემა. განა ნეიტრალიტეტი დაეხმარა მოლდავეთს რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებაში ან თუნდაც ერთი პრობლემის გადაჭარში?

– 2008 წელს პრეზიდენტის არჩევნები გაიმართება რუსეთში, შემდეგ კი საქართველოშიც. ხომ არ შიშობთ, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობა შეიძლება გახდეს შიდაპოლიტიკური პროცესების მძევალი?

ნ. ბურჯანაძე: ამ არჩევნების მძევალი ხდება არა მარტო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, არამედ მოსკოვის ურთიერთობა მსოფლიოს ყველა დანარჩენ ქვეყანასთანაც. ჩემი აზრით, ძალზე ბევრი რამ იქედან, რაც ახლა ხდება რუსეთში ან რუსეთის სახელით, რისი ახსნაც, პრინციპში, ძალზე რთულია ხოლმე, არჩევნების მოახლოებასთან არის დაკავშირებული. არ მსურს იმის თქმა, რომ ამის შედეგად შეიძლება მკვეთრად გაუარესდეს რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა, მაგრამ ამაში მთლად დარწმუნებული არ ვარ. ჩვენი მხრივ გავაკეთებთ ყველაფერს იმისთვის, რომ ნორმალური გახდეს ურთიერთობა რუსეთთან, გვქონდეს მასთან კარგი მეზობლობა. მაგრამ ამის მიღწევა არ უნდა მოხდეს ჩვენი ეროვნული ინტერესების ხარჯზე. სხვათა შორის, არაერთგზის შევთავაზეთ ჩვენს კოლეგებს, რუს პარლამენტარებს, ჩამოსულიყვნენ საქართველოში. მათ სიამოვნებით ვუმასპინძლებთ და ჩვენც მზად ვართ ნებისმიერ დროს ჩავიდეთ მოსკოვში. ჩემი აზრით, თუ რუსი დეპუტატები ჩამოვიდოდნენ საქართველოში, ნახავდნენ, როგორი ცვლილებები მოხდა ჩვენს ქვეყანაში. ეს შეუწყობდა ხელს საქართველოს მიმართ მათი დამოკიდებულების შეცვლას.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ – 2007. – 1 აგვისტო, №146, გვ. 10

ბურჯანაძე: „კონსტიტუციურმა მონარქიამ შესაძლოა უფრო მეტი პრობლემები შექმნას“

პარლამენტის სპიკერი ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობის მომხრეა

ნინო ბურჯანაძე: „ჩემთვის ადამიანურად და პროფესიულადაც ძალიან ძნელი მისაღები იყო გადაწყვეტილება პარლამენტისათვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების თაობაზე“.

პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძეს მიაჩნია, რომ კონსტიტუციური მონარქიის აღდგენა ძალიან ძნელი იქნება და შესაძლოა, „სტაბილურობის ნაცვლად კიდევ უფრო მეტი პრობლემები დაამატოს ქვეყანას“. თუმცა, მიუხედავად ამისა, სპიკერი ამ თემაზე დიალოგის დაწყების მომხრეა.

„რეზონანსთან“ ექსკლუზიურ ინტერვიუში ნინო ბურჯანაძე საპარლამენტო მოდელის შემოღებისა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების თაობაზეც საუბრობს.

„რეზონანსი“: თქვენს შეთავაზებას პოლიტიკური დიალოგის დაწყების თაობაზე ოპოზიცია გამოეხმაურა და მათ აღნიშნეს, რომ ეს წინადადება დაგვიანებულია. კონკრეტულად რას სთავაზობდით ოპოზიციას? რა საკითხზე უნდა დაიწყოს დიალოგი?

ნ. ბურჯანაძე: უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო და სრულიად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ დღეს, ქვეყნის განვითარების ისეთ გარდამტეხ ეტაპზე, როცა მართლაც განსაკუთრებულ სტადიაში შედის საგარეო ურთიერთობების, შიდა პრობლემების მოგვარება, მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში იყოს სტაბილურობა, მშვიდი სამუშაო გარემო და ნორმალური პოლიტიკური ვითარება. ხაზგასმით აღვნიშნავ ყო-

ველთვის, რომ მშვიდი პოლიტიკური ვითარება და სტაბილური გარემო არ ნიშნავს განსხვავებული აზრის არქონას და არ ნიშნავს იმას, რომ ყველამ ერთ ენაზე უნდა ვისაუბროთ, ყველას ერთი და იგივე აზრი ჰქონდეს ან პატივი არ უნდა ვცეთ განსხვავებულ აზრს. მაგრამ ნიშნავს იმას, რომ განსხვავებული აზრი იყოს მართლაც განსხვავებული აზრი და არა შეურაცხყოფა და ცილისწამება, იყოს შემოთავაზება პრობლემების გადაწყვეტის გზისა. კრიტიკა, მაგრამ ობიექტური – რა არის პრობლემა, როგორ უნდა გადაწყდეს ის და როგორ უნდა მოვიქცეთ, რომ უკეთესად და სწრაფად გადაწყდეს ქვეყნის პრობლემები. ამიტომ ყველაფერ ამისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში პოლიტიკური დიალოგი არსებობდეს. ჩვენ გვაქვს პრეტენზია, რომ თანდათან ვხდებით ნორმალური სახელმწიფო. ნებისმიერ ნორმალურ სახელმწიფოში, როგორი მწვავეც უნდა იყოს პოლიტიკური განსხვავება, ოპონენტებსა და პოლიტიკურ კონკურენტებს შორის დიალოგი გრძელდება. ვფიქრობ, რომ სრულიად ლოგიკური და სწორი იყო, რომ ჩემს ოპონენტებს კიდევ უფრო ფართო დიალოგისაკენ მოვუწოდე. ნამდვილად გავვოცდი, როცა გავიგონე, რომ ეს დაგვიანებული მოწოდებებია. რას ნიშნავს დაგვიანებული? თუ არსებობს ერთი პროცენტი მაინც შანსი იმისა, რომ დაგროვილი პრობლემები გადაწყდეს, დიალოგი მაშინაც არ არის დაგვიანებული, მით უმეტეს, რომ ერთ პროცენტზე ნამდვილად არ ვსაუბრობ და ჩვენ ძალიან ბევრი საქმის გაკეთება შეგვიძლია მუშაობის ნორმალურ რეჟიმში. გარდა ამისა, მე დიალოგი არ შემიწყვეტია ოპოზიციასთან. ბოიკოტის დროსაც კი ძალიან შეზღუდულ რეჟიმში გარკვეული დიალოგი იყო და მით უმეტეს ბოიკოტის შეწყვეტის შემდეგ ოპოზიციასთან გვაქვს მუდმივი დიალოგი და ეს დაადასტურეს კიდეც საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმა. არა მარტო ყოველკვირეულად ვიკრიბებით ჩემს კაბინეტში, არამედ დროდადრო არის ინდივიდუალური შეხვედრები ოპოზიციის წარმომადგენლებთან რაღაც კონკრეტულ საკითხებთან დაკავ-

შირებით. თუ განცვიფრებული შეძახილები, რომ რა დროს დიალოგია, ბურჯანაძეს დააგვიანდა და აქამდე სად იყო, იმას ემსახურება, რომ დიალოგზე უარი თქვან, ეს უკვე იმ ადამიანების გადასაწყვეტია, ვინც ასეთ კომენტარებს აკეთებს. მაგრამ კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ დიალოგი არსებობდა – იყო საკითხები, რომლებიც წყდებოდა ერთობლივი პოზიციების შეჯამებით, თუმცა იყო დიდი რაოდენობა საკითხებისა, სადაც ჩვენ ვერ ვახერხებდით შეთანხმებას და ჩვენს აზრზე ვრჩებოდით, რაც ასევე ნორმალურია. ახლა ჩავთვალე, რომ მართლაც საჭიროა ამ დიალოგის გაღრმავება; ანუ იყო საკითხები, რომლებიც კიდევ უფრო სხვაგვარ ხედვას საჭიროებს, თუნდაც მოახლოებული არჩევნების კონტექსტში სხვაგვარად იქნეს აღქმული. მე განვაცხადე ჩვენი მზაობა იმასთან დაკავშირებით, რომ მზად ვართ, ყველა კრიტიკულ და პრობლემატურ საკითხთან დაკავშირებით ღიად ვისაუბროთ ერთმანეთთან. შესაძლოა, ეს არ იყოს პრესის თანდასწრებით საუბარი და შესაძლოა, უკეთესიც იყოს, რათა გულახდილი გამოვიდეს ეს დიალოგი. ასევე მზად ვართ, რომ გარკვეული საფუძვლიანი არგუმენტების მოსმენის შემთხვევაში რაღაც საკითხებთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ დავუბრუნდეთ ჩვენს პოზიციას. მაგრამ არ იქნება ლამაზი, რომ ეს იყოს ისე აღქმული, როგორი განცხადებებიც გაკეთდა – შეეშინდათ და ახლა გააკეთეს განცხადებები. გურჯაანის აქციის შემდეგ შეშინებაზე ლაპარაკი ცოტა უხერხულია, მაგრამ ერთი რამ მინდა ვთქვა – ჩემი სურვილი თანამშრომლობის შესახებ არასოდეს არ არის დაფუძნებული რაიმეთი შეშინებაზე. შინაგანად ყოველთვის მომხრე ვარ დიალოგის და მიმაჩნია, რომ ნორმალურმა ადამიანებმა, როგორც მინიმუმ, ერთმანეთს უნდა მოუსმინონ.

– ანუ ეს იყო მხოლოდ თქვენი, პარლამენტის თავმჯდომარის შეთავაზება თუ მთლიანად ხელისუფლების? პრეზიდენტისაგანაც მოდის ასეთი ინიციატივა?

ნ. ბურჯანაძე: შეთავაზება გავაკეთე, როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ, მაგრამ ბუნებრივია, პრეზიდენტთანაც მქონდა

საუბარი და ისიც დამეთანხმა, რომ დიალოგი მნიშვნელოვანია. ჩემი პრინციპული პოზიცია ვუთხარი უმრავლესობის წარმომადგენლებსაც და ჩვენ მზად ვართ ამ დიალოგისათვის.

– ოპოზიცია მოითხოვს, რომ არჩევნები მომავალი წლის გაზაფხულზე ჩატარდეს, ანუ მაშინ, როცა ამ მოწვევის პარლამენტს უფლებამოსილება ეწურება. შესაძლებელია, რომ ამაზე დაიწყოს დიალოგი?

ნ. ბურჯანაძე: დახურული თემა დიალოგისათვის ნამდვილად არ არსებობს, მაგრამ არის არგუმენტები, რომლის საწინააღმდეგო არგუმენტები უნდა იყოს ბევრად ძლიერი, რათა გადაწყვეტილება შეიცვალოს. ღიად გეუბნებით, რომ ჩემთვის ადამიანურად და პროფესიულადაც ძალიან ძნელი მისაღები იყო გადაწყვეტილება პარლამენტისათვის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების თაობაზე, იმიტომ რომ ეს არ არის ორდინალური და ჩვეულებრივი გადაწყვეტილება, მაგრამ ეს არგუმენტირებული იყო ძალიან სერიოზული მოტივაციით. გახსოვთ, რომ პრეზიდენტიც, მეც და ჩვენი უმრავლესობის წევრებიც საუბრობდნენ ძალიან ბევრ ფაქტორზე და ეს არ იყო მხოლოდ რუსეთის ფაქტორი, თუმცა ეს არ იყო გამოსარიცხი. რუსეთი დიდი ქვეყანაა, ძალიან დიდი შესაძლებლობები აქვს და ხშირად სურვილიც, რომ პრობლემები შეუქმნას პატარა საქართველოს. ამიტომ ბუნებრივია, რომ ჩვენ ამ ფაქტორის გათვალისწინება გვიწევს. აქედან გამომდინარე, რამდენიმე ძალიან მყარი არგუმენტი, რომელიც გამოყენებული იყო არჩევნების თარიღის რამდენიმე თვით გადაწევისათვის, – ეს იყო საფუძველი იმისა, რომ მეც და ჩემი თანაგუნდელებიც მივედით საბოლოო გადაწყვეტილებამდე. მაგრამ მარტივი მისაღები ეს გადაწყვეტილება ნამდვილად არ იყო და გარწმუნებთ, იმედი მაქვს იმისა, რომ საქართველოში ძალიან მალე დადგება ისეთი სტაბილური პერიოდი როგორც ქვეყნის საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკაში, რომ ამ ტიპის გადაწყვეტილებების მიღება არ დაგვჭირდება. მაგრამ არის ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ისეთი რთული ვითარე-

ბები, როცა უნდა მიიღო ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც პრაქტიკულ სქემაში არ ჯდება. ასეთი იყო ეს გადაწყვეტილებაც. თუ ჩვენი ოპონენტები რამეს ისეთს იტყვიან, რომ ჩვენი მყარი არგუმენტები შეიცვლება, ჩვენ ამაზე ვიმსჯელებთ. მაგრამ სიმართლე გითხრათ, ეჭვი მეპარება, რომ ასეთი მყარი არგუმენტები მოვისმინოთ, თუმცა მოსასმენად მზად ვართ. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ დანიშნული არჩევნები სამართლიანად და დემოკრატიულად ჩატარდეს, რისთვისაც ძალიან სერიოზულად ვემზადებით. მაგალითად, სამშაბათს შეხვედრა მქონდა ერთ-ერთ კანდიდატთან, რომელიც ცენტრალურ საარჩევნო კომისიის თავმჯდომარედ მოიაზრება. საუბრის მთავარი თემა იყო საარჩევნო სიები, საარჩევნო ადმინისტრაცია და მზადება არჩევნებისათვის. მაინტერესებდა, როგორი ხედვა აქვს მას ამ საკითხებთან დაკავშირებით. პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ არჩევნებამდე მივიდეთ ნორმალური პოლიტიკური სვლით, თუნდაც ძალიან მწარე დისკუსიით და არჩევნები ჩატარდეს სამართლიანად. ადამიანი, რომელიც მივა არჩევნებზე, დარწმუნებული იყოს, რომ მისი ხმა არ დაიკარგა და მიიღო ის ხელისუფლება, რომელსაც მხარს უჭერს. ეს მნიშვნელოვანია ქვეყნის შიგნით სტაბილურობისთვის და მნიშვნელოვანია ჩვენი მეგობრების მხარდაჭერის გასაგრძელებლად.

– მიუხედავად ოქრუაშვილის ცნობილი აღიარებისა, ოპოზიცია მაინც აპირებს აქციის გაგრძელებას და 2 ნოემბერს პარლამენტთან შეკრებას. ხელისუფლების მხრიდან გაკეთდა განცხადებები, რომ ქვეყანა შეთქმულებას გადაურჩა. როგორ ფიქრობთ, ოქრუაშვილთან დაკავშირებული მოვლენები, მისი შეხვედრები პატარკაციშვილთან და ოპოზიციის გაერთიანება შეთქმულების ნაწილია?

ნ. ბურჯანაძე: მე არა მარტო პოლიტიკოსი ვარ, არამედ იურისტიც და ძალიან ფრთხილად ვეკიდები ასეთ ტერმინოლოგიას. შეთქმულებაში ბრალდება სს დანაშაულში ბრალდებაა. ამას ვერ მოგახსენებთ. თუმცა, კითხვები და ეჭვები რომ ჩნდება

განვითარებული მოვლენების ჯაჭვთან დაკავშირებით, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ძალიან ბევრი მოვლენა უცნაურად დაემთხვა ერთმანეთს. ბევრი განცხადება, რბილად რომ ვთქვათ, უცნაური იყო, რომ არ ვთქვათ სრულიად აღმაშფოთებელი და გაუგონარი. ბუნებრივია, კითხვები ჩნდება, მაგრამ ვიქნები ფრთხილი იურისტი და ასეთ შეფასებას არ გავაკეთებ. რაც შეეხება მიტინგებსა და მანიფესტაციებს, ჩვენმა ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცის, რომ მიტინგის უფლება ადამიანებს აქვთ და აზრად არ მოგვივა, რომ ვინმეს მიტინგებში მონაწილეობა აუკრძალოთ. ეს დემოკრატიული სახელმწიფოსათვის ნორმალური მოვლენაა. არ არის სასიამოვნო, რომ ჩვენი ოპონენტების მიტინგი იკრიბება ჩემი სამუშაო ოთახის ფანჯრების წინ, მაგრამ მოგვწონს თუ არა, მოთმინებით უნდა მოვეკიდოთ ადამიანების განსხვავებულ პოზიციას. ეს დემოკრატიისა და აზრის გამოხატვის ერთ-ერთი ფორმაა, მაგრამ არა ერთადერთი. უფრო სწორად მიმაჩნია, რომ ადამიანებმა, როცა დიალოგის შესაძლებლობა არსებობს, საკითხები ამ ჭრილში გადაჭრან. მიტინგით ვერ გადაწყდება ის პრობლემები, რომელთაც დღეს ოპოზიცია აყენებს გნებავთ საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით, საკუთრების უფლების დაცვასთან დაკავშირებით და სხვა. ამ ტიპის საკითხები შეიძლება გადაწყდეს დახურულ კარს მიღმა კონსულტაციების გზით. მიტინგებით ოპოზიციას სურს, რომ თავისი ძალა დაანახოს ხელისუფლებას. თუმცა ძალიან წარმატებულად ეს არ გამოსდით. ნორმალურია, რომ არიან ადამიანები, რომლებსაც რაღაც არ მოსწონთ და აღიზიანებთ, მაგრამ მუდმივად ამ რეჟიმში ყოფნა არაფერს არგებს ოპოზიციას და ქვეყნის სტაბილურობას. ჩემთვის ფასეულია ერთი ადამიანის აზრიც კი და არ დავიწყებ იმის დათვლას, პარლამენტის წინ ათასი ადამიანი მოვიდა თუ 10 ათასი. შეიძლება ათასმა ადამიანმა უფრო სწორი და საღი პრეტენზია გამოხატოს, ვიდრე 2 ათასმა. რაოდენობა არაფერს წყვეტს, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ ათასსაც მოუსმინო და 10 ათასსაც. იგნორირება ჩვენი მხრიდან არ იქნება და

არ უნდა იყოს არც ერთი ჯგუფის და ფენის მიმართ. გავაკეთებდი აქცენტს იმ კონკრეტულ თემებზე, რომელსაც ოპოზიცია და ადამიანების ჯგუფები აყენებენ და არა იმაზე, რამდენ კაცს მოიყვანს ოპოზიცია მიტინგზე. ეს არ უნდა იყოს ოპოზიციის თვითმიზანი.

– ძალიან მნიშვნელოვანია იმ თემასაც შევეხოთ, რომელიც ორი დღის წინ გაჟღერდა. ვგულისხმობ პატრიარქის იმ ინიციატივას, რომელიც შეეხება კონსტიტუციური მონარქიის აღდგენის თაობაზე დიალოგის დაწყებას. ოპოზიციამაც მოითხოვა პარლამენტის სხდომაზე დებატების გამართვა. თქვენ აღნიშნეთ, რომ გაქვთ საკუთარი მოსაზრება ამ ინიციატივასთან დაკავშირებით. თუ შეიძლება გვითხრათ, რა მოსაზრება გაქვთ?

ნ. ბურჯანაძე: პირველ რიგში მინდა ვთქვა, რომ ჩემთვის პატრიარქი უზარმაზარი ავტორიტეტია, გამომდინარე მისი პიროვნებიდან და იმ პოზიციიდან, რომელიც აქვს მაშინ, როცა ქვეყანას უჭირს. ამიტომ პატრიარქის ნათქვამი ნებისმიერი სიტყვა ჩემი მხრიდან იმსახურებს პატივისცემას და მეორე მხრივ, თავს ვალდებულად ვთვლი, რომ მისი ნებისმიერი მოსაზრება ძალიან სერიოზული განსჯის საგნად ვაქციო. აქედან გამომდინარე, სამშაბათსაც ვთქვი, რომ ვინაიდან პატრიარქმა ასეთი რამ ბრძანა, ჩვენ ნებისმიერ შემთხვევაში ამაზე უნდა ვიმსჯელოთ. მისი პოზიცია და არგუმენტები დამატებით კიდევ აუცილებლად უნდა მოვისმინოთ, თუმცა პატრიარქმა ხაზგასმით თქვა, რომ საუბრობს გრძელვადიან პერსპექტივაზე. სიმართლე გითხრათ, სხვა მოდელი მიმაჩნია საქართველოსათვის მისაღებად. ჩვენ რომ არ გვქონოდა 250 წლიანი წყვეტა ჩვენი სამეფო ტრადიციებისა, დიდი სიამოვნებით დავუჭერდი მხარს ამ ინიციატივას. ნამდვილად მომწონს, რომ ბრიტანეთში, დანიაში, ბელგიაში შენარჩუნებულია ეს ტრადიცია. მაგრამ ჩვენს შემთხვევაში, როცა ტრადიცია უკვე აღარ არსებობს, როცა ერთი და ორი კი არა, პრაქტიკულად ათეული თაობები გაიზარდა ამ ტრადიციის გარეშე, ვფიქრობ, რომ ამის აღდგენა ძალიან ძნელი იქნება და შესაძლოა, სტაბილურობის ნაცვლად კიდევ უფრო მეტი პრო-

ბლემები დაამატოს ქვეყანას. იყო საუბარი საქართველოს საპარლამენტო რესპუბლიკის შემოღების თაობაზეც. მე ძალიან მარტივად ვაცხადებ ჩემს პოზიციას. ჩემმა კოლეგებმა და იმ ადამიანებმა, ვინც ჩემს გვერდით იყვნენ 1998 წელს, როცა მიხეილ სააკაშვილი იყო კომიტეტის თავმჯდომარე და მე კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, მაშინაც მქონდა ჩემი ძალიან ჩამოყალიბებული პოზიცია საქართველოს კონსტიტუციურ მოწყობასთან დაკავშირებით. იმ პერიოდში ძალიან აქტიურად ვმუშაობდით ახალ კონსტიტუციაზე. მაშინაც, როცა საკონსტიტუციო კომისიაში იყო მსჯელობა ამ საკითხზე, ჩემი პოზიცია იყო ძალიან მყარი: საქართველოს სჭირდება მმართველობის საპრეზიდენტო მოდელი. ღრმად ვარ იმაში დარწმუნებული, რომ საქართველოს პოლიტიკური სპექტრი არ არის მზად საპარლამენტო მოდელისათვის უახლოეს 20–25 წლის განმავლობაში. მე ვფიქრობ, საქართველო ამისათვის მზად არ იქნება მინიმუმ 15 წლის განმავლობაში მაინც. ვიდრე არ აღდგება ტერიტორიული მთლიანობა, საქართველო საბოლოოდ არ გადაწყვეტს ისეთ პრინციპულ საკითხებს, როგორიცაა გაწევრიანება კონკრეტულ ორგანიზაციებში, ურთიერთობების საბოლოოდ გარკვევა რუსეთთან და საერთოდ, საქართველოს ადგილის ჩამოყალიბება, მანამდე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საქართველოში არსებობდეს ძლიერი საპრეზიდენტო მმართველობა. თუმცა არავითარ შემთხვევაში ეს არ უნდა იყოს გაგებული ისე, როგორც დაუბალანსებელი მმართველობა. ჩვენ ზუსტად ამისკენ უნდა გადავდგათ ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯები, რომ ქვეყანაში ყველა ინსტიტუტი მაქსიმალურად გაძლიერდეს. ძალიან ძლიერი უნდა იყოს საპრეზიდენტო ინსტიტუტი, პარლამენტი. აღმასრულებელი ხელისუფლება და სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობაა პრინციპულად მნიშვნელოვანი. მაგრამ ის, რომ ვიღაცას არ მოსწონს კონკრეტული პიროვნების მიერ თანამდებობრივი მოვალეობის შესრულება და ამიტომ ინსტიტუტი გაუქმდეს, ეს პრინციპულად არასწორია. კიდევ ერთხელ

ვამბობ, ჯერჯერობით საქართველოსათვის ძალიან მნიშვნელოვანია ძლიერი საპრეზიდენტო ინსტიტუტის არსებობა და ძლიერი პრეზიდენტი. ხელისუფლების სერიოზული ამოცანაა, რომ აღმოფხვრილი იყოს გარკვეული უნდობლობა, რომელიც არსებობს სასამართლო ხელისუფლების მიმართ და ძალიან სერიოზული ინსტიტუციონალური ნაბიჯები გადაიდგას იმისათვის, რომ ერთხელ და სამუდამოდ დასრულდეს ლაპარაკი სასამართლო ხელისუფლებასთან დაკავშირებით და ჩვენ გვყავდეს ობიექტური და გამჭვირვალე სასამართლო, რომლის მიმართაც საზოგადოებაში მაღალი ნდობა იქნება.

– ოქრუაშვილის აღიარებასთან დაკავშირებით გუშინ მოვისმინე ისეთი განცხადებებიც, რომ ყველა ბრალდების უარყოფა პროკურატურისათვის საკმარისი არ უნდა იყოს და მასზე გამოძიება უნდა გაგრძელდეს. როგორ მიგაჩნიათ, ეს თემა ამოწურულია?

ნ. ბურჯანაძე: გამოძიებას თავისი სტადიები და წესები აქვს. ბრალდებები, რომლებსაც არა აქვს არანაირი გამამყარებელი საფუძველი და წარმოდგენილი არ ყოფილა ორი აბზაციც კი დოკუმენტისა, რომელიც ამ ბრალდებას გაამყარებდა ან რაიმე სხვა იურიდიული მტკიცებულება, ბრალდებები უარყო თავად იმ პიროვნებამ, რომელმაც ის წამოაყენა. რაღა უნდა გამოიძიოს პროკურატურამ? ხომ უნდა არსებობდეს რაიმე, რაზეც გამოძიება გაგრძელდება. რეალურად გამოძიების ობიექტი აღარ დარჩა. მესმის საზოგადოების: წარმოუდგენელია, რომ ასეთი ბრალდებები ადამიანმა განაცხადო ყოველგვარი დოკუმენტების და საფუძვლის გარეშე. ვთქვი კიდეც, რომ ისინი აბსურდულია, ვიდრე არ იქნება წარმოდგენილი ირიბი დამამტკიცებელი საბუთები მაინც. არც ირიბი და არც პირდაპირი ამის დამამტკიცებელი საბუთი არ არსებობს და ბუნებრივია, ამ მიმართულებით გამოძიება შეწყდება. მაგრამ ძალიან სწორად მიმაჩნია ხელისუფლების ის გადაწყვეტილება, რომ აბსურდულობის მიუხედავად, მასზე გამოძიება დაწყებულიყო და გაცემულიყო კითხვებზე

პასუხი. მიმაჩნია, რომ მასალები როგორც ოქრუაშვილის ბრალდებებზე, ისე სხვა ეჭვმიტანილებთან დაკავშირებული და ყველა არგუმენტი გამჭვირვალედ საზოგადოების წინაშე უნდა დაიდოს, რომ ადამიანებს კითხვები ამასთან დაკავშირებით აღარ დარჩეთ. ეს ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნის პოლიტიკური სტაბილურობისათვის და ხელისუფლებისთვისაც, იმიტომ რომ, რაც უნდა აბსურდული იყოს ბრალდებები, სასიამოვნო ნამდვილად არ არის.

სოფო ქვლივიძე

გაზეთი „რეზონანსი“. – 2007. – 11 ოქტომბერი, №274, გვ. 1, 2

„სასულიერო სამყაროში დიდი მხარდაჭერა გვაქვს“

მცხეთის ჯვრის მონასტრის 1400 და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია II-ის აღსაყდრების 30 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო ღონისძიებების აღნიშვნა ქვეყანამ მასშტაბურად დაიწყო. საქართველოს მსოფლიო პატრიარქი, ყოვლადუწმინდესობა ბართლომეოს I და მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურები სტუმრობდნენ. მათი მასპინძელი კი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე იყო. ნინო ბურჯანაძე პატრიარქის საიუბილეო წლის აღნიშვნასთან დაკავშირებით შექმნილი სპეციალური სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარეა. პატრიარქის იუბილის აღნიშვნა 14 ოქტომბერს დაიწყო და ერთ წელიწადს გაგრძელდება. თუ რა ღონისძიებები იგეგმება მომავალში, ამ საკითხზე „მთელი კვირა“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ნინო ბურჯანაძეს ესაუბრა.

ნ. ბურჯანაძე: „საქართველოში მსოფლიო პატრიარქისა და მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურების სტუმრობა იყო ერთი ნაწილი იმ მასშტაბური ღონისძიებებისა, რომლის გამართვასაც ჩვენ მომავალი ერთი წლის განმავლობაში ვაპირებთ. ჩემთვის მართლაც მნიშვნელოვანია, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის საიუბილეო წლის აღნიშვნასთან დაკავშირებით შექმნილი სპეციალური სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე ვარ. მადლობელი ვარ პრეზიდენტის, რომ მან გადაწყვიტა ამ კომისიისთვის მეხელმძღვანელა. მართალი გითხრათ, ძალიან ვღელავდი, რადგან ასეთი მაღალი დონის ღონისძიების ჩატარება და ამდენი საპატიო სტუმრის ღირსეულად მიღება სერიოზული პასუხისმგებლობა იყო. თავისთავად მნიშვნელოვანია ის გადაწყვეტილება, რომელიც სახელმწიფომ მიიღო, რომ საგანგებოდ და განსაკუთრებული ზეიმით აღნიშ-

ნოს კათოლიკოს-პატრიარქის აღსაყდრების 30 წლის და დაბადების 75 წლის იუბილე. თუმცა ეს გადაწყვეტილება თავად უწმინდესისა და უნეტარესის პიროვნებიდან გამომდინარე განსაკვირი ნამდვილად არ არის. ხელისუფლებამ აბსოლუტურად ადეკვატური გადაწყვეტილება მიიღო, რომ ეს იუბილე ღირსეულად აღენიშნა“.

– როდის გადაწყვიტა საერო ხელისუფლებამ ამ იუბილის აღნიშვნა და ვინ მუშაობს ამ ღონისძიებების დაგეგმვაზე?

ნ. ბურჯანაძე: პატრიარქის იუბილის აღნიშვნასთან დაკავშირებით პირველი არაფორმალური შეხვედრა 2007 წლის იანვრის ბოლოს გვქონდა. ჩემთან რამდენიმე მეუფე მობრძანდა და დავიწყეთ საუბარი იმაზე, რომ პატრიარქის საიუბილეო წელი უნდა აღინიშნოს. შემდეგ სპეციალური სახელმწიფო კომისია შეიქმნა. ამ კომისიაში არიან პარლამენტის წევრები, მთავრობისა და მერიის წარმომადგენლები, ხოლო საპატრიარქოდან არიან მეუფე დანიელი, მეუფე თეოდორე, მეუფე ნიკოლოზი. ჩვენ, როგორც მინიმუმ, ათ დღეში ერთხელ ვიკრიბებით და საჭირო ღონისძიებების დაგეგმვაზე ვმუშაობთ. საჭირო იყო, რომ რამდენიმე თვით ადრე გვეცნობებინა მოწვევის თაობაზე მსოფლიო პატრიარქისა და სხვა პატრიარქებისთვის, რომ ყველა ეს მაღალი რანგის პირი საქართველოში ერთდროულად ჩამობრძანებულიყო. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ნამდვილად განსაკუთრებული პიროვნება გახლავთ არა მარტო სასულიერო, არამედ საერო ცხოვრებაშიც. მას დიდი გავლენა აქვს ჩვენი ერის საერო ცხოვრებაზე. ჩვენ გვინდა, რომ მას საკადრისი პასუხი მივაგოთ.

კათოლიკოს-პატრიარქის იუბილის აღნიშვნა 14 ოქტომბერს მასშტაბურად დაიწყო. უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორის აღსაყდრებიდან 30 წელი 25 დეკემბერს სრულდება. რა იგეგმება ამ დღისთვის?

ნ. ბურჯანაძე: კომისიას დაგეგმილი აქვს ძალიან კარგი ღონისძიება 25 დეკემბერს, როდესაც პატრიარქის აღსაყდრების დღეა. იქნება საზეიმო წირვა სამების საკათედრო ტაძარში,

რომელზეც მოწვეული იქნებიან უცხოელი სტუმრები. რამდენიმე დღის წინ პატრიარქს შევხვდი და მან გამოთქვა მოსაზრება, რომ შეიძლება სხვა კონფესიის წარმომადგენლები მოვიწვიოთ, რაც მისასალმებელია, მით უმეტეს იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო მრავალრელიგიური ქვეყანაა. ცხადია, ტრადიციული რელიგიები მაქვს მხედველობაში. 25 დეკემბერს იქნება საგანგებო მიღება და საზეიმო კონცერტი. ასევე 2008 წლის 4 იანვარს დაგეგმილი გვაქვს პატრიარქის დაბადების 75 წლის აღსანიშნავი საიუბილეო საღამოს ჩატარება. ჩემი იდეა იყო და ეს თავად პატრიარქმაც გაიზიარა, რომ კონცერტზე მოვიწვიოთ ის ქართველი ხელოვანები – იქნებიან პიანისტები, მომღერლები თუ სხვა, რომლებიც მოღვაწეობენ არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში: ზურაბ სოტკილავა, პაატა ბურჭულაძე, ლექსო თორაძე, საშა კორსანტია და სხვები. ჩამოთვლას აღარ გავაგრძელებ, ვინმე არ გამომრჩეს. წინასწარი გამოხმაურებებით ვიცით, რომ ვარსკვლავები პატრიარქისადმი მიძღვნილ საიუბილეო კონცერტში დიდი სიამოვნებით მიიღებენ მონაწილეობას. ვფიქრობ, რომ ეს იქნება ქართული ნიჭისა და კულტურის ფეიერვერკი.

– როგორც ცნობილია, პატრიარქის იუბილის აღნიშვნა ერთ წელიწადს გაგრძელდება. რას უნდა ველოდოთ შემდგომში?

ნ. ბურჯანაძე: გადაწყვეტილი გვაქვს, რომ 2008 წლის ალილო განსაკუთრებული იყოს. ჩვენს მოსახლეობას უყვარს ალილოზე აქტიურობა. გვინდა, რომ ეს იყოს უფრო თეატრალიზებული და ახლებურ ალილოს ჩავუყაროთ საფუძველი. არ მინდა, ყველა საიდუმლო წინასწარ გავამხილო. ერთი სიტყვით, მოსახლეობას სიურპრიზს ვუმზადებთ. ასევე ჩაფიქრებული გვაქვს ლოცვითი მსვლელობები როგორც იერუსალიმიდან, ასევე წმინდა ნინოს გზაზე, ანდრია პირველწოდებულის ნაკვალევზე. ეს ღონისძიებები მართლაც ძალიან მასშტაბური შეიძლება იყოს. ასევე მთელი ამ ერთი წლის განმავლობაში მოეწყობა გამოფენები. ძალიან კარგი იდეა არის განათლებისა და მეცნიერების სამი-

ნისტროს მხრიდან გამოთქმული, რომ კულტურულ-აღმზრდელობითი ღონისძიებები ჩატარდეს სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში რელიგიურ ტოლერანტობაზე. საპატრიარქო სერიოზულ ყურადღებას აქცევს საკონსტიტუციო შეთანხმების ამოქმედებას. ამ საიუბილეო წლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი იქნება სწორედ შემდგომი ნაბიჯების გადადგმა ამ მიმართულებით. მართალია, საკონსტიტუციო შეთანხმება მოქმედებს, მაგრამ არის მთელი რიგი საკითხებისა, რომელიც დამატებით ძალისხმევას საჭიროებს. პარლამენტისა და მთავრობის კანცელარიის, ასევე საპატრიარქოს იურისტებისგან შევქმენით სამუშაო ჯგუფი, რომელიც მუხლობრივად განიხილავს, თუ რა არის საჭირო იმისთვის, რომ საპატრიარქოსა და ეკლესიას შორის არსებული კონსტიტუციური შეთანხმება მაქსიმალურად სრულყოფილად ამოქმედდეს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია საიუბილეო ღონისძიებების დოკუმენტური ასახვა, რომ წლის ბოლოს გაკეთდეს ფილმი არა მარტო პატრიარქის ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე, არამედ იმაზე, თუ როგორ აღნიშნა საქართველოს მოსახლეობამ პატრიარქის საიუბილეო წელი. ერთ-ერთი ღონისძიება იქნება სახალხო კონცერტი, სადაც თავად მისი უწმინდესობაც მიბრძანდება. საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან ჩამოსულ ადამიანებს საშუალება ექნებათ, მივიდნენ მიკროფონთან და პატრიარქს იუბილე მიულოცონ. გვინდა, რომ ეს იყოს თბილი და მასშტაბური ღონისძიებები.

– თქვენ პატრიარქის საიუბილეო წლის აღნიშვნასთან დაკავშირებით შექმნილი სპეციალური სახელმწიფო კომისიიის თავმჯდომარე ბრძანდებით, ანუ მთელი წლის განმავლობაში ამ პროცესებში აქტიურად იქნებით ჩართული. უკვე უმასპინძლეთ მსოფლიო პატრიარქს. როგორც ქალბატონისთვის, რამდენად რთული იყო უმაღლესი რანგის სასულიერო პირებთან ურთიერთობა?

ნ. ბურჯანაძე: გარკვეული სირთულე არის იმ თვალსაზრისით, რომ არ ვიცით კარგად ყველა დეტალი, რაც საჭიროა სა-

სულიერო პირებთან ურთიერთობაში. ამიტომ გულწრფელად გეტყვით, ხანდახან მაქვს ხოლმე დაძაბულობის შეგრძნება. ის, რაც ჩვეულებრივი და ნორმალურია საერო ცხოვრებაში, დაწყებული მიმართვის ფორმიდან, განსხვავებულია სასულიერო პირებთან მიმართებაში. ამიტომ ბუნებრივია, ვცდილობ, რომ მეტი დეტალი გავიგო და უკეთ ვიყო ვითარებაში გარკვეული. პირველი ნაბიჯები წარმატებული იყო. მიხარია, რომ თავად პატრიარქი იყო ძალიან კმაყოფილი და ასევე კმაყოფილი იყო მსოფლიო პატრიარქი და ყველა სტუმარი. ის, რაც ამ დღეების განმავლობაში ხდებოდა, შემთხვევითი არ იყო. საქართველოში ყველა მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენელი იყო ჩამოსული. რა თქმა უნდა, ეს ჩვენი პატრიარქის პიროვნების დამსახურებაა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ჩვენმა პატრიარქმა უამრავი მილოცვა მიიღო და მათ შორის ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისგან. ჩვენ კიდევ ერთხელ დავინახეთ, როგორი მხარდაჭერა გვაქვს სასულიერო სამყაროში. მსოფლიო პატრიარქმა არაერთხელ გაამახვილა ყურადღება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხზე. ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამასთან მსოფლიო პატრიარქმა და ყველა სტუმარმა აღნიშნა, რომ ისინი აღფრთოვანებული არიან იმით, თუ როგორ პატივს სცემს ქართული სახელმწიფო და პოლიტიკური ელიტა ქვეყნის კათოლიკოს-პატრიარქს.

მაია დგებუაძე

მთელი კვირა (რეზონანსი) – 2007. – 22 ოქტომბერი. – №285. – გვ. 3

ნინო ბურჯანაძე: სამართლიანობა არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც მოსახლეობა ჩვენგან ითხოვს

„ყველაფერი დროულად რომ გამოაშკარავებულიყო, ქვეყანა დღეს არსებულ პრობლემას თავიდან აიცილებდა!“

ქვეყანაში პოლიტიკური ტემპერატურა უმაღლეს ნიშნულს აღწევს. გაერთიანებული ოპოზიცია 2 ნოემბრეს მასშტაბური საპროტესტო აქციით იმუქრება. ხელისუფლება, თავის მხრივ, ცდილობს, დათმობაზე წავიდეს. პრეზიდენტი ოპოზიციასთან დიალოგის ინიციატივით გამოდის. თუმცა, შეხვედრის თარიღი ჯერ არ დაუთქვამს, პოლიტიკური ძალები კი ხელისუფლებას საკუთარ მოთხოვნებს წერილობით უგზავნიან და ქვეყნის პირველ და მეორე პირებთან შეხვედრას ითხოვენ. პოლიტიკური ვნებათაღელვა მხოლოდ რამოდენიმე დღით მინელდა, როდესაც საქართველოს მსოფლიო პატრიარქი და სხვა მართლმადიდებელი ეკლესიების წინამძღოლები ესტუმრნენ. მათ პარლამენტის თავმჯდომარე მასპინძლობდა.

ნინო ბურჯანაძემ „ყველა სიახლესთან“ საუბარი სწორედ პატრიარქის საიუბილეო წლის აღნიშვნის შესახებ კომენტარით დაიწყო.

ნინო ბურჯანაძე: ხელისუფლებამ მიიღო სავსებით ადეკვატური გადაწყვეტილება, პატრიარქის აღსაყდრების 30 წლისა და დაბადების 75 წლის იუბილე ღირსეულად აღენიშნა. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ საიუბილეო წლის აღნიშვნასთან დაკავშირებით შექმნილი სპეციალური სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარე ვარ. ასეთი მასშტაბური ღონისძიების ჩატარება და ამდენი მაღალი რანგის სასულიერო პირის მიღება საპასუ-

ხისმგებლო იყო, ამიტომ ძალიან ვღელავდი. საქართველოში მსოფლიო პატრიარქისა და მართლმადიდებელი ეკლესიების მეთაურების სტუმრობა გახლდათ ნაწილი იმ ღონისძიებებისა, რომელთა გამართვასაც მომავალი ერთი წლის განმავლობაში ვაპირებთ. 25 დეკემბერს, პატრიარქის აღსაყდრების დღეს, საკათედრო ტაძარში დაგეგმილია საზეიმო წირვა, რომელზეც უცხოეთიდან მოწვეული იქნებიან სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენლები. შემდეგ საგანგებო მიღება და კონცერტი გაიმართება. პატრიარქის იუბილეს აღნიშვნა მთელ წელიწადს გაგრძელდება.

– დღეს საქართველოში დაძაბული ვითარებაა. პარლამენტის თავმჯდომარის შეფასებით, არის თუ არა ეს პოლიტიკური კრიზისი?

– ცხადია, ცუდია, რომ საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში პრობლემებია. აჯობებდა, ყველას ყველაფერი მოსწონდეს და ცხოვრებით ბედნიერი იყოს. სამწუხაროდ, ასე არც ერთ დემოკრატიულ ქვეყნაში არ ხდება, უფრო წარმატებულ და განვითარებულ ქვეყნებშიც კი, ვიდრე საქართველოა. რა თქმა უნდა, ჩვენთან პრობლემებს ობიექტური მიზეზები აქვს, მათ შორის – ეკონომიკური. ეკონომიკაში რაც უნდა წარმატებები იყოს, ბუნებრივია, ეს მოსახლეობის კეთილდღეობაზე ერთბაშად ვერ აისახება. ამასთანავე, შეიძლებოდა, ზოგი რამ უკეთესად გაკეთებულიყო ან უფრო გასაგები ყოფილიყო მოსახლეობისთვის.

– კერძოდ, რას გულისხმობთ?

– მხედველობაში მაქვს ოქრუაშვილის თემა. კარგი იქნებოდა, თავის დროზე გამომჟღავნებულიყო თავდაცვის სამინისტროში არსებული პრობლემები, რომლებიც ოქრუაშვილის მოღვაწეობასთან იყო დაკავშირებული და რასთან დაკავშირებითაც დღეს გამოძიება მიმდინარეობს. ყველაფერი დროულად რომ გამოაშკარავებულიყო, ქვეყანა ამ პრობლემას თავიდან აიცილებდა. პრეზიდენტმაც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს კარგი გაკვეთილია მისთვის და თითოეული ჩვენგანისთვის. შეცდომებისგან არავინ არის დაზღვეული. არ მინდა, ვინმეს აბსოლუ-

ტური ნდობა გამოუცხადონ და სასათბურე პირობები შეუქმნან, მაგრამ არც იმის მომხრე ვარ, ხელისუფლება ყველას უნდობლად ეკიდებოდეს. ის, რომ ოქრუაშვილს ენდნენ, არ შეიძლება დიდ დანაშაულად ჩაუთვალოთ პრეზიდენტსა და ხელისუფლებას. აჯობებდა, ამ ადამიანის მიმართ არსებული დიდი ნდობის მანდატი გადამოწმებულიყო, მით უფრო – მაშინვე, როგორც კი მის მიმართ პრეტენზიები გაჩნდა. თუმცა, არც ისეთ ქვეყანაში მინდა ცხოვრება, სადაც ტოტალური უნდობლობაა და თანაგუნდელები ერთმანეთს ეჭვის თვალით უყურებენ.

– პრეზიდენტმა განაცხადა, რომ შეიქმნება ანტიკორუფციული ჯგუფი, რომელიც ეჭვის შემთხვევაში მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეების საქმიანობასა და ქონებას შეისწავლის.

– პრეზიდენტმა განაცხადა, რომ თანამდებობის პირის საქმიანობისა და ქონების შესწავლა იმ შემთხვევაში დაიწყება, თუ რაიმე კონკრეტული სიგნალი იქნება. ოქრუაშვილთან დაკავშირებით მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით, განგაშის მექანიზმი ყოველთვის დროულად ჩაირთვება, როგორც კი რომელიმე თანამდებობის პირზე მეტ-ნაკლებად არგუმენტირებული ინფორმაცია გაჩნდება. ყველას უნდა ჰქონდეს იმის განცდა, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილება სამართლიანი იქნება. სამართლიანობა არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რასაც მოსახლეობა ჩვენგან ითხოვს. ადამიანებმა უნდა იცხოვრონ სამართლიან სახელმწიფოში, სადაც უსამართლოდ არავინ დაიჩაგრება და დამნაშავე დაუსჯელი არ დარჩება.

– ასეა თუ ისე, სწორედ ოქრუაშვილის ფაქტორმა მისცა ბიძგი დიდი ოპოზიციური გაერთიანების შექმნას, 2 ნოემბერს კი პარლამენტის წინ მასშტაბური საპროტესტო აქცია იგეგმება, სადაც ხალხი სწორედ ხელისუფლების მიერ ჩადენილი უსამართლობის გაპროტესტებას აპირებს.

– არ ვიცი, რამდენად მასშტაბური იქნება ეს აქცია. იყო ამ თემით სპეკულაციის მცდელობა, ითქვა, რომ ხელისუფლება მიტინგს აკრძალავს ან ხელს შეუშლის მის ჩატარებას. ნებისმიერ აქციას, რომელიც იქნება კანონის ჩარჩოებში, ხელისუფლება

ადეკვატურად მიიღებს. ჩვენს ქვეყანას ბევრი არაკეთილმოსურნე ჰყავს, ბევრს სურს ვითარება აირიოს. გარე ძალების მხრიდან პროვოკაცია გამორიცხული არ არის. მინდა, ვთხოვო ნებისმიერ ადამიანს, რომელიც ამ აქციაზე მივა: იყოს ძალიან ფრთხილად, რათა პროვოკაციის მსხვერპლად არ იქცეს და შემთხვევით მის წისქვილზე არ დაასხას წყალი, ვისაც არც მათთვის, არც ხელისუფლებისთვის და არც ქვეყნისთვის სიკეთე არ სურს. ცხადია, მხოლოდ ოპოზიციას არ ვგულისხმობ, თუმცა ოპოზიციაშიც შეიძლება იყოს ხალხი, ვისაც პროვოკაცია ხელს აძლევს. გარე ძალა შეეცდება, ეს ვითარება სათავისოდ გამოიყენოს. ერთადერთი თხოვნა მაქვს: ყველაფერი იყოს კანონის ფარგლებში, მშვიდობიანად. მათ აზრს დავეთანხმები თუ არა, ჩემი უფლებაა. მაგრამ ნებისმიერ განსხვავებულ აზრს პატივს ვცემ, თუნდაც ის მეტად კრიტიკული იყოს ჩემ ან ხელისუფლების მიმართ. ჩვენ, ჩვენი მხრივ, ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მიტინგისთვის ნორმალური პირობები შევქმნათ. მოდი ისიც ვთქვათ, რომ თუნდაც მიტინგზე ბევრი ხალხი მოვიდეს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ყველაფერში ეთანხმებიან ოპოზიციას, ან ოპოზიცია უფრო მოსწონთ, ვიდრე ხელისუფლება. არ გამოვრიცხავ, იქ იყვნენ ისეთი ადამიანებიც, ვისაც სულაც არ მოსწონს ოპოზიცია და ხელისუფლებისთვის სხვა რამ აქვს სათქმელი. ნებისმიერ შემთხვევაში, ჩვენთვის ეს ყურადსაღები და გასათვალისწინებელია. ათი კაცი მოვა თუ ათი ათასი, ხელისუფლებამ ნებისმიერ შემთხვევაში უნდა გაიგოს, რას ამბობენ ისინი. შესაძლოა, ათმა კაცმა სამართლიანი შენიშვნა მოგცეს, ხოლო ათი ათასმა არასწორი რამ გითხრას.

– თქვენ, ფაქტობრივად, უკვე იცით, რას ითხოვს ოპოზიცია. მან გამოაქვეყნა საგურამოს მანიფესტი, ასევე მოამზადა წერილი პრეზიდენტის სახელზე, სადაც ლაპარაკია 2008 წლის გაზაფხულზე არჩევნების დანიშვნაზე, საარჩევნო ადმინისტრაციის პარტიული ნიშნით დაკომპლექტებაზე და სხვა საკითხებზე.

– რაც შეეხება ვადამდელ არჩევნებს, ჩვენ ამ საკითხზე ჩამოყალიბებული პოზიცია გვაქვს. პარლამენტისთვის ვადის

გაგრძელება თავის დროზე სამართლებრივად ორდინარული გადაწყვეტილება არ იყო და მე, როგორც იურისტს, ამ გადაწყვეტილების მიღება გამიჭირდა. მაგრამ ზოგჯერ ქვეყნის ცხოვრებაში დგება მომენტი, როდესაც პოლიტიკური კონიუნქტურა აუცილებლად უნდა გაითვალისწინო. ის არ ყოფილა მხოლოდ ხელისუფლებისთვის სასარგებლო გადაწყვეტილება, ის ქვეყნის ზოგადი, გეოსტრატეგიული და გეოპოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარეობდა.

– ოპოზიციის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნა საარჩევნო კოდექსის შეცვლაა.

– საარჩევნო კოდექსის თაობაზე საპარლამენტო ოპოზიციასთან დიალოგი არ შეწყვეტილა. სხვა საკითხია, რომ ეს დიალოგი ყოველთვის ისე არ სრულდება, როგორც ოპოზიციას სურს. საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით კონსულტაციები ახლაც მიმდინარეობს, ახალი წინადადებები და მოსაზრებები განიხილება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ოპოზიციის ყველა მიოთხოვნა გათვალისწინებული იქნება, თუმცა ვერც იმას ვიტყვი, რომ არაფერს გავითვალისწინებთ, ან მათთან დიალოგს არ ვაპირებთ.

– ბოლო ხანს ოპოზიცია აქტიურად ითხოვდა საარჩევნო ბარიერის დაწევას. პრეზიდენტი სწორედ ახლა გამოვიდა ინიციატივით, რომ ბარიერი ხუთ პროცენტამდე დაიწიოს, ოპოზიცია კი აცხადებს, რომ ეს არ კმარა და თუ საარჩევნო კანონმდებლობა არ შეიცვალა, ბარიერის დაწევის კენჭისყრაში მონაწილეობას არ მიიღებს.

– ვერ მომიყვანთ ერთი ქვეყნის მაგალითს, სადაც ხელისუფლებამ ბარიერი დაბალ პროცენტზე დასწია და ამას ოპოზიცია არ მიესალმა. შეიძლება თქვა, რომ ეს არ არის საკმარისი და სხვა რამეც გინდა, მაგრამ იმის თქმა, რომ ეს არაფერს ნიშნავს, უხერხულია. ალბათ, ამაზე ობიექტურ კომენტარს საერთაშორისო მიმოხილველები და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები გააკეთებენ.

– პრეზიდენტი ინიციატივით გამოვიდა, პარლამენტის უფლებამოსილების ვადა ხუთ წლამდე გაიზარდოს, ამასთანავე, საკანონმდებლო ორგანოს დათხოვნის უფლებაზე უარს ამბობს.

– პრეზიდენტი პარლამენტის დათხოვნის უფლებას იზღუდავს. თავად პარლამენტის ვადის ხუთ წლამდე გაზრდის საკითხი სადავოა. სხვადასხვა ქვეყანაში ვადები განსხვავებულია. ხუთწლიანი ვადა არც განსაკუთრებით ცუდია და არც განსაკუთრებულად უცნაური. ეს იმ საერთო კონტექსტში უნდა განვიხილოთ, რომელიც ჩვენი ქვეყნისთვის მისაღები იქნება. ზოგადად, ის პრინციპი, რომ ქვეყანაში ყოველ წელს არ იყოს საარჩევნო ციებ-ცხელება, ცუდი არ არის. ყველამ კარგად იცის, როგორ იცვლება პოლიტიკური კონიუნქტურა და ადამიანების დამოკიდებულება არჩევნების მოახლოებისას. არ ვარგა, ქვეყანა სულ არჩევნების რეჟიმში იყოს.

– ოპოზიცია ცენტრალური საარჩევნო ადმინისტრაციის პარტიული ნიშნით დაკომპლექტებას და მაჟორიტარული არჩევნების ჩატარების წესის შეცვლას ითხოვს. ამ მოსაზრების გათვალიწინებას თუ აპირებთ?

– 1998 წლიდან მოყოლებული, ვამბობდი, არ შეიძლება, ცენტრალური საარჩევნო კომისია პარტიული ნიშნით იყოს დაკომლექტებული. თუმცა მისი შემადგენლობის შერჩევაში მონაწილეობის უფლება შეიძლება ჰქონდეს ყველა პოლიტიკურ ძალას და რამდენადაც ვიცი, უნდა არსებობდეს ერთგვარი მოკლე ჩამონათვალი იმ ადამიანებისა, ვინც მეტ-ნაკლებად ყველასთვის მისაღები იქნება. ამ საკითხზე მსჯელობა შესაძლებელია, თუმცა, ვნახოთ, მოვლენები როგორ განვითარდება. მაჟორიტარების არჩევის წესთან დაკავშირებით კი ვიცი, რომ თავად ოპოზიციას ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრებები აქვს. ყველა არგუმენტს მოვისმენთ. ერთი სიტყვით, ოპოზიციასთან დიალოგი გაგრძელდება. ზედმეტი პოლიტიკური დაპირისპირება და დესტაბილიზაცია ქვეყანას კარგს ნამდვილად არაფერს მოუტანს. ერთია აზრის გამოხატვა და სურვილი იმისა,

რომ პოლიტიკური პროცესი უფრო გაჯანსაღდეს და ქვეყანა უფრო მკვეთრად და სწრაფად გახდეს მაქსიმალურად დემოკრატიული, მეორე – რყევების მცდელობა. შიდაპოლიტიკური დესტაბილიზაცია, არეულობა და დაპირისპირება ამ ქვეყნის წარუმატებლობის მოსურნეს აძლევს ხელს. მინდა ოპოზიციას მივმართო: პოლიტიკურ ბრძოლას მათ არავინ უშლის, მაგრამ შეეცადონ, ეს ბრძოლა ისეთი მეთოდებით წარიმართოს, რომ, უნებლიეთ, მტერი არ გავახაროთ.

ნინო ლოლაძე

ყველა სიახლე 2007. – 26 ოქტომბერი-1 ნოემბერი. – №43. – გვ. 3-4

„თუ არჩევნებს გაგიყალბებთ, მაშინ გააკეთეთ ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ“

„შეიძლება მოითხოვონ „წადი“, მაგრამ არა „დავამხოთ“!

მოთხოვნები, რომლებიც პარლამენტის წინ შეკრებილ ხალხსა და ოპოზიციას აქვს, ხელისუფლებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა. მრავალათასიანმა აქციამ ხელისუფლების გადაწყვეტილებებში კორექტივი ვერ შეიტანა, მომიტინგეები კი მათი მოთხოვნების შესრულებამდე დაშლას არ აპირებენ. და გაჩნდა ახალი მოთხოვნა – გადადგეს პრეზიდენტი. როგორ განვითარდება მოვლენები? რას მოიმოქმედებს ხელისუფლება? – ამ კითხვებით პარლამენტის თავმჯდომარეს, ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს მივმართეთ:

– პარლამენტის წინ ათასობით კაცია შეკრებილი. გაითვალისწინებს თუ არა ხელისუფლება მათ მოთხოვნებს? ხალხს არჩევნების გარდა სხვა ბევრი პრობლემაც აწუხებს. ფიქრობს, რომ ხელისუფლება მას არ უსმენს.

ნ. ბურჯანაძე: ხელისუფლება უსმენს ყველას, მიუხედავად იმისა, მიტინგზე მოვლენ თუ უშუალო შეხვედრებისას დააფიქსირებენ თავიანთ აზრს. თუმცა ისიც უნდა ვთქვა, რომ რაოდენ გულწრფელიც უნდა იყოს მოქალაქეთა აღშფოთება ან პროტესტი, ხელისუფლება, პროტესტის მიუხედავად, ყველაფერს ვერ გაითვალისწინებს. ბუნებრივია, ჩვენს საზოგადოებას არა აქვს ერთმნიშვნელოვანი აზრი იმ საკითხებზე, რომლებიც წამოაყენეს აქციაზე. ალბათ ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ ის პოლიტიკოსები, რომლებიც ახლა აქციაზე გამოდიან, და მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც სულ სხვა მოთხოვნილებითაა მიტინგზე მოსული. ზოგს უმუშევრობა აწუხებს, ზოგს ფასების

ზრდა, ზოგს ხელისუფლების რომელიმე გადაწყვეტილება არ მოსწონს. ეს ის პრობლემებია, რომლებიც მართლაც დაგროვდა საზოგადოებაში ამ ოთხი წლის განმავლობაში. ოთხწლიანი რთული, სწრაფი და რადიკალური პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების შემდეგ სამწუხაროა, მაგრამ ცხადია, საზოგადოების ნაწილი უკმაყოფილო იქნება – ზოგი ობიექტურად, ზოგიც სუბიექტურად არის განაწყენებული. ეს იყო კიდეც მოსალოდნელი. მთავარი ახლა ის არის, ხალხმა პოლიტიკოსებს არ მისცეს უფლება, პირადი მიზნებისათვის გამოიყენონ მათი გულწრფელი გულისტკივილი ან სოციალური სიდუხჭირე, რამაც, შესაძლოა, გულიც კი გაუტეხა ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებზე. არ ვამბობ, რომ ჩვენ ყველაფერი იდეალურად გავაკეთეთ და შეცდომები არ დაგვიშვია, ან კიდევ, არ შეიძლებოდა უფრო კორექტულად გვემოქმედა. ცხადია, ამ ყველაფერზე ხელისუფლებას საფიქრალი აქვს, ამ საკითხებზე ჩვენ ამ მიტინგამდეც ვფიქრობდით და ვფიქრობთ, და არა მარტო ვფიქრობთ, არამედ მათ გადაჭრაზე აქტიურად ვმუშაობთ.

– ბრძანებთ, რომ ხალხისა და პოლიტიკოსების მოთხოვნები განსხვავებულია. რატომ აღმოჩნდა ხელისუფლებისთვის მიუღებელი თუნდაც ის ოთხი მოთხოვნა, რომლებიც ოპოზიციამ წამოაყენა? ის მოთხოვნები რომ გათვალისწინებულიყო, ხომ არ წამოაყენებდნენ პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნას?

ნ. ბურჯანაძე: ვინ თქვა ყველაფერზე უარი? გუშინ მეგონა, ოპოზიციასთან მოლაპარაკება შედგებოდა, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, ამ შეხვედრაზე განაცხადეს, რომ ისინი მოლაპარაკებისთვის კი არა, მხოლოდ პრეზიდენტისთვის მოთხოვნების გადმოსაცემად მოვიდნენ და მხოლოდ ის აინტერესებდათ, შეცვალა თუ არა პრეზიდენტმა მიტინგის შემდეგ დამოკიდებულება ამ მოთხოვნებისადმი. მე მოლაპარაკებისთვის ვემზადებოდი, მაგრამ მათ არ ისურვეს დიალოგი. ამ დრომდე ოპოზიციასთან საუბრები არ შეწყვეტილა. როდესაც დავინახე, რომ პოლიტიკური ტემპერატურა მაღლა იწევდა, სწორედ მე

შევთავაზე ოპოზიციას დიალოგის კიდევ უფრო გაღრმავება. მიუხედავად ამისა, შეხვედრაზე ჩემი ზოგიერთი ოპოზიციონერი კოლეგა, რომელიც ახლა მიტინგებზე აქტიურად გამოდის, არ მობრძანდა. არ მინდა არაკორექტული ვიყო, მაგრამ ზოგიერთი მათგანი სატელეფონო თუ პირადი საუბრისას განიხილავდა ჩემთან ერთად ამა თუ იმ საჭირბოროტო საკითხს; ახლა კი აცხადებენ, რომ ხელისუფლებასთან დიალოგი არ გვქონიაო. რაც შეეხება თქვენ მიერ ნახსენებ ოთხ მოთხოვნას, ჩვენი პოზიცია არჩევნების თარიღის თაობაზე ცნობილია. რატომ იწვევს ერთი წლის წინ მიღებული ეს გადაწყვეტილება აღშფოთებას სწორედ დღეს? ხელისუფლებას ჰქონდა ძალზე სერიოზული არგუმენტები. საქართველო არ არის ისეთი დიდი ქვეყანა, რომ მასზე გარე ფაქტორები არ ახდენდეს ზეგავლენას. გლობალური მოვლენები ჩვენთან კი არა, დიდ სახელმწიფოებში ცვლის ბევრ რამეს. ვინ იტყვის, რომ საქართველოსთვის მნიშვნელობა არ აქვს, დაემთხვევა თუ არა ჩვენი არჩევნები რუსეთისას? დაგვავიწყდა, რომ ორივე ჩეჩნეთის ომი რუსეთის საპრეზიდენტო არჩევნებს უსწრებდა წინ? განა ძნელი მისახვედრია, რომ რუსეთისთვის წინასაარჩევნო პერიოდში მომგებიანი იქნება, თუკი ჩვენთან სიტუაცია აირევა და საქართველოში დესტაბილიზაციის ფონზე თავის ამომრჩევლებს დაანახვებს, რაოდენ ძლიერი ხელისუფლება ჰყავს თავად რუსეთს, რომელმაც თავნება საქართველო თავის ჭკუაზე მოაქცია. არც ერთი პოლიტიკური პარტია, რომელიც დღეს პარლამენტთან დგას, აქ მოსულ ადამიანებს არ ეუბნება, რას გააკეთებს ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში. როცა არჩევნების დანიშვნას ითხოვ რამდენიმე თვეში, უნდა გააცნო კიდეც საზოგადოებას შენი პოლიტიკური პლატფორმა და მისი განხორციელების კონკრეტული გზები.

– გინდათ თქვათ, რომ ამ პროცესებს რუსეთი მართავს?

ნ. ბურჯანაძე: ასე არ ვიტყვი, არ მინდა ეს ვაკადრო მოქალაქეებს, რომლებიც დღეს პარლამენტის შენობასთან მოვიდნენ. თუმცა მათი ნაწილი, ნებსით თუ უნებლიეთ, ნამდვილად იმა-

რთება რუსეთისგან. პოლიტიკური ძალების ნაწილი პირდაპირ იღებს დაფინანსებას რუსეთისგან და ამის დამადასტურებელი მასალა გამჟღავნდება. არ მინდა, ის გულწრფელი მოქალაქეები, რომლებიც თავიანთი პრობლემების გამო მოდიან პარლამენტთან, უნებლიეთ მტრის წისქვილზე წყლის დამსხმელები აღმოჩნდნენ. ვთხოვ იფიქრონ, ვის აწყობს დღეს საქართველოში არეულობა და დესტაბილიზაცია, ვის აძლევდა ხელს განმუხურის ინციდენტი? ვის აწყობს ოსეთში ან აფხაზეთში კონფლიქტის გაღვივება? ვის სურს, დღევანდელმა ხელისუფლებამ ტერიტორიული მთლიანობის პრობლემებიდან ყურადღება მთლიანად შიდა პრობლემებზე გადაიტანოს? როდესაც ამ კითხვებს ვსვამ, ცხადია, არავის მოვუწოდებ, უკმაყოფილება არ გამოხატოთ-მეთქი, – რაც არ მოსწონთ, ის უნდა თქვან კიდეც, თავისი აზრი უნდა გამოხატონ, მაგრამ საამისოდ განსაზღვრული ჩარჩოც ხომ არსებობს. არავის შეუშლია მიტინგისთვის ხელი, მაგრამ ჩემთვის, როგორც მოქალაქისთვის (და არა მარტო როგორც მხოლოდ პარლამენტის თავმჯდომარისთვის), კატეგორიულად მიუღებელია ანტიკონსტიტუციური მოთხოვნები.

– პრეზიდენტის გადადგომას გულისხმობთ?

ნ. ბურჯანაძე: არა! პრეზიდენტის, პარლამენტის თავმჯდომარის ან მთავრობის გადაყენება სავსებით კონსტიტუციური მოთხოვნაა. მე ხელისუფლების დამხობისკენ მოწოდებას ვგულისხმობ. თითოეული მოქალაქის კონსტიტუციური უფლებაა, უთხრას ხელისუფლებას „წადი“, მაგრამ არაკონსტიტუციური და არასახელმწიფოებრივია მოთხოვნა – „დავამხოთ“. კანონმორჩილმა მოქალაქემ ხელისუფლების დამხობის მოთხოვნა არასდროს უნდა დააყენოს. გარდა ამისა, ძალზე მნიშვნელოვანია ნატოს სამიტი, რომელიც აპრილში გაიმართება. არის სხვა ფაქტორებიც, რაც იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ ყველაზე ოპტიმალური დრო არჩევნებისთვის შემოდგომაა. ის, რომ არჩევნები დემოკრატიულად და გამჭვირვალედ უნდა ჩატარდეს, ამაზე ლაპარაკი ზედმეტია. მოთხოვნის დანარჩენი პუნქტები

ეხებოდა საარჩევნო კოდექსს. ამ საკითხების განსახილველად მზად ვართ და არსებობს კიდევაც ძალიან კონსტრუქციული წინადადებები. რაც შეეხება პოლიტპატიმრების საკითხს, გარკვეულწილად სადავოა, ვინ არის პოლიტპატიმარი და ვინ – არა. მაგრამ ოპოზიცია ითხოვდა შეწყალების მექანიზმს და ჩვენ ამაზეც შეგვიძლია დიალოგის გამართვა. ამ ოთხი მოთხოვნიდან სამზე მეტ-ნაკლებად მზად ვართ ვისაუბროთ ოპოზიციასთან და ღია გვაქვს დისკუსიის რეჟიმი. და ეს ნიშნავს, რომ ხელისუფლება არ ელაპარაკება ოპოზიციას? ხელისუფლება მობილიზებულია, რომ არეულობა არ მოხდეს; რომ მოქალაქენი დაცული იყვნენ, დაცული იყოს მათი აზრის გამოხატვის უფლება. მინდა ოპოზიციამაც გააცნობიეროს თავისი პასუხისმგებლობა. რაც დღეს საქართველოში ხდება, ყველაფერ ამის უკან არც მხოლოდ ხელისუფლება დგას და არც მხოლოდ ოპოზიცია. თუ სიტუაციას სათანადოდ არ შევაფასებთ, შესაძლოა ამას მთელი ქვეყნისთვის სავალალო შედეგები მოჰყვეს. ვის აქვს იმის უფლება, ქვეყნის ხვალინდელი დღე კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენოს? ყველამ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ერთადერთი სწორი გზა არჩევნებია – მოემზადეთ არჩევნებისთვის, მიიღეთ მასში მონაწილეობა და გაიმარჯვეთ. თუ არჩევნები გაყალბდება, მაშინ სრული უფლება გექნებათ გააკეთოთ ის, რაც ჩვენ გავაკეთეთ. თუ არჩევნები გაყალბდება, მე ვიქნები პირველი, ვინც ამის წინააღმდეგ აიმაღლებს ხმას. მაგრამ გარწმუნებთ, ხელისუფლება ამ გზით არ წავა.

– არჩევნებამდე დიდი დროა, ქუჩაში კი დღეს უამრავი ხალხია გამოსული. მოქალაქეები აცხადებენ, არ დავიშლებითო. თუ აქციები გაგრძელდა, რას გააკეთებს ხელისუფლება?

ნ. ბურჯანაძე: ხელისუფლება კვლავაც შეეცდება იმ მოქალაქეთა პრობლემები მოაგვაროს, რომლებიც დღეს უკმაყოფილო არიან. ჩვენი დიდი სურვილის მიუხედავად, შეუძლებელია ყველაფრის ერთბაშად გაკეთება. დარწმუნებული ვარ, ჩვენი მოსახლეობა სწორად გაიგებს ჩვენს ნათქვამს.

– დავუშვათ, ვერ გაიგეს და არ დაიშალნენ. ძალის გამოყენებას ხომ არ გეგმავთ?

ნ. ბურჯანაძე: სანამ აქცია მშვიდობიანია და კანონის ფარგლებს არ სცილდება, როგორც ცივილიზებულ და დემოკრატიულ სახელმწიფოს ეკადრება, ძალისმიერ მეთოდებს არავინ გამოიყენებს. თუ უნდათ თავიანთი აზრი გამოხატონ ხვალ-ზეგაც, ამის სრული უფლება აქვთ, იდგნენ აქციაზე. მაგრამ თუ გამოჩნდება ისეთი ვინმე, ვინც არეულობას ან ხალხის პროვოცირებას შეეცდება, ვიმედოვნებ, თავად აქციის მონაწილეები მოითხოვენ სამართალდამცავი ორგანოებისგან კანონსაწინააღმდეგო ქმედების აღკვეთას. ამ დღეებში ხელისუფლებამ დაამტკიცა, რომ უკანონო, არადემოკრატიულ ქმედებას არ დაუშვებს. ჩვენ ვართ სახელმწიფო, რომელიც იმოქმედებს დემოკრატიული ფასეულობების ჩარჩოებში. ამაში მთელი ხელისუფლება ერთიანია.

– ბოლო დროს თქვენი მისამართითაც არაერთი შენიშვნა გამოითქვა.

ნ. ბურჯანაძე: პრესით გავიგე, რომ ჩემი სახლის წინ აქცია გამართულა, რომელშიც თხუთმეტიოდე სტუდენტი მონაწილეობდა. ჩემთვის მიუღებელი ის კი არ იყო, რომ ახალგაზრდები ჩემს სახლთან მივიდნენ და პროტესტი გამოხატეს. მე გული პროტესტის ფორმამ მატკინა. მე მინდა მოვუწოდო იმ ახალგაზრდებს: ნუ გაიმეორებენ თავიანთი მშობლების, ჩვენი თაობის შეცდომებს, რაც დარწმუნებული ვარ, თავადაც არ მოსწონთ. მათ უნდა შექმნან ის ახალი პოლიტიკური რეალობა, სადაც ცივილიზებული ფორმით, პოლიტიკური არგუმენტებით და პლატფორმით იკამათებენ ერთმანეთში და არა დაუსაბუთებელი, მით უმეტეს, ცილისმწამებლური ბრალდებებით.

– როდესაც ქუჩაში უამრავი ხალხია შეკრებილი, ბევრი საფრთხე არსებობს. ყველაზე ოპტიმალურ გამოსავლად ამ ვითარებაში რა მიაგჩნიათ?

ნ. ბურჯანაძე: ალბათ ყველაზე სწორი ის იქნება, რომ მიტინგი დასრულდეს და განსახილველ საკითხებზე მუშაობა პო-

ლიტიკური დიალოგის რეჟიმში გაგრძელდეს. თუ ოპოზიციის წარმომადგენლებს დიალოგი მართლაც სურთ, ის შედგება. არ მინდა, მოვლენები სხვაგვარად განვითარდეს. არ არსებობს უშეცდომო ადამიანი, არ არსებობს ხელისუფლება, ვისაც შეცდომა არ დაუშვია. ყველაზე გენიალური პოლიტიკოსებიც კი უშვებდნენ შეცდომებს. ყველაზე წარმატებული სახელმწიფოებიც კი დიდი შეცდომების ფასად აღწევდნენ პოზიტიურ შედეგებს. ქართველები არ ვართ ერი, რომ დაშვებული შეცდომები კიდევ ერთხელ გავიმეოროთ. არ შეიძლება დაპირისპირება, არ შეიძლება კონფრონტაცია, არ შეიძლება განსხვავებული აზრი ერთმანეთთან შუღლისა და მტრობის საფუძვლად გადაიქცეს კვლავ. ამისკენ მოგვიწოდა პატრიარქმაც. იმედი მაქვს, ყველა ერთად – ხელისუფლება და ოპოზიციის ჯანსაღი ნაწილი, ხელისუფლებისა და ოპოზიციის მომხრეები, თავიდან ავიცილებთ იმ მოვლენებს, რაც ძალზე გაახარებს ჩვენს მტრებს. მე იმედი მაქვს იმ მოქალაქეებისა, რომლებიც ახლა პარლამენტის წინ დგანან. მათი აბსოლუტური უმრავლესობა ისეთივე პატრიოტები არიან ჩვენი ქვეყნისა, როგორიც ჩვენ, უბრალოდ, ჩვენ განსხვავებული შეხედულებები გვაქვს.

გაზეთი „კვირის პალიტრა“ – 2007 – 5-11 ნოემბერი, №45, გვ. 7, 13.

„პოლიტიკოსებს ჩვენი ხარვეზებიც გვეყოფა, მაგრამ ბევრი რამ თქვენზეც, ჟურნალისტებზეც არის დამოკიდებული“

ქვეყანაში შექმნილი არაორდინარული ვითარების გამო ნინო ბურჯანაძე უკვე მეორედ ასრულებს პრეზიდენტის მოვალეობას. პირველად ეს ვარდების რევოლუციის შემდეგ იყო, როდესაც შევარდნაძეს პრეზიდენტობა სახალხო მღელვარებამ დაატოვებინა და ხელისუფლებაში მიხეილ სააკაშვილი მოიყვანა. ამჯერად პრეზიდენტ სააკაშვილის გადადგომის საფუძველიც სახალხო მღელვარება (და კიდევ სხვა მიზეზები) გახდა.

ნინო ბურჯანაძე ახალი პრეზიდენტის არჩევამდე იპრეზიდენტებს. რას ფიქრობს იგი მომავალ არჩევნებზე და როგორ აფასებს ბოლოს განვითარებულ მოვლენებს ამაზე ინტერვიუდან შეიტყობთ.

– ქალბატონო ნინო, საკმაოდ დაძაბული მოვლენების შემდეგ გიწევთ ხოლმე ქვეყნის პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება. წინასაარჩევნო კამპანიის გამო ვითარება ახლაც საკმაოდ დამუხტულია. ამ ყველაფრის გათვალისწინებით როგორი განცდა გაქვთ?

– სამწუხაროდ, მეორედ მომიწია კრიტიკულ ვითარებაში პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებამ. იმედი მქონდა, რომ გარდამავალ პერიოდში აღარ მომიწევდა პრეზიდენტის მოვალეობის შესრულება, მაგრამ რას ვიზამთ... ქვეყანა ჯერ კიდევ გზაგასაყარზეა, იყო და არის უამრავი პრობლემა, რომელთაც სწრაფი მოგვარება სჭირდებოდა. ეს კარგად გამოიყენეს არა მარტო განსხვავებული პოლიტიკური აზრის მქონე პირებმა, არამედ გარკვეულწილად ჩვენმა არაკეთილმოსურნეებმაც, რამაც პოლიტიკური ვითარება დაამძიმა. არჩევნების შემდეგ, რომელსაც დარწმუნებული ვარ, ღირსეულად ჩავატარებთ, ქვე-

ყანა ჩვეულ რიტმს დაუბრუნდება. თუ საჭირო გახდება ვადამდელი არჩევნების ჩატარება, ესეც არ არის პრობლემა დემოკრატიული ქვეყნისთვის, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს მიტინგების, დემონსტრაციებისა და საპროტესტო გამოსვლების თანხლებით. ყველა უნდა მივეჩვიოთ იმას, რომ თუ პრეტენზიები გვაქვს ხელისუფლებასთან, კანონის ჩარჩოებში გამოვხატოთ. ხელისუფლება ან იზიარებს, ან არ იზიარებს ამ პრეტენზიებს. ამის გათვალისწინებით ამომრჩეველი გადაწყვეტილებას საარჩევნო ყუთთან იღებს.

– ანუ გააჩნია, როგორ და რას ითხოვს საზოგადოება?

– რა თქმა უნდა, მოთხოვნის ფორმას დიდი მნიშვნელობა აქვს ნებისმიერ დემოკრატიულ ქვეყანაში. მიტინგების, მანიფესტაციების, კრიტიკისა და აზრის გამოხატვის უფლება ხელშეუხებელია. ეს უფლებები საქართველოშიც დამკვიდრდა, მაგრამ ვალდებულება ორივე მხარეს აქვს. კანონი მხოლოდ უფლებებს არ გვანიჭებს. არსებობს პროტესტის გამოხატვის უფლება, მაგრამ ამასთან, არსებობს მოვალეობა, რომ პროტესტი მოაქციო იმ ჩარჩოებში, რომელსაც კანონი არეგულირებს.

– განვითარებული და დემოკრატიული საზოგადოება ხელისუფლებისგანაც ითხოვს კანონის დაცვას. კანონის დამცველი აფთიაქსა და სადარბაზოებში არ უნდა შეუვარდეს გაქცეულ მომიტინგეს საცემად, ესეც ხომ ვიცით. ეტყობა, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ პოლიტიკოსები ფიქრობენ, რომ ხალხის აზრის გათვალისწინება საჭირო აღარ არის.

– აზრის გაცვლა-გამოცვლა, დიალოგი აუცილებელი და საჭიროა ოპოზიციაშიც და ხელისუფლებაშიც. ხელისუფლების ნაკლი, როგორც ჩანს, ისიც არის, რომ ვერ შევძელით ჩვენი აზრების, შეხედულებების იმ პირთათვის გაზიარება, რომლებიც ჩვენთან ერთად აშენებენ ამ ქვეყანას. ალბათ უფრო ინტენსიური დიალოგი იყო საჭირო მათთანაც და ოპოზიციის ჯანსაღ ნაწილთანაც. მე არასოდეს შემიწყვეტია დიალოგი საპარლამენტო ოპოზიციასთან, მაგრამ ძნელია დიალოგი მაშინ, როდესაც მეორე მხარე დარწმუნებულია, დიალოგს აზრი არ აქვს, თუ ჩემს

შეხედულებებს არ გაიზიარებო. იმასაც უნდა მივეჩვიოთ, რომ შეიძლება დიდხანს და ხშირად ვისაუბროთ, მაგრამ ჩვენ-ჩვენს აზრზე დავრჩეთ. თუმც ეს არ ნიშნავს, რომ მაინცდამაინც ჩემი აზრია სწორი. ძნელია ქართველისთვის იმის შეგუება, რომ მის აზრს არ ეთანხმები და შენებურად აკეთებ საქმეს, მაგრამ დემოკრატიის პრინციპია, – როდესაც უმრავლესობაში ხარ, პასუხისმგებლობას იმაზე იღებ, რაც სწორად მიგაჩნია. რაც სწორი გეგონა, ის თუ არასწორი აღმოჩნდება, არჩევნებზე მიიღებს მოსახლეობა შესაბამის გადაწყვეტილებას. რაც შეეხება აქციებს, თუ მომიტინგე სადმე თავს შეაფარებს, იქ რომ არ უნდა შეუვარდე, ცხადია. ნამდვილად იყო ძალის გადამეტება და ამაზე ხელისუფლებამ (მეც და ყოფილმა პრეზიდენტმაც) პირველივე დღეს გავაკეთეთ რეაგირება. შს სამინისტრომაც განაცხადა, მოკვლევა ჩატარდება და თუკი დადასტურდება უფლებამოსილების გადაჭარბება, შესაბამის ზომებს მივიღებთო.

– ჯერ არავინ დასჯილა მიტინგის დაშლისას ძალაუფლების გადამეტების გამო.

– ჯერ მოკვლევა მიმდინარეობს.

– ხომ არ ფიქრობენ ხელისუფლებაში, ძალის გადამეტების გამო რომ დავსაჯო ვიღაც, ხვალ აქციის დასაშლელად აღარ გამომყვებიანო?

– აქ ძალზე მნიშვნელოვანია ზომიერების დაცვა. ის სპეცრაზმელი, რომელმაც უფლებამოსილებას გადააჭარბა, ჩვენი ისეთივე მოქალაქეა, როგორიც სხვა. მეტი ძალის გამოყენება, ალბათ, ნაკლები პროფესიონალიზმის ბრალია. ვფიქრობ, დიდი როლი ითამაშა ემოციურმა ფონმა. ის სპეცრაზმელებიც არ იყვნენ ჩვეულებრივ მდგომარეობაში. რა თქმა უნდა, მათთვის ძნელი იქნებოდა ხელკეტის მოქნევა თანამოქალაქეთათვის. ზოგჯერ ადამიანები კრიტიკულ ვითარებაში ისე იქცევიან, რასაც ჩვეულებრივ ვითარებაში ვერც კი წარმოიდგენენ. ამიტომ უმჯობესია კრიტიკულ ზღვრამდე არ მივიდეთ, თორემ მერე უკვე ძნელია საკუთარი ქმედებების გაკონტროლება. ქუჩაში ხომ, ფაქტობრივად, ხელჩართული ბრძოლა იყო. მომიტინგე-

ებმა წინააღმდეგობა გაუწიეს სპეცრაზმს, რაც ვიმეორებ, არ ამართლებს ძალის გადამეტებას, რადგან სამართალდამცველს მეტი პასუხისმგებლობა აკისრია. ვინც ძალას გადაამეტა, მათ პასუხი უნდა მოვთხოვოთ, ისინი კი, რომელთაც ძალა კანონის ფარგლებში გამოიყენეს, არ უნდა დავაკომპლექსოთ. იმიტომ, რომ ქვეყანას ისინი შესაძლოა კვლავ დასჭირდეს (იმედია, არა მიტინგების დასაშლელად) სახელმწიფოებრივი ინტერესების დასაცავად. არც ერთ მოქალაქეს, იქნება ის ხელისუფლების მომხრე თუ მოწინააღმდეგე, არ უნდა ჰქონდეს დაუსჯელობის განცდა, თუკი მან რამე არასწორად გააკეთა. როგორც პარლამენტის თავმჯდომარე და მოქმედი პრეზიდენტი გეუბნებით, ვგმობ ძალაუფლების ნებისმიერ გადამეტებას, სულერთია რომელი მხარე მიმართავს მას.

– იცოდით, რომ სპეცრაზმი „იმედში“ აპირებდა შესვლას?

– შეთანხმებული იყო გადაწყვეტილება საგანგებო მდგომარეობის შემოღების თაობაზე, ისიც, რომ ამ ვითარებაში ტელევიზიები დაიხურებოდა. თუმც წინასწარ შეუძლებელია მცოდნოდა ის, რაც ვნახეთ – სპეცრაზმის „იმედში“ შესვლა და ძალის გადამეტების უსიამოვნო ფაქტები.

– თქვენ იცოდით, რომ „იმედი“ დაიხურებოდა საგანგებო რეჟიმის პირობებში?

– დიახ, ვიცოდი.

– მაგრამ იმის ნაცვლად, რომ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ შეწყვეტილიყო თოქშოუები და შეზღუდულიყო საინფორმაციო გადაცემები, მომსწრენი გავხდით მედიაზე ზეწოლისა და თავისუფალი სიტყვის აბუჩად აგდების, რის გამოც მსოფლიომაც გვისაყვედურა. როგორ აპირებს ხელისუფლება ამის გამოსწორებას?

– ფორმა ძალზე არასასურველი იყო, მაგრამ მედიის დახურვის გადაწყვეტილება (რის გამოც ყველაზე მეტად გვაკრიტიკებენ) მიღებულ იქნა იმ ვითარებიდან გამომდინარე, რაც ქვეყანაში იყო; იმ მოწოდებებიდან გამომდინარე, რაც გაისმოდა, – რომ ყველაფერი გაკეთდება და ბოლო კაპიკები დაიხარჯება

ამ ხელისუფლების დასამხობად, რომ პოლიცია სამების ტაძარს ლამის შტურმით აიღებსო.

– იქ მე მგონი არ იყო სიტყვა დამხობა...

– ასეთ დროს, ნებისმიერი განცხადება პოლიტიკურ კონტექსტში აღიქმება. ერთია წინასაარჩევნო კამპანიის დროს გაკეთებული განცხადება „ბოლო თეთრს დავხარჯავო“ და მეორეა, როცა ამას აკეთებ უკვე დაშლილი მიტინგის ფონზე ახალი ესკალაციის მოსაწყობად...

– ეს განცხადება მხოლოდ ერთი ტელეკომპანიის ეთერში იყო?

– შეიძლება არ იყო მხოლოდ ერთი ტელეკომპანიის ეთერში, მაგრამ იმ დროს, როცა მიტინგი პირდაპირ ეთერში გადაიცემა და არხის მფლობელი ამბობს, – ფაშისტური რეჟიმი უნდა შევცვალოო, სხვანაირად აღიქმება. 7 ნოემბერს დიდი და რეალური საფრთხის წინაშე დავდექით. იყო საშიშროება, რომ 1991 წელს დავუბრუნდებოდით. ვისაც ეს წლები ახსოვს, იმედია, არასოდეს მოუნდება იმ დროში დაბრუნება. ხელისუფლებას არ ჰქონდა იმის დრო, რომ ისეთი გადაწყვეტილება მიეღო, რაც მინიმალურ პრობლემებს შეუქმნიდა თავად მას, მინიმალურად დააზიანებდა. წუთები წყვეტდა ყველაფერს. თუ მომიტინგეების დიდი მასა ისევ შეიკრიბებოდა, შეიკრიბებოდნენ და იყვნენ კიდეც შეკრებილები ხელისუფლების მხარდამჭერებიც. თუ მათ შორის ხელჩართული ბრძოლა გაიმართებოდა, გარწმუნებთ, იმ ადგილზე ათეულობით გვამი დარჩებოდა. ეს არ იქნებოდა სპეცრაზმის ძალის გადამეტება, მაგრამ იქნებოდა ბევრად უარესი. ეს თავიდან ავიცილეთ საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებით და ტელევიზიების დახურვით. ახლა ამაზე ლაპარაკი ადვილია. ვითარების ასეთი გართულების მოლოდინი რომ გვქონოდა, სხვა, იდეალურ სქემას მოვიფიქრებდით.

– ტელეკომპანია „კავკასიის“ საკითხი ხომ გაცილებით „უმტკივნეულოდ“ გადაწყდა, – ანძიდან გათიშეს.

– „იმედი“ კარგად აღჭურვილი და მდიდარი ტელეკომპანიაა. ამიტომაც, სამწუხაროდ, არ შეიძლებოდა პრობლემის ისე

მარტივად მოგვარება, როგორც „კავკასიის“ შემთხვევაში. თორემ მერწმუნეთ, პირველად სწორედ ეს მოსაზრება იყო, ანძიდან გათიშულიყო მისი მაუწყებლიბა.

– „იმედის“ დარბევამ ხელისუფლებას „ნიუსკორპთანაც“ შეუქმნა პრობლემები.

– „ნიუსკორპთან“ტელეკომპანია „იმედის თაობაზე“ არაერთი მნიშვნელოვანი კითხვა გვაქვს. სამართლებრივი დოკუმენტები, რომლებიც ოფიციალურადაა რეგისტრირებული საქართველოს საჯარო რეესტრში, კითხვებს ბადებს. ის, რომ „იმედის“ მფლობელი 3 500 დოლარს უხდიდა „ნიუსკორპის“ ხელმძღვანელებს „იმედის“ მართვისთვის, სასაცილოა.

– კი მაგრამ, ხომ ყველაფერი ნათელია, რომ ეს სიმბოლური თანხაა?

– ეს სიმბოლური ხელშეკრულება „ნიუსკორპთან“ იმიტომ გაფორმდა, რომ ტელეკომპანია მეტად დაცული ყოფილიყო? რატომ სჭირდებოდა „იმედს“ მეტი დაცვა? თუ არაფერს არღვევ, არც განსაკუთრებული დაცვის მექანიზმების შექმნაზე ფიქრობ. მათ, ვინც ეს მექანიზმი მოიფიქრეს, როგორც ჩანს, ზუსტად იცოდნენ, რისთვის სჭირდებოდათ „იმედის“ ძალის გამოყენება. ასე რომ, ფინანსურად და სამართლებრივად „ნიუსკორპისგან“ ჯერ არ მიგვიღია პასუხი იმ კითხვებზე, რომლებიც პრემიერ-მინისტრმა ნათლად ჩამოაყალიბა მათთან საუბრისას. იმედი მაქვს, ამ კითხვებზე პასუხს მივიღებთ. მიუხედავად ამისა, რა პრეტენზიებიც უნდა გვქონდეს ტელეკომპანიასთან, ეს საკითხი უნდა მოგვარდეს, მით უმეტეს, წინასაარჩევნო პერიოდში. სწორედ ამისკენ არის ჩვენი ძალისხმევა მაქსიმალურად მიმართული. ხელისუფლება, ყოფილი და მოქმედი პრეზიდენტი დაინტერესებული ვართ, რომ არჩევნები იყოს აბსოლუტურად გამჭვირვალე და სამართლიანი, რათა საარჩევნო პროცესს არ მიადგეს ჩრდილი. ერთადერთი მოთხოვნა, რასაც წამოვაყენებთ, არის ის, რომ ტელეკომპანიამ აღარ დაუშვას ძალადობისკენ მოწოდება ან წაქეზება. გვაკრიტიკონ რამდენიც უნდათ, თქვან ის, რაც უნდათ, თუმცა აქვე დავძენ, – ესეც ეთიკის ჩარჩოებში

უნდა მოექცეს. როდესაც იყო ლაპარაკი ჟურნალისტების ეთიკის კოდექსი უნდა შეიქმნასო, ამას დიდი ხმაური მოჰყვა. ხელისუფლებას იმდენად არ უნდოდა, რომ დაბრალებოდა, მედიის საქმეებში ერევაო, ამ თემაზე დებატები შეწყდა. შესაძლოა, ეს ჩემი შეცდომაც იყო. სჯობდა, მოგველაპარაკა და მედიასთან შევთანხმებულიყავით ეთიკის კოდექსზე. როგორც ჩანს, სჯობდა ადრევე შევთანხმებულიყავით ხელისუფლებაც, ოპოზიციაც და მედიაც იმ თამაშის წესებზე, რომელსაც ყველანი დავიცავდით. იმედი მაქვს, აქამდე მივალთ და შევძლებთ თამაშის წესების ჩამოყალიბებას. მისაღებია არგუმენტირებული კრიტიკა, უარყოფითი აზრის გამოხატვა, მაგრამ ნუ იქნება მიზანმიმართული ცილისწამება, დაუსაბუთებელი ბრალდება და შავი კამპანია, რაც ხშირად არის ხოლმე გაზეთის ფურცლებზეც და ტელეეთერშიც. მთავარია, არ იყოს პრესაში მოწოდებები ხელისუფლების დამხობაზე და შტურმისკენ.

– რამდენიმე დღის წინ „ალ ჯაზირამ“ გაავრცელა ბინ ლადენის მიმართვა აშშ-ის ხელისუფლებისადმი და იქ იყო მუქარაც. ამ დროს აშშ-ში არაბული მოსახლეობის მრავალათასიანი მიტინგი რომ გამართულიყო, რას იზამდა ქვეყნის ხელმძღვანელობა?

– მგონი ეს შედარება ცოტა უხერხულია – ბილ ლადენი მსოფლიოს №1 ტერორისტია. სხვა მაგალითს მოგიყვანთ, ბრიტანეთის ხელისუფლებამ 1997 წელს ქურთების ტელევიზია დახურა, რომელიც დიდ ბრიტანეთში მუშაობდა. მოტივი ის იყო, რომ ტელევიზია ქურთებს მოუწოდებდა, ებრძოლათ თურქეთის ხელისუფლების წინააღმდეგ და ავტონომია მოეპოვებინათ. ბრიტანეთის ხელისუფლების არგუმენტი ასეთი იყო, – ქურთების ტელევიზია თურქეთის ტერიტორიაზე ძალადობისკენ მოუწოდებდაო. დარწმუნებული ვიყავი და ვარ, „იმედი“ ქმნიდა რეალურ საფრთხეს, რომ სამოქალაქო დაპირისპირება გაღვივებულიყო. ვინ მართალი იყო და ვინ – არა, მსაჯული ისტორია იქნება. ახლა დიდხანს შეგვიძლია ვიკამათოთ, რა როგორ სჯობდა. სასწორის ერთ მხარეს იდო სამოქალაქო ომის საფრ-

თხე, მეორე მხარეს კი ის უსიამოვნება, რაც მოხდა. მთავარი იყო არ ყოფილიყო მსხვერპლი და ქვეყანა არ აღმოჩენილიყო სამოქალაქო ომის ჭაობში, საიდანაც ვერ ამოვიდოდით. მთავარია, რომ ჩვენ დანაკარგით (ეს ჩემი, მიხეილ სააკაშვილის და თითოეული ჩვენგანის დანაკარგია), მაგრამ მაინც შევინარჩუნეთ მშვიდობა და სტაბილურობა, მთავარია, რომ დაინიშნა არჩევნები, რომელიც ღირსეულად უნდა ჩავატაროთ.

– გარკვეულწილად შიშზე ხომ არ არის დამყარებული ეს სტაბილურობა?

– რატომ, ოპოზიციამ ხომ ჩაატარა მრავალათასიანი მიტინგი?! თუ ვინმეს ჰგონია, შიშით ხალხის დათრგუნვა დიდხანს შეიძლება, ძალიან ცდება. გარწმუნებთ, ჩვენს ხელისუფლებას ეს ფიქრადაც არ მოსვლია. ასე რომ გვეფიქრა, არჩევნებს კი არ დავნიშნავდით, სხვა ზომებს მივიღებდით. საქართველო არ არის ის ქვეყანა, სადაც ხალხს დაშინებით გააჩერებ. ჩვენ ვიცით, რომ საქართველოს მოსახლეობას პატივი უნდა ვცეთ და მათ კითხვებს პასუხი გავცეთ. და ჩვენ გადავწყვიტეთ, რაკი ხელისუფლებასთან პრეტენზიები გაჩნდა, მობრძანდით არჩევნებზე და თქვით, – რა მეტი იყო – ჩვენი მმართველობისას მიღწეული შედეგი თუ შეცდომა, რომელიც აღარ უნდა განმეორდეს. ვინც ცივი გონებით განსჯის, უდავოდ დაინახავს, რომ გაკეთებული მეტია, ვიდრე შეცდომები, რომლებიც ზოგი მარტივია, ზოგი დრამატული, ზოგიც ძალიან მძიმე.

– დენიელ ფრიდმა ტელეკომპანია „იმედის“ დახურვას უპატიებელი შეცდომა უწოდა.

– შეცდომა, რომელსაც აღიარებ, ვფიქრობ, პატიებას იმსახურებს. უპატიებელი შეცდომა ის იქნებოდა, ქვეყნისთვის სამოქალაქო ომის საფრთხე არ აგვეცილებინა. საფრთხე კი 99%-იანი იყო, თუმც 10%-იანიც რომ ყოფილიყო, ყოყმანის უფლება არ გვქონდა.

– მაგრამ ხომ ფაქტია, რომ აქციაზე ხალხი ოპოზიციას არ მიუყვანია.

– გეთანხმებით, 2 ნოემბერს პარლამენტის წინ მოვიდა ხალხი, რომელიც ქუჩაში ჩვენმა შეცდომებმა გაიყვანა, 7 ნოემბრის აქციაზე კი ხალხს ოპოზიციამ მოუყარა თავი.

– როგორ ფიქრობთ, აქციაზე მისულთა რაოდენობა გზებზე ლურსმნების დაყრამ და მძღოლებისთვის ავტომანქანების გასაღების წართმევამ ხომ არ გააორმაგა?

– გეთანხმებით, არც ლურსმნები უნდა დაეყარათ გზაზე და არც ის უნდა მომხდარიყო, რაც ზუგდიდში მოხდა.

– შეცდომების აღიარებას ძალინ დიდი მნიშვნელობა აქვს.

– დიახ და ამიტომაც გესაუბრებით, თორემ ხომ შემეძლო მეთქვა, – აბსოლუტურად სწორად მოვიქეცით, ჩვენ სამოქალაქო ომი ავიცილეთ და ამაზე ლაპარაკს აღარ ვაპირებ-მეთქი. იმიტომ გელაპარაკებით ამდენს, რომ ჩვენმა მოქალაქეებმა არ იფიქრონ, ხელისუფლებას ჰგონია, არაფერი შეშლიაო. რა თქმა უნდა, შეგვეშალა. ხელისუფლებამ ბევრი რამ დაინახა, განსაკუთრებით კი ნოემბრის მოვლენებით. სჯობდა, მიტინგი არ დაგვჭირვებოდა და ისე დაგვენახა, მაგრამ ჩვენ ახალი ქვეყანა ვართ. რომელი ხელისუფლება იქნებოდა ისეთი გამოცდილი, რომ წინასწარ ეცოდინებოდა ყველაფერი?

– თქვენ, ქალბატონო ნინო, კითხულობთ გაზეთებს?

– რა თქმა უნდა. ზოგჯერ ისეთი რამ წამიკითხავს საკუთარ თავზე, არც კი დამსიზმრებია. ნება მომეცით, ზოგი გაზეთი ან ტელევიზია მომწონდეს და ზოგი არა. მიუხედავად ყველაფრისა, ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რას ფიქრობს ჩემზე საზოგადოება.

– ალბათ, დაშვებულ შეცდომებს ხელისუფლება კიდევ ერთს არ დაუმატებს და არჩევნებამდე აღადგენს „იმედის“ მაუწყებლობას.

– არ დავუმატებთ, გარწმუნებთ, მაგრამ „იმედმაც“ უნდა შეგვიწყოს ხელი და ელემენტარული მოთხოვნები გაითვალისწინოს.

– მოთხოვნებში იმას ხომ არ გულისხმობთ, გიორგი თარგამაძე აღარ იყოს პოლიტიკური გადაცემების რედაქტორი და საავტორო გადაცემის წამყვანი?

– ეს ტელეკომპანიის გადასაწყვეტია. შესაძლოა, ვიღაცის დანახვა მინდა ტელეეკრანზე, ვიღაცის – არა, მაგრამ ვერავის ვერაფერს ვუკარნახებ.

– ჩვენი პრემიერის, ლადო გურგენიძის განცხადება სწორედ ასე იქნა გაგებული.

– პრემიერ-მინისტრმა სხვა რამ იგულისხმა. მე თქვენ ვერ გიკარნახებთ, რომელი ჟურნალისტი უნდა მიიღოთ სამსახურში და რომელი – არა.

– პრეზიდენტის ნათქვამი, გაზეთებს არ ვკითხულობო და ხელისუფლების ბოიკოტი ზოგიერთი ტელეკომპანიის მიმართ, ჟურნალისტების მხრიდან ასე იქნა გაგებული – ვინც ჩემზე აუგს ამბობს, ის არ მინდაო.

– გარწმუნებთ, მიხეილ სააკაშვილმა იცის, ვინ რას ამბობს და რას წერს. ყველა გაზეთს მეც არ ვკითხულობ. ერთ გაზეთში იმდენი აბსურდი წავიკითხე ჩემზე, გადავწყვიტე, აღარ წავიკითხო-მეთქი. ჩვენც გვიჩნდება პროტესტი, როდესაც სტატიაში ერთი სიტყვაც არ არის მართალი. როდესაც კითხულობ სათაურს, რომელიც მთლიანად ლაფში გსვრის და სტატიაში მოყვანილი არც ერთი ფაქტი არარის მასთან შესატყვისი, როგორ უნდა სცე ასეთ ჟურნალისტს პატივი? მიუხედავად ამისა, ჩვენი ვალია, მისი უფლებები მაინც დავიცვათ, მაგრამ იმის უფლებაც მაქვს, ასეთ ჟურნალისტს ინტერვიუ არ მივცე ან მისი წერილი არ წავიკითხო. ასე რომ, პოლიტიკოსებს ჩვენი ხარვეზებიც გვეყოფა და ბევრი რამ თქვენზეც, ჟურნალისტებზეც, არის დამოკიდებული. თუმც უნდა დაგეთანხმოთ, რომ ჩვენ მეტი პასუხისმგებლობა გვაკისრია. ამიტომაც დაგითმეთ ამდენი დრო, თორემ დღეს ჩემი შვილის დაბადების დღეა და ნება მომეცით, 9 საათზე მაინც მივულოცო...

კვირის პალიტრა 2007. – 3-9 დეკემბერი. – №49. – გვ. 1– 7– 37

ტელეკომპანია „იმედის“ ქონებას ყადაღა ოთხშაბათს მოეხსნება

ნინო ბურჯანაძის ბრიფინგი

როგორც საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ გუშინ გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, ხელისუფლება მიმართავს გენერალურ პროკურატურას, განიხილოს ტელეკომპანია „იმედის“ ქონებაზე ყადაღის მოხსნის საკითხი. ამოწურულად უნდა ჩაითვალოს საფრთხე, რომელიც დაკავშირებულია „იმედის“ მაუწყებლობასთან დაკავშირებით, – აღნიშნა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა. მისივე თქმით, ასეთი გადაწყვეტილება მიღებულია მიუხედავად იმ გარემოებებისა, რომ ტელეკომპანია „იმედის“ ერთ-ერთი მფლობელი და მაკონტროლებელი კვლავ არის პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი ბადრი პატარკაციშვილი და „ნიუს კორპორეიშენთან“ საქართველოს მთავრობის მოლაპარაკებები დასრულებული არ არის. ნინო ბურჯანაძის განცხადებით, ოთხშაბათს „იმედის“ პერსონალს ექნება შესაძლებლობა, შევიდეს ტელეკომპანიის შენობაში და მაუწყებლობის აღდგენასთან დაკავშირებით მოსამზადებელი სამუშაოები ჩაატაროს. როგორც პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა აღნიშნა, მოლაპარაკებები ამერიკულ „ნიუს კორპორეიშენთან“, სავარაუდოდ, კვირის ბოლოსთვის დასრულდება. ბურჯანაძის განცხადებით, მოლაპარაკებების მაქსიმალური ვადა პარასკევისთვის იყო განსაზღვრული. გადაწყვეტილებას ტელეკომპანია „იმედის“ უახლოეს მომავალში აღდგენასთან დაკავშირებით ნინო ბურჯანაძე უკავშირებს წინასაარჩევნო პერიოდს, რათა ყველა მედიასაშუალებას მოვლენების გაშუქების საშუალება მიეცეს.

საქართველოს ხელისუფლება „ედინაია როსიას“ რუსეთის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებას აღარავინ მიულოცავს.

ქალბატონ ნინო ბურჯანაძის თქმით, საქართველოს ხელისუფლება თვალს ადევნებდა რუსეთის უმაღლესი სათათბიროს არჩევნებს. „უნდა გაგვეგზავნა მისალოცი „ედინაია როსიას“ ხელმძღვანელობისთვის, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბატონმა ბორის გრიზლოვმა გააკეთა, ჩვენ ეს გადავიფიქრეთ“, – აღნიშნა ბურჯანაძემ.

საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა გრიზლოვის განცხადებას აღმაშფოთებელი უწოდა, საერთაშორისო თანამეგობრობას რეაგირებისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ ასეთ ფონზე რუსეთთან ნორმალური ურთიერთობების გაგრძელება ამ ეტაპზე შეუძლებელია. ბურჯანაძის თქმით, რუსეთის პასპორტების გაცემა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ორმხრივი და საერთაშორისო შეთანხმებების დარღვევით მოხდა. რუსეთის ახლადარჩეული სახელმწიფო სათათბირო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების ან რუსეთის შემადგენლობაში მათი მიღების საკითხს 2008 წლის იანვარში განიხილავს. ამის შესახებ განცხადება რუსეთის სათათბიროს ყოფილმა თავმჯდომარემ და რუსეთის პრეზიდენტის მხარდამჭერი პარტია „ედინაია როსიას“ ერთ-ერთმა ლიდერმა ბორის გრიზლოვმა გუშინწინ, დუმის არჩევნების დასრულების შემდეგ გამართულ პირველივე პრესკონფერენციაზე გააკეთა. ადგილობრივმა ხელისუფლებამ საარჩევნო სუბიექტების მოსახლეობასთან შეხვედრებს ხელი უნდა შეუწყოსო, – ბრიფინგზე განაცხადა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელმა ნინო ბურჯანაძემ.

მისივე თქმით, ჩრდილის მიყენება წინასაარჩევნო პერიოდისთვის არც ერთ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს. კერძოდ, ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ბურჯანაძის განცხადებით, უნდა უზრუნველყოს პრეზიდენტობის კანდიდატების მოსახლეობასთან შეხვედრებისთვის ადგილების ხელმისაწვდომობა.

ბურჯანაძემ ჟურნალისტებს მოუწოდა, მოვლენები ობიექტურად, ეთნიკური და პროფესიონალური სტანდარტების დაცვით გააშუქონ. პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლის თქმით, პრეზიდენტობის ძირითადი კანდიდატებისთვის ტელეეთერში თანაბარი დრო უნდა იყოს დათმობილი.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ – 2007 – 4 დეკემბერი, №237, გვ. 2.

„თქვენ უნდა მიხვდეთ, რომ აფხაზეთი სააკაშვილის, ბურჯანაძის, ნებისმიერი ქართველისთვის ათასჯერმეტია, ვიდრე თქვენთვის – ჩეჩნეთი“

პარლამენტის კარი მომიტინგეებს ნინო ბურჯანაძის ბრძანებით გაუხსნეს

5 იანვრის არჩევნებამდე საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობას ქალბატონი ნინო ბურჯანაძე შეასრულებს, რომელმაც „ვრემია ნოვოსტის“ ვრცელი ინტერვიუ მისცა. „ვერსია“ პუბლიკაციის შემცირებულ ვარიანტს გთავაზობთ.

ოთხი წლის განმავლობაში უკვე მეორედ ასრულებთ პრეზიდენტის მოვალეობას. ხომ არ ფიქრობთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტი საერთოდ არ სჭირდება?

ჩვენი სახელმწიფოებრიობის განვითარების მოცემულ ეტაპზე პრეზიდენტის თანამდებობა აუცილებელია. საპარლამენტო რესპუბლიკის ფორმატისთვის საქართველო მზად არ არის. ეს შესაძლებელი იქნება ტერიტორიული მთლიანობის აღდგენიდან 10-15 წლის შემდეგ.

თავად არ გქონდათ სურვილი, საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭი გეყარათ?

სურვილი რომ მქონოდა, ვინ დამიშლიდა? მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე საქართველოს ისეთი პრეზიდენტი სჭირდება, როგორიც მიხეილ სააკაშვილია. მე მის კანდიდატურას ვუჭერ მხარს.

ამბობენ, როცა 7 ნოემბრის მიტინგის დარბევისას ადამიანები ცრემლდენ გაზსა და რეზინის ტყვიებს გაურბოდნენ, პარლამენტის კარის გახსნა ბრძანეთ, ხოლო ტელეკომპანია „იმედში“ სპეცრაზმის შეჭრის შესახებ არაფერი იცოდით?

ადამიანებს პარლამენტში თავის შეფარების შესაძლებლობა მივეცით, შოკიდან რომ გამოსულიყვნენ. მომხდარი ჩვე-

ნთვისაც შოკი იყო. რუსთაველზე მიტინგები 2 ნოემბერს დაიწყო, 3-დან აქცია უკვე არსანქცირებული იყო. თუმცა მკაცრი ზომების მიღებისგან თავს ვიკავებდით. 7 ნოემბრისთვის პარლამენტის წინ აქციის 200-300 მონაწილე იყო, ვერაფრით ვივარაუდებდით, რომ მოძრაობის აღდგენის მცდელობას ასეთი წინააღმდეგობა შეხვდებოდა. ამის შემდეგ მოგვიხდა უსიამოვნო, მაგრამ აუცილებელი ზომების მიღება. სხვაგვარად, შესაძლოა, სიტუაცია უკონტროლო გამხდარიყო. რაც შეეხება „იმედს“, ტელეკომპანიის დახურვის გადაწყვეტილება ჩვენთვის ძალიან რთული იყო. თუმცა მას შემდეგ მივიღეთ, რაც ამ არხზე გახმოვანდა კომპანიის მფლობელის მხრიდან რეჟიმის დამხობის სურვილი. ეთერში გაისმა დეზინფორმაცია, თითქოს სპეცრაზმი საქართველოს მთავარი ეკლესიის – წმინდა სამების ტაძრის შტურმს აპირებდა. „იმედში“ სპეცრაზმის მიერ უფლებამოსილების გადაჭარბება იმიტომ მოხდა, რომ ასეთ არაორდინარულ სიტუაციაში ყველაფერი ყოველთის ისე არ ვითარდება, როგორც იგეგმება.

მომხდარის შემდეგ ხელისუფლებამ განვლილ ოთხ წელიწადში დაშვებული შეცდომების აღიარება დაიწყო...

მათ აბსოლუტურ უმრავლესობას, ვინც 2 ნოემბერს რუსთაველზე გამოვიდა, გულწრფელად უნდოდა ეჩვენებინა ხელისუფლებისთვის, რომ რაღაცით უკმაყოფილოა – ცხოვრების დონით, უმუშევრობით, სასამართლო სისტემით, მმართველობის სტილით. ჩემი ნაცნობი მიტინგის მონაწილეები მეუბნებოდნენ: მხარს გიჭერთ, მაგრამ უნდა გაჩვენოთ, რომ ყველაფერი არ მოგვწონს. ამ გამოსვლების შემდეგ მივხვდით, რომ კიდევ უფრო უკეთ უნდა ავუხსნათ ხალხს, რატომ ტარდება რეფორმები სწრაფად და მტკივნეულად, ვაჩვენოთ ადამიანებს, რომ ისინი ჩვენი თანამოაზრეები არიან, რომ ჩვენ საერთო საქმეს ვაკეთებთ. მათ სტკივათ, მაგრამ ეს აუცილებელია იმისთვის, რომ ხვალ ქვეყანა ფეხზე დადგეს. ოპოზიციის ნაწილმა კი ეს პროტესტი საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენა. როგორც კი მიტინგზე ხელისუფლების დამხობის ლოზუნგები გამოჩნდა, ხალხმა დაშლა დაიწყო – ისინი იმისთვის არ მისულან, რომ

ახალი რევოლუცია მიეღოთ. ოპოზიციონერები დესტაბილიზაციისთვის იყვნენ განწყობილი. საბაბად არჩევნების ჩატარების თარიღი გამოიყენეს. დღეს ყველა წინასწარი მონაცემი მეტყველებს, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი სააკაშვილი ლიდერობს და წარმატების დამაჯერებელი შანსი აქვს.

დასავლეთმა საქართველოში მომხდარი მოვლენები კრიტიკულად შეაფასა. დამეთანხმეთ, რომ მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნების დემოკრატიულად ჩატარება და „იმედის“ მაუწყებლობის განახლება აღადგენს ნდობას ქვეყნისადმი...

არჩევნები ჩვენთან თავისუფლად და დემოკრატიულად ჩატარდება. ასობით დამკვირვებელი მოვიწვიეთ. აქტიურად ვმუშაობთ, რომ ტელეკომპანიის მაუწყებლობა უახლოეს ხანებში განახლდეს. ჩვენი ერთადერთი მოთხოვნა – დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ „იმედის“ ეკრანიდან არ იქნება ძალადობისკენ, ხელისუფლების ძალადობრივად დამხობისკენ მოწოდებები. კრიტიკა – კი ბატონო, ობიექტური, ან, თუნდაც, სუბიექტური. ამ დღეებში დაბრუნდება ეთერში რადიო „იმედი“.

დსთ-დან და რუსეთიდან იქნებიან დამკვირვებლები?

არც რუსეთისთვის და არც დსთ-სთვის, როგორც ორგანიზაციისთვის, დამკვირვებელთა გამოგზავნის თხოვნით არ მიმიმართავს. დსთ-ს ჩვენდამი მეგობრულ ქვეყნებში ორმხრივ დონეზე მოწვევები გავგზავნე.

ოთხი წლის წინ თქვენ, როგორც პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, მოსკოვს ესტუმრეთ, რუსეთის პრეზიდენტს შეხვდით. მაინც რატომ ვერ მოგვარდა ორი ქვეყნის ურთიერთობა?

რუსეთის პოლიტიკა ჩვენ მიმართ, სამწუხაროდ არამეგობრულია. ამ ურთიერთობის ნორმალურ რელსებზე გადაყვანა არ გამოგვივიდა. გულწრფელად გეტყვით, ძალიან დასანანია, რომ ბატონმა პუტინმა ჩემი მიწვევა არ მიიღო და არ ჩამოვიდა. ეს ნაბიჯი რომ გადაედგა, ვფიქრობ, სიტუაცია გამოსწორდებოდა. შეხვედრის დროს ვლადიმერ პუტინს ვუთხარი: „თქვენ უნდა მიხვდეთ, რომ აფხაზეთი სააკაშვილის, ბურჯანაძის, ნებისმი-

ერი ქართველისთვის რაღაც ათასჯერ მეტია, ვიდრე თქვენთვის – ჩეჩნეთი“. პუტინისთვის ჩეჩნეთი რუსეთის ტერიტორიის ნაწილია, მაგრამ ეს არ არის რუსეთის გულის ნაწილი. სააკაშვილს იქ ბაბუის სახლი, ბავშვობის სახლი დარჩა, მე ყოველ ზაფხულს აფხაზეთში ვატარებდი... აი, ახლაც ვღელავ, აფხაზეთზე როცა ვლაპარაკობ... სანამ რუსი პოლიტიკოსები არ მიხვდებიან, რომ აფხაზეთი თითოეული ქართველისთვის მოუშუშებელი ჭრილობაა, სანამ აფხაზეთით და, მისი საშუალებით საქართველოთი მანიპულირებას არ მოეშვებიან, მანამდე ურთიერთობის მოგვარება არასდროს გამოგვივა.

სწორედ თბილისში მიტინგების მიმდინარეობის პერიოდში რუსეთმა საქართველოდან სამხედროების გაყვანა დაასრულა – დაგეგმილზე ერთი წლით ადრე. განა ეს ურთიერთობის დათბობისკენ სიგნალი არ არის?

ეს ბაზები დიდი ხნის წინ უნდა გაეყვანათ. ამ შეთანხმებას ხელი ჯერ კიდევ 1999 წელს, ეუთოს სამიტზე მოვაწერეთ. სხვათა შორის, ერთხელ ჩვენს პარლამენტში გამოვედი და პრეზიდენტ პუტინს მადლობა გადავუხადე იმისათვის, რომ რუსეთმა ჯარების გაყვანა დროულად დაიწყო. ამის შემდეგ ერთმა ძალიან გავლენიანმა რუსმა პოლიტიკოსმა მითხრა: გეთაყვა, ნუღარ იტყვით, რომ ამის გამო რუსეთის მადლიერი ხართ. ეს პუტინის პოპულარობისთვის ცუდი იქნება. ამის შემდეგ ხაზს აღარ ვუსვამდით, რომ ბაზების გაყვანისათვის მადლობელი ვიყავით. ხედავთ, რა დღეში ვართ?! მაშინაც კი გვკიცხავენ, როცა რუსეთს მადლობას ვეუბნებით. საქართველო რუსეთთან ნორმალური ურთიერთობით დაინტერესებულია. თუმცა ეს მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ რუსეთი ჩვენს არჩევანს, ჩვენს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას პატივს სცემს.

მიხეილ ვიგნანსკი
„ვრემია ნოვოსტეი“

ვერსია 2007. – 5-6 დეკემბერი. – №44. – გვ. 2

„ნინო ბურჯანაძე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებსა და სტუდენტებს შეხვდა“

საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე 14 დეკემბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ესტუმრა და შეხვედრები გამართა პროფესორ-მასწავლებლებთან, რომლებმაც ძირითადად საუნივერსიტეტო პრობლემებზე ისაუბრეს. მათ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს სთხოვეს, მხარი დაუჭიროს უნივერსიტეტის სრულ ავტონომიას და ზოგიერთი საგნის სწავლების აღდგენას. იმავე დღეს ნინო ბურჯანაძე უნივერსიტეტის სტუდენტობას შეხვდა და მათთან გულახდილი დიალოგი გამართა. ქვეყნის პირველმა პირმა ამომწურავი პასუხები გასცა უნივერსიტეტის სტუდენტების შეკითხვებს, რომელთაგან ზოგიერთი საკმაო სიმწვავით გამოირჩეოდა. საუბარი შეეხო როგორც ნოემბრის ცნობილ მოვლენებს, ასევე მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებსა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის აქტუალურ საკითხებს. გთავაზობთ ქალბატონ ნინო ბურჯანაძის პასუხებს სტუდენტთა მიერ დასმულ ძირითად კითხვებზე.

– იმ ხალხის უკან, ვინც ნოემბრის მოვლენების დროს ქუჩაში გამოვიდა, კონკრეტული გადაუჭრელი პრობლემა იდგა – სოციალური გაჭირვება, სასამართლო სისტემის დაუსრულებელი რეფორმა, დანაშაულში ეჭვმიტანილი მაღალჩინოსნები და ა. შ. მოვლენათა კულმინაცია იყო ის, რომ ტელეკომპანია „იმედი“ დაიხურა არა იმ ფორმით, რა ფორმითაც შეიძლებოდა დახურულიყო. ამის შემდეგ ჩვენ მივიღეთ გარკვეულწილად შელახული საერთაშორისო იმიჯი, მაშინ როცა უკვე ველოდით ნატოსთან ინტენსიურ დიალოგზე გადასვლას. რა პრობლემები

შეექმნა საქართველოს საერთაშორისო არენაზე და როგორ აპირებთ მის გამოსწორებას?

ნ. ბურჯანაძე: თქვენი ნებართვით მცირე კორექტივს შევიტან თქვენს ნათქვამში: ქართველი ხალხის სერიოზული ნაწილი, რომელიც შეწუხებული იყო სოციალური პრობლემებით, უმუშევრობით, იქნებ უსამართლობითაც, მართლა იდგა ქუჩაში, ოღონდ 2 ნოემბერს. მათ შორის ჩემი ნაცნობებიც იყვნენ. არ გამოვრიცხავ, რომ გულწრფელი ადამიანების ნაწილი, რომელთაც სურდათ ხელისუფლებისთვის ეჩვენებინათ თავისი განსხვავებული მოსაზრებები და პროტესტი, 7 ნოემბერსაც იდგა აქციაზე, მაგრამ არა იმ რაოდენობით, რამდენიც 2-ში. ჩვენ თვალყურს ვადევნებდით მოვლენებს და ვიცით, რომ როგორც კი დაიწყო ხელისუფლების დამხობის მოწოდება, გეომეტრიული პროგრესით იკლო ხალხის რაოდენობამ იმიტომ კი არა, რომ იდეალური ხელისუფლება ვართ; იმიტომ რომ ადამიანების უმრავლესობა ხედავს, რამდენი რამ გაკეთდა 2003 წლის შემდგომ. 2 ნოემბერს ყველაფერი კანონის ჩარჩოებში ჯდებოდა. 3 ნოემბერს მიტინგი უკვე არაკანონიერი იყო. მაგრამ რადგანაც ბევრი ხალხი იდგა, ხელი არ შეგვიშლია აქციისთვის, თუმცა ოპოზიციას მუდმივად ვთხოვდით, რომ დაშლილიყვნენ და სამანქანო გზა გაეხსნათ. 7 ნოემბერს, დილით, პარლამენტის წინ ძალიან ცოტა ხალხი იდგა, სულ რაღაც 300 კაცი. გადაწყდა, რომ სამანქანო გზა გახსნილიყო. სამწუხაროდ, ოპოზიცია რევანშისტულად იყო განწყობილი. შეგახსენებთ ბატონ დავით ბერძენიშვილის გამონათქვამს – რადგან ხელისუფლებამ ჩვენი ოთხი მოთხოვნიდან სამი დათმო, იმ ერთსაც დავათმობინებთო. ასე ლაპარაკი არ შეიძლება. თუ დიალოგზეა ლაპარაკი, დიალოგი უნდა იყოს; მაგრამ როცა ხელისუფლებას ეუბნები, რომ ოთხი მოთხოვნიდან ოთხივე უნდა დათმო, წინააღმდეგ შემთხვევაში ლაპარაკს აზრი არ აქვს, ეს დიალოგი კი არა, ულტიმატუმია. გახსოვთ, ალბათ, მთელი აურზაური არჩევნების დანიშვნის თარიღზე ატყდა. ოპოზიცია დაჟინებით ითხოვდა არჩევნები გა-

ზაფხულზე ჩატარებულიყო. ჩვენ ვუხსნიდით, რომ გაზაფხული მძიმე პერიოდია: ამ დროს არის დანიშნული არჩევნები რუსეთში; ამ დროს შეიძლება აღიარონ კოსოვოს დამოუკიდებლობა; დაგეგმილია ნატოს ბუქარესტის სამიტი, რომლის წინაც არ იქნება მიზანშეწონილი არჩევნების ჩატარება, რადგან მას ყოველთვის ახლავს პოლიტიკური დაძაბულობა... მაგრამ ოპოზიციამ ამ განმარტებებს ყური არ ათხოვა, ამიტომ მარტო ჩემს თავზე არ ავიღებ პასუხისმგებლობას იმის გამო, რაც მოხდა და რამაც, გარკვეულწილად, მართლა დააზარალა ჩვენი საერთაშორისო იმიჯი, ხოლო ნატოს ბუქარესტის სამიტზე MAP-ის მიღების საკითხი კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. ვფიქრობ, ოპოზიციას დიდი პასუხისმგებლობა უნდა ჰქონოდა იმ ხალხის მიმართ, რომელიც აქციაზე მოიყვანა. რაც შეეხება „იმედს“, მისი დახურვაც და საერთოდ, ნოემბრის მოვლენები, ჩემთვის ძალიან მტკივნეული იყო. მოვლენების ასე განვითარებას ნამდვილად არ ველოდით. არანაირი ნიშანი იმისა, რომ სპეცნაზის გამოყვანა გახდებოდა საჭირო, არ ჩანდა. სამწუხაროდ, მოვლენები კატასტროფული სისწრაფით განვითარდა. რუსთაველის ამბების შემდეგ, იმის ნაცვლად, რომ ოპოზიციას ჯანსაღი გადაწყვეტილება მიეღო, ხალხი შეკრიბა რიყეზე, საიდანაც არ ვიცოდით, საით წავიდოდნენ – პარლამენტისკენ თუ კანცელარიისკენ; ხოლო განცხადება ტელევიზიით იმის შესახებ, რომ შეიძლება სპეცნაზმა „სამება“ აიღოს, ჩვენთვის შოკისმომგვრელი აღმოჩნდა, რადგან ასეთი რამ აზრად არავის მოსვლია... არ დაგიმალავთ, დიდი როლი ითამაშა პატარკაციშვილის განცხადებამ, რომ ბოლო თეთრს დახარჯავდა ამ ხელისუფლების დასამხობად... რა თქმა უნდა, სჯობდა ყველაფერი მშვიდად მოგვარებულიყო, მაგრამ ჩვენ ვხედავდით 1991 წელში დაბრუნების საშიშროებას. იცით, რომ რიყეზე შეკრებილი იყვნენ არა მარტო ჩვენი ოპონენტები, არამედ მომხრეებიც 25-40 წლის ჯანღონით სავსე ვაჟკაცები. მე მათ მივმართე, დაშლილიყვნენ, მაგრამ ვერ გეტყვით, რომ ყველა დამემორჩილა. შედეგი ბევრად უფრო

მძიმე იქნებოდა, თუ ჩვენ დავუშვებდით და ამ ორ ძალას ერთმანეთს დავუპირისპირებდით. გეთანხმებით, ძალიან ცუდი იყო, რომ ვიღაცამ უფლებებს გადააჭარბა და სადარბაზოებში სდია გაქცეულებს. მაგრამ იმით, რომ სპეცნაზს კატეგორიული ინსტრუქცია მიეცა, არავინ დაშავებულიყო, ჩვენ თავიდან ავირიდეთ რეალური საშინელება.

– მე ვარ მოქალაქე, რომელიც 4 წლის განმავლობაში აქტიურად აკვირდება ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს. დღეს ჩემს წინაშე არის არაერთი ურთიერთგამომრიცხავი ფაქტი. მაგალითად, ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში დაინერგა პატრიოტთა ბანაკები, ერთიანი ეროვნული გამოცდების სისტემა; მაგრამ ამავე ხელისუფლებას აბრალებენ არაერთი პროფესორ-მასწავლებლის უმუშევრად დატოვებას. ამ ხელისუფლებამ შემოიტანა პატრულის ინსტიტუტი, შემცირდა ქურდობა-ყაჩაღობა, მაგრამ ამავე ხელისუფლებას ბრალად ედება არაერთი ახალგაზრდის მკვლელობა... არ ვიცი, რომელია ამათში მართალი და რომელი – არა, მაგრამ მინდა ვიცოდე, 5 იანვარს რომ მივიდე ჩემი სიმართლით და გულწრფელად შემოვხაზო რომელიმე კანდიდატი, რატომ უნდა იყოს ის მიხეილ სააკაშვილი?

ნ. ბურჯანაძე: ჩემს მოსაზრებას პირდაპირ ვერ გამოვთქვამ იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მეკრძალება რომელიმე კანდიდატის მხარდაჭერისკენ მოწოდება. ჩამოგითვლით გაკეთებულ საქმეს და თქვენ თავად გადაწყვიტეთ, ვის მისცეთ ხმა და რატომ. ჩემი სტუდენტობის დროს ბევრი ნიჭიერი ადამიანი სწავლობდა ჩემს გვერდით, მაგრამ ისეთებიც იყვნენ, რომლებმაც წერა-კითხვა არ იცოდნენ და აცხადებდნენ, რატომ უნდა ვისწავლო ჰამურაბის კანონი, ეს კანონები არ სჭირდება ქრთამის აღებასო. თქვენი თაობა სხვაა. თქვენ ხართ ის ახალგაზრდები, რომლებიც ეროვნული გამოცდებით მოხვდით უნივერსიტეტში და იცით, რომ აქ ქრთამით კი არა, ცოდნით მოხვდით, და რომ ქრთამი კი არ გაგიკვალავთ გზას, არამედ სწორედაც ჰამურა-

ბის კანონების ცოდნა. ეს ამ ხელისუფლების ერთ-ერთი ძალიან დიდი მიღწევაა. ჩვენზე ამბობენ, ეს ხელისუფლება გვამადლის შუქსა და გზასო. არა, ბატონო, არავის არაფერს ვამადლით – არც ეროვნულ გამოცდებს, არც შუქს და გზას, არც იმას, რომ ხელფასები და პენსიები დროულად რიგდება. ეს ასეც უნდა იყოს. არანორმალური ის იყო, რომ ეს ყველაფერი არ გვქონდა, მაგრამ ახლა ხომ არის? 4 წელი ძალიან ცოტაა. პირადად მე ვერ წარმოვიდგენდი, რომ ამ 4 წლის განმავლობაში 6-ჯერ გავზრდიდით ბიუჯეტს; ვერ წარმოვიდგენდი ქართული ჯარის ასე გაძლიერებას, რადგან მინახავს, -14 გრადუს ყინვასა და თოვლში მდგარი ჯარისკაცები ზაფხულის ფორმასა და ფეხსაცმელებში. მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ 4 წლის შემდეგ საქართველოს ისეთი ჯარი და შეიარაღება ექნებოდა, რომ რუსეთი გამუდმებით ამაზე ილაპარაკებდა. ჩვენ მოვახერხეთ რუსეთის ჯარების გაყვანა, რაც იოლი არ გახლდათ. აქ პროფესორ-მასწავლებლები ახსენებენ და ვფიქრობ, ცოტა მეტად უნდა მოვფერებოდით მათ, მეტად უნდა აგვეხსნა, რატომ ვატარებდით რეფორმას. ჩვენ მტკივნეული გადაწყვეტილებების მიღება მოგვიხდა. წარმოიდგინეთ, ან ისევ ათასი თანამშრომელი უნდა დარჩენილიყო რომელიმე უწყებაში (ვთქვათ, საგადასახადოში) და ჰქონოდა მიზერული ხელფასი, ან უნდა შემცირებულიყო 300-მდე და მიეღო ნორმალური ანაზღაურება. ბუნებრივია, ახალგაზრდა კაცს რომ შეამცირებ და ქუჩაში დატოვებ, მას რომ ხვალ შვილებისთვის მისატანი აღარაფერი ექნება, ცხადია, განაწყენებული იქნება ხელისუფლებაზე, მაგრამ სხვა გამოსავალი რომ არ იყო? ჩვენ ქვეყანა ჩავიბარეთ კრიტიკულ ვითარებაში და არჩევანი არ გვქონდა. მისი შველა ისე, რომ ტკივილი არავისთვის მიგვეყენებინა, შეუძლებელი იყო. ამ ბოლო დროს გერმანელებს პრეტენზია ჰქონდთ, რომ ჩვენი სასამართლო სისტემა ბოლომდე სამართლიანი არ არის. ეს ჩვენც ვიცით, მაგრამ გაგახსენებთ – როცა გერმანიაში ბერლინის კედელი დაიშალა და ქვეყანა გაერთიანდა, აღმოსავლეთ გერ-

მანიის ყველა მოსამართლე გაათავისუფლეს და ვაკანსიებზე მოსამართლეები დასავლეთ გერმანიიდან დანიშნეს იმ არგუმენტით, რომ ისინი არ იყვნენ კორუმპირებულები, არ უცხოვრიათ სოციალისტურ სისტემაში, იყვნენ დამოუკიდებლები და არ ეშინოდათ სახელმწიფოსი. ჩვენ საიდან უნდა მოგვეყვანა ამდენი არაკორუმპირებული, მაღალპროფესიონალი და დამოუკიდებელი მოსამართლე? არსებული პრობლემებიდან ნაწილის გადაჭრა შევძელით, ნაწილის – ვერა. ახლა თქვენ გადაწყვიტეთ, არის თუ არა დღევანდელ პოლიტიკაში სხვა ისეთი ძალა, რომელიც ამდენ რამეს შეცდომების გარეშე გააკეთებს. მოდით, კიდევ ერთი რამ გავაანალიზოთ. ჩვენს ოპონენტებს აქვთ ლოზუნგი – „საქართველო პრეზიდენტის გარეშე!“ მე გთხოვთ, აიღოთ ნუსხა, ნახოთ, რამდენი და რომელი ქვეყნებია საპარლამენტო რესპუბლიკები და შეადაროთ მათი პოლიტიკური კულტურა, პოლიტიკური პარტიების საქმიანობა და მეზობელი ქვეყნები. თუ თქვენ რომელიმე ქვეყანას დამისახელებთ, რომელსაც ორი ტერიტორია აქვს დასაბრუნებელი, მეზობლად ჰყავს რუსეთი, რომელიც ახლაც იმუქრება, რომ თვენახევარში აფხაზეთის დამოუკიდებლობას სცნობს და ასეთი ქვეყანა საპარლამენტო რესპუბლიკა იქნება, არაფერს გეტყვით. ჩვენი ხელისუფლებაში მოსვლის პირველ წლებში არსებობდა აუცილებლად განსახორციელებელი ღონისძიებები – გაზი, წყალი, გზის პრობლემა. ახლა, როცა ქვეყანამ ცოტა ამოისუნთქა და გაჩნდა რესურსი, რომ სოციალური პროგრამები განხორციელდეს, აქცენტი კეთდება, რომ ინფრასტრუქტურის პარალელურად სოციალურ სფეროს მიექცეს ყურადღება. რაც შეეხება შეპირებას, გპირდებით და ავასრულებთ კიდეც.

– ოპოზიციონერების მხრიდან ბოლო დღეების განმავლობაში ხშირად ისმის, რომ 6 იანვრიდან ისევ იწყებენ საპროტესტო აქციებს. რჩება შთაბეჭდილება, რომ არჩევნების შედეგებს არც ელოდებიან. ეს, ცხადია, სამართლებრივად სწორი არ არის, რადგან ჯერ უნდა დაელოდო არჩევნების შედეგებს, და თუ გა-

ყალბდება, შემდეგ გააპროტესტო, მაგრამ მაინც მაინტერესებს – გაქვთ თუ არა რაიმე პრევენციული ზომა მოფიქრებული, რომ ქვეყანაში არეულობა არ დაიწყოს?

ნ. ბურჯანაძე: წინასწარ იმის თქმა, რომ არჩევნები გაყალბდება, უპასუხისმგებლობაა. სააკაშვილი დღეში იმდენ წინასაარჩევნო შეხვედრას ატარებს, რომ ხმა დაუჯდა. მაინტერესებს, გაყალბებას რომ ვაპირებდეთ, ასე რატომ შევიწუხებთ თავს? ჩვენ ნამდვილად არ ვაპირებთ არჩევნების გაყალბებას. პირიქით, თითქმის ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას და ქვეყანას ვთხოვთ დამკვირვებლების გამოგზავნას. თუ ხელისუფლება არჩევნებს გააყალბებს და ამომრჩევლის არჩევანს პატივს არ სცემს, თქვენ გექნებათ უფლება, გააკეთოთ იგივე, რაც ჩვენ გავაკეთეთ 2003 წელს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ არჩევნები ნორმალურად ჩატარდება. თქვენ ამას ყველა დაინახავთ, და ამის შემდეგ თუ ვინმე შეეცდება, რომ ქვეყანა არიოს, ჩვენ ერთად უნდა გავცეთ მათ პასუხი. თქვენ იცით, რა ძალებია ჩასაფრებული, რომ საქართველოში სიტუაცია არაკონტროლირებადი იყოს. უსმინეთ რუსეთის საინფორმაციო საშუალებებს და ნახეთ, რას ფიქრობენ ამ ქვეყნის კულუარებში. სულ რომ იმაზე იყო ლაპარაკი, ახლა საქართველოში არეულობაა და დროა, აფხაზეთი და სამაჩაბლო ვცნოთო, ეს შემთხვევითია? ბაღაფშმა რომ უშიშროების საბჭოს სხდომა მოიწვია და განაცხადა, თვენახევარში რუსეთი გვცნობსო, შემთხვევითია? რუსეთის საპარლამენტო არჩევნების პირველივე ბრიფინგზე რომ გრიზლოვმა განაცხადა, დუმის ერთ-ერთ პირველ სხდომაზე აფხაზეთის და ოსეთის საკითხს განვიხილავთო, შემთხვევითია? ამაზე უნდა იფიქროს ყველამ და ოპოზიციამაც უნდა გამოიჩინოს იგივე დამოკიდებულება ქვეყნისა და სახელმწიფოს მიმართ, თუ ქვეყნისთვის მართლა სიკეთე უნდა.

– რამდენად არის აფხაზეთის დაბრუნების პერსპექტივა?

ნ. ბურჯანაძე: არასოდეს დასვათ ეს შეკითხვა ამ ფორმით. რა თქმა უნდა, არის და ეს მოხდება მშვიდობიანი გზით.

უცხოელებთან ხშირად ვსაუბრობთ იმის თაობაზე, რომ მზად ვართ მშვიდობიანი გზით მოვახდინოთ იქ ჩვენი იურისდიქციის აღდგენა, მაგრამ არ ვაპირებთ ამას ველოდოთ ასი წელი. ამიტომ საერთაშორისო თანამეგობრობაც უნდა დაგვეხმაროს, რომ მიზნის მისაღწევად მშვიდობიანი რესურსები ბოლომდე გამოვიყენოთ. ჩემი და ჩემი მეგობრების მიზანია, რომ ეს საკითხი ჩვენმა თაობამ მოაგვაროს. თქვენი თაობის გადასაწყვეტი მხოლოდ ჩატეხილი ხიდის აღდგენა და აფხაზი და ოსი მოსახლეობის რეინტეგრაცია იქნება.

– ე. წ. „ლეჩკომბინატი“, რომელიც წარმოადგენს თსუ-ს მედიცინის ფაკულტეტის საუნივერსიტეტო-სასწავლო ბაზას, შეტანილია საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხაში. თუ ის გაიყიდება, მედიცინის ფაკულტეტი დარჩება სასწავლო ბაზის გარეშე. იქნებ დაგვეხმაროთ, რომ „ლეჩკომბინატი“ ამოღებულ იქნას საპრივატიზაციო ობიექტთა ნუსხიდან და გადმოეცეს უნივერსიტეტს?

ნ. ბურჯანაძე: ეს საკითხი პედაგოგებმაც დააყენეს და გეთანხმებით, რომ ძალიან მტკივნეული პრობლემაა. კარგი იურისტი შეიძლება დადგეს მხოლოდ ლიტერატურის კითხვით, მაგრამ კარგი ექიმი შეუძლებელია გაიზარდოს სასწავლო ბაზის გარეშე, სადაც სტუდენტს ავადმყოფთან შეხება ექნება. ჩვენ უკვე ვიმსჯელეთ ამ საკითხზე. გადაწყვეტილება მიღებულია და ეს დაწესებულება ამოღებული იქნება საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან.

მაია ტორაძე

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ – 2007 წ., 20 დეკემბერი, №21. – გვ. 1-3.

„არჩევანი უნივერსიტეტის ავტონომიურობის სასარგებლოდ უნდა გაკეთდეს“

14 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ნინო ბურჯანაძე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს შეხვდა და მათთან დიალოგი გამართა. უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ დამსწრე საზოგადოებას პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი, როგორც თსუ-ის კურსდამთავრებული, ყოფილი კოლეგა და წარმატებული მეცნიერი, წარუდგინა. „ჩემთვის უნივერსიტეტში მოსვლა ყოველთვის დიდ ემოციებთან არის დაკავშირებული, რადგან ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები გავატარე თქვენთან ერთად, თქვენს გვერდით და ბევრი თქვენგანის ხელმძღვანელობით, როგორც სტუდენტმა და როგორც პედაგოგმა. კარგად ვიცი, რომ უნივერსიტეტს ყურადღება სჭირდება, რადგან ბოლო პერიოდში მას პრობლემები არ აკლდა, მაგრამ ეს გარკვეულწილად გარდამავალი პერიოდის დამახასიათებელი სირთულეებია. მადლობელი ვარ, რომ ღირსეულად გადალახეთ ყველა სიძნელე. ვეცდებით, რომ უნივერსიტეტმა მეტი ყურადღება იგრძნოს ხელისუფლების მხრიდან“, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ, რომელმაც უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს პრობლემებზე გულწრფელი დიალოგი შესთავაზა.

მარიამ ლორთქიფანიძე, აკადემიკოსი:

– ქალბატონო ნინო, მიგაჩნიათ თუ არა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დღეს სრულ ავტონომიას ფლობს და აქვს თუ არა უფლება, რომ იყოს აბსოლუტურად დამოუკიდებელი უმაღლესი სასწავლებელი?

ნ. ბურჯანაძე: რა თქმა უნდა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი უნდა იყოს დამოუკიდებელი და ავტონომიური

ერთეული. როდესაც ჩვენ კანონს ვიღებდით, ბუნებრივია, ვითვალისწინებდით უნივერსიტეტების ავტონომიურობის საერთაშორისო პრაქტიკას. მე უნივერსიტეტის ავტონომიურობის მომხრე ვარ და მიმაჩნია, რომ იგი ყოველგვარი ჩარევის გარეშე შეძლებს პრობლემების მოგვარებას; მაგრამ თქვენი შეკითხვა მაფიქრებინებს, რომ ამასთან დაკავშირებით დამატებითი კითხვები გაქვთ. სამწუხაროდ, არ ვიცი, ამ წუთში რა გაწუხებთ, რომ პასუხი მოგახსენოთ, მაგრამ გპირდებით, ბატონ რექტორთან ერთად ვისაუბრებთ და გავარკვევთ, რა არის თქვენი წუხილის საგანი, როგორ და რაში ერევა ესა თუ ის სტრუქტურა ან უწყება, რომელიც არ უნდა ერეოდეს უნივერსიტეტის ავტონომიურობაში. თუ ზედმეტ ჩარევას აქვს ადგილი, ამაზე ჩვენ შეგვიძლია ვიმსჯელოთ და საბოლოოდ მივიღოთ შედეგი, რომელიც უნივერსიტეტსა და სასწავლო პროცესს სასიკეთოდ წაადგება.

ჯუმბერ ჭუმბურიძე, პროფესორი:

– რაკი საშუალება გვეძლევა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს შევხვდეთ, მინდა დავუბრუნდე იმ საკითხს, რომელიც წამოჭრა ქალბატონმა მარიამმა: ეს არის უნივერსიტეტის ავტონომიის საკითხი. მინდა გავიხსენო ცნობილი გერმანელი მოაზროვნის კარლ იასპერსის წიგნი „უნივერსიტეტის იდეა“, სადაც ჩამოყალიბებულია დებულებები, რომელთაც დასავლეთის საუნივერსიტეტო ცხოვრება ემყარება. ამ დებულებების მიხედვით, მიუხედავად დაფინანსების წყაროებისა, უნივერსიტეტი პრინციპულად უნდა ინარჩუნებდეს ავტონომიას. ეს თვალსაზრისი, რამდენადაც შესაძლებლობა მქონდა გავცნობოდი ევროპის უნივერსიტეტების საქმიანობას, დღესაც მტკიცედ არის დაცული. სუბორდინაცია, რომელიც განათლების სამინისტროსა და უნივერსიტეტს შორის არსებობდა, მაინც და მაინც ხელსაყრელი არ იყო. ამას ყველა ვგრძნობდით და თუ დადგება უნივერსიტეტისთვის ავტონომიის დაბრუნების საკითხი, სასწავლო და კვლევითი პროცესი უკეთ წარიმართება. აქვე მინდა შევეხო უნივერსიტეტის მოწყობის თემასაც. ფაკულტეტების გაერთიანება, კათედრების გაუქმება და სხვა ღონისძიებები, რაც

გერმანულ მოდელს ემყარებოდა, ვფიქრობ, ხელსაყრელი არ აღმოჩნდა. ჩემი აზრით, ბოლონიის პროცესთან შეერთება ისე გაიგეს, თითქოს ჩვენ უნდა გაგვეთვალისწინებინა ყველაფერი, რასაც ბოლონიის წესდება ითვალისწინებდა, რაც სწორი ნამდვილად არ გახლავთ. უნივერსიტეტში ამჟამად არსებობს 6 ფაკულტეტი მაშინ, როცა თავად ბოლონიის უნივერსიტეტში 14 თუ 15 ფაკულტეტია. ამიტომ არ იყო სავალდებულო ფაკულტეტების გაერთიანება. დღეს ყველა ვხედავთ, რომ ამან ხელი არ შეუწყო სასწავლო პროცესისა და სამეცნიერო მუშაობის წინსვლას. რამდენადაც ვიცი, ბატონი გია მოწადინებულია, რომ ფაკულტეტების რიცხვი გაიზარდოს და ამ მხრივ ვითარება შეიცვალოს. მე ვთხოვ ქალბატონ ნინოს, მხარი დაუჭიროს უნივერსიტეტის წამოწყებულ ღონისძიებებს. არ არის დასამალი, რომ დღევანდელი სტრუქტურა, სამეცნიერო დარგებისა და მიმართულებების შემცირება საზიანოა უნივერსიტეტისთვის. მაგალითად, ფილოლოგიის ფაკულტეტზე ძალიან ვრცლად იკითხებოდა დასავლეთ ევროპის ლიტერატურის ისტორია. დიდი ხანია ეს საგანი ამოღებულია პროგრამიდან. ასევე არ შეიძლება ჰუმანიტარული დარგის სტუდენტმა არ შეისწავლოს ქართული ლიტერატურის ისტორია, რომელიც უნივერსიტეტში აღარ იკითხება. ეს უნდა გასწორდეს. როგორც ფაკულტეტის უხუცესი წევრი, მოვითხოვ, რომ რექტორატს მიეცეს ასეთი რეფორმების გატარების საშუალება.

ნ. ბურჯანაძე: თქვენ ძალიან საჭირბოროტო საკითხი დასვით. ბუნებრივია, რომ უნივერსიტეტი განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ყველა გადაწყვეტილებას არ უნდა უთანხმებდეს. დიახ, კოორდინირება საჭიროა არა მარტო სამინისტროსთან, არამედ სხვა უნივერსიტეტებთანაც, მაგრამ პირდაპირი დაქვემდებარებისას, ბუნებრივია, არანაირ ავტონომიაზე ლაპარაკი არ შეიძლება. არჩევანი ნამდვილად უნივერსიტეტის ავტონომიურობის სასარგებლოდ უნდა გაკეთდეს. გეთანხმებით, რომ არც ფაკულტეტის, არც კადრების და არც სა-

ათების შემცირება თვითმიზანი არსად არ შეიძლება იყოს , არც უნივერსიტეტში და არც ნებისმიერ სხვა უწყებაში. შემცირება უნდა ხდებოდეს გონივრულად ისე, რომ დაწესებულების ძირითადი პროცესი არ დაზარალდეს. ჩემთვის ძალიან მტკივნეული იყო საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის შემცირება. ბატონ ლევან ალექსიძესთან არაერთხელ მისაუბრია და, როგორც ამ ფაკულტეტის აღზრდილი და თანამშრომელი, ნამდვილად აქტიურად ვცდილობდი დახმარებას, რადგან მიმაჩნდა, რომ იმ სკოლის დაკარგვა, რაც თსუ-ის თუნდაც ამ სფეროში აქვს, არ იქნებოდა სწორი. ვეცდები, ბატონ გიორგი ხუბუასთან ერთად ეს პრობლემებიც გავაანალიზო. სამწუხაროდ, ხარვეზების გარეშე საქმის გაკეთება არ გამოდის, მით უმეტეს, როცა ერთბაშად ბევრი და მტკივნეული საქმეა გასაკეთებელი. იმ პროცესებში, რაც უნივერსიტეტმა გადაიტანა, რაღაც სწორი იყო, რაღაც ხარვეზებით გაკეთდა, მაგრამ დღეს ძალიან ბევრი რამ, თქვენი მხარდაჭერითა და აქტიური ძალისხმევით, შეცვლილია. გასაკეთებელი კიდევ ბევრია. ერთმანეთთან კოორდინირებული მუშაობით, დარწმუნებული ვარ, ყველა შეცდომის გამოსწორებას შევძლებთ. შეხვედრაზე დასმული კითხვები შეეხო უნივერსიტეტისთვის პრობლემურ საკითხებს, რომელთა მოგვარებაშიც სამეცნიერო საზოგადოებამ პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელს დახმარება სთხოვა.

გაზეთი „თბილისის უნივერსიტეტი“ – 2007 – 31 დეკემბერი, №22, გვ. 1

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ნინო ბურჯანაძის გამოსვლა ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიაზე

ქალბატონებო და ბატონებო,

ძვირფასო კოლეგებო,

ჩემთვის დიდი პატივია სიტყვით მივმართო ამ პატივცემულ აუდიტორიას. უპირველეს ყოვლისა, ნება მიბოძეთ ვისარგებლო ამ შესაძლებლობით და გულწრფელი მადლობა გადავუხადო ჩვენს პორტუგალიელ მასპინძლებს ამ ღონისძიების ორგანიზებისათვის. სიმბოლურია ის ფაქტი, რომ ჩვენ ერთმანეთს ვხვდებით სწორედ პორტუგალიაში, ქვეყანაში, სადაც დაიწყო ევროპის დემოკრატიზაციის მესამე ტალღა. პორტუგალია არის ნათელი მაგალითი, თუ როგორ უზრუნველყოფს ქვეყნის ნატოში ინტეგრაცია წარმატებულ დემოკრატიულ გარდაქმნებს და პოზიტიურად ცვლის ისტორიული განვითარების მთელ სურათს. სასიამოვნოა, კიდევ ერთხელ შევხვდე ნატოს საპარლამენტო ასამბლეის იმ წევრებს, რომლებსაც სულ ახლახან თბილისში ვმასპინძლობდით. ვიმედოვნებ, თბილისში გატარებული დღეები დაგეხმარათ უკეთ გაგეგოთ, თუ რატომ მიისწრაფის საქართველო გახდეს ალიანსის წევრი სახელმწიფო, რა საერთო სარგებელს მოუტანს ნატოს წევრ სახელმწიფოებს ჩვენი გაწევრიანება და რა არის უკვე გაკეთებული ამ მიმართულებით. ნება მიბოძეთ, უფრო ფართო საზოგადოებისთვის, კიდევ ერთხელ გავამახვილო თქვენი ყურადღება ამ კომპონენტებზე. ქართველი ხალხი ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციას მიიჩნევს ახალგაზრდა დემოკრატიული ქვეყნისა და მთელი რეგიონის მდგრადი განვითარების უმთავრეს გარანტად. საქართველოს ნატოში ინტეგრაცია გახდა მთელი

ქართული საზოგადოებისა და მისი პოლიტიკური სპექტრის მაკონსოლიდირებელი იდეა. ალიანსის წევრობა ჩვენი მოქალაქეების გაცხადებული ნებაა და მას მხარს უჭერს მოსახლეობის 80%-ზე მეტი. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ქართველი ხალხის მიერ დემოკრატიისა და ევროატლანტიკურ თანამეგობრობაში ინსტიტუციური ინტეგრაციის სასარგებლოდ გაკეთებული არჩევანი საბოლოო და შეუქცევადია. რამდენიმე კვირის წინ ჭეშმარიტად ისტორიული შეთანხმება შედგა საქართველოს პარლამენტში – პარლამენტში წარმოდგენილმა ყველა პოლიტიკური პარტიისა და ფრაქციის, უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენელმა ხელი მოაწერა საქართველოს ნატოში გაწევრიანების მხარდამჭერ მემორანდუმს და ამ საკითხს კენჭისყრისას 160-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი; არც ერთი დეპუტატი არ ყოფილა წინააღმდეგი. ეს დოკუმენტი კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ მიუხედავად ქვეყნის შიგნით მიმდინარე რეფორმებთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიციების არსებობისა, ნატოში ინტეგრაცია მთელი პოლიტიკური სპექტრის საერთო ღირებულებაა. 2004 წელს საქართველო იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP) წამოიწყო. IPAP-ის ფარგლებში მიღწეული მნიშვნელოვანი პროგრესის საფუძველზე 2006 წლის სექტემბერში ნატომ გამოაცხადა: საქართველოსთან იწყებდა წევრობის ინტენსიური დიალოგის რეჟიმში მუშაობას. ეს ხარისხობრივად ახალი ეტაპია საქართველოს ნატოში ინტეგრაციის პროცესში. ნატოსთან ჩვენი ურთიერთობების შემდგომი ნაბიჯი იქნება წევრობის სამოქმედო გეგმის (MAP)-ის დაწყება, რომელსაც ვიმედოვნებ, საქართველო უახლოეს მომავალში მიიღებს და ამ გზაზე არ უნდა წარმოიქმნას ხელოვნური ბარიერები. ეს არის ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა მომავალ ათ თვეში. წევრობის სამოქმედო გეგმასთან (MAP) დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღება უმნიშვნელოვანესი იქნება ქვეყანაში მიმდინარე რე-

ფორმების წახალისების თვალსაზრისით და ხელისშემშლელი ფაქტორი უცხოეთში მოქმედი იმ ძალებისთვის, რომელთაც ჯერ კიდევ მიაჩნიათ, რომ საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციის პროცესი შეუქცევადი არ არის.

ძვირფასო მეგობრებო, ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ, რომ წევრობის სამოქმედო გეგმის (MAP) განხორციელების დაწყება არ ნიშნავს ალიანსში ჩვენს ავტომატურ გაწევრიანებას. კანდიდატობიდან წევრობამდე დიდი გზაა გასავლელი. ჩვენ ვესწრაფით კიდევ უფრო განვამტკიცოთ ურთიერთობა ნატოსთან და მივიღოთ წევრობის სამოქმედო გეგმა იმდენად, რამდენადაც ეს იქნება ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ლოგიკური გაგრძელება და ჩვენი დემოკრატიული რეფორმების ქვაკუთხედი. ვიმედოვნებ, რომ თქვენ, როგორც ეროვნული პარლამენტების გავლენიანი წევრები, დახმარებას აღმოგვიჩენთ ამ მიზნის მიღწევაში და ჩვენს მიერ აღებული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში უზრუნველყოფთ, ამ გზაზე არ იყოს პოლიტიკური ვაჭრობა და არ შეიქმნას ხელოვნური ბარიერები.ჩვენ კარგად ვაცნობიერებთ იმ გარემოებას, რომ საქართველოსთვის ევროატლანტიკური თანამეგობრობის წევრობა, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მეტ პასუხისმგებლობას სიცოცხლისუნარიანი საბაზრო ეკონომიკის პრინციპებზე დაფუძნებული დემოკრატიული ქვეყნის მიმართ, რომელიც ამასთანავე იქნება საიმედო პარტნიორი საერთო უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით. ამ მიზნის მისაღწევად და ჭეშმარიტად საიმედო პარტნიორად ჩამოსაყალიბებლად უკვე ძალიან ბევრი რამ გაკეთდა. ვახორციელებთ რა თამამი და მიზანსწრაფული რეფორმების პროგრამას, რომელშიც მთავარი ანტიკორუფციული ბრძოლაა, საქართველომ მიაღწია ბევრისათვის წარმოუდგენელი მასშტაბის წარმატებებს. ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების (EBRD) ბანკის 2005 წლის გამოკითხვის შედეგად, კორუფციასთან ბრძოლის თვალსაზრისით, 2002-2005 წლებში გარდამავალ ქვეყნებს შო-

რის საქართველო მიჩნეული იყო ყველაზე წარმატებულ სახელმწიფოდ. ბოლო ოთხ წელიწადში, სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკისა და ინსტიტუტების სწორი ფუნქციონირების წყალობით, საქართველოს ბიუჯეტი ექვსჯერ გაიზარდა. ამან ხელისუფლებას საშუალება მისცა მთელი ქვეყნის მასშტაბით განეხორციელებინა ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტები, მოეხდინა პოლიციისა და უშიშროების სამსახურების, განათლების, საგადასახადო და ჯანდაცვის სისტემების ძირეული რეფორმები. იმავე პერიოდში, რუსეთის მიერ გამოცხადებული ემბარგოსა და ეკონომიკური სანქციების ფონზე, საქართველომ შეძლო შეენარჩუნებინა მთლიანი შიდა პროდუქტის (GDP) ზრდის მაღალი ტემპები. ნება მიბოძეთ, თქვენი ყურადღება მივაპყრო საქართველოს წინააღმდეგ დაწყებულ ამ ყოვლად უსაფუძვლო ემბარგოს: 2006 წელს რუსეთის ფედერაციამ შემოიღო ყოვლისმომცველი ეკონომიკური ბლოკადა ყველა სახის ქართულ საქონელზე, მათ შორის, სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე, ღვინოსა და მინერალურ წყალზე; დახურა ყველა კანონიერი სასაზღვრო პუნქტი; გააუქმა სატრანსპორტო და საფოსტო კომუნიკაციები; შეზღუდა ადამიანთა მიმოსვლა; რუსეთში მცხოვრები ეთნიკური ქართველებისა და ქართული წარმომავლობის რუსეთის მოქალაქეების წინააღმდეგ რუსეთის ხელისუფლებამ წამოიწყო ფართომასშტაბიანი კამპანია, რასაც შედეგად მოჰყვა ადამიანთა ფუნდამენტური უფლებების მასობრივი დარღვევა, დისკრიმინაცია ეთნიკურ საფუძველზე და ქსენოფობიის უამრავი ფაქტი. სამწუხაროდ, ამ დარბაზში წარმოდგენილი ქვეყნებიდან საქართველო არ არის ერთადერთი, რომლის წინააღმდეგაც რუსეთი იყენებს პოლიტიკურად მოტივირებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებებს. მიუხედავად ზემოთქმულისა, მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო საფინანსო კორპორაციის – „ბიზნესის წარმოება 2006 წელს“ – ბოლო ერთობლივი კვლევების თანახმად, 2006 წელს საქართველო მიჩნეული იყო ნომერ პირველ რეფორმატორ ქვეყნად. და ეს მიღ-

წეული იყო ყოვლისმომცველი რეფორმების წყალობით, რომლებმაც გამოიწვია ბიზნესგარემოს ლიბერალიზაცია. 2005 წელს 112-ე ადგილიდან 2006 წელს საქართველომ 37-ზე გადაინაცვლა. ეს იყო ასეთი კვლევების ისტორიაში ყველაზე დიდი პროგრესის მაგალითი. ყველაზე მნიშვნელოვანი წარმატებები გვაქვს თავდაცვის სისტემის რეფორმაში. 2007 წელს, როგორც ეს რეკომენდებული იყო ნატოს სტანდარტებით, თავდაცვის ბიუჯეტმა შეადგინა მთლიანი შიდა პროდუქტის 3%. ბოლო ორი წლის განმავლობაში განხორციელდა თავდაცვის ინფრასტრუქტურის რადიკალური ცვლილება და მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა პროფესიული ჯარის ჩამოსაყალიბებლად. ამჟამად პირადი შემადგენლობის დაახლოებით 65% პროფესიული სამხედრო მოსამსახურეა. ჩვენ შევძელით გადაგვეწყვიტა საბრძოლო აღჭურვილობასთან, ტყვია-წამალთან, ინფრასტრუქტურასა და სამხედროების საცხოვრებელ პირობებთან დაკავშირებული პრობლემები. ქართული ჯარი ყველაზე უფრო მცირერიცხოვანია რეგიონში – ექსპერტთა აზრით, ყველაზე კარგად გაწვრთნილი და აღჭურვილი. დღეს უკვე ნათლად ჩანს, რომ საზოგადოება ბევრად უფრო ინფორმირებული და უკეთ ჩართულია თავდაცვის სფეროში.

ჟურნალების მატიანე – „საქართველოს პარლამენტი“. – 2007, გვ. 13-19

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მილოცვა

ჩემს მშობლიურ უნივერსიტეტს 90 წლის იუბილეს ვულოცავ

ჩემს-მეთქი, მარტო იმიტომ არ მითქვამს, რომ პირადად მე გახლავართ უნივერსიტეტელი: მიმაჩნია, რომ საქართველოს ყოველი მოქალაქე, გარკვეული აზრით, უნივერსიტეტელად უნდა თვლიდეს თავს. 90 წელი ჩვენთვის, ადამიანებისთვის, არის სიბერე, თორემ იყალთოს, გრემის, ფაზისის აკადემიათა ათასწლოვანი ტრადიციის პატრონი ჩვენი უნივერსიტეტისთვის სიყმაწვილის ასაკია... მაგრამ საუკუნეებითაც რომ დაიხუნძლოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ის მაინც დარჩება ახალგაზრდად, რამდენადაც უნივერსიტეტის სულია უბერებელი და განახლებადი. სწორედ ასეთი დაჩქარებული განახლება-გარდაქმნის ჟამი უდგას ახლა ჩვენს უნივერსიტეტს და, საერთოდ, განათლების სისტემას... უნდა მოგახსენოთ, რომ რეფორმირების მოთხოვნილება, პირველ ყოვლისა, თვითონ უნივერსიტეტში გაჩნდა, მაგრამ ესეც უნდა ვაღიაროთ, რომ რეფორმატორული იდეების ხორცშესხმისას, ჩვენ, ხელისუფლებამ, ალბათ ყოველთვის ვერ გამოვიჩინეთ წინდახედულება და სიფაქიზე. ასე რომ, რაც გამოსასწორებელია, ის აუცილებლად უნდა დარეგულირდეს. ჩემი აზრით, პარლამენტმა კიდევ უფრო უნდა გააღრმავოს თავისი კავშირი უნივერსიტეტთან. დიდმა ივანე ჯავახიშვილმა იცოდა, რომ მარტო პოლიტიკური დამოუკიდებლობის დეკლარირება ფარატინა ქაღალდად დარჩებოდა, თუ საქართველო სულიერ დამოუკიდებლობას ვერ აღიდგენდა; ამიტომ დაუდო მან ქართული უნივერსიტეტი საფუძვლად ქართულ სახელმწიფოებრიობას. ამავე კონტექსტშია გასააზრებელი იმავე პერიოდში ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენა. ეს კავშირი

გრძელდება და უნდა გაგრძელდეს მუდამ: მწამს, რომ ქართული სახელმწიფოებრიობა კვლავაც ჩვენს ეკლესიასა და უნივერსიტეტს ანუ რწმენასა და განათლებას დაეყრდნობა!

უღრმესი პატივისცემით
ნინო ბუჯანაძე

თბილისის უნივერსიტეტი 2008. – 21 იანვარი. – №1. – გვ. 3

„მათ ან ყველაფერი აქვთ, ან არაფერი“

„მზად ვარ, გავაგრძელო დიალოგი, მეტი რა ვქნა?!“

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მისაღებში უჩვეულო სურათია, – „ახალი მემარჯვენეების“ ფრაქციას სასიკვდილო შიმშილობა აქვს გამოცხადებული და ნინო ბურჯანაძის გადადგომას ითხოვს. გარედან გაერთიანებული ოპოზიციის შეძახილები ისმის, – მემორანდუმის პირობები შეგვისრულეთო. ბურჯანაძე გადადგომას არ აპირებს და ოპოზიციას მოლაპარაკების მაგიდასთან ეპატიჟება.

– ქალბატონო ნინო, რას იტყვით ვითარებაზე, როდესაც თქვენს მისაღებში ერთი ფრაქცია შიმშილობს, პარლამენტის წინ კი თქვენი სხვა ოპონენტები და მოქალაქეები?

– ეს არ არის ჯანსაღი ვითარება. დროდადრო თითქოს ჩაკეტილ ჯადოსნურ წრეში ვმოძრაობთ. რატომღაც ისევ იმ ეტაპს ვუბრუნდებით, რომელიც გავლილი გვაქვს და ძალიან ცუდად გვახსოვს. რეალურად, ეს წინასაარჩევნო კამპანიაა. ჩვენს ოპონენტებს ჰგონიათ, საზოგადოების უფრო მეტ მხარდაჭერას მოიპოვებენ, თუ რადიკალური იქნებიან, ლანძღვა-გინების კორიანტელს დააყენებენ და გამწვავების უკიდურეს ფორმებს მიმართავენ. ვითარებას გავამწვავებთო, ჯერ კიდევ 2-3 კვირის წინ იმუქრებოდა ზოგიერთი, როდესაც არც კი ყოფილა ლაპარაკი იმ ყბადაღებულ რამდენიმე თემაზე, რომლითაც ახლა აპელირებენ. ოპოზიციის ნაწილს სურდა, ვითარების დაძაბვით მიექცია ხალხის ყურადღება და მათ ემოციაზე ემოქმედა. ეს არასწორი გზაა. ჩემი აზრით, ოპოზიციას ძალზე არათანმიმდევრული მოთხოვნები აქვს. ოპოზიციის ნაწილი, რომელიც პარლამენტის წინ არის, განმეორებით საპრეზიდენტო არჩევ-

ნებს ითხოვს. აცხადებენ, რომ მათი პროტესტის საფუძველი ეუთოს დასკვნაა. რაგინდ პარადოქსულადაც უნდა ჩანდეს, გასულ კვირას თბილისში იმყოფებოდა ბატონი ტროფალი, რომელიც ხელს აწერს ეუთოს იმ დასკვნას, რომლითაც ოპოზიცია აპელირებს. მან განაცხადა, – არანაირი საფუძველი განმეორებითი საპრეზიდენტო არჩევნებისთვის არ არსებობსო. ოპოზიციის მეორე ნაწილი, რომელმაც ჩემს სამუშაო სივრცეში გამოაცხადა შიმშილობა, მემორანდუმის მუხლების შესრულებას ითხოვს, მაგრამ ჩემს წინადადებაზე, მემორანდუმის ცალკეული მუხლი განვიხილოთ, კატეგორიულად უარს ამბობენ. ბოლოს კი ახალი მოთხოვნა წამოაყენეს, – პარლამენტის თავმჯდომარე გადადგესო. საინტერესოა, ხვალ ვის გადადგომას მოითხოვენ? არ გამოელიათ მიზეზი, რომ ვითარება რაც შეიძლება მეტად გაამწვავონ. ჯერ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ თაობაზე ჰქონდათ მოთხოვნები, მერე დიალოგიც შეწყვიტეს. არადა, მე მუდმივად ვამბობდი, ამ საკითხზე შეთანხმება არსებობდა და კანონით დადგენილ ვადებში გადაწყდებოდა. გადაწყდა კიდეც და პოლიტიკური უზნეობაა იმის თქმა, მემორანდუმის არც ერთი საკითხი არ შესრულებულაო. ახლა იმას მეკითხებიან, მზად ვარ თუ არა, გავაგრძელო მოლაპარაკება „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ გენერალური დირექტორის თაობაზე. ათასჯერ ვთქვი და კიდევ ვამბობ, – მზად ვარ, გავაგრძელო კონსულტაციები. მეტიც, ამას წინათ ბატონ ირაკლი ტრიპოლსკის ვთხოვე, ოპოზიციასთან დიალოგი რომ არ შეწყდეს, გაახანგრძლივეთ 10 დღით „მაუწყებლის“ კანდიდატურების განცხადებების მიღება-მეთქი. გთხოვთ გამოითხოვოთ, იმ პირთა გვარებიც, რომლებიც დაკავებული იყვნენ 7 ნოემბრის შემდეგ და გათავისუფლდნენ. ამის შემდეგ რა სინდისით ამბობენ, პატიმრები არ გაუთავისუფლებიათო. ცესკოს საკითხზეც ასევეა, – 15 მარტამდე გვქონდა დრო მოსალაპარაკებლად საარჩევნო კომისიის კონფიგურაციაზე, მათ შორის, ცესკოს თავმჯდომარის შეთანხმებულ კანდიდატურაზე. მზად ვარ, გავაგრძელო დიალოგი, მეტი რა ვქნა?!

– მაგრამ მაჟორიტარი დეპუტატების საკითხი გახდა უკიდურესი უკმაყოფილების მიზეზი.

– ჩვენი ოპონენტებისათვის ყველაფერი უკიდურესი უკმაყოფილების მიზეზია. უკიდურესი უკმაყოფილების საფუძველი გახდება ყველა თემა, რადგანაც სურთ, უკიდურესად გაამწვავონ ვითარება, რადგან საარჩევნო კამპანიის დროს მათ საზოგადოებისთვის ბევრი არაფერი აქვს სათქმელი, – არ აქვთ პროგრამა, ხედვა, როგორ გააკეთონ საქმე უკეთესად, მხოლოდ კრიტიკა, და გინება შეუძლიათ.

– რატომ შეიცვალა მაჟორიტარების არჩევის ოპოზიციასთან შეთანხმებული წესი?

– ეს საკითხი მართლაც შეთანხმებული იყო და ორჯერ გავიტანეთ პარლამენტში კენჭისყრაზე, მაგრამ ოპოზიცია არ მობრძანდა კენჭისყრაზე, მიუხედავად იმისა, რომ პირადად ვთხოვე, მოსულიყვნენ. უმრავლესობის ხმები ამ კენჭისყრას არ ჰყოფნიდა. ოპოზიცია რომ მობრძანებულიყო, ხომ გავიდოდა ეს საკითხი? მეორედ კი, კენჭისყრის წინ, ოპოზიციის ერთ-ერთმა ლიდერმა დამირეკა და მთხოვა, კენჭისყრა არ ჩამეტარებინა. საკითხის განხილვა შევაჩერე, ოპოზიციასა და უმრავლესობას ცალ-ცალკე ვეთათბირე. ვითხოვდი, გვეყარა კენჭი 100:50-ის პრინციპით, მაგრამ ოპოზიციამ უარი თქვა. მათ ან ყველაფერი უნდათ, ან არაფერი. ამის შემდეგ გააქტიურდნენ მაჟორიტარები, ბევრის თანაგრძნობაც მოიპოვეს და საკითხი პარლამენტში გავიდა. ოპოზიციას დიალოგად ის მიაჩნია, თუ ყველაფერზე დაეთანხმები. კიდევ მოვუწოდებ ჩვენს ოპონენტებს, სულ ორი კვირა დაგვრჩა საიმისოდ, რომ საარჩევნო კოდექსში შევიტანოთ ის დებულებები, რომელიც არჩევნებს კიდევ უფრო გამჭვირვალესა და ობიექტურს გახდის.

– ყველაფრის მიუხედავად, მაინც თქვენ ხართ კრიტიკის მთავარი ობიექტი.

– ამას ველოდი. მთავარი სამიზნე საპარლამენტო არჩევნების წინ ოპოზიციისთვის პარლამენტის თავმჯდომარეა. თუ 4

კვირის წინ კონსტრუქციული და პოზიტიური ვიყავი, დღეს მატყუარა, გულქვა, მონსტრი და არაკონსტრუქციული ვარ? დასკვნის გამოტანა თქვენთვის მომინდვია.

– მახსოვს, ერთხანს ოპოზიცია თავის რიგებშიც გეპატიჟებოდათ, ახლა ნამდვილად აღარ ეტყობათ, რომ ამის სურვილი ჰქონდეთ.

– ვინ რას მთავაზობდა, თავიანთ სიებში ლამის პირველ ადგილს თუ მხარდაჭერას, ამაზე აღარ ვილაპარაკებ. ჩემი ოპონენტები რაც უნდა გადავიდნენ ზღვარს, მაინც კორექტული ვიქნები. ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი დამემუქრა, ჩემი ცხოვრების ამოცანა თქვენი პოლიტიკური განადგურებააო. არც ამაში ვხედავ პრობლემას. ამით ის თავის პოლიტიკურ მომავალს ასამარებს, ჩემი დახმარება არ დასჭირდება.

– ქალბატონო ნინო, მართლაც შესაბრალისი არიან „ახალი მემარჯვენეები“, რომლებიც სიცივეში შიმშილობენ, დაწოლის საშუალებაც არ აქვთ.

– ეს ჩემთვისაც მძიმეა და მართლაც მაწუხებს. მძიმეა ჩემთვის, რომ ხალხი პარლამენტის წინ გაცილებით უარეს პირობებში შიმშილობს, ვიდრე „ახალი მემარჯვენეები“. პარლამენტში გათბობა ჯერ კიდევ ჩართულია და არც ისე ცივა. კაცმა, რომელიც შიმშილობას გადაწყვეტს, უნდა იცოდეს, რომ კომფორტულად ვერ იქნება. ბატონი დავითი და მისი ფრაქციის წევრები გაუფრთხილებლად მოვიდნენ ჟურნალისტებთან ერთად. შიმშილობა დაიწყეს და განაცხადეს, იმიტომ ვშიმშილობთ, რომ ბურჯანაძე არ შეგვხვდაო. მათ სინდისზე იყოს. რაკი შეხვედრა მქონდა, დავპირდი, რომ მოგვიანებით შევხვდებოდი. როდესაც ჩემთან მოვიპატიჟე, თქვენთან სალაპარაკოდ კი არა, იმისთვის მოვედით, რომ გვეთქვა, შიმშილობას ვიწყებთო. მიუხედავად ამისა, მაინც მივიწვიე დიალოგის გასამართავად, მაგრამ უშედეგოდ. „ახალმა მემარჯვენეებმა“ სცენა მოაწყვეს, თითქოს ჟურნალისტებთან ურთიერთობის საშუალებას არ აძლევდნენ. არადა, ისინი თავისუფლად დადიოდნენ პარლამენტის შე-

ნობაში და ინტერვიუებს იძლეოდნენ. ის ნაწილი, სადაც ახლა „მემარჯვენეები“ შიმშილობენ, ყოველთვის დახურულია, ვერ შეხვალთ, თუ სპეციალური მოპატიჟება არ გაქვთ. ახლაც ასეა. მაგრამ „მემარჯვენეებს“ იმის ჩვენება უნდათ, რომ მათ ჩაგრავენ და ტანჯულები არიან.

– თუკი ასეა, ალბათ, არ უნდა მიგეცათ იმის თქმის საშუალება, რომ პლედების შემოტანის უფლება არ მოგვცესო?

– არ მინდა მეც პატარა ადამიანი გამოვიდე... იცით, რომ ამ ფლიგელში არავინ შემოდის პალტოთი და ქურთუკით. პარლამენტის მისაღებში პლედების შემოტანა ქვეყნის დიდი სირცხვილია. რატომ იმას არ ამბობენ, რომ საგანგებო განკარგულება გავეცი, ნებისმიერი ტიპის თბილი ტანსაცმელი შემოეტანათ ისე, რომ ჟურნალისტებს არ დაენახათ? შესაძლოა, მეც გაღიზიანებული ვიყავი და ასე არ უნდა მეთქვა, მაგრამ... ან რა სიცივეა პარლამენტში ისეთი, რომ პლედის ნაცვლად პალტოს დაფარება არ ათბობთ? ძალიან ვწუხვარ, რომ ასე ცუდად წარმოაჩინეს ჩემმა კოლეგა „ახალმა მემარჯვენეებმა“ თავი.

– ქალბატონო ნინო, თქვენი კოლეგები შიმშილობის შეწყვეტას არ აპირებენ. აცხადებენ, აქედან საკაცეებით თუ გაგვიყვანენო...

– თქვენ რას მთავაზობთ?

– ისეთ ქმედებას, რაც ვითარებას განმუხტავს, – დათმობას.

– მითხარით, რა უნდა დათმოს ხელისუფლებამ? ჩვენ ვთავაზობთ მემორანდუმის ყველა პუნქტზე მოლაპარაკებას, გარდა მაჟორიტარებისა. ეს ცვლილება უკვე მიღებულია. სხვა საკითხებზე ჩვენ კომპრომისებისთვის მზად ვართ. სხვა რაღა უნდა დავთმოთ? პრეზიდენტი გადადგეს და განმეორებითი არჩევნები ჩავატაროთ? პარლამენტის თავმჯდომარე გადადეგს?

– მაჟორიტარების საკითხის გამოა ოპოზიცია მეტ-ნაკლებად გაღიზიანებული.

– ახლა ამაზე არიან გაღიზიანებული, ორი კვირის მერე სხვა რამეზე გაღიზიანდებიან. ეს მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიაა.

შიმშილობა მიზნის მიღწევის საშუალება არ არის. მხოლოდ ყურადღების მიქცევის საშუალებაა.

– საზოგადოება მეტისმეტად განიცდის ამ პროცესებს.

– მერე, აუხსენით ეს ჩემს ოპონენტებს. ხალხს მართლაც უნდა ვითარების განმუხტვა, არავის უხარია კარვები რუსთაველის პროსპექტზე. მაგრამ იცით, რა არის ჩვენი ზოგიერთი ოპონენტის მიზანი? პირდაპირ მითხრა ერთმა, – ყველაფერს გავაკეთებთ, რომ თავი გაცემინოთო. „ახალმა მემარჯვენეებმაც“ მითხრეს, – ძალით გაგიყვანთ თქვენი მისაღებიდანო. მე კი ვუთხარი, – ასეთ საჩუქარს არ გაგიკეთებთ-მეთქი. გუშინ ჩემი დაცვის წევრი გამოიწვიეს. შეიძლება, პარლამენტარი ეუბნებოდეს პარლამენტის თავმჯდომარის დაცვის წევრს, სარკეში ჩაიხედე, რას ჰგავხარ, ციხეში ამოგალპობო?!

– გამოსავალი ხომ უნდა მოიძებნოს.

– მაჟორიტარების თაობაზე გადაწყვეტილება აღარ გადაიხედება. ახალი საკონსტიტუციო ცვლილებების ინიცირება თუ მოხდება, არჩევნებს მაისში ვეღარ ჩავატარებთ. თავის დროზე, ამ საკითხზე მინდოდა მოლაპარაკება ოპოზიციასთან, მაგრამ პასუხად მივიღე, – არ გვაინტერესებს თქვენთან ლაპარაკი, რაც გინდათ, ის გააკეთეთო. როგორ მოიქცეს ხელისუფლება?! ჩვენმა ოპონენტებმა გადაწყვიტეს, ხელისუფლებას ძალა აჩვენონ და შეაშინონ. არა მგონია, საქართველოში შეშინებული ხელისუფლება უნდოდეს მოსახლეობას. თუ ოპოზიცია მოლაპარაკებებზე არ დათანხმდება, იძულებული გავხდებით, გადაწყვეტილებები ცალმხრივად მივიღოთ. მითხარით, რა გავაკეთო, როდესაც მეორე მხარე არ მელაპარაკება და გადაწყვეტილება მისაღებია? არჩევნები ჩავშალო თუ პასუხისმგებლობა ვიკისრო და გადაწყვეტილება მივიღო? ხელისუფლებას არჩევნების არ ეშინია და ამჯერად ბევრად ნაკლები შენიშვნა იქნება, ვიდრე წინა არჩევნებისას.

– ოპოზიცია თქვენს გადადგომას ითხოვს.

– ისეთი ბრალდებები მოვისმინე, რასაც არც პოლიტიკურად ვიმსახურებდი და არც ადამიანურად. ცხადია, ნაწყენი

ვარ. პოლიტიკაში 15-წლიანი სტაჟის მიუხედავად, ვერ მივეჩვიე იმას, რომ პოლიტიკაში ყოფნის გულისთვის ადამიანმა ყველაფერი იკადროს და ადამიანურ ურთიერთობებს გადააბიჯოს. ჯერ კიდევ ახალარჩეული ვიყავი პარლამენტის თავმჯდომარედ, როდესაც „ახალმა მემარჯვენეებმა“ ჩემი პოლიტიკური იმიჯის დასაკნინებლად დაიწყეს ბრძოლა, მაგრამ ეს დავივიწყე. დათო გამყრელიძე ჩემს გადაგომას 2001 წლიდან ითხოვს და, ეტყობა, მიეჩვია.

კვირის პალიტრა 2008. – 17-23 მარტი. – №11. – გვ. 1-8

ნინო ბურჯანაძე საქართველოდან წასვლას აპირებს

ინტერვიუ პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძესთან

– პარლამენტის შენობასთან კარვები დგას. დღევანდელი გადასახედიდან შეგიძლიათ თქვათ, თუ რა დადებითი და რა უარყოფითი შედეგები მოიტანა ხელისუფლებისა და ოპოზიციის მოლაპარაკებებმა?

– მე ვფიქრობ, რომ მოლაპარაკებებმა თავისი მნიშვნელოვანი საქმე მაინც გააკეთა. იმ პერიოდში, როცა პოლიტიკური ტემპერატურა მართლაც მაღალი და დაძაბული იყო, მე ვფიქრობ, ქვეყანამ ბეწვის ხიდზე გაიარა. მოლაპარაკებებმა არ დაუშვეს სამოქალაქო დაპირისპირება. ეს არ იყო მარტივი პროცესი, მოლაპარაკებები ხან ფარული იყო, ხან ოფიციალური. რთული იყო საერთო ენის მოძებნა. მაგრამ მე არ მინდა, დავუკარგო ოპოზიციას მისი წვლილი ამ მოლაპარაკების დროს. ნამდვილად, ეს იყო ქვეყნის კრიზისიდან სერიოზული გამოსავალი. როცა ვლაპარაკობ ოპოზიციის მაშინდელ პოზიტიურ წვლილზე, ეს ბუნებრივია, რადგან მოლაპარაკებას თუ წარმართავ მხოლოდ მოლაპარაკებისთვის, ამას ვერ ახერხებ. საპრეზიდენტო არჩევნების დასრულების შემდეგ, როცა დასრულებული იყო ინაუგურაცია და გადმოვერთეთ საპარლამენტო არჩევნებზე, ძალიან ბევრი ჩემი ოპონენტი თვლიდა, რომ მოლაპარაკებების პროცესი მათ აზიანებს მოსახლეობის თვალში, ისინი ამას არ მალავდნენ. ოპოზიციის წარმომადგენლები ღიად ამბობდნენ – მათ ამომრჩეველს არ მოსწონს, რომ ისინი სხედან მოლაპარაკების მაგიდასთან და რომ მოსახლეობას უნდა ოპოზიციის ქუჩაში ყოფნა. მე არ ვეთანხმები ამ მოსაზრებას. ძალიან ნათ-

ლად ჩანს, რომ ადამიანებს, პირიქით, უნდათ, რომ გამოსავალი მოიძებნოს და მოიძებნოს სწორედ მოლაპარაკების და არა დაპირისპირების გზით.

– შეცდომა რა იყო?

– ვერ გეტყვით, რა იყო შეცდომა. ალბათ ის, რომ როდესაც ჩვენი ოპონენტები ხედავდნენ, რაღაც საკითხზე შეთანხმება მიღწეულია, ისინი ამ საკითხს უკვე აღარ აყენებდნენ და ყოველთვის ეძებდნენ ახალს. ამოცანა იყო: „ან ყველაფერი, ან არაფერი“. ამ ვითარებაში მოლაპარაკების წარმართვა ძალიან ძნელია ხოლმე.

– თითქოს ყველაფერი ნორმალურად მიდიოდა, თითქოს იყო მოლაპარაკება მომავალი პარლამენტის დაკომპლექტების პრინციპზე (100-პროპორციული, 50-მაჟორიტარი), რაც ორივე მხარისთვის მისაღები იყო. ამის შემდეგ მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. ოპოზიცია ამბობს, რომ ხელისუფლებამ გადათქვა დაპირება. ხელისუფლება პასუხობს, რომ ოპოზიცია არ წაჰყვა ხელისუფლებას მოლაპარაკების საბოლოო გაფორმებაზე, რაზეც თავად ოპოზიცია აცხადებს, რომ ხელისუფლების ნების შემთხვევაში მოლაპარაკებების იურიდიული გაფორმება უმრავლესობას მათ გარეშეც შეეძლო. რამ გამოიწვია ვითარების ასე დაძაბვა?

– თქვენ რაც მოჰყევით, აბსოლუტურად სწორია, მაგრამ გაგახსენებთ წინა პერიოდს, როცა რამდენჯერმე ითქვა, რომ მოლაპარაკება ჩაშლილია; რომ მოლაპარაკებას აზრი არა აქვს; რომ ხელისუფლებამ სიტყვა გატეხა და ჩვეულებრივი ადამიანები დაიბნენ. ადამიანებს ესმოდათ, რომ ხელისუფლებამ პირობა დაარღვია და დიალოგი ჩაშლილია. მე გამოვდიოდი და ვამბობდი, რომ ჩვენ პირობა არ დაგვირღვევია და მზად ვართ დიალოგისთვის. მე ვამბობდი, რომ ჩვენ მზად ვიყავით ტელევიზიის ხელმძღვანელობის საკითხის გადაწყვეტისთვის. უბრალოდ, იყო რაღაც საკითხები. მიუხედავად იმისა, რომ გენერალური დირექტორი გამოვიდა და რამდენჯერმე თქვა, როგორც

კი ბორდი არჩეული იქნება, მივდივარ თანამდებობიდანო, მაინც იყო ჯიუტი მოთხოვნა – გადააყენონ თამარ კინწურაშვილი, გადააყენონ ცესკოს თავმჯდომარე. თავად თარხნიშვილმაც განაცხადა, რომ არ სურს კონსენსუსისთვის ხელის შეშლა და იყო ჩვენი შეთავაზება ოპოზიციისადმი – მოდით, დავილაპარაკოთ შემცვლელ კონკრეტულ კანდიდატურებზე...

– ოპოზიციამ არ შემოგთავაზათ კანდიდატურა?

– ოფიციალურად შემოთავაზება არ ყოფილა. გახმოვანდა ბატონ ვახტანგ ხმალაძის კანდიდატურა, თუმცა ოფიციალური არც ეს ყოფილა. ამის შემდეგ ტელევიზიის საკითხიც გადაწყდა, პატიმრების საკითხიც, თუმცა ოპოზიცია დღესაც ამბობს, რომ პატიმრები გამოშვებული არ არიან...

– არიან გამოშვებული?

– რა თქმა უნდა, მე გვარები შემიძლია ჩამოგითვალოთ, რომლებიც 7 ნოემბრის შემდეგ იყვნენ დაკავებული და გათავისუფლდნენ. იქ 40-კაციანი სია იყო, რომლის ნახევარი ნოემბრის მოვლენებზე ბევრად ადრე იყო დაპატიმრებული. ჩვენი მხრიდან იყო თანამშრომლობის მზადყოფნა, მაგრამ მათი მხრიდან შეიმჩნეოდა თავშეკავება ისევ და ისევ იმ მოსაზრებით, რომ თითქოს მოსახლეობა მათგან ელის მაინცდამაინც ურთიერთობის გამწვავებას. იყო საუბარი 100-50-ზე პრინციპის კენჭისყრაზე. მე არაერთხელ მოვუწოდე მათ, ვთხოვე, მოსულიყვნენ სხდომათა დარბაზში. ძალიან ადვილია იმის დათვლა, გვქონდა თუ არა ჩვენ მაშინ საკონსტიტუციო უმრავლესობა. მაშინ მაჟორიტარების დიდი ნაწილი ჩვენ არ გვიჭერდა მხარს. არიან მაჟორიტარები, რომლებიც მართლა კარგად თანამშრომლობდნენ მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენთან, მაგრამ არიან მაჟორიტარები, რომლებსაც არ გააჩნიათ ჩვენდამი განსაკუთრებით თბილი გრძნობები. ეს ადამიანები არ უჭერდნენ მხარს საკონსტიტუციო ცვლილებებს. მათთვის ამ ცვლილებებით იკარგებოდა პარლამენტში მოხვედრის მცირე შანსიც კი. ამიტომ იყო აუცილებელი, უმრავლესობას შემომატებოდა ოპოზიცია.

– ანუ თქვენ რომ ხმები არ დაგკლებოდათ საკონსტიტუციო ცვლილებისათვის?

– დიახ. მე მათ დავუთვალე და ვაჩვენე ჩვენს ოპონენტებს, რომ მათ გარეშე გადაწყვეტილებას ვერ მივიღებდით. ისინი მოვიდნენ მეორე კენჭისყრის დროს. წინა საღამოს მართლა იყო დავა სიტყვა „პროპორციულის“ დაწერაზე, მაგრამ ჩემი წინადადება იყო, თავი დაგვენებებინა დეტალებისთვის და კენჭი გვეყარა ძირითადისთვის – 100-50 პრინციპისთვის. ჩვენ შევთანხმდით, რომ მეორე დღეს უნდა ჩაგვეტარებინა კენჭისყრა, მაგრამ გაისმა ზარი ჩემი ოპონენტებისგან და მთხოვეს, რომ არავითარ შემთხვევაში არ გვეყარა კენჭი, სანამ საბოლოოდ არ დაზუსტდებოდა პროპორციული სისტემის დეტალები.

– ვინ დაგირეკათ?

– თვითონ იტყვიან, თუ საჭიროდ ჩათვლიან. მე ბევრი უსამართლობის მიუხედავად ვინარჩუნებ ამ კაბინეტში მიღწეულ კონფიდენციალობას. მე გავიყვანე უმრავლესობაც და ოპოზიციაც სხდომათა დარბაზის გვერდით და რამდენჯერმე ვთქვი, რომ ვუყაროთ კენჭი, წინააღმდეგ შემთხვევაში მოვლენები სხვაგვარად განვითარდებოდა, რადგან მაჟორიტარებს მოძრაობა უკვე დაწყებული ჰქონდათ.

– უცნაურია, ასე რატომ გულშემატკივრობდით ოპოზიციას?

– ეს არ იყო ოპოზიციის გულშემატკივრობა. მე მიმაჩნდა, რომ სისტემა 100-50-ზე მისაღები იყო...

– დღესაც იგივე განწყობა გაქვთ?

– იცით, ორმაგი განწყობა მაქვს. ერთი მხრივ, მიმაჩნია, რომ ცუდი არ არის, კარგიცაა, როცა ყველა რაიონს თავისი დეპუტატი ჰყავს, მაგრამ ის, რომ 25 კაცით შემცირდა პროპორციული სია, მე ნამდვილად მიქმნის დისკომფორტს. მნიშვნელოვანია, რომ პარლამენტში არსებობდეს პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლობა. გარდა ამისა, რადგან ამდენი ხნის განმავლობაში საუბარი იყო 100-50-ზე, მე ვფიქრობდი, რომ ამის შეცვლას შეეძლო გამოეწვია ვითარების დაძაბვა. ბუნებრივია, დაინტერე-

სებული ვიყავი, რომ რაც შეიძლება სწრაფად დაგვეხურა ყველა ის კარი, რომლებიც პრობლემებს წარმოქმნიდა ამ გზაზე. ამიტომ მინდოდა, დროზე დაგვემთავრებინა მოლაპარაკება, მაგრამ არ მოგვცეს ხმა.

– ე. ი. დღეს მოწინააღმდეგეებში გყავთ არა მარტო ოპოზიციის დეპუტატები, არამედ მაჟორიტარებიც?

– საერთოდ, ასეა ხოლმე, გამშველებელს უფრო მეტი პრობლემა ექმნება.

– მოლაპარაკებების მოთავეობა თქვენი ინიციატივა იყო, თუ გუნდის გადაწყვეტილებას ასრულებდით?

– ამ პერიოდის განმავლობაში მე ყოველთვის ვცდილობდი, მოლაპარაკებების გზით მოგვარებულიყო პარლამენტში გაჩენილი პრობლემები. ეს ჩემი, როგორც პარლამენტის თავმჯდომარის ფუნქციაა. პარლამენტი ის ორგანოა, სადაც უნდა მოისმინო მომხრის და მოწინააღმდეგის აზრი და შეეცადო მათი პოზიციების დაახლოებას.

– ე. ი. არ ნანობთ, რომ სათავეში ჩაუდექით ამ მოლაპარაკებებს?

– მე მიმაჩნია, რომ ეს მოლაპარაკებები ერთ-ერთი პოზიტივია ჩემს პოლიტიკურ კარიერაში და, მიუხედავად ლანძღვა-გინებისა, იმედი მაქვს და დარწმუნებული ვარ, საზოგადოება სწორ შეფასებას აკეთებს, თუ რა როლი ითამაშა ბურჯანაძის მომლაპარაკებლობამ ნოემბრიდან მოყოლებული დღემდე.

– ამას ოპოზიციაც გიფასებდათ, მაგრამ შემდეგ ვითარება დაიძაბა. „მემარჯვენეებთან“ რაიმე პიროვნული გაუგებრობა ხომ არ იყო და ამან ხომ არ გამოიწვია მათი მხრიდან პარლამენტის თავმჯდომარის გადაყენების მოთხოვნა?

– მე მეგონა, რომ არავითარი პირადი არ იქნებოდა. მართალია, პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნები „მემარჯვენეების“ შეტევით დაიწყო. სერიოზული პოლიტიკური შოკი სწორედ მაშინ მივიღე. ბატონ გამყრელიძესთან და გაჩეჩილაძესთან ჯერ კიდევ მოქალაქეთა კავშირის საერთო წარსულიდან გამომდინარე, კარგი ურთიერთობა მქონდა. თითქმის ერთადერთი ადა-

მიანი ვიყავი, რომელიც არ გავემიჯნე და ურთიერთობა არ შემიწყვეტია მათი მხრიდან სმკ-ის ფრაქციის დატოვების შემდეგ. 2001 წლის სირთულეები და მათი არაკორექტული საქციელი წყენად არ ჩამიდია. ამის შემდეგ ნორმალურად ვთანამშრომლობდით. მე არ ვიცი, რამ გამოიწვია გართულება. თავისთავად ის ფაქტი, რომ ახლებმა გადაწყვიტეს ჩემს მისაღებში დაეწყოთ შიმშილობა ისე, რომ ამის თაობაზე ჩემთვის წინასწარ ორი სიტყვით მაინც არ ეთქვათ, ვთვლი, რომ ძალიან არაკორექტულია მათი მხრიდან. ჩვენ ნამდვილად გვქონდა ისეთი პოლიტიკური, კოლეგიალური და ადამიანური ურთიერთობები, რომ ადამიანი არ ჩააყენო ასეთ მდგომარეობაში და როგორც მინიმუმ უთხრა, რატომ იღებ ამ გადაწყვეტილებას.

– ამის გამო იყო, რომ არ შესულხართ და არ მოგინახულებიათ მოშიმშილეები? იქნებ უკეთესი ყოფილიყო, შესულიყავით და მოგენახულებინათ, მიუხედავად იმისა, რომ მოწინააღმდეგეები იყვნენ?

– თქვენ, როგორც ჩანს, არ ხართ ინფორმირებული. როცა ისინი მოვიდნენ, ფაქტის წინაშე დამაყენეს და განმიცხადეს, რომ ჟურნალისტებთან ერთად უნდა შემოვიდნენ ჩემს სამუშაო ოთახში. მე მგონი, ეს არ არის ნორმალური ფორმა პარლამენტის თავმჯდომარესთან და კოლეგასთან ურთიერთობისთვის. მე მათ შევთავაზე, რომ ბიუროს სხდომის შემდეგ მზად ვიყავი მათთან შესახვედრად. როგორც კი ბიურო დამთავრდა, 4 საათზე ისინი უკვე აქ ისხდნენ. მე შევთავაზე შემობრძანებულიყვნენ და გვესაუბრა. ამაზე მივიღე პასუხი – „ჩვენ თქვენთან არაფერი სასაუბრო არა გვაქვს“, რომ „მოვდიოდით, მხოლოდ იმიტომ, რომ გვეთქვა – შიმშილობას ვიწყებთ თქვენს მისაღებში“. მე შევეცადე, ცოტა იუმორი გამერია, ცოტა ირონია, ცოტა შევარცხვინე, რომ არასწორია ეს სვლა და საჭიროა გამოსავლის ძებნა, მანამ სანამ ცოტა არასასიამოვნო საუბარი არ შედგა ჩემსა და დავით გამყრელიძეს შორის. მე გავდიოდი და ვესაუბრებოდი მათ, შემომყავდა ჩემს კაბინეტში და დიალოგი მიმდინარეობდა.

– ეს ისტორია გასაგებია, მაგრამ თქვენ არ თქვით მიზეზი; მიზეზი კი, მგონი, უფრო პიროვნული წყენა იყო...

– ვერ გეტყვით. როგორც ჩანს, „ახალმა მემარჯვენეებმა“ დაინახეს, რომ მათი რეიტინგი მაღალი არ არის და გადაწყვიტეს, რომ ვინაიდან მათი და საპარლამენტო არჩევნებისთვის მთლიანად ოპოზიციის მთავარი მეტოქე არის ნინო ბურჯანაძე, გადაწყვიტეს, სწორედ ბურჯანაძეზე მიეტანათ იერიში.

– პირდაპირ სააკაშვილზე რომ მიეტანათ იერიში, უფრო ლოგიკური არ იქნებოდა?

– სააკაშვილი, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პრეზიდენტია, არ არის მთავარი მეტოქე საპარლამენტო არჩევნებში. ის მთავარი მეტოქე საპრეზიდენტო არჩევნებზე იყო და მაშინ ყველა დარტყმა მასზე მიდიოდა, ხოლო ოპოზიცია ცდილობდა, ბურჯანაძესთან კონსტრუქციული ურთიერთობა შეენარჩუნებინა. ის ბრალდებები, რომლებიც ჩემს წინააღმდეგ გაახმოვანა ოპოზიციის ნაწილმა, პოლიტიკურად არ არის მათთვის მომგებიანი, რადგან მოსახლეობა შესანიშნავად აკეთებს მოვლენების ანალიზს. შეიძლება ოპოზიციის ზოგიერთი ლიდერის მხრიდან იყო რამე პიროვნული მომენტები, თუმცა ეს ზედაპირზე არ იყო და ვერ გეტყვით. მე ვთვლი, რომ ეს არასწორი გადაწყვეტილება იყო პოლიტიკურად, თორემ ადამიანურად არასწორი და არაეთიკური რომ იყო, ამაზე არ ვილაპარაკებ.

– არის აზრი, რომ მოსახლეობა ოპოზიციისგან ითხოვდა მეტ რადიკალიზმს და უფრო გამარტივებულ და გასაგებ მოთხოვნებს. საზოგადოება მაქსიმალისტია და ამ შემთხვევაში მოსახლეობის თითქმის ნახევარი მომხრეა, დადგეს ქვეყნის პირველი პირის გადაყენების საკითხი და სანამ ეს რადიკალური მოთხოვნა არ დგას, ხალხიც არ აქტიურობს საპროტესტო აქციებში და მუხტიც დაკარგულია. თვლით, რომ ამ მუხტის დავარდნა რადიკალიზმის დეფიციტის ბრალია?

– არა, ამას ნამდვილად არ ვუშვებ. მე ნამდვილად შემიძლია გითხრათ, ადამიანებს არ უნდათ რადიკალიზმი და ქვე-

ყანაში არეულობა და დესტაბილიზაცია. რადიკალიზმი ძალიან ახლოს არის დესტაბილიზაციასთან. ვითარების რადიკალიზაციისას სერიოზული საფრთხეა, რომ ქვეყანაში იყოს არასტაბილურობა და თავზე ჩამოგვემხოს ეს ნალოლიავები სახელმწიფო. მოსახლეობა იყო გარკვეულად რადიკალური, რაც რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. მე არ ვფარავ, რომ ამის მიზეზი ცალკეულ შემთხვევებში ხელისუფლების სიხისტე და შეცდომები იყო. თუმცა მოსახლეობამ კარგად დაინახა, რომ გაკეთდა უფრო მეტი, ვიდრე სიხისტე. ამან განაპირობა ის, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში მოსახლეობამ მხარი დაუჭირა მიხეილ სააკაშვილს, იმიტომ რომ...

– ქალბატონო ნინო, სააკაშვილმა თბილისში წააგო არჩევნები...

– თბილისის ცალკეულ რაიონებში...

– მან მხოლოდ ერთ რაიონში მოიგო...

– გასაგებია, მაგრამ ჩემი უდიდესი პატივისცემის მიუხედავად, არც მხოლოდ თბილისი, არც მხოლოდ კახეთი და არც მხოლოდ იმერეთი არ წყვეტს არჩევნების შედეგებს.

– არსებობს აზრი, რომ არჩევნებისას საქართველოს დიდ ქალაქებში სააკაშვილის არცთუ სახარბიელო შედეგები განაპირობა ინტერნეტის არსებობამ და ინფორმაციის ხელმისაწვდომობამ...

– დიდი ქალაქები უფრო პოლიტიზირებულია. ბუნებრივია, დედაქალაქში პოლიტიკური მუხტი უფრო მეტია და ემოციაც მეტია, ვიდრე რეგიონებში, სადაც ადამიანები უფრო ნათლად ხედავენ ხელისუფლების მცირე, მაგრამ კეთილდღეობისთვის გადადგმულ ნაბიჯებს.

– სამაგიეროდ, ამავე რეგიონებში უფრო მარტივია, ხელისუფლებამ თავისი ბერკეტები გამოიყენოს არჩევნებზე ზეწოლისას...

– მე ნამდვილად შემიძლია გითხრათ, რომ ჩვენ მაქსიმალურად შევეცდებით სამართლიანი და გამჭვირვალე არჩევნების

ჩატარებას. ყველა შემდგომი არჩევნები უკეთესი და უკეთესი უნდა იყოს. ჩვენ საქართველოში ვერ ვიტყვით, რომ როგორიც არ უნდა იყოს ხელისუფლების ნება, იდეალური არჩევნები ჩატარდება, მაგრამ ჩვენი ამოცანა ხარვეზების მინიმუმამდე დაყვანაა. თუ ხელისუფლება და ოპოზიცია ამ საკითხში ერთიანნი იქნებიან, მაშინ სერიოზული შედეგების მიღწევა შეიძლება. შეიძლება შევთანხმდეთ პოლიტიკური ბრძოლის პრინციპებზე და ელემენტარულ კოდექსზე. უნდა შევთანხმდეთ, რა მეთოდების გამოყენება შეიძლება და რისი-არა. მე, მართალია, პარლამენტის თავმჯდომარე ვარ, მაგრამ პირველ ყოვლისა, ადამიანი ვარ, ადამიანი, რომელსაც ჩემს მიერ პრეზიდენტის მოვალეობის შესრულების დროს ღამის სამ საათზე მირეკავდა ერთ-ერთი ოპოზიციონერი ამა თუ იმ პრობლემაზე. მე ვიყავი მისი თანაპარტიელების იმედი და მართლაც ბევრი პრობლემა მოვაგვარე. დღეს, როცა იგივე ადამიანი გამოვა და ძალიან არაკორექტული სიტყვებით მოგიხსენიებს, როგორც პოლიტიკოსს, ადამიანურად ეს ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია.

– დავუბრუნდეთ მოსახლეობაში რადიკალიზმის მოთხოვნილებას...

– მოსახლეობას არ უნდა რადიკალიზმი. ის ფაქტი, რომ ჩვენი ოპონენტების რაოდენობა შემცირდა, იმით არ არის განპირობებული, რომ ოპოზიცია ნაკლებად რადიკალურია. არ არის ნაკლებად რადიკალური. მათ პროტესტის უკიდურეს ფორმას, შიმშილობას მიმართეს, მაგრამ მხარდაჭერა არ არის დიდი, ჯერ ერთი იმიტომ, რომ მოსახლეობამ ვერ გაიგო, რას ითხოვს პარლამენტი, რადგან ყველა სხვადასხვას ითხოვს, დაწყებული პრეზიდენტის გადადგომით და დასრულებული ცესკოს შემადგენლობით, და მეორე: ადამიანებმა დაინახეს, რომ ეს არის ხელოვნურად გამწვავებული ვითარება. არჩევნებამდე ორი თვე რჩება და ყველას გვაქვს შანსი, ჩვენი თავი გამოვაჩინოთ. არჩევნები არ გაყალბდება.

– თუ ოპოზიციის მომხრეების რიგები შემცირებულია, რატომღა გააკეთეთ განცხადება, რომ იფიქრებთ გადადგომაზე, თუ ოპოზიცია მოხსნის თავის მოთხოვნებს?

– ეს არ იყო ოფიციალური განცხადება. ნათქვამი იყო, რომ თუ ჩემი გადადგომა ქვეყნის სტაბილურობისთვის მნიშვნელოვანია, უფრო მეტიც: თუ ჩემი ქვეყანაში ყოფნა უქმნის პრობლემას სახელმწიფოს, საერთოდ წავიდოდი ამ ქვეყნიდან. მაგრამ როცა ეს ასე არ არის და როცა ვიღაცა გადაწყვეტს, უცებ იპოვოს გამოსავალი შიმშილობის შესაწყვეტად და დააყენებს პარლამენტის თავმჯდომარის გადადგომის საკითხს, თან როცა ეს გათვლილია ნინო ბურჯანაძეზე, რომლისთვისაც ძალიან მტკივნეულია, როცა ვინმე შიმშილობს მისაღებში, ეს იყო გათვლილი ჩემს ფსიქოლოგიურ ზეწოლაზე. მე არაფერი გამიკეთებია მცირედიც კი, რომ ჩემი გადადგომის მოთხოვნის საფუძველი მიმეცა ვინმესთვის, პირიქით, მე ვთვლი, რომ ბევრი რამ გავაკეთე ამ თანამდებობაზე ქვეყნის დემოკრატიულობისა და განვითარებისათვის. მე არ ვამბობ, რომ ყველაფერი გამომივიდა, მაგრამ ქვეყანაში არსებულ სასიკეთო ძვრებში ჩემი დიდი წვლილიც არის.

– არ გიფიქრიათ, ჩასულიყავით პარლამენტთან მყოფ მოშიმშილეებთან?

– მე მაქვს მათთან კონტაქტები და მაქვს მოლაპარაკებები, როგორც თავად ხუმრობით ამბობენ, მოშიმშილეთა ქვედა და ზედა პალატასთანაც. არა მგონია, რომ ჩემი, მით უმეტეს, ქალის ჩასვლა კარვებში, სადაც მამაკაცები შიმშილობენ, მაინცდამაინც სწორი ფორმა იყოს. უფრო გამართლებულად მიმაჩნია, როცა მე დავპატიჟე ისინი მოლაპარაკებებზე. მე არასწორად მიმაჩნია ეს აქციები და ვფიქრობ, რომ საქართველოს მოსახლეობა იმსახურებს ქვეყანაში მაღალ პოლიტიკურ კულტურას. ყველაზე რადიკალურ ადამიანსაც კი არ მოსწონს, რომ ისევ კარვები და ისევ შიმშილობაა, როცა მოლაპარაკებებისთვის პირობები ნამდვილად იყო დარჩენილი. დღეს ოპოზიცია საუბრობს ყველა იმ

საკითხზე, რომელზეც ბოლო თვეების განმავლობაში მე ვესაუბრებოდი. 2-3 მარტს, როცა მე შევხვდი ოპოზიციას, ჩამოვუთვალე საკითხები, რომლებიც ღია იყო მოლაპარაკებისთვის, ოპოზიციამ კი ამას კარის მოჯახუნებით უპასუხა. არ შეიძლება ადამიანის ნერვებზე თამაში. დღეს ჩვენ ვთამაშობთ ჩვენი მოსახლეობის ნერვებზე.

– არის მოლაპარაკების განახლების შანსი?

– მე ვფიქრობ, რომ ამის შანსი ნამდვილად არის, იმიტომ რომ ჩვენი მხრიდან არის მზადყოფნა ძალიან ბევრ თემაზე სასაუბროდ.

– პარლამენტის დაკომპლექტების პრინციპზე შეიძლება მოლაპარაკებების განახლება?

– ეს ძალიან რთული შესაცვლელია. გუშინ პრეზიდენტმაც აღნიშნა და ყველამ ვიცით, რომ ეს ფაქტიურად შეუძლებელია, ძალიან სერიოზული პრობლემაა, მაგრამ ოპოზიცია თუ იქნებოდა სრულიად ერთიანი ამ მოთხოვნაში, შეიძლებოდა დაწყებულიყო რაღაც გზების ძიება გამოსავლის სანახავად. მაგრამ თავად ოპოზიციასაც აქვს განსხვავებული მოსაზრებები: მათი ნაწილი ეთანხმება ცვლილებებს, ნაწილი – არა. ამიტომ ვფიქრობ, რომ ალბათ ეს საკითხი უნდა დაიხუროს. მაგრამ არის სხვა ძალიან მნიშვნელოვანი თემები – საარჩევნო კოდექსი, საარჩევნო კომისიები, დავების განხილვა – ეს არის საკითხები, რომლებზეც შეგვიძლია მოვილაპარაკოთ.

– მოიგებს თუ წააგებს მმართველი პარტია, თუკი ახლებმა და გაერთიანებულმა ოპოზიციამ გადაწყვიტეს, მიუერთდნენ ლეიბორისტების შემოთავაზებას, ერთობლივად გამოუცხადონ ბოიკოტი საპარლამენტო არჩევნებს?

– ამ შემთხვევაში წააგებს ქვეყანა. არჩევნებისთვის ბოიკოტის გამოცხადების საფუძველი არ არსებობს. რატომ უნდა გამოუცხადონ ბოიკოტი?

– მაგალითად, იმიტომ რომ არ ენდობიან არჩევნების სამართლიანობას...

– ამის მერე უფრო მეტი ნდობა გაჩნდება? როგორ წარმოგიდგენიათ, რომ ამ ფონზე ჩვენ არჩევნები გავაყალბოთ, ძალიანაც რომ გვინდოდეს. ეს ხომ მართლა გამოიწვევს ქვეყანაში უზარმაზარ არეულობას! გაყალბება რომ გვდომებოდა, სააკაშვილს არჩევნებზე მინიმუმ 5%-ს ვერ მოვუმატებდით?

– მაგრამ მაგ შემთხვევაში არანაირი გარანტია არ იქნებოდა იმის, რომ არ განმეორებულიყო ერევნის ტრაგედია თბილისში...

– ამის გარანტია ის იყო, რომ ხელისუფლება ერთმნიშვნელოვნად თვლიდა, არჩევნები არ უნდა გაყალბებულიყო და მშვიდობიანად უნდა გადაგველახა ის დაძაბული პერიოდი. ჩემთვის ის თვეები უმძიმესი იყო, აღარაფერს ვამბობ ნოემბერზე. და ეს დაძაბულობა მქონდა მანამ, სანამ არ დავინახე, რომ ჩვენ გავიარეთ ბეწვის ხიდი. ის, რომ არ მოხდა ტრაგედია, არ მომხდარა ისე. ჩვენ დაგვჭირდა დიდი ძალისხმევის შენარჩუნება.

– თუმცა აღიარეთ, რომ არანაკლები დამსახურება აქვს ხალხს, რომელსაც ხელკეტებითა და რეზინის ტყვიებით ებრძოდნენ, მათ კი არ დაუწყიათ არც მანქანების მტვრევა და არც მაღაზიების ძარცვა, რაც მოხდა ერევანში.

– მოსახლეობამ ნამდვილად გამოიჩინა მაღალი კულტურა. მნიშვნელოვანი იყო ის, რომ ადამიანებს მაინც ეყოთ უნარი, დაენახათ, რა იყო მთავარი ამ ქვეყანაში, მივიდნენ არჩევნებზეც და არჩევნების შემდეგაც. იმ ადამიანებმა, ვინც არ იყვნენ შედეგით კმაყოფილი, არ გაამწვავეს ვითარება. ეს ნამდვილად დასაფასებელია. კარგი იქნება, თუ ჩვენი ოპონენტი პოლიტიკური ძალები ამას დაინახავენ და სწორ დასკვნებს გააკეთებენ.

– ეთანხმებით აზრს, რომ საკანონმდებლო ხელისუფლება ვერ უწევს შესაბამის კონკურენციას და ოპონირებას მთავრობას?

– მე შორს ვარ იმ აზრისგან, რომ პარლამენტი ისეთი ძლიერია, როგორიც უნდა იყოს, იმიტომ რომ პარლამენტის სიძლიერეს სერიოზული ტრადიციები სჭირდება. ჩვენ ეს ტრადიციები არა გვაქვს.

– მაგრამ ხომ შეიძლებოდა შეწინააღმდეგებოდით 2004 წლის თებერვალში კონსტიტუციაში იმ ცვლილებების შეტანას,

რომლებმაც შეასუსტეს პარლამენტი? მე არ მახსოვს, თქვენ აქტიურად გაგეპროტესტებინათ ეს არადემოკრატიული ნაბიჯი.

– რას ამბობთ, რა არ გახსოვთ, ძალიანაც ვაპროტესტებდი და მიმაჩნდა, რომ ბევრი რამ, რაც შეიცვალა, შეიძლებოდა სხვაგვარად ყოფილიყო. ეს კარგად ახსოვთ ჩემს დღევანდელ ოპონენტებსაც, მათ შორის რესპუბლიკელებსაც, თუმცა პარლამენტის დასუსტება მხოლოდ კონსტიტუციური დასუსტება არ არის. ოპოზიცია ბოლო პერიოდამდე საკმაოდ სუსტი იყო.

– 2003-ში ხომ იყო პარლამენტი ძლიერი?

– 2003-ში აღმასრულებელი ხელისუფლება იყო ძალიან სუსტი, ძალიან არაპოპულარული, პრეზიდენტის მეთაურობით. ოპოზიციაში კი იყო ახალგაზრდა, დემოკრატიულად განწყობილი ჯგუფი, რომელიც ნათლად და კარგად აყალიბებდა თავის მოსაზრებებს, თუ რა უნდოდა.

– ეს ოჯახის ვარიანტს ჰგავს, როცა ქალს პირველი ქმარი სუსტი და უუნარო ჰყავს და ქალი თავის პირობებს უყენებს მას. მაგრამ, როცა მეორე ქმარი ძლიერი და ძალაუფლების მოყვარულია, ქალი აღარ ცდილობს პირობების დაყენებას და მორჩილი ხდება. სხვაობა ის არის, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების პარიტეტი უფლება კი არა, კონსტიტუციით გაწერილი მოვალეობაა.

– მაგაზე არ არის. პარლამენტს აკრიტიკებენ იმიტომ, რომ არ იყო ძალიან კრიტიკული აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ.

– კრიტიკა ზოგჯერ საერთოდ არ იყო.

– ეს არ ჩანდა გარედან. შიგნით ძალიან სერიოზული ბრძოლები იყო ცალკეულ კანონპროექტებთან დაკავშირებით, მაგრამ ეს ხდებოდა გუნდში. თუ ნახავთ მიღებულ კანონებს, დაინახავთ, რომ ბევრი რამ რადიკალურად იყო შეცვლილი. მთავრობის კრიტიკის ამოცანა აქვს ოპოზიციას, უმრავლესობას კი ევალება, დაიცვას თავისი მთავრობა. მაგრამ თუ შენიშვნაა მისაცემი, მისცეს არა სახალხოდ, არამედ შიგნით. თქვენ ოჯა-

ხის მაგალითი მოიყვანეთ და გეტყვით, არის რაღაც, რაც ჩემი შვილების არ მომწონს. მე შევეცდები, მან ეს გამოასწოროს, მაგრამ მაინცდამაინც არ გადმოვდგები აივანზე და მეზობლების გასაგონად არ დავიძახებ, რომ ჩემი შვილი ცუდად მოიქცა. ვინმემ შეამჩნია, რომ მთავრობიდან ეროვნული ბანკის შესახებ შემოსული კანონპროექტი რადიკალურად შეიცვალა მთელი რიგი მიმართულებებით? შეამჩნიეთ? უფრო პოპულარული იყო იმის თქმა, რომ პარლამენტი არაფერს აკეთებს. სამართლიანი იქნებოდა ისევე გვეკრიტიკებინა ეს მთავრობა, როგორც ვაკრიტიკებდით შევარდნაძის მთავრობას?

– კი მაგრამ, რატომ არ გირჩევნიათ, პარლამენტმა ღიად იდავოთ მთავრობასთან, რაც უფრო საინტერესო შეიძლება იყოს, ვიდრე თქვენი და ოპოზიციის ურთიერთბრალდებები? მოსახლეობას ხომ სოციალური საკითხები უფრო ადარდებს! გადაგეტანათ ეს პიართამაში თქვენს მოედანზე და გეთამაშათ მთავრობას და პარლამენტს!

– როცა იყო ირაკლი კოვზანაძის საინტერესო მოხსენება ლარის კურსზე, გაამახვილა ვინმემ ამაზე ყურადღება? არ იყო. მეტი ანალიტიკური სტატიაა საჭირო, თუმცა მე შორს ვარ იმისგან, რომ ჭკუა დავარიგო მედიას.

– ეროვნული ბანკის შესახებ კანონის მეორედ მოსმენაზე გატანისას თქვენ არ იყავით საქართველოში. თქვენთან ერთად იყო კოვზანაძეც, მაშინ როცა ის იყო მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი ოპონენტი. დამრჩა შთაბეჭდილება, რომ ორივემ თავი აარიდეთ ღია დებატებს პრემიერთან.

– არასწორი შთაბეჭდილება დაგრჩენიათ და გეტყვით, რატომ. ამ კანონპროექტთან დაკავშირებით ჩვენ, ბატონ მაჭავარიანს, ბატონ კოვზანაძეს, მე, რამდენიმე სხვა ადამიანს გვქონდა ძალიან სერიოზული შენიშვნები. მეორე მოსმენაზე გამოტანილი იყო მეორე ნაწილი, რაც პრობლემას არ წარმოადგენდა, მაგრამ მუხლები, რომლებიც არ იყო საბოლოოდ შეთანხმებული, ბატონმა მიხეილ მაჭავარიანმა გადაიტანა სწორედ იმიტომ, რომ მე

და ბატონი კოვზანაძე არ ვიყავით საქართველოში. აქ არანაირი წყალქვეშა დინებები არ იყო. ჩემი ჩამოსვლის შემდეგ შედგა ჩემი შეხვედრა ბატონ გურგენიძესთან. ჩვენ დავაზუსტეთ ის მუხლები, რომლებიც გვაინტერესებდა და მიგვაჩნდა, რომ მნიშვნელოვანი იყო ეროვნული ბანკის დამოუკიდებლობისთვის და მესამე მოსმენისას ეს მუხლები გავიდა ისე, როგორც ჩვენ მიგვაჩნდა, რომ უნდა გასულიყო, ანუ ეს იყო ტექნიკური, მუშა პროცესი და არაფერი სხვა.

– აღმასრულებელმა ხელისუფლებამ ვერ შეძლო ეროვნული ბანკის დამორჩილება?

– ვერა.

– ანუ თქვენ გაიმარჯვეთ?

– არა, მე ვფიქრობ, რომ გაიმარჯვა პარლამენტმა, როგორც ინსტიტუტმა, რადგან მიმაჩნია, რომ ეროვნული ბანკი უნდა იყოს აბსოლუტურად დამოუკიდებელი მთავრობისგან. ამის საკანონმდებლო გარანტიები ნამდვილად არსებობს. მნიშვნელოვანი იქნება, რომ ბანკმა სწორი და დამოუკიდებელი პოლიტიკა წარმართოს.

– ბოლო კითხვა მაპ-ის მიღებას ეხება. ჩვენ ხომ ვიცოდით, რომ ევროპის ბევრ სახელმწიფოსთან პრობლემა შეგვექმნებოდა მაპ-ზე თანხმობის მიღებაში. რა საჭირო იყო ამ თემის გაპიარება, რასაც დღეს შეიძლება მოსახლეობაში დიდი მოლოდინის შემდეგ დიდი იმედგაცრუება მოჰყვეს ევროკავშირის მიმართ?

– ჩვენ არასდროს დაგვიმალავს, რომ არიან ქვეყნები, რომლებიც სკეპტიკურად უყურებენ საქართველოსთვის ამ ეტაპზე მაპ-ის მინიჭებას და არიან ქვეყნები, რომლებიც რაღაცას უწევენ ანგარიშს და პრაგმატულად არ უჭერენ მხარს საქართველოს. ჩემი ბოლო ვიზიტისას ბრიუსელში, როცა მე შევხვდი კონდოლიზა რაისს, იაპ დე ჰოოპ სხეფერს და სხვადასხვა მაღალჩინოსანს, ნამდვილად დამრჩა იმის შთაბეჭდილება, რომ ჩვენ ძალიან ახლოს ვართ მაპთან. მე არსად მითქვამს, რომ

ბუდაპეშტში მაპ-ის მიღების ასპროცენტიანი გარანტიაა, მაგრამ ამის დიდი შანსები არსებობს. თუმცა, პოლიტიკურმა კონიუნქტურამ შეიძლება გარკვეული გავლენა მოახდინოს სახელმწიფოებზე და მათ ცოტა გაგვიხანგრძლივონ მაპ-ის მიღება. ის ფაქტი, რომ ქვეყნების უმრავლესობა მხარს უჭერს საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭებას, საქართველოს დიდი გამარჯვებაა. არ მგონია, რომ ჩვენს მოსახლეობას სკეპტიციზმი გაუჩნდეს აშშ-ის ან ევროკავშირის მიმართ. ევროკავშირში ძალიან კარგი მოლაპარაკებები მქონდა ვიზების გამარტივების რეჟიმზე, რაც ჩვენი სტუდენტებისათვის მნიშვნელოვანი შეღავათი იქნება. იყო მოლაპარაკებები თავისუფალი ვაჭრობის შემოღებისთვის, რაც ასევე მნიშვნელოვანია. თუ უფრო ხმამაღალი მხარდაჭერა გვინდა, ვიდრე არის, ესეც ბუნებრივია.

– ევროპის ზოგიერთი ქვეყნის პრაგმატული პასიურობა, წესით, უნდა გვიბიძგებდეს ამ პრაგმატიზმის მთავარ მიზეზთან – რუსეთთან ურთიერთობების გააქტიურებას...

– ჩვენი პოლიტიკა ყველა შემთხვევაში უნდა იყოს მაქსიმალურად მოქნილი.

– არის?

– ყოველთვის – არა, თუმცა ვერ იქნება, როცა რუსეთის სათათბირო იხილავს საკითხს აფხაზეთის, სამაჩაბლოს დამოუკიდებლობაზე, ძალიან ძნელია, რომ მოქნილი იყოს. ეს არის თემა, რომელზეც შეუძლებელია კომპრომისები. როდესაც საუბარია ნატოში არშესვლაზე, აქაც შეუძლებელია, რომ არ იყო ხისტი, რადგან ხელისუფლებასაც, ოპოზიციის უმრავლესობასაც და მოსახლეობასაც მიაჩნია, რომ ნატო საქართველოს მნიშვნელოვანი ნავსაყუდელია. მაგრამ როცა გეუბნებიან, ნატოში საქართველოს შესვლა არ დაემუქროს რუსეთის უსაფრთხოებასო, აქ ჩვენ ამ მოთხოვნასთან სოლიდარული ვიქნებით. მაგრამ ჩვენ მათ უსაფრთხოებას არ ხელვყოფთ. თუ გერმანიის ან პოლონეთის წევრობა არ უქმნის საფრთხეს რუსეთს, საქართველოში რატომღა გაგიჟდება ნატო? ყველა სხვა მიმართუ-

ლებით უნდა ვეცადოთ, რომ რუსეთთან ნორმალური ურთიერთობა გვქონდეს.

გიორგი უძილაური

ახალი თაობა. – 2008, 21 მარტი, №79, გვ. 6-7

სტენოგრაფიული ჩანაწერები

საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 19 დეკემბრის პლენარული სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი

სხდომას თავმჯდომარეობს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე

ნინო ბურჯანაძე. კოლეგებო, ვიხილავთ ძალიან მნიშვნელოვან საკითხს. ეს არის ხელშეკრულება საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სამხრეთ კავკასიური მილსადენი სისტემის საშუალებით საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიებზე და ამ ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ბუნებრივი გაზის ტრანზიტის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის შესახებ. პრაქტიკულად სამხრეთ კავკასიური გაზსადენი სისტემის პროექტი – ეს გახლავთ აღმოსავლეთ-დასავლეთის ერთიანი ენერგეტიკული დერეფნის უმნიშვნელოვანესი პროექტი. ეს არის ამ დერეფნის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი და მიმაჩნია, რომ თითოეულმა ჩვენთაგანმა ხაზი უნდა გაუსვას იმ მნიშვნელობას, რაც ეკისრება ამ პროექტის განხორციელებას საქართველოში. მე მინდა შეგახსენოთ, რომ გასულ წელს ჩვენ მოვახდინეთ რატიფიცირება ასევე ძალზედ მნიშვნელოვანი ხელშეკრულებისა, როგორიც გახლავთ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი ნავთობის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით, ნავთობსადენის მშენებლობასთან დაკავშირებით, ხოლო დღევანდელი ხელშეკრულება, რომელიც ჩვენს წინაშეა წარმოდგენილი, კიდევ უფრო აძლიერებს იმ ფუნქციას, რომელიც შეიძინა საქართველომ და გარდა ამისა, ხელს უწყობს მნიშვნელოვანწილად საქართველოს ენერგეტიკულ დამოუკიდებლობას და მის უსაფრთხოებას. ვფიქრობ, არც ერთ

თქვენგანს არ სჭირდება იმის შეხსენება, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნისათვის არა მხოლოდ ეკონომიკური თვალსაზრისით, არამედ პოლიტიკური თვალსაზრისითაც მსგავსი პროექტების განხორციელება. მე მინდა სწორედ, რომ განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობა აღვნიშნო ამ პროექტისა, რომელიც ჩვენ რეალურად გვაძლევს შესაძლებლობას არ ვიყოთ დამოკიდებული ერთ რომელიმე ენერგიის წყაროზე და გვქონდეს ჩვენი ალტერნატიული საშუალებები ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოებისა, რაც რეალურად ჩვენ გვაძლევს ასევე სერიოზულ გარანტიებს და შანსს ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობის კიდევ უფრო გაძლიერების მიღწევის მიზნით. მე მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ საქართველოს პარლამენტი თვლის, რომ ძალზედ მნიშვნელოვანია ორივე ამ პროექტის განხორციელება ხდებოდეს პარალელურად და მე იმედი მაქვს, რომ ის ტემპები, რომელიც ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობასთან არის დაკავშირებული, შენარჩუნებული იქნება და გრაფიკის მიხედვით წავა და ასევე იმედი მაქვს იმისა, რომ ამ ხელშეკრულების რეალიზაციაც მოხდება მაქსიმალურად სწრაფად. საქართველოს პარლამენტი მზად არის შექმნას სრული საკანონმდებლო ბაზა აღნიშნული პროექტების რეალიზაციისათვის. მეორე მხრივ, მე დარწმუნებული ვარ, დღეს აქ იქნება მოსაზრებები გამოთქმული და მინდა მეც დავაფიქსირო, რომ ჩვენ ძალიან დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმას, რომ აღნიშნული პროექტები განხორციელდეს მსოფლიო სტანდარტების სრული დაცვით, განსაკუთრებით ეკოლოგიური უსაფრთხოების სფეროში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის მიმართულებით და მთელ რიგ სხვა მიმართულებებთან დაკავშირებით. ასევე მნიშვნელოვნად მიმაჩნია ის გარემოებაც, რომ აღნიშნული პროექტების განხორციელებაში სერიოზულად იქნეს გამოყენებული საქართველოს სამეცნიერო პოტენციალი, ჩართული იყოს მაქსიმალურად ბევრი საქართველოს მოქალაქე, ქართველი სპეციალისტები, როგორც

პროექტის პროგრამირების და მოსამზადებელ ეტაპზე, ასევე პროექტის განხორციელების ეტაპებზეც. მე მინდა მივესალმო ჩვენს სტუმრებს, რომლებიც სპეციალურად ჩამობრძანდნენ თბილისში და სპეციალურად მობრძანდნენ დღეს პარლამენტის პლენარულ სხდომაზე დასასწრებად. ესენი არიან ბატონი რიჩარდ მაცკე, საერთაშორისო კომპანია „შევრონტექს საკო-ს“ თანათავმჯდომარე, ბატონი ვილ ვილიამსი, „შევრონტექს საკო-ს“ აღმასრულებელი მენეჯერი და ბატონი ენდრიუ ბეინსი, „ბიპი საქართველოს“ გენერალური მენეჯერი.

ესენი არიან ის ადამიანები, რომლებიც მაქსიმალურად ცდილობენ ხელი შეუწყონ საქართველოში ამ პროექტების განხორციელებას.

კენჭი ეყრება საქართველოს პარლამენტის დადგენილებას საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკას შორის სამხრეთ-კავკასიური მილსადენის სისტემის საშუალებით საქართველოსა და აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტერიტორიებზე და ამ ტერიტორიის ფარგლებს გარეთ ბუნებრივი გაზის ტრანზიტის, ტრანსპორტირებისა და რეალიზაციის შესახებ.

180 ხმით გადაწყვეტილება მიღებულია. კიდევ ერთხელ ვულოცავ ნავთობის საერთაშორისო კორპორაციას, ჩვენს სტუმრებს, პარტნიორებს და ვუსურვებ მომავალ წარმატებებს ამ დიდი პროექტის განხორციელების საქმეში.

საქართველოს პარლამენტის 2001 წლის 19 დეკემბრის პლენარული სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი. გვ. 80-83.

საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 30 იანვრის პლენარული სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი

ნ. ბურჯანაძე. პატივცემულო კოლეგებო, ვფიქრობ, მე გამოვხატავ საქართველოს პარლამენტის აბსოლუტური უმრავლესობის აზრს და ასევე საქართველოს მოსახლეობის აზრს. კიდევ ერთხელ გავუსვამ ხაზს იმ გარემოებას, რომ საქართველოს მოსახლეობა, საქართველოს პარლამენტი გამოხატავს ძალიან ღრმა და სერიოზულ შეშფოთებას იმ ბოლოდროინდელი მოვლენების გამო, რომლებიც განვითარდა აფხაზეთთან დაკავშირებით. ბუნებრივია, ჩვენს შეშფოთებას იწვევს ის გარემოება, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში არ არის არანაირი პროგრესი აფხაზეთის პრობლემის დარეგულირების სფეროში. ჩვენ ვერ შევძელით მიგვეღწია რაიმე პოლიტიკური პროგრესისათვის, იმისათვისაც კი, რომ აფხაზეთის მხარეს მიეღო ე. წ. ბოდენის დოკუმენტი პოლიტიკური დარეგულირების პროცესის დასაწყებად. ვერ შევძელით დევნილების დაბრუნების პროცესის უზრუნველყოფა, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი გახლავთ დსთ-ს გადაწყვეტილებების რეალიზაციის თვალსაზრისით. ბოლო ორი მოვლენა, რასაც ადგილი ჰქონდა საქართველოს განუყოფელი ნაწილის, აფხაზეთთან მიმართებაში, მხედველობაში მაქვს რუსეთის მოქალაქეობის მინიჭების პროცესი აფხაზეთის მოქალაქეებისათვის, აფხაზეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისათვის და რკინიგზის გახსნა საქართველოს ხელისუფლების სრული უგულებელყოფით. საქართველოს ხელისუფლებამ, საქართველოს პარლამენტმა და საქართველოს მოსახლეობამ აღიქვა როგორც აფხაზეთის, როგორც საქართველოს განუყოფელი ნაწილის ანექსიის მცდელობა. ჩვენი არაერთგზის პროტესტი, პრაქტიკულად, შეეჯახა იმ

წინადადებებს, რომ რუსეთის ოფიციალურმა ხელისუფლებამ არაფერი იცოდა რკინიგზის ამოქმედებასთან დაკავშირებით. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ საქართველოს პარლამენტის დელეგაციამ და შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა, ორმხრივი შეხვედრის დროს რადიკალურად დასვა საკითხი, როგორც ე. წ. პასპორტიზაციის პროცესის სასწრაფო შეწყვეტასთან დაკავშირებით, ასევე სარკინიგზო მაგისტრალზე მოძრაობის შეწყვეტასთან დაკავშირებით. ჩვენ მიგვაჩნია, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებები – ეს არის საქართველოს საქმეებში უხეში ჩარევა;, ეს არის საქართველოს სუვერენიტეტის, საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს ნების უგულებელყოფა საერთაშორისო ნორმების, საერთაშორისო ხელშეკრულებების დსთ-ს ფარგლებში განხორციელებული ხელმოწერილი ხელშეკრულებების უხეში დარღვევა და სწორედ ამიტომ, საქართველოს პარლამენტი კიდევ ერთხელ აფიქსირებს თავის დამოკიდებულებას ამ საკითხებთან დაკავშირებით და კატეგორიულად მოითხოვს რუსეთის მხარის მხრიდან, რომ დაუყოვნებლივ აღიკვეთოს აფხაზეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისათვის რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის კანონდარღვევით მასიური მინიჭება და სოჭსა და სოხუმს შორის უკანონოდ ამოქმედებული სარკინიგზო მოძრაობის შეწყვეტა.

ჩვენ იმედს გამოვთქვამთ იმასთან დაკავშირებით, რომ ის ე. წ. სამუშაო ჯგუფები, რომლის შექმნასაც ჩვენ, საქართველოს პარლამენტის დელეგაციას შეგვპირდა ხელისუფლების პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები, როგორც სახელმწიფო სათათბიროში, ასევე ფედერაციის საბჭოში, ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროში ამოქმედდება ეს ჯგუფები, სასწრაფოდ იქნება განხილული საქართველოს პრეტენზიები. ბუნებრივია, ეს ყველაფერი დაეყრდნობა იმ ინფორმაციას, რომელიც საქართველოს პრეზიდენტმა მიაწოდა რუსეთის პრეზიდენტს და ჩვენ იმედს ვიტოვებთ, რომ უახლესი ხნის განმავლობაში

რუსეთის ფედერაცია მიიღებს იმ გადაწყვეტილებას, რომელიც ერთადერთი გამოსავალი არის ამ პოლიტიკური კრიზისიდან და რომელიც შეეფერება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებს.

ბუნებრივია, ძალზედ რთული იქნება რუსეთ-საქართველოს შორის ურთიერთობის სტაბილურობაზე ლაპარაკი, რუსეთ-საქართველოს შორის ნორმალური და კეთილმეზობლური ურთიერთობების განვითარებაზე ლაპარაკი და საქართველოს არ დარჩება არანაირი სხვა მექანიზმი, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თუ არ მოხერხდა ორმხრივი მოლაპარაკებების ფონზე აღნიშნული საკითხების მოგვარება, საქართველოს არ დარჩება არანაირი სხვა მექანიზმი და სხვა საშუალება, თუ არა ის, რომ მიმართოს საერთაშორისო ორგანიზაციებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, ეუთოს, საპარლამენტო ევროპის საბჭოს, მეგობარ სახელმწიფოებს, გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფს იმ პრეტენზიებით, რომელიც სავსებით დასაბუთებულად წარმოაჩინა საქართველოს მხარემ. მე კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ჩვენი სურვილი არის აღნიშნული პრობლემები და აღნიშნული საკითხები გადაწყდეს რუსეთ-საქართველოს ორმხრივი მოლაპარაკების ჩარჩოებში და ჩვენ, საქართველოს პარლამენტი ყველაფერს აკეთებს იმისათვის და ასევე დარწმუნებული ვარ, რომ ხელისუფლებაც ყოველგვარ ზომებს გაიღებს იმისათვის, რომ აღნიშნული საკითხები მოგვარდეს ორმხრივი მოლაპარაკებების საფუძველზე საქართველოს კანონიერი ინტერესების და საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვით. მაგრამ თუ ეს არ მოხერხდა, ამ შემთხვევაში, კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამ, საქართველოს პარლამენტი, საქართველოს მთავრობა ვალდებული იქნება მიმართოს საერთაშორისო ორგანიზაციებს, მეგობარ სახელმწიფოებს, რათა აღიკვეთოს საქართველოს მიმართ უკანონო და საერთაშორისო სამართლის ნორმებით განხორციელებული ქმედებები. გარდა ამისა, ვფიქრობ, ძალზედ მნიშვნელოვანი გახლავთ ის გარემოებაც, რომ საქართველოს

ხელისუფლებამ მოსთხოვოს რუსეთის მხარეს, როგორც შუამავალს ე. წ. ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში, აიძულოს მშვიდობიანი მექანიზმებით, რა თქმა უნდა, აფხაზური მხარე წამოვიდეს პოლიტიკურ დათმობებზე, მიიღოს ე. წ. ბოდენის დოკუმენტი განსახილველად და განახლდეს პოლიტიკური დიალოგი. თუ რუსეთი არის მედიატორი და არის შუამავალი ამ კონფლიქტში, მან ეს როლი უნდა შეასრულოს. თუ რუსეთი ამ როლს ვერ ასრულებს, ბუნებრივია, ჩვენ არ გვრჩება სხვა მექანიზმები, თუ არა რეკომენდაცია გავუწიოთ საქართველოს მთავრობას, რომ მიმართოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, რათა მიმდინარე კონფლიქტის მოწესრიგების პროცესი გარდაიქმნას და მე-6 თავიდან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მე-6 თავიდან ჩვენ მოვითხოვოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მანდატის შეცვლა და გადავიდეთ მე-7 თავზე. აღნიშნული წინადადებები წარედგინოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს აფხაზური მხარის მიერ ე. წ. ბოდენის დოკუმენტის უარყოფის, სხვა დესტრუქციული ქმედებების გაგრძელების შემთხვევაში, ასევე რუსეთის მხრიდან ჩვენი მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში, რაც ეხება აფხაზეთში მცხოვრები მოქალაქეების პასპორტიზაციისა და რკინიგზის შეჩერების საკითხებს. გარდა ამ საკითხებისა, მე ვფიქრობ, ასევე გამოვხატავ პარლამენტის წევრთა უმრავლესობის აზრს და ვფიქრობ, რომ ჩვენ ძალიან სერიოზულად უნდა მივმართოთ საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას, რომ იქნას რადიკალური ღონისძიებები გატარებული იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ხელისუფლება, საქართველოს მთავრობა, თითოეული ჩვენთაგანი დარწმუნებული ვიყოთ იმაში, რომ ჩვენ არ აღმოვჩნდებით კვლავ უსუსურ მდგომარეობაში ერთი თვის, ორი თვის ან თუნდაც ექვსი თვის შემდეგ და ჩვენ გვექნება სრული გარანტია იმისა, რომ იმ შემთხვევაშიც კი, თუ რუსეთის სამშვიდობო ძალები დატოვებენ კონფლიქტის ზონას, ჩვენი სამართალდამცავები, ჩვენი შესაბამისი სტრუქტურები მოახერხე-

ბენ კონფლიქტის ზონაში ძალიან სერიოზული ნაბიჯების გადადგმას და ეს, სხვათა შორის, პარლამენტის მიერ წინა მიღებულ დადგენილებებში ჩვენ ერთმნიშვნელოვნად გვაქვს დავალებული აღმასრულებული ხელისუფლებისათვის, რომ მათ უზრუნველყონ კონფლიქტის ზონაში მშვიდობისა და სტაბილურობის შენარჩუნებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელება. სამწუხაროდ, ფრაქციების აბსოლუტური უმრავლესობა გამოხატავს იმ აზრს, რომ დღეისათვის საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შეძლო ისეთი ვითარების შექმნა კონფლიქტის ზონაში, რომ ჩვენ დარწმუნებული ვიყოთ ამ ზონის უსაფრთხოების და სტაბილურობის საკითხებში. საქართველოს პარლამენტს მიაჩნია, რომ უნდა შეიქმნას სასწრაფოდ ინტერფრაქციული ჯგუფი, რომელიც ძალიან აქტიურად ითანამშრომლებს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან და უახლოესი ერთი კვირის განმავლობაში აღმასრულებელ ხელისუფლებასთან კონსულტაციების შედეგად ჩამოაყალიბებს კონკრეტულ სამოქმედო გეგმას, რომლის მიხედვითაც უნდა იმოქმედოს აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, რათა შექმნილ სიტუაციაში საქართველოს ხელისუფლება არ აღმოჩნდეს იმ მდგომარეობაში, როდესაც ჩვენი ქმედებები იქნება არათანმიმდევრული და არ გვექნება კონკრეტულად ჩამოყალიბებელი კონფლიქტის მოგვარების გეგმა ან დესტრუქციული ძალების ქმედებებისაგან კონფლიქტის ზონაში არასტაბილური ვითარების შექმნის თავიდან აცილების გეგმა. ჩვენ მოვითხოვთ ასევე, საქართველოს პარლამენტი, რომ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ კონკრეტული, ძალიან სერიოზული გადაწყვეტილებები მიიღოს იმასთან დაკავშირებით, რომ უზრუნველყოს ქვეყნისათვის აუცილებელი თავდაცვითი მექანიზმების გაძლიერება. ასევე დაავალოს საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებს, რომ გაატარონ კონკრეტული და სერიოზული ღონისძიებები იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ხელისუფლება მზად იყოს კონფლიქტის ზონაში სტაბილური ვითარების შენარჩუნებისათ-

ვის. ასევე საქართველოს პარლამენტი მოითხოვს საქართველოს ხელისუფლებისაგან, რომ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით ერთი კვირის ვადაში წარმოუდგინოს პარლამენტს შექმნილი კრიზისული სიტუაციის დაძლევის გეგმა. ჩვენ მზადა ვართ, აღმასრულებელ ხელისუფლებასთან ერთად ვიმუშაოთ ამ გეგმის შემუშავებაზე. ინტერფრაქციული ჯგუფი, რომელიც შეიქმნება და რომელშიც თითოეული ფრაქციის წარმომადგენელი იქნება შესული, დარწმუნებული ვარ აქტიურად ითანამშრომლებს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, მაგრამ ასეთი ანტიკრიზისული გეგმის შემუშავება, ვფიქრობ, დღევანდელ ურთულეს ვითარებაში ძალზე მნიშვნელოვანი გახლავთ და ჩვენ ერთი კვირის შემდეგ ამ გეგმის შესასწავლად და ამ გეგმის განსახილველად კვლავ დავუბრუნდებით იმ საკითხს, რომელიც დღეს აღელვებს ჩვენს საზოგადოებას. ვფიქრობ, რომ მნიშვნელოვანი იქნება, ალბათ, დღევანდელი უშიშროების საბჭოს სხდომაც, რომელიც ნიუ-იორკში უნდა გაიმართოს და რომელზეც საქართველოს ხელისუფლებას გარკვეული იმედები გვაქვს, ბუნებრივია, მაგრამ ასევე კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, პატივცემულო კოლეგებო, იმ გარემოებას, რომ ჩვენ მივიღეთ რუსეთის მაღალი ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან კონკრეტული პირობები იმასთან დაკავშირებით, რომ სასწრაფო რეჟიმში რუსეთში უმაღლეს ეშელონებში შეიქმნებოდა, პრაქტიკულად, საგამოძიებო კომისია იმასთან დაკავშირებით, თუ რა მოხდა ე. წ. პასპორტიზაციისა და რკინიგზის ამოქმედებასთან დაკავშირებით. ჩვენ გვინდა იმედი ვიქონიოთ, რომ მართლაც მივიღებთ კონკრეტულ ინფორმაციას აღნიშნულთან დაკავშირებით. თუ ყველაფერი ისე გაგრძელდა, როგორც დღემდე, თუ გაგრძელდა პასპორტიზაციის პროცესი, თუ გაგრძელდა სარკინიგზო მიმოსვლის პროცესი, ბუნებრივია, საქართველოს პარლამენტს, საქართველოს ხელისუფლებას, მთლიანად საქართველოს, სრული უფლება ექნება გააკეთოს უმწვავესი შეფასებები აღნიშნულთან დაკავშირებით და მისცეს აღნიშნულ ქმედე-

ბებს უკვე რეალურად მართლაც ანექსიის არა მცდელობის, არამედ ანექსიის განხორციელების კვალიფიკაცია და უშუალოდ სერიოზულად მიმართოს აღნიშნული საკითხის განსახილველად საერთაშორისო ორგანიზაციებს. ძალიან, არ ვიცი, ეხლა მოკლედ გამომივიდა თუ არა, მაგრამ ის ძირითადი დებულებები, რომელთა დაკავშირებითაც ჩვენ ვიმსჯელეთ დღეს ინტერფრაქციული ჯგუფის წინაშე. მე მინდა კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა, პატივცემულო კოლეგებო, იმ გარემოებას, რომ მიუხედავად ამ უმწვავესი ვითარებისა, საქართველოს პარლამენტი არ ხურავს იმ კარს, რომელსაც რუსეთ-საქართელოს ურთიერთობაში დარჩეს ის ხიდი, რომელზეც ჩვენ უნდა მეტ-ნაკლებად ავაგოთ ჩვენი თანასწორუფლებიანი ურთიერთპატივისცემა და საერთაშორისო სამართლის ნორმებზე დაფუძნებული ურთიერთობები. მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენ რეალურად დღეს ისეთ ვითარებაში ვიმყოფებით, რომ თუ ადეკვატური, აბსოლუტურად ერთმნიშვნელოვანი ნაბიჯი არ იქნა გადადგმული რუსეთის ხელისუფლების მხრიდან, რომელიც ჩვენ დაგვანახებს იმას, რომ იქ მართლაც, რომელიღაცა კომერციულმა ორგანიზაციამ გახსნა ის რკინიგზა და ეს არ იყო რუსეთის ხელისუფლების ნება, ჩვენ ძალიან გაგვიჭირდება. არა მარტო გაგვიჭირდება, ჩვენ არგუმენტი აღარ გვექნება სათქმელი იმასთან დაკავშირებით, რომ ეს არ არის რუსეთის ოფიციალური ხელისუფლების გადაწყვეტილება. ის არგუმენტები, რომელსაც ჩვენ გვეუბნებოდნენ, რომ რკინიგზის დახურვას ვერ გაიგებს აფხაზეთში დარჩენილი 100000 ან თუნდაც 80000 ადამიანი, არ არის არგუმენტი, ბატონებო, და კიდევ ერთხელ ვიმეორებ რუსეთის ხელისუფლების, რუსეთის პრესისა და მასმედიის გასაგონად, ასევე ვერ გაიგებს, ბატონებო, 5 მილიონი ქართველი, ვერ გაიგებს საერთაშორისო თანამეგობრობა, იმიტომ რომ ყველაფერი, რაც დღეს ხდება ორ ქვეყანას შორის, ეს არის საქართველოს სუვერენიტეტის დარღვევა, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მცდელობა და საქართვეელოს ელემენტარული უპატივმცემულობა. მე მინდა

იმედი ვიქონიო, რომ ის ერთი ბოლო ფრაზა, რომელიც გუშინ გავიდა ინტერნეტის გვერდზეც, ასევე ოფიციალურ ინფორმაციაში, სადაც პრეზიდენტი პუტინი საუბრობს იმაზე, რომ რკინიგზის აღდგენა საქართველოს ხელისუფლების გადასაწყვეტი საქმეა, რომ ეს საქართველოს ხელისუფლებამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება და შესაძლებელია საუბარი დაიწყოს რკინიგზის აღდგენის სინქრონიზაციაზე ლტოლვილების დაბრუნების პროცესთან დაკავშირებით, იქნება ის ამოსავალი წერტილი, რომ რუსეთის ხელისუფლება მიიღებს მართლაც ერთმნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, რომ ყველაფერი, რაც საქართველოს საშინაო საქმეა, ეს არის საქართველოს ხელისუფლების გადასაწყვეტი. ყველაფერი ის საკითხი, რომელიც ჩვენი საშინაო საქმე არის, ჩვენს ტერიტორიას და ჩვენს განუყოფელ ნაწილს ეხება, უნდა შეთანხმებული იქნას, უნდა კონსულტაცია იქნას ჩატარებული რუსეთის მხრიდან საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებასთან. რაც შეეხება რკინიგზის აღდგენას, მე ერთ ფრაზას აბსოლუტურად შეგნებულად დავამატებ, იმიტომ რომ მუდმივად ცდილობენ ჩვენი არაკეთილისმოსურნენი, რომ აფხაზეთის მოსახლეობის ყურამდე მიიტანოს ის დამახინჯებული ფრაზა, რომ ქართველებს არ უნდათ აფხაზეთის აღორძინება, აფხაზეთის აყვავება, აფხაზეთის მოსახლეობის კეთილდღეობა. ტყუილია, ბატონებო, ჩვენ გვინდა აფხაზეთის მოსახლეობის კეთილდღეობა, ჩვენ გვინდა სიმშვიდე და გვინდა აყვავება ამ ქვეყნის, მაგრამ არა ჩვენი მოქალაქეების, დანარჩენი მოქალაქეების გარეშე, არა იმ 300000 ლტოლვილის გარეშე, რომელიც ყოველდღე ელოდება საკუთარ სახლში დაბრუნებას.

ჩვენ მზადა ვართ აფხაზეთის ეკონომიკურ რეაბილიტაციაზე ვილაპარაკოთ, ჩვენ მზადა ვართ რკინიგზის გახსნაზე არა მარტო ადლერ-სოხუმის მიმართულებით, არამედ მთელ პერიმეტრზე ვილაპარაკოთ, მაგრამ მხოლოდ პარალელურად იმ პროცესებისა, რასაც აფხაზეთის პოლიტიკური დარეგულირება ჰქვია და რასაც ლტოლვილების საკუთარ სახლებში დარეგულირება,

დაბრუნება ჰქვია. აი, ვფიქრობ, მე შევეცადე, ყოველ შემთხვევაში, რომ მეტ-ნაკლებად ყველა ფრაქციის მოსაზრება გამომეხატა. იყო ბატონებო, უდავოდ უფრო რადიკალური, უფრო რბილი პოტენციებიც, მაგრამ ვფიქრობ მე შუალედური ვარიანტი შევეცადე ამომერჩია ამ ეტაპზე.

საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 25 მარტის პლენარული სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი

ამონარიდები სტენოგრაფიული ჩანაწერიდან

ნ. ბურჯანაძე. მე მინდა ჩემს კოლეგებს, რომლებმაც ინტერესი გამოხატეს ჩვენი დელეგაციის ლიტვაში ვიზიტთან დაკავშირებით, მადლობა გადავუხადო და სულ რამდენიმე წუთით მინდა პატივცემულო კოლეგებო, თქვენი ყურადღება მივიპყრო.

მე მინდა შეგახსენოთ, რომ საქართველოს პარლამენტის დელეგაცია და პირადად მე ჯერ კიდევ დეკემბრის თვეში ვიყავით ოფიციალური ვიზიტით ბალტიისპირეთის ორ დანარჩენ ქვეყანაში. ეს იყო ლატვია და ესტონეთი. ლიტვაში იმ პერიოდში ვიზიტი ოფიციალური გადაიდო იმიტომ, რომ იმ პერიოდისათვის პრაქტიკულად იანვარში დაგეგმილი იყო ლიტვის პრეზიდენტის არჩევნები და ბუნებრივია, საპრეზიდენტო არჩევნების წინ ოფიციალური ვიზიტის განხორციელება არცთუ მოსახერხებელი გახლდათ იმდენად, რამდენადაც მთელი პოლიტიკური სპექტრი მთლიანად იყო გადართული სწორედ წინა საარჩევნო კამპანიაზე. მე მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, პატივცემულო კოლეგებო, რომ ვფიქრობ საქართველოსათვის დღევანდელ ვითარებაში სრულიად ახალი რეალობა იქმნება ბალტიისპირეთის ქვეყნებთან ურთიერთობის თვალსაზრისით. მოგეხსენებათ, რომ პრაღის ისტორიულ სამიტზე ბალტიისპირეთის სამი ქვეყანა მიწვეული იქნა ნატოში, როგორც ნატოს სრულუფლებიანი წევრი, ასევე ეს სახელმწიფოები პრაქტიკულად არიან მისულნი ევროკავშირის კარიბჭესთან. აქედან გამომდინარე, ეს არის ის სახელმწიფოები, რომლებმაც ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებიდან პრაქტიკულად ყველაზე წარმატებულად მოახერხეს თავიანთი სახელმწიფოებრივი მშენებლობის წარმართვა

და ყველაზე წარმატებულად მოახერხეს თავიანთი ეკონომიკური აღმშენებლობის ეკონომიკური პოლიტიკის წარმართვა. მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო იმ გარემოებას, რომ 3,5 მილიონ ლიტვას, რომელშიც ჩვენი დელეგაცია ეხლა იყო, 3 მილიარდ ამერიკულ დოლარზე მეტი აქვს ბიუჯეტი და ეს ვფიქრობ, კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმას, თუ რამდენად სერიოზული წარმატებები განახორციელეს აღნიშნულმა ქვეყნებმა თავიანთი სახელმწიფოებრიობის მშენებლობის გზაზე. მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ განსაკუთრებულად დიდი ინტერესი არის ბალტიისპირეთის ქვეყნების მხრიდან საქართველოს მისამართით. ეს არ ყოფილა არც ერთი წლის წინ, არც რამოდენიმე წლის წინ და ამიტომ ბალტიისპირეთის ქვეყნებმა და განსაკუთრებით მათ შორის ლიტვამაც ძალიან ხაზგასმით მიიღო ის, რომ პრაქტიკულად პირველმა ჩვენი დამოუკიდებელი სახელმწიფოების ისტორიაში ადგილი ჰქონდა ოფიციალურ ვიზიტს ასეთ მაღალ დონეზე. სამწუხაროდ, არც ერთხელ არ ყოფილა შემთხვევა, რომ ჩვენი პრეზიდენტი ყოფილიყო ბალტიისპირეთის ქვეყნებში და ვფიქრობ, რომ ძალზედ მნიშვნელოვანი იქნება, რომ პრეზიდენტების დონეზეც ეს ვიზიტი განხორციელდეს. ლიტვის პრეზიდენტმა ჩვენი პრეზიდენტი მიიწვია ოფიციალური ვიზიტით და ბუნებრივია, ჩვენც გადავეცით აღნიშნული სახელმწიფოების პრეზიდენტებს მოწვევა საქართველოში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახლავთ ის, რომ ბალტიისპირეთის სამივე ქვეყანა, მათ შორის ლიტვაც, ხაზგასმულად აღნიშნავს იმას, რომ საქართველოსთან მათი ურთიერთობები იქნება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი. გამომდინარე იქიდან, რომ მათთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ სამხრეთ კავკასიაში იყოს სტაბილურობა და სამხრეთ კავკასია იყოს იმ საერთო ევროპული ოჯახის და ევროატლანტიკური ოჯახის წევრი, რომლის წევრიც გახდა ლიტვის სახელმწიფო. ვფიქრობ, მნიშვნელოვანი ხაზგასმა გახლდათ ისიც, რომ სულ 3 კვირის წინ მოხდა პრეზიდენტის ინაუგურაცია. თქვენ იცით, რამდენად

მძიმეა პრეზიდენტების რეჟიმი და მით უმეტეს, 3 კვირის წინ, ასე ვთქვათ, ინაუგურაცია გავლილი პრეზიდენტის, ანუ ადამიანის, რომელიც 3 კვირაა პრაქტიკულად ამ თანამდებობაზე მუშაობს, ამისდა მიუხედავად, ხაზგასმულად იქნა დანიშნული ჩვენთან შეხვედრა, რომელიც გრძელდებოდა პრაქტიკულად საათზე მეტ ხანს. ამ შეხვედრის დროს ლიტვის პრეზიდენტმა პრაქტიკულად უპრეცედენტო ინტერესი გამოიჩინა საქართველოს მიმართ. მან განაცხადა, რომ საქართველოსა და ლიტვის ურთიერთობა, საქართველოს მხარდაჭერა, საქართველოს პოზიციების და ინტერესების ლობირება საერთაშორისო არენაზე იქნება ლიტვის სახელმწიფოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საგარეო პრიორიტეტი. ასევე ვფიქრობ, პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო ის ინტერესი, რომელიც ლიტვის პრეზიდენტმა გამოხატა საქართველოს პრობლემატიკასთან დაკავშირებით, გამოხატა იმ კონფლიქტების დარეგულირებასთან დაკავშირებით, რომელიც ჩვენ ასე გვაწუხებს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ლიტვას აქვს პოზიტიური გამოცდილება რუსეთთან ურთიერთობისა, პოზიტიური გამოცდილება რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანისა თავისი ტერიტორიიდან და მიუხედავად ძალზედ რთული პრობლემებისა, მაინც ნორმალური ურთიერთობის ჩამოყალიბებისა რუსეთთან და ის შეეცდება, რომ თავისი პოზიტიური გამოცდილება გაუზიაროს საქართველოს. ასევე ვფიქრობ, ძალზედ მნიშვნელოვანი გახლდათ ის, რომ ლიტვის პრეზიდენტმა შემოგვთავაზა ე. წ. ცხელი ხაზის გახსნა არა მარტო პრეზიდენტების დონეზე, არამედ მან განაცხადა, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს ნებისმიერ დროს ექნება შესაძლებლობა აიღოს ყურმილი და ჩააყენოს საქმის კურსში ლიტვის პრეზიდენტი იმ პრობლემებთან და მხარდაჭერის აუცილებლობასთან დაკავშირებით, რომელიც მნიშვნელოვანი იქნება საქართველოსათვის. ასევე ვფიქრობ, განსაკუთრებული ჟესტი გახლდათ ლიტვის პარლამენტის მხრიდან ის, რომ პირველად პრაქტიკულად ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების წარმომა-

დგენლებს მიეცათ, პარლამენტის თავმჯდომარეს მიეცა შესაძლებლობა წარმდგარიყო ლიტვის პარლამენტის წინაშე. ლიტვის პარლამენტში ძალიან მკაცრად არის რეგლამენტირებული ვის შეუძლია პარლამენტს მიმართოს და ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების პარლამენტის თავმჯდომარე წარსდგა ლიტვის პარლამენტის წინაშე და პრაქტიკულად სავსე დარბაზში, რაც საკმაოდ დიდი იშვიათობა გახლავთ ლიტვის პარლამენტში, როგორც თავად ლიტველმა კოლეგებმა გვითხრეს, დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში მე მომეცა შესაძლებლობა საქართველოს საგარეო პრიორიტეტებთან დაკავშირებით, საქართველოს დღევანდელ და ხვალინდელ პერსპექტივასთან დაკავშირებით მესაუბრა. ინტერესი იყო ძალიან დიდი და ვფიქრობ არც ის არის შემთხვევითი, რომ ლიტვის პარლამენტის ყოველი მე-6 წევრი გახლავთ საქართველოსთან მეგობრობის ჯგუფის წევრი და ისინი ძალიან დიდი გეგმებით არიან მოწადინებულნი, რომ საქართველოსთან ურთიერთობა გაამკვეთრონ და გააძლიერონ. ძალზე მნიშვნელოვანი გახლდათ ის მოლაპარაკება, რომელიც შესდგა ჩემსა და ლიტვის პარლამენტის თავმჯდომარეს შორის, კონკრეტულად პარლამენტებს შორის თანამშრომლობასთან დაკავშირებით, დახმარებასთან დაკავშირებით, სპეციალური კომიტეტების თანამშრომლობასთან დაკავშირებით და მე მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ბატონ ლიტვის პარლამენტის თავმჯდომარეს იმისათვის, რომ მან გამოიჩინა ძალზე სერიოზული ინიციატივა ბალტიის სამი ქვეყნისა და კავკასიის ქვეყნის თანამშრომლობასთან დაკავშირებით და ასევე იმ ინიციატივასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხებოდა ბალტიის ასამბლეისა და კავკასიის ასამბლეის თანამშრომლობას. მოგეხსენებათ, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნებმა სწორედ იმით შეძლეს ისეთი განსაკუთრებული წარმატებების მიღწევა, რომელიც მათ დღეს გააჩნიათ, რომ მათ მოახერხეს გაერთიანება ერთიანი მიზნის მისაღწევად და შეძლეს ის განსხვავებები, რომელიც მათ სახე-

ლმწიფოებს შორის არსებობდა, გვერდზე გადაედოთ და ერთიანი მიზნებისათვის ძალზე სერიოზულად ერთიანი ძალისხმევით ემოქმედათ. სწორედ ასევე მოგვიწოდებენ ჩვენი ბალტიისპირელი კოლეგები ჩვენც, კავკასიის სახელმწიფოებს, რომ შევძლოთ ერთიანი, ძალზედ სერიოზული მიზნის გარშემო გაერთიანება, რაც საშუალებას მოგვცემს მშვიდობიანი და სტაბილური კავკასია ჩამოვაყალიბოთ. თუმცა გათვალისწინებით იმ პრობლემისა, რომელიც კავკასიაში არსებობს, მათ კარგად ესმით, რომ საქართველოს გარკვეულწილად სპეციალური ადგილი უჭირავს და რომ საქართველოსთან მიმართებაში ბალტიისპირეთის ქვეყნები, კერძოდ ლიტვა, განსაკუთრებულ პრიორიტეტებს გამოხატავს. ვფიქრობ, პრინციპულად მნიშვნელოვანი იყო ლიტვის პრემიერ-მინისტრთან, ბატონ ბრაზაუსკასთან შეხვედრა. მოგეხსენებათ, ეს ძალზედ ცნობილი პიროვნება გახლავთ, ლიტვის ყოფილი პრეზიდენტი, რომელმაც ძალზე ნათლად დაგვანახა იმ ეკონომიკური წარმატებების საფუძვლები, რომელიც ლიტვის წარმატებას განაპირობებს და პირადად ჩემი თხოვნა იყო, რომ ლიტვის აღმასრულებელ ხელისუფლებას ჰქონდეს ძალზედ აქტიური კონტაქტები საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან. შესაძლებელია ოფიციალური ვიზიტებიც განხორციელდეს აღნიშნულ დონეზე, რომ საქართველომ შეძლოს იმ პოზიტიური გამოცდილების გადმოტანა საქართველოში, რომელიც ლიტვას გააჩნია.

ასევე, ალბათ, ბოლო მომენტი, რომელსაც მე განსაკუთრებით ხაზს გავუსვამდი, ეს გახლავთ ის კონკრეტული შედეგი, რომელიც მოჰყვა ჩვენი დელეგაციის ვიზიტს და მე აქ არ შემიძლია არ ვისარგებლო შემთხვევით და ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო დელეგაციის წევრებს თანადგომისათვის და იმ სერიოზული მხარდაჭერისათვის, რომელსაც მე ვგრძნობდი მათი მხრიდან და აქტიურობისათვის, რომელსაც ისინი იჩენდნენ ამ ვიზიტის დროს და ვფიქრობ, კონკრეტული შედეგი გახლდათ ის, რომ ლიტვის პარლამენტმა, ლიტვის სახელმწიფომ მიიღო

ერთმნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომ საქართველო ჩართული იყოს ეგრეთწოდებული „ვილნიუსის ათეულის“ პროცესში და რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე მიწვეული იქნას დამკვირვებლის და სტუმრის სტატუსით „ვილნიუსის ათეულის“ პარლამენტის თავმჯდომარეების შეხვედრაზე. მე ერთი-ორი სიტყვით ვიტყვი, რა არის ეს „ვილნიუსის ათეული“. ეს გახლავთ იმ სახელმწიფოების გაერთიანება, რომლებიც მიილტვოდნენ ევროატლანტიკური ალიანსისკენ. ამ ათეულიდან 7 სახელმწიფო უკვე გახდა ნატოს წევრი სახელმწიფო და საყოველთაო აღიარებით ის წარმატება, რომელსაც მიაღწია ამ 7-მა სახელმწიფომ, ერთმნიშვნელოვნად განპირობებულია სწორედ „ვილნიუსის ათეულის“ ფორმატის წარმატებული მუშაობით. აქედან გამომდინარე ვფიქრობ, თქვენთვის ნათელია და გასაგებია, რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოს ამ ფორმატში ჩართვა. საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა, რომელიც დღესდღეობით ჩაერთო ამ ფორმატში და საქართველოს ამ ათეულში მონაწილეობას აქვს პრინციპული მნიშვნელობა საქართველოს ხვალინდელი დღისათვის, ჩვენი მაქსიმალურად სწრაფად ნატოსკენ მიახლოების პროცესში და ევროკავშირისკენ მიახლოების პროცესში. ძალზედ ბევრი კონკრეტული საკითხები იქნა განხილული, რომელშიც ჩვენ ერთმნიშვნელოვანი თანადგომა აღგვითქვა ლიტვის სტრუქტურების წარმომადგენლებმა. ყველა დონეზე იყო შეხვედრა, როგორც თავდაცვის მინისტრთან, ასევე საგარეო საქმეთა მინისტრთან, პარლამენტში, ძალიან მაღალ დონეზე, ბალტიის ასამბლეის თავმჯდომარესთან, ლიტვისა და პოლონეთის ასამბლეის თავმჯდომარესთან. პრაქტიკულად, მე მინდა გითხრათ, რომ ეს იყო უმაღლესი დონის ვიზიტი და ჩვენ შევხვდით ლიტვის ხელისუფლების აბსოლუტურად ყველა პირს. ასეთი ვიზიტები არც ისე ხშირია პატივცემულო კოლეგებო და მე მინდა თქვენი თანდასწრებით და თქვენი სახელით მადლობა გადავუხადო ლიტვის მხარეს, რომელმაც, ბატონი რეზო მანიშნებს, ეგრეთწოდებულ

წითელი ხალიჩის ტერმინს. მართლაც, ეს იყო უმაღლესი კატეგორიის ვიზიტი და მე მინდა ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო ლიტვის მხარეს იმისათვის, რომ საქართველოს მხარე ასე გამორჩეულად და განსაკუთრებულად იქნა მიღებული და ვფიქრობ, ძალზედ მნიშვნელოვანი გახლავთ ის, რომ ჩვენი მომავალი თანამშრომლობისათვის კონკრეტული ნაბიჯები გადაიდგას და ამ ძალიან მნიშვნელოვანი, სასარგებლო და კარგი ვიზიტით არ დასრულდეს ის ძალზე სერიოზული პერსპექტივები, რომელიც იხსნება ლიტვის, ბალტიისპირეთის მეშვეობით იგივე, თუნდაც ევროპის ჩრდილოეთ ნაწილთან თანამშრომლობის თვალსაზრისით. ნებისმიერი ჩვენი ვიზიტი და ნებისმიერი ჩვენს მიერ გადადგმული ნაბიჯი მხოლოდ და მხოლოდ მიმართულია უპირველეს ყოვლისა იმისაკენ, რომ გამთლიანდეს საქართველო, აღდგეს ჩვენი ტერიტორიული მთლიანობა და ქვეყანა გადაიქცეს ნორმალურ, განვითარებულ და ძლიერ სახელმწიფოდ. ლიტვის ხელისუფლებამ, ლიტვის პრეზიდენტმა, ლიტვის პარლამენტის თავმჯდომარემ, საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრებმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადეს მზადყოფნა, რომ გადადგან კონკრეტული ნაბიჯები, რომელიც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისაკენ იქნება მიმართული. მე მინდა გითხრათ, რომ ძალზედ სერიოზული თანამშრომლობა არის ლიტვის თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის, სერიოზულ დახმარებას გვპირდებიან ჩვენ ჩვენი ლიტველი სამხედროები, მეგობრები და ძალზედ მნიშვნელოვანი გახლავთ ისიც, რომ ჩემს თხოვნაზე, რომლითაც მე მივმართე თავდაცვის მინისტრს, რომ მარტო არ მიჰყოლოდნენ იმ გეგმას, რომელიც უკვე დამტკიცებულია, არამედ საჭიროების და შესაძლებლობის შემთხვევაში საქართველოს თხოვნა ამ გეგმის კორექტირებაზე გაეთვალისწინებინათ სრული მზადყოფნა და თანხმობა მივიღე და ვფიქრობ, რომ მხარდაჭერა მნიშვნელოვანი იქნება ძალიან ბევრი მიმართულებით, მათ შორის იგივე რუსეთთან ურთიერთობის დარე-

გულირების თვალსაზრისითაც, იმიტომ რომ, თქვენ მოგეხსენებათ, რომ ლიტვას საკმაოდ სერიოზული პრობლემები ჰქონდა, ეხლაც ბოლომდე არ არის იგივე კალინინგრადის პრობლემა რუსეთთან მოგვარებული, მაგრამ ეს სახელმწიფო ახერხებს რუსეთთან ცივილიზებულ ურთიერთობებში გადატანას იმ პრობლემისა, რომელიც აქვს და მეტ-ნაკლებად ახერხებს წარმატებულად გადაწყვიტოს ეს პრობლემები. ვფიქრობ, ჩვენთვის ეს მნიშვნელოვანი მაგალითი გახლავთ და ლიტვის მხარდაჭერა ჩვენ დაგვეხმარება ჩვენი პრობლემის გადაწყვეტის დაჩქარების პროცესში. დიდი მადლობა, პატივცემულო კოლეგებო, ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ ძალზედ მნიშვნელოვანი გახლდათ ამ ვიზიტის ჩატარება და ძალზედ მნიშვნელოვანი გახლდათ ის, რომ საქართველომ გამოიყენოს ყველა კონკრეტული შემთხვევა, რომელიც იქნება მით უმეტეს ინიცირებული ჩვენი მეგობრების მხრიდან, რომ ჩვენ ჩვენი პრობლემები გავიტანოთ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ, უფრო ნათლად ჩავახედოთ ჩვენი მეგობრები, რა პრობლემები გვაქვს და ვეძებოთ ერთიანი გადაწყვეტის გზები ამ პრობლემებისა. ერთს დავამატებდი კიდევ თქვენის ნებართვით, ერთ წინადადებას: ძალზედ მნიშვნელოვანი გახლავთ საქართველოსათვის სწორედ ბალტიისპირეთის ქვეყნების მხარდაჭერა და დახმარება, იმიტომ, რომ მე ხაზს ვუსვამდი ამ გარემოებას, ბალტიისპირეთის ქვეყნებმა გაიარეს ის მწარე გამოცდილება და პრობლემები, ძირითადად, რომელიც ჩვენ გვაქვს. ამიტომ, მათ სიტყვას ევროპულ-ატლანტიკურ სტრუქტურებში აქვს პრინციპული მნიშვნელობა, იმიტომ რომ მათ იციან ის პრობლემები, რომელი პრობლემების წინაშეც ჩვენ ვდგევართ და აქედან გამომდინარე, მე მინდა კიდევ ერთხელ ხაზი გავუსვა, რომ ისინი იბრძოლებენ იმისათვის, რომ ნატოს და ევროკავშირის კარი არ დაიხუროს საქართველოს წინ და ჩვენ ევროპული ოჯახის ღირსეული წევრნი გავხდეთ.

საქართველოს პარლამენტის 2003 წლის 6 ივნისის პლენარული სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი

2003 წლის 6 ივნისის პლენარული სხდომა

სიტყვა ეძლევა პარლამენტის თავმჯდომარეს.

ნ. ბურჯანაძე. მე ძალიან ვწუხვარ, რომ რაღაც ლამის არის ტრადიციად ჩამოყალიბდა პარლამენტის პლენარული სხდომათა დარბაზის დატოვება და მე ამას ვერანაირად ვერ მივესალმები. მე ძალიან ვწუხვარ და მინდა ბოდიში მოვუხადო მოსახლეობას, რომელიც დილიდან ელოდება აფხაზეთის საკითხის განხილვას და მე იმაში ნამდვილად ვეთანხმები ბატონ ჯემალს, რომ, სამწუხაროდ, ჩვენ როგორც წესი, საღამოობით ვიწყებთ ხოლმე აფხაზეთის საკითხის განხილვას, მაგრამ, ალბათ დამეთანხმებით, პატივცემულო კოლეგებო, რომ დილიდან მართლაც ობიექტური რეალობა გახლდათ ისეთი, რომ პარლამენტის პლენარული სხდომა მუშაობდა. ჩვენ ვალდებულება გვქონდა, რომ კენჭისყრები ჩაგვეტარებინა და ბიუჯეტის მოსმენა დაგვესრულებინა. ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენ, ალბათ, მაინც დავუთმობთ იმდენ დროს აფხაზეთის საკითხის განხილვას, რამდენიც საჭიროა, თუმცა, რა თქმა უნდა, ჩემთვის ძალიან სამწუხარო გახლავთ ის, რომ ფრაქციათა საკმაოდ დიდი ნაწილი არ ესწრება პლენარულ სხდომათა დარბაზს. ნუ, მე იმედს ვიტოვებ იმისას, რომ კონსულტაციები ყველა ფრაქციებთან, ვინც დღეს დარბაზში არ იმყოფება, გაგრძელდება, მათ შორის, ჩემი მონაწილეობითაც და მე დარწმუნებული ვარ, რომ ეს ადამიანები ჩვენ უახლოეს ხანებში შემოგვიერთდებიან. რაც შეეხება ჩემს გამოსვლას ბიუჯეტთან დაკავშირებით, მე შევეცდები, პატივცემულო კოლეგებო, რომ დიდი დრო არ დავიკავო, მით უმეტეს, რომ ჩვენ ძალზე მნიშვნელოვანი საკითხი გვაქვს აფხა-

ზეთთან დაკავშირებით განსახილველი. მაგრამ ამისდა მიუხედავად მაინც არ შემიძლია თქვენი ყურადღება არ მივაპყრო იმ საკითხებს, რომლებიც ჩემს ძალიან სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. გარკვეულწილად ის აპათია, რომელიც ამ დარბაზში გაჩნდა და რომელიც, ალბათ, ნაწილობრივ იწვევს ჩვენი კოლეგების მხრიდან დარბაზის პერმანენტული დატოვების ხან მცდელობას და ხან კიდევ დატოვებას, ვფიქრობ, განპირობებულია იმ გარემოებით და იმ ვითარებით, რომელიც ძალიან ხშირად ამ დარბაზში სუფევს. მე გუშინ ვერ დავფარე ჩემი აღშფოთება იმ პროცედურასთან დაკავშირებით, რა პროცედურითაც მიმდინარეობდა 2002 წლის ბიუჯეტის კანონის შესრულების ანგარიში და საქმე იმაში არ გახლდათ, ბატონებო, რომ მე მინდოდა აქ ან ჩხუბი ყოფილიყო ან აყალმაყალი ან დავა და ვინმეს ვინმესთვის შეურაცხყოფა მიეყენებინა. ნამდვილად ეს ასე არ იყო. თქვენ, ალბათ, დამეთანხმებით, რომ ყველაზე კრიტიკული აზრის გამოთქმასაც კი მე ყოველთვის ვცდილობ კორექტულად, მაგრამ ის კი ნამდვილად მინდოდა და ძალიან მინდოდა, რომ ამ დარბაზს ეჩვენებინა ჩვენი მოსახლეობისათვის, თითოეული ჩვენთაგანისათვის, პოზიციისა თუ ოპოზიციისათვის, რომ ეს დარბაზი არ არის მოწყვეტილი ხალხს და რომ ამ დარბაზმა იცის, რა ვითარებაა რეალურად ქვეყანაში და რა განწყობა აქვს ჩვენს მოსახლეობას.

მე გუშინ როცა ვემზადებოდი, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, ბიუჯეტის შესახებ კანონის თაობაზე სიტყვით გამოსასვლელად, მაინც გადავხედე იმ გამოსვლას, რომელიც მე მქონდა 8 ნოემბერს 2002 წლისა, როდესაც ჩვენ 2002 წლის ბიუჯეტის 9 თვის ანგარიშს და 9 თვის ინფორმაციას ვისმენდით. ჩემდა ძალიან სამწუხაროდ, პატივცემულო კოლეგებო, უნდა ვთქვა, რომ დღესაც მთელი სიმწვავით და ბევრად უფრო მწვავედ შეიძლება განმეორებულ იქნას ყველა ის საკითხი და ყველა ის თემა, რომელიც მე 2002 წლის ნოემბერში წამოვწიე და, ჩემდა სამწუხაროდ, გამართლდა ყველაზე ცუდი პროგნოზები,

რომელი პროგნოზებიც გაისმოდა მაშინ დარბაზში მყოფი ოპოზიციისა და პირადად ჩემი მხრიდან. გახსოვთ თქვენ, მაშინ საქართველოს პარლამენტმა უარი თქვა უარყოფითად შეეფასებინა მთავრობის მუშაობა და ჩვენ იმის იმედით ვიყავით, რომ მიუხედავად იმ გარღვევისა, რომელიც 9 თვის ბიუჯეტთან დაკავშირებით იყო მთავრობის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში, ჩვენ საბიუჯეტო წელს დავასრულებდით არა გარღვევით, არამედ ბიუჯეტის შესრულების პარამეტრებით. რა მივიღეთ ჩვენ რეალურად, პატივცემულო კოლეგებო და მივიღეთ თუ არა შესრულებული ბიუჯეტი. მიუხედავად იმისა, რომ მთავრობა ამ პირობებს იძლეოდა და ისე როგორც ახლა, რამდენიმე ხნის წინ ჩვენ გვესმოდა ასევე დაპირებები იმის თაობაზე, რომ 100, 120 და 140 მილიონი იქნება ამოღებული ბიუჯეტიდან. მე მინდა გკითხოთ, პატივცემულო კოლეგებო, შესრულდა 2002 წლის ბიუჯეტი? მიუხედავად იმ დაპირებებისა, მიუხედავად იმისა, რომ აქ მყოფმა ძალიან ბევრმა თქვენგანმა მაშინ კრიტიკულად არ შეაფასა ის, რაც 2002 წლის 9 თვის ანგარიშთან იყო დაკავშირებული, არ შესრულდა, ბატონებო, ბიუჯეტი, რაც იმას ნიშნავს, რომ „ჭირმა თავისი თავი არ დამალა“ მიუხედავად იმისა, რომ ამ დარბაზში იყო სერიოზული მცდელობა, რომ ჩვენ დაგვემალა ის რეალური ვითარება, რა ვითარებაც არსებობდა. მე ძალიან ვწუხვარ, მაგრამ გუშინდელი ჩვენი მოსმენის დროს მე დამრჩა ისეთი შთაბეჭდილება, რომ ჩვენ საერთოდ მოწყვეტილი ვართ ობიექტურ რეალობას ანდა შეგნებულად ვმალავთ იმ რეალურ სიტუაციას, რაც არსებობს ქვეყანაში. მაგრამ გარწმუნებთ, ბატონებო, როგორც არ უნდა შევალამაზოთ ჩვენ არსებული ვითარება, ჩვენ ამით ვერაფერს ვერ მივაღწევთ. პირიქით, უკურეაქცია იქნება და მეტ აგრესიას წარვმართავთ ჩვენ ხელისუფლების მიმართ, იმიტომ რომ ჩვენზე კარგად მოსახლეობამ იცის, სრულდება თუ არ სრულდება ბიუჯეტი. ბატონმა ჯემალ გამახარიამ დასვა კითხვა, პასუხი იყო გაცემული ისეთი, რომ ვერ გაიგებდი, არის სახელფასო დავალიანება თუ არ არის

სახელფასო დავალიანება. მე ვერ გავიგე, მაგალითად, არის თუ არა ეს დავალიანება. ბატონმა გივი ბეციაშვილმა დასვა შეკითხვა პენსიებთან დაკავშირებით. ასევე ვერ გავიგე აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან, არის ეს დავალიანება თუ არ არის. ვერ გავიგე მე მიუხედავად იმისა, რომ ვუსმენდი, მაგრამ თქვენ ხომ იცით, რომ ეს დავალიანება არის. მე მიკვირს უბრალოდ, რატომ არიან გაჩუმებული მაჟორიტარი დეპუტატების უმრავლესობა. თქვენ ხომ იცით, პატივცემულო კოლეგებო, თქვენ ხომ იცით, ბატონებო, რომ რაიონში ლამის არ მიგესვლებათ იმის გამო, რომ ძალიან ბევრ პირობას, რომელიც თქვენ მიეცით ამ ადამიანებს, ბიუჯეტის იმედად თქვენ ვერ უსრულებთ მათ და ვერც შეუსრულებთ იმიტომ, რომ მაჟორიტარი დეპუტატი ბიუჯეტის მხარდაჭერის გარეშე ვერ შეასრულებს ამ პირობას. თქვენ ხომ იცით, რომ იანვრიდან, თებერვლიდან პენსიები არ არის გაცემული? თქვენ ხომ იცით, რომ სახელფასო დავალიანებაა და არ გაიცემა ეს დავალიანებები. თქვენ ხომ იცით, რომ უამრავი ტრანსფერტი, რომელიც რაიონში იყო გადასაცემი, არ არის გაგზავნილი და ეს ძალიან სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. თქვენ ხომ იცით, რომ ის 15 მილიონი, რომელიც გამოყოფილი იყო იმისათვის, ნაპირსამაგრი სამუშაოები ჩატარებულიყო იმისათვის, რომ აღდგენითი სამუშაოები ჩატარებულიყო და მიწისძვრით დაზარალებულებთან პირნათელნი ვყოფილიყავით, არ იყო გამოყოფილი და ლამის მიტინგი დასჭირდა იმას, რომ იმ 15 მილიონიდან 5 მილიონის პირობა მიეცა ხელისუფლებას, პირობა იმისა, რომ გასცემს ოდესმე მიწისძვრით დაზარალებულებისათვის. ხომ იცით ეს ყველაფერი, ბატონებო? რატომ იყო გუშინ, რომ 4 თუ 5 კითხვა დაისვა ფინანსთა მინისტრის მიმართ და სახელმწიფო მინისტრის მიმართ პრაქტიკულად აღარ დასმულა კითხვები 2002 წლის ბიუჯეტის შესრულებასთან დაკავშირებით. გუშინ მე გამახსენდა, ჩემდა სამწუხაროდ, ჩერნობილის ტრაგედია, ბატონებო, როდესაც ჩერნობილის ავარია მოხდა და ხელისუფლება

აღლუმს ატარებდა. დაიმალებოდა? ეტყობა ეგონა მაშინაც ხელისუფლებას, რომ ჩერნობილის ტრაგედია დაიმალებოდა. ვერ დაიმალა, ბატონებო, იმიტომ რომ ობიექტურად არ შეიძლება ეს დაიმალოს. ნუ ვიქცევით დღეს ჩვენ ისე, თითქოს არაფერი არ ხდება ქვეყანაში. ხდება. ჩვენ თუ ამაზე თვალები დავხუჭეთ, პატივცემულო კოლეგებო, ჩვენ ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩავაყენებთ ხელისუფლებას, თითოეულ ჩვენგანს, მაგრამ ეს ნაკლები ბოროტებაა. ჩვენ ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩავაყენებთ ქვეყანას იმიტომ, რომ ამას არ მოითმენს მოსახლეობა დიდხანს. უამრავ რამეზე შემიძლია კითხვა დავსვა. გუშინ ბატონმა დიმიტრი ჯაიანმა მკითხა, რა უნდა ვკითხოთო. აფხაზეთის ფრაქციის წარმომადგენელი ბრძანდება ბატონი დიმიტრი და ეხლა ნამდვილად ეჭვი არავის არ ეპარება იმაში, რომ თუ ვინმეს შესტკივა გული აფხაზეთზე, ბატონი დიმა ერთ-ერთი პირველი არის მათ შორის, ვისაც გული შესტკივა. ვერ დავიბრუნებთ ჩვენ აფხაზეთს ამ ბიუჯეტით, ბატონებო, და კითხვა უნდა დავსვათ შემდეგი: გუშინ, მე მგონი, ბატონმა ირაკლი ბათიაშვილმაც ბრძანა, ამიხსენით, როცა ვლაპარაკობდით იმაზე, რომ რატომ არ ფინანსდები თავდაცვა, რატომ არ ფინანსდება ძალოვნები, ამიხსენით, პატივცემულო კოლეგებო, რატომ ხდება რომ დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი 2003 წელს, 2002 წელს დაფინანსებული არის რაღაც 80%-ით, რატომ ხდება, რომ თავდაცვის სამინისტრო დაფინანსებულია ლამის 70%-ით, რატომ ხდება, რომ სხვა ძალოვანი უწყებები ასევე არიან დაფინანსებული არა 100%-ით და იმ დაფინანსების, მიღებული დაფინანსების 70, 80, 60% მიღებული დაფინანსებისა კვლავ არის კიდევ დაცული მუხლები, ანუ ფაქტიურად განვითარებაზე და პროგრამებზე არაფერი არ არის, ქალბატონი მანანა გუშინაც ამბობდა, ამას წინათ და ყოველთვის ხაზს უსვამს და სრულიად გასაგებად იმას, რომ საქართველოს უმთავრესი პრიორიტეტია ნატოში გაწევრიანება. როდის გავწევრიანდებით ჩვენ ნატოში? ელემენტარულად, თუ ჩვენ ის ვერ

მოვახერხეთ, რომ თავდაცვის სფერო იმ მინიმუმით დავაფინანსოთ, რაც დასაფინანსებელია, რა ნატოში გაწევრიანებაზე შეიძლება ლაპარაკი. ნატოში ვერ გავწევრიანდებით, თუ ბიუჯეტი ამას ხელს არ შეუწყობს, არ მოხდება ეს, ბატონებო, და ბატონი ირაკლი შემობრძანდა და მან ეს არანაკლებ ჩემზე კარგად იცის. ეს არის ძალიან სერიოზული პრობლემა და ამ პრობლემაზე, უბრალოდ, არ შეიძლება რომ პასუხი არ გაიცეს. მე არ შემიძლია მადლობა არ გადავუხადო ბატონ ბეჟან გონაშვილს, რომელიც მაშინაც, აი ეხლა, უბრალოდ, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ ჩემი მაშინდელი გამოსვლის ტექსტიც მიდევს და მაშინაც იყო ერთადერთი ადამიანი, პრაქტიკულად, სახელისუფლებო ფრაქციებიდან და დღესაც გახლდათ ლამის ერთადერთი ადამიანი, რომელმაც პრობლემა დააყენა და რომელმაც თქვა, რომ აი ეს პრობლემა ნამდვილად არსებობს. ბატონო ბეჟან, მე მაინტერესებს გკითხოთ, ის, რაც მაშინ იყო საკითხები დასმული 4, 5 თუ 6 თვის წინ, რომელიმე შესრულდა და რომელიმე გადაწყდა? არც ერთი საკითხი არ გადაწყვეტილა. სოფლის მეურნეობა რომ დაფინანსებული არ არის ივნისში, ბატონებო, ჩემზე უკეთ იცით, რას ნიშნავს ეს სოფლის მეურნეობისათვის. სექტემბერში რა აზრი აქვს სოფლის მეურნეობის დაფინანსებას, სექტემბერში რამეს დათესავთ, მიწას მოხნავთ, მოიყვანთ თუ რას გააკეთებთ? დღეს თუ არ იქნა დაფინანსებული სოფლის მეურნეობა, რა მოსავალი უნდა მიიღოს მოსახლეობამ? ვინმეს შეგიძლიათ ამიხსნათ? უამრავი სხვა პრობლემა, რომელზეც მე, უბრალოდ, აღარ ვიცი, იცით სიმართლე გითხრათ იმიტომ, რომ აი აქ მიდევს ის ციფრები, რომლებიც მე, უბრალოდ, ძალიან მაშფოთებს. სამინისტრო 61%-ით დაფინანსდება, ბატონებო, ჩვენს ქვეყანაში, რომელიც იმ გეოპოლიტიკურ ვითარებაში იმყოფება, სადაც ვართ და მართლაც გვილაპარაკია იმაზე, რომ აგერ პარლამენტში არიან აგენტები. საზღვრის დაცვის დეპარტამენტი 50%-ით, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური 66%-ით, თავდაცვის სამინისტრო 75%–ით, პროკურატურა

ნახევრად არ არის დაფინანსებული და მე მართლაც ძალიან აღშფოთება მინდა გამოვხატო, რატომ არ კითხულობს პროკურატურა, მაინტერესებს, რატომ არ არის დაფინანსებული იგივე ეს ყველა უწყება და ყველა ეს ორგანო. რატომ არ კითხულობენ, კანონი სრულდება თუ არ სრულდება? 2002 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პარამეტრებთან დაკავშირებით, აღარც მინდა, იცით, სიმართლე გითხრათ. მე სწორად გამიგეთ, პიროვნულად ძალიან დიდ პატივს ვცემ, პრაქტიკულად, ყველა იმ ადამიანს, ვინც ამ დარბაზში ბრძანდება, მაგრამ, უბრალოდ, ვფიქრობ, რომ მართლა აქვს აზრი ამ გამოსვლას? მე მგონი, რომ აზრი ამ გამოსვლას, უბრალოდ, არა აქვს იმიტომ, რომ არაფერი არ იცვლება წლიდან წლამდე. ვიძახდით ნოემბერში, რომ იქ გაირღვევა ბიუჯეტი, გვითხრეს, რომ არა, არ გაირღვეოდა. დავიჯერეთ, რა მივიღეთ შედეგად? არა მარტო წინა წლის გარღვეული ბიუჯეტი, არამედ დღევანდელი ბიუჯეტიც, 2003 წლის ბიუჯეტიც. 2003 წლის 4 თვეში საგადასახადო შემოსავლების 29 მილიონი ლარის მინიმალური დაბეგვრის პირობებშიც კი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების გარღვევამ შეადგინა 42 მილიონი ლარი. ეს 4 თვეში. ამას კიდევ დაემატა საკმაოდ სერიოზული თანხა 116 მილიონი ლარი პენსიების დავალიანებების. როდის იქნება გადახდილი, ვინმეს შეუძლია მითხრას? ხო, მართალია, რატომღაც იქით ვიყურები, არ ვიცი, „სოციალისტების“ ფრაქციისკენ და უნდა ვიყურებოდე მარცხნივ სამთავრობო ლოჟისაკენ. დღეს მე ერთი კითხვა მინდა დავუსვა აღმასრულებელ ხელისუფლებას და, რა თქმა უნდა, ცუდია, რომ დღეს სახელმწიფო მინისტრი ჩვენთან არ არის, არ ბრძანდება დარბაზში და ფინანსთა მინისტრიც, მართლაც გადაუდებელი მიზეზების გამო წავიდა. სეკვესტრი იქნება, ბატონებო, თუ არ იქნება? რატომ არც ერთმა არ ჰკითხეთ ფინანსთა მინისტრს? რატომ არავინ არ იკითხა? ამ დარბაზში არის ძალიან ბევრი, ათეულობით ადამიანი, ვინც ჩემზე ბევრად მეტად კომპეტენტურია ბიუჯეტის საკითხებში. რატომ არც ერთმა არ იკითხეთ, იქნება თუ არა სეკვე-

სტრი? თქვენ ხომ იცით, რომ სეკვესტრი გარდაუვალია? თქვენ ხომ იცით, რომ სავალუტო ფონდი ითხოვს 113 მილიონი ლარით კორექტირებას ბიუჯეტისა, 113 მილიონი ლარით. არ შეიძლება, რომ თქვენ ეს ინფორმაცია არ გქონდეთ. რატომ არ დასვით ეს კითხვა და რატომ არ სვამთ კითხვას იმის თაობაზე, რატომ არ შემოდის კითხვები სეკვესტრის თობაზე? არ შემოდის იმიტომ, რომ დღეს პოლიტიკურად ეს წამგებიანია, გავჩუმდეთ ამაზე ყველაფერზე, ბატონებო? გავჩუმდეთ იმაზე, რომ 35 ლარამდეც ვერ აგვყავს ხელფასი? მე არ ვიცი, ეხლა დეტალებში ნამდვილად ვერ ვერკვევი და არა ვარ მე პროფესიონალი, რომ ამ დეტალებზე ვისაუბრო, მაგრამ ჩემთვის ნათელია ერთი რამ, 50 ლარამდე, 50 ლარის ზემოთ 20%-მდე იყო თუ არ იყო, არა აქვს ამას მნიშვნელობა, ჩემთვის ნათელი არის ერთი: ამ ფორმით თუ შელამაზებული ფორმით ერთი ჯიბიდან, მოსახლეობის, სხვათა შორის, და არა საკუთარი ჯიბიდან, მთავრობას ამოაქვს ფული და იმის საფუძველზე აძლევს და აპირებს მისცეს მოსახლეობის დანარჩენ რაოდენობას 35-ლარიანი ხელფასი. ის ციფრი, რომელიც ბატონმა დავით სალარიძემ დაასახელა, ეს არ იყო პრაქტიკულად შოკის მომგვრელი, რომ 200000 ტონიდან თუ რამდენია 200000 ტონიდან, საწვავიდან, ბენზინი და ა.შ. 50000 არის მხოლოდ ბიუჯეტში აღრიცხული? სად წავიდა ის 50000, არ იცით? მე ეჭვი მაქვს, რომ ყველამ ვიცით, მაგრამ არავინ არაფერს ამაზე არ ვამბობთ. ყველამ ვიცით, ბატონო გენო, სამწუხაროდ, ყოველ შემთხვევაში ის ვიცით, რომ 50000 ტონა არ დახარჯულა, ხომ მართალია? და არავინ ამაზე ხმას არ ვიღებთ, ბატონებო. მე არ ვიცი, იცით, ეხლა, ნამდვილად ძალიან ბევრი ციფრი იყო მომზადებული, ვცდილობდი, რომ რაღაც ისეთი, ძალიან მეტ-ნაკლებად, ასე ვთქვათ, პროფესიული გამოსვლა ყოფილიყო, მეტ-ნაკლებად არგუმენტირებული, მაგრამ აქვს ამას აზრი, მითხარით, რაიმე შედეგი იმას, რასაც ეხლა ლაპარაკობს პარლამენტის თავმჯდომარე? არა აქვს ამას მნიშვნელობა ბურჯანაძეა ეს თუ ნებისმიერი სხვა გვარის ადა-

მიანი, მთავარია, რომ ამას ამბობს პარლამენტის თავმჯდომარე და თქვენ იცით, რომ ამბობს მართალს. მოყვება ამას რამე? რა თქმა უნდა, არაფერი და ჩვენ გაის ამ დროს ვინც ვიქნებით ამ პარლამენტში ან არ ვიქნებით, ისევ ვიტყვით, რომ ისევ გაირღვა ბიუჯეტი. ან შეიძლება ესეც არ ვთქვათ და მივიღოთ დადგენილება, სადაც კვლავ დავამტკიცებთ ბიუჯეტის კანონს, კვლავაც, ალბათ, არასაკმარისად, უკეთეს შემთხვევაში, შევაფასებთ მთავრობის მუშაობას ბიუჯეტთან დაკავშირებით და არავის არ გვახსენდება ის ინფორმაცია, რომელიც გუშინ კონტროლის პალატამ აქ წარმოადგინა და სადაც, პრაქტიკულად, მთელი თავები და მუხლებია ჩამოთვლილი, რომელი მუხლი დაირღვა „ბიუჯეტის შესახებ“ კანონის, რომელი მუხლი არ შესრულდა. ის, რომ მუდმივი პრობლემაა, რომ ეროვნული ბანკის და ხაზინის ანგარიში არ ემთხვევა ერთმანეთს, ჩვენ საერთოდ არა გვაქვს, სიმართლე გითხრათ, ბიუჯეტის შესახებ ანგარიშის დამტკიცების უფლება. ჩვენი რეგლამენტის 149-ე მუხლის მე-5 პუნქტით ანგარიში სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მტკიცდება იმ შემთხვევაში, თუ ზუსტად და სრულად ასახავს გასულ საბიუჯეტო წელს ბიუჯეტში შემოსავლებისა და ხარჯების მოცულობას, ხარჯების კანონიერებას. წინააღმდეგ შემთხვევაში პარლამენტს შეუძლია არ დაამტკიცოს ანგარიში. რომელიმე თქვენთაგანი მეტყვის მე, რომ ის ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილი იყო, ზუსტი იყო და ზუსტად ასახავდა შემოსავლების და ხარჯების მოცულობას, ხარჯების კანონიერებას? მაშინ კონტროლის პალატას მოვთხოვოთ ანგარიში, თუ ეს ასეა. მე არ მინდა, ეხლა აღარ გავაგრძელებ, ბატონებო, იმიტომ, რომ ჩემი ერთ-ერთი კოლეგა, რომელიც შემობრძანდა და რომელიც, პრაქტიკულად, როგორც მე ვხედავ ლიდერი ბრძანდება, ჩემდა სამწუხაროდ, სახელისუფლებო ბლოკისა, ერთ-ერთი ლიდერი ბრძანდება, როგორც ჩანს, აკვირდებოდა რამდენი წუთი დარჩა. არა აქვს აზრი, ბატონებო, ლაპარაკს, აღარ გავაგრძელებ იმიტომ, რომ მე, ჩემდა ძალიან სამწუხა-

როდ, მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ყველანი ვართ თანამონაწილენი იმისა, რაც ამ ქვეყანაში ხდება იმიტომ, რომ ჩვენ ჩუმად ვართ. ჩვენ არაფერს არ ვამბობთ და ამით ჩვენ სიტუაციას ქვეყანაში ვერ გადავარჩენთ, გარწმუნებთ. თუ ვინმე იმიტომ ჩუმდება, რომ ფიქრობს, რომ დღეს ქვეყანაში რთული ვითარებაა და გაჩუმება ჯობია, სცდებით, ბატონებო. გუშინ აქ სახელისუფლებო ფრაქციებს უნდა დაესვათ რაც შეიძლება მწვავედ და რაც შეიძლება მძიმედ შეკითხვები, რომ მოსახლეობას დაეჯერებინა იგივე ხელისუფლების. ჩემდა სამწუხაროდ, ხელისუფლება დამალვას ამჯობინებს ყველაფერი იმისას, რაც ქვეყანაში ხდება. ეს ვერ დაიმალება და გამოიწვევს ბევრად უფრო მძიმე შედეგებს. ღმერთმა ქნას, რომ ეს ასე არ იყოს, მაგრამ მე არ შემეძლო, რომ ჩემი ეს დამოკიდებულება და ჩემი ეს პოზიცია არ დამეფიქსირებინა, არ გამომეხატა და ძალიან დიდი წუხილი არ გამომეთქვა იმის თაობაზე, რომ პარლამენტი მართლაც ვერ არის თავის სიმაღლეზე და ჩვენი ბრალია ძალიან მნიშვნელოვანწილად ის, რომ ხელისუფლება უშვებს იმ შეცდომებს, რა შეცდომებსაც უშვებს. იმიტომ, რომ ჩვენ, ამდენი ძალიან ღირსეული ადამიანი ვინც ბრძანდებით, გაჩუმებულნი ვართ, ჩვენ ხმას არ ვიღებთ იმ პრობლემებზე, რომელსაც მუდმივად აჭარა აყენებს, ხმას არ ვიღებთ იმაზე. აი წინა გამოსვლის დროს მე ვთქვი, გაირკვეს ცენტრსა და აჭარას შორის პრობლემები ერთხელ და სამუდამოდ. ვინმემ მითხრას, ვინ არის ამაში დამნაშავე, ცენტრი თუ აჭარა, ვინმემ მოისურვა ამის გარკვევა? მე არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, დღესაც იგივე ურთიერთბრალდებებია, იგივე გაურკვეველი ვითარებაა, რა ვითარებაც იყო რამდენიმე თვის წინ. მე არ ვიცი, პატივცემულო კოლეგებო, მე ბოდიშს ვიხდი, თუ ზედმეტად ემოციურად ვსაუბრობ, მაგრამ მე მაქვს სერიოზული საფუძველი ვიფიქრო იმაზე, რომ წლის ბოლოს საკმაოდ ძალიან მძიმე შედეგები გვექნება ჩვენ ბიუჯეტის შესრულების თვალსაზრისით. პროგნოზი, რომელიც ქვეყნდება, რომელზეც ლაპარაკობენ, რომ ბიუჯეტი შეიძლება გაიროვეს

250 მილიონი ლარით, ეს ძალიან სერიოზული პროგნოზია, ბატონებო. დაბოლოს კიდევ ერთი რამ. მე არ შემიძლია განსაკუთრებული გულისტკივილით არ აღვნიშნო, რომ თქვენ არ შეგძრათ იმ ციფრმა, რომელიც დღეს აქ ბატონმა ლაურა მანაგაძემ დაასახელა? თუმცა, ღმერთმა ქნას, რომ ბევრად უკეთესი მდგომარეობა იყოს სომხეთში, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, როგორ უჭირს სომხეთს დღეს, როგორ მძიმე მდგომარეობაშია, არც ბუნებრივი რესურსები აქვს ჩვენზე მეტი, არც რეალური შემოსავალი აქვს ჩვენზე მეტი. როგორ ახერხებს სომხეთი იმას, რომ ერთ სულ მოსახლეზე ხარჯავს 80 დოლარს, 80 დოლარის ექვივალენტს ჯანდაცვაში და ჩვენ ვხარჯავთ 20 დოლარს. რატომ ხდება ეს? მე ხომ არ ვადარებ საქართველოს შვეიცარიას, ავსტრიას, საფრანგეთს და მსგავს ქვეყნებს? რატომ ხდება, რომ, ელემენტარულად, ბალტიისპირეთის ქვეყნებმა მოახერხეს ის, რომ პროფიციტი ჰქონდეთ, ანუ ზედმეტი შემოსავალი ჰქონდეთ ბიუჯეტში 100 და 120 მილიონი ლარი. და რა უნდა ვუპასუხო მე და მაქვს თუ არა უფლება, რომ აღვშფოთდე ხელისუფლებაზე და მთავრობაზე, როდესაც ვილნიუსის ათეულის შეხვედრის დროს ესტონეთის პარლამენტის თავმჯდომარე შემომჩივლებს, რომ უმძიმესი სხდომები აქვს ჩასატარებელი, მეორე, მესამე დღეს ბიუჯეტთან დაკავშირებით და ჩემს პასუხზე, რომ ძალიან კარგად მესმის, ეს რა მძიმე ემოციური ტვირთია, მეუბნება, რომ აი წარმოგიდგენიათ, რომ 100 მილიონზე მეტია დამატებითი შემოსავალი ბიუჯეტში და აი როგორ გავანაწილოო. ყველას უნდა, რომ თვითონ წაიღოს ეს დამატებითი შემოსავალი და წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, რა მდგომარეობაში ვიქნებიო. ძალიან დიდი სურვილი მქონდა, სიმართლე გითხრათ, რომელიმე წარმომადგენელი აღმასრულებელი ხელისუფლებიდან რომ ყოფილიყო იქ ჩემს გვერდით იმ მომენტში. ეს არის, ბატონებო, ის, რაც მე მინდოდა მეთქვა. არ ვიცი – რამდენად შევძლებთ ჩვენ რამის გაკეთებას იმ დუმილით, რა დუმილითაც ჩვენ შევცქერით ქვეყანაში არსებულ ვითარებას,

მაგრამ მე კიდევ ერთხელ მინდა შეგახსენოთ, რომ ხელისუფლებას, სახელისუფლებო ფრაქციებს, სახელისუფლებო ბლოკს, ბევრად მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება ქვეყნისა და ხალხის წინაშე, ვიდრე თუნდაც ოპოზიციას. ოპოზიციასაც, რა თქმა უნდა, ბატონო ვახტანგ, უპასუხისმგებლო არც ოპოზიცია უნდა იყოს და არც ხელისუფლება, მაგრამ პასუხისმგებელი ხალხისა და ქვეყნის წინაშე, უპირველეს ყოვლისა, არის ხელისუფლება და ხელისუფლებას უნდა ეყოს გამბედაობა, რომ აღიაროს თავისი შეცდომები და მხოლოდ ამ შემთხვევაში დაიმსახურებს ის ხალხის ნდობას. დიდი მადლობა (ტაში).

საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 22 აპრილის პლენარული სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი

ნ. ბურჯანაძე. ქალბატონებო და ბატონებო, პატივცემულო კოლეგებო, მინდა უღრმესი მადლობა გადაგიხადოთ თითოეულ თქვენგანს იმ ძალიან დიდი ნდობისთვის, რომელიც თქვენ გამომიხატეთ. მე ძალიან კარგად მაქვს გააზრებული და წარმოდგენილი, რას ნიშნავს დღეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეობა და მე მართლაც აბსოლუტურად გულწრფელად იმედი მაქვს იმისა, რომ მე შევძლებ თქვენი იმედების გამართლებას და შევძლებ თქვენთან ერთად და თქვენი მხარდაჭერით, თქვენი დახმარებით საქართველოს მოსახლეობის იმედების გამართლებას, რომელიც ჩვენი სახით ძალიან დიდ იმედებს ამყარებს საქართველოს პარლამენტის მუშაობაზე. ვინაიდან ჩვენი დღევანდელი მუშაობა საკმაოდ გაგვიგრძელდა, ჩვენ კი ძალიან მნიშვნელოვნი რამდენიმე საკითხი გვაქვს დღევანდელ სხდომაზე განსახილველი, მე განსაკუთრებულად გრძელი გამოსვლით თქვენ თავს არ შეგაწყენთ, მით უმეტეს, რომ დღეს დილის სხდომაზე გამობრძანდა ბატონი პრეზიდენტი, რომელმაც ძირითადი მიმართულებები ჩვენი მომავალი მუშაობისა, პარლამენტის მუშაობისა და ქვეყნის განვითარებისა ჩამოაყალიბა, მაგრამ მე არ შემიძლია რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით ჩემი პოზიცია არ გამოვხატო. მე მინდა მართლაც, უპირველეს ყოვლისა, გულწრფელად მოგესალმოთ თითოეულ თქვენგანს და ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ დღეს ჩვენ ყველანი აქ ისტორიული მოვლენის მოწმენი გახლავართ. დღევანდელი საპარლამენტო სესიით ჩვენ, პრაქტიკულად, დავასრულეთ „ვარდების რევოლუციის“ რევოლუციური ციკლი, მართლაც შეიკრა ეს ციკლი, შეიქმნა ახალი

პარლამენტი. პარლამენტი, რომელსაც საქართველოში აკისრია აბსოლუტურად ისტორიული მისია აღუდგინოს პარლამენტს დაკარგული ავტორიტეტი და ხალხის ნდობა დაუბრუნოს პარლამენტს, ხალხის ნდობა დაუბრუნოს ხელისუფლებას. ეს არის პარლამენტი, რომელსაც ჩვენ შეიძლება საქართველოს მოსახლეობის იმედის პარლამენტი დავარქვათ იმიტომ, რომ ადამიანები მართლაც დღისით და ღამით, წვიმაში და ქარში იდგნენ ამ შენობის წინ იმიტომ, რომ მათ არ უნდოდათ ხელისუფლების მიერ დანიშნული პარლამენტი. მათ არ უნდოდათ ისეთი პარლამენტი, სადაც პარლამენტის წევრთა აბსოლუტური უმრავლესობა არ იქნებოდა მათი ნების გამომხატველი. ამ ადამიანებმა, თითოეულმა მათგანმა, თქვენთან, ჩვენთან ერთად მიაღწიეს გამარჯვებას, ისტორიულ გამარჯვებას, მთელ მსოფლიოს დაუდასტურეს და დაუსაბუთეს, რომ ქართველი ხალხი მზად არის დემოკრატიული ფასეულობების დასაცავად და მზად არის დემოკრატიული სახელმწიფოს ასაშენებლად, რომ ქართველი ხალხი იმსახურებს დემოკრატიულ, ცივილიზებულ, განვითარებულ და წარმატებულ ქვეყანაში ცხოვრებას და ამ ადამიანებმა მიაღწიეს იმას, რომ დღეს მართლაც პარლამენტში ძალიან ღირსეული ადამიანები არიან წარმოდგენილნი.

მე მივესალმები ჩვენს ძველ, გამოცდილ პარლამენტარებს, იმ ადამიანებს, ვინც უკვე გარკვეული კვალი დატოვა პოლიტიკაში. მივესალმები იმ ახალგაზრდებს, შეიძლება არცთუ ახალგაზრდებს, რომლებიც დღეს ახალი სახეები არიან პოლიტიკაში, მაგრამ რომელთაც ნამდვილად აქვთ ძალიან დიდი გამბედაობა, შემართება, კვალიფიკაცია იმისათვის, რომ უკეთესი ხვალინდელი დღე ააშენონ. ჩვენ, ალბათ, თითოეულ ჩვენგანს, იმისდა მიუხედავად, ვიყავით თუ არა ამ დარბაზში 5 თვის წინ, ზუსტად 5 თვის წინ და სხვათა შორის, პრაქტიკულად, ამავე საათებში, რა საათებშიც ჩვენ დღეს ეხლა კენჭის ყრის ჩატარება მოგვიწია, ალბათ, ყველას კარგად გვესმის, თუ რამოდენა გარდატეხა მოხდა ქვეყნის ცხოვრებაში. მე არ შემიძლია ძალიან

გულწრფელად მადლობა თქვენთან ერთად არ გადავუხადო თითოეულ იმ ადამიანს, რომელმაც მოიპოვა ეს გამარჯვება. ძალიან ბევრი ავტორი ამ გამარჯვებისა დღეს ამ დარბაზში არის. მე არ შემიძლია ნამდვილად ძალიან გულწრფელად მადლობა არ გადავუხადო საქართველოს პრეზიდენტს ბატონ მიხეილ სააკაშვილს, რომელმაც თავისი გამბედაობით ნამდვილად შეძლო ის, რომ დაეგვირგვინებინა ხალხის ნება და რევოლუცია გამარჯვებამდე მიეყვანა. ნამდვილად გადამჭრელი და გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმის შედეგი გახლდათ ის, რომ რევოლუცია არ დამარცხდა და ჩვენ შევძელით ჩვენი გამარჯვების დაფიქსირება და ჩვენი გამარჯვების განმტკიცება, ისევე როგორც 10 წლის წინ, როდესაც საქართველო დამოუკიდებელი ქვეყანა გახდა. დღეს ჩვენს პარლამენტს, პრაქტიკულად, ისეთივე რევოლუციური გადაწყვეტილებები და ცვლილებები აქვს მისაღები, როგორც ეს იყო 10 წლის წინანდელ პარლამენტში, როდესაც ახალი ქართული, დამოუკიდებელი სახელმწიფო ყალიბდებოდა.

მე აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ დღევანდელი ჩვენი პარლამენტი მზად არის, რომ 4 წლის განმავლობაში მიიღოს ის გადაწყვეტილებები, რომლებიც განსაზღვრავს ქვეყნის მომავალს, რომელიც უკეთეს რეალობას შეუქმნის საქართველოს მოსახლეობას. მე ღრმადა ვარ დარწმუნებული იმაში, რომ დღევანდელი ჩვენი პარლამენტი და ჩვენი ხელისუფლება გაამართლებს იმ იმედებს, რომელიც აქვს უამრავ ათასობით და ათი ათასობით „ვარდების რევოლუციის“ გულშემატკივრებს, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ქვეყნის გარეთ.

დღეს ჩვენს ქვეყანას მიეცა მეორედ უნიკალური შანსი, ჩვენ პირველად ეს შანსი ვერ გამოვიყენეთ, იმედი მაქვს, რომ მეორედ ჩვენ ამ შანსს ნამდვილად გამოვიყენებთ. ჩვენ გვაქვს დღეს უნიკალური შანსი ავაშენოთ ევროპული სტილის, ევროპული ტიპის დემოკრატიული, დამოუკიდებელი, ძლიერი სახელმწიფო, გავხდეთ ევროატლანტიკური სტრუქტურების ძალიან აქტიური მონაწილენი, ჩავეწეროთ იმ ნუსხაში, რასაც განვითა-

რებული, თანამედროვე ცივილიზებული და ევროპული ჰქვია. ეს არის ის მისია, რომელიც ერთის მხრივ, არის უდიდესი პასუხისმგებლობა, მეორეს მხრივ, არის უდიდესი ტვირთი. მე ვიცი, ღრმად ვარ დარწმინებული იმაში, რომ დღევანდელი პარლამენტი, თითოეული თქვენთაგანი მზად არის ამ უზარმაზარი ტვირთის და პასუხისმგებლობის მხრებზე საზიდად. ჩვენი, როგორც ქართული პარლამენტის წევრების ვალია, უზენაეს ინტერესად სწორედ იმ ადამიანების ინტერესები დავაყენოთ, რომელიც დღეს შეიძლება ითქვას, უკანასკნელი იმედის თვალით გვიყურებენ. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ამ პარლამენტმა ეფექტურად იმუშაოს. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ხალხმა დაინახოს, რომ თქვენ პარლამენტი ზრუნავთ მოსახლეობაზე. ეს არის ის ორგანო, რომელიც განსხვავებით წინა პარლამენტებისაგან არ არის კოლექტიური პრივილეგიების ორგანო, არამედ არის კოლექტიური პასუხისმგებლობის ორგანო საკუთარი ხალხის და საკუთარი ქვეყნის წინაშე.

ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება ის, რომ ჩვენ ერთიანად, ერთობლივად, ერთად შეკრულმა შევძლოთ იმ მუშაობის განხორციელება, რომელიც ჩატარებულიაქვეყნის უმძიმესი კრიზისიდან გამოსაყვანად. ჩვენი ყურადღების მიღმა ვერ დარჩება ვერც ერთი ის რთული პრობლემა, რომელიც დღეს ჩვენი მოსახლეობის და ჩვენი ქვეყნის წინაშე დგას. საქართველოს პარლამენტი იღებს თავის თავზე პასუხისმგებლობას, რომ დაიცავს და განავითარებს დემოკრატიულ ფასეულობებს, თავისი საქმიანობით დაამკვიდრებს კანონის უზენაესობას. ერთხელ და სამუდამოდ წარსულს უნდა ჩაბარდეს ის პერიოდი, როდესაც კანონი არ კანონობდა, როდესაც ქვეყანაში უკანონობის და დაუსჯელობის სინდრომი ბატონობდა, როდესაც კანონი მოქმედებდა ერთისათვის, მაგრამ არ მოქმედებდა მეორისათვის. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ნებისმიერი ადამიანი, ვინც უგულებელყოფს, ან

არასათანადოდ შეასრულებს კანონს, შესაბამისად იქნეს დასჯილი, შესაბამისად იქნეს პასუხისგებაში მიცემული. მე ღრმად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ საქართველოს პარლამენტი არ ჩამორჩება საქართველოს აღმასრულებელ ხელისუფლებას იმ ძალიან გამბედავ ბრძოლაში, რომელიც ხელისუფლებამ გამოუცხადა კორუფციას, იმ გამბედავ ბრძოლაში, რომელიც ხელისუფლებამ გამოუცხადა უკანონობას. მე დარწმუნებული ვარ, რომ დღევანდელი ჩვენი პარლამენტი იქნება უკომპრომისო, იქნება არაშემგუებელი ნებისმიერი დარღვევის, ნებისმიერი უკანონობის, ნებისმიერი უსამართლობის მიმართ. მე თქვენთან ერთად მზად ვარ ვიბრძოლო იმისათვის, რაც მიმაჩნია, რომ სწორია ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხისათვის, რაშიც დარწმუნებული ვიქნები ჩემი ქვეყნის და ჩემი სინდისის წინაშე. ჩვენ მთავარ ამოცანად უნდა დავისახოთ ის, რომ გავაძლიეროთ არა მხოლოდ პარლამენტი, არამედ გვყავდეს ძალიან ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლება და გვყავდეს ძლიერი და დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლება. თუ ჩვენს ქვეყანაში ვერ შევძელით, რომ სამივე ეს შტო იყოს ერთმანეთისაგან მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი, სასამართლო ხელისუფლება, ცხადია, აბსოლუტურად დამოუკიდებელი, და იყოს ძალიან ძლიერი, ჩვენ ვერ შევძლებთ ისეთი ქვეყნის აშენებას, როგორი ქვეყანაც ჩვენი იმედების ქვეყანა გახლავთ. თუ რომელიმე ერთი შტოს მხრივ გადახრილი იქნა ბალანსი ამა თუ იმ შტოს სასარგებლოდ, ასეთ შემთხვევაში ჩვენ მივიღებთ არა ნორმალურ, ცივილიზებულ და დემოკრატიულ ქვეყანას, არამედ დამახინჯებულ სისტემასა და ფორმას. თუ ერთ-ერთი ამ რგოლიდან მაინც დაკარგავს თავის ფუნქციას, სახელმწიფო დაიწყებს რყევას, ქვეყნის სახელმწიფოებრივი მდგომარეობა დაიწყებს რყევას. დღეს ხელისუფლების ყველა შტოს სჭირდება პოლიტიკური ნება ითანამშრომლოს, თანამშრომლობა და მხარდაჭერა კი ნიშნავს ფაქტებისა და ქმედებების კრიტიკულ შეფასებას. გადაწყვეტილებათა ალტერნატიული გზების განსჯას, უნარს, მიი-

ღოს რთული და ზოგჯერ არაპრინციპული გადაწყვეტილებები. მე ვიცი, რომ დღეს, თითოეული ამ დარბაზში მყოფი ადამიანი, მეც მათ შორის, მზადა ვართ მივიღოთ რთული და ზოგჯერ არაპოპულარული გადაწყვეტილებები, მაგრამ ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც წაადგება ხვალინდელ საქართველოს. ბევრს ლაპარაკობდნენ, პრაქტიკულად, ერთპარტიულ პარლამენტზე, ბევრს ლაპარაკობდნენ მორჩილ პარლამენტზე. დღევანდელი პარლამენტის პირველივე სხდომამ დაადასტურა, რომ ეს პარლამენტი არ იქნება ისეთი ორგანო, სადაც არ იქნება განსხვავებული აზრი, სადაც პატივს არ სცემენ განსხვავებულ ან ალტერნატიულ აზრს. დღეს ამ დარბაზში სხედან ადამიანები, რომლებმაც თავიანთი მიზნებისათვის, რომლებიც მათი ქვეყნის ინტერესებისათვის სწორად მიაჩნდათ, ადამიანები, რომლებიც დემოკრატიული ფასეულობებისათვის იბრძოდნენ, რომლებმაც ყველაფერი სასწორზე დადეს იმისათვის, რომ ქვეყანა სწორი, დემოკრატიული განვითარების გზაზე დაეყენებინათ. არც ერთი ეს ადამიანი, ქალბატონებო და ბატონებო, არ გაჩუმდება, თუ ისინი ჩათვლიან, რომ პარლამენტი არასწორ გადაწყვეტილებას იღებს. არც ერთი ჩვენთაგანი არ გავჩუმდებით და არ დავუკრავთ კვერს იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ჩვენ არასწორად და მცდარად მიგვაჩნია. ცხადია, ჩვენ გვექნება ძალიან სერიოზული ოპონირება პარლამენტის შიგნით, ჩვენ გვექნება სერიოზული ოპონირება მთავრობასთან და ეს არის აბსოლუტურად ჯანსაღი პროცესი, რომელიც საპარლამენტო პრაქტიკის პროცესში ჯდება. ჩვენ, პარლამენტის წევრები, მე და თქვენ, თქვენ და მე, ჩვენ არა ვართ ჩვენი დღევანდელი ხელისუფლების მტრები, რომ გავჩუმდეთ იმაზე, ან იმ გადაწყვეტილებაზე, რომელიც არასწორად მიგვაჩნია. ჩვენ არა ვართ ის ადამიანები, რომლებსაც არ გვესმის თუ რაოდენ მნიშვნელოვანია პარლამენტის მიერ არა მხოლოდ საკონტროლო ფუნქციის განხორციელება, არამედ მართლაც სერიოზული ზედამხედველობა იმაზე, რომ არც ერთი კანონი პარლმენტის მიერ მიღებული არ დარჩეს

შეუსრულებელი. პარლამენტის მთავარი ფუნქცია, ცხადია, არის კანონის მიღება, მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი ფუნქცია გახლავთ კანონების შესრულებაზე ზედამხედველობა, მთავრობის საქმიანობაზე კონტროლი და კონტროლი იმაზე, რომ ქვეყანაში ყველა, ნებისმიერი ადამიანი სცემდეს პატივს კანონს. ჩვენს პარლამენტს ძალიან ბევრი რამ აქვს გასაკეთებელი. ჩვენც ძალიან მნიშვნელოვანი და სერიოზული პრიორიტეტები გვაქვს. უმთავრესი პრიორიტეტი, ცხადია, გახლავთ ქვეყანაში სტაბილურობის შენარჩუნება, მაგრამ არა ისეთი სტაბილურობისა, რომელსაც ქვეყნის წინსვლას ეს სტაბილურობა ხელს არ უშლის. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი საგარეო პრიორიტეტების განმტკიცება.

უმნიშვნელოვანესი გახლავთ როგორც მეზობლებთან ურთიერთობების დარეგულირება და აუცილებლად მნიშვნელოვანი გახლავთ ის, რომ რუსეთთან საქართველოს ურთიერთობები ნამდვილად უმჯობესდება. ჩვენთვის ასევე მნიშვნელოვანი გახლავთ ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზით ძალიან სერიოზული ნაბიჯების გადადგმა. ჩვენთვის უნიშვნელოვანესი პრიორიტეტი გახლავთ ის, რომ ამ პარლამენტმა მიიღოს კანონები, რომლებიც იქნება სრულ შესაბამისობაში ევროპულ სტანდარტებთან. ამ პარლამენტმა მიიღოს ისეთი კანონები, რომლებიც იმუშავებს, რომელიც ხელს შეუწყობს აღმასრულებელი ხელისუფლების ნორმალურ ფუნქციონირებას, რომელიც დაეხმარება მოსახლეობას ნორმალური ცხოვრების პირობების შესაქმნელად, რომელიც იზრუნებს სოციალურად დაუცველ ადამიანებზე, რომელიც იზრუნებს აუცილებლად ბიზნესის განვითარებაზე, ინვესტიციების მოზიდვაზე და ძალიან ბევრ სხვა მიმართულებებზე, რაც ქვეყანას ხვალინდელი დღის უმნიშვნელოვანესი გარანტია გახლავთ 10 წლის განმავლობაში.

სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა, რომ პარლამეტს მიეღო ისეთი უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებები, რომლებიც კონსტიტუციაში უნდა ყოფილიყო დაფიქსირებული.

10 წლის განმავლობაში ვერ მოხერხდა თუნდაც ტერიტორიული მოწყობის პრინციპების შემუშავება, თუნდაც ცენტრსა და რეგიონს შორის უფლებამოსილებების გამიჯვნა, ბევრი სხვა საკითხის გადაწყვეტა, რომელიც ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი გახლავთ.

დღეს მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ჩვენი პარლამენტი უახლოეს ხანებში ნამდვილად შეძლებს ამ ძალზე მნიშვნელოვანი და სერიოზული საკითხების გადაწყვეტას. ჩვენი ყურადღების მიღმა არ დარჩება არც ერთი საკითხი. არც ადამიანის უფლებების დაცვა, არც სოციალური საკითხები, არც ეკონომიკური საკითხები და ბუნებრივია, ის რაც ჩვენთვის ყველაზე მტკივნეული გახლავთ, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. არ არის არც ერთი ქართველი, საქართველოს არც ერთი მოქალაქე, რომლისთვისაც უმთავრესი პრიორიტეტი არ იყოს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს პრობლემის მოგვარება, მაგრამ ცხადია, ჩვენ ყველას კარგად გვესმის, რა წინაპირობებია საჭირო იმისათვის, რომ აღნიშნული პრობლემები მოგვარებული იქნეს.

მე ძალიან კარგად მესმის ის, რომ დღეს, დღევანდელი პარლამენტი პრაქტიკულად არის ისეთი გამოცდის წინაშე, რომლის წინაშეც არ მდგარა დღემდე არც ერთი პარლამენტი. ეს პარლამენტი არის საქართველოს მოსახლეობის თუ უკანასკნელი არა, ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი ბოლო იმედი. ჩვენ არა გვაქვს არანაირი უფლება, ასიათასობით და მილიონობით ადამიანს გავუმტყუნოთ იმედი. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ ვიფიქროთ, რა გვაერთიანებს და არა ვეძებოთ ის, თუ რა გვაშორებს ერთმანეთს და რა განგვასხვავებს ერთმანეთისგან. ჩვენ უნდა გავაკეთოთ ის, რომ მართლაც ძალიან ეფექტურად, ერთობლივი თანამშრომლობით, ერთობლივი კონსტიტუციით, ხანდახან ცხარე კამათით მივიდეთ იმ გადაწყვეტილებამდე, რომელიც გახლავთ ერთადერთი სწორი დაგაწყვეტილება.

ჩვენ უნდა გავაკეთოთ ის, რაც ამ პარლამენტის მთავარი ამოცანა გახლავთ. შევქმნათ ქვეყანაში ნორმალური საკანონმდებლო ბაზა, შევქმნათ ქვეყანაში პოლიტიკური კულტურა, რომელიც ამდენ ხანს არსებობდა, მაგრამ ძალიან ხშირად კითხვის ნიშანიც კი ჩნდებოდა. ჩვენ უნდა გავაკეთოთ ის, რომ საქართველოს პარლამენტის წევრს დავუბრუნოთ დაკარგული ღირსება იმიტომ, რომ მოსახლეობის თვალში ბევრმა ჩვენმა წინამორბედმა კოლეგამ იმდენად შეურაცხყო საქართველოს პარლამენტის სახელი, რომ დღეს ძალაუნებურად თითოეულ ჩვენგანს გვიწევს იმის მტკიცება, რომ ჩვენ განსხვავებულები ვართ, რომ ჩვენ სხვაგვარი ვიქნებით და ჩვენ სხვაგვარად ვიმუშავებთ ხვალინდელ ქართულ პარლამენტში.

მე ღრმად ვარ დარწმუნებული ჩვენს მიერ მიღებული კანონებით ხელს შევუწყობთ ქვეყნის განვითარებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ადამიანების დასაქმებას, განათლების სფეროს ჩამოყალიბებას და გაძლიერებას, იმიტომ, რომ განათლება, ახალგაზრდების აღზრდა ჩვენთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი გახლავთ. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ქართული ჯარი დადგეს ფეხზე და მართლაც საქართველოს ჰყავდეს ძლიერი, თავდაცვისუნარიანი არმია. ჩვენ გავაკეთებთ ყველაფერს იმისათვის, რომ ბოლოს და ბოლოს ქვეყანა ქვეყანას დაემსგავსოს, პარლამენტი პარლამენტს დაემსგავსოს, ხელისუფლება ხელისუფლებას დაემსგავსოს და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გვექნება ჩვენ 4 წლის შემდეგ უფლება ჩვენს მოსახლეობას კვლავ ვთხოვოთ მხარდაჭერა არჩევნების დროს. ცხადია, ეს არ იქნება ის პარლამენტი, რომელსაც მისი მოსახლეობა მხოლოდ მაშინ გაახსენდება, როდესაც არჩევნების დრო მოვა.

მე არ მინდა თქვენ ისეთი შთაბეჭდილება დაგრჩეთ, როდესაც ვლაპარაკობდი, რომ ძალიან ბევრი რამ არის ქვეყანაში შესაცვლელი, რომ პარლამენტში არ არის რამე შესაცვლელი. ჩვენ ძალიან საინტერესო გეგმები გვაქვს პარლამენტის რეორ-

განიზაციასთან დაკავშირებით, რომელსაც მე თქვენ აუცილებლად მოგახსენებთ და ცხადია, როცა ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ ჩვენ კრიტიკულნი უნდა ვიყოთ აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ, რომ ჩვენ კრიტიკულად შევაფასებთ აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ შემოტანილ წინადადებებს ან გადადგმულ ნაბიჯებს, ეს თავისთავად გულისხმობს იმას, რომ უპირველეს ყოვლისა, თითოეული ჩვენგანი, მთლიანად პარლამენტი, კრიტიკული იქნება სწორედ საკუთარი ნაბიჯების, საკუთარი გადაწყვეტილების და საკუთარი საქმიანობის მიმართ.

მე არ მინდა ძალიან გამიგრძელდეს ჩემი გამოსვლა, თუმცა, ალბათ გაუგებარი იქნება დღეს, რომ ჩემს გამოსვლაში მე არ შევეხო იმ ვითარებას, რომელიც დღეს არის საქართველოში შექმნილი. ალბათ, დამეთანხმებით, რომ თითოეული ჩვენგანი უდავოდ ძალიან შეწუხებული ვართ და შეშფოთებული იმით, რაც ხდება აჭარაში.

თითოეული ჩვენგანის სატკივარი არის ის, რომ დაპირისპირება, პრაქტიკულად კრიტიკულ ზღვარზეა მისული.

მე მინდა კატეგორიულად განვაცხადო ის, რაც ბოლო დღეების განმავლობაში ხდებოდა. უკვე არანაირ ჩარჩოებში არ ჯდება, როდესაც ადგილობრივი ხელისუფლება დაუმორჩილებლობას უცხადებს საქართველოს ხელისუფლებას; როდესაც ჯარისკაცი, გენერალი დაუმორჩილებლობას უცხადებს უმაღლეს მთავარსარდალს. როდესაც ქვეყნის საშინაო პრობლემის გადაწყვეტად მოიშველიებენ უცხო ქვეყნის სახელმწიფოს, მოიშველიებენ უცხო სახელმწიფოს ინტერესებს, ეს უკვე ნამდვილად სცილდება იმას, რისი მოთმენაც და რისი ატანაც ცენტრალურ ხელისუფლებას, სრულიად საქართველოს შეუძლია. მე მინდა იმედი ვიქონიო, რომ აღნიშნული გამოსავლიდან, აღნიშნული ჩიხიდან გამოსავალს თავად ავტონომიური რესპუბლიკა იპოვის. უპირველეს ყოვლისა, სასწრაფოდ არის გადასადგმელი ის ნაბიჯები, რომელიც კონსტიტუციურ ჩარჩოებში, სამართლებრივ ჩარჩოებში მოაქცევს მეტ-ნაკლებად ამ პრობლემას. სა-

სწრაფოდ არის მოსაგვარებელი განიარაღების პრობლემები, სასწრაფოდ არის მოსაგვარებელი ყველა ის მოთხოვნა, რომელიც სრულიად სამართლიანად იყო ცენტრალური ხელისუფლების მხრიდან გამოთქმული.

ცხადია, თითოეულ ჩვენგანს გვესმის, რამდენად მნიშვნელოვანი არის ამ პრობლემის რაც შეიძლება სწრაფად და მშვიდობიანად მოგვარება. სწორედ ამიტომ არის, რომ ჩვენ, თითოეული ჩვენგანი კიდევ ერთხელ კატეგორიულად მოვითხოვთ იმ მოთხოვნების შესრულებას, რა მოთხოვნებიც აჭარას რეალურად დააბრუნებს საქართველოს საკონსტიტუციო და სამართლებრივ ერთიან სივრცეში.

ქალბატონებო და ბატონებო, პატივცემულო კოლეგებო, მე კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ თქვენთან ერთად დიდი იმედი მაქვს აქტიური თანამშრომლობისა. მე მზადა ვარ ვითანამშრომლო თითოეულ თქვენთაგანთან, მიუხედავად იმისა, თუ რომელ ფრაქციას ან რომელ პოლიტიკურ ჯგუფს წარმოადგენს ნებისმიერი დეპუტატი. მე მზადა ვარ თითოეული თქვენთაგანის აზრი მოვისმინო და მე მზადა ვარ იმისათვის, რომ თქვენთან ერთად ვიყო უკომპრომისო და ძალიან პრინციპული ყველა იმ ნაბიჯის გადადგმაში, რომელიც აუცილებელია ჩვენი ქვეყნის ერთიანობისათვის, ჩვენი ქვეყნის ნორმალურ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისათვის, ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის უკეთესი ხვალინდელი დღისათვის.

მე მინდა დიდი მადლობა გადაგიხადოთ კიდევ ერთხელ ასეთი დიდი მხარდაჭერისათვის და მინდა წარმატება ვუსურვო თითოეულ თქვენთაგანს თავის ძალიან საპასუხისმგებლო და მნიშვნელოვან მოღვაწეობაში. დიდი მადლობა. (ტაში).

საქართველოს პარლამენტის 2005 წლის 13 სექტემბრის პლენარული სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი

ნ. ბურჯანაძე. პატივცემულო კოლეგებო, პატივცემულო დეპუტატებო, მინდა მოგესალმოთ, მინდა მოგმართოთ იმ ტრადიციული გამოსვლით, რომელიც, კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა, რომ ტრადიცია არის და ტრადიციად დარჩება ჩვენს პარლამენტში და მინდა ჩვენი მომავალი პარლამენტის მუშაობის დროს ძალიან დიდი წარმატება ვუსურვო თითოეულ თქვენგანს იმიტომ, რომ პარლამენტის წარმატებულ მუშაობაზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. მე მინდა რამდენიმე სიტყვით ვთქვა იმის თაობაზე, თუ რა გაკეთდა გასული სესიის განმავლობაში. თუმცა არ ვფიქრობ, ამაზე ძალიან დეტალურად უნდა გავჩერდე იმიტომ, რომ, ალბათ, გახსოვთ, როდესაც ჩვენ საშემოდგომო სესია დავასრულეთ, მე მქონდა საგანგებოდ იგივე თქვენთვის პრესისა და მასმედიისათვის მოწოდებული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ მიმდინარეობდა პარლამენტის მუშაობა გასული საპარლამენტო სესიის განმავლობაში და რა კანონები იქნა მიღებული აღნიშნული სესიის განმავლობაში. მე ნამდვილად არ შევუდგები ახლა პარლამენტის მიერ ჩამოთვლილი პარლამენტის რიცხოვნობის ჩამოთვლას იმიტომ, რომ მოგეხსენებათ, რომ რაოდენობრივად მიღებული კანონები ნამდვილად არ განსაზღვრავს პარლამენტის მიერ ჩატარებულ საქმიანობას და ნამდვილად არ აფასებს, პრინციპში, სრულყოფილად იმას, თუ როგორ მუშაობს პარლამენტი, მაგრამ ვფიქრობ, რომ სულ რამდენიმე პარამეტრის ჩამოთვლაც კი, როგორიც არის თუნდაც საგადასახადო კოდექსი, როგორიც არის განათლების რეფორმა, ის ეროვნული

უსაფრთხოების კონცეფცია, რომელიც პირველად საქართველოს დამოუკიდებლობიდან მოყოლებული იქნა პარლამენტის მიერ მიღებული, არის მნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს საქართველოს განვითარების გენერალურ ხაზს. ვფიქრობ, რომ ის პრიორიტეტები, რომელიც ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში იყო ჩამოყალიბებული, მართლაც, უმნიშვნელოვანესია და მართლაც, ძალიან მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქვეყნის განვითარების სტრატეგიას, განსაზღვრავს იმ პრიორიტეტებს, რომელიც აქვს ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხელისუფლებას. ეს პრიორიტეტი, ცხადია, უპირველეს ყოვლისა, არის ქვეყნის გამთლიანება, ქვეყნის ერთიანობა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, მაგრამ ჩვენ, თითოეულ თქვენგანს, თითოეულ ჩვენგანს ძალიან კარაგად გვესმის, რომ იმისათვის, რომ ეს უმნიშვნელოვანესი ამოცანა განხორციელდეს, იმისათვის, რომ ყველაზე დიდი ტკივილი ჩვენი ქვეყნის და ჩვენი მოსახლეობის კონფლიქტები დარეგულირდეს, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში იყოს პოლიტიკური სტაბილურობა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანაში იყოს ეკონომიკური სტაბილურობა, უნიშვნელოვანესია, რომ ქვეყანაში გაძლიერდეს სახელმწიფოებრივი ინსტიტუტები, რაც მოგვცემს იმის რეალურ პირობას, რომ კონფლიქტების დარეგულირება მშვიდობიანად მოხდეს მაქსიმალურად მოკლე ვადაში.

ძალიან ბევრი საუბარი იყო განათლების რეფორმაზე და თქვენ ძალიან კარგად გახსოვთ, როგორი მწვავე დებატები გამოიწვია განათლების რეფორმამ და კანონმა განთლების შესახებ. მე არ შევუდგები ძალიან დეტალურად იმის საუბარს, თუ რა განხილვები იყო განათლების რეფორმის დროს ან რა დებატები იყო, მაგრამ ვფიქრობ, რომ იმ მისაღებმა გამოცდებმა, რომელიც ჩატარდა, აბსოლუტური უმრავლესობა ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისა დაარწმუნა იმაში, რომ განათლების რეფორმის ხაზი იყო აბსოლუტურად სწორი და რეფორმა სწორედ ჩატა-

რდა. მე ვფიქრობ, რომ თითოეული თვქენგანის ცხოვრებაში ერთ-ერთი პირველი ზაფხული იყო, როდესაც, პრაქტიკულად, არ ისმოდა ახლობლების ზარები გამოცდებზე დახმარებასთან დაკავშირებით. ეს ძალიან მნიშვნელოვანი სიგნალი იყო თითოეული ჩვენგანისათვის.

ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო არამარტო იმ მხრივ, რომ ჩვენ, მართლაც, დავიწყეთ განათლების რეფორმა, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმ მხრივაც, რომ ეს იყო მაჩვენებელი, რომ მოსახლეობამ დაიჯერა, რომ არავითარი აზრი არა აქვს არანაირ ზარს, რომ გამოცდები, მართლაც ჩატარდება ობიექტურად, გამოცდები ჩატარდება სამართლიანად და გამოცდები იქნება ისეთი, რომ არც ერთი ახალგაზრდა, რომელიც არის მართლაც მცოდნე და რომელიც ცდილობს, რომ თავისი ცოდნა გაიღრმავოს, არ დაიჩაგრება და გააგრძელებს მუშაობას და სწავლას იმ მიმართულებით, რა მიმართულებასაც ის აირჩევს. ვფიქრობ, ეს იყო ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი გარდატეხა, რომელიც ძალიან ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ საქართველოში მოხდებოდა, მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავივიწყოთ ეს ძალიან მნიშვნელოვანი წარმატება, რომელიც რა თქმა უნდა, უმტკივნეულოდ არ მოსულა, რომელიც საკმაოდ მძიმე და მტკივნეული დებატების და მტკივნეული ნაბიჯების შემდეგ მოვიდა, მაგრამ აშკარად გამოჩნდა, რომ ის მტკივნეული ნაბიჯები, რომელიც არ იყო ამ ხელისუფლებისათვის მარტივი გადასადგმელი და საკმაოდ ემოციური იყო თითოეული ჩვენგანისათვის, ვინც ხელისუფლებაში ვიყავით, ეს ნაბიჯები იყო სწორი და ამ ნაბიჯებმა გაამართლა.

იმედი მაქვს, რომ ყველა დანარჩენი მიმართულებითაც ის ნაბიჯები, რომელიც გადაიდგმება, ასევე იქნება ერთნიშვნელოვნად სწორი. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ძალიან ბევრი რამ გვაქვს გასაკეთებელი და ძალიან მტკივნეული რეფორმები გვაქვს გასატარებელი, მაგრამ მტკივნეული და ზოგჯერ არაპოპულარული რეფორმების გარეშე შეუძლებელია ნებისმიერი

ქვეყნის ფეხზე დაყენება და, მით უმეტეს, ისეთი ქვეყნის ფეხზე დაყენება, როგორიც არის საქართველო. მტკივნეული რეფორმები იყო გასატარებელი, პრაქტიკულად, ყველა მიმართულებით და ეს რეფორმები უნდა გაგრძელდეს, უნდა გაგრძელდეს იმიტომ, რომ ქვეყანა დაემსგავსოს ქვეყანას, მაგრამ მაქსიმალურად ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ ჩვენს მოსახლეობას ავუხსნათ თითოეული რეფორმის არსი და დავანახოთ რა დგას ამ მტკივნეული რეფორმების შემდეგ და რა მოყვება თითოეული ამ რეფორმის განხორციელებას.

საგადასახადო კოდექსი, რომელზეც ძალიან ბევრი მსჯელობა იყო და მე ნამდვილად არა მაქვს იმისი ილუზია, რომ საგადასახადო კოდექსი იდეალური დოკუმენტია, მაგრამ ფაქტია, ბევრ სხვა ნაბიჯთან ერთად საგადასახადო კოდექსმა მოგვცა ჩვენ შესაძლებლობა, რომ ბიუჯეტი გაზრდილიყო. გაზრდილიყო მიუხედავად იმისა, რომ 21 გადასახადის ნაცვლად 7 გადასახადი დავტოვეთ საგადასახადო კოდექსში.

ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანი გახლავთ ის, რომ თქვენთან ერთად მე მივიღე გადაწყვეტილება, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ოფისთან შექმნილიყო ე. წ. ბიზნესსაბჭო, სადაც წარმოდგენილია საქართველოს ბიზნესგაერთიანებების, პრაქტიკულად, ყველა წარმომადგენლები. ამ გაერთიანების ერთადერთი მიზანი იყო, რომ მე თქვენთან ერთად მომესმინა როგორ მუშაობს ის კანონები, რომელსაც ჩვენ ვიღებთ, რა უჭირს და რა ულხინს დღევანდელ საქართველოში ჩვენი ბიზნესის წარმომადგენლებს. იმიტომ, რომ მე ძლიან კარგად მესმის, რომ მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების გარეშე ძალიან რთული იქნება ქვეყნის ეკონომიკური განვითარება და ქვეყნის ეკონომიკური სტაბილურობის მიღწევა. მე ვფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანი გახლავთ ის, რომ ჩვენ ამ საშემოდგომო სესიის განმავლობაში ძალიან სერიოზულად ვიმუშაოთ საგადასახადო კოდექსთან მიმართებაში, ჩავატაროთ ძალიან სერიოზული რევიზია, შევისწავლოთ რომელი მუხლი

მუშაობს, რომელი მუხლი არ მუშაობს, რა უშლის ხელს დღევანდელი ქართული ბიზნესის განვითარებას და რა ცვლილებები იქნას შეტანილი ამ დოკუმენტში ისეთი, რომელიც რეალურად შეძლებს ბიზნესგარემოს გაუმჯობესებას.

მე არა მაქვს ნამდვილად იმის ილუზია, რომ ყველა იმ წინადადების გათვალისწინებას შევძლებთ, რომელიც შემოაქვთ პარლამენტში საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებით, მაგრამ აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ყველა რაციონალური წინადადება, რომელიც იქნება შემოსული ჩვენს მიერ, თქვენს მიერ აუცილებლად გაზიარებული იქნება. მე ნამდვილად არ ვაპირებ ბევრი ვილაპარაკო თუ რა მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში ძალიან სერიოზული სტაბილურ-ეკონომიკური გარემოს შექმნას, სამეწარმეო გარემოს შექმნას, რამდენად მნიშვნელოვანია ის, რაც ამ პარლამენტის ტრიბუნაზეც გაჟღერდა, რომ აღარ ხდებოდეს მსგავსი აქციების განმეორება, როგორიც იყო თუნდაც, „ნიკალასთან“ დაკავშირებით, რომლის ფორმაც იყო აბსოლუტურად მიუღებელი და რომლის მსგავსი აქციებიც ნამდვილად ძალიან უარყოფითად მოქმედებს როგორც ქვეყანაში მომდინარე რეფორმებზე, ასევე ჩვენს იმიჯზე, მაგრამ მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მსგავსი ნაბიჯები და მსგავსი ტიპის და მსგავსი ფორმის გამოხტომები ნამდვილად აღარ იქნება ჩვენი საშემოდგომო სესიის განმავლობაში. ძალიან ბევრს ლაპარაკობენ და საუბრობენ იმაზე, რომ არის თუ არა, ყველა არა, რა თქმა უნდა, მაგრამ ჩვენი ოპონენტები, როგორც წესი, არის თუ არა რაიმენაირი წინსვლა ქვეყანაში და ისე მაყვედრიან ხოლმე, რომ რატომ კომენტარს არ აკეთებო და რატომ არ აკრიტიკებ იმას, რაც ხდებაო, გეგონება სხვა ქვეყანაში ვცხოვრობდით და ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ ახლა, რომ ყველაფერი უკუღმა წავიდა. მე კიდევ ერთხელ მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ მე, თქვენთან ერთად, ნამდვილად არ ვაპირებ მხოლოდ წარმატებებზე ვისაუბრო. მე ნამდვილად არ ვაპირებ თქვენთან ერთად, თვითკმაყოფილების გრძნობას მივეცე და ვთქვა, რომ

ყველაფერი იდეალურად არის და არაფერში გამოსწორება არ არის საჭირო, ან რეალურად ჩვენ უკვე მივაღწიეთ იმ საუკეთესო შედეგს, რა შედეგისაკენაც ვისწრაფით, მაგრამ დავხუჭოთ თვალები ყველაფერ იმაზე, იმ პროგრესზე, რაც ქვეყანაში ხდება, ნამდვილად არასწორია. მე სულ რამდენიმე ფრაზით ვიტყვი უმნიშვნელოვანეს წარმატებებს, რომელსაც ჩვენ ამ რამდენიმე ხნის, არც თუ ისე დიდი ხნის განმავლობაში მივაღწიეთ. თუნდაც ის, რომ დღეს ქვეყანაში, იმ ტერიტორიაზე, რომელსაც საქართველოს ხელისუფლება აკონტროლებს, აღარ არის საზღვარი. თუნდაც ის, როდესაც ზაფხულის განმავლობაში თქვენ ჩოლოქზე აღარ გიხდებოდათ პასპორტებით საკუთარ ქვეყანაში გადაადგილება, ეს არ არის წარმატება? ეს არ არის წარმატება, რომლითაც ქვეყანა და ხელისუფლება ძალიან დიდხანს იამაყებდა და ძალიან დიდხანს იტყოდა, რომ მან გააკეთა უმნიშვნელოვანესი და გადაწყვიტა ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული პრობლემა, რომელიც აწუხებდა უამრავ ადამიანს, რომელიც აწუხებდა, პრაქტიკულად, საქართველოს ყველა მოქალაქეს და რომელიც შეურაცხმყოფელი იყო თქვენთვის, თითოეული თქვენგანისათვის, ჩემთვის, ყველა ადამიანისათვის, ვისაც ჩოლოქის გადალახვა გვიხდებოდა. ის, რომ ამდენი ხნის განმავლობაში საქართველომ ვერ მიაღწია ვერანაირ პროგრესს საქართველოდან რუსეთის ბაზების გაყვანასთან დაკავშირებით და მხოლოდ ამ ხელისუფლების ხელში გახდა შესაძლებელი ამ პროგრესის მიღწევა. ეს არ არის ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევა? მე შეგნებულად არ ვამბობ, რომ ეს არ არის საკმარისი. რა თქმა უნდა, ეს არ არის საკმარისი, მაგრამ ეს არ არის უმნიშვნელოვანესი მიღწევა? ეს არის უმნიშვნელოვანესი მიღწევა, ეს არის ისტორიული გამარჯვება ამ ხელისუფლების, რომ საქართველო გათავისუფლდება უცხო ქვეყნის სამხედრო ბაზებისაგან, რომ ქვეყანამ, რომელმაც დაისახა მიზნად, რომ რუსეთის სამხედრო ბაზები უნდა გავიდეს საქართველოს ტერიტორიიდან, ხელისუფლებამ, რომელმაც დაისახა ეს მიზანი

და იბრძოლა ამ მიზნისათვის, ამას მიაღწია და მე ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ამაში თითოეული ჩვენგანის ძალიან სერიოზული და მნიშვნელოვანი წვლილია. პატივცემულო კოლეგებო, როდესაც ჩვენი პატივცემული ოპონენტები მუდმივად გვაკრიტიკებენ და ჩვენ არ გვეშინია კრიტიკის, მივესალმებით, მაგრამ მივესალმებით კონსტრუქციულ კრიტიკას. როდესაც ჩვენ გვეუბნებიან, რომ ქვეყანაში ცუდად არის საქმე, რატომ არავინ არ უსვამს ჩვენი ოპონენტების მხრიდან ხაზს იმ გარემოებას, რომ ქვეყანაში 4-ჯერ, 5-ჯერ გაიზარდა სახელმწიფო ბიუჯეტი. მე მახსოვს ჩემი გამოსვლები ამ ტრიბუნიდან, ტრადიციული გამოსვლები, სხვათა შორის, როდესაც წინა მოწვევის პარლამენტის თავმჯდომარე ვიყავი და და მახსოვს რა საკითხებზე მიწევდა მაშინ ლაპარაკი და ძალიან კარგად მახსოვს, რომ მაშინ ლაპარაკი მიწევდა ბიუჯეტის 200-300-400 მილიონით გარღვევაზე და პრაქტიკულად, მიუწვდენელ ოცნებად მეჩვენებოდა ის, რომ ოდესმე ბიუჯეტის შესრულება გახდებოდა შესაძლებელი. დღეს ჩვენ თითქოს ჩვეულებრივად მიგვაჩნია ის და, რა თქმა უნდა, მისასალმებელია და იმედია ეს ჩვეულებად იქცევა, რომ ბიუჯეტი მუდმივად იზრდება. ამას ვიღებთ ისე, თითქოს ეს მუდმივად ასე იყო და თითქოს წინა ხელისუფლებიდან მემკვიდრეობით გვერგო ის ტრადიცია, რომ ბიუჯეტი მუდმივად იზრდება. უდავოა ეს პოზიტივი და მე არა მგონია, რომ ჩვენ ამ პოზიტივზე ძალიან სერიოზულად და ძალიან ხმამაღლა არ უნდა ვსაუბრობდეთ. ის, რომ პრაქტიკულად, ძალიან ბევრი მნიშვნელოვანი გზა იგება და ინფრასტრუქტურა შენდება, ეს ხომ ძალიან მნიშვნელოვანი წარმატებაა.

თუმცა ცხადია, ამაზე მუდმივად არ უნდა ვილაპარაკოთ იმიტომ, რომ ჩვენ გვესმის, რომ ეს ჩვენი მოვალეობაა, მაგრამ როდესაც ამისთვის კეთილ სიტყვასაც კი გამადლიან ჩვენი ოპონენტები. წინა ხელისუფლების მოვალეობა არ იყო გზების დაგება? წინა ხელისუფლების არ იყო იგივეს გაკეთება, რასაც ჩვენ ახლა ათმაგად და ასმაგად ვახარჯავთ ენერგიას იმის

გამო, რომ ყველა მიმართულებით, პრაქტიკულად, დანგრეული ინფრასტრუქტურა და დანგრეული სტრუქტურა გვხვდებოდა. მე ვიცი, რომ ყველაზე მტკივნეული საკითხი, რაც ჩვენს მოსახლეობას აწუხებს, ეს არის ენერგეტიკული პრობლემები, რომელზეც ხელისუფლება სერიოზულად მუშაობს. ჩემი ინფორმაციით ჩვენ ძალიან სერიოზული პროგრესი გვექნება ელექტროენერგიით მომარაგებაში, გაზით მომარაგებაში და მე ვფიქრობ, რომ ეს ასევე ძალიან მნიშვნელოვანი წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ მე არა ვარ დღეს განწყობილი მხოლოდ იმისათვის, რომ ჩვენს მიერ გაკეთებულ საქმეებზე ვილაპარაკო და იმ მიღწევებზე, რა მიღწევებიც არის. მე, თქვენთან ერთად, ძალიან კარგად ვიცი, რომ პრობლემები ძალიან ბევრია, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა საკმაოდ რთულია, საკმაოდ მძიმეა და ამას, რა თქმა უნდა, სერიოზული ყურადღება და სერიოზული ძალისხმევა სჭირდება. მაგრამ, ვფიქრობ, იმის ილუზიაც არავის არ ჰქონდა, რომ რევოლუციიდან ერთი ან ორი წლის შემდეგ ყველა პრობლემა ერთბაშად მოგვარდებოდა. მე ძალიან კარგად მახსოვს ჩემი შეხვედრები არჩევნებამდე ჩვენ ამომრჩევლებთან, რომლებიც გვეუბნებოდნენ, ჩვენ გვესმის, რომ თქვენ ყველა პრობლემას 1-2, ვერც 4 წელიწადში ვერ მოაგვარებთ, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ დავინახოთ პოზიტიური ტენდენცია. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ დავანახოთ, რომ ქვეყანა წინ მიდის. ის რამდენიმე მაგალითი, რომელიც მე მოვიყვანე, მე ვფიქრობ, ნამდვილად გვაძლევს იმის საფუძველს ვილაპარაკოთ, რომ პოზიტიური ნაბიჯები ნამდვილად არის, ძალიან სერიოზული პროგრესი უდავოდ არის, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, მაგრამ არც არავინ ხელისუფლებაში იმაზე არ დავობს, რომ გასაკეთებელი კიდევ უფრო მეტია. ჩვენ არ გვეშინია იმის, რაც გასაკეთებელია უახლოეს მომავალში. მე ვფიქრობ, რომ ძალიან მნიშვნელოვანი რამდენიმე ფაქტორია, რომელზეც პარლამენტმა პრეზიდენტთან და მთავრობასთან ერთად ძალიან სერიოზულად უნდა იფიქროს და იმუშაოს. ეს

არის ის, რასაც ქვეყნის ინსტიტუციონალური მშენებლობა ჰქვია, ეს არის №1 ჩვენი ქვეყნისათვის. მე ჩვენს უცხოელ კოლეგებთანაც ამას ვუსვამდი ხაზს და ხაზს ვუსვამ იმ გარემოებას, რომ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანას ჰყავდეს სერიოზული და წარმატებული პოლიტიკური ლიდერები, მაგრამ არანაკლებ და კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ იმ ლიდერებმა გააკეთონ ის, რასაც ქვეყნის ინსტიტუციონალური მშენებლობა ჰქვია. ჩვენთვის დღეს ეს არის ყველაზე მთავარი პრიორიტეტი, რომ ქვეყანაში ჩამოყალიბდეს პარლამენტი, როგორც ინსტიტუტი, სასამართლო ხელისუფლება, როგორც ინსტიტუტი, ყველა დანარჩენი სამინისტროები, სტრუქტურები, როგორც ინსტიტუტები, როგორც ფუნქციონირებენ მართლაც, დემოკრატიულ რეჟიმში, რომლებიც ფუნქციონირებენ დამოუკიდებლად იმ კონსტიტუციურ ჩარჩოებში, რა ჩარჩოებიც მათ აქვთ განსაზღვრული. მე ვფიქრობ, აქ პარლამენტის როლი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გახლავთ. პარლამენტმა უნდა შეასრულოს თავისი ისტორიული როლი და მე ძალიან დიდი იმედი მაქვს იმისა, რომ ჩვენ ამ საშემოდგომო სესიაზე უკვე დავიწყებთ სრულიად განსხვავებულ რეჟიმში მუშაობას და ეს იქნება სხვა რეჟიმი განსხვავებული იმ რეჟიმისგან, რომელშიც ჩვენ წინა ბოლო ერთი წლის განმავლობაში ვმუშაობდით. ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ ბოლო ერთი წელი, პრაქტიკულად, ჩვენ ფორსმაჟორულ რეჟიმში გვიწევდა მუშაობა, როდესაც ძალიან ხშირად კანონები მიიღებოდა დაჩქარებული წესით, როდესაც ჩვენ ზოგჯერ ვერ ვასწრებდით ხოლმე ბოლომდე დეტალურად გაგვეაზრებინა ესა თუ ის კანონპროექტი, რომელიც შემოდიოდა. მაგრამ ეს ბუნებრივი იყო იმის გამო, რომ ქვეყანა პოსტრევოლუციურ რეჟიმში მუშაობდა, მაგრამ ახლა უკვე რევოლუციურ რეჟიმში მუშაობის დრო აღარ არის. ჩვენ შევცვლით რეჟიმს, გადავდივართ სხვა რეჟიმში მუშაობაზე და მე აქ თქვენი ძალიან დიდი იმედი მაქვს.

პრაქტიკულად, დაწყებულია მუშაობა, თითქმის დასრულებული, უფრო სწორად, პარლამენტის რეგლამენტთან დაკავში-

რებით, სადაც შემოდის ძალიან მნიშვნელოვანი ცვლილებები, რომელიც მხარდაჭერილია პრეზიდენტის მიერ და მე ძალიან მოხრული ვარ, რომ პრეზიდენტმა თავად გამოხატა მხარდაჭერა ამ ცვლილებებთან დაკავშირებით, რომ ჩვენ ისე ვიმუშაოთ და ისეთი რეჟიმი შემოვიტანოთ საკანონმდებლო მუშაობისა, რომ დესაც, პრაქტიკულად, ძალიან დეტალურად გავივილით ყველა კანონპროექტს. მათ შორის გავივლით II მოსმენით კანონპროექტებს პლენარულ სხდომაზე, რომ ჩვენ არ გაგვეპაროს არც ერთი ხარვეზი რომელიც არის საკანონმდებლო პროცესთან დაკავშირებული.

ჩვენ ძალიან სერიოზულად მოგვიწევს იმ საკანონმდებლო ბაზის გადახედვა, რომელიც თუნდაც რამოდენიმე თვის წინ გვაქვს მიღებული, რომ კარგად ვნახოთ, მუშაობს თუ არა ეს კანონი. არც ისე მნიშვნელოვანია ჩვენ ხაზი გავუსვათ იმას, რომ პარლამენტმა კარგი კანონი მიიღო. მთავარია მუშაობს თუ არა ეს კანონი და შეეფერება თუ არა ეს კანონი საქართველოში არსებულ რეალობას. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი, რომ ჩვენს მოსახლეობას ჰქონდეს იმის განცდა, რომ პარლამენტმა კანონი რომელიც მიიღო, მასზე ეს კანონი რაღაც პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს, რომ ეს კანონი მისი ცხოვრების, მისი ყოველდღიურობის გაუმჯობესებისათვის მუშაობს, ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა, ეს არის ერთ-ერთი უპირველესი ამოცანა და საკანონმდებლო პროცესთან ერთად ეს არის პარლამენტის მთავარი დანიშნულება, რომ არა მარტო მიიღოს კანონები, არამედ მან იმუშაოს, იფიქროს, იზრუნოს, თვალყური ადევნოს კანონების იმპლემენტაციის, ანუ კანონების განხორციელების პროცესს.

ეს ასევე პირდაპირ უკავშირდება იმ პროცესს, რასაც პარლამენტის საზედამხედველო ფუნქციის გაძლიერება ჰქვია. საზედამხედველო ფუნქციისა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე, თუ როგორ მუშაობს აღმასრულებელი ხელისუფლება, თუ როგორ ასრულებს აღმასრულებელი ხელისუფლება პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს, პარლამენტის მიერ მიღებულ დადგე-

ნილებებს, გადაწყვეტილებებს და ა. შ. აქ მე, მინდა მეტი აქტიურობისაკენ მოგიწოდოთ, მინდა გთხოვოთ, რომ ჩვენ ძალიან ყურადღებით შევისწავლოთ თითოეული კანონი, კომიტეტებმა თავისი სპეციფიკის მიხედვით შევისწავლოთ ის დადგენილებები, სადაც ჩვენ პირდაპირ ვადები გვაქვს მითითებული, რა ვადებში უნდა შეასრულოს მთავრობამ პარლამენტის დადგენილება. გარდა ამისა, მოგიწოდებთ, რომ ძალიან აქტიურად გამოიყენოთ სამთავრობი საათი.

ჩვენ ნამდვილად, ძალიან კონსტრიუქციულად ვართ განწყობილნი, ძალიან სერიოზულად ვისაუბრეთ ჩვენ იმასთან დაკავშირებით, რომ პარლამენტი და მთავრობა კოორდინირებულად უნდა მოქმედებდნენ და კოორდინირებულად მოქმედება ქვეყნის სტრუქტურებისა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი იმისა, რომ ქვეყანაში ინსტიტუციონალიები შეიქმნება. არ შეიძლება პარლამენტი ამბობდეს და აკეთებდეს ერთს, მთავრობა ამბობდეს და აკეთებდეს მეორეს. ამისათვის ჩვენ კიდევ უფრო მჭიდრო კოორდინირებული ურთიერთობა გვჭირდება და სერიოზული მზადყოფნა მთავრობის მხრიდან ამ მიმართულებით ნამდვილად არსებობს ის, რომ ჩვენ ძალიან ხშირად კონსტრუქციულები და კრიტიკულები სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ჩვენი მთავრობის მხარდამჭერნი არა ვართ. ის, რომ ჩვენ გვექნება ზოგჯერ განსხვავებული აზრი ეს აბსოლუტურად ბუნებრივია და სხვთა შორის, ამ პარლამენტმა დაანახა ძალიან ბევრ ადამიანს, რომ ამ პარლამენტში არის განსხვავებული აზრი, არის აზრთა ჭიდილი და ჩვენ ვცდილობთ ოპტიმალური გადაწყვეტილება მივიღოთ.

პარლამენტის მიერ კონსტრუქციული კრიტიკა ეს არის პარლამენტის მთავარი ამოცანა, ეს არის პარლამენტის მთავარი დანიშნულება და რაც არ უნდა საუბრები იყოს იმასთან დაკავშირებით, რომ ვიღაც გადადის ოპოზიციაში, ვიღაც არ გადადის. მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ როცა ჩავთვლით, რომ რამე საკრიტიკო და სათქმელია,არავის არ შეეშინდება ამის კო-

ნსტრუქციულად თქმა იმიტომ, რომ ჩვენ გვაქვს ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ამოცანა, არ დავუშვათ ჩვენი გუნდის ან ჩვენი გუნდის წევრების მიერ ისეთი შეცდომის დაშვება, რომელიც საბოლოო ჯამში, შეიძლება ძალიან მტკივნეული იყოს ქვეყნის ნორმალური განვითარების პროცესისათვის.

ძალიან მნიშვნელოვანია პარლამენტის ავტორიტეტის ამაღლება და ძალიან ხშირ შემთხვევაში, ის, რაც პარლამენტში ხდება, ნამდვილად არ უწყობს ხოლმე პარლამენტის ავტორიტეტის ამაღლებას ხელს.

მე მინდა ყველას გთხოვოთ და მოგიწოდოთ, თითოეული ჩვენგანი დავდგეთ ნებისმიერ კინკლაობაზე და დაუსაბუთებულ ურთიერთბრალდებებზე მაღლა, რომ მოვძებნოთ ის ფორმები პოლიტიკური კორექტირებისა, რომელიც ქვეყანაში პოლიტიკური კორექტულობის კულტურას დააფუძნებს. არავინ არ საუბრობს და არავინ არ უშლის არც ერთ ადამიანს დასვას კითხვები ნებისმიერი ჩვენგანის მიმართ, ვიქნები ეს მე, იქნება ეს პარლამენტის ხელმძღვანელობა, იქნება ეს თითოეული ადამიანი, უმრავლესობის, ოპოზიციის წევრი თუ ა. შ. მაგრამ ნებისმიერი კითხვის დასმას, ნებისმიერ ბრალდებას თუნდაც აქვს თავისი ფორმა. ამ ფორმის გამოყენება და ამ ფორმით დაცვა თითოეული პარლამენტარის, თითოეული ადამიანის უმთავრესი მოვალეობაა, რომ ერთხელ და სამუდამოდ ეს ქვეყანა გახდეს მართლაც პოლიტიკური კულტურის მქონე ქვეყანა, რომ პოლიტიკურმა ჭიდილმა პოლიტიკური კულტურის სახე და ჩარჩოები დაიცვას.

მე მინდა მთელი პასუხისმგებლობით განვაცხადო, პირადად მე ვიქნები იმის გარანტი, რომ არც ერთი კითხვა, რომელიც პარლამენტარების მიმართ გაჩნდება, მით უმეტეს, თუ ეს კითხვა უმრავლესობის წევრების მიმართ არის დასმული, არ დარჩეს უპასუხოდ. მე ვიქნები ერთ-ერთი ის ადამიანი, ვინც ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ ნებისმიერ კითხვაზე პასუხი კომპეტენტურად და ამომწურავად იყოს გაცემული.

მაგრამ კიდევ ერთხელ მინდა მოგიწოდოთ, პატივცემულო კოლეგებო, დაიცავით ელემენტარული პოლიტიკური ეთიკის წესები. ნუ გადაიქცევა პარლამენტი ურთიერთბრალდებების, ურთიერთკინკლაობის არენად. მოსახლეობას არ აინტერესებს რას ვაკეთებთ ჩვენ იმისათვის, რომ მათი ხვალინდელი დღე დღევანდელზე უკეთესი იქნას. ეს არის მთავარი ამოცანა ამ პარლამენტის და არა ის, რომ ერთმანეთის ლანძღვა-გინებით მაქსიმალურად მეტი ქულები ჩავიწეროთ ჩვენი მოსახლეობის წინაშე.

მე ასევე მინდა გარკვეულ ცვლილებებზე მოგახსენოთ რეგლამენტში, სადაც პირდაპირ იქნება მითითებული, რომ ნებისმიერი არაეთიკური ქმედება პარლამენტის შენობაში, მით უმეტეს, პარლამენტის პლენარულ სხდომათა დარბაზში, აბსოლუტურად ადეკვატურად იქნება აღქმული და მკაცრად იქნება დასჯილი. ჩვენ ახლა ვსწავლობთ მსოფლიო პარლამენტების პრაქტიკას და მაქსიმალურად შევეცდებით, რომ ის პრაქტიკა, რაც ცივილიზებულ და დემოკრატიულ ქვეყნებში არსებობს, აუცილებლად იქნეს ჩვენს პარლამენტში გადმოტანილი.

ძალიან ბევრი საუბარია პრესასთან დაკავშირებით, არის თუ არა ზეწოლა პრესაზე. პარლამენტმა გააკეთა ძალიან მნიშვნელოვანი რამ და მიიღო ისტორიულიგადაწყვეტილება, როდესაც ჩვენ მივიღეთ კანონი პრესის თავისუფლების შესახებ, სადაც თითოეულ ჩვენგანს ჩვენ თვითონ ჩვენივე გადაწყვეტილებით ავუკრძალეთ უფლება მიმართონ სასამართლოს ან უჩივლოს პრესის წარმომადგენელს, ან მასმედიის წარმომადგენელს, თუნდაც აბსოლუტურად დაუსაბუთებელი ბრალდების გამო. მე მინდა, უბრალოდ, თხოვნით მივმართო ჟურნალისტებს, მე მინდა გითხრათ, რომ ჩვენ პარლამენტში ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ არც ერთი კითხვა თქვენს მიერ დასმული არ დარჩეს პასუხის გარეშე. ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ საერთოდ ყველანაირი ზეწოლის მცდელობაც კი საქართველოში აღმოფხვრილი იყოს და ჩვენ არ დავუშვებთ

იმას, რომ პრესაზე, თავისუფალ პრესაზე, მასმედიაზე რაიმე-ნაირი ზეწოლა ხორციელდებოდეს. ჩვენ ბოლომდე მივიყვანთ ნებისმიერ ფაქტს, რომელიც ამ ზეწოლასთან არის დაკავშირე-ბული. მაგრამ ჩვენ ასევე გვინდა გთხოვოთ, შეეცადეთ მაქსიმა-ლურად ობიექტურად მიაწოდოთ საზოგადოებას ინფორმაცია, შეეცადეთ, რომ თქვენც მაქსიმალურად კორექტულები იყოთ, შეეცადეთ, რომ ყველა ბრალდება, რომელიც ძალიან ხშირად გახმოვანდება ხოლმე პრესით, იყოს როგორც მინიმუმ, სინამ-დვილესთან მიახლოებული. ეს უბრალოდ, ჩვენი თხოვნაა, ეს უბრალოდ, ჩვენი სურვილია, თორემ მე ნამდვილად არ ვაპირებ არანაირად მასმედიის ფუნქციებში შევიჭრა, ნებისმიერ კრიტი-კას, თუნდაც უსაფუძვლოს, შევეცდებით, რომ ავიტანოთ.

რამდენიმე ძალიან გახმაურებული საქმე, რომელიც იგივე პარლამენტარებთან და თავიდან, გარკვეულწილად, კითხვის ნიშნები იყო დასმული, იყო თუ არა ეს პოლიტიკური დევნის რაიმე ფორმა. მე ძალიან მოხარული ვარ და ძალიან მნიშვნე-ლოვანია ის, რომ გამოძიებული იქნეს იგივე ბატონ კუკავასთან დაკავშირებული საქმე. მე პირადად ძალიან დაინტერესებული ვიყავი, რომ ეს საქმე ბოლომდე მისულიყო. მე ვიცი, რომ ბო-ლომდე არის მიყვანილი ბატონ ყაჭეიშვილთან დაკავშირებული ლამის ტრაგიკული ინციდენტი. მე ძალიან დიდი იმედი მაქვს იმისა, რომ ის რაც მოხდა კოლეგასთან, ბატონ გელაშვილ-თან დაკავშირებით, ასევე გამოძიებული იქნება და ბოლომდე იქნება მიყვანილი.

მე მინდა გაცნობოთ, რომ ბატონმა ვალერიმ მომმართა მე პირადად თხოვნით, სახელმწიფო დაცვასთან დაკავშირებით. მე პრეზიდენტთან საუბრისთანავე, პრეზიდენტმა იმავე წუთში განაცხადა, რომ მზად არის დაცვა დაუნიშნოს ბატონ ვალერის. მას უკვე დაცვა დანიშნული ჰყავს. გუშინ ჟურნალისტები კი-თხულობდნენ ამის თაობაზე და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მე ველოდები სამართალდამცავი ორგანოებისაგან, რომ ბატონ ვალერი გელაშვილთან დაკავშირებული ინციდენტი იქნება ბო-

ლომდე გამოკვლეული და ყველა კითხვაზე პასუხი იქნება გაცემული.

რამდენიმე საკითხი, რაც პარლამენტმა აუცილებლად უნდა განიხილოს და მიიღოს მართლაც, ისტორიული გადაწყვეტილებებია. თვითმმართველობის რეფორმა, ძალიან ბევრი საუბარია თვითმმართველობის რეფორმაზე. მე მოხარული ვარ, რომ პარლამენტიც და ბატონი მიხეილ მაჭავარიანის ინიციატივით საპარლამენტო ჯგუფი იყო ჩასული სტრასბურგში, სადაც ევროპულ კოლეგებთან ერთად ჩვენგან ძალიან სერიოზულად გავიარეთ თვითმმართველობის კანონპროექტები. ჩვენ მზადა ვართ, რომ ნებისმიერი წინადადება, კონსტრუქციული, ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს ეს, მიღებული და გათვალისწინებული იქნას იმიტომ, რომ თვითმმართველობის რეფორმას აქვს პრინციპული მნიშვნელობა ქვეყნის ნორმალური განვითარებისათვის.

ჩვენ უნდა ჩამოვაყალიბოთ რეალური თვითმმართველობა, რომელიც ქვეყნის თავისუფალი დემოკრატიული განვითარების უმნიშვნელოვანესი გარანტია იქნება.

საბიუჯეტო დებატები პარლამენტში. მე მინდა, პატივცემულო კოლეგებო, თითოეულ თქვენთაგანს ვთხოვო, გასაგებია, რომ შარშან მთელი წლის განმავლობაში, შარშანწინ ჩვენ საბიუჯეტო დებატებს მთელი მოცულობით ვერ განვიხილავდით. წელს საბიუჯეტო დებატები უნდა იყოს აბსოლუტურად სრულფასოვანი, აბსოლუტურად გამჭვირვალე. ის დებატები, რომელიც იქნება დაკავშირებული ბიუჯეტთან უნდა იყოს სრულყოფილი. იმიტომ, რომ თითოეულ ჩვენგანს უნდა ესმოდეს ბიუჯეტი არის ის ბერკეტი, რომლითაც პარლამენტი ახორციელებს თავის უმთავრეს საქმიანობას ქვეყნის ნორმალური განვითარების საქმეში. მე დიდი იმედი მაქვს, რომ საბიუჯეტო დებატებში თითოეული თქვენთაგანი ძალიან აქტიურ მონაწილეობას მიიღებს.

კიდევ რამდენიმე საკითხი, რომელიც თითოეული თქვენგანისათვის ალბათ, დიდი მნიშვნელობის არის, ეს არის ჩვენი საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტები. ვფიქრობ, უმნიშვნე-

ლოვანესია ის უზარმაზარი პოლიტიკური მხარდაჭერა, რომელიც გვაქვს ჩვენი მეგობრების მხრიდან. ჩვენ, პრაქტიკულად, მთელი მსოფლიო მეგობრობის მხარდაჭერა გვაქვს, რაც არ არის ლიტონი სიტყვები, აღარაფერს აღარ ვამბობ იმ 300 მილიონზე, რომელსაც, რომლის საქართველოსათვის გადმოცემასაც დღეს ეწერება ხელი ნიუ-იორკში პრეზიდენტ სააკაშვილისა და ქალბატონ კონდოლიზა რაისის მიერ, ქალბატონი სალომე აწერს, მგონი ხელს. პრეზიდენტი ესწრება ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას. ეს არ ხდება შემთხვევით. შემთხვევით არ ხდება, როდესაც საქართველოს ასეთი მნიშვნელოვანი პროექტების დროს გადმოსცემენ 300 მილიონს. შემთხვევით არ ხდება, ჩემო პატივცემულო კოლეგებო, როდესაც მსოფლიო პარლამენტის თავმჯდომარეების სპიკერთა შეხვედრაზე აშშ-ის წარმომადგენელი გამოდის და როდესაც მადლობას უხდის მსოფლიო თანამეგობრობას დახმარებისათვის, ახსენებს ორ ქვეყანას ჩინეთს და საქართველოს და სხვა სახელმწიფოებს. ეს არ ხდება შემთხვევით, ეს ძალიან მნიშვნელოვანია და ამ რესურსების გამოყენებას ჩვენ ძალიან სერიოზულად ვაპირებთ. თუმცა, ძალიან მნიშვნელოვანია ის, რასაც ჩვენ ასევე ვეუბნებით ჩვენს მეგობრებს, რომ ჩვენ არ ვაპირებთ მხოლოდ მათი მხარდაჭერით ნატოსკენ მიმავალი გზის გაკვლევას. ჩვენ გვესმის, რამდენად ბევრი რამ აქვს საქართველოს გასაკეთებელი ნატოსა და ევროკავშირისაკენ მიმავალ გზაზე, რომ ეს არის ძალიან რთული, სერიოზული, მტკივნეული რეფორმები და ამ რეფორმებს ჩვენ ვახორციელებთ.

მე ძალიან ბედნიერი ვიყავი, როდესაც ბრიუსელში ჩვენ გვითხრეს, რომ პარტნიორობის პროგრამის ფარგლებში ჩვენ მიერ განხორციელებული ვალდებულებები ჩვენ გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ნატოში, ნატოს წევრობის სამოქმედო გეგმაზე ვილაპარაკოთ 2006 წლიდან. ეს ძალიან სერიოზული მიღწევაა და მე დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენ 2006 წელს ამ გეგმის განხორციელებას შევძლებთ.

ასევე ჩვენთვის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი გახლავთ ის, რომ 2008 წლისათვის საქართველოს პარლამენტმა შეძლოს ისეთი დონის კანონების მიღება და ისეთი გარემოს ჩამოყალიბება ქვეყანაში, რომ ჩვენ ევროკავშირის ასოცირებულ წევრობაზე ვილაპარაკოთ და ეს არ არის ცარიელი სიტყვები. ევროკავშირში და ნატოში წევრობა ან თუნდაც მიახლოვება ამ სტრუქტურებთან ჩვენი მოქალაქეების, თითოეული ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესებას, მათი უსაფრთხოების გარანტიებს ნიშნავს. ეს არის ის უმთავრესი პრიორიტეტი, რომელზეც ჩვენ უნდა ვისაუბროთ.

ერთი საკითხი, რომელზეც მე არ შემიძლია თქვენი ყურადღება არ გავამახვილო და ეს არის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი, სადაც პარლამენტს ასევე ძალიან დიდი როლი აკისრია, ეს არის დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების სრულფასოვნად ჩამოყალიბება. მე, თქვენთან ერთად, ძალიან კარგად მესმის, რომდამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების გარეშე ქვეყანა ვერასოდეს ვერ დადგება ფეხზე. ეს ვერ იქნება ის ქვეყანა, რომელიც მე, თქვენ, პრეზიდენტს, მთავრობას, ჩვენს მოსახლეობას უნდა ააშენოს. თითოეულ მოქალაქეს უნდა ჰქონდეს იმისი რწმენა, რომ ის სამართალს თავის ქვეყანაში იპოვის. ჩვენ არ დავხუჭავთ თვალს და არ ვიტყვით, რომ დღეს იდეალური სასამართლო გვაქვს. ჩვენ ცალკეულ შემთხვევაში საკმაოდ სერიოზული პრეტენზიები გვაქვს სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებთან და ეს რეალობაა, მაგრამ მე ვიცი რამდენად სერიოზულად მუშაობს ჩვენი პარლამენტის კომიტეტი, რამდენად სერიოზულად მუშაობს შესაბამისი სტრუქტურები, რომ საბოლოოდ მოწესრიგდეს სამართლებრივი ბაზა იმისათვის, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი შესაძლებლობა სასამართლო ხელისუფლების როგორც ინსტიტუტის დამოუკიდებლობის შელახვისა.

აქ უმთავრესი არის, ერთ-ერთი უმთავრესი, საკანონმდებლო ბაზა, არანაკლებ მთავარი ჩვენი პოლიტიკური ნება.

წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ვერ მივაღწევთ იმ მიზანს, რასაც საქართველოს როგორც დამოუკიდებელი, დემოკრატიული და ნორმალური ქვეყნის აშენება ჰქვია. ეს არის უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტი, რომელიც სხვა წინ ჩამოთვლილ პრიორიტეტებთან ერთად ჩვენ აუცილებლად უნდა განვახორციელოთ.

მე შეგნებულად არაფერს ვლაპარაკობ ღრმად კონფლიქტების დარეგულირებაზე.

თქვენ მოგეხსენებათ, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში პირველად გახმოვანდა კონკრეტული გეგმა კონფლიქტის დარეგულირებასთან დაკავშირებით. პირველად სრულიად ისტორიული შანსი მოგვეცა ჩვენ, რომ ჩვენი მეგობრები, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორები აქტიურად ჩაერთონ კონფლიქტების დარეგულირების მშვიდობიან პროცესში; დიპლომატიურად გააქტიურდეს როგორც აშშ, ასევე ევროკავშირი ამ კონფლიქტების დარეგულირებაში. მე აბსოლუტურად ვარ დარწმუნებული იმაში, რომ უახლოეს მომავალში ჩვენ შევძლებთ ე. წ. სამხრეთ ოსეთის პრობლემის მოგვარებას. ჩვენ უნდა დავანახოთ ოსებს და აფხაზებს, რომ ჩვენ ვართ ის სახელმწიფო, სადაც მათ შეუძლიათ თავიანთი განვითარების, სრულფასოვანი განვითარების გარანტიები მიიღონ. ჩვენ ვართ ის ქვეყანა და ის ხალხი, რომელთაც მათთან ერთად, მათთან თანაცხოვრებით უნდა ნორმალური დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება.

ასევე ვფიქრობ, არ არის ხაზგასმული განსაკუთრებით ის, რომ ჩვენ არაერთხელ გვითქვამს და ეს ყველამ იცის მსოფლიო თანამეგობრობაში, ჩვენ მოვაგვარებთ ამ პრობლემებს იმიტომ, რომ არავინ, არასოდეს საქართველოში არ შეეგუება იმას, რომ ჩვენ დაკარგული გვქონდეს ჩვენი სახელმწიფოს, ჩვენი სამშობლოს განუყოფელი ნაწილი. ეს არის ჩვენი უმთავრესი პრიორიტეტი, რომელსაც შევასრულებთ და რომელსაც ჩვენ თვითონ მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით მივაღწევთ. ეს არის ის ძირითადი მიმართულებები, რომელზეც მე თქვენთან ერთად მინდოდა დღეს ხმამაღლა მეფიქრა.

მე კიდევ ერთხელ მინდა პარლამენტს ვთხოვოთ, პარლამენტი მხოლოდ და მხოლოდ რამდენიმე ადამიანის აქტიურობით ვერ იქნება აქტიური, პარლამენტის პრესტიჟს, პარალმენტის ავტორიტეტს ვერც მარტო პარლამენტის თავმჯდომარე, ვერც მარტო ცალკეული თქვენგანი ვერ შევქმნით. პრინციპულად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენ ყველამ ერთად, მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, უფრო სწორად აზრთა სხვადასხვაობიდან გამომდინარე შევეცადოთ, რომ ვიპოვოთ ის ერთი სწორი კონკრეტული გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენ მოგვცემს რეფორმების განხორციელების შესაძლებლობას. ბოლოს მე მინდა მივმართო ჩვენს პატივცემულ ოპოზიციას, რომელიც მუდმივად ჩვენი კრიტიკით არის დაკავებული. მე სრულიად გაგებით ვეკიდები ამას და მინდა კიდევ ერთხელ ხმამაღლა ამ ტრიბუნიდან განვაცხადო, მე პირადად და ძალიან ბევრი ჩემი თანამოაზრე, ჩვენ პრინციპულად ვართ დაინტერესებულნი იმაში, რომ საქართველოში იყოს ძლიერი და კონსტრუქციული ოპოზიცია. ეს ქვეყნის განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გარანტი გახლავთ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ოპოზიცია მართლაც ძლიერი და კონსტრუქციული იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ გაგვაკრიტიკებთ, მაგრამ დაინახავთ იმას, რაც გაკეთებულია. როდესაც გამოდიან ჩემი კოლეგები და ამბობენ, რომ არაფერი არ გაკეთებულა, რომ ქვეყანაში უარესად არის საქმე, თუნდაც მათ მიერ გამოთქმული ობიექტური კრიტიკა კარგავს ობიექტურების ნიშანწყალს.

ჩემი კეთილი რჩევა იქნება, ჩვენ უკეთესად გავიგონებთ თქვენსას, თუ თქვენ მართლაც კონსტრუქციულები და სამართლიანები იქნებით და როცა პარლამენტის სისუსტეზე და არაქმედუნარიანობაზე საუბრობთ, გააძლიერეთ, ბატონო, პარლამენტი, ვინ გიშლით, მე ვერ შეგიშლით ხელს, თქვენ თუ ძლიერები იქნებით. მინდა გითხრათ, როდესაც ოპოზიცია ძლიერი ვიყავით და როდესაც ვხედავდით ობიექტურად, რა ხდებოდა, ჩვენ ვახერხებდით იმას, რომ ჩვენი სიტყვა ძალიან ხმამაღლა

გვეთქვა და მოსახლეობისათვის მიგვეტანა, იმიტომ, რომ ჩვენ ვიყავით ძალიან ობიექტურები, ძალიან სამართლიანები. იყავით ობიექტურები, იყავით სამართლიანები და ნამდვილად გარწმუნებთ, რომ მხოლიდ ხელს შეგიწყობთ იმისათვის, რომ პარლამენტი კიდევ უფრო ძლიერი გახდეს.

როცა ხელის შეშლაზე მელაპარაკებით, შეგახსენებთ რეგლამენტის შესაბამის მუხლს, რომელიც ჩემი ძალისხმევით ჩაიდო და რომელიც თქვენ არც ერთხელ არ გამოგიყენებიათ. პიდაპირ არ მიგითითებთ, ამას იმედია კარგად წაიკითხავთ დანახავთ, რომ თქვენ პარლამენტის თამჯდომარემ, უმრავლესობის წარმომადგენელმა შეგიქმნათ უნიკალური შესაძლებლობა იმისა, რომ ნებისმიერი ტიპის დებატები გავმართოთ პარლამენტში. გამოიყენეთ, არავინ ამას არ გიშლით. მივესალმებით თქვენს კონსტრუქციულ კრიტიკას და გარწმუნებთ, პირადად მე არ დავტოვებ უყურადღებოდ არც ერთ წინადადებას, რომელიც წამოვა. გნებავთ საპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან, გნებავთ არასაპარლამენტო ოპოზიციის მხრიდან, ნებისმიერი ადამიანის მხრიდან, არ დავტოვებ არც ერთ წინადადებას, რომელშიც თუნდაც მცირე რაციონალური მარცვალი იქნება და არც იმისი აღიარების არ შემეშინდება, თუ სადმე შეცდომა დავუშვით ან არასწორად მოვიქეცით, იმიტომ, რომ დანგრეული ქვეყნის ფეხზე დაყენება ძალიან რთულია და ამ გზაზე შეცდომის დაშვებაც არ არის გამორიცხული. ვისაც შეცდომების დაშვების ეშინია, ის საქმესაც ვერ გააკეთებს.

გვითხარით, მიგვითითეთ, ვითანამშრომლოთ. მე, ამ შემთხვევაში ძირითადი აქცენტი კვლავ უმრავლესობაზე გადმომაქვს, გააქტიურდით ბატონებო და დაანახეთ ქვეყანას, რომ ღირსეული პარლამენტი ჰყავს.

საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 14 ივლისის რიგგარეშე სხდომის სტენოგრაფიული ჩანაწერი

ნ. ბურჯანაძე. პირველ ყოვლისა, მე თავს ვალდებულად ვთვლი, რომ დავიწყო ინფორმაცია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში გამოსვლასთან დაკავშირებით, ვინაიდან ეს არის საქართველოსათვის მართლაც სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხის ერთ-ერთი ძალიან სერიოზული სეგმენტი, კერძოდ, მე ვსაუბრობ კონფლიქტების დარეგულირების საკითხზე და გაეროს უშიშროების საბჭოზე. ჩვენი თხოვნით, ცხადია, უფრო, ჩვენ დავაფიქსირეთ ის პოზიცია, რომელიც, მე ვფიქრობ, რომ საქართველოსათვის არის ძალიან მნიშვნელოვანი. საერთოდ, თავისთავად იყო, გარკვეულწილად, უპრეცედენტო მოვლენა პარლამენტის თავმჯდომარის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომაზე გამოსვლა იმიტომ, რომ მოგეხსენებათ, გაერო სამთავრობათაშორისო ორგანიზაციაა. და, როგორც წესი, ამ ფორუმებზე, როგორც ასამბლეაზე, ასევე უშიშროების საბჭოზე გამოდის ხოლმე ან ქვეყნის მეთაური, ან ქვეყნის მთავრობის წარმომადგენელი, მაგრამ ჩვენ მოგვეცა ეს განსაკუთრებული შესაძლებლობა, რომ უშიშროების საბჭოს წინაშე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს წარმოედგინა საქართველოს პოზიცია აფხაზეთში მოვლენებთან დაკავშირებით. პატივცემულო კოლეგებო, მე ნამდვილად არ დავმალავ იმას, რომ გამოსვლა იყო ნამდვილად მწვავე, მაგრამ იყო აბსოლუტურად ობიექტური. მე ვფიქრობ, რომ თქვენ გქონდათ შესაძლებლობა გამოსვლის ტექსტი გეხილათ იმიტომ, რომ ჩვენ ეს ტექსტი გავავრცელეთ. რატომღაც ამან გამოიწვია ჩვენი რუსი კოლეგების აღშფოთება, რატომ გავრცელდა ტექსტი. მაგრამ გაეროს უშიშ-

როების საბჭოზე საიდუმლო სათქმელი ჩვენ არაფერი არ გვქონდა, არ იყო არანაირი წინასწარი შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ჩვენ საიდუმლოდ უნდა შეგვენახა, ის, რასაც ვამბობდით. ამიტომ არანაირი პირობა, ბუნებრივია, არ დაგვირღვევია და მოვიქეცით ისე, როგორც ვთვლიდით საჭიროდ, ვინაიდან ჩემი გამოსვლის მთავარი ამოცანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გახლდათ სწორედ ის, რომ მიმეწოდებინა გაეროს უშიშროების საბჭოს წევრებისათვის როგორც მუდმივი, ასევე არამუდმივი წევრებისათვის მაქსიმალურად ობიექტური მიზეზი, რომ საქართველოს პარლამენტმა მიიღო გადაწყვეტილება ოსეთში სამშვიდობო ძალებთან დაკავშირებით. ის გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო და ახლა უკვე ჩვენ ვემზადებით ანალოგიური გადაწყვეტილებისათვის აფხაზეთში მიმდინარე სამშვიდობო პროცესებთან დაკავშირებით. მე დეტალურად მოვახსენე გაეროს უშიშროების საბჭოს კონფლიქტის ზონაში მიმდინარე მოვლენების შესახებ, დაწყებული 93 წლიდან ცეცხლის შეწყვეტის შემდეგ პრაქტიკულად დღემდე და ერთმნიშვნელოვნად ხაზი გავუსვი, რომ ის მანდატი, რომელიც ახლა ხორციელდება აფხაზეთის ზონაში საქართველოსათვის, საქართველოს პარლამენტისათვის არის კატეგორიულად მიუღებელი. თავისთავად მანდატმა თავი ამოწურა, გამომდინარე თუნდაც იქიდან, რომ 14 წლის წინ, როდესაც რუსი სამშვიდობოები შევიდნენ კონფლიქტის ზონაში, მაშინ სხვა რეჟიმი იყო, მათი ამოცანა იყო ცეცხლის შეწყვეტა.

დღეს უკვე რეჟიმი სრულიად სხვა არის, მაგრამ ამას ემატება ის სრულიად სამართლიანი პრეტენზიები, რომლებიც ჩვენ გვაქვს რუსი სამშვიდობოების მიმართ.

კერძოდ ის, რომ ისინი არ ასრულებენ თავის მანდატს, კერძოდ ის, რომ ბოლო 10 წლის განმავლობაში სამშვიდობოების იქ ყოფნის პერიოდში 2000-მდე ადამიანი არის დაღუპული, დაახლოებით 5000-6000 სახლია დამწვარი. და მოგეხსენებათ, ეს პატარა ადგილზე და პატარა რეგიონებში, სადაც 60 000-იც კი

არ არის მოსახლეობა. ის, რომ რუსეთის ხელისუფლებამ ოფიციალურად მიანიჭა რუსეთის მოქალაქეობა აფხაზეთის მოქალაქეებს, საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც აფხაზეთის ტერიტორიაზე ცხოვრობენ და აქედან გამომდინარე ვერავითარ შემთხვევაში ისინი ობიექტურებად ვერ ჩაითვლებიან. ის, რომ პირდაპირი მხარდაჭერა აქვთ სეპარატისტებს რუსეთის ხელისუფლების საკმაოდ სერიოზული ძალების მხრიდან, ანუ ყველა ის პრეტენზია, რომელიც თითოეული თქვენგანისათვის არის ცნობილი, მაგრამ რომელიც არის აბსოლუტურად დასაბუთებული, არგუმენტირებული და ფაქტებით დადასტურებულია. დაახლოებით 15 წუთის განმავლობაში მიმდინარეობდა ჩემი გამოსვლა, სადაც მე დავასაბუთე, რა არის მთავარი მიზეზი იმისა, რომ საქართველოს პარლამენტი მიიღებს გადაწყვეტილებას რუსეთის სამშვიდობოებისათვის მანდატის შეწყვეტის თაობაზე. მე ასევე ხაზი გავუსვი იმ გარემოებას, რომ ჩვენ მიერ მიღებული, რამდენიმე თვის წინ მიღებული დადგენილება, ეს იყო სწორედ განგაშის ზარი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა და ნიშანი, თუ გნებავთ, რომელიც საქართველოს პარლამენტმა გააგზავნა საერთაშორისო თანამეგობრობის წარმომადგენლებთან, მათ შორის რუსეთთან. თქვენ გახსოვთ, რომ ჩვენ დავდეთ კონკრეტული ვადა მიუხედავად იმისა, რომ უკვე 12 წელია კონფლიქტის დარეგულირებას ველოდებით, კიდევ რამდენიმე თვე მივეცით, როგორც საერთაშორისო თანამეგობრობას, ასევე რუსეთს, რომ ყოფილიყო თუნდაც მცირე პროგრესი, რითაც კიდევ ერთხელ დავადასტურეთ, რომ საქართველოსა და საქართველოს პარლამენტის თვითმიზანი არ არის რუსეთის ჯარების გაყვანა, ჩვენი მთავარი ამოცანა იყო და ყოველთვის იქნება კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირება, მაგრამ ეს დარეგულირება ვერ მოხდება, თუ მანდატი შენარჩუნებული იქნება ისე, როგორც ეს დღეს არის შენარჩუნებული. მე ხაზგასმით ვთქვი, რომ დღეს რუსეთის სამშვიდობოები კონფლიქტის ზონაში გახდნენ არა სამშვიდობო ძალები, არამედ რეალურად სასაზღვრო

ძალები, რომლებიც ყოფენ აფხაზურ და ქართულ მოსახლეობას ერთმანეთისაგან და ეს არის ძალები, რომლებიც რეალურად ხელს უშლის კონფლიქტის პოლიტიკურ დარეგულირებას.

დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ჩვენი რუსი კოლეგებისა იმ გარემოებამ, რომ ვისაუბრე ორმაგ სტანდარტზე, რომელიც, სამწუხაროდ, არის რუსეთის მხრიდან საქართველოსთან მიმართებაში, მით უმეტეს, კონფლიქტების დარეგულირებაში და ცხადია, ხაზი გავუსვი იმ გარემოებას, რომ ჩვენი მთავარი ამოცანა იქნება კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირება, კონფლიქტის დიპლომატიური გზით დარეგულირება და სწორედ ამიტომ არის, რომ საქართველოს ხელისუფლება ამზადებს და წარუდგენს საერთაშორისო თანამეგობრობას როგორც ოსეთის, ასევე აფხაზეთის კონფლიქტის ირგვლივ მომზადებულ სამშვიდობო გეგმას.

პროცედურით ჩვენ ველოდით, რომ მას შემდეგ, რაც გაეროს უშიშროების საბჭოს ცალკეული წევრები გამობრძანდნენ და თავის მოსაზრებებს იტყოდნენ, ჩვენ გვექნებოდა შესაძლებლობა ადეკვატური პასუხი გაგვეცა. გამოვიდა რუსეთის წარმომადგენელი, რომელმაც, ჩემი აზრით, ნამდვილად არაადეკვატურად შეფასება მისცა ყველა იმ მოვლენას, რაზეც ჩვენ ვისაუბრეთ. ძირითადი პრეტენზია იყო, რომ აი, რატომ აკრიტიკებს საქართველოს წარმომადგენელი რუსეთს, რომ ე. ი. ჩვენ დავარღვიეთ ლამის გაეროში დაწესებული დიპლომატიური ეთიკა და ა. შ. იცით რა, თუ დიპლომატიური ეთიკა არის ყველაფერზე თვალების დახუჭვა და კონფლიქტზე საუბრის დროს სიტყვის პრაქტიკულად შუაზე გაწყვეტა, რაც გამოვიდა იქიდან გამომდინარე, არაპირდაპირი გაგებით, რომ რუსეთის წარმომადგენლის გამოსვლის შემდეგ, მე არ მომეცა შესაძლებლობა დამატებითი არგუმენტები მეთქვა და მეპასუხა რუსეთისათვის. ასეთ შემთხვევაში, მე ვფიქრობ, რომ გაერო ვერ მიაღწევს იმ შედეგს, რისი მიღწევაც ჩვენ ყველას ერთად გვინდა. მე ნამდვილად გაოცებული ვიყავი, როდესაც საფრანგეთის წარმო-

მადგენელმა, რომელიც ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობდა გაეროს უშიშროების საბჭოს, არ მომცა მე საქართველოს წარმომადგენელს შესაძლებლობა, რომ ადეკვატურად მეპასუხა რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლისათვის. მე დიდად გულდაწყვეტილი არა ვარ იმიტომ, რომ სიტყვის ძირითად ნაწილში ჩვენ ვთქვით, ყველაფერი, რისი თქმაც გვინდოდა, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ჩემი აზრით, საკმაოდ უსუსური იყო, არალოგიკური ის ბრალდებები ან ის კონტრარგუმენტები, რომლითაც შეეცადა რუსეთის მხარე, რომ წამოეყენებინა. არც ერთი კონკრეტული წინადადება, არც ერთი პოზიტიური წინადადება, სამწუხაროდ, მე რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლის მხრიდან უშიშროების საბჭოს სხდომაზე არ მომისმენია. ნებისმიერ შემთხვევაში, მე თქვენი სახელით, ბუნებრივია, უშიშროების საბჭო გავაფრთხილე, რომ საქართველოს პარლამენტი უახლოეს დღეებში იმსჯელებს ამ დადგენილებასთან დაკავშირებით და სავარაუდოდ მიიღებს კონკრეტულ გადაწყვეტილებას. ჩვენი მთავარი ამოცანა იყო, რომ ჩვენი მეგობრები ინფორმირებულნი ყოფილიყვნენ ჩვენს შემდგომ ნაბიჯებთან დაკავშირებით და მათთვის არ იყოს სიურპრიზი ის გადაწყვეტილებები, რომელ გადაწყვეტილებებსაც ჩვენ ვიღებთ. აი ეს იყო უშიშროების საბჭოსთან დაკავშირებული, ვფიქრობ, ნუ გარკვეულად შემოკლებული, მაგრამ ინფორმაციული მოხსენება, რომელიც მე მინდოდა ეხლა თქვენთვის მეთქვა. არ ვიცი, თუ თქვენ დამატებითი კითხვები გექნებათ, მე, ბუნებრივია, მერეც მზადა ვარ, რომ ამ კითხვებზე უფრო დეტალურად გიპასუხოთ. ამავდროულად მინდა რამდენიმე სიტყვა გითხრათ იმ მოვლენებზე, რომელიც წინ უძღოდა ნიუ-იორკში ვიზიტს. ეს იყო ბრიუსელში ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაზე ჩვენი დელეგაციის ვიზიტი. მე მინდა გითხრათ, რომ პირველი ნაწილი ჩვენი მუშაობისა, მიუხედავად გარკვეული წინააღმდეგობისა, მაინც ჩვენი წარმატებით დასრულდა იმიტომ, რომ რეზოლუციის პროექტი, რომელიც ჩვენ წარმოვადგინეთ ეუთოს რეფორმირებასთან

დაკავშირებით, მხარდაჭერილი იქნა და მე ვთვლი, რომ მე არ ვიცი, რამდენად მოხერხდება ამ ჩვენს მიერ შეთავაზებული რეზოლუციის რეალიზება. მე მხოლოდ მოხარული ვიქნები თუ დღეს მოქმედი პრეზიდენტი გაიზიარებს ამ ჩვენს წინადადებებს და შეძლებს და გააკეთებს იმას, რომ ამ ორგანიზაციის რეალური და რადიკალური რეფორმირება მოხდეს, მაგრამ თავისთავად რეზოლუცია მიღებული იქნა მიუხედავად იმისა, რომ ძალიან უცნაურ პოზიციაში გამოიყურებოდა რუსეთის დელეგაცია, რომელმაც ყოველგვარი რეგლამენტის დარღვევით კომიტეტზე სცადა, რომ დაებლოკა აღნიშნული რეზოლუციის მიღება და ხელი შეეშალა რეზოლუციისათვის. რუსეთის მთავარი არგუმენტი იყო, რომ ეს რეზოლუცია ანგრევს ეუთოს დღევანდელ სქემას. მე ნამდვილად არ დაგიმალავთ, რომ მე მიმაჩნია, რომ ის სქემა, რომელიც დღეს ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაში მოქმედებს, ნამდვილად არ არის მისაღები და ჩემი მთავარი ამოცანა და პრეტენზია ეუთოსადმი იყო სწორედ ის, რომ ჩვენ წლიდან წლამდე ვიკრიბებით, ვიღებთ ძალიან სერიოზულ და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს, მაგრამ სამწუხაროდ, არც ერთი ასეთი გადაწყვეტილების რეალიზება არ ხდება და ეუთოს მიერ მიღებული რეზოლუციები, საპარლამენტო ასამბლეა მაქვს მე მხედველობაში, რჩება მხოლოდ და მხოლოდ ქაღალდზე. ჩვენ მიერ შეთავაზებულ რეზოლუციაში იყო შეთავაზებული კონკრეტული მექანიზმები, რა მექანიზმები უნდა შეიქმნას ეუთოში, როგორ უნდა ითანამშრომლოს ეუთოს საპარლამენტო ასამბლეამ და აღმასრულებელმა ნაწილმა იმისათვის, რომ ეუთო ეფექტური იყოს. ნუ, დასამალი ნამდვილად არ არის, რომ ეუთოში არის საკმაოდ სერიოზული ჯგუფი სახელმწიფოებისა, პიდაპირ ვიტყვი, რუსეთის ხელმძღვანელობით, რომელთაც ამ ორგანიზაციის ეფექტურობა არ აწყობთ. ეს არავისთვის საიდუმლო არ არის. თქვენ კარგად გახსოვთ რუსეთმა თავის დროზე დაბლოკა და პრაქტიკულად, მოკლა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და წარმატებული სტრუქტურა ეუთოში,

რომელიც იყო საზღვრის მონიტორინგის სქემა, რომელიც საქართველო-ჩეჩნეთის საზღვარზე მოქმედებდა. ბოლო 4 წლის განმავლობაში ეუთოს მინისტერიალზე დასკვნითი დოკუმენტები ვერც ერთხელ ვერ იქნა მიღებული სწორედ იმიტომ, რომ რუსეთი ბლოკავდა ამ გადაწყვეტილებების მიღებას. ამიტომ ვფიქრობ, რომ გასაკვირი არ არის, რომ ეფექტური ეუთო, როგორც ჩანს, ამ სახელმწიფოს არ აწყობს. მე შემიძლია გითხრათ, რომ ნამდვილად ამაყი ვარ იმით, რომ მთავარი პრეტენზია, რომელიც ჩემი, როგორც თქვენი წარმომადგენლის მიმართ გამოითქმებოდა ხოლმე კულუარებში, ეხლა მთლად ხმამაღლა ეს ვერავინ, პრინციპში, ვერ თქვა, მაგრამ კულუარებში გამოითქმებოდა, იყო ის, რომ ხმამაღლა თქვეს, რომ მე ძალიან ხშირად ვიყენებ ამ ტრიბუნას და უფრო სწორად, უმეტესად ამ ტრიბუნას ვიყენებდი საქართველოს ინტერესების დასაცავად, აფხაზეთზე და ოსეთზე სალაპარაკოდ და ვიყავი ძალიან მკაცრი რუსეთთან. მე ვფიქრობ, რომ ვიყავი მკაცრი, მაგრამ ვიყავი ობიექტური და ასეთივე ვიქნები აწიც და მიმაჩნია, რომ პრეტენზია, რომ რატომ დავიცავი ჩემი ქვეყნის ინტერესები, ნამდვილად ვერ იქნება ჩემ მიერ გაზიარებული ვერც ეხლა და ვერც ვერასოდეს. მე ჩემს, ასე ვთქვათ, საპროგრამო სიტყვაში ვთქვი, რომ ადამიანი, რომელიც ვერ ახერხებს საკუთარი ქვეყნის ინტერესების დაცვას, ის ვერასოდეს ვერ შეძლებს სხვა ქვეყნის ინტერესის დაცვას და საერთაშორისო ორგანიზაციის ღირსეულად წარმოდგენას. ამიტომ მე განვუცხადე ჩემს კოლეგებს, რომ ჩემთვის ეს პრეტენზია არის მიუღებელი და თუ ვინმე თვლის, რომ აი ამის გამო მე არ უნდა ვიყო არჩეული, ეს უბრალოდ, მათი გადასაწყვეტი გახლავთ. ნამდვილად შემიძლია გითხრათ, რომ ძალიან სერიოზული ანტიკამპანია მიდიოდა კონკრეტულად ამ შემთხვევაში, როგორც საქართველოს წარმომადგენლისა პირადად ჩემ მიმართ იმიტომ, რომ მე არ დამიმალავს არც ერთ ფორუმზე, რომ არჩევის შემთხვევაში ვაპირებდი ნამდვილად რადიკალური ნაბიჯების გადადგმას და რადიკალური ცვლილებების შეტანას

ამ ორგანიზაციაში იქამდე, რომ ლამის, ვთქვათ, ორგანიზაციის ბლოკირებაზე იყო საუბარი იმ შემთხვევაში, თუ გავიდოდა ჩემი კანდიდატურა. მე ვფიქრობ, რომ ჩვენ, საქართველომ, მთელმა დელეგაციამ და მე მინდა ყველას, არ მინდა, უბრალოდ, სახელები ჩამოვთვალო, თქვენ ყველამ იცით დელეგაციის შემადგენლობა, მინდა ყველას ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო იმიტომ, რომ ვიყავით აბსოლუტურად ერთსულოვანი. მთელმა დელეგაციამ მართლაც ძალიან ღირსეულად წარმოადგინა ჩვენი ქვეყანა და მე მოხარული ვარ, რომ ჩვენ მიმართ პრეტენზიები არის მხოლოდ ის, რომ ჩვენ კარგად ვახერხებთ ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაცვას და ვახერხებთ პრობლემები შევუქმნათ საერთაშორისო არენაზე იმ კონკრეტულ სახელმწიფოებს, რომლებიც არაცივილიზებულად იქცევიან ჩვენი ქვეყნის და ჩვენი სამართლიანი ინტერესების მიმართ. დაახლოებით ეს არის, ალბათ, რაც მე მინდოდა მეთქვა თქვენთვის. ვიცი, რომ თქვენი მხრიდან იყო დიდი გულშემატკივრობა და ძალიან დიდი მხარდაჭერა. მინდა ყველას ამისათვის მადლობა გადაგიხადოთ, დაგარწმუნოთ, რომ იყო შეკითხვა, დავტოვებ თუ არა ეუთოს. მინდა თქვენ გულწრფელად გითხრათ და ასევე ვერ დავამშვიდო ის ადამიანები, ვისაც აქვს კონკრეტული სახელმწიფოებისგან იმედი, რომ ეუთოში აღარ ვიქნები. ვიქნები ამ ორგანიზაციაში და ისეთივე აქტიურად და ისეთივე ობიექტურობით გავაგრძელებ ჩემი ქვეყნის და ზოგადად სამართლიანი ინტერესების დაცვას, როგორც ამას ვცდილობდი, რომ გამეკეთებინა აქამდე. ასე, რომ მე ვაგრძელებ ამ ორგანიზაციაში მუშაობს და თქვენი მხარდაჭერის დიდი იმედი მაქვს.

შესვენების შემდეგ

ნ. ბურჯანაძე. მე მინდა თქვენთან ერთად, პატივცემულო კოლეგებო, მივუსამძიმრო დაღუპულების და დაზარალებულების ოჯახებს იმ უბედურებასთან დაკავშირებით, რომელიც მათ ოჯახებს დაატყდა თავს. მე მინდა თითოეული თვენგანის სა-

ხელით მათ თანაგრძნობა გამოვუცხადო, მაგრამ ამავე დროს ხაზგასმით აღვნიშნო, რომ როგორც ჩანს ის, რაც დღეს მოხდა ცხინვალში არის დაგეგმილი პროვოკაციის ძალიან სერიოზული რგოლი, რგოლი იმ ჯაჭვისა, რომლის აგებასაც რუსეთის სპეცსამსახურები ბოლო პერიოდის განმავლობაში გაკეთებული განცხადებებით და ქმედებებით ცდილობენ. მე შეგახსენებთ, რომ სრულიად მოულოდნელად, მე არ ვიცი, ყოველ შემთხვევაში, საბაბი, გუშინ საგარეო საქმეთა მინისტრმა ბატონმა ივანოვმა გააკეთა განცხადება, რომ ისინი არავის, ანუ შემიძლია ციტირება რუსულად გავაკეთო, რომ „Мы своих миротворцев в обиду не дадим. К тому же не стоит забывать, что 90% жителей Южной Осетии граждане России“, ისე იმ სახელმწიფოს საგარეო საქმეთა მინისტრის ადგილზე, რომელიც წესით ნეიტრალური უნდა იყოს და რომელიც მედიატორია კონფლიქტში, არ გავაკეთებდი ხაზგასმას იმისას, რომ ცხინვალში და აფხაზეთში მოსახლეობის 90%-ს მისმა ქვეყანამ და მისმა უწყებამ აბსოლუტურად უკანონოდ, ყველანაირი ნორმების და კანონების დარღვევით მისცა რუსეთის მოქალაქეობა და თუ სამშვიდობო ძალა კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ის საკუთარ მოქალაქეებს იცავს, ის ვერ იქნება ნეიტრალური და ობიექტური და კიდევ ერთი დამატებითი არგუმენტი იმისა, რომელსაც ჩვენ მუდმივად ვახსენებდით, რატომ უნდა შეუწყდეს მანდატი ამ სამშვიდობო ძალებს. გარდა ამისა, მე მინდა გითხრათ, რომ ის განცხადებები, რომელიც ბოლო პერიოდში კეთდებოდა, რომ აი ქართველები ააფეთქებენ ცხინვალში რაიმეს, რომ ქართველები მოაწყობენ პროვოკაციას და დაიწყებენ ომს, ეს არის სხვა არაფერი თუ არა მცდელობა იმისა, რომ კიდევ ერთხელ შელახონ საქართველოს იმიჯი საერთაშორისო თანმეგობრობის თვალში, მით უმეტეს, დიდი რვიანის შეხვედრის წინ და რეალურად დააბრალონ საქართველოს, რომ ეს არის ქვეყანა, რომელიც აფეთქებს, ცხინვალში ახდენს ტერორისტულ აქტებს და აპირებს ომის დაწყებას. ჩვენ ეს სცენარი სხვათა შორის,

რამდენიმე წლის წინ თავად რუსეთში გვაქვს ნანახი. როგორც ჩანს იმ სცენარის გადმოტანა უნდათ საქართველოში, რომელიც თვითონ ერთხელ განახორციელეს და ჩვენ ამას არ დავუშვებთ. ამიტომ მივმართავთ საერთაშორისო თანამეგობრობას, უპირველეს ყოვლისა, რა თქმა უნდა, უნდა ჩატარდეს აბსოლუტურად ობიექტური გამოძიება, რა ხდება ცხინვალში და მივმართავთ საერთაშორისო თანამეგობრობას, საქართველოს ინტერესში დღეს არანაირად არ შედის ვითარების ესკალაცია, ეს პირდაპირ საქართველოს საწინააღმდეგო ქმედებაა და ხოციელდება საქართველოს მტრების მიერ. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ მსგავსი ქმედებები განხორციელებული არ იყოს და აღკვეთილი იქნას ნებისმიერი პროვოკაცია იმისა, რომ საქართველო ჩართული იყოს ფართომასშტაბიან კონფლიქტში. თქვენ მოგეხსენებათ, რომ რამდენიმე ხნის წინ, პრაქტიკულად ერთი კვირის წინ რუსეთის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ მიიღო ძალიან უცნაური კანონი, 2 დადგენილება, რომელიც პრაქტიკულად ხელს უხსნის რუსეთს ნებისმიერ სახელმწიფოში სპეცოპერაციის ჩატარებასთან დაკავშირებით. მე არ გამოვრიცხავ, რომ ამ ტიპის ტერაქტები და ამ ტიპის განცხადებები იყოს სწორედ გამართლება მომავალი ქმედებებისა რუსეთის მოქალაქეების ინტერესების დასაცავად და არ გამოვრიცხავ, რომ ეს იყოს მცდელობა საქართველოს ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებში ჩართვის. შემიძლია გავაგრძელო ჩამონათვალი, რაც თუნდაც ბოლო 2-3 დღის განმავლობაში მოხდა. დღევანდელი ფაქტი, როდესაც დაკავებული იქნა ბატონი ევნევიჩი და რუსეთის საელჩოს მანქანა, მე მაქვს ხელთ ის ნოტა, რომელზეც რამდენიმე წუთის წინ ტელევიზიით საუბრობდა რუსეთის საელჩოს წარმომადგენელი, ნოტა ნამდვილად არსებობს, მაგრამ ნოტაში ნამდვილად არ წერია ბატონი ევნევიჩის გვარი. ნოტაში პირდაპირ წერია, რომ 14 ივლისს აპირებენ ცხინვალის რეგიონში შესვლას ბატონი პოპოვი, ნოვიკოვი, შებეტოვი. აქ ბატონი ევნევიჩის ვიზიტზე ნათქვამი არაფერი არ არის. ასე, რომ

შეგნებულად შეჰყავთ საზოგადოება შეცდომაში იმასთან დაკავშირებით, თითქოს ყველა დოკუმენტაცია გაგზავნილი იყო იმ წესების დაცვით, რა წესების დაცვითაც უნდა იყოს განხორციელებული. მე ძალიან ვწუხვარ, რომ ამ განცხადების გაკეთება მიწევს. ჩვენ ნამდვილად არა ვართ განწყობილი ამ კონფრონტაციული რეჟიმისათვის, მაგრამ არავის არ მივცემთ უფლებას თავს მოგვახვიოს კონფრონტაციული რეჟიმი და ჩაგვითრიოს საომარ მოქმედებებში.

Стенограмма выступления Бурджанадзе
В продолжение к этой теме

Как то давно смотрел видеозапись этого выступления, но сейчас не могу найти. Поэтому придеться его читать.

Санкт-Петербург. Таврический дворец. Думский зал.
27 апреля 2006 года. 11 часов.

Слово для выступления предоставляется Председателю Парламента Грузии Бурджанадзе Нино Анзоровне. (Аплодисменты.)

Бурджанадзе Н. А.

Уважаемый председатель! Уважаемые дамы и господа! С большим удовольствием присоединяюсь к поздравлениям моих коллег и гостей с юбилеем Государственной Думы России. Сто лет назад у России появился шанс создать и развить институт парламентаризма. Зарождение европейского парламентаризма в России открывало позитивные политические перспективы и для России, и для народов, проживающих в Российской Империи. Уже тогда Государственная Дума рассматривала множество злободневных, можно сказать - извечных, проблем: свободы слова и прав человека, освобождения политических заключённых, отмены смертной казни, предоставления культурной автономии народам, населяющим империю. К сожалению, тогда решение этих вопросов не было доведено до логического конца. Мы гордимся, что в этом зале одним из первых, кто говорил о необходимости демократических реформ, об отмене смертной казни, был депутат из Грузии. Однако тогда реформаторские, прогрессивные силы, к сожалению, оказались

в меньшинстве. Сегодня российская Государственная Дума, как и парламент любого другого государства, тем более имея столетний опыт, должна быть в фарватере демократического развития. И это очень почётная миссия. Ведь на сегодняшний день главная задача парламентов заключается не только в эффективной законодательной деятельности, перед всеми парламентариями, перед всеми парламентами стоит важная задача – содействовать демократическому и прогрессивному развитию общества и государства, обеспечению политической стабильности как внутри страны, так и за её пределами. Следует отказаться от изживших себя стереотипов, развивать новые, цивилизованные отношения, основанные на уважении интересов других государств и народов. Важно, чтобы именно парламент большого и сильного государства нашёл в себе силы сделать это. К сожалению, сейчас, как и сто лет назад, иногда разногласия превыше всего и основные принципы часто становятся жертвой сиюминутной политической конъюнктуры. (Шум в зале.)

Не хотелось бы, чтобы наши потомки через сто лет говорили об упущенных возможностях. Сегодня мы, представители Грузии, здесь, на вашем празднике, так как считаем, что есть ценности и общие интересы, которые должны нас объединять. Важно правильное понимание этих объективных общих интересов, важно, несмотря на любые сложности, не отказываться от диалога, а продолжать диалог. У Грузии и России для нормального сотрудничества есть объективные интересы: наша совместная борьба с экстремизмом, сепаратизмом, обеспечение безопасности и стабильности на Кавказе. Однако, как ни парадоксально, именно то, что должно нас объединять, является самым большим камнем преткновения в российско-грузинских отношениях. В России все должны понимать: невозможно обеспечить безопасность и стабильность на юге России, не способствуя обеспечению безопасности южнокавказских государств. Нам с вами нужна новая кавказская политика. С сепаратизмом нужно бороться не на словах, а на деле. (Шум в зале.)

Только тогда, когда Россия откажется от двойных стандартов, будет выполнять свои обязательства посредника в урегулировании конфликтов (сильный шум в зале), кавказская политика будет понятной и успешной для самой России. (Сильный шум в зале.)

Казалось бы, ещё один объективный интерес – развитие взаимовыгодных экономических отношений. Мы надеемся, что эти экономические отношения будут развиваться на благо обоих государств, однако, к сожалению, последние решения совершенно не будут способствовать улучшению наших экономических отношений, и от таких решений пострадает не только наша страна, не только Грузия, но от таких решений пострадает Россия, так как она будет дистанцироваться от соседних государств. Такая политика не приведёт к сближению наших интересов. (Шум в зале.)

Я ещё раз повторяю: нам нужна на Кавказе новая политика – новая позитивная политика, справедливая, целью которой будет не обеспечение безопасности и интересов одного государства, а целью которой будет учёт интересов всех государств. Такая позитивная политика, я более чем уверена, обеспечит успех как России, так и Грузии, а это не взаимоисключающие понятия. Как бы некоторые коллеги ни хотели сказать, что это взаимоисключающие понятия, это не взаимоисключающие понятия – успех России и Грузии может быть совместным. Я думаю, что для нас, для Грузии, ещё раз могу подчеркнуть, весьма важна стабильная, европейская, демократическая, сильная и процветающая Россия.

Поверьте, это в наших интересах. И я уверена, что именно в сильной и демократической России залог нормализации не только российско-грузинских отношений. Я считаю, что, так же как сильная и стабильная Россия важна для Грузии, стабильная, единая и сильная Грузия должна быть в интересах России, поскольку только такая Грузия может обеспечить мир на вашей южной границе. (Шум в зале.)

К сожалению, сегодня проблемой является как раз то, что многие считают, что успешная Грузия, имеющая тесное сотрудни-

чество с североатлантическими институтами, является проблемой для России, и каждый наш успех воспринимается чуть ли не как собственное поражение. Подобное восприятие противоречит интересам двух государств. Грузия готова развивать партнёрские, добрососедские отношения с Россией с учётом её законных... я ещё раз хочу повторить: с учётом законных интересов России. Но эти отношения могут быть построены только при соблюдении жизненно важных и законных национальных интересов Грузии, какими являются обеспечение государственной целостности и право демократического европейского выбора.

Ведь только тогда Россия сможет усилить своё позитивное влияние в любой сфере, когда она будет способствовать демократическому развитию тех государств, которые её окружают. (Шум в зале.) Этот общий праздник очень важен, поскольку даёт надежду на то, что действительно Россия будет развивать демократические институты и действительно Россия станет как для Грузии, так и для других государств государством, с которым выгодно, эффективно и взаимовыгодно сотрудничать. Одно очень важно всем понимать: как Грузия, так и любые другие государства обязательно будут выполнять поставленные перед собой задачи. Мы, руководство Грузии и народ Грузии, делаем то, что считаем правильным для своего государства. И конечно же, будет цениться дружеская помощь и дружеская рука любого государства, которое будет нам помогать осуществлять общие демократические задачи, если это не идёт вразрез с интересами какого-либо другого государства, потому что Грузия прекрасно понимает: невозможно строить благополучие и безопасность собственного государства за счёт благополучия и безопасности другого государства. И мы всегда будем уважать как ваши законные национальные интересы, так и других стран. Уважаемые дамы и господа! Я ещё раз от всей души хотела бы поздравить вас с вашим праздником. Поверьте, от всей души желаю вам, чтобы ваша страна была стабильной, демократической, раз-

витой, богатой. В этом случае, я уверена, у Грузии и России будут действительно очень дружеские, тесные и взаимовыгодные отношения. Хотелось бы, конечно, чтобы на сегодняшнем празднике мы преподнесли вам добротное, настоящее грузинское вино, но это сегодня не получилось. (Шум, оживление в зале.) И не получилось потому, что подкраска именно, к сожалению, политическая. Но я более чем уверена, что придёт день, когда мы все будем отмечать общие праздники, основанные на единых демократических ценностях, и будет такая ситуация, когда будет торжествовать сила правды, а не правда силы. Я вам этого искренне желаю и желаю самого доброго! (Аплодисменты.)

პირთა საძიებელი

ა

აბაშიძე, ასლან 29, 58, 60, 90, 214, 217, 218, 245, 246, 266, 267, 268, 269, 277, 278, 279, 280, 283, 285, 289, 293, 296, 298, 299, 300, 301, 302, 306

აბაშიძე, გიორგი 284, 292

აბაშიძე, დიანა 312, 315

აბაშიძე, ირაკლი 179

აბაშიძე, მემედ 299

ადეიშვილი, ზურაბი 269, 315

ალექსიძე, ლევან 623

არველაძე, გიორგი 342

არუთინიანი, ვოვა 465, 466

ასანიძე 303

ახალაია 521

ახვლედიანი, არმაზ 94

ბ

ბათიაშვილი, ირაკლი 681

ბაკურაძე, დავითი 286, 287

ბარამიძე, გია 255, 273

ბართლომეოს I 576

ბასაევი, შამილი 383, 385, 455

ბაღაფში 618

ბეინსი, ენდრიუ 659

ბენდუქიძე, კახა 334, 426

ბეჟაშვილი, ლევანი 469

ბეჟუაშვილი, გელა 407, 408

ბერეზოვსკი 87

ბერძენიშვილი, დავითი 148

ბერძენიშვილი, ლევანი 317

ბესტაევა, ზინაიდა 343, 344

ბექაური, კობა 495, 499

ბეციაშვილი, გივი 680

ბინ-ლადენი 56, 201, 601

ბიწაძე, ბადრი 40, 41, 46, 48, 202, 242, 270, 271, 312, 315

ბიწაძეები 312, 316

ბლერი, ტონი 25, 519

ბოკერია, გიგა 436, 467, 470

ბრაზაუსკა 673

ბრაიზა, მეთიუ 537

ბურჯანაძე, ნინო 13, 14, 15, 18, 23, 31, 41, 43, 51, 58, 65, 72, 83, 85, 86, 89, 90, 93, 98, 107, 113, 117, 119, 125, 129, 137, 138, 139, 141, 142, 144, 150, 152, 157, 164, 170, 174, 178, 185, 195, 198, 199, 204, 207, 214, 216, 224, 229, 236, 242, 243, 246, 249, 251, 256, 271, 273, 277, 283, 286, 287, 288, 289, 296, 300, 312, 319, 323, 326, 338, 350, 355, 357, 359, 367, 375, 377, 383, 388, 398, 400, 402, 404, 409, 418, 419, 429, 430, 431, 432, 433, 434, 437, 446, 450, 454, 458, 461, 463, 464, 467, 468, 472, 473, 481, 487, 488, 489, 490, 491, 501, 507, 514, 516, 518, 519, 521, 524, 525, 526, 529, 532, 538, 543, 544, 545, 546, 547, 548, 549, 555, 557, 558, 559, 561, 562, 563, 564, 565, 566, 568, 569, 570, 572, 574, 576, 577, 578, 579, 581, 588, 589, 590, 591, 592, 593, 595,

605, 606, 607, 608, 610, 612, 613, 615, 618, 619, 620, 622, 624, 631, 634, 638, 642, 644, 647, 657, 660, 669, 677, 684, 689, 700, 720, 727
Бурджанадзе ст. 731
ბურჭულაძე, პაატა 578
ბუჩუკური, კობა 58, 62, 63
ბუში 72, 73, 74, 75, 76, 435, 454, 456, 465, 528, 533

გ
გაბრიჩიძე, ნუგზარ 40
გაგულია 140
გამახარია, ჯემალ 679
გამსახურდია, ზვიადი 380, 395
გამყრელიძე, დავითი 39, 155, 256, 439, 444, 637, 642, 643
გაჩეჩილაძე, ლევან 38, 39, 642
გეგეჭკორი, გოგი 178
გელაევი, რუსლან 16, 19, 24, 374
გელაშვილი 454, 459, 509, 713
გელაშვილი, ვალერი 459, 713
გელაშვილი, გიგა 101
გიგინეიშვილი, მანანა 109
გიორგაძე, იგორ 201, 203
გირგვლიანი, სანდრო 521, 522, 529
გოგავა, ირაკლი 138, 141, 142
გოგიაშვილი, მირიან 61
გოგიტიძე, სოსო 286, 287
გოგორიშვილი, ხათუნა 137
გოგოტიძე, ჯემალი 305
გონაშვილი, ბეჟან 682
გორდონი, ბორისი 236
გოცირიძე, რომანი 317
გრიგოლია, ინგა 262
გრიზლოვი, ბორისი 383, 479, 606, 618
გურგენიძე, ლადო 604, 652
გუცაევი 338

დ
დავითაშვილი, კობა 258, 259, 304, 467, 470, 505
დანიელი 577
დანტე 244
დევისი, ტერი 360, 362, 363
დიასამიძე 303
დონაძე 521
დუმბაძე 297, 298, 299, 300, 305
დუმბაძე, ნოდარ 179

ე
ევნევიჩი 729
ელცინი, ბორის 25, 100, 196
ენუქიძე, ირინა 522

ვ
ვაგნერი 180
ვალდნერი, ფერერო 365
ვალენსა 410
ვაშალომიძე 303
ვიგნანსკი, მიხეილ 446, 561, 611
ვიკეფრაიბერგა, ვაირა 533
ვილიამსი, ვილ 659

ზ
ზაქარეიშვილი, პაატა 357
ზიდანი, ზინედინ 524

ზურაბიშვილი, სალომე 472, 473, 474, 475, 476, 501

თ

თარგამაძე, გივი 487
თარგამაძე, გიორგი 604
თარხნიშვილი 640
თევზაძე, დავით 69, 93
თეოდორე 577
თოდუა, დავით 175
თორაძე, ლექსო 578

ი

იანუკოვიჩი 535
იასპერსი, კარლ 621
ივანოვი 299, 300, 301, 306, 352, 383, 434, 497
ივანოვი, სერგეი 527
ილია 193
ილია II 576
ილია მეორე 14, 577
ინაშვილი 303
ისაკაძე, ლიანა 183
იუშჩენკო, ვიქტორ 465

კ

კაკაბაძე, მალხაზ 59
კერი, ჯონ 340
კინწურაშვილი, თამარ 640
კლდიაშვილი, დავითი 182
კობზონი, იოსებ 87
კოვალენკო, ვიაჩესლავ 564
კოვზანაძე, ირაკლი 651, 652
კოკოითი, ედუარდი 308, 326, 338, 343, 386, 547, 548, 558
კოკოშკინი 351
კორსანტია, საშა 578
კოსაჩოვი, კონსტანტინე 368, 369, 370
კუბიჩი 422
კუზმა 237
კუკავა 713

ლ

ლავროვი 527, 528
ლავროვი, სერგეი 383
ლეკიშვილი, ნიკო 151, 230
ლენმარკელი, გორან 524, 525
ლიტვინი 422
ლორთქიფანიძე 83
ლორთქიფანიძე, მარიამ 620
ლუგარი 532
ლუგარი, რიჩარდ 535
ლუჟკოვი, იური 284, 285

მ

მამალაძე, ლევან 220, 313
მანაგაძე, ლაურა 687
მაღლაფერიძე, ვასიკო 273
მაცკე, რიჩარდ 659
მაჭავარიანი, მიხეილ 287, 515, 550, 651, 714
მელნიკოვი 521
მენაღარიშვილი, ირაკლი 59
მერაბიშვილი, ვანო 464, 466
მილაშინა, ელენე 350
მირონოვი 88, 423, 479
მირონოვი, სერგეი 195, 198, 199

მკალავიშვილი, ბასილ 71
მოლაშვილი 220
მუმლაძე, დავითი 227
მშვილდაძე, მიშა 109

ნ
ნაბზდოროვი 320
ნადარეიშვილი, თამაზი 16, 76
ნადირაძე, მაია 401, 438, 495
ნარუსოვა, ლუდმილა 455
ნეტკაჩოვი 305
ნიკოლოზი 577
ნოვიკოვი 729
ნოღაიდელი, ზურაბი 530

ო
ოზეროვი 543
ოქრუაშვილი, ირაკლი 315, 514, 515, 517, 529, 530, 570, 574, 575, 582, 583

პ
პატარკაციშვილი, ბადრი 87, 159, 160, 570, 605, 614
პატრუშევი, ნიკოლაი 72, 87
პაუელი, კოლინ 199, 410, 423
პაულაუსკასი 422
პირველი, ლევან 145
პონსლე, კრისტიან 502
პოპოვი 729
პრესლი, ელვის 180
პუტინა, ლუდმილა 324
პუტინი 19, 25, 72, 73, 74, 75, 78, 83, 87, 120, 203, 251, 301, 353, 384, 403, 532, 536, 546, 551, 564, 611, 667

ჟ
ჟვანია, ზურაბ 20, 31, 32, 33, 45, 53, 54, 79, 85, 129, 150, 188, 198, 217, 219, 222, 229, 233, 252, 256, 259, 260, 273, 288, 309, 310, 314, 316, 326, 328, 330, 375, 386, 390, 398, 406, 425, 444, 448
ჟირინოვსკი 350, 351, 413, 455
ჟუკოვი 563

რ
რაისა, კონდოლიზა 457, 652, 715
რაპაპორტი 226
რატიანი, ნატალია 383
რივლინი 172
როგოზინი 75, 350, 351
რობერტსონი 74
რჩეულიშვილი, ვახტანგ 90, 107, 111, 145, 146, 150, 152, 153, 156

ს
სააკაშვილი, მიხეილი 129, 207, 208, 216, 217, 219, 222, 224, 232, 233, 236, 237, 243, 247, 248, 249, 251, 252, 254, 256, 259, 266, 272, 276, 280, 283, 286, 289, 299, 302, 305, 306, 307, 317, 330, 345, 350, 352, 371, 374, 375, 376, 377, 379, 390, 395, 404, 418, 419, 429, 448, 472, 478, 479, 481, 488, 517, 529, 531, 532, 536, 546, 551, 552, 573, 595, 602, 604, 608, 610, 611, 615, 618, 644, 645, 715
საკანდელიძე, კარლო 178
სანაკოევი 547, 548, 558
სანოძე 521

სარკოზი, ნიკოლა 551, 552, 553, 555
სარიშვილი 199, 200
საჯაია, ნუგზარ 59
სელეზნიოვი, გენადი 20, 54, 88, 124
სერგის, ალექსანდრე 473
სკაჩკო, ვლადიმერ 473
სლისკა 451, 454, 455, 456
სობჩაკი, ანატოლი 455
სოლანა, ხავიერ 442
სოსელია, ზურაბი 314
სოტკილავა, ზურაბ 578
სტალინი 261, 358
სტრუევი, ეგორ 23
სულხან-საბა 193
სურმანიძე 303
სხეფერი 412, 533, 652

ტ
ტეტჩერი, მარგარეტ 51, 183, 234
ტეფტი, ჯონ 537
ტიმოშენკო, იულია 421, 472, 473
ტრიპოლსკი, ირაკლი 632
ტროფალი 632
ტყემალაძე, ზურაბი 439
ტყეშელაშვილი, დათო 314

ფ
ფანჯიკიძე, გურამ 179
ფრადკოვი, მიხაილი 309
ფრიდი, დენიელ 602
ფუხაევი 415

ქ
ქუთათელაძე, მიხეილი 457

ღ
ღაღანიძე, ჯემალ 178
ღოღობერიძე, ლანა 361

ყ
ყაჭეიშვილი 713

შ
შარაძე, გურამ 96, 145, 402
შარონი, არიელ 170, 172
შებეტოვი 729
შევარდნაძე, ედუარდ 19, 44, 71, 102, 111, 138, 152, 160, 162, 164, 186, 196, 199, 200, 201, 204, 207, 209, 213, 216, 220, 223, 229, 230, 244, 273, 278, 291, 302, 305, 307, 335, 374, 377, 379, 395
შიდერი, პიტერ 360, 361
შირაკი, ჟაკ 532, 536

ჩ
ჩალაური 415
ჩარკვიანი, ჟანსუღ 179
ჩერჩილი, უინსტონ 399
ჩიკვაიძე, ზურაბ 225
ჩიხრაძე, ფიქრია 469
ჩუბაისი 226
ჩხაიძე, აკაკი 220
ჩხეიძე, პეტრე 59
ჩხიკვაძე, რამაზ 178
ჩხიკვიშვილი 120, 497

ც

ცური, შაბთაი 172

ცქიტიშვილი, ზურაბ 214, 219

ძ

ძიძიგური, ზვიადი 486

წ

წერეთელი, გიგი 142, 255

ჭ

ჭანკოტაძე 280

ჭოლაძე, ლევან 559

ჭოხონელიძე, თამრიკო 181, 182

ჭუმბურიძე, ჯუმბერ 621

ხ

ხაბაზი 303

ხაზარაძე, ვიტალი 93, 103, 104, 107, 109, 147

ხაინდრავა, გოგა 530

ხაინდრავა, ივლიანე 539

ხალილოვი 75

ხანძთელი, გრიგოლ 193

ხაჩატრიანი, არმენ 13

ხაჩიშვილი, თემურ 101

ხმალაძე, ვახტანგ 640

ხოფერია, ეკა 262

ხუბუა, გიორგი 620, 623

ჯ

ჯავახიშვილი, ივანე 620, 629

ჯაიანი, დიმიტრი 681

ჯიქია, ბონდო 141

ჯიქია, გია 41

ჯონსი, ელიზაბეთ 340

ჯორბენაძე, ავთანდილი 56, 58, 59, 83, 89, 90, 94, 96, 104, 107, 108, 153

ჯორჯი, ბრიუს 337, 393

ჯუღელი, ბესო 450

ჰ

ჰაველი 410

ჰასტინგსი, ელცი 337

ადგილთა საძიებელი

ა

ავსტრია 299, 395, 538, 687

ავღანეთი 196

აზერბაიჯანი 21, 28, 53, 54, 195, 198, 311, 489, 657, 659

ამერიკა 134, 135, 142, 173, 208, 238, 341, 352, 354, 364, 365, 387, 456

ასტანა 383

აფხაზეთი 16, 19, 20, 21, 23, 24, 25, 26, 28, 55, 58, 59, 60, 71, 72, 73, 75, 76, 77, 78, 83, 91, 100, 113, 114, 115, 118, 119, 121, 125, 140, 165, 167, 173, 196, 197, 233, 238, 263, 298, 304, 347, 348, 351, 360, 369, 370, 371, 374, 375, 378, 379, 385, 386, 422, 430, 449, 451, 456, 471, 477, 488, 499, 515, 526, 528, 532, 537, 545, 562, 563, 564, 606, 608, 610, 611, 617, 618, 653, 660, 667, 677, 681, 696, 721, 722, 723

აშკელონი 172

ახალქალაქი 21, 28, 29

ბ

ბათუმი 265, 279, 283, 284, 285, 286, 291, 292, 299, 301, 304, 315, 329

ბალკანეთი 420

ბალტიისპირეთი 142, 175, 499, 534, 669, 670, 672, 675, 676, 687

ბელგია 553, 572

ბელორუსია 336

ბერლინი 616

ბესლანი 367, 371, 372, 383, 385, 463, 464

ბობოყვათი 325

ბოლონია 622

ბორჯომი 101, 183, 332, 340, 537

ბრიტანეთი 51, 293, 393, 538, 572, 601

ბრიუსელი 442, 652, 715

ბუდაპეშტი 653

ბულგარეთი 420, 549, 550

ბუქარესტი 614

გ

გაგრა 385

გალი 27, 60, 69

გელათი 503

გერმანია 74, 323, 354, 540, 616

გორი 463, 464

გროზნო 352

გუდაური 448, 449

გურჯაანი 568

დ

დანია 572

დაღესტანი 239

დნესტრისპირეთი 479, 480, 488, 565

ე

ედინბურგი 322, 441

ევროპა 72, 233, 237, 364, 421, 512, 535, 542, 553, 555

ენგური 27, 556
ერაყი 117, 119, 457
ერგნეთი 338
ერევანი 53, 649
ესპანეთი 541
ესტონეთი 411, 422, 536, 669, 687

ვ
ვაზიანი 26
ვარნა 549, 550
ვაშინგტონი 74, 75, 457
ვაშლიჯვარი 204
ვენა 179, 478, 479, 481, 497, 538, 541
ვენეცია 512
ვილნიუსი 174, 175, 674, 687

თ
თბილისი 48, 54, 58, 60, 72, 83, 91, 104, 178, 198, 217, 240, 251, 265, 278, 291, 296, 298, 309, 317, 350, 367, 368, 369, 373, 383, 423, 446, 447, 459, 463, 472, 478, 561, 562, 611, 612, 620, 624, 629, 632, 645, 649, 659
თერჯოლა 45, 182
თურქეთი 21, 26, 28, 53, 54, 70, 420, 601
თურქმენეთი 555, 559

ი
იაპონია 556
იერუსალიმი 578
ინგუშეთი 353
ირანი 21, 28, 54, 407, 537, 556
ისრაელი 170, 171, 172, 173, 354
იუნესკო 502

კ
კალინინგრადი 676
კანადა 538, 539, 540, 541
კიევი 120, 409, 410, 472, 473
კოდორი 28, 65, 66, 67, 68, 69, 73, 76, 83
კოსოვო 499, 552, 555, 614
კრასნოდარი 545, 546

ლ
ლატვია 411, 422, 535, 669
ლეჩხუმი 179, 325
ლიონი 501, 502, 503
ლიტვა 137, 174, 556, 669, 670, 671, 673, 676
ლუქსემბურგი 502

მ
მაასტრიხტი 227, 412
მედინა 543
მინსკი 532, 536
მოლდავეთი 564, 565
მოლდოვა 489
მოსკოვი 53, 58, 59, 74, 86, 89, 117, 124, 179, 196, 198, 199, 237, 238, 240, 284, 343, 344, 367, 369, 370, 372, 430, 431, 446, 464, 470, 565

ნ
ნიუ-იორკი 59

ო
ოსეთი 24, 26, 100, 197, 238, 308, 321, 343, 348, 351, 369, 370, 371, 372, 384,

385, 429, 471, 476, 477, 478, 488, 492, 515, 558, 561, 562, 564, 606, 618, 717
ოტავა 540

პ

პანკისი 69, 75, 97, 99, 165, 351, 354, 372, 384, 411, 423, 432
პეტერბურგი 203
პოლონეთი 536, 653, 674
პორტუგალია 543, 544, 624
პრაღა 669

რ

რეიკიავიკი 544
რიგა 532, 533, 534, 536
როდოსი 361
როკის გვირაბი 480
როტერდამი 125
რუმინეთი 420, 421
რუსეთი 16, 18, 19, 20, 22, 23, 25, 26, 27, 29, 52, 53, 54, 55, 58, 59, 60, 65, 66, 67, 69, 70, 71, 72, 73, 74, 75, 76, 78, 83, 90, 94, 100, 101, 113, 114, 115, 117, 119, 120, 121, 122, 124, 126, 127, 141, 159, 160, 167, 173, 186, 195, 196, 197, 201, 208, 219, 226, 236, 237, 238, 248, 251, 263, 267, 268, 296, 301, 306, 308, 309, 310, 319, 320, 336, 337, 339, 345, 346, 347, 350, 351, 352, 353, 354, 355, 356, 357, 358, 359, 360, 365, 366, 367, 368, 369, 370, 371, 372, 373, 374, 377, 378, 383, 384, 385, 386, 387, 403, 413, 414, 418, 423, 426, 428, 430, 431, 432, 434, 435, 436, 437, 446, 447, 449, 450, 451, 454, 455, 456, 463, 464, 465, 471, 476, 478, 479, 481, 482, 483, 485, 487, 488, 489, 491, 492, 493, 494, 497, 498, 515, 516, 521, 523, 524, 525, 526, 527, 528, 533, 534, 535, 536, 543, 544, 545, 546, 547, 551, 561, 562, 563, 564, 565, 569, 590, 591, 606, 610, 611, 616, 617, 618, 627, 653, 660, 661, 663, 665, 666, 667, 671, 705, 722, 723, 724, 725, 726, 728, 729

ს

საგურამო 584
სამაჩაბლო 100, 118, 233, 304, 306, 319, 422, 441, 455, 471, 488, 499, 502, 503, 532, 537, 618, 653, 696
სანკტ-პეტერბურგი 69, 487, 489, 516
Санкт-Петербург 731
სარფი 325
საფრანგეთი 84, 472, 475, 501, 503, 532, 540, 549, 552, 553, 555, 723
საქართველო 86, 87, 88, 89, 90, 93, 98, 99, 100, 101, 102, 105, 106, 112, 113, 114, 115, 116, 117, 118, 119, 120, 121, 122, 124, 125, 126, 127, 130, 134, 135, 145, 148, 150, 157, 161, 162, 164, 167, 170, 171, 172, 173, 174, 175, 183, 185, 186, 188, 189, 190, 193, 194, 195, 196, 198, 201, 203, 205, 207, 208, 209, 211, 212, 213, 214, 215, 217, 219, 221, 224, 226, 230, 233, 236, 237, 238, 239, 240, 242, 248, 249, 250, 251, 252, 253, 261, 262, 263, 268, 269, 271, 275, 283, 285, 291, 292, 293, 296, 297, 299, 300, 302, 303, 304, 305, 306, 307, 308, 309, 310, 311, 312, 313, 314, 316, 317, 320, 321, 322, 324, 326, 327, 333,

336, 337, 339, 340, 341, 344, 345, 346, 347, 350, 351, 352, 353, 354, 355, 356, 358, 359, 360, 362, 363, 364, 365, 366, 367, 368, 369, 370, 371, 372, 373, 374, 375, 376, 378, 379, 383, 384, 385, 386, 387, 388, 395, 396, 397, 399, 402, 404, 405, 407, 409, 410, 411, 412, 413, 414, 415, 416, 418, 419, 420, 421, 422, 423, 424, 425, 426, 427, 428, 429, 430, 431, 432, 433, 434, 435, 436, 437, 443, 446, 447, 448, 449, 450, 451, 454, 455, 460, 461, 462, 463, 464, 465, 469, 472, 473, 474, 475, 476, 477, 478, 482, 483, 484, 485, 487, 489, 491, 492, 493, 494, 495, 497, 499, 502, 503, 504, 507, 508, 512, 514, 518, 521, 526, 527, 528, 531, 532, 533, 534, 535, 536, 537, 538, 540, 541, 542, 543, 544, 545, 546, 547, 549, 550, 551, 552, 553, 555, 556, 557, 558, 559, 561, 562, 563, 564, 565, 569, 572, 573, 574, 576, 577, 578, 579, 580, 581, 582, 590, 592, 600, 602, 605, 606, 607, 608, 610, 611, 612, 613, 616, 617, 618, 620, 624, 625, 626, 627, 629, 636, 644, 645, 646, 647, 651, 652, 657, 658, 659, 660, 661, 662, 663, 664, 665, 666, 667, 669, 670, 671, 672, 673, 674, 675, 676, 681, 687, 689, 690, 693, 696, 697, 698, 699, 700, 701, 702, 705, 709, 712, 715, 716, 717, 718, 720, 721, 722, 723, 724, 726, 728, 729

საჩხერე 226

სკანდინავია 463

სლოვაკეთი 411, 423

სომხეთი 13, 21, 28, 53, 54, 195, 687

სოჭი 113, 148, 360, 383, 563

სოხუმი 59, 60, 78, 113, 345, 360, 561, 667

სტამბული 310, 463, 551

სტრასბურგი 357, 361, 367, 368, 369, 373, 377, 379, 714

ტ

ტაივანი 238

ფ

ფინეთი 461, 462, 463

ქ

ქობულეთი 290, 299, 301

ქუთაისი 29, 159, 224

ღ

ღალიძგი 127

ყ

ყარაბაღი 311, 488

შ

შავი ზღვა 420

შვედეთი 463, 524

შვეიცარია 335, 337, 395, 448, 687

ჩ

ჩერნობილი 680, 681

ჩეჩნეთი 20, 353, 359, 373, 590, 608, 611, 726

ჩინეთი 238, 715

ჩოლოქი 265, 286, 291

ც

ცაგერი 148

ცხინვალი 319, 320, 321, 322, 325, 326, 327, 329, 335, 336, 338, 339, 340, 343, 344, 345, 370, 371, 442, 462, 463, 464, 492, 496, 498, 499, 530, 547, 558, 728, 729

ჭ

ჭიათურა 325

ხ

ხმელთაშუა ზღვა 420

ხულო 290

ჯ

ჯავახეთი 21, 28

ჰ

ჰარვარდი 237

ჰელსინკი 462, 463

საგნობრივი საძიებელი

ა

აგენტები 465, 682

აგრარული 192, 238

ავტონომია 485, 601, 612, 620, 621, 305, 405, 412

„ალდაგი“ 41, 42

„ალია“ 93, 107, 117, 150, 199, 229, 277

ალიანსი 26, 72, 532, 533, 534, 624, 625, 674

„ალ-ქაიდა“ 432

„ალ ჯაზირა“ 601

ამერიკის ბაზები 310

ანტიკორუფციული ბრძოლა 626

ანტიკორუფციული საბჭო 61

ასამბლეა 76, 125, 126, 198, 345, 367, 369, 450, 451, 454, 478, 494, 543, 544, 720, 724, 725

ატესტაცია 461

აღლუმი 392

„ახალი თაობა“ 434

„ახალი მემარჯვენეები“ 256, 634

ბ

ბანკი 226, 627, 651, 652, 685

ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენი 101

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტი 657

„ბიბისი“ 230, 308

„ბისეკი“ 551

ბიულეტენები 17

ბიუჯეტი 91, 93, 94, 95, 96, 98, 108, 110, 133, 136, 142, 151, 154, 165, 171, 172, 191, 193, 194, 248, 326, 327, 328, 334, 393, 627, 670, 677, 678, 679, 680, 681, 682, 684, 685, 686, 703, 706, 714

ბლოკი 187, 188, 191, 192, 281, 288, 328

ბოევიკები 26

„ბოინგი“ 346

ბრიფინგი 15, 137, 174, 605

გ

„გაერთიანებული დემოკრატები“ 138, 294

გაერთიანებული ერების ორგანიზაცია 663

გაერო 20, 25, 55, 66, 67, 119, 120, 360, 430, 452, 478, 479, 484, 526, 528, 662, 720, 721, 723, 724

„გაზპრომი“ 418, 426

გასტარბაიტერები 241

Государственная Дума 731

გენერლები 70, 211, 305, 372

გენპროკურატურა 16, 48

გენოციდი 321

„გერმანული ტალღა“ 207

„გრუ“ 464

გუბერნატორი 62, 63, 203, 545

დ

დაზვერვა 67, 260, 432

დაზვერვის სახელმწიფო დეპარტამენტი 681

დებატები 93, 95, 125, 130, 144, 149, 175, 273, 357, 358, 360, 361, 362, 366, 367, 368, 369, 377, 417, 544, 546, 572, 601, 701, 702, 714, 719
დეკლარაცია 62, 159
დელეგაცია 20, 113, 114, 120, 124, 125, 126, 320, 336, 337, 345, 360, 361, 362, 366, 379, 392, 409, 434, 450, 451, 454, 455, 487, 488, 491, 492, 525, 538, 546, 550, 661, 669, 670, 727
დემარშისტები 107
„დემოკრატები“ 135, 138, 198, 204, 283, 287, 288, 294, 303, 328, 398, 400
დეპუტატები 16, 18, 59, 93, 96, 132, 138, 139, 143, 167, 225, 270, 296, 318, 381, 401, 404, 407, 415, 434, 436, 437, 439, 440, 450, 458, 461, 467, 565, 633, 642, 680
დესანტი 65, 66, 67, 369, 378, 379
დეფოლტი 136
„დიდი რვიანი“ 528, 728
დისლოკაცია 432
დსთ 24, 26, 27, 100, 114, 119, 121, 165, 198, 385, 421, 487, 488, 489, 491, 492, 493, 514, 517, 527, 531, 532, 536, 537, 546, 610, 660, 661
დუმა 20, 308, 320
Думский зал 731

ე

„ედინაია როსია“ 606
ევროინტეგრაცია 549, 552
ევროკავშირი 55, 71, 173, 193, 196, 221, 365, 411, 414, 420, 421, 430, 442, 475, 477, 481, 482, 499, 543, 544, 555, 652, 653, 669, 674, 676, 716, 717
ევროპარლამენტი 76
ევროსაბჭო 29, 76, 152, 221, 357, 358, 359, 360, 361, 362, 364, 366, 377, 378, 392, 393, 404, 413, 414, 417, 418, 422, 424, 512, 557
ეთნოკონფლიქტები 451
ეკლესია 402, 576, 579, 580, 581, 582, 609, 629, 630
ელჩი 119, 134, 199, 214, 223, 230, 248, 283, 497, 526
ემბარგო 545, 627
ენგურჰესი 556
ენერგოსისტემა 193, 201
„ესენგე“ 53, 54
ეტაპირება 16
ეუთო 76, 125, 126, 152, 167, 221, 320, 335, 336, 337, 344, 345, 360, 361, 377, 378, 393, 410, 411, 414, 420, 422, 423, 430, 432, 441, 447, 450, 451, 454, 455, 456, 462, 463, 478, 479, 480, 481, 499, 518, 524, 525, 526, 540, 541, 611, 632, 662, 724, 725, 726, 727
ექსპანსია 56
ექსპერტები 90, 377, 407, 434, 435, 512, 536, 556
ექსსპიკერი 31
ექსპრეზიდენტი 229

ვ

„ვარდების რევოლუცია“ 223, 391, 396, 402, 403, 433, 454, 472
ვეტერანები 94
ვეტო 74, 135, 138, 139, 144, 149, 545
„ვილნიუსის ათეული“ 174, 674, 687
ვიცე-პრეზიდენტი 344, 550

ვიცე-სპიკერი 71, 81
„ვრემია ნოვოსტი“ 608

თ
თემთა პალატა 393
თვითმმართველობა 63, 190, 426, 714

ი
„იზვესტია“ 18, 200
იმპიჩმენტი 41, 90, 96, 147
„იმედი“ 598, 599, 600, 601, 602, 603, 605, 610, 612
ინაუგურაცია 234, 248, 249, 638, 670, 671
ინვესტიცია 263, 299, 304, 318, 414, 451, 463, 540, 695
ინვესტორები 303, 304, 332, 427
იმპლემენტაცია 709

კ
„კავკასია“ 599, 600
კათალიკოს-პატრიარქი 14
კანცელარია 103, 107, 108, 133, 137, 199, 206, 229, 273, 342
კაპიტალი 56, 57, 303, 407
პასპორტიზაცია 114, 661, 663, 665
კატარღა 26
კვორუმი 35, 76, 167, 169, 401, 440
კვოტები 430
„კიევსკი ტელეგრაფი“ 473
„კმარელები“ 242, 245
კოალიციური საბჭო 32
კოდექსი 41, 64, 132, 133, 154, 156, 166, 281, 377, 381, 382, 417, 450, 585, 601, 700, 703
კომიტეტები 80, 81, 316, 317, 508, 672, 710
კომუნალური გადასახადები 434
კონგრესი 293, 452, 541
კონტრდაზვერვა 260
კონტროლის პალატა 559, 685
კონფრონტაცია 22, 29, 107, 144, 145
„კონსერვატორები“ 467, 501
კონსტიტუცია 29, 147, 218, 232, 258, 259, 511, 564, 573, 649
კონტრაბანდა 94, 290, 338
კონცერნი 227
კორუფცია 62, 150, 161, 221, 261, 276, 389, 398, 429, 559, 626, 693

ლ
ლეგალიზაცია 386
„ლეიბორისტები“ 176, 245, 648
„ლეჩკომბინატი“ 619

მ
მანდატი 27, 35, 59, 60, 69, 120, 121, 122, 126, 127, 398, 400, 485, 497, 583, 721, 722, 728
„მაპი“ 541, 553, 652, 653
მაჟორიტარი დეპუტატები 633, 680
მაჟორიტარები 151, 175, 450, 586, 633, 635, 636, 640, 642
მასმედია 23, 86, 129, 261, 262, 713
მერია 224, 273
მთავარსარდალი 298, 305, 698
„მთელი კვირა“ 157, 251, 326, 357,

419, 507, 576
მიგრაცია 26
მოსამართლეები 467, 468, 469, 470, 617
„მოქალაქეთა კავშირი“ 31, 32, 33, 34, 39, 44, 45, 63, 79, 80, 104, 642
„მრეწველები“ 133, 143, 145, 509, 510
მრჩეველთა საბჭო 379

ნ

„ნატო“ 25, 27, 70, 72, 73, 74, 76, 99, 174, 175, 196, 211, 237, 411, 412, 420, 421, 422, 430, 431, 432, 442, 475, 477, 502, 532, 533, 534, 535, 539, 540, 541, 543, 544, 545, 553, 555, 564, 591, 612, 614, 624, 625, 626, 628, 653, 669, 674, 676, 681, 682, 715, 716
„ნაციონალები“ 119, 204, 281, 287, 288, 294, 303, 317
„ნიუსკორპი“ 600
„ნიუს კორპორეიშენ“ 605
ნობელის პრემია 410, 419

ო

„ოგონიოკი“ 236
ოლიგარქები 42, 84
ოლიგარქიული კლანი 39
„ოპიზა“ 499
ოპოზიცია 243, 244, 245, 248, 261, 275, 294, 306, 317, 334, 335, 375, 377, 379, 392, 403, 415, 417, 437, 439, 440, 443, 452, 458, 459, 469, 476, 486, 495, 499, 504, 507, 508, 509, 510, 511, 512, 521, 522, 523, 527, 529, 535, 538, 541, 556, 566, 567, 569, 571, 572, 581, 584, 585, 586, 587, 588, 589, 590, 592, 596, 601, 602, 603, 613, 614, 618, 631, 632, 633, 634, 635, 636, 638, 639, 640, 641, 642, 644, 646, 647, 648, 650, 688, 710, 718

პ

პარლამენტი 13, 15, 16, 18, 23, 27, 32, 33, 34, 35, 36, 41, 47, 48, 53, 56, 58, 59, 60, 63, 76, 80, 81, 84, 87, 88, 93, 94, 95, 96, 97, 101, 102, 103, 107, 109, 118, 119, 121, 122, 125, 127, 129, 131, 132, 133, 134, 135, 136, 137, 138, 139, 143, 144, 148, 152, 165, 166, 167, 175, 178, 204, 205, 207, 214, 215, 216, 218, 230, 234, 243, 244, 247, 252, 254, 255, 257, 265, 270, 273, 275, 281, 288, 289, 291, 293, 296, 314, 317, 318, 322, 325, 331, 334, 343, 355, 377, 380, 381, 390, 392, 393, 394, 401, 405, 406, 407, 409, 415, 416, 417, 425, 426, 427, 435, 440, 443, 444, 446, 447, 448, 450, 451, 454, 457, 459, 461, 467, 473, 475, 478, 483, 484, 488, 489, 490, 491, 492, 493, 495, 496, 497, 499, 507, 511, 521, 522, 523, 524, 527, 535, 537, 540, 569, 573, 577, 579, 583, 584, 586, 588, 590, 594, 603, 608, 613, 614, 634, 638, 639, 646, 648, 649, 650, 651, 657, 658, 659, 660, 661, 662, 663, 664, 665, 666, 669, 671, 672, 677, 686, 689, 690, 691, 692, 693, 694, 695, 696, 697, 700, 701, 704, 708, 709, 710, 711, 712, 714, 715, 716, 718, 719, 720, 722, 724

პარლამენტის თავმჯდომარე 14, 15, 17, 22, 31, 32, 36, 39, 44, 54, 58, 65, 72, 80, 86, 89, 95, 98, 103, 105, 109, 111, 117, 119, 123, 125, 129, 132, 137, 138, 139, 140, 141, 142, 147, 150, 155, 157, 158, 160, 161, 162, 163, 164, 170, 171, 174, 182, 185, 195, 199, 201, 219, 231, 247, 251, 259, 265, 277, 283, 285, 289, 294, 295, 296, 300, 308, 312, 326, 355, 372, 381, 383, 388, 392, 396, 400, 401, 402, 404, 409, 411, 418, 419, 422, 428, 429, 430, 434, 442, 450, 454, 458, 461, 463, 467, 468, 469, 481, 487, 488, 489, 490, 491, 495, 501, 504, 507, 514, 524, 527, 528, 532, 538, 543, 544, 545, 548, 549, 550, 551, 555, 561, 566, 568, 588, 591, 624, 629, 631, 632, 633, 635, 636, 637, 638, 642, 657, 671, 672, 674, 675, 677, 684, 685, 687, 703, 706, 718, 719, 720

პარლამენტის იურიდიული კომიტეტი 330

პარლამენტის სპიკერი 13, 83, 150, 350, 367, 404, 472, 566

პატრიარქი 14, 295, 572, 576, 577, 578, 579, 580, 581, 582, 594

პატრულის ინსტიტუტი 615

პატრულირება 26, 66, 67, 384

პლენარული სხდომა 143, 318, 442, 657, 669, 677, 689, 700

პოლარიზაცია 240

პოლიტოლოგები 357

პრეზიდენტი 16, 20, 25, 27, 31, 33, 34, 36, 37, 44, 47, 48, 58, 62, 63, 65, 68, 72, 73, 74, 79, 90, 91, 95, 96, 100, 102, 103, 104, 108, 109, 110, 111, 121, 122, 126, 131, 134, 135, 136, 137, 138, 139, 140, 141, 144, 145, 147, 148, 149, 150, 151, 152, 153, 157, 160, 161, 164, 185, 189, 192, 193, 194, 196, 199, 200, 201, 204, 205, 207, 208, 209, 211, 213, 214, 215, 216, 220, 222, 223, 224, 226, 229, 230, 231, 233, 236, 242, 247, 248, 251, 252, 253, 254, 255, 257, 258, 261, 262, 263, 264, 265, 266, 267, 268, 271, 277, 279, 280, 283, 284, 285, 286, 288, 292, 295, 298, 299, 300, 301, 302, 304, 305, 306, 307, 317, 321, 335, 336, 337, 342, 343, 345, 346, 350, 352, 355, 360, 371, 373, 374, 376, 377, 379, 380, 381, 391, 392, 395, 396, 398, 399, 400, 402, 403, 404, 406, 410, 411, 413, 414, 416, 418, 419, 421, 422, 423, 424, 425, 428, 429, 435, 436, 437, 448, 449, 451, 456, 457, 463, 465, 466, 469, 472, 476, 478, 479, 481, 488, 489, 492, 495, 496, 499, 511, 516, 517, 518, 524, 528, 530, 531, 532, 533, 535, 536, 541, 543, 546, 551, 552, 553, 555, 558, 559, 565, 568, 569, 574, 576, 580, 581, 582, 583, 584, 585, 586, 588, 589, 591, 595, 597, 598, 600, 604, 605, 606, 607, 608, 610, 611, 612, 617, 635, 646, 648, 650, 661, 667, 670, 671, 673, 675, 689, 691, 707, 709, 713, 715, 716, 725

პრემიერ-მინისტრი 29, 170, 171, 253, 257, 258, 259, 295, 303, 309, 396, 399, 416, 418, 421, 476, 478, 481, 518, 519, 534, 539, 604, 673

პრესკონფერენცია 15, 39

პრივატიზაცია 209, 322, 323, 332, 333, 334, 408

პროკურატურა 16, 48, 91, 161, 162, 214, 220, 287, 316, 380, 574, 682
პროკურორი 39, 40, 41, 48, 89, 90, 161, 162, 202, 270, 271, 286, 369, 504
პროტოკოლი 124, 199, 324

რ

რაიკომი 182
რატიფიკაცია 20, 165
რეგლამენტი 103, 137, 139, 140, 168, 169, 406, 440, 510, 685, 708, 725
რევიზია 127, 703
რეზოლუცია 76, 119, 125, 320, 337, 345, 405, 442, 451, 456, 724, 725
„რეზონანსი“ 51, 58, 65, 185, 296, 404, 461, 468, 481, 521, 549, 566
რეფერენდუმი 359
რეფორმა 40, 150, 171, 183, 191, 211, 212, 243, 252, 259, 319, 330, 376, 390, 448, 456, 502, 503, 533, 534, 539, 589, 612, 616, 622, 625, 626, 627, 700, 701, 702, 703, 714, 715
რუსეთის სამხედრო ბაზები 27, 446, 671, 705
რუსეთის ფედერაცია 356, 627, 662

ს

საბაჟო 267, 286, 290, 499
საბჭო 16, 20, 24, 25, 32, 41, 61, 65, 71, 72, 74, 100, 114, 117, 120, 126, 165, 195, 201, 246, 318, 342, 367, 368, 369, 373, 379, 383, 391, 407, 430, 456, 467, 470, 478, 479, 481, 484, 618, 661, 662, 663, 665, 720, 721, 723, 724
საბჭოთა კავშირი 26, 196, 261, 354, 358, 669, 671, 672
საგადასახადო კოდექსი 132, 133, 394, 417, 509, 700, 703, 704
საერთაშორისო თანამეგობრობა 120, 224, 404, 414, 424, 434, 456, 483, 492, 498, 619, 666, 722, 723, 729
სავალუტო ფონდი 133, 136, 684
სამიტი 72, 76, 120, 422, 463, 531, 534, 547, 550, 551, 591, 614
სამრეწველო-სავაჭრო პალატა 502
საპარლამენტო ევროპის საბჭო 662
სარდალი 498
სარეზერვო ფონდი 559
სასამართლო 41, 42, 162, 203, 225, 313, 331, 371, 424, 452, 457, 467, 469, 534, 554, 573, 574, 609, 612, 693, 708, 712, 716
სასაზღვრო და სამხედრო ძალები 346, 347, 722, 723
სახალხო დამცველი 521, 522
საჯარო რეესტრი 600
სეკვესტრი 143, 683, 684
სენატი 151, 452, 502, 507
სეპარატიზმი 100, 347, 353
სეპარატისტები 19, 20, 24, 25, 53, 100, 238, 347, 430, 457, 498, 722
„სიენენი“ 230
„სოციალისტები“ 145, 156, 683
სოციოლოგები 129
სპეცნაზი 614
სპეცოპერაციები 519
სპიკერი 13, 15, 18, 36, 37, 44, 45, 83, 144, 168, 169, 200, 288, 319, 367, 404, 467, 472, 473, 481, 510, 566
სტაგნაცია 478

ტ
ტელეკომპანიები 262
ტერაქტი 55, 75, 86, 87, 88, 89, 202, 463, 464, 465, 729
ტერორიზმი 355
ტერორისტები 26, 55, 86, 87, 88, 89, 90, 372, 373, 378, 423, 432
ტრანზიტი 657, 659

უ
უშიშროების საბჭო 20, 25, 65, 100, 663, 665, 720, 721, 723, 724

ფ
ფინანსთა მინისტრი 680
ფორუმი 61, 543, 545
ფრაქცია 15, 44, 45, 48, 79, 91, 134, 143, 294, 381, 450, 486, 631, 677, 699

ყ
ყრილობა 34, 61

შ
შაჰ-დენიზი 426, 427, 428

ც
ცესკო 267, 632, 640
ცისფერჩაფხუტიანები 527

წ
წყალსაცავები 556

ხ
ხაზინა 216
ხუდონჰესი 556

ჯ
ჯანდაცვა 687
ჯარი 68, 196, 270, 274, 284, 335, 347, 389, 392, 398, 484, 616, 628, 697

ჰ
ჰამურაბის კანონი 615
ჰიდროელექტროსადგურები 556